https://www.facebook.com/groups/ELLIB/

# მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა

«ნაბეჭდი სიტყვა» 1975

# ᲡᲘᲣᲪᲜᲝᲗᲔ

## ᲠᲩᲔᲣᲚᲘ
## ᲒᲘᲠᲒᲠᲝᲕᲘᲔᲒᲘ

«ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ» ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ 1275

## მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სარედაქციო საბჭო

ბ. აბაშიძე
ა. ადამია
ზ. ახვლედიანი
მ. გაჭრაძე
თ. ბუაჩიძე
ბ. გაჩეჩილაძე
ა. გოგიაშვილი
დ. დუნდუა
თ. ერისთავი
მ. თოდუა
ტ. თოფურიძე
მ. კვესელავა
დ. ლაშქარაძე
კ. ლორთქიფანიძე
ე. მაღრაძე
ბ. მელაძე
ბ. ნატროშვილი
ბ. ჟღენტი
შ. სულაბერიძე
ს. ფაუზჩიშვილი
ნ. ყიასაშვილი
დ. შენგელაია
ო. ჩხეიძე
ბ. ციციშვილი
ვ. ჭელიძე
ბ. ხუციშვილი
ო. ჯინორია



ძველბერძნულიდან თარგმნა,
შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო
აკაკი შრეშელაძემ

მხატვარი
ლადო გრიგოლია

# პლუტარქე

ძველი ბერძნული პროზაული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი პლუტარქე ყველა დროისა და ყველა ხალხის საყვარელ მწერლად ითვლება. მისი ცნობილი „პარალელური ბიოგრაფიები" თითქმის ორი ათასი წლის წინ დაიწერა, მაგრამ მსოფლიო ლიტერატურის ოქრის ფონდის იმ შედევრებს განეკუთვნება, რომლებიც „ჩვენ ახლაც კიდევ ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და გარკვეული აზრით ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ", (მარქსი).

პლუტარქე დაიბადა დაახლოებით 46 წელს ახალი წელთაღრიცხვით. მისი საშობლო იყო ცენტრალურ საბერძნეთში მდებარე ბეოტიის პატარა, მაგრამ სახელგანთქმული ქალაქი ქერონეა. სწორედ ამ ქალაქთან მომხდარ საბედისწერო ბრძოლაში ძველი წელთაღრიცხვის 338 წელს ფილიპე მაკედონელმა ბოლო მოუღო სახელოვანი ელადის დამოუკიდებლობას. პლუტარქეს მშობლიური მხარე სასელმოსვეჭილი იყო უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ადრე, ელინურ ხანაში კაცობრიობას შესძინა ორი დიდი პოეტი: დიდაქტიკოსი ჰესიოდე და ქორიკული პოეზიის ანუ საგუნდო ლირიკის ბრწყინვალე წარმომადგენელი პინდარე.

დაწვრილებითი ცნობები პლუტარქეს ცხოვრებაზე მწერლისავე თხზულებებშია დაცული. იგი აქ გვაცნობს მთელ თავის ოჯახსა და ამ ოჯახის წინაპრებს. პლუტარქესა და მის ძმებს, ლამპრიასა და ტიმონს, წილად ხვდათ აღზრდილიყვნენ დიდი ტრადიციების მქონე წარჩინებული გვარის ოჯახში. მათი მამა არისტობულე ფილოსოფიის, თეოლოგიისა და პოეზიის კარგი მცოდნე ყოფილა. შინ მიღებული განათლების გასაღრმავებლად სულ ახალგაზრდა პლუტარქე არისტობულემ ათენს გაგზავნა.

პლუტარქეს ეპოქაში საბერძნეთი რომის უზარმაზარი იმპერიის მხოლოდ პროვინცია იყო, მაგრამ უმაღლესი სწავლა-განათლებისა და კულტურის კერას ჯერ კიდევ მაინც ძველი ელადის ბურჯი ათენი წარმოადგენდა. განსაკუთრებით ძლიერი იყო ამ დროს ათენის ფილოსოფიური სკოლა და სულიერი საზრდოს მისაღებად აქეთკენ მოისწრაფოდა არა მარტო ბერძენი, არამედ რომაელი ახალგაზრდობაც. აქ პლუტარქეს ფილოსოფიას ასწავლიდა პერიპატეტიკული სკოლის წარმომადგენელი ამონიოსი. ათენში პლუტარქემ მრავალმხრივი და შესანიშნავი განათლება მიიღო. ფილოსოფიის გარდა შეისწავლა მათემატიკა, ფიზიკა, მედიცინა, რიტორიკა, მუსიკის თეორია და სხვა მეცნიერებანი.

მომავალი ფილოსოფოს-მორალისტის ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელოვანი წილი დაიდო პლატონიზმის შიმდევარი ფილოსოფოსის, ზემოთ მოხსენებული ამონიოსის მო-

ძღვრებამ. ამ მოძღვრებამ ელინისტური პერიოდის რომაულ ხანაში პლატონის იდეალიზმი მისტიციზმის მიმართულებით განავითარა.

ათენშივე შეითვისა პლუტარქემ ბერძენი პოეტების, ორატორებისა და ისტორიკოსების დიდი მემკვიდრეობა. ამან განაპირობა ის დიდი და საოცარი ერუდიცია, რომელიც მის თხზულებებს ეტყობა.

განსაკუთრებული გულისყური პლუტარქეს მაინც ეთიკის პრობლემებისაკენ ჰქონდა მიმართული და მრავალი შრომაც მიუძღვნა მათ.

ახალგაზრდობაში პლუტარქეს ბევრი უმოგზაურია საბერძნეთისა და იტალიის სხვადასხვა ქალაქებში. მოუვლია მცირე აზია და ყოფილა ელინისტური კულტურის უდიდეს ცენტრში — ალექსანდრიაში.

პოლიტიკურ ცხოვრებაში პლუტარქე ადრევე ჩაება. ნიჭიერ და წარჩინებულ ახალგაზრდას მშობლიურ ქერონეაში სხვადასხვა თანამდებობის აღსრულება მიანდეს. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ ქერონეის მოსახლეობამ იგი ელჩად წარგზავნა აქაია პროვინციის პროკონსულთან (მაღალი თანამდებობის რომაელ მოხელესთან). მშობლიური ქალაქის საქმეებთან დაკავშირებით პლუტარქე რამდენჯერმე ჩავიდა რომში და იქ დიდი ხანი დაჰყო. პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად იგი რომში სწავლობდა ლათინურ ენას, კითხულობდა ლექციებს პრაქტიკული ფილოსოფიის (ეთიკის) სხვადასხვა საკითხზე და მჭიდრო ურთიერთობას ამყარებდა იქაურ განათლებულ და არისტოკრატიულ წრეებთან, წარჩინებულ მაგისტრატებთან. აქ იგი დაუახლოვდა იმპერატორის მეგობარსა და ოთხჯერ კონსულად ნამყოფ კვინტუს სოსიუს სენეციონს. გაიცნო და დაიმეგობრა ფილოსოფოსი ფავორინუსი, მესტრიუს ფლორუსი, გაიუს მინუციუს ფუნდანიუსი, ჰერენიუს სატურნინუსი და სხვები. ამ პირთ პლუტარქე ხშირად მოიხსენიებს ხოლმე თავის შრომებში. „პარალელური ბიოგრაფიებისა“ და სხვა თხზულებათა დიდი ნაწილი მან მიუძღვნა კვინტუს სოსიუს სენეციონს.

სამწერლო მოღვაწეობით უკვე სახელგანთქმული პლუტარქე, როგორც ღრმად განათლებული, პოლიტიკურად მომზადებული და რომის ორიენტაციის კაცი, დაიასლოკა იმპერატორმა ტრაიანემ და კონსულარის საპატიო წოდება უბოძა. მას საგანმგებლოდ გადასცეს ილირიის პროვინცია. ბიზანტიური ხანის ლექსიკონში, რომელიც სვიდას სახელითაა ცნობილი, ნათქვამია, რომ იმპერატორმა ტრაიანემ ილირიის მმართველთ ბრძანება დაუგზავნა — პლუტარქეს დაუკითხავად და მისი რჩევა-დარიგების გარეშე არც ერთი საქმე არ წამოეწყოთ [1]. პლუტარქე საიმპერატორო კარის მასწავლებლადაც მიიწვიეს. ცნობილია, რომ იგი ასწავლიდა ადრიანეს, რომელიც შემდეგ იმპერატორი გახდა და პლუტარქე აქაის ანუ სრულიად საბერძნეთის საგამგებლოს პროკონსულად დანიშნა.

პლუტარქე საბერძნეთისა და, კერძოდ, ბეოტიის მგზნებარე პატრიოტი იყო. ამიტომ რომის იმპერატორთა და წარჩინებულთა სიმპათიებს, დიდ ნდობასა და მათი წყალობით მიღებულ მაღალ თანამდებობებს ყოველთვის სამშობლოს საკეთილდღეოდ იყენებდა. მისი რომაული ორიენტაცია სწორედ ამით იყო შეპირობებული. სამშობლოსათვის თავდადებული პლუტარქე ათენმა საპატიო მოქალაქედ აირჩია, ქერონეამ კი აგორანომოსად და არქონტ-ეპონიმად დანიშნა.

---

[1] Suidae Lexicon; edidit Ada Adler. Pars II, Lipsiae; 1928.

სიცოცხლის მეორე ნახევარში, როგორც ჩანს, პლუტარქემ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი აიღო და დარჩენილი ცხოვრების წლები საყვარელ ქერონეაში გაატარა. იგი ამბობდა: „მე ამ პატარა ქალაქში დავიბადე; ჩემი აქედან წასვლა ისედაც პატარა ქალაქს ერთი კაცით უფრო შეამცირებსო“. ქერონეაში პლუტარქემ დააარსა მცირე აკადემია, რომელშიც მისი მეგობრები და მოწაფეები მოღვაწეობდნენ. ამ აკადემიამ, როგორც გადმოგვცემენ, ას წელზე მეტ ხანს იარსება.

პლუტარქეს პირადი ცხოვრებიდან ცნობილია, რომ ჰყავდა ცოლი სახელად ტიმოქსენე, რომელიც ფრიად განათლებული ქალი ყოფილა. ამბობენ, ცოლის სიყვარულმა დააწერინა პლუტარქეს ჩვენამდე მოღწეული თხზულება „რჩევა-დარიგება მეუღლეებს“. ტიმოქსენესგან პლუტარქეს ოთხი ვაჟი და ორი ქალი შეძენია. ერთ-ერთი ვაჟი, სახელად ლამპრია, მამის თხზულებათა კომენტატორი და გამომცემელი გახდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში, მისტიკური მიდრეკილების გამო, პლუტარქე მჭიდროდ დაუკავშირდა დელფოს სამისნოს და აპოლონ ღმერთის ქურუმთმთავრობა იკისრა. დელფოს ქურუმთა კოლეგიაში იგი შევიდა 95 წელს. პლუტარქე ცდილობდა აღიდგინა დელფოს სამისნოს ძალადაკარგული კულტი და მისთვის ფილოსოფიური დასაბუთება მიეცა.

გარდაიცვალა პლუტარქე 120 — 130 წლების შუა ხანებში. ამფიქტიონთა საბჭოს საგანგებო დადგენილებით ქერონეის და დელფოს მკვიდრებმა სახელოვან მოღვაწეს ძეგლი დაუდგეს და ზედ ხოტბის წარწერა ამოკვეთეს [1].

* * *

პლუტარქე ბერძნული მწერლობის ისტორიის ელინისტური პერიოდის უნივერსალური მოაზროვნეა და ამ პერიოდის ერთ-ერთი უკანასკნელი დიდი წარმომადგენელიც. მისი მოღვაწეობა ემთხვევა რომის იმპერიის ეგრეთ წოდებული „სტაბილიზაციის“ ანუ „ბედნიერი საუკუნის“ ხანას. ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის პირველ ნახევარში რომში შედარებით მყარი მდგომარეობა იყო. საგარეო პოლიტიკაც აღმავლობის გზით მიემართებოდა და შეხაძლებელი ხდებოდა რომის სახელმწიფოს დაპყრობითი პოლიტიკის შემდგომი, მაგრამ არცთუ ისე ხანგრძლივი გაფართოება. იმპერატორი ტრაიანე, ასე ვთქვათ, უკანასკნელად აელვარებს იარაღს და რომის იმპერიას ჯერ კიდევ უნარჩუნებს მსოფლიო ხასიათს. დროებითი აღმავლობის მიუხედავად შინაგანი წინააღმდეგობა და კლასობრივი ბრძოლა „ბედნიერ საუკუნეშიც“ ძალუმად იზრდებოდა და რომის სახელმწიფოს მონათმფლობელური სისტემის ხრწნასა და დაცემას აჩქარებდა.

რომის იმპერია ულმობლად ჩაგრავდა დაპყრობილ ქვეყნებს და მათ პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობას ფეხქვეშ თელავდა. განსაკუთრებული სიმკაცრით ჩაგრავდნენ რომაელები აღმოსავლეთის პროვინციებს, რომელთა დიდი ნაწილი ბერძ-

---

[1] არქეოლოგიური გათხრების დროს დელფოში აღმოაჩინეს ამ ძეგლის ნაშთი წარწერით (Corpus inscriptionum graecarum, 1713).

ქერონეის ტაძარში დღესაც უჩვენებენ პლუტარქეს მარმარილოს სავარძელს.

ნებით იყო დასახლებული. დიადი წარსულის მქონე ელადა რომის ბატონობის ქვეშ იტანჯებოდა. პლუტარქეს კარგად ესმოდა, სახელოვანი საბერძნეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა არსებულ ვითარებაში შეუძლებელი იყო; ელადის დიადი წარსული სსოვნასღა შემორჩა. ამიტომ პლუტარქე, სხვა ბერძენ მოღვაწეთა მსგავსად, არსებულ ვითარებას შეურიგდა და რომის იმპერიას „ხსნის ღუზას“ ეძახდა. რომის სახელმწიფოს მესვეურნი დაპყრობილ ქვეყნებში არისტოკრატთა წრეებს აძლიერებდნენ. პლუტარქეც ერთ-ერთი ბერძენი არისტოკრატი იყო. იგი ლოიალურად ეკიდებოდა რომის იმპერიის პოლიტიკას და სსვებსაც ურჩევდა რომის ორიენტაცია მიეღოთ. რომაელთა მიერ საბერძნეთის მსარეებში მაღალ თანამდებობებზე დაწინაურებულ ბერძნებს პლუტარქემ სპეციალური შრომაც კი დაუწერა („რჩევა-დარიგება სახელმწიფო მოღვაწეთათვის“). ამ შრომაში ნათლად ჩანს პლუტარქეს კლასობრივი შეზღუდულობა, მისი შემთანხმებლური პოლიტიკა. პლუტარქეს აზრით, ელინები გულისყურით უნდა მოეკიდნონ კეისრის (ე. ი. რომის იმპერატორის) მიერ ელადაში წარმოგზავნილ პროკონსულებსა და პროკურატორებს, რომლებიც საბერძნეთს მართავენ. რაკი სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა, პლუტარქე თანამემამულეთ მოუწოდებდა სამშობლოს საკეთილდღეოდ რომაელებს დამორჩილებოდნენ, მხოლოდ თავი მეტისმეტად არ დაემცირებინათ.

* * *

ანტონინუსთა დინასტიის ორი წარმომადგენლის მარკუს ტრაიანე (97 — 117) და პუბლიუს ელიუს ადრიანე (117 — 138 წწ.) იმპერატორების დროს კულტურისა და მეცნიერების განვითარებას სოციალურ-პოლიტიკური ვითარება საკმაოდ უწყობდა ხელს. განვითარდა მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგი. მწერლობა აღმავლობის გზით წარიმართა. განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია ისტორიოგრაფიამ. საისტორიო პროზას ელინისტური პერიოდის ბერძნულ მწერლობაში პირველი ადგილი ეკავა. რომის სახელმწიფოს ბატონობის ხანაში ისტორიის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. აწმყო ვითარებით უკმაყოფილო ისტორიკოსებს ჩვეულებრივ ახასიათებთ „გარდასულ ბრწყინვალე დროთა“ ქება-დიდება (laudatio temporis acti). დაცემული ზნეობის აღდგენას ძველი გმირებისა და პოლიტიკური მოღვაწეების ლეგენდარული ვაჟკაცობის, სიქველისა და კეთილშობილების კონკრეტულ მაგალითების ჩვენებით ცდილობდნენ. ასეთ ისტორიკოსთა პლეადას მიეკუთვნებიან I და II საუკუნეების პირველხარისხოვანი რომაელი და ბერძენი ისტორიკოსები: პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი, გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი, აპიანე ალექსანდრიელი, ფლორუსი, პლუტარქე და სსვები.

ამ ისტორიკოსებს ერთმანეთთან აახლოებს ღრმა ინდივიდუალიზმი და რწმენა ძლიერი პიროვნებისადმი, რომელსაც ძალუძს სახე შეუცვალოს ძველსა და დრომოჭმულ ვითარებას. იმპერიის დროინდელი რომის ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი პრინციპი — წარსული დროისა და მისი წარმომადგენლების უპირატესად ლამაზი ფერებით დახატვა — საფუძვლად უდევს პლუტარქეს საისტორიო ხასიათის შრომას, მის „პარალელურ ბიოგრაფიებს“.

* * *

პლუტარქე ფრიად უსვი პროდუქციის მწერალი გახლდათ. ჩვენამდე მოღწეულია ანტიკურ ხანაში შედგენილი ნუსხა, რომელშიც დასახელებულია ქერონეელი ბრძენის 227 ნაწარმოები [1]. ამათგან ჩვენამდე მოღწეულია 154. ზოგიერთი თხზულება პლუტარქეს ხელიდან გამოსული არ ჩანს და ფსევდო-პლუტარქეს სახელითაა ცნობილი. ასეთებია, მაგალითად, ტრაქტატები: „ჰომეროსის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ", „ათი რიტორის ცხოვრება", „სატრფიალო მოთხრობები", ე. წ. „მცირე პარალელები", „ალექსანდრიული ანდაზები" და სხვა.

პლუტარქეს ლიტერატურულ მემკვიდრეობას მეათე საუკუნისათვის თავი მოუყარეს ორ დიდ კრებულში. პირველ კრებულს, რომელშიც შეტანილია უპირატესად ფილოსოფიური ხასიათის ტრაქტატები, სახელად ეწოდება „ეთიკა" ანუ „მორალია". მეორე კრებული კი წარმოადგენს გამოჩენილი ბერძენი და რომაელი პიროვნებების ცხოვრების აღწერას და „პარალელური ბიოგრაფიების" (βίοι παραλληλοι) სახელს ატარებს.

პირველი კრებულის სახელი „ეთიკა" („მორალია") მთლად ზუსტი როდია. ამ კრებულში 104 დასახელების ნაწარმოები შედის და ფილოსოფიურ-მორალისტური ტრაქტატების გვერდით მრავლად გვხვდება ისეთი თხზულებები, რომელთაც, შეიძლება ითქვას, ფილოსოფიასთან არაფერი აქვს საერთო. მეცნიერებაში დღემდე სადაოა ამ კრებულის კლასიფიკაციის საკითხი. „ეთიკაში" წარმოდგენილ ნაშრომებს საფუძვლად უდევს პლუტარქეს ფართო ინტერესები, მისი დიდი და საოცრად მრავალმხრივი ერუდიცია. კრებულში შესული სხვადასხვა მოცულობის სტატიები ნაირგვარ თემებზეა დაწერილი. პლუტარქე აქ გვესაუბრება ღმერთის, ადამიანისა და ცხოველთა სამყაროს შესახებ. იგი ეხება სულ სხვადასხვა საკითხს მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. ფილოსოფიასთან ერთად აქ წარმოდგენილია: ისტორია, არქეოლოგია, ფიზიკა (ბუნებისმეტყველება), მათემატიკა, მედიცინა, რელიგია, პოლიტიკა, ლიტერატურა, გრამატიკა, მუსიკა, მოძღვრება ადამიანის აღზრდის შესახებ, სიყვარული, ცხოველთა ფსიქოლოგია, ჰიგიენა და სხვ. სწორედ ამიტომ „ეთიკის" კრებულს სხვაგვარად „ნარევი თხზულებები" („სინგრამატა მიკტა") უწოდეს. აი რამდენიმე სათაური იმ სტატიებისა, რომლებიც „ეთიკაში" შედის: „რომაელთა ბედნიერებისათვის", „ალექსანდრე დიდის ბედნიერებისა ანუ სიქველისათვის", „ბავშვთა აღზრდისათვის", „სიკეთისა და მანკიერებისათვის", „სწორია თუ არა გამოთქმა: იცხოვრე შეუმჩნევლად?", „იმაზე, რომ არ შეიძლება კმაყოფილებით ცხოვრება ეპიკურეს მოძღვრებაზე დაყრდნობით", „პლატონური ძიებანი", „სტოელთა წინააღმდეგობებისათვის", „ისიდასა და ოსირისისათვის", „რჩევა-დარიგებები ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად", „ტიმეოსის ფსიქოლოგიისათვის", „სოკრატეს ღვთაებრივი სულისათვის", „ლაკედემონელთა სხარტი გამოთქმები" (ე. წ. აპოფთეგმატა), „ქეროდოტეს მზაკვრობისათვის", „წყალი უფრო სასარგებლოა თუ ცეცხლი?", „მუსიკისათვის" და სხვ.

---

[1] ამ ნუსხის შედგენა მიეწერება პლუტარქეს შვილს ლამპრიას. სვიდას ლექსიკონში ნათქვამია: „ლამპრიამ, ქერონეელი პლუტარქეს ძემ, შეადგინა ნუსხა იმ წიგნთა, რომლებიც მამამისმა შეთხზა". სვიდას ცნობას ამჟამად ნაყალბევად მიიჩნევენ: Albin Lesky, Geschichte der griechischen Literatur. Bern und München, 1963. გვ. 876.

„ეთიკის“ მრავალი სტატია პლატონისებური ფორმით — დიალოგებითა და დიატრიბებითაა დაწერილი. პლუტარქე თავის თავს უყურებს, უწინარეს ყოვლისა, როგორც ფილოსოფოსს, და მართლაც ფილოსოფია, ამ მეცნიერების ანტიკური გაგებით, განსაკუთრებით ფილოსოფიის ეთიკური ნაწილი, არსებითი ელემენტია პლუტარქეს შემოქმედებაში. ელინისტური სამყაროს ფილოსოფიის მთავარი მიმდინარეობანი სტოიციზმი და ეპიკურეიზმი იყო. პლატონის ფილოსოფიური მოძღვრების ერთგული აკადემიური სკოლა, რომლის წარმომადგენლებია პლუტარქე და მისი მასწავლებელი ამონიოსი, მისტიციზმის პოზიციებიდან ებრძოდა როგორც სტოიციზმს, ისე ეპიკურეიზმსაც. პლატონის აკადემიური და არისტოტელეს პერიპატეტიკული სკოლები ელინისტურ ეპოქაში, მართალია, ძალზე გაიზარდნენ, მაგრამ მოკლებული იყვნენ ორიგინალობას. ასეთი საფუძველი ამ სკოლებს ჯერ კიდევ ადრევე გამოაცალა ბერძნული პოლისის დაცვის ფაქტმა. პლუტარქეს ხანაში ეს ფილოსოფიური დაჯგუფებები პლატონიზმის ნიადაგზე წარმოქმნილ იდეალისტურ ეკლექტიზმს ავრცელებდნენ. პლუტარქეც ერთ-ერთი ეკლექტიკოსი და კომპილატორი იყო. მას აინტერესებდა ფილოსოფიის არა თეორიული საკითხები, არამედ პრაქტიკული ფილოსოფია — რელიგია და ეთიკა.

პლუტარქეს რელიგიური შეხედულებები გვიანანტიკური ხანის მსოფლმხედველობის ყველა არსებით ელემენტს შეიცავს. პლუტარქეს თეოლოგიურ ეკლექტიზმს ახასიათებს ღვთაებრივი ივერარქიის რწმენა: არსებობს ორი კოსმოსური საწყისი; პირველია ყოველი სიკეთის საწყისი ანუ ღმერთი, ხოლო მეორე საწყისს წარმოადგენს მატერია; იგი არის სუბსტრატი და ბოროტების პირობა. უზენაეს ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავლებად არიან მეორეხარისხოვანი ღმერთები, დემონები და გმირები. პლუტარქეს, მისი მოძღვრების მიხედვით, ნეოპლატონიზმის წინამორბედ და „ნახევრად ქრისტიან“ კაცად მიიჩნევდნენ. მარქსი პლუტარქეს „ეკლესიის მამათა“ რიცხვს აკუთვნებს.

პირველი და მეორე საუკუნეების ბერძნულ-რომაულ ფილოსოფიაში განსაკუთრებით ძლიერადაა წარმოდგენილი მორალური ხასიათის ტენდენციები. პლუტარქეს ფილოსოფიაში უმთავრესი არის არა თეოლოგია, არამედ ეთიკა. პლუტარქე, როგორც ფილოსოფოს-მორალისტი, ყველა თავის შრომაში მიზნად ისახავს საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობათა დაძლევას, ზნეობრივი დაქვეითების შეჩერებას, ადამიანის განწმენდას მანკიერებისაგან და მის მორალურ აღზევებას. პლუტარქეს ეთიკური მოძღვრება ზომიერია; იგი ებრძვის როგორც ასკეტიზმს, ისე თავაწყვეტილობას: ადამიანი თავისი თავის მბრძანებელი უნდა იყოს; უნდა დიიოკოს მავნე ვნებები და საზოგადოებას პირნათლად ემსახუროს. ვერც დიდი სიმდიდრე, ვერც წარჩინებული გვარი და, საერთოდ, ვერაფერი ვერ უშველის კაცს, თუ იგი მანკიერებათა მარწუხებშია მოქცეული. მანკიერებისაგან თავისუფალი და ზნეობრივად ამაღლებული ადამიანი მისწვდება მხოლოდ უმაღლეს სიკეთეს (არეტეს), რომელიც, პლუტარქეს აზრით, არის უზენაესი ღ» სრულყოფილი ღვთაება. მოძღვრება უზენაესი „სიკეთის“ იდეაზე ძირითადია პლატონის სკოლის მიმდევარი ფილოსოფოსის პლუტარქეს შემოქმედებაში.

* * *

თხზულება, რომელმაც პლუტარქეს საყვარელი მწერლის სახელი მოუხვეჭა, არის არა ზემოთ მიმოხილული „ეთიკა“, არამედ ე. წ. „პარალელური ანუ შედარებითი ბიოგრაფიები“. ამ თხზულებაში პლუტარქე ძველი საბერძნეთისა და რომის გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტებს გვისატავს.

„პარალელური ბიოგრაფიები“ პლუტარქემ, როგორც ჩანს, მაშინ შეთხზა, როცა იგი უკვე სახელმოსვეჭილი მწერალი-მორალისტი იყო. ამ ხანას ახალი წელთაღრიცხვის 110 — 115 წლებით განსაზღვრავენ.

„პარალელური ბიოგრაფიები“ საისტორიო სასიათის თხზულებაა. „პარალელური“ ეწოდება იმიტომ, რომ პლუტარქე ბერძენი მოღვაწის ცხოვრების აღწერის გვერდით ათავსებს მისი აზრით ამ ბერძნის თანასწორ რომაელი მოღვაწის ბიოგრაფიას, ხოლო ბოლოში ზოგჯერ დაურთავს დასკვნას, სადაც ერთმანეთს უდარებს მის მიერ აღწერილ ორ პიროვნებას. ამ დასკვნითი ხასიათის შედარებას სინკრისისი — „შეთანასწორება“ ეწოდება.

ჩვენამდე მოღწეულია ორმოცდაათი ბერძენ-რომაელი მოღვაწის ცხოვრების აღწერა. აქედან ორმოცდაექვსი ბიოგრაფია წყვილეულია და პარალელიზმის პრინციპით არის აგებული. სულ 23 წყვილია. ამათ შორის მეცხრამეტე და მეოცე წარმოადგენს ტეტრადას (ოთხეულს) — ერთადაა დალაგებული ოთხი მოღვაწის ბიოგრაფია: ორი ბერძენი მოღვაწის ცხოვრებას უპირისპირდება ორი რომაელის ცხოვრების აღწერა. დანარჩენ ოთხ ბიოგრაფიაში აღწერილია იმ მოღვაწეთა ცხოვრება, რომელთაც, როგორც ჩანს, პლუტარქემ პარალელები ვერ მოუძებნა. ბიოგრაფიები დაწყვილებულია შემდეგნაირად:

1. თეზევსი _____ რომულუსი
2. ლიკურგე _____ ნუმა
3. სოლონი _____ პუბლიკოლა
4. თემისტოკლე _____ კამილუსი
5. პერიკლე _____ ფაბიუს მაქსიმუსი
6. ალკიბიადე _____ გაიუს მარციუსი (კორიოლანუსი)
7. ტიმოლეონტი _____ ემილიუს პაულუსი
8. პელოპიდა _____ მარცელუსი
9. არისტიდე _____ კატონ უფროსი (ცენზორი)
10. ფილოპოიმენი _____ ტიტუს კვინკციუს ფლამინინუსი
11. პიროსი _____ გაიუს მარიუსი
12. ლისანდრე _____ სულა
13. კიმონი _____ ლუკულუსი
14. ნიკია _____ კრასუსი
15. ევმენე _____ სერტორიუსი
16. აგესილაე _____ პომპეუსი
17. ალექსანდრე მაკედონელი _____ გაიუს იულიუს კეისარი
18. ფოკიონი _____ კატონ უმცროსი (უტიკელი)
19. 20. აგისი და კლეომენე _____ ტიბერიუს და გაიუს გრაკუსუსები (ტეტრადა)
21. დემოსთენე _____ ციცერონი
22. დემეტრიოს პოლიორკეტე _____ ანტონიუსი
23. დიონი _____ ბრუტუსი

უპარალელოდაა წარმოდგენილი სპარსთა მეფის არტაქსერქსე II-ის, არატოსის, იმპერატორების გალბასა და ოტონის ბიოგრაფიები. დასკვნითი შედარებები, ე. წ. სინკრისისები, არ ახლავთ თემისტოკლე — კამილუსის, პიროს — მარიუსის, ალექსანდრე მაკედონელ — გაიუს იულიუს კეისრისა და ფოკიონ — კატონ უმცროსის ბიოგრაფიებს. ეს სინკრისისები დაკარგულია. ასევე არ შემონახულა პლუტარქესეული ეპამინონდას, ლეონიდას, სციპიონ უმცროსის, არისტოსის, არისტომენეს, დიოფანტის, პინდარეს, კრატეტის, სოკრატისა და სხვების ცხოვრების აღწერა. მოღწეულ ბიოგრაფიებში მოცულობით ყველაზე დიდია პომპეუსის, ალექსანდრე მაკედონელის, გაიუს იულიუს კეისრის, კატონ უმცროსისა და ანტონიუსის ბიოგრაფიები.

„პარალელური ბიოგრაფიების“ პრინციპი — სახელმწიფო მოღვაწეობის თვალსაზრისით გამოჩენილი ბერძენი პირის შედარება რომაელ მოღვაწესთან — ზოგჯერ, ასე თუ ისე, გამართლებულია (მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელისა და გაიუს იულიუს კეისრისა, დემოსთენე — ციცერონისა, სპარტის მეფეების აგისისა და კლეომენეს და რომაელი გრაკუსებისა); მაგრამ უფრო ხშირად შედარება მეტად გარეგნულია და უსაფუძვლო: პლუტარქე ჩვეულებრივ მხედველობის გარეშე ტოვებს ქრონოლოგიასა და კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას. გამოჩენილ პირთა შედარების ძირითად საფუძვლად იგი ხასიათებისა და ბედისწერის მსგავსებას მიიჩნევს.

პლუტარქეს ყოველი ბიოგრაფია დამოუკიდებელი ნაშრომის მთავარდილებას ტოვებს. შედარების დროს პლუტარქე უპირატესობას ჩვეულებრივ რომაელ მოღვაწეს ანიჭებს და ამით თავის პოლიტიკურ მიმართულებას, რომაულ ორიენტაციას ამჟღავნებს. მაგრამ ამის საფუძველზე სრულიადაც არ უნდა დავასკვნათ, რომ პლუტარქეს საკუთარი ქვეყანა არ უყვარდა და პატრიოტიზმი დამპყრობელ რომსა და მის მმართველებს ანაცვალა. სწორია მოსაზრება, რომ ეს პლუტარქეს გონივრული ტაქტიკური ნაბიჯი იყო [1].

პლუტარქე ანგარიშს უწევდა გაბატონებულ ძალას, ხოტბას ასხამდა რომაელ მოღვაწეებს, მაგრამ, ამავე დროს, სახელოვან ბერძენთა ცხოვრების აღწერით რომაელებს უჩვენებდა, თუ რანი იყვნენ ელინთა ვაჟკაცები. ამით პლუტარქეს სურდა გაექარწყლებინა დამპყრობთა ყალბი წარმოდგენა ბერძნებზე. ცნობილია, რომ გამარჯვებებითა და წარმატებებით აღზევებული ქედმაღალი რომაელები ბერძნებს დასცინოდნენ და „გრეკულებს“ (Graeculi) ეძახდნენ.

* * *

პლუტარქე ძველი ბერძნული მწერლობის ისტორიაში ბიოგრაფიული ჟანრის წარმომადგენლად ითვლება; მაგრამ გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების მხატვრულად აღწერის იდეა მას არ ეკუთვნის. ასეთი იდეა ჯერ კიდევ ელინურ პერიოდში ჩაისახა და ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც. მომდევნო ელინისტურ ანუ ალექსანდრიულ პერიოდში „ბიოგრაფიული ლიტერატურა“ საკმაოდ ფართოდ გავრცელდა.

---

[1] С. Я. Лурье, «Плутарх и его время». Плутарх, избранные Биографии. М. Л., 1941, გვ. 13.

ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ბერძენმა ისტორიკოსმა ქსენოფონტმა დაწერა ბიოგრაფიული ხასიათის შრომები: „კიროპედია“ („კიროსის აღზრდა“) და „აგესილაე“. ბიოგრაფიული ჟანრი გავრცელებული იყო რომაულ მწერლობაშიც. ისტორიკოსმა კორნელიუს ნეპოტმა (ძვ. წ. 100 — 27 წწ.) შეადგინა წიგნი „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების შესახებ“ (De viris illustribus). ამ წიგნში, რომელიც ჩვენამდე სრულად არ მოღწეულა, ბიოგრაფიები დაჯგუფებული იყო აღსაწერი პიროვნებების მოღვაწეობის კვალობაზე (მხედართმთავრები, მეფეები, ორატორები, პოეტები და ა. შ.). არარომაელ მოღვაწეთა ჯგუფს პარალელურად მოსდევდა რომაელ მოღვაწეთა ცხოვრების აღწერა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „პარალელური ბიოგრაფიების“ კომპოზიცია პლუტარქეს კორნელიუს ნეპოტის თხზულებამ შთააგონა.

ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრების შედარებები რომაელი მწერლების სხვა ხასიათის წიგნებშიც გვხვდება. ისტორიკოსი სალუტიუს კრისპუსი (ძვ. წ. 86 — 35 წწ.) „კატილინას შეთქმულებაში“ (De coniuratione Catilinae) ერთმანეთს ადარებს იულიუს კეისარსა და მარკუს პოტციუს კატონს (ცენზორს). ალექსანდრე მაკედონელი და გაიუს იულიუს კეისარი პლუტარქემდე ველეიუს პატერკულუსსმა შეუდარა ერთმანეთს. ასეთი ხასიათის შედარებები დიდი რომაელი ორატორის ციცერონის თხზულებებში გვხვდება.

პლუტარქესთან ახალი ის იყო, რომ მან ხასიათის ბიოგრაფია შექმნა. მისი „ბიოგრაფიები“ ფასეულია არა მარტო როგორც საისტორიო წყარო, არამედ როგორც საუკეთესო ნიმუში იმ ჟანრისა, რომელსაც ლიტერატურულ პორტრეტს უწოდებენ. ეს ჟანრი ფაქტიურად პლუტარქემ დამკვიდრა. ძველ ხანაში ბიოგრაფიული ჟანრი შეპირობებული იყო ინდივიდუმის ცნების ანტიკური გაგებით. ეს იყო ძლიერი პიროვნების კულტი, რომელმაც უმაღლეს საფეხურს მიაღწია პლუტარქეს ეპოქაში.

„პარალელურ ბიოგრაფიებში“ ისტორიულ მიზანს ეთიკური მიზანი ძლევს. ისტორია, პლუტარქეს აზრით, ეთიკის სამსახურში უნდა იდგეს. ისტორიიდან, გამოჩენილი პიროვნების ცხოვრებიდან მკითხველის ზნეობრივი ამაღლებისათვის სასარგებლო მაგალითები უნდა ამოკრიფოთ. ისტორიულ ფონს, რომელშიც გმირებს უხდებათ მოქმედება, პლუტარქესათვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

პლუტარქე ერთმანეთისაგან განასხვავებს „ისტორიასა“ და „ცხოვრებას“. მისი მიზანია ისტორიულ პირთა ეთიკური შეფასება. ისტორიული ფაქტები პლუტარქეს აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ისინი გმირის დასახასიათებლად გამოდგებიან. პლუტარქე თითქმის ყოველთვის ცდილობს თავისი გმირი აქოს და იგი ლამაზ ფერებში აღწერილი წარმოგვიდგინოს. ამიტომ გმირის დადებითი მხარეების მამხილებელ ფაქტებს მეტი გულისყურით ეკიდება. ამა თუ იმ გამოჩენილი პიროვნების ცხოვრების აღწერის დროს პლუტარქე უდიდეს ყურადღებას აქცევს გმირის ცხოვრების წვრილმან ეპიზოდებს, ანეგდოტებს, მოსწრებულ სიტყვებს და მთავარ ამბებს ზოგჯერ გვერდს უვლის. ადამიანის ცხოვრების აღწერამ, ისტორიისაგან განსხვავებით, ადამიანის ხასიათი უნდა გვიჩვენოს. ასეთია, პლუტარქეს აზრით, იმ მწერლის დანიშნულება, ვისაც მიზნად ცნობილი მოღვაწის ბიოგრაფიის შეთხზვა დაუსახავს. ალექსანდრე მაკედონელისა და იულიუს კეისრის ცხოვრების აღწერის შესავალში პლუტარქე პირდაპირ აცხადებს, რომ მისი მიზანი განსხვავდება ისტორიკოსის მიზნისაგან და ამიტომ მკითხველს სთხოვს ნუ გაკიცხავს, თუ მცირე რასმე გამოტოვებს: „მე ცხოვრებასა ვწერ და არა ის-

ტორიას. დიად ამბებში ყოველთვის ცხადად როდი ჩანს სიკეთე თუ მანკიერება; ერთი პატარა საქმე, ერთი სიტყვა, ან მოსწრებული თქმა ხშირად უფრო ნათლად ამჟღავნებს ადამიანის ხასიათს („ეთოს“-ს), ვიდრე სისხლისმღვრელი ბრძოლები, დიდძალი ჯარის სარდლობა და ქალაქთა გარემოცვანი. ვით მხატვარი ახერხებს ხოლმე ადამიანის მსგავსების განსასიერებას თვალებისა და სახის გამომეტყველების საშუალებით, ხოლო სხეულის დანარჩენ ნაწილს იმდენ ყურადღებას აღარ აქცევს, რადგან გამომეტყველება ყველაზე უფრო მეტად ამჟღავნებს ადამიანის თავისებურებას, ისე მეც, ნება მომეცით, ღრმად ჩავწვდე ამ პიროვნებათა სულიერ სამყაროს და თითოეული მათგანის ცხოვრება ამისდა მიხედვით ავსახო“.

„პარალელურ ბიოგრაფიებში“, ისე როგორც „ეთიკაში“, პლუტარქე მორალისტად გვევლინება. მის ბიოგრაფიებს დიდაქტიკური ხასიათი აქვთ. მორალისტი და მხატვრული დახასიათების დიდი ოსტატი უფრო ხშირად სოტბას ასხამს თავის გმირებს, ლამაზი ფერებით ხატავს მათ; გვიჩვენებს გმირების სიმამაცეს და სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულის მაგალითებს. გამოჩენილ პირთა ასეთი იდეალიზაციით პლუტარქეს ''ურს გააფართოოს მკითხველის პორიზონტი, დანერგოს მის შეგნებაში მშვენიერების შეგრძნების იდეა, მისცეს სიკეთისა და ბიწიერების გარჩევის შესაძლებლობა და, რაც მთავარია, აღუძრას მისწრაფება სათნოებისადმი. „თვალებისათვის სასარგებლო ფერის ბრწყინვალება და მიმზიდველობა, — ამბობს იგი პერიკლეს ბიოგრაფიის შესავალში, — სითბოსა და საზრდოს აძლევს მხედველობას; ასევე ადამიანის გონებაც იმისკენ უნდა იყოს მიმართული, რაიც მას სიამეს მოჰგვრის და მისთვის ჩვეულ მშვენიერებისაკენ წარიტაცებს“.

პიროვნების შეფასება, პლუტარქეს აზრით, ადამიანის სასიათს უნდა ემყარებოდეს და არა მის პოლიტიკურ მოღვაწეობას. აქედან გამომდინარეობს ის, რომ მონათმფლობელთა კლასის წარმომადგენელი პლუტარქე ერთ-ერთ ბიოგრაფიაში, მაგალითად, მაღალ შეფასებას აძლევს აჯანყებული მონების სახელგანთქმულ მეთაურს — სპარტაკს.

მართალია, პლუტარქე ისეთი ისტორიკოსი ვერ არის, როგორიც, ვთქვათ, თუკიდიდე იყო, ხშირად სუბიექტურად მსჯელობს, ზოგჯერ ისტორიულ სინამდვილესაც ღალატობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი „პარალელური ბიოგრაფიები“ ფასდაუდებელი წყაროა ისტორიული მეცნიერებისათვის. აქ მოიპოვება ისეთი ცნობები საბერძნეთისა და რომის ისტორიიდან (და არა მარტო საბერძნეთისა და რომის ისტორიიდან), რომლებიც სხვა წყაროებში არაა აღნიშნული. თუ ჩვენ არ მივხედავთ პლუტარქეს პარალელიზმს და მის ბიოგრაფიებს ქრონოლოგიური რიგით დავალაგებთ, თვალწინ წარმოგვიდგება პორტრეტების უსარმაზარი გალერეა, რომელიც მოიცავს, ერთი მხრივ, რომის მთელ ისტორიას დასაბამითგან რესპუბლიკის დაცემამდე და, მეორე მხრივ, ძველი საბერძნეთის ისტორიას მითიური ხანებიდან ელინთა ნაციონალური დამოუკიდებლობის დაკარგვამდე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული იყო აზრი, თითქოს პლუტარქე „ბიოგრაფიების“ შედგენის დროს არ ეყრდნობოდა პირველწყაროებს. ასეთი აზრი ყველაზე მკვეთრად ედ. მაიერმა გამოთქვა. მისი შეხედულებით, პლუტარქე ემყარებოდა მხოლოდ და მხოლოდ პერიპატეტიკოსებისა და ალექსანდრიელ მოღვაწეთა კომპილატორულ შრომებს. ბოლო ხანებში ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა ის, რომ პლუტარქე

თითქმის ყოველთვის ეყრდნობოდა პირველწყაროებს. ედ. მაიერის შეხედულება თავის დროზე უკუაგდო რუმინელმა მეცნიერმა ბარბუმ, რომელმაც პლუტარქეს შემოქმედებას საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა [1].

პლუტარქეს ზოგჯერ ისეთი მასალა აქვს გამოყენებული, რომელიც ჩვენამდე არ მოღწეულა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პლუტარქეს თხზულებებში მრავლადაა შემონახული ანტიკური ეპოქის პოეტთა იმ თხზულებების ფრაგმენტები, რომლებიც დროთა განმავლობაში დაიკარგა.

პლუტარქეს უდიდეს ერუდიციას გვიმოწმებს ის ფაქტი, რომ მის თხზულებებში სამასზე მეტი ავტორია დამოწმებული. „პარალელურ ბიოგრაფიებსა“ და „ეთიკაში“ გამოყენებულია მრავალი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, გრამატიკოსი და მითოლოგი, მოყოლებული ჰეროდოტედან და პლატონიდან ვიდრე ლივიუსამდე. სოლონის ბიოგრაფია, მაგალითად, მთლიანად ეყრდნობა არისტოტელეს „ათენელთა სახელმწიფო წყობილებას“. სანამ არისტოტელეს ეს თხზულება აღმოჩნდებოდა (აღმოჩნდა იგი გასული საუკუნის მიწურულში), სოლონს ისტორია მხოლოდ პლუტარქეს ბიოგრაფიის წყალობით იცნობდა. პლუტარქეს გადმოცემის სიზუსტე სოლონის ცხოვრების აღწერაში არისტოტელეს თხზულებამ კარგად დაადასტურა.

პლუტარქე თავის წყაროს ზოგჯერ კრიტიკულადაც ეკიდება. ასე, მაგალითად, ისტორიკოს ოპიუსის შესახებ პომპეუსის ცხოვრების აღწერაში იგი ამბობს: „ოპიუსს ჩვენ მეტისმეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, როცა იგი კეისრის მტრებსა თუ მეგობრებზე ლაპარაკობსო“.

ყველაზე უფრო ხშირად პლუტარქე „ბიოგრაფიებში“ იმოწმებს ჰეროდოტს, ქსენოფონტს, თუკიდიდეს, პლატონს, არისტოტელეს, არისტოკრატეს, ჰერმიპე სმირნელს, სფეროსს, თეოფრასტეს, კრიტიას, ფილოსტეფანეს, აპოლოდორე მითოლოგსა და სხვებს.

„პარალელური ბიოგრაფიები“ სადა და მეტად მიმზიდველი თხრობით ხასიათდება. ამბები გადმოცემულია სხარტად. მთელი თხზულება ოპტიმისტური შეხედულებებით, ჰუმ.ნურობით, კეთილშობილებითა და ღრმა დრამატიზმითაა გაჟღენთილი. ავტორი დაწვრილებით ჩერდება გმირის პირად ცხოვრებაზე და ამასთან დაკავშირებით მრავალ საინტერესო დეტალს გადმოგვცემს. იგი ცდილობს ისტორიული ფაქტები არ დაამახინჯოს და გულწრფელი იყოს. პლუტარქეს კლასობრივი შეზღუდულობა და მისი, როგორც ისტორიკოსის, ზოგი ნაკლი მკითხველს ხელს არ უშლის დაინახოს „პარალელურ ბიოგრაფიებში“ ის, რაც მთავარია. სახელდობრ: მამაცი ადამიანის თაყვანისცემა და სამშობლოსა და მისი ხალხის მგზნებარე სიყვარული.

ყოველივე ამან პლუტარქეს დიდი პოპულარობა მოუპოვა არა მარტო ანტიკურ ხანაში, არამედ უფრო გვიანაც. ბიზანტიურ პერიოდში დიდ თაყვანს სცემდნენ პლუტარქეს ერუდიციას და მის თხზულებებს განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდნენ. ცნობილია, რომ საშუალო საუკუნეების თეოლოგიისა და სქოლასტიკის მარწუხებში შემწყვდეული და „გასანათლებლად“ მონასტრებში მობილიზებული ახალგაზრდობა წმინდანთა ცხოვრების ტექსტის ყდაში ჩასმულ „პარალელურ ბიოგრაფიებს“ კითხუ-

---

[1] N. I. Barbu, Les procédés de la peinture des caracteres et la vérité historique dans les biographies de Plutarque. Paris, 1934.

ლობდა და სარბად ეწაფებოდა თხრობის მარჯვე ოსტატის მიმზიდველ მხატვრულ სასვენებს. ამან განაპირობა ის, რომ პლუტარქეს თხზულებებმა საკმაოდ კარგად მოაღწიეს ჩვენს დრომდე [1].

* * *

პლუტარქეს სახელგანთქმულმა წიგნმა დიდი როლი ითამაშა მსოფლიო კულტურის ისტორიაში. „პარალელურ ბიოგრაფიებს" გატაცებით კითხულობენ რენესანსის ეპოქაში. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწეები პლუტარქეს გმირთა შამაცობით შთაგონებულნი ებრძოდნენ საუფალო საუკუნეების გადმონაშთებს. პლუტარქემ დიდი გავლენა მოახდინა სოციალ-უტოპიზმის ისეთ წარმომადგენელზე, როგორიც ბაბეფი იყო.

„პარალელური ბიოგრაფიები" არა ერთმა და ორმა მწერალმა გამოიყენა საკუთარი ნაწარმოების ქარგად, შექსპირის „იულიუს კეისარი", „ანტონიუსი და კლეოპატრა", „კორიოლანუსი" და „ტიმონ ათენელი" პლუტარქეს „ბიოგრაფიების" საფუძველზეა დაწერილი. ფრანგი დრამატურგები კორნელი და რასინი თავიანთი დრამებისათვის ხშირად სესხულობდნენ სიუჟეტებს „პარალელური ბიოგრაფიებიდან" (შდრ. კორნელის „ნიკომედე", „აგესილაე", „სერტორიუსი", „პომპეუსის სიკვდილი", „ოტონი"; რასინის „მითრიდატე", „ალექსანდრე"). პლუტარქეს ბიოგრაფიებს იყენებდა ვოლტერიც (შდრ. „ბრუტუსი", „იულიუს კეისარი", „კატილინა", „ტრიუმვირატი").

მონტენი და რუსო აღფრთოვანებული იყვნენ „პარალელური ბიოგრაფიებით". ჟან ჟაკ რუსო სიბერის ჟამს წერდა: „იმ მცირერიცხოვან წიგნთა შორის, რომელთაც სანდასან ჯერ კიდევ ეკითხულობ, პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები" ის ნაწარმოებია, რომელიც საოცრად მიზიდავს და ყველაზე მეტ სარგებლობას მაძლევს. ეს წიგნი ჩემი პირველი საყვარელი წიგნი იყო და სამარის კარამდეც მან უნდა მიმაცილოს" (Rousseau, „Les rêveries du Promeneur solitaire". Prom. IV).

დიდი გერმანელი მწერალი შილერი „ყაჩაღებში" კარლ მოორის პირით სიყვარულით ახსენიებს პლუტარქეს.

სიამოვნებით და უსაზღვრო გრძნობით კითხულობდნენ „პარალელურ ბიოგრაფიებს" დეკაბრისტები. პლუტარქეს ამ წიგნს თაყვანს სცემდა დიდი რუსი კრიტიკოსი ბელინსკი. რუსული ლიტერატურის კრიტიკის, რეალისტური ესთეტიკის ეს ბრწყინვალე ფუძემდებელი განსაკუთრებით ღრმად გრძნობდა და აფასებდა ანტიკურ კულტურას. მისი შეხედულებები და აზრები ანტიკურ კულტურაზე ფასდაუდებელი განძია ლიტერატურათმცოდნეობაში. თუ როგორ ტკბებოდა სულიერად იგი ანტიკური ლიტერატურის ნიმუშების კითხვის დროს, ეს კარგად ჩანს მის პირად წერილებში. აი, მაგალითად, რას წერს ბელინსკი პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების" შესახებ თავის მეგობარს ვასილ პეტრეს ძე ბოტკინს 1841 წლის 28 ივნისით დათარიღებულ წერილში: „ამ წიგნმა გამაგიჟა. ღმერთო ჩემო, კიდევ რამდენი სიცოცხლე იმალება ჩემში... ძველი დროის ყველა გმირთაგან სამმა დაიმსახურა მთელი

---

[1] „პარალელური ბიოგრაფიების" ბერძნული ტექსტი პირველად დაიბეჭდა 1517 წელს ფლორენციაში. ეს პირველი გამოცემა (editio princeps) ეკუთვნის ფილიპე იუნტას. შემდეგ გამოსცა ალდუსმა (1519 წ.).

ჩემი სიყვარული, თაყვანისცემა და ენთუზიაზმი — ტიმოლეონტმა და გრაკუსებმა. კატონის (უტიკელის და არა პირუტყვ კატონ უფროსის) ბიოგრაფიამ ტრაგედიის პირქუში სიდიადის სურნელება მაგრძნობინა: რა უაღრესად კეთილშობილი პიროვნებაა. პერიკლესა და ალკიბიადეს გაკვირვებისა და აღტაცების სრული და უხვი ხარკი გადავუხადე. კესარზე რაღას იტყვით? — შემეკითხები... მე ახლა მომხიბლა ერომმა იდეამ, რომელმაც მთელი არსებით შემიპყრო და გამიტაცა... მთლიანად გატაცებული ვარ სამოქალაქო ქველობის იდეით, სიმართლისა და პატიოსნების პათოსით და მათ გვერდით ნაკლებად ვამჩნევ რაიმე სიდიადეს. ახლა მიხვდები, თუ რატომ დაჩრდილეს ჩემს თვალში კესარიც და ალექსანდრე მაკედონელიც ტიმოლეონტმა, გრაკუსებმა და კატონ უტიკელმა (და არა წითურმა პირუტყვმა კატონ უფროსმა). მე გამივითარდა რაღაც ველური, შმაგი, ფანტასტიკური სიყვარული ადამიანის პიროვნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი, რაც შესაძლებელია მხოლოდ სიმართლესა და ქველობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. პლუტარქეს კითხვას რომ ვიწყებდი, ვფიქრობდი, ჩემს თვალში ბერძნები რომაელებს დაჩრდილავენ-მეთქი, მაგრამ ასე არ გამოვიდა. პერიკლეთი და ალკიბიადეთი უზომოდ აღტაცებული ვიყავი, მაგრამ ტიმოლეონტმა და ფოკიონმა (ამ ბერძენ-რომაელებმა) თავიანთი მკაცრი კოლოსალობით დაჩრდილეს ჩემს თვალში მშვენიერი და ტურფა სახეები ათენელთა წარმომადგენლებისა. მაგრამ რომაელთა ბიოგრაფიებს რომ ვკითხულობდი, ჩემი სული ოკეანეში დაცურავდა. პლუტარქეს საშუალებით ბევრი რამ გავიგე, რაც არ მესმოდა. საბერძნეთისა და რომის ნიადაგზე აღმოცენდა უახლესი კაცობრიობა. საბერძნეთი და რომი რომ არ ყოფილიყო, შუა საუკუნეები ვერაფერს შექმნიდნენ. ჩემთვის გასაგები გახდა საფრანგეთის რევოლუციაც და მისი რომაული ზარზეიმიც, რასაც წინათ დავცინოდი... მომხიბლავია ძველი სამყარო. მის ცხოვრებაში არის მარცვალი ყოველივე დიადისა, კეთილშობილისა, სიქველისა, იმიტომ რომ მისი ცხოვრების საფუძველია პიროვნების სიამაყე, პირადი ღირსების ხელშეუხებლობა. დიახ, ბერძნული და ლათინური ენები უნდა იყოს ქვაკუთხედი ყოველგვარი განათლებისა, საძირკველი სკოლებისა“ [1].

პლუტარქეს და მის თხზულებებს, როგორც ჩანს, ძველი ქართული მწერლობაც იცნობდა. სახელდობრ, პლუტარქეს და მის „ალექსანდრე მაკედონელს“ ისსენიებს თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი, „ისტორია — აზმანის“ ავტორი. იგი თამარ მეფეზე ამბობს: „რომლისა შესხმაჲ ჯამს ჰომიროსისა მიერ. რაბამ იგი ადიდა სიტყჳაჲ ალექსანდრესადმი პლუტარხოს ზემომმაღლელმან ისტორიათა მწერლობასა შინა ბელმწიფეთა შემასხმელობისასა?“ [2]

XIX საუკუნის დასაწყისში პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“ რუსულ ენაზე თარგმნა სპირიდონ დესტუნისმა [3].

---

[1] იხ. ბ. გ. ბელინსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბილისი, 1948, გვ. 289 — 291.

[2] „ისტორია და აზმანი შარავანდედთანი“: მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 363, კ. კეკელიძის გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 54.

[3] Плутарховы сравнительныя жизнеописания славных мужей, перевел с греческого Спиридон Дестунис. СПБ, 1814—1821 (13 წიგნად).

პლუტარქეს თხზულებათა გამოცემებისა და თარგმანების შესახებ იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1949, გვ. 199.

გამოქვეყნდა თუ არა რუსული თარგმანი, აღიძრა სურვილი ეს თხზულება ქართულ ენაზეც თარგმნილიყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება რამდენიმე რვეული, სადაც წარმოდგენილია „პარალელური ბიოგრაფიების" ქართული თარგმანი რუსული ენიდან. ნიკო დადიანის დავალებით თარგმანი დესტუნისის გამოცემიდან შეუსრულებია მღვდელს იასე გარსევანიშვილს. S 256 ხელნაწერს ასეთი მინაწერი აქვს: „ვინაიდან განმეცადა მარგეობა და სიტკბო პლუტარხოსის დიდთა მამაცთა ცხოვრების აღწერისა, აღვიძარ სურვილითა გარდმოცემად ჩუენსა ზედა ენასა, სარგოდ საყვარელისა ჩემისა მამულისა და მრავლის შრომით ვითარგმნინე წიგნი ესე მღვდელს იასე გარსევანოვს და მეცა გასწორებითა და სხოლიონთა დასხმით შემსუდა დიადი შრომა, მალე მოყვანად სისრულეში სურვილი იგი ჩემი, აწ წარმკითხუელთა საყვარელთა თანამემამულეთა ვსთხოვ შენდობით მომსსენ მეყონ. და ვინცა დაიწუნოთ, ამას ხელს ნუ ახლებთ და უკეთესად სთარგმნეთ: მემკვიდრე მენგრელიისა (ნ. დადიანი)" [1].

დესტუნისის გამოცემიდან შესრულებულ ამ ქართულ თარგმანს დღეს ანტიკვარული მნიშვნელობაღა აქვს.

* * *

პლუტარქეს ბიოგრაფიების ჩვენი ქართული თარგმანი შესრულებულია უშუალოდ ორიგინალიდან — ძველბერძნული ენიდან. ამ წიგნში შესულია ცამეტი მოღვაწის ბიოგრაფია. ესენია: თეზევსი, რომულუსი, ლიკურგე, სოლონი, ლუკულუსი, ევმენე, სერტორიუსი, პომპეუსი, ალექსანდრე მაკედონელი, გაიუს იულიუს კეისარი, ტიბერიუს გრაკხუსი, გაიუს გრაკხუსი და ციცერონი. პარალელურად წარმოდგენილია მხოლოდ თეზევს-რომულუსის, ევმენე-სერტორიუსის და ალექსანდრე მაკედონელისა და იულიუს კეისრის ბიოგრაფიები, დანარჩენები კი მოცემულია ცალ-ცალად.

ლუკულუსისა და პომპეუსის ბიოგრაფიებში მრავლად მოიპოვება ცნობები კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოსა და სომხეთის შესახებ. სხვა წყაროებთან ერთად პლუტარქეს ამ ცნობებს საქართველოს ანტიკური პერიოდის ისტორიისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს; მეტადრე მაშინ, როცა ამ ეპოქის ეროვნული წერილობითი ძეგლები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. პლუტარქესეული ეს ცნობები თავის დროზე ივანე ჯავახიშვილმა გამოიყენა „ქართველი ერის ისტორიის" პირველ წიგნში [2]. თითო-ოროლა საინტერესო ცნობა თეზევსის, ალექსანდრე მაკედონელის, იულიუს კეისრისა და ციცერონის ცხოვრებათა აღწერილობაშიც არის დაცული. როგორც ცნობილია, ბერძნულ-რომაულ ისტორიოგრაფიაში და ძველ ქართულ წერილობით წყაროებშიც [3] ხშირად გვხვდება მცდარი ცნობები ალექსანდრე მაკედონელის კავკასია-იბერიაში ლაშქრობაზე. დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ ალექსანდრე მაკედონელი არასოდეს არ ყო-

---

[1] ხელნაწერი S 256 — 289: „პლუტარხოსისნი შეთანასწორვითნი ცხოვრება-აღწერანი დიდებულთა მამაკაცთანი", იხ. აგრეთვე ხელნ. H 1422.

[2] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართველი ერის ისტორია", წ. I, თბილისი, 1928, გვ. 3-4.

[3] „მოქცევაჲ ქართლისაჲ," ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება" და სხვ.

ფილა კავკასიაში და, მაშასადამე, საქართველოში[1], ანტიკური ხანის მწერალთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც სამართლიანად და წყაროებზე დაყრდნობით უარყოფდა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობას საქართველოში და საერთოდ კავკასიაში, სტრაბონთან, არიანესთან და ზოგიერთ სხვა მოღვაწესთან ერთად ეკუთვნოდა პლუტარქეც.

ლიკურგეს, სოლონის, ევმენეს, სერტორიუსისა და ტიბერიუს და გაიუს გრაკჩუსების ბიოგრაფიები საინტერესოა ძველი მწერლობისა და ანტიკური ისტორიის თვალსაზრისით. ჩვენი უმაღლესი სკოლების ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების სტუდენტობას ეს ბიოგრაფიები გარკვეულ სარგებლობას მოუტანს სასემინარო მუშაობის დროს.

ლიკურგეს ბიოგრაფია მნიშვნელოვანი წერილობითი წყაროა სპარტის სახელმწიფოს ადრეული პერიოდის გასაცნობად. უადრესად საყურადღებოა პლუტარქეს მიერ ამ ბიოგრაფიაში დამოწმებული რეტრა. ლიკურგეს, რომელსაც ჩვეულებრივ ლეგენდარულ პიროვნებად თვლიან, მიეწერება სპარტაში მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული სახელმწიფო წყობილების შექმნა.

სოლონის პლუტარქესეული ცხოვრება არისტოტელეს „ათენელთა სახელმწიფო წყობილებასთან" ერთად ძვირფასი წყაროა VI საუკუნის (ძვ. წ.) ათენის პოლისის ისტორიისა და გამოჩენილი რეფორმატორის და პოეტის მოღვაწეობის გასაცნობად.

ტიბერიუს და გაიუს გრაკჩუსების ბიოგრაფიები საყურადღებოა რომის რესპუბლიკის მიწურულ პერიოდში ამტყდარი სამოქალაქო ომებისა და ამ დროს გავრცელებული აგრარული მოძრაობის ისტორიისათვის.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რომულუსის ბიოგრაფიაში მოთავსებული ცნობა, რომელიც პლუტარქეს ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობი წყაროდან ამოუღია. აქ ნათქვამია, რომ ქალაქ რომის დაარსება მიეწერება ოდისევსისა და კირკეს ვაჟს რომანოსს. კირკე ბერძნული მითოლოგიის თანახმად კოლხეთის მეფის აიეტის დაა. იმავე რომულუსის ბიოგრაფიაში პლუტარქე იმოწმებს სხვა წყაროსაც, რომლის მიხედვით, რომი დააფუძნეს პელასგებმა. ამ ცნობებს განსაკუთრებულ ხასიათს ის გარემოება ანიჭებს, რომ იტალიის უძველესი, არაინდოევროპული მოსახლეობა ეტრუსკების სახით მრავალი მეცნიერის მიერ აღიარებულია იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხების მონათესავე მოსახლეობად. პელასგები წინაბერძნულ მოსახლეობაში შემავალ და ეტრუსკების ნათესავ ტომად ითვლება. მართალია, პლუტარქეს მიერ დამოწმებული ცნობები ლეგენდარული ხასიათისაა, მაგრამ ცნობილია, რომ ლეგენდებსა და მითებში, როგორც წარსული სინამდვილის ფანტასტიკურ ანარეკლში, ჭეშმარიტების მარცვლები მოიპოვება.

* * *

პლუტარქეს ბიოგრაფიების ქართული თარგმანი პირველად 1957 წელს გამოიცა. ამ ახალ გამოცემაში დამატებულია რომულუსის, ევმენეს და სერტორიუსის ბიოგრაფი-

---

[1] ამის შესახებ იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, თბ. 1949, გვ. 232 — 233; მ. ალექსიშვილი, ალექსანდრე მაკედონელი, თბილისი, 1950, თავი VIII; ალექსანდრე მაკედონელის კავკასია-იბერიაში ყოფნის საკითხი და ქართული წერილობითი წყაროები (გვ. 169 შმდ).

ვები და თეზევს-რომულუსისა და ევმენე-სერტორიუსის შეთანასწორებანი (სინკრისი-სები). ქართულად თარგმნილი ბიოგრაფიები ხელახლად შეეუდარე ბერძნულ ორიგი-ნალს და გავასწორე ნებისთი თუ უნებლიე შეცდომები. გავიძვალისწინე აგრეთვე ის შენიშვნები, რომლებიც მკითხველებისაგან მივიღე.

წიგნს დართული აქვს საკმაოდ მრავალრიცხოვანი კომენტარები. უამისოდ ანტიკუ-რი ეპოქის ძეგლის კითხვა მკითხველისათვის გართულდებოდა. კომენტარების მიზანია ანტიკური ტერმინებისა და ტექსტების ზოგიერთი ადგილის ახსნა-განმარტება.

ბიოგრაფიები განლაგებულია ქრონოლოგიური რიგის დაუცველად, როგორც ეს ორიგინალშია. ქრონოლოგიური რიგის დაუცველობა ორიგინალში შეპირობებულია პა-რალელიზმის პრინციპით.

ბერძნული და რომაული სტუმარი სახელები გადმოცემული მაქვს იმ ნორმების მი-ხედვით, რომლებიც თბილისის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრამ შეიმუშავა.

ბიოგრაფიების თარგმნის დროს ხელთ მქონდა პლუტარქეს თხზულებათა რამდენიმე გამოცემა. ძირითადად კი ვეყრდნობოდი BT-ს გამოცემებს: 1. Plutarchi Vitae Parallelae, rec. Carolus Sintenis. Lipsiae, 1873—1874; 2. Plutarchi Vitae Parallelae, recognoverunt Cl. Lindskog et K. Zieglger. Lipsiae, 1960—1964.

აკაკი შრუშაძე

# რჩეული ბიბლიოგრაფია

# თეზისი

1. გეოგრაფიულ თხზულებებში, ჩემო სოსიუს სენეციონო[1], ისტორიკოსები იმ ქვეყნებს, რომელთა თაობაზე მათი ცოდნა ფრიად შეზღუდულია, რუკის კიდეებზე გაიტანენ ხოლმე და ზოგიერთ მათგანს ასეთ მინაწერს უკეთებენ: „ამ მხარეთა მიღმა უწყლობით გადახრუკული და მძვინვარე ნადირ-მხეცებით სავსე უდაბნოაო“, ან „გაუვალი ჭაობებიო“, ან — „სუსხიანი სკვითიაო“, ან კიდევ — „ყინულოვანი ზღვაო“. ასევე მეც, ჩემს პარალელურ ცხოვრებათა აღწერილობაში, უტყუარი ამბებისა და ისტორიისათვის ხელმისაწვდომი ეპოქის მიმოხილვის შემდეგ, უფრო ადრინდელ ხანაზე სრულიად თამამად შემეძლო მეთქვა, რომ „იქ ყველაფერი სასწაულებრივი და ზღაპრულია, პოეტებისა და მითოგრაფების წყაროა და ჭეშმარიტებისა არაფერი გააჩნია“. მიუხედავად ამისა, კანონმდებელ ლიკურგესა და მეფე ნუმას ცხოვრებათა გამოცემის შემდეგ ვიფიქრე, ურიგო არ იქნებოდა აღმეწერა ცხოვრება უძველესი რომულუსისა, რომლის მოღვაწეობის ხანას ამ ჩემი თხრობით მივუახლოვდი. თუმცაღა ასეთი საყოყმანო (ესქილეს სიტყვებს მოვიტან) კითხვა დამებადა:

> ნეტავ ვინ შეძლებს შეერკინებას ასეთ ვაჟკაცთან,
> ვინ დავუყენო მას პირისპირ მისი ბადალი?[2]

დიდხანს ვიფიქრე და აღმოჩნდა, ბრწყინვალე და საათაყვანო ათენის დამფუძნებელი უნდა დამეპირისპირებინა და შემედარებინა უძლეველი და სახელოვანი რომის მამისთვის.[3]

ჩემი სურვილია ეს მოთხრობა ზღაპრული ამბებისაგან განვწმინდო, ჭეშმარიტებას დავუმორჩილო და ისტორიის სახე მივცე. მაგრამ იქ, სადაც იგი სიჯიუტეს გამოიჩენს და არ ეცდება სინამდვილეს დაექვემდებაროს, კეთილმოსურნე მკითხველს ვთხოვ მოწყალე თვალით შეხედოს ძველისძველ ამბავთა გადმოცემას.

2. ვგონებ, თეზევსი ბევრ რამეში ემსგავსება რომულუსს: ორივეს წარმოშობა ბურუსითაა მოცული, ორივეზე დარხეულია ხმა, რომ ისინი ღმერთების შვილები იყვნენ:

ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ ორივე მამაცი იყო.[4]

გარდა ამისა, დიდ ძალასთან ერთად ორივეს დიდი ჭკუაც ჰქონდა. ერთმა მათგანმა რომი დააარსა, მეორემ — ათენი დაასახლა; ქალაქთა შორის უბრწყინვალესი ეს ორი ქალაქი მათგან იღებს დასაბამს. ქალების მოტაცებითაც ჰგვანან ისინი ერთმანეთს და იმითაც, რომ ვერც ერთი ვერ გაექცა უბედურებას და მახლობელთა შურისძიებას. ხოლო მეტნაკლებად ზღაპრულ გადმოცემას თუ დაეჯერება, სიკვდილის წინ ორივე მტრულად შეეჯახა თურმე თავ-თავიანთ მოქალაქეებს.

3. მამის მხრივ თეზევსის გვარი ერეხთეევსისა და პირველ ავტოხთონთა გვარისაგან წარმოდგა[5]. დედით კი თეზევსი პელოპიდი იყო. პელოპსი პელოპონესის მეფეთა შორის ყველაზე უფრო ძლიერი მეფე გახდა არა დიდი სიმდიდრითა და ქონებით, არამედ შვილების წყალობით[6]. მან თავისი ქალიშვილები უწარჩინებულეს ვაჟკაცებს მიათხოვა, მრავალი ვაჟი კი სხვადასხვა ქალაქთა არქონტებად დააყენა. ერთ-ერთმა მათგანმა, პითევსმა, თეზევსის პაპამ, პატარა ქალაქი ტროიძენე დააარსა და სახელი გაითქვა, როგორც ყველაზე უფრო განათლებულმა და ბრძენმა კაცმა თანამედროვეთა შორის. იმ დროს, როგორც ჩანს, სიბრძნის ძალა იმით გამოიხატებოდა, რითაც ჰესიოდემ[7] მოიხვეჭა სახელი. აქ, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება მის „სამუშაოებში“ გაფანტული რჩევა-დარიგებანი. ერთ-ერთი მათგანი:

დათქმული ქირა შეეცადე მეგობარსა ვადაზე მისცე...

ამბობენ, პითევსისა არისო. ყოველ შემთხვევაში, ფილოსოფოსი არისტოტელეც ამას ამბობს. პითევსის სახელმოხვეჭილობას გვიმეღავნებს იყიც, რომ ევრიპიდე იპოლიტეს წმინდა პითევსის გამოზრდილს უწოდებს[8].

გადმოგვცემენ, უშვილო ეგეოსს[9] წინასწარმეტყველმა პითიამ[10] უმისნა: არც ერთ ქალს არ მიჰკარებოდა მანამდე, სანამ ათენში არ დაბრუნდებოდა. ეს წინთქმა შემდეგ საყოველთაოდ ცნობილი გახდა;

მაგრამ მაშინ ისე წარმოთქვა პითიამ, რომ ეგეოსმა ვერ გაიგო. ამიტომ ჯერ ტროიძენეში მივიდა და პითევსს გაუზიარა ღვთის ნათქვამი:

ძლიერო მეფეე, ტიკის ფეხსა ნუ გახსნი მანამ,
ათენის ხალხთან ვინემ ისევ არ დაბრუნდები.

პითევსი, ცხადია, მიხვდა მისნობის აზრს და, არავინ იცის, დარწმუნებისა თუ მოტყუების გზით, ეგეოსი აიძულა დაკავშირებოდა ეთრას. ეგეოსი ასეც მოიქცა. მერმე მიხვდა მხოლოდ, რომ საქმე თურმე პითევსის ქალიშვილთან ჰქონია. ბოლოს, როცა გაიგო, ეთრა ორსულად იყო, თავისი მახვილი და წაღები დაუტოვა. ეგეოსმა ისინი ერთი უზარმაზარი ლოდის ქვეშ ამოდო. ამ ლოდს შიგნიდან იმოდენა ფოსო ჰქონდა, ნივთების შესაწყობად და დასამალავად საკმარისი იყო. ეგეოსმა ეს საიდუმლო მხოლოდ ეთრას გაუმჟღავნა და უბრძანა: თუ ვაჟი შეეძინება და იგი მიაღწევს ჭაბუკობის ასაკს, როცა ლოდის აწევას და მის ქვეშ შენახული ნივთების გამოღებას შეძლებს, ეს ვაჟი ამ ნივთებიანად, ისე რომ არავინ იცოდეს, მასთან გაგზავნოს (ეგეოსს ძალზე ეშინოდა პალანტის ორმოცდაათი ვაჟისა — პალანტიდებისა, რომლებიც მას მტრობდნენ და უშვილობის გამო ზიზღით უყურებდნენ). დაარიგა თუ არა ეთრა, ეგეოსი ტროიძენედან წავიდა.

4. ეთრას შეეძინა ვაჟი. ერთნი ამბობენ, ყმაწვილმა მაშინვე მიიღო თეზევსის სახელი, ვინაიდან მისთვის ლოდქვეშ საგანძურში გამოსაცნობი საგნები იყო დამალულიო. მეორენი კი ამტკიცებდნენ, ეს სახელი შემდეგ მიიღო ათენში, როცა იგი ეგეოსმა შვილად სცნოო [11].

თეზევსი პითევსის სახლში იზრდებოდა. გამზრდელად და პედაგოგად მიჩენილი ჰყავდა ვინმე კონიდა, რომელსაც ათენელები თეზევსისადმი მიძღვნილი დღესასწაულის წინადღეს აქამდე მსხვერპლად სწირავენ ვერძს. ამგვარად იგონებენ ისინი და თაყვანს სცემენ მას უფრო მეტად, ვიდრე სილანიონსა და პარასიოსს, რომლებიც თეზევსის სახეს ხატავდნენ თუ აქანდაკებდნენ [12].

5. იმ დროში ასეთი ადათი იყო: ბავშვობის ასაკიდან გამოსული ყრმა დელფოში უნდა მისულიყო და დედის მუცლიდან გამოყოლილი თმის ერთი ბღუჯა ღმერთისათვის შეეწირა [13]. მივიდა დელფოში თეზევსიც. სხვათა შორის ამბობენ, მის პატივსაცემად დელფოში ერთ

ადგილს „თესეია“ ეწოდაო [14]. მართლაც ეს ადგილი დღესაც ამ სახელს ატარებს.

თეზევსმა თავი გაიკრიჭა მხოლოდ წინ, აი ისე, როგორც ამას, ჰომეროსის თქმით, აბანტები აკეთებდნენ [15]. ამრიგად გაკრეჭილ თმას სახელად „თეზევსური“ ეწოდა. ასეთნაირად თავს პირველად აბანტები იკრეჭდნენ; მაგრამ ეს მათ არც არაბებისაგან უსწავლიათ, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს, და არც მიზიელების მეტოქეობით იქცეოდნენ ასე. აბანტები მეომარი და პირისპირ მებრძოლი ხალხი იყო. ისინი გაწაფული იყვნენ მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში, რასაც არქილოქეც [16] გვიმოწმებს აი ამ ლექსში:

მაისვე შეწყდება ისართა და შურდულთ ზუზუნი,
ოდეს არესი გააჩაღებს ხელჩართულ ბრძოლას;
აღრიალდება ველზე ხრმალი მრავალნაცადი,
ვინ დაუდგება წინ ევბეის შუბოსან შვილთა!

აბანტები თავს წინ იკრეჭდნენ იმიტომ, რომ მტრისთვის თმაში ხელის წავლების საშუალება არ მიეცათ. ეს, ცხადია, იცოდა ალექსანდრე მაკედონელმაც და, როგორც გადმოგვცემენ, თავის სარდლებს უბრძანა თურმე მაკედონელთათვის წვერები დაეპარსათ, ვინაიდან ბრძოლის დროს მათთვის წვერში ხელის წავლება მეტად ადვილი საქმე იყო.

6. ეთრა დიდხანს მალავდა თეზევსის წარმოშობის საიდუმლოს, პითევსმა კი ხმა დაარხია, ყმაწვილი პოსეიდონისაგან შეეძინა ჩემს ასულსო. პოსეიდონს ტროიძენელები განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ; იგი მათი ქალაქის მფარველ ღმერთად ითვლებოდა და ხეხილთაგან მოწეულ პირველ ნაყოფს სწირავდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ტროიძენელთა ლითონის ფულს დაღად ხამთითა აზის [17].

როცა თეზევსი სიჭაბუკეში შეეიდა, საოცარ ღონესთან ერთად დიდი სიმამაცე და გამჭრიახი ჭკუა-გონება გამოიჩინა, მაშინ ეთრამ იგი ლოდთან მიიყვანა, უამბო მისი წარმოშობის ამბავი და უთხრა, ლოდიდან მამისეული გამოსაცნობი ნივთები გამოეღო და ათენს ზღვით გამგზავრებულიყო. თეზევსი ლოდს ქვემოდან შეუდგა და სულ ადვილად გადააბრუნა, მაგრამ ზღვით გამგზავრებაზე უარი თქვა, თუმცა ეს გზა უსაფრთხო იყო და თან პაპა და დედაც ურჩევდნენ.

ხმელეთის გზით ათენში წასვლა მეტად ძნელი გახლდათ, ვინაი-

დან ამ გზის არც ერთი მონაკვეთი არ იყო უფათერაკო, ავაზაკებისა და ქურდებისაგან თავისუფალი.

იმ დროში ადამიანებს ღონიერი მხარ-მკლავი, მარდი ფეხები და მძლავრი სხეული ჰქონდათ. ისინი ალბათ საოცრად დიდი აღნაგობისანი იყვნენ და არ იცოდნენ, თუ რა იყო დაღლა. მაგრამ ბუნებისაგან მინიჭებულ ამ მადლს ზოგიერთი პატიოსან და სასარგებლო საქმეს როდი ახმარდა. უსირცხვილო ზვიადობით გათავხედებულნი თავიანთ ძალ-ღონეს მხეცურ სისასტიკესა და უწყალო ძალადატანებაში ხარჯავდნენ, ყველას, ვინც ხელში ჩაუვარდებოდათ, შეუბრალებლად სპობდნენ. სირცხვილ-ნამუსს, სამართლიანობას, თანასწორობასა და ადამიანის სიყვარულს, მათი აზრით, მხოლოდ ლაჩრები ასხამდნენ ხოტბას, რომლებიც ვერ ბედავდნენ სხვების დაჩაგვრას იმის შიშით, თვითონვე არ დაჩაგრულიყვნენ. ასეთი ლაჩრების პიბაძვა ავაზაკებს ძალ-ღონით აღსავსე ვაჟკაცებისათვის შეუფერებლად მიაჩნდათ.

ამ ყაჩაღთა ერთი ნაწილი გაანადგურა და აღგავა პირისაგან მიწისა თავისი ლაშქრობის დროს ჰერაკლემ [18]. დანარჩენი ავაზაკები, ჰერაკლეს მოახლოებისთანავე შიშით ზარდაცემულნი, მიიმალნენ, გამოჩენას ვეღარ ბედავდნენ და ავაზაკობაზე ხელი აიღეს. მაგრამ ჰერაკლეს ჩქარა უბედურება ეწია. მას შემოაკვდა იფიტე [19]. ამის გამო ლიდიაში წავიდა და მკვლელობისათვის თავისი თავი იმით დაისაჯა, რომ იქ მონად გაუხდა ომფალეს [20], რომელსაც საკმაოდ დიდხანს ემსახურა. ამის წყალობით ლიდიაში მაშინ მშვიდობიანობა და სრული უშიშროება გამეფდა. მაგრამ ელადის მიწაზე კვლავ ხდებოდა მრავალგვარი ბოროტმოქმედება, რასაც ხელს არავინ უშლიდა. აი, ამიტომ პელოპონესიდან ფეხით ათენში წასვლა მეტისმეტად საშიში იყო.

პითევსმა ბევრი რამ უამბო თეზევსს ყაჩაღების თაობაზე, გააცნო, რას წარმოადგენდა თითოეული ყაჩაღი, თუ როგორ ექცეოდნენ ეს ავაზაკები ხელში ჩავარდნილ უცხოელებს და დაბეჯითებით ურჩევდა, ათენში ზღვით წადიო.

მაგრამ თეზევსს, უეჭველია, უკვე დიდი ხნიდან წვავდა ცეცხლი, რაიც ჰერაკლეს საგმირო საქმეთა ბრწყინვალე სახელმა დაუნთო. იგი განსაკუთრებულ თაყვანს სცემდა ჰერაკლეს და ხარბად უსმენდა, ვინც მოუყვებოდა, თუ როგორი იყო გმირი. კიდევ უფრო მეტ

ყურადღებას აქცევდა იმათ ნაამბობს, რომელთაც ჰერაკლე ენახათ და ბედნიერება ჰქონდათ მისი საქმისა და სიტყვის მოწმენი ყოფილიყვნენ.

მაშინ უკვე აშკარა იყო, რომ თეზევსი იმ ცეცხლით იფერფლებოდა, რა ცეცხლიც სწვავდა მრავალი წლის შემდეგ თემისტოკლეს, რომელიც ამბობდა: მილტიადეს გამარჯვებებმა ძილი დამიფრთხესო [21]. სწორედ ასევე ჰერაკლეს შეუდარებელი ვაჟკაცობით გაოცებულ თეზევსს ღამით სულ მისი საგმირო საქმენი ეზმანებოდა, დღისით კი, ფიქრებით გატაცებულს, მწველი შური მოსვენებას არ აძლევდა და აქეზებდა თვითონაც ჩაედინა მსგავსი გმირობა.

7. ჰერაკლესა და თეზევსს ერთმანეთთან სისხლით ნათესაობაც აახლოებდა: ეთრა პითევსის ქალიშვილი იყო, ალკმენე — ლისიდიკესი, ლისიდიკე და პითევსი კი და-ძმანი, ჰიპოდამიასა და პელოპსის შვილები იყვნენ [22].

თეზევსი დიდ სამარცხვინო საქმედ თვლიდა მორიდებოდა ბრძოლას იმ დროს, როცა ჰერაკლე ყველგან ესხმოდა თავს ავაზაკებს და მათგან ზღვასა და ხმელეთს წმენდდა. თეზევსის ფიქრით, თუ ათენში ლაჩრულად ზღვით გაემგზავრებოდა, ხოლო ჰეშმარიტ მამას კი გამოსაცნობ ნიშნებს — წაღებსა და მახვილს — სისხლით შეუღებავს მიუტანდა და თავის დიდებულ წარმოშობას მალე ვერ დაამტკიცებდა, ამით შეარცხვენდა იმას, ვისაც ხალხის ხმა მის მამად თვლიდა. ამ აზრით გამსჭვალული თეზევსი ათენისაკენ მიმავალ გზას დაადგა იმ გადაწყვეტილებით, არავინ დაეჩაგრა და იერიში მხოლოდ მოძალადეებზე მიეტანა.

8. პირველად იგი ეპიდავრის მიდამოებში [23] ავაზაკ პერიფეტეს წააწყდა, რომელიც იარაღად უზარმაზარ კომბალს ხმარობდა და ამიტომაც მეტსახელად კორინეტედ იწოდებოდა [24]. პერიფეტემ თეზევსს ხელი სტაცა და გზა გადაუღობა. მაშინ თეზევსი შეებრძოლა და ყაჩაღს სიცოცხლე მოუსწრაფა. პერიფეტეს კომბალმა კი ისე მოხიბლა, რომ იმ დღიდან მისი განუყრელი იარაღი გახდა, როგორც ჰერაკლესათვის ლომის ტყავი. ლომის ტყავის ტარება ჰერაკლესათვის იმის ნიშანი იყო, თუ რა უზარმაზარი მხეცი ჰყავდა დამარცხებული. თეზევსი კი ნადავლი კომბლით იმას უჩვენებდა ხალხს, რომ ის ბრძოლით მოიპოვა და ვაგლახად ვეღარავინ წაართმევდა.

ისთმოსში თეზევსმა მოკლა ფიჭვთა მხნექელი სინისი. სინისს მან

ისეთივე სიკვდილით მოუღო ბოლო, როგორითაც ამ ავაზაკმა მრავალს მოუსწრაფა სიცოცხლე[25]. თეზევსს სრულებით არ უცდია ეს ხერხი ყაჩაღისაგან ესწავლა; მაგრამ ის კი დაამტკიცა, რომ მამაცობა ყოველგვარ ოსტატობა-ვარჯიშობაზე მაღლა დგას.

სინისს მეტად ლამაზი და გოლიათური აღნაგობის ასული ჰყავდა, სახელად პერიგუნე. მამა რომ მოუკლეს, პერიგუნე გაიქცა. თეზევსმა თავგამოდებით დაუწყო მას ძებნა. პერიგუნემ თავი ძეძვისა და სატაცურის ხშირ ბუჩქნარს შეაფარა და მცენარეებს, თითქოს რაიმე ესმოდათო, ბავშვური გულუბრყვილობით შეემუდარა დაეფარათ იგი, ეფიცებოდა, არასოდეს აღარ მოტეხდა და არ დაწვავდა მათ, თუ დამალავდნენ და განსაცდელისაგან იხსნიდნენ. თეზევსმა ხმამაღლა დაუწყო ძახილი ასულს, ფიცს აძლევდა, რომ თავის მზრუნველობას არ მოაკლებდა და არას ავნებდა. მაშინ პერიგუნე საფრიდან გამოვიდა. თეზევსი და პერიგუნე ერთმანეთს დაუკავშირდნენ. ამ კავშირის შედეგად იშვა მელანიპე. ამის შემდეგ თეზევსმა პერიგუნე მიათხოვა ექალიელი ევრისთევსის ძეს დეიონევსს. თეზევსის ვაჟი მელანიპე იყო მამა იოქსესი, რომელმაც ორნიტესთან ერთად ახალშენი დააარსა კარიაში. აი, ამიტომაა, რომ იოქსეს შთამომავალი ქალები და კაცები წინაპართა ადათის მიხედვით არ წვავენ სატაცურისა და ძეძვის ბუჩქებს, იცავენ და თაყვანს სცემენ მათ.

9. კრომიონის გარეული ღორი, რომელსაც სახელად ფეას ეძახდნენ, მეტად მძვინვარე და ძნელად დასამარცხებელი ნადირი იყო[26]. გზად გავლისას თეზევსი ჩაუსაფრდა და მოკლა იგი, რამეთუ ხალხს არ ჰგონებოდა, რომ იგი ყველაფერს იძულებით სჩადიოდა. თეზევსი ფიქრობდა: მამაცმა ვაჟკაცმა თავი მხოლოდ არამზადა ავაზაკებისაგან უნდა დაიცვას, ნადირზე კი პირველმა უნდა მიიტანოს იერიში, გინდაც ამით დიდ საფრთხეში ჩაიგდოს თავიო.

ზოგიერთის აზრით, ფეა თურმე კრომიონში მცხოვრები ერთი უტიფარი ყაჩაღი და კაცისმკვლელი დედაკაცი იყო. ღორის სახელი მისი ხასიათისა და ცხოვრების ნირის გამო შეურქმევიათ. შემდეგში იგი თეზევსს მოუკლავს.

10. მეგარის საზღვარზე თეზევსმა მოკლა სკირონი. მან იგი კლდიდან გადააგდო. სკირონი, საყოველთაოდ გავრცელებული გადმოცემის თანახმად, გამვლელ-გამომვლელთ ძარცვავდა; ზოგიერთის სიტყვით კი, უცხოელებს უტიფრად გაუშვერდა ხოლმე ფეხებს და,

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

დამბანეთო, უბრძანებდა. იმ დროს, როცა უცხოელნი სკირონის ფეხების ბანას შეუდგებოდნენ, ქუსლს ჰკრავდა და შეუბრალებლად ზღვაში ჰყრიდა მათ. მეგარელი ისტორიკოსები არ ეთანხმებიან ამ გადმოცემას, სიმონიდეს[27] სიტყვით რომ ვთქვათ, რომს უცხადებენ ძველთაძველ ამბებს და ამბობენ: სკირონი არც ავაზაკი და არც ასეთი ურცხვი ვინმე იყო; პირიქით, იგი ყაჩაღთა დამსჯელი და კეთილშობილი ხალხის მოყვარე და მეგობარი გახლდათო. ეაკე ბერძენთა შორის უწმინდეს კაცად ითვლებოდა; სალამინელ კიქრევსს ღვთაებრივი პატივი აქვს ათენელებში; ხოლო პელევსისა და ტელამონის ვაჟკაცობა ყველასათვის ცნობილია. სკირონი კი იყო კიქრევსის სიძე, ეაკეს სიმამრი და პაპა პელევსისა და ტელამონისა, რომლებიც სკირონისა და ქარიკლოს ასულ ენდეიდისაგან წარმოიშვნენ. ყოვლად შეუძლებელია, წარჩინებული ვაჟკაცები გავარდნილ არამზადას დანათესავებოდნენ და მასთან გაეზიარებინათ ის, რაც ყველაფერზე წმინდა და ძვირფასია ადამიანისათვისო. თეზევსმა, როგორც მეგარელი ისტორიკოსები დაასკვნიან, სკირონი მაშინ კი არ მოკლა, როცა პირველად მიდიოდა ათენში, არამედ უფრო გვიან, მეგარელთა ხელში მყოფი ელევსინის აღების დროს, როცა არქონტი დიოკლე მოატყუა. აი, ასეთი წინააღმდეგობებია სკირონზე გადმოცემულ ამბებში.

11. ელევსინში თეზევსმა ბრძოლაში დაამარცხა და მოკლა არკადიელი კერკიონი[28]. მცირე მანძილის გავლის შემდეგ სიცოცხლე მოუსწრაფა ჰერმიონში დამასტეს ანუ პროკრუსტეს. თეზევსმა იგი აიძულა დატოლებოდა საკუთარ სარეცელს ისე, როგორც ამას ეს ავაზაკი სხვებს უკეთებდა[29]. ამგვარ მოქმედებაში თეზევსი ჰერაკლეს ჰბაძავდა. ჰერაკლე თავის მტერს იმითვე უსწორდებოდა, რა სასჯელსაც მას უმზადებდნენ: ბუსირისი მან მსხვერპლად შესწირა[30], ანტეოსი დაახრჩო, კიკნოსი ორთა ბრძოლაში დასცა[31], ტერმეროსს კი თავი გაუხეთქა და ისე მოკლა; აი, აქედან წარმოიშვა, როგორც ამბობენ, თქმა — „ტერმეროსის უბედურებაო". ტერმეროსი ალბათ თავს აჯახებდა შემხვედრთ და ისე კლავდა.

თეზევსიც ჰერაკლესავით სჯიდა ბოროტმოქმედთ; როგორ ძალადობასაც იყენებდნენ სხვებზე, ისეთივე ძალადობას იჩენდა მათდამი და ბოროტმოქმედნი თავიანთი უსამართლო საქციელის საზღაურად სამართლიან სასჯელს ღებულობდნენ.

12. მცირე ხნის შემდეგ თეზევსი კეფისის სანაპიროს მიადგა[32]. აქ მას შეეგებნენ ფიტალეს შთამომავლები, რომლებმაც პირველი გულთბილი შეხვედრა მოუწყეს[33]. თეზევსმა მათ სთხოვა ჩადენილ მკვლელობათაგან განეწმინდათ. ფიტალიდებმა იგი ადათით დადგენილი წესებით განწმინდეს, ღმერთების მოსამადლიერებლად მსხვერპლი შესწირეს და ამის შემდეგ დიდებულად გაუმასპინძლდნენ სტუმარს, რომელსაც აქამდე, მთელი გზის მანძილზე, არავინ ადამიანური გულთბილობით არ შეხვედრია.

ამბობენ, თეზევსი ათენში მივიდა მერვე დღეს კრონიოსის თვისა, რომელსაც ახლა ჰეკატომბეონს ეძახიან[34].

ქალაქში საყოველთაო შფოთი და უთანხმოება დახვდა. ეგეოსის ოჯახშიც უწესრიგობა სუფევდა. კორინთოდან ლტოლვილი მედეა ეგეოსთან ცხოვრობდა[35]. იგი მას უშვილობისაგან ჯადოსნური წამლით განკურნვას დაჰპირდა. განჭვრიტა რა წინასწარ, თუ ვინ იყო თეზევსი, ატეხილი შფოთით დაშინებული და დაუძლურებული მოხუცი ეგეოსი მედეამ დაარწმუნა სრულმარი დაიპატიმრებინა და მოეწამლა.

თეზევსი ლხინზე მივიდა. მას არ უსდოდა უცბად ეთქვა, თუ ვინ იყო. გადაწყვეტილი ჰქონდა ამ საიდუმლოების გამოცნობა ეგეოსისათვის მიენდო. როცა ხორცი მიართვეს, თეზევსმა მის დასაჭრელად მახვილი ამოიღო და ეგეოსს დაანახვა. ეგეოსმა მყისვე იცნო იგი, მოწამლული თასი შორს გადაისროლა, შვილს ზოგი რამ ჰკითხა და გადაეხვია. მერმე ყრილობა მოიწვია და თეზევსი ათენელებს წარუდგინა, რომელთაც მამაცობისათვის სიხარულით მიიღეს იგი.

გადმოგვცემენ, იმ ადგილას, სადაც ეგეოსის მიერ გადასროლილი თასიდან საწამლავი დაინთხა, ამჟამად ლობეშემოვლებული დელფინიონის ტაძარი დგასო[36]. აქ იყო თურმე ეგეოსის სასახლე. ტაძრის აღმოსავლეთით მდგარ ჰერმესის ქანდაკებას ეგეოსის სასახლის კარიბჭის ქანდაკებას უწოდებენ.

13. პალანტიდებს აქამდე იმედი ჰქონდათ, რომ უშვილო ეგეოსის სიკვდილის შემდეგ სამეფო იმათ ჩაბარდებოდა. მაგრამ ახლა, როცა ეგეოსის მემკვიდრედ თეზევსი გამოაცხადეს, საშინლად განრისხდნენ. ჯერ ბრაზი იმაზე მოსდიოდათ, რომ მეფობდა ეგეოსი, პანდიონის ნაშვილები[37], რომელსაც ერეხთიდების არაფერი ეცხო. ახლა კი, როცა დარწმუნდნენ, ტახტი კვლავ ვიღაც მოთრეული, უცხოელი

თეზევსის ხელში გადავაო, უფრო აინთნენ და საომრად აღდგნენ. ისინი ორ ნაწილად გაიყვნენ. პალანტიდების ერთი რაზმი, მამის წინამძღოლობით, სტეფოსიდან პირდაპირ ქალაქისაკენ დაიძრა, მეორე რაზმი კი გარგეტოსში ჩასაფრდა, რათა მოწინააღმდეგეს ორივე მხრიდან დასხმოდნენ თავს. მათთან მაცნედ იყო ერთი აგნუსიელი კაცი [38], სახელად ლეოსი. ამან პალანტიდების განზრახვა თეზევსს აცნობა. თეზევსი მყისვე დაესხა თავს ჩასაფრებულთ და ყველანი ამოჟლიტა. პალანტთან მყოფი პალანტიდები კი, როცა ეს ამბავი გაიგეს, უკუიქცნენ და დაიფანტნენ.

აი, ამის გამო, ამბობენ, პალენეს დემის მცხოვრებნი ქორწინებით არასოდეს არ უმოყვრდებიან აგნუსიელებს და, გარდა ამისა, პალენელებში მაცნე არასოდეს არ ჰკრებს ხალხს ძახილით: „აკუეტელეო!" ვინაიდან ეზიზღებათ სახელი, რომელიც გამცემს ერქვაო [39].

14. თეზევსს სურდა სულ საქმით ყოფილიყო გართული და თან ხალხის გულიც მოეგო. ამიტომ ახლა მარათონის ხარის დასამორჩილებლად გაემართა. ეს ხარი ტეტრაპოლისის მცხოვრებთ მცირე ვნებას როდი აყენებდა [40]. თეზევსმა იგი ცოცხლად შეიპყრო, ხალხის საჩვენებლად ქალაქში ჩამოატარა და მერმე დელფინიონის აპოლონს შესწირა.

თქმულება ჰეკალეზე, თუ როგორი სტუმართმოყვარეობით მიიღო მან თეზევსი, ვფიქრობ, მთლად არ უნდა იყოს ჭეშმარიტებას მოკლებული [41]. ყოველ შემთხვევაში, როცა ერთმანეთის მახლობლად განლაგებული დემები ჰეკალესიების დღესასწაულს იხდიან, ჰეკალიოს ზევსს მსხვერპლს სწირავენ და თან პატივით იგონებენ ჰეკალეს ჰეკალენეს საალერსო სახელით. ეს იმიტომ, რომ ჰეკალემ თეზევსი, როცა იგი სულ ახალგაზრდა იყო, მოხუცებული ქალის გულთბილობით მიიპატიჟა სახლში, მოეფერა და საალერსო სახელს ეძახდა. როცა თეზევსი საბრძოლველად მიდიოდა, ჰეკალემ ზევსს აღუთქვა მსხვერპლი, თუ მას უვნებლად დააბრუნებდა.

მაგრამ ჰეკალე თეზევსის დაბრუნებამდე გარდაიცვალა. მაშინ თეზევსმა, როგორც ფილოქორე გადმოგვცემს [42], ბრძანება გასცა ჰეკალესათვის მიეგოთ ხოლმე ის პატივი, რაზეც ზემოთ ითქვა.

15. მცირე ხნის შემდეგ კრეტიდან მესამეჯერ მოვიდნენ ათენში ელჩები დათქმული ხარკის მისაღებად. გადმოცემის თანახმად, როცა ატიკაში ვერაგულად მოკლეს ანდროგეოსი, მინოსმა ატიკას ომი გა-

მოუცხადა და მოსახლეობას დიდი ტანჯვა მიაყენა[43]. ქვეყანას ცალკე ღმერთების რისხვაც ანადგურებდა: ჩამოვარდა შიმშილობა, გავრცელდა სენიანობა, დაშრა მდინარეები. მაშინ ღმერთმა ატიკელებს უწინასწარმეტყველა, თუ მინოსს გულს მოულბობდნენ და მოურიგდებოდნენ. ზეცის რისხვა შეწყდებოდა და მათ ტანჯვას ბოლო მოეღებოდა. ატიკელებმა მინოსთან გაგზავნეს ელჩი თხოვნა-ვედრებით და შეკრეს ზავი იმ პირობით, რომ ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ უნდა გაეგზავნათ შვიდი ჭაბუკი და ამდენივე ქალიშვილი, რაშიც ისტორიკოსთა უმრავლესობა ერთმანეთს ეთანხმება. ყველაზე უფრო შემაძრწუნებელი თქმულების მიხედვით, კრეტაზე წაყვანილ ბავშვებს ლაბირინთში ჭამდა მინოტავრი; სხვა გადმოცემით ყმაწვილები ლაბირინთში იბნეოდნენ, გამოსავალს ვერ პოულობდნენ და იქ იხოცებოდნენ. მინოტავრი, როგორც ევრიპიდე ამბობს, იყო

ჩანასახშივე შერეული სახის ქმნილება,

ანუ:

ნახევრად ხარი და ნახევრად ადამიანი.[44]

16. ფილოქორე ამბობს, კრეტელები ასეთ გადმოცემას არ ეთანხმებიანო. ისინი ამტკიცებენ შემდეგს: ლაბირინთი იყო ციხე, რომლის მთელი საშინელება მხოლოდ და მხოლოდ ის გახლდათ, რომ იქ ჩაშწყვდეულს გამოქცევა ადარ შეეძლო. მათი სიტყვით, მინოსმა ანდროგეოსის ხსოვნის აღსანიშნავად გიმნასტური ასპარეზობა დაწესა და გამარჯვებულებს ჯილდოდ აძლევდა იმ ყმაწვილებს, რომლებიც მანამდე ლაბირინთში იყვნენ ჩაშწყვდეულნი. პირველ ასპარეზობაზე გაიმარჯვა სამეფო კარზე ფრიად გავლენიანმა ერთ-ერთმა სარდალმა, სახელად ტავროსმა, უკეთესმა და მრისხანე კაცმა, რომელიც ათენელთა ბავშვებს ქედმაღლურად და შეუბრალებლად ექცეოდა[45].

არისტოტელეც თავის „ბოტიელთა სახელმწიფო წყობილებაში", როგორც ჩანს, არ იზიარებს იმ აზრს, რომ მინოსი ბავშვებს კლავდა[46]. ის ფიქრობს, რომ ყმაწვილები კრეტაზე მონობის უღელს ეწეოდნენ და მონობაშივე ბერდებოდნენ. ერთხელ თურმე კრეტელებმა, ღვთაებისადმი დიდი ხნის წინათ მიცემული აღთქმის შესასრულებლად, დელფოში გაგზავნეს საკუთარი შვილები; დელფოში გასაგზავნ ყმაწვილებს ლაბირინთის ტყვეთა შვილებიც შეუერთდნენ და ყვე-

ლანი ერთად წავიდნენ. ამათ აქ თავის რჩენა ვერ შეძლეს. ამიტომ ჯერ იტალიაში გადავიდნენ და იქ იაპიგიაში დასახლდნენ[47]. მერმე კი უკან დაბრუნდნენ, თრაკიაში დამკვიდრდნენ და ბოტიელებად იწოდებოდნენ. აი, ამიტომ ბოტიელი გოგოები მსხვერპლის შეწირვის დროს ასე წაუმღერებდნენ ხოლმე:

„გავემართოთ ათენისაკენ!"

როგორც ჩანს, მართლაც დიდი უბედურებაა იმ ქალაქის მტრად გადაკიდება, რომელსაც მწარე ენის პატრონი ხალხი ჰყავს და პოეზიითაც განთქმულია[48]. ატიკის თეატრებში მინოსს მუდამ ავად იხსენიებდნენ და ლანძღავდნენ. მას ვერ უშველა ვერც ჰესიოდემ იმით, რომ „მეფეთა შორის უდიდესი მეფე" უწოდა და ვერც ჰომეროსმა, რომელმაც მას „ზევსთან მოსაუბრე" შეარქვა[49]. ტრაგიკოსებმა ყველას აჯობეს: თეატრების სცენიდან დიდად გაუტეხეს სახელი მინოსს, როგორც მრისხანე და მოძალადე კაცს.

მიუხედავად ამისა, გადმოცემა მინოსს მაინც კანონმდებელ მეფედ თვლის, ხოლო რადამანთისი ამ გადმოცემით მინოსის მიერ დადგენილი სამართლის უბრალო დამცველი იყო[50].

17. როცა მესამეჯერ ხარკის გადახდის დრო დადგა და იმ მამებს, რომელთაც უწლოვანი შვილები ჰყავდათ, თავიანთი ნაშიერები კენჭის საყრელად უნდა გაეშვათ, მოქალაქეთა შორის კვლავ იფეთქა ეგეოსის ზიზღმა. ისინი აღშფოთებულნი მოსთქვამდნენ, რომ ეგეოსი, მიზეზი ყველა უბედურებისა, ერთადერთი კაცი იყო, რომელიც საყოველთაო სასჯელს არ იზიარებდა, რომ იგი სამეფოს გამგებლობას ვიღაც უკანონოდშობილსა და გადამთიელს აძლევდა და გულგრილად უყურებდა, თუ ვით ეკარგებოდათ შვილები სხვებს და უძეოდ შთებოდნენ.

ამან თეზევსი მეტისმეტად შეაწუხა. გადაწყვიტა ასეთი გულგრილობა არ გამოეჩინა და მოქალაქეთა ბედი გაეზიარებინა. თეზევსმა განაცხადა, რომ წილისყრის გარეშე გაემგზავრებოდა კრეტაზე. ყველას გაუკვირდა მისი გადაწყვეტილება და ხალხისადმი ასეთ ერთგულებას სიხარულით შეხვდნენ. ეგეოსი სთხოვდა და ემუდარებოდა თეზევსს ხელი აეღო განზრახვაზე, მაგრამ რა დაინახა, თეზევსი შეუდრეკელი და გაუტეხელი იყო, დანარჩენი ყმაწვილები წილისყრით გადაარჩია.

ჰელაქნიკე ამბობს: [51] ქალაქი წილისყრით კი არ გზავნიდა ქალ-ვაჟთ, ორამედ თვითონ მინოსი იყო ხოლმე იქ და ირჩევდა, ვინც უნდოდაო. იმჯერად მან, დათქმული პირობის თანახმად, ყველაზე უწინ თეზევსი აირჩია. პირობა ასეთი იყო: ხომალდი ათენელებს უნდა მიეცათ, ხომალდზე ასული ყმაწვილები მასთან ერთად გაემგზავრებოდნენ, ოღონდ არავითარი იარაღი თან არ უნდა ჰქონოდათ, ამ ხარკის გადახდას კი ბოლო მოეღებოდა მინოტავრის სიკვდილის შემდეგ.

მანამდე ყმაწვილთა ხსნის არავითარი იმედი არ იყო. ამიტომაც გარდუვალი უბედურების ნიშნად ათენელები ხომალდს შავი იალქნით გზავნიდნენ. მაგრამ ახლა თეზევსმა გააცხენევა მამა და დააიმედა, მინოტავრს დავამარცხებო. მაშინ ეგეოსმა მესაჭეს თეთრი იალქანი მისცა; უბრძანა, თუ თეზევსი გადარჩებოდა, დაბრუნებისას თეთრი აფრა გაეშალა, თუ არა და შავით ეცურა მწუხარების ნიშნად.

სიმონიდე ამბობს, ეგეოსმა თეთრი იალქანი კი არა, „წითელი აფრა მისცა, შეღებილი მარად მწვანე მუხის ყვავილის სითხითო"; აი ეს აფრა უნდა ყოფილიყო ყმაწვილთა ხსნის ნიშანი. სიმონიდეს სიტყვით, ხომალდს მესაჭეობდა ამარსიას ძე ფერეკლე. ფილოქორე კი გადმოგვცემს: მესაჭედ თეზევსმა სკიროსიდან წაიყვანა სალამინელი ნავსითოე, ხოლო მის თანაშემწედ ხომალდის ცხვირზე — ფეაქია, ვინაიდან მაშინ ათენელები ჯერ კიდევ არ იყვნენ გაწაფულნი საზღვაო საქმეშიო. ხომალდზე მყოფ ყმაწვილებში იყო ერთი მენესთეც, სკიროსის შვილიშვილი ქალიშვილის მხრიდან. ამას გვიმოწმებს თეზევსის მიერ ფალერონში, სკიროსის ტაძრის გვერდით აგებული ტაძარი გმირების — ნავსითოესი და ფეაქსისა. გარდა ამისა, — აიკვნის ფილოქორე, — მათ პატივსაცემად დადგენილ იქნა „კიბერნესიების" დღესასწაულიც [52].

18. როცა წილისყრა დამთავრდა, წილხვედრილი ყმაწვილები თეზევსმა პრიტანიონიდან [53] გამოიყვანა, დელფინიონში წავიდა და ამ ყმაწვილების სახელზე აპოლონს შესწირა სალოცავი შტო. ეს იყო თეთრი მატყლით შემოწნული წმინდა ზეთისხილის შტო. ლოცვის მერე თეზევსი ზღვის ნაპირზე ჩავიდა და ხომალდში ჩაჯდა. ეს იყო მუნიქიონის თვის მეექვსე დღე [54]. სხვათა შორის ამ დღეს ახლაც გზავნიან ხოლმე ქალიშვილებს სალოცავად დელფინიონში.

ამბობენ, დელფოში თეზევსს ღმერთმა ურჩია წინამძღოლად აფროდიტე გაეხადა და თანამგზავრად მოეხმო. იმ დროს, როცა თეზევსი ზღვის ნაპირზე მსხვერპლად სწირავდა დედალ თხას, ის თურმე უეცრივ მამალ თხად იქცა. აი, ამის გამო ღმერთქალი ეპიტრაგიად იწოდა[55].

19. ჩავიდა თუ არა თეზევსი კრეტაზე, „როგორც ამას მწერლები წერენ და პოეტები მღერიან, იგი შეიყვარა არიადნემ;[56] მისცა ძაფი და ასწავლა, თუ ვით შეიძლებოდა ლაბირინთის ხვეულებიდან თავის დაღწევა. თეზევსმა მოკლა მინოტავრი, წამოიყვანა არიადნე და ახალგაზრდა ათენელები და ზღვით უკან დაბრუნდა. ფერეკიდე[57] ამბობს: თეზევსმა კრეტელთა ხომალდებს ფსკერი დაუხვრიტა და დადევნების საშუალება მოუსპო. დემონი[58] გადმოგვცემს: თეზევსმა მოკლა მინოსის სტრატეგოსი ტავროსიც, რომელიც ნავსადგურში თავს დაესხა ხომალდით იმ დროს, როცა ზღვაში გასვლას აპირებდა.

ფილოქორეს სიტყვით კი მინოსმა მოაწყო სხვადასხვა სახის ასპარეზობა. ცხადი იყო, ყველას ისევ ტავროსი აჯობებდა; ამიტომ მის მიმართ შურით აინთნენ; ტავროსის ძლიერება, ამ კაცის საშინელი ხასიათის გამო, ისედაც აუტანელი იყო. გარდა ამისა, ტავროსს ბასიფაესთან[59] ახლო კავშირსაც აბრალებდნენ. ამიტომ, როცა თეზევსმა მასთან გაჯიბრება მოითხოვა, მინოსი დათმობაზე წავიდა.

კრეტაზე მიღებულია, რომ სანახაობებს ქალებიც უყურებდნენ. და აი, არიადნე, რომელიც მაშინ ასპარეზობას ესწრებოდა, თეზევსის გარეგნობამ მოხიბლა. იგი გაოცებული იყო, თეზევსმა შეჯიბრებაში ყველას რომ აჯობა. მინოსიც ნასიამოვნები დარჩა. განსაკუთრებით ტავროსის დამარცხებამ და შერცხვენამ გაახარა. ამიტომ თეზევსს ათენელთა ბავშვები გადასცა და მის ქალაქს ხარკი წოხსნა.

თავისებურად და დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ამბის თაობაზე კლიდემე, რომელიც თხრობას შორიდან იწყებს[60]. ის ამბობს, ბერძნებს ერთი საერთო გადაწყვეტილება ჰქონდათ, რომლის ძალითაც არც ერთ ტრიერს არ შეეძლო ზღვაში გასვლა, თუ მეზავრი ხუთ კაცზე მეტი იქნებოდა. გამონაკლისი დაუშვეს მხოლოდ ხომალდ არგოს მეთაურ იასონისათვის, რომელიც ყოველ მხრივ სერავდა ზღვას და მას მეკობრეთაგან წმენდდა.

როცა დედალე ხომალდით ათენს გაიქცა, მინოსი, წინააღმდეგ გა-

დაწყევეტილებისა, გრძელი ხომალდებით დაედევნა; მაგრამ ქარიშ-ხალმა სიცილიის სანაპიროებისაკენ გაიტაცა და მინოსმა სიცოცხლე იქ აღასრულა[61]. გადაეკიდა რა ათენელებს, დეედალიონმა, მინოსის შვილმა, ელჩები გაგზავნა ბრძანებით გადაეცათ მისთვის დედალე. იგი იმუქრებოდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დახოცავდა მინოსის მიერ მძევლებად წაყვანილ ბავშვებს. თეზევსმა დეუკალიონს აუღელვებლად შეუთვალა, რომ დედალეს ვერ გასცემდა: დედალე ჩემი ბიძაშვილია, სისხლით ნათესავია: დედალეს დედა, მეროპე, ერეხთევსის ასული იყოო. ასეთი პასუხის შემდეგ თეზევსი ხომალდთა შენებას შეუდგა. ნაწილს ატიკაში აშენებდა, თიმეტადის მხარეში[62], შარაგზიდან მოშორებით, ნაწილს კი პითევსის მეშვეობით აგებდა ტროიძენეში. ამით განზრახულის დაფარვა სურდა.

როცა ყველაფერი მზად იყო, თეზევსი ზღვით გაემართა სალაშქროდ. მეგზურებად ჰყავდა დედალე და კრეტიდან ვამოქცეული ლტოლვილები. ეჭვი ვერავინ აიღო; კრეტელებმა იფიქრეს, ჩვენი მოკავშირეების ხომალდები მოდიანო. თეზევსმა ნავსადგური ხელთ იგდო, ხომალდიდან გადმოვიდა და კნოსოსში მოასწრო შესვლა. აქ ლაბირინთის კარიბჭესთან ხელჩართული ბრძოლა გამართა და დეუკალიონი და მისი შუბოსანი მცველები ამოყლიტა. ამის შემდეგ სამეფო საქმეთა გამგებლობა არიადნეს ხელში გადავიდა. თეზევსმა მასთან ზავი შეკრა, ათენელი ყმაწვილები დაიბრუნა და ათენელთა და კრეტელთა შორის მეგობრობა დაამყარა. ორივე მხარემ დაიფიცა, ერთმანეთს აღარასოდეს ვეომოთო.

20. ამ ამბებზე და, კერძოდ, არიადნეზე მრავალი თქმულება არსებობს, მაგრამ ეს თქმულებანი ერთმანეთს არ ეთანხმება. ზოგი ამბობს: თეზევსისაგან მიტოვებულმა არიადნემ თავი ჩამოიხრჩოო; ზოგიერთის გადმოცემით მეზღვაურებმა არიადნე გადასვეს ნაქსოსზე,[63] სადაც ცოლად გაჰყვა დიონისეს[64] ქურუმ ენარეს, ვინაიდან თეზევსმა მიატოვა და სხვა შეიყვარაო:

მგზნებარე შთაუნერგა ტრფობა პანოპევსის ასულმა ევლემ.

ეს ტაეპი, ჰერეა მეგარელის სიტყვით,[65] ჰესიოდედან ამოიღო ბისსტრატემ, ხოლო ჰომეროსის „ნეკიიაში“, ათენელთა გულის მოსაგებად, ჩაურთო აი ეს:

თეზევსი და პირითოუ — მძლე ღმერთების ბრწყინვალე მოდგმა[66],

ზოგიერთები გადმოგვცემენ: არიადნემ თეზევსისაგან ენოპიონი და სტაფილე შვაო. ამ ზოგიერთთ მიეკუთვნება იონ ქიოსელიც,[67] რომელიც თავის ქალაქზე ამბობს:

ოდესღაც ენოპიონმა, თეზევსის ძემ ააგო ესა.

ის, რაც ყველაზე საქებარია თეზევსისათვის ამ თქმულებებში, ასე ვთქვათ, ყველას პირზე აკერია; თუმცა ზემოთქმულ ამბავთა თავისებური გადმოცემა მოეპოვება პეონ ამათუსიელს[68]. მისი სიტყვით, თეზევსმა, როცა ქარიშხალმა კიპროსის სანაპიროებისაკენ გაიტაცა, მასთან მყოფი ფეხმძიმე არიადნე, რომელიც ხომალდის რწევის გამო თავს ცუდად გრძნობდა და მისუსტებული იყო, ხმელეთზე მარტოდმარტო გადასვა. თვითონ კი კვლავ ხომალდს დაუბრუნდა, მაგრამ ზღვამ ხმელეთიდან შორს გაიტაცა.

იქაური ქალები არიადნეს ალერსით შეხვდნენ, მარტოობით საწყარკვეთილს ნუგეშს სცემდნენ და ამშვიდებდნენ; მიჰქონდათ მასთან ვითომცდა თეზევსის მიწერილი ტყუილი წერილები; მშობიარობის ჟამს კი დიდად მოეხმარნენ და მოუარეს. არიადნე მშობიარობას გადაჰყვა ისე, რომ ბავშვი არ უშობია. ქალებმა იგი მიწას მიაბარეს.

თეზევსი უკან დაბრუნდა და ამ ამბის გაგებაზე უსაზღვრო მწუხარებამ შეიპყრო. იმ ქვეყნის მკვიდრთ დაუტოვა ფული და სთხოვა არიადნეს მოსაგონებლად მსხვერპლი შეეწირათ ხოლმე. თეზევსმა არიადნეს ორი პატარა ქანდაკება დაუდგა, ერთი ვერცხლისა და ერთიც სპილენძისა. გორპიეოსის თვის მეორე დღეს,[69] როცა არიადნესათვის მსხვერპლს სწირავენ, ერთი ყმაწვილი კაცი ლოგინზე წვება ხოლმე და ისე კვნესის და მოძრაობს, როგორც მშობიარე ქალი. იმ პატარა ჭალას კი, სადაც არიადნეს საფლავს გვიჩვენებენ, ამათუსიელები არიადნე-აფროდიტეს ჭალას ეძახიან.

ზოგიერთი ნაქსოსელი მწერალი ამ თქმულებას თავისებურად გადმოსცემს. ისინი ამბობენ, იყო ორი მინოსი და ორი არიადნეო:[70] ერთი არიადნე დიონისეს შეუუღლდა ნაქსოსზე და სტაფილე შვა, მეორე და, უმცროსი არიადნე კი, თეზევსის მიერ მოტაცებული და მერმე მიტოვებული, მოვიდა ნაქსოსზე. მასთან ერთად იყო ძიძა, სახელად კორკინე, რომლის საფლავს ახლაც კი გვიჩვენებენო. ეს არიადნეც აქვე მოკვდა. პატივი, რომელსაც ეს არიადნე ღებულობს, სრულებით არა ჰგავს პირველის პატივს. უფროსი არიადნეს დღეს

მხიარულებითა და თამაშით ზეიმობენ, უმცროსისადმი მიძღვნილი მსხვერპლთშეწირვა კი მწუხარებითა და სევდითაა შეზავებულია.

21. კრეტიდან გამომგზავრებული თეზევსი მიადგა დელოსს. აქ აპოლონ ღმერთს მსხვერპლი შესწირა და არიადნესაგან საჩუქრად მიღებული აფროდიტეს ქანდაკება დაუდგა. მერმე ახალგაზრდებთან ერთად გამართა ცეკვა, რომელსაც, ამბობენ, დელოსელები დღესაც ასრულებენო. ეს რითმული ცეკვა ლაბირინთის მრავალ ხვეულს წარმოგვიდგენს, რომლის დროსაც ჯერ დახლართული, ხოლო შემდეგ გაშლილი მოძრაობები სრულდება. დიკეარქოსის გადმოცემით ცეკვის ამ სახეს დელოსელები „გერანოსს“ უწოდებენ[71]. ეს ცეკვა თეზევსმა მოაწყო „კერატონის“ ანუ იმ საკურთხევლის ირგვლივ, რომელიც მთლიანად საქონლის მარცხენა რქებისაგან იყო აგებული[72]. ამბობენ, თეზევსმა დელოსზე შეჯიბრებებიც მოაწყო და გამარჯვებულებმა მაშინ პირველად იმისგან მიიღეს ჯილდოდ პალმის რტოო.

22. თეზევსსა და მის მესაჭეს, როცა ატიკას მიუახლოვდნენ, სიხარულისაგან დაავიწყდათ აღემართათ ის იალქანი, რომელსაც ეგეოსისათვის მათი კარგადმყოფობა უნდა ეუწყებინა. მაშინ მწუხარებისაგან სასოწარკვეთილი ეგეოსი კლდიდან გადმოიჩეხა და სიცოცხლე მოისწრაფა.

შევიდა თუ არა ნავსადგურში, თეზევსი აქედან გამგზავრების ჟამს ფალერონში ღმერთებისადმი აღთქმული მსხვერპლის შეწირვას შეუდგა, ქალაქში კი გადარჩენის საუწყებლად შიკრიკი აფრინა. შიკრიკი გზად მრავალ ისეთ მოქალაქეს შეხვდა, ვინც მეფის სიკვდილს მწარედ დასტიროდა და, რაც მოსალოდნელი იყო, ბევრი გახარებულიც იხილა, რომლებიც აღტაცებით შეეგებნენ და მზად იყვნენ გვირგვინებით შეემკოთ იგი. შიკრიკმა გვირგვინები მიიღო და ამ გვირგვინებით თავისი სამაცნეო კვერთხი შემოსა. შემდეგ ზღვის ნაპირზე დაბრუნდა და, რაკი თეზევსს ზედაშე ჯერ კიდევ არ დაენთხია, შორიახლო დადგა, რათა მსხვერპლშეწირვაში მისთვის ხელი არ შეეშალა. ზედაშეს დანთხევა რომ დამთავრდა, თეზევსს ეგეოსის სიკვდილი აუწყა. თეზევსი და მისი მხლებლები ტირილითა და ზარით გაეშურნენ ქალაქისაკენ. ამბობენ, აქედან იღებს დასაბამს ის, რომ ოსქოფორიების[73] ზეიმის დროს ახლაც გვირგვინებით ამკობენ არა მაცნეს, არამედ მის კვერთხს, ისიც, რომ დამსწრენი ზედაშეს

დანთხევას დასძახიან „ელელეე“-სა და „იუ, იუ“-ს. პირველ შეძახილს ჩვეულებრივ ისინი გამოსცემენ, რომლებიც გამარჯვების სიძღერას მღერიან, ხოლო მეორე ზარისა და გლოვის ნიშანი არის.

დაკრძალა თუ არა მამა, თეზევსმა მაშინვე შეუსრულა აპოლონ დმერთს მიცემული აღთქმა. მოხდა ეს პიანეფსიონის თვის მეშვიდე დღეს; სწორედ ამ დღეს შევიდნენ ქალაქში განსაცდელისაგან დახსნილნი. რაც შეეხება ცერცვის ხარშვის ადათს, ამბობენ, რომ ის დამკვიდრდა შემდეგნაირად: საფრთხისაგან თავდაღწეულმა ყმაწვილებმა დარჩენილი სურსათი ერთმანეთში აურიეს, ერთ ქოთანში მოხარშეს და საერთო ლხინზე შეჭამეს. ისევე, როგორც მაშინ მოჰქონდათ საგედრებელი შტოები, ისე ახლაც გამოაქვთ მატყლით შემოსილი ზეთისხილის რტო, ეგრეთ წოდებული „ირესიონე“, რომელიც მოუსავლიანობის შეწყვეტის აღსანიშნავად მრავალგვარი ხილის ნაყოფით არის შემკობილი და ზედ ასე დამღერიან:

ირესიონეს ჩვენთან მოაქვს პური და ლეღვი,
თაფლი თასითა, დასაზელი ტანისა ზეთიც
და შუმი ღვინოც, რომ დამთვრალმა იძინო, ქალო!

ზოგიერთი ამბობს, ეს ადათები დაწესდა ჰერაკლიდების მოსაგონებლად, რომელთაც ათენელები ასეთივე წესით კვებავდნენო;[74] უმრავლესობა კი იმას უჭერს მხარს, რაც ზემოთ ითქვა.

23. ის ოცდაათხოფიანი ხომალდი, რომლითაც თეზევსი ყმაწვილებთან ერთად კრეტაზე გაემგზავრა და მერმე უკან უვნებლად დაბრუნდა, ათენელებმა დემეტრიოს ფალერელის დრომდე შემოინახეს[75]. ისინი მას ძველ ფიცრებს აცლიდნენ, ახალს უდგამდნენ და ასე ამაგრებდნენ. ამგვარად ეს ხომალდი ფილოსოფოსებისათვისაც ჭსჯელობის საგანი გახდა ბუნებაში არსებულ საგანთა ზრდასთან დაკავშირებით. ერთნი ამბობდნენ: ეს იგივე ხომალდია, როგორიც აყოო; ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ: ეს ის ხომალდი აღარ არისო[76].

ათენელები რომ ოსქოფორიების დღესასწაულს იხდიან, ესეც თეზევსმა დააწესა. თეზევსს მაშინ ყველა ქალიშვილი, რომელთაც წილად ხვდათ მგზავრობა, კრეტაზე არ წაუყვანია. მან მეგობარ ჭაბუკებში ორი სულ ახალგაზრდა და ქალური შესახედაობის, მაგრამ მამაცური სულისა და მხნეობის მქონე ყმაწვილი შეარჩია. ცხელი აბაზანებითა და ოზიზი მოვლით, ზეთ-საცხებლებით, თმისა და კანის განაზებით და სხვადასხვა მორთულობით თეზევსმა ისე შეცვალა ეს

ყმაწვილები და ისე გარდაუქმნა ხმა, გარეგნობა და მიხრა-მოხრა, რომ მართლაც ქალიშვილებს დაემსგავსნენ და ვერც ვერავინ გამოარჩევდა მათგან. ამის შემდეგ თეზევსმა ისინი ასულთა რიცხვს მიუმატა და მათ ქალიშვილობაში ეჭვი არავის შეუტანია. უკან რომ დაბრუნდა, საზეიმო მსვლელობას წინ მოუძღოდნენ თეზევსი და ეს ორი ყმაწვილი, რომლებიც ისე იყვნენ მორთულნი, როგორც ამჟამად ჰრთვებიან ოსქოფორები[77]. ოსქოფორები ვაზის რქას, თქმულების მიხედვით, დიონისესა და არიადნეს პატივსაცემად ატარებენ, ანდა, რაც უფრო სწორი უნდა იყოს, იმის აღსანიშნავად, რომ თეზევსი და მისი მხლებლები უკან რთველის დროს დაბრუნდნენ. დიპნოფორები, რომლებიც ზეიმს ესწრებიან და მსხვერპლშეწირვაში მონაწილეობენ, კრეტაზე გასამგზავრებლად წილხვედრილი ყმაწვილების დედებს ჰბაძავენ. ისინი ახალგაზრდებთან მიდიან და მიაქვთ პური და ნაირ-ნაირი სურსათი[78]. ამ ზეიმზე ჰყვებიან აგრეთვე თქმულებებს იმის მოსაგონებლად, რომ ზემოხსენებული დედებიც უყვებოდნენ შვილებს სხვადასხვა თქმულებებს მათი გამაგრებისა და გამხნევების მიზნით. ამ ამბავს ჩვენ დემონიც გადმოგვცემს.

ათენში თეზევსს მიწის ნაკვეთი მიუზომეს[79]. იმ ოჯახებს, რომლებიც მონოსის ხარკის გადახდაში მონაწილეობდნენ, თეზევსმა დაუწესა ბეგარა, რასაც მსხვერპლშეწირვა მოითხოვდა. მსხვერპლშეწირვაზე კი უნდა ეზრუნათ ფიტალიდებს. ამით თეზევსმა მათ სამაგიერო პატივი მიუზღო სტუმართმოყვარეობისათვის.

24. ეგეოსის სიკვდილის შემდეგ თეზევსმა დიადი და საოცარი საქმე განიზრახა. ატიკის მთელ მოსახლეობას ერთ ქალაქში მოუყარა თავი და ჩამოაყალიბა ერთი პოლისი ერთი ხალხით, რომელიც მანამდე გაფანტულად ცხოვრობდა და საერთო სასარგებლო საქმისათვის ძნელად თავმოსაყრელი იყო. ზოგჯერ ისიც კი ხდებოდა, რომ ერთმანეთს ედავებოდნენ და ეომებოდნენ.

თეზევსმა რჩევა-დარიგებით ჩამოუარა ცალკეულ დემებს და გვარებს. უბრალო და ღარიბმა ხალხმა მაშინვე დაუჭირა მხარი მის მოწოდებას. რაც შეეხება შეძლებულებს, თეზევსმა მათ შესთავაზა უმეფო სახელმწიფო წყობილება — დემოკრატია, რომელიც მას მხოლოდ და მხოლოდ საომარ საქმეთა არქონტად და კანონთა მცველად გამოიყენებდა, ყველა დანარჩენთ კი სრულ თანასწორობას მიანიჭებდა. ზოგიერთი მან დაარწმუნა, ზოგმა კი, ვისაც ეშინოდა მისი

გამბედაობისა და უკვე ეგზომ გაზრდილი ძლიერებისა, იძულების გზით დათანხმებას საკუთარი ნებით დათმობა არჩია. მაშინ თეზევსმა გააუქმა ცალ-ცალკე არსებული პრიტანიონები, საბჭოები და თანამდებობანი, დააარსა ყველასათვის საერთო ერთი პრიტანიონი და ერთი საბჭო იქ, სადაც ახლა ქალაქია გაშენებული; უწოდა პოლისს სახელად ათენი და საზოგადო — პანათენური დღესასწაულიც დააწესა. ასევე დაადგინა მან ჰეკატომბეონის მეთექვსმეტე დღეს სამსხვერპლო დღეობა — მეტოიკიები, რასაც ჯერაც კიდევ იხდიან. ამის შემდეგ, მიცემული პირობის შესაბამისად, სამეფოს ძალაუფლებაზე ხელი აიღო და ღმერთების შემწეობით სახელმწიფო წყობილების მოწესრიგებას შეუდგა[80]. პოლისის ბედის თაობაზე იგი სამისნოს დაეკითხა და ასეთი წინთქმა მიიღო:

> ძეო ეგეოსის, თეზევს, შენ, პითევსის ასულის მოდგმავ,
> მრავალი ქალაქის ბედი და საზღვრები მამამან ჩემმან
> მაგ თქვენი პოლისის შიგნით მოათავსა ჯერ კიდევ როდის,
> მაშ, ნუღარ იწვალებ შენს თავს ეგზომ ძლიერ ფიქრით და განსჯით;
> გახსოვდეს, რომ ტყავის გუდა ზღვის ტალღებზე იოლად ცურავს.[81]

გადმოგვცემენ, ეს წინთქმა პოლისის თაობაზე უფრო გვიან სიბილამაც[82] ლექსად წარმოთქვაო:

> თუნდაც დასველდეს, ბედი როდი ჩაძირავს ტიკსა.

25. თეზევსს სურდა პოლისი კიდევ უფრო მეტად გაეზარდა. ამიტომ ქალაქში იწვევდა ყველას და თანასწორ უფლებებს სთავაზობდა. ამბობენ, ცნობილი მოწოდება: „ხალხნო ყოველნო, აქ მოდითო!“ იყო მოწოდება თეზევსისა, რომელიც საერთო სახალხო ქალაქს აყალიბებდა. მაგრამ არც ის დაუშვია, რომ მრავლად მოზღვავებულ ბრბოს რაღაც აღრეული და უწესრიგო დემოკრატია შეექმნა. მან პირველმა გამოჰყო მოსახლეობიდან ცალ-ცალკე ევპატრიდები, გეომორები და დემიურგები. ევპატრიდებს დაუდგინა საღვთო საქმეთა ცოდნა, თანამდებობათა აღსრულება, კანონთმოძღვრობა და დანარჩენ მოქალაქეთათვის ზეციურ თუ ამქვეყნიურ ადათთა განმმარტებლად ყოფნა. თანასწორობა დააფუძნა იმაზე, რომ ევპატრიდები გამოირჩეოდნენ პატივით, გეომორები — სარგებლიანობით, ხოლო დემიურგები — მრავალრიცხოვნობით[83].

არისტოტელეს სიტყვას, რომ თეზევსი პირველი დაეყრდნო

ბრბოს და ხელი აიღო მონარქიაზე, როგორც ჩანს, „ხომალდთა კატალოგში“ გვიმოწმებს ჰომეროსიც, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ათენელებს უწოდებს დემოსს [84].

თეზევსმა მოჭრა ფულიც, რომელზედაც ხარის გამოსახულება აღბეჭდა. შეიძლება ეს მარათონის ხარის ან მინოსის სტრატეგოსის გამო გააკეთა [85] ანდა, შესაძლოა, ამით მოქალაქეებს მიწათმოქმედებისაკენ მოუწოდებდა. ამბობენ, აქედან წარმოიშვა სიტყვები: „ჰეკატომბეონი და დეკამბეონიო“ [86].

თეზევსმა ატიკას მტკიცედ შეუერთა მეგარის მხარე. მან ისთმოსში დადგა საყოველთაოდ ცნობილი სვეტი, რომელზედაც ქვეყნის საზღვრის აღსანიშნავად ტრიმეტრით [87] გააკეთა ორი წარწერა, რომელთაგან ერთი, აღმოსავლეთისაკენ მიმართული, აუწყებდა:

პელოპონესი არ არის აქ, იონიაა;

მეორე, დასავლეთისაკენ მიმართული, კი გვამცნობდა:

პელოპონესია აქ და არა იონია.[88]

ისთმოსშივე მოაწყო მან გიმნასტური შეჯიბრებები ჰერაკლეს მიბაძვით. მხურვალედ სურდა ბერძნებს მისი მიზეზით ეზეიმათ ხოლმე ისთმური დღეობები პოსეიდონის სადიდებლად ისევე, როგორც ჰერაკლეს მიზეზით ზეიმობდნენ ოლიმპიურ დღეობებს ზევსის სადიდებლად [89]. ისთმოსში დაწესებული მელიკერტესადმი მიძღვნილი დღესასწაული კი ღამით იმართებოდა ხოლმე და წმიდა საიდუმლოების აღსრულებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სანახაობასა და საყოველთაო ზეიმს [90]. ზოგიერთი ამბობს, ისთმური დღეობები თეზევსმა მიუძღვნა სკირონს, ვინაიდან სურდა ნათესავის მკვლელობისაგან განწმენდილიყო: სკირონი კანეთესა და პითევსის ასულის ჰენიოქეს შვილი იყოო. სხვები კი ამტკიცებდნენ: სკირონს კი არა — სინისს, სწორედ ამ უკანასკნელს მოუწყო მან გიმნასტური შეჯიბრებები და არა პირველსაო.

კორინთელებს თეზევსმა დაუწესა, რომ ჩამოსულ ათენელებისათვის მიეცათ ხოლმე ისთმურ დღეობებზე წინა ადგილები ისეთი სივრცისა, რასაც დაიკავებდა წმინდა ხომალდის მიწაზე დაფენილი იალქანი [91]. ასე გადმოგვცემენ ჰელანიკე და ჰალიკარნასელი ანდრონი [92].

26. თეზევსმა, როგორც ფილოქორე და სხვებიც გადმოგვცემენ,

ევქსინის პონტო[93] გადაცურა და ჰერაკლესთან ერთად ამაძონ ქალებზე გაილაშქრა. სიმამაცის ჯილდოდ მან მიიღო ანტიოპე. მაგრამ უმრავლესობა კი, რომელთა შორისაც ფერეკიდე, ჰელანიკე და ჰეროდორეც არიან[94], ამბობს, რომ თეზევსი საალაშქროდ გაემართა საკუთარი ხომალდით ჰერაკლეზე უფრო გვიან და ამაძონი ქალი ტყვედ ჩაიგდოო. ესენი უფრო სწორს ამბობენ. მართლაც, მასთან ერთად მოლაშქრეთაგან გადმოცემაში სხვა არავინ ჩანს ისეთი, ვისაც ამაძონი ქალი ტყვედ ჩაეგდოს. ბიონი მოგვითხრობს: თეზევსმა ამაძონი მოტყუებით გაიტაცაო. საქმე ისაა, რომ ამაძონი ქალები მამაკაცთა მოყვარულნი არიან და აი, როცა თეზევსი მათი ქვეყნის ნაპირს მიადგა, კი არ გაქცეულან, არამედ სასტუმრო ძღვენი გაუგზავნეს მას. ძღვენის მიმტან ამაძონს თეზევსმა ხომალდზე ასვლა სთხოვა თურმე და, როცა ქალი ავიდა, თეზევსი მყისვე გავიდა ზღვაშიო.

ვინმე მენეკრატე, რომელმაც ბითვინიის ქალაქ ნიკეას ისტორია გამოსცა, ამბობს, რომ ანტიოპეს დაუფლებული თეზევსი ერთხანს ამაძონთა მხარეში ცხოვრობდა; თან ახლდა მასთან ერთად მოლაშქრე სამი ათენელი ახალგაზრდა, ძმები ევნევსი, თოანტი და სოლოენტი. ამ უკანასკნელს შეუყვარდა ანტიოპე, მაგრამ თავის გრძნობას ყველას უმალავდა, გარდა ერთი მეგობრისა, რომელსაც გულისნადები გაუზიარა. ამან ანტიოპესთან შუამავლობა გაუწია. ანტიოპემ შეთავაზებული წინადადება უკუაგდო, მაგრამ გონივრულად მოიქცა და თეზევსისათვის არ შეუჩივლია. სასოწარკვეთილი სოლოენტი მდინარეში გადავარდა და დაიღუპა. როცა თეზევსმა ახალგაზრდა კაცის ტანჯვისა და უბედურების მიზეზი შეიტყო, ღრმა მწუხარებას მიეცა და ოდესღაც პითიასაგან მიღებული წინთქმა ამას დაუკავშირა. დელფოში პითიამ უმისნა: თუ უცხო მხარეში მძიმე სევდა შეიპყრობდა და მეტისმეტად დადარდიანდებოდა, იქ ქალაქი აეშენებინა და ამ ქალაქის წინამძღოლებად მისი ამალიდან გამორჩეული პირები დაეტოვებინა. მართლაც, თეზევსმა აქ ქალაქი დააარსა; ღვთაების სადიდებლად ქალაქს პითოპოლისი უწოდა, ხოლო მახლობელ მდინარეს ახალგაზრდა კაცის ხსოვნის აღსანიშნავად სოლოენტი დაარქვა. წინამძღოლებად და კანონთა დამწესებლებად ქალაქში დატოვა დაღუპული ყმაწვილი კაცის ძმები და მათთან ერთად ათენელი ვაჟკაცი, ევპატრიდთაგანი ჰერმოსი. აი, ამის გამოა, რომ პითოპოლისელები ერთ-ერთ ადგილს ქალაქში „ჰერმესის სახლს" ეძახიან,

მაგრამ სვამენ რა შეცდომით შემოსილ მახვილს მეორე მარცვალზე, ამით გმირის პატივისცემა ღმერთზე გადააქვთ[95].

27. ამაძონი ქალის მოტაცებამ ამაძონების ომი გამოიწვია. ეს ომი, თუმც ქალებთან წარმოებული, უბრალო საქმე როდი იყო. ამაძონები შიგ ათენში ვერ დაბანაკდებოდნენ და ბრძოლაში პირდაპირ პნიქსსა და მუსეიონთან ვერ ჩაებმებოდნენ,[96] რომ მთელ მხარეს არ დაუფლებოდნენ და პოლისში უშიშრად არ შეეღწიათ. ჰელანიკეს გადმოცემული ამბავი, ამაძონებმა კიმერიის გაყინული ბოსფორი[97] გადმოლახეს და ატიკაში ისე მოვიდნენო, ძნელი დასაჯერებელია. მაგრამ ისინი რომ შუაგულ პოლისში დაბანაკდნენ, ამის უტყუვი მოწმეა მრავალი ადგილის სახელი და ბრძოლაში დალუპულთა საფლავები.

ორივე მებრძოლი მხარე დიდი ხნის განმავლობაში ყოყმანობდა და შეტევის დაწყებას აყოვნებდა. ბოლოს თეზევსმა, მისნის ნათქვამის თანახმად, შესწირა მსხვერპლი ფობოსს[98] და ამაძონებს ეკვეთა. ბრძოლა მოხდა ბოედრომიონის თვეში.[99] აი, ამ ბრძოლის გამო ათენელები დღემდე მართავენ ბოედრომიონების დღესასწაულს.

კლიდემე, რომელიც ცდილობს ყველაფერი ზუსტად და დაწვრილებით გადმოგვცეს, მოგვითხრობს, რომ ამაძონთა მარცხენა ფრთა მიბრუნებული იყო ახლანდელი ამაძონიონისკენ, მარჯვენა კი პნიქსის გასწვრივ იდგა და ქრისემდე აღწევდა. ამ ფრთას ათენელები მუსეიონიდან დაესხნენ თავს და ამაძონებთან ბრძოლაში ჩაებნენ. ბრძოლაში დაცემულთა საფლავები განლაგებულია იმ ქუჩის გასწვრივ, რომელსაც გმირ ქალკოდონტის ტაძრის მახლობლად მდებარე კარიბჭესთან მივყევართ. ამ კარიბჭეს ამჟამად პირეევსის კარიბჭეს ეძახიან. ბრძოლის დროს ათენელები იძულებული გახდნენ ქალებისთვის ზურგი ეჩვენებინათ და უკან დახეულიყვნენ, ვიდრე ევმენიდების ტაძრამდე. მერმე ათენელები პალადიონიდან,[100] არდეტოსიდან და ლიკეონიდან ეკვეთნენ ამაძონებს, მათი მარჯვენა ფრთა ბანაკამდე უკუაგდეს და მრავალი გაჟლიტეს. მეოთხე თვეს, ჰიპოლიტეს წყალობით, შეიკრა ზავი. კლიდემე იმ ამაძონ ქალს, რომელიც თეზევსთან ცხოვრობდა, ჰიპოლიტეს უწოდებს და არა ანტიოპეს. სხვები ამბობენ: ეს ქალი თეზევსის მხარეზე იბრძოდა, მოლპადიას ნატყორცნმა შუბმა განგმირა და მის საფლავზე ოლიმპიის ზეუს ტაძრის მახლობლად სამახსოვრო სვეტი დგასო.[101]

გასაკვირველი სრულებითაც არ არის, რომ ისტორია იბნევა ეგზომ შორეულ ამბავთა გადმოცემის დროს. ასე, მაგალითად, ამბობენ, დაჭრილი ამაძონები ანტიოპემ უჩუმრად გაგზავნა ქალკიდაში, სადაც მათ მკურნალობდნენ; ზოგიერთები კი დაკრძალული არიან ახლანდელი ამაძონიონის მახლობლადო.

ასე იყო თუ ისე, ყოველ შემთხვევაში, ამაძონებთან ომი ზავით დამთავრდა. ამას გვიმოწმებს, ერთი მხრივ, თეზევსის ტაძრის მახლობლად მდებარე იმ ადგილის სახელი ჰორკომოსიონი,[102] მეორე მხრივ კი ის, რომ აქ ძველთაგანვე სწირავდნენ ხოლმე მსხვერპლს ამაძონებს თეზევსისადმი მიძღვნილი დღესასწაულის წინადღეს.

ამაძონების საფლავს თავიანთ მხარეში უჩვენებენ მეგარელებიც; სახელდობრ, იმ გზაზე, რომელსაც მოედნიდან, სადაც რომბოიდი დგას, ეგრეთ წოდებულ რუსისაკენ მივყევართ.[103] ამბობენ აგრეთვე იმასაც, რომ ზოგიერთი ამაძონი ქერონეაში მოკვდა და დაკრძალული არიან ღელის პირად, რომელსაც ძველად, ვგონებ, თერმოდონტი ერქვა, ამჟამად კი ჰემონს ეძახიან. ამის თაობაზე ცნობები ჩვენ დემოსთენეს ცხოვრების აღწერაში გვიწერია.[104] როგორც ჩანს, ამაძონებს არც თესალია გადაუვლიათ უომრად. მათ საფლავებს ჯერ კიდევ ახლაც გვიჩვენებენ სკოტუსასა და კინოსკეფალეს მახლობლად.[105]

28. აი, ყველაფერი ის ამაძონთა შესახებ, რაც მოგონების ღირსი იყო. „თეზეიდის“ ავტორი, რომელმაც ამაძონების ამხედრების ამბავი აღწერა, მოგვითხრობს: როცა თეზევსმა ფედრა შეირთო ცოლად, ანტიოპემ ეს ლაშქრობა წამოიწყო; ანტიოპეს სხვა ამაძონებიც შეუერთდნენ შურის საძიებლად და ჰერაკლემ ისინი ამოჟლიტაო; მაგრამ ეს ზღაპარი და მოჩმახული ამბავია.[106]

ანტიოპეს სიკვდილის შემდეგ თეზევსმა შეირთო ფედრა. ანტიოპესაგან თეზევსს ჰყავდა ვაჟიშვილი იპოლიტე, ან, როგორც პინდარე ამბობს, დემოფონტი. რაც შეეხება იმ უბედურებას, რაც თეზევსს ცოლისა და ვაჟიშვილისაგან შეხვდა, რაკიღა ამ ამბის გადმოცემაში ტრაგიკოსები ისტორიკოსებს ეთანხმებიან, საჯწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ, რასაც ისინი წერენ.[107]

29. არსებობს სხვა გადმოცემებიც თეზევსის ქორწინებათა თაობაზე, რომლებიც სცენას ასცდნენ. ამ ქორწინებათ არც დასაწყისი ჰქონიათ კეთილგონივრული და არც დასასრული ბედნიერი. ამბობენ, თეზევსმა მოიტაცა ტროიძენელი ქალი, ვინმე ანაქსო, ხოლო სინი-

სისა და კერკიონის მოკვლის შემდეგ ძალადობა იხმარა მათ ქალიშვილებზე; მან ცოლად შეირთო აიანტის დედა პერიბეა, ჰერმე ითხოვა ფერებეა, შემდეგ ეფიკლეს ასული — იოპე. პანოპეევსის ასულის ეგლეს ტრფობისთვის, როგორც ზემოთ ვთქვით, მიატოვა არიადნე, რისთვისაც ბრალს სდებდნენ, ულამაზო და შეუფერებელი საქციელი ჩაიდინაო. მაგრამ ყველაფერს გადააჭარბა ელენეს მოტაცებამ, რამაც მთელი ატიკა ომის ცეცხლში გახვია და თეზევსს საბოლოოდ გაქცევა და დალუპვა არგუნა წილად. ამის შესახებ ქვევით ვიტყვით.

იმხანად გმირებმა მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინეს. ჰეროდოტე ფიქრობს, რომ თეზევსმა მონაწილეობა მიიღო მხოლოდ და მხოლოდ ლაპითებისა და კენტავრების ბრძოლაში. სხვები კი ამბობენ, იგი იასონთან ერთად კოლხებშიც იყო და მელეაგრესთან ერთად გარეული ტახიც დაამარცხაო.[108] აი, აქედან მომდინარეობს ანდაზა: „ირაფერი უთეზევსოდ“.[109] თვითონ თეზევსმა კი მარტომ, მოკავშირის გარეშე, მრავალი და ბრწყინვალე საქმე შეასრულა. ამიტომ გავრცელდა მასზე ხმები: „ეს მეორე ჰერაკლეაო“. გარდა ამისა, თეზევსმა დახმარება აღმოუჩინა ადრასტეს კადმეასთან დაღუპული მებრძოლების გვამთა მოძებნასა და დაკრძალვაში.[110]

მან ეს მოახერხა არა თებელების დამარცხებით ბრძოლაში, როგორც ეს ევრიპიდეს გამოჰყავს ტრაგედიაში,[111] არამედ დარწმუნებისა და მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. უმრავლესობა ამას ასე გადმოგვცემს; ფილოქორე გვიმტკიცებს, ეს იყო პირველი ზავი, რომელიც გვამთა გადაცემისა და დაკრძალვის გამო დაიდოო. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჰერაკლე პირველი გახლდათ, რომელმაც მტრებს მოკლულთა გვამები გადასცა; ამაზე მოთხრობილია ჰერაკლეს ამბავთა წიგნში.[112] ელევთერში გვიჩვენებენ მრავალი ჯარისკაცის საფლავებს, ელევსინში კი — წინამძღოლებისას. ეს თეზევსის იმ დახმარების ნიშანია, რომელიც ადრასტეს გაუწია. ამას ჩვენ გვიმოწმებს ევრიპიდეს „მავედრებელი ქალებიც“ და ესქილეს „ელევსინელებიც“, რომლებშიც თეზევსი თვითონვე ამბობს იმას, რაც მოიმოქმედა.

30. თეზევსის დამეგობრება პირითუსთან, ამბობენ, შემდეგნაირად მოხდაო:[113] თეზევსს ძალ-ღონისა და სიმამაცის წყალობით დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. პირითუსმა გადაწყვიტა დასარწმუნებლად გამოეცადა თეზევსის ვაჟკაცობა. ამიტომ მარათონიდან თეზევსის ხარები გაიტაცა. როცა შეიტყო, შეიარაღებული თეზევსი

კვალდაკვალ მისდევდა, კი არ გაიქცა, არამედ შემობრუნდა და გმირს პირისპირ შეხვდა. როგორც კი შეხვდეს ერთმანეთს, ისე მოიხიბლნენ ერთიმეორის სილამაზით და მამაცობით, რომ ბრძოლაზე მყისვე აიღეს ხელი. პირითუსმა პირველმა გაუწოდა მარჯვენა თეზევსს და სთხოვა, თვითონვე ყოფილიყო ხარების გატაცების საქმის მოსამართლე და თან უთხრა: მზადა ვარ მივიღო ის სასჯელი, რასაც მოიზღავო. თეზევსმა დანაშაული შეუნდო და წინადადება მისცა, მისი მეგობარი და მოკავშირე გამხდარიყო. მეგობრობა გმირებმა ფიცით შეკრეს.

მცირე ხნის შემდეგ, დეიდამიასთან ქორწინების დროს პირითუსმა თეზევსს შეუთვალა, სწვეოდა, გაეცნო მისი მხარე და ლაპითებს დაახლოებოდა. ქორწილზე მიიწვიეს კენტავრებიც. როცა ღვინით შეზარხოშებულმა კენტავრებმა თავხედობა დაიწყეს და ლაპითთა ქალებს დაერივნენ, ლაპითებმა ქალების დასაცავად ხელი გამოიღეს. ზოგიერთი კენტავრი იქვე მოკლეს, ზოგიც ბრძოლით დაამარცხეს და ბოლოს, თეზევსის მონაწილეობით და შემწეობით, თავიანთი ქვეყნიდან გარეკეს.

ჰეროდორე გადმოგვცემს, ეს ამბავი აგრე არ მომხდარაო: კენტავრებსა და ლაპითებს შორის ომი უკვე ატეხილი იყო, როცა თეზევსი ლაპითების დასახმარებლად მივიდა. მან პირველად მაშინ იხილა საკუთარი თვალით ჰერაკლე: თეზევსი დიდხანს ემზადებოდა შეხვედროდა ტრაქინეში[114] გმირს, რომელიც იქ ისვენებდა მრავალი ხეტიალისა და საგმირო საქმის შესრულების შემდეგ. მათი შეხვედრა აღსავსე იყო ერთმანეთის პატივისცემით, სიყვარულითა და ქებადიდებით.

მიუხედავად ასეთი გადმოცემისა, უფრო მეტად იმათ დაეჯერებათ, რომლებიც მოგვითხრობენ, რომ ჰერაკლე და თეზევსი უწინაც მრავალგზის შეხვედრიან ერთმანეთს: რომ ჰერაკლემ წმიდა საიდუმლოების აღსრულებაში მონაწილეობა თეზევსის შემწეობით მიიღო, წინასწარ კი განიწმინდა, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა, უნებლიეთ ჩადენილ შეცოდებათაგან.

31. ჰელანიკეს სიტყვით, თეზევსი უკვე ორმოცდაათი წლის კაცი იყო, როცა მისი ასაკისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა და ელენე მოიტაცა[115]. ამიტომაა, რომ ზოგიერთი, რომელსაც ამ მძიმე ბრალდებიდან მისი დახსნა სურს, ამბობს: ელენე თეზევსმა კი

არა, იდასმა და ლინკევსმა მოიტაცეს; მოტაცებული ქალი დასაცავად ჩააბარეს თეზევსს და დაუბარეს, არ დამორჩილებოდა დიოსკურების მოთხოვნას და არ დაებრუნებინა ელენეო[116]. ისინი, ზევსს ვფიცავ, იმასაც კი გვიმტკიცებენ: ელენე თეზევსს გადასცა თვითონ ტინდარეოსმა, ვინაიდან ეშინოდა, ჯერ კიდევ სულ ბავშვი ელენე არ მოეტაცა ჰიპოკოონტის ძეს ენარსფორესო[117].

ყველაზე ჭეშმარიტი ამბავი, რომელსაც მრავალი მწერალი გვიმოწმებს, მაინც ეი ეს არის: თეზევსი და პირითუსი ორივენი ერთად მივიდნენ სპარტაში, მოიტაცეს ვოგონა, რომელიც იმ დროს არტემიდე-ორთიას ტაძარში ცეკვავდა და გაიქცნენ. მდევრად გაგზავნილი კაცები ტეგეას[118] იქით აღარ დადევნებიან. საფრთხეს გადარჩენილმა გამტაცებლებმა პელოპონესი გადაიარეს და მერმე პირობა შეკრეს, ვისაც წილისყრით ელენე ცოლად შეხვდებოდა, იგი უნდა დახმარებოდა მეგობარს საცოლის შოვნაში. ამის შემდეგ, პირობის თანახმად, წილი ჰყარეს და ელენე შეხვდა თეზევსს. თეზევსმა გოგონა, რომელსაც ქორწინების ასაკი ჯერ არ დადგომოდა, აფიდნეში[119] მიიყვანა, მასთან დედამისი ეთრა დატოვა და ქალიშვილზე ზრუნვა თავის მეგობარს აფიდნოსს დაავალა, რომელსაც სთხოვა კარგად დაეცვა იგი და ყველასთვის დაემალა. თვითონ კი, პირითუსისთვის სამაგიეროს გადახდის მიზნით, მასთან ერთად გაემგზავრა ეპირში მოლოსთა მეფე აიდონევსის ქალიშვილის მოსატაცებლად. ეს აიდონევსი თავის ცოლს პერსეფონეს ეძახდა, ქალიშვილს — კორეს, ძაღლს კი — კერბერს. აიდონევსი იმას, ვინც მისი ქალიშვილის ქმრობას მოინდომებდა, წინადადებას აძლევდა, მის ძაღლს კერბერს შერკინებოდა; გამარჯვებული, პირობის თანახმად, მის ქალიშვილს ცოლად წაიყვანდა. როცა აიდონევსმა შეიტყო, პირითუსი და მისი ამხანაგი, სიძობაზე ბედის საცდელად კი არა, ქალის მოსატაცებლად არიან მოსულნი, ორივენი შეიპყრო. პირითუსი მყისვე დააგლეჯინა ძაღლს, თეზევსი კი სატუსალოში ჩაკეტა[120].

32. სწორედ ამ დროს მენესთეუსმა, იმ პეტეუსის ძემ, რომელიც ორნეუსის ვაჟი და ერეხთეუსის შვილიშვილი იყო, როგორც ამბობენ, ადამიანთა შორის პირველმა დაიწყო დემაგოგობა და სიტყვიერი გამოსვლებით ბრბოს გულის მოგება. მან აამხედრა და წააქეზა თეზევსზე ისედაც გულმოსული შეძლებულები. ისინი გამსჭვალულნი იყვნენ იმ აზრით, რომ თეზევსმა ყოველ ეკპატრიდს, რომლებიც

ცალ-ცალკე დემებში მბრძანებლობდნენ, საგამგებლო და მეფობის უფლება აღუკვეთა, მათ ერთ ქალაქში მოუყარა თავი და თავის ქვეშევრდომებად და მონებად აქცია. რაც შეეხება მდაბიო ხალხს, მენესთევსი აშფოთებდა და უსაყვედურებდა, რომ მდაბიონი თავისუფლების აჩრდილს ხედავენ მხოლოდ, სინამდვილეში მათ სამშობლოც წართმეული აქვთ, საღვთო საქმეთა შესრულების უფლებაც და მრავალ კეთილშობილ და კანონიერ ბასილევსთა ნაცვლად ერთ გადამთიელ და მოთრეულ დესპოტს შესცქერიან.

მენესთევსის ამბოხებისაკენ გამიზნულ საქმიანობას მეტისმეტად შეუწყო ხელი ტინდარიდების თავდასხმით გამოწვეულმა ომმა. ამბობენ, რომ ტინდარიდებმა შეიარაღებული თავდასხმა მხოლოდ და მხოლოდ მენესთევსის შეგონებით მოახდინესო. ტინდარიდებს დასაწყისში ხელი არ გამოუღიათ და მხოლოდ თავიანთ დას მოითხოვდნენ. მაგრამ, როცა ქალაქის მოსახლეობამ დაჟინებით უპასუხა, რომ მათი და არა ჰყავთ და არც იციან, სად იმყოფება, მაშინ ტინდარიდებმა ომი დაიწყეს. ამ დროს აკადემოსმა როგორღაც გაიგო, რომ ელენე აფიდნეში ჰყავდათ დამალული და ეს ტინდარიდებს აცნობა. ამის გამო აკადემოსს სიცოცხლეში ტინდარიდებისაგან მრავალი პატივი ხვდა; შემდეგშიც, როცა ლაკედემონელები მრავალგზის შეჭრილან ატიკაში და მთელი მხარე უოხრებიათ, აკადემოსის პატივისცემის გამო არც ერთხელ არ უხლიათ ხელი აკადემიისათვის [121].

დიკეარქოსი ამბობს, ტინდარიდებთან ერთად მაშინ ლაშქრობაში არკადიიდან მოსული ექედემოსი და მარათოსი მონაწილეობდნენ. ექედემოსის სახელისაგან ექედემია ეწოდა ახლანდელ აკადემიას, ხოლო მარათოსის სახელი შეერქვა მარათონის დემს, ვინაიდან მარათოსმა რომელიღაც წინასწარმეტყველების გამო საკუთარი ნებით შეაწირინა თავი მსხვერპლად დარაზმული ჯარის წინ. ტინდარიდები აფიდნეში გაემართნენ, ბრძოლაში გაიმარჯვეს და ქალაქი აიღეს. ამბობენ, აქ ბრძოლაში დაეცა სკიროსის ვაჟი ალიკე, რომელიც მაშინ დიოსკურებთან ერთად წამოვიდა სალაშქროდ. მეგარის მხარეში ერთი ადგილი ამ ალიკეს სახელს ატარებს, ვინაიდან ყმაწვილი აქ დაკრძალესო. ჰერეა კი გადმოგვცემს, რომ ალიკე თეზევსმა განგმირა აფიდნესთანო, ამის დასამოწმებლად მოაქვს ლექსი ალიკეზე:

ის აფიდნეს ქალაქთან დიდთან თეზევსმა ბრძოლაში
მოკლა ლამაზთმიან ელენეს გამო.[122]

მე კი მგონია, თეზევსი რომ იმ დროს იქ ყოფილიყო, ვერც აფიდნეს აიღებდნენ და ვერც თეზევსის დედას წაიყვანდნენ ტყვედ.

33. აფიდნეს აღებამ ათენის მოსახლეობა დიდად დააშინა. მაშინ მენესთევსმა ხალხი დაარწმუნა, ქალაქში მიეღოთ და გულთბილად მოჰკიდებოდნენ ტინდარიდებს, რომლებიც, მისი სიტყვით, ეომებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ მათ შეურაცხმყოფელ თეზევსს, დანარჩენ მოქალაქეთათვის კი კეთილისმდომნი იყვნენ და ხსნა მოჰქონდათ. ტინდარიდები თავიანთი საქმით ამართლებდნენ მენესთევსის სიტყვებს. ისინი, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მათ ხელში იყო, წმინდა საიდუმლოებაში მონაწილეობის უფლების გარდა სხვას არაფერს თხოულობდნენ[123]. ეს უფლება კი მათ უნდა მიეღოთ, ვინაიდან ჰერაკლეზე ნაკლები ნათესაობით როდი იყვნენ დაკავშირებული ქალაქთან. ამ უფლების მოპოვებაში მათ დაეხმარა ის, რომ ქალაქმა აფიდნემ ისინი იშვილა ისე, როგორც თავის დროზე პილიოსმა იშვილა ჰერაკლე[124]. ტინდარიდები ღვთაებრივი პატივისცემით სარგებლობდნენ და ამიერიდან ა ნ ა კ ე ბ ა დ იწოდებოდნენ, ან იმიტომ, რომ ზავი დაიდო,[125] ანდა იმის გამო, რომ ყოველნაირად ცდილობდნენ და ზრუნავდნენ ქალაქში დიდძალი ჯარის ყოფნის ჟამს არავის ცუდი რამ არ შემთხვეოდა. ა ნ ა კ ო ს ე ხ ე ი ნ-ს ისეთ პირებზე იტყვიან ხოლმე, რომლებიც რამეზე ზრუნავენ და ფხიზლობენ. შესაძლოა, ბასილევსებსაც ამის გამო ეძახიან ა ნ ა კ ტ ე ბ ს. ზოგიერთის აზრით, ტინდარიდების სახელი ა ნ ა კ ე ბ ი დაკავშირებულია მათი ვარსკვლავების გამოჩენასთან ზეცაზე:[126] ატიკელები ხომ ზემოთ მყოფ საგნებზე ა ნ ე კ ა ს იტყვიან და ა ნ ო თ ე ნ-ის ნაცვლად ა ნ ე კ ა თ ე ნ-ს ამბობენ[127].

34. თეზევსის დედა ეთრა, რომელიც დაატყვევეს, ამბობენ, ჯერ ლაკედემონში, ხოლო აქედან, ელენესთან ერთად, ტროაში წაიყვანესო. ჰომეროსიც გვიმოწმებს თავისი სიტყვით, რომ ელენეს გაჰყვა,

პითევსის ასული ეთრა და კლიმენე, თვალადი ქალი[128].

ზოგიერთი ამ ტაეპს ყალბად თვლის. ასევე ყალბად თვლიან მითს იმ მუნიქეს შესახებ, რომელიც ლაოდიკემ დემოფონტისაგან გაჩინა მალულად და რომელიც, გადმოცემის მიხედვით, ეთრამ გამოზარდა ილიონში[129]. ისტროსი „ატიკის ისტორიის“ მეცამეტე წიგნში ეთრაზე თავისებურ და სრულიად განსხვავებულ ამბავს გადმოგვ-

ცემს [130]. ასევე თავისებურება იჩენენ ისინი, რომლებიც მოგვითხრობენ, რომ ალექსანდრე, თესალიაში პარისად წოდებული, ბრძოლაში დაამარცხეს აქილევსმა და პატროკლემ სპერქიოსის ნაპირთან [131], ხოლო ჰექტორმა ტროიძენელთა ქალაქი აიღო, გაძარცვა და აქ დატოვებული ეთრა თან წაიყვანა. მაგრამ ამ გადმოცემას მრავალი შეუსაბამობა ახლავს.

35. ერთხელ მოლოსელმა აიდონევსმა სტუმრად მიიღო ჰერაკლე და მასთან საუბარში მოიგონა თეზევსი და პირითუსი, თუ რა განზრახვით მივიდნენ ისინი მასთან, როგორ ამხილეს ისინი და დასჯეს. ჰერაკლე მეტად შეწუხდა, როცა გაიგო, რომ ერთი მათგანი უსახელოდ დაღუპულიყო და მეორეც დაღუპვის პირზე იდგა. მან იცოდა, პირითუსისთვის საყვედურებით ვეღარაფერს გააწყობდა, რაც შეეხება თეზევსს, ჰერაკლემ მეფეს სთხოვა, მადლი მოეღო და იგი მისთვის დაეთმო. აიდონევსი ამაზე დათანხმდა და გათავისუფლებული თეზევსი ათენში დაბრუნდა, სადაც მისი მეგობრები ჯერ კიდევ არ იყვნენ მთლიანად დამარცხებულნი.

ყველა ის საბაძრო ნაკვეთი [132], რომელიც მას უწინ ქალაქმა მიუზომა, გარდა, როგორც ფილოქორე გადმოგვცემს, ოთხი ნაკვეთისა, თეზევსმა ჰერაკლეს შესწირა და „თესეიონების“ ნაცვლად „ჰერაკლეიონები“ დაარქვა.

თეზევსმა მაშინვე მოინდომა ძველებურად მოეკიდა ხელი მართვა-გამგეობისათვის და სახელმწიფოს სათავეში ჩამდგარიყო, მაგრამ წინ საყოველთაო ამბოხება და შფოთი გადაეღობა. ვინც მისადმი ზიზღით იყო გამსჭვალულნი, ახლა მისი შიში სრულებით აღარ ჰქონდათ. მოსახლეობის უმრავლესობაც გადაგვარებული დახვდა. ხალხი, იმის მაგივრად, რომ უსიტყვოდ შეესრულებინა ბრძანება, პატივისცემას მოითხოვდა. მაშინ თეზევსმა ძალდატანებას მიმართა, მაგრამ დემაგოგიისა და ამბოხებათა წყალობით დამარცხდა. თეზევსმა ბოლოს და ბოლოს სახელმწიფო საქმეებზე ხელი აიღო, თავისი ბავშვები მალულად ევბეაზე გაგზავნა ელეფენორთან, ქალკოდონტის შვილთან; თვითონ კი დასწყევლა ათენელები გარგეტოსში, სადაც ახლა ეგრეთ წოდებული არატერიონია და სკიროსზე გაემგზავრა [133]. იგი ფიქრობდა, აქ მეგობრები ჰყავდა და თან იმის იმედიც ჰქონდა, ამ კუნძულზე ზოგიერთი ადგილ-მამული მემკვიდრეობით მას ეკუთვნოდა.

სკიროსელებზე იშხანად ლიკომედე მეფობდა. თეზევსი მივიდა მასთან და კუთვნილი ადგილ-მამული გამოსთხოვა, რათა იქ დასახლებულიყო. ზოგიერთი კი ამბობს, თეზევსმა ათენელთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვაო. ლიკომედემ ამ ვაჟკაცის დიდი სახელის შიშით თუ შენესთევსის გულის მოსაგებად თეზევსი, ვითომცდა სიმაღლიდან მისი ადგილ-მამულის საჩვენებლად, კუნძულის ერთ მაღლობზე აიყვანა, ხელი ჰკრა, კლდიდან გადააგდო და ასე გამოასალმა სიცოცხლესო. ზოგიერთის გადმოცემით, თეზევსი ნასადილევს, ჩვეულებისამებრ, საჯეირნოდ გავიდა და კლდეზე თვითონ წაბორძიკდა და გადავარდაო.

მაშინ თეზევსის სიკვდილს არავინ ყურადღება არ მიაქცია: ათენში მენესთევსი მეფობდა, თეზევსის შვილები კი, როგორც რიგითი ადამიანები, ელეფენორს გაჰყვნენ ილიონში სალაშქროდ [134]. როცა მენესთევსი ილიონთან დაიღუპა, თეზევსის შვილები ათენში დაბრუნდნენ და სამეფო ძალაუფლება დაიბრუნეს.

დიდი ხნის შემდეგ ათენელებმა თეზევსს, როგორც გმირს, სხვადასხვა მიზეზის გამო, პატივისცემა დაუწესეს. ერთ-ერთი მიზეზი, სახელდობრ, ის იყო, რომ სპარსთა წინააღმდეგ მარათონთან გამართულ ბრძოლაში მრავალმა ჯარისკაცმა საკუთარი თვალით იხილა აჩრდილი იარაღში ჩამჯდარი თეზევსისა, რომელიც ბარბაროსებზე იერიშით მიისწრაფოდა.

36. სპარსთა ომების შემდეგ, ფედონის არქონტობის დროს [135], სამისნოდ მისული ათენელებს პითიამ ურჩია, მოეგროვებინათ თეზევსის ძვლები, დაეკრძალათ დიდი პატივით და დაეცვათ. თეზევსის საფლავის აღმოჩენა და ძვლების ამოკრეფა სკიროსზე მცხოვრებ დოლოპთა მიუკარებლობისა და უხეშობის წყალობით მეტად ძნელი საქმე იყო. როდესაც კიმონმა კუნძული სკიროსი აიღო, რაც აღწერილია მისი ცხოვრების წიგნში, გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, თეზევსის საფლავი ეპოვნა და ეს პატივი ხელიდან არ გაეშვა [136]. როგორც ამბობენ, ერთხელ თურმე არწივმა ბორცვს ნისკარტით ჩიჩქნა დაუწყო და კლანჭებით მიწას თხრიდა; კიმონმა ეს ღვთის ნიშნად მიიჩნია და ეს ადგილი გაათხრევინა. მან აქ აღმოაჩინა დიდი აღნაგობის ადამიანის კუბო, რომლის გვერდითაც სპილენძის შუბი და ხმალი იდო. როცა კიმონმა ეს ყველაფერი თავისი ტრიერებით ათენში მიიტანა, გახარებულნი ათენელები ისეთი ბრწყინვალე ზეიმით და

მსხვერპლშეწირვით შეეგებნენ, თითქოს თვითონ თეზევსი დაბრუნებულიყო ქალაქში.

თეზევსის ნეშტი დაკრძალულია შუა ქალაქში, ახლანდელი გიმნასიონის მახლობლად. ეს ადგილი ლტოლვილი მონების, დაჩაგრული და ძლიერთაგან დაშინებული ხალხის თავშესაფრად ითვლება, ვინაიდან თეზევსი დამცველი და დამხმარე იყო სხვებისა და დაჩაგრულთა თხოვნა-ვედრებისადმი მუდამ გულისხმიერებას იჩენდა.

ყველაზე უფრო დიდ მსხვერპლს მისი ხსოვნის აღსანიშნავად სწირავენ ხოლმე რვა პიანეფსიონს, იმ დღეს, როცა თეზევსი ახალგაზრდებთან ერთად კრეტიდან დაბრუნდა. თეზევსს პატივით იგონებენ აგრეთვე სხვა თვეების რვა რიცხვშიც; იმიტომ რომ, როგორც ისტორიკოსი დიოდორე გადმოგვცემს, იგი პირველად მოვიდა ათენში ტროიძენედან რვა ჰეკატომბეონს; ათენელთა აზრით კი იმიტომ, რომ ეს რიცხვი სხვაზე უფრო მეტად შეეფერება თეზევსს, რომელიც პოსეიდონის შვილად ითვლება; პოსეიდონს მსხვერპლს სწირავენ ყოველი თვის რვა რიცხვში. რვა არის პირველი წყვილი რიცხვის კუბი და პირველი ოთხეულის გაორმაგება და იმ ღმერთის დამახასიათებელ სიმტკიცესა და ურყევობას გვამცნობს, რომელსაც ჩვენ ასფალიოსსა და გაიეოქოსს ვეძახით [137].

# რ ო მ უ ლ უ ს ი

1. ისტორიკოსები ვერ შეთანხმებულან, თუ ვინ და რა მიზეზით მისცა ქალაქ რომს მისი დიდებით მოსილი და ყველა ხალხში განთქმული სახელი. ერთნი ამბობენ, პელასგები დასახლებული ქვეყნების უმეტეს ნაწილში ხეტიალისა და მრავალი ხალხის დაპყრობის შემდეგ ამ ადგილას დასახლდნენ და თავიანთი იარაღის ძალის აღსანიშნავად ქალაქს რ ო მ ა დაარქვესო[1]. მეორენი მოგვითხრობენ, ტროას აღების შემდეგ ზოგიერთი გადარჩენილი, რომელთაც ხომალდები იშოვეს და ზღვაში გავიდნენ, ქარმა ტირენიას მიაყენა და ღუზა მდინარე ტიბრის შესართავთან ჩაუშვეს;[2] ერთმა ქალმა, სახელად რომამ, რომელიც ყველაზე უფრო წარჩინებული და ჭკვიანი იყო, ზღვაზე მოგზაურობით შეწუხებულსა და გატანჯულ ტროელთა ქალებს ხომალდების გადაწვა შეაგონა. ქალებმა ხომალდები მართლაც გადაწვეს. მამაკაცები ჯერ საშინლად განრისხდნენ, მაგრამ მერმე აუცილებლობას დამორჩილდნენ და პალანტიუმის მიდამოებში დასახლდნენ. სულ მოკლე ხანში ისე მოეწყვნენ, რომ არც კი ელოდნენ: მიწა ნოყიერი შეხვდათ და ახლომახლო მცხოვრებლებმაც გულთბილად შეითვისეს. ამის გამო რომას მოწიწებით სცემდნენ პატივს და რაკი ის იყო აქ დამკვიდრების მიზეზი, ქალაქსაც მისი სახელი უწოდეს. ამბობენ, აქედან იღებს დასაბამს ჩვეულება, ქალები რომ ნათესავსა და მახლობელ მამაკაცებს პირზე კოცნით ეალერსებიან: ტროელთა ქალები, ხომალდების დაწვის შემდეგ, სწორედ ასე ჰკოცნიდნენ და ეალერსებოდნენ ვაჟკაცებს და ევედრებოდნენ დაეცხროთ რისხვა.

2. ზოგიერთი გადმოგვცემს, იტალუსისა და ლევკარიას, ან როგორც სხვები ფიქრობენ, ჰერაკლეს ძის ტელეფეს ასულმა რომამ ამის შემდეგ, რაც ენეასთან თუ ენეასის ძე ასკანიუსთან იქორწინა,

თავის სახელი დასდო ქალაქს. ზოგიერთის აზრით კი ქალაქი დაიფუძნა ოდისეევსისა და კირკეს ვაჟმა რომანოსმა[3], არიან ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებენ: რომი დიომედეს მიერ ტროადან გამოგზავნილმა ემათიონის ძემ რომოსმა დააარსაო. სხვები ქალაქის დამფუძნებლად თვლიან ლათინთა მეფე რომისს, ვინც განდევნა ტირენები, რომლებიც თესალიიდან ლიდიაში, ხოლო ლიდიიდან იტალიაში გადასახლდნენ. ისინი კი, რომლებიც სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ქალაქს სახელი რომულუსმა დაარქვა, ერთმანეთს ვერ ეთანხმებიან ამ ვაჟკაცის წარმომავლობის საკითხში. ერთნი ამბობენ, ივი იყო ენეასისა და ფორბანტის ასულ დექსითეას ძე და ჯერ კიდევ სულ ჩვილი ძმასთან, რემუსთან[4] ერთად ნავით ჩამოიყვანეს იტალიაში. ადიდებულმა მდინარემ თურმე ყველა ნავი შთანთქა. ის ნავი კი, რომელშიაც ბალღები იყვნენ, წყნარად გარიყა გაშლილ ნაპირზე და ჩვილები გადარჩნენ, რაც მართლა საოცრება გახლდათ, ხოლო ამ ადგილს სახელად რომი უწოდეს. მეორენი ამტკიცებენ: ზემოხსენებული ტროელი ქალის[5] ასული რომა ტელემაქეს ვაჟს ლათინუსს გაჰყვა ცოლად და შვა რომულუსიო. მესამენი კი გადმოგვცემენ, ივი მარსისაგან გაუჩნდა ენეასისა და ლავინიას ასულ ემილიასო.

ზოგიერთი რომულუსის წარმოშობის თაობაზე სულ ზღაპრულ ამბებს მოგვითხრობს. ალბანთა ყველაზე უსამართლო და შეუბრალებელ მეფე ტარხეციუსს შინ საოცარი სასწაული მოევლინა: ოჯახის კერის შუა ფალოსი აღმოიმართა თურმე და მრავალი დღის განმავლობაში ასე დარჩა. ტირენიაში იყო ტეთისის სამისნო. იქ კი ტარხეციუსს უწინასწარმეტყველეს: შენი ქალი მოჩვენებას უნდა დაუკავშირდეს, ფალოსთან დაკავშირების შედეგად კი შეეძინება ვაჟი, რომელიც დიდად სახელოვანი, ვაჟკაცობით, ბედ-იღბლითა და ძალიცრებით გამორჩეული იქნებაო. ეს მისნობა ტარხეციუსმა თავის ერთ-ერთ ასულს გაანდო და უბრძანა შეუღლებოდა ფალოსს. ქალიშვილმა ეს იუკადრისა და თავის მაგივრად ამ საქმისათვის მზეკალი ქალი გაგზავნა. როცა ტარხეციუსმა ეს შეიტყო, საშინლად განრისხდა, ორივე საპყრობილეში ჩასვა და სიკვდილი მიუსაჯა. მაგრამ ძილში ვესტა გამოეცხადა და მკვლელობა აუკრძალა. მაშინ ტარხეციუსმა ტყვე-ქალებს უბრძანა ექსოვათ ქსოვილი იმ პირობით, როცა დაასრულებდნენ, გათხოვების უფლება მიეცემოდათ. დატყვევებულნი დღისით ქსოვდნენ, ღამით კი, ტარხეციუსის ბრძანებით, მათ ნაქსოვს

სხვა ქალები არღვევდნენ. მხევალ ქალს ფალოსისაგან ტყუპი შეეძინა. ტარხეციუსმა ჩვილები ვინმე ტერაციუსს გადასცა და მათი დახოცვა უბრძანა. ტერაციუსმა ტყუპები წაიყვანა და მდინარის პირას დატოვა[6]. ჩვილებთან სიარული დაიწყო ძუ მგელმა და მათ ძუძუს აწოვებდა; სხვადასხვა ფრინველთ კი ნისკარტით საკვები მოჰქონდათ და ბალღებს პირში უდებდნენ. ბოლოს ტყუპები შეამჩნია ერთმა მწყემსმა; გაოცებულმა გამბედაობა მოიკრიბა, მიუახლოვდა, აიტაცა ჩვილები ხელში და თან წაიყვანა. ასე გადარჩნენ ბალღები. მერმე კი, როცა დაიზარდნენ, თავს დაესხნენ ტარხეციუსს და დაამარცხეს იგი. ამას მოგვითხრობს ვინმე პრომათიონი, რომელმაც „იტალიის ისტორია“ შეთხზა.

3. ყველაზე უფრო სანდო და მრავალი მოწმობით დადასტურებული გადმოცემა მისი უმთავრესი ნაწილისა ბერძნებს პირველად მიაწოდა დიოკლე პეპარეთოსელმა, რომელსაც ბევრ შემთხვევაში ეთანხმება ფაბიუს პიქტორიც[7]. მართალია, მათთან ზოგიერთი სხვაობა კი გვხვდება, მაგრამ გადმოცემის ძირითადი შინაარსი ასეთია: ენეასის იმ შთამომავალთაგან, რომლებიც ალბაში მეფობდნენ[8], მემკვიდრეობა ერგო ორ ძმას — ნუმიტორსა და ამულიუსს. ამულიუსმა მთელი მემკვიდრეობა ორ ნაწილად გაყო: სამეფო ძალაუფლებას ქონება და ტროადან ჩამოტანილი ოქრო დაუპირისპირა. ნუმიტორმა სამეფო ძალაუფლება აირჩია. რაკიღა ამულიუსი ქონებას დაეპატრონა და ამის წყალობით ძალაც მეტი ჰქონდა, ნუმიტორს სულ ადვილად წაართვა სამეფო გამგებლობა. შეშინებულმა, ნუმიტორის ასულს შვილები არ შეეძინოსო, ძმისშვილი ვესტას ქურუმად გაამწესა, რათა მთელი სიცოცხლე გაუთხოვრად, ქალწულობაში გაეტარებინა. ნუმიტორის ასულს ზოგიერთები — ილიას, ზოგი — რეას, ზოგიც — სილვიას სახელით მოიხსენიებენ. მცირე ხნის შემდეგ გამოიკვა, რომ ვესტას ქურუმთათვის დადგენილი კანონის საწინააღმდეგოდ იგი ფეხმძიმედ იყო. მაგრამ სიკვდილით დასჯისაგან მეფის ასულმა ანთომ დაიხსნა, რომელმაც მამის წინაშე დაჟინებული თხოვნით მიაღწია ამას. ნუმიტორის ასული დაამწყვდიეს და მასთან არავის უშვებდნენ, რათა ამულიუსისაგან მალულად არ მომშობიარებულიყო. ბოლოს ქალმა იმშობიარა და შვა ორი საოცარი აღნაგობისა და სილამაზის ვაჟი. ამ ამბავმა ამულიუსი კიდევ უფრო მეტად დააფრთხო. მან მსახურს უბრძანა წაეყვანა ჩვილები და სადმე გადა-

ეყარა. ზოგიერთი ამბობს: ამ მსახურს ფაუსტულუსი ერქვაო; ხოლო სხვები სმტკიცებენ: ამას კი არ ერქვა ფაუსტულუსი, არამედ იმას, ვინც ბალღები იპოვა და აიყვანაო. ერთი სიტყვით, მსახურმა ჩვილები გობში ჩასხა და გადასაყრელად მდინარეზე ჩავიდა. მაგრამ როცა აზვირთებული და გაშმაგებული წყალი იხილა, შიშით ველარ მიეკარა, ჩვილები ფლატეზე დატოვა და გამობრუნდა. როცა მდინარე ადიდდა და ხმელეთზე გადმოვიდა, წყალმა გობი აიტაცა, წყნარად წაიღო და გამორიყა ერთ მშვიდ ადგილას, რომელსაც ახლა კერმალუსს ეძახიან, უწინ კი გერმანუსს უწოდებდნენ, როგორც ჩანს, იმიტომ რომ „გერმანები" ღვიძლ ძმებს ნიშნავს[9].

4. ამ ადგილის მახლობლად იყო ერთი ველური ლეღვის ხე, რომელსაც „რუმინალურს" ეძახდნენ ან რომულუსის ხათრით, როგორც ამას ბევრი ფიქრობს, ან კიდევ იმიტომ, რომ მცოხნავი პირუტყვი ეფარებოდა მის ჩრდილს შუადღის სიცხეში; ანდა, რაც ყველაზე უფრო შეესაბამებოდა სინამდვილეს, მიტოვებულ ჩვილებს აქ აწოვებდნენ ძუძუს[10]. ძუძუს ძველები უწოდებდნენ „რუმას", ხოლო იმ ღმერთქალს, რომელზედაც ფიქრობდნენ, ბალღების გამოკვებას თვალყურს ადევნებდაო, სახელად უწოდებენ რუმილიას. ამ ღმერთქალს მსხვერპლს სწირავენ ღვინის გარეშე: სამსხვერპლო ხაქონელს რძეს ასხურებენ. აი, ამ ხის ქვეშ იწვნენ თურმე ჩვილები და მათ, როგორც გადმოგვცემენ, ძუძუს აწოვებდა ძუ მგელი, რომელსაც ბალღების გამოკვებასა და დაცვაში ეხმარებოდა კოდალა. ორივე — ძუ მგელიცა და კოდალაც მარსისადმი შეწირულ წმინდა სულდგმულებად ითვლებიან[11]. ლათინები კოდალას განსაკუთრებული მოწიწებითა და თაყვანისცემით ეკცევიან. აი, ამიტომ იყო, როცა ჩვილების დედა ამტკიცებდა, ისინი მარსისაგან შემეძინაო, ყველა უჯერებდა. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ თვითონ ამულიუსმა შეაცდინა: იარაღასხმული გამოეცხადა, ძალა იხმარა და ქალწულობა წაართვაო. ზოგიერთის აზრით, თქმულებას ზღაპრული ხასიათი ძიძის სახელის ორაზროვნების წყალობით მიეცა. მართლაც, ლათინები „ლუპას" ძუ მგელსაც ეძახიან და მეძავ ქალსაც. სწორედ ასეთი ქალი იყო ფაუსტულუსის ცოლი აკა ლარენცია, რომელმაც ჩვილები გამოკვება. რომაელები მას მსხვერპლს სწირავენ, ხოლო აპრილის თვეში მარსის ჭურეში მისი სულის მოსახსენიებელ მსახურებას ასრულებს. ამ დღეობას „ლარენციას" უწოდებენ.

5. რომაელები თაყვანს სცემენ კიდევ მეორე ლარენციას შემდეგი მიზეზის გამო. ერთ დღეს თურმე ჰერკულესის ტაძრის მცველმა, რომელიც უსაქმურობით მოწყენილიყო, გადაწყვიტა თავის გასართობად ღმერთთან კოჭაობა გაემართა. მან ასეთი პირობა დადო: თუ მოიგებდა, ღმერთს მისთვის უნდა ებოძებინა ის წყალობა, რომელსაც მოსთხოვდა, თუ წააგებდა, მაშინ მას უნდა სუფრას გაუშლიდა და ტურფა ქალსაც მიუწვენდა. აი, ამ პირობით კოჭები ააგდო ჯერ ღმერთის სახელზე, მერმე კი თავისთვის და წააგო. რახან სურდა სიტყვის კაცი გამოსულიყო და დათქმული პირობა შეესრულებინა, ღმერთს სუფრა გაუწყო, მერმე დაიქირავა ერთი ლამაზი, მაგრამ ჯერ სახელგაუტეხელი ქალი, სახელად ლარენცია, გაუშალა სარეცელი ტაძარში და კარგადაც მოულხინა. ლხინის შემდეგ კი ჩაკეტა იქ, ვითომცდა ღმერთი უნდა დაპპატრონებოდა. ღმერთი თურმე მართლაც დაუკავშირდა ქალს, მერმე კი უბრძანა დილაადრიან მოედანზე წასულიყო, პირველი შემხვედრისათვის ეკოცნა და საყვარლად გაეხადა. და, აი, ქალს შეხვდა ერთი ხანშიშესული, საკმაო ქონების მფლობელი უცოლშვილო მოქალაქე, სახელად ტარუციუსი. იგი ლარენციას დაუახლოვდა, შეიყვარა და, როცა სიკვდილი კარს მოადგა, დიდძალი ქონების მემკვიდრედ დატოვა. ლარენციამ ამ სიმდიდრის დიდი ნაწილი ანდერძით ხალხს გადასცა. ამბობენ, იგი უკვე სახელგანთქმული იყო და ღვთის საყვარლად ითვლებოდა, როცა ანაზდეულად გაუჩინარდა იმ ადგილის მახლობლად, სადაც პირველი ლარენცია იყო დაკრძალული. ამ ადგილს ახლა ვ ე ლ ა ბ რ უ მ ი ჰქვია, იმიტომ რომ ფორუმზე მისასვლელად აქ ნავებით გადადიოდნენ მდინარის ხშირი ადიდების დროს, ასეთ გადასვლას კი „ველატურას“ ეძახიან. ზოგიერთი ამბობს: სანახაობათა მომწყობნი ფორუმიდან ცირკისაკენ მიმავალ გზაზე სწორედ ამ ადგილიდან სააფრე ტილოებს აგებდნენო, აფრას კი ლათინურად „ველუმი“ ეწოდება.

აი, ამის გამო ეწია მეორე ლარენცია პატივსა და თაყვანისცემას რომაელთა მხრივ.

6. ჩვილები აიყვანა ამულიუსის ღორების მწყემსმა ფაუსტულუსმა. ეს თითქოს სხვების შეუმჩნევლად მოიმოქმედა, მაგრამ ზოგიერთი, რომელთა აზრიც უფრო ჰგავს ჭეშმარიტებას, ამტკიცებს: ეს ნუმიტორმა იცოდა და აღმზრდელებს ბალღების გამოზრდაშიც ეხმარებოდაო. წერა-კითხვისა და ყველა იმ საგნის შესასწავლად,

რომელთა ცოდნაც წარჩინებულ პირთათვისაა საჭირო, ამბობენ, ბავშვები გაბიუმში ჩაიყვანესო. გადმოგვცემენ იმასაც, რომ მათ დაარქვეს რომულუსი და რემუსი სიტყვა „ძუძუს" წყალობით, ვინაიდან დაინახეს, მგლის ძუძუს სწოვდნენო[12]. ჩვილობაშივე გამომჟღავნდა, ბალღების დიდსა და მოხდენილ სხეულებში კეთილშობილება იყო დაბუდებული. როცა წამოიზარდნენ, ორივენი ძლიერნი და მამაცნი გახდნენ, ყოველგვარ საფრთხეს დიდი გამბედაობითა და სრული უშიშროებით ეგებებოდნენ. რომულუსი, ჩანდა, უფრო მეტად ჭკუით მოქმედებდა და სახელმწიფოებრივ ნიჭს ამჟღავნებდა. მეზობლად მოსახლე ხალხში, რომელთანაც საძოვრებისა თუ ნადირობის გამო ურთიერთობის დამყარება უხდებოდა, წინდახედული ქცევით შექმნა აზრი, რომ იგი თავისი ბუნებით წინამძღოლობისათვის უფრო იყო გაჩენილი ამ ქვეყნად, ვიდრე მორჩილებისათვის.

ტოლ-სწორებსა და მდაბიოებს ძმები მეგობრულად ეჭცეოდნენ. მაგრამ მეფის მიერ დაყენებულ ზედამხედველებს, მხედართმთავრებსა და მწყემსთა გამგებლებს, რომლებიც სულაც არ აღემატებოდნენ სიჭაღლეით მათ, ქედმაღლურად ეპყრობოდნენ და მათ მუქარასა და რისხვას არად აგდებდნენ. ისინი თავისუფალი კაცისათვის შესაფერ ცხოვრებას ეწეოდნენ, თავისუფლებას სიზარმაცესა და უქნარობაში კი არ ხედავდნენ, არამედ ვარჯიშობასა, ნადირობასა და რბენა-შეჯიბრში; ასევე ავაზაკებთან ბრძოლაში, ქურდების შეპყრობასა და ძალადობა-უსამართლობის მსხვერპლთა დახსნაში. აი, ამის გამო ძმები ფრიად სახელგანთქმულნი იყვნენ.

7. ერთხელ ნუმიტორისა და ამულიუსის მწყემსები წაიკიდნენ და ერთმანეთს საქონელი წაართვეს. რომულუსი და რემუსი გაწყრნენ, მოძალადეები კარგად მიბეგვეს, უკუაქციეს და დიდი ნადავლი იგდეს ხელთ. როცა ამის გამო ნუმიტორი განრისხდა, ეს არად ჩააგდეს და შეკრიბეს რაზმი, რომელიც ლატაკებისა და მონებისაგან შედგებოდა. ისინი განდგომისა და დაუმორჩილებლობისაკენ უბიძგებდნენ მათ. ერთხელ, როცა რომულუსი, ღვთისმსახურებისა და მისნობის ერთგული კაცი, მსხვერპლს სწირავდა, ნუმიტორის მწყემსები შეხვდნენ მცირერიცხოვანი მხლებლებით მიმავალ რემუსს და ჩხუბი აუტეხეს. ჩხუბში, რომელშიაც ორივე მებრძოლი მხრიდან ზოგი გაიცალა და ზოგიც დაიჭრა, გაიმარჯვეს ნუმიტორის მწყემსებმა და რემუსი ცოცხლად შეიპყრეს. იგი მიიყვანეს ნუმიტორთან და ბრალდე-

ბით აავსეს. მაგრამ ნუმიტორი ძმის რისხვას მოერიდა და რემუსი ვერ დასაჯა. იგი გაეშურა ამულიუსთან და სამართალი მოსთხოვა: ძმა ვარ შენი და მომხედე; მართალია, მეფე ბრძანდები, მაგრამ შენს მსახურებს ჩემს თავს ნუ აჩაგვრინებო. აღშფოთებული იყვნენ ალბას მოსახლენიც. ისინი თვლიდნენ, ასეთი დამცირება ნუმიტორის ღირსებისათვის შეუფერებელი არისო. ამან იმოქმედა ამულიუსზე და ნუმიტორს რემუსი მის განკარგულებაში გადასცა; შეეძლო ისე მოქცეოდა, როგორც მოესურვებოდა. როცა ნუმიტორი შინ დაბრუნდა, ბრძანა ჭაბუკი მასთან მიეყვანათ. იგი გააოცა მისი სხეულის აღნაგობამ, რომელიც ახოვნებითა და ძლიერებით ყველას აღემატებოდა, ხოლო მის სახეზე ამოიკითხა სულის სიმტკიცე და შეუპოვრობა: ჩანდა, ჭაბუკი არსებულ ვითარებას ქედმოუხრელი სიმამაცით შეეგებებოდა. ნუმიტორი ისმენდა მის მიერ ჩადენილ საქმეთა ამბავს, რაც შეესაბამებოდა საკუთარი თვალით ნანახს, მაგრამ რაც მთავარი იყო, ღვთის განგებით, რომელიც დიად საქმეთა საწყისს განსაზღვრავს, ბედნიერმა შემთხვევამ ნუმიტორს საშუალება მისცა სინამდვილეს მიხვედრილიყო. ნუმიტორმა ტკბილი და ალერსიანი გამოხედვით ნდობა და იმედი შთაუნერგა რემუსს და ჰკითხა: ვინა ხარ, რა წარმოშობის ბრძანდებიო? რემუსმა თამამად უპასუხა: „არაფერს დაგიმალავ. ჩანს, შენ უფრო მეტად ხარ შემკობილი მეფური ღირსებით, ვიდრე ამულიუსი: სანამ კაცს დასჯიდე, ჯერ ჰკითხავ და მოუსმენ, ის კი განუკითხავად აგზავნის ხალხს დასასჯელად. ჩვენ ტყუპები ვართ. აქამდე თავს ვთვლიდით მეფის მსახურთა — ფაუსტულუსისა და ლარენციას შვილებად, მაგრამ მას შემდეგ, რაც იძულებული ვართ სულის შესანარჩუნებლად ვიბრძოლოთ, რადგან ცილი დაგვწამეს და შენთან დაგვაბეზღეს, ფრიად საოცარი ამბები გვესმის. სინამდვილეა თუ არა ჩვენზე დარხეული ხმები, ეს, როგორც ჩანს, ახლანდელმა განსაცდელმა უნდა განსაჯოს. ამბობენ, ჩვენი დაბადება საიდუმლობითაა მოცული; ქვეყნად გაჩენის დღიდანვე საოცარზე საოცარი ყოფილა ჩვენი გამოკვებისა და გამოზრდის ამბავიც; საზრდოს გვაძლევდნენ თურმე ის ფრინველნი და მხეცნი, რომელთა შესაგმელადაც მიგვაგდეს: დიდი მდინარის პირად ვიბში ჩაყრილებს მგელი გვაწოვებდა ძუძუს, ხოლო ოდალას ნისკარტით მოჰქონდა საკვები ჩვენთვის. ის ბიბი დღემდე შემოინახა. მისი სპილენძის სალტეებზე ამოკაწრულია უკვე ფერგადასული წარწერა, რო-

მელიც შეიძლება ჩვენი მშობლებისათვის გამოსაცნობ ნიშნად გახდეს ოდესმე, მაგრამ გამოუსადეგარია, რაკი ჩვენ ცოცხალთა შორის აღარ ვიქნებით".

ამ სიტყვებითა და რემუსის გარეგნობით ნუმიტორმა ვაჟკაცის ასაკი განსაზღვრა. მას ახლა იმედი შთაესახა და იმასღა ფიქრობდა, ვით გასაუბრებოდა საიდუმლოდ თავის ასულს, რომელიც ჯერ კიდევ დამწყვდეული ჰყავდათ.

8. როცა ფაუსტულუსმა რემუსის შეპყრობისა და დასასჯელად გადაცემის ამბავი შეიტყო, რომულუსს ძმის გამოსახსნელად მოუწოდა და თან მისი წარმოშობის მთელი სიმართლე უამბო. მანამდე ამის თაობაზე ძმებს გადაკვრით ესაუბრებოდა და მხოლოდ ცოტას უმჟღავნებდა, რაც მათ სულიერ აღზევებას ხელს არ შეუშლიდა. შექმნილი ვითარების გამო ასწრაფებულმა და შიშით აღსავსე ფაუსტულუსმა ჩვენთვის ცნობილი გობი წაიღო და ნუმიტორთან გაეშურა. მეფის მცველებმა, რომლებიც ქალაქის ბჭესთან ჩამდგარიყვნენ, მასზე ეჭვი მიიტანეს და დაკითხეს. ფაუსტულუსი დაიბნა. მას დაუნახეს გობი, რომელსაც წამოსასხამს ქვეშ მალავდა. მცველთა შორის შემთხვევით აღმოჩნდა ერთი იმათთაგანი, რომლებმაც ჩვილები გადასაყრელად წაიყვანეს და ბალღების მიტოვებას დაესწრნენ. როგორც კი დაინახა ამან გობი, მაშინვე იცნო ნახელავით და წარწერით და იგრძნო: აქ რაღაც ამბავიაო. ამიტომ აღარ დააყოვნა, ყველაფერი აუწყა მეფეს და საქმის გამოძიება ურჩია. ფაუსტულუსი ბევრი აწამეს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გამოტეხეს. მან განაცხადა, ბავშვები გადარჩნენ და ახლა ალბადან შორს ნახირს აძოვებენო, რაც შეეხება გობს, იგი მიმაქვს ილიასთან, რომელსაც შვილებთან შეხვედრის იმედის განსამტკიცებლად ხშირად გამოუთქვამს სურვილი: ერთი მაჩვენე, რომ ხელი შევახოო.

შიშით დამფრთხალი თუ განრისხებული ადამიანი ჩვეულებრივ წინდაუხედავად იქცევა. ასე მოუვიდა ამულიუსსაც. მან სასწრაფოდ აფრინა ნუმიტორთან მისი მეგობარი, ერთი ღირსეული კაცი და უბრძანა გაეგო, ხომ არ მიულწევია ნუმიტორის ყურამდე ბალღების გადარჩენის ამბავს. როცა ეს კაცი მივიდა და იხილა, თუ რა დიდი ალერსითა და სიყვარულით ეპყრობოდა ნუმიტორი რემუსს, მათ იმედს ფრთა შეასხა და მოუწოდა მტკიცედ მოჰკიდებოდნენ საქმეს. თვითონაც მათთან დარჩა და დახმარების ხელი გაუწოდა. კიდეც რომ

მოესურვათ, დაყოვნების უფლება არც ჰქონდათ, დრო აღარ ითმენდა: რომულუსი უკვე ახლოს იყო; მასთან ჯგრო-ჯგროდ მორბოდნენ ამულიუსის ზიზღითა და შიშით ამოძრავებული მოქალაქენი. რომულუსს თვითონაც მოჰყავდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი, რომელიც ასეულებად იყო დაყოფილი. ყოველ რაზმს მოუძღოდა მეთაური და ყოველ მათგანს ზეალმართული მოჰქონდა თივისა და ფიჩხის კონით დაგვირგვინებული ჭოკი. ასეთ კონებს ლათინები „მანიპულებს“ ეძახიან. სწორედ აქედანაა ჯარებში ახლაც ხმარებული სიტყვა „მანიპულარები“[13].

ერთი სიტყვით, სანამ რემუსი ქალაქის შიგნით აწყობდა ამბოხს და გარს იკრებდა მომხრეებს, რომულუსი თავისიანებით ქალაქს უახლოვდებოდა. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა თავზარდაცემულმა ტირანმა ვეღარაფერი მოიმოქმედა, საკუთარი თავის გადარჩენაც ვერ შეძლო: იგი შეიპყრეს და მოკლეს.

ამ ამბავთა დიდ ნაწილს გადმოგვცემენ ფაბიუსი და პეპარეთოსელი დიოკლე, რომელმაც, ჩანს, პირველმა გამოაქვეყნა რომის დაარსების ისტორია. მართალია, ეს გადმოცემები ზოგიერთებისათვის საეჭვოა დრამატული და ზღაპრული ელფერის გამო, მაგრამ თუ ჩვენ დავუკვირდებით, რაგვარ საქმეთა შემომქმედია ბედისწერა და გავიზიარებთ აზრს, რომ რომის სახელმწიფო დიად სასწაულთა ღვთაებრივი საწყისის გარეშე ვერ მიაღწევდა დღევანდელ ძლიერებას, მაშინ უნდობლობით აღარ უნდა მოვეკიდოთ ასეთ გადმოცემებს.

9. ამულიუსის მოკვლისა და წესრიგის დამყარების შემდეგ ძმებმა აღარ მოინდომეს ეცხოვრათ ალბაში ძალაუფლების გარეშე; მაგრამ არც გამგებლობის დაპატრონება სურდათ, სანამ პაპა ცოცხალი ჰყავდათ. ამიტომ წინამძღოლობა ნუმიტორს ჩააბარეს, ამით საკუთარ დედას საკადრისი პატივი მიუგეს, თვითონ კი გადაწყვიტეს განცალკევებით ეცხოვრათ და დაეარსებინათ ქალაქი იქ, სადაც იმათ პირველად აწოვეს ძუძუ. ჩანს, ეს ყველაზე მოკრძალებული მიზეზი იყო. ძმები იძულებული გახდნენ ან დაეშალათ მათთან შემოკრებილ მონათა და განდგომილთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი და ყოველგვარ ძალაუფლებაზე ხელი აეღოთ, ანდა ამ ლაშქართან ერთად დასახლებულიყვნენ. ალბას მოსახლეობამ არ იკადრა განდგომილთა შემოერთება და არც მოქალაქეებად მიიღეს ისინი. ამას გვიმოწმებს უწინარეს ყოვლისა განდგომილთა მიერ ქალების მოტაცების ამბავი.

ეს საქმე თავხედობის გამო კი არ ჩაუდენიათ, არამედ მდგომარეობამ აიძულა ისინი ასე მოქცეულიყვნენ: ნებით არავინ მიჰყვებოდა მათ ცოლად. მოტაცებულ ქალებს დიდი მოწიწებითა და პატივით ეკიდებოდნენ. როგორც კი დაიწყო ქალაქის მშენებლობა, მაშინვე დაარსეს ლტოლვილთათვის წმინდა თავშესაფარი, რომელსაც ასილეოს ღმერთის სახელი უწოდეს[14]. აქ ღებულობდნენ ყველას და აქედან ხელში ვერ ჩაუვარდებოდა ბატონს გაქცეული მონა, ვერც მევახშეს მოვალე და ვერც ხელისუფალთ კაცისმკვლელი. ამტკიცებდნენ: პითონის სამისნოს წინათქმით აქ ყველასათვის უზრუნველყოფილი ხელშეუხებლობა გვაქვსო. ამის გამო ქალაქი სწრაფად გაიზარდა; თუმცაღა ამბობენ, პირველად აქ ათასზე მეტი კომლი არ იყოო. მაგრამ ამის თაობაზე ქვემოთ.

როცა დასახლებას შეუდგნენ, ძმებში მყისვე უთანხმოება ჩამოვარდა ადგილის გამო. რომულუსმა დააფუძნა ეგრეთ წოდებული „რომა კვადრატა“, რაც ოთხკუთხოვანს აღნიშნავს, და სწორედ ამ ადგილზე მოინდომა ქალაქის აგება[15], რემუსმა კი აირჩია ავენტინუსის ერთი გამაგრებული ადგილი, რომელსაც მისი სათრით რემონიუმი ეწოდა, ხოლო ახლა რიგნარიუმი ჰქვია. ბოლოს ძმები შეთანხმდნენ, დავა სამისნო ფრინველებზე დაკვირვებით გადაეწყვიტათ და როცა **საამისოდ** ცალ-ცალკე დასხდნენ, ამბობენ, რემუსს ექვსი ძერა გამოეცხადა, რომულუსს კი ორჯერ მეტი. ზოგიერთი გადმოგვცემს: რემუსმა ნამდვილად იხილა თავისი ფრთოსნები, რომულუსმა კი იცრუა; როცა მასთან რემუსი მივიდა, რომულუსმა მხოლოდ მაშინ დაინახა თორმეტი ძერაო. აი, ამის გამოა, რომ რომაელები ფრთოსნებზე მკითხაობის დროს განსაკუთრებულ უპირატესობას დღემდე ძერებს აძლევენ. ჰეროდორე პონტოელი გადმოგვცემს: ჰერაკლეც ხარობდა, როცა საქმეს ხელს მოჰკიდებდა და ძერა გამოჩნდებოდაო. მართლაც, ძერა ყველაზე უვნებელია სულდგმულთა შორის, იგი არასოდეს ზიანს არ მიაყენებს იმას, რასაც ადამიანი თესავს, რგავს ან აძოვებს, იკვებება მხოლოდ და მხოლოდ ლეშით: არ კლავს და არ ვნებს არც ერთ ცოცხალ არსებას, ხოლო ფრინველს მკვდარსაც კი არ მიეკარება თვისტომობის გამო; ეს მაშინ, როცა არწივი, ბუ და ქორი თავიანთ მოძმეთაც კი მტრობენ და ცოცხლად გლეჯენ. აკი ესქილეც ამბობს:

განა ფრთოსანი უმანკოა, როს სხვა ფრთოსანს ჭამს? [16].

ჭარდა ამისა აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა ფრინველები, ასე ვთქვათ, თვალში გვეჩხირებიან, მათი დანახვა ყოველთვის შეგვიძლია, ძერა კი ძვირად სახილველია და ძნელად თუ ვიპოვით კაცს, ვინც მის ბარტყებს წაწყდომოდეს. ყველაფერმა ამან ზოგიერთს უცნაური აზრი შეაგონა, თითქოს ძერები აქ შორიდან, უცხო ქვეყნიდან მოფრინავდნენ. მისნები, თავის მხრივ, ფიქრობენ, რომ ეს ზებუნებრივი მოვლენაა, რომელშიაც უზენაესი განგების ძალა ჩანს.

10. გაიგო თუ არა, ძმამ მომატყუაო, რემუსი გაბრაზდა. როცა რომულუსი ქალაქის კედლის გარშემოსარტყმელად თხრილის ამოღებას შეუდგა, დასცინოდა და საქმეშიც ხელს უშლიდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ, როდესაც რემუსი თხრილს გადაახტა, რომულუსმა ძმას საშინელი ძალით დაჰკრა და იქვე სული გააფრთხობინა. ზოგიერთი ამბობს, რემუსი რომულუსის ერთ-ერთმა მეგობარმა ცელერმა მოკლაო. ამ შეტაკებაში დაიღუპნენ აგრეთვე ფაუსტულუსი და პლისტინუსი. გადმოგვცემენ: პლისტინუსი ფაუსტულუსის ძმა იყო და მას რომულუსის აღზრდაში შველოდაო. ცელერი ტირენიაში გაიქცა. ამ დროიდან მოკიდებული რომაელები მარდსა და მკვირცხლ ადამიანებს „ცელერებს“ უწოდებენ[17]. ეს სახელი შეარქვეს კვინტუს მეტელუსსაც იმის გამო, რომ მამის სიკვდილიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ გასაოცარი სისწრაფით მოამზადა გლადიატორთა შეჯიბრი[18].

11. დაკრძალა თუ არა რემუსი და აღმზრდელები რემორიაზე, რომულუსი ქალაქის დაფუძნებას შეუდგა. ამ საქმეში მას ეხმარებოდნენ მის მიერ ტირენიიდან გამოწვეული საგანგებო პირები, რომლებიც დაწვრილებით უხსნიდნენ ადათით დადგენილ წესებს და ისე იქცეოდნენ, ვით საიდუმლო ხამსახურის აღსრულების ჟამს.

უწინარეს ყოვლისა იმ ადგილზე, სადაც ახლა კომიციუმია[19], ამოთხარეს ორმო და შიგ ჭაშნიკად ჩააწყვეს ყველაფერი ახლად მოწეული, რასაც კი ადათით ხასარგებლო სახმარად მიიჩნევდნენ და რაც ბუნებამ მიუზღო. ბოლოს თითოეულმა ჩაყარა ამ ორმოში იმ მხარიდან მოტანილი პეშვი მიწა, საიდანაც მოვიდა. მერმე მოელი ეს მიწა ერთმანეთში აურიეს, ორმო სამყაროს სახელით მონათლეს და დაარქვეს „მუნდუსი“, მიიჩნიეს რა ეს ადგილი შუაგულად. აქედან ქალაქის მიჯნა წრედ შემოავლეს. ქალაქის დამფუძნებელმა გუთანში, რომელსაც სპილენძის სახნისი გაუკეთა, ხარი და ძროხა შეაბა. გუთანს

თვითონვე გაუძღვა და მიჯნის გაყოლებაზე ღრმა კვალი გაავლო. უკან მიმყოლთ დავალებული ჰქონდათ გუთნით ამოგდებული ბელტი წრის შიგნით მოექციათ; არც ერთი ბელტი მიჯნის გარეთ არ უნდა მოხვედრილიყო. ასეთი სამიჯნო ხაზით განსაზღვრავენ ხოლმე ქალაქის კედლის მოხაზულობას და ბგერათა ამოღების წესით სახელად უწოდებენ „პომერიუმს“, რაც აღნიშნავს: „კედლის უკან“, „კედლის შემდეგ“ [20]. იქ, სადაც კარიბჭის გაკეთებაა გათვალისწინებული, სახნისს მიწიდან იღებენ, გუთანს ზევით სწევენ და შუალედს ტოვებენ. ამის გამოა, რომ მთელ კედელს წმინდა ადგილად თვლიან კარიბჭის გამოკლებით. კარიბჭეც რომ წმინდად ჩათვალოს ვინმემ, ზოგიერთი აუცილებელ და არაწმინდა საგანთა ქალაქში შეზიდვა და გატანა უთუოდ მკრეხელობა იქნებოდა.

12. აღიარებულია, რომ ქალაქი დაარსდა მაისის კალენდებამდე მეთერთმეტე დღეს[21]. რომაელები ამ დღეს ზეიმობენ და მას სამშობლოს დაბადების დღეს უწოდებენ. როგორც ამბობენ, დასაწყისში არც ერთ ცოცხალ არსებას ამ ზეიმზე მსხვერპლად არ სწირავდნენ, ფიქრობდნენ, სამშობლოს დაბადების დღის სახელობაზე გამართული დღესასწაული წმინდად და შეუბღალავად დაეცვათ. სხვათა შორის ქალაქის დაფუძნებამდე რომაელებს სწორედ ამავე დღეს ჰქონდათ სამწყემსო დღესასწაული, რომელსაც უწოდებენ პარილიებს.

დღესდღეობით რომაულ კალენდებს არაფერი აქვთ საერთო ბერძნულ ნუმენიებთან [22]. ამბობენ, ის დღე, როცა რომულუსმა ქალაქი დააფუძნა, ზუსტად ემთხვევა ბერძნული თვის ოცდამეათე დღესო[23] ამ დღეს ყოფილა მნათობის დაბნელების გამომწვევი შეხვედრა მთვარისა მზესთან, რაც თურმე იცოდა ეპიკოსმა პოეტმა ანტიმაქე ტეოსელმა; მომხდარა კი ეს მეექვსე ოლიმპიადის მესამე წელს[24].

რომაელთა შორის ისტორიაში ყველაზე უფრო ჩახედული კაცის, ფილოსოფოს ვარონის დროს მოღვაწეობდა მისი მეგობარი ტარუციუსი. იგი გახლდათ ფილოსოფოსი და მათემატიკოსი, რომელიც გატაცებული იყო წინასწარმეტყველებისათვის მნათობთა მოძრაობის ცხრილის შედგენით და ამ საქმეში დიდი სახელიც ჰქონდა[25]. ვარონმა მას დაავალა დაედგინა რომულუსის დაბადების დღე და საათი მისი ცხოვრების ბედის გათვალისწინებით და საამისოდ დაყრდნობოდა იმ მოძღვრებას, რომლითაც გეომეტრიული ამოცანების გადაწყვეტის დროს ხელმძღვანელობენ. ვარონის აზრით, თუ ეს მოძღვრება სა-

შუალებას იძლევა დაბადების დღის ცოდნის საფუძველზე ადამიანის მომავალი ცხოვრება ვიწინასწარმეტყველოთ, მანვე უნდა შესძლოს კაცის ცხოვრების გათვალისწინებით მისი დაბადების დღეც განსაზღვროს.

ტარუციუსმა დავალება შეასრულა. მან დაწვრილებით შეისწავლა რომულუსის წილად ხვედრილი ძნელბედობა და შესრულებული საქმენი, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა და სიკვდილის ვითარება. მერმე ყველაფერ ამას თავი მოუყარა და გაბედული სიმტკიცით განაცხადა შემდეგი: რომულუსი დედას ჩაესახა მეორე ოლიმპიადის პირველ წელს[26], ეგვიპტელთა თვის — ხეაკის ოცდამესამე დღეს, ამ დღის მესამე საათზე, როცა მზის სრული დაბნელება მოხდა; დაიბადა თოითის თვის ოცდამეერთე დღეს, მზის აღმოსვლის ჟამს, ხოლო რომი დააფუძნა ფარმუთის თვის მეცხრე დღეს, მეორე და მესამე საათის შუალედში[27].

ვარსკვლავთმცოიცხველნი ფიქრობენ, ქალაქის არსებობის ხანგრძლივობა, ვითარცა ადამიანისა, დასაბამითვანვე მტკიცედაა განსაზღვრული ბედისწერით, რომლის განმვრეტაც თურმე ვარსკვლავთა განლაგებაზე დაკვირვებით შეიძლება.

ამ და ამგვარ ამბავთა უცნაურობამ და გარდამეტებულობამ შეესაძლოა მკითხველი კი არ გაიტაცოს, არამედ თავი მოაბეზროს კიდეც თავისი ზღაპრული ელფერით.

13. როგორც კი დაფუძნა ქალაქი, რომულუსმა უწინარეს ყოვლისა სამხედრო რაზმებად დაჰყო ყველა, ვინც ასაკით მომწიფებული იყო. ყოველ რაზმში შედიოდა სამი ათასი ქვეითი მეომარი და სამასი ცხენოსანი. ასეთ რაზმს ეწოდებოდა „ლეგიონი“, ვინაიდან მისი შედგენა არჩევით ხდებოდა. ირჩევდნენ იმას, ვინც საომარი საქმისათვის ვარგოდა[28]. ყველა დანარჩენი ითვლებოდა ხალხად და ამ მრავალრიცხოვან ფენას ეწოდებოდა „პოპულუსი“. ასი საუკეთესო მოქალაქე რომულუსმა დანიშნა მრჩევლებად. რომელთაც პატრიციუსები დაარქვა, მათ კრებულს კი სენატი უწოდა. სენატი ზუსტად უხუცესთა საბჭოს აღნიშნავს. ერთნი ამბობენ, მრჩევლებს პატრიციუსები ეწოდათ იმის გამო, კანონიერი შვილების მამები იყვნენო, მეორენი კი ამტკიცებენ: უფრო მეტად იმიტომ, რომ შეეძლოთ, თვითონვე ეჩვენებინათ თავიანთი მამები, რაიც ქალაქში პირველ ხანებში მოზღვავებულ პირთაგან არცთუ ისე ბევრს ძალუძდაო[29]. სხვე-

ბის აზრით, მრჩეველთა სახელი მომდინარეობს „პატროციინიუმ“ სიტყვიდან: ასე უწოდებდნენ და დღემდე ასე ეძახიან მფარველებსო ფიქრობენ, მფარველობას ეს სახელი მისცა ევანდრესთან ერთად მოსულმა ერთმა მოქალაქემ, რომელსაც პატრონი ერქვა და გაჭირვებულთ მზრუნველობასა და დახმარებას უწევდა[30]. ჭეშმარიტებას მაინც ის უფრო უახლოვდება, ვისი აზრითაც რომულუსი სათავეში მდგომთა და უძლიერესთა მოვალეობად დაბეჩავებულებზე ზრუნვასა და მათ მფარველობას თვლიდა, ხოლო მფარველობაში მყოფთ ასწავლიდა, ძლიერთა წინაშე შიში კი არ ჰქონოდათ და მათთვის მიგებული პატივის გამო კი არ განაწყენებულიყვნენ, არამედ კეთილმოსურნეობით მოჰკიდებოდნენ, ჩაეთვალათ ისინი საკუთარ მშობლებად და ყოველთვის მამებად მოეხსენებინათ. და, მართლაც, დღემდე უცხოელები სენატში შემავალ პირთ „წინამძღოლებს“ უწოდებენ, თვითონ რომაელები კი — „რჩეულ მამებს“. ამ სახელწოდებით რომელშიაც შურის ნატამალიც არ ურევია, დიდებასა და პატივს გამოხატავენ. თავდაპირველად მათ მხოლოდ „მამებს“ ეძახდნენ, შემდეგში კი, როცა სენატის შემადგენლობაში უფრო მეტი და მეტი პირი მიიღეს, „რჩეული მამები“ შეარქვეს. აი, ასეთი იყო ის საპატიო სახელი, რომლითაც რომულუსმა სენატორთა ფენა უბრალო ხალხისაგან განასხვავა[31]. გარდა ამისა, მან კიდევ იმ ნიშნით გამიჯნა ძლიერნი მდაბიოთაგან, რომ პირველთ უწოდა პატრონები, რაც „მფარველთ“ აღნიშნავს, ხოლო მეორეთ დაარქვა კლიენტები, რაც, თავის მხრივ, „ხელქვეითებს“ გამოხატავს. ამასთანავე მათ ურთიერთობაში დაამკვიდრა საოცარი კეთილმოსურნეობა, რომელიც მომავალში დიდ უფლებათა და მოვალეობათა საფუძველი გახდა.

პატრონები ხელქვეითებს განუმარტავდნენ კანონებს, იცავდნენ სასამართლოში და ყოველ საქმეში მრჩევლებად და შემწეებად ევლინებოდნენ, კლიენტები კი თავის მხრივ მფარველებს გულმოდგინედ ემსახურებოდნენ, მარტო მოწიწებით როდი კმაყოფილდებოდნენ, არამედ ხელმოკლე პატრონებს ქალიშვილების გათხოვებაში ეხმარებოდნენ და მათ ვალებს იხდიდნენ. ვერც ერთი კანონი და ვერც ერთი მმართველი ვერ აიძულებდა კლიენტს პატრონის წინააღმდეგ მოწმედ გამოსულიყო, ანდა პატრონს კლიენტის საწინააღმდეგო ჩვენება მიეცა. შემდგომ ხანებში ყველა უფლება და მოვალეობა ძალაში დარჩა, ეს კია, წარჩინებულ პირთა მიერ მდაბიოთა-

გან ფულის აღება სამარცხვინო და უპატიო საქმედ ჩაითვალა. აი, ყველაფერი ის, რის თქმაც გვინდოდა ამ ამბის ირგვლივ.

14. რომის დაარსებიდან მეოთხე თვეს, როგორც ფაბიუსი გადმოგვცემს, მოხდა ქალების მოტაცებასთან დაკავშირებული ამბავი. ზოგი ამბობს, რომულუსმა საბინებზე[32] ძალა იმიტომ იხმარა, რომ ბუნებით ომის მოყვარული კაცი იყო და თანაც ერწმუნა რომელიღაც წინასწარმეტყველებას, თითქოს რომს ბედით ეწერა ომების წყალობით გაზრდა და განდიდებაო. ამბობენ: მან ბევრი კი არა, სულ ოცდაათი ქალიშვილი მოიტაცა, თანაც იმიტომ, რომ ომს უფრო დაეძებდა, ვინემ ქორწინებებსო. მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. რომულუსი ხედავდა, ქალაქი სწრაფად ივსებოდა ახალმოსულებით, რომელთაგან ცოლები ცოტას ჰყავდა, უმრავლესობა წარმოადგენდა გაჭირვებულ და საეჭვო პიროვნებათა ბრბოს, ვინც იმედს არ იძლეოდა, რომ აქ მტკიცედ დამკვიდრდებოდა. რომულუსი იმედოვნებდა, თუ საბინებს ქალებს მოსტაცებდა, ამ უსამართლო საქმით მათთან ერთგვარ კავშირსა და ურთიერთობას დაამყარებდა. აი, როგორ წამოიწყო მან ეს ამბავი. უწინარეს ყოვლისა ხმა დაარხია, ვითომ რომელიღაც ღმერთის მიწაში ჩაფლული საკურთხეველი იპოვა. ამ ღმერთს სახელად უწოდებდნენ კონუსს, ალბათ ბჭობის ღმერთი იყო და იმიტომ; საბჭოს ხომ დღესაც კონსილიუმს ეძახიან, უმაღლეს თანამდებობის პირთ კი — კონსულებს, ესე იგი მრჩევლებს. შესაძლოა ეს იყო ღმერთი პოსეიდონ-ჰიპიოსი[33]. მისი საკურთხეველი მართლაც უდიდეს ჰიპოდრომზე დგას და მხოლოდ ცხენების შეჯიბრებებზე გამოაჩენენ ხოლმე. სხვები კი ამტკიცებენ: რაკიღა საბჭოს გადაწყვეტილება სრულიად გასაიდუმლოებული და განუცხადებელი იყო, აზრს როდია მოკლებული ღმერთისათვის შეწირული მიწისქვეშა საკურთხეველი დაფარული ჰქონოდათო.

როცა საკურთხეველი სამზეეროზე ამოიტანეს, რომულუსმა ყველას წინასწარ აუწყა ეს და ღმერთის სახელობაზე ბრწყინვალე მსხვერპლშეწირვა, ასპარეზობა და საყოველთაო სანახაობა გამართა. ზეიმზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მეწამულ ტოგაში გამოწყობილი რომულუსი თავკაცებთან ერთად წინ იჯდა. თავდასხმის ნიშანი ის იყო, რომ დათქმულ დროზე რომულუსი ფეხზე წამოდგებოდა, ტოგას დაკეცავდა და მხრებზე მოიგდებდა. მახვილებით შეიარაღებული მრავალი კაცი წინამძღოლს თვალებში შესცქეროდა. როგორც

კი ნიშანი იქნა მიცემული, რომაელებმა მყისვე იშიშვლეს მახვილები, კიჟინით ეკვეთნენ საბინებს და თანმხლები ქალიშვილები მოსტაცეს. დაზარალებულ საბინებს კი გაქცევის საშუალება მისცეს და უკან არ დაედევნენ. ზოგიერთი ამბობს: მოიტაცეს სულ ოცდაათი ქალიშვილი, რომელთა სახელები შემდეგ კურიებს მიეცათო[34]. ვალერიუს ანტიას გადმოცემით მოიტაცეს ხუთას ოცდაშვიდი ასული, იუბას მტკიცებით კი მოტაცებულ ქალიშვილთა რიცხვი ექვსას ოთხმოცდასამს აღწევდა[35]. რომულუსს ყველაზე მეტად ის ამართლებს, რომ ყველა მოტაცებული ქალწული იყო. გათხოვილი ქალი არ მოუტაცნიათ, გარდა ერთისა, რომელსაც სახელად ჰერსილია ერქვა და ისიც შემთხვევით წაიყვანეს. ქალიშვილების მოტაცებაზე რომაელებს უბიძგა არა თავხედობამ თუ უსამართლობამ, არამედ იმან, რომ განზრახული ჰქონდათ ორივე ტომი შეერთებინათ და მტკიცე კავშირით შეეკრათ. ზოგი ამბობს: ჰერსილია დაქორწინდა ჰოსტილიუსზე რომელიც რომაელებში გამორჩეული ვაჟკაცი იყოო. სხვათა გადმოცემით კი იგი შეუღლებია თვითონ რომულუსს და გაუჩენია მისთვის შვილები — ერთი ასული, რომელსაც დაბადების რიგის გამო პრიმა[36] დაარქვეს და ერთადერთი ვაჟი, ვისთვისაც რომულუსს, მის გამგებლობაში მოქალაქეთა თავმოყრის აღსანიშნავად, აოლიუსი[37] უწოდებია, ხოლო შემდეგში სხვებს აბილიუსი შეურქმევიათ.

სხვათა შორის ზენოდოტე ტროიძენელს, რომელიც ამ ცნობებს გვაწვდის, მრავალი მოკამათე ჰყავს[38].

15. ამბობენ, ქალიშვილების მომტაცებელთა შორის მაშინ აღმოჩენილა მდაბიო წარმოშობის რამდენიმე კაცი, რომელთაც სილამაზითა თუ სიმაღლით ყველაზე უფრო გამორჩეული ასული მიჰყავდათ თურმე. როცა გზათ შემომხვდურ წარჩინებულებს ქალიშვილის წართმევა დაუპირებიათ, მდაბიოებს უყვირიათ: ეს ქალიშვილი მიგვყავს ტალასიუსთან, ახალგაზრდა, მაგრამ სახელოვან და ღირსეულ კაცთანო. ეს რომ მოუსმენიათ, წარჩინებულებს გამამხნევებელი ყიჟინა და ტაშის ცემა აუტეხიათ, ზოგიერთი მათგანი შემობრუნებულა კიდეც, მდაბიოებს გაყოლიან და გზადაგზა, ტალასიუსის მიმართ კეთილგანწყობილებისა და მადლიერების ვრძნობის გამოსახატავად, სულ მისი სახელი უყვირიათ. აქედან მოკიდებული დღემდე ქორწინების დროს რომაელებისათვის ტალასიუსი ისეთივე შეძახილია, როგორც ბერძნებისათვის ჰიმენეოსი[39]. ამის მიზეზი კი, ამბო-

ბენ, ის იყო, რომ ტალასიუსისათვის საბინების ასულთან შეუღლება ბედნიერი გამოდგა. კართაგენელმა სექტიუს სულამ, მუზებისა და ქარიტების საქმეში ჩახედულმა კაცმა, ჩვენ გვითხრა: სინამდვილეში ტალასიუსის სახელი ასულთა მოტაცების დროისათვის რომულუსმა პირობით ნიშნად დათქვა; ყველა მომტაცებელი, რომელთაც ქალიშვილები მიჰყავდათ, განუწყვეტლივ გაიძახოდა ტალასიუსის სახელს და ეს შეძახილი ქორწინების დროს ჩვეულებად დარჩაო. ისტორიკოსთა უმრავლესობა, რომელთა შორის იუბაც არის, ფიქრობს, რომ ეს შეძახილი მოწოდებაა საქმის სიყვარულის გასაღვივებლად და მატყლის მონდომებით სართავად: მაშინ იტალიური სიტყვები ჯერ კიდევ არ იყო შერეული ბერძნულთანო[40]. თუ ეს აზრი მცდარი არ არის და თუ რომაელები იმ დროს სიტყვა „ტალასიას“ იმ გაგებით იყენებდნენ, როგორც ჩვენ, მაშინ ზემოხსენებული შეძახილი შეიძლება, სხვა, უფრო ჭეშმარიტი მიზეზით აიხსნას. როცა რომაელებთან ომის შემდგომ საბინებმა ზავი შეკრეს, მოტაცებულ ქალთა თაობაზე დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ცოლებს თავიანთი ქმრებისათვის სხვა საქმე არ უნდა ეკეთებინათ, მატყლის დართვის გარდა. შემდგომში მართლაც ჩვეულებად დარჩა ის, რომ ქორწილის დროს პატარძლის მშობლები, ან მაყრები, ანდა ყველა დამსწრე ხუმრობით შესძახებდნენ ხოლმე: „ტალასიუს!“ და ამით ოჯახს მოაგონებდნენ: შემობრძანებულ პატარძალს, მატყლის დართვის გარდა, სხვა საქმე არ მოეთხოვებაო.

დღემდე დარჩა ის ჩვეულებაც, რომ პატარძალი თვითონ ვერ გადააბიჯებს ქმრის სახლის ზღურბლს, იგი ხელში ატატებული უნდა შეიყვანონ შინ, ვინაიდან საბინთა ასულები მაშინ თავისი ნებით კი არ შესულან რომაელთა ოჯახებში, არამედ ძალდატანებით შეიყვანეს. ზოგიერთი ამბობს: პატარძლისათვის შუბის წვერით თმის გაყოფაც იმის მაუწყებელი ნიშანია, რომ პირველი ქორწინება ბრძოლის და მტრობის ვითარებაში მოხდაო. ამის თაობაზე ჩვენ დაწვრილებით გვაქვს ნათქვამი „საკითხებში“[41].

საბინთა ქალების გაბედული მოტაცება მოხდა მაშინდელი სექსტილის, ხოლო ახლანდელი აგვისტოს თვის მეთვრამეტე დღეს. ამ დღეს ჩვეულებრივ კონსუალიის ზეიმს მართავენ[42].

16. საბინები მრავალრიცხოვანი და მეომარი ტომი იყო. ცხოვრობდნენ გალავნის კედლებით გაუმაგრებელ სოფლებში, ვინაიდან

თვლიდნენ, რომ ლაკედემონელთაგან წამოსულებს სიამაყე და გულმედგრობა შეეფერებოდა[43]. მაგრამ რაკი ხედავდნენ, რომ უდიდესი საწინდრით იყვნენ ხელფეხშეკრულნი, ქალიშვილების ბედით დაშინებულებმა თავშეკავებული და ზომიერი წინადადებებით გაუგზავნეს რომაელებს ელჩები.

საბინები რომულუსს სთხოვდნენ დაებრუნებინა მათთვის ასულები, ხელი აეღო ძალადობაზე და მეგობრობა და მოყვრობა ორ ტომს შორის მხოლოდ ამის შემდეგ დაემყარებინა მშვიდობიანი და კანონიერი გზით. რომულუსმა ქალიშვილები არ დაუბრუნა, ხოლო საბინებს მოუწოდა ახლავე დათანხმებოდნენ მოყვრობას. სანამ სხვა საბინები ამაზე მსჯელობდნენ და დროს მზადებაში კარგავდნენ, კენიტების მეფე აკრონი, კაცი მედგარი და მრისხანე მეომარი, პირველი აღდგა საომრად და დიდძალი ჯარით რომულუსის წინააღმდეგ წარემართა. აკრონი იმთავითვე ეჭვის თვალით უყურებდა რომულუსის გაბედულ საქმეთ, ხოლო ახლა, როცა ქალებიც დაიტაცა, მას ყველასათვის საშიშ კაცად თვლიდა და ვარაუდობდა, იგი კიდევ უფრო აუტანელი გახდებოდა, თუ არ დასჯიდნენ. საომრად წამოსულ აკრონისაკენ თავის მხრივ რომულუსიც დაიძრა. როცა პირისპირ დადგნენ და ერთმანეთს თვალი შეავლეს, საარდლებმა ერთიმეორე ორთა ბრძოლაში გამოიწვიეს, საომრად გამზადებულ ჯარებს კი უბრძანეს არ განძრეულიყვნენ. რომულუსმა აღთქმა დადო, თუ მტერს ძირს დასცემდა, თვითონვე შესწირავდა ზეცას დამარცხებულის იარაღს. მან მართლაც აჯობა აკრონს, ძირს დასცა იგი. როცა ბრძოლა გაჩაღდა, მისი ჯარი გაანადგურა და მტრის ქალაქიც აიღო. დატყვევებულ მცხოვრებლებს არა ავნო რა, გარდა იმისა, რომ უბრძანა, დაენგრიათ სახლები და გაჰყოლოდნენ რომში, რათა იქ დასახლებულიყვნენ და სხვათა თანაბარი უფლების მქონე მოქალაქენი გამხდარიყვნენ. რომის ზრდას არაფერი არ უწყობდა ისე ხელს, როგორც დამარცხებულთა შემოერთება და მათი ქალაქში დამკვიდრება.

მიცემული აღთქმით რომ ზეცის გული უფრო მოეგო და თანამოქალაქეებისათვისაც საამო სანახაობა გაემართა, რომულუსმა თავის ბანაკში თვალი დაადგა ერთ უზარმაზარ მუხას, მოჭრა იგი და მისგან გამოთაკოპიტა გამარჯვების ნიშანი[44], რომელზედაც მიასადაგა და ჩამოკიდა აკრონის თითოეული იარაღი, თვითონ საგანგებო ტანსაცმელში გამოეწყო და ჩამოშლილი თმა დაფნის გვირგვინით დაიმშვე-

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

ნა. გამარჯვების ნიშანი მარჯვენა მხარზე გაიდო, მერმე ზეაღმართული სწორად დაიკავა, საზეიმო სიმღერა წამოიწყო და წინ წარუძღვა მხედრობას, რომელიც სრული აღტაცებით მიჰყვებოდა. მოქალაქეები სიხარულითა და აღფრთოვანებით ეგებებოდნენ რომულუსსა და მის ჯარს. ეს საზეიმო მსვლელობა მომავალ ტრიუმფთა დასაწყისი და მაგალითი იყო. გამარჯვების ნიშანს სახელად უწოდეს ფერეტრიუს—ზევსის ძღვენი, ვინაიდან რომაელები „დანარცხებას" აღნიშნავენ „ფერირე"[45] სიტყვით; რომულუსი ხომ შეევედრა ღმერთს, მტრის დანარცხების ძალა მისცემოდა.

ვარონი ამბობს, მტრისათვის წართმეულ საჭურველს „ოპიმია"[46] შეარქვეს, რადგანაც ნადავლ სიმდიდრეს რომაელები „ოპუს" სიტყვით გამოხატავენო. უფრო დამაჯერებელი იქნება, კაცმა რომ ეს სიტყვა „საქმეს" დაუკავშიროს, „ოპუს" მართლაც „საქმეს" აღნიშნავს. „ოპიმიების" შეწირვის უფლება განსაკუთრებული მამაცობისათვის ეძლევა სარდალს, თუ იგი საკუთარი ხელით მოკლავს მტრის მხედართმთავარს. ეს უფლება წილად ხვდა მხოლოდ და მხოლოდ სამ რომაელ სარდალს: პირველად — კენიტელი აკრონის მკვლელ რომულუსს, მეორედ — კორნელიუს კოსუსს, რომელმაც ტირენელი ტოლუმნიუსი მოკლა და ბოლოს — კლავდიუს მარცელუსს, ვინც გალების მეფე ბრიტომარტუსი[47] დაამარცხა. კოსუსი და მარცელუსი რომში შევიდნენ ოთხ-ოთხცხენიანი ეტლებითა და თან გამარჯვების ნიშანი მიჰქონდათ. დიონისიოსი ცდება, როცა ამბობს: საზეიმო სვლის დროს რომულუსმაც ეტლი გამოიყენაო. გადმოგვცემენ, რომ რომის მეფეთა შორის დემარტუსის ძე ტარკვინიუსი იყო პირველი, რომელმაც ტრიუმფები ასე დიდებული სანახავი გახადა. სხვები კი ამტკიცებენ: სატრიუმფო ეტლზე პირველად პოპლიკოლა ავიდაო. ასეა თუ ისე, რომში არსებული ყველა ქანდაკება გამარჯვების ნიშნის მატარებელი რომულუსისა მას ქვეითად მომავალს წარმოუვიდგენს.

17. კენიტების დატყვევების შემდეგ, სანამ სხვა საბინები მზადებაში იყვნენ, ფიდენეს, კრუსტუმერიუმისა და ანტემნეს მოსახლენი რომაელთა წინააღმდეგ საომრად აღდგნენ, მაგრამ გაჩაღდა თუ არა ბრძოლა, მყისვე დამარცხდნენ. რომულუსმა მათ ქალაქები წაართვა, სამკვიდრებელი გაუჩანაგა და ყველა ძლეული რომში გადაასახლა. დამარცხებულთა მიწები მოქალაქეებს დაუნაწილა, მაგრამ ის ნაკვე-

თები, რომლებიც მოტაცებულ ქალიშვილთა მამებს ეკუთვნოდათ ხელუხლებლად დაუტოვა პატრონებს.

დანარჩენმა საბინებმა ეს ამბები ვეღარ მოითმინეს, მხედართ-მთავრად ტატიუსი აირჩიეს და რომზე გაილაშქრეს. მაგრამ ქალაქი თითქმის მიუვალი იყო იმ მაღლობის წყალობით, სადაც ახლა კაპიტოლიუმია. აქ იდგა ყარაული, რომლის უფროსი იყო ტარპეიუსი და არა ქალწული ტარპეია, როგორც გვიმტკიცებს ზოგიერთი, ვისაც სურს რომულუსი გულუბრყვილო კაცად წარმოგვიდგინოს. ტარპეია ყარაულის უფროსის ასული იყო. მან საბინებს სიმაგრე იმიტომ ჩააბარა, რომ მოიხიბლა ოქროს სამაჯურებით, რომლებიც მტრებს დაუნახა, და ღალატის საზღაურად მოითხოვა მიეცათ მისთვის ის, რასაც მარცხენა ხელზე ატარებდნენ. ტატიუსი დათანხმდა. ტარპეიამ ღამით ერთ-ერთი კარი გააღო და საბინები სიმაგრეში შეუშვა. როგორც ჩანს, ერთადერთი როდი იყო ანტიგონე[48], როცა ამბობდა: მიყვარს ის, ვინც ღალატს აპირებს, და მეზიზღებიან, ვინც ეს უკვე ჩაიდინაო, ანდა — კეისარი[49], ვინაც თრაკიელ რიმიტალკეზე თქვა: მიყვარს გამცემლობა, მაგრამ გამცემი მძულსო. ასეთია არამზადების მიმართ იმათი განწყობილება, რომლებსაც ისინი სჭირდებათ ისე როგორც ზოგიერთი ცხოველის შხამი და ნაღველია ბანდახან საჭირო. მათ მართლაც მოსწონთ გამცემი, როცა მისგან სარგებლობას იღებენ, მაგრამ მიაღწევენ თუ არა მიზანს, ბოროტი საქმე ზიზღითა და სიძულვილით ავსებთ. აი, ასეთი განწყობა ჰქონდა ტარპეიას მიმართ მაშინ ტატიუსსაც. როცა სიმაგრეში შევიდნენ, საბინებს უბრძანა პირობა დაეცვათ და ყველაფერი, რაც მარცხენა ხელზე ჰქონდათ, უშურველად მიეცათ გამცემისათვის. ტატიუსმა პირველმა მოიხსნა ხელიდან სამაჯური და ფართან ერთად თავისიანების მოღალატე ასულს ესროლა. ასევე მოიქცნენ სხვებიც და ოქროს სამკაულებისა და ფარების ქვეშ მოქცეული ტარპეია სიცოცხლეს გამოასალმეს. იუბამ, რომელიც სულპიციუს გალბას გადმოცემას ემყარება, ამბობს: რომულუსმა ღალატში ამხილა ტარპეიუსიც და დასაჯაო. რაც შეეხება სხვა გადმოცემებს ტარპეიას თაობაზე, ამათგან ყველაზე უფრო დაუჯერებელი ჩანს ის ამბავი, თითქოს ტარპეია იყო საბინთა მხედართმთავრის ტატიუსის ასული, რომელიც ვითომ ძალდატანებით ჰყავდა ცოლად რომულუსს და ზემოხსენებული ღალატისთვის საკუთარმა მამამ დასაჯა. ამ ამბის გადმომცემთა შორის ანტიგონოსიც



https://www.facebook.com/groups/ELLIB/

არის[50]. პოეტი სიმილე[51] კი სულ ტყუილებს ჩმახავს, როცა გვიმტკიცებს, ვითომც კაპიტოლიუმი ტარპეიამ ჩააბარა არა საბინებს, არამედ კელტებს, რომელთა მეფეზეც შეყვარებული იყოო. აი, რას ამბობს იგი:

> კაპიტოლიუმის ბორცვთან ტარპეია ცხოვრობდა ძველად,
> ამ ქალმა დიდებულ რომის ხელჰყო კედლები მძლე.
> კელტების სკიპტროსან მეფის სარეცელში ჩაწოლა სურდა,
> ამიტომ მიჰყიდა მან მშობელი ქალაქი მტერს.

ცოტა ქვემოთ კი ტარპეიას სიკვდილის თაობაზე ნათქვამია:

> კელტების ურიცხვმა ტომმა, ბოიებმა ყველაზე უწინ
> მიდამო პადუსის წყლისა არ წააბილწინეს ქალს,
> ღონიერ მკლავთაგან ფარნი ზარდამცემნი დაიხსნეს სწრაფად,
> გამცემს დააყარეს და დაფლეს ასე რიგად ის.

18. იმ მაღლობს, სადაც ტარპეია დამარხეს, ტარპეიუმი ეწოდებოდა მანამდე, სანამ ტარკვინიუს მეფემ ის ადგილი იუპიტერს არ შესწირა. ტარპეიას ნეშტი სხვაგან გადაიტანეს და მისი სახელიც დავიწყებას მიეცა. კაპიტოლიუმზე ტარპეიუმი ახლა ეწოდება მხოლოდ ერთ კლდეს, საიდანაც დამნაშავეთ გადაჩეხავდნენ ხოლმე.

როცა საბინებმა სიმაგრე დაიკავეს, განრისხებულმა რომულუსმა ისინი ბრძოლაში გაიწვია. ტატიუსმა გამოწვევა მიიღო, რახან უკანდახევის შემთხვევაში საიმედო თავშესაფარი ეგულებოდა. ადგილი, სადაც ჯარები ერთმანეთს უნდა შეჰყროდა, უამრავ გორაკებშუა იყო მოქცეული, ისე რომ ორივე მხარეს ცხარე და მძიმე ბრძოლა ელოდა. ასეთ ვიწროებში უკან დახევაცა და დევნაც ფრიად ხანმოკლე იქნებოდა. გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინ ადიდებულ მდინარესაც გადაევლო და ვაკე ადგილებში, იქ, სადაც ახლა ფორუმია, შავი შლამი კარგა სქლად დაეტოვებინა. თვალით შეუმჩნეველი ეს საშინელი შლამი ვერაგულ საფლობს ჰქმნიდა და იქიდან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელი იყო. საბინები, რომლებიც აქეთკენ მოისწრაფოდნენ, ბედმა დაიხსნა. ერთი გამოჩენილი ვაჟკაცი, სახელითა და მამაცობით გაყოყოჩებული კურციუსი, სხვებზე ბევრად ადრე გამოიჭრა აქეთ ცხენზე ამხედრებული. უცბად ცხენი შლამში ჩაეფლო. მხედარი ერთხანს ცდილობდა ცემითა და შეძახილებით პირუტყვი შლამიდან ამოეყვანა, მაგრამ, როცა ყველაფერი ამაო გამოდგა, ცხე-

ნი მიატოვა და თავი გადაირჩინა. ამიტომ ეწოდება ახლაც ამ ადგილს „ლაკუს კურციუსი“[52].

საბინები საფრთხეს გადაურჩნენ და ცხარე ბრძოლა გააჩაღეს. გამარჯვების ბედი ვერ გადაწყდა, თუმცაღა ორივე მხრივ მრავალი მებრძოლი დაეცა. ამათ შორის იყო ჰოსტილიუსიც. ამბობენ, იგი იყო ჰერსილიას ქმარი და პაპა იმ ჰოსტილიუსისა, ვინც ნუმას შემდეგ მეფობდაო.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოკლე ხნის განმავლობაში მრავალი შეტაკება მოხდა, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად იხსენიებენ უკანასკნელ შებრძოლებას. ამ ბრძოლის დროს რომულუსი ქვით დაიჭრა თავში. ცოტაღა უკლდა მიწაზე დაცემულიყო და მედგარი წინააღმდეგობა შეეწყვიტა. რომაელები მყისვე შედრკნენ და დაბლობი ადგილებიდან გარეკილნი სირბილით პალატიუმისაკენ გაეშურნენ. ოდნავ მომჯობინებული რომულუსი ცდილობდა იარაღით გადაეჭრა გზა უკუქცეულთათვის, ხმამაღალი ყვირილით მოუწოდებდა შეჩერებულიყვნენ და კვლავ ბრძოლას დაჰბრუნებოდნენ. მაგრამ მის გარშემო ისეთი ტალღა იყო უკუქცევისა, რომ ვერც ერთი ვერ ბედავდა შემობრუნებას. მაშინ რომულუსმა ცად აღაპყრო ხელნი და შეევედრა იუპიტერს გაეჩერებინა ჯარი, ნუ აარიდებდა მოწყალე თვალს რომაელთა შერყეულ სახელმწიფოს და ნუ დაღუპავდა მას. როგორც კი დაამთავრა ვედრება, მრავალი რომაელი შეიპყრო სირცხვილმა, უკუქცეულთ სიმამაცე დაუბრუნდათ. ისინი თავდაპირველად შეჩერდნენ იმ ადგილას, სადაც ახლა აგებულია ტაძარი იუპიტერ-სტატორისა, რაც, ასე ვთქვათ, „გამჩერებელს“ აღნიშნავს. ერთი სიტყვით, რომაელებმა კვლავ შეკრეს თავიანთი რიგები და საბინები ახლანდელ რეგიამდე[53] და ვესტას ტაძრამდე აოტეს.

19. რომაელებიც და საბინებიც უკვე ემზადებოდნენ ბრძოლა თავიდან დაეწყოთ, მაგრამ ყველა შეაჩერა შემზარავმა, ენით აუწერელმა სანახაობამ. სხვადასხვა მხრიდან ანაზდეულად გამოჩნდნენ რომაელთა მიერ მოტაცებული ქალები. თითქოს ღვთაებისაგან შეგონებულნი, წივილ-კივილით და გოდებით გადავიდნენ გროვად დაყრილ იარაღსა და გვამებზე და ქმრებსა და მამებს მიაშურეს. ნაწილს თმა ჩამოეშალა და ყველაზე საალერსო სახელებით ხან საბინებსა და ხან რომაელებს უხმობდა. ამან ორივე მებრძოლი მხარე გატეხა, ორივემ უკან დაიხია და მებრძოლ მწკრივთა შორის ქალებს ადგილი და-

უთმეს. ქალების ქვითინი და ტირილი ყველგან აღწევდა. ღრმა სიბრალულის ვრძნობას იწვევდა მათი სახე და კიდევ უფრო მეტად მათი სიტყვები, რომლებიც სამართლიანი და გულახდილი საყვედურებით იწყებოდა და ხვეწნა-მუდარით მთავრდებოდა. „განა, — ამბობდნენ ქალები, — რა საშინელება ჩავიდინეთ თქვენ წინაშე, ანდა რა დაგიშავეთ ისეთი, რომ ასე დავიტანჯეთ და ახლაც ასე ულმობლად ვიტანჯებით? ძალდატანებითა და უკანონოდ მოტაცებულნი იმათაგან, რომელთაც ახლა ვეკუთვნით, დიდი ხანია დაგვივიწყეს ჩვენმა ძმებმა, მამებმა და ნათესავებმა. ამ ვითარებამ შეგვაერთა საძაგელ მტრებთან ისეთი მტკიცე კავშირით, რომ იძულებული ვართ იმათ გამო, რომლებმაც ძალა იხმარეს და უკანონობა ჩაიდინეს, შიშით ვკანკალებდეთ, როცა ბრძოლად მიდიან და ვიტიროთ, როცა იღუპებიან. თქვენ არ მოხვედით შურის საძიებლად მოძალადეებზე, სანამ ჩვენ ჯერ კიდევ ქალწულები ვიყავით; ახლა კი მოსულხართ და ქმრებს ცოლებს ართმევთ, ბავშვებს კი დედებს! ჩვენისთანა უბედურთათვის ეგ დახმარება თქვენს წინანდელ გულგრილობასა და ღალატზე უფრო მწარეა. აი, როგორი სიყვარული გვერგო იმათგან, აი, როგორი სიბრალული დავიმსახურეთ თქვენგან! თუ თქვენ სხვა რაიმე მიზეზის გამო იბრძოდით, ამიერიდან უნდა შეწყვიტოთ ბრძოლა: თქვენ ხომ ჩვენი წყალობით პაპები და მოყვრები გახდით. მაგრამ თუ ეს ომი ჩვენი მიზეზით არის ამტყდარი, მაშინ წაგვიყვანეთ აქედან თქვენს სიძეებთან და შვილიშვილებთან ერთად; დაგვიბრუნეთ მამები და ახლობლები; ნუ წაგვართმევთ შვილებსა და ქმრებს; ნუ გადაგვაქცევთ ქვლავ ტყვეებად!“

ბევრი ამის მსგავსი სიტყვა თქვა აგრეთვე ჰერსილიამ, სხვები კი ამ სიტყვებს გულის მომკვლელ ქვითინს ურთავდნენ. ბოლოს და ბოლოს მეომარმა მხარეებმა დროებითი ზავი დადეს და მხედართმთავრები მოსალაპარაკებლად შეიყარნენ[54]. გახარებულ ქალებს ამასობაში მამებსა და ძმებთან მიჰყავდათ თავიანთი ქმრები და შვილები, მიჰქონდათ საჭმელი და სასმელი, ვისაც კი ეს სურდებოდა, ხოლო დაჭრილები გადაჰყავდათ სახლებში, მზრუნველობით უვლიდნენ და ამით საშუალებას აძლევდნენ ეხილათ, რომ ქალები სახლის სრული ბატონ-პატრონი არიან, რომ ქმრები მათ ყურადღებითა და მოწიწებით ეპყრობიან.

მალე ზავი დადეს შემდეგი პირობებით: ქალები, სურვილისდა მი-

ხედვით, რჩებოდნენ თავიანთ ქმრებთან და თავისუფლდებოდნენ, როგორც ზემოთ ითქვა, ყოველგვარი საქმისა და გარჯისაგან, გარდა მატყლის რთვისა; რომაელები და საბინები დასახლდებოდნენ ერთ ქალაქში; ქალაქს რომულუსის სახელის მიხედვით „რომი“, ხოლო ყველა რომაელს, ტატიუსის სამშობლოს პატივსაცემად „კვირიტები“ დაერქმეოდა[55]. მეფობა და მხედართმთავრობა ორივესთვის საერთო უნდა ყოფილიყო. იმ ადგილს, სადაც შეთანხმება დაიდო, დღემდე ეწოდება „კომიციუმი“, ვინაიდან რომაელები „კომირე“ სიტყვით „ერთად შეყრას“ აღნიშნავენ.

20. როცა ქალაქი ორგზის გაიზარდა, დამატებით აირჩიეს საბინთაგან ასი პატრიკი, ხოლო ლეგიონები ექვს-ექვსი ათასი ქვეითისა და ექვსასა-ექვსასი მხედრის შემცველი გახდა. მოსახლეობა სამ ფილედ დაყვეს და უწოდეს: პირველს — რამნები რომულუსის სახელისაგან, მეორეს — ტატიები ტატიუსის სახელისაგან, მესამეს — ლუკერები იმ წმინდა ჭალის წყალობით, რომელსაც ხელშეუხებლობის უფლებით თავს აფარებდა მრავალი ლტოლვილი, რათა მერმე რომის სახელმწიფოს მოქალაქეობა მიეღო. რომაელები „ლუკოს“ სიტყვით „ჭალას“ აღნიშნავენ. ფილე რომ ზუსტად სამი იყო, ამას თვითონ სიტყვაც გვიმოწმებს: რომაელები ფილებს ახლაც ტრიბებს უწოდებენ, ხოლო ფილარქებს — ტრიბუნებს[56]. თითოეული ფილე შეიცავდა ათ კურიას[57], რომელთაც, როგორც ზოგიერთი ამბობს, მოტაცებულ საბინელ ქალთა სახელები ეწოდა. მაგრამ ეს სწორი არ უნდა იყოს, კურიათა უმრავლესობამ სახელი მიიღო ადგილმდებარეობის მიხედვით. ქალებს კი ისედაც ბევრი პატივი დაუწესეს, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: როცა მომავალთ დაინახავენ, ყველამ გზა უნდა დაუთმოს; ქალის თანდასწრებით უშმაწური სიტყვები არამც და არამც არ გაბედონ, მის წინაშე გაშიშვლებულნი არ გამოჩნდნენ. არ შეიძლება ქალების მიცემა სასამართლოში მკვლელობის ბრალდებით. მათი ბავშვები ატარებენ ბუშტისებრ ყელსაბამს, რომელსაც „ბულა“ ეწოდება და აცვიათ ძოწით მოქარგული სამოსი[58].

რომაელთა ორი მეფე სახელმწიფო საქმეთ იმთავითვე ერთად რომი წყვეტდა; პირველ ხანებში ყოველი მათგანი თავისი ასი სენატორით განცალკევებით ბჭობდა. მერმე კი სენატის ყველა წევრს ერთად მოუყარეს თავი. ტატიუსი ცხოვრობდა იქ, სადაც ახლა მონეტის ტაძარია[59], რომულუსი კი ბინადრობდა ეგრეთ წოდებულ ლამაზი სანა-

პიროს კიბესთან[60]. ეს კიბე მდებარეობს პალატიუმიდან დიდი ცირკისაკენ ჩამავალ გზაზე. აქვე იდგა თურმე წმინდა შინდის ხე, რომლის თაობაზე ასეთ ამბავს გადმოგვცემენ: ერთხელ რომულუსმა მკლავის ძალის გამოსაცდელად ავენტინუსის გორაკიდან შინდის ხის ტარიანი შუბი სტყორცნა; შუბი ისე ჩაესო თურმე მიწაში, რომ თუმცა ბევრმა სცადა მისი ამოღება, ვერავინ ვერ შეძლო. ნოყიერ და მაცოცხლებელ მიწაში შუბის ტარმა ჩქარა გაიდგა ფესვები, აიყარა ტანი და შინდის ხედ იქცა. რომულუსის მემკვიდრეები ამ შინდის ხეს თაყვანს სცემდნენ, როგორც უწმინდეს რამეს და კარგად რომ დაეცვათ, კედელი შემოავლეს. თუ ვისმე გამვლელს მოეჩვენებოდა, ხე ცოცხლად არ გამოიყურება და დაჭკნობასა და გახმობას აპირებსო, ყოველ შემხვედრს ყვირილით საშველად უხმობდა. ამის გამგონნი, თითქოს ხანძარი გაჩენილიყო, „აქიქა, წყალიო“, ყვიროდნენ და ყოველი მხრიდან მოეშურებოდნენ წყლით სავსე ჭურჭლებით. გაიუს კეისრის[61] დროს, როგორც ამბობენ, ზემოხსენებული კიბის აღდგენა დაიწყეს; ხელოსნებმა სწორედ ამ ხის მახლობლად ორმო ამოთხარეს, შინდის ფესვები უნებლიეთ დააზიანეს და ხეც გახმაო.

21. თვეთა აღრიცხვა საბინებმა რომაელებისა გადაიღეს. ამის თაობაზე რაც კი საჭირო იყო, ყველაფერი ნუმას ცხოვრებაშია აღნიშნული. რომულუსმა თავის მხრივ საბინების გრძელი ფარების ხმარება დაიწყო, შეცვალა როგორც საკუთარი, ისე რომაელი მეომრების შეიარაღება, რომლებიც მანამდე არგოსულ ფარებს ატარებდნენ. ერთმანეთის დღესასწაულებსა და მსხვერპლშეწირვის ადათის შესრულებაში რომაელებიცა და საბინებიც ისე მონაწილეობდნენ, არც ერთი ტომი ძველ წესებში არაფერს არ ცვლიდა, ოღონდ ახალი დღესასწაულები კი შემოიღეს. ამათგან აღსანიშნავია მატრონალიების დღეობა, რომელიც ქალებს მიეძღვნა[62], ვინაიდან მათი წყალობით ბოლო მოეღო ომს, და აგრეთვე კარმენტალიების ზეიმი. ზოგიერთი ფიქრობს, რომ კარმენტა ადამიანთა დაბადების გამგებელი მოირა[63] არის და ამის გამო მას თაყვანს სცემენ დედები. სხვების აზრით იგი იყო არკადიელი ევანდრეს ჯადოქარი მეუღლე, რომელიც წინასწარმეტყველებას ლექსად წარმოთქვამდა და იმის გამო შეარქვეს კარმენტა „კარმენა“ სიტყვისაგან, რაც „ლექსებს“ აღნიშნავს, მისი ნამდვილი სახელი კი იყო ნიკოსტრატე. ეს აზრი საყოველთაოდ არის აღიარებული. ზოგიერთი კიდევ უფრო დამარწმუნებლად განმარტავს

„კარმენტა“ სიტყვას, როგორც „გონებაწართმეულის“ აღმნიშვნელს: ღვთის ზეშთაგონება გონებას ურევს ადამიანსო. მართლაც, რომაელები „წართმევა-დაკლებას“ „კარერე“, ხოლო „გონებას“ „მენტს-მენტის“ სიტყვებით გამოხატავენ. პარილიების დღეობის შესახებ კი ზემოთ არის ნათქვამი[64].

ლუპერკალიები, მისი აღნიშვნის დროის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განწმენდის დღესასწაულია. იგი იმართება თებერვლის თვის ერთ კვიმატ დღეს. „თებერვალი“ „განწმენდას“ ნიშნავს, ხოლო იმ კვიმატ დღეს ძველად „ფებრატას“ ეძახდნენ. ლუპერკალიების დღესასწაულის სახელს ბერძნულად შეესაბამება „ლიკეა“ სიტყვა, რომელიც, ჩანს, ისე ძველია, რომ დასაბამს იღებს ევანდრეს მხლებელი არკადიელებისაგან. მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაოდ გავრცელებული აზრია. შესაძლებელი კია, რომ ლუპერკალიების სახელი მომდინარეობდეს ძუ მგლისაგან[65]. ჩვენ ხომ ვხედავთ, ლუპერკუსები [66] სირბილს იმ ადგილიდან იწყებენ, სადაც თავის დროზე ჩვილი რომულუსი დააგდეს. ლუპერკუსთა ქცევის მიზეზი ძალზე ძნელი ასახსნელია: ისინი კლავენ თხებს, შემდეგ მოჰყავთ წარჩინებული გვარის ორი ყრმა; ზოგიერთი ლუპერკუსი გასისხლიანებულ მახვილს მათ შუბლს შეახებს, სხვებს მყისვე მოაქვთ რძეში დასველებული მატყლი და ყრმებს სისხლს სწმენდენ. სისხლის ჩამოწმენდის შემდეგ ყრმებმა აუცილებლად უნდა გაიცინონ. მერმე ლუპერკუსები თხების ტყავს ზოლებად ჭრიან, მთლად გაშიშვლებულნი — ტანზე მხოლოდ სარტყელიღა აქვთ — დარბიან და ყოველ შემხვედრს ტყავის მათრახს ურტყამენ. ახალგაზრდა ქალები არასდროს არ გაურბიან ლუპერკუსების მათრახებს, ვინაიდან დარწმუნებული არიან, ეს შემწეობას აღმოუჩენს მათ ფეხმძიმობასა და მშობიარობაში. დღესასწაულის თავისებურება კიდევ ის არის, რომ ლუპერკუსები მსხვერპლად სწირავენ ძაღლს. ეინმე ბუტასი[67], რომელიც ელეგიებში რომაელთა ჩვეულებების ზღაპრულ მიზეზებს აღწერს, ამბობს, რომ ამულიუსის დაძლევის შემდეგ გახარებული რომულუსი და მისიანები სირბილით გაეშურნენ იმ ადგილისაკენ, სადაც ჩვილებს ძუ მგელი ძუძუს აწოვებდა. ლუპერკალიების დღესასწაული არის მიბაძვა მაშინდელი სირბილისა. წარჩინებული გვარის ყრმები ახლაც მორბიან ხოლმე და

შემხვდურთ ურტყამენ. სწორედ ასე მორბოდნენ ხმლებით
ალბით ლტოლვილნი რომულუსი და ძმა რემუსი.

შუბლთან მიტანილი მახვილი, — ამბობს ბუტასი, — მაშინდელი ხოცვა-ყლეტისა და საფრთხის ნიშანია, რძით ჩამოწმენდა კი ტყუპების გამოკვებას მოგვაგონებსო.

გაიუს აცილიუსი[68] მოგვითხრობს: ჯერ კიდევ ქალაქის დაარსებამდე რომულუსსა და რემუსს ნახირი დაეკარგათ, ძმები შეეფეთქნენ ფავნუსს[69] და სრულიად გაშიშვლებულნი, რათა ოფლს არ შეეწუხებინათ, საძებრად გაიქცნენ. აი, ამის გამო დარბიან ლუპერკუსები ტიტველნიო. რაც შეეხება ძაღლს, შეიძლება კაცმა თქვას, თუ დღესასწაული განწმენდისაა, ამ ცხოველს იყენებენ როგორც შესაწირავ მსხვერპლს. ბერძნებს ასეთ დღეობებზე მართლაც მოჰყავთ ლეკვები და ხშირად მიმართავენ ხოლმე ეგრეთ წოდებულ პერისკილაკისმებს[70]. თუ ლუპერკალიების დღესასწაული მიძღვნილია ძუ მგლისადმი, რომელმაც რომულუსი გამოკვება და გადაარჩინა, მაშინ ძაღლის მსხვერპლად შეწირვა უადგილო როდი ჩანს; ძაღლი ხომ მგლის მტერია. ვინ იცის, ვფიცავ ზეცას, იქნებ იმიტომ ისჯება ეს ცხოველი ასე, რომ ძაღლები საერთოდ ხელს უშლიან რბენაში ლუპერკუსებს!

22. ამბობენ, ცეცხლის თაყვანის ცემაც პირველად რომულუსმა დააწესა და ქურუმებად დანიშნა ქალწულები, რომელთაც ვესტალებს ეძახიან[71]. ზოგიერთი ამ საქმეს მიაწერს ნუმას, თუმცაღა იმასაც გადმოგვცემენ, რომ რომულუსი მეტად ღვთისმოსავი კაცი იყო და ამასთანავე დიდი გამოცდილება ჰქონდა სამისნო ხელოვნებაში, ამიტომაც დაატარებდა თან საავგურო კვერთხს, ეგრეთ წოდებულ ლიტუუსს[72]. ეს არის მოკაუჭებული ჯოხი, რომლითაც ფრინველთ ფრენაზე სამკითხაოდ დამსხდარნი ზეცას გონებაში ოთხკუთხ ნაწილებად ჰყოფენ ხოლმე. ეს კვერთხი ინახებოდა პალატიუმზე და გაქრა მაშინ, როცა გალებმა ქალაქი აიღეს. ბარბაროსთა განდევნის შემდეგ იგი აღმოაჩინეს ფერფლის გროვაში. ცეცხლს მისთვის ვერა ევნო რა, თუმცაღა გარშემო ყველაფერი მოესპო და გაენადგურებინა.

რომულუსმა რამდენიმე კანონიც გამოსცა. ამათგან მკაცრი ჩანს ის კანონი, რომელიც ცოლს უკრძალავს მიატოვოს ქმარი, ხოლო ქმარს უფლებას აძლევს გააძევოს ბავშვების მოწამლვაში, საკეტების შეცვლასა ან ღალატში შემჩნეული ცოლი. თუ ქმარი სხვა რაიმე მიზეზით განუტევებს ცოლს, კანონი უბრძანებს ქონების ნაწილი ქალს მისცეს, ნაწილი კი ცერერას[73] მიუძღვნას. ვინც ცოლს გაყიდის, იკი

მსხვერპლად უნდა შესწირონ საიქიოს ღმერთებს. საგულისხმოა, რომ მამისმკვლელობისათვის განკერძოებული სასჯელი რომულუსს არ დაუწესებია, მაგრამ კაცის ყოველგვარ მკვლელობას მამისმკვლელობად აღიარებდა, ვინაიდან პირველს საზიზღარ დანაშაულად თვლიდა, მეორეს კი გაუგონარ რამედ. მართლაც, დიდი ხნის განმავლობაში სავსებით სწორად მიიჩნევდნენ, რომ მამისკვლელობისათვის სასჯელი არ იყო გათვალისწინებული. საქმე ისაა, რომ თითქმის ექვსასი წლის მანძილზე არავის არ ჩაუდენია რომში ასეთი დანაშაული. მამისმკვლელობა პირველად მოხდა ჰანიბალის ომის შემდეგ და, როგორც გადმოგვცემენ, ჩაიდინა ის ლუციუს ჰოსტიუსმა. მაგრამ ამის თაობაზე ვიკმაროთ, რაც ვთქვით.

23. ტატიუსის მეფობის მეხუთე წელს მისი ნათესავები გზად წაიწყდნენ ლავრენტუმიდან[74] რომში მიმავალ ელჩებს და ძალით ფულის წართმევა დაუპირეს; ელჩებმა არ დაუთმეს და თავის დაცვა მოინდომეს; მაშინ ისინი სულ ერთიანად ამოჟლიტეს. როცა ამ საშინელი დანაშაულის ამბავი გავრცელდა, რომულუსმა საჭიროდ ჩათვალა დამნაშავენი დაუყოვნებლივ დაესაჯათ, მაგრამ ტატიუსი ფეხს ითრევდა და საქმეს აჭიანურებდა. ეს იყო მიზეზი მათ შორის ერთადერთი აშკარა უთანხმოებისა, სხვა მხრივ კი მოწიწებით ექცეოდნენ ერთმანეთს და სახელმწიფო საქმეებს სრული თანხმობით მართავდნენ. ტატიუსის მიზეზით სამართალი რაკიღა ვერ იპოვეს, მოკლულთა ნათესავები თავს დაესხნენ მას და სიცოცხლეს გამოასალმეს, როცა რომულუსთან ერთად ლავინიუმში[75] მსხვერპლის შეწირვით იყო გართული. რომულუსს კი სამართლიანი კაცობა შეუქმეს და უვნებლად გააცილეს. ტატიუსის გვამი რომულუსმა ქალაქში ჩაიტანა და დიდი პატივით დაკრძალა ავენტინუსზე ეგრეთ წოდებულ არმილუსტრიუმთან[76], მაგრამ მკვლელობისათვის შურის საძიებლად სრულიადაც არ გამოუღია ხელი.

ზოგიერთი მწერალი გადმოგვცემს, ლავრენტების ქალაქმა შიშით ტატიუსის მკვლელები გასცა, მაგრამ რომულუსმა ისინი გაათავისუფლა და დასძინა: მკვლელობა მკვლელობითვე არის გამოსყიდულიო. ამან მითქმა-მოთქმა და ეჭვი გამოიწვია: რომულუსს უხარია თანაგამგებლის ჩამოცილებაო. მაგრამ ამ ამბავს არც სახელმწიფო საქმეები აურევ-დაურევია და არც საბინები აუჯანყებია. რომულუსს ისევ და ისევ გასაოცარი პატივისცემით ექცეოდნენ: ზოგს უყვარდა იგი,

ზოგს მისი ძლიერებისა ეშინოდა, ზოგი კი ღმერთად მიიჩნევდა. რომულუსს პატივს სცემდა სხვა მრავალი გარეშე ხალხიც. ძველმა ლათინებმა ელჩებიც კი მიუგზავნეს და მასთან მეგობრობისა და ურთიერთ დახმარების კავშირი შეკრეს.

რომის მეზობლად მდებარე პატარა ქალაქი ფიდენე, როგორც ზოგიერთი ამბობს, რომულუსმა ასე აიღო: წინასწარ მოულოდნელად გაგზავნა იქ ცხენოსანი ჯარი და უბრძანა ქალაქის კარიბჭენი გაეტეხათ, მერმე კი ანაზდეულად თვითონაც გამოჩნდა. სხვების გადმოცემით, რომულუსი იმიტომ მოიქცა ასე, რომ ფიდენელები მანამდე თვითონ დაესხნენ თავს რომაელებს, გაიტაცეს ნადავლი და თავხედურად დაარბიეს მთელი ქვეყანა ქალაქის გარეუბნებამდე. რომულუსი თავდამსხმელებს ჩაუსაფრდა, მრავალი გაჟლიტა და მტრის ქალაქიც ხელთ იგდო. აღებული ფიდენე რომულუსს არ დაურბევია და დაუნგრევია; იგი მან რომაელთა სამოსახლოდ აქცია და აპრილის იდებში იქ ორი ათას ხუთასი ახალმოსახლე გაგზავნა.

24. მცირე ხნის შემდეგ რომს თავს დაატყდა შავი ჭირი. იგი მუსრს ავლებდა მოსახლეობას, მცენარე ნაყოფს აღარ იძლეოდა და საქონელი — ნაშენს. მერმე ქალაქში სისხლის წვიმა მოვიდა და აურაცხელ ტანჯვას ზედ დაერთო ცრუმორწმუნე შიშიც. როცა ასეთივე უბედურება ლავრენტუმის მოსახლეობასაც ეწია, ყველა მიხვდა, რომ ორივე ქალაქს დააცხრა ღვთის რისხვა, რაც გამოიწვია იმან, რომ ტატიუსის სიკვდილისა და ელჩების მკვლელობის ამბავი უყურადღებოდ დატოვეს. მაშინ ორივე მხარემ გასცა მკვლელები, რომლებიც მყისვე დასაჯეს, და უბედურებამაც შესამჩნევად იკლო. რომულუსმა ორივე ქალაქი განწმინდა მსხვერპლშეწირვის იმ წესებით, რომელთაც, ამბობენ, ახლაც ასრულებენო ფერენტინუმის კარიბჭესთან[77].

ჯერ ჭირი არ იყო შეწყვეტილი, რომ რომაელებს თავს დაესხნენ კამერიელები[78] და ქვეყნის დარბევას მიჰყვეს ხელი იმ იმედით, უბედურებისაგან დათრგუნვილი მოსახლეობა თავს ვერ დაიცავსო. მაგრამ რომულუსმა მყისვე გაილაშქრა თავდამსხმელებზე, ცხარე ბრძოლაში დაამარცხა ისინი, ექვსი ათასი მომხდური მოსპო და მტრის ქალაქიც აიღო. გადარჩენილთა ნახევარი მან რომში გადაასახლა, სანაცვლოდ ორგზის მეტი თანამემამულე რომიდან გაგზავნა და კამერიაში დაამკვიდრა სექსტილის კალენდებში[79]. აი ამდენი მოქალაქე იყო მის გამგებლობაში რომის დაარსების მეთექვსმეტე წლის თავზე.

სხვა ნადავლთან ერთად რომულუსმა ქამერიიდან წამოიღო სპილენძის ოთხცხენა ეტლი და ვულკანუსის ტაძარს შესწირა. იქვე დაადგმევინა პირადი ქანდაკებაც. იგი გამოსახავდა გამარჯვებულ რომულუსს, რომელსაც ღმერთქალი ვიქტორია[80] თავს გვირგვინით უმკობდა.

25. რომაელთა სახელმწიფოს თანდათანობით გაძლიერებას მეზობლად მოსახლე სუსტი ტომები ასე თუ ისე ურიგდებოდნენ და კიდეც უხაროდათ, რაკი თავს თვითონ უშიშრად გრძნობდნენ; მაგრამ ძლიერი ტომები შეშინებულნი და შურით აღვსილნი ფიქრობდნენ, რომ ამ ამბის გულგრილად ცქერა არ შეიძლებოდა, რომ საჭირო იყო რომის ზრდას წინააღდგომოდნენ და რომულუსი შეეკავებინათ. უწინარეს ყოვლისა საომრად ხელი გამოიღეს ტირენიის მკვიდრმა ვეიებმა[81], რომელთაც ვრცელი მიწა-წყალი ეკავათ და საცხოვრებლად დიდებული ქალაქი ჰქონდათ. ომის საბაბად დაასახელეს ფიდენე: დაგვიბრუნეთ, ჩვენ გვეკუთვნოდაო. ეს მოთხოვნა არა მარტო უსამართლო, არამედ სასაცილოც იყო. როცა ფიდენელები საფრთხეში იმყოფებოდნენ და ომობდნენ, ვეიები როდი დაეხმარნენ, პირიქით, რომაელებს საშუალება მისცეს ამოეჟლიტათ ისინი; ახლა კი მათ სახლებსა და მიწებს თხოულობდნენ სხვა პატრონებისაგან. როცა რომულუსისაგან ქედმაღლური უარი მიიღეს, ვეიებმა მხედრობა ორად გაყვეს; ერთი ნაწილი ფიდენელთა ჯარის წინააღმდეგ წარემართა, მეორე კი რომულუსის წინააღმდეგ. ვეიებმა გაიმარჯვეს და ორი ათასი რომაელი მოკლეს, მაგრამ რომულუსთან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ და რვა ათასზე მეტი კაცი დაკარგეს. შემდეგ კვლავ ეკვეთნენ ერთიმეორეს ფიდენესთან. ამ ბრძოლაში უდიდესი საქმენი რომულუსმა შეასრულა. აქ გამოიჩინა მან სიმამაცესთან ერთად გამჭრიახობა მხედართმთავრისა და, როგორც ყველა აღიარებს, ზეადამიანური ძლიერება და სიჩაუქე. მაგრამ ის, რასაც ზოგიერთი ამბობს, მთლად ზღაპრულია და დაუჯერებელი: ბრძოლაში დაცემული თოთხმეტი ათასი კაცისაგან ნახევარზე მეტი რომულუსმა თითქოს საკუთარი ხელით მოკლა. ასევე გაზვიადებულია მესენიელების მტკიცება, თითქოს არისტომენემ სამი ასეული[82] მსხვერპლი შესწირა ლაკედემონელებზე გამარჯვების აღსანიშნავად.

როცა მტერი უკუიქცა, რომულუსი გადარჩენილთ კი არ დაედევნა, პირდაპირ მტრის ქალაქისაკენ გაემართა. დიდ უბედურებაში ჩა-

ვარდნილ მოქალაქეებს წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ და ასი წლის ვადით თანხმობისა და მეგობრობის კავშირი ითხოვეს. მათ რომაელებს ჩააბარეს საკუთარი მიწა-წყლის დიდი ნაწილი, რომელსაც ეძახიან სეპტემპაგიუმს, რაც შვიდ მონაკვეთს აღნიშნავს; ხელი აიღეს აგრეთვე მდინარესთან არსებულ მარილის საბადოზე და მძევლად გადასცეს ხუთასი წარჩინებული პირი.

ამ გამარჯვების აღსანიშნავად რომულუსმა ოქტომბრის იდებში[83] მოაწყო ტრიუმფი. მრავალ ტყვესთან ერთად საჩვენებლად გამოიყვანა ვეიების მხედართმთავარიც, რომელიც ხნიერი იყო, მაგრამ უვუნური ჩანდა, ვინაიდან თავის ასაკთან შედარებით სახელმწიფო საქმეებში გამოუცდელად იქცეოდა. ამის გამო გამარჯვების აღსანიშნავი მსხვერპლშეწირვის დროს ფორუმიდან კაპიტოლიუმისაკენ ახლაც მიჰყავთ ხოლმე მოქარგული ტოგით შემოსილი მოხუცი, რომელსაც ყელზე საბავშვო ბულას ჰკიდებენ, შიკრიკი კი გაიძახის: „სარდიანოს ვენალეს“ — „გასაყიდი სარდელებიო“. საქმე ისაა, რომ ამბობენ: ტირენები სარდედან არიან გადმოსახლებულიო, ვეი კი ტირენული ქალაქია[84].

26. ეს იყო რომულუსის უკანასკნელი ომი. ამის შემდეგ მასაც ის დაემართა, რაც მცირე გამონაკლისის გარდა ყველას ემართება, ვისაც კი დიდი და მოულოდნელი წარმატებანი ძლევამოსილებისა და დიდების მწვერვალზე აიყვანს. საგმირო საქმეებით აღზევებულმა რომულუსმა აუტანელი ქედმაღლობა დაიწყო, ხალხს სრულიად ჩამოშორდა და მასთან ურთიერთობა თავისთავად მძიმე და შემაწუხებელი ერთმმართველობით შეცვალა, რასაც კიდევ უფრო უსიამოვნო იერს მეფის ახალი სამოსი აძლევდა. იგი იცვამდა მეწამულ ტუნიკას, ატარებდა მოქარგულ ტოგას, ზურგიან სავარძელზე დაბრძანდებოდა და საქმეებს ისე არჩევდა. მის გარშემო განუწყვეტლივ ტრიალებდნენ ახალგაზრდები, რომელთაც ცელერები ეწოდებოდათ სამსახურის მარდად შესრულების გამო[85]. მას წინ მიუძღოდნენ სხვა მსახურები, რომლებიც კვერთხებით ბრბოს ერეკებოდნენ. წელზე მათ ერტყათ ღვედები, რათა მყისვე შეეკრათ ის, ვისზეც მეფე მიუთითებდა. „შეკვრას“ ლათინები ძველად „ლიგარე“ სიტყვით აღნიშნავდნენ, ახლა კი მის სანაცვლოდ „ალიგარეს“ ხმარობენ. თითქოს აქედან მიმდინარეობს წკეპლის კონებით აღჭურვილ ლიქტორთა სახელი, ხოლო წკეპლის კონებს ეწოდებოდა „ბაკულა“[86], ვინაიდან ძველად წკეპ-

ლებს კი არ იყენებდნენ, არამედ ჯოხებს. შესაძლებელია „ლიკტორეს“ სიტყვაში კაპა[87] ახალი ჩასმული იყოს და მაშინ ძველად გვექნებოდა „ლიტორეს“, რაც ბერძნულ „ლეიტურგოის“[88] შეესაბამებოდა; ბერძნულ ენაში სიტყვა „ლეიტონ“ ახლაც სახალხო, სახელმწიფო საქმეს ნიშნავს, ხოლო „ლაოს“ — ხალხს.

27. როცა ალბაში პაპა ნუმიტორი გარდაიცვალა, სამეფო ძალაუფლება რომულუსის ხელში უნდა გადასულიყო, მაგრამ ხალხის გულის მოსაგებად მან სახელმწიფოს მართვის საქმე თვითონ ალბას მკვიდრთ მიანდო; ოღონდ ეს იყო, რომ ყოველწლიურად უნიშნავდა მათ თავის მოადგილეს. ამან რომის წარჩინებულ მოქალაქეთ სურვილი აღუძრა ეცხოვრათ მეფის გარეშე და ჰქონოდათ დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის გამგებელნიც და მორჩილნიც იქნებოდნენ მონაცვლეობით. საქმე ის იყო, რომ იმ დროს ეგრეთ წოდებული პატრიციუსებიც კი ველარ მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მართვაში. მათ მხოლოდ სახელი და იერიღა შერჩათ საპატიო; სენატშიც ჩვეულების ხათრით უფრო იწვევდნენ, ვიდრე იმისთვის, რომ საკუთარი აზრი გამოეთქვათ. ისინი უსიტყვოდ ისმენდნენ რომულუსის ბრძანებებს და ასევე უსიტყვოდ იშლებოდნენ. ხალხთან შედარებით მხოლოდ ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ უფრო ადრე იგებდნენ იმას, რასაც მეფე გადაწყვეტდა. მაგრამ ყველაფერი ეს თითქმის არაფერი იყო იმასთან, რაც რომულუსმა მერმე ჩაიდინა. მათი დასტურისა და გადაწყვეტილების გარეშე, თვითონ ერთპიროვნულად დაუნაწილა ჯარისკაცებს ბრძოლით მოპოვებული მიწა-წყალი და ვეიებს მძევლები დაუბრუნა. ცხადია, ამ საქციელით უკვე მეტისმეტად შეურაცხყო უხუცესთა საბჭო[89]. ამიტომ, როცა სულ მცირე ხნის შემდეგ რომულუსი სადღაც უკვალოდ გაქრა, ცილი სენატს შესწამეს. გაუჩინარდა რომულუსი ახლანდელი ივლისის, ხოლო მაშინდელი კვინტილისის თვის ნონებში[90]. მისი აღსასრულის თაობაზე, აღნიშნული თარიღის გარდა, მტკიცესა და სარწმუნოს, რაც საყოველთაოდ იყოს აღიარებული, ვერაფერს ვიტყვით. ეს კია, რომ მაშინდელი ამბებისა და იმ საბედისწერო დღის აღსანიშნავად ჯერ კიდევ ახლაც ასრულებენ მრავალ ადათ-წესს. მაინცდამაინც არ უნდა გავიოცოთ ასეთი გაურკვევლობა. ვერაფრით ვერ გაიგეს და ვერ დაადგინეს, სიკვდილის მიზეზი სციპიონ აფრიკელისა, რომელიც უეცრად მოკვდა სადილის შემდეგ საკუთარ სახლში. ზოგი ამბობს, ბუნებით ავადმყო-

ფი იყო და ამან მოუღო ბოლოო. ზოგი ამტკიცებს, მოიწამლა თავიო; სხვები კი ამბობენ: ღამით მტრები დაესხნენ თავს და მოახრჩვესო. სციპიონის გვამი საამკარაოზე მაინც იდო და ყველას შეეძლო მისი ხილვა: მიცვალებულის სხეული მნახველებს მომხდარ ამბავზე ეკვისა და ვარაუდის შესაძლებლობას აძლევდა. რომულუსი კი ისე მოულოდნელად გაქრა, რომ არც მისი სხეულის ნაწილი ჩანდა სადმე და არც მისი სამოსის ნაგლეჯი. ზოგიერთი ვარაუდობდა, რომ მას თავს დაესხნენ სენატორები ვულკანუსის ტაძარში და სიცოცხლე მოუსწრაფეს; მოკლულის სხეული კი აკუწეს და ნაწილ-ნაწილ უბით გამოიტანეს გარეთო[91]. ხოლო სხვები ფიქრობენ: რომულუსის გაუჩინარება არც ვულკანუსის ტაძარში მომხდარა და არც მხოლოდ სენატორების თანდასწრებით. იმ დღეს, რაღაც შემთხვევის გამო, რომულუსმა კრება მოიწვია ქალაქგარეთ ეგრეთ წოდებულ თხისა თუ შვლის ჭაობთან; უცბად ჰაერში მოხდა ენით აუწერელი ამბავი და დაუჯერებელი გარდატეხა: მზის შუქი ჩაქრა და ყველაფერს დაეუფლა წყვდიადი, მაგრამ არა მშვიდი და წყნარი, არამედ შემაძრწუნებელი ჭექა-ქუხილით, რომელსაც თან ახლდა უძლიერესი ქარიშხალი. მრავალრიცხოვანი კრებული მყისვე დაიფანტა და უკუიქცა. მხოლოდ წარჩინებულები შეჯგუფდნენ და მჭიდროდ შეეკვრნენ ერთმანეთს. როცა ბუნება დამშვიდდა და მზემ გამოანათა, ხალხი კვლავ დაუბრუნდა თავის ადგილს და მეფის ძებნა დაიწყო. წარჩინებულებმა კვლევა-ძიებისა და ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამოჩენის უფლება ხალხს არ მისცეს და უბრძანეს, პატივი და თაყვანი ეცათ რომულუსისათვის, ვითარცა ღმერთებთან ზეატაცებული კაცისათვის, რომელიც ამიერიდან კეთილი მეფის ნაცვლად რომაელთა მოწყალე ღმერთი იქნებოდა. უმრავლესობამ ირწმუნა ეს, სიხარულის ფრთები შეისხა და იმედით აღსავსე ლოცვა-ვედრებით დაბრუნდა. მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც საქმეს მკაცრად და განრისხებით იძიებდნენ, პატრიციუსებს მოსვენებას არ აძლევდნენ და ბრალს სდებდნენ: ხალხს სისულელეებით აბრიყვებთ მაშინ, როცა მეფის მკვლელები თქვენ თვითონ ხართო[92].

28. ასეთი იყო ვითარება, როცა ფორუმზე გამოცხადდა პატრიციუსთა შორის წარმოშობით უპირველესი, ხოლო თავისი ღირსებით ყველაზე უფრო საპატიო კაცი, რომულუსის ერთგული და მახლობელი, ალბადან გადმოსახლებულთაგანი იულიუს პროკლუსი. მან ხელი

დაადო ყველა წმიდა საფიცარს და სახალხოდ განაცხადა, რომ მას, გზად მიმავალს, წინ შემოეყარა ბრწყინვალე და ცეცხლისებრ ელვარე იარაღით აღკაზმული რომულუსი, რომელიც გაცილებით უფრო მშვენიერი და მაღალი ჩანდა, ვიდრე აქამდე იყო. ამ სანახაობით შეძრწუნებულმა პროკლუსმა მოჩვენებას თურმე ჰკითხა: „რის გამო და რა განზრახვით გაგვხადე, მეფეო, უსამართლო და ბოროტ ბრალდებათა საგანი? ან რად დატოვე ქალაქი ობლად და უსაზღვრო მწუხარებათა წილად?“ რომულუსმა კი თითქოს უპასუხა: „ღმერთებმა ისურვეს, პროკლუსო, რომ ჩვენ კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს ოდინდელ სამყოფელ ზეცას იმას მერმე, რაც ამდენ ხანს ვიცხოვრეთ ადამიანთა შორის და დავაფუძნეთ ქალაქი, რომელიც ყველაზე ძლიერი და ყველაზე სახელოვანი იქნება. ახლა კი მშვიდობით იყავ და რომაელთ უთხარი, სიმამაცესთან ერთად თუ ზომიერებასაც დაიცავენ, ადამიანური ძლიერების მწვერვალს მიაღწევენ. მე კი თქვენი კეთილმოწყალე ღვთაება კვირინუსი ვიქნებიო“. ამბის მომთხრობის პატიოსნებისა და ფიცის წყალობით რომაელებმა ნათქვამი დაიჯერეს. შესაძლებელია მათ ზეშთაგონების მსგავსი ღვთაებრივი გრძნობა დაეუფლა; ყოველ შემთხვევაში, საწინააღმდეგო რამ აღარავის უთქვამს, ყოველგვარ ეჭვსა და ცილისწამებას თავი ანებეს და ამიერიდან ისე ეევედრებოდნენ კვირინუსს და მოუხმობდნენ, ვითარცა ღმერთს.

რომულუსის ამბის მსგავსია ელინთა თქმულებები არისტეა პროკონესელისა და კლეოდემე ასტიპალეელის თაობაზე [93]: არისტეა სადღაც მაუდის სახელოსნოში გარდაიცვალა, როცა მეგობრებმა მიაკითხეს, მისი გვამი ანაზდეულად გაქრა; სწორედ იმ დროს შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებულმა პირებმა კი განაცხადეს: არისტეას სულ ახლახან შევხვდით, კროტონს მიდიოდაო. კლეოდემე, მიუხედავად არაჩვეულებრივი ღონისა და შესახედაობისა, ხასიათით ერთი ბრიყვი, შეთი კაცი იყო; მან მრავალგზის ჩაიდინა ძალმომრეობა; ბოლოს კი ბავშვების სკოლაში შეიჭრა, ჭერქვეშ შეყენებული შუა სვეტი ხელის ერთი დაკვრით ისე გადატეხა შუაზე, რომ მთელი სახურავი ჩამოიქცა და ბავშვები ვასრისა. კლეოდემეს დაედევნენ; იგი ერთ უზარმაზარ ყუთში ჩაძვრა, ზემოდან სარქველი დაიხურა და ისე ღონივრად ეჭირა შიგნიდან, ვერა კაცმა ვერ ახადა, თუმცა ბევრმა მიიტანა ძალა. ბოლოს ყუთი გატეხეს, მაგრამ შიგ ვერც ცო-

ცხალი კაცის კვალი ნახეს და ვერც მკვდრისა. გაოცებულებმა მაშინ დელფოში მისნობის მისაღებად კაცები აფრინეს, რომელთაც პითიამ შემდეგი უთხრა:

ასტიპალეველი კაცი კლეოდემე გმირია ბოლო [94].

ამბობენ, ალკმენეს გვამიც, როცა დასაკრძალავად მიჰქონდათ, სადღაც გაქრა და მის ნაცვლად კუბოში ქვა იხილესო[95]. ერთი სიტყვით, საკმაოდ ბლომად გვიამბობენ ასეთ შემთხვევებს და მოკვდავ არსებებს ღმერთებს უთანაბრებენ. სიქველის ღვთაებრიობის ხელაღებით სრული უარყოფა მკრეხელობა და სიმდაბლეა, მაგრამ დედამიწისა და ზეცის ერთმანეთში არევაც უგუნურებაა. სიფრთხილისათვის თავი ვანებოთ ამას და პინდარეს აზრს დავემორჩილოთ, რომ ყოველი სხეული მძლე სიკვდილს ექვემდებარება და ცოცხალი რჩება მხოლოდ სახება, ღმერთთაგან მხოლოდ ის წარმოდგება. იგი იქიდან მოდის და იქვე ბრუნდება, მაგრამ სხეულთან ერთად კი არა, არამედ მაშინ, როცა სხეულს სულ განშორდება, გამოეყოფა და გახდება მთლიანად წმიდა, ხორცუსხმელი და უმწიკვლო. ჰერაკლიტეს თანახმად, ეს არის მშრალი, საუკეთესო სული, აღმოფრენილი სხეულიდან, ვითარცა ელვა ღრუბლებიდან; მაგრამ სხეულთან აღრეული და სხეულით შემოგარსული, ვით მძიმე ორთქლი, შებორკილია და არ ძალუძს აღმაფრენა. არა ჰხამს წარჩინებულთა სხეული ბუნების საწინააღმდეგოდ სულთან ერთად ვგზავნოთ ზეცაში; ოღონდ უნდა გვწამდეს, რომ სიქველით აღჭურვილი სული, ბუნებისა და ღვთაებრივი სამართლის შესაბამისად, თანდათან ამაღლდება ადამიანური საწყისიდან გმირთა საფეხურამდე, გმირული საწყისიდან კი დემონთა საფეხურამდე. და ბოლოს, თუ სრულიად განიწმინდება და გასპეტაკდება, ვით საიდუმლო ზიარებაში, და მთლად განიტვირთება მოკვდავი ბუნებისა და განცდათაგან, დემონური საწყისიდან ღმერთებამდე აღმაღლდება და მიაღწევს უმშვენიერესსა და უნეტარეს მიჯნას არა სახელმწიფოს დადგენილებით, არამედ ჭეშმარიტად გონების კანონების შესაბამისად.

29. რომულუსისათვის შერჩეული მეტსახელი კვირინუსი, ზოგიერთის აზრით, ენიალოსს[96] შეესიტყვება; ზოგიერთი კი ფიქრობს, ამ სახელის საფუძველია სიტყვა „კვირიტები“, რომელსაც რომაელ მოქალაქეებს უწოდებდნენ; მაგრამ სხვები ამტკიცებენ, რომ ძველები

შუბის წვერს, ანდა თვით შუბს „კვირისს“ ეძახდნენ; აქედანვე მომდინარეობს შუბის წვერზე დადგმული იუნონა კვირიტიდის ქანდაკების სახელი; რეგიაში ჩასმულ შუბს მარსს უწოდებენ, ხოლო ომში თავგამოჩენილთ შუბით აჯილდოებენ; ჰოდა, რომულუსსაც კვირინუსი ეწოდა, ვითარცა მარსის მსახურსა და შუბის მპყრობელ ღმერთსო. მისი ტაძარი დგას მაღლობზე და მას რომულუსის პატივსაცემად კვირინალის ტაძარი ეწოდება. რომულუსის სიკვდილის დღეს ეძახიან „ხალხის ლტოლვას“ და „კაპრატინის ნონებს“, ვინაიდან ამ დღეს ქალაქიდან თხის ჭაობთან ჩადიან და მსხვერპლს სწირავენ; თხას კი ლათინურად „კაპრა“ ჰქვია. მსხვერპლშეწირვაზე მიმავალნი გაჰყვირიან ისეთ ცნობილ მშობლიურ სახელებს, როგორიც არის: მარკუსი, ლუციუსი, გაიუსი... ასე ჰბაძავენ იმდღევანდელ ლტოლვასა და შიშსა და შფოთში ერთმანეთის გადაძახება-გადმოძახებას. თუმცა ზოგიერთი ამბობს, რომ ეს არის არა ლტოლვის, არამედ სიჩქარისა და ჩოჩქოლის მიბაძვა და მიზეზად მოჰყავთ შემდეგი ამბავი: როცა რომის ამღები გალები კამილუსმა განდევნა, ხოლო დაუძლურებული ქალაქი ძლივძლივობით დგებოდა ფეხზე, მას თავს დაესხნენ მრავალრიცხოვანი ლათინები ლივიუს პოსტუმიუსის წინამძღოლობით, რომელმაც ჯარი რომის მახლობლად დააბანაკა და ქალაქში მაცნე გაგზავნა იმის საუწყებლად, რომ ლათინებს სურთ უკვე მივიწყებული მოყვრობა-ნათესაობა კვლავ აღადგინონ ახალი საქორწინო კავშირის საფუძველზე და ორი ხალხი მტკიცედ შეაერთონ: თუ გამოგვიგზავნით მრავლად ქალწულებს და ქვრივ ქალებს, დაგიმკვიდრდებათ ისეთივე მშვიდობა და მეგობრობა, როგორც საბინებთან დაამყარეთ მსგავსი პირობის ნიადაგზეო. რომაელებმა ეს რომ ისმინეს, ცალკე ომის შეეშინდათ, ცალკე ქალების გადაცემაც ტყვეობაზე უკეთეს საქმედ არ ჩათვალეს. ერთმა მონა ქალმა, სახელად ფილოტისმა ან, როგორც ზოგიერთი ამბობს, ტუტოლამ, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ რომაელებს ურჩია, ნურც ერთი საქმისათვის ნუ გამოიღებდნენ ხელს და მიემართათ ცბიერობისათვის, რის წყალობითაც თან ომს აიცდენდნენ და თან მძევალთა გადაცემას გადაურჩებოდნენ. ხერხი კი ის იყო, ფილოტისი და მასთან ერთად სხვა ლამაზი მონა ქალები თავისუფალი ასულების დარად მოერთოთ და მტრებისათვის გაეგზავნათ; ღამით ფილოტისი ჩირაღდანს აღმართავდა, ხოლო ამ ნიშანზე იარაღასხმული რომაელები მძინარე მტერს თავს დაესხმოდნენ. ასეც

მოიქცნენ. ლათინები მართლა მოტყუვდნენ. ფილოტისი კი ერთ ტყის ლელვის ხეზე გავიდა და ჩირაღდანი აღმართა, რომელსაც ბანაკის მხრიდან საბურველი ჩამოაფარა, რათა შუქი მტერს არ ეხილა, ხოლო რომაელებს კარგად დაენახათ. როგორც კი იხილეს ჩირაღდნის შუქი, რომაელები დაუყოვნებლივ დაიძრნენ და ამ სისწრაფეში ქალაქის კარიბჭესთან ერთმანეთს ხშირ-ხშირად უხმობდნენ. ისინი მტერს მოულოდნელად დაესხნენ თავს და დაამარცხეს კიდეც. ამ დღის აღსანიშნავად აქამდე მართავენ საგანგებო ზეიმს. ნონებს კაპრატინები ეწოდება ტყის ლელვის წყალობით, რომელსაც რომაელები „კაპრიფიკუსს" ეძახიან. ქალებს ლხინად იწვევენ ქალაქგარეთ ლელვის ხეთა ჩრდილში. მონა ქალები მხიარულად უვლიან ფერხულს, თამაშობენ, ხოლო შემდეგ ერთმანეთს ურტყამენ და ქვებს ესვრიან; ამით იგონებენ იმ ამბავს, როცა რომაელებს მხარში ამოუდგნენ და ბრძოლაში დაეხმარნენ. ასეთ ახსნას აროთუ მრავალი მწერალი ეთანხმება. მართლაც, სახელთა ამოძახილი დღის სინათლეზე, ზღვის მიმართულებით თხის ჭაობისაკენ სვლა, ჩანს, პირველ ამბავს უფრო შეესაბამება. ისე კი, ვფიცავ ზეევსს, თუ ეს ორი ამბავი ერთსა და იმავე დღეს, მაგრამ სხვადასხვა დროში [97] არ იყოს მომხდარი.

ამბობენ, რომულუსი ადამიანთა ხილვიდან გაქრა სიცოცხლის ორმოცდათოთხმეტი წლისა და მეფობის ოცდათვრამეტი წლის თავზეო.

## თეზევსისა და რომულუსის შეთანასწორება

1. აი, ყოველივე ის, რაც ღირსია ხსენება-მოგონებისა და რის მოპოვებაც შეგძელით თეზევსსა და რომულუსზე. როგორც ჩანს, პირველს, რომელსაც აროთუ სახელს მოკლებული საგამგებლო ერგო მემკვიდრეობით, შეეძლო მშვიდად ემეფა ტროიძენში, მაგრამ საკუთარი არჩევნით, ვისიმე ძალდატანების გარეშე, დიად გმირობათა შესასრულებლად გაეშურა. მეორე კი არსებული მონობისა და მოსალოდნელი სასჯელისაგან თავის დასაღწევად, როგორც პლატონი ამბობს, ნამდვილმა შიშმა და უკიდურესმა ტანჯვამ გახადა მამაცი და დიდ საქმეთ იძულებით მიჰყო ხელი[98]. ამის უმთავრესი გმირობა ალბის ერთ-ერთი ტირანის მოკვლა გახლდათ, თეზევსისათვის კი სკი-

რონი, სინისი, პროკრუსტე და კორინეტე სასხვათაშორისო საქმე და ძალის გამოცდა იყო. იგი ისე სპობდა და სჯიდა ავაზაკებს და ისე ათავისუფლებდა ელადას მძვინვარე ტირანებისაგან, რომ უბედურებისაგან დახსნილი ხალხი არც კი იცნობდა. თეზევსს უზრუნველად შეეძლო ზღვაში გასულიყო და მეკობრეთა თავდასხმის შიში არ ჰქონოდა; რომულუსს კი ამულიუსის სიცოცხლეში მოსვენებით ყოფნის უფლება არ ჰქონდა. თეზევსის უპირატესობას ამტკიცებს შემდეგი ამბავი: ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ მან გაილაშქრა არა იმიტომ, რომ აწყენინეს, არამედ სხვების დასაცავად. რომულუსი და რემუსი კი, სანამ ტირანი მათ არ მოექცა უსამართლოდ, გულგრილად უცქერდნენ, თუ ვით ჩაგრავდა იგი სხვებს. თუკი დიდი გმირობაა საბინებთან ბრძოლაში ჭრილობის მიღება, აკრონის მოკვლა და შეტაკებაში მრავალრიცხოვანი მტრის დამარცხება, მაშინ ამ ამბავს შეიძლება დაეუპირისპიროთ კენტავრებთან ბრძოლა და ომი ამაძონებთან.

2. განა გასაოცარი არ არის თეზევსის გაბედული საქციელი კრეტის ხართან დაკავშირებით, მისი თავგანწირვა — შესაჭმელად მიეცა თავი რომელიღაც ურჩხულისათვის? ან მსხვერპლად შესწირვოდა ანდროგეოსის სულის მოხსენიებას, ანდა, რაც თითქმის ყველაზე იოლ საქმედ ჩანს, უსახელო და უპატიური მონობისათვის დაედო თავი და თავხედ და გარეწარ ადამიანთა სამსახურში ჩამდგარიყო? განა გასაოცარი არ არის ის ამბავიც, როცა ნებაყოფლობით გაცურა კრეტისაკენ განწირულ გოგო-ბიჭებთან ერთად? ან რა შეიძლება ყველაფერ ამას უწოდოს კაცმა, თუ არ უდიდესი გამბედაობა, დიდსულოვნება, საერთო საქმისათვის მზრუნველობა და ჭარბი სურვილი სახელისა და სიქველის გამოჩენისა! სწორედ ამიტომ მგონია, რომ ფილოსოფოსნი როდი სცდებიან ტრფობის განსაზღვრისას, როცა მას ღმერთების სამსახურს უწოდებენ, ახალგაზრდების დასახსნელად გაწეულს[99]. ჩანს, არიადნეს ტრფიალი უწინარეს ყოვლისა ღვთის საქმე იყო და ვაჟკაცის გადასარჩენად ნახმარი ხერხი. სრულიადაც არ იქნება მართებული გავამტყუნოთ არიადნე იმის გამო, რომ შეყვარებული იყო. პირიქით, უნდა გვიკვირდეს, ასეთი განცდა ტრფობისა რომ ყოველ ვაჟს და ყოველ ასულს არ ჰღირსებია. რაკი ის წილად მხოლოდ და მხოლოდ არიადნეს ხვდა, მე თამამად შემიძლია ვთქვა, ყველაზე უფრო ამაღლებულ სიქველეთა თაყვანისმცემელი

და მშვენიერებისა და სიკეთის მოტრფიალე ეს ასული ჭეშმარიტად ღმერთის სიყვარულის ღირსი იყო-მეთქი.

ორივე, თეზევსიცა და რომულუსიც, ბუნებით სახელმწიფოს მართვისთვის გახლდნენ დაბადებულნი, მაგრამ მეფობის ნიჭი ვერც ერთმა ვერ გამოიჩინა. სხვადასხვა ვნებებს აყოლილებმა სახელმწიფო წყობას გეზი უცვალეს, ერთმა დემოკრატიული, მეორემ კი ტირანული საწყისებისაკენ და ამით ორივემ ერთნაირი შეცდომა დაუშვა. მმართველმა უწინარეს ყოვლისა ძალაუფლებას უნდა მოუაროს და მოუვლის კიდეც, თუკი ჯეროვანს შეინარჩუნებს და არაჯეროვანს თავიდან მოიცილებს. ის, ვინც მთლიანად დათმობაზე წავა, ანდა ის, ვინც მეტისმეტად მოუჭერს სამართავ ღვედებს, მეფე და გამგებელი კი აღარაა, არამედ დემაგოგი და დესპოტი, რომელიც ქვეშევრდომთა ზიზღსა და სიძულვილს იმსახურებს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ პირველის შეცდომა გადაჭარბებული ლმობიერება და კაცთმოყვარეობაა, მეორისი კი საკუთარი თავის სიყვარული და უსაზღვრო სისასტიკე.

3. თუ უბედური შემთხვევები მთლიანად ბედისწერას არ უნდა მივაწეროთ და მათი გამომწვევი მიზეზები ნაწილობრივ როგორც რომულუსის, ისე თეზევსის ხასიათთა და განწყობათა სხვადასხვაობაში უნდა ვეძიოთ, მაშინ ნურავინ გაამართლებს იმ განუკითხავ რისხვასა და თავშეუკავებელ გაშმაგებას, პირველი ძმის, ხოლო მეორე შვილის წინააღმდეგ რომ აამხედრა[100]. ის მიზეზი, რამაც რისხვა გამოიწვია, უწინარეს ყოვლისა გაამართლებს მას, ვისაც იგი უფრო დიდი საბაბის გამო მეხივით დაატყდა თავს. არა მგონია, ვინმემ იფიქროს, რომულუსს ასეთი თავშეუკავებელი გაშმაგების მიზეზი უეცრად გამოეწვია საერთო საქმის გარჩევისა და განსჯის დროს ჩამოვარდნილ უთანხმოებას. თეზევსს კი შვილის წინააღმდეგ უბიძგა ისეთმა ძალამ, რომელსაც ჩვეულებრივი მოკვდავი ძალიან ძნელად თუ დააღწევს თავს; ეს ძალა გახლდათ ტრფობა, ეჭვიანობა და ქალისაგან უმოწყალოდ დაწამებული ცილი. რაც მთავარია, რომულუსის რისხვა მოქმედებად იქცა და საქმის ბოლოც სამწუხარო იყო; თეზევსის წყრომა კი ცარიელ სიტყვას, ლანძღვასა და ბებრულ წყევლა-კრულვას არ გასცილებია; ყველა სხვა, რაც მოხდა, ჩანს, ყრმის[101] უბედურ ხვედრს უნდა მიეწეროს. თუ ყველაფერ ამას გაითვალისწინებს, ყოველი კაცი თეზევსის სასარგებლოდ მისცემს ხმას.

4. რომულუსს, უწინარეს ყოვლისა, მეტად შველის ის, რომ დიდი საქმენი ფრიად უმნიშვნელო საფუძველზე წამოიწყო. ხალხში მონებად და მეღორის შვილებად ცნობილმა რომულუსმა და რემუსმა, სანამ თვითონ გახდებოდნენ თავისუფალნი, თითქმის უკლებლივ გაათავისუფლეს ლათინები და სწრაფად მოიხვეჭეს სახელი მტრის დამთრგუნველთა და მოყვარეთა დამხსნელთა, ტომთა მეფეთა და ქალაქთა დამფუძნებელთა; სწორედ რომ დამფუძნებელთა და არა გადმომსახლებელთა, როგორც ეს თეზევსზე ითქმის. თეზევსმა ერთ ადგილსამყოფელზე შეკრიბა და იქ დაამკვიდრა ძალზე ბევრი სამოსახლო — ამით გაანადგურა მრავალი ქალაქი, რომლებიც ძველ მეფეთა და გმირთა სახელებს ატარებდა. ხოლო რომულუსმა გვიან დაიწყო ასეთივე მოქმედება, როცა მტრებს აიძულებდა დაენგრიათ საკუთარი საბუდარი და გამარჯვებულებს შეერთებოდნენ. რომულუსი თავდაპირველად ასეთ გადაადგილებებსა და არსებული ქალაქის გაზრდას კი არ აწარმოებდა, არამედ არარსებულს ქმნიდა; ისე მოიპოვა ერთბაშად ქვეყანა, სამშობლო, სამეფო, შთამომავლობა, ოჯახი და ნათესაობა, რომ არავინ არ მოუკლავს და არ დაუღუპავს; პირიქით, უსახლკაროებსა და უთვისტომოებს, თუკი სურდათ მოქალაქეები ყოფილიყვნენ, ყოველნაირად ეხმარებოდა. ავაზაკები და ბოროტმოქმედნი მას არ დაუხოცავს, მავრამ ტომები ომით დაიმორჩილა, ქალაქები აიღო და ტყვექმნილი მეფეებითა და სარდლებით ტრიუმფი დაიმშვენა.

5. ის ამბავი, რომ რემუსი ძმის ხელითაა მკვდარი, დავას იწვევს. დანაშაულს თითქმის მთლიანად სხვებს მიაწერენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რომულუსმა დაღუპვისაგან დაიხსნა დედა, ხოლო უსახელო და უპატიური მონობისათვის განწირული პაპა ენეასის ტახტზე დასვა და საკუთარი ნებით მრავალი სამსახური გაუწია, მისთვის არასოდეს უბრალო ზიანიც არ მიუყენებია. რაც შეეხება თეზევსს, ეფიქრობ, ძალზე ძნელია ყველაზე ლმობიერ მოსამართლეთა წინაშე წარმოთქმულმა გრძელმა გამამართლებელმა სიტყვამაც კი ააცდინოს მამისმკვლელის ბრალდება იმ გულმავიწყობისა და დაუდევრობის გამო, რომელიც მან იალქნის აღმართვის ბრძანებასთან დაკავშირებით ჩაიდინა. ერთი ათენელი, რომელმაც კარგად უწყოდა, თუ რარიგ ძნელი იყო, მიუხედავად დიდი სურვილისა, თეზევსის დაცვა, საქმეს ისეთ რიგად გვიხატავს, თითქოს ეგეოსი ხომალდის

მოახლოებისთანავე მთელი სისწრაფით აიკრა აკროპოლისზე გადასახედად, მაგრამ წაიბორძიკა და გადავარდაო. ისე გამოდის, თითქოს მას არც ამალა ჰყავდა და ზღვის სანაპიროსაკენ სწრაფად მიმავალს ერთი მსახურიც კი არ ახლდა!

6. თეზევსის მიერ ქალთა გატაცებანიც სრულიად მოკლებულია კეთილსახიერ საფუძვლებს. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ თეზევსი ხშირად ჩადიოდა ამ საქმეს. მან მოიტაცა არიადნე, ანტიოპე და ტროიძენელი ანაქსოკ. ბოლოს კი ელენესაც მისწვდა და სიბერეში შესულმა, როცა უკვე დრო იყო კანონიერ შეუღლებაზეც აეღო ხელი, გაიტაცა ნორჩი, უასაკო და უმწიფარი გოგონა[102]. თეზევსის გამამტყუნებელი გარემოება კიდევ ისაა, რომ ტროიძენელთა, ლაკედემონელთა და ამაძონთა ასულებს, რომლებთანაც დაქორწინებული არ იყო, როდი ძალუძდათ უფრო ღირსეული შთამომავლობა შეექმნათ ათენელთათვის, ვიდრე ერეხთევსისა და კეკროფსის მოდგმის ქალიშვილებს. სწორედ ეს იწვევს ეჭვს, რომ თეზევსი ამ საქმეს მრუშობის ტრფიალით ჩადიოდა. რაც შეეხება რომულუსს, მართალია, მან თითქმის რვაასამდე ქალი მოიტაცა, მაგრამ თავისთვის, როგორც ამბობენ, მხოლოდ ერთი — ჰერსილია დაიტოვა, დანარჩენები კი მოქალაქეთაგან ღირსეულებს დაუნაწილა. მოტაცებული ქალების მიმართ გამოჩენილი პატივისცემით, სიყვარულითა და სამართლიანობით მან დაამტკიცა, რომ ორი ტომის გასაერთიანებლად ჩადენილი ძალმომრეობა და უსამართლობა ფრიად კეთილი და გონივრული საქმე იყო. ამის წყალობით შეაუღლა და ერთმანეთს მტკიცედ დაუკავშირა რომულუსმა ორი ტომი და მომავალში კეთილდღეობისა და ძლიერების წყარო მიუჩინა. დრო არის იმის მოწმე, რომ რომულუსმა ქორწინებას მოკრძალება, სიყვარული და სიმტკიცე დაუდო საფუძვლად. მართლაც, ორას ოცდაათი წლის განმავლობაში არც ერთ ქმარს არ გაუბედავს მიტოვება ცოლისა და არც ერთ ცოლს — ქმრისა. მაშინ როცა ბერძნებში მხოლოდ ყველაზე უფრო ცნობისმოყვარეთ შეუძლიათ დაასახელონ პირველი მამისმკვლელი და პირველი დედისმკვლელი, უკლებლივ ყველა რომაელმა იცის, რომ პირველად გაეყარა ცოლს კარვილიუს სპურიუსი უშვილობის საბაბით. რომულუსის მიერ დაწესებული ქორწინების სიმტკიცეს მარტოოდენ დროის ხანგრძლივობა კი არ გვიმოწმებს, არამედ მისი შედეგებიც. ტომთა შორის ქორწინების წყალობით მეფეებმა ხელისუფლება გაინაწი-

ლეს, ხალხმა კი მოქალაქეობის უფლება მიიღო. თეზევსის ქორწინებებს კი ათენელებისათვის არ მოუტანია მეგობრული კავშირი და საერგებლო ურთიერთობა სხვა ტომებთან. პირიქით, ქორწინებანი გახდა მიზეზი მტრობისა, ომებისა, მოქალაქეთა ხოცვა-ჟლეტისა და ბოლოს აფიდნეს დაკარგვისა. კიდევ მეტი, ათენელები მხოლოდ იმის წყალობით, რომ შეებრალათ მტრებს, რომელთაც ღმერთების დარად თაყვანი სცეს და შეევედრნენ, ძლივძლივობით გადაურჩნენ იმას, რაც თავის დროზე ტროელებმა განიცადეს ალექსანდრეს[103] მიზეზით. სამაგიეროდ თეზევსის დედას, შვილისაგან მიტოვებულსა და გაყიდულს, არა მარტო დაემუქრა, არამედ თავს დაატყდა კიდეც ჰეკაბეს[104] ხვედრი, თუ, რა თქმა უნდა, მისი ტყვეობის ამბავი მონაჩმახი არაა; ისე კი მრავალ სხვა ჭორთა მსგავსად, კაცმა შეიძლება ესეც მოგონილად ჩათვალოს.

დასასრულ, თეზევსსა და რომულუსს შორის დიდ სხვაობას ჰქმნის ღვთაებრივ ძალთა ჩარევის ამბავიც. რომულუსის გადარჩენა ღმერთების უსაზღვრო კეთილგანწყობის წყალობით მოხდა. ეგეოსისათვის მიცემული წინასწარმეტყველება კი, უცხო მხარეში განრიდებოდა ქალთან ურთიერთობას, ჩანს, იმას ამტკიცებს, რომ თეზევსის ამჭვეტყნად წარმოშობა ღმერთთა ნება-სურვილის წინააღმდეგ მოხდა.

# ლიკურგე

1. კანონმდებელ ლიკურგეზე გარკვეულად არაფრის თქმა არ შეიძლება. მისი წარმომავლობა, მოგზაურობანი, სიკვდილი და ყველაფერ ამასთან ერთად ის მოღვაწეობა, რაიც მან თავისი კანონების შემოღებასა და წესწყობილების შექმნას მიუძღვნა, სულ სხვადასხვაგვარი გადმოცემებითაა მოსილი. ამ კაცის ცხოვრების თარიღები ხომ მთლად დაუზუსტებელია. ერთნი ამბობენ, იგი იყო იფიტეს თანამედროვე და მასთან ერთად დააწესა ოლიმპიური დღეობების ჟამს დაზავებაო[1]. ასეთივე აზრისაა ფილოსოფოსი არისტოტელე; იგი იმოწმებს ოლიმპიადებში ხმარებულ დისკოს, რომელზედაც ამოკვეთილი და შემონახულია ლიკურგეს სახელი. მეორენი კი, რომლებიც დროის აღრიცხვას სპარტის მეფეთა რიგით აწარმოებენ, როგორც ერატოსთენე და აპოლოდორე, გვიმტკიცებენ: ლიკურგე პირველ ოლიმპიადაზე მრავალი წლით ადრე ცხოვრობდაო[2]. ტიმეოსი თავის მხრივ ვარაუდობს, რომ სპარტაში სხვადასხვა დროს იყო ორი ლიკურგე; ერთ-ერთს მათ შორის სახელოვანი მოღვაწეობის გამო როგორც თავისი, ისე მეორე ლიკურგეს საქმენიც მიაწერესო. უფროს ლიკურგეს ჰომეროსზე გვიან არ უნდა ეცხოვრა. ზოგიერთი იმასაც კი ამბობს, ჰომეროსთან პირადი ურთიერთობაც ჰქონდაო. ქსენოფონტი გვაწვდის აზრს ლიკურგეს უძველეს ხანაში მოღვაწეობის თაობაზე და ამბობს, ეს ვაჟკაცი ჰერაკლიდების დროს ცხოვრობდაო. სპარტის უკანასკნელი მეფენიც წარმოშობით ჰერაკლიდები არიან, მაგრამ, ჩანს, ქსენოფონტს სურვილი აქვს ჰერაკლიდები უწოდოს ჰერაკლეს უშუალო ჩამომავალ პირველ მეფეთ[3].

ამბავთა ასეთი დახლართულობის მიუხედავად, მივყვეთ ამ გადმოცემებში ყველაზე ნაკლებ წინააღმდეგობათა შემცველ მასალებსა

და ყველაზე უფრო გონივრულ ცნობებს და ვცადოთ ამ სახელოვანი ვაჟკაცის ცხოვრების აღწერა.

პოეტი სიმონიდე ამბობს, რომ ლიკურგეს მამა იყო არა ევნომე, არამედ პრიტანისი. მწერალთა უმრავლესობა ლიკურგესა და ევნომეს ჩამომავლობას სხვადასხვაგვარად ადგენს: არისტოდემეს ძემ პატროკლემ წარმოშვა სოე, სოემ — ევრიტიონი, ამან — პრიტანისი, პრინისმა — ევნომე; ევნომეს პირველი ცოლისაგან შეეძინა პოლიდექტე, ხოლო მეორესაგან, რომელსაც დიონასე ერქვა — ლიკურგე. დიევტიქიდა გადმოგვცემს, ლიკურგე მეექვსე თაობაა პატროკლესი და მეთერთმეტე — ჰერაკლესიო[4].

2. ლიკურგეს წინაპართაგან ყველაზე მეტად სოემ გამოიჩინა თავი. მისი მმართველობის დროს სპარტელებმა დაიმონეს ჰილოტები და შეიძინეს მრავალი მიწა-წყალი, რაც არკადიელებს ჩამოაჭრეს[5]. ამბობენ, ამ სოეს ერთ მიუვალ და უწყლო ადგილას ალყა შემოარტყეს კლეტორიელებმა[6]; სოე მათ შეუთანხმდა: თუ მასთან ერთად უკლებლივ ყველა მისიანს მახლობელი წყაროს წყლით წყურვილს მოაკლევინებდნენ, წართმეულ მიწას დაუბრუნებდა. როცა ეს შეთანხმება ორივე მხარემ ფიცით განამტკიცა, სოემ შეკრიბა თავისიანები და სამეფო ძალაუფლება აღუთქვა იმას, ვინც თავს შეიკავებდა და წყალს არ დალევდა. ეს ვერავინ შეძლო. ყველა სვამდა. სოე ყველაზე ბოლოს ჩავიდა წყაროსთან, მტრების თანდასწრებით წყლით პირი დაიბანა მხოლოდ და იქაურობას გაშორდა. იმ საბაბით, — წყალი ყველას არ დაგვილევიაო, სოემ დაპყრობილი მხარე შეინარჩუნა. ასეთი მამაცობის გამო სპარტელები, მართალია, დიდ პატივს სცემდნენ, მაგრამ მის ჩამომავლებს სოეს სახელით კი არა, მისი შვილის სახელით მოიხსენიებდნენ და ევრიტიონიდებს ეძახდნენ. როგორც ჩანს, ევრიტიონი პირველი იყო, რომელმაც ხალხის გულის მოსაგებად დემაგოგობითა და პირმოთნეობით მეფის უზენაესი ერთმმართველობა დაასუსტა. სამეფო ძლიერების ასეთმა დაცემამ ხალხი გაათავხედა: მომდევნო მეფეებს ან სიძულვილით უცქერდნენ, თუ ისინი ბრბოს დასამორჩილებლად ძალას მიმართავდნენ, ანდა აბუჩად იგდებდნენ პირმოთნეობისა და უძლურების გამო. მრავალი ხნის მანძილზე მეფობდა სპარტაში ასეთი თავაშვებულობა და უწესრიგობა. ეს არეულობა იყო სწორედ მეფის, ლიკურგეს მამის, სიკვდილის მიზეზი. იგი ერთხელ რომელიღაც ჩხუბში ჩაერია და მოჩხუბართა გა-

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

შველება მოინდომა: გაშველების დროს მას მზარეულის დანა ჩასცეს. მომაკვდავმა მეფემ სამეფო უფროს ვაჟს პოლიდექტეს დაუტოვა.

3. მცირე ხნის შემდეგ პოლიდექტეც გარდაიცვალა. ყველას ეგონა, ახლა ლიკურგე იმეფებდა. იგი მართლაც მეფობდა მანამდე, სანამ ცხადი არ გახდა, რომ მისი ძმის ცოლი ფეხმძიმედ იყო. გაიგო თუ არა ლიკურგემ ეს, განაცხადა: თუ ვაჟი იქნება, სამეფო მას ეკუთვნის, მე კი მხოლოდ მეურვის მოვალეობას გავწევო. ლაკედემონელები მეფეთა დაობლებული შვილების მეურვეთ „პროდიკებს“ ეძახიან.

პოლიდექტეს ქვრივმა მაზლს მოციქულები მიუგზავნა მალულად და შეუთვალა: მზად ვარ მოვიშორო ნაყოფი, თუ შენ, სპარტის მეფე, ცოლად შემირთავო. ამ ამბავმა ლიკურგე საშინლად აღაშფოთა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწია. რძალს თავი მოაჩვენა, თითქოს უწონებდა განზრახულს და პირობაზე თანხმდებოდა. ლიკურგემ ქალს უთხრა: ნაყოფის მოშორება საჭირო არაა, მუცლის მოსაშლელი წამლით სხეული რატომ უნდა დაიზიანო ან თავი საფრთხეში ჩაიგდო; როგორც კი დაიბადება ბავშვი, მისი მაშინვე თავიდან მოცილება ჩემზე იყოსო.

ასეთი ხერხით ქალი მშობიაობის დღემდე მიიყვანა. როცა შეიტყო, მოლოგინების დრო დაუდგაო, გაგზავნა მასთან კარისკაცები და მცველები, რომელთაც დააკალა დასწრებოდნენ მშობიაობას: თუ გოგო დაიბადა, ქალებს ჩააბარეთ, თუ ვაჟი, მაშინვე მე მომგვარეთ, სადაც არ უნდა ვიყო და რა საქმესაც არ ვაკეთებდეო.

იგი სპარტის დიდებულებთან ერთად ვახშმობდა, როცა დაიბადა ვაჟი. მსახურებმა მიჰგვარეს ლიკურგეს ჩვილი. როგორც გადმოგვცემენ, მან ყრმა ხელში აიყვანა და დამსწრეთ მიმართა: „სპარტელებო, დაიბადა თქვენი მეფეო!“ შემდეგ ლიკურგემ ბავშვი სამეფო ტახტზე დააწვინა და სახელად დაარქვა ქარილაოსი, ვინაიდან ყველანი გახარებული იყვნენ და ლიკურგეს სულგრძელობასა და სამართლიანობას ხოტბას ასხამდნენ[7].

იმეფა ლიკურგემ სულ რვა თვე. მოქალაქენი მაინც დიდ პატივს სცემდნენ. ზოგიერთი ემორჩილებოდა როგორც მეფის მეურვეს და სამეფო ძალაუფლების მპყრობელს, ზოგიერთი კი მოწიწებით ეკიდებოდა მის სიქველეს და მზად იყო ხალისით აღესრულებინა ყველა მისი ბრძანება. მაგრამ იყვნენ ისეთნიც, ვინც შურით შესცქეროდა

და ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია ახალგაზრდა კაცის აღზევებისათვის. განსაკუთრებით მტრობდნენ მისგან განაწყენებული მეფის დედის ნათესავები და მეგობრები. ამ ქალის ძმამ ლეონიდამ ერთხელ საშინლად გალანძღა ლიკურგე და თქვა: დანამდვილებით ვიცი, ეს კაცი მეფედ გაგვიხდებაო. ასეთი წინასწარ განზრახული ცილისწამებით ლეონიდას სურდა ლიკურგეს მიმართ ეჭვი აღეძრა, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ მცირეწლოვან მეფე ქარილაოსს რაიმე უბედურება შეემთხვეოდა, ეს ამბავი ლიკურგეს ვერაგობისათვის დაებრალებინათ. ლიკურგეს საწინააღმდეგო ხმებს მისი რძალიც ავრცელებდა. ყველაფერმა ამან მძიმედ იმოქმედა ლიკურგეზე. ეშინოდა გაურკვეველი მომავლისა და გადაწყვიტა სამშობლოს გასცლოდა და ამ გზით არიდებოდა მის მიმართ აღძრულ ეჭვებს; ემოგზაურა მანამ, სანამ მისი ძმისწული ასაკში არ შევიდოდა და ტახტს მემკვიდრე არ ეყოლებოდა.

4. სამშობლოდან გამგზავრებული ლიკურგე პირველად კრეტაზე მივიდა. აქ ყურადღებით შეისწავლა ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილება და ურთიერთობა გააბა იქაურ ყველაზე უფრო სახელმოხვეჭილ პირებთან. კრეტაზე არსებული მრავალი კანონი მოიწონა და გადაწყვიტა სამშობლოში გამოეყენებინა. იყო ისეთი კანონებიც, რომლებიც უკუაგდო. კრეტის ბრძენ და პოლიტიკოსებად მიჩნეულ პირებში ლიკურგემ გამოარჩია ერთი კაცი, სახელად თალესი, რომელიც თხოვნითა და მასთან ვაბმული ურთიერთობის წყალობით დაიყოლია სპარტაში გამგზავრებულიყო. ამ თალესს სახელი ჰქონდა განთქმული როგორც ლირიკული სიმღერების პოეტს, მაგრამ პოეტური ხელოვნების სამოსელით აკეთებდა იმ საქმეს, რასაც უძლიერესი კანონმდებლები. მისი სიმღერები მორჩილებისა და ურთიერთთანხმობისაკენ მოწოდების სიტყვები იყო. ამ ტკბილხმოვან და მწყობრ ლექსებს ისეთი მომხიბლავი ძალა ჰქონდა, მსმენელთ ძალაუნებურად ლმობიერება ეუფლებოდათ, სიკეთისაკენ იხრებოდნენ და ერთმანეთში იმ დროს ფრიად გავრცელებულ მტრობასა და ზიზღს ივიწყებდნენ. შეიძლება ითქვას, თალესმა ამით ერთგვარად გზა გაუკაფა ლიკურგეს თანამემამულეთა აღზრდის საქმეში[8].

კრეტიდან ლიკურგე აზიაში გაემგზავრა. როგორც ამბობენ, სურდა, მსგავსად ექიმისა, რომელიც ჯანსაღ სხეულს სუსტსა და დაავადებულს უპირისპირებს, კრეტელთა სადა, მკაცრი ცხოვრების ნირი

ონიელთა ფუფუნებასა და განცხრომისათვის შეედარებინა, მათი ყოფისა და სახელმწიფოებრივი წყობილების სხვაობას დაჰკვირებოდა. ჩანს, პირველად აქ გაიცნო კრეოფილეს მემკვიდრეთაგან შემონახული პოემები ჰომეროსისა[9]. ლიკურგე მიხვდა, ამ პოემებში საომო და სალაღობო ამბებთან შერეული იყო ის, რაიც არცთუ ისე მცირე ყურადღების ღირსი გახლდათ ჭკუის სწავლებისათვის სახელმწიფო მოღვაწეობის ჟამს. ამიტომ ეს პოემები დიდი სიბეჯითით გადაიწერა და სამშობლოში წასაღებად კრებული შეადგინა. ბერძნებს მაშინ უკვე ჰქონდათ ბუნდოვანი წარმოდგენა ამ პოემებზე; ზოგიერთს აღმოაჩნდა ამ ეპოსის ცალკეული ნაწილები, რომლებიც შემთხვევით გადადიოდა ხელიდან ხელში. მაგრამ ლიკურგე იმ პირველთაგანი იყო, ვინც ეს ეპოსი საყოველთაოდ ცნობილი გახადა.

ეგვიპტელები ფიქრობენ, რომ ლიკურგე მათ ქვეყანასაც ესტუმრა და, რაკი ძალზე მოეწონა ეგვიპტელთა მიერ შემოღებული წესი მეომართა ფენის გამოყოფისა საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან, ეს წესი სპარტაში გადაიტანა, დღიური მუშები და ხელოსნები ცალკე ფენად გამოყო და ამით სახელმწიფო წყობა მართლაც გააკეთილშობილა.

ამ ამბავს ეგვიპტელებთან ერთად ზოგიერთი ბერძენი ისტორიკოსიც გვიმოწმებს; მაგრამ ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ მწერალს, ჰიპარქეს ძის არისტოკრატე სპარტელის გარდა, რომელიც ამბობდეს, თითქოს ლიკურგე ლიბიასა და იბერიასაც ესტუმრა და ინდოეთსაც მიაღწია, რათა იქ გიმნოსოფისტებთან ესაუბრაო[10].

5. სამშობლოდან წასული ლიკურგე ლაკედემონელებს ძალიან მოენატრათ და ხშირად უთვლიდნენ: დაბრუნდიო. ისინი გრძნობდნენ, მათ მეფეებს[11] მხოლოდ სახელი და პატივი ჰქონდათ და სხვა არაფრით არ ეანსხვავდებოდნენ დანარჩენ მოქალაქეთაგან; ლიკურგე კი მათ თვალში ბუნებრივი თვისებებით დაჯილდოებული ნამდვილი წინამძღოლი იყო, რომელსაც ძალუძდა ხალხი უკან გაეყოლა. თვითონ მეფეებიც არ იყვნენ წინააღმდეგნი ლიკურგეს დაბრუნებისა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მისი დახმარებით უფრო ადვილად მოთოკავდნენ გათავხედებულ ბრბოს. აი ასე კეთილად იყო განწყობილი ყველა ლიკურგეს მიმართ, როცა იგი სპარტაში დაბრუნდა და ხელი მიჰყო არსებული წესების დანგრევას და სახელმწიფო წყობის შეცვლას. იგი მიხვდა, ცალკეულ კანონთა გატარება ჯერ

მოიტანდა და უსარგებლო გამოდგებოდა, თუ, მრავალგვარი სენით დასუსტებული სხეულის წამლებითა და განმწმენდი საშუალებებით მკურნალობის მსგავსად, არსებულ არეულობას არ მოსპობდა და ცხოვრების ყაიდას არ შეცვლიდა.

საჭირო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ლიკურგე დელფოში გაემგზავრა. აქ ღმერთს მსხვერპლი შესწირა, რჩევა სთხოვა და სპარტაში დაბრუნდა იმ საყოველთაოდ ცნობილი წინასწარმეტყველებით, რომელშიც პითიამ ღმერთების მეგობარი და უფრო მეტად ღმერთი, ვიდრე ადამიანი, უწოდა. პითიამ ლიკურგეს გადასცა, რომ ღმერთი უფლებას ანიჭებს მას გაატაროს თავისი კანონები, რომ ღმერთი იწონებს მის კანონმდებლობას, რომელიც ყველაზე საუკეთესო იქნება.

ასეთი გადაწყვეტილებით გამხნევებულმა ლიკურგემ განზრახული წარჩინებულ მოქალაქეთ გააცნო და მოუწოდა დახმარებოდნენ. იგი ჯერ მეგობრებს ეთათბირა — უჩუმრად, მერმე კი მოქალაქეთა უმრავლესობაც გადაიბირა და ყველანი წამოწყებული საქმის განსახორციელებლად დარაზმა.

როცა მოქმედების დრო დადგა, ლიკურგემ ოცდაათ წარჩინებულ ვაჟკაცს უბრძანა გათენებისთანავე იარაღასხმული გამოსულიყვნენ მოედანზე, რათა შიშის ზარი დაეცათ მოწინააღმდეგეთათვის. ჰერმიპემ[12] ამ ვაჟკაცთა შორის ოცი უპირველესი მოქალაქის სახელი აღწერა. ლიკურგეს საქმიანობასა და კანონების გატარებაში ყველაზე უფრო ახლო მონაწილედ წყაროები ართმიადას ასახელებენ. იგი ლიკურგეს ნამდვილი მარჯვენა ხელი იყო.

როგორც კი დაიწყო ქალაქში მღელვარება, მეფე ქარილაოსმა იმის შიშით, მთელი ეს ამბავი ჩემ წინააღმდეგაა ალბათ მომართულიო, თავი სპილენძის სასახლეს შეაფარა[13]. მერმე კი, როცა დაარწმუნეს და ფიციც მიიღო, თავშესაფრიდან გამოვიდა და ლიკურგეს საქმიანობაში თვითონაც მიიღო მონაწილეობა. ბუნებით იგი მეტად სათნო კაცი იყო თურმე. ამის თაობაზე გადმოგვცემენ შემდეგს: მისმა თანამეფემ არქელაემ ყმაწვილი მეფის მაქებართ შენიშნა: „ვით შეუძლია ქარილაოსს არ იყოს კეთილი, როცა ბოროტთა მიმართაც არაა სასტიკი?“

იმ სიახლეთაგან, რომლებიც ლიკურგემ შემოიღო, უპირველესი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო უხუცესთა საბჭოს დაწესება. პლატონის სიტყვით, უხუცესთა საბჭო ჩაერია რა მეფეთა გადაჭარ-

ბებულად ფიცხ. მმართველობაში, მოიპოვა ამ მმართველობის თანაბარი ძალაუფლება და სახელმწიფოსათვის ამით ხსნისა და ზომიერების საწინდარი გახდა. მანამდე სახელმწიფო მეტისმეტად მერყეობდა. იგი ხან მეფეებისაკენ იხრებოდა და მმართველობა ტირანიისაკენ მიჰყავდა, ხან კი ხალხს უჭერდა მხარს და დემოკრატიულ წყობას უახლოვდება. უხუცესთა საბჭო, ასე ვთქვათ, შუა წერტილში დადგმული საპირწონე იყო, რომელიც წონასწორობას ამყარებდა და უშიშროებასა და მყარ წესრიგს იცავდა. უხუცესთა საბჭოს ოცდარვა წევრი მეფეთა გარშემო ირაზმებოდა მუდამ, როცა დემოკრატიის დათრგუნვა იყო საჭირო; მაგრამ მაშინ, როცა ტირანიის საფრთხე იმუქრებოდა, ხალხს უერთებდა თავის ძალას. არისტოტელეს მიხედვით, უხუცესთა საბჭო ლიკურგემ სწორედ ოცდარვა კაცისაგან შეადგინა, ვინაიდან იმ ოცდაათ ვაჟკაცში, რომლებიც თავდაპირველად მიემხრნენ ლიკურგეს, ორმა სიმხდალე გამოიჩინა და წამოწყებულ საქმეს თავი მიანება. სფეროსი კი გვიმტკიცებს, თავიდანვე ოცდარვა კაცი იყო ლიკურგეს საქმიანობის მონაწილეო[14]. შეიძლება მხედველობაში იქნა მიღებული ამ რიცხვის განსაკუთრებული ხასიათი: იგი არის შვიდის ნამრავლი ოთხზე და ექვსის შემდეგ პირველი სრულყოფილი რიცხვი, რომელიც თავის ნაწილთა ჯამის ტოლია[15]. ჩემი აზრით, ლიკურგემ ოცდარვა წევრი აირჩია იმიტომ, რომ მთელი საბჭო ოცდაათი კაცისაგან ყოფილიყო შემდგარი ოცდარვა წევრზე ორი მეფის მითვლით.

6. უხუცესთა საბჭოზე ისე ზრუნავდა ლიკურგე, რომ ამის თაობაზე დელფოდან წინასწარმეტყველებაც კი ჩამოიტანა. ამ წინასწარმეტყველების რეტრას ეძახიან. აი რეტრის შინაარსიც: „ოდეს აღმართავ ტაძარს სილანიელი ზევსისა და ათენა სილანიელის სახელზე და ოდეს დააწესებ ფილეებსა და ობეებს, შენ მოაწყობ ოცდაათი კაცისაგან შემდგარ გერუსიას არქაგეტების მირიცხვით; დროგამოშვებით ჯერ არს შეკრიბო სახალხო ყრილობა ბაბიკასა და კნაკიონს შუა; აქ საბჭო წარადგენს კანონებს კენჭის საყრელად; ხალხს დაე ეკუთვნოდეს უფლება და ძალა“[16].

ამ რეტრაში სიტყვები „ფილას ფილაქსაი“ და „ობას ობაქსაი“ მოსახლეობის ნაწილებად დაყოფას გამოხატავს. ამ ნაწილებში ზოგს ფილეები ჰქვია, ზოგს კი — ობეები; არქაგეტები მეფეებს ეწოდებათ; „აპელაძეინ“ კი სახალხო ყრილობის მოწვევას ნიშნავს. სახელმწიფო

მმართველობის ამგვარი სახის საფუძვლად და მიზეზად ლიკურგე აპოლონ პითიელს აღიარებდა. ბაბიკასა და კნაკიონს ახლა ენუნტსაც უწოდებენ...* არისტოტელეს მიხედვით, კნაკიონი მდინარეა, ბაბიკა კი — ხიდი. ამათ შუა მდებარე ადგილზე იმართებოდა სახალხო კრებები. აქ არც სვეტებიანი დარბაზები იყო და არც სხვა რაიმე შენობები. ლიკურგე ფიქრობდა, რომ საგანგებო მორთულობა ხელს როდი შეუწყობდა გონივრულ ბჭობას, პირიქით, შეუშლიდა კიდეც: საქმისათვის შეკრებილებს საღი მსჯელობის უნარი ქარაფშუტული აზრებით შეეცვლებათ, თუ ქანდაკებებსა და სურათებს, თეატრის სამკაულებსა და საბჭოს შენობების ოსტატურად მორთულ ჭერს დაუწყებენ ჭვრეტასო.

უხუცესთა საბჭოს წევრთა და მეფეთა გარდა, სახალხო ყრილობაში არავის არ შეეძლო წინადადების წამოყენება; ხალხს უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ შემოტანილი წინადადებების განხილვის უფლება ჰქონდა მხოლოდ. მაგრამ შემდეგში, როცა ხალხმა თავისი შემოკლებებით და დამატებებით ამ წინადადებათა გადასხვაფერება და დამახინჯება დაიწყო, მეფეებმა, პოლიდორემ და თეოპომპემ, წინანდელ რეტრას ასეთი დამატება დაურთეს: „უკეთუ ხალხი წამოყენებულ აზრთა დამახინჯების გზას აირჩევს, უხუცესები და არქაგეტები დაე განუდგნენ ყრილობას“. ეს იმას ნიშნავდა, რომ უხუცესთა საბჭოს წევრები და არქაგეტები აღარ დაამტკიცებდნენ ყრილობის აზრს და დაშლიდნენ სახალხო კრებას, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა უკეთეს წინადადებათა მიღებას. პოლიდორემ და თეოპომპემ თანამოქალაქენი დაარწმუნეს, ეს ღვთის ბრძანება არისო. ამ ამბავს იხსენიებს ტირტეოსი[17] შემდეგ ლექსში:

ვუსმინეთ აპოლონ ფებოსს და სპარტაში მოგართვით თქვენა
მისნობა ნეტარი ღვთის, სიკეთე რომ მოაქვს სულ:
საბჭოს გამგებლობა, დაე, ეკუთვნოდეთ ღვთაებრივ მეფეთ,
რომელთაც ქალაქის სვე ზრუნვით უნდა ეპყრათ ხელთ.
უხუცესთ კრებული მუდამ მეფეთ შემწედ იგულოთ უნდა.
ბოლოს ევალება ხალხს: მისდიოს რეტრების აზრს.

7. ამგვარად, ლიკურგემ ზომიერი სახელმწიფო წყობილება დაამყარა, მაგრამ მერმე, როცა მისმა მომდევნო მოღვაწეებმა დაინახეს,

* ამ ადგილას ტექსტი არ იკითხება.

ოლიგარქია თავს გავიდა, გაყოყოჩდა და კიდევ უფრო ძლიერი გახდაო, აიღეს და ეფორთა საგამგებლო დააარსეს და ამით, პლატონის სიტყვით რომ ვთქვათ, ლაგამი ამოსდეს ამ ოლიგარქიას[18]. ეს მოხდა ლიკურგეს გარდაცვალებიდან დაახლოებით ას ოცდაათი წლის შემდეგ. პირველი ეფორი, რომელიც თეოპომპეს მეფობაში აირჩიეს, იყო ელატე. ამბობენ, დედოფალი მეფე თეოპომპეს საყვედურებით ავსებდა: შვილებს უფრო მცირე ძალაუფლებას უტოვებ, ვიდრე შენ მიიღეო. „პირიქით, — უპასუხებდა თეოპომპე, — უფრო დიდს, ვინაიდან ასეთი ძალაუფლება ხანგრძლივი იქნებაო". მართლაც, სპარტის მეფეებმა ჭარბი ძალა დაკარგეს, სამაგიეროდ შურსა და საფრთხეს თავი დააღწიეს. მათ არ განუცდიათ ის, რასაც მესენიელები და არგოსელები უწყობდნენ თავიანთ მეფეებს, რომელთაც არ მოისურვეს ხალხის საკეთილდღეოდ დათმობაზე წასვლა და მმართველობის საფასეების თუნდაც ოდნავი მიშვება. ლიკურგეს სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა ცხადი გახდება იმისათვის, ვინც დაუკვირდება სპარტელთა მონათესავე და მეზობლად მცხოვრები მესენიელებისა და არგოსელების უკეთესართ სახელმწიფო წყობილებას, აქაურ მეფეთა და ხალხს შორის ატეხილ შფოთს. მესენიელები და არგოსელები თავიდან სპარტელთა თანასწორნი იყვნენ, შეიძლება ითქვას, უკეთესი მიწა-წყალიც ეკავათ, მაგრამ მათი ბედნიერება ხანმოკლე გამოდგა. მეფეთა ზვიადობამ და ბრბოს თვითნებობამ სახელმწიფოს წესრიგს ძირი გამოუთხარა. მესენიელებმა და არგოსელებმა ამით დაამტკიცეს, რომ ჭეშმარიტად ღვთით მოვლენილი სიკეთე იყო სპარტელებისათვის ის შეხმატკბილებული და გაწონასწორებული სახელმწიფო წყობილება, რომელიც მათ ლიკურგემ შეუქმნა. მაგრამ ყველაფერმა ამან გვიან იჩინა თავი.

8. ლიკურგეს სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში მეორე და ყველაზე უფრო გაბედული ნაბიჯი მიწების დანაწილება გახლდათ. მანამდე საშინელი უთანასწორობა სუფევდა. ქალაქი სავსე იყო ხელმოკლე და გაჭირვებული ხალხით, მაშინ როცა მთელი სიმდიდრე ერთ მუჭა მოქალაქეთა ხელში იყრიდა თავს. გამეფებული ზვიადობის, შურის, ფუფუნების და სახელმწიფოს კიდევ ორი უძველესი და საშიში სენის — სიმდიდრისა და სიღარიბის მოსასპობად ლიკურგემ სპარტელები დაიყოლია მთელი მიწა-წყალი გაეერთიანებინათ, მერმე თავიდან დაენაწილებინათ, ქონებრივად გათანასწორებულიყვ-

ნენ და ამის საფუძველზე ერთმანეთში თანხმობით ეცხოვრათ. იმ სხვაობის გარდა, რომ ზოგს ბიწიერებისათვის გაიცხაგდნენ და ზოგს სიკეთისათვის შეაქებდნენ, ადამიანთა შორის უთანასწორობას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. ამიტომ ყოველი სპარტელის გულისყური იქითკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, რომ თავი მხოლოდ და მხოლოდ სიქველით ესახელებინა.

მალე ლიკურგემ სიტყვა საქმედ აქცია. ლაკონიკის ერთი ნაწილი ოცდაათ ათას ნაკვეთად დაყო და ეს ნაკვეთები პერიეკებს მიუზომა[19]; მეორე ნაწილი კი, რომელიც ქალაქ სპარტას ეკუთვნოდა, ცხრა ათას ნაკვეთად აქცია, ვინაიდან ამდენი იყო სპარტელთა ოჯახი. ზოგიერთი ამბობს, ლიკურგემ მიწები ექვსი ათას ნაკვეთად დაყო, სამი ათასი ნაკვეთი კი შემდეგ პოლიდორე მეფემ დაუმატაო. სხვები კი ამტკიცებენ, ცხრა ათასი ნაკვეთიდან ნახევარი პოლიდორემ გამოყო ნახევარიც — ლიკურგემო. მიწის თითოეულ ნაკვეთს ყოველწლიურად შეეძლო მოეცა ღალის სახით სამოცდაათი მედიმნი ქერი მამაკაცისათვის, თორმეტი მედიმნი დედაკაცისათვის და, გარდა ამისა თხევადი ნაწარმი შესაბამისი რაოდენობით. ლიკურგე ფიქრობდა, რომ ასეთი მოსავალი სრულიად საკმარისი იყო სპარტელთა გამოსაკვებად, მათი ძალ-ღონის შესანარჩუნებლად, რომ მათ სხვა არაფერი არ უნდა დასჭირებოდათ.

გადმოგვცემენ, მიწების დანაწილების კარგა ხნის შემდეგ ლიკურგე სხვა ქვეყანაში მოგზაურობიდან ბრუნდებოდა; სამშობლოში რომ შემოვიდა, მკა უკვე დასრულებული იყო. როცა ლიკურგემ თანაბარ სიმაღლესა და მანძილზე დადგმული ძნები იხილა, მხლებლებს ღიმილით უთხრა: მთელი ლაკონიკა ერთ სამემკვიდროს ჰგავს, რომელიც რიცხვმრავალ ძმებს ახლახან გაუყვიათო.

9. ლიკურგემ მოძრავი ქონების გადანაწილებაც განიზრახა. მას სურდა ამ ღონისძიებით ძირფესვიანად მოესპო ჯერ კიდევ არსებული უთანასწორობა მოქალაქეთა შორის. მაგრამ როცა დაინახა, სპარტელები წინააღმდეგობის გაუწევლად პირად ქონებაზე ძნელად თუ აიღებენ ხელსო, სხვა გზას მიმართა და დაფარული ხერხებით მოუღო ბოლო თანამემამულეთა სიხარბეს. ჯერ მან აკრძალა ოქროსა და ვერცხლის ფული და ხმარებაში შემოიღო რკინის ფული, რომელიც მცირე ღირებულებასთან ერთად ისეთი მძიმე იყო და თან იმოდენა რომ ათი მნა[20] თანხის შესანახად სახლში დიდი საკუჭნაო უნდა აე-

გოთ, მის გადასატანად კი უღელი ხარი შეებათ ურემში. რკინის ფულის შემოღებით ლიკურგემ მრავალი სახის ბოროტმოქმედება განდევნა ლაკედემონიიდან. მართლაც, განა ვინ მოიპარავდა, ვინ აიღებდა ქრთამად ან ძალით გაიტაცებდა იმას, რის დამალვაც არ შეიძლებოდა, არასახარბიელო საქონელი იყო და დამსხვრევის შემდეგაც უსარგებლო რჩებოდა? როგორც ამბობენ, ფულის გამოსაკვერად საჭირო რკინას ცეცხლში გამოწვრთობის დროს ლიკურგე ძმარში აწყობინებდა, ამ გზით სიმტკიცეს ართმევდა და ყოვლად უვარგისს ხდიდა.

ამის შემდეგ ლიკურგემ სპარტიდან გააძევა ყოველგვარი უსარგებლო და უქმი ხელოვნება. თუმცა რომც არავის გაეძევებინა, ხელოვნების დიდი ნაწილი ძველ ფულთან ერთად თავისთავად გაქრებოდა. საკუთარი ნაწარმის გასაღება შეუძლებელი გახდა. სხვა ბერძნებში რკინის ფულს გასავალი არ ჰქონდა უფასურობის გამო. ამ ფულს ყველა დასცინოდა. სპარტელებს უცხოური ფუფუნების საგნების ყიდვა აღარ შეეძლოთ. მათ ნავსადგურებს სავაჭრო ხომალდები არ ეკარებოდა. ლაკონიკის მიწას ფეხს აღარ ადგამდა არც ერთი სიტყვაჭახრაკი სოფისტი. აქ ვერ დაინახავდით ვერც მოხეტიალე თაღლით მისანს, ვერც ჰეტერებით[21] მოვაჭრე კაცს და ვერც ოქრომჭედელს. ამის მიზეზი სპარტაში ნამდვილი ფულის გაქრობა იყო. ფუფუნება, რომელსაც წაერთვა ის, რაც მას სიცოცხლესა და ძალას აძლევდა, თანდათანობით თვითონვე დაჭკნა. მდიდრები უპირატესობით ვეღარ სარგებლობდნენ; მათ ქონებას ძალა დაეკარგა და, როგორც უსარგებლო რამ, სახლებში ჩაკეტეს. სპარტელებმა შესანიშნავად დაიწყეს კეთება ყოველდღიურად სახმარი ისეთი აუცილებელი საგნებისა, როგორიცაა საწოლი, სკამი, მაგიდა. მეტად სახელგანთქმული იყო, განსაკუთრებით ლაშქრობათა დროს, როგორც კრიტია ამბობს, ლაკედემონური კოთონი[22]. როცა ჯარისკაცები იძულებულნი იყვნენ ესვათ ბინძური წყალი, კოთონი არ აჩენდა წყლის მღვრიე ფერს. ხოლო შიგნით ისე ჰქონდა ორი მხარე ჩაზნექილი, რომ ჭუჭყს ლექავდა და პირში შედარებით სუფთა წყალს უშვებდა. ასეთი ხელმარჯვობის მიზეზიც კანონმდებელი ლიკურგე იყო: სპარტელი ხელოსნები იძულებული გახდნენ უქმი საქმეებისათვის თავი გაენებებინათ და თავიანთი დიდოსტატობა აუცილებელი საგნების დამზადებაში გამოეჩინათ.

10. რომ კიდევ უფრო მეტად აღმოეფხვრა სპარტელებში ფუფუნებისა და სიმდიდრისაკენ სწრაფვა, ლიკურგემ შემოიღო მესამე, ყველაზე შესანიშნავი წესი. ეს იყო საჯარო სადილობის წესი — სისიტიები[23]. სადილობის ჟამს მოქალაქეებს თავი უნდა მოეყარათ და ეჭამათ კანონით დადგენილი საერთო საჭმელი. მათ აკრძალული ჰქონდათ სახლში სადილობა, მაგიდასთან მიდგმულ ძვირფას სარეცელზე წამოგორება და დახელოვნებულ მზარეულთა ნახელავი ნუგბარი საჭმელების მიღება. სპარტელთა აზრით, მხარ-თეძოზე ჩრდილში წამოწოლილი ადამიანი მსუნაგი პირუტყვივით გასუქდებოდა, ხასიათი გაუფუჭდებოდა და სხეულიც დაუზიანდებოდა; ვნებისადმი მიდრეკილება და ყინიანობა გაუღვივდებოდა, ძილისგუდად და ცხელი აბანოს მოყვარულ უქნარად გადაიქცეოდა, ასეთ კაცს კი, შეიძლება ითქვას, ფუფუნება ყოველდღიური წამალივით მოუნდებოდა.

სისიტიების შემოღება დიდი მიღწევა იყო. ყველაზე უფრო შესანიშნავად აქ ის უნდა ჩაითვალოს, რომ საჯარო სადილობის დაწესებით და ზომიერი საკვების წყალობით, როგორც თეოფრასტე ამბობს, სიმდიდრემ მიმზიდველობა დაკარგა და დაკნინდა; როცა მდიდარი ღარიბთან ერთად მიდიოდა სასადილოდ, უკვე აღარ იყო საჭირო საგანგებო მზადება და თვალის დასატკბობად ბრწყინვალე სუფრის გაშლა. მზის ქვეშ მდებარე ქალაქთა შორის სპარტა ერთადერთი ქალაქი იყო, სადაც მართლდებოდა საყოველთაოდ ცნობილი თქმულება იმაზე, პლუტოსი ბრმაიო[24]. სპარტაში სიმდიდრე უსულო, უძრავ ხატებასავით გახლდათ მიგდებული კუთხეში. შინ სადილობა და სისიტიებზე გამაძღარი მისვლა აკრძალული იყო. ვინც ასე იქცეოდა და სხვებთან ერთად არ ჭამდა და სვამდა, იმას დანარჩენები თვალყურს ადევნებდნენ და კიცხავდნენ, როგორც თავშეუკავებულ და საჯარო სადილობის უგულებელმყოფელ კაცს.

11. ამბობენ, სისიტიების წესის შემოღებამ ყველაზე უფრო მეტად განარისხა მდიდრები. ისინი კანონმდებლის წინააღმდეგ ამხედრდნენ, თავი მოიყარეს და ლიკურგეს ყვირილი და ლანძღვა-გინება დაუწყეს. ბოლოს მდიდართა გუნდმა სეტყვასავით დააყარა ქვა. ლიკურგე მოედნიდან გაიქცა, სხვებს გაასწრო და ის იყო თავი ტაძრისთვის უნდა შეეფარებინა, რომ ერთმა ფიცხმა, მაგრამ სხვა მხრივ კეთილშობილმა ყმაწვილმა კაცმა, სახელად ალკანდრემ, თავი გამოიდო და კანონმდებელს უკან გასდია. როცა ლიკურგემ უკან

მოიხედა, ალკანდრემ მას ჯოხი ატაკა სახეში და თვალი გამოსთხარა. ლიკურგე ტკივილს როდი შეუშინდა, წელში გასწორდა, თანამოქალაქეებს წინ დაუდგა და გასისხლიანებული სახე და დასახიჩრებული თვალი უჩვენა. ამის დამნახველი სპარტელები საშინელმა სირცხვილმა და სევდამ შეიპყრო. ალკანდრე დააკავეს, ლიკურგეს გადასცეს და კანონმდებელი დიდი გულისტკივილით მიაცილეს სახლამდე. ლიკურგემ მათ მადლობა გადაუხადა და ისე გაისტუმრა. ალკანდრე სახლში შეიყვანა, მაგრამ არც საქმით და არც სიტყვით ცუდი არა უკადრებია რა მისთვის. ლიკურგემ მხოლოდ მხლებლები და მსახურები დაითხოვა და ალკანდრეს უბრძანა, ამიერიდან მას გაეწია მისთვის პირადი სამსახური. ალკანდრეც, ბუნებით კეთილშობილი ახალგაზრდა, ხმაამოუღებლად ასრულებდა იმ დღიდან მოყოლებული ყოველგვარ ბრძანებას. ლიკურგესთან საცხოვრებლად დარჩენილი ყმაწვილი კაცი მისი უფროსის ლმობიერი ხასიათის, უბრალო ცხოვრების ნირისა და დაუცხრომელი შრომისმოყვარეობის მოწმე გახდა. მას მგზნებარედ შეუყვარდა კანონმდებელი ვაჟკაცი და ნათესავებს და მეგობრებს სულ იმას ეუბნებოდა, ლიკურგე სრულიადაც არაა მრისხანე და ქედმაღალი, პირიქით, იგი მშვიდი და სხვების მიმართ ლმობიერი ადამიანიაო. აი, ასეთი სასჯელი მიიღო ალკანდრემ! ლიკურგემ სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ თავაწყვეტილი და ფიცხი ახალგაზრდა მოკრძალებული და გონიერი კაცი გახადა.

თავს გარდამხდარი ავი შემთხვევის მოსაგონებლად ლიკურგემ ააგო ღმერთქალ ათენას ტაძარი, რომელსაც სახელად ოპტილიტისი უწოდა. იქაური დორიელები თვალს „ოპტილს“ ეძახიან. სხვა მწერლები და მათ შორის ლაკედემონელთა სახელმწიფო წყობილების აღმწერი დიოსკორიდე ამბობენ, ლიკურგე დაიჭრა, მაგრამ თვალი არ დაუკარგავს და ღმერთქალს ტაძარი გადარჩენის სამადლობლად აუგოო. ასე იყო თუ ისე, ამ ავი შემთხვევის შემდეგ სპარტელები სახალხო ყრილობაზე ჯოხით სიარულს გადაეჩვევნენ.

12. საჯარო სადილობის წესს — სისიტიებს კრეტელები „ანდრეიას“ ეძახიან, ლაკედემონელები კი „ფიდიტიას“. ეს ან იმიტომ, რომ საჯარო სადილობის წესი სპარტელებს მეგობრობასა და ერთმანეთის სიყვარულს აჩვევდა, და მაშინ სიტყვაში „ფიდიტია“ ლამბდა შეცვლილია დელტათი; ანდა შეიძლება იმიტომ, რომ სისიტიები ხალხს უბრალოებასა და მომჭირნეობას ასწავლიდა. ასეთ შემთხვევაში „ფი-

დიტია“ წარმოდგება სიტყვისაგან „ფეიდო“, რაიც „დაზოგვას“ აღნიშნავს. არაფერი გვიშლის ხელს ვიფიქროთ, რომ „ფიდიტიაში“ წამატებულია პირველი თანხმოვანი, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს, და იყო „ედიტია“, რაც „ლხინსა“ და „ჭამას“ გამოხატავს.

საჯარო სუფრასთან ყოველთვის იკრიბებოდა თხუთმეტი კაცი. ხან ამაზე მეტი, ხან კიდევ ცოტათი ნაკლები. სისიტიების თითოეულ მონაწილეს ყოველთვიურად მოჰქონდა მედიმნი ქერი ფქვილად, რვა ტოლჩა ღვინო, ბუთი მნა ყველი, ხუთნახევარი მნა ლეღვის ჩირი და ამასთან ერთად მცირეოდენი ფული ხორცის საყიდლად. გარდა ამისა ის, ვინც მსხვერპლს სწირავდა, სისიტიაზე გზავნიდა საღვთო ზვარაკის საუკეთესო ნაწილს. ყოველი მონადირე ვალდებული იყო, ნანადირევიდან ზოგი რამ საერთო სუფრისათვის შეეწირა. იმას, ვინც მსხვერპლის შეწირვით იყო დაკავებული, ან ვინც ნადირობიდან გვიან ბრუნდებოდა, უფლება ეძლეოდა შინ ესადილა. მაგრამ სხვები კი აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ საერთო სადილს. სპარტელები დიდხანს წმინდად ინახავდნენ ზიარად სადილობის წესს. როცა, მაგალითად, ათენელებზე გამარჯვებული მეფე აგისი ლაშქრობიდან დაბრუნდა და შინ ცოლთან ერთად სადილობა მოიწადინა, საჯარო სუფრიდან თავისი კერძი მოიკითხა. პოლემარქოსებმა ეს კერძი არ გაუგზავნეს. მეორე დღეს გამწყრალმა მეფემ აღარ შესწირა კანონით დადგენილი მსხვერპლი. პოლემარქოსებმა კი ამისათვის ჯარიმა დაადეს.

სისიტიებზე ხშირად დადიოდნენ ბავშვებიც. ისინი აქ დაჰყავდათ, როგორც თავდაჭერისა და ქცევების შესასწავლ სკოლაში. აქ ბავშვები ისმენდნენ საუბარს პოლიტიკაზე, ეჩვეოდნენ გართობას, ზომიერ ხუმრობასა და სხვისი დაცინვის ატანას. დაცინვის მოთმენა სპარტელის დიდებულ თვისებად ითვლებოდა. ვინც ვერ იტანდა, შეეძლო ეთხოვა დახსნოდნენ და დამცინავიც მყისვე დაეხსნებოდა.

საჯარო სასადილოსთან ყოველ შემსვლელს წინ დახვდებოდა საზოგადოების უხუცესი წევრი, რომელიც ახლად მოსულს კარზე მიუთითებდა და ეტყოდა: „აქედან ერთი სიტყვაც არ გამოდის გარეთ!“ სისიტიების მონაწილეობის მოსურნეს, გადმოცემის მიხედვით, შემდეგნაირ არჩევნებს უწყობდნენ: სისიტიების თითოეული წევრი ხელში აიღებდა პურის სორსოლს და უსიტყვოდ ჩააგდებდა საგანგებო ჭურჭელში, რომელიც თავზე ჰქონდა შემოდგმული მსახურს. ვინც

თანახმა იყო, ახალი წევრი მიეღოთ, ის პურის სორსოლს უბრალოდ აგდებდა ჭურჭელში, ვინც წინააღმდეგი იყო, ის პურის სორსოლს ხელით დაჭყლეტდა და ისე ჩაუშვებდა. დაჭყლეტილ სორსოლს გახვრეტილი კენჭის ძალა ჰქონდა[25]. ერთი ასეთი სორსოლი რომ აღმოეჩინათ ჭურჭელში, მთხოვნელს წევრად არ მიიღებდნენ; საერთო სურვილი იყო, ყველანი ერთმანეთის კმაყოფილი ყოფილიყვნენ. იმ კაცზე, ვისაც წევრად არ მიიღებდნენ, ამბობდნენ: „კეკადისთაი". საქმე ისაა, რომ ჭურჭელს, რაშიაც პურის სორსოლებს ჰყრიან, სპარტაში „კადიქოსი" ეწოდება.

საჭმელებში ყველაზე უფრო საუკეთესო შეჭამადად სპარტელები თვლიდნენ ეგრეთ წოდებულ შავ წვენს. მოხუცი სპარტელები ხორცს თითქმის არ ეკარებოდნენ და ახალგაზრდებს უთმობდნენ, თვითონ კი სიამოვნებით შეექცეოდნენ აღნიშნულ წვენს. ამბობენ, პონტოს ერთ-ერთმა მეფემ ამ შავი წვენის გულისათვის ლაკედემონელი მზარეული იყიდა. მზარეულმა ეს შეჭამადი მოამზადა და მეფეს მიართვა. როცა მეფემ წვენი დაიწუნა, მზარეულმა უთხრა: „მეფეო, ამ წვენის გემო რომ გაიგო, ჯერ მდინარე ევროტში[26] უნდა იბანაოთ".

ზომიერი ღრეობის შემდეგ სისიტიების მონაწილენი სახლებში ბრუნდებოდნენ ყოველგვარი სანთლის გარეშე. სანთლით ხელში სიარული აკრძალული იყო, რა შემთხვევაც არ უნდა ყოფილიყო. სპარტელები უნდა მიჩვეოდნენ ღამის წყვდიადში გაბედულ სიარულს.

აი, ასეთი იყო სისიტიების წესრიგი.

13. თავისი კანონები ლიკურგეს წერილობითი სახით არ გამოუქვეყნებია. წერილობითი კანონების აკრძალვა განსაზღვრულია ერთ-ერთი რეტრით. ლიკურგეს აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანსა და ფასდებულს სახელმწიფოს კეთილდღეობისა და ღირსებისათვის ფესვები მტკიცედ უნდა ჰქონდეს გადგმული მოქალაქეთა ხასიათსა და ქცევაში. ნებისყოფა, ლიკურგეს მიხედვით, იძულებაზე უფრო ძლიერი ბორკილია. ასეთ ნებისყოფას კი ადამიანში ქმნის აღზრდა, რომელსაც ამ შემთხვევაში ნამდვილი კანონმდებლის ძალა ენიჭება.

რაც შეეხება ფულთან დაკავშირებულ წვრილ-წვრილ გარიგებებს, რომლებიც ხშირად იცვლება, ლიკურგეს აზრით უმჯობესი იყო არ მოეთავსებინათ ისინი იძულებისა და უცვლელობის ჩარჩოებში წერილობითი დადგენილებებით. ლიკურგეს დასაშვებად მიაჩნდა ასეთი გარიგებისათვის დროთა განმავლობაში, გარემოებისდა მიხედვით,

ჭკვიან ხალხს დაემატებინა ან გამოეკლო რაიმე. ერთი სიტყვით, ლიკურგეს კანონმდებლობის მთავარი აზრი აღზრდა იყო. აი, ამის გამო იყო, როგორც ვთქვით, ერთ-ერთი რეტრა აცხადებდა, დაწერილი კანონები საჭირო არ არისო.

მეორე რეტრა მიმართული იყო ფუფუნების წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, ამ რეტრის მიხედვით, მთელი სახლის სახურავი მარტო ცულით უნდა გაკეთებულიყო, კარი კი — ხერხით. სხვა იარაღის მოშველიება არ შეიძლებოდა. ხომ თქვა კარგა ხნის შემდეგ, როგორც ამბობენ, ეპამინონდამ თავის ღარიბ სუფრაზე: „ასეთი სადილის პატრონს ღალატი არ მიეკარებაო“[27]. ლიკურგე კი ადრევე მიხვდა, რომ უბრალო სახლში ფუფუნება და სიმდიდრე ვერ იბოგინებდა. და, მართლაც, ვინ უნდა იყოს ისეთი უგემოვნო და უმეცარი, რომ უბრალო და ღარიბულ სახლში შეიტანოს ვერცხლისფეხებიანი საწოლები, ძოწის გადასაფარებლები, ოქროს თასები და მსგავსი სხვა ძვირფასი სამკაულნი. აუცილებელია, რომ სახლს შეეფერებოდეს საწოლი, საწოლს გადასაფარებელი, გადასაფარებელს კი სხვა მორთულობა და ავეჯი. ამბობენ. სპარტელთა უბრალო ჩვეულებამ ათქმევინა ლეოტიქიდა უფროსს[28] ცნობილი სიტყვებიო. ლეოტიქიდა ერთხელ კორინთოში სადილობდა და გაოცებით შესცქეროდა სახლის დიდებულად მორთულ ოთხკუთხედ ჭერს. მან მასპინძელს ჰკითხა: თქვენში ოთხკუთხედი ხეები ხომ არ იზრდებიანო?

ლიკურგეს მესამე რეტრა, როგორც გადმოგვცემენ, სპარტელებს უკრძალავდა ერთსა და იმავე მტერზე ხშირად ლაშქრობას, რათა ეს მტერი თავდაცვას არ დაჩვეოდა და მამაცი მებრძოლი არ გამხდარიყო. ამიტომ იყო, რომ შემდგომში მეტისმეტად კიცხავდნენ მეფე აგესილაეს, რომელმაც ბეოტიაში ხშირი ლაშქრობებით და თავდასხმებით თებელები სპარტელთა დარი მეომრები გახადა. თებელებთან ომში დაჭრილი აგესილაე რომ იხილა, ანტალკიდამ[29] უთხრა: „კარგი ჯილდო კი მიიღე თებელებისაგან, რომელთაც მაშინ ასწავლე ბრძოლა, როცა ეს არც უნდოდათ და არც იცოდნენო“.

ამ სამ ბრძანებულებას ლიკურგე ეძახდა რეტრებს და ღვთისაგან მომდინარე ნაწინასწარმეტყველებ კანონებად თვლიდა.

14. ბავშვების აღზრდა ლიკურგეს კანონმდებლის უდიდეს და უკეთილშობილეს საქმედ მიაჩნდა. ამიტომ ამ საქმეს მან თავიდანვე მოჰკიდა ხელი და მყისვე მიაპყრო ყურადღება ქორწინებისა და

შვილიანობის საკითხს. არაა მართალი არისტოტელე, როცა ამბობს: ლიკურგეს სპარტელი ქალების გამოსწორება უნდოდა, მაგრამ ამ საქმეს თავი მიანება, რაკი ვერ შესძლო ქალთა თავაწყვეტილობისა და მბრძანებლობის ალაგმვაო. ნიადაგ სალაშქროდ მყოფი მამაკაცები იძულებულნი ხდებოდნენ თავიანთი ქალებისათვის სრული თავისუფლება მიეცათ, ზომაზე მეტი პატივი ეძღვნათ და ქალბატონები ეძახათო. სინამდვილეში კი ლიკურგემ სპარტელი ქალების გაჯანსაღების საქმეს საკმაო ყურადღება დაუთმო. ქალიშვილების გასაკაჟებლად მან სირბილი, ჭიდაობა, შუბისა და დისკოს ტყორცნა დააწესა, რათა მათ ჯანსაღ სხეულში ჩასახული ნაყოფიც ძლიერი და ღონიერი ყოფილიყო. მომავალი დედა ძალ-ღონით აღსავსე უნდა დახვედროდა მშობიარობას და ტკივილები ადვილად გადაეტანა. ლიკურგემ ქალიშვილებს აუკრძალა ნებივრობა, სახლში ჩაკეტვა და ფუფუნებით ცხოვრება. მან ისინი მიაჩვია ზეიმზე ჭაბუკებივით გაშიშვლებული მოსულიყვნენ და ზოგიერთ წმიდა დღესასწაულზე დედიშობილა ეცეკვათ და ემღერათ ჯეელი ბიჭების თვალწინ. ზოგჯერ ქალიშვილები მახხარად იგდებდნენ მას, ვინც თავის საქმიანობაში შეცდომებს უშვებდა, და ამით აიძულებდნენ შემცოდებელს გამოსწორებულიყო. ზოგჯერ კი სახოტბო სიმღერებს უმღერდნენ ღირსეულ ჭაბუკებს და ამით ყმაწვილ კაცებში პატივმოყვარეობისა და წარმატებებისაკენ სწრაფვის გრძნობას აღვივებდნენ. მამაცობისათვის ხოტბაშესხმული და ქალიშვილთა წრეში სახელმოხვეჭილი ვაჟკაცი ქება-დიდებით გაამაყებული ბრუნდებოდა სახლში. გესლიანი დაცინვა გაკვეთილი იყო იმისთვის, ვისაც იგი ეხებოდა. მით უმეტეს, რომ ამ ამბავს სხვა მოქალაქეებთან ერთად მეფეები და უხუცესთა საბჭოს წევრებიც ესწრებოდნენ.

ქალიშვილების სიშიშვლე სამარცხვინოდ არ ითვლებოდა. თავაწყვეტილობასა და შეუფერებელ საქციელს აქ ადგილი არ ჰქონდა. მორცხვობა და მოკრძალება სპარტელთა ქალიშვილებს ყოველთვის მოსდგამდათ. სიშიშვლე კი ქალიშვილებს აჩვევდა უბრალოებას, უღვიძებდა მათ საკუთარი სხეულის გაკაჟებისა და გამოწრთობის სურვილს. სწორედ ეს სიშიშვლე უნერგავდა ქალთა სქესს ვაჟკაცურ სულს და ამტკიცებდა, რომ ქალებს მამაკაცებზე ნაკლებ როდი შეეძლოთ სახელის მოხვეჭა და სიქველის გამოჩენა. ასეთი ვაჟკაცური აღზრდა სპარტელი ქალების სიტყვასა და აზრს დიდ ძალას ანიჭებ-

და. აი, რას მოგვითხრობენ ლეონიდას[30] ცოლის — გორგოს შესახებ. ერთმა, როგორც ჩანს, უცხოელმა ქალმა გორგოს უთხრა: „თქვენ, ლაკედემონელი დედაკაცები, ერთადერთი ქალები ხართ ქვეყანაზე, რომლებიც ვაჟკაცებზე მბრძანებლობთო"; გორგომ კი მიუგო: „ნამდვილ ვაჟკაცებსაც მხოლოდ ჩვენ ვშობთო".

15. ყველაფერი ეს ერთგვარი ბიძგი იყო ქორწინებისკენ — აქ მე ვგულისხმობ ქალწულთა საზეიმო მსვლელობას, სიშიშვლეს, შეჯიბრებებს ჭაბუკთა თვალწინ. ჭაბუკებს, როგორც პლატონი ამბობს, ამ შემთხვევაში იტაცებდა არა გეომეტრიული მოხდენილობა, არამედ სიყვარულის ძალა.

ლიკურგემ გარკვეული სასჯელი დაადო უცოლოებს. მათ აკრძალული ჰქონდათ გიმნოპედიებზე დასწრება[31]. ზამთარში კი, არქონტთა ბრძანების მიხედვით, უცოლოებს ტანზე უნდა გაეხადათ და დედიშობილა მოედნის გარშემო ევლოთ, თან ემღერათ მათივე წინააღმდეგ შეთხზული სიმღერა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ისინი სამართლიანად ისჯებიან, ვინაიდან არსებულ კანონებს არღვევენ. გარდა ამისა, მათ აღკვეთილი ჰქონდათ ის მოწიწება და პატივისცემა, რითაც ახალგაზრდები უფროსებს ექცევიან. ამიტომ არავინ არ კიცხავდა იმ სიტყვებს, რომლებითაც ერთხელ დერკილიდას გაუმასპინძლდნენ, თუმცაღა იგი საბელოვანი სტრატეგოსი იყო. ერთხელ დერკილიდა შევიდა ერთ შენობაში. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ მას სკამი არ დაუთმო და უთხრა: „შენ ჯერ არავინ გაგიჩენია ქვეყანაზე, რომ შემდეგში მე დამითმოს ადგილი".

სპარტელები ცოლს ირთავდნენ მოტაცებით. მოტაცებულ პატარძალს ჩააბარებდნენ ეგრეთ წოდებულ ნიმფევტრიას. იგი პატარძალს თმას ძირამდე შეუკრეჭდა, მამაკაცის ტანსაცმელსა და ფეხსამოსში გამოაწყობდა და ბნელ კუთხეში ჩალისაგან გამზადებულ ლოგინზე მარტოდმარტო დააწვენდა. ნეფე, რომელიც არც მთვრალი იყო და არც ლხინისაგან აღგზნებული, არამედ ჩვეულებისამებრ ფხიზელი, როგორც ფიდიტიებზე ნავახშმევ კაცს შეეფერებოდა, პატარძალთან შედიოდა, სარტყელს შემოხსნიდა, ხელში აიყვანდა და საქორწინო საწოლზე დააწვენდა. იგი ცოლთან მცირე ხნით რჩებოდა. მერმე კი მოკრძალებით ბრუნდებოდა მისთვის მიჩენილ ოთახში, სადაც სხვა ყმაწვილ კაცებთან ერთად იძინებდა. შემდგომშიც ქმარი დღესა და ღამეს თავის ტოლებთან ატარებდა, ცოლთან კი დიდი სიფრთხი-

ლით და მალულად დადიოდა. რცხვენოდა და თან ეშინოდა, შინაურთაგან ვინმეს არ შეემჩნია. პატარძალი თავის მხრივ ყოველთვის იმას ცდილობდა, საქმე ისე მოეჭახრაკებინა, რომ ქმარს მოხერხებულ დროს მალულად შეჰყროდა. ეს ამბავი საკმაო დიდხანს გრძელდებოდა. ზოგ სპარტელს შვილები ისე უჩნდებოდა, რომ საკუთარი ცოლი დღისით არც კი ენახა. ასეთი იშვიათი შესვედრა მარტო თავდაჭერილობასა და მოკრძალებას კი არ აჩვევდა ცოლ-ქმარს, არამედ გაჭრავლების უნარსაც უძლიერებდა და მათ ურთიერთობას მუდამ სიყვარულის ახალი ძალით აგზნებდა. ეს ურთიერთობა თავის მომაბეზრებული და მომქანცავი როდი იყო. ცოლ-ქმარს მუდამ ჰქონდათ ერთმანეთის ნდომისა და დაუცხრომელი სიყვარულის გრძნობა.

ქორწინების საქმეში ასეთი კდემამოსილება-მოკრძალებისა და წესრიგის დამყარების შემდეგ ლიკურგემ მრავალი ღონე იხმარა ამაო და ლაჩრული ეჭვიანობის აღმოსაფხვრელად. მისი აზრით, ქორწინებიდან ძალადობისა და უწესრიგობის განდევნის გარდა, საჭირო იყო ღირსეულ მოქალაქეთ შვილების გაჩენის საკითხში სრული თავისუფლება მინიჭებოდათ. იგი დასცინოდა იმათ, რომელთაც მომავალი თაობის წარმოშობა კერძო საქმედ მიაჩნდათ, თანამონაწილეობას ამ საქმეში ვერ იტანდნენ და მზად იყვნენ ამ ნიადაგზე აღმოცენებული ეჭვიანობის გამო სისხლი დაეღვარათ და ომები გაეჩაღებინათ. ახალგაზრდა ცოლის პატრონ მოხუცებულ კაცს უფლება ეძლეოდა, თუკი ვინმე კეთილშობილი და ლამაზი ჭაბუკი მოეწონებოდა, თავის ცოლთან მიეშვა, მათი ურთიერთობის ნაყოფი კი თავისად მიეჩნია. კეთილშობილ ვაჟკაცს, რომელსაც მოეწონებოდა სხვისი ცოლი — კდემამოსილი და კარგი შვილების დედა, შეეძლო ეთხოვა ქმრისათვის მის ცოლთან ურთიერთობის ნება, რათა ამ ქალისაგან, ვით ნოყიერი ყანისაგან, ძვირფასი ნაყოფი მიეღო, ისეთი შვილები გაეჩინა, რომლებიც კეთილშობილური სისხლის ღირსეული მემკვიდრეები იქნებოდნენ.

ლიკურგე იმთავითვე ამტკიცებდა: ბავშვები სახელმწიფო კუთვნილებაა და არა მამებისო. ამიტომ სურდა მომავალი მოქალაქეები საუკეთესო ადამიანებისაგან წარმოშობილიყვნენ და არა შემთხვევითი პირებისაგან. ამასთან დაკავშირებით ლიკურგე სულელურად და უცნაურად თვლიდა სხვა კანონმდებელთა დადგენილებებს: „ზოგ-

ერთები, — ამბობდა ლიკურგე, — ძუკნა ძაღლებისა და ჭაკი ცხენებისათვის საუკეთესო ხვადებსა და ულაყებს დაეძებენ; მათ საშოვრად არც სიტყვასა და არც ფულს არ იშურებენ, ქალებს კი სახლებში ჰკეტავენ და სასტიკად მეთვალყურეობენ, რათა შვილები მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ქმრებისაგან გააჩინონ. იმაზე კი როდი ფიქრობენ, თუ ამ გზით ნაშობი ბავშვები უგუნურები, უასაკონი და სუსტები გამოვლენ. თითქოს მახინჯი მშობლებისაგან ნაშიერი სუსტი ბავშვები უბედურება არ იყოს უწინარეს ყოვლისა მათი პატრონებისა და აღმზრდელებისათვის. თითქოს ჯანსაღი დედ-მამის ჯანსაღი თაობა სიხარულს არ გვფენდეს“.

ლიკურგეს მიერ შემოღებული წესები მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაში სრულიად ბუნებრივი იყო და სახელმწიფოს გაჯანსაღების საქმეს ემსახურებოდა. შემდეგ ხანებში სპარტელი ქალების მსუბუქ ყოფაქცევაზე მსჯელობას ლიკურგეს წესებთან არაფერი ჰქონდა საერთო. სიძვა-მრუშობა რა იყო, ლაკედემონელებმა დიახაც არ იცოდნენ. ამასთან დაკავშირებით ხშირად იხსენიებენ ერთი ძველი სპარტელის, ვინმე გერადას სიტყვებს. ერთმა უცხოელმა გერადას ჰკითხა:

— რითი სჯიან მრუშებს თქვენს ქვეყანაში?

— ჩვენში, უცხოელო, მრუში არაა, — უპასუხა გერადამ.

— კი, მაგრამ, რომ აღმოჩნდეს მაინც? — დაიჟინა უცხოელმა.

— მაშინ ჯარიმად გადაიხდის იმხელა ხარს, რომელიც ტაიგეტის მწვერვალიდან თავს გადმოჰყოფს და მდინარე ევროტში წყალს დალევს.

— მერე სად ნახულა ამხელა ხარი? — გაუკვირდა უცხოელს.

— მაშ ვის უნახავს სპარტაში მრუში? — მიუგო გერადამ.

აი, ის რასაც სპარტელთა ქორწინების საკითხებზე გადმოგვცემენ.

16. ბავშვის აღზრდის უფლება მშობელს არ ჰქონდა. დაიბადებოდა თუ არა ყმაწვილი, მამა მას მიიყვანდა იმ ადგილას, რომელსაც „ლესქეს“ ეძახდნენ[32]. აქ ისხდნენ ფილეების უხუცესი წევრები. ისინი ახალშობილს ვასინჯავდნენ. თუ ღონიერი და საღი აღმოჩნდებოდა, უხუცესები ბრძანებას გასცემდნენ ბავშვი გამოეზარდათ, ამასთანავე გამოუყოფდნენ მიწის ერთ-ერთ ნაკვეთს ცხრა ათასი ნაკვეთიდან. თუ ყმაწვილი სუსტი და უსახური გამოდგებოდა, ეგრეთ წოდებულ „აპოთეტში“ — ტაიგეტის მახლობლად მდებარე უფსკრულ-

ში ისროდნენ. უხუცესთა აზრით, დაბადებითვე უსახური და ტანდალეული ბავშვის სიცოცხლე საკუთარი თავისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც უსარგებლო იქნებოდა. აი ამის გამო ქალები ჩვილს, სიმაგრის გამოცდის მიზნით, წყლით კი არ აბანავებდნენ, არამედ ღვინით. ამბობენ, ავი ზნით შეპყრობილი და სუსტი ბავშვები შუმ ღვინოს ვერ იტანენ და მაშინვე იღუპებიან; ჯანსაღი ბავშვები კი ასეთი გამოცდის შემდეგ უფრო მეტად კაჟდებიან და იწრთობიანო.

ძიძები ბავშვებს დიდი ყურადღებით უვლიდნენ და მშვენივრად იყვნენ დახელოვნებული აღზრდის საქმეში. ისინი ჩვილებს არც არტახებს უჭერდნენ და არც ჩვრებში ახვევდნენ, მათ ასოებს და საერთოდ მთელ სხეულს სრულ სილაღეს აძლევდნენ. ბავშვებს აჩვევდნენ ზომიერად ეჭამათ და სასმელ-საჭმელში გულაზიზები არ ყოფილიყვნენ, სიბნელისა და მარტოობისა არ შინებოდათ, სიმხდალე და ტირილი არ სცოდნოდათ. ამის გამო უცხოელებიც თავიანთი ბავშვების აღმზრდელებად ლაკედემონელ ძიძებს ყიდულობდნენ. ასე, მაგალითად, ალკიბიადე ათენელის ძიძა, ამბობენ, ლაკედემონელი იყო; მაგრამ პლატონის სიტყვით, ალკიბიადეს პერიკლემ მასწავლებლად მიუჩინა მონა, სახელად ძოპირე, რომელიც სხვა მონებში არაფრით არ გამოირჩეოდა. ლიკურგეს კი აკრძალული ჰქონდა სპარტელთა ბავშვების აღმზრდელად ნაყიდი ან დაქირავებული პედაგოგის აყვანა.

მამას უფლება არ ეძლეოდა ვაჟიშვილი საკუთარი სურვილისამებრ აღეზარდა. მამრობითი სქესის ბავშვებს, როგორც კი შეუსრულდებოდათ შვიდი წელი, ლიკურგე თავს მოუყრიდა და ეგრეთ წოდებულ „აგელებად“ დაყოფდა, რათა ერთად ყოფნას მიჩვეოდნენ, ერთად გაზრდილიყვნენ, ერთად ეთამაშათ და ერთად ესწავლათ. „აგელების“ უფროსად ლიკურგე მას აყენებდა, ვინც გონიერებითა და ბრძოლებში განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდა. „აგელეს“ უფროსს ყველანი თვალებში უყურებდნენ; მის ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდნენ და მისგან სასჯელს მოთმინებით იტანდნენ. ასე რომ აღზრდის მიზანი სპარტაში მორჩილების გამომუშავება იყო.

მოხუცები თვალყურს ადევნებდნენ ბავშვების თამაშს, ხშირად განზრახ ჩამოაგდებდნენ მათ შორის შფოთსა და ერთმანეთს წააჩხუბებდნენ. ამ გზით ისინი მშვენივრად სწავლობდნენ ყოველი ბავშვის ხასიათს — მამაცი იყო თუ არა, ხომ არ გამოექცეოდა ბრძოლის

ველს. წერა-კითხვას ისე ასწავლიდნენ, რამდენადაც ეს აუცილებელი შემთხვევის დროს დასჭირდებოდათ. ბოლოს და ბოლოს მთელი აღზრდის მიზანი იყო უსიტყვო მორჩილება, შრომაში გამძლეობა და ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება. რაც უფრო იზრდებოდნენ ბავშვები, მით უფრო სასტიკი ხდებოდა მათი გაწვრთნა: თმას ძირამდე კრეჭდნენ, აჩვევდნენ ფეხშიშველა სიარულს და აიძულებდნენ თითქმის ყოველთვის ტიტლიკანებს ეთამაშნათ.

თორმეტი წლის ასაკს რომ მიაღწევდნენ, ისინი უკვე უქიტონოდ[33] დადიოდნენ და ამიერიდან წელიწადში თითო წამოსასხამს იღებდნენ. სხეული მათ მუდამ ჭუჭყიანი ჰქონდათ, თბილ წყალში არ ბანაობდნენ, ტანს ზეთით არ იზელდნენ. ასეთი ფუფუნების ნება ეძლეოდათ წელიწადში მხოლოდ რამდენიმე დღეს. იძინებდნენ ერთად „ილებისა" და „აგელების" მიხედვით ლერწმის საწოლებზე. ასეთი საწოლებისათვის საჭირო ლერწამი იზრდებოდა მდინარე ევროტის ნაპირებზე. ლერწამს ბავშვები ხელით ჰგლეჯდნენ და ისე მოჰქონდათ. დანის მოშველება არ შეიძლებოდა. ზამთარში ქვეშ იფენდნენ ლერწამთან შერეულ ეგრეთ წოდებულ „ლიკოფონს", რომელიც, მათი აზრით, სითბოს შემნახავი მცენარე იყო.

17. ასეთ ასაკს მიღწეულ და გამორჩეულ ყმაწვილებს უკვე თავიანთი საყვარელი ვაჟკაცები ჰყავდათ. უხუცესები ბავშვების მიმართ სიფრთხილეს კიდევ უფრო მეტად აძლიერებდნენ. ისინი ხშირად დადიოდნენ გიმნასიებში, ესწრებოდნენ მოზარდთა საბრძოლო შეჯიბრებებს და ხალისით ისმენდნენ ყმაწვილთა შორის გამართულ მახვილსიტყვაობას. მოხუცებისათვის ეს უბრალო დროსტარება რადი იყო. ისინი თავიანთ თავს ბავშვების მამებად, მასწავლებლებად და მოძღვრებად თვლიდნენ. არასდროს და არსად ბავშვებს მარტო არ ტოვებდნენ. მოზარდი დანაშაულს თუ ჩაიდენდა, იქვე ჰყავდა დამრიგებელიცა და დამსჯელიც.

მოზარდებს მეთვალყურედ მიჩენილი ჰყავდათ ეგრეთ წოდებული „პედონომოსი", რომელსაც კეთილშობილ ვაჟკაცთა წრიდან ირჩევდნენ. პედონომოსები „აგელების" სათავეში აყენებდნენ ყველაზე უფრო გონიერ და მამაც „ირენებს". „ირენებს" სპარტელებში ეძახდნენ ბავშვობის ასაკიდან უკვე ორი წლის წინათ გამოსულთ. ყველაზე უფროს ბავშვს კი „მელირენი" ეწოდებოდა. ოცი წლის ასაკს მიღწეული ირენი ბრძოლებში რაზმს მეთაურობდა, მშვიდობიანობის

დროს კი რაზმის წევრებს მსახურებად იყენებდა და საერთო სადილის მომზადების საქმეს განაგებდა. მოზრდილებს იგი შეშის მოზიდვას ავალებდა, უმცროსებს კი მწვანილზე აგზავნიდა. ყველაფერი, რაც კი მოჰქონდათ, ნაქურდალი იყო: ერთნი ბაღებში მიდიოდნენ საქურდავად, მეორენი სპარტელ ვაჟკაცთა საჯარო სასადილოში შეიპარებოდნენ და ცდილობდნენ ქურდობის დროს მოხერხება და სიფრთხილე გამოეჩინათ. ვისაც ქურდობაში დაიჭერდნენ, იმას უწყალოდ გაშოლტავდნენ, ვითარც უშნო, უხეიერო ქურდს.

ბავშვები იპარავდნენ ყოველგვარ საქმელს, ეჩვეოდნენ მოხერხებულად დასხმოდნენ თავს მძინარეთ და საერთოდ ყველას, ვინც კარგად ვერ პატრონობდა თავის საქონელს. ქურდობაში დაჭერილს, როგორც ვთქვით, ცემით სჯიდნენ და ამიმშილებდნენ. მოზარდთა სადილი მეტისმეტად ძუნწი იყო. ეს იმიტომ, რომ შიმშილის მოსაკლავი სარჩო თვითონვე ეშოვათ, ეს მათ აიძულებდა გაბედულები და მარდები ყოფილიყვნენ. საკვების სიმცირის მიზეზი სწორედ ეს გახლდათ. მეორე მიზეზი, როგორც ამბობენ, დაკავშირებული იყო სხეულის ზრდის საკითხთან. თუ ზედმეტი საკვები თავისი სიმძიმით სულს არ აწვება და სხეულს სიღრმესა და სიგანეში არ ეწევა, მაშინ სული მსუბუქად მიემართება ზემოთ და ადამიანის ტანიც ლაღად და ადვილად იზრდება სიგრძეში. ეს კი სხეულს შნოსა და ლაზათს ანიჭებს. წვრილი და გამხდარი სხეული ჯანსაღი და მოქნილია. სიმსუქნით დამძიმებული ტანი კი მოქნილობას წინააღმდეგობას უწევს თავისი სიმძიმით. ცნობილია, რომ ფეხმძიმობის დროს ქალები, რომლებიც კუჭს იწმენდნენ, გამხდარ, მაგრამ ლამაზ და მოქნილ ბავშვებს შობენ. საქმე ისაა, რომ მსუბუქ მასალას შემოქმედი ძალა ადვილად აძლევს საჭირო იერს. თუმცა ამის მიზეზი, დაე, სხვამ გაარკვიოს.

18. ბავშვები ცდილობდნენ რაც შეიძლება ფრთხილად და მოხერხებულად ექურდათ. ასე, მაგალითად, მოგვითხრობენ: ერთმა ყრმამ მელიის ლეკვი მოიპარა და წამოსასხამის ქვეშ დამალა. ნადირმა ბრჭყალებით და კბილებით მუცელი მთლად გამოუღრღნა, მაგრამ ბიჭი საიდუმლოების დასაფარავად თავს მანამ იმაგრებდა, ვინემ იქვე არ მოკვდა. ეს ამბავი დაუჯერებელი როდია. ჩვენ საკუთარი თვალით გვინახავს სპარტელი ბიჭები, რომლებიც ხმის ამოუღებლივ იტანდნენ საშინელ ცემა-ტყეპას ორთიას საკურთხევლის წინ[34].

ნავახშმევს მხარ-თეძოზე წამოწოლილი ირენი ზოგიერთ ბავშვს უბრძანებდა ემღერა, ზოგს კი ისეთ შეკითხვებს აძლევდა, რომლებიც მოფიქრებულ და გონივრულ პასუხებს მოითხოვდა. ასე, მაგალითად, ირენი ბავშვებს ეკითხებოდა: „ვინაა ყველაზე უკეთესი ვაჟკაცი ჩვენს ქალაქში?“ ანდა: „როგორია შენი აზრი ამა და ამ საქმეზეო?“ ამ გზით სპარტელები იმთავითვე სწავლობდნენ ავისა და კარგის გარჩევას და თანამოქალაქეთა ხასიათის გამოცნობაში ოსტატდებოდნენ თუ ვისმე შეკითხვაზე — ვინ არის კარგი მოქალაქე და ვინ სახელგატეხილი — პასუხის გაცემა გაუჭირდებოდა და ყოყმანს დაიწყებდა, სპარტელების აზრით, იგი გონებაჩლუნგობასა და სიქველის სიძულვილს ამჟღავნებდა. პასუხში უნდა ყოფილიყო ჩაქსოვილი მიზეზი და მტკიცებაც, ყველაფერი ეს კი მოკლედ, სხარტად თქმულიყო. მას, ვინც შეცდომით გასცემდა კითხვაზე პასუხს, ირენი სასჯელის ნიშნად ცერზე უკბენდა.

ბავშვებს ირენი ხშირად სჯიდა უხუცესთა და არქონტთა თანდასწრებით, რათა მათთვის ეჩვენებინა, სამართლიანი და შესაფერისი თუ იყო მისი სასჯელი. დასჯის დროს უფროსები ირენს ხელს არ უშლიდნენ; მაგრამ როცა ბავშვები წავიდოდნენ, ირენს თავის მხრივ სასტიკ პასუხს სთხოვდნენ, თუ აღმოჩნდებოდა, რომ იგი მეტისმეტ მრისხანებას ანდა გადაჭარბებულ ლმობიერებას იჩენდა.

ყრმების სატრფოები მათი საყვარელი ყმაწვილების სახელსაც და შერცხვენასაც იზიარებდნენ. როცა ერთხელ ერთმა ყრმამ ბრძოლის დროს სიმხდალე გამოიჩინა და ყვირილი მორთო, არქონტებმა თურმე მისი სატრფო დასაჯეს.

ამ სახის სიყვარული სპარტაში ისე ფეხმოკიდებული იყო, რომ კეთილშობილი მანდილოსნებიც კი ჰყვარობდნენ ქალწულებს, მაგრამ ეჭვიანობასა და შურს იქ ადგილი არ ჰქონდა. ერთი და იმავე პირის სიყვარული მეტოქეთა შორის მეგობრობის საფუძველს ქმნიდა. მეტოქენი თავგამოდებით ცდილობდნენ მათი საყვარელი არსება რაც შეიძლება მეტად გაეკეთილშობილებინათ.

19. ბავშვებს ასწავლიდნენ მახვილსიტყვაობას, მოხდენილ, მოსაზრებულ და სხარტ ლაპარაკს. ლიკურგემ, როგორც ზემოთ ითქვა, რკინის ფულს დიდ სიმძიმესთან ერთად მცირე ფასი მისცა; მაგრამ მოკლე, სადა ნათქვამში მას სურდა ღრმა და ძლიერი აზრი ჩაექსოვა. ყმაწვილები ლიკურგემ ხანგრძლივ დუმილს მიაჩვია და ამ გზით

მოსწრებული და აზრიანი პასუხის გაცემა ასწავლა. როგორც აღვირახსნილი და გარყვნილი მამაკაცია მოკლებული გამრავლების უნარს, ისე ლაქლაქა ადამიანის სიტყვებია ფუჭი და ყოველგვარ აზრს მოკლებული.

ერთი ათენელი ლაკედემონურ მოკლე მახვილს დასცინოდა და ამბობდა: ჩვენი ჯამბაზები მაგოდენა მახვილს სულ ადვილად ყლაპავენ თეატრშიო. მეფე აგისმა ათენელს უპასუხა: „ჩვენ კი სწორედ მაგ მოკლე მახვილით ადვილად ვწვდებით ჩვენს მტრებსო“.

ჩემი აზრით, ლაკედემონური სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ მოკლეა, ადვილად ხვდება მიზანს და მსმენელთა გულსა და სულს სწვდება.

თვითონ ლიკურგე, თუ მის ღირსსახსოვარ გამონათქვამთა მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩანს, ფრიად სიტყვაძუნწი და ენამოსწრებული კაცი იყო. ასეთია, მაგალითად, მისი გამონათქვამი სახელმწიფო მმართველობის თაობაზე. ერთი კაცი ლიკურგეს ურჩევდა, სპარტაში დემოკრატია დაამყარეო. ლიკურგემ ამ კაცს უპასუხა: „ჯერ შენ სცადე შენს ოჯახში დაამყარო დემოკრატიაო“. ლიკურგეს ჰკითხეს: რატომ დააწესე ეგზომ ძუნწი და უბრალო მსხვერპლშეწირვაო? „იმიტომ, — მიუგო ლიკურგემ, — რომ არასოდეს არ შევწყვიტოთ ღვთის პატივისცემაო“.

ათლეტური შეჯიბრებების გამო ლიკურგეს უთქვამს: „მე მხოლოდ და მხოლოდ იმ შეჯიბრებებში მონაწილეობა არ ავუკრძალე ჩემს მოქალაქეებს, სადაც ხელს ზევით არ სწევენო“[35].

ზოგიერთი იმოწმებს ლიკურგეს წერილობით პასუხებს თავისი მოქალაქეებისადმი. შეკითხვაზე: „როგორ ავიცილებთ თავიდან მტრის თავდასხმას?“ პასუხი იყო: „თუ ღარიბები დარჩებით და თუ არავინ მოინდომებს სხვაზე მაღლა დადგომასო“. ან კიდევ პასუხი კედლების შესახებ: „ქალაქზე არ ითქმის, კედლები არა აქვსო, თუ მას აგურის ნაცვლად ვაჟკაცები არტყია გარსო“.

ადვილი საქმე როდია ირწმუნო წერილების უტყუარობა, მაგრამ არც ისაა იოლი, რომ არ დაიჯერო.

20. გრძელი სიტყვის სიძულვილს კარგად გვიმტკიცებს სპარტელთა ზოგიერთი გამონათქვამი. აი ისინიც:

ერთმა კაცმა მეტად მნიშვნელოვან საქმეზე ფრიად უდროო

დროს მორთო ლაპარაკი. მეფე ლეონიდამ ამ კაცს უთხრა: „სტუმარო, აუცილებელს საჭიროების დროს ვერ იყენებო“.

ლიკურგეს ძმისწულ ქარილაოსს ჰკითხეს: ბიძაშენმა რატომ შექმნა ასე მცირე კანონებიო? ქარილაოსმა უპასუხა: „იმ ხალხს, რომელსაც მრავალსიტყვაობა სძულს, არც ბევრი კანონი სჭირდებაო“.

როცა ზოგიერთმა გაკიცხა სოფისტი ჰეკატე იმის გამო, საზოგადო სადილს ესწრებოდა და ერთი სიტყვაც არ თქვაო, არქიდამიდამ შენიშნა[36]: „ვისაც ლაპარაკი ემარჯვება, მან მისი დროც იცისო“.

ეი ზოგი მავალითი სპარტელთა ზემოხსენებული ენამწარეობისა. ერთმა ავყია კაცმა დემარატეს უხეირო კითხვებით თავი მოაბეზრა, წამდაუწუმ ეკითხებოდა: „ვინ არის სპარტელთა შორის საუკეთესო ვაჟკაციო?“ „ის, ვინც შენ არა გგავსო“, — მიუგო ბოლოს და ბოლოს დემარატემ.

ზოგიერთი მეტისმეტად აქებდა ელეელებს: ოლიმპიურ შეჯიბრებებში კარგი და სამართლიანი მსაჯები არიანო. მეფე აგისმა ამაზე თქვა: „რა დიდი ამბავია, ელეელები ხუთი წლის განმავლობაში ერთ დღეს ემსახურონ სიმართლესო!“

ერთი უცხოელი, რომელსაც სპარტელებისადმი თავისი ერთგულების დამტკიცება სურდა, მეფე თეოპომპეს ეუბნებოდა: ჩემი თანამოქალაქენი „ლაკედემონელთა მოყვარულს“ მეძახიანო. თეოპომპემ უცხოელს უთხრა: „უცხოელო, უკეთესი იქნება, თუ შენიანები „თანამემამულეთა მოყვარულს“ დაგიძახებენო“.

პავსანიას ძემ პლისტონაქსმა ერთ ათენელ მჭევრმეტყველს, რომელიც ლაკედემონელებს უსწავლელებს ეძახდა, უთხრა: „შენ მართალს ამბობ: ჩვენ სპარტელები იმ ბერძენთაგანი ვართ, რომლებსაც ცუდი არაფერი გვისწავლია თქვენგანო“.

არქიდამიდას ჰკითხეს[36]: რამდენი ხართ სპარტელებიო? — „იმდენნი, რამდენნიც საჭიროა ბოროტთა უკუსაქცევადაო“, — მიუგო არქიდამიდამ.

სპარტელთა ხასიათი მათ ნაოხუნჯევშიც შეგვიძლია დავინახოთ. სპარტელებს ჩვეულად ჰქონდათ გამომუშავებული ფუჭად არ ეხმარათ სიტყვა და ისე კრინტი არ დაეძრათ, თუ რასმე აზრიანს არ იტყოდნენ. ერთი სპარტელი მიიწვიეს მოესმინა იმ კაცისათვის, რომელიც ბულბულს ჰბაძავდა. სპარტელმა უარი თქვა: „მე თვითონ ნამდვილი ბულბულისთვის დამიგდია ყურიო“.

როცა ერთ-ერთმა ლაკედემონელმა საფლავზე ასეთი ეპიგრამა წაიკითხა:

> აქ წვანან ისინი, ვისაც ტირანიის ჩაქრობა სურდათ,
> მაგრამ სელინუნტთან მათ არესი დააცხრა თავს —

შენიშნა: „ამ ვაჟკაცთა დაღუპვა სამართლიანი ყოფილა; ტირანია კი არ უნდა ჩაექროთ, მთლიანად უნდა დაეწვათო“.

ახალგაზრდა სპარტელს დაპპირდნენ: ბრძოლებში დახოცილ მამლებს გაჩუქებთო. სპარტელმა ჭაბუკმა დამპირებელს უთხრა: „არ მინდა. თუ ჩუქებაა, ის მამლები მაჩუქეთ, რომლებმაც სხვა მამლები დახოცეს ბრძოლებშიო“.

ერთმა სპარტელმა ტახტრევანში ჩაბრძანებული ხალხი რომ დაინახა, წამოიძახა: „ღმერთმა ნუ ქნას, ისეთ ადგილზე დავჯდე, უფროსს ფეხზე ვერ წარმოვუდგეო“.

აი ასეთი იყო სპარტელთა გამონათქვამები.

ზოგიერთი სრულიად სამართლიანად ამბობს: ლაკედემონელთა მიბაძვა ფილოსოფოსობა უფრო იქნება, ვიდრე გიმნასტობაო.

21. სიმღერებისა და ლექსების შეთხზვის ხელოვნებას აღზრდაში ისეთივე დიდი ყურადღება ექცეოდა, როგორც სიტყვის დახვეწილობასა და სიწმინდეს. სპარტელთა სიმღერებში ჩაქსოვილი იყო ის ძალა, რომელიც სულს ამხნევებდა, ადამიანს აღაფრთოვანებდა და საგმირო საქმეებისადმი მოუწოდებდა. ამ სიმღერების სიტყვა იყო უბრალო, მაგრამ ძლიერი და ღრმა შინაარსისა, აგრეთვე რჩევა-დარიგების შემცველი.

სიმღერათა უმრავლესობა წარმოადგენდა სპარტისთვის ბრძოლებში დაცემულ ნეტარი გმირების ხოტბას; ზოგჯერ სიმღერებში გაკიცხული იყვნენ მხდალები, რომლებიც საეალალო სიცოცხლითღა ცხოვრობდნენ. ზოგიერთ სიმღერებში კი ვაჟკაცები, ასაკისდა მიხედვით, პირობას იძლეოდნენ, რომ უფრო მამაცნი და ქედუხრელნი გახდებოდნენ.

ურიგო არ იქნება აღნიშნულის დასამტკიცებლად ერთი ასეთი სიმღერის მაგალითად მოტანა.

ღღესასწაულების დროს დგებოდა სამი გუნდი, სამი სხვადასხვა ასაკისდა მიხედვით. სიმღერას უხუცესთა გუნდი წამოიწყებდა:

> ჩვენ ხომ მძლე ვაჟკაცნი ვიყავით ოდესღაც!

უხუცესთა გუნდს ჭაბუკთა გუნდი შეესიტყვებოდა:

ახლა კი ჩვენა ვართ, თუ გსურს გამოგვცადე!

ჭაბუკებს ახლა მესამე — ბავშვთა გუნდი შეენაცვლებოდა:

ჩვენ უფრო ძლიერნი ვიქნებით მყოფადში.

თუ ვინმე კარგად დაუკვირდება ლაკედემონურ ლექსებს, რომელთაგან ზოგმა ჩვენამდე მოაღწია, თუ ყურადღებას მიაპყრობს სალამურზე აყოლებულ სალაშქრო ჰანგებს, რასაც მტერზე იერიშის მიტანის დროს დააგუგუნებდნენ, იგი მიხვდება, რომ ტერპანდრემ და პინდარემ[37] ტყუილუბრალოდ არ დაუკავშირეს მამაცობა მუსიკას. აი რას ამბობს ტერპანდრე ლაკედემონელებზე:

ჭაბუკთა ძალასთან ერთად მეფობს აქ წკრიალა მუზაც
და სამართალიც დიდი.

პინდარე დასძენს:

უხუცესთა სიბრძნეც არის
და ჭაბუკთა მძლე შუბებიც;
გუნდებიც ჰყავთ ამ მხარეში
და მუზებიც ხმაწკრიალა.

ამგვარად, ორივე პოეტი, ტერპანდრეც და პინდარეც, ამტკიცებს, რომ სპარტელები შესანიშნავი მეომრები იყვნენ და ამასთან მშვენიერი მუსიკოსებიც:

ლაკედემონელმა პოეტმაც თქვა:

მახვილით მეომარ ვაჟკაცს ჩანგზე დაკვრაც შეეძლოს უნდა.

ბრძოლის წინ სპარტის მეფე ყოველთვის სწირავდა მსხვერპლს მუზებს, ამით, როგორც ჩანს, იგი თანამემამულეებს ახსენებდა მიღებულ აღზრდას და სამშობლოს ადათებს, რათა ყოველგვარ განსაცდელს მომზადებული შეხვედროდნენ და ბრძოლის ყამს სამარადისო ხსოვნის ღირსი მამაცური საქმეები ჩაედინათ.

22. ბრძოლის წინ ჩვეულებრივ სასტიკ წესრიგს სადაგეს მიუშვებდნენ და ახალგაზრდებს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდნენ. მათ ნებას რთავდნენ დაევარცხნათ თმა, მორთულიყვნენ ტანსაცმლით და იარაღით. უფროსი თაობის სპარტელები ხიხარულით შესცქეროდნენ ახალგაზრდებს, რომლებიც ჰგავდნენ დარახტულ რაშებს, ბრძოლაში რომ ჭიხვინით მიიწევდნენ.

სპარტელები თავიანთ გრძელ თმას ყრმობის ასაკიდან გამოსვლისთანავე უვლიდნენ. მაგრამ განსაცდელის წინ კიდევ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ, ნელსაცხებლით იპრიალებდნენ და შუაზე იყოფდნენ. მუდამ ახსოვდათ ლიკურგეს სიტყვები: გრძელი თმა ლამაზებს ამშვენებს, მახინჯებს კი უარესად ამახინჯებსო.

ლაშქრობის დროს სპარტელები უფრო ნაკლებ დამსუბუქად ვარჯიშობდნენ, შედარებით თავისუფალი ცხოვრებისათვის ახალგაზრდა მეომრებს აღარ სჯიდნენ და სასტიკ პასუხს აღარ სთხოვდნენ. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ სპარტელები ერთადერთი მეომრები იყვნენ მთელ ქვეყანაზე, ვისთვისაც ომი ერთგვარ დასვენებას წარმოადგენდა.

როცა რაზმები მტრის პირისპირ დამწკრივდებოდა, მეფე მსხვერპლად შეესწირავდა თხას და ბრძანებდა ყველა მეომარს თავი გვირგვინით შეემკო. ამის შემდეგ მეფე ავლეტებს[38] დაავალებდა კასტორის[39] სიმღერა დაეკრათ, თვითონ კი წამოიწყებდა სალაშქრო პეანს. ეს იყო დიდებული და თან ზარდამცემი სანახაობა. სპარტელთა ლაშქარი ფლეიტების ხმაზე მტკიცე ნაბიჯით მწყობრად, მხიარულად მიეშურებოდა განსაცდელის შესახვედრად. ბუნებრივია, რომ ასეთი ხალხის გულს არც შიში და არც რისხვა არ ეკარებოდა. სპარტელთა რწმენა ღვთისაგან მონაბერი მტკიცე იმედითა და მხნეობით იყო სავსე.

მტერზე საიერიშოდ დაძრულ მეფეს გვერდით ედგა საზეიმო შეჯიბრებებში გამარჯვებული, გვირგვინით შემკული მეომარი.

ამბობენ: ერთ სპარტელ მოჭიდავეს ოლიმპიური შეჯიბრებების დროს დიდი ფული შეაძლიეს: შეჯიბრში მონაწილეობას ნუ მიიღებო. სპარტელმა ამაზე უარი თქვა და ძალის საოცარი დაჭიმვით მოწინააღმდეგე ძირს დასცა. როცა ვილაცამ ჰკითხა: „რა ხეირს ნახავ, ლაკედემონელო, ამ გამარჯვებით?“ — სპარტელმა მოჭიდავემ ღიმილით მიუგო: „მეფის წინ დამაყენებენ, როცა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად დავიძრებითო!“

სპარტელები, როცა გაიმარჯვებდნენ და მტერს უკუაქცევდნენ, მანამდე სდევნიდნენ, სანამ მოპოვებულ გამარჯვებას არ განიმტკიცებდნენ. მერმე კი უკან გამობრუნდებოდნენ. დამარცხებული ხალხის გაყლეტას ბერძნებისათვის შეუფერებელ და უზნეო საქმედ თვლიდნენ: დამორჩილებული მტრის დაზოგვა არა მარტო კეთილშობილურ და დიდსულოვან, არამედ სასარგებლო საქმედაც მიაჩნდათ. მტრებმა იცოდნენ, სპარტელები ჯიუტ მოწინააღმდეგეებს

სპობდნენ, ხოლო დანებებულთ კი იბრალებდნენ, ამიტომ სპარტელთა წინააღმდეგობას გაქცევას ამჯობინებდნენ.

23. სოფისტი ჰიპია ამბობს: ლიკურგე თვითონ ყველაზე მამაცი მებრძოლი იყო და მრავალი ლაშქრობის მონაწილეო. ფილოსტეფანე ლიკურგეს მიაწერს ცხენოსანთა ჯარის დაყოფას ულამოსებად. ლიკურგეს მიერ შედგენილ ულამოსში სწორკუთხედად დარაზმული ორმოცდაათი ცხენოსანი შედიოდა. დემეტრიოს ფალერელი კი, პირიქით, ამტკიცებს, ლიკურგე სამხედრო საქმიანობაში სულაც არ ჩარეულა და სახელმწიფო წყობილება მშვიდობიანობის ჟამს დაამყარაო. ასე იყო თუ ისე, ოლიმპიური დღეობების დროს დაზავების დაწესება ლიკურგეს ლმობიერ და მშვიდობის მოყვარულ პიროვნებად წარმოგვიდგენს. ჰერმიპეს მოწმობით, ზოგიერთი შემდეგს ამბობს: იფიტეს საქმიანობაში ლიკურგეს თავიდან არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. სამშობლოდან მოგზაურობის დროს იგი შემთხვევით დაესწრო ოლიმპიაში გამართულ ზეიმს და იჯდა იქ, როგორც უბრალო მაყურებელი. უცებ ზურგს უკან თითქოს ადამიანის ხმა მოესმა, განცვიფრებითა და საყვედურით აღსავსე: რატომ არ აიძულებ შენს მოქალაქეებს მონაწილეობა მიიღონ ამ ზეიმშიო! ლიკურგე შემობრუნდა, მაგრამ რაკი ამის მთქმელი ვერ დაინახა, იფიქრა: ეს ალბათ ღვთის ხმა იყოო. ამის შემდეგ დაუკავშირდა იფიტეს და მასთან ერთად ოლიმპიური დღეობა უფრო სახელოვანი და დიდებული გახადა.

24. სპარტელების აღზრდა სრულწლოვანებამდე გრძელდებოდა. მაგრამ არც ამის შემდეგ ჰქონდა უფლება ვისმე ეცხოვრა ისე, როგორც მოისურვებდა. სპარტელები ქალაქში ისე ცხოვრობდნენ, ვით სამხედრო ბანაკში: ემორჩილებოდნენ განსაზღვრულ წესს, ეწვოდნენ საზოგადოებრივ საქმიანობასა და თვლიდნენ, რომ ისინი ეკუთვნოდნენ არა საკუთარ თავს, არამედ სახელმწიფოს. თუ რაიმე დავალება არ ჰქონდათ, მაშინ ბავშვებს ადევნებდნენ თვალყურს, ასწავლიდნენ რასმე სასარგებლოს, ანდა თვითონვე სწავლობდნენ უხუცესებისაგან.

ყველა იმ სიკეთიდან, რაც ლიკურგემ მოქალაქეებს მიანიჭა, განსაკუთრებული გახლდათ ერთი. ეს იყო თავისუფალი დროის სიჭარბე. საქმე ისაა, რომ სპარტელებს სრულიად აკრძალული ჰქონდათ ხელოსნობა. ქონების დაგროვება, რაიც ეგზომ დიდ წვალებასა და ჯაფასთანაა დაკავშირებული, არავის არ სჭირდებოდა, ვინაიდან სიმ-

დიდრე არავის არ შურდა და თან ყოველგვარი პატივი აყრილი ჰქონდა. მიწას სპარტელთათვის ამუშავებდნენ ჰილოტები და დათქმულ ღალასაც იხდიდნენ.

ერთი სპარტელი ათენში ჩავიდა სწორედ იმ დროს, როცა იქ ვიღაცას ასამართლებდნენ. მან გაიგო, რომ გასამართლებული უქნაროობის გამო დააჯარიმეს და ახლა შეწუხებული ბრუნდებოდა სახლში მისი დარდების მოზიარე მეგობრების თანხლებით. სპარტელმა გასამართლებულის მხლებლებს სთხოვა: მაჩვენეთ ერთი ის კაცი, რომელმაც თავისუფლებისათვის სასჯელი მიიღოო.

ასე მონურ საქმედ თვლიდნენ სპარტელები ხელოსნობასა და სიმდიდრისთვის გარჯას.

სასამართლო ფულთან ერთად გააძევეს სპარტიდან. აქ აღარ იყო არც სიმდიდრე, არც სიღარიბე: დოვლათს თანასწორობა ჰქმნიდა. ზომიერი, სადა ცხოვრებით იოლად მიდიოდნენ. სპარტელები ერთობოდნენ ნადირობით, გიმნასტური შეჯიბრებებითა და ერთმანეთში მუსაიფით, თუ რა თქმა უნდა, სალაშქროდ არ იყვნენ წასული.

25. ვისაც ოცდაათი წლის ასაკისათვის ჯერ არ მიეღწია, ისინი საბჭობო მოედანზე არასოდეს არ ჩადიოდნენ. რჩებოდნენ შინ და ნათესავებისა და საყვარლების დახმარებით აუცილებელ საოჯახო საქმეებს აწესრიგებდნენ. მოხუცები ასეთ საქმეებში არ ერეოდნენ, სამარცხვინოდ მიაჩნდათ. სამაგიეროდ დღის უდიდეს ნაწილს გიმნასიებსა და „ლესქებად“ წოდებულ ადგილებში ატარებდნენ. აქ ისინი სიამოვნებით იკრიბებოდნენ და ერთმანეთში ტკბილად საუბრობდნენ. გამდიდრებასა და სავაჭრო საქმეებზე არასოდეს არ ლაპარაკობდნენ. საუბრის დროს მხოლოდ და მხოლოდ კარგს აქებდნენ და ცუდს აძაგებდნენ. ცუდი კაცის გაკიცხვას ხუმრობასა და სიცილში ატარებდნენ, რაც შეუმჩნეველ საყვედურს გამოხატავდა და გამოსწორებისაკენ მოუწოდებდა. ლიკურგე მეტისმეტი პირქუშში და მკაცრი სულაც არ იყო. სოსიბიოსის გადმოცემით [40], მან პატარა ქანდაკებაც კი დაუდგა სიცილის ღმერთს. მას სურდა ხუმრობა და გართობა, ვით შრომისა და ცხოვრების საკმაზი, არ მოჰკლებოდა თავის დროზე სპარტელთა საზოგადო ლხინებსა და სხვა ამგვარ თავყრილობას.

ლიკურგემ მოქალაქეები მიაჩვია არ ჰქონოდათ არც სურვილი და არც შეძლება ცალ-ცალკე ცხოვრებისა, საერთო საქმისათვის მუდამ ფუტკრებივით ერთად ეცხოვრათ, ყოველთვის ხელმძღვანელის გარ-

შემო დაჯარულიყვნენ, აღფრთოვანებას და დიდების სიყვარულს მისცემოდნენ და მთელი სიცოცხლე სამშობლოს ერთგულებაში გაეტარებინათ. ამას კარგად გვიმტკიცებს ზოგიერთი გამონათქვამი.

როცა სპარტელი პედარეტე არ აირჩიეს სამასთა საბჭოში, იგი სახეგაბრწყინებული და გახარებული დაბრუნდა შინ: საყვარელ ქალაქს სამასი კაცი ჩემზე უკეთესი ჰყოლიაო.

პოლიკრატიდა სხვებთან ერთად ელჩად გაგზავნეს სპარსთა მეფის სტრატეგოსებთან. სტრატეგოსებმა ელჩებად მოგზავნილებს ჰკითხეს: „თქვენ უშუალო მეთაურმა გამოგგზავნათ თუ სახელმწიფომ?“ პოლიკრატიდამ უპასუხა: „თუ წარმატებას მივაღწევთ იმ საქმეში, რისთვისაც მოვედით, სახელმწიფომ გამოგვგზავნა, თუ ვერა, ჩვენმა მეთაურმაო“.

ბრასიდას დედამ არგილეონისმა მის სანახავად ლაკედემონიაში მოსულ ამფიპოლისელებს ჰკითხა: „სპარტის შვილისათვის საკადრისი სიკვდილით თუ მოკვდაო ბრასიდა?“ ამფიპოლისელებმა უზომო ხოტბა შეასხეს ვაჟკაცს: სპარტას ბრასიდას მსგავსი მეორე არ ჰყოლიაო. ქალმა მათ სიტყვა შეაწყვეტინა: „აგრე ნუ იტყვით, სტუმარნო. ბრასიდა, მართალია, კარგი ვაჟკაცი იყო, მაგრამ ლაკედემონიას მასზე უკეთესი კიდევ ბევრი ჰყავსო“[41].

26. უხუცესთა საბჭო, როგორც ითქვა, ლიკურგემ თავდაპირველად იმ ადამიანთაგან შეადგინა, რომლებიც მისი განზრახვების შესრულებაში მონაწილეობდნენ. შემდგომში მან დააწესა უხუცესთა საბჭოს გარდაცვლილი წევრი შეეცვალათ სამოც წელს მიღწეულ მოქალაქეთა შორის ყველაზე კეთილშობილი პიროვნებით. ასეთი საპატიო თანამდებობის მოპოვება, ჩანს, ადამიანთა გაჯიბრებას იწვევდა, ისე რომ დიდი საკამათო და, ასე ვთქვათ, ბრძოლის საგანი იყო. გამარჯვება უნდა დარჩენოდა მკვირცხლთა შორის არა უმკვირცხლესს, ანდა ძლიერთა შორის უძლიერესს, არამედ კარგთა და გონიერთა შორის უკეთესსა და უბრძენესს. ქველი ცხოვრების საზღაურად მას უნდა მინიჭებოდა ძალა სახელმწიფოში, მოქალაქეთა სიკვდილისა და პატივის აყრის უფლება, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, უმაღლესი მბრძანებლობა.

უხუცესთა საბჭოს წევრს ასეთნაირად ირჩევდნენ: როცა ხალხი შეიკრიბებოდა, საგანგებოდ არჩეულ პირებს მახლობლად მდებარე სახლში ჩაკეტავდნენ. აქედან ესენი ვერ ხედავდნენ, თუ რა ამბავი

იყო გარეთ და გარედან ვერავინ ხედავდა, შიგ რა ხდებოდა. მათ შეეძლოთ მხოლოდ შეკრებილი ხალხის ყვირილის გაგონება. საქმეებს ხალხი ჩვეულებრივ ყვირილით წყვეტდა და ამ შემთხვევაშიც ყვირილითვე ირჩევდა მეტოქეებს, მაგრამ ყველას ერთად კი არა, არამედ თითოეულს ცალ-ცალკე. ასარჩევი პირი წილის მიხედვით გამოვიდოდა ხალხიდან და სრული დუმილით გაივლიდა. სახალხო კრებისათვის დანიშნულ მოედანს. საგანგებოდ ჩაკეტილებს ხელთ ეპყრათ საწერი ფირფიტები, რომლებზეც აღნიშნავდნენ, თუ როგორი იყო ყვირილის ძალა თითოეული ასარჩევი პირის მოედანზე გავლის დროს. მათ, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომელ ასარჩევს ეხებოდა ყვირილი. იცოდნენ მხოლოდ რიგი: პირველი, მეორე, მესამე... ერთი სიტყვით, მერამდენე ასარჩევი გამოდიოდა მოედანზე. ვის გამოსვლაზეც უფრო ხანგრძლივი და დიდი ყვირილი ატყდებოდა, უხუცესთა საბჭოს წევრადაც იმას ირჩევდნენ.

არჩეული უხუცესი თავს ყვავილებისაგან დაწნული გვირგვინით შეიმკობდა და რიგრიგობით ღმერთების სახელზე აგებულ ყველა ტაძარს ჩამოუვლიდა. მას უკან მიჰყვებოდა მისი მომხრე მეხოტბე ჭაბუკების დიდი გუნდი და მრავალი ქალი, რომლებიც სადიდებელ სიმღერას უმღეროდნენ და ბედნიერი ცხოვრებისაკენ გზას ულოცავდნენ. სათითაოდ ყველა მეგობარი ვახშამზე იწვევდა უხუცესს და ეუბნებოდა: ამ სუფრით შენ პატივს გცემს მთელი ქალაქი. მეგობრების მიერ გამართულ ყველა ლხინს რომ მოათავებდა, მერმე მიდიოდა სისიტიაზე, სადაც ყველაფერი ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობდა, ოღონდაც იმ გამონაკლისით, რომ უხუცესს ორ წილ სადილს მიართმევდნენ. იგი ერთ წილს გადაინახავდა. სადილობის შემდეგ საჯარო სასადილოს კარს შოადგებოდნენ მისი ნათესავი ქალები. ამ ქალებში ერთ-ერთს, ვისაც უხუცესი სხვებზე მეტად სცემდა პატივს, თავისთან მიიხმობდა, გადანახული სადილის წილს მისცემდა და ეტყოდა: ეს მე ჯილდოდ მივიღე და აი, შენ გაძლევო. ასეთი პატივით შემოსილ ქალს სხვა ქალები მოწიწებით ექცეოდნენ და შინამდე დიდი ზეიმით მიაცილებდნენ.

27. ლიკურგემ დასაფლავების წესებიც ჩინებული დააკანონა. უწინარეს ყოვლისა, ცრუმორწმუნეობის მოსასპობად ნება დართო მიცვალებული დაეკრძალათ ქალაქში და ტაძრების მახლობლად მათი ძეგლები აღემართათ. ამით სურდა ახალგაზრდები მიჩვეოდნენ

ასეთ სანახაობას, რათა სიკვდილის შიში არ ჰქონოდათ და აღარ ერწმუნათ, თითქოს ვინც მიცვალებულის სხეულს შეეხებოდა ან საფლავის ახლოს გაივლიდა, შეიბილწებოდა.

ლიკურგემ აკრძალა მიცვალებულისათვის რაიმე ნივთების ჩატანება საფლავში: ცხედარი უნდა გაეხვიათ ძოწეულის მოსასხამსა და ზეთისხილის ფოთლებში.

გარდაცვლილი პირის საფლავზე სახელის წარწერა არ შეიძლებოდა, თუ მიცვალებული ომში დაღუპული ვაჟკაცი ან ქურუმი ქალი არ იყო.

გლოვის ხანგრძლივობა ლიკურგემ თერთმეტ დღემდე შეამცირა. მეთორმეტე დღეს მსხვერპლი უნდა შეეწირათ ღმერთქალ დემეტრესათვის და გლოვისათვის საზღვარი დაედოთ. ეს იმიტომ, რომ უმოქმედობასა და სასოწარკვეთილებას ადგილი არ ჰქონოდა. სპარტის მოქალაქეს ყოველთვის ახსოვდა, რომ კარგ საქმეს შექება სჭირდებოდა, ცუდს კი — გაკიცხვა. ლიკურგემ ქალაქი სანიმუშო მაგალითებით აავსო. ეს მაგალითები მუდამ თვალწინ ჰქონდა ყველას და მიღებულ აღზრდასთან ერთად სპარტის მოქალაქეს ესეც სიკეთეს უნერგავდა.

ამის გამო ლიკურგე ნებას არ აძლევდა არც ერთ მსურველს სამშობლოდან გამგზავრებულიყო და სხვა ქვეყნებში ეხეტიალა. იგი შიშობდა, სპარტიდან წასულებს არ ჩამოეტანათ უცხო ჩვეულები და არ მიეგზავნათ სხვების უწესრიგო ცხოვრებისა და ნაირ-ნაირი სახელმწიფო წყობილებისათვის. მეტიც: სპარტაში უსარგებლოდ ჩამოსულ უცხოელებს იგი აძევებდა ქალაქიდან. როგორც თუკიდიდე ამბობს, ამას იმიტომ კი არ აკეთებდა, რომ ეშინოდა, უცხოელებს არ მიეგზავნათ მისი სახელმწიფო წესრიგისათვის და არ ესწავლათ სასიკეთო რამ, არამედ რამე მანკიერება არ შემოეტანათ. ჩვეულებრივ უცხო პირებთან ერთად ქალაქში უცხო სიტყვებიც შემოდის. ეს აუცილებელია. ახალი სიტყვები ახალ აზრებს იწვევს; ეს კი, თავის მხრივ, დიდ ვნებას აყენებს ერს, მრავალ სურვილს ბადებს და დამკვიდრებულ სახელმწიფო წყობილებაში ისეთ არევ-დარევას იწვევს, როგორსაც შეუხმატკბილებელი ხმები მუსიკაში. ლიკურგე ფიქრობდა, ქალაქი ცუდი ჩვეულებისაგან უფრო მეტად უნდა დაეცვა, ვიდრე შემოტანილი გადამდები სენისაგან.

28. ასეთ დადგენილებებში კვალიც არ იყო იმ უსამართლობისა

და ძალადობისა, რასაც ზოგიერთი ლიკურგეს კანონებს მიაწერს. თითქოს ეს კანონები ვარგოდნენ მხოლოდ მამაცობის შთასანერგავად და მოკლებული იყვნენ სამართლიანობას. უსამართლობის გამოვლინებად მიიჩნევდნენ, მაგალითად, იმას, რასაც სპარტელები „კრიპტიებს“ ეძახდნენ. მაგრამ ეს ლიკურგემ დააწესა თუ არა, კიდევ საკითხავია, თუმცა არისტოტელე გადმოგვცემს: ლიკურგემ შემოიღო. პლატონსაც ალბათ ამის გამო აქვს ცუდი წარმოდგენა სპარტის სახელმწიფო წყობილებასა და მის კანონმდებელზე.

ახლა ვთქვათ იმაზე, თუ რა იყო „კრიპტიები“. არქონტები ყველაზე გონიერ ახალგაზრდებს დროდადრო გზავნიდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. მათ თან მიჰქონდათ მხოლოდ ხანჯლები და აუცილებელი საგზალი. დღის განმავლობაში ისინი დაიქსაქსებოდნენ მალულ ადგილებში; იქ ჩასაფრდებოდნენ და სულგანაბული ისხდნენ. როგორც კი დაღამდებოდა, შარაგზაზე გამოდიოდნენ და ხოცავდნენ ყველა ჰილოტს, რომელიც ხელში მოხვდებოდათ. ხშირად ყანებსაც შეესეოდნენ და იქ ყველაზე უფრო მამაც და ღონიერ ჰილოტებს ჟლეტდნენ.

თუკიდიდე „პელოპონესის ომის ისტორიაში“ გადმოგვცემს შემდეგს: სპარტელებმა შეარჩიეს მამაცობით სახელმოხვეჭილი ჰილოტები, შეამკეს ისინი, ვითომც გასანთავისუფლებლად, ყვავილების გვირგვინებით და ღმერთების ტაძრებში დაატარეს. მცირე ხნის შემდეგ ყველა ჰილოტი, ორი ათასზე მეტი კაცი, სადღაც უკვალოდ გაქრა. არც მაშინ და არც მერმე კაცს არ შეეძლო ეთქვა, როგორ დაიღუპნენ ისინი.

არისტოტელე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეფორები როგორც კი შეუდგებოდნენ თანამდებობის აღსრულებას, უწინარეს ყოვლისა ომს უცხადებდნენ ჰილოტებს, რათა მათ ხოცვა-ჟლეტას კანონიერი საფუძველი ჰქონოდა.

ჰილოტებს საერთოდ არაადამიანური სიმკაცრით ეჭცეოდნენ. მათ ძალით ასმევდნენ უზომო რაოდენობის შუმ ღვინოს, რათა მერმე სიტიტიებზე წაეყვანათ და იქ ახალგაზრდებისათვის ეჩვენებინათ, თუ რა იყო სიმთვრალე. ჰილოტებს უბრძანებდნენ უმსგავსი და სასაცილო სიმღერები ემღერათ და გულისამრევი ცეკვები ეცეკვათ, უკრძალავდნენ თავისუფალი ადამიანისათვის შესაფერისად მოქცეულიყვნენ. ამბობენ, ლიკურგეს დროიდან დიდი ხნის შემდეგ, ლაკონიაში

ლაშქრობის ჟამს, თებელელებმა ტყვექმნილ ჰილოტებს უბრძანეს, ტერპანდრეს, ალკმანისა და ლაკედემონელ სპენდონტის სიმღერები ემღერათ. ტყვე ჰილოტები გაჯიუტდნენ: ეს ჩვენ ბატონებს არა სურთო.

არსებულ ვითარებას კარგად გრძნობდნენ ისინი, რომლებიც ამბობენ: ლაკედემონიაში თავისუფალი მართლაც თავისუფალია და მონა მართლაც მონაო.

ჩემი აზრით, სპარტელები ასეთი მკაცრნი გახდნენ დიდი მიწისძვრის შემდეგ. ამ მიწისძვრით ისარგებლეს თურმე ჰილოტებმა და, როგორც ისტორიკოსები გადმოგვცემენ, მესენიელებთან ერთად აუჯანყდნენ სპარტელებს, მრავალი უბედურება მოუტანეს ქვეყანას და ქალაქი დაღუპვის პირამდე მიიყვანეს. მე ვერაფრით ვერ მივაწერ ლიკურგეს ისეთი საძაგელი საქმის დაწესებას, როგორიც „კრიპტიები" იყო, მაშინ როცა დარწმუნებული ვარ, რომ მას მეტად ლმობიერი და სამართლიანი ხასიათი ჰქონდა. თვითონ ღმერთია ამის მოწამე.

29. ლიკურგეს უმთავრესმა კანონებმა მოქალაქეთა ზნე-ჩვეულებებში ღრმად გაიდგა ფესვები. მის მიერ დაარსებული სახელმწიფო წყობილება საკმაოდ განმტკიცდა, ისე რომ უკვე შეეძლო თავისთავად არსებობა. როგორც ღმერთს გაუხარდა, პლატონის სიტყვით, სამყაროს შექმნის შემდეგ ამ სამყაროს ხილვა და მისი პირველი ამოძრავება, ისე ლიკურგე იყო გახარებული და კმაყოფილი, როცა მის მიერ შემოღებული კანონების მოქმედება და მათი სიდიადე იხილა. ამიტომაც მოიწადინა თავისი კანონებისათვის იმდენად მიენიჭებინა მარადისობა და სიმტკიცე, რამდენადაც ეს ადამიანურ სიბრძნეს ძალუძდა.

ამ მიზნით მოიწვია სახალხო კრება. როცა ყველამ მოიყარა თავი, ლიკურგემ კრებას ასე მიმართა: „ჩვენი ქალაქის ბედნიერებისა და სიდიადისათვის თითქმის ყველაფერი შესაფერისად და საქმაოსად არის დადგენილი. მაგრამ გასაკეთებელი დარჩა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და უდიდესი. რამ, რაზეც ვერაფერს გეტყვით მანამდე, სანამ დელფოში არ წავალ და ღმერთს არ დავეკითხები. დელფოდან ჩემს დაბრუნებამდე დაწესებული კანონები ერთგულად დაიცავით: ნუ შეცვლით და ნუ შერყვნით ამ კანონებს! როგორც კი დავბრუნდები, გავაკეთებ იმას, რასაც ღმერთი მიკარნახებს".

ამაზე ყველა დაეთანხმა და ურჩიეს ჩქარა წასულიყო. ლიკურგემ მეფეებს, უხუცესთა საბჭოს წევრებს და მერმე ყველა მოქალაქეს

ფიცი ჩამოართვა, რომ მის დაბრუნებამდე არსებული სახელმწიფო წყობის ერთგული იქნებოდნენ და მხოლოდ და მხოლოდ დადგენილი კანონებით ისარგებლებდნენ. ამის შემდეგ იგი დელფოში გაემგზავრა.

ჩავიდა თუ არა დელფოს სამისნოში, მსხვერპლი შესწირა ღმერთს და მერმე დაეკითხა: კარგი თუა ჩემი კანონები სპარტის ბედნიერებისა და სიკეთისათვისო? ღმერთმა უპასუხა, რომ მისი კანონები კარგია და რომ ლიკურგეს ჩინებული წესრიგის წყალობით სპარტა ყველაზე სახელოვანი ქალაქი გახდება. ეს წინასწარმეტყველება ლიკურგემ დაწერა და სპარტაში გაგზავნა. ამის შემდეგ მეორედ შესწირა მსხვერპლი ღმერთს და ხვევნა-ალერსით იქ მყოფ მეგობრებსა და ვაჟიშვილს გამოეთხოვა. მან გადაწყვიტა სპარტის მოქალაქენი დადებულ ფიციდან არ გაეთავისუფლებინა და ნებსითი სიკვდილით მომკვდარიყო. იგი იმ ასაკში იმყოფებოდა, როცა ადამიანისთვის სიკვდილსა თუ სიცოცხლეს ერთი ფასი აქვს, მით უმეტეს, თუ ყველა განზრახული საქმე კეთილადაა წარმართული. ლიკურგემ თავი მოიკლა შიმშილით.

იგი ფიქრობდა: სახელმწიფო მოღვაწის სიკვდილიც არ უნდა იყოს უსარგებლო თანამოქალაქეებისათვის: ასეთი კაცის სიცოცხლის დასასრულიც უნდა მიზანს შეიცავდეს. თვისი სიკვდილითაც კეთილი საქმე დახერგოს. სიკვდილი, ლიკურგეს აზრით, ესოდენ ბრწყინვალე საქმეთა შესრულების შემდეგ მისი სიცოცხლის ბედნიერი დაგვირგვინება იყო და ამავე დროს იმ კეთილდღეობის განმტკიცების საწინდარი, რაც მან სიცოცხლეში შეუქმნა სპარტის მოქალაქეებს, რომლებმაც შეჰფიცეს, დელფოდან დაბრუნებამდე არ დაერღვიათ მისი კანონები.

ლიკურგე არც შემცდარა ამაში. მთელი ხუთასი წლის მანძილზე ლიკურგეს კანონების დაურღვევლობის წყალობით სპარტამ პირველობა მოიპოვა თავისი ჩინებული წესრიგით და სახელით საბერძნეთის ქალაქთა შორის. ლიკურგეს შემდეგ თოთხმეტი მეფის მმართველობის განმავლობაში, ვიდრე არქიდამეს ძის აგისის მეფობამდე, ლიკურგეს კანონები არავის არ შეუცვლია. ეფორთა საბჭოს დაარსება სპარტის სახელმწიფოებრივი წყობის შესუსტება კი არ იყო, არამედ ამ წყობის გაძლიერება. ეს საბჭო თითქოს ხალხის სამსახურისათვის შეიქმნა, მაგრამ, როგორც ჩანს, არისტოკრატიას უფრო შეაშალა ძალა.

30. აგისის მეფობის დროს სპარტაში პირველად შეიჭრა ნამდვილი ფული, ფულთან ერთად კი სიხარბემ და სიმდიდრის სიყვარულმაც იჩინა თავი. ყველაფერი ეს ლისანდრეს წყალობით მოხდა. ლისანდრე თვითონ არ იყო მფლანგველი და სიმდიდრით გაქსუებული კაცი, მაგრამ ომში მოხვეჭილი ოქრო-ვერცხლი რომ შემოზიდა, თავის სამშობლოში ფუფუნების სიყვარული გააღვივა და ამით ლიკურგეს კანონები ნაცარტუტად აქცია. სანამ ეს კანონები ძალაში იყო, სპარტის სახელმწიფო წყობილება გამობრძმედილი და ჭკუადამჯდარი კაცის ცხოვრებას ჰგავდა. უკეთ რომ ვთქვათ: როგორც პოეტების გადმოცემით ჰერაკლე დადიოდა ამქვეყნად ლომის ტყავითა და უზარმაზარი კეტით და სასტიკად სჯიდა ავაზაკებსა და გამხეცებულ ტირანებს, ისე ქალაქი სპარტა მხოლოდ ერთი სკიტალით და ტრიბონით მართავდა საკუთარი ნებით დამორჩილებულ მთელ ელადას[42]. იგი ძირს ამხობდა ყველა უსამართლო ხელისუფლებასა და ტირანიას. იგი თავისი გადაწყვეტილებებით ბოლოს უღებდა ომებსა და აჯანყებებს აქრობდა. ასეთ დიდ გმირობათა შესასრულებლად კი ჩვეულებრივ ერთ ფარსაც არ შეარხევდა. ყოველი საქმის მოსაწესრიგებლად საკმარისი იყო სპარტას საჭირო ადგილზე მხოლოდ ერთი ელჩი მიეგზავნა. ამ ელჩის ბრძანებას ყველა ემორჩილებოდა და ისე იკრიბებოდნენ მის გარშემო და იცავდნენ წესრიგს, ვით ფუტკრები თავიანთი დედოფლის გამოჩენის ჟამს.

აი როგორი კეთილკანონიერება და სამართლიანობა სუფევდა სპარტაში.

ამის შემდეგ მე მაოცებს იმათი სიტყვები, რომლებიც ამბობენ: ლაკედემონელებმა მორჩილება იცოდნენ, მართვა-გამგებლობა კი არაო. მიკვირს ისიც, რომ თეოპომპე მეფის გამონათქვამს აქებენ. ვიღაცას ამ მეფისათვის უთქვამს: სპარტამ მართვის ნიჭისა და უნარის მქონე მეფეთა წყალობით შემოინახა თავიო. თეოპომპეს მიუგია: უფრო სწორად, ეს მოხდა მოქალაქეთა წყალობით, რომლებიც მართვას უდრტვინველად ემორჩილებიანო.

ჩემი აზრით კი, ვისაც მბრძანებლობა არ შეუძლია, ხალხი იმას არც დაემორჩილება. მეთაური მორჩილებას უნდა ასწავლიდეს: ვინც კარგად წინამძღოლობს, იმას სიამოვნებით მიჰყვებიან. ვით თვინიერი და გამგონე ცხენის გახედნაა მწვრთნელთა მთავარი ამოცანა, ასევე სახელმწიფოს წინამძღოლის მიზანი უნდა იყოს ადამიანებში მორ-

ჩილების გრძნობის გამომუშავება. ლაკედემონელები, მართალია, მორჩილებას არ ასწავლიდნენ სხვა ხალხებს, მაგრამ ულვიძებდნენ სურვილს სპარტელთა მბრძანებლობას დამორჩილებოდნენ. ამ ხალხებს ლაკედემონელებისაგან არც ხომალდები უნდოდათ, არც ფული და არც ჰოპლიტები. ერთადერთი, რასაც ისინი მათგან მოითხოვდნენ, ეს იყო სპარტელი სარდალი. და როცა ეს სარდალი მიუვიდოდათ, დიდი მოწიწებითა და რიდით ეპყრობოდნენ. ასე ექცეოდნენ სიცილიელები გილიპეს, ქალკიდელები ბრასიდას და აზიაში მცხოვრები ელინები ლისანდრეს, კალიკრატიდასა და აგესილაეს. სპარტელ სარდლებს ყველა ხალხებისა და მმართველების დამრიგებლებსა და გონიერ უფროსებს ეძახდნენ: სპარტელთა ქალაქს კი ისე შესცქეროდნენ, ვით მაღალი ზნეობის და წესიერი სახელმწიფო წყობილების მოძღვარს.

როგორც ჩანს, ამის გამო იხუმრა სტრატონიკემ[48]: ათენელებს მისტერიებისა და წმინდა დღეობების გამართვას ვუბრძანებ; ელიდელებმა საჯარო შეჯიბრებები მოაწყონ; დავალება ყველამ წესიერად შეასრულოს; ვინც რამეში შეცდება, ის კი ლაკედემონელებმა გაამათრახონო! ეს სიტყვები თითქოს ხუმრობით ითქვა. სოკრატეს მიმდევარმა ანტისთენემ კი, როცა ლევკტრესთან ბრძოლის შემდეგ გაამაყებული თებელები იხილა, გულისტკივილით შენიშნა: თებელები იმ ყოყოჩა ბიჭებს გვანან, რომლებმაც თავიანთი მასწავლებლები გალახესო.

31. ლიკურგეს მოღვაწეობის მთავარი მიზანი სრულიადაც არ ყოფილა სპარტის სახელმწიფოს დატოვება მრავალი ქვეშევრდომის მეთაურად. ლიკურგეს აზრით, როგორც მთელი სახელმწიფოს, ისე ცალკეული პიროვნების კეთილდღეობის შექმნა ამ სახელმწიფოში არსებული სიქველითა და თანხმობით შეიძლებოდა. ამიტომ მან ყველაფერი ისე მოაწყო სპარტაში, რომ მოქალაქენი თავისუფალნი, ბედით კმაყოფილნი და გონიერები ყოფილიყვნენ მრავალი ხნის მანძილზე.

ლიკურგეს სახელმწიფო წყობილების არსი საფუძვლად გაიხადეს პლატონმა, დიოგენემ, ძენონმა და ყველამ, ვინც კი ამის თაობაზე რაღაც თქვა და ქებაც დაიმსახურა, თუმცა ნაწერებისა და სიტყვების მეტი არაფერი დაუტოვებიათ. ლიკურგემ ნაწერებსა და სიტყვებში კი არა, სინამდვილეში შექმნა სწორუპოვარი სახელმწიფო

წყობილება და იმათ, ვინც ოცნებად მიიჩნევენ ბრძენი ადამიანის ქმნილებას, თვალნათლივ დაანახვა, რომ სპარტის სახელმწიფო გონების ნაყოფი იყო. ამით მან უბადლო დიდება მოიხვეჭა და აჯობა ყველას, ვისაც ოდესმე შეუქმნია სახელმწიფო ელინებისათვის.

არისტოტელე ამბობს: რა დიდი ოტბითაც არ უნდა იხსენიებდნენ, ლიკურგე მაინც არ არის ლაკედემონში ისეთი პატივით მოსილი, როგორიც ეკადრებაო.

სპარტაში ლიკურგეს სახელზე ტაძარი ააგეს და იქ ყოველწლიურად სწირავენ მსხვერპლს სახელოვან კანონმდებელს, ვითარცა ღმერთს.

გადმოგვცემენ: როცა მისი ნეშტი სამშობლოში გადმოიტანეს და დაკრძალეს, საფლავს მეხი დაეცაო. ასეთი რამ არ ღირსებია არც ერთ გამოჩენილ ადამიანს ევრიპიდეს გარდა, რომელიც გარდაიცვალა მაკედონიაში და ქალაქ არეთუსიაშია დაკრძალული. ეს ძალას ჰმატებს ევრიპიდეს მეხოტბეთა აღფრთოვანებულ სიტყვებს: სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ევრიპიდეს შეემთხვა ის, რითაც უწინ ღმერთების უსაყვარლესი და უწმინდესი კაცი დაჯილდოვდაო.

ზოგიერთი ამბობს, რომ ლიკურგე კირაში გარდაიცვალა; აპოლოთემისის მტკიცებით, მისი ნეშტი ელიდაში გადაიტანეს; ტიმეოსი და არისტოქსენე გადმოგვცემენ: ლიკურგემ კრეტაზე დაასრულა სიცოცხლეო. არისტოქსენე იმასაც ამბობს, პერგამიის კრეტელები მის საფლავს დიდი გზის მახლობლად უჩვენებენო.

გადმოცემის თანახმად, ლიკურგეს დარჩა ერთადერთი ვაჟიშვილი, სახელად ანტიორე, რომელიც უძეოდ გარდაიცვალა და ლიკურგეს გვარის შთამომავლობამაც შეწყვიტა არსებობა.

მეგობრებმა და ნათესავებმა დიდი კანონმდებლის ხსოვნის აღსანიშნავად დაწესეს ყოველწლიური დღეობა და საზეიმო შეკრება, რაც დიდხანს დარჩა ძალაში. ამ საზეიმო შეკრების დღეებს „ლიკურგიდები" უწოდეს.

ჰიპარქეს ძე არისტოკრატე ამბობს: როცა ლიკურგე გარდაიცვალა კრეტაზე, იქაურებმა მისი გვამი დაწვეს და ფერფლი ზღვაში გადაყარეს, როგორც თვითონ წინასწარ დაიბარა, რამეთუ შიშობდა: თუ მის გვამს ლაკედემონში გადაასვენებდნენ, სპარტელებს ეს მის დაბრუნებად არ ჩაეთვალათ, დადებული ფიციდან თავი არ დაეხსნათ და სახელმწიფო წყობილება არ შეეცვალათ.

აი ყველაფერი ის, რაც შეიძლებოდა ლიკურგეზე გვეთქვა.

# ს ო ლ ო ნ ი

1. გრამატიკოს დიდიმეს[1] სოლონის აქსონების[2] თაობაზე ასკლეპიადესადმი[3] მიწერილ პასუხში მოჰყავს ვინმე ფილოკლეს სიტყვები, რომელსაც, იმათი აზრის საწინააღმდეგოდ, ვინც სოლონს იხსენიებს, მის მამად აღიარებული ჰყავს ევფორიონი. ეს მაშინ, როცა ყველანი ერთხმად ამბობენ: იგი იყო ძე ექსეკესტიდესი, მოქალაქეთა შორის ქონებითა და გავლენით საშუალო, მაგრამ გვარიშვილობით უპირველესი კაცისო[4]. მართლაც, ექსეკესტიდე კოდროსის[5] ჩამომავალი გახლდათ. რაც შეეხება სოლონის დედას, ჰერაკლიდე პონტოელის[6] გადმოცემით იგი პისისტრატეს[7] დეიდაშვილი ყოფილა. სოლონსა და პისისტრატეს თავდაპირველად დიდი მეგობრობა ჰქონდათ ერთმანეთში, ნაწილობრივ ნათესაობისა და ნაწილობრივ კიდევ იმის გამო, რომ სოლონი, როგორც ზოგიერთი ამბობს, მეტისმეტად ნაზი სიყვარულით ეკიდებოდა პისისტრატეს თანდაყოლილ ნიჭსა და სილამაზეს. ჩანს, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მათ შორის დიდი მტრობა და ზიზღი არ გაღვივებულა, როცა სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებებს დაადგნენ. მეგობრობის კანონმა მათ სულში ბოლომდე შემოინახა სიყვარული და კეთილგანწყობილება ისე, ვით ღველფი ინახავს ნაპერწკალს დიდ ნახანძრალზე.

სოლონი რომ ლამაზ ყმაწვილთადმი გულგრილი ვერ იყო და სიყვარულსაც „ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულ მოკრივესავით“[8] მამაცურად ვერ იგერიებდა, ეს მისი ლექსებიდანაც ჩანს და ერთ მის მიერვე დაწერილ კანონიდანაც. ამ კანონის ძალით სოლონი მონას ნელსაცხებლით ტანის დაზელასა და ბიჭების სიყვარულს უკრძალავს. ამით მას გარკვეული წვლილი შეაქვს კეთილშობილ, წესიერ ქცევათა ვანმტკიცების საქმეში; ამიტომაც რის ნებას დაბალი ღირსების ხალხს არ აძლევს, იმისაკენ ერთგვარად კეთილშობილთ აქეზებს.

რაც შეეხება პისისტრატეს, ამბობენ, იგი ქარმოსის საყვარელი იყო და ეროსის[9] ქანდაკება შესწირა აკადემიაში იმ ადგილს, სადაც რბენაში შეჯიბრების მონაწილენი წმიდა ჩირაღდანს ანთებენო.

2. სოლონის მამამ, კაცთმოყვარეობისა და ხელგაშლილობის წყალობით, როგორც ჰერმიპე[10] ამბობს, პირადი ქონება ფრიად დააკნინა. მართალია, სოლონს დახმარების გაწევის მსურველი არ აკლდა, მაგრამ სხვებისთვის შემწეობას დაჩვეული ოჯახის შვილმა იუკადრისა გარეშეთაგან მიეღო რამე და ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდამ ვაჭრობას მოჰკიდა ხელი. აქვე უნდა ითქვას, რომ, ზოგიერთის სიტყვით, სოლონს მოგება როდი აინტერესებდა, უფრო მეტად გამოცდილებისა და ცოდნის მიღების წყურვილით მოგზაურობდა უცხო ქვეყნებში. მართლაც, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ იგი სიბრძნის დიდი მოყვარული კაცი იყო. ამას ხომ სიბერის ჟამს თვითონაც ამბობდა:

თუმცაღა მოხუცი ვარ, კვლავ ვსწავლობ მე კიდევ ბევრსო.

სიმდიდრეს სოლონი თაყვანს სრულებითაც არ სცემდა; აი რას ამბობს ამის თაობაზე იგი:

ყოველი კაცი მდიდარი არს, ვინც პატრონია
ოქრო-ვერცხლისა თუ მრავალი მიწა-წყალისა,
ვისაც უხვად ჰყავს რემა ცხენთა და რემა ჯორთა;
ვინც ფერდძლიერი და ფეხმარდი არის, — ისიცა,
ისიც — ვისაც ჰყავს თავის დროზე ცოლი და შვილი,
რაკიღა ძალუძს სიჭაბუკის ასაკით დატკბეს.

სხვაგან დასძენს:

სიმდიდრე მინდა, უსამართლო არ იყოს ოღონდ,
რამეთუ დაგვსჯის სამართალი განკითხვის ჟამსა.

უნდა ითქვას, კეთილშობილსა და სახელმწიფოსათვის თავდადებულ კაცს არაფერი უშლის ხელს, თუ ჭარბი ქონება არა, აუცილებელი მაინც შეიძინოს. ამას გარდა იმ ხანებში, ჰესიოდეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „არც ერთი სახის შრომა არ იყო სამარცხვინო“, ყოველი ხელობა საპატიო საქმედ ითვლებოდა და ვაჭრობასაც დიდი სახელი ჰქონდა. ვაჭრობის წყალობით ბარბაროსთა მოთვინიერება, უცხო ქვეყნების მეფეთა გულის მოგება და დიდი გამოცდილების მიღება შეიძლებოდა. ზოგიერთი ვაჭარი ქალაქის დამაარსებე-

ლიც კი გახდა. ასე მაგალითად, მასალია[11] დააარსა პროტისმა, რომელმაც ამით დიდი სიყვარული დაიმსახურა როდანოსის[12] სანაპიროზე მცხოვრებ კელტთა შორის ამბობენ, თალესიცა და მათემატიკოსი ჰიპოკრატეც კი ეწეოდნენ ვაჭრობასო. პლატონმა, სხვათა შორის, უცხო ქვეყნებში მოგზაურობის ხარჯის დასაფარავად ეგვიპტეში ზეთი გაყიდა თურმე.

3. ფიქრობენ, ხელგაშლილობას, ფუფუნებასა და თხზულებებში განცხრომის თაობაზე ფილოსოფიური მსჯელობის ნაცვლად თავისუფალ ლაპარაკს სოლონი ვაჭრულმა ცხოვრებამ მიაჩვიაო. ამას იმით ხსნიან, რომ ვაჭრობა მრავალსა და დიდ განსაცდელთან არის დაკავშირებული და ვაჭარი კაცი განსაცდელთა გადატანის სანაცვლოდ დატკბობასა და სიამოვნებას მოითხოვს ხოლმეო. მაგრამ სოლონი რომ თავის თავს ღარიბთა ფენას უფრო მეტად აკუთვნებდა, ვიდრე მდიდართა ფენას, ეს აი ამ ლექსიდან ჩანს:

მრავალი ბოროტი კაცი მდიდარია, კარგი კი არა,
მაგრამ იმ მდიდართა ბედს არაფერს ვანაცვლებთ ჩვენ;
სიმდიდრეს სიკეთე სჯობს, სიკეთე მყარია მუდამ;
ქონება კაცთ შორის კი მარად არ შერჩება ერთს!

პოეზიას სოლონი პირველ ხანებში, როგორც ჩანს, დარბაისლური მიზნებისათვის არ იყენებდა; იგი პოეზიით ერთობოდა მხოლოდ და თავისუფალ დროს ამაში კლავდა. მერმე და მერმე შიგ ფილოსოფიური აზრების შეტანა დაიწყო და ლექსებში ხშირად პოლიტიკურ შეხედულებებსაც აქსოვდა; მაგრამ ამას მომავალი თაობების ხსოვნაში დასარჩენად როდი აკეთებდა; იგი მხოლოდ თავის საქმიანობას ამართლებდა; ხანდახან კი ასეთი ხასიათის ლექსებს ათენელთა გასამხნევებლად, სამოძღვრებოდ ან გასაკიცხად იყენებდა[13]. ზოგიერთი ამბობს, უნდოდა თავისი კანონებიც გაელექსა და ეპოსის სახით გამოექვეყნებინაო. ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ ამ ეპოსის დასაწყისი:

პირველად კრონოსის ძესა, მეუფე ზევსს, მივმართოთ ლოცვით,
რათა მან კეთილი ბედი და სახელი უძღვნას ამ კანონთ[14].

ფილოსოფიის იმ ნაწილში, რომელსაც ეთიკა ჰქვია, სოლონი მაშინდელ ბრძენთა უმრავლესობის მსგავსად განსაკუთრებულ ყურადღებას პოლიტიკას აქცევდა[15]. რაც შეეხება მოძღვრებას ბუნების თა-

ობაზე, მისი ცოდნა აქ მეტად მარტივი და დაუხვეწავი იყო. ეს ნათლად ჩანს აი ამ ლექსიდან:

ღრუბელი წარმოქმნის თოვლსა და მძლე სეტყვაც იქიდან მოდის,
მბრწყინავი ელვა კი შობს, თავის მხრივ, ჭუხილს და მეხს;
რაიც შეეხება ზღვასა, მას ქარები აღელვებს მხოლოდ,
უქაროდ დაშთენილს კი უსაზღვრო სიმშვიდე აქვს.

საერთოდ, უნდა ითქვას, იმ დროისთვის საჭირო ცოდნას თავისი ბრძნული დაკვირვებებით მხოლოდ და მხოლოდ თალესმა გაუსწრო წინ. სხვებმა კი ბრძენის სახელი გონივრული პოლიტიკური მოღვაწეობის წყალობით მოიხვეჭეს.

4. მოგვითხრობენ, მაშინდელმა ცნობილმა სწავლულებმა[16] ერთხელ დელფოში მოიყარეს თავი, ხოლო მეორედ კორინთოშიო. აქ ისინი პერიანდრემ შეკრიბა თურმე და ლხინი მოუწყო. მათი სახელი და დიდება მეტისმეტად გაზარდა ერთმა ოქროს სამფეხმა, რომელმაც მთელი ქვეყანა შემოიარა. ამ ოქროს სამფეხს სწავლულნი მოწიწებითა და პატივისცემით ერთმანეთს უთმობდნენ და ერთიმეორეს უგზავნიდნენ.

როგორც ამბობენ, კოსელებმა[17] ერთხელ თურმე წყალში ბადე ისროლეს. მილეტიდან მოსულმა სტუმრებმა წყალში გადასროლილი ბადე ნადავლის ხილვამდე იყიდეს. როცა იგი წყლიდან ამოზიდეს, შიგ ოქროს სამფეხი აღმოჩნდა. ეს ოქროს სამფეხი, ამბობენ, ტროიდან ზღვით მომავალმა ელენემ ჩააგდო მაშინ, როცა მისნის ერთი ძველი წინასწარმეტყველება გაიხსენაო. ჯერ სტუმრებსა და მეთევზეთა შორის ატყდა დავა ამ სამფეხის გარშემო, მერმე მათი ქალაქებიც ჩაერივნენ დავაში და ასე თანდათანობით ნამდვილი ომი გაჩაღდა თურმე. ბოლოს და ბოლოს პითიამ მეომარ მხარეთ უბრძანა ოქროს სამფეხი ბრძენთა შორის უბრძენესისათვის გადაეცათ.

პირველად სამფეხი გაუგზავნეს მილეტში თალესს. კოსელებმა მხოლოდ მას უბოძეს ხალისით ის საჩუქარი, რის გამოც ყველა მილეტელს ეომებოდნენ. თალესმა განაცხადა, ჩემზე უფრო დიდი ბრძენი ბიასი არისო, და სამფეხი მას გაუგზავნა. ბიასმა, თავის მხრივ, იგი მიართვა სხვას, როგორც მასზე უბრძენესს. ასე შემოიარა ყველა ბრძენი აქეთ-იქით გაგზავნილმა სამფეხმა და მეორედ მოხვდა თალესის ხელში. ბოლოს ეს სამფეხი მილეტიდან თებეში გადაიტანეს და იქ ისმენიოს აპოლონს შესწირეს[18]. თეოფრასტე კი ამბობს,

სამფეხი პირველად გაგზავნეს პრიენეში ბიასთან, ხოლო მერმე ბიასმა გაუგზავნა მილეტში თალესს; ყველა ბრძენის შემოვლის შემდეგ იგი კვლავ ბიას დაუბრუნდა და ბოლოს დელფოში გაგზავნესო.

ეი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს უმრავლესობა, მაგრამ ზოგიერთი ამბობს, ეს საჩუქარი სამფეხი კი არა, კრეზეს[19] მიერ გამოგზავნილი ფიალა იყოო; ზოგიერთის აზრით კი იგი ბათიკლეს ნახელავ თასს წარმოადგენდა[20].

5. განსაკუთრებული ყურადღებით აგვიწერენ მწერლები ანაქარსისა[21] და თალესის ურთიერთობას სოლონთან და მათ საუბარსაც გადმოგვცემენ. ამბობენ, ათენში ჩასული ანაქარსისი სოლონის სახლთან მივიდა, კარზე დაუკაკუნა და სოლონს უთხრა: „მე უცხოელი ვარ და აქ იმიტომ მოვედი, შენთან მეგობრობისა და სტუმართმოყვარეობის კავშირი მწადიაო". სოლონმა უპასუხა: „უმჯობესია მეგობრები შინ გაიჩინო, ვიდრე სხვაგანო". „შენ ხომ შინ ხარ, — მიუგო ანაქარსისმა, — მოდი და გამხადე შენს მეგობრადო". სოლონი გაკვირვა ანაქარსისის მოსწრებულმა სიტყვამ, გულთბილად მიიღო სტუმარი და ერთხანს სახლშიც ჰყავდა. სოლონი მაშინ უკვე სახელმწიფო საქმეებით იყო ვართული და კანონებს ადგენდა. როცა ანაქარსისმა ეს გაიგო, მისი საქმიანობა სასაცილოდ აიგდო. მოქალაქეთა უსამართლობისა და სიხარბის დათრგუნვას სოლონი წერილობითი კანონებით ცდილობდა. ანაქარსისის აზრით კი კანონები არაფრით არ განსხვავდებიან ობობას ქსელისაგან, ვინაიდან ობობას მსგავსად მხოლოდ სუსტებისა და წვრილფეხობის შეპყრობასა და დამორჩილებას ახერხებენ, ხოლო ძლიერნი და მდიდარნი კანონებს სულ ადვილად არღვევენ და ძალას უკარგავენ.

ანაქარსისის მოსაზრების წინააღმდეგ სოლონს უთქვამს: ადამიანები იცავენ იმ შეთანხმებებს, რომელთა დარღვევა არავისთვის არაა ხელსაყრელი. მე ისე შეხმატკბილებულად შევუდგინე კანონები მოქალაქეთ, რომ ყველასთვის ცხადი იყოს, თუ რაოდენ სჯობს კანონთა დარღვევას სამართლიანი მოქმედებაო. მიუხედავად ამისა, სოლონს იმედი გაუცრუვდა, ყველაფერი მაინც ისე მოხდა, როგორც ანაქარსისი ვარაუდობდა.

ერთხელ თურმე ანაქარსისი სახალხო კრებაზე იყო და გაკვირვებით იძახდა: „ბერძნებში ჭკვიანი ხალხი სიტყვას ამბობს, უსწავლელნი კი საქმეს სწყვეტენო".

6. როცა სოლონი მილეტში ჩავიდა თალესთან, მეტისმეტად გაოცდა, სწავლული კაცი ქორწინებასა და შვილების ყოლას რომ სრულებით უარყოფდა. თალესი სოლონის გაოცებას მაშინ დუმილით შეხვდა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ერთი სტუმარი დაარიგა და ათქმევინა: ათი დღეა, რაც ათენიდან ჩამოვედიო. სოლონმა ჩამოსულს ჰკითხა, თუ რა იყო ახალი ათენში. თალესის მიერ დარიგებულმა კაცმა, რომელმაც იცოდა, რა უნდა ეთქვა, სოლონს უპასუხა:

— ზევსს ვფიცავ, ისეთი არაფერი, გარდა იმისა, რომ ერთ ყმაწვილ კაცს ასაფლავებდნენ და მთელი ქალაქი აცილებდა სამარის კარამდე. როგორც მითხრეს, ის ერთი ფრიად სახელოვანი და მოქალაქეთა შორის სათნოებით უპირველესი კაცის შვილი იყოო. თუმცა ეს კაცი მაშინ იქ ვერ ვნახე, თქვეს, უკვე დიდი ხანია უცხოეთში მოგზაურობსო.

— ვაი, რა უბედური მამა ყოფილა, — წამოიძახა სოლონმა, — მისი სახელი თუ იცი?

— სახელი კი გავიგონე, მაგრამ აღარ მაგონდება, — მიუგო უცხოელმა. — ის კი მახსოვს, მის სიბრძნესა და სამართლიანობაზე რომ ძალიან ბევრი მელაპარაკეს.

უცხოელის ყოველ პასუხზე სოლონს შიში უორკეცდებოდა. ბოლოს, უკვე სულ ერთიანად შეშფოთებულმა, უცხოელს სახელი თვითონვე გაახსენა, როცა ჰკითხა: გარდაცვლილს. სოლონის შვილს ხომ არ ეძახდნენო. უცხოელმა დაუდასტურა. სოლონმა თავ-პირში იცა ხელები; იგი ისე იქცეოდა და ლაპარაკობდა, ვით მწუხარებაში მყოფთ სჩვევიათ ხოლმე. მაშინ თალესმა ხელი მოჰკიდა და სიცილით უთხრა: „აი, სწორედ ამიტომ არ მინდა ვიქორწინო და შვილები ვიყოლიო, როცა შენებრ ძლიერ ვაქაცსაც ასეთი თავზარი დაეცა. ახლა კი გამხნევდი, სტუმრის ნაამბობი ნუ შეგაშფოთებს, იგი მოჭორილიაო“.

ჰერმიპეს სიტყვით, ამას მოგვითხრობს პატეკოსი[22], რომელიც ამტკიცებდა: ჩემში ეზოპეს სული ჩაბუდებულაო.

7. სხვათა შორის, შეგნებულ სულმოკლეობას იჩენს ის, ვინც დაკარგვის შიშით არ იძენს იმას, რაც აუცილებლად სჭირდება. მაშინ ხომ არავინ არ უნდა შეიყვაროს სიმდიდრე, სახელი და საკუთარი სიბრძნე იმის შიშით, ვაითუ დაკარგოო. ჩვენ ვხედავთ, რომ ხანდახან ყოველგვარ ქონებაზე უფრო დიდი სიკეთე — ზნეობრივი სრულ-

ყოფაც კი ქრება ავადმყოფობისა და წამლების წყალობით. თვითონ-თალესი, მიუხედავად უცოლშვილობისა, ვერ დააღწევდა თავს ამ შიშს, მეგობრების ყოლაზე, ნათესავებსა და სამშობლოზეც რომ არ აეღო ხელი. მაგრამ მან, როგორც ამბობენ, იშვილა თავისი დისწული კიბისთე.

ადამიანის სულში ყოველთვის არის სურვილი სიყვარულისა. სიყვარული მისი თანდაყოლილი თვისებაა ისევე, როგორც შეგრძნება, შეცნება და მოგონება. იმის სულში, ვისაც საკუთარი საგანი სიყვარულისა არ გააჩნია, გარედან იჭრება ხოლმე უცხო და ეუფლება გრძნობებს. ვით კანონიერი მემკვიდრის გარეშე დარჩენილ სახლს ან ადგილ-მამულს, ისე ეპატრონებიან ობლად დაშთენილ სულს უცხო პირები, უკანონო შვილები და უბრალო მსახურნიც კი. მაშინ სულს იპყრობს არა მარტო სიყვარული, არამედ ზრუნვა და შიშიც მათ გამო.

კაცმა შეიძლება ნახო ადამიანები, რომლებიც დიდი სიმკაცრით ლაპარაკობენ ხოლმე ქორწინებასა და შვილების ყოლაზე, მაგრამ მერმე, თუ მონა ქალებისაგან ანდა ხარჭებისაგან შეძენილი ბავშვები ავად გაუხდათ ან მოუკვდათ, საშინლად იტანჯებიან და დიაცურად იწყებენ მოთქმას. ზოგიერთს ძაღლისა და ცხენის სიკვდილი ისეთ სულმოკლე მწუხარებას ჰგვრის, რომ სიცოცხლე აღარად ულირს. ზოგი კი საყვარელ და ძვირფას შვილებს დაკარგავს, მაგრამ მაშინაც არ ვარდება უსახოო და უკადრის სასოწარკვეთილებაში, პირიქით, თავის სიცოცხლეს გონივრულად ატარებს.

უსაზღვრო მწუხარებისა და შიშის მიზეზი სისუსტე არის და არა სიყვარული. ეს კი იმ ადამიანს ემართება, ვინც გონებით არ არის გაწაფული ბედს შეებრძოლოს. ის ვერ ახერხებს დატკბეს უკვე მიღწეული და სასურველი ბედნიერებით მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ბედნიერების მოსალოდნელი დაკარგვა დაუსრულებელ შიშსა და ტანჯვას ჰგვრის.

სილარიბეს როდი უნდა შეუშინდეს კაცი იმიტომ, რომ შეიძლება სიმდიდრე დაკარგოს, არც უმეგობროდ დარჩეს მეგობართა მოსალოდნელი ჩამოცილების გამო და არც ქორწინება დაგმოს შვილების სიკვდილის შიშით. ადამიანმა გონიერი თვალით უნდა შეხედოს ყველაფერს. მაგრამ ამის თაობაზე ამჯერად საკმაოდ ბევრი ვთქვით.

8. კუნძულ სალამინის გამო მეგარელებთან წარმოებული ხან-

გრძლივი და ბედუკუღმართი ომით დაქანცულმა ათენელებმა გამოსცეს კანონი, რაიც კრძალავდა წერილობრივ ან სიტყვიერად იმის განცხადებას, რომ საჭირო იყო ათენს კვლავ გამოეღო ხელი სალამინის დასაუფლებლად. ვინც ამ კანონის წინააღმდეგ წავიდოდა, იგი სიკვდილით დაისჯებოდა[23].

ასეთი დამცირება სოლონს საშინელ წყრომას ჰგვრიდა. იგი ხედავდა, ათენელ ახალგაზრდათა უმრავლესობა მოუთმენლად მოელოდა ომის განახლებას, მაგრამ ეს ახალგაზრდობა, გამოცემული კანონის შიშით, თვითონ ვერ ბედავდა ბრძოლის დაწყებას. მაშინ სოლონმა შეშლილობა მოიგონა. მისი სახლიდან მყისვე დაირხა ქალაქში ხმა, სოლონი ჭკუაზე შეირყაო. ამასობაში სოლონმა ერთი ელეგიური სიმღერა შეთხზა მალულად. როცა იგი ზეპირად დაისწავლა, თავზე პატარა ქუდი დაიხურა და ხტუნვა-ხტუნვით ათენის მოედანს მიაშურა. შეიკრიბა თუ არა იქ ხალხი, სოლონი გზირის სადგომ ქვაზე შეხტა და ავაჯით წაიკითხა თავისი ელეგია, რომელიც ასე იწყება:

მაცნედ მოვსულვარ სანატრელი სალამინიდან,
სიმღერა შევთხზი მე საბჭობო სიტყვის სანაცვლოდ.

ამ ლექსს სახელად „სალამინი“ ეწოდება და ას საუცხოოდ შედგენილ ტაეპს შეიცავს[24].

როცა სოლონმა ლექსის კითხვა დაასრულა, მეგობრებმა ქებადიდება შეასხეს. განსაკუთრებით პისისტრატემ გამოიდო თავი. იგი აქეზებდა მოქალაქეთ და მოუწოდებდა დაეჯერებინათ სოლონისათვის. მაშინ ათენელებმა გააუქმეს კანონი, განაახლეს ომი და მეთაურად სოლონი დააყენეს.

სალამინის ლაშქრობის თაობაზე ყველაზე უფრო გავრცელებული ამბავი აი ასეთია:

სოლონმა პისისტრატესთან ერთად კოლიასისაკენ გაცურა[25]. აქ წააწყდა ათენელ ქალებს, რომლებიც დემეტრეს[26] ადათით დაწესებულ მსხვერპლს სწირავდნენ. სოლონმა აქედან ერთი ერთგული კაცი აფრინა სალამინზე. ამ კაცმა თავი ათენიდან ლტოლვილად გამოაცხადა და მეგარელებს ურჩია: თუ გინდათ ათენელთა წარჩინებული ქალები ჩაიგდოთ ხელში, ახლავე გამომყევით კოლიასისაკენო.

მეგარელებმა დაუჯერეს და ვაჟკაცებით დატვირთული ხომალდი კოლიასისაკენ გაგზავნეს. როცა სოლონმა კუნძულიდან ვამოსული

მეგარელთა ხომალდი დაინახა, მსხვერპლის შემწირველ ქალებს ბრძანება მისცა იქაურობას გასცლოდნენ, ხოლო ჩერ კიდევ პირტიტველი მეომარი ყმაწვილები დაარივა ქალების ტანსაცმლით, თავსაბურავებითა და ფეხსაცმელებით შემოსილიყვნენ, მახვილები კი დაეშალათ და ზღვის ნაპირზე მანამ ეთამაშათ და ეცეკვათ, სანამ მტერი ხმელეთზე არ გადმოვიდოდა და ათენელები მეგარელთა ხომალდს ხელთ არ იგდებდნენ. ყველანი ბრძანებისა და დარიგების თანახმად მოიქცნენ. ქალებად გადაცმული ვაჟების ცეკვა-თამაშით მოხიბლული მეგარელები კოლიასის ნაპირს მიუახლოვდნენ, ხომალდიდან გადმოვიდნენ და გამოედევნენ. არც ერთი ამ მეგარელთაგან არ ვადარჩენილა, ყველა ამოჟლიტეს. ათენელები კი ამასობაში კუნძულს მიადგნენ და მყისვე დაეუფლნენ.

9. სხვები ამბობენ, სალამინის აღება ასეთი ხერხით არ მომხდარაო და რომ სოლონს, უწინარეს ყოვლისა, დელფოს ღმერთმა[27] ასეთი რჩევა მისცა:

> შესწირე მსხვერპლი ამა ქვეყნის მმართველთა გმირთა,
> მათ, ვინც ჩაიკრა ასოპიის მიწამ [28] თვის მკერდში,
> რომელთ საფლავსაც მიმქრალი მზე დასცქერის მხოლოდ.

სოლონი ღამით გაემგზავრა თურმე სალამინზე და გმირებს, პერიფემესა და კიქრევსს მსხვერპლი შესწირა[29]. ამის შემდეგ თან წაიყვანა ხუთასამდე ათენელი ვაჟკაცი, რომლებიც ხალისით მიჰყვნენ უკან, ვინაიდან დაადგინეს, რომ იმ ათენელთ, ვინც კუნძულს აიღებდა, მისი გამგებლობის სრული უფლება ეძლეოდა.

მრავალი სათევზაო ნავით, რომელთაც ერთი ტრიაკონტროსიც[30] მიაცილებდა, სოლონი ზღვაში გავიდა და ჩქარა მიადგა სალამინს იმ კონცხთან, რომელიც ევბეას გასცქერის.

სალამინზე მყოფმა მეგარელებმა ამ ამბის თაობაზე ფრიად ბუნდოვანი ცნობები მიიღეს. ისინი დიდი ჩოჩქოლით მივარდნენ იარაღს და ერთი ხომალდი მტრის დასაზვერად გაგზავნეს. ამ ხომალდს, როცა იგი ათენელებს მიუახლოვდა, სოლონი დაეუფლა და ზედ მყოფი მეგარელები შეკრა. ნადავლ ხომალდზე კი ყველაზე უფრო მამაცი ათენელები შესხა და უბრძანა, მტრის ქალაქთან შეუმჩნევლად მიცურებულიყვნენ. დანარჩენი ათენელების თანხლებით იგი ხმელეთით გაეშურა მეგარელთა წინააღმდეგ და მათთან ხელჩართულ ბრძოლაში

ჩაება. სანამ ეს ბრძოლა მიმდინარეობდა, ხომალდზე მყოფი ათენელები ხმელეთზე გადასხდნენ და მაშინვე აიღეს ქალაქი.

ეს ამბავი რომ ასე მოხდა, ამას გვიმოწმებს იქ დამკვიდრებული ერთი ადათი: სალამინისაკენ ყოველწლიურად მიემართებოდა ხოლმე ერთი ატიკური ხომალდი, რომელზეც ხმაგაკმენდილი ათენელები ისხდნენ. კუნძულელები ხომალდის დანახვისთანავე საშინელ ყვირილსა და ხმაურს იწყებდნენ და ათენელებისაკენ მიეშურებოდნენ. მაშინ ერთი იარაღასხმული ათენელი ვაჟკაცი ხომალდიდან ხტებოდა და ხმელეთიდან ვითომც იერიშზე წამოსულ კუნძულელთა შესახვედრად ყიჟინით გარბოდა სკირიასის კონცხისაკენ.

ამ კონცხის მახლობლად დღემდე დგას ენიალოსის[31] ტაძარი, რომელიც სოლონმა ააგო მეგარელებზე გამარჯვების აღსანიშნავად.

ის მეგარელები, რომლებიც მაშინ ბრძოლაში გადარჩნენ, სოლონმა გარკვეული პირობებით გაათავისუფლა.

10. მიუხედავად ამისა, მეგარელები სალამინის შესანარჩუნებლად თავისას არ იშლიღნენ: ომში მრავალ ზიანს აყენებდნენ ათენელებს და თვითონაც საკმაოდ ზარალდებოდნენ. ბოლოს მებრძოლმა მხარეებმა მომრიგებელ მოსამართლეებად ლაკედემონელები აირჩიეს.

მრავალი ამბობს, მეგარელებთან დავაში სოლონს დახმარება გაუწია ჰომეროსის დიდმა სახელმაო. სოლონმა „ხომალდთა კატალოგში“ თავისი შეთხზული ტაეპები შეიტანა თურმე და მოსამართლეთა წინაშე წაიკითხა. აი, ეს ტაეპები:

> თორმეტი გემი სალამინით მოპყვა ეანტსა
> და დაუმწკრივა ათენელთა ფალანგებს გვერდით[32].

მაგრამ ამას მოჩმახულ ამბად თვლიან თვითონ ათენელები. ისინი ამბობენ: სოლონმა მოსამართლეთ დაუმტკიცა, რომ ეანტის შვილებმა, ფილეოსმა და ევრისაკემ, რომლებმაც ათენის მოქალაქეობის უფლება მიიღეს, კუნძული სალამინი ათენელებს გადასცეს; ამის შემდეგ ერთი მათგანი ატიკის ბრავრონში დასახლდა, მეორე კი მელიტეში; სწორედ ფილეოსისაგან მიიღო თავისი სახელი ფილეიდთა დემმა, საიდანაც პისისტრატე იყოო.

მეგარელთა გასამტყუნებლად სოლონმა მიცვალებულთა დაკრძალვის წესი მოიშველია: სალამინზე მკვდრებს მარხავენ ათენური ადათით და არა მეგარულით; მეგარელები თავიანთ მიცვალებულებს პირით აღმოსავლეთისაკენ მარხავენ, ათენელები კი დასავლეთისკენო.

მეგარელი ჰერეა კი ამის საწინააღმდეგოდ ამბობს: მეგარელებიც მიცვალებულებს პირით დასავლეთისკენ კრძალავენ. მთავარი განსხვავება ისაა, რომ ყოველ ათენელს საკუთარი საფლავი აქვს, მეგარელები კი სამსა და ოთხ მკვდარს ერთ სამარეში მარხავენო[33].

ამბობენ, სოლონს ძალიან დაეხმარა რამდენიმე პითიური წინასწარმეტყველება, რომლებშიც ღმერთმა სალამინს იონია უწოდაო[34].

ათენელთა და მეგარელთა დავის განსჯას ხუთი სპარტელი აწარმოებდა. ესენი იყვნენ: კრიტოლაიდა, ამომფარეტე, ჰიფსექიდა, ანაქსილა და კლეომენე.

11. ჯერ მარტო სალამინის აღებით გახდა სოლონი სახელოვანი და დიდი, მაგრამ კიდევ უფრო გაითქვა სახელი ბერძნებში, როცა დელფოს ტაძარს გამოექომაგა: ჩვენ უნდა დავეხმაროთ ტაძარს და კირელებს[35] არ დავანებოთ სამისნოს შებილწვა: ჩვენ უნდა დავიცვათ ღვთის გულისათვის დელფოო. ამფიკტიონებმა[36] მაშინვე დაუჯერეს სოლონს და კირელებს ომი გამოუცხადეს, რასაც სხვებთან ერთად არისტოტელეც გვიმოწმებს თავის „პითონში გამარჯვებულთა ნუსხაში“[37], სადაც დელფოს დასაცავად გამოთქმულ აზრს სოლონს მიაწერს.

მიუხედავად ამისა, იმ ომის წინამძღოლად სოლონი არ აურჩევიათ; ისე რომ სამოსელი ევანთეს მტკიცება, რასაც ჰერმიპე გადმოგვცემს, სარწმუნო არაა. ამის თაობაზე არც რიტორი ესქინე[38] ამბობს რამეს და დელფოს ნუსხაშიც ათენელთა სტრატეგოსად სოლონი კი არა, ალკმეონია დასახელებული.

12. კილონის მომხრეთა მიმართ ჩადენილმა მკრეხელობამ თავიდანვე საშინელი შფოთი გამოიწვია ათენში[39]. ეს ამბავი კი იქიდან დაიწყო, როცა არქონტმა მეგაკლემ ტაძარში თავშეფარებული და ღმერთქალ ათენასადმი მავედრებელი კილონის მომხრენი დააჯერა, სამსჯავროს წინაშე წარმდგარიყვნენ. კილონელებმა დამორგვილი ძაფის ბოლო ღმერთქალის ქანდაკებას მიაბეს, გამოჰყვნენ ამ ძაფს და აკროპოლისიდან ჩამოსვლა დაიწყეს; მაგრამ როცა ერინიების[40] სალოცავს მიუახლოვდნენ, ძაფი თავისთავად გაწყდა. მაშინ მეგაკლე და მისი თანაარქონტები, იმ საბაბით, ღმერთქალი კილონელთა ვედრებას ყურს არ ათხოვებსო, ტაძრიდან გამოსულთა შესაპყრობად გაეშურნენ. მათ ქვებით ჩაქოლეს გარეთ მყოფნი, ხოლო ისინი, რომლებმაც საკურ-

თჩველებს მიაშურეს, მახვილებით დახოცეს. გადარჩნენ მხოლოდ ის კილონელები, რომლებიც საშველად არქონტთა ცოლებთან მიიჭრნენ.

აი, ამ დროიდან კილონელთა მკვლელებმა „მკრეხელთა“ სახელი მიიღეს და საყოველთაო ზიზღი დაიმსახურეს.

კილონის გადარჩენილი მომხრენი შემდგომში კვლავ გაძლიერდნენ და მეგაკლეს ნაშიერთ ვანუწყვეტლივ ებრძოდნენ.

სოლონის დროს შფოთმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ხალხი ორ ბანაკად გაიყო. სოლონი, რომელსაც მაშინ უკვე დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, საუკეთესო ათენელთა მხარდაჭერით შუაში ჩადგა და დიდი თხოვნითა და შეგონებით დააჯერა ეგრეთ წოდებული „მკრეხელები“ დამორჩილებოდნენ სამსჯავროს და სამახი წარჩინებული მოსამართლის განაჩენს.

ბრალმდებლად გამოვიდა ფლიელი მირონე და მკრეხელები დასაჯეს: ცოცხლები ათენიდან გააძევეს, დახოცილთა გვამები კი საფლავიდან ამოთხარეს და საზღვარზე გადაყარეს.

ასეთი შფოთიანობით ისარგებლეს მეგარელებმა, დაესხნენ თავს ათენელებს, წაართვეს მათ ნისეა და სალამინიც დაიბრუნეს.

ქალაქი ცრუმორწმუნე შიშმა შეიპყრო, ეცხადებოდათ მოჩვენებები. მისნები ამბობდნენ: ყველა მსხვერპლი იმას გვაუწყებს, რომ ქალაქში მკრეხელობა და ცოდვიანობაა, რაც განწმენდას საჭიროებსო.

მაშინ ათენელებმა კრეტიდან გამოიწვიეს ეპიმენიდე ფესტოსელი[41], რომელსაც ზოგიერთი პერიანდრეს შემდეგ მეშვიდე ბრძენად თვლის.

ეპიმენიდე ყველას მიაჩნდა ღმერთთა საყვარელ, ღვთაებრივ საქმეთა დიდ მცოდნე და წინასწარმეტყველებასა და წმიდა საიდუმლოებათა აღსრულებაში გამოცდილ კაცად. ამიტომ იმდროინდელი ხალხი მას ნიმფა ბალტეს შვილსა და ახალ კურეტს ეძახოდა[42].

ჩავიდა თუ არა ათენში, იგი დაუმეგობრდა სოლონს, ბევრი სიკეთე უყო და მის კანონმდებლობლობას გზა გაუკაფა.

ეპიმენიდემ ათენელებს ასწავლა ღვთის მსახურებასა და მწუხარებაში ზომიერების დაცვა. უპირველეს ყოვლისა მან მიცვალებულის დაკრძალვას ახლებური მსხვერპლშეწირვა დაუწესა და ამით შესცვლა ის უხეში და ბარბაროსული ადათები, რომლებსაც ათენელ ქალთა უმრავლესობა იცავდა. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ ღმერთთა კულის მოსაგები, ცოდვათაგან განსაწმენდელი მსხვერ-

პლით და ტაძართა აგებით ქალაქი წმიდათაწმიდად აქცია და მისი მოსახლეობა მართლმსაჯულების მორჩილი და ერთსულოვანი გახადა.

ამბობენ, როცა ეპიმენიდემ მუნიქია[43] იხილა, დიდხანს უყურა მას და ბოლოს იქ მყოფთ ასე უთხრა: „როგორი ბრმაა ადამიანი მომავლის განჭვრეტაში; რომ იცოდნენ, რამდენ ტანჯვას მოუტანს ქალაქს ეს ადგილი, ათენელები მას საკუთარი კბილებით დახრავდნენო“.

გადმოგვცემენ, ამის მსგავსი წინასწარხედვა თალესმაც გამოიჩინაო. მან თურმე მოითხოვა, როცა მოკვდებოდა, მილეტის მახლობლად მდებარე ერთ უბრალო და მიგდებულ ადგილზე დაემარხათ, რამეთუ ეს ადგილი ოდესმე მილეტელთა შეკრების ადგილი იქნებაო.

ათენელები მეტისმეტად აღფრთოვანებულნი იყვნენ ეპიმენიდეთი და მას დიდძალ განძსა და უმაღლეს პატივს სთავაზობდნენ; მაგრამ ეპიმენიდემ მხოლოდ საღმრთო ზეთისხის შტო მოითხოვა და, როცა მიიღო, ათენიდან წავიდა.

13. კილონის შეთქმულება დასრულდა და მკრეხელები, როგორც ითქვა, გააძევეს; მაგრამ ათენში კვლავ დაიწყო ძველი მღელვარება საჯელმწიფო წყობილების გამო. ქალაქი იმდენ ბანაკად დანაწილდა, რამდენიც მდებარეობით განსხვავებული ადგილი იყო ქვეყანაში[44].

დიაკრიები უკიდურესი დემოკრატიის მომხრენი იყვნენ, პედიაკები — უკიდურესი ოლიგარქიისა; ხოლო პარალიები, რომლებიც ყველაფერს ამჯობინებდნენ საჯელმწიფოში ნარევ, საშუალო წყობას, მეტისმეტად ჯიუტობდნენ და პირველ ორ ბანაკს გამარჯვების საშუალებას არ აძლევდნენ.

იმ დროს ღარიბთა და მდიდართ შორის უთანასწორობამ ისეთ საფეხურს მიაღწია, რომ ქალაქი ფრიად დიდი განსაცდელის პირას აღმოჩნდა. ასე ჩანდა, თითქოს ერთადერთი გამოსავალი, რაც ხალხს წონასწორობას აღუდგენდა და არეულობას მოსპობდა, ტირანია უნდა ყოფილიყო.

მთელი უბრალო ხალხი მდიდრების ვალში იყო ჩავარდნილი. ერთნი მიწას უმუშავებდნენ მდიდრებს და მოსავლის მეექვსედს აძლევდნენ; ასეთი მოვალენი ჰექტომორებად და თეტებად იწოდებოდნენ[45]; მეორენი კი საკუთარი თავის საწინდარში იღებდნენ სესხს; გამსესხებელ მევახშეებს შეეძლოთ ან თავის მონებად დაეტოვებინათ ისინი, ან და უცხო ქვეყანაში გაეყიდათ. ბევრი მოვალე იძულებული იყო

საკუთარი შვილები გაეყიდა (ეს კანონით არ იყო აკრძალული) და მევახშეთა სისასტიკეს ქალაქიდან გაქცეოდა. მაგრამ უმრავლესობამ და მით უფრო მძლავრებმა გაერთიანება დაიწყეს. ისინი ერთმანეთს აქეზებდნენ ასეთი მდგომარეობა აღარ მოეთმინათ და ვინმე ერთგული კაცი მეთაურად აერჩიათ; მერმე კი ვალის ვადაზე გადაუხდელობით განსაცდელში ჩავარდნილი პირნი დაეხსნათ, მიწები გადაენაწილებინათ და სახელმწიფო წყობილება მთლიანად შეეცვალათ.

14. ასეთი ვითარების ჟამს ათენელთა შორის უგონიერესნი ხედავდნენ, რომ ერთადერთი უმწიკვლო კაცი იყო სოლონი, რომელიც არც მდიდართა უსამართლო მოქმედებაში მონაწილეობდა და არც ღარიბთა გაჭირვებულ პირობებში იმყოფებოდა. ჰოდა, ათენელებმაც შესთხოვეს ხელი მოეკიდა საზოგადოებრივი საქმისათვის და უთანხმოება მოესპო.

ლესბოსელი ფანიასი[46] გადმოგვცემს: ქალაქის გადარჩენის გულისთვის სოლონმა სიცრუეს მიმართა და ორივე მხარე მოატყუა; ღარიბებს იგი მიწების გადანაწილებას, ხოლო მდიდრებს საგალო ხელშეკრულებათა დაცვას დაპირდა საიდუმლოდო.

თვითონ სოლონი კი ამბობს, რომ ერთი მხრივ მდიდართა სიხარბის, ხოლო მეორე მხრივ ღარიბთა უსაზღვრო ქედმაღლობის შიშით დასაწყისში სახელმწიფოს მართვა-გამგეობას დიდი ყოყმანით მოჰკიდა ხელი.

იგი აირჩიეს არქონტად, მომრიგებელ მოსამართლედ და კანონმდებლად ფილომბროტეს შემდეგ. მის არჩევას ყველანი სიხარულით შეხვდნენ. მდიდრები სოლონს შეეგებნენ როგორც შეძლებულ კაცს, ღარიბები კი როგორც პატიოსან ადამიანს[47].

ამბობენ, ხალხში მეტად გავრცელდა სოლონის მოსწრებული ნათქვამი მის არქონტად არჩევამდე: „თანასწორობა ომს არ წარმოშობსო". ეს სიტყვა მდიდრებსაც მოსწონდათ და იმათაც, რომლებსაც არაფერი გააჩნდათ. მდიდრები მოელოდნენ, რომ ეს თანასწორობა ღირსებასა და კეთილშობილებაზე იქნებოდა დაფუძნებული, ღარიბები კი ფიქრობდნენ, რომ თანასწორობა ქონებრივ გათანასწორებას გულისხმობდა.

აი ამიტომ ორივე მხარე დიდი იმედებით აღიჭურვა. მათი მეთაურები დაუინებით სთავაზობდნენ სოლონს ტირანიას და როგორც ძალაუფლება მოპოვებულ კაცს აქეზებდნენ, რაც შეიძლება გაბედუ-

ლად მოეკიდა ხელი ქალაქის მართვა-გამგეობისათვის. იმ მოქალაქეთა უმრავლესობაც, რომლებიც დავაში არ ერეოდენ და არც ერთ ჯგუფს არ უჭერდნენ მხარს, როდი იყო იმის წინააღმდეგი, რომ სახელმწიფოს სათავეში ყველაზე უფრო სამართლიანი და გონიერი კაცი დაეყენებინათ. მით უმეტეს ხედავდნენ, მსჯელობითა და კანონებით რაიმე ცვლილების მოხდენა ფრიად მძიმე და საშიში საქმე იყო. ზოგიერთი გადმოგვცემს, სოლონმა პითონში[48] ასეთი რჩევა მიიღო:

ხომალდის შუა ადგილს დაჯექ და მესაჭის შეუდექ საქმეს,
ათენის მრავალი მკვიდრი გეყოლება მარჯვენა ხელად.

ახლო მეგობრები მეტისმეტად კიცხავდნენ სოლონს იმისათვის, რომ ერთმმართველობას ტირანიის სახელწოდების გამო ალმაცერად უცქერდა, თითქოს ერთმმართველობა ღირსეული კაცის ხელში მეფის ძალაუფლებას არ გაუტოლდებოდა[49]. ისინი ეუბნებოდნენ: განა ასეთივე ვითარების ჟამს არ იყო, ევბელეებმა რომ ტინონდა აირჩიეს ტირანად, ხოლო მიტილენელებმა სულ ახლახან პიტაკეო?

ამან ვერ ააცდინა სოლონი არჩეულ გზას. მან, როგორც ამბობენ, მეგობრებს უთხრა: „ტირანია კარგი ადგილია, მაგრამ იქიდან თავის დაღწევაა ძნელიო"... ფოკოსისადმი[50] მიწერილ ლექსში იგი ამბობს:

მე სიბრალულმა ჩემი მხარე დამაზოგინა,
ტირანის ხელი არ შევახე მშობლიურ მიწას,
შემრჩა სახელი და სინდისი სამაგიეროდ;
როდი მრცხვენია გონივრული ნამოქმედარის,
ხალხსაც მივიმხრობ ასეთ რიგად გამარჯვებული[51].

აქედან ცხადზე ცხადად ჩანს, რომ სოლონს ჯერ კიდევ კანონთა გამოცემამდე დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

თუ როგორ დასცინოდნენ მას ტირანიაზე უარის თქმის გამო, თვით სოლონი ასე გადმოგვცემს:

ჭკუა-გონება როდი დაჰყვა სრულად სოლონსა,
ღვთის ნაწყალობებს უგუნურად ზურგი აქცია;
ისროლა ბადე და ნადავლით დამძიმებული
ვერ ამოზიდა შიშისაგან სულზე მიმდგარმა.
ნეტავი ძალა და სიმდიდრე მომეცემოდეს,
ნეტავ მაქცია სულ ერთი დღით ათენს ტირანად,
ტყავი გამაძრონ მერმე, თუნდაც გადამაშენონ!

15. აი, ასე ალაპარაკებს სოლონი ბრბოსა და მდაბიო ხალხს თავის თავზე. მართალია, მან ტირანიაზე უარი თქვა, მაგრამ საქმიანობაში მეტისმეტი ლმობიერება როდი გამოიჩინა. კანონთა გამოცემის დროს არც ძლიერთ დაუთმო რამე და არც შათთვის უამებია, ვინც არქონტად აირჩია. იმისათვის, რაც ვარგისი იყო სახელმწიფოში, ხელი არ უხლია და ახლით არ შეუცვლია. ეშინოდა, არ აერ-დაერია ყველაფერი და ქალაქში მღელვარება არ გამოეწვია; იცოდა, მერმე ვეღარ შესძლებდა წესრიგის აღდგენას და საქმეს ისე აწყობას, რომ საუკეთესო მმართველობა დაემყარებინა. მაგრამ იქ, სადაც იმედოვნებდა, რომ ათენელებს სიტყვით დაარწმუნებდა ან იძულებით დაიმორჩილებდა, სოლონი ისე მოიქცა, როგორც თვითონ ამბობს:

ძალაუფლებას საბართალი მივეესადაგე.

როცა მას კარგა ხნის შემდეგ ჰკითხეს: საუკეთესო კანონები თუ დაუწერე ათენელებსო? უპასუხა: „დიაღ, იმ კანონებზე უკეთესი, რომელთაც ისინი ხალისით ძალღებდნენო“.

თანამედროვენი ამბობენ, ათენელები უხეშ, ბილწ საგნებს კეთილშობილური და სათუთი სახელებით მოსავენ: მეძავებს, მაგალითად, მეგობრებს ეძახიან, ხარეს — ანაბარს, დაპყრობილ ქალაქებში ჩაყენებულ ჯარს — ქალაქის დამცველ რაზმს, ხოლო ციხეს — სახლსო. როგორც ჩანს, პირველი სოლონი იყო, რომელმაც ამ ხერხს მიმართა და ვალების გაუქმებას სეისახთეია უწოდა[52]. ეს იყო მისი პირველი პოლიტიკური ნაბიჯი. ამ კანონით მან აოსებული ვალები გააუქმა და მომავალშიც ყველას აუკრძალა თავისუფლების საწინდრით სესხის გაცემა.

ზოგიერთი, მათ შორის ანდროტიონიც[53], წერს, რომ სოლონმა ღარიბები დააკმაყოფილა და მათი მდგომარეობა შეამსუბუქა არა ვალების სრული გაუქმებით, არამედ ვახშის შემცირებით; ღარიბებმა კი ამ კაცთმოყვარულ საქციელს და ამასთან ერთად ზომა-წონის ცვლილებასა და ფულის ფასის აწევასთან დაკავშირებულ ღონისძიებას სეისახთეია უწოდესო. სოლონმა მნა, რომელიც წინათ სამოცდაცამეტ დრაქმას შეიცავდა, ეს დრაქმას გაუთანაბრა; ამის წყალობით მოვალენი ვალს თანაბარი რაოდენობით, მაგრამ ფასით ნაკლები ფულით იხდიდნენ და კარგადაც საოგებლობდნენ. რაც შეეხება სესხის მიმღებთ, ამით არაფერს არ ზარალობდნენ.

მწერალთა უმრავლესობა მაინც იმას ამბობს, სეისახთეია ვალების სრული გაუქმება იყოო. და მართლაც, სოლონის პოეზია სავსებით ეხმატკბილება ამ მწერალთა აზრს. თავის ლექსებში სოლონი ამაყად აცხადებს:

ატიკის მიწას ამოვგლიჯე მრავალი პალო,
ბორკილნი დავხსენ ჩემს ქვეყანას დამონებულსა.

ვალის გადაუხდელობის გამო უცხო მხარეში გადახვეწილი მოქალაქენი სოლონმა სამშობლოში დააბრუნა:

მათ ატიკური ენა უკვე აღარ იციან,
გადაავიწყა ხეტიალმა შეუწყვეტელმა;
ხოლო ისინი, რომლებიც აქ იყვნენ მონებად
და სამარცხვინო საქმე სჯირდათ, ვათავისუფლე[54].

სეისახთეიას კანონის ვატარების დროს სოლონს ფრიად უსიამო ამბავი შეემთხვა თურმე. ვალების გაუქმება რომ დააპირა და იმის ძიებას შეუდგა, როგორ გამოეთქვა თავისი კანონი ისე, რომ იგი შთამაგონებელი ყოფილიყო და კარგი დასაწყისი ჰქონოდა, თავის მეტად ერთგულ მეგობრებს კონონს, კლინიასა და ჰიპონიკეს გაანდო: მიწებს ხელს არ ვახლებ, მაგრამ ვალების გაუქმება გადაწყვეტილი მაქვსო. სოლონის მეგობრებმა ისარგებლეს ამ ამბის წინასწარი ცოდნით და მოასწრეს ის, რომ მდიდრებისაგან უამრავი ფული ისესხეს და დიდძალი მიწა შეისყიდეს. როდესაც ვალების გაუქმების დადგენილება გატარდა, შეძენილი ქონება შეირჩინეს, ხოლო ფული გამსესხებლებს აღარ დაუბრუნეს. ასეთი საქციელით სოლონს მეგობრებმა დიდი ბრალდება და ცილისწამება დაატეხეს თავს: თითქოს სოლონი უსამართლო მოქმედების მონაწილე იყო და არა დაზარალებულთა ბედის მოზიარე.

მაგრამ ეს ბრალდება მყისვე გაქარწყლდა ცნობილი ხუთი ტალანტის[55] წყალობით. ხალხმა გაიგო, რომ სოლონს გასესხებული ჰქონდა ეს ფული და, კანონის ძალით, პირველმა აიღო ხელი გასესხებულის უკან მიღებაზე. ზოგიერთნი, რომელთა შორის როდოსელი პოლიძელეც არის[56], ხუთის ნაცვლად თხუთმეტ ტალანტს იხსენიებენ.

სოლონის მეგობრებს ათენელებმა ქრეოკოპიდები[57] შეარქვეს და ეს სახელი სამუდამოდ შერჩათ.

16. სოლონს არც ერთი მხარის გული არ მოუგია. მან დიდად გაანაწყენა მდიდრები ვალების გაუქმებით, ღარიბები კი იმით, რომ მოლოდინის წინააღმდეგ მიწები არ გაუნაწილა და ლიკურგესავით თანასწორობა და ყველას ერთნაირი ცხოვრება არ შეუქმნა. ლიკურგე ჰერაკლეს შთამომავალთა მეთერთმეტე თაობას ეკუთვნოდა და მრავალი წლის განმავლობაში ლაკედემონელებზე მეფობდა; აქ მან დიდი სახელი, მეგობრები და ძალაუფლება მოიპოვა; ყველაფერი ეს ლიკურგეს შველოდა იმ დიდებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაში, რომლებიც სახელმწიფოს მართვის საქმეში ჰქონდა განზრახული. დარწმუნების საშუალებაზე უფრო მეტად იგი ძალას იყენებდა, ისე რომ თვალიც კი დაკარგა, როცა ცდილობდა ქალაქის ხსნისა და თანხმობის საქმეში დიდი წარმატება მოეპოვებინა, რათა მის მოქალაქეთა შორის არავინ ყოფილიყო არც მდიდარი და არც ღარიბი.

სოლონმა კი ამას ვერ მიაღწია სახელმწიფო მოღვაწეობისას იმიტომ, რომ უბრალო მოქალაქე და საშუალო შეძლების კაცი იყო. მიუხედავად ამისა, ყველაფერი მოიმოქმედა იმ ძალაუფლების შესაბამისად, რაც გააჩნდა. იგი მხოლოდ საკუთარ სურვილსა და მისადმი მოქალაქეთა ნდობას ეყრდნობოდა.

სოლონი თვითონვე ლაპარაკობს, რომ აწყენინა ათენელთა უმრავლესობას, რომელიც მისგან სულ სხვა რამეს მოელოდა:

> აუხდენელზე ფიქრობდნენ, აწ კი განმირისხდნენ მეტად,
> თვალს ალმაცერად მაპყრობენ, თითქოს მტერი ვიყო მათი.

სხვას რომ ამგვარი ძალა ჰქონოდაო, — ამბობს სოლონი, —

> ის თავს სიმშვიდეს არ მისცემდა, შფოთს არ შეწყვეტდა,
> რძეს სანამ ნაღებს არ მოხდიდა აურზაურშინაზ.

მაგრამ ათენელები სულ ჩქარა მიხვდნენ, რომ სოლონის კანონები სასარგებლო იყო და მის წინააღმდეგ ბუზღუნს თავი დაანებეს. მათ საჯარო მსხვერპლშეწირვა მოაწყვეს, ამ მსხვერპლშეწირვას სეისახთეია უწოდეს სახელად და სოლონი სახელმწიფო საქმეთა მომწესრიგებლად და კანონმდებლად აღიარეს. ათენელებმა მას ყველაფერი უკლებლივ მიანდეს; სახელდობრ: მაღალი თანამდებობანი, სახალხო კრებები, სასამართლოები და საბჭოები; აგრეთვე ამ უწყებათა რწმუნებების, მათი წევრების რაოდენობისა და ვადის განსაზღვრა. სოლონს უფლება ეძლეოდა თავის შეხედულებისდა მიხედვით გაეუქმებინა ან

დაეტოვებინა უწინ არსებული და დადგენილი წესები და უწყებები.

17. უწინარეს ყოვლისა სოლონმა გააუქმა დრაკონტის ყველა კანონი, გარდა იმ კანონისა, რომელიც მკვლელობას ეხებოდა[59]. გააუქმა იმიტომ, რომ ეს კანონები შეტისმეტად სასტიკი იყო და თითქმის ყველა დანაშაულისათვის მხოლოდ ერთ სასჯელს — სიკვდილს ითვალისწინებდა. ზარმაცობაში მხილებულნიც კი სიკვდილით ისჯებოდნენ და მწვანილის ან ხილის ქურდებიც მკრეხელთა ან კაცისმკვლელთა თანაბარ სასჯელს იღებდნენ. აი ამის გამო შემდეგ ხანებში დიდი მოწონება დაიმსახურა დემადეს[60] სიტყვამ. დემადე ამბობდა: დრაკონტმა თავისი კანონები მელნით კი არა, სისხლით დაწერაო. თვითონ დრაკონტმა, როცა ჰკითხეს, ყოველგვარი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა რატომ დააწესეო, ასეთი პასუხი გასცა: მცირე დანაშაულის ჩამდენი, ჩემი აზრით, ამის ღირსია, მსხვილ დანაშაულთათვის კი უფრო დიდი სასჯელი ვერ მოვიგონეო.

18. დრაკონტის კანონთა გაუქმების შემდეგ სოლონმა გადაწყვიტა ყველა დიდი თანამდებობა მდიდრებისათვის დაეტოვებინა, როგორც ეს ძველად იყო, ხოლო ხალხი, რომელსაც წინათ ხელისუფლებაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა, მართვა-გამგეობაში ჩაერია. ამისთვის მან მოქალაქეთა ქონებრივი აღრიცხვა მოახდინა. პირველ წოდებას სოლონმა მიაკუთვნა ისინი, რომელთაც ფხვიერადი და თხევადი ჭირნახულით ხუთასი ზომა მოსავალი მოჰყავდათ და მათ პენტაკოსიომედიმნიანები უწოდა[61]. მეორე წოდებას მიაკუთვნა ისინი, რომელთაც ცხენის გამოკვება შეეძლოთ, ან სამასი ზომა მოსავალი მოსდიოდათ; ამათ „მხედრებს“ ეძახდნენ. მესამე წოდებაში შემავალნი ძევგიტებად იწოდებოდნენ[62]; მათი შემოსავალი, როგორც ფხვიერადი, ისე თხევადი, ორას მედიმნს შეადგენდა. ყველა დანარჩენნი თეტებად იწოდებოდნენ. სოლონმა ამათ არც ერთი თანამდებობის დაკავების უფლება არ მისცა; თეტების სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობა იმით განისაზღვრებოდა, რომ სახალხო კრებებსა და სასამართლოს სხდომებს ესწრებოდნენ და მსაჯულობდნენ[63].

თეტების ეს უფლება დასაწყისში არაფრად არ ჩანდა, მაგრამ მერმე ფრიად მნიშვნელოვანი გახდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ სადავო საკითხთა უმრავლესობა დიკასტებთან მიდიოდა[64]. სოლონმა უფლება მისცა ხალხს, ვისაც კი სურდა, დიკასტერიონში გაესაჩივ-

რებინა ყველა ის საქმე, რომელიც მაღალი თანამდებობის პირთ მიანდო.

ამბობენ, სოლონმა თავისი კანონები საკმაოდ ბუნდოვნად დაწერა, თან შიგ მრავალი წინააღმდეგობა დაუშვა და ამით დიკასტერიონების ძალა გაზარდაო. რაკიღა მოქალაქეებს ყოველთვის არ ძალუძდათ კანონთა მეშვეობით გადაეწყვიტათ ის საქმეები, რაზედაც დაეობდნენ, ხშირად იძულებულნი იყვნენ მიემართათ დიკასტებისათვის და ყველა სადავო საკითხი მათთვის მიენდოთ; ამის გამო დიკასტები ერთგვარად ბატონობდნენ კანონებზე[65].

უფლებათა ასეთი გათანაბრების თაობაზე სოლონი შემდეგს ამბობს:

ხალხს ძალაუფლება მივეც მე იმდენი, რამდენიც კმარა,
პატივი არ ეუკელ მას და არც მივუმატე რამ.
უსაზღვრო ძალა და განძი დაუთვლელი, ვისაც კი ჰქონდა,
მტკიცედ დავაწესე, რომ რიდით მოპყრობოდნენ მათ.
დამცველად ძლიერი ფარით ჩავუდექი ორივე მხარეს,
არავის არ დავუთმე გზა ძალით დაეჩაგრა სხვა[66].

სოლონი თვლიდა, რომ საჭირო იყო უფრო მეტად დაეცვა უმწეო მოქალაქენი. ამიტომ უფლება მისცა ყველას სასამართლოს ძალით გამოსარჩლებოდნენ შეურაცხყოფილ კაცს. თუ ვინმე ნაცემი, დაზარალებული ან ძალმომრეობით დაჩაგრული აღმოჩნდებოდა, ყოველ მსურველს, ვისაც კი შესაძლებლობა ჰქონდა, ნება ეძლეოდა ბრალი დაედო უკანონობის ჩამდენისათვის და მის წინააღმდეგ საქმე სასამართლოში აღეძრა. ასე აჩვევდა კანონმდებელი სოლონი მოქალაქეებს თავი ერთი სხეულის ნაწილად ეგრძნოთ და ერთმანეთის ჭირ-ვარამი ვაეზიარებინათ.

სხვათა შორის, იხსენიებენ სოლონის ერთ პასუხს, რომელიც მთლიანად შეესაბამება ზემოაღნიშნულ კანონს. როგორც ჩანს, სოლონს ჰკითხეს: რომელ ქალაქშია ყველაზე საუკეთესო მმართველობაო? „იმ ქალაქში, — უპასუხა სოლონმა, — სადაც მოქალაქენი, რომლებისთვისაც შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, შეურაცხყოფილებზე უფრო ნაკლებად როდი სდევნიან და სჯიან შეურაცხმყოფელებსო“.

19. სოლონმა იმ პირთაგან, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში არქონტებად იყვნენ, შეადგინა არეოპაგის საბჭო. და თვითონაც, როგორც არქონტი, ამ საბჭოს წევრი გახდა[67]. მაგრამ რა დაინახა, ხალხი ჯერ კიდევ დრტვინავდა და ვალების გაუქმებამ გააყოყოჩა,

თითოეულ ფილედან, ასეთი კი ოთხი იყო, — ას-ასი კაცი აარჩია და მეორე საბჭოც დააარსა[68]. ამ საბჭოს წევრებს დაავალა თვითონვე გაერჩიათ საქმეები და წინასწარ განუხილველად არაფერი არ გადაეგზავნათ სახალხო კრებისათვის.

უმაღლესი საბჭო — არეოპაგი სოლონმა სახელმწიფო საქმეთა ზედამხედველად და კანონთა დამცველად დააწესა. იგი იმედოვნებდა, ეს ორი საბჭო, როგორც ორი ღუზა, ქალაქს მღელვარებისგან დაიცავდა და ხალხიც დამშვიდდებოდა.

უმრავლესობა ამბობს, არეოპაგის საბჭო, როგორც ზემოთ ითქვა, სოლონმა დაარსაო. ამას ყველაზე უფრო მეტად ადასტურებს, როგორც ჩანს, ის გარემოება, რომ დრაკონტი არსად არ იხსენიებს და არ ასახელებს არეოპაგიტებს და მკვლელობათა თაობაზე მუდამ ეფეტებს მიმართავს[69]. მაგრამ სოლონის მეცამეტე აქსონის მერვე კანონი ამბობს: „ის პირნი, რომელთაც სოლონის არქონტობამდე მოქალაქის პატივი აეყარათ, აღდგენილ იქნენ ამ პატივში, გარდა იმ მოქალაქეებისა, რომელნიც მსჯავრდადებულ იქნენ მკვლელობის, ხოცვა-ჟლეტისა ან ტირანიისაკენ სწრაფვისათვის არეოპაგის, ეფეტებისა თუ პრიტანიონში გასილევსების[70] მიერ და ამ კანონის გამოქვეყნების დროს გაძევებული არიან“.

ეს სიტყვები ამტკიცებს, რომ არეოპაგის საბჭო სოლონის არქონტობამდე და მის კანონთა გამოცემამდე არსებობდა. მართლაც, ვინ უნდა გასამართლებულიყო არეოპაგში სოლონამდე, თუ არეოპაგის საბჭოს გასამართლების უფლება პირველად სოლონმა მისცა? შესაძლოა დაწერილ კანონში ბუნდოვანი ან გამოტოვებული ადგილი იყოს და ასე უნდა გავიგოთ: „მსჯავრდადებულნი იმ დანაშაულში, რომელსაც ახლა, როცა ეს კანონი გამოქვეყნდა, არეოპაგიტები, ეფეტები და პრიტანები არჩევენ, პატივაყრილნი რჩებიან, ყველა დანარჩენთ აღკვეთილი უფლება ისევ უბრუნდებათ“. ასე იყო თუ ისე, ამის განსჯა შენთვის მომინდვია, მკითხველო.

20. სოლონის სხვა კანონთაგან მეტად თავისებურია და უცნაური ის კანონი, რომელიც პატივს ჰყრის იმ მოქალაქეს, ვინც შინაური მღელვარების დროს არც ერთ მებრძოლ მხარეს არ მიემხრობა. სოლონს, როგორც ჩანს, უნდოდა არავინ ყოფილიყო გულგრილი საერთო საქმის მიმართ და არ დაკმაყოფილებულიყო იმით, რომ მასა და მის ქონებას საფრთხე არ მოელოდა. სამშობლოს ჭირ-ვარამი ყვე-

ლას ერთნაირად უნდა გაეზიარებინა. სოლონი მოითხოვდა, ყოველი მოქალაქე შფოთის ატყდომისთანავე დამდგარიყო სამართლიანი საქმისათვის მებრძოლთა მხარეზე და მათი განსაცდელის გაზიარება და მათთვის დახმარების გაწევა უფრო სასიქადულო საქმედ მიეჩნია, ვიდრე განზე უშიშრად დგომა და ლოდინი, თუ ვინ გაიმარჯვებდა.

ფრიად უხერხული და სასაცილო ჩანს სოლონის ის კანონი, რომელიც ნებას რთავს მდიდარ ქალს იცხოვროს ქმრის ახლო ნათესავ კაცთან, თუ ქმარი, რომელიც კანონის ძალით მისი ბატონი და უფალი გახდა, ცვედანი აღმოჩნდა. ზოგიერთი ამბობს: ეს კანონი მეტად სამართლიანია იმათ მიმართ, რომელთაც ქალთან ცხოვრება არ შეუძლიათ და მხოლოდ სიმდიდრის გულისთვის მოჰყავთ დიდი მემკვიდრეობის მქონე ქალი; კანონიერი ქორწინების საბაბით ისინი ბუნების წესს არღვევენო; როცა ასეთი მამაკაცები დაინახავენ, მემკვიდრეობის მქონე ქალს უფლება აქვს იცხოვროს ვისთანაც უნდა, ისინი ან ხელს აიღებენ ქორწინებაზე, ან არადა უსიტყვოდ შეურიგდებიან თავიანთ სამარცხვინო მდგომარეობას და სიხარბისათვის მკაცრადაც დაისჯებიანო.

ამ კანონში კარგია ის, რომ მემკვიდრეობის მქონე ქალს ზემოაღნიშნულ შემთხვევაში შეუძლია საქმე დაიჭიროს არა ყველასთან, არამედ მხოლოდ ქმრის ახლო ნათესავთან, რათა შვილი ქმრის სისხლისა და გვარისა იყოს. ამავე მიზანს ემსახურება კანონის ის მოთხოვნაც, რომ პატარძალი ჩაიკეტოს სიძესთან და მასთან ერთად შეჭამოს კიდონიის ვაშლი[71]; ამასთან კანონი თხოულობს ქმარმა მემკვიდრეობის მქონე ქალთან თვეში, სულ ცოტა, სამჯერ მაინც შეასრულოს თავისი მოვალეობა. თუ ამ გზით ბავშვი არ გაჩნდა, უკიდურეს შემთხვევაში ქმრის პატივისცემა და კეთილგანწყობილება კდემამოსილი ცოლისადმი მაინც არ დაირღვევა, ასეთი დამოკიდებულება კი მეუღლეთა შორის უკმაყოფილებას ყოველთვის განმუხტავს და ცოლ-ქმარს საშუალებას არ მისცემს უთანხმოებათა მიზეზით ერთმანეთს განშორდნენ.

სხვაგვარი ქორწინების დროს სოლონმა აკრძალა მზითევი. მისი განკარგულებით პატარძალს ქმართან შეეძლო წაეღო მხოლოდ სამი კაბა, რამდენიმე არცთუ მაინცდამაინც ძვირფასი ნივთი და სხვა არაფერი. სოლონს არ უნდოდა ქორწინება ვაჭრობას დამსგავსებოდა; მისი სურვილი გახლდათ ცოლ-ქმრის კავშირი დამყარებული ყოფი-

ლიყო ბავშვების ყოლაზე, ურთიერთსიამოვნებასა და სიყვარულზე.

ერთხელ თურმე დიონისეს[72] დედამისმა სთხოვა: „ვინმე მოქალაქეთაგანზე გამათხოვეო". დიონისემ უპასუხა: „მე ტირანი ვარ და შემიძლია ქალაქის კანონები არარად ვაქციო, მაგრამ არ ძალმიძს ბუნების წინააღმდეგ წავიდე, არ გავითვალისწინო შენი ასაკი და დაგაქორწინოო".

სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას უწესრიგობა ქორწინების საქმეში. გულგრილად მართლაც ვერ შეხედავ ასაკით შეუფერებელ ცოლქმრობას, რომელიც ქორწინების მიზანს ვერ მოემსახურება. მოხუცს, რომელსაც ცოლად ყმაწვილი გოგო მოჰყავს, გონიერი არქონტი ან კანონმდებელი იმას ეტყვის, რაც თავის დროზე ფილოქტეტეს[73] უთხრეს:

შენ უბედურო, ცოლის შერთვას აპირებ განა? [74].

ხოლო ახალგაზრდა ვაჟს, თუ იგი მდიდარი, მაგრამ ასაკით მიხრწნილი დედაკაცის ჭერქვეშ იხილეს ალერსითა და ზრუნვით კაკაბივით გასუქებული, იგივე არქონტი ან კანონმდებელი გადაიყვანს ნორჩ ქალწულთან, რომელსაც მართლა სჭირდება ქმარი.

21. დიდი მოწონება დაიმსახურა სოლონის იმ კანონმაც, რომელიც კრძალავს მიცვალებულის აუგად ხსენებას; ვინაიდან იმქვეყნად წასულთ წმინდანებად ჩათვლას სჯული გვთხოვს; სამართალი — მათ გაკიცხვაზე თავის შეკავებას, ვინც ჩვენს შორის უკვე აღარ არის, სახელმწიფოს კეთილდღეობა კი ადამიანთა შორის მარადიული მტრობის მოსპობას.

ასევე აკრძალა სოლონმა ცოცხალთა ლანძღვა ტაძრებში, სასამართლოებში, საგამგებლო შენობებსა და შეჯიბრებებზე. ამ კანონის დარღვევისათვის დააწესა ჯარიმა. დაჯარიმებულს სამი დრაქმა დაზარებულისათვის უნდა მიეცა, ხოლო ორი დრაქმაც სახელმწიფო ხაზინაში შეეტანა. ის, ვინც საკუთარ რისხვას ვერ მოთოკავს, უზრდელობასა და თავხედობას ამტკიცებს, მაგრამ წყრომის ყოველთვის დაცხრომაც ფრიად ძნელი საქმეა, ზოგისთვის კი პირდაპირ შეუძლებელი. ამიტომ კანონი უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის შესაძლებლობას და ისე იწერებოდეს; განუკითხავად კი არ უნდა დასჯოს ყველა, არამედ ის დასაჯოს, ვის დასჯასაც სიკეთის მოტანა შეუძლია.

სოლონმა დიდი სახელი მოიხვეჭა ანდერძის თაობაზე გამოცემული კანონითაც. მანამდე ათენელებს ანდერძის დატოვების უფლება რადი ჰქონდათ. მიცვალებულის უძრავ-მოძრავი ქონება მის გვარში უნდა დარჩენილიყო. სოლონმა კი მისცა რა უპირატესობა ნათესაობაზე მეტად მეგობრობასა და პირად სურვილს, უშვილო კაცს ნება დართო თავისი ქონება ვისთვისაც უნდოდა იმისთვის გადაეცა. ამით მან ყოველი კაცი საკუთარი სიმდიდრის ბატონ-პატრონი გახადა. მაგრამ სოლონმა უბრალოდ კი არ მისცა ათენელებს ანდერძის დატოვების უფლება, არამედ ზოგიერთი პირობით: ანდერძის დამტოვებელი არ უნდა ყოფილიყო მძიმედ დაავადებული, ან რაიმე სასმელით გაბრუებული, ასევე არ შეიძლებოდა ანდერძის შედგენა იძულებით ან ქალის ალერსის ზეგავლენით.

სოლონი ფრიად სამართლიანად და ვოხიერი კაცისათვის შესაფერისად ფიქრობდა, რომ მაცდურობა იძულებაზე ნაკლები პოროტებაა არაა და მისგან არაფრით განსხვავდება. იგი ერთ რიგში ათავსებდა სიცრუესა და იძულებას, ტანჯვასა და სიამოვნებას, ვინაიდან ყოველივე ამას ერთნაირად შეუძლია ადამიანს ვონება დაუბნელოს.

სოლონმა გამოსცა აგრეთვე კანონი, რომელიც აწესრიგებდა მოგზაურობის, მგლოვიარობისა და ზეიმების დროს ქალთა თავდაჭერა-მოქცევის საკითხებს. ამასთან დაკავშირებით ფრთა შეუკვეცა ყოველგვარ უწესრიგობასა და თავშეუკავებლობას. მან დაადგინა, რომ ქალაქიდან გასულ ქალს თან არ უნდა წაეღო სამ კაბაზე მეტი, სასმელ-საჭმელი ერთი ობოლის[75] საფასურზე მეტი და კალათი ერთ წყრთაზე დიდი. ამასთან ქალი არ უნდა წასულიყო გზად ღამით; ეს შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეტლით გაემგზავრებოდა და თუ ეტლს ჩირაღდნით გაუნათებდნენ გზას.

სოლონმა ქალებს აუკრძალა თავ-პირში ხელის ცემა, სახის კაწვრა, წინასწარ მოფიქრებული მოთქმით ტირილი და გოდება შორეული მიცვალებულის დაკრძალვის დროს. ასევე აკრძალა ხარის მსხვერპლად შეწირვა და მიცვალებულისათვის საფლავში სამ კაბაზე მეტის ჩატანება. გარდა ამისა, სოლონი ქალებს უცხო პირთა საფლავებზე სიარულის ნებას არ აძლევდა: ვამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ დაკრძალვის დღე.

ბევრი რამ, სხვათა შორის, ჩვენი კანონებითაც იკრძალება. ჩვენი კანონის ძალით ის პიროვნება, რომელიც მწუხარების ჟამს მეტისმეტ

ლაჩრობას გამოიჩენს, დამნაშავედ ითვლება და ვინეკონომების მიერ დაისჯება[76].

22. ათენი ყოველდღიურად იცსებოდა ხალხით, რომელიც თავისუფალ და განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდა ყოველი მხრიდან ატიკაში. ატიკის მიწა კი საკმაოდ მწირი იყო, ხოლო ვაჭრებს ზღვით ჩვეულებრივ არაფერი არ შემოჰქონდათ იმ მოსახლეობისთვის, რომელსაც გადასაცვლელი არარა გააჩნდა. სოლონმა ამის გამო მოქალაქენი წაახალისა ხელოსნობისათვის მიეყოთ ხელი და გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც შვილი არ იყო ვალდებული ერჩინა მამა, თუ იგი რაიმე ხელობას არ შეასწავლიდა.

ლიკურგეს ცხოვრება უხდებოდა უცხოთაგან თავისუფალ ქალაქში[77]. მას ის ქვეყანა ეჭირა, რომელიც, ევრიპიდეს სიტყვით რომ ვთქვათ, „მრავალ მოსახლეს აკმაყოფილებდა და ორვზის მეტსაც ეყოფოდა". რაც მთავარია, ლაკედემონია სავსე იყო ჰილოტებით. ეს ჰილოტები უქმად კი არ უნდა ყოფილიყვნენ, არამედ განუწყვეტლივ ეშრომათ თვინიერად და მორჩილად. ამიტომ ლიკურგეს უკეთესი შესაძლებლობა ჰქონდა მოქალაქენი მძიმე შრომისა და უბრალო ხელოსნობისაგან გაეთავისუფლებინა და მუდამ იარაღქვეშ ყოლოდა, რათა მხოლოდ ერთი — ომში გამოსადეგი ხელობა ესწავლათ და ამაში გაწაფულიყვნენ.

სოლონი თავის კანონებს ცხოვრებას უხამებდა. რაკი ბუნებით მწირი მხარე მიწის მუშას ძლივს აკმაყოფილებდა და უმაქნისთა და ზარმაცთა გამოკვება აღარ შეეძლო, სოლონმა დიდი პატივი მიანიჭა ხელოსნობას და არეოპაგის საბჭოს დაავალა გამოერკვია, თუ ვის საიდან ჰქონდა საარსებო სახსარი, უქნარა ხალხი კი დაესაჯა.

განსაკუთრებით სასტიკი იყო ის კანონი, რომელიც, ჰერაკლიდე პონტოელის გადმოცემით, ვალდებულებას ხსნიდა ჰეტერებისაგან[78] გაჩენილ შვილებს მამები ერჩინათ. მართლაც, ვინც ქორწინების ზნეობრივ მხარეს არად აგდებს, იგი ქალს უკავშირდება არა შვილების გასაჩენად, არამედ პირადი სიამოვნებისათვის. ასეთი კაცი კი ისჯება იმით, რომ კარგავს უფლებას შვილებზე, რომელთაც უკანონო და სამარცხვინო სიცოცხლე მიანიჭა.

23. საერთოდ უნდა ითქვას, სოლონის კანონები, ქალებს რომ ეხება, მრავალ უცნაურობას შეიცავს. ასე, მაგალითად, სოლონი ნებას აძლევს ავხორცობაზე წამსწრეს იქვე მოკლას მრუში; მაგრამ თუ ვინ-

მე თავისუფალ ქალს მოიტაცებს და ძალით დაიმორჩილებს, ასეთ დამნაშავეს სოლონი ასი დრაქმით აჯარიმებს. თუ მომტაცებელი ქალს სავაჭრო საგნად გახდის, იგი ოცი დრაქმით ჯარიმდება; გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც მოტაცებულნი არიან საკუთარი სხეულით აშკარად მოვაჭრე ქალები, ეგრეთ წოდებული ჰეტერები, რომლებიც უსირცხვილოდ ნებდებიან მას, ვინც გასამრჯელოს მისცემს.

სოლონმა ათენელებს აუკრძალა ქალიშვილებისა და დების გაყიდვა, თუკი გაუთხოვარი ქალი მხილებული არ იყო იმაში, რომ მან უკვე წინასწარ იცხოვრა მამაკაცთან.

საკმაო უაზრობაა ერთი და იგივე დანაშაულისათვის ადამიანის ხან მეტისმეტი სიმკაცრით დასჯა, ხან ლმობიერების გამოჩენა და თითქოს ხუმრობით სასჯელად ჯარიმის დადება. მაგრამ, როგორც ჩანს, ათენში მაშინ ფული ფრიად იშვიათი რამ იყო და, რაკი მისი შოვნა საკმაოდ ძნელი გახლდათ, ფულადი სასჯელი მძიმე სასჯელად ითვლებოდა.

ფულის სიძვირეს ადასტურებს, მაგალითად, ის, რომ მსხვერპლშეწირვის ხარჯის შეფასებისას სოლონი ცხვარს, დრაქმას და მედიმნპურს ერთ ფასად თვლის. ისთმურ დღეობაში გამარჯვებულს, სოლონის მიერ დადგენილი კანონით, ჯილდოდ ასი დრაქმა ეძლეოდა, ოლიმპიურში გამარჯვებულს კი — ხუთასი. სოლონი ხუთ დრაქმას აძლევდა მას, ვინც მგელს მოკლავდა, მგლის ლეკვის მომყვანს კი ერთი დრაქმით აჯილდოვებდა. დემეტრიოს ფალერელი ამბობს: ხუთი დრაქმა ხარის ფასი იყო, ერთი დრაქმა კი — ცხვრისაო.

სამსხვერპლოდ ამორჩეული საქონლის ფასები, რომელთაც სოლონი მეთექვსმეტე აქსონზე აწესებს, რა თქმა უნდა, მაღალია, მაგრამ დღევანდელთან შედარებით საკმაოდ დაბალი გახლავთ.

ვინაიდან ათენელების ქვეყანა საქონლის საძოვრად უკეთესი იყო, ვიდრე სამიწათმოქმედოდ, ისინი ოდითგანვე ებრძოდნენ მგლებს.

ზოგიერთი ამბობს, ათენის ფილეებმა თავიანთი სახელი მიიღეს არა იონის შვილებისაგან, არამედ ცხოვრების იმ ნირისა და საქმიანობის წყალობით, რომელიც ძველთაგანვე აირჩიესო. მეომრებს ჰოპლიტები ეწოდებოდათ. ხელოსნებს — ერგადები; ორ დანარჩენ ფილეს მოსახლეობათაგან გედეონტები მიწის მუშაკნი იყვნენ, ეგიკო-

რები კი მესაქონლეობას და განსაკუთრებით მეცხვარეობას მისდევ-
დნენო[79].

ატიკა წყლით ღარიბი ქვეყანაა. აქ არაა დაუმშრალი მდინარე, ტბებიც იშვიათია და წყაროებიც ნაკლებად გვხვდება. ამიტომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ხელოვნურად გათხრილი ჭებით სარგებლობს. ასეთი ვითარების გამო სოლონმა გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ყოველ კაცს შეეძლო ესარგებლა საჯარო ჭით, თუ ეს ჭა მისგან დაშორებული იყო ერთი ჰიპიკოსით, რაც ოთხ სტადიონს უდრის[80]; თუ მანძილი მეტი იყო, საკუთარი წყალი უნდა მოეძებნათ. თუ ჭის გამთხრელი თავის კარ-მიდამოში ათი საჟენის სიღრმეზე წყალს ვერ აღმოაჩენდა, მაშინ ნება ეძლეოდა მეზობლის ჭით ესარგებლა და დღეში ორჯერ ექვს-ექვსი ჩაფი წყალი ამოეღო. სოლონის ფიქრით საჭირო იყო გაჭირვებისათვის მოევლო, ზარმაცობა კი მოესპო.

სოლონმა საქმის დიდი ცოდნით განსაზღვრა მცენარეთა დარგვის დროს შორისეული მანძილის დაცვის წესებიც. ვინც თავის მამულში ჩვეულებრივი ხეხილის დარგვას განიზრახავდა, მეზობლის მამულისაგან ხუთი ნაბიჯის დაშორებით უნდა დაერგო, ხოლო ზეთისხილისა და ლეღვის ხის დარგვის დროს საჭირო იყო ცხრა ნაბიჯის შემცველი მანძილის დაცვა, რადგან ზეთისხილისა და ლეღვის ხე ფესვებს მეტად შორს იდგამს და მათი სიახლოვე სხვა ხეხილისათვის მავნეა. ისინი სხვა მცენარეებს საკვებს აცლიან და ზოგიერთი ხისთვის ფრიად მავნე ანაორთქლს უშვებენ.

ვისაც ორმოს ან თხრილის ამოთხრა უნდოდა, იგი, სოლონის განკარგულებით, მეზობლის მიწას უნდა დაშორებოდა იმ მანძილით, რა სიღრმითაც თხრიდა.

ვინც ფუტკრის მოშენებას აპირებდა, სკები სამასი ნაბიჯის მოშორებით უნდა დაედგა მეზობლის სკებისაგან.

24. ქვეყნის ნაწარმთაგან სოლონმა ათენელებს ნება დართო უცხოელებისათვის მიეყიდათ მხოლოდ ზეითუნის ზეთი, სხვა ნაწარმის საზღვარგარეთ გატანა კი სასტიკად აკრძალა. ვინც ამ კანონს დაარღვევდა, მისი განკარგულებით საჯაროდ უნდა შეეჩვენებინა არქონტს. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ არქონტი ისჯებოდა და ასი დრაქმა უნდა შეეტანა ჯარიმის სახით სახელმწიფო ხაზინაში. ამ კანონს შეიცავს სოლონის პირველივე აქსონი. ამიტომ საფუძველს მოკლე-

ბული არ უნდა იყოს გადმოცემა, რომ უწინ აკრძალული იყო ატიკიდან ლეღვის გატანაც. ის, ვინც ამ კანონის დამრღვევთ გამოიმჟღავნებდა და დაიბეზღებდა, სიკოფანტად[81] იწოდებოდა.

სოლონმა გამოსცა აგრეთვე კანონი ოთხფეხა ცხოველების მიერ მიყენებული ზიანის თაობაზე. ამ კანონის ძალით, თუ ვინმეს ძაღლი უკბენდა, მისთვის უნდა მიეცათ ეს ძაღლი ყელზე მიბმული სამწყრთიანი ჯაჭვით. ეს კანონი საკმაოდ კარგი საშუალება იყო მოსახლეობის უშიშროების დასაცავად.

დიდ სიძნელეს წარმოადგენს სოლონის იმ კანონის კარგად გაგება, რომელიც ათენის მოქალაქედ უცხოელის აღიარებას ეხება. სოლონი ათენის მოქალაქედ გახდომის უფლებას ანიჭებს მხოლოდ მას, ვინც სამუდამოდაა გამოძევებული სამშობლოდან და იმ პირსაც, რომელიც მთელი ოჯახით გადმოსახლდება ათენში, რათა აქ ხელი მიჰყოს ხელოსნობას. ამბობენ, სოლონმა ასეთი კანონი სხვა უცხოელების თავიდან მოშორების მიზნით კი არ გამოსცა, არამედ იმიტომ, რომ სწორედ ზემოხსენებული პირნი დაემკვიდრებინა ათენში. ესენი, მისი აზრით, მტკიცე მოქალაქენი გახდებოდნენ და ერთგულებიც იქნებოდნენ. ერთნი — საკუთარი სამშობლოს იძულებითი დაკარგვის გამო, მეორენი კი იმიტომ, რომ თავიანთი მხარე ნებით მიატოვეს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სოლონის კანონს საზოგადოებრივ სუფრის თაობაზეც. ხალხის ერთად სადილობას მან პარასიტიები[82] უწოდა. ერთსა და იმავე პირს სოლონი ნებას არ აძლევდა რამდენჯერმე მიეღო მონაწილეობა საერთო ღრეობაში; ხოლო სჯიდა მას, ვინც საერთო სუფრაზე დასწრებას არ მოისურვებდა თვისი ჯერისას. მისი აზრით, საჯარო სადილზე ხშირი დასწრება გაუმაძღრობა იყო, დაუსწრებლობა კი — საყოველთაო წესის უგულებელყოფა.

25. თავისი კანონების ძალა სოლონმა ასი წლით განსაზღვრა. ეს კანონები დაწერილი იყო ოთხწახნაგა ჩარჩოებში ჩასმულ ხის დაფებზე, რომელთაც ამაგრებდნენ მოძრავ ღერძზე. ამ დაფების ნაშთებმა ჩვენ დრომდეც მოაღწია და პრიტანიონში ინახება. ეს დაფები, არისტოტელეს გადმოცემით, კირბებად იწოდებოდა[83]. კომიკოსი კრატინეც[84] ერთ ადგილას ამბობს:

> სოლონს და დრაკონტს გეფიცები, თუმცა მათ კირბებს
> დღეს ქერის მარცვლის მოსახალად იყენებს ხალხი.

ზოგიერთი ამტკიცებს, კირბები ეწოდებოდა იმ დაფებს, რომლებზეც ღვთის მსახურებისა და მსხვერპლშეწირვის წესები იყო აღნუსხული; სხვა დანარჩენი დაფები კი აქსონებად იწოდებოდნენ.

საბჭომ ერთხმად შეჰფიცა, რომ სოლონის კანონებს მტკიცედ დაიცავდა, ხოლო თესმოთეტებმა[55] სათითაოდ დადეს აღთქმა მოედანზე ქვასთან: თუ რომელიმე მათგანი თუნდაც ერთ კანონს დაარღვევდა, ის დელფოს სამისნოს თავის წონა ოქროს ქანდაკებას შესწირავდა.

სოლონმა ყურადღება მიაქცია ატიკური თვის ეთანასწორობასაც. მან შეამჩნია, რომ არსებული ანგარიშით მთვარის მოძრაობა სრულებით არ ეთანხმებოდა მზის ჩასვლასა და ამოსვლას; ერთსა და იმავე დღეს მთვარე ხშირად უწოდა და ასწრებდა ხოლმე მზეს. ამიტომ სოლონმა დაადგინა, რომ ასეთი დღე ძველი და ახალი მთვარის დღედ წოდებულიყო. მისი აზრით, ამ დღის ნაწილი, რომელიც წინ უსწრებდა მზისა და მთვარის შეხვედრას, მიწურულ თვეს განეკუთვნებოდა, ნაწილი კი — ახლად დამდგარს. როგორც ჩანს, სოლონი პირველი ყაცი იყო, რომელმაც ზუსტად გაიგო პომეროსის ეს სიტყვები:

> რის ახალი თვე ძველს აცვლა პოლომდე მიწურულს შეცვლის...[56]

ამ დღის მომდევნო დღეს სოლონმა ახალი მთვარე უწოდა. ოცი რიცხვიდან მოკიდებული ვიდრე ოცდაათ რიცხვამდე მთვარის ნათელი მხარის დაბინდებაზე დაკვირვებით სოლონი დღეების აღრიცხვას აწარმოებდა არა მიმატებით, არამედ მოკლებით[57].

შევიდა თუ არა ზემოაღნიშნული კანონები ძალაში, სოლონთან ყოველდღიურად დაიწყო სიარული ხალხმა. ერთნი უქებდნენ კანონებს, მეორენი უწუნებდნენ, მესამენი კი რჩევას აძლევდნენ, მათი სურვილისდა მიხედვით შიგ რა შეეტანა და რა გამოეკლო. ყველაზე მეტი კი ისეთები იყვნენ, რომლებიც ახსნა-განმარტებისათვის მოდიოდნენ. ესენი სოლონს სთხოვდნენ ესწავლებინა და აეხსნა მათთვის, თუ რას შეიცავდა თითოეული კანონი და რა აზრი იყო შიგ ჩაქსოვილი.

სოლონი გრძნობდა, რომ ხალხის ყოველი წადილის ასრულება ძნელი იყო, შეუსრულებლობა კი შურისა და უკმაყოფილების აღ-

ძრავდა. ამიტომ მოინდომა თავი დაეხსნა ამ მძიმე მდგომარეობიდან და გაქცეოდა თანამოქალაქეთა უკმაყოფილებასა და ბრალდებებს, ვინაიდან, როგორც თვითონ თქვა:

ყველას აამო დიდ საქმეში, ძნელია მეტად.

ერთი სიტყვით, სოლონმა, სავაჭრო საქმეები მოიმიზეზა, ათენელებს ათი წლის ვადით სამშობლოდან გამგზავრების უფლება გამოსთხოვა და ზღვაში გავიდა. იგი იმედოვნებდა, ათენელები ამ ხნის განმავლობაში მის კანონებს შეეგუებოდნენ[88].

26. პირველად სოლონი ეგვიპტეში ჩავიდა და, როგორც თვითონ ამბობს, ცხოვრობდა

ნილოსის უბეესთან, სადაც კანობისის ნაპირი არის[89].

აქ იგი რამდენსამე ხანს ფილოსოფიაში მეცადინეობდა იქაურ ქურუმთა შორის უბრძნეს ქურუმებთან ჰელიოპოლისელ ფსენოფისსა და საისელ სონქისთან[90]. ამათგან სოლონმა, როგორც პლატონი გადმოგვცემს, მოისმინა თქმულება ატლანტისზე და შეეცადა ეს თქმულება პოემად შეეთხზა და ელინებისათვის მიეწოდებინა[91].

ეგვიპტიდან სოლონი გაემგზავრა კიპროსზე. აქ იგი გულთბილად მიიღო ერთმა იქაურმა მეფემ ფილოკვიპრემ. ფილოკვიპრეს ეკავა თეზევსის ძის დემოფონტეს მიერ დაარსებული პატარა ქალაქი, რომელიც გაშენებული იყო ერთ გამაგრებულ, მაგრამ სხვა მხრივ უვარგისსა და უნაყოფო ადგილზე. სოლონმა მეფე ფილოკვიპრეს ურჩია ქალაქი ცოტა ქვემოთ მდებარე ლამაზ ველზე გადაეტანა და საამური და დიდი გაეხადა. იგი თვითონ ესწრებოდა ქალაქის გადაადგილებას, თვალყურს ადევნებდა მშენებლობას, რა არის ქალაქი საცხოვრებლად მოსახერხებელი და გამაგრებული ყოფილიყო. ამის შედეგად ფილოკვიპრეს უამრავი ახალმოშენე ხალხი მიაწყდა და სხვა მეფეებმა შურის თვალით დაუწყეს ცქერა. ამიტომ ფილოკვიპრემ სოლონს სამაგიერო პატივი სცა და ქალაქს, რომელსაც უწინ ეპეა ერქვა, სოლი უწოდა. სოლონი თვითონ იხსენიებს ამ ქალაქის დაარსების ამბავს და თავის ელეგიებში ასე მიმართავს ფილოკვიპრეს:

სოლიელთ მეფე ყოფილიყავ მრავალი წელი,
ანტარე და შენთა შვილთაც ვუსურვებ ბედსა;
ახლა ხომალდით განვშორდები ბედნიერ კუნძულს,

ითა შემკული მე კიპრისი გამიგნებს გზასა;
ამ ქალაქისთვის დე მიიღოს მან მოწყალება,
რათა უვნებლად დავუბრუნდე ჩემსა მამულსა.

27. ზოგი ვინმე, წელთაღრიცხვაზე დაყრდნობით, სოლონის შეხვედრას კრეზესთან მოჭორილ ამბად თვლის. მაგრამ სოლონისა და კრეზეს შეხვედრის ამბავი იმდენად ცნობილია, იმდენი მოწმე ჰყავს და, რაც მთავარია, ისე ღირსეულად ეხამება სოლონის დიდბუნებოვნებასა და სიბრძნეს, რომ, ჩემი აზრით, ამ ამბის უკუგდება არ შეიძლება ეგრეთ წოდებული წელთაღრიცხვის წესდებების გამო, იმ წესდებებისა, რომელთაც ათასობით ადამიანი ასწორებს და დღემდე მაინც ვერ შეძლეს მათში წინააღმდეგობათა მოსპობა და სიზუსტის დადგენა.

ერთი სიტყვით, გადმოგვცემენ, რომ სოლონი კრეზეს მიწვევით სარდეში ჩავიდა. აქ დაემართა დაახლოებით ის, რაიც ემართება ზღვის სანაპიროდან მეტისმეტად მოშორებით მცხოვრებ კაცს, რომელიც თავის სიცოცხლეში პირველად გაემართა ზღვის სანახავად; ამ კაცს ყოველი მდინარე, რომელიც კი გზად შემოხვდა, ზღვა ეგონა. ასევე სოლონმა, როცა იგი სასახლეში შევიდა და მდიდრულად მოკაზმული, პირადი მცველებით გარშემორტყმული, ამაყად მიმომავალი კარისკაცები იხილა, ყოველი მათგანი კრეზედ მიიჩნია. ბოლოს იგი მეფეს წარუდგინეს. კრეზეს ყველაფერი ტანზე ემოსა, რაც კი რამ გააჩნდა. ძვირფასი თვლებით, ოქროს სამკაულებით და ჭრელი სამოსით აღკაზმულ მეფეს სურდა თავისი ბრწყინვალებითა და განსაცვიფრებელი მორთულობით სტუმარში შური აღეძრა. მაგრამ სოლონს, როცა მეფის პირისპირ წარდგა, ამ სანახაობით არაფერი განუცდია და არაფერი უთქვამს ისეთი, რასაც კრეზე მოელოდა. გონიერი ხალხისათვის აშკარა იყო, რომ სოლონი ზიზღით შესცქეროდა მეფის რეგვენობასა და წვრილმანობას. მაშინ კრეზემ ბრძანება გასცა ყველა საგანძური გაეღოთ, წაეყვანათ სტუმარი და ეჩვენებინათ მისთვის მთელი ძვირფასეულობა და სიმდიდრე. სოლონისათვის ეს საჭირო აღარ იყო. მეფის გარეგნობა მის ხასიათსა და ავლა-დიდებაზე თავისთავად მეტყველებდა.

როცა სოლონს ყველაფერი დაათვალიერებინეს, იგი კვლავ მეფეს წარუდგინეს. კრეზემ ჰკითხა:

— ჩემზე უფრო ბედნიერ ადამიანს თუ იცნობ ვისმე?

— დიალ. ვიცნობდი ერთ კაცს, — მიუგო სოლონმა, — იგი ჩემი თანამოქალაქე იყო და სახელად ტელე ერქვა. ეს ტელე, — განუმარტა სოლონმა კრეზეს, — პატიოსანზე პატიოსანი კაცი იყო; ცხოვრებაში მას არაფერი არ გასჭირვებია; იგი სამშობლოსათვის ბრძოლაში მამაცურად დაეცა და სასახელო შვილები დატოვა.

კრეზეს ფრიად უცნაურ და უზრდელ ადამიანად მოეჩვენა სოლონი, რომელიც აურაცხელ ოქრო-ვერცხლს ბედნიერების საზომად არ თვლიდა და უბრალო, რიგითი ადამიანის სიცოცხლესა და სიკვდილს გაცილებით მეტად აფასებდა, ვიდრე ეგზომ დიდ ძლიერებასა და ძალაუფლებას. მიუხედავად ამისა, კრეზემ კვლავ ჰკითხა:

— მაგ ტელეს შემდეგ თუ გეგულება ვინმე ადამიანთა შორის ჩემზე უფრო ბედნიერი?

— როგორ არა, — უპასუხა სოლონმა, — მე გამიგია ძმები კლეობისი და ბიტონი, სახელგანთქმულნი იმით, რომ განსაკუთრებით უყვარდათ ერთმანეთი და დედა[92]. ერთხელ, როდესაც სალოცავში წასასვლელად მომზადებულ მათ დედას ხარები დროზე არ მიუვიდნენ ისინი თვითონვე შეებნენ ეტლში და გახარებული დედა, რომელსაც მოქალაქენი შენატროდნენ, ღმერთქალ ჰერას ტაძრისაკენ გააქანეს მსხვერპლშეწირვისა და ლხინის შემდეგ ძმებმა დაიძინეს, მაგრამ დილით უკვე აღარ ამდგარან; ისინი გარდაიცვალნენ. როგორც ჩანს, ეგზომ დიდ სახელთან ერთად იოლი და უდარდელი სიკვდილიც ერგოთ წილად.

— როგორ? — ახლა უკვე რისხვით შეჰყვირა კრეზემ. — შენ მე სრულებით აღარ მთვლი ბედნიერ ადამიანთა რიცხვში?!

სოლონმა, რომელსაც არ უნდოდა პირფერობით მოეგო მეფის გული და არც მისი მეტად განრისხება სურდა, ასე უთხრა:

— ლიდიელთა მეფეო, სხვა წყალობასთან ერთად ღმერთმა ბერძენთ ზომიერების გრძნობაც მოგვანიჭა; ჩვენი სიბრძნე უბრალო და, ასე ვთქვათ, ხალხურია; იგი არაა მეფისათვის შესაფერი და ბრწყინვალე, სამაგიეროდ, ყველაფერს ზომიერების თვალით ჭვრეტს. იგი ხედავს, რომ ადამიანის ცხოვრება მრავალგვარია და განუწყვეტელ ცვლილებათა კანონს ემორჩილება. ამიტომ ნებას არ გვაძლევს აწმყოის სიკეთით მეტისმეტად ვიამაყოთ და გავიკვირვოთ ადამიანის ბედნიერება, რომელიც დროის მიერ განწირულია და როცა იქნება შეიცვლება. ყოველ ჩვენგანს მეტად გაურკვეველი, ბურუსით მოცუ-

ლი მომავალი ელის. ჩვენ მხოლოდ იმას ვთვლით ბედნიერად, ვისაც ღმერთმა ბოლომდე მიანიჭა ბედნიერება. ცოცხალი და ამიტომაც ჯერ კიდევ საფრთხეში მყოფი ადამიანის ნეტარად ალიარება ისევე ნაადრევია, როგორც შუა ბრძოლაში მყოფ მებრძოლისათვის გამარჯვებულის სახელისა და გვირგვინის მიკუთვნება.

თქვა თუ არა ეს, მაშინვე გასცილდა ლიდიელთა მეფეს. ამ სიტყვებით მან საკმაო წყენა მიაყენა კრეზეს, მაგრამ შეგნებით კი ვერაფერი შეაგნებინა.

28. იგავთმწერალი ეზოპე იმხანად სარდეში იყო. იგი კრეზემ მიიწვია იქ და დიდ პატივშიც ჰყავდა. ჰოდა, ეზოპე მეტისმეტად შეწუხდა, სოლონის მიმართ რომ სითბო სულ არ გამოიჩინეს. მან სოლონს ასე უთხრა:

— მეფეებს, სოლონო, ან სულ არ უნდა მიეკაროს კაცი, ან არადა, მხოლოდ საამური უთხრას.

— სრულიადაც არა, — მიუგო სოლონმა, — მეფეებთან თუ მივა კაცი, ზევსს ვფიცავ, მხოლოდ სიმართლე უნდა ელაპარაკოს.

ერთი სიტყვით, კრეზემ მაშინ დიდი ზიზღის თვალით შეხედა სოლონს.

მცირე ხნის შემდეგ კრეზეს კიროსთან[99] მოუხდა ბრძოლა, მაგრამ დამარცხდა, ქალაქიც დაკარგა და ტყვედაც ჩავარდა. დატყვევებულ მეფეს კოცონზე დაწვა მიუსაჯეს.

კოცონი უკვე გაჩაღებული იყო. შებორკილი კრეზე ზედ აიყვანეს. ამ ამბავს, რომელსაც სპარსთა მთელი მხედრობა შესცქეროდა, კიროსიც ესწრებოდა. კრეზემ ძალ-ღონე მოიკრიბა და რაც შეეძლო მთელი ხმით სამჯერ დაიძახა: „ოჰ, სოლონო!". გაკვირვებულმა კიროსმა კრეზეს კაცი მიუგზავნა და აკითხვინა: ვინ არის ეგ სოლონი, ადამიანთაგანია ვინმე თუ ღმერთთაგანი, ასეთი გაკვირვების ჟამს რომ მხოლოდ მაგას მოუხმობო?

კრეზეს არაფერი დაუმალავს და კიროსს მკითხველის პირით შეუთვალა: „სოლონი ბერძენთა ერთ-ერთი ბრძენი გახლავთ, რომელიც იმიტომ კი არ მოვიწვიე ჩემს კარზე, მისთვის მესმინა და ის მესწავლა, რაც მჭირდებოდა, არამედ იმიტომ, რომ ვეხილე და ჩემი ბედნიერების მოწმე თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო, იმ ბედნიერებისა, რომლის დაკარგვა უფრო დიდად განვიცადე, ვიდრე ის სიხარული, რაც ამ ბედნიერების მოპოვებამ მომანიჭა. ამ ბედნიერების სი-

ტკბო ფუჭი და მოჩვენებითი იყო. ბედის ჩარხის დატრიალებამ კი საშინელი ტანჯვა და გარდუვალი დაღუპვა მარგუნა. ეს ამბავი კი, რაც ახლა ჩემს თავზე ხდება, მაშინდელ მდგომარეობაში მიწინასწარმეტყველა სოლონმა და მირჩია, ცხოვრების დასასრულს მეტად დავკვირვებოდი და წარმავალი ბედნიერებით გამხნევებულს მეტისმეტად არ მეამაყნა".

ეს სიტყვები მაშინვე მოახსენეს კიროსს. იგი კრეზეზე გონიერი კაცი გაბლდათ. რა დაინახა, სოლონის აზრი შექმნილმა მდგომარეობამ დაადასტურა, არათუ გაათავისუფლა კრეზე, მთელი სიცოცხლე პატივისცემით ეპყრობოდა მას.

ასე მოიხვეჭა სოლონმა დიდი სახელი იმით, რომ ერთხელ წარმოთქმული დარიგებით ერთი მეფე სიკვდილისაგან იხსნა, ხოლო მეორეს ჭკუა ასწავლა.

29. სოლონის არყოფნისას ათენის მოსახლეობაში კვლავ შფოთი და მღელვარება ატყდა. პედიაკების სათავეში ლიკურგე იდგა, პარალიებს ალკმეონის ძე მეგაკლე მეთაურობდა, ხოლო პისისტრატე წინამძღოლობდა დიაკრიებს, რომელშიაც შედიოდნენ მდიდრების ყველაზე უფრო დაუძინებელი მტრები თეტები. მართალია, ქალაქი ჯერ კიდევ სარგებლობდა სოლონის კანონებით, მაგრამ ყველა გადატრიალებას მოელოდა და ახალი წყობილების დამყარებისაკენ მიისწრაფოდა. ყოველ პარტიას იმედი ჰქონდა ამ გადატრიალების წყალობით თანაბარ ძალაუფლებას კი არ მოიპოვებდა, არამედ უფრო მეტს და მოწინააღმდეგეთ სავსებით დაამარცხებდა.

აი ასეთი იყო საქმეთა ვითარება, როდესაც სოლონი ათენში დაბრუნდა. მას ყველა მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდა; მაგრამ მოხუცებულ სოლონს უკვე აღარ შესწევდა ძალა და მისწრაფება, კვლავ საჯაროდ გამოსულიყო სიტყვით და კვლავ ემოქმედა. ამიტომ ისღა მოახერხა, რომ სხვადასხვა პარტიის წინამძღოლს ცალ-ცალკე შეხვდა და არსებული დავის მოსპობასა და მშვიდობის დამყარებას შეეცადა. ყველაზე უფრო გულდასმით მას, როგორც ჩანს, პისისტრატე უსმენდა.

პისისტრატეს საუბარში რაღაც შთამაგონებელი და მიმზიდველი გააჩნდა. ამასთან ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა ღარიბებს და მტრებთანაც ზომიერება გამოეჩინა. იგი, სხვათა შორის, ისეთ თვისებებს ამჟღავნებდა, რომლებიც სულაც არ ახასიათებდა, ამის წყა-

ლობით კი უფრო დიდ ნდობას იმსახურებდა, ვიდრე ისინი, ვისაც ეს თვისებები თანდაყოლილი ჰქონდათ. ასე, მაგალითად, პისისტრატე მიაჩნდათ ფხიზელ და თავდაჭერილ კაცად, რომელსაც მეტისმეტად უყვარდა თანასწორობა და თითქოს განსაკუთრებით მტრობდა იმ კაცს, ვინც არსებული მდგომარეობის შეცვლას ცდილობდა და ახალი წყობილების დამყარებისაკენ მიისწრაფოდა. ამით მან ყველა მოატყუა; მაგრამ სოლონი მალე ჩასწვდა პისისტრატეს ხასიათს და პირველმა გამოიცნო მისი განზრახვა. მიუხედავად ამისა, პისისტრატე არ შეზიზღებია. სოლონი ცდილობდა როგორმე მოეთვინიერებინა და გონზე მოეყვანა იგი. სოლონი ხშირად ამბობდა: ვინმემ რომ შეძლოს პისისტრატეს შეგნებიდან პირველობის ლტოლვა აღმოფხვრას და ამ კაცს ტირანიისაკენ მისწრაფების სურვილი აღუკვეთოს, პისისტრატესავით ქველმოქმედი და საუკეთესო მოქალაქე არავინ იქნებოდაო.

სწორედ ამ ხანებში თესპიდმა[94] ტრაგედიაში ცვლილებების შეტანა დაიწყო და საქმის სიახლით მრავალი ათენელი მიიზიდა, თუმცაღა ტრაგიკოსთა შეჯიბრებები ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული. რაკი სოლონი ბუნებით ცოდნისმოყვარე კაცი იყო და სიბერის ჟამს საკმაოდ მისცა თავი განცხრომას, მხიარულებას, სმასა და მუსიკასაც კი, ამიტომ ხალისით გაემართა თესპიდის სანახავად, რომელიც, ძველი ჩვეულების თანახმად, თვითონვე მსახიობობდა.

სანახაობის შემდეგ სოლონი გაესაუბრა მას და ჰკითხა: „ნუთუ არ გრცხვენია, ამდენი მაყურებლის წინაშე ამდენს რომ სტყუიო?“ თესპიდმა უპასუხა: „ტყუილ თქმასა და ტყუილ მოქმედებაში არაფერი არაა სათაკილო, თუ ეს გართობის გულისთვის ხდებაო“. მაშინ სოლონმა ჯოხი დაჰკრა მიწას და თქვა: „აი ამ გართობას, რომელსაც ჩვენ ვაქებთ და პატივს ვცემთ, სულ მალე სამოქალაქო ხელშეკრულებებშიც აღმოვაჩენთო!“

30. მცირე ხნის შემდეგ პისისტრატემ საკუთარი ხელით თავი დაიჭრა და ეტლით ათენის მოედანზე გამოცხადდა. აქ ხალხის წაქეზება დაიწყო: ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის მტრების მსხვერპლი შევიქენიო. მართლაც, მრავლად აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებიც ამაზე აღშფოთდნენ და საშინელი ყვირილი მორთეს. მაშინ სოლონი მიუახლოვდა პისისტრატეს, დაუდგა წინ და უთხრა: „ჰიპოკრატეს ძეო, ძალიან ცუდად ჰბაძავ ჰომეროსის ოდისევსს[95]; შენ

ყველაფერს იმიტომ ჩადიხარ, რომ თანამოქალაქენი შეცდომაში შეიყვანო; ოდისევსმა კი თავი იმიტომ დაისახიჩრა, მტრები მოეტყუებინაო".

ამიერიდან ბრბო მზად იყო დახმარებოდა პისისტრატეს. როცა ხალხი ყრილობაზე მოგროვდა, არისტონმა წინადადება შეიტანა პისისტრატესათვის პირად მცველებად მიეცათ ჯეტებით შეიარაღებული ორმოცდაათი კაცი[96]. სოლონი ფეხზე წამოდგა, გაილაშქრა ამის წინააღმდეგ და ბევრი რამ თქვა ისეთი, რაც მერმე ლექსებში აღწერა:

ტყბილად მოუბარ ვაუკაცის ბასრ ენას ესმენთ და
ცალ-ცალკე დაძრწით, ვით ცბიერი მელა ყოველგან;
თავს თუ მოიყრით, თქვენ გონება გერთმევათ მთლადა.

როცა სოლონმა დაინახა, ლარიბები მხარს უჭერენ პისისტრატეს და შფოთავენ, ხოლო მდიდრები ლაჩრებივით გარბიან, მოედანს გასცილდა სიტყვებით: „ამათ ჭკუით ვჯობივარ, იმათ კი სიმამაცით. ჭკუით იმათ, ვისაც არ ესმის, რა ხდება, მამაცობით კი იმათ, ვისაც ესმის, მაგრამ ეშინია და ტირანიის წინააღმდეგ ვერ ილაშქრებსო".

არისტონის წინადადება ხალხმა დაამტკიცა და პირად მცველთა რაოდენობის თაობაზე პისისტრატეს დავა აღარ გაუმართია. მოქალაქენი გულგრილად შესცქეროდნენ პისისტრატეს პირად მცველებს მანამდის, ვინემ პისისტრატემ აკროპოლისი არ ჩაიგდო ხელთ, ამას კი მოჰყვა მღელვარება და მეგაკლე სხვა ალკმეონიდებთან ერთად მაშინვე გაიქცა ათენიდან.

რაც შეეხება სოლონს, თუმცაღა უკვე ღრმა მოხუცი იყო და პირადი მცველებიც არ ჰყავდა, მაინც გამოვიდა მოედანზე და ათენელებს სიტყვით მიმართა. იგი კიცხავდა მათ წინდაუხედაობასა და სილაჩრეს და მოუწოდებდა თავისუფლება შეენარჩუნებინათ. მაშინ ერთი ლირსსახსოვარი სიტყვა თქვა: „ცოტა ხნის წინ ახლად ფეხადგმული ტირანიის ჩახშობა ათენელთათვის შეტად ადვილი საქმე იყო, ახლა კი, როცა ტირანია განმტკიცდა და ფესვები გაიდგა, მისი მოსპობა ფრიად დიდი და მნიშვნელოვანი საქმე გახდაო!".

შიშით მას არავინ ათხოვა ყური. მაშინ სოლონი სახლში დაბრუნდა, გამოიტანა თავისი იარაღი, დააწყო კარის წინ ქუჩაში და თქვა: „რამდენადაც შემეძლო ვიცავდი სამშობლოსა და კანონებსო!" [97].

ამის შემდეგ სოლონი სიმშვიდეს მიეცა და არ უჯერებდა მეგობ-

რებს, რომლებიც ურჩევდნენ გაქცეულიყო. იგი ლექსებს წერდა და ათენელებს ეუბნებოდა:

> ოდეს სიმხდალე წალად მოგგვრით უსაზღვრო ტანჯვას,
> ღმერთებს ნუ დასდებთ ამ საქმეში ბრალს ჩურავითარს;
> რაკი ამძლავრეთ ტირანები თქვენივე ნებით,
> კიდევაც უნდა დაემონოთ სამარადისოდ.

31. ეი ასეთი ლექსების წერისთვის მრავალნი აფრთხილებდნენ სოლონს: ტირანი მოგკლავსო, და ეკითხებოდნენ, რის იმედი ჰქონდა, ასე თავისუფლად რომ იქცეოდა. „რისი და სიბერისაო", ამბობდა სოლონი.

შიში ზედმეტი გამოდგა. ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ პისისტრატე ისეთი მზრუნველობით, პატივისცემითა და სიყვარულით ექცეოდა სოლონს და ისე ხშირად იწვევდა თავისთან, რომ სოლონი ნელ-ნელა ,მისი მრჩეველი გახდა და პისისტრატეს მრავალ მოქმედებას ქებასაც ესხამდა.

სოლონის კანონთა უდიდესი ნაწილი პისისტრატემ ძალაში დატოვა. იგი თვითონაც იცავდა ამ კანონებს და მეგობრებსაც აიძულებდა ასევე მოქცეულიყვნენ. ასე მაგალითად, ერთხელ, როდესაც პისისტრატე უკვე ტირანი იყო, მკვლელობის საქმეზე არეოპაგში გამოიძახეს. პისისტრატე მორჩილად გამოცხადდა თავის დასაცავად, მაგრამ ის, ვინც მას ბრალს სდებდა, არ მოვიდა.

პისისტრატემ, სხვათა შორის, თვითონაც გამოსცა ზოგი კანონი. მათ შორის იყო ის კანონი, რომლის ძალითაც ომში დასახიჩრებული სახელმწიფო ხარჯზე უნდა შეენახათ. ჰერაკლიდე ამბობს, ეს კანონი ჯერ კიდევ სოლონმა გამოსცა თეოსიპეს დასახიჩრებასთან დაკავშირებით და პისისტრატემ სოლონს მიჰბაძაო.

თეოფრასტეს გადმოცემის თანახმად კანონი სიზარმაცის თაობაზე გამოსცა არა სოლონმა, არამედ პისისტრატემ. ამ კანონის წყალობით მიაღწია იმას, რომ მიწა გაცილებით უკეთესად მუშავდებოდა და ქალაქშიც მშვიდობიანობა დამყარდა.

სოლონი, სხვათა შორის, ამ დროს შეუდგა ატლანტისზე არსებული იმ გადმოცემისა თუ თქმულების პოემად შეთხზვას, რომელიც მან საისელ ბრძენთაგან მოისმინა და ათენელებს ეხებოდა. მაგრამ ამ საქმეზე ხელი აიღო არა იმიტომ, თავისუფალი დრო არ ჰქონდა, როგორც ამას პლატონი ამბობს, არამედ ღრმა მოხუცებულობის გამო

შეუშინდა ასეთ დიდ საქმეს. მას რომ თავისუფალი დრო ჭარბად ჰქონდა, ეს მისი ლექსებიდანაც ჩანს:

> ოუმცაღა მოხუცი ვარ, კვლავ ვსწავლობ მე კიდევ ბევრსო.

ანდა:

> ახლა კიპრისსა, დიონისეს და მუზებს ვეტრფი,
> მხიარულების და სიამის მომნიჭებელთა.

32. ატლანტისის თქმულების შინაარსი პლატონისათვის მშვენიერი, მაგრამ დაუმუშავებელი ნიადაგი იყო, რომელიც ნათესაობის უფლების ძალით მიიღო[98]. პლატონი დიდ პატივისცემად თვლიდა დაემუშავებინა და გაელამაზებინა იგი. სოლონის მიერ დაწყებულ საქმეს მან ისეთი დიდი ტალავარი დაუდგა, ისეთი გალავანი შემოავლო და ისეთი ვრცელი ეზო გაუშალა წინ, როგორიც არც ერთ გადმოცემას, არც ერთ თქმულებას და არც ერთ პოემას არ ღირსებია. ამ საქმეს პლატონმაც გვიან მოჰკიდა ხელი და მანამდის გამოესალმა წუთისოფელს, სანამ შრომას დაასრულებდა. ჩვენ, მართალია, დიდად ვტკბებით იმით, რაც მან დაგვიწერა, მაგრამ უფრო მეტად გულსა გვწყვეტს ის, რისი შექმნაც ვერ მოასწრო. როგორც ათენელებმა ვერ დაასრულეს ოლიმპიონის აგება, ისე პლატონის სიბრძნემ მრავალ ძვირფას ნაწარმოებთა შორის ვერ მოასწრო დაემუშავებინა ატლანტისის თქმულება.

ჰერაკლიდე პონტოელის გადმოცემით, სოლონმა პისისტრატეს ტირანიის დაწყების შემდეგ საკმაოდ დიდხანს იცოცხლა. ფანიას ერესელი კი ამბობს, ამის შემდეგ ორ წელზე ცოტა იცოცხლაო. პისისტრატემ ტირანობა კომიასის არქონტობის ხანაში დაიწყო, სოლონი კი, ფანიასის მტკიცებით, გარდაიცვალა კომიასის მომდევნო არქონტის ჰეგესტრატეს მმართველობის დროს[99].

თქმულება იმის თაობაზე, სოლონის გვამი დაწვეს და ფერფლი სალამინზე გაფანტესო, თავისი უაზრობით სრულიად დაუჯერებელია და მოჩმახულს ჰგავს. მიუხედავად ამისა, ეს ამბავი ასე აქვს აღწერილი ზოგიერთ საპატიო მწერალს და თვით ფილოსოფოს არისტოტელესაც.

# ლუკულუსი

1. ლუკულუსის[1] პაპა კონსულად ნამყოფი კაცი გახლდათ, ხოლო დედის მხრივ მისი ბიძა იყო მეტელუსი, რომელსაც მეტსახელად ნუმიდიელს ეძახდნენ. რაც შეეხება მის მშობლებს, მამამისი თავის დროზე ამხილეს, როგორც სახელმწიფო ქონების გამფლანგველი, დედას — ცეცილიას კი აღვირახსნილი ცხოვრების გამო სახელი ჰქონდა გატეხილი.

ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ლუკულუსმა, სანამ რაიმე თანამდებობის აღსრულებას შეუდგებოდა და სახელმწიფო საქმეებში ჩაებმებოდა, უპირველეს მიზნად დაისახა საჯარო სამართალში მიეცა მამამისის ბრალმდებელი მისანი სერვილიუსი, როგორც ბოროტმოქმედი. ეს ფრიად ბრწყინვალე საქმედ მიიჩნიეს რომაელებმა; სერვილიუსის გასამართლების ამბავი, როგორც დიდი მიღწევა, ყველას პირზე ეკერა. რომაელებს საერთოდ უღირს საქციელად როდი მიაჩნდათ თუნდაც საბაბის გარეშე ვისმე წინააღმდეგ ბრალდებით გამოსვლა. პირიქით, მათთვის დიდი სიამოვნება იყო ეცქირათ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ისე მიესეოდნენ დანაშაულს ჩამდენთ, ვით ჯიშიანი ლეკვები ნადირს.

სერვილიუსის გასამართლების დროს მხარეთა შორის საშინელი დავა ატყდა; რამდენიმე კაცი დაჭრეს, ზოგი მოკლეს. ბოლოს და ბოლოს სერვილიუსი გაამართლეს.

ლუკულუსი შესანიშნავად იყო გაწაფული ორსავე ენაში და ჩინებულადაც ლაპარაკობდა[2]. ამიტომ სულამ საკუთარი ხელით დაწერილი თავის საქმეთა აღწერილობა მიუძღვნა, როგორც ისეთ კაცს, რომელიც გაცილებით უკეთ შეძლებდა მის მოწესრიგებას და დალაგებას[3].

მისი მჭევრმეტყველება უბრალო და გაცვეთილი როდი იყო. ლუ-

კულულუსის სიტყვა სრულიადაც არ ჰგავდა ზოგიერთ ძველრომეტყველთა იმ სიტყვას, რომელიც, მართალია, ფორუმს აღელვებს,

ვით ზღვის ზედაპირს ვეება და მოქნილი თევზი,

მაგრამ ფორუმს გარეშე

ხდება უნიჭო, უსაფუძვლო, სულ გამომშრალი

სილამაზის სიყვარულით ლუკულუსმა სიყმაწვილეში ეგრეთ წოდებული თავისუფალი და ყოველმხრივი განათლება მიიღო. უფრო გვიან, უკვე სიბერის ჟამს, მრავალი ბრძოლით დაქანცულმა ჭკუა-გონებას საზრდო მისცა იმით, რომ ფილოსოფიას მოჰკიდა ხელი. ამან ახალი ძალა შეესმატა მოკლენათა აღქმის უნარში და ამავე დროს პომპეუსთან უთანხმოების შედეგად წარმოშობილ მის მედიდურებას ფრთა შეაკვეცა.

მის განსწავლულობაზე, გარდა ზემო თქმულისა, გადმოგვცემენ შემდეგ ამბავსაც: ერთხელ თურმე ახალგაზრდობაში ჯერ ხუმრობით მერმე კი მთელი სიდინჯით შეუთანხმდა ვექილ ჰორტენზიუსსა და ისტორიკოს სიზენას[4], რომ მათი თხოვნით შეადგენდა მარსების ომის აღწერილობას ლექსად ბერძნულ ან ლათინურ ენაზე, იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეხვდებოდა კენჭისყრით. როგორც ჩანს, ლუკულუსს წილად ხვდა შეედგინა ეს აღწერილობა ბერძნულ ენაზე. მართლაც, ჩვენ დღემდე შემოგვენახა მარსების ომის ისტორია ბერძნულად[5].

იმ მრავალ ლირსსახსოვარ შემთხვევათაგან, რომლებიც ადასტურებენ, თუ როგორ უყვარდა ლუკულუსს თავისი ძმა მარკუსი, რომელები, უწინარეს ყოვლისა, იხსენიებენ ხოლმე შემდეგს: ლუკულუსი უფროსი იყო, მაგრამ არ მოინდომა ძმის გარეშე მიეღო რაიმე თანამდებობა და დაიცადა, ვინემ ძმაც კანონით გათვალისწინებულ ასაკს არ მიაღწევდა. ლუკულუსის კეთილშობილური საქციელით ისე კმაყოფილი დარჩა ხალხი, რომ იგი ძმასთან ერთად დაუსწრებლად აირჩიეს ედილის თანამდებობაზე[6].

2. მარსების ომში ახალგაზრდა ლუკულუსმა სიმამაცისა და ღრმა მოსაზრებულობის მრავალი მაგალითი გამოიჩინა. მაგრამ ყველაზე მეტად სულამ სიმტკიცისა და უბოროტო ხასიათისათვის შეიყვარა. სულა მას თავიდანვე დიდმნიშვნელოვან საქმეთა შემსრულებლად იყენებდა. მათ შორის აღსანიშნავია ფულის მოჭრის საქმე ფულის

უდიდესი ნაწილი მითრიდატესთან წარმოებული ომის დროს პელოპონესში სწორედ ლუკულუსის თაოსნობით მიუტანეს. ამ ფულს მისდა საპატიოდ „ლუკულუსის ფული“ ეწოდა. მას საკმაოდ დიდხანს ბმარობდნენ და სწრაფადაც ბრუნავდა, ვინაიდან სამხედრო ხარჯები ამ ფულით იფარებოდა.

იმ დროს, როდესაც ათენის აღების წყალობით სულა ბმელეთზე მბრძანებლობდა, ზღვაზე ბატონობა მთლიანად მტრის ხელთ იყო. მტერმა[7] სულას ზღვიდან სურსათის მისაზიდი გზა გადაუკრა. ამიტომ სულამ ლუკულუსი ეგვიპტესა და ლიბიაში გაგზავნა, რათა იქიდან ხომალდები ჩამოეყვანა.

შუა ზამთარი იყო. სამი ბერძნული ხომალდით და ამდენივე როდოსული დიკროტოსით[8] ლუკულუსი ღია ზღვაში გავიდა. იგი დიდი წვალებით დაუსხლტა მტრის ფრიცცე ხომალდებს, რომლებიც ყოველი მხრივ სერაოდნენ ზღვას და, რაღა თქმა უნდა, ლუკულუსს საფრთხეს უქმნიდნენ. მიუხედავად ამისა, იგი კრეტას მიადგა და ეს კუნძული თავის მხარეზე გადაიბირა.

კვირენეში[9] რომ მივიდა, ლუკულუსმა იქაური მცხოვრებლები ტირანთა ძალმომრეობისა და შეუწყვეტელი ომების გამო ფრიად აღელვებული იხილა. კვირენელები მან დააშოშმინა და სახელმწიფო წყობილება დაუდგინა. აქ ლუკულუსმა მოქალაქეებს გაახსენა პლატონის ნაწინასწარმეტყველები კვირენელთა მიმართ. კვირენელებმა თურმე პლატონს სთხოვეს მათთვის კანონები შეედგინა და ხალხი სანიმუშო სახელმწიფოებრივი წყობილების გზაზე დაეყენებინა. პლატონმა უპასუხა: კვირენელებისათვის, რომლებიც ეგზომ ბედნიერ ყოფაში არიან, კანონების შედგენა ადვილი საქმე არ არისო. მართლაც, არაფერია ისე ძნელი, როგორც იმ ადამიანის დამორჩილება, რომელიც თავს ბედნიერად თვლის, და არაფერია იმაზე ადვილი, როგორც ბედისგან დაჩაგრულ კაცზე ბატონობა.

აი, ამიტომ იყო, რომ კვირენელები ხალისით დაემორჩილნენ მაშინ ლუკულუსის მიერ შედგენილ კანონებს.

კვირენედან ლუკულუსი ეგვიპტეში გაეშართა. გზაზე მას თავს დაესხნენ მეკობრეები და ხომალდთა დიდი ნაწილი დაკარგა. თვითონ გადარჩა და დიდი ზეიმით შევიდა ალექსანდრიაში. აქ მას შემოეგება ეგვიპტის საგანგებოდ მოართული მთელი ფლოტი, როგორც ეს ჩვეულებრივ ზღვაში გასული მეფის დაბრუნების დროს ხდებოდა

ხოლმე ჭაბუკმა პტოლემეოსმა არაჩვეულებრივი თავაზიანობა გამოიჩინა ლუკულუსის მიმართ. მიუჩინა მოსასვენებელი ბინა სასახლეში და საზრდოც დაუნიშნა. ერთი სიტყვით, ასეთი რამ არც ერთ უცხოელ სარდალს არ ჰღირსებია მანამდე იქ. ლუკულუსისა და მისი ამალის შესანახავად გაღებული ხარჯი ოთხმაგად აღემატებოდა იმას, რასაც მეფე ჩვეულებრივ სხვებს უნიშნავდა. მაგრამ ლუკულუსი არაფერს იღებდა იმაზე მეტს, რაც მისთვის აუცილებელი იყო. ის კი არა, მეფის მიერ გამოგზავნილი საჩუქარიც არ აიღო, თუმცაღა ეს საჩუქარი ოთხმოცი ტალანტის ფასისა გახლდათ.

ამბობენ, ლუკულუსმა არ მოინდომა არც მემფისში წასვლა და არც ეგვიპტის დიდებული და სახელგანთქმული ძეგლების ხილვაო. მას უთქვამს: „ამ სანახაობათა დათვალიერება მოცლილი და განებივრებული კაცის საქმეა და არა იმის, ვინც ჩემსავით მტრის სიმაგრეთა მახლობლად ღია ცის ქვეშ დაბანაკებული დატოვა თავისი იმპერატორიო“.

3. პტოლემეოსმა მითრიდატესთან ომის შიშით რომაელთა მოკავშირეობაზე უარი თქვა, მაგრამ ლუკულუსს მისცა საბადრაგო ხომალდები, რომლებიც კიპროსამდე გააცილებდნენ. გამგზავრების დროს პტოლემეოსი დიდი თავაზით გამოეთხოვა ლუკულუსს და საჩუქრად ოქროს ბუდეში ჩასმული ძვირფასი ზურმუხტი უბოძა. ლუკულუსს ჯერ არ უნდოდა საჩუქრის აღება, მაგრამ როცა უჩვენეს, მასზე მეფის სახე იყო ამოკვეთილი, საბოლოო უარის თქმა ვეღარ გაბედა. შეეშინდა: მეფემ არ იფიქროს მტრული განწყობილებით ვტოვებდე აქაურობას და ზღვაზე მგზავრობის დროს ხიფათი არ შემამთხვიოსო.

გზადაგზა ლუკულუსმა მრავალი ხომალდი მოაგროვა ზღვისპირა ქალაქებში. გამონაკლისს წარმოადგენდნენ ის ქალაქები, რომლებიც მონაწილეობდნენ მეკობრეთა ავაზაკურ საქმიანობაში. ამგვარად მოპოვებული ხომალდებით იგი მიადგა კიპროსს. აქ შეიტყო, რომ მტრის ხომალდები ჩასაფრებული იყვნენ კონცხებთან და უთვალთვალებდნენ. ლუკულუსმა ყველა თავისი ხომალდი ხმელეთზე ამოათრევინა, მეზობლად მდებარე ქალაქებს კი გამოსაზამთრებლად ვარგისი ბინების მომზადებისა და სურსათის მომარაგების თაობაზე მისწერა, თითქოს განზრახული ჰქონდა აქ დალოდებოდა გაზაფხულს. მაგრამ დადგა თუ არა ზღვაში გასვლისთვის ხელსაყრელი ამინდი, მყისვე ჩაუშვა ხომალდები წყალში და კიპროსიდან გავიდა. დღისით

დაშვებული, ხოლო ღამით გაშლილი იალქნებით მიცურავდა იგი ზღვაზე და ბოლოს მშვიდობიანად მიაღწია როდოსს.

როდოსელებმა ლუკულუსს მრავალი ხომალდი მიუძღვნეს. რაც შეეხება კოსელებსა და კნიდოსელებს, ისინი დაარწმუნა განდვომოდნენ მეფეს და მასთან ერთად გაელაშქრათ სამოსელთა წინააღმდეგ[10]. პირადად ლუკულუსმა ქიოსიდან განდევნა მეფის ჯარები. გაათავისუფლა კოლოფონელები და მათი ტირანი ეპიგონე შეიპყრო.

სწორედ ამ დროს მითრიდატემ მიატოვა პერგამოსი და პიტანეში ჩაიკეტა[11]. აქ მას ხმელეთიდან ალყა შემოარტყა ფიმბრიამ[12]. მითრიდატემ თვალები საშველად მხოლოდ ზღვას მიაპყრო. რაკი შამაცსა და გამარჯვებულ ფიმბრიასთან შებრძოლებას ვეღარ ბედავდა, ყოველმხრივ გაფანტულ ფლოტს თავი მოუყარა და თავისკენ გაიწვია. ფიმბრია ამას ხედავდა, მაგრამ საზღვაო ძალები არ გააჩნდა. ამიტომ ლუკულუსს წერილი გაუგზავნა და სთხოვა მოსულიყო თავისი ფლოტით, რათა შეერთებული ძალებით მოესპოთ მითრიდატე, ყველაზე უფრო მძვინვარე და საშიში მტერი მეფეთა შორის, და მრავალი ბრძოლისა და ტანჯვის ფასად დევნილი ეს სანუკვარი ნადავლი ხელიდან არ დასხლტომოდათ რომაელებს: მით უმეტეს, იგი ასე ახლოა თავდასხმისთვის და უკვე გაბმულია მახეში. თუ იგი დაიჭირეს, არავის ექნება ისეთი დიდი სახელი, როგორც მას, ვინც მითრიდატეს გაქცევაში ხელი შეუშალა და ვინც იგი შეიპყრო იმ დროს, როცა თავის დახსნას აპირებდა. ფიმბრია ლუკულუსს სწერდა: ჩვენ ორივენი გავიყოფთ გამარჯვებით მოპოვებულ სახელს, თუ მითრიდატეს მეხმელეთიდან უკუვაგდებ, შენ კი ზღვიდან გადაუჭრი უკან დასახევ გზას; რომაელები მაშინ აღარაფრად ჩათვლიან ორქომენსა და ქერონეასთან სულას მიერ მოპოვებულ სახელგანთქმულ გამარჯვებებსო.

ფიმბრიას სიტყვებში გადაჭარბებული არა იყო რა. ყველასათვის აშკარა ვახლდათ, საკმაოდ ახლო მანძილზე მყოფ ლუკულუსს რომ ფიმბრიასათვის დაეჯერებინა, ხომალდები აქ მოეყვანა და თავისი ფლოტით ნავსადგური ჩაეკეტა, ომი დამთავრდებოდა და მთელი ქვეყანა მრავალ უბედურებას აიცილებდა თავიდან. მაგრამ ლუკულუსი ალბათ უფრო მეტი მოწიწებით ეკიდებოდა სულას დავალებას, ვიდრე საკუთარსა და საზოგადო სურვილებს, ან შეიძლება ეზიზღებოდა

უწმინდესი ფიმბრია. რომელმაც სულ მცირე ხნის წინ თანამდებობის გულისათვის მოკლა თავისი მეგობარი და სარდალი[13]; ან კიდევ შესაძლებელია ლუკულლუსმა ვანგვების ძალის თანახმად დაზოგა მითრიდატე, გით მისი მომავალი მოწინააღმდეგე და ფიმბრიას თხოვნა არ შეასმინა. ამით მან საშუალება მისცა მითრიდატეს პიტანედან ზღვაში გასულიყო და დამცინავი ღიმილით აეღლო გვერდი ფიმბრიას მჩედრობისათვის.

უწინარეს ყოვლისა, ლუკულლუსმა თვითონ გაანადგურა მეფის ის ხომალდები, რომლებიც ტროადის კონცხ ლეკტონთან შემოხვდა. მცირე ხნის შემდეგ შენიშნა, ტენედოსთან[14] ღუზაზე იდგა ნეოპტოლემე[15] გაცილებით უფრო დიდი ფლოტით. ლუკულლუსი ყველაზე ადრე დაიძრა მის წინააღმდეგ ხუთ რიგზე გამწკრივებულ ხოფებიანი როდოსული ხომალდით, რომელსაც რომაელთა ერთგული და საზღვაო ბრძოლებში ფრიად გამოცდილი დამაგორა მეჩაჩეობდა. ნეოპტოლემე ელვისებური სისწრაფით გავშურა ლუკულლუსთან შესახვედრად და მესაჭეს უბრძანა ცხვირით დატაკებოდა მტრის ხომალდს. დამაგორას შეეშინდა სამეფო ხომალდის სიმძიმისა და ცხვირის ძალის და მასთან ბრძოლაში პირისპირ შებმა ვერ გაბედა; მან თავისიანებს სწრაფად მიაბრუნებინა ხომალდი გვერდზე და, კიჩო, რაც კი შესაძლებელი იყო, დაბლა დაახრევინა. ამგვარად გადახრილ ხომალდს მტრის ხომალდის ცხვირის დარტყმით ოდნავი ზიანიც არ მოსვლია, ვინაიდან ეს დარტყმა მხოლოდ ხომალდის წყალში ჩაშვებულ ნაწილზე მოხდა. ამასობაში ლუკულლუსს მოკავშირეთა ხომალდებმაც მოუსწრეს. მან ბრძანა მისი ხომალდი ისევ მოებრუნებინათ ცხვირით წინ და მრავალი გმირობის ჩადენის შემდეგ მტერი უკუაქცია და ნეოპტოლემეს დაედევნა.

4. ამის შემდეგ ლუკულლუსი შეუერთდა სულას, რომელიც ხეერონესოსთან[16] იდგა და მცირე აზიაში გადასვლას ლამობდა. ლუკულლუსმა მისი გადასვლა საფრთხისაგან უვნებელჰყო და მხედრობაც გადაუყვანინა.

ჩქარა ზავიც შეიკრა[17]. მითრიდატემ თავისი ფლოტით ევქსინის პონტის[18] სანაპიროებისაკენ დაიხია. აზიას სულამ ოცი ათასი ტალანტის ხარკი დაადო და ლუკულლუსს დაავალა, ეს თანხა აეკრიფა და იმით რომაული ფული მოეჭრა. სულას სასტიკი მოქმედების დროს ლუკულლუსი ერთგვარი ნუგეში იყო აზიის ქალაქებისათვის. ასეთი

მძიმე და უწყალო დავალების აღსრულებისას იგი ცღილობდა სამართლიანი ყოფილიყო და ლმობიერადაც იქცეოდა.

მას, მაგალითად, უნდოდა მიტილენელები, რომლებიც ამკარად აუჯანყდნენ სულას, გონს მოსულიყვნენ და იმ შეცოდებისათვის, რაც მარიუსის მიმხრობით ჩაიდინეს, მაინცდამაინც სასტიკად არ დასჯილიყვნენ[19]. მაგრამ როცა დაინახა, მიტილენელები ჯიუტობდნენ, თავისი ფლოტით მათ წინააღმდეგ დაიძრა, დაამარცხა ისინი სასღვაო ბრძოლაში, ჩაკეტა ქალაქის კედლებში და ალყა შემოარტყა. მერმე კი, დღის სინათლეზე, სრულიად ამკარად, ღუზა აუშვა და ელეასაკენ[20] გაემართა; მაგრამ სული მაინც შეუმჩნეველად დაბრუნდა უკან და ქალაქის მახლობლად ჩასაფრდა. მიტილენელები იმ განზრახვით, რომაელების მიერ ვითომც მიტოვებული ბანაკი რომ დაერბიათ, უწესრიგოდ, გაბედულად გამოცვივდნენ ქალაქიდან. ლუკულუსი მყისვე დაესხა მათ თავს; მრავალი მათგანი დაატყვევა, ხოლო ხუთასი კაცი იმ მიტილენელთა შორის, რომლებიც თავს მედგრად იცავდნენ, სიცოცხლეს გამოასალმა. სულ ამ ბრძოლაში ექვსი ათასი მონა ჩაიგდო ხელთ და სხვა უთვალავი ნადავლიც წამოიღო.

ლუკულუსს რაღაც ზეციური განგების ძალით მცირეოდენი წილიც კი არ ედო იმ მრავალგვარ უბედურებაში, რაც სულამ და მარიუსმა იტალიის ხალხებს დაატეხეს თავს, ვინაიდან იგი ხანგრძლივად იმყოფებოდა აზიაში და იქაური ამბებით იყო გართული. მიუხედავად ამისა სულა მას თავის სხვა მეგობრებზე ნაკლებ პატივს როდი სცემდა. ის კი აბა, როგორც ზემოთაც ვთქვით, მისადმი სიყვარულის აღსანიშნავად საკუთარ მოგონებათა კრებული გადასცა, ხოლო როცა კვდებოდა, პომპეუსს გვერდი აუარა და შვილის მეურვედ დანიშნა.

როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო პირველი პიზეზი ლუკულუსსა და პომპეუსს შორის არსებული მეტოქეობისა და შურისა. ისინი მაშინ ახალგაზრდები იყვნენ და სახელის მოხვეჭის ცეცხლით იწვოდნენ.

5. სულას სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ, დაახლოებით ასსამოცდამეთექვსმეტე ოლიმპიადაში[21], ლუკულუსმა მარკუს კოტასთან ერთად კონსულობა მიიღო. რომაელთა უმრავლესობა ამ დროს მითრიდატესთან ომის განახლებას მოითხოვდა. თვითონ მარკუსიც ამბობდა: ეს ომი კი არ დამთავრებულა, მხოლოდ მცირე ხნით შეწყდაო. ლუკულუსი, რაკი საგამგებლოდ ალპებსამიერ გალია ხვდა წილად,

საკმაოდ ნაწყენი იყო; დიად საქმეთა შესასრულებლად აქ ნიადაგი არ გააჩნდა. ყველაზე უფრო მეტად ლუკულუსს მაინც პომპეუსი და მის მიერ ესპანეთში მოპოვებული გამარჯვებები აღიზიანებდა. ადვილი მოსალოდნელი იყო, თუკი პომპეუსი ესპანეთში ომის დამთავრებას მოახერხებდა, მყისვე აირჩევდნენ მთავარსარდლად მითრიდატეს წინააღმდეგ. აი, ამიტომ, როცა პომპეუსი ფულს თხოულობდა და წერილით იმუქრებოდა: თუ არ გამომიგზავნით, ესპანეთსა და სერტორიუსს[22] სულ დავანებებ თავს და მხედრობას იტალიისკენ დავძრავო, ლუკულუსი მეტისმეტი გულმოდგინებით ცდილობდა, გაეგზავნა ფული და არ მიეცა მისთვის ოდნავი საბაბი, რათა უკან დაბრუნებულიყო მისი კონსულობის ვადის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი რომი მრავალრიცხოვანი მხედრობის წინამძღოლის მორჩილებაში აღმოჩნდებოდა.

გარდა ამისა, ლუკულუსს ქალაქშიც ჰყავდა მტერი. ეს იყო ცეთეგუსი, რომელიც სახელმწიფოში დიდი გავლენით სარგებლობდა იმის წყალობით, რომ ყოველნაირად, სიტყვით თუ საქმით, ხალხის გულის მოგებას ცდილობდა. ლუკულუსი ზიზღის თვალით უყურებდა გარყვნილ, თავხედსა და უამრავი ცოდვებით აღსავსე ცეთეგუსს და აშკარა ომს უცხადებდა. მეორე დემაგოგი ლუციუს კვინკციუსი სულას მიერ დაწესებული მმართველობის წინააღმდეგ აღსდგა და არსებული წყობილების დამხობას შეეცადა[23]. ლუკულუსმა თუ პირადი შეგონებით, თუ საჯარო გაკიცხვით ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა, მის პატივმოყვარეობას ფრთა შეაკვეცა და, როგორც კი შეეძლო, ბრძნულად და სახელმწიფოსათვის საკეთილდღეოდ დიდი ჭირი ძირშივე მოსპო.

6. ამასობაში კილიკიის მმართველ ოქტავიუსის სიკვდილის ცნობა მოვიდა. რომში მრავალს აღეძრა სურვილი, უმმართველოდ დარჩენილი მხარე საგამგებლოდ მიეღოთ. ისინი, ვინც ამისაკენ მიისწრაფოდნენ, ფეხქვეშ ეგებოდნენ ცეთეგუსს, ვითარცა ყოვლისშემძლე კაცს, რომელსაც ამ საქმის მოგვარება შეეძლო. საკუთრივ კილიკიას ლუკულუსი დიდ რამედ არა თვლიდა, მაგრამ ფიქრობდა, თუ იგი კაპადოკიასთან მახლობლად მდებარე ამ მხარეს საგამგებლოდ მიიღებდა, მითრიდატეს წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში მის გარდა სხვას არავის გაგზავნიდნენ სარდლად. ამიტომ ყოველგვარ ღონეს მიმართა და შეეცადა კილიკიის მხარე სხვისთვის არ დაეთმო. ბო-

ლოს და ბოლოს, ლუკულლუსი, მისი ბუნების წინააღმდეგ, იძულებული გაბდა ისეთ გზას დასდგომოდა, რომელიც არ იყო საკადრისი და საქები, მაგრამ მიზნის მისაღწევად კი სასარგებლო ჩანდა.

იმ დროს რომში ცხოვრობდა ვინმე პრეკია, რომელსაც სილამაზისა და სითამამის წყალობით სახელი ჰქონდა განთქმული ქალაქში. ეს პრეკია სხვა მეძავი ქალებისაგან იმით გამოირჩეოდა, რომ ხშირად თავისი საყვარლების დახმარებით მეგობრებს მისწრაფებების აღსრულებასა და თანამდებობის მიღებაში შველოდა. ამიტომ სხვა მშვენიერებასთან ერთად თავი ისახელა, როგორც მეგობრის მოყვარულმა და საქმიანმა ქალმა. ასეთი მოქმედებით პრეკიამ მეტად დიდი გავლენა მოიპოვა. როცა მან იმხანად დიდი სახელის მქონე და ქალაქის სადავეების მპყრობელი ცეთეგუსი მოხიბლა და მისი ხასა გახდა, სახელმწიფოს მთელი ძლიერება თანდათანობით მის ხელში გადავიდა. არაფერი არ კეთდებოდა აქ ცეთეგუსის ჩაურევლად, ცეთეგუსი კი არაფერს აკეთებდა პრეკიას ბრძანების გარეშე.

და აი, ლუკულლუსმა საჩუქრებითა და პირფერობით პრეკიას გული მოიგო (ამ ამაყსა და მედიდურ ქალს ლუკულლუსისათვის დახმარების გაწევა სასახელო საქმედ მიაჩნდა). ამის შემდეგ ცეთეგუსმა მაშინვე დაიწყო ლუკულლუსის ქება-დიდება და მისთვის კილიკია გამოითხოვა.

მიიღო თუ არა კილიკია საგამგებლოდ, არც პრეკიასა და არც ცეთეგუსის დახმარება ლუკულლუსს აღარ დასჭირვებია; მითრიდატესთან ომის წარმოება ყველამ ერთხმად მიანდო, როგორც ისეთ სარდალს, რომელიც სხვაზე გაცილებით უკეთესად შესძლებდა ამ ომის დამთავრებას. პომპეუსი ამ დროს ჯერ კიდევ სერტორიუსთან ბრძოლით იყო გართული, ხოლო მეტელუსი[24] სიბერის გამო სამხედრო სამსახურზე უარს აცხადებდა; ლუკულლუსისათვის მეტოქეობის გაწევა კი მხოლოდ და მხოლოდ ამ ორ კაცს შეეძლო.

ლუკულლუსის თანაკონსული კოტა, დიდიხნის დაყინებითი თხოვნის შემდეგ, სენატმა ჩომალდთა კრებულით გაგზავნა პროპონტიდის დასაცავად და ბითვინიისათვის საბრძოლველად[25].

7. ლუკულლუსი ერთი ლეგიონის თანხლებით, რომელიც თვითონვე შეადგინა იტალიაში, მცირე აზიაში გადავიდა. აქ დანარჩენი ძალებიც შემოიკრიბა, მაგრამ მთელი აქაური მხედრობა ნებიერი ცხოვრებისა და ვერცხლისმოყვარეობის წყალობით უკვე ხელიდან წასუ-

ლი იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამ მხრივ ეგრეთ წოდებული ფიმბრიანელები, რომლებიც ისე შეთვისებიდნენ ანარქიას, რომ მათი დამორჩილება შეუძლებელი იყო. სწორედ ესენი იყვნენ, ფიმბრიას ოიოსნობით რომ კონსული და საკუთარი სარდალი ფლაკუსი მოკლეს და მერმე ფიმბრიასაც უღალატეს და სულას გადასცეს. ამ თავხედ ფიმბრიანელებს კანონები არაფრად მიაჩნდათ, სამაგიეროდ მეტისმეტად მამაცნი, გაჭირვების ამტანნი და ომში გამოცდილნი იყვნენ. ლუკულუსმა სულ მოკლე დროში ამათ თავხედობასაც შეაკვეცა ფრთა და სხვებიც აიძულა დამორჩილებოდნენ მის მბრძანებლობას. მათ მაშინ პირველად იწვნიეს ალბათ, თუ რას ნიშნავდა ნამდვილი მმართველი და მხედართმთავარი. მანამდე კი თავზე ხელის სმას იყვნენ დაჩვეულნი და სურვილისდა მიხედვით მიდიოდნენ ხოლმე ხალაშქროდ.

რაც შეეხება მტერს, მისი საქმე ასე იყო: მითრიდატე, როგორც ეს სოფისტებს სჩვევიათ ხოლმე, თავდაპირველად დიდი გოროზობითა და მედიდურობით აღსდგა რომაელთა წინააღმდეგ და გარეგნულად ბრწყინვალე და სანაქებო, სინამდვილეში კი სრულიად გამოფიტული მხედრობა დაუპირისპირა. მაშინ იგი სასაცილოდ დამარცხდა. სამაგიეროდ ჭკუა ისწავლა და, როცა რომაელებთან მეორე ომის გადახდა დასჭირდა, თავისი ძალების მართლაც ნამდვილ და საქმიან მომზადებას შეუდგა. მან თავიდან მოიცილა მეტისმეტად ჭრელი ლაშქარი, მრავალ ენაზე მეტყველ საშიში ბარბაროსებისაგან რომ შედგებოდა, და აკრძალა ოქროთი და ძვირფასი თვლებით იარაღის შემკობა, ვინაიდან ასეთი იარაღი გამარჯვებული მტრისათვის სანუკვარი ნადავლი იქნებოდა, პატრონს კი არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა. ასეთი იარაღის სანაცვლოდ მითრიდატემ რომაული ყაიდის ხმლები გამოაკედინა და მძიმე ფარებიც დაამზადებინა. მერმე თავი მოუყარა ცხენებს, რომლებიც უფრო მეტად გაწვრთნილი იყვნენ, ვიდრე მოსართავებით შემკობილნი, ფეხზე დააყენა რომაულ საბრძოლო წყობას შეთვისებული ას ოცი ათასი მეომრისაგან შემდგარი ქვეითი ჯარი და გარდა ასი ოთხცხენიანი საომარი ეტლისა, რომელთა თვლებზეც ბასრი ცელები იყო დამაგრებული, თექვსმეტი ათასი ცხენოსანიც მოაგროვა. საბრძოლოდ მოამზადა მითრიდატემ ხომალდებიც. მათზე უკვე აღარ იყო ოქროთი გადახურული კარვები, ხასებისათვის განკუთვნილი საბანაობანოები და მდიდრული სამე-

ფო ჰარამხანები. თავისი ფლოტი მითრიდატემ ახლა იარაღით, ისრებითა და ფულით აავსო.

ამის შემდეგ იგი ბითვინიაში შეიჭრა. აქაური ქალაქები სიხარულით ეგებებოდნენ. არა მარტო ბითვინიას, არამედ მთელ აზიას მოდებოდა ძველი სენი. იგი მზად იყო განდგომოდა რომს, ვინაიდან რომაელი მევახშეები და გადასახადების ამკრეფნი მეტისმეტად ტანჯავდნენ. უფრო გვიან ლუკულუსმა ეს ჰარპიები[26], აზიის მოსახლეობას რომ საკვებს სტაცებდნენ, აქედან გააძევა; პირველ ხანებში კი რჩევა-დარიგებებს აძლევდა, ცდილობდა ზომიერების დაცვა ესწავლებინა მათთვის და ამის წყალობით ერთგვარად შეაჩერა კიდეც ჩამოცილება ზოგიერთი ტომებისა, რომელთაგანაც, კაცმა რომ თქვას, არც ერთი არ იყო მშვიდად.

8. იმ დროს, როცა ლუკულუსი ზემოაღნიშნული საქმეებით იყო გართული, კოტა, რომელსაც ეგონა, ამისათვის მარჯვე დრო დამიდგაო, მითრიდატესთან საბრძოლველად ემზადებოდა. მას ყოველი მხრიდან ატყობინებდნენ: ლუკულუსი მოახლოვდა და უკვე ფრიგიაში არის დაბანაკებულიო. კოტა ფიქრობდა, გამარჯვების ტრიუმფი თითქმის ჩემ ხელთ არისო. რომ ამ ტრიუმფში ლუკულუსსაც არ დაედო თავისი წილი, ბრძოლის დაწყება მეტისმეტად იჩქარა, მაგრამ ხმელეთსა და ზღვაზე ერთდროულად დამარცხდა. მან ბრძოლაში დაკარგა სამოცი ხომალდი თავისი შემადგენლობით და ოთხი ათასი ქვეითი მეომარი, თვითონ კი ჩაკეტეს და ალყა შემოარტყეს ქალაქ დიონში[27]. დამარცხებული კოტა ლუკულუსს მისჩერებოდა: არიქა, მიშველეო.

იყვნენ ისეთები, რომლებიც ლუკულუსს ურჩევდნენ, ბედის ანაბარა მიეტოვებინა კოტა, წინ წასულიყო და მითრიდატეს სამეფო აელო. ისინი არწმუნებდნენ: ამ სამეფოს დამცველი არა ჰყავსო. ასეთ რჩევას უპირატესად იძლეოდნენ ჯარისკაცები, რომლებიც გამწყრალნი იყვნენ კოტაზე. მათი აზრით, კოტამ თავისი რეგვენობით არა მარტო საკუთარი თავი და მეომრები დაღუპა, არამედ მათაც შეუშალა ხელი, რადგან შეეძლოთ ყოველგვარი ბრძოლის გარეშე მოეპოვებინათ გამარჯვება. ამ ჯარისკაცებს ლუკულუსმა თავის სიტყვაში ასე უპასუხა: მტრის მთელი ავლა-დიდების ხელში ჩაგდებას მოწინააღმდეგისაგან ერთი რომაელის დახსნა მირჩევნიაო.

მითრიდატეს ყოფილი სარდალი ბეოტიაში, არქელაე, რომელიც

მეფეს განუდგა და რომაელებთან ერთად ლაშქრობდა, ლუკულუსს უმტკიცებდა: „მარტო შენი გამოჩენაა საკმარისი პონტოში, რომ იქაურობის სრული მბრძანებელი გახდეო". „არა, — უთხრა მას ლუკულუსმა, — მონადირეებზე მხდალი როდი ვარ, ჯერ ნადირს გავერიდო და მერმე მის ცარიელ ბუნაგში შევიჭრეო".

თქვა თუ არა ეს, ოცდაათი ათასი ქვეითი მეომრით და ორი ათას ხუთასი ცხენოსნით ლუკულუსი მითრიდატეს წინააღმდეგ დაიძრა. როცა იგი მტრის პირისპირ დადგა, მოწინააღმდეგის ძალთა სიმრავლემ საკმაოდ შეაძრწუნა. ამიტომ გადაწყვიტა ბრძოლა გადაედო და დრო გაეჭიანურებინა. მაგრამ მას შემოეგება სარდალი მარიუსი[28] რომელიც ესპანეთიდან მაშველი ძალებით სერტორიუსმა გამოუგზავნა მითრიდატეს. მარიუსმა ლუკულუსი საომრად გამოიწვია. ამანაც თავისი ძალები საბრძოლოდ დააწყო. ის-ის იყო მარიუსი და ლუკულუსი ერთმანეთს უნდა შებმოდნენ, რომ უეცრად ჰაერი შუაზე გაიპო და გამოჩნდა რაღაც უზარმაზარი ცეცხლოვანი სხეული, რომელიც ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის მოეჭანებოდა; ის ძალიან ჰგავდა კასრს და გავარვარებული ვერცხლის ფერი იყო. ამ მოჩვენებამ ისეთი თავზარი დასცა ორივე მხედრობას, რომ ისინი უბრძოლველად დაშორდნენ ერთმანეთს. როგორც ამბობენ, ეს ამბავი მოხდა ფრიგიაში, ეგრეთ წოდებული ოტრიის მახლობლად.

ლუკულუსი ფიქრობდა, მითრიდატეს უთვალავ მხედრობას, ისიც მაშინ, როცა ამ მხედრობის პირისპირ მტერი იდგა, ვერავითარი მარაგი და სიმდიდრე ვერ შეინახავდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამის დასამტკიცებლად ლუკულუსმა მოაყვანინა ერთ-ერთი ტყვე და ორი კითხვა მისცა: პირველი — თუ რამდენ კაცთან ერთად ცხოვრობდა კარავში, მეორე — თუ რამდენი სურსათი დატოვა იქ. როცა ტყვემ პასუხი მისცა, ლუკულუსმა იგი განზე გაიყვანა, მერმე ასევე რიგრიგად დაჰკითხა მეორე და მესამე ტყვეც. ამის შემდეგ ერთმანეთს შეუფარდა მტრის მეომრებისა და სურსათის რაოდენობა და დაასკვნა, რომ მტერს დარჩენილი ჰქონდა საჭმლის სამი თუ ოთხი დღის მარაგი.

ამიტომ ლუკულუსი შეეცადა დროის უფრო მეტად გაჭიანურებას. თვითონ კი ბანაკში უამრავი სურსათი მოაზიდვინა, რათა უხვად მომარაგებული დალოდებოდა მტრის კარზე მიმდგარ გაჭირვებას.

9. ამასობაში მითრიდატემ განიზრახა თავს დასხმოდა კიზიკოსე-

ლებს, რომლებიც ქალკედონთან ბრძოლაში დამარცხდნენ და სამი ათასი მეომარი და ათი ხომალდი დაკარგეს. მითრიდატეს უნდოდა ეს საქმე ლუკულუსისაგან მალულად მოეყვანა სისრულეში. ამიტომ იგი ნავახშმევს, ბნელსა და წვიმიან ღამეში სწრაფად დაიძრა სალაშქროდ და გათენებისას შეუფერხებლივ დააბანაკა მხედრობა ქალაქის[29] პირისპირ, ადრასტიის მთასთან.

ლუკულუსმა ეს შეიტყო და მითრიდატეს დაედევნა. მეტად უხაროდა, რომ მტერს ბნელ ღამეში ბრძოლისათვის მოუმზადებელი მხედრობით არ შეხვდა. ჯარი ლუკულუსმა თრაკიად წოდებულ სოფლის მახლობლად დააყენა და ფრიად მარჯვე, ბუნებრივად გამაგრებული ადგილმდებარეობა დაიკავა. ყველა გზა, რომლებითაც მითრიდატესთვის სურსათი უნდა ეზიდათ, აქ გადიოდა. ლუკულუსმა, რაკი წინასწარ განსაზღვრა ყველაფერი, რაც უნდა მომხდარიყო, ჯარისკაცებს არაფერი არ დაუმალა. როცა ბანაკი მოაწყვეს და ყველა საქმისაგან გათავისუფლდა, ლუკულუსმა შეკრიბა მეომრები და ამაყად განუცხადა: რამდენიმე დღის შემდეგ სისხლის დაუღვრელად გარგუნებთ გამარჯვებასო.

კიზიკოსელებს მითრიდატემ ხმელეთიდან ათი სამხედრო ბანაკით შემოარტყა ალყა, ხოლო ზღვიდან ხომალდებით ჩაუკეტა ვიწრო სრუტე, რომელიც ქალაქს ხმელეთისგან ყოფდა. ამრიგად ორმხრივ ალყაში მოიმწყვდია კიზიკოსელები. ისინი ამ განსაცდელს მამაცურად შეხვდნენ და გადაწყვეტილი ჰქონდათ რომაელთა გულისთვის ყოველგვარი უბედურება გადაეტანათ. მათ არ იცოდნენ, სად იმყოფებოდა ლუკულუსი და ცნობის უქონლობა მეტისმეტად აწუხებდათ. ლუკულუსის ბანაკი კი სულ ახლოს იყო, თვალით დასანახ მანძილზე; მაგრამ ალყაშემორტყმულნი შეცდომაში შეჰყავდათ მითრიდატეს მეომრებს. ისინი კიზიკოსელებს მაღლობზე განლაგებულ რომაელებზე უთითებდნენ და ეუბნებოდნენ: „ხედავთ იმათ? ეს სომეხთა და სპარსთა ჯარია, რომელიც ტიგრანმა მითრიდატეს გამოუგზავნა დასახმარებლადო!“ კიზიკოსელებს თავზარი დაეცათ, რა დაინახეს, ურიცხვი მტრით იყვნენ გარშემორტყმულნი. ასე ეგონათ, ლუკულუსის მოსვლაც ვერას გვიშველისო.

ლუკულუსის ახლო ყოფნა პირველად არქელეას მიერ მოგზავნილმა დემონაქსმა აუწყა კიზიკოსელებს. ამათ არ დაიჯერეს და იფიქრეს: გვატყუებს ალბათ და ამ გაჭირვების ჟამს ამით უნდა ნუ-

ვეში გვცესო. სწორედ ამ დროს მათთან მივიდა ერთი პატარა ბიჭი, რომელიც მტრის ტყვეობას გაძოქცეოდა. კითხვაზე, თუ სად არის ლუკულუსი, ბიჭს გაეცინა; ეგონა, ეხუმრებოდნენ; მაგრამ როცა დარწმუნდა, ეს ხუმრობა როდი იყო, რომაელთა ბანაკი ხელით უჩვენა. ამ ამბავმა ალყაშემორტყმულნი ფრიად გაამხნევა.

კიზიკოსელთა ქალაქის მახლობლად არის დასკილიტის ტბა, რომელზედაც საკმაოდ მოზრდილი ნავებით შეიძლება ცურვა. ლუკულუსმა ამ ტბიდან ერთი ყველაზე უფრო დიდი ნავი ხმელეთზე ამოათრევინა და ურმით ზღვის ნაპირამდე მიატანინა. აქ ეს ნავი ზღვაში ჩაუშვეს. ლუკულუსმა შიგ იმდენი მეომარი ჩასვა, რამდენიც კი ჩაეტეოდა. ეს მეომრები ღამით შეუმჩნეველად გადავიდნენ კუნძულზე და ქალაქში შეეიდნენ.

10. კიზიკოსელებს, მათი სიმამაცის მოწონების ნიშნად, როგორც ჩანს, ღმერთმაც შთაუნერგა მხნეობა ზოგიერთი თვალნათლივი სასწაულით. სწორედ იმ დროს ფერეფატიების დღეობა იყო ყარზე მომდგარი[30]. ალყაში მომწყვდეულ მოსახლეობას მსხვერპლის შესაწირავად საჭირო შავი ძროხა არ ჰყავდა. ამიტომ ცომისაგან გამოძერწეს იგი და საკურთხეველთან დადგეს. ღმერთქალისათვის გასუქებული სამსხვერპლო დეკეული კი, კიზიკოსელთა სხვა საქონელთან ერთად, სრუტის გადალმა იყო საძოვარზე გაშვებული. და აი, დღესასწაულის დღეს ეს დეკეული გამოიყო ნახირს, მარტოდმარტომ გადაცურა ზღვა, შევიდა ქალაქში და სამსხვერპლოდ თვითონვე დადგა საკურთხეველთან. მცირე ხნის შემდეგ სახალხო მასწავლებელ არისტაგორას ღმერთქალი გამოეცხადა ძილში და უთხრა: „აი, მოვედი მე და პონტოელი მეგუკის წინააღმდეგ სალამურზე დამკვრელი ლიბიელი მომყავს; უთხარი თანამოქალაქეთ, გამხნევდნენო“[31].

არისტაგორას ნაამბობით გაოცებული კიზიკოსელები ჯერ კიდევ გონს არ იკვნენ მოსულნი, რომ გარიჟრაჟზე მძვინვარე ქარიშხალი ამოვარდა და ზღვა საშინლად ააღელვა. თესალიელი ნიკონიდეს ხელიდან გამოსული მეფის სასწაულებრივი მანქანები, რომლებიც ქალაქის კედლებთან ჩაეშვკრივებინა, მტერს, ჭრიალითა და გრუხუნით იუწყებოდნენ მოსალოდნელ უბედურებას. ჩქარა სამხრეთის ქარი ამოვარდა, წარმოუდგენელი სიმძლავრით დაუბერა და საალყო მანქანები თვალის დახამხამებაში სულ ერთიანად დაღეწა. შემაძრწუნებელმა ქარმა ასი წყრთის სიმაღლის ხის კოშკი მოაბყია და ძირს დასცა.

გარდა ამისა, გადმოგვცემენ, ილიონში მრავალი იქაური მცხოვრებს შაშინ ძილში გამოეცხადა ღმერთქალი ათენაო. იგი მთლად ოფლში იყო თურმე გაღვრილი; ხალხს წამოსასხამის ჩამოხეულ კალთას უჩვენებდა და ეუბნებოდა: კიზიკოსელთ გეხმარებოდი და ახლა სწორედ იქიდან მოვდივარო.

ილიონელები, სხვათა შორის, დღესაც უჩვენებენ იმ სვეტს, რომელზედაც ამ ამბის თაობაზე გადაწყვეტილება და წარწერები იყო ამოკვეთილი.

11. ბანაკში დამკვიდრებულ შიმშილზე მითრიდატემ კარგა ხანს არაფერი იცოდა. სარდლები ატყუებდნენ. ამიტომ მეტისმეტად ცხარობდა, კიზიკოსელები რომ ალყას ამდენ ხანს უძლებდნენ, მაგრამ პატივმოყვარეობა და ჯიუტი სიფიცხე სულ მალე გაუქრა, როცა საკუთარი თვალით დაინახა ის საშინელი გაჭირვება, რაიც ჯარისკაცებს ადგა და იმაშიც დარწმუნდა, რომ ისინი ასეთი მდგომარეობის გამო იძულებულნი იყვნენ ადამიანის ხორციც ეჭამათ.

ლუკულუსი მითრიდატესთან თავის გასართობ ომს როდი ეწეოდა. იგი, ასე ვთქვათ, მტრის მუცელს ვალალას აყრიდა და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა სურსათის მიწოდების ყველა საშუალება აღეკვეთა მისთვის.

და აი, ერთხელ, როცა ლუკულუსი რომელიღაც ციხე-სიმაგრის ალყით იყო გართული, მითრიდატემ ისარგებლა მარჯვე შემთხვევით და სწრაფად გაგზავნა ბითვინიაში თითქმის მთელი ცხენოსანი ჯარი აღალითა და ბრძოლისათვის უვარგისი ქვეითებით. შეიტყო თუ არა ეს ლუკულუსმა, ჯერ კიდევ ღამით დაბრუნდა ბანაკში და გარიჟრაჟზე, ქარიშხლიან ამინდში, ათი კოჰორტითა და ცხენოსნებით მითრიდატეს გაგზავნილთ დაედევნა. დიდი წვალებით მიიკვლევდა იგი გზას თოვლიან ქარბუქში. მრავალი მებრძოლი, რომლებმაც სიცივეს ვერ გაუძლეს, უკან ჩამორჩა. დანარჩენი ძალებით ლუკულუსი მტერს მდინარე რინდაკოსის[32] სანაპიროსთან დაეწია და ისე გაანადგურა, რომ დამარცხებულთა აღალის გასატაცებლად და დახოცილთათვის იარაღის ასაყრელად აპოლონიაში[33] მცხოვრები ქალები ქალაქიდან გამოდიოდნენ. მოკლული, რაღა თქმა უნდა, ბევრი იყო. გარდა ამისა ხელთ ჩაიგდეს ექვსი ათასი ცხენი, ფრიად მრავალი საპალნე პარუტყვი და თხუთმეტი ათასი ტყვე. მთელი ეს ნადავლი ლუკულუსმა თან წაიყვანა და მტრის ბანაკის გვერდით ჩაატარა.

მე ფრიად მაოცებს სალუსტიუსი[34], რომელიც ამბობს, რომაელებმა მაშინ პირველად იხილეს აქლემები. ნუთუ მას ჰგონია, იმ რომაელებს, რომლებმაც უწინ სციპიონის წინამძღოლობით ანტიოქე დაამარცხეს, ანდა იმათ, სულ ახლახან რომ ორქომენისა და ქერონეას მახლობლად არქელეასთან იბრძოდნენ, აქლემები ნახული არ ჰყავდათ?

ასეთმა მარცხმა მითრიდატეს გადააწყვეტინა რაც შეიძლება სწრაფად დაეხია უკან. იმ განზრახვით, რომ ლუკულუსი ზურგში დაეყოვნებინა, თავის ნავარქოსს[35], არისტონიკეს, უბრძანა საბერძნეთის ზღვაში გასულიყო. არისტონიკე ის-ის იყო ღუზის აშვებას აპირებდა, რომ ლუკულუსმა იგი ღალატის წყალობით ხელში ჩაიგდო იმ ათი ათასი ოქროთი, რომელიც არისტონიკეს რომაელთა მხედრობის ნაწილის მოსყიდვის მიზნით მიჰქონდა. მაშინ მითრიდატემ თავის დასაღწევად ზღვას მიაშურა, ხოლო მისმა საარდლებმა ჯარი ხმელეთით წაიყვანეს. ლუკულუსი მათ თავს დაესხა მდინარე გრანიკთან. აქ მან ხელთ იგდო უამრავი ტყვე და ოცი ათასამდე კაცი გაეალიტა. ამბობენ, ამ ბრძოლაში აღალის მსლებელ თუ მეომარი ჯარიდან მოკლულთა სახით სულ ცოტა სამასი ათასი კაცი დარჩა ბრძოლის ველზეო.

12. უწინარეს ყოვლისა, ლუკულუსი კიზიკოსში შევიდა. აქ მას სიხარულითა და მეგობრული გულთბილობით შეხვდნენ. ამის შემდეგ იგი ჰელესპონტის სანაპიროებისაკენ დაიძრა და გზადაგზა ფლოტი შემოიმტკიცა. ამ ფლოტით ლუკულუსი ტროადას მიადგა და აფროდიტეს ტაძარში დაბანაკდა. ღამით ძილში სიზმარი იხილა; თითქოს ღმერთქალი გამოეცხადა, ახლო დადგა და უთხრა:

*რად გძინავს აგრე ღრმად, ლომო? სულ ახლოა ირმები შენთან!*

ლუკულუსი მყისვე წამოდგა, იმავე ღამეს მოიხმო მეგობრები და სიზმარი უამბო. სწორედ ამ დროს ილიონიდან ვიღაცეები მოვიდნენ და ლუკულუსს აუწყეს: აქაველთა ნავსადგურთან მეფის ცამეტი პენტირესი[36] გამოჩნდა; ისინი ლემნოსისაკენ მიემართებიანო.

ლუკულუსი დაუყოვნებლივ გავიდა ზღვაში. სწრაფად ჩაიგდო ხელთ ცამეტივე პენტერესი, მოკლა მათი მეთაური ისიდორე და მერმე მითრიდატეს ფლოტის დანარჩენ წინამძღოლთა წინააღმდეგ დაიძრა. ეს წინამძღოლნი ღუზაზე იდგნენ. საფრთხე რომ დაინახეს, ყველა ხომალდი ხმელეთზე ამოათრიეს და ბრძოლა გემბანებიდან

დაიწყეს. მათ ლუკულუსის მრავალი მეომარი დაჭრეს. ადგილმდებარეობა საშუალებას არ აძლევდა რომაელთ გარშემორტყმოდნენ მტერს და დაეძლიათ. ლუკულუსის ხომალდებს ზღვის ტალღები აქეთ-იქით აქანავებდა მაშინ, როცა მტრის პენტერესები მტკიცედ და უშიშრად იდგნენ ხმელეთზე.

მიუხედავად ამისა, ლუკულუსმა, მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხა კუნძულზე ხომალდთა მისადგომად მარჯვე ადგილის შერჩევა და იქ ყველაზე მამაცი მეომრები გადასხა. ესენი ზურგიდან ეკვეთნენ მტერს. ზოგი მოკლეს, ზოგიც აიძულეს საკუთარი ხომალდების ბაგირები გადაეჭრათ და ზღვაში ჩაშვებულიყვნენ. აქ მითრიდატეს პენტერესები ან ერთმანეთს დაეჯახნენ, ან არადა პირდაპირ ლუკულუსის ხელში ჩავარდნენ.

ამ ბრძოლაში გაქლიტეს უამრავი მტერი. ტყვეთა შორის იყო სერტორიუსის მიერ გამოგზავნილი სარდალი მარიუსი. ეს მარიუსი ცალთვალა გახლდათ. ამიტომ ლუკულუსმა ჯარისკაცებს შეტევის დასაწყისშივე უბრძანა არ მოეკლათ ცალთვალა კაცი, თუკი ასეთი შეხვდებოდათ. უნდოდა მარიუსი პატივაყრილი და შერცხვენილი გამოსალმებოდა წუთისოფელს.

13. გადაიხადა თუ არა ეს ბრძოლა, ლუკულუსი ახლა მთელი სისწრაფით თვითონ მითრიდატეს დაედევნა. იმედი ჰქონდა სადმე ბითვინიაში წააწყდებოდა პონტოს მეფეს, რომელსაც იქ ვოკონიუსი დარაჯობდა. ეს ვოკონიუსი ჯერ კიდევ ადრევე გაგზავნა ფლოტის თანხლებით ნიკომედიაში[37], იმ განზრახვით, რომ მითრიდატესათვის გაქცევაში ხელი შეეშალა. მაგრამ ვოკონიუსმა საკმაოდ ბევრი დრო დაკარგა; იგი სამოთრაკზე[38] წმიდა საიდუმლოებათა აღსრულებით და დღესასწაულთა მოწყობით იყო გართული. მითრიდატე ამასობაში ფლოტით ზღვაში გავიდა და ჩქარობდა ლუკულუსის დაბრუნებამდე პონტოში შესულიყო. მაგრამ საშინელმა ქარიშხალმა მოუსწრო. მისი ხომალდების ნაწილი ქარიშხალმა აქეთ-იქით გაფანტა, ნაწილი კი წყალში ჩაძირა. ზღვის მთელი სანაპირო მრავალი დღის განმავლობაში ტალღების მიერ გამორიყული ხომალდების ნამსხვრევებით იყო მოფენილი. თვითონ მითრიდატე საბარგო ხომალდით მიცურავდა. მისმა მესაჭეებმა ეს ხომალდი თავისი სიდიდის გამო ვერც ნაპირს მიაყენეს ასეთ საშინელ ღელვაში, რაკიდა მეტად მძიმე იყო და უკვე წყალიც შესდიოდა, და ვერც ზღვაში გააჩერეს. მაშინ მითრიდატე

მეკობრეთა მსუბუქ ხომალდზე გადაჯდა და თავისი ბედი ზღვის ყაჩაღებს მიანდო. ბოლოს და ბოლოს სრულიად მოულოდნელად და მშვიდობიანად იგი პონტოს ჰერაკლეას მიადგა.

ის ქედმაღლობა, რაც ლუკულუსმა სენატის მიმართ გამოიჩინა, ღმერთების მხრივ დაუსჯელი დარჩა. საქმე ის იყო, რომ სენატმა თავის დროზე გადაწყვიტა მითრიდატესთან ომის საწარმოებლად საჭირო ფლოტის აგებისათვის სამი ათასი ტალანტი გაეღო. ლუკულუსმა სენატისადმი გაგზავნილ წერილში ამაზე უარი თქვა და კვეხნით განაცხადა: მითრიდატეს ყოველგვარი ხარჯისა და დიდი მზადების გარეშე გავაძევებ ზღვიდან მარტოოდენ მოკავშირეთა ხომალდებითო. მან ეს საქმე ღმერთების წყალობით მართლაც შეასრულა. ამბობენ, პრიაპოსელი არტემიდეს[39] რისხვა იყო მიზეზი იმისა, პონტოს ფლოტს რომ ქარიშხალი დაატყდა თავსო. მითრიდატეს ჯარისკაცებმა თურმე ერთხელ არტემიდეს ტაძარი გაძარცვეს და მისი ქანდაკება გაიტაცეს.

14. ბევრი ურჩევდა ლუკულუსს დროებით საომარი მოქმედება გადაედო; მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქცია და მითრიდატეს სამფლობელოში შეიჭრა. პირველ ხანებში იგი სურსათის მეტად დიდ ნაკლებობას განიცდიდა; ამიტომ მშიერობას უკან ოცდაათი ათასი გალატელი მიჰყვებოდა და ყოველ მათგანს საკუთარი ზურგით თითო მედიმნი პური მიჰქონდა. სამაგიეროდ, წინსვლის დროს, როცა ყველაფერი დაიმორჩილა, ისე აიესო ხვავითა და ბარაქით, რომ მის ბანაკში ხარი ერთ დრაქმად, ხოლო მონა ოთხ დრაქმად იყიდებოდა. სხვა სახის ნადავლს ჯარისკაცები აღარაფრად აგდებდნენ. რაკი საყოველთაო სიუხვის დროს მისი გასაღება შეუძლებელი იყო, ნაწილს ადგილზევე ტოვებდნენ, ნაწილს კი ანადგურებდნენ.

ლუკულუსის მხედრები თემისკირამდე და თერმოდონტის[40] ველებამდე ცხენებით თარეშისას ხოფლების აოხრებისა და აკლების მეტს ვერაფერს ახერხებდნენ. ამიტომ ჯარისკაცები ლუკულუსზე ბუზღუნებდნენ: იგი მთელ რიგ ქალაქებს დაზავების საშუალებით იერთებს, იერიშით არც ერთს არ იღებს და ჩვენ მათი გაძარცვის შესაძლებლობას არ გვაძლევსო. „აი, ახლა, — ამბობდნენ ისინი, — სულ ადვილი საქმეა დიდებული და მდიდარი ქალაქის ამისეს[41] აღება, თუკი კაცი მის ალყას ოდნავ გააძლიერებს, მაგრამ ლუკულუსი ჩვენ მას გვატოვებინებს და მითრიდატესთან საბრძოლველად ტიგრანეთა და ქალდეველთა[42] უდაბნო მხარეში მიგყავართო“.

ამ ბუზღუნს ლუკულუსი არაფრად აგდებდა, ვინაიდან იმედი ჰქონდა მისი მეომრები არ გამოიჩენდნენ ისეთ უგუნურებას, რიგორიც მათ შემდგომში გამოამჟღავნეს. იგი ყველაფერს ამჯობინებდა თავი ემართლებინა იმათ წინაშე, რომლებიც ბრალად სდებდნენ ზანტ მოქმედებას; სახელდობრ, იმას, რომ საკმაოდ დიდხანს აყოვნებდა სრულიად უმნიშვნელო სოფლებსა და ქალაქებთან და ამით მითრიდატეს ძალის მოკრების საშუალებას აძლევდა. „აი, სწორედ მეც ეგ მინდა, — ამბობდა ლუკულუსი, — მე აქ იმ მიზნით ვაყოვნებ, რომ ჩემმა მოწინააღმდეგემ კვლავ მოიკრიბოს ძალა და დიდ მხედრობას მოუყაროს თავი, რათა ადგილზევე დარჩეს და ჩვენი მოახლოებისთანავე არ გაიქცეს. განა ვერ ხედავთ, რომ ზურგს უკან გადაშლილი აქვს უზარმაზარი და უსაზღვრო უდაბნო? იქვე ახლოს არის კავკასიონი უამრავი ხეობებით, რომელთაც სულ ადვილად შეუძლიათ შეიფარონ და დაიცვან ბრძოლას თავარიდებული ათი ათასობით მეფე. კაბეირადან[43] რამდენიმე დღის სავალ მანძილზე მდებარეობს სომხეთი. სომხეთის ტახტზე ზის მეფეთა მეფე ტიგრანი[44]. მას დიდძალი მხედრობა ჰყავს და ამ მხედრობის წყალობით პართებს გასაქანს არ აძლევს აზიაში, ბერძნულ ქალაქთა მოსახლეობა მიდიაში გადაჰყავს, სირიასა და პალესტინაზე მბრძანებლობს, კლავს სელევკოსის მემკვიდრე მეფეებს და მათი ქალიშვილები და ცოლები ძალდატანებით მიჰყავს ტყვედ. ეს ტიგრანი მითრიდატეს ახლობელია, მისი სიძე. მითრიდატემ რომ დახმარება სთხოვოს, უარს არ ეტყვის და ჩვენ წინააღმდეგ ომს დაიწყებს. თუ ჩვენ ავჩქარდებით, რათა მითრიდატე განვდევნოთ, ამით ტიგრანის მხრივ თავდასხმის საფრთხეს მივიქმნით. ტიგრანი უკვე დიდი ხანია ჩვენ წინააღმდეგ ომის საბაბს ეძებს და იმაზე უკეთეს მიზეზს, რომ გასაჭირში მყოფ ახლობელ კაცს და ისიც მეფეს დაეხმაროს, იგი ვერასოდეს ვერ მონახავს. ჰოდა, რატომ უნდა მოვიქცეთ ისე, რომ მივცეთ საშუალება მითრიდატეს ჩაიდინოს ის, რაზეც არ უფიქრია? სახელდობრ, რატომ უნდა ვასწავლოთ მას, თუ ვისთან ერთად იბრძოლოს ჩვენ წინააღმდეგ? რატომ უნდა ვაიძულოთ იგი დახმარებისათვის მიმართოს ტიგრანს მაშინ, როდესაც ეს არა სურს და თავისთვის სამარცხვინო საქმედ თვლის? უმჯობესი არ იქნება დრო მივცეთ, რათა საკუთარი ძალები შემოიკრიბოს და კვლავ მოდონიერდეს? მიდიელებსა და სომხებთან ბრძოლას არა სჯობია შევებრძოლოთ კოლხებს, ტიბარენებსა და კა-

პადოკიელებს, რომლებიც ჩვენ არაერთხელ დაგვიმარცხებია?“

15. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით ლუკულუსი დიდხანს იდგა ამისეს გარშემო და ეს ქალაქი საკმაოდ სუსტ ალყაში ჰყავდა. გავიდა თუ არა ზამთარი, ამისეს საალყოდ ლუკულუსმა მურენა დატოვა, თვითონ კი მითრიდატეს წინააღმდეგ დაიძრა. მითრიდატე ამ დროს კაბეირასთან იდგა და გადაწყვეტილი ჰქონდა რომაელებს გამკლავებოდა. მის ირგვლივ თავმოყრილი იყო ორმოცი ათასი ქვეითი მეომრისა და ოთხი ათასი ცხენოსნისაგან შემდგარი მხედრობა. იგი ყველაზე უფრო დიდ იმედს ცხენოსნებზე ამყარებდა.

მითრიდატე მდინარე ლიკეზე გადავიდა და რომაელები ვაკეზე გამოიხმო საბრძოლველად. ერთმანეთს ეკვეთნენ ცხენოსნები, მაგრამ ამჯერად რომაელები უკუიქცნენ. ერთი წარჩინებული გვარის ვაჟკაცი პომპონიუსი მძიმედ დაიჭრა და ტყვედ წაიყვანეს. ჭრილობებისაგან გამწარებული პომპონიუსი მითრიდატეს მიჰგვარეს. მითრიდატემ ჰკითხა: სიცოცხლე რომ შეგინარჩუნო, გახდები თუ არა ჩემი მეგობარი? „დიახ, გავხდები, — უპასუხა პომპონიუსმა, — თუ რომაელებთან ზავს შეკრავ; წინააღმდეგ შემთხვევაში კი ისევ მტერი დავრჩები შენიო!“ ასეთი ვაჟკაცობით განცვიფრებულმა მითრიდატემ პომპონიუსს არა ავნო რა.

ლუკულუსი ყოყმანობდა. მტრის ცხენოსანი ჯარის სიმრავლე აშინებდა, ვაკეზე ჩასულიყო; ხოლო მთებში წასვლას ვერ ბედავდა ვინაიდან გზა მეტად გრძელი, ტყით დაბურული და თითქმის გაუვალი იყო. რაღაც ბედზე გამოქვაბულში თავშეფარებული ბერძნები დაიჭირეს. ამათ შორის უფროსი არტემიდორე ლუკულუსს დაჰპირდა, რომ წაიყვანდა და ბანაკისათვის ფრიად უშიშარ ადგილას დააყენებდა, სადაც ისეთი ციხე-სიმაგრე იყო, კაბეირას ზედ თავზე დაჰყურებდა.

ლუკულუსი არტემიდორეს ერწმუნა. დაღამდა თუ არა, ჩირაღდნები აანთებინა და იმ ადგილისაკენ დაიძრა.

ლუკულუსმა მშვიდობიანად გაიარა ვიწროები და ციხე-სიმაგრე დაიკავა. გარიჟრაჟზე მტრის განლაგების ზემოთ აღმოჩნდა და ჯარი ისეთ ადგილზე დააბანაკა, რომელიც საშუალებას იძლეოდა, თუ უნდოდა, ადვილად წაეყვანა მხედრობა მტერზე და თუ სიმშვიდის დაცვა სურდა, სრულიად გულარხეინად ყოფილიყო.

ბრძოლის დაწყების განზრახვა და თავის განსაცდელში ჩაგდების სურვილი ამ დროს არც ერთ მხარეს არ ჰქონდა. მაგრამ მოხდა ასეთი ამბავი. მეფის ჯარისკაცები, როგორც ამბობენ, ირემს დაედევნენ თურმე. რომაელებმა ეს რომ დაინახეს, მყისვე დაუხვდნენ წინ და გზა გადაუჭრეს. მითრიდატეს ჯარისკაცები და დამხვდური რომაელები ერთმანეთს ეკვეთნენ და ბრძოლა გაჩაღდა. თანდათანობით ორივე მებრძოლ მხარეს მაშველი ძალები ემატებოდა. ბოლოს და ბოლოს მეფის მეომრებმა გაიმარჯვეს. ზევით მყოფმა რომაელებმა ბანაკიდან რა დაინახეს, ჩვენები გარბიანო, ფრიად შეწუხდნენ, ლუკულუსთან გაიქცნენ და სთხოვეს ბრძოლის დაწყების ნიშანი მიეცა და ისინი მტერზე თავდასასხმელად წაეყვანა.

ლუკულუსს სურდა მათთვის ეჩვენებინა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ომის ქარცეცხლისა და განსაცდელის ჟამს გვერდით გონიერი წინამძღოლის ყოლას. მან აღელვებულ ჯარისკაცებს უბრძანა სიმშვიდე დაეცვათ; თვითონ კი ვაკეზე ჩავიდა და პირველ შემხვდურ უკუქცეულთ ბრძანება მისცა შეჩერებულიყვნენ და მას გაჰყოლოდნენ მტრისკენ. ესენი მაშინვე დაემორჩილნენ. მალე დანარჩენებიც შემობრუნდნენ და მტრის წინააღმდეგ დაირაზმნენ. მათ სულ ადვილად დაძლიეს მოწინააღმდეგე და მეფის ბანაკამდე მირეკეს.

დაბრუნდა თუ არა უკან, ლუკულუსმა იმ რომაელებს, რომლებიც ბრძოლას გაექცნენ, დაწესებული სასჯელის ძალით პატივი აჰყარა. უბრძანა, საგანგებოდ ჩამწკრივებული მხედრობის წინ უსარტყელო ტუნიკების [45] ამარა თორმეტი ფუტის სიმაღლე თხრილი ამოეთხარათ.

16. მითრიდატეს ბანაკში დანდარიების [46] ერთი მთავარი იყო, სახელად ოლთაკე. დანდარიები ერთ-ერთი ტომია იმ ბარბაროსთა, რომლებიც მეოტისის ტბის [47] სანაპიროზე ცხოვრობდნენ. ეს ოლთაკე ყოველგვარ საომარ საქმეში გამოირჩეოდა ღონითა და მამაცობით; მნიშვნელოვან ამბავთა განსჯის დროს მახვილ გონებას ამჟღავნებდა, სხვებთან ურთიერთობაში კი ფრიად ალერსიანი და თავაზიანი კაცი იყო; ოღონდაც მუდამ უთანხმოება და მეტოქეობა ჰქონდა პირველობის გულისთვის ერთ-ერთ თანამემამულე მთავართან. აი, ამის გამო ოლთაკემ მითრიდატეს დიდი საქმის შესრულება აღუთქვა: ლუკულუსის მოკვლას დაჰპირდა. მეფემ ეს მოიწონა და ოლთაკეს განგებ შეურაცხყოფა მიაყენა, რათა მისი მოჩვენებითი რისხვა გამო-

ეწვია. ვითომ ნაწყენი ოლთაკე ცხენზე შეჯდა და ლუკულუსთან გაიქცა.

ლუკულუსმა იგი გულთბილად მიიღო, ვინაიდან რომაელთა ბანაკში დიდად ჰქონდა სახელი განთქმული. მცირე ხნის გამოცდის შემდეგ ლუკულუსი ისე მოიხიბლა ოლთაკეს საზრიანობით და გულისხმიერებით, რომ ხანდახან მასთან ერთად სადილობდა და ბჭობდა კიდევაც.

ბოლოს, როცა დანდარიელმა იფიქრა, განზრახულის სისრულეში მოყვანის დრო დადგა, მსახურ ბიჭებს უბრძანა მისი ცხენი ბანაკის გარეთ გაეყვანათ, თვითონ კი, შუადღეზე, როცა ჯარისკაცები წამოწოლილი იყვნენ და ისვენებდნენ, მთავარსარდლის კარვისკენ გაემართა. იმედი ჰქონდა ლუკულუსის კარავში შესვლას, როგორც შინაურ კაცს, არავინ დაუშლიდა, მით უმეტეს, თუ იტყოდა, რომ მთავარსარდლისათვის ფრიად დიდმნიშვნელოვანი ამბავი ჰქონდა მოსახსენებელი. იგი მართლაც სულ ადვილად შევიდოდა კარავში, რომ ძილს, რომელსაც საკმაოდ მრავალი სარდალი დაუღუპავს, არ ეხსნა ლუკულუსი.

ლუკულუსს ეძინა. ერთ-ერთმა პირისფარეშმა მენედემემ, რომელიც კარვის კარის წინ იდგა, ოლთაკეს უთხრა:

— უდროო დროს მოხვედი; დიდიხნის უძილობითა და მრავალი საქმით დაქანცულმა ლუკულუსმა სულ ახლახან ჩაიძინა.

მენედემეს სიტყვებს ოლთაკემ ყური არ ათხოვა და უკან არ დაიხია.

— მართალია, — უთხრა პირისფარეშს, — არ მიშვებ კარავში, მაგრამ მაინც შევალ, რაკიღა მსურს მთავარსარდალს აუცილებელი და დიდი საქმის გარშემო მოველაპარაკო!

მენედემეს გული მოუვიდა:

— მთავარია ლუკულუსი იყოს კარგად, სხვა არაფერი, — მიუგო ოლთაკეს, ჭკრა ორივე ხელი და კარვიდან გააგდო.

დამფრთხალი ოლთაკე რომაელთა ბანაკიდან ჩუმად გამოვიდა, მოახტა ცხენს და გაწბილებული მითრიდატეს ბანაკში დაბრუნდა.

აი, ამგვარად გარემოება ადამიანთა მოქმედებას სამკურნალო წამლის დარად ხან მხსნელ ძალად ევლინება და ხან კი მომაკვდინებლად.

17 მცირე ხნის შემდეგ ლუკულუსმა სურსათის გადაზიდვა გაგზავნა სორნაციუსი და თან ათი კოჰორტი გააყოლა. მას მაშინვე დაედევნა მითრიდატეს ერთ-ერთი სარდალი, მენანდრე. სორნაციუსი შეჩერდა, ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება, მტერი საშინლად დაამარცხა და განდევნა.

იმ მიზნით, რომ ჯარისკაცებს პური უხვად ჰქონოდათ, ლუკულუსმა ახლა ადრიანეც გაგზავნა მებრძოლებითურთ საალაფოდ. მითრიდატემ ეს ამბავი უყურადღებოდ არ დატოვა, ადრიანეს წინააღმდეგ მენემაქესა და მირონის წინამძღოლობით მრავალი ცხენოსანი და ქვეითი მეომარი დაძრა. როგორც ამბობენ, ეს მეომრები სულერთიანად აკუწეს რომაელებმა. ორად ორი კაცი გადაურჩა სიკვდილს თურმე.

მითრიდატე ყოველნაირად ცდილობდა ეს უბედური შემთხვევა როგორმე მიეჩქმალა, თითქოს დიდი არაფერი მომხდარიყო, და ამ ვითომ მცირე მარცხს სარდალთა გამოუცდელობას აბრალებდა. მაგრამ ადრიანემ დიდი ზარ-ზეიმით ჩაუარა მის ბანაკს; მას თან პურითა და მტრისთვის წართმეული ნადავლით დატვირთული მრავალი ურემი მიჰყავდა. ამან მითრიდატეს სასო წარუკვეთა, ხოლო მისი ჯარისკაცები შეაშფოთა და შიშში ჩააგდო. ამის გამო გადაწყვიტეს აქ ძეტი აღარ დარჩენილიყვნენ.

მეფის კარისკაცებმა მშვიდად დაიწყეს ბანაკიდან პირადი ქონების გატანა, მაგრამ სხვებს ამის ნებას არ აძლევდნენ. ბანაკის გასასვლელთან ძალდატანებით მირეკილი მეომრები მეტისმეტად განრისხდნენ და წინამძღოლთა ქონების დატაცებასა და მათი პატრონების ხოცვას შეუდგნენ. სარდალი დორილაე მოკლეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ტანთ ძოწის კაბა ემოსა. ქურუმი ჰერმეოსი ბანაკის კარიბჭესთან გასრისეს. თვითონ მითრიდატე კი, რომელსაც გვერდით არც ერთი მხლებელი და მეჯინიბე არ ახლდა, ჯარისკაცთა ბრბოს შეერია და გამოვარდა ბანაკიდან. მან სამეფო საჯინიბოდან ვერც ერთი ცხენი ვერ გამოიყვანა. კარგა ხნის შემდეგ ლტოლვილთა ნაკადში ჩათრეული მითრიდატე საჭურისმა პტოლემეოსმა დაინახა. იგი მაშინვე ჩამოხდა ცხენიდან და პირუტყვი მეფეს მიჰგვარა.

რომაელები მითრიდატეს კვალდაკვალ დაედევნენ. იგი უკვე თითქმის მათ ხელში იყო. ისინი ისე ახლოს მიადგნენ მეფეს, თითქოს კიდეც უნდა შეეპყროთ, მაგრამ ჯარისკაცთა ანგარებამ და საშინელმა

სიხარბემ რომაელებს ხელიდან გამოაცალა ის ნადავლი, რომელსაც ისინი მრავალი ბრძოლისა და განსაცდელის ფასად უკვე დიდი ხანია ხელში ჩასაგდებად დასდევდნენ, ხოლო გამარჯვებულ ლუკულუსს დიდი ჯილდო დააკარგვინა.

მდევრები თითქმის დაეწივნენ იმ ცხენს, მითრიდატეს რომ მიაქროლებდა, მაგრამ ანაზდეულად მეფესა და მის მდევარ რომაელთა შორის ერთი ოქროთი დატვირთული ჯორი ჩადგა. შეიძლება ეს ჯორი თავისთავად შემოიქრა შუაში, ანდა შესაძლებელია მეფემ განგებ მიუგდო იგი მდევრებს. ასე იყო თუ ისე, რომაელებმა ჯორის გაძარცვა, ოქროს მობოქვა და ერთმანეთთან ჩხუბი დაიწყეს და დრო დაკარგეს [48].

ჯარისკაცთა სიხარბემ მარტოოდენ ეს ერთი ზარალი როდი მოუტანა ლუკულუსს; მან ბრძანა მასთან მიეყვანათ მეფის საიდუმლოებათა მცოდნე ერთ-ერთი ტყვე, მდივანი კალისტრატე. ჯარისკაცებმა, რომელთაც ტყვე მიჰყავდათ, დაინახეს, რომ მას სარტყელში ხუთასი ოქრო ჰქონდა. ოქროზე გაგიჟებულმა ჯარისკაცებმა კალისტრატე მყისვე გამოასალმეს სიცოცხლეს.

მიუხედავად ასეთი საქციელისა, ლუკულუსმა მითრიდატეს ბანაკი თავის ჯარისკაცებს გასაძარცვავად დაუთმო.

18. კაბეირასა და სხვა ციხე-სიმაგრეთა უმრავლესობის აღების შემდეგ ლუკულუსმა მათში ფრიად დიდძალი განძეულობა იპოვა. აქ იგი წააწყდა მრავალ საპყრობილესაც, რომლებშიც ბევრი ბერძენი და მეფის მრავალი ნათესავი იყო ჩამწყვდეული. ეს ხალხი უკვე დიდი ხანია თავს დაღუპულად თვლიდა და ლუკულუსის წყალობამ მათ არა მარტო თავისუფლება, მკვდრეთით აღდგენა და ხელახალი სიცოცხლე მიანიჭა.

რომაელებმა აქ ტყვედ ჩაიგდეს მითრიდატეს და ნისა. ამისათვის ტყვეობა პირდაპირ სიკვდილისაგან დახსნას უდრიდა. მეფის დანარჩენი დები და ცოლები, რომელთაც ეგონათ, ფარნაკიის [49] მიდამოებში ყოველგვარი განსაცდელისაგან მოშორებით მშვიდად იმყოფებოდნენ, საცოდავად დაიხოცნენ. საქმე ის იყო, რომ მითრიდატემ გაქცევის ჟამს მათ დასახოცად ფარნაკიაში გაგზავნა საჭურისი ბაქიდე.

სხვა თავშეფარებულთა შორის იქ, ფარნაკიაში, მეფის ორი გაუთხოვარი და, ასე ორმოცი-ორმოცი წლის როქსანე და სტატირა იმ-

ყოფებოდა. აქვე იყო მისი ორი ცოლი, წარმოშობით ორივე ეონიელი, ქალიელი ბერენიკე და მილეტელი მონიმე.

მონიმეს ბერძნებში დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. მითრიდატემ თურმე მისი დამორჩილება სცადა და ძღვნად თხუთმეტი ათასი ოქრო გაუგზავნა, მაგრამ მონიმე მანამდე არ დაჰყვა მეფის ნებას, სანამ ამან ცოლად შერთვა არ აღუთქვა, დიადემა არ გაუგზავნა და დედოფლად არ აღიარა[50]. მიუხედავად ამისა, ეს ქალი მთელ დროს მწუხარებაში ატარებდა და თავის საბედისწერო სილამაზეს დასტიროდა; ამ სილამაზემ ქმრის ნაცვლად მრისხანე ბატონი გაუჩინა, ხოლო საქორწინო სარეცლისა და სასახლის მაგიერ წილად არგუნა საპყრობილე, რომელსაც ბარბაროსები დარაჯობდნენ. ელადას მოშორებული და ბეშმარიტ ბედნიერებას აღკვეთილი მონიმე მხოლოდ და მხოლოდ სიზმრად ხედავდა იმ ბედნიერებას, რომელზედაც ოცნებობდა.

და აი, როცა ფარნაკიაში ბაკქიდე მოვიდა და ქალებს გამოუცხადა, უნდა დაიხოცოთ, ოღონდაც თითოეულ თქვენგანს შეუძლია ის სიკვდილი აირჩიოს, რომელიც ყველაზე უფრო ადვილი და ყველაზე უფრო უმტკივნეულო ჰგონიაო, მონიმემ ჩამოიგლიჯა თავიდან დიადემა, შემოიხვია ყელზე და ჩამოეკიდა. დიადემა მაშინვე გაწყდა. „ოჰ, წყეულო ძონძო, — შეჰყვირა ქალმა, — შენ ამ საქმეშიც უსარგებლო ყოფილხარ ჩემთვის!" გაგლეჯილი დიადემა მონიმემ ძირს დაადგო, დააფურთხა მას და ბაკქიდეს ყელი მიუშვირა: მომკალი ჩქარაო.

მითრიდატეს მეორე ცოლმა ბერენიკემ საწამლავით სავსე კათხა აიღო და დალევას აპირებდა. დედამისმა, რომელიც იქვე იყო, სთხოვა: ნაწილი მე დამითმეო. დედა-შვილმა ერთი კათხიდან შესვეს შხამი; მაგრამ მისი ძალა მარტოოდენ მისუსტებული დედის მოსაკვდინებლად აღმოჩნდა საკმარისი, ბერენიკეს კი უცბად როდი მოუსწრაფა სიცოცხლე. ქალი საშინელი ტანჯვით ებრძოდა სიკვდილს. მაშინ ბაკქიდე წაეშველა სულთმობრძავს და დაახრჩო იგი.

მეფის გაუთხოვარ დებში ერთმა, როგორც ამბობენ, მითრიდატეს წყევლა-კრულვასა და შეჩვენებაში შესვა საწამლავი, ხოლო მეორეს, სტატირას, ერთი საყვედური და შეუფერებელი სიტყვა არ აღმოხდომია. პირიქით, სტატირამ ქება-დიდება დაუწყო ძმას იმისათვის, რომ მან საკუთარი განსაცდელის ჟამს არ დაივიწყა ისინი და ყველაფერი

მოიმოქმედა, რათა მისი ახლობლები თავისუფალნი და ნამუსაუხ-
დელნი გამოსალმებოდნენ სიცოცხლეს.

ამ ამბავმა ფრიად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა კეთილსა და
კაცთმოყვარე ლუკულუსზე.

19. ამის შემდეგ ლუკულუსი სწრაფად მიადგა ტალავრას[51]; მაგ-
რამ რა გაიგო, მითრიდატეს გაესწრო და უკვე ოთხი დღით ადრე
ტიგრანთან გაქცეულიყო, უკანვე გამობრუნდა. დაიმორჩილა ქალდე-
ველები და ტიბარენები, აიღო მცირე სომხეთი, დაიკავა იქაური ცი-
ხე-სიმაგრეები და ქალაქები და მერმე ტიგრანთან აპიუსი[52] გაგზავნა
წინადადებით: მითრიდატე გადმომეცით; თვითონ კი მიადგა ამისეს,
რომელიც ჯერ კიდევ ალყაშემორტყმული იყო.

ამისეს ხანგრძლივი ალყისა და მისი აუღებლობის მიზეზი გახლ-
დათ ქალაქის სტრატეგოსი კალიმაქე. იგი თავისი გამოცდილებით ნა-
ირ-ნაირ მანქანებს იგონებდა და ქალაქის დასაცავად, რამდენადაც ეს
საალყო პირობებში იყო შესაძლებელი, მეტისმეტად მარჯვე ფან-
დებს მიმართავდა. ამით რომაელებს მრავალ ვნებას აყენებდა, რის
გამოც შემდგომ სასტიკი პასუხი აგო.

ამჯერად ლუკულუსმა აჯობა მას სამხედრო ხერხში და ერთ მშვე-
ნიერ დღეს, სწორედ იმ დროს, როდესაც მეომრები ჩვეულებისამებრ
დასასვენებლად გაჰყავდა ხოლმე, მოულოდნელად იერიშზე გადავი-
და და ქალაქის კედლის მცირე ნაწილი დაიკავა. კალიმაქე გაიქცა;
ოღონდ ქალაქს წინასწარ ცეცხლი წაუკიდა. ეს ან ჯიბრით ჩაიდინა,
რომ რომაელებს აქ სარგებელი ვეღარ ენახათ, ანდა იმიტომ, რომ თა-
ვისი გაქცევა გავადვილებინა.

ასე იყო თუ ისე, გაქცეულ მტერს, რომელმაც ხომალდს მიაშურა
ზღვაში გასასვლელად, ყურადღება არავინ მიაქცია. როგორც კი მო-
ედო ხანძარი და ქალაქის კედლის უმეტესი ნაწილი ცეცხლის ალში
გაეხვია, რომაელი ჯარისკაცები ძარცვა-გლეჯას შეუდგნენ. დასაღუ-
პავად განწირული ქალაქის სიბრალულით ლუკულუსმა გარედან
დახმარების გაწევა სცადა და ბრძანება გასცა ცეცხლი ჩა-
ექროთ, მაგრამ ამაოდ; მას ალარავინ ემორჩილებოდა. გააფთრე-
ბული ჯარისკაცები საშინელი კიჟინითა და იარაღის ჟღარუნით ქა-
ლაქის ქონებას მოითხოვდნენ. ბოლოს და ბოლოს იძულებულმა ლუ-
კულუსმა დაუთმო მათ იმ იმედით, რომ ცეცხლისაგან მაინც გადაარ-
ჩენდა ქალაქს. მაგრამ ჯარისკაცებმა ეს იმედიც გაუცრუეს. ისინი

აბრიალებული ჩირაღდნებით დარბოდნენ და დაეძებდნენ ნადავლს; მათ ყველგან შეჰქონდათ ცეცხლი და მრავალი შენობა გადაწვეს.

გარიჟრაჟზე, შევიდა თუ არა ქალაქში, თვალაცრემლებულმა ლუკულუსმა მეგობრებს უთხრა: „ყოველთვის ბედნიერ კაცად ვთვლიდი სულას, მაგრამ დღევანდელ დღეს ყველაზე უფრო მეტად მაოცებს მისი ბედნიერება. მას უნდოდა გადაერჩინა ათენი და შეძლო კიდევაც ეს. მე მსურდა მიმებაძა მისთვის, მაგრამ რომელიღაც ბოროტმა სულმა მუმიუსის სახელი მარგუნა წილად“ [53].

მიუხედავად ამისა, ლუკულუსი შეეცადა შეძლებისდაგვარად აღორძინებინა ქალაქი. მისი აღების დროს ღვთის წყალობით ბედზე წამოსულმა წვიმამ ხანძარი ჩააქრო.

ამისეში ყოფნის დროს ლუკულუსმა მრავალი დანგრეული შენობა აღადგინა, ლტოლვილი ამისელები ალერსიანად მიიღო და დანარჩენ ბერძნებსაც, რომელთაც კი სურდათ, ქალაქში დასახლების უფლება მისცა და ოცდაოთხი სტადიონი მიწა მიუზომა.

ქალაქი ამისე ათენელთა ახალშენი იყო. იგი დაარსდა იმ ხანებში, როდესაც ათენელების ძლიერებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და როცა ისინი ზღვაზე მბრძანებლობდნენ. აი ეს იყო იმის მიზეზი, რომ ის ათენელები, რომელთაც სურდათ არისტონის ტირანიას გაქცეოდნენ, აქ მოვიდნენ, დასახლდნენ და აქაური მოქალაქეობის უფლება მიიღეს. მაგრამ მას, ვინც შინაურ უბედურებას თავი დააღწია, ახლა უცხოეთში უნდა ეგემა ტანჯვა.

გადარჩენილი ათენელები ლუკულუსმა შესაფერისი ტანსაცმლით შემოსა, თითოეულ მათგანს ორას-ორასი დრაქმა მისცა და უკან, სამშობლოში, გაისტუმრა.

ამისეს აღების ჟამს რომაელებმა ტყვედ ჩაიგდეს გრამატიკოსი ტირანიონი.[54] მურენამ[55] იგი თავისთვის გამოითხოვა და როდესაც ტყვე საკუთარ გამგებლობაში მიიღო, თავისუფლება მიანიჭა. კაცმა რომ თქვას, მურენა ასეთ ბრწყინვალე საჩუქარს კეთილშობილურად როდი მოექცა. ლუკულუსი მეტად უღირს საქციელად მიიჩნევდა, ისეთი სახელგანთქმული სწავლული, როგორც ტირანიონი იყო, ჯერ მონად გაეხადათ და მერმე გაეაზატებინათ. მართლაც, მოჩვენებითი განტევება ტირანიონისათვის ჭეშმარიტი თავისუფლების აღკვეთას ნიშნავდა.

სხვათა შორის, მარტოოდენ ამ შემთხვევით როდი გამოამჟღავნა

მურენამ, რომ თავის უფროსს ბევრად ჩამორჩებოდა კეთილშობილებაში.

20. ახლა ლუკულუსი აზიის სხვა ქალაქებისაკენ გაემართა იმ განზრახვით, რომ საომარ საქმეთაგან მოცლილობის ჟამს ის სამართალი და კანონები დაეწესებინა, რომლებიც ენით გამოუთქმელსა და წარმოუდგენელ უბედურებაში მომწყვდეულ აზიის საგამგებლოს უკვე დიდი ხანია ესაჭიროებოდა.

მოიჯარენი და მევახშენი ძარცვავდნენ ამ მხარეს და მის მოსახლეობას მონებად ხდიდნენ. ცალკეული პირები იძულებული იყვნენ საკუთარი ლამაზი ქალ-ვაჟები გაეყიდათ, ხოლო ქალაქები ტაძრის ქონებას, სურათებსა და წმინდა ქანდაკებებს ჰყიდდნენ, მაგრამ საბოლოოდ თვითონაც განწირულნი იყვნენ და მონობა არ აცდებოდათ. ყველაზე უფრო შემაძრწუნებელი მაინც ის წამება იყო, რასაც იქაურები მონად გახდომამდე განიცდიდნენ. მათ თოკებით სცემდნენ, საპყრობილეებში ჰყრიდნენ, ცხენებით ათრევდნენ, ღია ცის ქვეშ აჩერებდნენ: პაპანაქება სიცხეში მზეზე აყენებდნენ, ხოლო სიცივეში ტალახში ან ყინულზე ჰყრიდნენ. ასე რომ ამ წამებასთან შედარებით ხალხს მონობა მოსვენებად ეჩვენებოდა.

აი ასეთი საშინელება იხილა ლუკულუსმა აზიის ქალაქებში და უსამართლოდ დაჩაგრულები მყისვე დაიხსნა მარწუხებიდან. უწინარეს ყოვლისა, ბრძანება გასცა, თავნის მეასედ ნაწილზე მეტი სარგებელი არ მიერიცხათ; მერმე გააუქმა ყოველი სარგებელი, რომელიც თავნს აღემატებოდა. მესამე ღონისძიება, რაც გაატარა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ის გახლდათ, რომ მევალეს მოვალის შემოსავლიდან მხოლოდ მეოთხედი წილით უნდა ესარგებლა; ის პირი, ვინც თავნს სარგებელსაც მიათვლიდა, ერთსაც და მეორესაც დაკარგავდა.

ამ ღონისძიებათა წყალობით სულ რაღაც ოთხი წლის მანძილზე ხალხმა მთელი ვალები დაფარა; ყადაღიდან დახსნილი ქონება კი პატრონებს დაუბრუნდა.

ვალებში ასეთი საყოველთაო ჩავარდნა იმ ოცი ათასი ტალანტის ბრალი იყო, რომელიც ხარკის სახით სულამ აზიას დაადო. მევალეები გასესხებულს ორმაგად ღებულობდნენ და მათი წყალობით ვალმა სარგებლითურთ ეს ოც ათას ტალანტს მიაღწია.

მევახშეებმა, თითქოს საშინლად დაზარალებულებმა, რომში ყვი-

რილი ატეხეს ლუკულლუსის წინააღმდეგ: უსამართლოდ მოგვექცაო. მათ ფულით მოისყიდეს ზოგიერთი სახალხო ტრიბუნი და ლუკულლუსზე აამხედრეს. ამ მევახშეებს ფრიად დიდი ძალა ჰქონდათ ქალაქში იმის წყალობით, რომ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის საკმაოდ მრავალი მოვალე ჰყავდათ[56].

რაც შეეხება ლუკულლუსს, მას აფასებდნენ და პატივს სცემდნენ არა მარტო ის ხალხები, რომელთაც კეთილი საქმე უყო, არამედ სხვა საგამგებლო პროვინციებიც. ამ პროვინციების მოსახლეობა ბედნიერად თვლიდა იმათ, რომელთაც ასეთი წინამძღოლის ყოლა ერგოთ წილად.

21. ტიგრანთან გაგზავნილი აპიუს კლოდიუსი (იგი, სხვათა შორის, ლუკულლუსის ცოლისძმა გახლდათ) მეფის ეტიკეებმა პირველად ჩრდილოეთისაკენ წაიყვანეს შემოვლითი გზით და ტყუილუბრალოდ ბევრი დრო დააკარგვინეს. მაგრამ როცა ერთმა სირიელმა აზატმა სწორი გზა უჩვენა, სოფიზმივით გრძელსა და დახლართულ გზას თავი მიანება და ბარბაროს ეტიკეებს გამოეთხოვა. რამდენიმე დღის შემდეგ ევფრატზე გადავიდა და ეგრეთ წოდებულ „დაფნესთან მდებარე“ ანტიოქიას მიადგა[57].

აქ ბრძანება მიიღო ტიგრანისათვის დაეცადა, რომელიც მაშინ ფინიკიაში იმყოფებოდა და იქ ზოგიერთ, ჯერ კიდევ დაუმორჩილებელ ქალაქებს იპყრობდა. ტიგრანის მოლოდინში აპიუსმა თავის მხარეზე გადაიბირა მრავალი მთავარი, რომლებიც სომხეთის მეფის მბრძანებლობის ქვეშ იტანჯებოდნენ. მათ შორის იყო გორდიენეს[58] მეფე ზარბიენოსიც. გარდა ამისა, ტიგრანის მიერ დამონებულმა ბევრმა ქალაქმა აპიუსთან ფარულად გამოგზავნა ელჩები. აპიუსმა მათ ლუკულლუსის სახელით შემწეობა აღუთქვა და სთხოვა ჯერჯერობით სიმშვიდე დაეცვათ.

სომხეთის მბრძანებლობა ბერძნებისათვის, მაგალითად, აუტანლად მძიმე იყო. საოცარი წარმატებებით ფრთაშესხმული მეფე ტიგრანი ნამეტნავად ზვიადი გახდა. მას ეგონა, ყველაფერი ის, რაც ხალხის მისწრაფებისა და გაოცების საგანს წარმოადგენდა, არათუ მას ეკუთვნოდა, არამედ მარტოოდენ მისთვის იყო შექმნილი.

დასაწყისში ტიგრანის ზრახვანი და შესაძლებლობანი უმნიშვნელო იყო. მაგრამ მერმე მრავალი ხალხი დაიმორჩილა და პართების ძლიერება ისე დააკნინა, რაც მანამდე ვერავინ შესძლო. მესოპოტა-

მია ტიგრანმა ბერძნებით აავსო. ისინი იძულებით გადმოასახლა აქ კილიკიიდან და კაპადოკიიდან. ასევე წამოიყვანა სამშობლოდან მომთაბარე არაბები[59] და თავისი დედაქალაქის მახლობლად დაასახლა. უნდოდა ეს ხალხი სავაჭრო საქმეებში გამოეყენებინა.

ტიგრანის გარშემო თავმოყრილი იყო მრავალი მეფე, რომლებიც ემსახურებოდნენ. ოთხი მეფე მაინც, პირისფარეშთა და პირად მცველთა მსგავსად, მუდამ თან ახლდა. თუ ტიგრანი სადმე ცხენით მიდიოდა, ეს მეფეები მოკლე კაბებით ქვეითად მისდევდნენ უკან, ხოლო როცა იჯდა და ვინმესთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, გულხელდაკრეფილნი გაუნძრევლად ედგნენ გვერდით. ეს მათ აშკარა მონობას გამოხატავდა. ისინი, ასე ვთქვათ, ხელს იღებდნენ თავისუფლებაზე და საკუთარ თავს ყოველგვარი წინააღმდეგობის ვარეშე მბრძანებელს უმორჩილებდნენ.

ამ სანახაობამ ვერც შეაშინა და ვერც გააკვირვა აპიუსი. მან ტიგრანს შეხვედრისთანავე პირდაპირ აუწყა თავისი მოსვლის მიზანი: მითრიდატე უნდა წავიყვანო, ვინაიდან იგი ლუკულუსის ტრიუმფის დროს უნდა გაატარონ როგორც ტყვე; წინააღმდეგ შემთხვევაში კი დავალებული მაქვს ომი გამოგიცხადოო.

ტიგრანი თუმცა ცდილობდა მხიარული და მომღიმარი სახე მიეღო და ისე შოესმინა აპიუსის სიტყვები, ყველამ შეამჩნია მის სახეზე აღბეჭდილი აღშფოთება, რაც ახალგაზრდა კაცის პირდაპირმა ლაპარაკმა გამოიწვია: ასეთი თამამი სიტყვები მან თითქმის პირველად მოისმინა თავისი მეფობის, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ძალადობის ოცდახუთი წლის მანძილზე.

ტიგრანმა აპიუსს უპასუხა: მითრიდატეს არ გავცემ, მაგრამ თუ რომაელები ომს დამიწყებენ, თავს დავიცავო.

ლუკულუსზე გამწყრალმა ტიგრანმა, ვინაიდან თავის წერილში უბრალოდ „მეფე“ უწოდა მას და არა „მეფეთა მეფე“, საპასუხო ბარათში იგი იმპერატორად არ მოიხსენია.

აპიუსს ტიგრანმა საუცხოო საჩუქრები მიართვა. აპიუსმა არ მიიღო. მაშინ სომეხთა მეფემ ამ საჩუქრებს კიდევ მიუმატა სხვა რამეებიც და ისე გაუგზავნა. აპიუსს როდი უნდოდა ეფიქრათ, რომ იგი ტიგრანის მტრობის გამო ამბობდა უარს ნაბოძვარზე, ამიტომ ერთი ფიალა აიღო, დანარჩენი საჩუქრები კი ისევ უკან დაუბრუნა ტიგრანს და სასწრაფოდ თავის სარდლისკენ გაემართა.

22. აქამდე ტიგრანი არც ნახვისა და არც მასთან საუბრის დირსად თვლიდა მითრიდატეს, თუმცაღა მისი ახლობელი კაცი იყო და თანაც ესოდენ დიდი სამეფო ჰქონდა დაკარგული. ტიგრანი მას ფრიად უპატივცემლოდ და ამპარტავნულად მოექცა და თითქოს ტყვე ყოფილიყო, მოშორებით ერთი ჭაობიანი, მავნე ადგილი მიუჩინა სამყოფად. მაგრამ ახლა, აპიუსის ელჩობის შემდეგ, დიდი პატივითა და მოწიწებით მიიწვია სასახლის კარზე.

სასახლეში გამართულ საიდუმლო თათბირზე, ახლობელ პირთა საუბედურად, ტიგრანმა და მითრიდატემ ურთიერთ შორის არსებულ ეჭვსა და უნდობლობას ბოლო მოუღეს და ყველაფერი ახლობლებს გადააბრალეს.

ამ ბრალდებულთა რიცხვში იყო ნიჭიერი ორატორი და დიდი სწავლული მეტროდორე სკეფსისელი, რომელსაც ისეთი მეგობრობა ჰქონდა მითრიდატესთან, რომ მეტსახელად „მეფის მამას“ ეძახდნენ. ერთხელ თურმე მითრიდატემ რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების სათხოვრად იგი ტიგრანთან გაგზავნა. ტიგრანმა, როგორც ამბობენ, მეტროდორეს ჰკითხა: „შენ თვითონ რას მირჩევ ამ შემთხვევაშიო?“ მეტროდორემ, ან ტიგრანის სასარგებლოდ, ანდა, შეიძლება იმიტომ, რომ მითრიდატეს გადარჩენა არ უნდოდა, სომეხთა მეფეს ასე უპასუხა: „ვითარცა ელჩი გთხოვ დაეხმარო მითრიდატეს, ხოლო ვითარცა მრჩეველი გირჩევ უარი შეუთვალოო“.

ეს ამბავი ტიგრანმა მითრიდატეს გადასცა და თან დაუმატა: იმედი მაქვს ამისათვის ცუდს არაფერს შეამთხვევ მეტროდორესო. მიუხედავად ამისა, მეტროდორე მითრიდატეს ბრძანებით მყისვე მოკლეს. ტიგრანმა ბევრი ინანა; მაგრამ ამ კაცის უბედურების მიზეზი მთლად იგი არ ყოფილა. მან, ასე ვთქვათ, უკანასკნელი ბიძგი მისცა მეტროდორეს მოძულე მითრიდატე მეფის უკეთურ ზრახვებს.

მითრიდატე უკვე კარგა ხანია ფარულად მტრობდა მას. ეს ამბავი გამომეღვიძა მითრიდატეს საიდუმლო ბარათებით, რომლებიც რომაელებმა ჩაიგდეს ხელთ. ამ ბარათებში იპოვეს ბრძანება მეტროდორეს სიკვდილით დასჯაზე.

მეტროდორე დიდი პატივით დაკრძალა ტიგრანმა და იმ კაცის გვამის გასაპატიოსნებლად, რომელიც სიცოცხლეში ვერაგულად გასცა, არაფერი არ დაზოგა.

ტიგრანის კარზე გამოესალმა სიცოცხლეს რიტორი ამფიკრატეც.

იგი ათენელი იყო. და ღირსია მოვიხსენიოთ აქ. როგორც გადმოგვცემენ, ამფიკრატე სამშობლოდან ტიგროსთან მდებარე სელევკიაში გაიქცა[60]. როცა აქ სთხოვეს, ხალხისათვის მჭევრმეტყველება ესწავლებინა, მან ათვალწუნებითა და კვეხნით განაცხადა: „გეჯა დელფინს ვერ დაიტევსო“[61]. აქედან იგი მითრიდატეს ასულსა და ტიგრანის მეუღლე კლეოპატრასთან გაემართა. მაგრამ აქ მალე რაღაც ცილი დასწამეს და ბერძნებთან ურთიერთობა აუკრძალეს. ამის გამო შიმშილით მოიკლა თავი. კლეოპატრამ იგიც დიდი პატივით მიაბარა მიწას. მისი გვამი ეგრეთ წოდებულ დაბა საფას მახლობლად განისვენებს.

23. ლუკულუსმა, რომელმაც აზიაში სრული სამართლიანობა და მშვიდობა დაამყარა, არც სიამოვნება და გართობა დაივიწყა. ეფესოში ყოფნის ჟამს იგი საუცხოო ზეიმებს, გამარჯვებისადმი მიძღვნილ დღესასწაულებს, ათლეტთა და გლადიატორთა შეჯიბრებებს აწყობდა. მან ამით მეტისმეტად მოხიბლა მოსახლეობა. აზიის მადლიერმა ქალაქებმა, თავის მხრივ, მის პატივსაცემად „ლუკულუსის დღეობა“ დააწესეს და რომაელ სარდალს ჭეშმარიტი ერთგულება აღუთქვეს, რომელიც ყველა პატივისცემაზე ძვირფასი საჩუქარია.

დაბრუნდა თუ არა აპიუსი, ტიგრანთან ომის დაწყება გადაწყვიტეს. ლუკულუსი მხედრობით კვლავ პონტოს მიადგა და ალყა შემოარტყა სინოპს[62], ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, მეფის მომხრე კილიკიელებს, რომელთაც ეს ქალაქი ეკავათ. კილიკიელებმა მრავალი სინოპელი გაჟლიტეს, ქალაქი ცეცხლს მისცეს და ღამით იქიდან გაიქცნენ.

როცა ლუკულუსმა ეს გაიგო, ქალაქში შეიჭრა, იქ დარჩენილი რვა ათასი კილიკიელი ააკუწინა და ადგილობრივ მოსახლეობას თავისი ქონება დაუბრუნა. გარდა ამისა ქალაქზეც დაიწყო ზრუნვა. ამის მიზეზი სიზმარი გახლდათ. ლუკულუსს ეზმანა, თითქოს ვიღაც თავთან დაუდგა და უთხრა: „ცოტა წინ წამოიწიე, ლუკულუსო; აქ ავტოლიკე მოვიდა და შენთან საუბარი სურს“.

ლუკულუსმა გაიღვიძა, მაგრამ ვერ გარკვეულიყო, თუ რას ნიშნავდა სიზმარი. იმ დღეს მან ქალაქი აიღო და კილიკიელთა დევნის დროს, რომლებიც ხომალდებისაკენ გარბოდნენ, ზღვის ნაპირზე დაგდებული ერთი ქანდაკება დაინახა. იგი კილიკიელებს წამოეღოთ ქალაქიდან, მაგრამ ხომალდზე ატანა ვეღარ მოასწრეს. ეს ქანდაკება სთენისის[63] ერთ-ერთი ულამაზესი ნაწარმოები იყო. ლუკულუსს ვიღაცამ უთხრა, რომ ეს სინოპის დამფუძნებელ ავტოლიკეს ქანდაკება

არისო. გადმოცემის თანახმად, ავტოლიკე დეიმაქეს ძე ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომლებიც თესალიიდან წამოვიდნენ და ჰერაკლესთან ერთად ამაძონების წინააღმდეგ იბრძოდნენ. როცა ავტოლიკე ამ ლაშქრობიდან ზღვით სამშობლოში ბრუნდებოდა დემოლეონტისა და ფლოგიოსის თანხლებით, ხერონესოსის მახლობლად მდებარე ეგრეთ წოდებულ პედალიონთან ხომალდი დაეღუპა. თვითონ კი, თავისი იარაღებით და მეგობრებით, გადარჩა და სინოპს მიადგა. მან ეს ქალაქი სირიელებს წაართვა. სინოპი მაშინ, როგორც ამბობენ, აპოლონის და ასოპოსის ასულ სინოპეს ძის სირთოსის ნაშიერ სარდლებს ეკავათ [64].

როცა ლუკულუსმა ეს გაიგო, მყისვე გაახსენდა სულას დარიგება. თავის „მოგონებებში“ სულა ამბობს, არაფერი არ უნდა ჩათვალოს კაცმა ისე სანდოდ და ისე ჭეშმარიტად, როგორც ის, რაც სიზმრად გამოგვეცხადება ხოლმეო.

როცა ლუკულუსმა შეიტყო, მითრიდატე და ტიგრანი მზად არიან აზიაში შესაჭრელად და ლიკაონიისა და კილიკიის მხარეებში მხედრობის გადასაყვანადო, მეტისმეტად გაუკვირდა. მას აოცებდა ის ამბავი, რომ სომეხთა მეფემ, რომელსაც რომაელთაგან ომის დაწყება ჰქონდა განზრახული, არ გამოიყენა მითრიდატე მისი ძლევამოსილების ხანაში და მის დიდ ძალებს თავისი არ შეუერთა. ახლა კი, როცა მითრიდატეს ყველაფერი–დააკარგვინა და განადგურებამდე მიიყვანა, ფრიად უმწეო იმედებით მოინდომა ომის დაწყება და თავს საფრთხეში იგდებდა იმათთან ერთად, რომელთაც ფეხზე წამოდგომა აღარ შეეძლოთ [65].

24. მითრიდატეს შვილმა მახარემ [66], რომელსაც ბოსფორის სამეფო ეკავა, ლუკულუსს ათას ოქროდ ღირებული გვირგვინი გამოუგზავნა და სთხოვა, რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ მიეღო. ამის საფუძველზე ლუკულუსმა იფიქრა, პირველი ომი უკვე დამთავრდაო. პონტოს სანაპიროთა დასაცავად აქ ექვსიათასიანი მხედრობით სორნაციუსი დატოვა, თვითონ კი თორმეტი ათასი ქვეითი და სულ ცოტა სამი ათასი ცხენოსანი ჯარისკაცით კვლავ საომრად დაიძრა. იგი, როგორც ჩანდა, რაღაც დიდი, უგუნური გაბედაობით წაქეზებული თამამად მიემართებოდა იმ მეომარ ტომთა წინააღმდეგ, რომელთაც მრავალი ათასი ცხენოსანი ჰყავდათ და ღრმა მდინარეებით დასერილი და მარადიული თოვლით დაფარული მთე-

ბით გარშემორტყმული უსაზღვრო მიწა-წყალი ეკავათ. ჯარისკაცები როძლვებიც ისედაც არ იცავდნენ ხოლმე წესრიგს, ახლა ფრიად უხალისოდ მიჰყვებოდნენ ლუკულუსს და აშკარად გამოხატავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას. დემაგოგებმა რომში ყვირილი ატეხეს. ისინი ამბობდნენ: ლუკულუსმა ერთ ომს მეორე მიაყოლა მაშინ, როცა სახელმწიფოს ეს სრულებით არ სჭირდებაო. იგი მხოლოდ იმიტომ იქცევა ასე, რომ მთავარსარდლის სახელი შეინარჩუნოს, იარაღს არ ჰყრის და ქვეყნის განსაცდელის ფასად პირად გამდიდრებაზე ზრუნავსო.

დემაგოგებმა ბოლოს და ბოლოს თავიანთ მიზანს მიაღწიეს; მაგრამ ეს შემდეგ მოხდა.

ლუკულუსი დიდი სისწრაფით მიიწევდა წინ და ევფრატს მიადგა. როცა ეს მდინარე იქაური ზამთრის წვიმების შედეგად ადიდებული და ამღვრეული დაინახა, შეწუხდა. ეგონა, აქ ნავების მოსაგროვებლად და ტივების შესაკვრელად დიდი შრომა და დრო დასჭირდებოდა. მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, საღამო ჟამს წყლის დონემ საგრძნობლად დაიწია, ღამით სულ შემცირდა, ხოლო გარიჟრაჟზე მდინარე თვალნათლივ მთლიანად ჩაჯდა კალაპოტში. როცა იქაურმა მკვიდრებმა მდინარეში, ფონის მთელ სიგრძეზე პატარ-პატარა, ახლად ამოზიდული კუნძულები დაინახეს, რომელთა ირგვლივ წყალი უმოძრაოდ იდგა, ლუკულუსის წინ პირქვე დაემხნენ. ასეთი რამ უწინ ფრიად იშვიათად ხდებოდა. იქაურებმა იფიქრეს, მდინარე ლუკულუსის მონა-მორჩილი ყოფილა, მას ემსახურება და ადვილი გადასვლის საშუალებას აძლევსო.

ისარგებლა რა ამ შემთხვევით, ლუკულუსმა ჯარი მდინარეზე გადაიყვანა. ამ დროს კარგის მომასწავებელი ნიშანი იხილა. იქ, მდინარის ნაპირებზე, ბალახობდნენ სპარსელ არტემიდესადმი შეწირული ძროხები. ევფრატის გაღმა ნაპირზე მცხოვრები ბარბაროსები ყველაზე უფრო დიდ თაყვანს ღმერთთაგან ამ ღმერთქალს სცემდნენ. იმ ძროხებს მხოლოდ და მხოლოდ მსხვერპლშეწირვისათვის იყენებდნენ. ასე რომ, ეს ძროხები, რომელთაც დაღად ღმერთქალის ნიშანი — ჩირაღდანი ესვათ, თავისუფლად დანავარდობდნენ იმ მხარეში. საჭიროების დროს ასეთი ძროხის დაჭერა ადვილი საქმე როდია.

და აი, როცა ლუკულუსის მხედრობა ევფრატზე გადავიდა, ერთ-ერთი ძროხა ნახირს გამოეყო, ღმერთქალისადმი შეწირულ ერთ წმინ-

და ლოდთან მივიდა, შედგა ზედ, ჩაქინდრა თავი, თითქოს თოკით ჩამოქაჩესო, და ლუკულუსს შესაწირველად დამორჩილდა.

გარდა ამისა, წყალზე მშვიდობით გადასვლის აღსანიშნავად ლუკულუსმა ერთი ხარი მდინარე ევფრატსაც შესწირა.

იმ დღეს მან იქ დაისვენა, ხოლო მეორე დღეს თუ მომდევნო დღეებში სულ სოფენეზე[67] გავლით მიემართებოდა. მოსახლეობას, რომელიც ეგებებოდა და მის მხედრობას გულითადად ღებულობდა, ცუდი არაფერი შემთხვევია, ის კი არა, როცა ჯარისკაცებმა ერთი იქაური ციხე-სიმაგრის აღება მოისურვეს, სადაც მათი ფიქრით დიდძალი ქონება უნდა ყოფილიყო, ლუკულუსმა ხელი საკმაოდ შორს მდებარე ტავროსის მთებისაკენ გაიშვირა და მეომრებს უთხრა: „ჯერ ის ციხე-სიმაგრე უნდა ავიღოთ; დანარჩენი ისედაც გამარჯვებულთა ხვედრიაო“.

ლუკულუსმა კვლავ სწრაფი ნაბიჯით გასწია წინ, გადალახა ტიგროსი და სომხეთში შეიჭრა.

25. პირველსავე მაცნეს, რომელმაც ტიგრანს ლუკულუსის მოახლოება აუწყა, ჯილდოს ნაცვლად თავი მოჰკვეთეს. ამის შემდეგ ლუკულუსის მოახლოებაზე სიტყვას ვერავინ სძრავდა. ტიგრანმა არც კი იცოდა, რომ უკვე გარს ომის ცეცხლი ჰქონდა შემონთებული, იგი მშვიდად იჯდა და მლიქვნელთა ლაპარაკს უსმენდა. ისინი ამბობდნენ: ლუკულუსი მართლა დიდ სარდლად ჩაითვლება, თუკი ტიგრანს ეფესოში მოუცდის და მაშინვე არ გაიქცევა აზიიდან, როცა სომხეთის უზარმაზარ მხედრობას დაინახავსო.

როგორც ყველა სხეულს არ შეუძლია ბევრი შუმი ღვინის ატანა, ისე ყველა ადამიანს არ შეუძლია ჭკუა-გონების შენარჩუნება დიდი ბედნიერების ჟამს.

ახლო მეგობართაგან მარტოოდენ მითრობარძანემ გაბედა პირველად სიმართლე ეთქვა ტიგრანისათვის. ასეთი სითამამის სანაცვლოდ საკმაოდ ცუდი საჩუქარი მიიღო. იგი მყისვე გაგზავნეს ლუკულუსის წინააღმდეგ სამი ათასი ცხენოსნითა და დიდძალი ქვეითი ჯარისკაცით და უბრძანეს ცოცხლად მოეყვანა რომაელთა სარდალი, ხოლო ყველა დანარჩენი შეუბრალებლად გაეჟლიტა.

ლუკულუსის მხედრობის ნაწილი ამ დროს უკვე ადგილზე იყო დაბანაკებული; დანარჩენი კი ჯერ კიდევ გზაში იმყოფებოდა და თანდათან ახლოვდებოდა. როცა მზვერავებმა ლუკულუსს აუწყეს, ჩვენ-

ვენ ბარბაროსი მოდისო, შეშინდა. არ უნდოდა მტერი მის შუაზე გაყოფილსა და ბრძოლისათვის დაუწყობელ მხედრობას დასხმოდა თავს და მის რიგებში ჩოჩქოლი შეეტანა.

ლუკულუსმა ჯარის დაბანაკება განაგრძო, ხოლო მტრის წინააღმდეგ ექვსი ათასი ცხენოსნითა და ოდნავ მეტრიცხვოვანი მძიმედ და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითებით, ლეგატი სექსტილიუსი გაგზავნა: უბრძანა ახლოს მისულიყო მტერთან და მანამ მოეცადა, ვინემ არ შეიტყობდა, რომაელთა ჯარი მთლიანად დაბანაკდაო.

სექსტილიუსი მზად იყო მთავარსარდლის ბრძანება შეესრულებინა, მაგრამ მითრობარძანე მამაცურად ეკვეთა მას და ისიც იძულებული გახდა ბრძოლაში ჩაბმულიყო.

ამ ბრძოლაში მითრობარძანე დაეცა, მისი მეომრები უკუიქცნენ, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა რომაელებმა ყველა გაჟლიტეს.

მაშინ ტიგრანმა მიატოვა მის მიერ აგებული დიდი ქალაქი ტიგრანოკერტა[68], დაიხია ტავროსისაკენ და იქ მთელი თავისი ძალების თავმოყრა დაიწყო. ლუკულუსმა, რომელიც ტიგრანს მომზადებისათვის დროს არ აძლევდა, მურენა გაგზავნა დევალებით, მოსვენება არ მიეცა და გზა გადაეჭრა იმ ძალებისათვის, რომლებიც ტიგრანის გარშემო იკრიბებოდნენ, სექსტილიუსს კი უბრძანა უკუეგდო მეფის დასახმარებლად მიმავალ არაბთა უშველებელი ურდო.

სექსტილიუსი ანაზდეულად დაესხა თავს არაბებს, რომლებიც ისის იყო ბანაკს სცემდნენ და მათი უმრავლესობა შემუსრა. მურენა კი ფეხდაფეხ მისდევდა ტიგრანს, რომელიც დიდი მხედრობისათვის ვიწრო და გაუვალი ხეობით მიემართებოდა. აქ მურენამ იხელთა მარჯვე დრო და სომხეთის მეფეზე იერიში მიიტანა.

ტიგრანმა მიატოვა მთელი თავისი აღალი და გაიქცა. ამ ბრძოლაში ბევრი სომეხი დაეცა, უფრო მეტი კი ტყვედ ჩავარდა.

26. ლუკულუსმა რომ თავისიანების წარმატება დაინახა, მხედრობა ტიგრანოკერტასკენ დაძრა, იქ დაბანაკდა და ქალაქს ალყა შემოარტყა.

ტიგრანოკერტაში კილიკიიდან გადმოსახლებული მრავალი ბერძენი ცხოვრობდა. აქვე იყვნენ ბერძენთა მსგავსად ძალით გადმოსახლებული ბარბაროსებიც: ადიაბენელები[69], ასირიელები, გორდიენელები და კაპადოკიელები. ტიგრანმა მათი სამშობლო ადგილები მი-

წასთან გაასწორა, ხოლო ისინი აიძულა აქ, ტიგრანოკერტაში დასახლებულიყვნენ.

ქალაქი ტიგრანოკერტა სავსე იყო დიდძალი განძითა და საუცხოო ძეგლებით. როგორც უბრალო, ისე წარჩინებული მოქალაქე თავგამოდებით ეჯიბრებოდა მეფეს ქალაქის გაზრდასა და გამშვენიერებაში.

აი, ლუკულუსმაც ამის გამო უფრო მეტად გააძლიერა ალყა. იგი დარწმუნებული იყო, ტიგრანი ამას ვერ აიტანდა, რისხვა აზრს შეაცვლევინებდა და ბრძოლის გასაჩაღებლად უკან დაბრუნდებოდა. ლუკულუსი არც შემცდარა.

მითრიდატე წამდაუწუმ შიკრიკებსა და წერილებს უგზავნიდა ტიგრანს და ურჩევდა ბრძოლაში არ ჩაბმულიყო, მხოლოდ ცხენოსანი ჯარით მტრისათვის სურსათის მისაზიდი გზები გადაეჭრა. ასევე დაჟინებით სთხოვდა მეფეს გაფრთხილებულიყო და რომაელთა დაუძლეველ იარაღს გაქცეოდა მასთან მითრიდატეს მიერ მიგზავნილი ტაქსილე, რომელიც ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე გახლდათ [70].

პირველ ხანებში ტიგრანი მათ გულდასმით უსმენდა, მაგრამ როცა მასთან სომეხთა და გორდიენელთა მთელი მხედრობა მივიდა, როცა უკლებლივ გამოცხადდა მიდიელთა და ადიაბენელთა ლაშქარი თავ-თავიანთი მეფეების წინამძღოლობით, როცა მოზღვავდნენ ბაბილონის ზღვის[71] სანაპიროდან წამოსულ არაბთა უთვალავი ურდოები, კასპიის ზღვის მხრიდან დაძრული მრავალრიცხოვანი ალბანები და ალბანების მეზობლად მცხოვრები იბერები და არაქსის [72] სანაპიროებზე მოსახლე თავისუფალ ტომთა საკმაოდ დიდი ჯარები, რომლებიც ტიგრანის ალერსიანმა თხოვნამ და უხვმა საჩუქრებმა მოიზიდეს, მაშინ მეფის სუფრასა თუ საბჭოზე იმედითა და გამბედაობით აღსავსე ხმები და რომაელთა მისამართით ბარბაროსული მუქარა გაისმა.

ტაქსილემ, რომელიც ბრძოლის დაწყების წინააღმდეგი იყო, კინაღამ თავი არ დაკარგა. ტიგრანს ეშვი ჰქონდა, რომ მითრიდატე შურის გამო ცდილობდა აეცდინა იგი ბრძოლიდან, რომელიც დიდი წარმატების მიღწევას უქადდა.

ამის გამო ტიგრანმა მითრიდატეს აღარ დაუცადა. არ უნდოდა მითრიდატესაც ჰქონოდა წილი დიდ გამარჯვებაში და მთელი თავისი მხედრობით რომაელთა წინააღმდეგ გაემართა. როგორც ამბობენ, მა-

შინ კიდეც შესჩივლა თურმე მეომრებს, რომ მისდა სამწუხაროდ ბრძოლა მოუწევს მარტოოდენ ლუკულუსთან და არა რომაელთა ყველა სარდალთან.

ტიგრანის გამბედაობა, სხვათა შორის, სრულიადაც არ იყო უგუნური და უაზრო: სომხეთის მეფე ხედავდა, რომ მას უკან მიჰყვებოდნენ აურაცხელი ტომები, მრავალი მეფე და დიდძალი ქვეითი თუ ცხენოსანი ჯარი. მას საბრძოლოდ მიჰყავდა ოცი ათასი მშვილდოსანი და მეშურდულე, ორმოცდათხუთმეტი ათასი მხედარი, აქედან ჩვიდმეტი ათასი — როგორც ლუკულუსი სენატს სწერდა — აბჯარში იყო ჩამჯდარი და კიდევ — ეს ორმოცდაათი ათასი კოჰორტებად და ფალანგებად დაწყობილი მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი. გარდა ამისა, ტიგრანის ლაშქარში ირიცხებოდა ოცდათხუთმეტ ათასამდე გზისა და ხიდის მკეთებელი, მდინარეთა ფონის გამწმენდი, ტყის მკაფავი და სხვა სამუშაოთა შემსრულებელი კაცი. ისინი ზურგში უდგნენ მებრძოლებს და მთელი ჯარის გარეგნულ იერს ძალას ჰმატებდნენ.

27. აი, ყველა ამ ძალებითურთ ტიგრანმა ტავროსი გადალახა და ტიგრანოკერტა რომაელთა ჯარით ალყაშემორტყმული დაინახა. ქალაქში მყოფი ბარბაროსები ტიგრანის გამოჩენას სიხარულის ყიჟინითა და ტაშისცემით შეხვდნენ. ისინი რომაელებს ემუქრებოდნენ და ქალაქის კედლებიდან სომხეთის მხედრობაზე უთითებდნენ.

ლუკულუსმა მომავალი ბრძოლის თაობაზე თათბირი გამართა. ზოგიერთი ურჩევდა მოეხსნა ალყა და ტიგრანის წინააღმდეგ დაეძრა ჯარი, ზოგიერთი კი შეუძლებლად თვლიდა ზურგში ამდენი მტრის დატოვებასა და ალყის მოხსნას. ლუკულუსმა განაცხადა, ცალ-ცალკე არც ერთი რჩევა არ ვარგა, მაგრამ ორივე ერთად ჭკვიანურიაო, და თავისი მხედრობა ორ ნაწილად გაჰყო. მურენა ექვსი ათასი ქვეითი ჯარისკაცით ქალაქის საალყოდ დატოვა, თვითონ კი თან წაიყვანა ოცდაოთხი კოჰორტი, რომლებიც ათი ათასამდე მძიმედ შეიარაღებულ ქვეით მეომარს მოითვლიდნენ, მთელი ცხენოსანი ჯარი, დაახლოებით ათას კაცამდე მეშურდულე და მშვილდოსანი, და მტრისკენ გაეშურა. იგი ერთ ვრცელ მინდორში მდინარის გაყოლებაზე დაბანაკდა.

ლუკულუსის მხედრობა ფრიად უმნიშვნელო მოეჩვენა ტიგრანს, მლიქვნელებს კი ქილიკობის საბაბი მიეცათ. ერთნი დასცინოდნენ

ლუკულლუსს, მეორენი კი მომავალი ნადავლის გასაყოფად უკვე წინასწარ ჰყრიდნენ წილს. ყოველი სარდალი და პატარა მეფე ცალ-ცალკე ეხვეწებოდა ტიგრანს: მაგ საქმის მოსაგვარებლად მარტო მე გამიშვი, შენ კი მშვიდად იჯექი და უცქირეო. ტიგრანმა მხიარული გუნებისა და ენამახვილობის გამომჟღავნების სურვილით ცნობილი სიტყვები წარმოთქვა: „თუ ეს რომაელები ელჩებად მოვიდნენ აქ, მეტისმეტად ბევრნი არიან, თუ ჯარისკაცებად — ფრიად მცირენიო“.

აი, ასე ლუკულლუსის დაცინვასა და ქილიკობაში გაატარეს ის დღე ტიგრანმა და მისმა ამალამ.

ვარიჟრაჟზე ლუკულლუსმა იარაღასხმული გამოიყვანა თავისი მხედრობა. ბარბაროსთა ჯარი მდინარის აღმოსავლეთით იყო დაბანაკებული. რაკი მდინარე დასავლეთის მიმართულებით უხვევდა, სადაც ყველაზე უფრო ადვილი იყო მასზე გადასვლა, ლუკულლუსმაც ჯარი იქითკენ წაიყვანა. ეს მეტად სწრაფად გააკეთა. ტიგრანს კი ეგონა, ლუკულლუსმა უკან დაიხიაო. მან დაუძახა ტაქსილეს და სიცილით უთხრა: „ვერ ხედავ, როგორ გარბიან რომაელთა უძლეველი ჯარისკაცები?“. „მეფეო, — უპასუხა ტაქსილემ, — მე ძალიან მინდა შენდა საბედნიეროდ რამე სასწაული მოხდეს; მაგრამ რომაელი მეომრები, როცა ისინი გზად მიდიან, ძვირფას ტანსაცმელს არ იცვამენ, არც ასე ახურავთ მუზარადები და იარაღიც, როგორც აი ახლა, ასე როდი აქვთ ტყავის ბუდიდან ამოწვდილი. მათი ბრწყინვალე იერი იმას ამტკიცებს, რომ ისინი ბრძოლისათვის არიან მზად და უკვე იერიშზე მოდიანო“.

ტაქსილეს ტიგრანთან საუბარი ჯერ არც დაემთავრებინა, რომ ლუკულლუსის პირველი ლეგიონი ყველასათვის აშკარად შემობრუნდა. მდინარეზე გადასასვლელად კოჰორტებიც ცალ-ცალკე რაზმებად დაიყო. ტიგრანი თითქოს ახლაღა გამოფხიზლდა და ორჯერ თუ სამჯერ შეჰყვირა: „ნუთუ ჩვენ წინააღმდეგ მოდიან რომაელები?!“ მისმა ურდომ დიდი ალიაქოთით დაიწყო საბრძოლოდ დარაზმვა.

შუა ადგილი მეფემ დაიკავა, მარცხენა ფრთის წინამძღოლობა ადიაბენელთა მთავარს მისცა, ხოლო მარჯვენაზე მიდიელთა მეფე დაიყენა. მარჯვენა ფრთის წინა ხაზზე აბჯარში ჩამსხდარ მხედართა დიდი ნაწილი ჩამწკრივდა.

ის-ის იყო ლუკულლუსმა მდინარეზე გადასვლა დააპირა, რომ ზოგიერთმა მისმა ხელქვეითმა ურჩია გაფრთხილებოდა დღეგანდელ

დღეს, ერთ-ერთ იმ კვიმატ დღეთაგანს, რომელთაც „ნავს დღეებს“ ეძახიან: სწორედ ამ დღეს კიმბრებთან ბრძოლაში დაიღუპა ცეპიონის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი რომაელთა მხედრობა[73]. ლუკულუსმა მათ ცნობილი სიტყვებით უპასუხა: „რომაელებისათვის მე ამ დღესაც ბედნიერ დღედ ვაქცევო“. ეს იყო ოქტომბრის ნონების წინადღე.

28. თქვა თუ არა ეს, ლუკულუსმა თავისიანებს გაამხნევა, მდინარეზე გადავიდა და პირველი დაიძრა მტრის წინააღმდეგ. მას თვალისმომჭრელად ელვარე ქიცვიანი რკინის აბჯარი ეცვა, რომელზედაც ფოჩებიანი სამხედრო წამოსასხამი ჰქონდა წამოგდებული. ხელში ლუკულუსს ქარქაშიდან ამოწვდილი ხმალი ეჭირა და ზევით სწვდა იმის ნიშნად, რომ საჭირო იყო დაუყოვნებლივ ჰკვეთებოდნენ მტრის მშვილდოსნებს. რომლებიც სეტყვასავით აყრიდნენ რომაელებს ისრებს, და სწრაფი იერიშით მათთვის ისრის სატყორცნი მანძილი წაერთმიათ.

მალე მან დაინახა თავით ფეხამდე აბჯარში ჩამჯდარი ცხენოსანი ჯარი, რომელზედაც მტერი დიდ იმედებს ამყარებდა. ამ ჯარს დაეკავებინა ერთი განიერი გორაკი. მასზე ასასვლელად მოწინააღმდეგეს სულ რაღაც ოთხი სტადიონის გავლა დასჭირდებოდა, თანაც გზა სრულიადაც არ იყო დამრეცი და ძნელი სავალი. ლუკულუსმა მის განკარგულებაში მყოფ თრაკიელ და გალატელ მხედრებს უბრძანა გვერდიდან შემოევლოთ გორაკისათვის, დასხმოდნენ თავს მტრის ცხენოსნებს და მათი შუბები ხმლის დაკვრით მოეგერებინათ. ერთადერთი ძალა აბჯარში ჩამსხდარი ცხენოსნებისათვის შუბი არის. ასეთი ჯარი, მძიმე და უხეში საჭურველის გამო, მეტად ზანტად მოძრაობს და შუბის გარდა სხვა იარაღით ვერც საკუთარ თავს დაიცავს, ვერც მტერს მიაყენებს ვნებას.

თვითონ ლუკულუსი ორი კოჰორტით გორაკის დასაკავებლად გაეშურა. ჯარისკაცები მამაცურად მისდევდნენ უკან. ისინი ხედავდნენ, იარაღასხმული წინამძღოლი ყველაზე წინ მიდიოდა ქვეითად, არ ერიდებოდა განსაცდელს და თავგამოდებით მიიწევდა გორაკისაკენ.

ავიდა თუ არა გორაკზე, ლუკულუსი ერთ საჩინო ადგილზე დადგა და მთელი ძალ-ღონით შეჰყვირა: „ჩვენ გავიმარჯვეთ, მეგობრებო, ჩვენ გავიმარჯვეთ!“ ამ სიტყვებით ჯარი მტრის აბჯარში ჩამჯდარ მხედრობისაკენ დაძრა და ჯარისკაცებს უბრძანა, ოროლები აღარ ეხ-

მარათ, ყოველ მათგანს ხელში ხმალი მოემარჯვებინა და მტრისათვის ფეხებსა და თეძოებზე დაეცხოთ, ვინაიდან აბჯარში ჩამჯდარ ცხენოსნებს მხოლოდ ეს ადგილები ჰქონდათ დაუფარავი.

ამ ბრძანების შესრულება საჭირო აღარ იყო. ტიგრანის აბჯროსანმა ცხენოსნებმა რომაელების შემოტევას აღარ დაუცადეს. შემაძრწუნებელი ყვირილი ატეხეს და სამარცხვინოდ გაიქცნენ. ისინი ჯავშნისაგან დამძიმებული ცხენებით საკუთარი ქვეითი ჯარის რიგებში შეიჭრნენ. მოწინააღმდეგის ქვეითებმა ბრძოლის დაწყება ვეღარ მოახერხეს. ასე რომ ტიგრანის მრავალათასიანი მხედრობა ბრძოლისა და სისხლის ღვრის გარეშე დამარცხდა.

დიდი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა მხოლოდ მტრის უკან გაქცევის ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ამის ცდის დროს. მტერმა გაქცევა ვერ შეძლო. მისი ხშირი რიგები ამ შემთხვევაში ფრიად დამაბრკოლებელ გარემოებად გადაიქცა.

ტიგრანმა ჯერ კიდევ დასაწყისშივე უშველა თავს რამდენიმე კაცის თანხლებით. როცა დაინახა, შვილიც მის ბედს იზიარებდა, თავიდან გვირგვინი ჩამოიღო, აცრემლებული თვალებით შვილს გადასცა და უთხრა როგორმე თავი გადაერჩინა და სხვა გზით გაქცეულიყო. მაგრამ ჭაბუკმა გვირგვინის თავზე შემოდგმა ვერ გაბედა და ერთს ყველაზე უფრო სანდო მსახურს გადასცა შესანახად. ეს მსახური შემთხვევით ტყვედ ჩავარდა. იგი ლუკულუსთან მიიყვანეს. ისე რომ სხვა ნადავლთან ერთად ტიგრანის გვირგვინიც რომაელთა ხელში აღმოჩნდა.

როგორც ამბობენ, ამ ბრძოლაში ასი ათასზე მეტი ქვეითი მეომარი დაკარგა მტერმა, ხოლო მის ცხენოსანთაგან თითქმის არავინ გადარჩენილა. რაც შეეხება რომაელებს, მათ ასამდე კაცი დაუჭრეს, ხუთი კი მოუკლეს [74].

ანტიოქე ფილოსოფოსი [75], რომელიც ამ ბრძოლას მოიხსენიებს თავის თხზულებაში „ღმერთთა შესახებ", ამბობს: ამ ბრძოლის მსგავსი ბრძოლა მზეს არ უხილავსო.

მეორე ფილოსოფოსი სტრაბონი [76] „ისტორიულ მოგონებებში" აცხადებს: რომაელები სირცხვილისაგან წითლდებოდნენ და თავის თავს დასცინოდნენ, ამისთანა ღვთის გლახებზე როგორ აღვმართეთ იარაღიო.

ლივიუსი კი ამბობს: მტრის რიცხვობრივად ასე ჭარბ ძალებს რო-

მაელები აქამდე არასოდეს არ შეხვედრიან საბრძოლველად; გამარჯვებულნი თითქმის ორჯერ და კიდევ უფრო მეტჯერ ნაკლებნი იყვნენ დამარცხებულებზეო [77].

რომაელთა შორის ყველაზე უფრო გამოჩენილი და მრავალომვადახდილი სარდლები უპირატესად იმისთვის აქებდნენ ლუკულუსს, რომ ორი მეტისმეტად სახელგანთქმული და უძლიერესი მეფე ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო საშუალებით — სისწრაფითა და დაყოვნებით დაამარცხა. მართლაც, მითრიდატე ლუკულუსმა მისი ძლიერების ჟამს დროის გაჭიანურებითა და ნელი მოქმედებით დაასუსტა, ხოლო ტიგრანი სწრაფი იერიშით გატეხა.

ლუკულუსი იმ მცირერიცხოვან სარდალთა რიგს ეკუთვნოდა, რომლებიც თავ-თავის დროზე გადამწყვეტ საქმეში აუჩქარებელ მოქმედებას, ხოლო თავის დასაცავად გაბედულ იერიშს მიმართავდნენ.

29. სწორედ ამის გამო მითრიდატე მაინცდამაინც დიდი სიჩქარით არ მიისწრაფოდა ბრძოლისაკენ. იგი ფიქრობდა, ლუკულუსი მისთვის ჩვეული სიფრთხილითა და დაყოვნებით იომებდა და ამიტომ ტიგრანის დასახმარებლად ფრიად დინჯად მიემართებოდა. მაგრამ როცა გზაზე რამდენიმე დაფეთებული და შეშინებული სომეხი ლტოლვილი შემოეყარა, მაშინვე მიხვდა, საქმე ცუდად იყო. მერმე და მერმე მითრიდატეს მრავალი უიარაღო დაჭრილი მეომარი ხვდებოდა გზაში. მან აქ შეიტყო სომეხთა მარცხი და ტიგრანის ძებნას შეუდგა.

მითრიდატემ ტიგრანი ყველასაგან მიტოვებული და სასოწარკვეთილი იხილა, მაგრამ სამაგიეროდ კი არ გადაუხადა და ამპარტავნულად მოექცა, პირიქით, ცხენიდან ჩამოხდა და მასთან ერთად საერთო უბედურება დაიტირა; მერმე მთელი თავისი ამალა დაუთმო და მომავლის იმედით გაამხნევა. ამის შემდეგ მითრიდატე და ტიგრანი კვლავ ახალი ძალების შეგროვებას შეუდგნენ.

ამასობაში ქალაქ ტიგრანოკერტას ბერძნული მოსახლეობა იქაურ ბარბაროსთა წინააღმდეგ ალსდგა და მოინდომა ქალაქი ლუკულუსისათვის ჩაებარებინა. მაშინ ლუკულუსი იერიშზე გადავიდა და ქალაქი აიღო. სამეფო განძეულობა თავისთვის დაიტოვა, ქალაქი კი გასაძარცვად დაუთმო ჯარისკაცებს, რომლებმაც იქ სხვა ქონებასთან ერთად რვა ათასი ტალანტი ლითონის ფული ნახეს. ამის გარდა, ლუკულუსმა ყოველ ჯარისკაცს რვაასი დრაქმაც მისცა ნადავლიდან [78]. მალე მან შეიტყო, რომ ქალაქში იმყოფებოდა დიონისეს საქმის მრა-

ვალი ოსტატი[79]. რომლებიც ტიგრანს მის მიერ აგებული თეატრის გახსნისათვის ყოველი მხრიდან შემოეკრიბა. ლუკულუსმა ისინი გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ შეჯიბრებებსა და სანახაობებში გამოიყვანა.

ტიგრანოკერტაში მყოფ ბერძნებს ლუკულუსმა საგზაო მარაგი დაურიგა და სამშობლოში გაისტუმრა. ასევე მოიქცა აქ ძალით გადმოსახლებულ ბარბაროსთა მიმართაც. მართალია, ერთი ქალაქი დაიხვრა, სამაგიეროდ მრავალი ქალაქი ისევ აღორძინდა და ამ ქალაქებმა თავ-თავიანთი მოსახლეობა უკან დაიბრუნეს. სამშობლოში დაბრუნებულმა ხალხმა ლუკულუსს, როგორც კეთილმოქმედსა და ქალაქთა ამაღორძინებელ კაცს, თაყვანისცემა დაუწყო.

ლუკულუსი დანარჩენ საქმეებშიც იმ კაცის ღირსებისათვის შესაფერ წარმატებებს აღწევდა, რომელიც სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობისათვის შექებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ომში მოპოვებული გამარჯვებებისათვის შესხმულ ხოტბას. ბრძოლაში მიღწეულ გამარჯვებებში საკმაოდ დიდი წილი ედო მხედრობას და კიდევ უფრო მეტი ბედს; სამართლიანობა და კაცთმოყვარეობა კი ლუკულუსის სათნოებისა და ზრდილობის მაუწყებელი იყო. იგი სწორედ ამის წყალობით იარაღის გარეშე ახერხებდა ბარბაროსთა მოთვინიერებას. არაბთა მეფენი თავისი ნებით ეახლნენ და მთელი თავიანთი ქონება გადასცეს. ასევე მოვიდნენ მასთან სოფენეს მკვიდრნი. გორდიენეს მოსახლეობა კი ისე მიენდო ლუკულუსს, რომ ყველანი მზად იყვნენ საკუთარი ქალაქები მიეტოვებინათ და მას გაჰყოლოდნენ უკან. ამის მიზეზი ისევ და ისევ მისი სამართლიანობა და კაცთმოყვარეობა გახლდათ.

გორდიენეს მეფე ზარბიენოსი, რომელიც ვერ იტანდა ტიგრანის ტირანიას, აპიუსის მეშვეობით, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ლუკულუსთან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა მოკავშირეობის თაობაზე, მაგრამ იგი მანამდე გასცეს და მოკლეს ცოლ-შვილთან ერთად, ვინემ რომაელები სომხეთში შეიჭრებოდნენ. ლუკულუსს ეს ამბავი კარგად ახსოვდა და, როცა გორდიენეში შევიდა, დიდი ამბით დაკრძალა ზარბიენოსი. ამ შემთხვევისათვის საჭირო კოცონი სამეფო ტანსაცმლით, ოქროულობითა და იმ ნადავლით მორთო, რომელიც ტიგრანს წაართვა. ლუკულუსმა კოცონი საკუთარი ხელით დაანთო და მიცვალებულს მის მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად

ზედაშე დაუქცია. ამ წესის აღსრულების დროს იგი ზარბიენოსს თავის მეგობრად და რომაელთა მოკავშირის სახელით მოიხსენიებდა. გარდა ამისა, ლუკულუსმა ბრძანა გორდიენეს მეფისათვის ძვირფასი ძეგლი აეგოთ. ზარბიენოსის სასახლეში დიდძალი ოქრო-ვერცხლი აღმოჩნდა. აქვე იყო შენახული სამი მილიონი მედიმნი ხორბალი [80], ასე რომ ნადავლმა ჯარისკაცებიც გაამდიდრა და ლუკულუსმაც საყოველთაო განცვიფრება გამოიწვია. საქმე ის იყო, რომ ლუკულუსს სახელმწიფო ხაზინიდან ერთი დრაქმაც არ მიუღია. საომარ ხარჯებს ომში მოპოვებული ნადავლით ფარავდა.

30. იმ ხანებში ლუკულუსთან პართების მეფის გამოგზავნილი ელჩები მოვიდნენ. ისინი მეგობრულ კავშირს თხოვდნენ მას. ლუკულუსს ეს ძალიან ესიამოვნა და პართების მეფეს თავის მხრივ მანაც გაუგზავნა ელჩები. ლუკულუსის ელჩებმა გამოაცხადეს, რომ პართების მეფე ორპირობდა და დახმარების გაწევისათვის ტიგრანს ჯილდოდ მესოპოტამიას სთხოვდა.

ლუკულუსმა ეს რომ გაიგო, გადაწყვიტა ტიგრანისა და მითრიდატესათვის, როგორც უკვე წელში გატეხილი მოწინააღმდეგეთათვის, თავი დაენებებინა [81], პართების წინააღმდეგ გაელაშქრა და მათი ძალა გამოეცადა. იგი დიდ გმირობად თვლიდა, ათლეტის მსგავსად, ერთი ომით სამი მეფის ზედიზედ დამარცხებას და მზის ქვეშ არსებული სამი უზარმაზარი სამეფოს დაუძლეველი და გამარჯვებული კაცის სახელით გადაქცევას.

გორდიენედან ლაშქრობის დაწყების მიზნით ლუკულუსმა ბრძანება გაუგზავნა პონტოში სორნაციუსსა და მის ხელქვეით მეთაურებს, იქაური მხედრობა მასთან მოეყვანათ.

სორნაციუსი და მისი სხვა ლეგატები, რომლებმაც მანამდე იწვნიეს ჯარისკაცების უხეშობა და სიჯიუტე, ახლა სავსებით დარწმუნდნენ მათ თვითნებობაში. ვერავითარი რჩევითა და ძალით ვერ დაიყოლიეს ისინი ლუკულუსთან წაყვანაზე. ისინი ყვირილით ფიცულობდნენ: იქ კი არა, აქაც არ მოვიცდით, სულ წავალთ და პონტოს დაუცველად დავტოვებთო.

აუწყეს თუ არა ეს ამბავი ლუკულუსს, მისი მხედრობაც მაშინვე წახდა ზნეობრივად. ლუკულუსის ჯარისკაცები, რომლებმაც გამდიდრება და განებივრება მოასწრეს, ისედაც უხალისოდ ასრულებდნენ მეომრის მოვალეობას და დასვენებას მოითხოვდნენ. როცა პონტოს

დამცველი ჯარისკაცების სითამამე გაიგეს, ისინი მამაცებად ჩათვალეს და განაცხადეს: იმათ მაგალითს უნდა მივბაძოთ; ჩვენ საკმაოდ ბევრი რამ გავაკეთეთ და უშიშრად ყოფნისა და დასვენების უფლება დამსახურებული გვაქვსო.

31. ამისთანა და ამაზე კიდევ უფრო უარესი სიტყვების მოსმენის შემდეგ ლუკულუსმა პართების წინააღმდეგ ლაშქრობა გადაიფიქრა და შუა ზაფხულში კვლავ ტიგრანისაკენ გაემართა. როცა ტავროსი გადალახა, მეტისმეტად შეწუხდა, ჯერ კიდევ მწვანედ მოღაღანე ყანები რომ იხილა[82]. ცივი ჰაერის გამო აქ გაზაფხული ძალზე იგვიანებს ხოლმე.

მიუხედავად ამისა, ლუკულუსი ველზე დაეშვა, ორჯერ თუ სამჯერ უკუაქცია სომხები, რომლებიც თავს დაესხნენ, და დაუბრკოლებლივ მათი სოფლების აოხრება და ტიგრანისათვის მომზადებული პურის მარაგის დატაცება დაიწყო. ამით მტერს დაატეხა თავს ის გაჭირვება, რომლისაც თვითონ ეშინოდა.

ლუკულუსი სომხების ბანაკის გარშემო თხრილებს ავლებდა, მტერს თვალწინ მიწა-წყალს უოხრებდა და ბრძოლაში იწვევდა; მაგრამ მრავალგზის დამარცხებული მხედრობა ადგილიდან ვერ დაძრა. მაშინ ლუკულუსი ტიგრანის დედაქალაქისაკენ, არტაქსატასაკენ, დაიძრა[83]. იქ ტიგრანის მცირეწლოვანი შვილები და კანონიერი ცოლები იმყოფებოდნენ. ლუკულუსი დარწმუნებული იყო, ტიგრანი ამ ქალაქს უბრძოლველად არ დათმობდა.

გადმოგვცემენ, როცა რომაელებმა ანტიოქე დაამარცხეს, კართაგენელი ჰანიბალი სომხეთის მეფე არტაქსასთან[84] მივიდა და მრავალი კეთილი და სასარგებლო რჩევა-დარიგება მისცაო. ჰანიბალმა ამ ქვეყანაში თურმე ერთი მეტად ნოყიერი და მშვენიერი, მაგრამ გამოუყენებელი ადგილმდებარეობა შეამჩნია და იქ ქალაქის გეგმა მოხაზა. მან ამ ადგილზე არტაქსა მიიყვანა, უჩვენა იგი და წააქეზა: ეს ადგილი დაასახლეო. სომხეთის მეფეს გაუხარდა და ჰანიბალს სთხოვა, ამ საქმეს თვითონ ჩადგომოდა სათავეში. მართლაც აქ უზარმაზარი და მეტისმეტად ლამაზი ქალაქი აღიმართა. მას მეჯის სახელი დაერქვა და სომხეთის დედაქალაქად გადაიქცა[85].

აი, სწორედ ამ ქალაქისაკენ გაემართა ლუკულუსი. ტიგრანმა თავი ველარ შეიკავა. მხედრობა აქეთკენ წამოიყვანა და მეოთხე დღეს რომაელების პირისპირ დაბანაკდა. მოწინააღმდეგეთ ერთმანეთისაგან

ჰყოფდა მდინარე არსანია[86], რომელიც აუცილებლად უნდა გადაელახათ რომაელებს, თუკი არტაქსატასთან მისვლა უნდოდათ.

ლუკულუსმა, თითქოს გამარჯვება უკვე ხელში ჰქონდა, ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და ჯარი მდინარეზე გადაიყვანა. წინ თორმეტი კოჰორტი მიდიოდა, ხოლო დანარჩენი კოჰორტები, მტრის ალყის თავიდან ასაცილებლად, ზურგში იყვნენ დაწყობილნი. ლუკულუსის წინააღმდეგ მტრის რჩეული და მრავალრიცხოვანი მხედრობა ჩამწკრივდა. ამ მხედრობის წინ ცხენოსანი მშვილდოსნები — მარდები[87] და შუბოსანი იბერები[88] იდგნენ. უცხო მეომართა შორის ყველაზე უფრო დიდ ნდობას, როგორც საუკეთესო მებრძოლებს, ტიგრანი სწორედ ამათ უცხადებდა. მაგრამ არავითარი ბრწყინვალე გმირობა მათ მაშინ არ ჩაუდენიათ. რომაელ მხედრებთან მცირეოდენი შეტაკების შემდეგ იერიშზე წამოსულ ქვეითებს ვეღარ გაუმკლავდნენ, ორ ნაწილად გაიყვნენ და უკუიქცნენ. რომაელმა მხედრებმა ამით ისარგებლეს და უკუქცეულებს გამოედევნენ. მტრის დევნაში რომაელი ცხენოსნები დაიქსაქსნენ და ახლა ამათ წინააღმდეგ ტიგრანის მხედრები გაეშურნენ. ტიგრანის ბრწყინვალე და მრავალრიცხოვანი მხედრობის დანახვამ ლუკულუსი შეაშინა, მტრის მადევარი რომაელი ცხენოსნები უკან გამოიწვია და პირველად მის წინააღმდეგ საუკეთესო რაზმებად განლაგებულ ატროპატენებს[89] ეკვეთა. მან ჯერ კიდევ ბრძოლის გაჩაღებამდე დასცა ატროპატენებს თავზარი და უკუაქცია.

ლუკულუსის წინააღმდეგ ამხედრებულ სამ მეფეთაგან, როგორც ამბობენ, ყველაზე უფრო სამარცხვინოდ მითრიდატე პონტოელი გაიქცა. მან თურმე რომაელთა საომარ ყიჟინასაც კი ვერ გაუძლო.

მტრის დევნა მეტისმეტად გახანგრძლივდა. რომაელები მთელი ღამის განმავლობაში ქლეტდნენ მტრებს, ტყვედ მიჰყავდათ ისინი და ფულსა და სხვა ნადავლს აგროვებდნენ. ამან ლუკულუსის მეომრები ფრიად დაქანცა.

ლივიუსი ამბობს, პირველ ბრძოლაში გაცილებით უფრო მეტი მტერი შემუსრეს, სამაგიეროდ მეორე ბრძოლაში მტერმა საკმაოდ ბევრი წარჩინებული კაცი დაკარგა მოკლულთა თუ დატყვევებულთა სახითო.

32. ამ გამარჯვებით აღტაცებულმა და გამხნევებულმა ლუკულუსმა გადაწყვიტა წინ წასულიყო და მტერი საბოლოოდ მოესპო. მაგრამ

მისთვის სრულიად მოულოდნელად შემოდგომის ბუნიაობის ჟამს საშინელი ამინდი დადგა. დაიწყო გაუთავებელი თოვა. შიგადაშიგ, როცა ცა მოიწმინდებოდა, დედამიწა ჭირხლით იფარებოდა და ჰყინავდა. მდინარეებში ისე ცივი იყო წყალი, ცხენები დასალევად ვეღარ ეკარებოდნენ. გაყინულ მდინარეებზე გადასვლაც მეტისმეტად გაძნელდა, ყინული ტყდებოდა და მისი ბასრი წვეტები ცხენებს ფეხის ძარღვებს აჭრიდა. ამ ქვეყნის უდიდესი ნაწილი ჯაგნარით დაფარული, ხეობებით დასერილი და ტყიანი იყო. გზად მიმავალ ჯარისკაცებს თოვლი ზვინებად ეყრებოდათ თავზე. ხშირად უხდებოდათ ნესტიან მიწაზე დიდი ტანჯვით ღამის გატარება.

ბრძოლის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ჯარისკაცები მორჩილად მიჰყვებოდნენ ლუკულუსს, მაგრამ მერე დრტვინვა დაიწყეს. ჯერ ათასისთავთა მეშვეობით სთხოვდნენ ლუკულუსს: დაგვზოგეო, მერმე და მერმე კი აჩოჩქოლებულ ჯგუფებად იკრიბებოდნენ და ღამით კარვებს ყვირილით იღებდნენ. ეს უკვე ჯარის ამბოხების ნიშანი იყო. ლუკულუსი ხვეწნა-მუდარით სთხოვდა ჯარისკაცებს სულგრძელობა და მოთმინება გამოეჩინათ მანამდის, ვინემ სომხების კართაგენს არ აიღებდა და რომაელთა უდიდესი მტრის — აქ იგი ჰანიბალს გულისხმობდა — ქმნილებას არ დაანგრევდა [90].

ლუკულუსმა მხედრობა ვერ დააჯერა. მაშინ უკან წაიყვანა, სხვა გადასასვლელით ტავროსი გადალახა და ეგრეთ წოდებულ მიგდონიაში, ნოყიერსა და თბილ ქვეყანაში ჩავიდა. აქ იყო დიდი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქი, რომელსაც ბარბაროსები ნისიბისს, ხოლო ბერძნები მიგდონიის ანტიოქიას ეძახდნენ [91]. ამ ქალაქს დიდად წარჩინებული ტიგრანის ძმა გურა მართავდა. მაგრამ, სინამდვილეში, ნისიბისი გამოცდილსა და მანქანათა გამოგონებაში დახელოვნებულ კალიმაქეს ხელში იყო. ეს ის კალიმაქე გახლდათ, რომელმაც ლუკულუსს მრავალი ვნება მიაყენა ამისესთან.

ლუკულუსი ქალაქის მახლობლად დაბანაკდა, ყოველგვარი საალყო ხრიკი გამოიყენა და სულ მოკლე ხანში ქალაქი იერიშით აიღო. გურას მიმართ, რომელიც თავისი ნებით ჩაბარდა, კაცთმოყვარეობა გამოიჩინა; მაგრამ კალიმაქე, მიუხედავად იმისა, რომ ჰპირდებოდა, დიდძალ გადამალულ ქონებას გაჩვენებო, არ დაინდო. ლუკულუსმა ბრძანა კალიმაქესათვის ბორკილები დაედოთ და სამართალში მიეცათ, რათა პასუხი ეგო ამისეს დაწვისათვის, რისი მიზეზით რომაე-

ლებმა პატივმოყვარეობა ვერ დაიკმაყოფილეს და ამისეს ბერძნული მოსახლეობის მიმართ სულგრძელობა ველარ გამოიჩინეს.

33. აქამდე კაცს შეიძლება ეფიქრა, რომ ბედი მუდამ თან სდევდა ლუკულუსს ლაშქრობაში; მაგრამ ამიერიდან, თუ შეიძლება ითქვას, მისი კეთილისმყოფელი ზურგქარი ჩადგა. ლუკულუსი ახლა ყველაფერს ძალდატანებით აკეთებდა და მრავალ წინააღმდეგობას აწყდებოდა [92]; მართალია, იგი კვლავ ამჟღავნებდა კარგი სარდლისათვის დამახასიათებელ ვაჟკაცობასა და სიმტკიცეს, მაგრამ მის საქმეებს უწინდებური სახელი და მადლი მოაკლდა. ის კი არა, მთელი რიგი მარცხისა და მხედრობასთან უსარგებლო უთანხმოების წყალობით ძველი დიდებაც კინაღამ დაკარგა.

საკუთარი ბედის ცვლილებაში საკმაოდ დიდი ბრალი თვითონ ლუკულუსს მიუძღოდა. ჯარისკაცთა ბრბოს წინაშე პირფერობა არ შეეძლო და ხელქვეითის გულის მოსაგებად კაწეულ ყოველ მოქმედებას ძალაუფლების შეურაცხყოფად და დაკნინებად თვლიდა. ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ ბუნებით ვერ ეგუებოდა ვერც მასზე ძლიერებს და ვერც მის სიმაღლეზე მდგომ ხალხს. ყველა ეზიზღებოდა და თავის ღირსად არავის თვლიდა.

აი, ყველა ის ნაკლი, რომელიც ლუკულუსს, როგორც ამბობენ, მრავალ კარგ თვისებასთან ერთად ჰქონდა. იგი იყო ტანადი, ლამაზი, მშვენვრმეტყველი და შეეძლო ერთნაირად გამოემჟღავნებინა თავისი ნიჭი როგორც ფორუმზე, ისე სამხედრო ბანაკშიც. სალუსტიუსი ამბობს, ლუკულუსმა ომის დასაწყისშივე დაიმსახურა ჯარისკაცების წყრომაო: ისინი აიძულა ორი ზამთარი ზედიზედ ბანაკში გაეტარებინათ, ერთი კიზიკოსის მახლობლად და მეორე ამისესთანო. რომაელ მეომრებს ამის შემდეგაც მრავალი მძიმე ზამთრის გადატანა მოუხდათ. მტრის ქვეყანაში იქნებოდა ეს თუ მოკავშირის ქვეყანაში, ხულ ერთია, ისინი მაინც ღია ცის ქვეშ დაბანაკებულნი ზამთრობდნენ ხოლმე. ბერძნულსა და, საერთოდ, მოკავშირეთა ქალაქში ლუკულუსი არც ერთხელ არ შესულა თავისი მხედრობით.

ლუკულუსის მიმართ ჯარისკაცების ასეთი ცუდი განწყობილებით რომში მყოფმა დემაგოგებმა ისარგებლეს და ეს მტრული ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად გაზარდეს. შურით აღსავსე დემაგოგები ლუკულუსს ბრალად სდებდნენ იმას, რომ თითქოს სარდლის რწმუნების შენარჩუნებისა და ანგარების მიზნით ახანგრძლივებდა

ომს. ისინი ამბობდნენ: ლუკულუსს თავის ხელში ჰყავს მომწყვდეული კილიკია, აზია, ბითვინია, პაფლაგონია, გალატია, პონტო, სომხეთი და სხვა ქვეყნები ვიდრე ფაზისამდეო; მან ახლახან ტიგრანის სამეფოც კი ააოხრა; იგი ისე იქცევა, თითქოს მეფეთა გასაძარცვავად იყოს მივლინებული და არა საომრადო.

როგორც გადმოგვცემენ, ასე ლაპარაკობდა თურმე ერთ-ერთი პრეტორი — ლუციუს კვინკციუსი. სწორედ ამან დაარწმუნა ხალხი გამოეტანათ გადაწყვეტილება ლუკულუსის ხელქვეით მყოფი საგამგებლო მხარის სამართავად შემცვლელი პირის გაგზავნის თაობაზე. დაადგინეს ავრეთვე ისიც, რომ ლუკულუსის მხედრობის უდიდესი ნაწილი დაშლილიყო.

34. ამ დიდ უსიამოვნებათ მალე კიდევ სხვა დიდი უსიამოვნებაც დაერთო ზედ და ლუკულუსის საქმეები სულ ერთიანად არივ-დარია. ამის მიზეზი იყო გარეწარი და თავხედი პუბლიუს კლოდიუსი, ლუკულუსის ცოლისძმა, ძმა იმ ფრიად გარყვნილი ქალისა, რომელთან ბილწი კავშირისათვის მას საქვეყნოდ კიცხავდნენ [93].

კლოდიუსი იმხანად ლუკულუსის ლაშქარში მსახურობდა, მაგრამ ის პატივი, რომლის ღირსადაც თავის თავს სცნობდა, არ ჰქონდა. კლოდიუსს უნდოდა ყველაფერში პირველი ყოფილიყო, მაგრამ მისი ცუდი ხასიათის გამო მუდამ უკან რჩებოდა. მაშინ იგი ფიმბრიას სარდლობის ქვეშ მყოფ ჯარს შეუჩნდა და ლუკულუსის წინააღმდეგ აამხედრა. მაცდუნებელ სიტყვებს, რომელთაც კლოდიუსი დაუზოგავად ხარჯავდა, პირმოთნეობას მიჩვეული ჯარისკაცები ხალისით უსმენდნენ. ეს ის ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც ფიმბრიამ თავის დროზე დაიყოლია კონსულ ფლაკუსის მოკვლის შემდეგ თვითონ აერჩიათ სარდლად. აი ამიტომ ისინი კლოდიუსსაც სიხარულით ეგებებოდნენ და „ჯარისკაცის მეგობარს“ ეძახდნენ. კლოდიუსი თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ძალიან წუხდა მათ ბედზე. იგი ეკითხებოდა: როდისღა უნდა მოეღოს ბოლო ამდენ ომსა და ტანჯვას? ნუთუ ყველა ხალხებთან ბრძოლასა და მთელ დედამიწაზე წანწალში უნდა დაამთავრონ სიცოცხლე ამ საცოდავმა ჯარისკაცებმა და მძიმე ლაშქრობის სანაცვლოდ არაფერი არ უნდა მიიღონ? განა ის ეყოფათ, პატიოსანი თვლებით დატვირთულ ურმებსა და აქლემებს მისდიონ? პომპეუსის ჯარისკაცები უკვე ჩვეულებრივ ხალხად გადაიქცნენ. ისინი თავ-თავიანთი ცოლ-შვილით მდიდარ ქვეყნებში ცხოვრობენ და

ქალაქებიც აქვთ. მათ არ დასჭირვებიათ მითრიდატესა და ტიგრანის დევნა ისეთ უდაბნოებში, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს, არც აზიის სამეფოთა ნგრევა. მშვიდობიანი ცხოვრება პომპეუსელებმა იმის საფასურად მოიპოვეს, რომ ესპანეთში გაძევებულთ, ხოლო იტალიაში გაქცეულ მონებს ებრძოდნენო. „თუ ჩვენ ლაშქრობის დამთავრება არ გვიწერია, — ასკვნიდა კლოდიუსი, — განა არ ჯობია დარჩენილი ჯანი და სიცოცხლე იმ სარდლისთვის დავზოგოთ, რომელიც ყველაზე დიდ განძად საკუთარ მეომართა სიმდიდრეს თვლის?“

ამ მიმართვამ ისეთი ავი ზეგავლენა მოახდინა ლუკულუსის მხედრობაზე, რომ მან უარი განაცხადა გაჰყოლოდა ლუკულუსს ტიგრანისა და მითრიდატეს წინააღმდეგ მაშინაც კი, როცა მითრიდატე კვლავ პონტოში შეიჭრა და თავისი ძალაუფლების აღდგენა დააპირა

რომაული მხედრობა, დაზამთრების საბაბით, გორდიენეში იდგა და ლუკულუსის შემცვლელის, პომპეუსისა თუ სხვა რომელიმე სარდლის მოსვლას ელოდებოდა [94].

35. სწორედ ამ დროს მოვიდა ცნობა, მითრიდატემ ფაბიუსი დაამარცხა და ახლა სორნაციუსისა და ტრიარიუსის წინააღმდეგ მიემართებაო[95]. ჯარისკაცებს შერცხვათ და ლუკულუსს გაჰყვნენ. პატივმოყვარე ტრიარიუსი მზად იყო სწრაფი გამარჯვება მოეპოვებინა და ლუკულუსისათვის, რომელიც უკვე უახლოვდებოდა, არ დაეცადა, მაგრამ იგი დიდ ბრძოლაში დამარცხდა. როგორც ამბობენ, ამ ბრძოლაში შვიდი ათასზე მეტი რომაელი დაეცა. მოკლულთა შორის ას ორმოცდაათი ცენტურიონი და ოცდაოთხი სამხედრო ტრიბუნი იყო. ბანაკს მითრიდატე დაეუფლა. რამდენიმე დღის შემდეგ ლუკულუსიც მოვიდა და შეიფარა ტრიარიუსი, რომელსაც განრისხებული რომაელი ჯარისკაცები მოსაკლავად დაეძებდნენ.

მითრიდატე ლუკულუსთან ბრძოლას თავს არიდებდა და ელოდებოდა ტიგრანს, რომელიც დიდძალი მხედრობით უკვე მოდიოდა მისკენ. ლუკულუსმა გადაწყვიტა, სანამ ისინი შეერთებას მოასწრებდნენ, ტიგრანს დახვედროდა და შებრძოლებოდა.

სწორედ ამ დროს ფიმბრიას ჯარისკაცები ამბოხდნენ და თავიანთი რიგები მიატოვეს: თანახმად ვადაწყვეტილებისა ლაშქრობიდან ჩვენ უკვე თავისუფალი ვართ; ლუკულუსი ამიერიდან ჩვენ სარდლად აღარ ითვლება, ვინაიდან მისი საგამგებლო მხარე კანონმა სხვებს გადასცა სამართავად.

არ დარჩენილა ადამიანის ღირსების დამამცირებელი არა ხერხი, რომლისთვისაც ლუკულუსს მაშინ არ მიემართოს. იგი ყოველ ჯარისკაცს სათითაოდ ეხვეწებოდა დარჩენილიყო. სასოწარკვეთილი და თვალაცრემლებული ლუკულუსი კარავ-კარავ დადიოდა მუდარით და ზოგ მეომარს ხელსაც კი ჰკიდებდა: შემიბრალეო. ჯარისკაცები მის ხვეწნა-მუდარას არ ისმენდნენ, ცარიელ ქისებს ფეხებში ესროდნენ და ეუბნებოდნენ: წადი და მარტოდმარტო ებრძოლე მტერს, იმის წყალობით ხომ მხოლოდ შენ გამდიდრდიო!

სხვა ჯარისკაცთა დაჟინებული თხოვნით ფიმბრიას მეომრები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვენ და ერთი ზაფხული კიდევ დარჩენილიყვნენ. პირობა ასეთი იყო: თუ ამ ხნის განმავლობაში მათ მტერი თავს არ დაესხმოდა, ისინი სამსახურიდან თავისუფლდებოდნენ.

ლუკულუსი იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო ამით, წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო რჩებოდა და ქვეყანა ბარბაროსებისათვის უნდა დაეთმო. მასთან დარჩენილ ჯარისკაცებს უკვე ძალას არაფერში ატანდა, არც ბრძოლაში მიჰყავდა ისინი და გულგრილად უყურებდა იმას, თუ როგორ არბევდა კაპადოკიას ტიგრანი და როგორ იწყებდა უწინდებურ ყოყოჩობას მითრიდატე. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ლუკლუსმა სენატს წერილობრივ აუწყა: მითრიდატე საბოლოოდ დავძლიეო! მასთან რომიდან მოხელეებიც კი ჩამოვიდნენ, რათა პონტოში, ვითარცა უკვე მთლიანად დამორჩილებულ ქვეყანაში, მოეწესრიგებინათ საქმეები, მაგრამ მოვიდნენ თუ არა, მყისვე დარწმუნდნენ, რომ ჯარისკაცთა მიერ აბუჩად აგდებული და შეურაცხყოფილი ლუკულუსი საკუთარი თავის პატრონიც ადარ იყო. ჯარისკაცთა თავხედობა სარდლის მიმართ იქამდე მივიდა, რომ როცა ზაფხული გავიდა, იარაღი აისხეს, ხმლები იშიშვლეს და მტერს ეძახდნენ. მტერი კი იქ არსად იყო. მას უკვე მოესწრო აქედან წასვლა. ამის შემდეგ ჯარისკაცებმა მხედრული ყიჟინა დასცეს, ხმლები ჰაერში შეათამაშეს: ის დრო, რაც ლუკულუსს შევპირდით დასარჩენად, უკვე გავიდაო, თქვეს და ბანაკიდან წავიდნენ.

დანარჩენი მეომრები პომპეუსმა გაიწვია ლუკულუსის ბანაკიდან. ხალხის კეთილგანწყობილებისა და დემაგოგთა მლიქვნელობის წყალობით პომპეუსი უკვე დანიშნეს მითრიდატესა და ტიგრანთან წარმოებული ომის მთავარსარდლად [96].

სენატი და რომის წარჩინებულთა ფენა თვლიდნენ, ლუკულუსი უსამართლოდ დაჩაგრესო. მათი აზრით, ლუკულუსი ომში კი არა, ტრიუმფში შემცვლელს ღებულობდა და იძულებული იყო არა მარტო სარდლობაზე აეღო ხელი, არამედ ამ სარდლობით მოპოვებული ჯილდოც დაეთმო და სხვისთვის გადაეცა.

36. ასეთი უსამართლობით ყველაზე მეტად მაინც მასთან მყოფი ხალხი იყო აღშფოთებული: ლუკულუსს აღარ ჰქონდა უფლება დაეჯილდოებინა თუ დაესაჯა ჯარისკაცები. პომპეუსი ლუკულუსთან მისვლისა და იმის მიერ რომიდან ჩასულ ათ მოხელესთან ერთად გამოცემული ბრძანებების შესრულების ნებას არავის აძლევდა. მან საგანგებო განკარგულებით აკრძალა ლუკულუსის ბრძანებები და თავისი მრავალრიცხოვანი მხედრობით ყველას შიში ჩაუნერგა.

მიუხედავად ამისა მათმა მეგობრებმა გადაწყვიტეს ისინი ერთმანეთისათვის შეეხვედრებინათ. შეხვედრა მოხდა გალატიის ერთ სოფელში. პომპეუსი და ლუკულუსი ერთმანეთს მეგობრულად მიესალმნენ და ერთიმეორეს წარმატებები მიულოცეს. ასაკით ლუკულუსი უფროსი იყო, მაგრამ პომპეუსი თავისი ღირსებით ლუკულუსზე წინ იდგა: ის უფრო მეტჯერ იყო სარდლად და ორი ტრიუმფიც ჰქონდა გადახდილი.

როგორც ეს გამარჯვებულთ შეეფერებოდა, მათ წინ მიუძღოდათ ლიქტორები, რომელთაც ხელთ დაფნის შტოებით შემოსილი წკეპლის კონები ეპყრათ. პომპეუსს დიდი გზა ჰქონდა გამოვლილი. იგი უწყლო და გადახრუკული ადგილებით მოდიოდა. ამიტომ მისი ლიქტორების წკეპლის კონებზე შემოხვეული დაფნის შტოები დამჭკნარიყო. ეს რომ დაინახეს, ლუკულუსის ლიქტორებმა პომპეუსის ლიქტორებს პატივი სცეს და საკუთარი, ჯერ კიდევ ახალი და მწვანე დაფნის შტოები მიართვეს. პომპეუსის მეგობრებმა ეს ამბავი კეთილის მომასწავებელ ნიშნად ჩათვალეს. მართლაც, პომპეუსის სარდლობა ლუკულუსის საგმირო საქმეებმა შეამკო [97].

პომპეუსისა და ლუკულუსის მოლაპარაკებამ კეთილი შედეგი ვერ გამოიღო. ისინი ერთმანეთს კიდევ უფრო დიდ მტრებად დაშორდნენ.

პომპეუსმა ლუკულუსის მიერ გამოცემული ბრძანებები გააუქმა და მთელი მხედრობა ჩამოართვა. ლუკულუსს მომავალი ტრიუმფისათვის მხოლოდ ათას ექვსასი ჯარისკაცი დაუტოვა. ყოფილ მთავარსარდალს ეს ჯარისკაცებიც ფრიად უგულოდ გაჰყვნენ.

არ ვიცი, უუნარობით იყო ეს გამოწვეული თუ უბედობით, ოღონ-დაც ლუკულუსს აკლდა ის, რაც სარდლობის ჟამს უპირველესი და უდიდესია. მას რომ სხვა დიდ ღირსებებთან, მამაცობასა, მუყაითობასა, ცოდნასა და სამართლიანობასთან ერთად სარდლისათვის აუცილებელი ეს ღირსებაც ჰქონოდა, რომაელთა საბრძანებელის საზღვრად აზიაში ევფრატი კი არ იქნებოდა, არამედ ქვეყნიერების კიდე და ჰირკანიის ზღვა [98]. დანარჩენი ხალხები კი ტიგრანს ჰყავდა დამორჩილებული. რაც შეეხება პართებს, მათი ძლიერება ლუკულუსის დროს ისეთი როდი იყო, როგორც კრასუსის ლაშქრობის ჟამს [99]. პართები ჯერ კიდევ არ იყვნენ გაერთიანებულნი; შინაური შფოთი და მეზობელ ხალხებთან წარმოებული ომები მათ საშუალებას არ აძლევდა სომეხი შეურაცხმყოფლები მოეგერიებინათ. აი ამის გამო, ჩემი აზრით, ლუკულუსმა მაშინ უფრო მეტი ვნება მიუტანა სამშობლოს სხვების მეშვეობით, ვიდრე საკუთარ ბლობა თავისი მოქმედებით: მისმა გამარჯვებებმა სომხეთში, პართების მახლობლად, ტიგრანოკერტისა და ნისიბისის აღებამ, აქედან რომში ჩამოზიდულმა უთვალავმა სიმდიდრემ და ტრიუმფისათვის წამოღებულმა ტიგრანის გვირგვინმა, — ყველაფერმა ამან წააქეზა კრასუსი აზიაში გალაშქრებულიყო. მას ეგონა, იქაური ბარბაროსები მდიდარ ნადავლს წარმოადგენდნენ და სხვას არაფერს: მაგრამ კრასუსმა მალე იგემა პართების ისართა სიმწვავე და საკუთარი მარცხით დაამტკიცა, რომ ლუკულუსმა გამარჯვება მოიპოვა არა მტრის უგუნურებისა და სისუსტის წყალობით, არამედ საკუთარი მამაცობითა და გამოცდილებით. მაგრამ ამის თაობაზე შემდეგ [100].

37. ჩამოვიდა თუ არა რომში, პირველი, რაც ლუკულუსმა გაიგო, ის იყო, რომ გაიუს მემიუსს [101] სამართალში მიეცა მისი ძმა მარკუსი კვესტორობის დროს სულას ბრძანებით ჩადენილი მოქმედებისათვის. მარკუსი გამართლდა; მაგრამ ახლა ლუკულუსზე მიიტანა იერიში მემიუსმა და ხალხი დაიყოლია მისთვის ტრიუმფის უფლება არ მიეცათ, იმ მიზეზით, ლუკულუსმა ბევრი ფული მიითვისა და ომი გაახანგრძლივაო.

ლუკულუსი დიდ გასაჭირში ჩავარდა; მაგრამ წარჩინებული და გავლენიანი მოქალაქენი ტრიბებში შეერივნენ და დაჟინებული თხოვნით ძლივძლივობით დაარწმუნეს ხალხი, ლუკულუსისათვის ტრიუმფის გადახდის ნება დაერთოთ [102].

ლუკულუსის ტრიუმფი სხვა ტრიუმფების მსგავსად საზეიმო პროცესიის სიგრძითა და გამოტანილი ნივთების სიმრავლით ხალხის განსაცვიფრებლად როდი იყო მოწყობილი. ლუკულუსმა ფლამინიუსის ცირკი მტრის ნაირ-ნაირი იარაღითა და მეფეებისაგან წამოღებული საალყო მანქანებით მორთო. ეს სანახაობა თავისთავადაც საყურადღებო აღმოჩნდა.

საზეიმო სვლაში მონაწილეობდა რამდენიმე ჯავშანში ჩამჯდარი ცხენოსანი, ათი საბრძოლო, ორმხრივ ცელდამაგრებული ეტლი და მეფის სამოცამდე კარისკაცი და სარდალი. ტრიუმფში ჩაატარეს აგრეთვე სპილენძისცხვირიანი ას ათი გრძელი ხომალდი, მითრიდატეს ოქროს ქანდაკება, რომელსაც ექვსი წყრთა სიმაღლე ჰქონდა. მისი ძვირფასი თვლებით მოჭედილი ფარი და ოცი ვერცხლის ჭურჭლეულობით აღსავსე უუთი; გარდა ამისა ოცდათორმეტი უუთი ოქროს თასებით, იარაღითა და ფულით გაჭედილი გამოატარეს. ყველაფერი ეს საგანგებოდ დანიშნულ ხალხს მოჰქონდა.

დანარჩენი ნადავლი ჯორებს ჰქონდათ აკიდებული. რვა ჯორს ოქროსაგან ნაკეთები საწოლები მოჰქონდა, ორმოცდათექვსმეტს — ვერცხლის ზოდები, ხოლო სხვა ას შვიდ ჯორზე თითქმის ორ მილიონ შვიდას ათას დრაქმამდე ვერცხლის ფული იყო აკიდებული.

ტრიუმფში გამოტანილ დაფებზე აღნიშნული იყო ის თანხა, რომელიც ლუკულუსმა მეკობრეებთან ომის საწარმოებლად პომპეუსს მისცა და ის თანხაც, რაც მან სახელმწიფო ხაზინაში შეიტანა. ცალკე იყო აღნიშნული ისიც, რომ თითოეულმა ჯარისკაცმა ცხრაას ორმოცდაათი დინარი მიიღო.

ტრიუმფის დასასრულს ლუკულუსმა ბრწყინვალე ლხინი გადაუხადა ქალაქს და მის მახლობლად მდებარე დაბებს, რომელთაც „ვიკუსებს“ ეძახიან [103].

38. გაშორდა თუ არა კლოდიას, ამ ბილწსა და უზნეო ქალს, ლუკულუსმა შეირთო კატონის და სერვილია; მაგრამ ეს ქორწინებაც უიღბლო გამოდგა მისთვის. ერთადერთი ეს იყო, რომ სერვილია კლოდიასავით სამარცხვინოდ არ ცხოვრობდა ძმებთან, თორემ სხვა მხრივ ისეთივე ავხორცი და გარყვნილი გამოდგა. ლუკულუსი იძულებული იყო კატონის პატივისცემით აეტანა ეს ქალი, მაგრამ მერმე ვეღარ მოითმინა და გაავდო.

სენატი დიდ იმედებს ამყარებდა სახელმოხვეჭილსა და ძლიერი

გავლენის მქონე ლუკულუსზე და მასში პომპეუსის ტირანიის მოწინააღმდეგესა და წარჩინებულთა ფენისათვის ერთგულ მებრძოლს ხედავდა; მაგრამ ლუკულუსი სახელმწიფო მოღვაწეობას ჩამოშორდა. ეს ან იმიტომ გააკეთა, რომ ეგონა: სახელმწიფო განუკურნებელი სენითაა დაავადებულიო, ანდა შეიძლება, როგორც ზოგიერთი ამბობს, დიდებით უკვე გამაძღარს ამდენი უიღბლოდ დამთავრებული ბრძოლისა და ჯაფის შემდეგ იოლი და ფუფუნებით აღსავსე ცხოვრება უნდოდა.

ზოგიერთები კიდეც უქებენ ლუკულუსს ცხოვრების ასეთნაირ შეცვლას: ამის წყალობით მარიუსის ბედი აიცდინა თავიდანო [104]. მარიუსმა კიმბრებზე გამარჯვებისა და დიდი და ბრწყინვალე წარმატების შემდეგ არ მოინდომა ჩამოშორებოდა სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზს, დაესვენა და იმ პატივს დასჯერებოდა, მართლაც რომ შესაშური იყო. სახელსა და მბრძანებლობას დახარბებული მოხუცი ახალგაზრდებთან პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაება, რამაც ისეთი საშინელი საქმენი ჩაადენინა და ისეთი უბედურება დაატეხა, ამ საქმეებზე საშინელი რომ იყო. ციცერონიც უკეთესად გაატარებდა სიბერის დღეებს, რომ კატილინას გასცლოდა. ასევე მოიგებდა სციპიონიც, კართაგენისა და ნუმანციის დამორჩილების შემდეგ თუკი განსვენებას მიეცემოდა. პოლიტიკურ მოღვაწეობასაც თავისი დრო და საზღვარი აქვს. როგორც ათლეტთა ბრძოლაში, ისე პოლიტიკურ ჭიდილშიც იგრძნობა ხოლმე ძალისა და ახალგაზრდული გატაცების შესუსტება.

კრასუსი და პომპეუსი დასცინოდნენ განცხრომასა და ფუფუნებაში ჩაძირულ ლუკულუსს: ამ ასაკის კაცს ნებივრობაში ყოფნა კი არა, სახელმწიფო მოღვაწეობა და სარდლობა შეეფერისო!

39. მართლაც, ლუკულუსის ცხოვრება შეიძლება შევადაროთ ძველ კომედიას, სადაც ჯერ პოლიტიკური მოღვაწეობისა და გმირის სარდლობის ამბებს ვხვდებით, მერმე კი ღვინის სმას, ღრეობას , და მრავალგვარ ხუმრობა-გართობას ვხედავთ [105]. გართობათა რიგს ვაკუთვნებ მე ლუკულუსის მიერ აგებულ ძვირფას შენობებს, სასეირნო ხეივნებისა და აბანოების მოწყობას და კიდევ უფრო მეტად სურათებს, ქანდაკებებს და ხელოვნების სხვა ამდაგვარ ნიმუშებს, რომელთაც ლუკულუსი დიდი გულმოდგინეობით აგროვებდა და რომელთა გულისთვისაც დაუზოგავად ფანტავდა ლაშქრობებში მოხვე-

ჭილ აურაცხელ სიმდიდრეს. აი, დღესაც, როცა ფუფუნებამ საოცარ სიმაღლეს მიაღწია, ლუკულუსის ბაღები კეისართა დიდებულ ბაღებთან ერთად იხსენიება.

ზღვის სანაპიროსა და ნეაპოლის მიდამოებში მან ბევრი რამ გააკეთა; მთებში დიდი გვირაბები გათხარა, ზღვიდან გაიყვანა თევზსაცავი თხრილები, რომელიც მის საცხოვრებელ სახლებს გარს ევლებოდა, და ზღვის პირზე შენობები აღმართა. სტოელი ტუბერონი [106], რომელმაც ყველაფერი ეს საკუთარი თვალით იხილა, ლუკულუსს ტოგაში გამოწყობილ ქსერქსეს [107] ეძახდა.

ტუსკულუმის ახლომახლო ლუკულუსს ჰქონდა აგარაკები, მაღალი კოშკები, საიდანაც ყველაფერი შესანიშნავად ჩანდა, მამაკაცთა მრავალი ღია დარბაზი და სასეირნო ხეივნები. პომპეუსმა, რომელიც ერთხელ იქ იყო, ლუკულუსს უსაყვედურა: საზაფხულოდ მშვენიერი სახლები აგიგია, ზამთარში კი შიგ ყოფნა ყოვლად შეუძლებელიაო. ლუკულუსს ამაზე გაეცინა და უპასუხა: „იქნე" გგონია, წეროებსა და ყარყატებზე ნაკლები ჭკუა მაქვს და წლის დროთა მიხედვით საცხოვრებელ ადგილს არ გამოვიცვლიო?"

ერთხელ ერთმა პრეტორმა, რომელსაც დიდებული სანახაობის მოწყობა ჰქონდა განზრახული, გუნდის მოსაკაზმავად ლუკულუსს მეწამული ფერის ქლამიდები [108] სთხოვა. ლუკულუსმა უპასუხა: ვნახავ და, თუ აღმოჩნდა, რომ მაქვს, მოგცემო. მეორე დღეს მან პრეტორს ჰკითხა: რამდენი გჭირდებაო? პრეტორმა უპასუხა: ასი ცალი მეყოფაო. ლუკულუსმა მას ორჯერ მეტი გაატანა. აი, სწორედ ამაზე ამბობს პოეტი ფლაკუსი [109], იგი სიმდიდრეს არ თვლის სიმდიდრედ, თუ ის ქონება, რომელიც არა ჩანს და რომელზეც პატრონმა არაფერი იცის, რასაც თვალნათლივ ვხედავთ, იმას არ აღემატებაო.

40. ლუკულუსის ყოველდღიური სუფრა, როგორც ეს ახლად გამდიდრებულ კაცს შეეფერება, ყოველმხრივ დიდებული იყო. ლუკულუსი ცდილობდა განცვიფრებაში მოეყვანა უბრალო ხალხი არა მარტო ძოწეულის ძვირფასი ხალიჩებით, ძვირფასი თვლებით მოჭედილი თასებით და ლხინზე შიგადაშიგ გამართული გუნდური ფერხულითა და მუსიკით, არამედ მრავალგვარი ნუგბარ-ნუგბარი საჭმლითა და საგანგებოდ შემზადებული ძვირფასი ნამცხვრებით.

სხვათა შორის საყოველთაო ქება დაიმსახურა პომპეუსმა იმ სიტყვისათვის, რომელიც ავადმყოფობის ჟამს წარმოთქვა. ექიმმა მას

საჭმელად შაშვის ხორცი დაუნიშნა. მსახურებმა განაცხადეს: ზაფხულში შაშვის შოვნა არსად არ შეიძლება; ეს ფრინველი მხოლოდ და მხოლოდ ლუკულუსს ჰყავსო. პომპეუსმა შაშვისათვის ლუკულუსთან წასვლის ნება მსახურებს არ დართო და ექიმს უთხრა: „როგორ? ლუკულუსი რომ განცხრომით არ ცხოვრობდეს, პომპეუსი ვერ იცოცხლებსო?“ მან ექიმს სთხოვა, რამე ხელმისაწვდომი საჭმელი დაენიშნა მისთვის [110].

კატონი ლუკულუსის მეგობარი და მოყვარე კაცი იყო, მაგრამ მისი ცხოვრების ნირი ისეთ ბრაზს ჰგვრიდა, რომ ერთხელ, როდესაც სენატში ერთი ახალგაზრდა კაცი სრულიად უდროო დროს გრძელსა და მოსაწყენ სიტყვას ამბობდა უბრალო და თავდაჭერილი ცხოვრების თაობაზე, ფეხზე წამოხტა და ამ ყმაწვილს მიმართა: „აღარ გაათავებ? შენ მდიდარი ხარ, როგორც კრასუსი, ცხოვრობ, როგორც ლუკულუსი და ლაპარაკობ კი, ვით კატონიო!“

ზოგიერთი ამბობს, ეს ნამდვილად ასე იყო ნათქვამი, ოღონდ ამის მთქმელი კატონი არ ყოფილაო.

41. ლუკულუსი ასეთი ნებიერი ცხოვრებით არამარტო კმაყოფილი, გაამაყებულიც იყო. ეს ცხადია შემდეგი ღირსსახსოვარი ამბიდან. ამბობენ, ლუკულუსი მრავალი დღის განმავლობაში ეპატიჟებოდა და უმასპინძლდებოდა საქმეებზე რომში ჩამოსულ ბერძნებს. ამათ ბოლოს და ბოლოს ბერძნული მოკრძალება გამოიჩინეს, შერცხვათ და მოწვევაზე უარის თქმა დაიწყეს; ასე ეგონათ, ყოველდღიური დიდი ხარჯი მათი მიზეზით იყო გამოწვეული. ლუკულუსმა მაშინ სიცილით უთხრა ბერძნებს: „ზოგიერთი რამ ამ ხარჯიდან, რა თქმა უნდა, თქვენთვისაც კეთდება, ჩემო ბერძნებო, მაგრამ უდიდესი წილი მაინც ლუკულუსისთვისაა განკუთვნილიო“.

ერთხელ ლუკულუსი მარტოდმარტო ვახშმობდა. მას ერთი მაგიდა და უბრალო ვახშამი მიართვეს. გამწყრალმა ლუკულუსმა ამ საქმისათვის დანიშნულ მონას დაუძახა და ლანძღვა დაუწყო. მონამ უპასუხა: რაკიღა მოწვეული არავინ გყავდა, არ მეგონა, თუ ძვირფასი ვახშამი დაგჭირდებოდაო. „რას ამბობ, — შეჰყვირა ლუკულუსმა, — განა არ იცოდი, დღეს ლუკულუსთან ლუკულუსი სადილობდაო?“

როგორც ჩანს, ამის თაობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ ქალაქში. ერთხელ, როდესაც ლუკულუსი ფორუმზე უქმად დადიოდა, მასთან

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

მივიდნენ ციცერონი და პომპეუსი. ციცერონი მისი დიდი მეგობარი და თითქმის შინაური კაცი იყო. რაც შეეხება პომპეუსს, მართალია, ლუკულუსს მასთან მთავარსარდლის რწმუნების გამო თავის დროზე უთანხმოება ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ხშირად ხვდებოდა მას და ერთმანეთს მეგობრულად ესაუბრებოდნენ. ციცერონი ლუკულუსს მიესალმა და ჰკითხა: ხომ შეიძლება გეწვიოთო? ლუკულუსმა უპასუხა: დიდად მოხარული ვარ და გთხოვთ მობრძანდეთო. „ჩვენ გვინდა, — უთხრა ციცერონმა, — დღეს შენთან შინაურულად ვისადილოთ; საგანგებო მომზადება საჭირო არაა, რაც შენთვისაა გაკეთებული, იმაზე გადავიდეთო!“ ლუკულუსმა თავი მოიკატუნა და მოითხოვა ასეთ შემთხვევაში დარბაზობა გადაედოთ. ციცერონმა და პომპეუსმა ლუკულუსს ამაზე უარი უთხრეს და იმ მიზნით, რომ სამზადისზე ბრძანება არ გაეცა, მსახურებთან გამოლაპარაკების საშუალება არ მისცეს. ერთ თხოვნაზე დაეთანხმნენ მხოლოდ, რომ მათი თანდასწრებით თავის მსახურისათვის ეთქვა: დღეს „აპოლონის დარბაზში“ უნდა ვისადილოთო. აპოლონის დარბაზი კი მის ერთ-ერთ უძვირფასეს სასადილო ოთახს ერქვა სახელად. ამით ლუკულუსმა სტუმრებს ეშმაკობაში აჯობა. საქმე ის იყო, რომ მის ყოველ სასადილო დარბაზისათვის, როგორც ჩანს, დაწესებული იყო განსაკუთრებული ხარჯი და ის, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სუფრის თადარიგი. ამიტომ, როცა მონები გაიგებდნენ, თუ სად უნდოდა სადილობა ლუკულუსს, იცოდნენ, რამდენი დაეხარჯათ, როგორ მოერთოთ დარბაზი და საერთოდ როგორი თადარიგით მომზადებულიყო სადილი. „აპოლონის დარბაზში“ სადილობა ჩვეულებრივ ორმოცდაათი ათასი დინარი ჯდებოდა. აი, ამდენი დაიხარჯა ციცერონისა და პომპეუსის სტუმრობის დროსაც. პომპეუსი და მისი მხლებლები კი მეტისმეტად გააოცა ასეთმა დიდმა ხარჯმა და სუფრის სწრაფმა გაწყობამ.

აი, ასე თავქარიანად ხარჯავდა ლუკულუსი ქონებას. იგი ისე ექცეოდა სიმდიდრეს, როგორც ტყვეთ და ბარბაროსთ.

42. ყურადღებისა და მოგონების ღირსია, სხვათა შორის, ლუკულუსის ლტოლვა წიგნებისადმი. იგი ბევრ ლამაზად დაწერილ წიგნს აგროვებდა. ამ წიგნების შეძენაზე უფრო მეტად საქები საქმე მაინც ლუკულუსის მიერ მათი გამოყენება იყო. მისი ყველა ბიბლიოთეკა, ამ ბიბლიოთეკების გარშემო მოწყობილი სასეირნო ხეივნები და სა-

მეცადინო ოთახები მუდამ ღია იყო. ლუკულუსი ხალისით ღებულობდა იქ სწავლულ ბერძნებს. ისინიც, მორჩებოდნენ თუ არა სხვა საქმეებს, სიამოვნებით მოდიოდნენ აქ, როგორც მუზების ნავსაყუდალში, და მთელ დღეს ერთმანეთთან საუბარში აატარებდნენ. ხშირად თვითონ ლუკულუსიც ჩამოდიოდა ხეივნებში, ესაუბრებოდა ფილოლოგებს და აქ მოსულ სახელმწიფო მოღვაწეებსაც, თუკი სჭირდებოდათ, დახმარებას უწევდა. ერთი სიტყვით, მისი სახლი ნამდვილი თავშესაფარი იყო რომში ჩამოსული ბერძნებისათვის.

ლუკულუსი თაყვანს სცემდა ფილოსოფიას საზოგადოდ; იგი მის ყოველ მოძღვრებას პატივითა და სიყვარულით ეკიდებოდა; მაგრამ განსაკუთრებული ვნებით შეიყვარა აკადემიის ფილოსოფია. ოღონდ ეგრეთ წოდებული ახალი აკადემიის ფილოსოფია კი არა, თუმცაღა იგი ფილონის მიერ განმარტებული კარნეადეს თეზისულებების წყალობით მაშინ დიდ პატივში იყო, არამედ ძველი აკადემიის ფილოსოფია, რომლის წარმომადგენლად იმ ხანებში შესანიშნავი და დახელოვნებული მჭევრმეტყველი ანტიოქე ასკალონელი ითვლებოდა. ლუკულუსმა იგი დიდი გულმოდგინეობის შედეგად მეგობრად და თავისი წრის კაცად გაიხადა და დაუპირისპირა ფილონის მოწაფეებს, რომელთა რიცხვშიც ციცერონი იყო. ციცერონმა, სხვათა შორის, ამ აკადემიის ფილოსოფიის სისტემაზე შესანიშნავი წიგნი დაწერა, რომელშიც ლუკულუსი ძველი აკადემიის ფილოსოფიის დამცველად გამოჰყავს, თავისი თავი კი ამ ფილოსოფიის მოწინააღმდეგედ. ციცერონის ამ წიგნის სათაურია „ლუკულუსი“ [111].

ლუკულუსი და ციცერონი, როგორც ეს ზემოთ ვთქვით, დიდი მეგობრები იყვნენ და ერთ პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნოდნენ. ლუკულუსი მთლიანად არ ჩამოშორებია პოლიტიკურ მოღვაწეობას; მაგრამ პირველობისა და დიდი გავლენის მოპოვებისათვის გამართული პატივმოყვარული მეტოქეობა და ბრძოლა, როგორც სამში და ამპარტავნული საქმე, თავიდანვე კრასუსსა და კატონს დაუთმო. როცა ლუკულუსმა პირველობაზე ხელი აიღო, იმ პირებმა, რომელნიც ეჭვისა და შიშის თვალით უყურებდნენ პომპეუსის ძლიერებას, კრასუსი და კატონი სენატის უპირველეს დამცველებად გამოიყენეს.

ლუკულუსი ამიერიდან ფორუმზე მხოლოდ მეგობრების გულისთვისღა ჩამოდიოდა და სენატში მაშინ გამოჩნდებოდა, როცა საჭირო იყო პომპეუსის რაიმე პატივმოყვარე მისწრაფებათა აღკვეთა. მან და-

არღვია ის განკარგულებები, რომლებიც პომპეუსმა აზიაში მეფეთა დამარცხების შემდეგ გამოიტანა და კატონის დახმარებით საშუალება არ მისცა მას გაეტარებინა კანონი ჯარისკაცთათვის მიწების განაწილების თაობაზე. პომპეუსმა მაშინ კრასუსთან და კეისართან შეჰკრა პირი, უკეთ რომ ვთქვათ, შეთქმულებას მიმართა[112]. მან ქალაქი შეიარაღებული ჯარისკაცებით აავსო, ძალით გაატარა თავისი კანონები და კატონი და ლუკულუსი თავ-თავიანთი მომხრეებით ფორუმიდან გააძევა.

ამ ამბავმა წარჩინებულთა ფენაში დიდი გულისწყრომა გამოიწვია. მაშინ პომპეუსელებმა მოიყვანეს ვიღაც ვეტიუსი და განაცხადეს: ეს კაცი პომპეუსზე ხელყოფის დროს შევიპყარითო. სენატში შემდგარ დაკითხვაზე ამ ვეტიუსმა ბრალი დასდო სხვებს, ხოლო ხალხის წინაშე კი ლუკულუსი დაასახელა: პომპეუსის მოკვლაზე მაგან წამაქეზაო. ეს არავინ დაიჯერა და მაშინვე აშკარა გახდა, ეს კაცი პომპეუსელთა მიერ იყო მოსყიდული საზიზღარი ცილისწამებისათვის. უფრო მეტად ნათელი შეიქნა ეს ამბავი, როცა რამდენიმე დღის შემდეგ ვეტიუსის გვამი ციხიდან გადმოაგდეს. პომპეუსელები ამტკიცებდნენ: ვეტიუსი თავისი სიკვდილით მოკვდაო; მაგრამ მოშ. თობისა და ცემის ნიშნები, გვამს რომ აჩნდა, აშკარად ხდიდა იმას. რომ ვეტიუსი ვერაგულად იყო მოკლული.

43. ამ ამბავმა კიდევ უფრო მეტად ჩამოაცილა ლუკულუსი პოლიტიკას. ხოლო როცა ციცერონი რომიდან გააძევეს და კატონი კიპროსზე გაგზავნეს, მაშინ კი სავსებით ხელი აიღო სახელმწიფო მოღვაწეობაზე.

ამბობენ, სიკვდილის წინ თანდათანობით გონება დაკარგა და სულით დაავადდაო. კორნელიუს ნეპოტი გადმოგვცემს: ლუკულუსი არც სიბერისა და არც ავადმყოფობის მიზეზით არ შერყეულა ჭკუაზე; იგი ერთ-ერთი მისი აზატი კალისთენეს მიერ მიცემული წამლის წყალობით შეიშალაო. კალისთენემ ეს წამალი იმიტომ მისცა, რომ ლუკულუსს იგი უფრო მეტად შეჰყვარებოდა; მას თურმე ეგონა, ამ წამალს ასეთი ძალა ჰქონდა; მაგრამ სინამდვილეში წამალმა ლუკულუსი შეარყია და გონება დაუბნელა; ამის გამო, ჯერ კიდევ სიცოცხლეში, ლუკულუსის ქონებას მისი ძმა განაგებდაო[113].

ასე იყო თუ ისე, როცა ლუკულუსი გარდაიცვალა, ხალხი ფრიად შეწუხდა. ისე გეგონებოდა, თითქოს იგი თავისი სარდლობისა და

პოლიტიკური მოღვაწეობის ნიჭის გაფურჩქვნის ჟამს გამოსალმებოდა სიცოცხლეს. ყველა გარბოდა მის დაკრძალვაზე და მოითხოვდნენ, ლუკულუსის გვამი, რომელიც კეთილშობილ ახალგაზრდებს ფორუმზე მიჰქონდათ, მარსის ველზე დაესაფლავებინათ, აი იქ, სადაც სულა იყო დაკრძალული. რაკიღა ლუკულუსის სიკვდილი მეტისმეტად მოულოდნელად მოხდა და მარსის ველზე დაკრძალვისათვის მომზადება დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, ამიტომ ხალხი დაეთანხმა ლუკულუსის ძმას, რომელიც თხოულობდა, გვამი ტუსკულუმის მამულში დაემარხათ, სადაც საამისოდ ყველაფერი მზად იყო.

ამის შემდეგ ლუკულუსის ძმას დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი არც ასაკით და არც სახელით დიდად არ ჩამორჩებოდა ლუკულუსს და ამიტომაც მალე მიჰყვა უკან თავის საყვარელ ძმას.

# ევმენე

I. დურისის გადმოცემით, ევმენე კარდიელი[1] ერთი ხერსონესელი ღარიბი მეეტლის შვილი გახლდათ, რომელმაც თავისუფალი კაცისათვის შესაფერი განათლება მიიღო და პალესტრაშიც გაიწაფა[2]. ერთხელ, მის ბავშვობაში, კარდიაში იმყოფებოდა ფილიპე[3] და თავისუფალ დროს ესწრებოდა იქაურ ყრმათა შეჯიბრს პანკრატიონსა[4] და ჭიდაობაში. ევმენემ აქ ისეთი წარმატება, მკვირცხლი კონება და სიმამაცე გამოიჩინა, ფილიპეს მეტისმეტად მოეწონა და თან წაიყვანა. როგორც ჩანს, უფრო სწორი უნდა იყოს სხვათა გადმოცემა, რომლებიც ამბობენ: ფილიპე სტუმართმასპინძლობით იყო დაკავშირებული ევმენეს მამასთან და ამიტომ წაიყვანა თან მისი შვილი. ფილიპეს სიკვდილის შემდეგ, რაკი ყველამ მიიჩნია, რომ ალექსანდრეს[5] გარშემო დარაზმულ ვაჟკაცებს ევმენე არც გონიერებით და არც ერთგულებით არ ჩამოუვარდებოდა, იგი სამეფო კარის მთავარ მდივნად გამოაცხადეს, მაგრამ პატივი ისეთივე ჰქონდა, როგორც მეფის მეგობრებსა და მახლობლებს. მერმე ლაშქრის ნაწილი ჩააბარეს და სარდლის ჩინით ინდოეთს მიავლინეს; ხოლო როცა ჰეფესტიონი გარდაიცვალა და მისი თანამდებობა პერდიკას მისცეს, პერდიკას ნაცვლად მთელი ცხენოსანი ჯარის მეთაურად დანიშნეს[6]. ამის გამო მაკედონელები, რომლებმაც იცოდნენ, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად რომ მეფემ ევმენე თავისი მოყვროობის ღირსიც გახადა, ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ არქიპასპისტს[7] ნეოპტოლემეს, ვინც ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ხშირად ამბობდა: მე ფარითა და შუბით ვახლდი ხოლმე მეფეს, ევმენე კი საწერი ჩხირებით და ფირფიტებით დასდევდაო. პირველი ქალი, რომელიც ალექსანდრემ აზიაში გაიცნო, არტაბაძოსის ასული ბარსინე გახლდათ. ამ ქალისაგან მას ჰყავდა ვაჟი, სახელად ჰერაკლე. როცა ალექსანდრემ თავის მეგობრებს შესაუღლებ-

ლად სპარსთა ასულები დაუნაწილა, ბარსინეს ერთი და, პატიმა, პტოლემეს მისცა, მეორე კი, რომელსაც სახელად ასევე ბარსინე ერქვა, ევმენეს უბოძა.

2. მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, ალექსანდრე ხშირად ჩავრობდა მასზე და ჰეფესტიონის გამო კიდეც გაურისხდა. ერთხელ ჰეფესტიონმა ფლეიტაზე დამკვრელ ევიოსს გადასცა სახლი, რომელიც მონებს ევმენესათვის ჰქონდათ დაქირავებული. გაბრაზებული ევმენე მენტორთან ერთად ალექსანდრეს მივარდა და ყვირილი მორთო: როგორც ჩანს, გაცილებით უკეთესია, იარაღი დაჰყაროს კაცმა და ფლეიტაზე დაკვრას ან ტრაგედიაში თამაშს მიჰყოს ხელიო! ალექსანდრემ მაშინ ევმენეს მხარი დაუჭირა, გაწყრა და ჰეფესტიონი კარგად გამოლანძღა. მაგრამ სულ ჩქარა აზრი შეიცვალა და ახლა ევმენე შერისხა: შენი საქციელით ჰეფესტიონის გულწრფელი გამომეღავნება კი-არა, ჩემი შეურაცხყოფა გინდოდაო! ერთხელ კიდევ აი რა მოხდა. ალექსანდრე ნეარქეს ხომალდებით შორეულ ნაოსნობაში აგზავნიდა, მაგრამ რაკი სამეფო ხაზინა იმ დროს დაცარიელებული იყო, საჭირო ფული მეგობრებს სთხოვა. ევმენემ, რომელსაც სამასი ტალანტი მოსთხოვა, სიძუნწე გამოიჩინა და მხოლოდ ასი მისცა: ესეც ძლივძლივობით შევაგროვე ჩემი მმართველების მეშვეობითო. ალექსანდრე არ შესდავებია, მაგრამ მისი ფული არ აიღო, მონა ბიჭებს კი უბრძანა, ევმენეს კარვისათვის ჩუმად ცეცხლი წაეკიდებინათ და, როცა იქიდან ფულის გამოტანას დაიწყებდნენ, ცრუპენტელა ტყუილში დაეჭირათ. მოხდა ისე, რომ კარავი უფრო ადრე დაიწვა, ვიდრე იქიდან რაიმეს გამოტანას მოასწრებდნენ. ალექსანდრე მეტისმეტად შეწუხდა ამ კარავში შენახული მიმოწერის განადგურების გამო, მაგრამ შიგ აღმოჩნდა ცეცხლში გადამდნარი ათასზე მეტი ტალანტის ოქრო და ვერცხლი. ალექსანდრემ არაფერი არ აიღო, ოღონდ ყველა სატრაპსა და სარდალს მისწერა, განადგურებული საბუთების პირები გამოეგზავნათ, ევმენეს კი ყველა ასლის მიღება უბრძანა.

ერთხელაც ევმენე რაღაც საჩუქრის გამო წაეკინკლავა ჰეფესტიონს, ბევრი ავი სიტყვა უთხრა, ბევრიც მას აკადრეს, მაგრამ ამ დავაში გამარჯვება მაინც მას ხვდა. მცირე ხნის შემდეგ, როცა ჰეფესტიონი გარდაიცვალა, დიდად დამწუხრებულმა მეფემ მრისხანე თვალით დაუწყო ცქერა ყველას, ვისაც, მისი აზრით, სიცოცხლეში შურდა ჰეფესტიონის და ვისაც მისი სიკვდილი გაუხარდა. ყველაზე მე-

ტი ეჭვი ევმენეზე მიიტანა და ხშირად საყვედურით მოაგონებდა ჰეფესტიონთან მის წარამარა დავას და კინკლაობას. მოხერხებულმა და დარწმუნებაში დახელოვნებულმა ევმენემ სცადა თავის გადასარჩენად გამოეყენებინა ის, რაც დაღუპვას უქადდა. იცოდა რა ალექსანდრეს მეგობრული განწყობილება ჰეფესტიონის მიმართ, გადაწყვიტა დიდი პატივი ეცა მიცვალებულისათვის და ჰეფესტიონის დასაკრძალავად დაუზოგავად გაიღო საკმაოდ დიდი თანხა.

3. როცა ალექსანდრე გარდაიცვალა, მაკედონურ ფალანგასა და მეფის მეგობრებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა[9]. ევმენე გულში პირველს უჭერდა მხარს, სიტყვით კი აცხადებდა: ჩემთვის, როგორც უცხოური წარმოშობის კაცისთვის, ორივე მხარე ერთია და მაკედონელთა დავაში ვერ ჩავერევიო. მცირე ხნის შემდეგ მეფის მეგობრები ბაბილონიდან გაემგზავრნენ, ევმენე კი ქალაქში დარჩა, თითქმის მთელი ფეხოსანი ლაშქარი დაამშვიდა და მეფის ახლობლებთან შერიგებაზე დაიყოლია. როცა შფოთი ჩაცხრა და სარდლები ერთმანეთს შეხვდნენ, სასატრაპოებისა და უმაღლეს სამხედრო თანამდებობათა განაწილებას შეუდგნენ. ევმენეს წილად ხვდა კაპადოკია, პაფლაგონია და პონტოს ზღვის გაყოლებაზე მდებარე ქვეყნები ტრაპეზუნტამდე. ეს მხარე ჯერ კიდევ არ იყო მაკედონელთა გამგებლობაში და იქ არიარათე მეფობდა. საჭიროა იყო ლეონატესა და ანტიგონეს[10] დიდი მხედრობით ჩაეყვანათ ევმენე და ამ ქვეყნის სატრაპად გამოეცხადებინათ. მაგრამ ანტიგონე პერდიკას ბრძანებებს არ ემორჩილებოდა, დიად საქმეებზე ოცნებობდა და ყველას აგდებით უყურებდა; ლეონატე კი ფრიგიაში ჩავიდა, რათა ევმენეს ჯარით მიშველებოდა. სწორედ ამ დროს კარდიელთა ტირანმა ჰეკატემ ლეონატეს სთხოვა, უწინარეს ყოვლისა ანტიპატრესა და ლამიაში[11] ალყაშემორტყმულ მაკედონელებს დახმარებოდა. ლეონატე ევროპაში გადასასვლელად გაემზადა და ევმენეც დაარწმუნა, მას გაჰყოლოდა. ლეონატეს სურდა ევმენე ჰეკატესთან შეერიგებინა. საქმე ის გახლდათ, რომ ევმენე და ჰეკატე სახელმწიფოებრივი უთანხმოების გამო კარგა ხანია ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებდნენ. ევმენე ხშირად და აშკარად სდებდა ხოლმე ბრალს ჰეკატეს და ალექსანდრეს მოუწოდებდა კარდიელებისათვის თავისუფლება დაებრუნებინა. ამის გამო მაშინ ევმენემ ბერძნების წინააღმდეგ ლაშქრობაზე უარი თქვა: ვშიშობ, ანტიპატრემ, რომელსაც იმთავითვე ვძულვარ, ჰეკატეს გულის

მოსაგებად არ მომკლასო. ლეონატემ დაუჯერა და ყველა თავისი ზრახვა გაუმჟღავნა: ჩემგან ალყაში მყოფთა დახმარების გაწევა მხოლოდ ცარიელი დაპირება და საბაბია, სინამდვილეში კი განზრახული მაქვს, როგორც კი გადავალ ევროპაში, მაკედონია დავიმორჩილოო. ამასთან ერთად ლეონატემ ევმენეს უჩვენა კლეოპატრას[12] რამდენიმე წერილი. ამ წერილებში კლეოპატრა ლეონატეს პელაში[13] იწვევდა და ცოლობას სთავაზობდა. ანტიპატრეს შიშით, თუ იმის გამო, რომ ვერ ენდო თავქარიან, მერყეევსა და მოუფიქრებელი მისწრაფებებით გატაცებულ ლეონატეს, ევმენე თავისი ქონებით ღამით ბანაკიდან აიყარა. მას ჰყავდა სამასი ცხენოსანი, ორასი შეიარაღებული მონა და ჰქონდა ოქრო, რომლის ფასიც ხუთი ათასი ტალანტის ღირებულების ვერცხლს შეესაბამებოდა. მთელი ამალით ევმენემ პერდიკას მიაშურა და ლეონატეს ზრახვები აუწყა. პერდიკამ მას მყისვე დიდი ძალა და პატივი მიანიჭა და ერთ-ერთ მრჩევლად გაიხადა.

განვლო ერთმა ხანმა და ევმენე დიდი მხედრობით, რომელსაც თვითონ პერდიკა სარდლობდა, კაპადოკიაში ჩაიყვანეს, ხოლო არიარათეს დატყვევებისა და ქვეყნის დამორჩილების შემდეგ სატრაპად დანიშნეს. ევმენემ იქაური ქალაქები თავის მეგობრებს დაუნაწილა, შიგ მცველები ჩააყენა და, რაკი პერდიკა ამ საქმეებში არ ერეოდა, საკუთარი სურვილის მიხედვით მოსამართლეები და გამგებლები დანიშნა. ამის შემდეგ ევმენემ კაპადოკია დატოვა და პერდიკას გაჰყვა, რათა მისთვის მხარი დაემშვენებინა. თანაც არ სურდა მაკედონიის სამეფო კარს მოსწყვეტოდა.

4. პერდიკა დარწმუნებული გახლდათ, განზრახულს თვითონვე შეასრულებდა, მაგრამ მიტოვებულ მხარეებში რომ ფხიანი და ერთგული მცველი იყო საჭირო, ამასაც კარგად გრძნობდა. ამიტომ ევმენე კილიკიიდან უკან დააბრუნა, ვითომდა სასატრაპოს სამართავად, სინამდვილეში კი სურდა ხელში ჰყოლოდა მეზობლად მდებარე სომხეთი, რომელიც ნეოპტოლემემ შფოთის ბუდედ აქცია. ევმენემ უწინარეს ყოვლისა სცადა ზვიადი და თავქარიანი ნეოპტოლემე თავაზიანი ურთიერთობით და საუბრით დაეწყნარებინა. მერმე, როცა მაკედონელთა გაყოყოჩებული და გათავხედებული ფალანგა იხილა, მის საპირისპიროდ ცხენოსანი ჯარის მომზადებას შეუდგა. ამ მხარის მკვიდრნი, ვისაც ცხენზე ჯდომა შეეძლო, ყოველგვარი გადასახადისაგან გაათავისუფლა. თავისიანებს კი, რომელთაც ენდობოდა, საკუ-

თარი სახსრებით ნაყიდ ცხენებს ურიგებდა, პატივისცემითა და უხვი საჩუქრებით მხნეობას უმატებდა და სხეულის გასაკაჟებლად გახუჭ-ყვეტლივ ავარჯიშებდა. მაკედონელთა ნაწილი გაოცებული იყო, ნაწილმა კი სიმამაცის ფრთა შეისხა, როცა დაინახეს, რომ ევმენემ სულ მოკლე ხანში ექვსი ათას სამასამდე მხედარი შემოიკრიბა.

5. ამასობაში კრატერემ[14] და ანტიპატრემ დაამარცხეს ბერძნები და პერდიკას ძალაუფლების დასამხობად ასიაში გადავიდნენ. სწრაფად გავრცელდა ხმა: მათ კაპადოკიაში შეჭრა აქვთ განზრახულიო. პერდიკამ, რაკი თვითონ პტოლემეს ეომებოდა[15], სომხეთსა და კაპადოკიაში მყოფი ძალების სარდლად ევმენე დანიშნა და განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვა. ამის თაობაზე მან წერილები დაგზავნა, რომელთა მეშვეობითაც ალკეტასა[16] და ნეოპტოლემეს უბრძანებდა ევმენეს დამორჩილებოდნენ, ევმენეს კი ურჩევდა, საქმე საკუთარი სურვილის მიხედვით წარემართა. ალკეტამ ლაშქრობაში მონაწილეობაზე აშკარა უარი განაცხადა: ჩემს გამგებლობაში მყოფ მაკედონელებს ანტიპატრესთან ბრძოლა რცხვენიათ, ხოლო რაც შეეხება კრატერეს, ისე უყვართ ეს კაცი, რომ მზად არიან სიხარულით მიიღონო. ნეოპტოლემეც აღარ მალავდა, რომ ევმენეს უღალატა. როცა ევმენემ ბრძანება გაუგზავნა მასთან გამოცხადებულიყო, არ დაემორჩილა და მის წინააღმდეგ თავისი ძალები დარაზმა. ევმენემ მაშინ პირველად იგემა თვისი წინდახედულობისა და თადარიგიანობის ნაყოფი. საქმე ის გახლდათ, რომ მისი ქვეითი ჯარი ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ მხედართა შემართების წყალობით ნეოპტოლემე უკუაქცია და მთელი მისი აღალი ხელთ იგდო. მტრის დევნის დროს მიმოფანტულ თავის ფეხოსნებს ევმენემ დიდი გარჯით თავი მოუყარა, იარაღი დააწყობინა და აიძულა ფიცი დაედოთ, რომ მასთან ერთად იბრძოლებდნენ.

ნეოპტოლემემ უკუქცევის დროს რამდენიმე კაცი შეკრიბა და კრატერესა და ანტიპატრესთან გაეშურა. ამათ კი ევმენესთან უკვე ელჩები გაეგზავნათ და სთხოვდნენ მათ მხარეზე გადასულიყო; სამაგიეროდ ჰპირდებოდნენ, რომ შეუნარჩუნებდნენ ყველა სასატრაპოს, რომელსაც განაგებდა და დამატებით გადასცემდნენ ახალ ლაშქარსა და სამფლობელოს. ამ პირობის ძალით ანტიპატრესთან მტრობა მეგობრობად შეეცვლებოდა, ხოლო კრატერე, ვინც მისი მეგობარი იყო, მტრად აღარ გადაექცეოდა. როცა ევმენემ შეთავაზებული

პირობები მოისმინა, ასეთი პასუხი გასცა: „მე დიდი ხანია ანტიპატრეს მტერი ვარ და ახლა მეგობრად ვერ გავუხდები, მით უმეტეს, ვხედავ, იგი თავის მეგობრებს მტრებსავით ექცევა; რაც შეეხება კრატერეს, მზად ვარ იგი პერდიკას შევახვედრო და ეს ორი ვაჟკაცი თანაბარი და სამართლიანი პირობებით შევარიგო. თუ რომელიმე მათგანი პატივმოყვარეობას გამოიჩენს და პირობას დაარღვევს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უსამართლოდ განაწყენებულს დავეხმარები და უმალ სიცოცხლეს შევწირავ, ვიდრე სიმართლეს ვუღალატებო“.

6. როცა ეს პასუხი მოისმინეს, ანტიპატრე და მისიანები გულდასმით შეუდგნენ მთელი არსებული ვითარების განხილვას. სწორედ ამ დროს მათთან გამოცხადდა უკუქცეული ნეოპტოლემე, დამხვდურთ ბრძოლის შედეგი ამცნო და დახმარება სთხოვა: კარგი იქნება თუ ორივე, ანტიპატრეც და კრატერეც, დამეხმარება, მაგრამ კრატერეს შემწეობა კი აუცილებელია; მაკედონელებს იგი განსაკუთრებით უყვართ, საკმარისია მისი ფართოფარფლებიანი თავსარქმელი[17] იხილონ, ანდა მისი ხმა გაიგონონ, რომ მყისვე იარაღი აისხან და მასთან გაეშურონ. კრატერეს მართლაც დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ძალზე ბევრს სურდა სწორედ იგი ეხილათ მბრძანებლად. ყველას ახსოვდა, თუ რა ხშირად იმსახურებდა იგი ქვეშევრდომთა მიზეზით ალექსანდრეს რისხვას, როცა შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდა მაკედონელთა მთავარსარდლის მისწრაფებას ყველგან სპარსული ჩვეულებები დაენერგა. კრატერე თავგამოდებით იცავდა ხოლმე სპარსული ყოყოჩობითა და ფუფუნებით შებღალულ მამაპაპისეულ ადათებს[18].

კრატერემ ანტიპატრე კილიკიაში გაგზავნა, თვითონ კი ლაშქრის დიდ ნაწილს ჩაუდგა სათავეში და ნეოპტოლემესთან ერთად ევმენეს წინააღმდეგ დაიძრა. იგი იმედოვნებდა, რომ მტრის ჯარს, რომელიც ახლახან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ დაქსაქსული და ლხინს გადაყოლილი იქნებოდა, ანაზდეულად დაესხმოდა თავს.

ევმენემ რომ წინასწარ იგრძნო კრატერეს მოახლოება და საამისოდ თადარიგიც დაიჭირა, ეს სარდლისთვის დამახასიათებელი სიფხიზლე გახლდათ და არა რაღაც სასწაული. ევმენე მტერსაც ატყუებდა, არ აძლევდა საშუალებას გაეგო ის, რაც საქმეს ავნებდა, და თავის მეომრებსაც არ უმჟღავნებდა, თუ ვისთან უნდა ებრძოლათ.



https://www.facebook.com/groups/ELLIB/

ისინი კრატერეს ჯარს ისე შეებნენ, რომ არ უწყოდნენ, ვინ იყო ამ ჯარის სარდალი. აი ამ საქმეშიც, ვფიქრობ, დიდი და ნიჭიერი წინამძღოლის ხელოვნება უნდა დავინახოთ. ევმენემ წინასწარ ხმა დაარხია: ნეოპტოლემე დაბრუნდა უკან პიგრეტთან ერთად და თან კაპადოკიელთა და პაფლაგონელთა მხედრობა მოჰყავსო.

ევმენეს განზრახული ჰქონდა ბანაკიდან ღამით აყრილიყო. სანამ ამ საქმეს შეუდგებოდა, ღონის მოსაკრებად თავი ძილს მისცა და საოცარი სიზმარი იხილა. ეზმანა ორი ალექსანდრე, რომლებიც თავთავიანთ ფალანგებს წინამძღოლობდნენ და ერთმანეთთან შესარკინებლად ემზადებოდნენ, მერმე ერთი მათგანის დასახმარებლად ღმერთქალი ათენა მობრძანდა, მეორის დასახმარებლად კი — ღმერთქალი დემეტრე. გაჩაღდა ცხარე ბრძოლა. ათენას შემწეობის ქვეშ მყოფი ალექსანდრე დამარცხდა, ხოლო გამარჯვებულს ღმერთქალმა დემეტრემ ახლად მოჭრილი თავთავებისაგან გვირგვინი დაუწნა. ევმენემ სიზმარი მაშინვე თავის სასარგებლოდ ახსნა: იგი ხომ იბრძოდა საუკეთესო მიწისათვის, რომელიც სწორედ იმ დროს ტურფად იყო გადაბიბინებული მწიფე პურის თავთავებით. მთელი მიდამო ნათესებით გახლდათ მოფენილი და საამოდ აღაღანებული ნოყიერი მინდვრები ადამიანის თვალს მშვიდობიანი და ლაღი ცხოვრების სურათს სთავაზობდა. ევმენეს კიდევ უფრო შეემატა მხნეობა, როცა გაიგო, მტრის დათქმული ნიშანი „ათენა და ალექსანდრე“ იყო. მაშინ მან თავის პირობით ნიშნად „დემეტრე და ალექსანდრე“ გამოაცხადა და ჯარისკაცებს უბრძანა, თავზე პურის თავთავების გვირგვინი დაედგათ და იარაღიც თავთავებით შეემკოთ. მან მრავალჯერ მოინდომა სარდლებისა და მეთაურებისათვის გაემხილა, თუ ვისთან მოუხდებოდათ ბრძოლა; არ სურდა მარტო მას სცოდნოდა საიდუმლო, რომლის დაცვასაც მდგომარეობა აიძულებდა, მაგრამ ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას არ უღალატა და საფრთხის წინაშე მხოლოდ საკუთარ ჭკუას მიენდო.

7. კრატერესთან საბრძოლველად ევმენემ არც ერთი მაკედონელი არ გაუშვა. მის წინააღმდეგ მან გაგზავნა უცხოელთაგან შემდგარი ორი ცხენოსანი რაზმი, რომელთაც არტაბაზეს შვილი ფარნაბაზოსი და ფენიქს ტენედოსელი მეთაურობდნენ. ევმენემ მათ უბრძანა, როგორც კი დაინახავდნენ მტერს, მყისვე თავს დასხმოდნენ, ბრძოლა გაეჩაღებინათ და ისე გაედევნათ მოწინააღმდეგე, უკან მოხედვის სა-

შუალება არ მიეცათ. ამასთან მტრის არავითარი მოწოდებისათვის ყური არ დაეგდოთ და მისი არც ერთი ელჩი ახლოს არ გაეკარებინათ. ევმენე ძალზე შიშობდა, მაკედონელებს კრატერე არ ეცნოთ და მის მხარეზე არ გადასულიყვნენ. თვითონ სამასი საუკეთესო მხედარი საომრად დააწყო და მარჯვენა ფრთისაკენ გაეშურა, რათა ნეოპტოლემეს შებმოდა. როცა გამოჩნდნენ ველის შუაგულში აღმართულ გორაკიდან მომავალი ევმენეს მხედრები, რომლებიც სწრაფად და მთელი აღტყინებით მტერთან შესახვედრად მოქროდნენ, გაოცებულმა კრატერემ ნეოპტოლემე საშინლად გაიცხა და საყვედურებით აავსო: შენ მე მომატყუე და მაკედონელთა ღალატი დამიმალეო. მან თავის მეთაურებს უბრძანა მხნედ ყოფილიყვნენ და თვითონაც მოწინააღმდეგისაკენ დაიძრა.

პირველი შეხლა ისეთი უეცარი და ცხარე გახლდათ, მეომრებს შუბები მყის დაელეწათ და ხმლებით გააჩაღეს ბრძოლა. კრატერემ ალექსანდრეს სახელი როდი შეარცხვინა. მან მრავალი დასცა ძირს, მრავალიც უკუაქცია, მაგრამ ბოლოს გვერდიდან ერთი თრაკიელი მხედარი გამოუხტა და მთელი ძალით დაჰკრა მახვილი. კრატერე ცხენიდან ჩამოვარდა. მიწაზე განრთხმულს მრავალმა მხედარმა ჩაუქროლა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეამჩნია. მხოლოდ ევმენეს ერთმა სარდალმა გორგიამ იცნო იგი. გორგია მაშინვე ჩამოქვეითდა და უკვე სულთმობრძავ კრატერეს მცველები დაუყენა.

სწორედ ამ დროს ნეოპტოლემე ევმენეს ეკვეთა. მათ ძველი ზიზღი და რისხვა ამოქმედებდათ, მაგრამ პირველ ორ შეტაკებაში ერთმანეთი ვერ შეამჩნიეს; ხოლო ახლა, ამ მესამე ბრძოლის ჟამს, როგორც კი დალანდეს ერთიმეორე, მაშინვე მახვილები იშიშვლეს და ყიჟინით პირისპირ შესახვედრად გაიჭრნენ. როცა მათი რაშები, ვით ორი ტრიერი[19], საშინელი ძალით შეეჯახნენ, მხედრებმა აღვირებს ხელი უშვეს, ერთმანეთს ჩაეჭიდნენ და ერთიმეორისათვის მუზარადის ჩამოგლეჯასა და მხრებთან ჯავშნის გახევას ცდილობდნენ. ამ ჭიდილში ცხენები თავიანთ პატრონებს გამოუსხლტნენ და ორივე მხედარი ძირს ჩამოაგდეს. მიწაზე დაცემულები კიდევ უფრო ძლიერად ჩაებღაუჭნენ ერთმანეთს და ბრძოლა განაგრძეს. ნეოპტოლემემ წამოდგომა დააპირა, მაგრამ ევმენემ მუხლი გადაუმსხვრია და თვითონ დაასწრო ფეხზე დადგომა. მუხლგადამტვრეული ნეოპტოლემე ჯანსაღ მუხლს დაეყრდნო და მამაცურად იცავდა თავს,

მაგრამ მის დარტყმებს დიდი ზიანის მიყენება აღარ შეეძლო. ბოლოს კისერში დაიჭრა, დაეცა და მიწაზე განერთხო. რისხვითა და ძველი სიძულვილით ანთებულმა ევმენემ მიწაზე განრთხმულს იარაღის აყრა და ლანძღვა-გინება დაუწყო. ნეოპტოლემემ მას ჯავშნის ქვემო ნაწილში აძგერა მახვილი, რომელიც ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, და საზარდულთან დაჭრა. მომაკვდავის სუსტმა დარტყმამ უფრო მეტად შეაშინა ევმენე, ვიდრე დააზიანა. აჰყარა თუ არა მკვდარს იარაღი, ბარძაყებსა და მკლავებზე მიღებული მრავალი ჭრილობის გამო თავი ცუდად იგრძნო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ცხენს მოახტა და მეორე ფრთისაკენ გაქუსლა, სადაც, მისი აზრით, მტერი ჯერ კიდევ ძლიერი იყო. აქ მან კრატერეს აღსასრული შეიტყო და მასთან გაქანდა. დაინახა თუ არა სულთმობრძავი, მაგრამ ჯერ კიდევ გონებაზე მყოფი კრატერე, მაშინვე ჩამოქვეითდა, მომაკვდავს მწარე ტირილით მარჯვენა ხელი გაუწოდა და ნეოპტოლემეს ათასი წყევლა-კრულვა გაუგზავნა. ევმენე დასტიროდა კრატერეს ბედს და საკუთარ ხვედრსაც, რომელმაც აიძულა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმოდა ეგზომ ახლობელ კაცსა და მეგობარს.

8. ეს ბრძოლა ევმენემ მოიგო პირველი გამარჯვებიდან დაახლოებით ათი დღის შემდეგ[20]. ხოლო რაკი იგი სიბრძნისა და მამაცობის წყალობით მიიყვანა სასურველ შედეგამდე, დიდი სახელი მოიხვეჭა. მაგრამ ამასთან ერთად შური და სიძულვილიც დაიტეხა თავს როგორც მოკავშირეთა, ისე მტრების მხრივ: ამ მოთრეულმა გადამთიელმა პირველსა და ყველაზე წარჩინებულ მაკედონელს მაკედონელებისავე იარაღით და ხელით მოუსპო სიცოცხლეო. პერდიკას რომ კრატერეს დაღუპვის ამბის შეტყობა მოესწრო, პირველ ადგილს მაკედონელებში იგი დაიკავებდა და არა სხვა ვინმე, მაგრამ პერდიკა მოკლეს ეგვიპტეში აფეთქებული აჯანყების დროს, სწორედ ორი დღით ადრე, სანამ მის ბანაკში ევმენესთან ბრძოლის ამბავი მიაღწევდა. განრისხებულმა მაკედონელებმა ევმენეს მაშინვე სიკვდილი მიუსაჯეს და მის წინააღმდეგ გადაწყვეტილი ომის სარდლობა ანტიგონესა და ანტიპატრეს მიანდეს.

ევმენე ამ დროს იდის მთაგრეხილთან[21] სამეფო რემას წააწყდა და იქიდან წაიყვანა ცხენები, რამდენიც სჭირდებოდა, ზედამხედველებს კი ამის თაობაზე ხელწერილი გაუგზავნა. ამბობენ, როცა ეს ამბავი გაიგო, ანტიპატრემ გაიცინა და თქვა: მაკვირვებს ევმენეს

წინდახედულობა; მას იმედი აქვს, რომ შეუძლია სამეფო ქონების სარგებლობისათვის ანგარიში ჩაგვაბაროს და თვითონაც მოგვთხოვოს იგივ.

ევმენემ გადაწყვიტა ბრძოლა გაემართა ლიდიის ველზე სარდეს მახლობლად, ვინაიდან მტერს ცხენოსანი ჯარით აღემატებოდა და თან დიდი სურვილი ჰქონდა კლეოპატრასთვის თავისი ძალები ეჩვენებინა. მაგრამ კლეოპატრამ, რომელსაც ანტიპატრეს მხრივ ბრალდებისა ეშინოდა, დაჟინებით სთხოვა: აქ ნუ იბრძოლებო. მაშინ ევმენე ზემო ფრიგიაში წავიდა და გამოსაზამთრებლად კელენესთან[22] დაბანაკდა. აქ მას მთავარსარდლობის გამო დავა გაუმართეს ალკეტამ, პოლემონმა და დოკიმოსმა. ევმენემ მათ უთხრა: „თქვენ საქციელზეა ნათქვამი: ზოგიერთს ფეხებზე ჰკიდია, რაც მოხდებაო“.

ევმენე ჯარისკაცებს შეჰპირდა, რომ სამ დღეში დათქმულ ქირას გადაუხდიდა. მალე მათ მიჰყიდა იმ მხარის სოფლები და სიმაგრენი, რომლებიც მონებითა და პირუტყვით იყო სავსე. მყიდველი, იქნებოდა ეს მაკედონური რაზმის მეთაური თუ დაქირავებულ მეომართა უფროსი, ევმენესაგან იარაღსა და საალყო მანქანებს ღებულობდა და საყიდლად დანიშნულ ადგილს გარს ერტყმოდა. ამ გზით მოპოვებულ ნადავლს, კუთვნილი ქირის შესაბამისად, ჯარისკაცები ერთმანეთში ინაწილებდნენ. ასეთი ხერხის წყალობით ევმენემ კვლავ დიდი სიყვარული დაიმსახურა და როცა ბანაკში მტრის სარდალთა მიერ შემოგზავნილი წერილები აღმოჩნდა, რომლებშიც ას ტალანტსა და პატივს ჰპირდებოდნენ მას, ვინც ევმენეს მოკლავდა, მაკედონელები საშინლად აღშფოთდნენ. მათ სასწრაფოდ გადაწყვიტეს გამოეყოთ მეთაურთა შემადგენლობიდან ათასი კაცი, რომლებიც მორიგეობით დაიცავდნენ ევმენეს დღისით საქმიანობის დროს და ღამესაც გაუთევდნენ. მცველებად არჩეულები უყოყმანოდ დამორჩილდნენ გადაწყვეტილებას და სიხარულით ილებდნენ ევმენესაგან იმ პატივსა და წყალობას, რომელთაც მეფეებისაგან ღებულობენ ხოლმე ჩვეულებრივ მათი ახლო მეგობრები. ევმენეს უფლება ჰქონდა გაებოძებინა მეწამული თავსარქმლები და ქლამიდები, სწორედ ის საგნები, რომლებიც ყველაზე მეფურ საჩუქრად ითვლება მაკედონელებში.

9. ბედის წყალობა და წარმატება პატარა ბუნების კაცსაც ამაღლებს ერთვვარად. როცა იგი საჩინო ადგილიდან დაუწყებს ჭვრეტას საკუთარ თავს, ბედნიერება დიდებულებისა და ღირსების გრძნობა-

საც უნერგავს. მაგრამ ეეშმარიტი დიდსულოვნება და სიმტკიცე წარუმატებლობისა და უბედურების გადატანის ჟამს გამომჟღავნდება ხოლმე. ამის სანიმუშო მაგალითი ევმენე გახლავთ.

ჯერ იყო და ღალატის წყალობით ანტიგონემ დაამარცხა იგი კაპადოკიელი ორკინიების სამკვიდრებელთან. ევმენე, მართალია, გაიქცა, მაგრამ მოღალატეს მტერთან გადასვლის საშუალება როდი მისცა: მან იგი შეიპყრო და ხეზე ჩამოკიდა. მერმე მტრისგან შეუმჩნევლად შემობრუნდა, მოწინააღმდეგეს გვერდი უქცია და სხვა გზით კვლავ იმ ადგილთან მივიდა, სადაც მცირე ხნის წინ ბრძოლა მოხდა. აქ ევმენემ ბანაკი დასცა და დახოცილ მეომართა გვამები შეკრიბა. შემდეგ მახლობელი სოფლების სახლებს დაუარა, ყოველ მათგანს კარები ჩამოხსნა და მათი საშუალებით გვამთა დასაწვავად კოცონი გააჩაღა. მეთაურთა გვამები მან ცალკე დაწვა, რიგითი ჯარისკაცებისა კი — ცალკე. მერმე ორი ტაგრუცი აღმართა და უკან გაბრუნდა. როცა აქ ანტიგონე მოვიდა, იგი გაოცებული დარჩა ევმენეს სიმამაცითა და ვაჟკაცობით.

მცირე ხნის შემდეგ ევმენე ანტიგონეს აღალს წააწყდა. მას სულ ადვილად შეეძლო მტრის მრავალი თავისუფალი თუ მონა ჯარისკაცი ჩაეგდო ხელთ და გაუთავებელი ომებით და ძარცვა-გლეჯით მოხვეჭილ სიმდიდრეს დაჰპატრონებოდა, მაგრამ შეშინდა: მოპოვებული ნადავლი მის მეომრებს დაამძიმებდა, უკანდახევაში ხელს შეუშლიდა და მოუქნელებს გახდიდა. ისინი ვეღარ გაუძლებდნენ გამუდმებულ წანწალსა და გაჭიანურებულ ომს, რომლის იმედიც მას ჰქონდა; იგი სწორედ ამ გზით ვარაუდობდა ანტიგონეს თავიდან მოცილებას. მაგრამ რა დაინახა, ვერაფრით ვერ აიძულებდა მაკედონელებს არ შეხებოდნენ იმ განძს, რომელიც თითქმის უკვე ხელთ ჰქონდათ, ჯარისკაცებს უბრძანა ჯერ თავი წესრიგში მოეყვანათ, ცხენებისათვის საკვები მიეცათ და მერმე დაძრულიყვნენ მტრის წინააღმდეგ. თვითონ კი აღალის მეთაურ მენანდრეს, თითქოს მისი მეგობარი და ახლობელი ყოფილიყო, საგანგებოდ გაგზავნილი კაცის პირით შეუთვალა: გაფრთხილდი და თავდასხმისათვის მისაწვდომ მაგ დაბლობიდან დაუყოვნებლივ შეაფარე თავი მახლობლად მდებარე ფერდობს, რომელსაც ჩემი მხედრები ვერ მიუდგებიან და ვერც ალყას შემოგარტყამენო. როცა მენანდრე მიხვდა, რა საფრთხეც ელოდა და თავისი ბარგით დაკავებული ადგილიდან აიყარა, ევმენემ ყასიდად გაგზავნა

მზვერავები, ჯარისკაცებს კი უბრძანა იარაღი აესხათ და ცხენებზე ამხედრებულიყვნენ, თითქოს უკვე აპირებდა მტერზე თავდასხმას. მაგრამ მზვერავებმა ამბავი მოიტანეს: მენანდრეს კაცი ვერ მიეკარება, ისეთი მიუვალი ადგილისათვის შეუფარებია თავიო. ევმენემ ამის გაგონებაზე თავი ისე დაიჭირა, თითქოს ძალზე შეწუხდა და ჯარს უკან დაახევინა. მენანდრემ, როგორც ამბობენ, ეს ამბავი ანტიგონეს აუწყა. მაკედონელებმა მაშინ ევმენეს ქება დაუწყეს და მისდამი მეგობრული გრძნობით გაიმსჭვალნენ: ამ კაცმა ჩვენი ცოლშვილი დაზოგა, ჩვენს ბავშვებს მონის ხვედრი არ არგუნა და ჩვენი ქალების შერცხვენა არ მოინდომაო. „ჩემო კეთილებო, — უთხრა ანტიგონემ თავისიანებს, — არ დაიჯეროთ ეგ! ევმენემ თქვენი გულისათვის კი არ მისცა ჩვენს ჯარს თავის დაღწევის საშუალება, არაფერ შეეშინდა, წართმეულმა ნადავლმა გაქცევაში ხელი არ შემიშალოსო!“

10. ამის შემდეგ ევმენე სულ ხეტიალსა და თავშესაფრის ძებნაში იყო. ამიტომ ბევრ ჯარისკაცს შინ დაბრუნება ურჩია. იგი მარტო მათი კეთილდღეობისათვის როდი ზრუნავდა, არ სურდა ტვირთად ჰყოლოდა ჯარი, რომელიც ბრძოლისათვის მცირე იყო, დასამალავად კი მეტისმეტად მრავალრიცხოვანი. ხუთასი მხედრისა და ორასი ჰოპლიტის თანხლებით ევმენემ თავი შეაფარა ლიკაონიისა და კაპადოკიის საზღვარზე მდებარე ციხე-სიმაგრე ნორას. ის მეომრები, რომლებმაც ვერ აიტანეს ამ მხარეში ყოფნა, ცხოვრების მძიმე პირობები და გათავისუფლება ითხოვეს, ევმენემ ხალისით გაათავისუფლა და გულთბილად გაისტუმრა.

მცირე ხნის შემდეგ ნორას ანტიგონე მიადგა. სანამ ციხე-სიმაგრეს ალყას შემოარტყამდა, მან ევმენეს მოლაპარაკება შესთავაზა. ევმენემ შეუთვალა: შენ მრავალი მეგობარი გახვევია გარს და მრავალი მეთაურიც გყავს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეგცვლიან; მე კი იმ ხალხში, რომლის გულისთვისაც ვომობ, არავინ მეგულვის ისეთი, ჩემს მემკვიდრედ რომ დავტოვო. ამიტომ, თუ მოლაპარაკება გსურს, მძევლები გამომიგზავნეო. ანტიგონემ მტკიცედ მოსთხოვა: როგორც უძლიერესს, სწორედ შენ უნდა მეახლო მოსალაპარაკებლადო. ევმენემ ამაზე მიუგო: სანამ ხელთ მახვილი მიჭირავს, ჩემზე ძლიერად არავის არ ვთვლიო. ანტიგონე მაინც დაემორჩილა მის მოთხოვნას და ციხე-სიმაგრეში მძევლად თავისი ძმისშვი-

ლი ნეოპტოლემე გაუგზავნა. მაშინ ევმენე ანტიგონესთან ჩავიდა. ისინი მეგობრული ხვევნა-კოცნით შეხვდნენ ერთმანეთს და გაიხსენეს ძველი სიყვარული და ახლო ურთიერთობა. მოლაპარაკებამ დიდხანს გასტანა. საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფისა და დაზავების თაობაზე ევმენეს სიტყვაც არ დაუძრავს, მაგრამ მოითხოვა მისთვის შემოემტკიცებინათ სასატრაპოები და დაებრუნებინათ ადრე ნაბოძები ყველა პატივი. დამსწრენი გაოცდნენ მისი დიდსულოვნებითა და მამაცობით. მოლაპარაკების ადგილზე მრავლად მორბოდნენ მაკედონელები, რომელთაც სურდათ ეხილათ, თუ როგორი იყო ევმენე, ის კაცი, ვისაც კრატერეს სიკვდილის შემდეგ ყველაზე მეტად გაეთქვა სახელი ლაშქარში. ანტიგონე შეშინდა, მოზღვავებულ ბრბოს რაიმე ვნება არ მიეყენებინა ევმენესათვის, ამიტომ ჯერ ყვირილით უკრძალავდა ყველას მასთან მიახლოებას, მერმე კი ქვეგზის სროლა დაუწყო მის სანახავად გამოშურებულ მეომრებს. ბოლოს ხელი მოხვია ევმენეს, შუბოსან მცველთა დახმარებით, როგორც იქნა, ბრბო გაარღვია და უსაფრთხო ადგილზე გაიყვანა.

11. მოლაპარაკების შემდეგ ანტიგონემ ნორას კედელი შემოავლო, მცველები ჩაუყენა და იქაურობა დატოვა. ევმენე უძლიერეს ალყაში მოექცა. ციხე-სიმაგრეში პური, წყალი და მარილი უხვად ჰქონდათ, მაგრამ ეს იყო და ეს, სხვა არაფერი გააჩნდათ და მშრალ პურზე გადადიოდნენ. მიუხედავად ამისა ევმენე ცდილობდა ალყაში მყოფთა ცხოვრება ხალისიანი ყოფილიყო. იგი რიგრიგობით იწვევდა საკუთარ სუფრასთან მეომრებს და საერთო პურის ჭამას ტკბილი და მიმზიდველი საუბრით ამშვენებდა.

ევმენე მეტად მოხდენილი გარეგნობის ვაჟკაცი გახლდათ და მუდამ იარაღასხმულ მეომარს როდი ჰგავდა. არაჩვეულებრივი შნო და ლაზათი, ახალგაზრდული იერი და ჩამოქნილი სხეული ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ხელოვნების მთელი სიფაქიზე და დახვეწილობა ამ კაცში იყო ხორცშესხმული. დიდი მჭევრმეტყველი იგი არ ყოფილა, მაგრამ, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, უალრესად სასიამოვნო და დამარწმუნებელი ლაპარაკი იცოდა.

ალყით გარემოცულ მის მხედრობას ყველაზე მეტად სივიწროვე ტანჯავდა. ჯარი უბადრუკ ქოხმახებში იყო განლაგებული და სამოძრაოდ მხოლოდ და მხოლოდ ორი სტადიონი[23] ფართობი ეკავა. ჯარისკაცებს განძრევისა და ვარჯიშობის არავითარი საშუალება არ

ჰქონდათ და ცხენებიც მუდამ უქმად მიბმული ჰყავდათ და ისე კვებავდნენ. ევმენეს სურდა არა მარტო დაეთრგუნა უმოქმედობა, რაც ჯარისკაცებს ძალას აცლიდა, არამედ აშზადებდა მეომრებს პირველივე მარჯვე შემთხვევის დროს გაქცევა არ გაძნელებოდათ. ამიტომ ჯარისკაცებს სასეირნოდ მიუჩინა ციხე-სიმაგრის ყველაზე დიდი ფართობი, რომელსაც თოთხმეტი წყრთა სიგრძე ჰქონდა და ბრძანა სეირნობის დროს თანდათანობით გაერთულებინათ მოძრაობა. ცხენების გასავარჯიშებლად მან ასეთ ხერხს მიმართა: ჭერზე დამაგრებული ფართო და გრძელი ღვედები ყოველ ცხენს კისერზე მიაბეს, ჭოჭონაქების საშუალებით კი პირუტყვს ზევით სწევდნენ, ისე რომ უკანა ფეხებზე მტკიცედ დამდგარიყო, ხოლო წინა ფლოქვებით ოდნავ შეხებოდა მიწას. ჭერზე ასეთნაირად გამოკიდებულ ცხენებს საგანგებოდ მიჩენილი მეჯინიბენი შეძახილითა და მათრახების ცემით აიძულებდნენ განძრეულიყვნენ. თანდათანობით გაღიზიანებული და ბრაზით ანთებული ცხენები ყალყზე დგებოდნენ, უკანა ფეხებს გაშმაგებით იქნევდნენ აქეთ-იქით და ოფლში გაღვრილნი მთელი ტანის დაძაბვით ცდილობდნენ ზეაწეული წინა ფეხებით ნიადაგს დაყრდნობოდნენ. მათი სიფიცხისა და ძალის შესანარჩუნებლად ეს ვარჯიში ამაო როდი იყო. ამასთან ერთად ცხენებს საკვებად აძლევდნენ დანაყილ ქერს, რათა ადვილად გადაემუშავებინათ და მოენელებინათ.

12. ამ გაჭიანურებული ალყის დროს ანტიგონეს აუწყეს: მაკედონიაში ანტიპატრე გარდაიცვალა და აქ დიდი შფოთი და არეულობა დაიწყო, რაც კასანდრესა და პოლისპერქონტის დავამ გამოიწვიაო[24]. როგორც კი შეიტყო ეს ამბავი, ანტიგონემ თავისი ძველი იმედები უკუაგდო, უმაღლეს გამგებლად ყოფნა მოიწადინა და განიზრახა ევმენე მეგობრად და ამ საქმის მონაწილედ გაეხადა. მან ევმენეს ჰიერონიმე[25] მიუგზავნა, მისი მეშვეობით დაეზავა და ფიცის პირობები შესთავაზა. ევმენემ ფიცის შინაარსი გაასწორა და მაკედონელებს, რომლებსაც იგი ალყაში ჰყავდათ, მიმართა: თქვენ გადაწყვიტეთ, რომელი ფიცია უფრო სამართლიანი. ფიცის დასაწყისში ანტიგონე მეფეებს მოიხსენებდა, მაგრამ ეს მოსაჩვენებლად, ვითომ დამკვიდრებული წესის დასაცავად იყო გაკეთებული. ფიცის მთელ დანარჩენ ნაწილში ანტიგონე მხოლოდ მისადმი ერთგულებას მოითხოვდა. ევმენემ ფიცში მეფეთა შემდეგ პირველ ადგილზე ოლიმპიადა[26] ჩა-

წერა. მერმე კი აღთქმას დებდა, რომ არა მარტო ანტიგონეს კეთილისმზრახველი, არამედ ოლიმპიადასა და მეფეთა ერთგულიც იქნებოდა და მტერ-მოყვარეც საერთო ეყოლებოდათ.

მაკედონელებმა შესწორებული ფიცი უფრო სამართლიანად მიიჩნიეს და ევმენეს აღთქმა დაადებინეს. რომ დაიცავდა მას. ამის შემდეგ ალყა მოხსნეს და ანტიგონეს შეუთვალეს: ახლა შენც უნდა დადო ფიცი ევმენეს წინაშეო.

ევმენემ ის კაპადოკიელი მძევლები, რომლებიც ნორაში ჰყავდა, უკლებლივ დააბრუნა, თვითონ კი სანაცვლოდ ცხენები, სასაპალნე პირუტყვი და კარვები მიიღო. მერმე თავი მოუყარა უკუქცევის დროს მიმოფანტულ და იმ მხარეში უქმად მოხეტიალე თავის ჯარისკაცებს. ამ გზით მან ათასამდე ცხენოსანი შემოიკრიბა და მათთან ერთად ციხე-სიმაგრიდან გაიქცა. ევმენეს ანტიგონესი ეშინოდა და ამის სრული საფუძველიც ჰქონდა. საქმე ის გახლდათ, რომ ანტიგონემ ბრძანა ხელახლა მოემწყვდიათ ალყაში იგი და ამასთან ერთად საგანგებო წერილით სასტიკად გაკიცხა მაკედონელები, რომლებმაც მის მიერ შედგენილ ფიცში შეტანილი შესწორება მოიწონეს.

13. გაქცევის დროს ევმენემ მაკედონიიდან იმათი წერილები მიიღო, რომელთაც ანტიგონეს გაძლიერებისა ეშინოდათ. ოლიმპიადა უთვლიდა: ჩამოდი და აღსაზრდელად ჩაიბარე ალექსანდრეს ვაჟი, რომელსაც ვერაგობას უწყობენო. პოლისპერქონტი და ფილიპე მეფე[27] კი უბრძანებდნენ კაპადოკიაში მყოფ ჯარს სათავეში ჩადგომოდა და ანტიგონეს შებმოდა. ამასთან ნებას აძლევდნენ კვინდეს[28] საგანძურიდან ხუთასი ტალანტი პირად საქმეთა მოსაწესრიგებლად აეღო, ხოლო ომის საწარმოებლად იმდენი დაეხარჯა, რამდენსაც მოისურვებდა. ამის თაობაზე ადრევე მისწერეს არგირასპიდების[29] მეთაურებს, ანტიგენესა და ტევტამოსს. რაკი წერილი მიიღეს, ისინი სიტყვით ტკბილად შეხვდნენ ევმენეს, მაგრამ გულში შური და პატივმოყვარეობა ახრჩობდათ და მეორე ადგილზე ყოფნას უღირს საქმედ თვლიდნენ. მათი შური ევმენემ იმით დააოკა, რომ ფული არ აიღო, თითქოს არ სჭირდებოდა; ხოლო რადგან ამ მოშურნეებს არც წინამძღოლობა შეეძლოთ და არც სხვის მორჩილებაში ყოფნა სურდათ, მათ ავადმყოფურ პატივმოყვარეობასა და ძალაუფლების სიყვარულს მათივე ცრუმორწმუნეობა დაუპირისპირა. ევმენემ მათ აუწყა: სიზმარში გამომეცხადა ალექსანდრე და მაჩვენა ერთი მეფურად მორთული კარავი, რომელშიაც სამეფო ტახტი იდგა. მერმე მითხრა: თუ

ამ კარავში შეიკრიბებით ხოლმე და ბჭობას გამართავთ, მე ყოველთვის დაგესწრებით და თქვენ მიერ წამოწყებული ყოველი თათბირისა და საქმის მონაწილე ვიქნებიო. ევმენეს ნათქვამი ანტიგენემ და ტევტამოსმა ადვილად დაიჯერეს, მით უმეტეს, რომ არ სურდათ ევმენეს კარავში სიარული და არც ევმენე თვლიდა ღირსეულ საქმედ სხვის კარზე გამოჩენას. შეთანხმების შედეგად ახალი კარავი დადგეს, შიგ ალექსანდრეს სახელზე შეწირული სამეფო ტახტი მოათავსეს და თავმოყრა და უდიდეს საქმეთა თათბაზე თათბირი ამ კარავში დაიწყეს.

როცა ქვეყნის შუაგულში შევიდნენ, მათ შემოხვდათ ევმენეს მეგობარი პევკესტა[30] და სხვა სატრაპები. აქ ძალები გააერთიანეს. იარაღის სიმრავლემ და ჩინებულმა მომზადებამ მაკედონელებს ძალღონე შეჰმატა. მაგრამ მათი სარდლები ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ძალაუფლების წყალობით აუტანელი გახდნენ და ნებიერ ცხოვრებას მიეცნენ. ბარბაროსულად გაამპარტავნებულნი ტირანებს დაემსგავსნენ, ერთმანეთი შეიძულეს და მათ შორის ყოველგვარი თანხმობა დაირღვა. ისინი მაკედონელი მეომრების წინაშე ურცხვად მლიქვნელობდნენ და მათთვის დიდებულ ნადიმებსა და საზეიმო მსხვერპლშეწირვებს აწყობდნენ. მოკლე ხანში ბანაკი გარყვნილებისა და თავაწყვეტილი ღრეობის ბუდედ აქციეს, ხოლო ჯარისკაცები მორჩილ ბრბოდ გახადეს, რომელიც პირფერობის წყალობით ირჩევდა წინამძღოლებს ისე, როგორც ცრუ დემოკრატიული მმართველობის დროს ხდება ხოლმე. როცა ევმენემ იგრძნო, სარდლებს ერთმანეთი ეზიზღებათ, ჩემი კი ეშინიათ და ელოდებიან მარჯვე დროს, რათა მომკლანო, ყველას მოაჩვენა თავი, თითქოს ფული სჭირდებოდა და მრავალი ტალანტი ისესხა სწორედ იმათგან, რომელთაც იგი ყველაზე მეტად სძულდათ. ევმენეს იმედი ჰქონდა, ეს ხალხი მიენდობოდა და ვალის დაკარგვის შიშით მისი მოკვლის განზრახვაზე ხელს აიღებდა. მოხდა ისე, რომ სხვისი სიმდიდრე მან საკუთარი სიცოცხლის დასაცავად გამოიყენა; მაშინ როცა სხვები თავის გადასარჩენად თვითონ იძლევიან ხოლმე ფულს, ევმენე ერთადერთი კაცი იყო, ვინც უშიშროება ვალის აღებით მოიპოვა.

14. ასეთ ვითარებაში მაკედონელები თავს არხეინად გრძნობდნენ; საჩუქრების წყალობით ზნე მთლად წაიხდინეს, ურცხვად დადიოდნენ იმათ კარზე, რომელთაც პირადი მცველების ყოლა სურდათ

და სარდლის თანამდებობის მიღებას ლამობდნენ. მაგრამ როცა ანტიგონემ დიდძალი ჯარი მათ მახლობლად დააბანაკა და შექმნილმა მდგომარეობამ თვითონ მოითხოვა ნამდვილი სარდალი, მაშინ არა მარტო უბრალო მეომრებმა მიაპყრეს თვალი ევმენეს, არამედ მშვიდობასა და განცხრომაში აღზევებულნიც დაემორჩილნენ და უსიტყვოდ შეუდგნენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

ამასობაში ანტიგონემ მდინარე პასიტიგრის[31] გადალახვა სცადა. სარდლებმა, რომელთაც სანაპირო ზოლი უნდა დაეცვათ, მტრის განზრახვა ვერ შენიშნეს. მხოლოდ ევმენემ გადაუღობა მას გზა და ბრძოლა გაუმართა. მან მრავალი მოწინააღმდეგე შემუსრა, მდინარის კალაპოტი გვამებით აავსო და ოთხი ათასი კაცი ტყვედ წაიყვანა.

მაკედონელებმა თავიანთი შეხედულება ევმენეზე მისი ავადმყოფობის დროს გამოამჟღავნეს. მათი აზრით, სხვა სარდლები თავს მხოლოდ ბრწყინვალე ნადიმებისა და დღესასწაულების მოწყობით იჩენდნენ, წინამძღოლობა და ომის წარმოება კი მხოლოდ ევმენეს შეეძლო. პევკესტამ, რომელსაც პირველობის იმედი ჰქონდა, პერსიდაში ჯარისკაცებს დიდებული ლხინი მოუწყო და ყოველ მათგანს სამსხვერპლო ვერძი უბოძა. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი მტერზე სალაშქროდ გაემართნენ. სწორედ ამ დროს მძიმე ავადმყოფი ევმენე საკაცით ჯარისაგან მოშორებით მიჰყავდათ, რათა უძილობით დატანჯული მოსვენებით ყოფილიყო. მცირე მანძილის გავლის შემდეგ მოლაშქრეებმა უცბად დაინახეს მტერი, რომელიც გორაკებზე გადმოდიოდა და ველზე ეშვებოდა. მწვერვალებიდან მწყობრად მომავალი ჯარის მოოქრული იარაღი მზეზე თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა. მრავლად მოჩანდა სპილოებზე დადგმული კოშკურები და ძოწეულის საბურველები, რომლითაც მტრის მეომრები ბრძოლის ჟამს ირთვებოდნენ. ამის მხილველმა მაკედონელებმა, რომლებიც პირველ რიგებში მიდიოდნენ, სვლა შეაჩერეს და ყვირილი მორთეს. ისინი ევმენეს მოუხმობდნენ: მაგის სარდლობის გარეშე ნაბიჯსაც არ გადავდგამთო. მერმე იარაღი მიწაზე დაყარეს და ერთმანეთს მოუწოდებდნენ, არ განძრეულიყვნენ; ხოლო მეთაურებს ურჩევდნენ სიმშვიდე დაეცვათ, ევმენეს გარეშე ბრძოლაში არ ჩაბმულიყვნენ და თავი საფრთხეში არ ჩაეგდოთ. ეს რომ გაიგონა, ევმენემ მხლებლებს საკაცე სწრაფად წააღებინა, ჯარს თავში მოექცა და საკაცის ფარდები ორივე მხრივ გადაწია. მერმე მარჯვენა ხელი გამოყო და ჯარისკაცებს მხიარულად დაუქნია. დაინახეს თუ არა იგი, ჯარის-

კაცები მყისვე მიესალმნენ მაკედონურ ენაზე; მერმე ფარები აიტაცეს, ზედ შუბები დასცხეს და, რაკი სარდალი უკვე მათთან იყო, მამაცური ყიჟინით მტერი ბრძოლაში გამოიწვიეს.

15. როცა ანტიგონემ ტყვეებისაგან გაიგო, ევმენე ავად არის და დასუსტებულს საკაცით დაატარებენო, იფიქრა: რაკი ევმენე დასნეულებულა, სხვების დამარცხება ძნელი საქმე აღარ არისო. ამიტომ აჩქარდა და საომრად დაიძრა. მაგრამ როცა ახლო ჩაუარა მტრის ლაშქარს, რომელიც რაზმებად ეწყობოდა და მისი სიდიდე და მხედრული გამართულობა იხილა, გაოცებული შეჩერდა და კარგა ხანს გაუნძრევლად იდგა. მალე დაინახა საკაცე, რომელიც ჯარის ერთი ფრთიდან მეორე ფრთისაკენ დაჰქონდათ. ანტიგონემ ჩვეულებისამებრ ხმამაღლა გაიცინა და მეგობრებს უთხრა: „აი ეს გახლავთ ის საკაცე, ჩვენ წინააღმდეგ რომ ამხედრებულა!" ამის შემდეგ მან უკან დახია ჯარი და ბანაკი მოშორებით დასცა.

ევმენეს მეომრებმა შვებით ამოისუნთქეს და კვლავ ძველ თავაშვებულებას მიეცნენ. აიგდეს რა აბუჩად მეთაურები, საზამთრო ბინები გაბენეს[32] მთელ მხარეში დაიდეს_და ისე დაიფანტნენ, მანძილი პირველი საზამთრო სადგომიდან უკანასკნელამდე ათას სტადიონს აღწევდა. შეიტყო თუ არა ეს, ანტიგონე მოულოდნელად გაემართა მტრისკენ ძნელად სავალი და უწყლო, მაგრამ ხელსაყრელი და მოკლე გზით. იგი იმედოვნებდა, თუ საზამთრო ბინებში მიმოფანტულ მტრის მეომრებს დაესხმოდა თავს, მათ მეთაურებს მეტად გაუჭირდებოდათ ძალთა ერთ ადგილზე შეკრება. მაგრამ როცა ანტიგონე უკაცრიელ მხარეში შეიჭრა, საშინელმა ქარმა და სიცივემ სვლა გაძნელა და ჯარისკაცები მეტისმეტად შეაწუხა. ისინი იძულებულნი იყვნენ კოცონები დაენთოთ და, ცხადია, მტრისთვის შეუმჩნეველი ვერ იქნებოდნენ. კოცონთა სიმრავლით გაკვირვებულმა ბარბაროსებმა, რომლებიც უდაბნოს მახლობელ მთებზე ცხოვრობდნენ, სამგზავრო აქლემებზე მაცნეები შესხეს და პევკესტასთან გააგზავნეს. მოტანილმა ამბავმა პევკესტა მეტად შეაშინა და თავგზა აუბნია. როცა სხვებიც ასეთ მდგომარეობაში დაინახა, მთელი ძალით მოკურცხლა და თან გაიყოლა მხოლოდ ის მეომრები, რომლებიც გზად შემოხვდნენ. ევმენემ არეულობა და შიში ჩააქრო იმით, რომ თავისიანებს დაჰპირდა: მტრის სწრაფ სვლას ისე შევაჩერებ, განზრახულ ვადაზე სამი დღით გვიან მოაღწიონ აქო. როცა ეს ირწმუნეს, ევმენემ

ყველგან დაგზავნა მალემსრბოლები ბრძანებით, რათა ჯარისკაცებს საზამთრო სადგომები დაეტოვებინათ და რაც შეიძლება სწრაფად შეკრებილიყვნენ. თვითონ კი სხვა სარდლებთან ერთად ცხენზე ამხედრებული გავიდა იმ ადგილზე, რომელიც უდაბნოზე გამვლელთათვის ადვილად დასანახავი იყო. მერმე საკმაოდ დიდი სივრცე გადაზომა და ბრძანა ერთმანეთისაგან განსაზღვრულ მანძილზე დაენთოთ კოცონები, როგორც ამას დაბანაკებული ლაშქარი აკეთებს ხოლმე. როცა ბრძანება შესრულდა და ანტიგონემ აელვარებული კოცონები დაინახა, ცალკე რისხვამ და ცალკე სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. იფიქრა: ჩემი გამოლაშქრება მტერს ადრევე შეუტყვია და ახლა ჩვენთან შესახვედრად მოდისო.

ანტიგონეს სულაც არ სურდა მისი დაღლილი და დაუძლურებული ჯარი მომზადებულ და კარგად გამოზამთრებულ ლაშქართან ბრძოლაში ჩაბმულიყო. ამიტომ მოკლე გზაზე უარი თქვა და გეზი სოფლებსა და ქალაქებისაკენ აიღო, რათა მხედრობას სული მოებრუნებინა და ძალღონე მოეკრიბა. მას არ შეხვედრია არავითარი დაბრკოლება, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ხოლმე მტრის სიახლოვის ჟამს; იქაურმა მოსახლეობამ კი აუწყა: არავითარი ლაშქარი არ გვიხილავს იმ ადგილზე, სადაც მტერი გეგულებოდათ; იქ მხოლოდ და მხოლოდ მრავალი კოცონი ანთიაო. ანტიგონე მიხვდა, მტერმა რომ მოატყუა, და განრისხებული გადამწყვეტი და აშკარა ბრძოლისათვის მოემზადა.

16. ამასობაში ევმენეს გარშემო თავი მოიყარა ლაშქრის დიდმა ნაწილმა. ყველა აღტაცებული იყო მისი საზრიანობით და მოითხოვეს წინამძღოლად მხოლოდ იგი ყოფილიყო. განაწყენებულმა და შურით აღვსილმა არგირასპიდების მეთაურებმა ანტიგენემ და ტევტამოსმა ევმენეს შეთქმულება მოუწყვეს; შეკრიბეს მრავალი სატრაპი და მეთაური და დაიწყეს ბჭობა, თუ როდის და როგორ მოესპოთ იგი. ბოლოს შეთანხმდნენ, ევმენე ბრძოლისათვის გამოეყენებინათ, ბრძოლის დამთავრებისთანავე კი მოეკლათ. სპილოთა რაზმის გამგებელმა ევდამოსმა და ფედიმოსმა შეთქმულთა განზრახვა საიდუმლოდ აუწყეს ევმენეს. მისადმი კეთილგანწყობილებამ ან სიყვარულმა როდი აიძულა ისინი ასე მოქცეულიყვნენ, იმის შიში ჰქონდათ, მისთვის სესხად მიცემული ფული არ დაჰკარგოდათ. ევმენემ მათ მადლობა გადაუხადა, თავის კარავში წავიდა და მეგობრებს უთხრა: მძვინვარე მხეცებით ვარ გარშემორტყმულიო. მერმე ანდერძი დაწე-

რა და მოსპო ყველა პირადი წერილი. არ უნდოდა საიდუმლო ცნობები მათ შემდგენელთა წინააღმდეგ ბრალდებისა და ცილისწამების საბაბად გამოეყენებინათ მისი სიკვდილის შემდეგ.

ეს საქმე რომ მოათავა, იმის ფიქრს მიეცა, როგორ მოქცეულიყო: ჩაბარებოდა მტერს, თუ გაქცეოდა და მიდიასა და სომხეთზე გავლით თავი კაპადოკიაში შეეფარებინა. მიუხედავად მეგობრების დაჟინებული თხოვნისა, ვერაფერი ვერ გადაწყვიტა. ბედის უკუღმართობა აიძულებდა ხან ერთ აზრს დადგომოდა, ხან მეორეს, მაგრამ ბოლოს ფიქრს თავი ანება და ჯარის საბრძოლოდ დაწყობას შეუდგა. მან ელინებსა და ბარბაროსებს შემაგონებელი სიტყვა უთხრა. თავის მხრივ მაკედონურმა ფალანგამ და არგირასპიდებმა ევმენეს მოუწოდეს გამხნევებულიყო: მტერი ჩვენს იერიშს ვერ გაუძლებსო. ესენი იყვნენ ფილიპესა და ალექსანდრეს ძველისძველი მეომრები, როგორც იტყვიან, ომის ათლეტები, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რა იყო დამარცხება და ქედის მოხრა. სამოც წელზე ნაკლები ასაკისა არც ერთი არ იყო მათ შორის, ბევრს კი უკვე სამოცდაათ წლამდეც მიეღწია. როცა იერიშზე გადავიდნენ, ანტიგონეს ჯარისკაცებს ზიზღით შესძახეს: „არამზადებო, თქვენ საკუთარ მამებზე აღგიმართავთ ხელი!“ ისინი რისხვით ეკვეთნენ მტერს, მისი მთელი ფალანგა ისე შემუსრეს, რომ ვერავინ ვერ გაუძლო შეტევას და ჯარისკაცთა დიდი უმრავლესობა ხელჩართულ ბრძოლაში განადგურდა.

ანტიგონეს ქვეითი ჯარი, მართალია, დამარცხდა, მაგრამ მისმა მხედრობამ გაიმარჯვა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ პევკესტა უნდილად, ლაჩრულად იბრძოდა. ანტიგონე მთელ მის აღაზს დაეუფლა. ამაში მას ხელი შეუწყო გონივრულმა სიფრთხილემ და ადგილმდებარეობამაც. ბრძოლა ხდებოდა უზარმაზარ ველზე, რომლის ნიადაგი ადვილად ფეხმოსაკიდებელი როდი გახლდათ. ეს იყო ქვიშიანი და გადამხმარი მლაშობი. ბრძოლის დროს ცხენთა და მეომართა უსაზღვრო სიმრავლემ და ფერხთა ცემამ აქ ისეთი მტვერი დაიყენა, ჰაერი კირისფერი ბუღით აივსო და თვალთახედვა დააბნელა. ამის წყალობით ანტიგონემ სულ ადვილად და შეუმჩნევლად ჩაიგდო ხელში მტრის აღალი.

17. როგორც კი დამთავრდა ბრძოლა, ტევტამოსმა მაშინვე გაგზავნა ანტიგონესთან შიკრიკები და აღალის დაბრუნება სთხოვა. ანტიგონემ ასეთი პირობა შეუთვალა: აღალსაც დაგიბრუნებ და არგი-

რასპიდებს საერთოდ კაცთმოყვარულად მოვექცევი, თუ ევმენეს შეიპყრობთო. მაშინ არგირასპიდებმა საშინელი ვერაგობა განიზრახეს; გადაწყვიტეს ცოცხლად გადაეცათ ევმენე მტრისათვის. ევმენეს რომ ეჭვი არ აეღო, არგირასპიდები ჯერ ისე მივიდნენ მასთან. ზოგი დაკარგულ აღალს შესჩიოდა, ზოგი, ვითარცა გამარჯვებულს, პირში აქებდა და გამხნევებას უსურვებდა, ზოგიც სხვა სარდლებს სიმხდალეში სდებდა ბრალს. მერმე უცბად თავს დაესხნენ, მახვილი გამოსტაცეს და ხელები ღვედით შეუკრეს.

როცა ანტიგონეს მიერ გამოგზავნილი ნიკანორი შეპყრობილის წასაყვანად გამოცხადდა და იგი მაკედონელთა რაზმების თვალწინ გაატარა, ევმენემ სიტყვის წარმოთქმის ნება ითხოვა: შეწყალებას როდი გთხოვთ, მინდა ზოგი რამ თქვენთვის სასარგებლო გითხრათო. ჩამოვარდა თუ არა სიჩუმე, ევმენე ერთ შემაღლებულ ადგილზე შედგა, შეკრული ხელები გამოაშვირა და მაკედონელებს მიმართა: „არამზადებო, ანტიგონეც კი უარს არ იტყოდა თქვენზე გამარჯვების აღსანიშნავად და თქვენდა შესარცხვენად დაედგა ისეთი ძეგლი, როგორსაც ახლა თქვენივე ხელით დგამთ იმით, რომ საკუთარ სარდალს მტერს უგდებთ ხელში! განა საშინელ და სამარცხვინო საქმეს არ ჩადიხართ, როცა გამარჯვებული ხალხი თავს დამარცხებულად აღიარებთ აღალის დაკარგვის გამო, თითქოს გამარჯვება სიმდიდრეს მოჰქონდეს და არა იარაღს?! განა მკრეხელობა არ არის, აღალის გამოსასყიდ ფასად რომ სარდალს მტერთან გზავნით?! მე, უძლეველი და გამარჯვებული კაცი, ჩემივე თანამებრძოლებს მტერთან მივყავარ და სურთ დასაღუპავად გამწირონ! გავედრებთ მეომართა მფარველ ზევსსა და ფიცის დამცველ ღმერთებს, თქვენივე ხელით მომისწრაფეთ სიცოცხლე აქ! სულ ერთია, იქ რომ მომკლან, მაინც თქვენ ჩადენილ საქმედ ჩაითვლება ეს! ანტიგონე ამის გამო საყვედურს როდი გეტყვით: მას მკვდარი ევმენე სჭირდება და არა ცოცხალი! თუ თქვენი ხელები გინდათ დაზოგოთ, ჩემი ცალი ხელიც საკმარისი იქნება; გამიხსენით იგი და თქვენთვის სანუკვარი საქმეც აღსრულდება! თუ მახვილს ვერ მანდობთ, მაშინ მხეცებს მიუგდეთ ჩემი თავი შესაჭმელად! თუ ამას გააკეთებთ, ჩემი მხრივ ყოველგვარი ბრალდებისაგან თავისუფალი იქნებით და ვიტყვი, რომ თქვენი სარდლის წინაშე ყველაზე პირნათელი და ყველაზე სამართლიანი ხალხი ბრძანდებით!“

ევმენეს სიტყვებმა ლაშქრის უდიდეს ნაწილს მწუხარება მოჰგვარა, ბევრგან გოდებაც კი გაისმა. მაგრამ არგირასპიდები ყვირილით მოითხოვდნენ წაეყვანათ ევმენე და მისი ლაყბობისათვის ყური არ ეგდოთ: „არაფერია ცუდი იმაში, თუ ხერსონესელი თავისი სიცოცხლით ზღავს იმას, რომ მაკედონელები უთვალავი ომით დაქანცა! განა უარესი არ იქნება ალექსანდრესა და ფილიპეს საუკეთესო მეომრებმა ამდენი წვალების შემდეგ სიბერეში დაკარგონ დამსახურებული ჯილდო და ლუკმა-პურისთვის სხვებს გაუშვირონ ხელი?! ისიც კმარა, რომ ჩვენი ქალები უკვე სამი ღამეა მტრის საარეცელში წვანანო!“ ამ სიტყვებთან ერთად არგირასპიდებმა ევმენე წინ გაიგდეს და აიძულეს აჩქარებულიყო.

მოზღვავებულმა ბრბომ ანტიგონე ძალიან შეაშინა: საქმე ის გახლდათ, რომ ევმენეს ბანაკში ერთი კაციც არ დარჩენილა. ბრბოს მოსაგერიებლად ანტიგონემ ათი საუკეთესო სპილო და მრავალი მიდიელი და პართელი შუბოსანი გაგზავნა. რაც შეეხება ევმენეს, მისი ხილვა ძველი მეგობრობისა და მოყვრობის გამო მან ვერ გაბედა. როცა მცველებმა ჰკითხეს: როგორ მოვუაროთ ტყვესო? ანტიგონემ უპასუხა: ისე, როგორც სპილოსა და ლომს უვლიანო! მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ტყვე შეებრალა და ბრძანა მისთვის მძიმე ბორკილები აეხსნათ. მერმე ყველაზე ერთგული მონა მტკივან ადგილებზე მალამოს წასასმელად მიუჩინა, ხოლო მის მეგობრებს, ვისაც კი სურდა, მასთან დღის გატარებისა და საჭმლის მიწოდების ნება მისცა.

ამის შემდეგ ანტიგონე მრავალი დღის განმავლობაში ფიქრობდა, როგორ მოქცეოდა ტყვეს. ამის თაობაზე სათათბიროდ სხვებსაც იწვევდა და მათ რჩევას გულისყურით ისმენდა. მისი ვაჟი დემეტრიოსი[33] და ნეარქე კრეტელი გულწრფელად ურჩევდნენ ევმენესათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, მაგრამ სხვები დაჟინებით და ერთხმად მის სიკვდილს მოითხოვდნენ.

ევმენეს, როგორც გადმოგვცემენ, დარაჯად დაყენებულ ონომარქესათვის უკითხავს: რას ელოდება ანტიგონე? რად არ კლავს მის მტერსა და მოწინააღმდეგეს, ვინც უკვე ხელთ ჰყავს, ან არადა დიდსულოვნად რად არ უნდა გაათავისუფლოსო? ონომარქეს თავხედური პასუხი გაუცია: მამაცურად ბრძოლაში უნდა შეხვედროდი სიკვდილს და არა ასეთ ვითარებაშიო! ევმენეს ამაზე უთქვამს: „ვფიცავ ზევსს, რომ სწორედ ბრძოლაში ვიყავი მამაცი! ჰკითხე იმათ, ვინც

ხელჩართულ ბრძოლაში შემბმია. ვერ დავასახელებ ვერც ერთ კაცს, რომ ჩემზე ძლიერი შემხვედროდეს!“ ონომარქემ ასე მიუგო თურმე: „აი, ახლა ხომ შეხვდი შენზე ძლიერს; რატომ არ გსურს მის დანიშნულ დროს დაელოდოო?!“

19. ბოლოს და ბოლოს ანტიგონემ ევმენეს სიკვდილი გადაუწყვიტა და ბრძანა მისთვის საჭმელ-სასმელი აღარ მიეცათ. ორი თუ სამი დღის უჭმელ-უსმელობით იგი უკვე სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. მაგრამ როცა ანტიგონე ანაზდეულად ბანაკიდან აიყარა, საგანგებოდ მოგზავნილმა კაცმა ევმენეს სიცოცხლე მახვილით მოუსწრაფა.

ევმენეს გვამი ანტიგონემ მის მეგობრებს გადასცა და უბრძანა დაეწვათ, ხოლო ფერფლი ვერცხლის ლარნაკში მოეგროვებინათ და მოკლულის ცოლ-შვილისათვის გადაეცათ.

აი, ასე დაიღუპა ევმენე. უზენაესმა განგებამ მისი ორგული სარდლებისა და ჯარისკაცების დასჯის საქმე სხვებს კი არ დააკისრა, არამედ თვითონ ანტიგონეს მიანდო. როცა ანტიგონე დარწმუნდა არგირასპიდების უწმინდურებასა და მხეცობაში, ისინი არახოსიის მმართველს სიბირტიოსს გადასცა და უბრძანა, ყველა დახოცე, რათა ვერც ერთი ვერ დაბრუნდეს მაკედონიაში და ელინური ზღვა იხილოსო.

# სერტორიუსი

1. საკვირველი იქნებ სრულიადაც არ იყოს, რომ ბედის ჩარხის წალმა-უკუღმა ტრიალზე დამოკიდებული შემთხვევა დროთა უსაზღვრო სრბოლაში ხშირად ერთსა და იმავე შედეგებს იწვევს. თუკი სამყაროს ძირითად ნაწილთა რაოდენობა განუსაზღვრელია, ბედისწერას დაუსრულებელი შესაძლებლობა აქვს ცალკეული მოვლენები ერთმანეთს დაამსგავსოს, ხოლო თუ პირიქითაა და შემთხვევები ძირითად ნაწილთა შეზღუდულ რიცხვთაგან იქმნება, მაშინ პირდაპირ აუცილებელია ერთსა და იმავე მიზეზთაგან წარმოქმნილი მსგავსი ამბები მრავალგზის განმეორდეს. ასეთ ამბავთა მოყვარული ხალხი გატაცებით აგროვებს საისტორიო წყაროებსა და ზეპირგადმოცემებში შემთხვევების საფუძველზე წარმოშობილ მსგავსებათა მაგალითებს, რომლებიც ზენარი ნებისა და განგების ნამოქმედარსა ჰგავს. აი ზოგიერთი მაგალითიც: იყო ორი სახელოვანი ატისი, ერთი სირიელი, მეორე — არკადიელი: გარეულმა ტახმა მოუსწრაფა სიცოცხლე ორივეს[1]. იყო ორი აკტეონი: ერთი ძაღლებმა დაგლიჯეს, მეორე კი მეტრფეებმა[2]. სციპიონიც ორი იყო: პირველმა დაამარცხა კართაგენელები, ხოლო მეორემ დედაბუდიანად ამოჟლიტა[3]. ილიონი ჯერ ჰერაკლემ აიღო ლაომედონტის ფაშატების გამო, მერმე აგამემნონმა დაიპყრო ეგრეთ წოდებული ხის ცხენის წყალობით, მესამედ კი ქარიდემემ დაიმორჩილა, იმანაც იმის შემწეობით, რომ ერთი ცხენი კარიბჭეში შეიჭრა და ილიონელებმა მისი ჩაკეტვა ვეღარ მოასწრეს[4]. ორი ქალაქი ყველაზე უფრო კეთილსურნელოვან მცენარეთა სახელებს ატარებს, ეს ქალაქებია: იოსი და სმირნა. ამბობენ, პოეტი ჰომეროსი პირველში დაიბადა, მეორეში გარდაიცვალაო[5]. მოდით და ამ მაგალითებს დავუმატოთ ისიც, რომ უმამაცესი მხედართმთავრები, რომლებმაც მოხერხებულობით და ნიჭით მრავალი დიდი საქმე შე-

ასრულეს, ცალთვალანი იყვნენ. ესენია: ფილიპე, ანტიგონე, ჰანიბალი და სერტორიუსიც, რომელსაც ეს თხზულება ეხება[6]. სერტორიუსი ფილიპეზე თავშეკავებული გახლდათ ქალებთან დამოკიდებულებაში, ანტიგონეზე ერთგული მეგობრებთან ურთიერთობაში და ჰანიბალზე ლმობიერი მტრების მიმართ. ჭკუა-გონებით არც ერთ მათგანს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ბედი ყველაზე ნაკლებ წყალობდა. უიღბლობა გაცილებით მეტ ვნებას აყენებდა ყველა საქმეში, ვიდრე აშკარა მტრები. მიუხედავად ამისა, იგი მაინც გაუტოლდა გამოცდილებით მეტელუსს, გამბედაობით პომპეუსს და წარმატებებით სულას. სამშობლოდან ლტოლვილი და ბარბაროსთა მეთაურად დამდგარი უცხო კაცი ძლიერებით რომაელებს დაუპირისპირდა. ამ კაცს ყველაზე უფრო მეტად შეიძლება ბერძენთაგან შევუდაროთ ევმენე კარდიელი. ორივე კარგი სარდალი და მარჯვე მეომარი იყო, ერთიცა და მეორეც სამშობლოდან გააძევეს და უცხოელებს წინამძღოლობდნენ, ბედმა ორთავეს ნაძალადევი და უსამართლო სიკვდილი განუმზადა: ორივეს შეთქმულება მოუწყვეს, ორივეს იმ ხალხმა მოუსწრაფა სიცოცხლე, ვისთან ერთადაც მტრებს ამარცხებდნენ.

2. კვინტუს სერტორიუსი დაიბადა საბინთა მხარეში, ქალაქ ნურსიაში, საკმაოდ წარჩინებულ ოჯახში. მამით ადრე დაობლდა, მაგრამ დაქვრივებულმა დედამ, რომელიც, ჩანს, ძლიერ უყვარდა, მშვენივრად აღზარდა. ამბობენ, დედას რეა ერქვაო. თავდაპირველად სერტორიუსი სამართლის შესწავლას დაეწაფა და ფეგარიან წარმატებებსაც მიაღწია: ჯერ კიდევ სულ ყმაწვილმა საკმაო გავლენა მოიპოვა ქალაქში როგორც კარგმა მჭევრმეტყველმა, მაგრამ ბრძოლებში მოხვეჭილმა ბრწყინვალე წარმატებებმა მისი პატივმოყვარეობა სამხედრო საქმისაკენ წარმართა.

3. ლაშქრობაში მონაწილეობა სერტორიუსმა პირველად მიიღო ცეპიონის ხელმძღვანელობით მაშინ, როცა გალიაში კიმბრები და ტევტონები შეიჭრნენ[7]. რომაელები ცუდად იბრძოდნენ, მტერს ვერ გაუმკლავდნენ და უკუიქცნენ. სერტორიუსს ამ ბრძოლაში ცხენი მოუკლეს, თვითონ კი დაჭრეს. დაჭრილი სერტორიუსი აბჯრითა და ფარით როდანოსში გადაეშვა, ძლიერ დინებას შეეკინა და მეორე ნაპირზე გავიდა. აი ასეთი ნავარჯიშევი და გაკაჟებული სხეული ჰქონდა სერტორიუსს.

როცა კიმბრებისა და ტევტონების ათასობით ლაშქარი მეორედ დაესხა თავს გალიას, როცა მეტისმეტად გაძნელდა რომაელი ჯარისკაცის დაკავება საბრძოლო მწკრივში და მისი დამორჩილება სარდლისადმი, იმ დროს რომაელთა მხედრობას მარიუსი მეთაურობდა. სერტორიუსს კი მტრის დაზვერვის საქმე მიენდო. იგი კელტური ტანსაცმლით შეიმოსა, გალთა ენაზე ყველაზე ხშირად ხმარებული რამდენიმე წინადადება გაიზეპირა, რათა საჭირო შემთხვევაში გამოლაპარაკება შეძლებოდა, და ბარბაროსებს შეერია. როცა აქ იხილა და საკუთარი ყურით გაიგონა ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა, მარიუსთან დაბრუნდა. ასეთი მამაცობისათვის მაშინ დამსახურებული ჯილდოც მიიღო. მერმინდელ ბრძოლებშიაც მრავალგზის გამოიჩინა ჭკუა-გონება, ამით სახელი მოიხვეჭა და მხედართმთავრის ნდობაც დაიმსახურა.

კიმბრებსა და ტევტონებთან ომის შემდეგ იგი გაგზავნეს ესპანეთში სამხედრო ტრიბუნის თანამდებობაზე პრეტორ დიდიუსის გამგებლობაში. სერტორიუსი დასაზამთრებლად კელტიბერების[8] ქალაქ კასტულონში დაბანაკდა. რომაელი ჯარისკაცები, რომელთაც ყველაფერი უხვად ჰქონდათ, უსაზღვროდ თავხედობდნენ და განუწყვეტლივ ლოთობდნენ. ზიზღით ავსილმა ბარბაროსებმა დრო იხელთეს, ერთხელ ღამით მეზობლად მოსახლე გირისენებს[9] დამხმარედ მოუხმეს, მათთან ერთად რომაელთა სადგომებს თავს დაესხნენ და შიგ მყოფთა ჟლეტა დაიწყეს. სერტორიუსმა რამდენიმე ჯარისკაცითურთ თავის გადარჩენა მოახერხა. შეკრიბა ის მეომრებიც, რომლებიც ასევე დაუსხლტნენ ხიფათს და მათი თანხლებით ქალაქს შემოუარა. კარიბჭე, საიდანაც მოწვეული ბარბაროსები შეუმჩნევლად შემოვიდნენ ქალაქში, ღია დაუხვდა. მაშინ სერტორიუსი ბარბაროსებივით წინდაუხედავად როდი მოიქცა, კარიბჭეს მცველები ჩაუყენა, მთელი ქალაქი ხელთ იგდო და, სრულწლოვანი ასაკისა ვინც იყო, ყველა ამოხოცა. ამ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ სერტორიუსმა რომაელ მეომრებს უბრძანა საკუთარი იარაღი და ტანსაცმელი მოეცილებინათ, ბარბაროსთა სამოსითა და საჭურვლით აღკაზმულიყვნენ და იმ ქალაქისაკენ გაჰყოლოდნენ, საიდანაც გამოგზავნეს ისინი, რომლებიც რომაელებს ღამით თავს დაესხნენ. თავიანთი საჭურვლის ხილვამ ბარბაროსები მწარედ მოატყუა. რომაელებს კარიბჭე გაუღეს და მრავლადაც მოიყარეს თავი აქ, ეგონათ, გამარჯვებულ მეგობრებსა და

თანამოქალაქეთ შევეგებებითო. ამით ისარგებლეს რომაელებმა და ბარბაროსთა დიდი ნაწილი კარიბჭესთანვე ამოჟლიტეს, დანარჩენები კი ტყვედ ჩაიგდეს და მონებად დაყიდეს.

4. ამიერიდან სერტორიუსმა სახელი გაითქვა ესპანეთში. როგორც კი დაბრუნდა რომში, მაშინვე დანიშნეს პადუსის სანაპიროებზე მდებარე გალიის[10] კვესტორად, ვინაიდან ეს აუცილებელი იყო. იწყებოდა მარსების ომი[11]. სერტორიუსს მეომართა შეკრება და იარაღის დამზადება ებრძანა. მაშინ, როცა სხვა ახალგაზრდები ზანტად და უხალისოდ მოქმედებდნენ, სერტორიუსი დიდი გულისხმიერებით მოეკიდა დაკისრებულ საქმეს და ისეთი კაცის სახელი მოიპოვა, რომელიც მომავალშიც სასახელო მოღვაწეობის იმედს იძლეოდა. რიგითი ჯარისკაცის გულადობა მაშინაც კი არ დაუკარგავს, როცა მხედართმთავრის ღირსებას მიაღწია. იგი თვითონ ახდენდა სასწაულებს და ბრძოლებში არასოდეს თავს არ ზოგავდა. ასე დაკარგა ცალი თვალი, რომელიც ომში გამოთხარეს. ამით მთელი სიცოცხლის მანძილზე ამაყობდა: სხვები ყოველთვის ვერ ატარებენ საგმირო საქმეთა დამამტკიცებელ ჯილდოებს, იხსნიან საპატიო ყელსაბამებს, ინახავენ შუბებსა და გვირგვინებს, მე კი ჩემი სიმამაცის დასტური მუდამ თანა მაქვსო, ისე რომ ჩემი მხილველნი ჩემს უბედურებასთან ერთად ჩემი სიქველის ნიშანსაც ხედავენო. ხალხმა საკადრისი პატივიც მიაგო: როცა თეატრში შევიდა, ტაშის გრიალითა და მხიარული ყიჟინით შეეგებნენ. ასეთი წარმატების მიღწევა კი იმ პირთაც გაძნელებიათ, ვინც ასაკითა თუ სახელით ბევრად აღემატებოდნენ. მაგრამ როცა სახალხო ტრიბუნის თანამდებობის მოპოვება სცადა, სულა აღუდგა წინ და სერტორიუსი დამარცხდა. როგორც ჩანს, ეს იყო მიზეზი იმ ზიზღისა, რასაც ის სულას მიმართ გამოხატავდა.

როცა სულასაგან ძლეული მარიუსი გაიქცა, სულა კი მითრიდატესთან საომრად გაემართა, ერთმა კონსულმა — ოქტავიუსმა სულას მხარი დაიჭირა, მეორე კონსულმა — ცინამ კი გადატრიალების მოხდენა განიზრახა და მარიუსის დაუძლურებული პარტიის აღდგენას შეეცადა. სერტორიუსი ცინას მიემხრო, მით უფრო, რომ ხედავდა, ოქტავიუსი უსიცოცხლო კაცი იყო და თანაც მარიუსის მეგობრებს უნდობლობით ეკიდებოდა. როცა ფორუმზე კონსულთა შორის დიდი ბრძოლა გაიმართა და ოქტავიუსმა გაიმარჯვა, ცინა და სერტორიუსი, რომლებმაც ათი ათასამდე კაცი დაკარგეს, გაიქცნენ. მერმე

კი იტალიის სხვადასხვა ნაწილში მიმოფანტულ მხედრობათა დიდი ნაწილი გადაიბირეს და სულ მალე დაუპირისპირდნენ ოქტავიუსს, როგორც ღირსეული მოწინააღმდეგენი.

5. ამასობაში აფრიკიდან ჩამოვიდა მარიუსი იმ განზრახვით, რომ კონსულ ცინას მიმხრობოდა როგორც რიგითი მოქალაქე. ყველა თანახმა იყო მიეღოთ იგი, მხოლოდ სერტორიუსი იდგა უარზე: ან იმიტომ, რომ, ფიქრობდა, ასეთი დიდი წინამძღოლის აქ ყოფნას მისი ურთიერთობა ცინასთან არ გაეფუჭებინა, ანდა ეშინოდა მარიუსის მძვინვარე ხასიათისა, რათა ამ კაცს, რომელიც განრისხებისას ზომიერების გრძნობას კარგავდა, ყველაფერი არ აერ-დაერია და გამარჯვების ჟამს სამართლიანობის საზღვარი არ გადაელახა. სერტორიუსი ამბობდა, გასაკეთებელი ბევრი აღარაფერი დაგვრჩენია, საცაა გავიმარჯვებთ და თუ ახლა მივიღებთ მარიუსს, კაცს უნდოსა და თანაც ძალაუფლების გაზიარების მტერს, მთელი სახელი და ძლიერება მას დარჩებაო. ცინამ დაადასტურა: სერტორიუსის მოსაზრებანი სწორია, მაგრამ სირცხვილში ვარ ჩავარდნილი და უხერხულია ხელი ვკრათ მარიუსს, ვინც საერთო საქმეში მონაწილეობის მისაღებად მე თვითონ მოვიხმეო. მაშინ სერტორიუსმა შენიშნა: „მეგონა, მარიუსი საკუთარი თაოსნობით ჩამოვიდა იტალიაში და ჩემი მოსაზრებაც ამას ემყარებოდა. შენი მხრივ კი არ იყო სწორი გემსჯელა კაცზე, ვინც უკვე ჩამოვიდა და ვინც შენ თვითონ მოიწვიე. იგი, ცხადია, უნდა მივიღოთ და გამოვიყენოთ: რაკიდა ნდობა გამოცხადებულია, განსჯას ადგილი აღარ უნდა ჰქონდესო“.

აი ასე მოიწვია ცინამ მარიუსი და ლაშქარი სამად გაინაწილა სამმა წინამძღოლმა.

ომის დამთავრების შემდეგ ცინა და მარიუსი ისე თავხედურად და გამძვინვარებით იქცეოდნენ, რომ ომში გადატანილი ვაი-ვაგლახი ოქროს ხანად ეჩვენებოდათ რომაელებს. როგორც გადმოგვცემენ, მხოლოდ და მხოლოდ სერტორიუსი არ აჰყოლია რისხვას, არ მოუკლავს არავინ და ბოროტად არ გამოუყენებია გამარჯვებულის ძალა, პირიქით, საშინლად წყრებოდა თურმე მარიუსზე და როგორც კი დაიხელთებდა ცინას, ემუდარებოდა, უფრო ლმობიერი ყოფილიყო. მარიუსმა ის მონები, რომლებიც ომში მისი თანამოსაგრენი და მისი ტირანიის დამცველები იყვნენ, გაკლენიან და მდიდარ ხალხად აქცია: ისინი ხან მარიუსის ბრძანებით ღებულობდნენ ჯილდოებს, ხან

კი, ყოველგვარ წრეს გადასულნი, ძალდატანებით იტაცებდნენ თავიანთი ბატონების ქონებას, ხოცავდნენ მათ, ძალას ხმაროობდნენ მათ ცოლებზე და აუპატიურებდნენ მათ ბავშვებს. სერტორიუსმა ეს აუტანელ მოქმედებად ჩათვალა და როცა ისინი ერთ ადგილზე დაბანაკებულად მოიხელთა, ყველა, რიცხვით ოთხი ათასამდე კაცი, ერთიანად ამოხოცა[12].

6. მალე გარდაიცვალა მარიუსი, მცირე ხნის შემდეგ კი მოკლეს ცინა. კონსულობა ხელთ იგდო მარიუს უმცროსმა სერტორიუსის სურვილისა და კანონის წინააღმდეგ. კარბონები, ნორბანები და სციპიონები ულიმლამოდ ეომებოდნენ შეტევაზე გადმოსულ სულას. ყველაფერი იღუპებოდა, ნაწილობრივ წინამძღოლთა სილაჩრითა და მოუქნელობით, ნაწილობრივ კი მოღალატეთა მოქმედებით. რაკიღა საქმე სულ უკან და უკან მიდიოდა, სერტორიუსის აქ ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა, მით უფრო, რომ ისინი, ვისაც მეტი ძალა შესწევდათ, უგუნურად იქცეოდნენ. ამას დაემატა შემდეგიც: როცა სულა სციპიონის პირისპირ დაბანაკდა, თვალთმაქცობა დაიწყო, ვითომცდა დაზავება სურდა და მთელი მხედრობა გადაიბირა. სერტორიუსი წინასწარ აფრთხილებდა სციპიონს, დარიგებას აძლევდა, მაგრამ ვერა და ვერ დააჯერა. მაშინ კი იმედი გაიწყვიტა ქალაქზე და ესპანეთისაკენ გაეშურა. სურდა მოესწრო ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ამ ქვეყნის გადაქცევა იმ მეგობართა თავშესაფრად, რომლებიც რომში დამარცხდნენ[13].

ესპანეთის მთაგორიან ადგილებში სერტორიუსს საშინელმა ქარიშხალმა მოუსწრო, ადგილობრივი ბარბაროსები კი გზაზე გასატარებლად ბაჟის გადახდას სთხოვდნენ. აღშფოთებული მისი მხლებლები ვულისწყრომით ამბობდნენ: სად გაგონილა, პროკონსულის ღირსებით აღჭურვილმა რომაელმა ამ ცუღლუტ ბარბაროსებს ბაჟი უხადოსო. სერტორიუსი არად აგდებდა ამას, რაც მათთვის თითქმის სამარცხვინო ჩანდა, და ირწმუნებოდა: მე ვყიდულობ დროს, დროზე ძვირფასი არაფერია ვაჟკაცისათვის, ვინც დიდი საქმისკენ მიისწრაფვისო. მან ფულით დააშოშმინა ბარბაროსები და ესპანეთს სწრაფად დაეუფლა. მის ხელქვეით აღმოჩნდნენ მრავალრიცხოვანი მეომარი ტომები, რომლებიც ყოველგვარ მბრძანებლობას ზიზღით ეკიდებოდნენ რომიდან განუწყვეტლივ მოვლინებულ პრეტორთა სიხარბისა და თავხედობის გამო. სერტორიუსმა კი მყისვე გადაი-

ბირა ესპანეთის დიდებულები თავაზიანი მოპყრობით, ხოლო ხალხი — ბეგარის შემცირებით. განსაკუთრებული სიყვარული მაინც იმით დაიმსახურა, რომ გააუქმა მკვიდრთა სადგომებში ჯარის ჩაყენების წესი. ჯარისკაცები აიძულა საზამთრო ბინები გარეუბნებში დაედგთ და უწინარეს ყოვლისა თვითონ უჩვენა ამის მაგალითი. მაგრამ სერტორიუსი თავის ზრახვებს მთლიანად ბარბაროსთა კეთილგანწყობილებაზე როდი ამყარებდა: მან იარაღში ჩასხა აქ გადმოსახლებული და საომრად ვარგისი რომაელები, დაიწყო ნაირგვარი სამხედრო მანქანების დამზადება, ტრიერების მშენებლობა და ქალაქთა გამგებლობის სადავეთა საკუთარ ხელში მოზიდვა. მშვიდობიან საქმეებში ლმობიერად მოღვაწე სერტორიუსი თავისი მზადებით მტერს თავზარს სცემდა.

7. როცა სერტორიუსმა შეიტყო, სულა რომს დაეუფლა და მარიუსისა და კარბონის პარტია დაემხოო, მყისვე მიხვდა, მის წინააღმდეგ საომრად გამოგზავნიდნენ ლაშქარს ვინმე სარდლის მეთაურობით, ამიტომ ლივიუს სალინატორის[14] მეშვეობით, რომელსაც თან ექვსი ათასი ლეგიონერი ჰყავდა, პირენეის მთები დაიკავა. მცირე ხნის შემდეგ სულამ მართლაც გამოგზავნა გაიუს ანიუსი. მაგრამ რაკიდა ლივიუსი დაუძლეველად მიიჩნია, ანიუსი უმოქმედოდ დადგა მთების ძირში. მერმე კი, როცა ვიღაცა კალპურნიუსმა, მეტსახელად ლანარიუსმა, ვერაგულად მოკლა ლივიუსი და მისმა ლეგიონერებმა პირენეის მწვერვალები მიატოვეს, ანიუსმა მთები გადალახა, დიდი მხედრობით დაიძრა და შემუსრა ყველა, ვინც წინ ეღობებოდა.

სერტორიუსმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო და სამი ათასი მეომრის თანხლებით ახალ კართაგენში გაიქცა[15]. აქ ხომალდებში ჩასხდნენ, გადასერეს ზღვა და მიადგნენ ლიბიას მავრუსიასთან[16]. მეომრები წყლის მოსამარაგებლად ნაპირზე გადავიდნენ, მაგრამ ისე, რომ გამაფრთხილებელი ზომები არ მიიღეს. ამით ისარგებლეს ბარბაროსებმა და თავს დაესხნენ. სერტორიუსმა მრავალი ჯარისკაცი დაკარგა აქ და კვლავ ესპანეთისაკენ გამოსცურა. აქედან იგი უკუაგდეს; მაგრამ როცა მას კილიკიელი მეკობრენი შეუერთდნენ, კუნძულ პიტიუსას[17] მიადგა, გადავიდა ხმელეთზე და ანიუსის ჩაყენებული მცველი რაზმი დაამარცხა. არ გასულა დიდი დრო და აქ გამოჩნდა ანიუსი მრავალი ხომალდით და თავით ფეხამდე შეიარაღებული ხუთი ათასი მეომრით. სერტორიუსმა გადაწყვიტა ანიუსს

ზღვაზე შებრძოლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მის განკარგულებაში მხოლოდ მომცრო, მსუბუქი ხომალდები იყო, რომლებიც სწრაფი ცურვისთვის იყვნენ აგებულნი და არა ბრძოლისათვის. მაგრამ ამ დროს ამოვარდა ძლიერი ზეფირი, რომელმაც ზღვა აატორტმანა და სერტორიუსის მსუბუქ ხომალდთა უმრავლესობა კლდოვან ნაპირზე გარიყა. სერტორიუსი გარიყვას გადაურჩა. იგი რამდენიმე ხომალდით ღია ზღვაში გასვლას ცდილობდა, მაგრამ მძვინვარე ქარიშხალი ამის საშუალებას არ აძლევდა, ნაპირს კი მტერი არ აკარებდა. ისე რომ იძულებული გახდა ათი დღე აზვირთებულ ტალღებთან ბრძოლაში გაეტარებინა.

8. როცა ქარი ჩადგა, სერტორიუსი მიადგა ზღვაში მიმოფანტულ რომელიღაც უწყლო კუნძულებს და ერთხანს აქ დაჰყო. მერმე აქედან დაიძრა, გაიარა გადირის სრუტე[18], მოუხვია მარჯვნივ და გადავიდა ესპანეთის სანაპიროზე ბეტისის შესართავის ოდნავ ზემოთ ბეტისი ატლანტის ოკეანეს ერთვის, ესპანეთის იქაური მიდამო კი ამ მდინარის სახელით მოიხსენება[19]. აქ სერტორიუსს შეხვდნენ ვიღაც მეზღვაურები, რომლებიც ის-ის იყო ბრუნდებოდნენ ატლანტის კუნძულებიდან. ესაა ერთმანეთისაგან მეტად ვიწრო სრუტით გამოყოფილი, ლიბიიდან ათი ათას სტადიონზე მდებარე ორი კუნძული, რომელთაც ნეტართა კუნძულებს უწოდებენ[20]. წვიმები აქ იშვიათია და ზომიერი. თითქმის განუწყვეტლივ ქრის წყნარი, ნოტიო ქარი. ამის გამო აქაური მიწა არა მარტო სახნავ-სათესადაა კარგი და ნოყიერი, არამედ თავისთავად იძლევა ნაყოფს, რომელიც სიუხვითა და სიტკბოებით საშუალებას აძლევს აქაურ ხალხს შრომისა და გარჯის გარეშე ირჩინოს თავი. ჰაერი კუნძულზე დიდებული და ჯანსაღია რბილი ჰავისა და წლის დროთა ზომიერი ცვალებადობის წყალობით. ჩვენს მხარეში ამოვარდნილ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ყველა ქარს, რომელიც კი აქეთ მოისწრაფის, ხანგრძლივი გზა და უსაზღვრო სივრცე ძალას უკარგავს, ხოლო ზღვიდან მობერილ სამხრეთისა და დასავლეთის ქარებს ხანდახან თუ მოაქვთ შხაპუნა წვიმა, უპირატესად კი იქაურობას ნოტიო სიითი აგრილებენ და ნიადაგს საზრდოს აწვდიან. სწორედ ამიტომაც ბარბაროსთა შორის დამკვიდრებულია მტკიცე რწმენა, რომ აქ არის ელისიონის ველი და ნეტართა სავანე, რომელსაც ჰომეროსმა უმღერა[21].

9. როცა სერტორიუსმა ეს ამბავი მოისმინა, საოცრად დიდი სურ-

ვილი აღეძრა ამ კუნძულებზე დასახლებულიყო და ტირანიისა და გაუთავებელი ომებისაგან მოშორებით ეცხოვრა. როგორც კი იგრძნეს სერტორიუსის განზრახვა, კილიკიელები, რომელთაც სიმდიდრე და ნადავლი სწყუროდათ და არა ზავი და სიმშვიდე, მყისვე გავიდნენ ზღვაში ლიბიის მიმართულებით, რათა მავრუსიელთა სამეფო გამგებლობა იფთას ძის ასკალისისათვის დაებრუნებინათ. კილიკიელთა საქციელმა სერტორიუსი სასოწარკვეთილებაში როდი ჩააგდო, პირიქით, მტკიცედ გადაწყვიტა დახმარებოდა ასკალისის წინააღმდეგ მებრძოლთ. იგი დარწმუნებული იყო, ახალი იმედებით ფრთაშესხმული მისი ჯარისკაცები შემდგომი წარმატებების მოლოდინში ყოყმანს თავს დაანებებდნენ და არ დაიფანტებოდნენ. მავრუსიელებმა სიხარულით მიიღეს სერტორიუსი. მან მყისვე მოჰკიდა საქმეს ხელი, დაამარცხა ასკალისი და ალყა შემოარტყა. სულამ ასკალისის დასახმარებლად მხედრობით გაგზავნა პაკციანუსი. სერტორიუსი ბრძოლაში ჩაება, პაკციანუსი მოკლა, ძლეული მისი ჯარი თავის მხარეზე გადაიბირა და იერიშით აიღო ტინგისი[22], რომელშიც ასკალისი და მისი ძმები იყვნენ თავშეფარებულნი.

ლიბიელთა გადმოცემით, ტინგისში დაკრძალული იყო ანტეოსი[23]. სერტორიუსს არ სჯეროდა ბარბაროსთა ნაამბობი ანტეოსის გოლიათური აღნაგობის შესახებ, ამიტომ საფლავი გაათხრევინა და, როცა სამოცი წყრთის სიგრძე სხეული იხილა, როგორც ამბობენ, განცვიფრდა. მერმე მიცვალებულს მსხვერპლი დაუკლა, საფლავი კვლავ ამოავსებინა, ზედ ტაგრუცი აღმართა და ამით ანტეოსის სახელი მეტი დიდებით შემოსა. ტინგისელები მოგვითხრობენ, რომ ანტეოსის სიკვდილის შემდეგ მისი ცოლი ტინგე შეეუღლა ჰერაკლეს, ამათაგან გაჩნდა სოფაკე, რომელიც ამ ქვეყნის მეფე გახდა და ქალაქს დედის სახელი უწოდა. სოფაკეს ძე იყო დიოდორე, რომელსაც ლიბიის მრავალი ტომი დაემორჩილა იმის წყალობით, რომ ამ მხარეში ჰერაკლეს მიერ დასახლებული ოლბიელებისა და მიკენელებისაგან შემდგარი ბერძნული ჯარი ჰყავდა.

ეს ამბავი აქ მეფეთა შორის ყველაზე დიდი ისტორიკოსის იუბას[24] ხათრით მოვიტანეთ. საქმე ისაა, რომ, გადმოცემის თანახმად, იუბას წინაპრები სოფაკესა და დიოდორეს ჩამომავალნი იყვნენ.

გამარჯვებული სერტორიუსი უსამართლოდ როდი მოექცა იმ ხალხს, ვინც იგი აქ მოიხმო და ნდობა გამოუცხადა, პირიქით, დაუბ-

რუნა ქონება, ქალაქები და ძალაუფლება, თვითონ კი აიღო მხოლოდ ის, რაც საკუთარი სურვილით მისცეს.

10. ვინემ სერტორიუსი იმ ფიქრით იყო გართული, თუ საითკენ აეღო ახლა გეზი, ლუზიტანებმა[25] ელჩები გამოუგზავნეს თხოვნით ჩვენს ლაშქარს წინამძღოლად დაუდექით. რომაელთაგან დაშინებულ ლუზიტანებს ძალზე სჭირდებოდათ ღირსებით შემოსილი და გამოცდილი მეთაური და ამიტომ გადაეწყვიტათ თავისი ბედი მხოლოდ და მხოლოდ სერტორიუსისათვის მიენდოთ, მით უმეტეს, რომ ამ კაცის ხასიათი მისი მხლებლებისაგან შეიტყვეს.

ამბობენ, სერტორიუსს არ სჩვეოდა არც სიამოვნების აყოლა და არც შიშისთვის ქედის მოხრა, საფრთხეში თუ ბედნიერების ჟამს ერთნაირად თავშეკავებული იყო. მისი დროის სარდალთაგან ვერც ერთი ვერ გაუტოლდებოდა ცხარე ბრძოლაში; იგი იყო უდიდესი ოსტატი საომარ საქმეთა ფარული წარმოებისა, გასაოცარ მოხერხებასა და სიფხიზლეს იჩენდა ბრძოლისათვის მარჯვე ადგილის შერჩევისა თუ მდინარეზე ფონით გასვლისას. როცა საჭირო იყო, არ ერიდებოდა არც ხრიკსა და არც ტყუილს. გმირობის ჩამდენს ხალისით და გულუხვად აჯილდოებდა, დამნაშავეს კი დიდი თავშეკავებით და ზომიერებით სჯიდა. თუმცაღა სერტორიუსის ნამდვილ ხასიათს მაინც ის სისასტიკე და ულმობელობა გვიჩვენებს, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში მძევლების მიმართ გამოიჩინა. ბუნებით იგი კეთილი კაცი ალბათ არ იყო და ვითარება აიძულებდა სიკეთის ნიღაბი აეფარებინა. ჩემი აზრით, ჭეშმარიტსა და გონიერებაზე დამყარებულ სიკეთეს ვერარა ბედი ვერ აქცევს ბოროტებად, მაგრამ ადვილი შესაძლებელია წესიერსა და ბუნებით კარგ კაცს დაუმსახურებლად გადატანილ უბედურებათა გამო ბედთან ერთად ხასიათიც შეეცვალოს. ვფიქრობ, სწორედ ეს დაემართა სერტორიუსს, როცა ბედმა ზურგი უქცია; უკულმა დატრიალებულმა საქმემ იგი მრისხანე და დაუნდობელ კაცად აქცია იმათ მიმართ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა.

11. ერთი სიტყვით, ლუზიტანების მიერ მიწვეული სერტორიუსი მაშინ ლიბიიდან წამოვიდა. მან, ვითარცა განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილმა მთავარსარდალმა, მყისვე შეადგინა ლუზიტანებისაგან ლაშქარი და ესპანეთის მეზობლად მდებარე მხარეები დაიმორჩილა. ამ მხარეთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ლმო-

ბიერებითა და ენერგიული მოქმედებით მოხიბლა, საკუთარი ნებით დაექვემდებარა მას. ზოგიერთი ტომი კი ტყუილებითა და ცბიერებით მიიმხრო. ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, უნდა გადმოვცე ამბავი ფურირმის თაობაზე. საქმე ასე იყო: ერთი იქაური მდაბიო კაცი, სახელად სპანოსი, წააწყდა ფურირემს, რომელიც ახლადშობილი ნუკრით მონადირეებს დასხლტომოდა. რაკი დედა ირემს ვერ დაეწია, სპანოსი ნუკრს დაედევნა და მისი არაჩვეულებრივი ფერით გაოცებულმა (ნუკრი მთლიანად თეთრი გახლდათ) კიდეც დაიჭირა იგი. იმ ადგილებში შემთხვევით იმყოფებოდა სერტორიუსი, რომელიც ხალისით ღებულობდა ხოლმე ძღვნად ყოველგვარ ნანადირევსა და სოფლის ნაწარმს, ხოლო საჩუქრის მომტანს თვითონაც გულუხვად უხდიდა სამაგიეროს. ამიტომ სპანოსმა ნუკრი მას მიუყვანა. სერტორიუსმა საჩუქარი მიიღო. პირველ ხანებში ნაჩუქარ ცხოველს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ისე მოაშინაურა და ისეთი თვინიერი გახადა, რომ დაძახებაზე მყისვე მიირბენდა ხოლმე მასთან და ხალხსა და ბანაკის ხმაურს შეჩვეული ყველგან უკან დასდევდა. ამის შემდეგ სერტორიუსმა ფურირემი ღმერთქალ არტემიდეს ნაბოძარ ღვთაებრივ ცხოველად გამოაცხადა: იგი მე მრავალ საიდუმლოს მიხსნისო. სერტორიუსმა კარგად უწყოდა, რომ ბარბაროსები ბუნებით ცრუმორწმუნენი იყვნენ და ადვილად დაუჯერებდნენ. მერმე ასეთი რამეც მოიგონა: თუ ფარულად შეიტყობდა მის მიერ დამორჩილებული ქვეყნის რომელიმე ნაწილს მტერი დაესხა თავს, ანდა მტერმა ესა და ეს ქალაქი განსადგომად წააქეზაო, მაშინვე გამოაცხადებდა: ეს ამბავი სიზმარში ფურირემმა გამიმჟღავნა და საჭიროა სწრაფად მოემზადოთ საბრძოლველადო. ასევე იქცეოდა სერტორიუსი იმ შემთხვევაშიც, როცა რომელიმე მისი სარდლის გამარჯვებას აუწყებდნენ. იგი მაცნეს საგულდაგულოდ დამალავდა, სიკეთის მომასწავებელი ამბის აღსანიშნავად გვირგვინით შემკულ ფურირემს გამოიყვანდა და ბრძანებდა: აბა, მხნეობა მოიკრიბეთ და ღმერთებს მსხვერპლი შესწირეთ, სულ მალე კარგ ამბავს შეიტყობთო.

12. ამგვარი ფანდებით სერტორიუსმა ლუზიტანები ისე მოათვინიერა, რომ ყოველ საქმეში მორჩილად მიჰყვებოდნენ და დარწმუნებული იყვნენ: ვიღაც გადამთიელის ნება-სურვილს კი არა, თვითონ ღმერთს ვემსახურებითო. მოვლენათა მსვლელობამ კიდევ უფრო მე-

რუნა ქონება, ქალაქები და ძალაუფლება, თვითონ კი აიღო მხოლოდ ის, რაც საკუთარი სურვილით მისცეს.

10. ვინემ სერტორიუსი იმ ფიქრით იყო გართული, თუ საითკენ აეღო ახლა გეზი, ლუზიტანებმა[25] ელჩები გამოუგზავნეს თხოვნით ჩვენს ლაშქარს წინამძღოლად დაუდექიო. რომაელთაგან დაშინებულ ლუზიტანებს ძალზე სჭირდებოდათ ღირსებით შემოსილი და გამოცდილი მეთაური და ამიტომ გადაეწყვიტათ თავისი ბედი მხოლოდ და მხოლოდ სერტორიუსისათვის მიენდოთ, მით უმეტეს, რომ ამ კაცის ხასიათი მისი მხლებლებისაგან შეიტყვეს.

ამბობენ, სერტორიუსს არ სჩვეოდა არც სიამოვნების აყოლა და არც შიშისთვის ქედის მოხრა, საფრთხეში თუ ბედნიერების ჟამს ერთნაირად თავშეკავებული იყო. მისი დროის სარდალთაგან ვერც ერთი ვერ გაუტოლდებოდა ცხარე ბრძოლაში; იგი იყო უდიდესი ოსტატი საომარ საქმეთა ფარული წარმოებისა, გასაოცარ მოხერხებასა და სიფხიზლეს იჩენდა ბრძოლისათვის მარჯვე ადგილის შერჩევისა თუ მდინარეზე ფონით გასვლისას. როცა საჭირო იყო, არ ერიდებოდა არც ხრიკსა და არც ტყუილს. გმირობის ჩამდენს ხალისით და გულუხვად აჯილდოებდა, დამნაშავეს კი დიდი თავშეკავებით და ზომიერებით სჯიდა. თუმცაღა სერტორიუსის ნამდვილ ხასიათს მაინც ის სისასტიკე და ულმობელობა გვიჩვენებს, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში მძევლების მიმართ გამოიჩინა. ბუნებით იგი კეთილი კაცი ალბათ არ იყო და ვითარება აიძულებდა სიკეთის ნიღაბი აეფარებინა. ჩემი აზრით, ჭეშმარიტსა და გონიერებაზე დამყარებულ სიკეთეს ვერარა ბედი ვერ აქცევს ბოროტებად, მაგრამ ადვილი შესაძლებელია წესიერსა და ბუნებით კარგ კაცს დაუმსახურებლად გადატანილ უბედურებათა გამო ბედთან ერთად ხასიათიც შეეცვალოს. ვფიქრობ, სწორედ ეს დაემართა სერტორიუსს, როცა ბედმა ზურგი უქცია; უკუღმა დატრიალებულმა საქმემ იგი მრისხანე და დაუნდობელ კაცად აქცია იმათ მიმართ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა.

11. ერთი სიტყვით, ლუზიტანების მიერ მიწვეული სერტორიუსი მაშინ ლიბიიდან წამოვიდა. მან, ვითარცა განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილმა მთავარსარდალმა, მყისვე შეადგინა ლუზიტანებისაგან ლაშქარი და ესპანეთის მეზობლად მდებარე მხარეები დაიმორჩილა. ამ მხარეთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ლმო-

ბიერებითა და ენერგიული მოქმედებით მოხიბლა, საკუთარი ნებით დაექვემდებარა მას. ზოგიერთი ტომი კი ტყუილებითა და ცბიერებით მიიმხრო. ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, უნდა გადმოვცე ამბავი ფურირმის თაობაზე. საქმე ასე იყო: ერთი იქაური მდაბიო კაცი, სახელად სპანოსი, წააწყდა ფურირემს, რომელიც ახლადშობილი ნუკრით მონადირეებს დასხლტომოდა. რაკი დედა ირემს ვერ დაეწია, სპანოსი ნუკრს დაედევნა და მისი არაჩვეულებრივი ფერით გაოცებულმა (ნუკრი მთლიანად თეთრი გახლდათ) კიდეც დაიჭირა იგი. იმ ადგილებში შემთხვევით იმყოფებოდა სერტორიუსი, რომელიც ხალისით ღებულობდა ხოლმე ძღვნად ყოველგვარ ნანადირევსა და სოფლის ნაწარმს, ხოლო საჩუქრის მომტანს თვითონაც გულუხვად უხდიდა სამაგიეროს. ამიტომ სპანოსმა ნუკრი მას მიუყვანა. სერტორიუსმა საჩუქარი მიიღო. პირველ ხანებში ნაჩუქარ ცხოველს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ისე მოაშინაურა და ისეთი თვინიერი გახადა, რომ დაძახებაზე მყისვე მიირბენდა ხოლმე მასთან და ხალხსა და ბანაკის ხმაურს შეჩვეული ყველგან უკან დასდევდა. ამის შემდეგ სერტორიუსმა ფურირემი ღმერთქალ არტემიდეს ნაბოძარ ღვთაებრივ ცხოველად გამოაცხადა: იგი მე მრავალ საიდუმლოს მიხსნისო. სერტორიუსმა კარგად უწყოდა, რომ ბარბაროსები ბუნებით ცრუმორწმუნენი იყვნენ და ადვილად დაუჯერებდნენ. მერმე ასეთი რამეც მოიგონა: თუ ფარულად შეიტყობდა მის მიერ დამორჩილებული ქვეყნის რომელიმე ნაწილს მტერი დაესხა თავს, ანდა მტერმა ესა და ეს ქალაქი განსადგომად წააქეზაო, მაშინვე გამოაცხადებდა: ეს ამბავი სიზმარში ფურირემმა გამიმეღავნა და საჭიროა სწრაფად მოემზადოთ საბრძოლველადო. ასევე იქცეოდა სერტორიუსი იმ შემთხვევაშიც, როცა რომელიმე მისი სარდლის გამარჯვებას აუწყებდნენ. იგი მაცნეს საგულდაგულოდ დამალავდა, სიკეთის მომასწავებელი ამბის აღსანიშნავად გვირგვინით შემკულ ფურირემს გამოიყვანდა და ბრძანებდა: აბა, მხნეობა მოიკრიბეთ და ღმერთებს მსხვერპლი შესწირეთ, სულ მალე კარგ ამბავს შეიტყობთო.

12. ამგვარი ფანდებით სერტორიუსმა ლუზიტანები ისე მოათვინიერა, რომ ყოველ საქმეში მორჩილად მიჰყვებოდნენ და დარწმუნებული იყვნენ: ვიღაც გადამთიელის ნება-სურვილს კი არა, თვითონ ღმერთს ვემსახურებითო. მოვლენათა მსვლელობამ კიდევ უფრო მე-

ტად განუმტკიცა მათ ასეთი რწმენა, მით უმეტეს, რომ სერტორიუსის გაზრდილმა ძლიერებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ლაშქარში მას ჰყავდა ორი ათას ექვსასი კაცი, რომელთაც რომაელებს ეძახდა; ამას ემატებოდა შვიდასი ლიბიელი, რომლებიც მას ლუზიტანიაში გამოჰყვნენ; ჰყავდა კიდევ ოთხი ათასი ლუზიტანელი პელტასტი[26] და შვიდასი ცხენოსანი. ეს იყო და ეს. ამ ძალებით ეომებოდა იგი ოთხ რომაელ სარდალს, რომელთა ხელქვეით იმყოფებოდა ას ოცი ათასი ქვეითი მეომარი, ექვსი ათასი ცხენოსანი და ორი ათასი მშვილდოსან-მეშურდულე, გარდა ამისა მათ ემორჩილებოდა აურაცხელი ქალაქი, სერტორიუსი კი დასაწყისში მხოლოდ და მხოლოდ ოცამდე ქალაქს განაგებდა.

მიუხედავად იმისა, რომ სერტორიუსი საომარ მოქმედებას სუსტი და მცირერიცხოვანი ძალებით შეუდგა, მან არა მარტო დიდ-დიდი ტომები დაიმორჩილა და მრავალი ქალაქი აიღო, არამედ მის წინააღმდეგ დაძრული სარდლებიც სასტიკად დაამარცხა: რომაელთა მხედართმთავარი კოტა მელარიის[27] მახლობელ სრუტესთან გაანადგურა საზღვაო ბრძოლაში, ბეტიკის მმართველი ფუფიდიუსი მდინარე ბეტისთან დაამარცხა და ორი ათასი რომაელი ჯარისკაცი მოუსპო, ხოლო პირაქეთა ესპანეთის პროკონსული დომიციუს კალვიზიუსი თავისი კვესტორის მეშვეობით შემუსრა. თვითონ მან საკუთარი ხელით მოკლა სარდალი თორანიუსი, რომელიც მის წინააღმდეგ მხედრობითურთ გამოგზავნა მეტელუსმა. რაც შეეხება მეტელუსს, იმ დროისათვის ყველაზე უფრო გამოჩენილსა და ღირსეულ რომაელს, იგი სერტორიუსმა თავისი მარჯვე თავდასხმებით ისეთ მძიმე ვითარებაში ჩააყენა, რომ ლუციუს მანლიუსი იძულებული გახდა მის საშველად ნარბონის გალიიდან[28] წამოსულიყო, ხოლო სენატმა სერტორიუსის დასათრგუნავად სასწრაფოდ გამოუშვა რომიდან პომპეუს დიდი საჭირო ჯარებით. მეტელუსი დაიბნა და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო ამ თავზე ხელაღებულ კაცთან, რომელიც ესპანური ჯარის მოქნილობის წყალობით წარამარა ინაცვლებდა ადგილს და პირისპირ შებმას გაურბოდა. მძიმედ შეიარაღებული, საგულდაგულოდ გაწვრთნილი ჯარების ბრძოლაში გამოცდილი მეტელუსი ახლაც წინამძღოლობდა მტკიცე, დინჯსა და საგანგებოდ შეკრულ მხედრობას, რომელიც ფრიად გამოცდილი იყო ხელჩართულ ბრძოლაში როგორ უკუეგდო და შეემუსრა მტერი, მაგრამ ძალზე უჭირ-

და მთებზე გადასვლა, ქარივით სწრაფი და განუწყვეტლივ მოძრავი მტრის დევნა, შიმშილის ატანა და სერტორიუსის ლაშქრის მსგავსად უცვლელად და უკარვოდ ცხოვრება.

13. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ უკვე ხანდაზმულსა და მრავალი დიდი ბრძოლის გარდამხდელ მეტელუსს ახლა უზრუნველი, ფუფუნებით სიცოცხლე სურდა. სერტორიუსი კი, ვისაც მეტელუსი ეომებოდა, ახალგაზრდული მხნეობით აღსავსე და საოცარი ჯან-ღონის პატრონი გახლდათ. იგი მოქნილი იყო და ცხოვრებაში დიდს არაფერს მოითხოვდა. სმასა და ღრეობას მოცლილობის ჟამსაც არ სწყალობდა. იგი მძიმე შრომას, შორეული გზების გადალახვასა და გამუდმებულ სიფხიზლეს იყო ჩვეული, ყოველთვის მცირე და უბრალო საჭმლით კმაყოფილდებოდა. როცა დრო ჰქონდა, სულ დახეტიალობდა ანდა ნადირობდა. ასე გაიცნო ყოველი ადგილის ასავალ-დასავალი და იცოდა, რომელი იყო გაუვალი და რომელი იოლად დასაძლევი. ნაცნობი ადგილების წყალობით ადვილად შეეძლო უკან დახევის დროს ხელიდან დასხლტომოდა მტერს, დევნის ჟამს კი ალყაში მოექცია იგი. ერთი სიტყვით, სერტორიუსმა მეტელუსს ნამდვილ ბრძოლაში ჩაბმის საშუალება არ მისცა და დამარცხებული კაცის ვითარებაში ჩააგდო. ხოლო თვითონ სერტორიუსი, ვინც მტერს გაურბოდა, მტრის მდევნელის ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდა. იგი რომაელებს წყლისა და სურსათის მისაზიდ გზას უღობავდა, წინ დაძრულ ლაშქარს თვალთაგან ეფარებოდა, დაბანაკებულს კი მოსვენებას არ აძლევდა. თუ მეტელუსის მეომრები რომელიმე დასახლებულ ადგილს ალყას შემოარტყამდნენ, მოულოდნელად გამოჩნდებოდა, მტერს თავის მხრივ მოიქცევდა ალყაში და საარსებო სახსარს უსპობდა. ბოლოს და ბოლოს ჯარისკაცებმა ყოველგვარი წარმატების იმედი დაკარგეს, გაჭირვებას ვეღარ გაუძლეს და, როცა სერტორიუსმა მეტელუსი ორთა ბრძოლაში გაიწვია, წინამძღოლს ყვირილით მოსთხოვეს გამოწვევა მიეღო: დაე შეებას სარდალი სარდალს და რომაელი რომაელსო! მეტელუსმა უარი განაცხადა. როცა გაქირდვა დაუწყეს, მათი მოთხოვნა სასაცილოდ აიგდო და კარგადაც მოიქცა. აკი ბრძანა თეოფრასტემ: სარდალი სარდალივით უნდა მოკვდეს და არა უბრალო პელტასტის სიკვდილითო.

მალე მეტელუსმა შეიტყო, რომ შეეძლო წყურვილით დაემორჩილებინა ლანგობრიგელები[29], რომლებიც სერტორიუსს მცირე დახმა-

რებას როდი უწევდნენ. საქმე ის გახლდათ, რომ ქალაქში მათ ერთადერთი ჭა ჰქონდათ, ქალაქის ახლომახლო და კედლებთან მდებარე წყაროებს კი ალყის შემომრტყმელი ადვილად დაეუფლებოდა. ამის იმედით მეტელუსი ქალაქს მიადგა. იგი დარწმუნებული იყო, მოსახლეობა უწყლობას ვერ გაუძლებდა და ორი დღის ალყის შემდეგ ქალაქს ჩააბარებდა. ამიტომ ჯარისკაცებს უბრძანა: თან მხოლოდ ხუთი დღის სურსათი წამოიღეთო. სერტორიუსმა დახმარება როდი დაიყოვნა. მან მყისვე გასცა ბრძანება ორი ათასი ტყავის გუდა წყლით აევსოთ. პირობა დადო, რომ ყოველი გუდა წყლისთვის საკმაოდ დიდ თანხას გაიღებდა. მრავალმა ესპანელმა და მავრუსიელმა მეომარმა იკისრა ამ საქმის შესრულება. მაშინ სერტორიუსმა შეარჩია მათში ყველაზე უფრო ღონიერნი და მკვირცხლნი და დაავალა გადასულიყვნენ მთაზე, გადაეცათ გუდები ქალაქში მყოფთათვის და მერმე გამოეყვანათ იქიდან ბრძოლისათვის უვარგისი ხალხი, რათა ქალაქის დამცველებს სამყოფი წყალი ჰქონოდათ. როცა ამ ამბავმა მეტელუსამდე მიაღწია, იგი ფრიად ცუდ გუნებაზე დადგა, ვინაიდან მის მეომრებს საკვები უკვე გამოლეოდათ. მან სურსათისათვის ექვსიათასიანი რაზმით აკვინუსი გაგზავნა. სერტორიუსმა ეს გაიგო და უკან დაბრუნებულ აკვინუსს გზაზე ჩაუსაფრდა. როგორც კი გამოჩნდა იგი, ერთ დაბურულ ხეობაში ჩამჯდარი სამი ათასი კაცი ზურგიდან დაასხა თავს, თვითონ კი პირისპირ ეკვეთა და უკუაქცია. რომაელ ჯარისკაცთა ნაწილი სერტორიუსმა მთლიანად შემუსრა, ნაწილი კი ტყვედ წაიყვანა. აკვინუსმა ბრძოლაში იარაღი და ცხენი დაკარგა და ისე დაბრუნდა. მეტელუსი იძულებული გახდა ალყა მოეხსნა და სამარცხვინოდ უკან დახეულიყო. რომაელთა გაწბილებულ სარდალს ესპანელებმა წყევლა-კრულვა და ათასგვარი დამცინავი სიტყვა გააყოლეს.

14. ასეთი წარმატებებით აღფრთოვანებულ ბარბაროსებს კიდევ უფრო მეტად შეუყვარდათ სერტორიუსი, რამეთუ ისინი რომაულ ყაიდაზე შეიარაღებას, რომაულ წესრიგსა და დათქმული ნიშნების ხმარებას მიაჩვია, საზღვარი დაუდო მათ ველურ და პირუტყვულ ყოფას და ავაზაკთა დიდი ბრბოსაგან ნამდვილი ჯარი ჩამოაყალიბა. სერტორიუსმა სახელი გაითქვა იმითაც, რომ დაუზოგავად ხარჯავდა ოქროსა და ვერცხლს ბარბაროსთა მუზარადების შესამკობად და მათი ფარების მოსაჭედად. იგი ბარბაროსებს ჭრელი ქლამიდებისა და

ტოგების ტარებას ასწავლიდა და ხალისით შველოდა ასეთი ტანსაცმლის შეძენაში.

ბარბაროსთა გული სერტორიუსმა ყველაზე უფრო მეტად მაინც ბავშვებზე ზრუნვით მოიგო. დიდ ქალაქ ოსკაში[30] მან თავი მოუყარა ადგილობრივ ტომთა წარჩინებული ოჯახების ბავშვებს და ბერძნულ-რომაულ მეცნიერებათა დასაუფლებლად მასწავლებლები მიუჩინა. სინამდვილეში ეს ბავშვები სერტორიუსმა მძევლებად აიყვანა, სიტყვით კი აცხადებდა: ამათ განათლებას იმიტომ ვაძლევ, რომ მოწიფულობის ხანაში სახელმწიფო საქმეები და ქვეყნის გამგებლობა გადავცეო. მამებს განსაკუთრებით უხაროდათ, როცა ხედავდნენ, თუ როგორ დარაზმულნი დადიოდნენ სკოლაში მეწამულ ტოგებში გამოწყობილი მათი შვილები, თუ როგორ იხდიდა მათთვის გასამრჯელოს სერტორიუსი, როგორ აწყობდა ხშირად გამოცდებს, როგორ ურიგებდა საჩუქრებს ღირსეულთ და აჯილდოებდა მათ ოქროს ყელსაბამებით, რომელთაც რომაელები „ბულებს“ ეძახიან. ესპანეთში ასეთი ადათი იყო: თუ ვინმე წინამძღოლი დაიღუპებოდა, ყველა მისი თანამებრძოლი მასთან ერთად უნდა მომკვდარიყო. ასეთ საქციელს იქაურ ბარბაროსებში „აღთქმით თავშეწირვა“ ეწოდება. სხვა საარდლებს ძალზე ცოტა თუ ჰყავდათ ისეთი ერთგული მეომრები, რომლებიც მათთვის სიცოცხლეზე ხელს აიღებდნენ, სერტორიუსს კი თან ახლდა თავშესაწირავად გამზადებული მრავალზე მრავალი მებრძოლი. ამბობენ, ერთხელ რომელიღაც ქალაქთან ბრძოლაში დამარცხებულ სერტორიუსს მტერი რკალში იმწყვდევდა. მაშინ ესპანელმა მეომრებმა საკუთარი თავი დაივიწყეს და მხოლოდ და მხოლოდ მთავარსარდლის ხსნაზე ფიქრობდნენ, მათ სერტორიუსი მხრებზე შეისვეს, მერმე ერთმანეთს გადასცეს და ასე აიყვანეს გალავნის კედელზე. როცა დარწმუნდნენ, წინამძღოლი საფრთხეს გადაურჩაო, მხოლოდ ამის შემდეგ უშველეს თავს და გაიქცნენ.

15. სერტორიუსს მარტო ესპანელები როდი სცემდნენ თაყვანს, მას იტალიიდან მოსული მეომრებიც შენატროდნენ. აი მაგალითიც: ესპანეთში დიდძალი ფულით და მრავალრიცხოვანი მხედრობით გამოცხადდა პერპენა ვენტონი, ვინც იმ პოლიტიკურ დაჯგუფებას ეკუთვნოდა, რომელშიც სერტორიუსიც შედიოდა. მას გადაეწყვიტა დამოუკიდებელი ომი ეწარმოებინა მეტელუსთან. როცა ეს გაიგეს,

ჯარისკაცები საშინლად აღშფოთდნენ: მთელი ბანაკი სიყვარულით იხსენებდა და ნატრობდა სერტორიუსს. წარჩინებული გვარიშვილობითა და სიმდიდრით გაყოყოჩებულ პერპენას ამან დიდზე დიდი წყენა მოჰგვარა. ჩქარა ამბავი მოიტანეს: პომპეუსი პირენეის მთებზე გადმოვიდაო. ჯარისკაცებმა ხელი სტაცეს იარაღსა და ლეგიონთა დროშებს და პერპენას ყვირილით მიეჭრნენ: ახლავე წაგვიყვანე სერტორიუსთან, თუ ამას არ იზამ, ჩვენ თვითონვე გადავალთ იმ ვაჟკაცის მხარეზე, ვისაც ძალუძს თავისი თავი და სხვებიც დაიხსნასო. პერპენამ უწინდელ გადაწყვეტილებაზე ხელი აიღო, წაიყვანა ისინი და თავისი ორმოცდაცამეტი კოჰორტით სერტორიუსს შეუერთდა.

16. სერტორიუსს აურაცხელი ძალები ჰყავდა: მის მხარეზე დადგა მდინარე იბეროსის გამოღმა მოსახლე ყველა ტომი, მის ისედაც დიდ ლაშქარს უწყვეტ ნაკადად უერთდებოდა ყოველი მხრიდან დაძრული ხალხი. მაგრამ სერტორიუსს აშფოთებდა ბარბაროსთა უწესრიგობა და უგუნური სიმამაცე. ისინი დაყოვნებას ოდნავადაც ვერ იტანდნენ და ყვირილით მოითხოვდნენ: დროა მტერთან ბრძოლა დავიწყოთო. სერტორიუსი ამაოდ ცდილობდა შეგონებებით დაეშვიდებინა ძალამოჭარბებული ბრბო. როცა დაინახა, ესპანელები უსაზღვროდ ბობოქრობდნენ და მზად იყვნენ აეძულებინათ იგი უდროო დროს ჩაბმულიყო ბრძოლაში, მაშინ დათმობაზე წავიდა და მეომრებს უფლება მისცა თავის ნებაზე შეტაკებოდნენ მოწინააღმდეგეს. სერტორიუსი იმედოვნებდა: მტერი მთლიანად ვერ მოსპობს ამათ, მაგრამ ჭკუას კი ასწავლის და მომავალში უფრო მორჩილთ გახდისო. მართლაც, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც სერტორიუსი ვარაუდობდა. იგი მტრისაგან შევიწროებულ ესპანელთა საშველად გაეშურა, უკუქცეულთ თავი მოუყარა და მშვიდობით დააბრუნა ბანაკში.

შერცხვენილ ესპანელთა სასოწარკვეთილების გასაფანტავად სერტორიუსმა რამდენიმე დღის შემდეგ მთელი ლაშქარი მოედანზე შეკრიბა და იქვე ორი ცხენი მოაყვანინა, ერთი მთლად ქანცგაწყვეტილი და ბებერი, მეორე კი ტანადი და ღონიერი, რომელსაც საოცრად ხშირი და მბზინავი ლამაზი კუდი ჰქონდა. დაჩაჩანაკებულ ცხენს ერთი წარმოსადეგი და მკლავძლიერი ვაჟკაცი ამოუდგა უკან, ხოლო ღონიერს — ტანდალეული და საცოდავი შესახედაობის მეომარი.

დათქმულ ნიშანზე ძლიერი ვაჟკაცი ორივე ხელით ჩაეჭიდა კუდში თავის ცხენს და მოსაგლეჯად მთელი ძალით დაექაჩა, სუსტმა კი ღონიერ პირუტყვს ღერ-ღერად დაუწყო ძუის ამოცლა. პირველმა მაყურებელთა სიცილი გამოიწვია. იმანაც ხანგრძლივი და ამაო გარჯის შემდეგ ცხენს თავი დაანება, მეორემ კი ამასობაში ნელ-ნელა გაბდღვნა თავისი წილი კუდი. მაშინ წამოდგა სერტორიუსი და შეკრებილთ მიმართა: „ხომ ხედავთ, ჩემო თანამებრძოლნო, მოთმინება და დაჟინება რომ ჯობია ძალას? ის, რაც ერთი ხელის მოქნევით დაუძლეველია, ადვილად კეთდება თანდათანობით. განუწყვეტელ, დაჟინებულ მოქმედებას ვერაფერი ვერ დაუდგება წინ, მისი შემწეობით დრო ამსხვრევს და ანადგურებს ყოველგვარ ძალას. იგი კეთილი მოკავშირეა იმისა, ვინც გონების თვალით ზომავს თავის დროსა და ჟამს და სასტიკად მტრობს უდროოდ აჩქარებულ კაცს“. ამდაგვარი შეგონებებით სერტორიუსი ყოველთვის ცდილობდა ხელსაყრელი დროის შერჩევა ესწავლებინა ბარბაროსებისათვის.

17. სერტორიუსის სამხედრო წარმატებათა შორის ყველაზე გასაოცარი ეგრეთ წოდებული ხარაკიტანებზე გამარჯვება გახლდათ. ეს ტომი მდინარე ტაგონიუსის ვადაღმა იმყოფება[31]. ხარაკიტანები ქალაქებსა და სოფლებში კი არ ცხოვრობენ, არამედ განლაგებული არიან ერთ საკმაოდ დიდსა და მაღალ გორაკზე, რომლის ჩრდილოეთით მდებარე კლდოვანი ფერდობი სავსეა გამოქვაბულებითა და გვირაბებით. გორაკის ძირას მთელი მიდამო აყალო მიწისაა, ნიადაგი აქ ისეთი ფაშარი და სუსტია, კაცის ფეხის დადგმას ვერ უძლებს, ოდნავი შეხებითაც კი კირისა და ნაცრის მსგავსად იმლება და კარგა შორს მანძილზე მტვრის კორიანტელს აყენებს. იქაური ბარბაროსები ომის საფრთხის მოახლოებისთანავე მთელი თავისი ქონებით გამოქვაბულებში იმალებოდნენ და ძალით მათი დამორჩილება შეუძლებელი გახლდათ. სერტორიუსმა, რომელიც მეტელუსს თავს არიდებდა, ერთხელ ბანაკი სწორედ ამ გორაკთან დასცა. ხარაკიტანები მას, როგორც დამარცხებულსა და უკუქცეულ კაცს, ქედმაღლურად და აგდებით უყურებდნენ. გაჯავრებულ სერტორიუსს უნდოდა ბარბაროსებისათვის დაემტკიცებინა, რომ სრულიადაც არ იყო ლაჩარი და დამარცხებული, ამიტომ გათენებისთანავე ცხენზე შეჯდა და იქაური ადგილმდებარეობის დაზვერვას შეუდგა. რაკი გორაკთან მისადგომი ვერ იპოვნა, ტყუილად იხეტიალა და ხარაკიტანებს ამაო მუქარა

უთვალა. უცებ შენიშნა, რომ ფაშარი ნიადაგიდან ქარისგან ავარდნილი მტვრის კორიანტელი მაღლა, ბარბაროსებისაკენ მიემართებოდა. მათი გამოქვაბულები, როგორც ვთქვი, ჩრდილოეთის მხარესაა მიქცეული, იქაურ ქართა შორის კი ყველაზე ძლიერი და ხშირი სწორედ ჩრდილოეთის ქარია, რომელსაც ზოგიერთი კეკიას[32] უწოდებს. იგი ნოტიო ველებიდან და დათოვლილი მთებიდან მოქრის ხოლმე აქეთ.

მაშინ შუა ზაფხული იდგა, ჩრდილოეთში ყინულის დნობის შედეგად ამძლავრებული ქარი საამოდ უბერავდა და დღის განმავლობაში ბარბაროსებსა და მათ პირუტყვს აგრილებდა.

სერტორიუსმა ყველაფერი ეს გონებით აწონ-დაწონა, ზოგი რამ ახლომახლო მოსახლეთაგან შეიტყო და მერმე ჯარისკაცებს უბრძანა ფუყე, ნაცარა მიწა მოეგროვებინათ, გადმოეტანათ და გორაკის პირისპირ დაეხვავებინათ. ბარბაროსებს ეგონათ, სერტორიუსი იერიშისათვის მიწაყრილს ამზადებსო, და დაცინვა დაუწყეს. მან ჯარისკაცები დაღამებამდე ამუშავა, შემდეგ კი ბანაკში დააბრუნა. გარიჟრაჟზე სუსტმა ქარმა დაქროლა, მოზიდული მიწა მჩატედ აიტაცა და ბზესავით მიმოფანტა. ამოიწვერა თუ არა მზე, ახლა თავაწყვეტილმა კეკია ქარმა გაინავარდა და გორაკები მტვრით აავსო. მაშინ ჯარისკაცები კვლავ მიადგნენ მიწის გროვას და გადააბრუნეს იგი ერთნი ფუყე ბელტებს აქუცმაცებდნენ, სხვები ცხენებს დაჭენებდნენ აღმა-დაღმა და ფაშარი ნიადაგიდან ავარდნილ მტვერს ძლიერ ქარს ატანდნენ. დაქუცმაცებული მიწა ქარს საშინელი ძალით მიჰქონდა ზემოთ, ბარბაროსებისკენ, და კეკიას მოლოდინში კარდაღებულ სადგომებს ავსებდა. რაკი გამოქვაბულთ მხოლოდ ის ერთადერთი მხარე ჰქონდათ ღია, საიდანაც ქარი უბერავდა, მტვრით დამძიმებულმა, დანისლულმა და სულის შემხუთავმა ჰაერის ძლიერმა ნაკადმა ბარბაროსებს თვალები დაუბნელა და სუნთქვა შეუკრა. ისინი დიდი წვალების ფასად ორ დღეს ითმენდნენ ამას, მაგრამ მერმე ველარ გაუძლეს და მესამე დღეს მოწინააღმდეგეს ჩაბარდნენ. ამ გამარჯვებამ ძალაზე უფრო დიდება შეჰმატა სერტორიუსს, რადგან გამჭრიახობით დასძლია ის, რის დაძლევაც იარაღით არ ხერხდებოდა.

18. სანამ ომი მეტელუსთან წარმოებდა, ასე ჩანდა, თითქოს სერტორიუსის ყველა წარმატების მიზეზი იყო ხიბერე და თანდაყოლი-

ლი სიზანტე რომაელი მხედართმთავრისა, რაკი ვერ უმკლავდებოდა მამაც მეომარს, ვინც სათავეში ედგა ავაზაკთა ბრბოს და არა ნამდვილ სამხედრო ლაშქარს. მაგრამ როცა სერტორიუსი პირენეის მთებზე გადმოსული პომპეუსის პირისპირ დაბანაკდა და სამხედრო ხელოვნებაში გაწვრთნილი კაცის სახელის მოსახვეჭად ორ სარდალს შორის სასტიკი ბრძოლა გაიმართა, სერტორიუსმა გაცილებით უფრო დიდი ნიჭი გამოიჩინა იერიშისა თუ თავდაცვის უკეთესად მომზადების საქმეში. ამიტომ მისი დიდების ხმა რომს მიწვდა და იგი ერთხმად აღიარეს საომარ ხელოვნებაში ყველაზე უფრო გამოცდილ და ნიჭიერ მხედართმთავრად მაშინდელ მხედართმთავართ შორის. პომპეუსს ნაკლები სახელი როდი ჰქონდა. იგი დიდების მწვერვალს იყო უკვე მიღწეული. განსაკუთრებით ისახელა თავი პომპეუსმა სულას საქმისათვის თავდადებულ ბრძოლაში. სულამ ხომ ამისათვის მას მეტსახელად „მაგნუსი“ ანუ „დიდი“ შეარქვა და ჯერ კიდევ პირტიტველ ყმაწვილკაცს სატრიუმფო პატივიც მიანიჭა. სერტორიუსისადმი დაქვემდებარებულ მრავალ ქალაქს თვალი უკვე პომპეუსისაკენ ეჭირა და მის მხარეზეც კი აპირებდნენ გადასვლას, მაგრამ მალე შეიცვალეს აზრი ლავრონთან[33] მომხდარი მოულოდნელი მარცხის გამო. სერტორიუსმა ლავრონს ალყა შემოარტყა. მაშინ პომპეუსი მთელი თავისი ჯარით ქალაქის დასახმარებლად გაეშურა. სერტორიუსმა განიზრახა დაეკავებინა ერთი გორაკი, რომელიც ქალაქის ასაღებად მეტად მარჯვე ადგილი ჩანდა. მტრის განზრახვისათვის რომ ხელი შეეშალა, მხედრობა პომპეუსმა სწორედ იქით წაიყვანა, მაგრამ სერტორიუსმა დაასწრო. პომპეუსმა თავისი ჯარი შეაჩერა. იგი გახარებული იყო შექმნილი ვითარებით. ეგონა: მტერი ქალაქსა და ჩემს ლაშქარს შორის გამოიმწყვდევაო. მან ლავრონელებთან მაცნე აფრინა და შეუთვალა: გამხნევდით, ქალაქის კედლებზე დასხედით და უცქირეთ, როგორ მოვიქცევ სერტორიუსს ალყაშიო. ეს რომ სერტორიუსმა შეიტყო, გაიცინა და თქვა: სულას მოწაფეს (ასე ეძახდა დაცინვით პომპეუსს) მე ვასწავლი, სარდლისთვის რომ სჯობია ხშირად უკან იცქიროს, ვიდრე წინო. ამ სიტყვებთან ერთად თავისიანებს დაანახვა ექვსი ათასი ჰოპლიტი, რომლებიც მან ბანაკში დატოვა, როცა ზემოხსენებული გორაკის დასაკავებლად გამოემართა. ეს ჰოპლიტები ზურგიდან უნდა დასხმოდნენ თავს პომპეუსს, როცა იგი სერტორიუსზე იერიშს მიიტანდა. ცოტა უფრო გვიან პომპეუსი ყვე-

ლაფერს მიხვდა. მაგრამ ვერც ხელის გამოღება გაბედა იმის შიშით, ალყაში არ მოვექცეო, და სირცხვილით ვერც საფრთხეში მყოფი ლავრონელები მიატოვა. იგი იძულებული გახდა უმოქმედოდ დარჩენილიყო ადგილზე და ქალაქის დაცემისათვის ეყურებინა. მართლაც, მცირე ხნის შემდეგ ლავრონელმა ბარბაროსებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს და სერტორიუსს ჩაბარდნენ. სერტორიუსმა მათ სიცოცხლეც შეუნარჩუნა და თავისუფლადაც გაუშვა, მაგრამ ქალაქი ცეცხლს მისცა. მრისხანებამ და ულმობლობამ როდი ჩაადენინა ეს (სერტორიუსი სარდალთა შორის ყველაზე ნაკლებ ემორჩილებოდა თავის ვნებებს). მას სურდა შეერცხვინა და გაეწბილებინა პომპეუსის თაყვანისმცემლები, სურდა ბარბაროსებში დარხეულიყო ხმა, განწირულ ქალაქთან მდგარი პომპეუსი მოკავშირეებს კი არ ეხმარებოდა, არამედ ცეცხლს ეფიცხებოდაო.

19. მართალია, არანაკლები მარცხი სერტორიუსსაც მოუვიდა, მაგრამ დამნაშავე ამაში მისი სარდლები იყვნენ. ისა და მისი რაზმი მუდამ დაუძლეველი და უვნებელი რჩებოდა. მარცხის შემდეგ სერტორიუსის ჯარების ფეხზე სწრაფი დადგომა გაცილებით უფრო დიდ გაოცებას იწვევდა, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე მხედართმთავრების გამარჯვებები. ამის მაგალითია ბრძოლა სუკრონთან პომპეუსის წინააღმდეგ და მერმე ბრძოლა დურიის მახლობლად პომპეუსისა და მეტელუსის გაერთიანებულ ძალებთან[34].

ამბობენ, პომპეუსი სუკრონთან ბრძოლის დაწყებას ძალზე ჩქარობდა, რათა გამარჯვებაში წილი მეტელუსს არ დაედოო. თავის მხრივ სერტორიუსსაც სურდა პომპეუსს მეტელუსის მოსვლამდე შებმოდა. ამიტომ ჯარი საღამო ჟამს გამოიყვანა და საბრძოლოდ დააწყო. ფიქრობდა, მოახლოებული ღამის წყვდიადი უკუქცევისა თუ დევნის დროს ხელს შეუშლიდა უცხო ქვეყნიდან მოსულ მტერს, რომელიც იქაურ ადგილმდებარეობას არ იცნობდა. ჩქარა ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა და მარჯვენა ფრთაზე განლაგებული სერტორიუსი აღმოჩნდა არა პომპეუსის, არამედ აფრანიუსის პირისპირ, ვინც მტრის მხედრობის მარცხენა ფრთას ხელმძღვანელობდა. როცა სერტორიუსს აუწყეს, პომპეუსის წინააღმდეგ დარაზმული ლაშქრის მარცხენა ფლანგი მტრის იერიშს ვერ უძლებს და დამარცხებული უკან იხევსო, მარჯვენა ფრთის მეთაურობა სხვებს მიანდო და სასწრაფოდ დამარცხებულთა საშველად გაემართა. მან თავი მოუყარა

უკუქცეულ მეომრებს, დარაზმა ისინი მწკრივში დარჩენილებთან ერთად, გაამხნევა და ახალი ძალით ეკვეთა იერიშზე წამოსულ პომპეუსს. რომაელებს შავი დღე დაადგათ და მთლიანად უკუიქცნენ. დაჭრილი პომპეუსი ძლივს გადაურჩა სიკვდილს. საქმე ის იყო, რომ სერტორიუსის ლაშქარში მყოფმა ლიბიელებმა ხელთ იგდეს მისი ოქროთი დარახტული შეკაზმული ცხენი და ნადავლის გასაყოფად ერთმანეთთან გაჩაღებულ დავაში რომაელთა მხედართმთავრის დეევნას თავი მიანებეს.

როცა სერტორიუსი მარცხენა ფლანგის დასახმარებლად გაეშურა, აფრანიუსმა დრო იხელთა, მის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმები უკუაგდო და ბანაკისაკენ გარეკა. კარგად რომ დაღამდა, გაქცეულ მტერთან ერთად ბანაკში შეიჭრა და იქაურობის აოხრებას შეუდგა. აფრანიუსმა პომპეუსის გაქცევის ამბავი არ იცოდა და ვერ შეძლო თავისი თავაწყვეტილი ჯარისკაცები შეეჩერებინა და აეკრძალა ბანაკის ძარცვა. ამასობაში მარცხენა ფრთაზე გამარჯვებული სერტორიუსი დაბრუნდა, აფრანიუსის არეულ-დარეულ მეომრებს ეკვეთა და მრავალი მათგანი ამოჟლიტა. დილაადრიან კვლავ აისხა იარაღი და საბრძოლველად გამოვიდა, მაგრამ როცა შეიტყო, მეტელუსი მოახლოვდაო, ჯარი ბანაკში დაბრუნა და ასე თქვა: „ეს დაჩაჩანაკებული დიაცი რომ არა, იმ ლაწირაკ პომპეუსს კარგად გავშოლტავდი და ისე გავაბრუნებდი რომშიო“.

20. სერტორიუსს დიდი მწუხარება მოჰგვარა ფურირმის დაკარგვამ. ის აღარსად ჩანდა და მხედართმთავარსაც ბარბაროსებზე ზეგავლენის საოცარი საშუალება აღეკვეთა. ესპანელთ კი სწორედ ახლა სჭირდებოდათ შეგონება და გამხნევება. მაგრამ სულ ჩქარა ღამით სახეტიალოდ წასული რამდენიმე მეომარი დაკარგულ ფურირემს წააწყდა. ის ფერით იცნეს, დაიჭირეს და პატრონს მიჰგვარეს. სერტორიუსმა მეომრები დაარიგა, ნაპოვნის თაობაზე არავისთვის არაფერი ეთქვათ, სამაგიეროდ დიდი თანხის გადახდა აღუთქვა და ფურირემი საგულდაგულოდ დამალა. რამდენიმე დღის შემდეგ გაბრწყინებული სახით გამოვიდა ბანაკში, მისთვის განკუთვნილი შემაღლებული ადგილისაკენ გაემართა და გზადაგზა ბარბაროსთა თავკაცებს ამცნო: ძილში ღვთაება გამომეცხადა და დიდი სიკეთე მიწინასწარმეტყველაო. მერმე იმ შემაღლებულ ადგილზე ავიდა, დაჯდა და მასთან საქმეზე მოსულ ხალხს საუბარი გაუმართა. ამ დროს იქვე

მახლობლად მყოფმა, წინასწარ დარიგებულმა მცველებმა ფურირე-მი გამოუშვეს. როგორც კი დაინახა პატრონი, გახარებული პირუტყვი კუნტრუშით გაეშურა მისკენ, მერმე გვერდით დაუდგა, თავი მუხლებ-ზე დაუდო და ჩვეულებისამებრ მარჯვენა ხელის ლოკვა დაუწყო. სერტორიუსი, თავის მხრივ, დიდი სიყვარულით მიეალერსა ფურ-ირემს, ხოლო როცა თვალებზე ცრემლიც მოადგა, იქ მყოფი ესპანე-ლები საკვირველების ხილვამ ადგილზე გააქვავა. ამის შემდეგ მხნე-ობითა და კეთილი იმედებით აღვსილმა მეომრებმა სერტორიუსი, ვი-თარცა საოცარი და ღმერთებისათვის საყვარელი ვაჟკაცი, ტაშისცე-მით და ყიჟინით საკუთარ კარვამდე გააცილეს.

21. სერტორიუსმა მტერი საგუნტინების ველზე რკალში მოიმ-წყვდია და მეტისმეტად შეავიწროვა. მაგრამ როცა რომაელები სურ-სათის დასატაცებლად ბანაკიდან აიყარნენ, იძულებული გახდა ბრძოლაში ჩაბმულიყო. ორივე მხარე ბრწყინვალედ იბრძოდა. ცხა-რე ბრძოლაში დაეცა პომპეუსის ყველაზე ნაცადი სარდალი მემიუ-სი[35]. სერტორიუსი გააფთრებით უტევდა რომაელებს და გაიმარჯვა კიდეც. მერმე მეტელუსისაკენ გაეშურა და დაუზოგავად ანადგურ-ებდა ყველას, ვინც გზაზე გადაეღობებოდა. მიუხედავად ასაკისა, მეტელუსი მტკიცედ იდგა და შეუპოვრად იბრძოდა, სანამ შუბით არ დაჭრეს. რომაელები, რომლებმაც საკუთარი თვალით იხილეს თუ სხვებისაგან შეიტყვეს მთავარსარდლის დაჭრა, მტერზე უსაზღვროდ განრისხდნენ და დიდ ხირცხვილად ჩათვალეს დაჭრილი წინამძღო-ლის მიტოვება. მეტელუსი მყისვე ხელში აიტაცეს, წინ ფარებით დაუდგნენ და ბრძოლის ველიდან გაიყვანეს, შეტევაზე გადმოსული ესპანელები კი შეუპოვარი ბრძოლით უკუაგდეს. რაკი გამარჯვებამ ზურგი შეაქცია, სერტორიუსმა ყველა ხერხს მიმართა თავისიანების უკანდახევა უზრუნველეყო, ლაშქარი მარჯვე ადგილზე გაეყვანა და მაშველ ძალას მშვიდად დალოდებოდა. მან მიაშურა მთაზე განლა-გებულ ერთ საიმედოდ დაცულ ქალაქს და მისი კედლები და კარი-ბჭე საგანგებოდ გაამაგრა. მას ალყაში მოქცევის ფიქრი სულ არ ჰქონდა, მტერი კი სასტიკად მოატყუა. რომაელებმა სერტორიუსს ალყა შემოარტყეს და დარწმუნებულიც იყვნენ, ქალაქს ადვილად აი-ღებდნენ, მაგრამ ბარბაროსები ნებაზე მიუშვეს, არ მიაქციეს ყუ-რადღება, ისინი რომ გარბოდნენ, ხოლო სერტორიუსის მაშველი ძა-ლები დასახმარებლად ემზადებოდნენ. ძალთა შეკრება ხდებოდა ქა-

ლაქებში გაგზავნილ მეთაურთა მეშვეობით, რომელთაც სერტორიუსმა უბრძანა, როგორც კი ჯარის საკმაო რაოდენობა მოგროვდებოდა, ეს მისთვის დაუყოვნებლივ ეუწყებინათ. როცა მაცნე მოვიდა, სერტორიუსმა სულ ადვილად გაარღვია მტრის რკალი და თავისიანებს შეუერთდა. აღორძინებული მრავალრიცხოვანი ლაშქრით სერტორიუსი კვლავ ფეხდაფეხ მისდევდა მტერს, ხან ჩაუსაფრდებოდა, ხან ალყას შემოარტყამდა, ხან კი ანაზდეული სისწრაფით იქ გამოჩნდებოდა, სადაც არ ელოდნენ, და რომაელებს ხმელეთით სურსათის მისაზიდ გზას უჭრიდა. ასევე მოუჭრა მან მტერს საზღვაო გზაც. ზღვის მთელი სანაპირო ზოლი მეკობრეთა ხომალდებს ჰქონდა დაკავებული.

ბოლოს და ბოლოს რომაელი სარდლები იძულებული გახდნენ გათიშულიყვნენ. მეტელუსი გალიაში წავიდა, სრულიად უსახსროდ დარჩენილმა პომპეუსმა კი ზამთარი ვაკეების[36] მხარეში გაატარა. იგი სენატს სწერდა: თუ ფულს არ გამომიგზავნით, ჯარს უკან დავაბრუნებ, მთელი ჩემი ქონება კარგა ხანია იტალიისათვის ომში დავხარჯეო[37]. რომში ხმა დაირხა: პომპეუსზე ადრე იტალიაში სერტორიუსი გამოცხადდებაო. აი, რა ვითარებაში ჩააყენა სერტორიუსის სიმარჯვემ იმ დროის უპირველესი და უძლიერესი მხედართმთავრები!

22. მეტელუსმა სულ ჩქარა გამოამჟღავნა, რომ სერტორიუსისა ეშინოდა და ამ ვაჟკაცის ძალას დიდად აფასებდა. მან საჯაროდ გამოაცხადა, რომ რომაელს, ვინც სერტორიუსს მოკლავდა, ეს ტალანტ ვერცხლს მისცემდა და ოცი ათას იუგერ[38] მიწას მიუზომავდა; თუ მკვლელი გაძევებული კაცი აღმოჩნდებოდა, მას რომში დაბრუნების უფლება მიენიჭებოდა. მეტელუსმა აშკარა ბრძოლაში გამარჯვების იმედი დაკარგა და ახლა ღალატის შემწეობით სურდა სერტორიუსის თავი ეყიდა.

კიდევ მეტი, ერთ რომელიღაც შეტაკებაში მან სერტორიუსი დაამარცხა. ამ პატარა გამარჯვებამ ისე გააყოყოჩა და ისეთი ბედნიერების ფრთები შეასხა, რომ ჯარისკაცებს თავი იმპერატორად გამოაცხადებინა. ის ქალაქები კი, რომლებშიც შედიოდა, მსხვერპლის შეწირვითა და ბომონთა აგებით ეგებებოდნენ. იმასაც გადმოგვცემენ, რომ მეტელუსი ხალისით იდგამდა თავზე გვირგვინებს და მის პატივსაცემად გამართულ ძვირფას წვეულებებში სასმელს სატრიუმ-

ფო სამოსელში განაწყობილი სვამდა. ლხინის დროს საგანგებო იარაღების მეშვეობით ჭერიდან ეშვებოდა თურმე გამარჯვების ღმერთქალ ნიკეს ქანდაკებები, რომლებიც მას ძლევის აღსანიშნავ ოქროს სამკაულებსა და გვირგვინებს აწვდიდნენ, ხოლო ყრმათა და ქალთა გუნდები გამარჯვების ჰიმნებს უმღერდნენ.

ასეთი საქციელით მეტელუსმა თავი სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო. იგი ქედმაღლობდა და ხარობდა იმით, რომ უკან დაახევინა სერტორიუსს, რომელსაც სულასაგან გაქცეულ მაწანწალასა და კარბონის განადგურებული ხროვის ნაბოლარას ეძახდა.

სერტორიუსის დიდსულოვნება მის მოქმედებაში ჩანდა. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ რომიდან ლტოლვილ და მის მხარეზე გადასულ სენატორთა კრებას სენატი უწოდა. ამათაგან ნიშნავდა იგი კვესტორებსა და პრეტორებს და სხვა საქმეებსაც სამშობლოში მოქმედი მამაპაპური კანონებით აწესრიგებდა. მართალია, სერტორიუსი ესპანელთა იარაღს, ფულად სახსრებსა და ქალაქებს ეყრდნობოდა, მაგრამ ერთხელაც კი არ დასცდენია, რომ იგი მათ უმაღლეს ძალაუფლებას დაანებებდა. ესპანელების სარდლებად და გამგებლებად ყოველთვის რომაელებს აყენებდა. იგი რომაელთა თავისუფლებისათვის იბრძოდა და სრულიადაც არ სურდა ესპანელთა აღზევება რომაელებზე. სერტორიუსი სამშობლოს მოყვარული კაცი იყო და შინ დაბრუნების ძლიერი სურვილი მუდამ თან სდევდა; მაგრამ წარუმატებლობის ჟამს თავი მამაცურად ეჭირა და მტერს ქედს როდი უხრიდა. როცა კი გაიმარჯვებდა, მეტელუსსა და პომპეუსს მოციქულს უგზავნიდა: მზად ვარ იარაღი დავაწყო და ვიცხოვრო როგორც კერძო პიროვნებამ, თუ შინ დაბრუნების უფლებას აღმითქვამთ; მირჩევნია რომში ყველაზე კნინი მოქალაქე ვიყო, ვიდრე სამშობლოდან ლტოლვილი და მთელი დანარჩენი სამყაროს აღიარებული მბრძანებელიო. ამბობენ, სამშობლოში დაბრუნების დიდი სურვილი გამოწვეული იყო მისი უსაზღვრო სიყვარულით დედისადმი, რომელმაც ობლობაში გამოზარდა და ვისიც საოცრად ერთგული იყოო. სწორედ იმ დროს, როცა მეგობრებმა მიიხმეს და ესპანეთში მხედართმთავრობა შესთავაზეს, დედის სიკვდილი შეიტყო. მწუხარებამ კინაღამ სიცოცხლე არ მოუსწრაფა. შვიდი დღის განმავლობაში გაუნძრევლად იწვა თავის საწოლზე, არც ბრძანებებს იძლეოდა და არც არავის იკარებდა. სარდლებმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა,

რომლებიც მისი კარვის გარშემო ტრიალებდნენ, ბოლოს და ბოლოს ძლივძლივობით დაიყოლიეს იგი გარეთ გამოსულიყო, ჯარისკაცებს დალაპარაკებოდა და ხელი მოეკიდა საქმეებისათვის, რომელთაც იმხანად კარგი პირი უჩანდა. აი ამის გამო იყო, რომ სერტორიუსს ბევრი თვლიდა ბუნებით ლმობიერ და მშვიდი ცხოვრების მოტრფიალე კაცად, რომელმაც სამხედრო საქმეთა წინამძღოლობა საკუთარი ნებისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა წყალობით იკისრა. რაკიღა თავშესაფარი ვერსად იპოვა და მტრებმა ხელთ იარაღი დააჭერინეს, თავის გადასარჩენად მიმართა ომს, ვითარცა აუცილებელ საშუალებას.

23. სერტორიუსის დიდსულოვნება მითრიდატესთან ურთიერთობაშიც გამომჟღავნდა. იმ დროს, როცა სულას მიერ დამარცხებულმა მითრიდატემ ხელახალი ბრძოლისათვის წამოყო თავი და აზიის დასაუფლებლად კვლავ აღმართა ხელი, სერტორიუსის სახელი უკვე ყველგან ჰქუხდა. დასავლეთიდან ზღვით მოსული ხალხი ისე ავრცელებდა პონტოში სერტორიუსის წარმატებათა ამბებს, თითქოს გარედან შემოტანილი უცხოური საქონელი ყოფილიყო. მითრიდატემ გადაწყვიტა სერტორიუსთან ელჩები გაეგზავნა. განსაკუთრებით წაიქეზეს იგი ენაგაქლესილმა მლიქვნელებმა, რომლებიც სერტორიუსს ჰანიბალს ადარებდნენ, მითრიდატეს კი — პიროსს[39]. ისინი ამბობდნენ: თუ საუკეთესო მხედართმთავარი უდიდეს მეფეს შეუკავშირდა, მათ გაერთიანებულ ძალას რომაელები წინ ვერ დაუდგებიან და ვერ შეძლებენ ორი ერთიმეორეზე ნიჭიერი წინამძღოლის მიერ ორმხრივ მიტანილი იერიშის მოგერიებასო. ერთი სიტყვით, მითრიდატემ ესპანეთში გააგზავნა ელჩები სერტორიუსისათვის განკუთვნილი წერილებითა და სიტყვიერი დავალებებით. იგი სერტორიუსს ჰპირდებოდა ფულსა და ხომალდებს ომის საწარმოებლად, თვითონ კი მოითხოვდა მისთვის შემოემტკიცებინათ აზიის მთელი ის ნაწილი, რომელიც სულასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე რომაელებს გადასცა. სერტორიუსმა მოიწვია საბჭო, რომელსაც სენატს ეძახდა. ყველამ ერთხმად ურჩია მიეღო შემოთავაზებული პირობები: ბოლოს და ბოლოს მითრიდატეს ვუთმობთ სახელსა და ცარიელ უფლებას იმაზე, რაც არ გვეკუთვნის, სანაცვლოდ კი მივიღებთ ჩვენთვის ყველაზე უფრო აუცილებელსო. სერტორიუსი საბჭოს აზრს არ დაეთანხმა და განაცხადა: „მე არა ვარ წინააღმდეგი მითრიდატეს

გადაეცეს ბითვინია და კაპადოკია, რომელთა ტომებიც იმთავითვე მეფის გამგებლობას ექვემდებარებიან და რომაელებს მათთან არაფერი ესაქმებათ. რაც შეეხება რომაელთა მიერ სამართლიანი გზით მოპოვებულ პროვინციას, იგი მითრიდატემ ძალით ჩაიგდო ხელთ და განაგებდა მანამ, სანამ იქიდან ფიბრიამ არ გააძევა და მერმე, სულასთან დადებული ხელშეკრულებით, თვითონვე უარი არ თქვა მასზე. მე ვერ დავუშვებ ეს პროვინცია კვლავ მის ხელში გადავიდეს. სრულიადაც არა მსურს ჩემმა გამარჯვებამ სამშობლოს ვნება მოუტანოს, პირიქით, იგი რომის გაძლიერებას უნდა ემსახურებოდეს. კეთილშობილი ვაუკაცი პატიოსან გამარჯვებას უნდა ესწრაფებოდეს და არა შერცხვენის ფასად საკუთარი თავის ხსნას".

24. სერტორიუსის პასუხმა მითრიდატე მეტად გააოცა. ამბობენ, თავის მეგობრებს ასე მიმართაო: „განა რა მოთხოვნებს წამოგვიყენებდა სერტორიუსი, პალატიუმზე რომ დაბრძანდეს[40], თუ ახლა ატლანტის ზღვისაკენ განდევნილი კაცი ჩვენს სამეფოს საზღვრებს უნიშნავს და აზიის დაუფლებისათვის ომით გვემუქრებაო?!" ასე იყო თუ ისე, შეთანხმება დაიდო და ფიციანაც შეიკრა: კაპადოკია და ბითვინია მითრიდატეს რჩებოდა, სერტორიუსი მას სარდალსა და მეომრებს გაუგზავნიდა, თვითონ კი მითრიდატესაგან სამი ათას ტალანტსა და ორმოც ხომალდს მიიღებდა. აზიაში სარდლად სერტორიუსმა გაგზავნა სენატიდან გამოქცეული და მასთან თავშეფარებული მარკუს მარიუსი. მისი დახმარებით მითრიდატემ აიღო აზიის რამდენიმე ქალაქი. როცა მარიუსი ამ ქალაქებში შედიოდა, წინ მას მიუძღოდნენ წკეპლის კონებით და ცულებით აღკაზმული მხლებლები[41], ხოლო მითრიდატე, როგორც მისი მორჩილი ხელქვეითი, მეორე მწკრივში მიჰყვებოდა. მარიუსმა ზოგიერთ ქალაქს თავისუფლება შეანიჭა, ზოგიერთი კი სერტორიუსის სახელით ხარკისაგან გაათავისუფლა. სულ ახლახან გადასახადის ამკრეფთაგან შეწუხებულმა და იქ დაბანაკებულ ჯარისკაცთა გაუმაძღროობით და ქედმაღლობით დაჩაგრულმა აზიამ მარიუსის წყალობით იმედის ფრთა შეისხა და ძალაუფლების შეცვლას მოუთმენლად ელოდა.

25. როცა ესპანეთში სერტორიუსთან მყოფმა სენატორებმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა შიშისაგან თავი დახსნილად იგრძნეს და იმედი მიეცათ მტერს ღირსეულად დაუპირისპირდებოდნენ, სწორედ ამ დროს მათ შორის თავი იჩინა შურისა და უსაფუძვლო მე-

ტოქეობის გრძნობამ სერტორიუსის ძლიერების მიმართ. ეს ამბავი წამოიწყო პერპენამ, რომელიც კარგი გვარიშვილობით ყოყოჩობდა და ოცნებაში ძალაუფლებას ეპოტინებოდა. იგი თავის მომხრეებს საიდუმლოდ ეთათბირებოდა და მკრეხელურ სიტყვებს ეუბნებოდა: „განა რომელმა ბოროტმა დემონმა შეგვიპყრო, რომ ავისაგან კიდევ უფრო უარესისაკენ მიგვაქანებს? სამშობლოში მყოფნი უღირს საქმედ ვთვლიდით დავმორჩილებოდით ბრძანებებს, რომელთაც იძლეოდა მთელი ხმელეთისა და ზღვის გამგებელი სულა, აქ მოსვლით კი თავი დავიღუპეთ; გვეგონა, თავისუფლად ვიცხოვრებდით, სინამდვილეში კი ლტოლვილი სერტორიუსის მცველებად ვიქეცით და საკუთარი ნებით მონურ ყოფას ვეწიეთ. ჩვენს თავყრილობას სენატი ჰქვია და ამ სახელს, ვინც კი გაიგონებს, ყველა დასცინის. ჩვენ ესპანელებსა და ლუზიტანებზე ნაკლებ როდი გვიწევს ლანძღვა-გინების, ბრძანებებისა და მძიმე შრომის ატანა?!“ ასეთი და ამის მსგავსი სიტყვების წარამარა მოსმენის მიუხედავად, ბევრი ვერ ბედავდა აშკარა განდგომას სერტორიუსის ძლიერების შიშით, მაგრამ ფარულად საერთო საქმეს ზიანს აყენებდნენ. პერპენას მომხრენი ბარბაროსებს სერტორიუსის სახელით სასტიკად სჯიდნენ, უამრავ გადასახადებს აწერდნენ და ასეთი მოპყრობით საშინლად აბოროტებდნენ. ქალაქებში აჯანყებები და შფოთი დაიწყო. ისინი, ვისაც სერტორიუსი საქმეთა მოსაწესრიგებლად და ამბოხებულთა დასამშვიდებლად აგზავნიდა, კიდევ უფრო ამძაფრებდნენ ხალხის დაუმორჩილებლობისაკენ სწრაფვას, კიდევ უფრო მეტად აღვივებდნენ მტრობას, ახალ-ახალ აჯანყებებს აწყობდნენ და უკან ისე ბრუნდებოდნენ. ამის გამო სერტორიუსმა ძველებურ ლოიალობასა და ლმობიერებაზე ხელი აიღო და წრესგადასული მრისხანება ოსკაში აღსაზრდელად გაბარებულ ესპანელთა შვილებს დაატეხა თავს: ნაწილი დახოცა, ნაწილი კი გაყიდა.

26. სერტორიუსზე თავდასასხმელად პერპენას უკვე მრავალი შეთქმული ჰყავდა გამზადებული. მან მიიმხრო აგრეთვე ერთ-ერთი სარდალიც, სახელად მალიუსი. ამ მალიუსს უყვარდა ერთი ლამაზი ყრმა, რომელსაც კეთილგანწყობილების დასამტკიცებლად შეთქმულთა მთელი განზრახვა აუწყა და ურჩია: ყველა თაყვანისმცემელს მოერიდე და მხოლოდ და მხოლოდ ჩემი იყავიო; იცოდე, სულ რამდენიმე დღეში დიდი კაცი გავხდებიო. ყრმამ მთელი ეს ამბავი მიუტა-

ნა მის მეორე მეტრფეს აუფიდიუსს, რომელსაც უფრო თანაუგრძ-
ნობდა. ნაამბობმა აუფიდიუსი მეტისმეტად გააოცა: თვითონ სერ-
ტორიუსის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების წევრი იყო, მაგ
რამ არ იცოდა, თუ მასში მალიუსიც მონაწილეობდა. როცა ყრმამ
დაასახელა მისთვის ცნობილი შეთქმულნი პერპენა, გრეკინუსი და
კიდევ სხვები, აუფიდიუსი დაფრთხა. მართალია, მან ნაამბობი სასა-
ცილოდ აიგდო და ყრმას უბრძანა განრიდებოდა ქარაფშუტა და
ტრაბახა მალიუსს, მაგრამ თვითონ პერპენასთან გაეშურა. ამცნო
მას ვითარების სიმწვავე, ის, თუ რა საფრთხე იყო მოსალოდნელი
დაყოვნებით და ურჩია სწრაფად ემოქმედა. შეთქმულებმა აუფიდიუსს
დაუჯერეს, ერთი კაცი მოამზადეს, საგანგებო წერილით აღჭურვეს
და სერტორიუსს მიუგზავნეს. წერილი ერთ-ერთი სარდლის გამარჯ-
ვებასა და მრავალრიცხოვანი მტრის განადგურებას იუწყებოდა. გა-
ხარებულმა სერტორიუსმა სიკეთის მაუწყებელი ცნობის აღსანიშნა
ვად ღმერთებს სამსხვერპლო ცხოველი შესწირა. პერპენამ, თავის
მხრივ, ლხინი გამართა და გამოაცხადა, რომ იწვევდა სერტორიუსსა
და თავის მეგობრებს (ისინი ყველანი შეთქმულნი იყვნენ). პერპენამ
დიდი თხოვნით დაიყოლია სერტორიუსი წვეულებაზე მისულიყო.
ყველა ლხინი, რომელთაც იგი მანამდე ესწრებოდა, თავდაჭერილო-
ბისა და წესიერების ნიმუში გახლდათ. ურცხვ სანახაობასა და
ბილწსიტყვაობას სერტორიუსი ვერ ითმენდა, წვეულებაზე მყოფთ
იგი ყოველთვის ზრდილობიან ქცევასა და ზომიერსა და უწყინარ
გართობას აჩვევდა. მაგრამ ამჯერად, როცა სმა გაჩაღდა, სტუმრებ-
მა, რომლებიც ჩხუბის ასატეხად საბაბს ეძებდნენ, დაუფარავად და
იწყეს უწმაწური სიტყვების სროლა. მერმე თავი მეტისმეტად მო-
იმთვრალეს და თავაწყვეტილად იქცეოდნენ, რათა სერტორიუსი გა
ებრაზებინათ. უწესრიგობით იყო უკმაყოფილო თუ შეთქმულთა
თავხედური ლაყბობისა და წრეგადასული ქცევის წყალობით, სერ-
ტორიუსი მათ კანზრახვას მიხვდა. მან სარეცელზე მდგომარეობა
შეიცვალა და გულაღმა დაწვა, რათა აურზაურისათვის ყურადღება
არ მიექცია და არაფერი გაეგონა. მაშინ პერპენამ შუმი ღვინით სავ-
სე თასი აიღო, მაგრამ მოსვა თუ არა, მყისვე ხელიდან გაუშვა. თა-
სი წკრიალით დავარდა ძირს. ეს შეთქმულთა ნიშანი გახლდათ. ან-
ტონიუსმა, რომელიც იქვე იყო მხარ-თეძოზე წამოწოლილი, აღარ
დააყოვნა და სერტორიუსს მახვილი დაჰკრა. სერტორიუსი მაშინვე

შებრუნდა მისკენ, ფეხზეც წამოდგა, მაგრამ ანტონიუსი მკერდზე ეცა და ორივე ხელი გაუკავა. სერტორიუსმა თავის დაცვა ვეღარ შეძლო და მრავალგზის დაჭრილმა სული განუტევა[42].

27. ესპანელთა დიდმა ნაწილმა მაშინვე შეაქცია ზურგი პერპენას და მოციქულთა მეშვეობით პომპეუსსა და მეტელუსს მორჩილება გამოუცხადა. შერჩენილ რაზმებზე დაყრდნობით პერპენამ მოიწადინა რაღაც წამოეწყო, მაგრამ როგორც კი სცადა სერტორიუსის მიერ შექმნილ საომარ ძალთა გამოყენება, მაშინვე შეირცხვინა თავი და გამოააშკარავა, რომ არც მბრძანებლად ვარგოდა და არც მორჩილებისთვის. პერპენა საკუთარი გადაწყვეტილებით პომპეუსს დაესხა თავს და მყისვე დამარცხდა. პომპეუსმა მთლიანად გაანადგურა იგი და ტყვედ ჩაიგდო. ეს უკანასკნელი უბედურებაც ვერ გადაიტანა პერპენამ, როგორც სარდალს შეეფერებოდა. მას ხელთ ჰქონდა სერტორიუსის პირადი წერილები და პომპეუსს შეჰპირდა: ყოფილი კონსულებისა და რომის სხვა გავლენიან პირთა მიერ საკუთარი ხელით ნაწერ ბარათებს გაჩვენებ, რომელთა მეშვეობითაც ისინი სერტორიუსს იტალიაში იწვევდნენ და აუწყებდნენ: აქ ძალზე ბევრია მსურველი არსებული მმართველობის წინააღმდეგ აღსდგეს და სახელმწიფო გადატრიალება მოახდინოსო. პომპეუსი უგუნური ყმაწვილივით როდი მოიქცა: მან დიდი სიდინჯითა და ჭკუით მოუარა ამ საქმეს და რომს საშინელი საფრთხე და შფოთი ააცდინა. პომპეუსმა სერტორიუსის მთელ მიწერ-მოწერას თავი მოუყარა, არც თვითონ წაიკითხა რამე, არც სხვას დაანება და ყველა წერილი დაწვა. რაც შეეხება პერპენას, იგი მყისვე სიკვდილით დასაჯა იმის შიშით, რომ მას არ დაესახელებინა ვინმე და ამას შფოთი და ამბოხება არ აეტეხა.

პერპენას მომხრეთა ერთი ნაწილი პომპეუსს წარუდგინეს და სიკვდილით დასაჯეს, მეორე ნაწილი კი ლიბიაში გაიქცა და მავრუსიელთა შუბების მსხვერპლი გახდა. არც ერთი შეთქმული არ გადარჩენილა, გარდა იმ აუფიდუსისა, რომელიც მალიუსს ყრმის ტრფობაში ეცილებოდა. დამალვა მოახერხა თუ ყურადღება არ მიაქციეს, ძნელი სათქმელია, ეს კია, აუფიდიუსმა თავი ერთ სოფელს შეაფარა და ყველასაგან დავიწყებულმა საშინელ სიღარიბეში დალია ბოლოს სული.

## ევმენესა და სერტორიუსის შეთანასწორება

1. ასეთია ის ღირსშესანიშნავი ამბები, რომლებიც ევმენესა და სერტორიუსის ირგვლივ მოვიპოვეთ. თუ მათ ერთმანეთს შევუდარებთ, ორივესთვის საერთო აღმოჩნდება ის, რომ უცხონი და სამშობლოდან ლტოლვილნი იყვნენ და ბოლომდე წინამძღოლობდნენ სულ სხვადასხვა ტომებს, მამაცურად შებრძოლ ჯარებსა და ძალთა დიდ-დიდ შენაერთებს. მაგრამ მათ შორის სხვაობაც გახლავთ: სერტორიუსს, მისი ღირსების გამო, ყველა თანამებრძოლმა ერთსულოვნად მიანიჭა ძალაუფლება, ევმენეს კი მრავალი მოშურნე ედავებოდა წინამძღოლობას და თვითონ თავისი წარმატებებით მოიპოვა პირველობა. ხალხი, რომელიც სერტორიუსს მიჰყვებოდა, სამართლიან საქმედ მიიჩნევდა მის გამგებლობაში ყოფნას, ხოლო ევმენეს ისინი ემორჩილებოდნენ, რომელთაც თვითონ არ შეეძლოთ სარდლობა და მხოლოდ პირადი გამოჩენის სურვილი ამოძრავებდათ. სერტორიუსი რომაელი იყო და ესპანელებსა და ლუზიტანებს განაგებდა, ევმენე კი ხერსონესელი გახლდათ და მაკედონელებს წინამძღოლობდა; პირველნი ძველთაგანვე რომაელების მონები იყვნენ, მეორენი კი მაშინ მთელ კაცობრიობაზე მბრძანებლობდნენ. სერტორიუსმა ძალაუფლებას მიაღწია როგორც აღიარებულმა სენატორმა და სარდალმა, ევმენემ კი მხოლოდ იმის შემდეგ მიიღო წინამძღოლობა, რაც სამეფო ქარის მდივნობისათვის შეიზიზღეს. წარმატებებისათვის ევმენეს დასაწყისშიც მცირე ხელსაყრელი პირობები ჰქონდა და შემდეგშიც დიდი დაბრკოლებები გადაეღობა. მას მრავალი აშკარა და ფარული მტერი ჰყავდა მაშინ, როცა სერტორიუსს ცხადად არავინ მტრობდა და ფარულადაც მხოლოდ რამდენიმე თანამებრძოლმა შეუტია, ისიც ბოლო ხანებში. სერტორიუსისათვის მტრის ძლევა საფრთხის დასასრული იყო, ევმენეს კი, მოშურნეთა მიზეზით, გამარჯვება დიდ განსაცდელს უქადდა.

2. ევმენესა და სერტორიუსს ბევრი რამ ჰქონდა საერთო როგორც სარდლებს, მაგრამ სხვა მხრივ მათი შეთანასწორება გაჭირდებოდა: ევმენე ომისა და დავის მოყვარული კაცი გახლდათ, სერტორიუსს კი მშვიდობისმოყვარეობა და ლმობიერება ახასიათებდა. პირველს შეეძლო უშიშრად და პატივში ეცხოვრა, თუ ძალაუფლების მაძიებელთ გზიდან ჩამოეცლებოდა, მაგრამ მან სიცოცხლე გა-

მუდმივულ ბრძოლასა და საფრთხეში გაატარა. მეორეს სრულიად არ სჭირდებოდა დიდ და სადაო საქმეებში ჩაბმულიყო, მაგრამ იძულებული გახდა საკუთარი სიცოცხლის დასაცავად ომი დაეწყო მათთან, რომელთაც მშვიდობა არ სურდათ. ანტიგონე დიდი ხალისით შეივრდომებდა ევმენეს, იგი რომ პირველობისათვის ბრძოლაში არ შებმოდა და მისთვის გზა დაეთმო, პომპეუსი და მისი მომხრენი კი სერტორიუსს, თუნდაც ბრძოლაზე ხელი აეღო, მაინც არ მოასვენებდნენ. ასე რომ პირველი საკუთარი სურვილით იბრძოდა მბრძანებლობისათვის, ხოლო მეორე ძალაუნებურად იცავდა ძალაუფლებას, რაკი მის წინააღმდეგ ომობდნენ. ომის მოყვარულია ის, ვინც პატივმოყვარეობას საკუთარ უშიშროებას ანაცვალებს, ნამდვილი მეომარი კი ის გახლავთ, ვინც ომით თავის სიცოცხლეს იცავს.

სიკვდილმა მაშინ უწია სერტორიუსს, როცა არ მოელოდა, ევმენესათვის კი სიცოცხლის აღსასრულის მოახლოება მოულოდნელი როდი იყო. პირველმა დიდსულოვნება გამოიჩინა სიკვდილის წინ და თავი ისე დაიჭირა, თითქოს მეგობრებს ენდობოდა, ხოლო მეორე უძლურებამ დასცა და როცა გაქცევა დააპირა, მაშინ შეიპყრეს. სიკვდილმა სერტორიუსის სიცოცხლეს ლაქა ვერ მოსცხო, რადგან იგი თანამებრძოლებმა მოკლეს და ჩაიდინეს ის საქმე, რასაც ვერც ერთმა მისმა მტერმა ვერ მიაღწია. ევმენე კი, როცა ტყვეობას ვერ გადაურჩა, ზზად იყო იქაც ეცოცხლა. იგი ღირსეულად ვერც შეხვდა და ვერც დაუსხლტა სიკვდილს; მტერს, ვისაც ხვეწნა-მუდარა დაუწყო, სხეულთან ერთად სულიერი მხნეობაც ჩააბარა.

# პომპეუსი

1. რომაელი ხალხი, როგორც ჩანს, თავიდანვე იმავე გრძნობით იყო გამსჭვალული პომპეუსისადმი, როგორსაც ესქილეს პრომეთე გამოთქვამს თავის მხსნელ ჰერაკლეს მიმართ:

მძულს მამა, მაგრამ შვილი მისი უსაზღვროდ მიყვარს.[1]

მართლაც, არც ერთ მხედართმთავრისადმი არ გამოუმჟღავნებიათ რომაელებს ისეთი ძლიერი და სასტიკი ზიზღი, როგორიც პომპეუსის მამის სტრაბონის მიმართ გამოიჩინეს[2]. სიცოცხლეში ამ კაცის სამხედრო ძლევამოსილებისა ეშინოდათ (სტრაბონი ფრიად მებრძოლი ვაჟკაცი იყო), ხოლო როცა მეხმა მოკლა, მისი გვამი გამოსვენების დროს კუბოდან გადმოაგდეს და ათასგვარად შეურაცხყვეს. სამაგიეროდ, არც ერთ რომაელს არ დაუმსახურებია ხალხის უსაზღვრო სიყვარული ისე ადრე, როგორც პომპეუსს, და ისე ხანგრძლივად არავის არ უსარგებლია ამ სიყვარულით. იგი შეუნელებელი სიძლიერით თან ახლდა მას ყოველთვის, ბედნიერებისა თუ უბედურების ჟამს. სტრაბონის ზიზღის მიზეზი იყო ერთი: მისი გაუმაძღარი სიხარბე. პომპეუსი კი მრავალმხრივ ინადირებდა რომაელი ხალხის გულს. სახელდობრ: თავდაჭერილი ცხოვრებით, საომარ საქმეებში ვარჯიშით, დამაჯერებელი სიტყვის წარმოთქმის ნიჭით, გულწრფელი ხასიათით და ხალხთან თავაზიანი ურთიერთობით. ამასთან ერთად პომპეუსს ყველაზე უფრო ნაკლებ სჩვეოდა თხოვნით სხვისთვის თავის შეწყენა, თვითონ კი, თუ ვინმე მიმართავდა საშველად, ყველას ხალისით ეხმარებოდა. მის კეთილშობილებას საზელს ჰმატებდა აგრეთვე ისიც, რომ დახმარებას ყოველთვის დაუმადლებლად უწევდა ხალხს და სხვის წყალობასაც დიდი პატივით იღებდა.

2. ზემო აღნიშნულის გარდა, ხალხის გულს პომპეუსი თავისი შესანიშნავი გარეგნობითაც იგებდა. ის მანამდე ხიბლავდა და იმონებდა ადამიანს, ვინემ ამ გარეგნობის პატრონი დაილაპარაკებდა. პომპეუსის სასიამოვნო შესახედაობას მუდამ თან ახლდა ერთგვარი სიდიადე და კაცთმოყვარეობა. ჯერ სიყმაწვილის ჟამს გამოსჭვიოდა მის ხასიათში ხანში შესული კაცის სიდარბაისლე და მეფური ქცევა. უკან გადაყრილი თმა, მკვირცხლი თვალები და ცოცხალი სახე პომპეუსს თითქოს ალექსანდრე მეფის გამოსახულებათ ამგვანებდა[3]; თუმცა ამ მსგავსებაზე უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე სინამდვილეში იყო. პირველ ხანებში პომპეუსს მრავალი უწოდებდა მეტსახელად ალექსანდრეს, და იგი ამას როდი გაურბოდა. ამიტომ ზოგიერთნი უკვე დაცინვით ეძახდნენ ამ სახელს. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ლუციუს ფილიპემ[4], ყოფილმა კონსულმა, პომპეუსის დასაცავად წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა: „მე მგონი, არაფერს ჩავდივარ უცნაურს, თუ მე, ფილიპეს, ალექსანდრე მიყვარს“[5].

გადმოცემის თანახმად, უკვე სიბერეში შესული ჰეტერა ფლორა მუდამ აღტაცებით იგონებდა თურმე თავის ურთიერთობას პომპეუსთან და ამბობდა, რომ ყოველი სასიყვარულო შეხვედრის შემდეგ დიდი გულისტკივილით შორდებოდა ხოლმე პომპეუსს. ამას ფლორა სხვა ამბავსაც უმატებდა: ის თურმე პომპეუსის ერთ-ერთმა ძეგობარმა, გემინიუსმა შეიყვარა და მოსვენებას არ აძლევდა. როცა ფლორამ უთხრა, პომპეუსის ხათრით შენს ნებას ვერ დავყვებიო, მაშინ გემინიუსი თვითონ პომპეუსს მოელაპარაკა ამის თაობაზე. პომპეუსმა მას ფლორა დაუთმო, მაგრამ მას მერმე ამ ქალთან ურთიერთობა შეწყვიტა, თუმცა, როგორც ჩანს, კვლავ ძველებურად უყვარდა. ეს ამბავი უბრალო მეძავი ქალივით როდი გადაიტანა ფლორამ. დაკარგულ სიყვარულზე წუხილმა კარგა ხნით ჩააგდო ლოგინად.

სხვათა შორის, ამბობენ, ფლორას სილამაზითა და მოხდენილობით ისეთი სახელი ჰქონდა, ცეცილიუს მეტელუსმა[6] ქანდაკებებითა და სურათებით დიოსკურთა[7] ტაძრის მორთვის დროს მისი სურათიც დაახატვინა და ტაძარში დაადგმევინაო.

საკუთარი ხასიათისათვის უჩვეულო უკმეხობითა და გულცივობით ეპყრობოდა პომპეუსი მისი ანატი მონის დემეტრიუსის ცოლსაც: ამ ქალის ქმარი პომპეუსის წყალობით თავის დროზე გავლენით

სარგებლობდა და სიკვდილის შემდეგ ოთხი ათასი ტალანტის ქონება დატოვა. პომპეუსის გულცივობის მიზეზი დემეტრიუსის ქვრივისადმი ის იყო, რომ ეშინოდა, ამ სახელმოხვეჭილი ქალის მაცდუნებელი სილამაზის ტყვეობაში არ აღმოჩენილიყო.

აი, თავიდანვე ასეთი ფრთხილი და თავდაჭერილი კაცი იყო პომპეუსი ამდაგვარ საქმეებში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვერ აარიდა თავი ამ მხრივ მტრების გაკიცხვას. ისინი ცილს სწამებდნენ გათხოვილ ქალებთან ურთიერთობაში; თითქოს პომპეუსი ამ მანდილოსანთა გულისთვის სახელმწიფოს მრავალ საქმეს გულგრილად და ზერელედ ეკიდებოდა.

იმის დასამტკიცებლად, თუ როგორი ზომიერი და უბრალო კაცი იყო პომპეუსი პირად ცხოვრებაში, შემდეგ ამბავს გადმოგვცემენ. ერთხელ თურმე ავად გახდა და ჭამის მადა დაკარგა. ექიმმა რჩევა მისცა შაშვის ხორცი ეჭამა. შეუდგნენ ამ ფრინველის ძებნას, მაგრამ წლის ისეთი დრო იყო, საყიდლად ვერსად იშოვეს. ვიღაცამ თქვა, შაშვის შოვნა ლუკულუსთან შეიძლება, მას მთელი წლის განმავლობაში ჰყავს ეს ფრინველებიო. „კი მაგრამ ლუკულუსი რომ პირის პატივისა და ფუფუნების კაცი არ იყოს, — წამოიძახა ავადმყოფმა. — ნუთუ ვერ იცოცხლებს ისე პომპეუსიო?“ მან ექიმის რჩევა-დარიგება ყურად არ იღო და ადვილად ხელმისაწვდომი საკვები მიიღო. ეს ამბავი, სხვათა შორის, საკმაოდ გვიან მოხდა.

3. პომპეუსი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო, როცა მამის ხელმძღვანელობით ცინას[3] წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობდა. ამ დროს მეგობრად ჰყავდა ვინმე ლუციუს ტერენციუსი, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობდა კარავში. ეს ტერენციუსი ფულით იყო მოსყიდული ცინას მიერ და განზრახული ჰქონდა მოეკლა პომპეუსი სწორედ იმ დროს, როდესაც სხვები მხედართმთავრის კარავს ცეცხლს წაუკიდებდნენ. ამ შეთქმულების ამბავი პომპეუსს ვახშმობის ჟამს ეუწყა. იგი ოდნავადაც არ აღელვებულა, პირიქით, ჩვეულებრივზე უფრო მეტი ხალისით განაგრძო ღვინის სმა და ტერენციუსს მეგობრულად ეხუმრებოდა. დაწოლისა და მოსვენების დროს რომ მოაღწია, პომპეუსმა მალულად დატოვა თავისი კარავი, მამამისის კარავს მცველები დაუყენა და მოსახდენს მშვიდად დაელოდა.

ამასობაში ტერენციუსი, იმ იმედით, მკვლელობისათვის მარჯვე

დრო დამიდგაო, ფეხზე წამოდგა. იგი მახვილამოწვდილი მიუახლოვდა პომპეუსის საწოლს და გამალებით დაუშინა მახვილი ლოგინს, სადაც მისი აზრით, პომპეუსი უნდა წოლილიყო.

სწორედ ამ წუთებში დიდი მღელვარება დაიწყო ლაშქარშიც, რაც მხედართმთავრის ზიზღმა გამოიწვია. ჯარისკაცებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მტრის მხარეზე გადასულიყვნენ. ისინი უკვე იღებდნენ კარვებს და იარაღს ისხამდნენ. ლაშქრის ამბოხებით თავზარდაცემული მხედართმთავარი გარეთ გამოსვლას ვეღარ ბედავდა. პომპეუსი ამბოხებულ ლაშქარში შეიჭრა და მეომრებს ტირილით შეემუდარა, მომაჩემი არ დატოვოთო. ბოლოს იგი ბანაკის კარიბჭის წინ დაემხო და ჯარისკაცებს ბანაკიდან გასვლის საშუალება არ მისცა, მოთქმა-გოდებით ეუბნებოდა მოღალატე მეომრებს: ბარემ გადამთელეთ და ისე წადითო. ჯარისკაცებს შერცხვათ და ყველამ უკან დაიხია. ასე რომ რვაასი კაცის გარდა ყველას შეეცვალა აზრი და მეომრები თავიანთ მხედართმთავარს შეურიგდნენ.

4. გარდაიცვალა თუ არა სტრაბონი, პომპეუსი მაშინვე სასამართლოში გაიწვიეს მამის ნაცვლად, რომელსაც ბრალად სახელმწიფო ფულების გაფლანგვა ედებოდა. პომპეუსმა მოსამართლეებს დაუმტკიცა, რომ ამ ფულის უდიდესი ნაწილი მიიტაცა ერთ-ერთმა გაანატებულმა კაცმა, ვინმე ალექსანდრემ. საკუთრივ პომპეუსს ბრალად ედებოდა ის, რომ ქალაქ ალექსანდრიაში ნადავლად ჩაგდებული სანადირო ბადეები და წიგნები. ასკულუმის აღების შემდეგ პომპეუსმა მართლაც მიიღო მამისაგან აღნიშნული ქონება, მაგრამ მერმე დაკარგა. სახელდობრ, როცა ცინა დაბრუნდა, მისი პირადი მცველები პომპეუსის სახლში შეიჭრნენ და ყველაფერი გაიტაცეს.

ამ საქმის გარჩევის დროს პომპეუსს ფრიად დიდი დავა მოუწდა დასაწყისში ბრალმდებლებთან. აქ მან შესანიშნავი გამჭრიახობა და ასაკთან შედარებით საოცარი სიმტკიცე გამოიჩინა, რითაც დიდი სახელი და წყალობა მოიხვეჭა. თვითონ სასამართლოს წინამძღოლს პრეტორ ანტისტიუსსაც კი შეუყვარდა იგი და გადაწყვიტა მისთვის თავისი ასული მიეთხოვებინა. ეს განზრახვა ანტისტიუსმა მეგობრებს გაანდო. მისი წინადადება პომპეუსმა თავაზიანად მიიღო და მათ შორის საიდუმლო მოლაპარაკება გაიმართა. მიუხედავად ამისა, ეს ამბავი ყველამ გაიგო იმის წყალობით, რომ ანტისტიუსი თავგამოდებით ცდილობდა სასამართლო საქმე პომპეუსის სასარგებლოდ

გადაწყვეტილიყო. ბოლოს, როცა მსაჯულთა მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი გამოაქვეყნა, ხალხმა, თითქოს ნიშანი მისცესო, ერთხმად შესძახა: „ტალასიუსს!“ ეს ის სიტყვაა, რომელიც ადათის თანახმად ძველთაგანვე საქორწინო შეძახილს წარმოადგენს. ამ ადათ-წესის წარმოშობის თაობაზე შემდეგს ამბობენ: ერთხელ თურმე რომში საბინების ქალიშვილები ჩამოვიდნენ აქ გამართულ სანახაობათა სახილველად. ეს ქალიშვილები გამოჩენილმა რომაელმა ვაჟკაცებმა მოიტაცეს და განიზრახეს ცოლებად შეერთოთ. სწორედ ამ დროს ვიღაც უგვარო მსახურებმა და მწყემსებმა სტაცეს ხელი ერთ ლამაზსა და ტანად საბინელ ქალწულს და თან წაიყვანეს. იმის შიშით, ვინმე შემთხვევით შემხვდურ წარჩინებულ პირს არ წაერთმია მათთვის ასული, ისინი მირბოდნენ და თან ჰყვიროდნენ: „ტალასიუსს ეკუთვნისო!“ ტალასიუსი კი ფრიად პატივცემული და სახელგანთქმული ვინმე იყო თურმე. ამ სახელის გაგონებაზე ყველანი ტაშს უკრავდნენ და ყვიროდნენ, რითაც თავიანთ აღტაცებასა და მოწონებას გამოხატავდნენ. რაკი ამგვარად მოტაცებულ ასულთან ტალასიუსის დაქორწინებამ ბედნიერად ჩაიარა, ამიტომ, გადმოცემის თანახმად, მის სახელს ამიერიდან ყოველთვის ხუმრობით შესძახებენ ხოლმე ქორწილის დროს ნეფე-დედოფალს.

აი, ასეთია ის ამბავი, რომელიც ყველაზე უფრო ჭეშმარიტ ამბად უნდა ჩაითვალოს ტალასიუსზე არსებულ თქმულებათა შორის.

რამდენიმე დღის შემდეგ პომპეუსი ანტისტიაზე დაქორწინდა.

5. ცოტა ხნის შემდეგ იგი ცინას ბანაკში გაემგზავრა, მაგრამ ბრალდებისა და ცილისწამების შიშით ჩქარა ფარულად გაეცალა მას. რაკიღა პომპეუსი აღარ ჩანდა, ბანაკში ხმა დაირხა: ეს ახალგაზრდა კაცი ცინამ მოკლაო. ჯერ კიდევ ადრევე განრისხებული და მისადმი ზიზღით აღვსილი ჯარისკაცები მყისვე დაესხნენ თავს ცინას. მაგრამ იგი გაიქცა. ერთი ცენტურიონი მახვილამოწვდილი დაედევნა და დაიჭირა კიდეც. ცინა მუხლებზე დაეცა და ცენტურიონს მეტად ძვირფასი ბეჭედი გაუწოდა. ამან მწარე დაცინვით მიუგო: „მე აქ იმიტომ კი არ მოვსულვარ, ბეჭედის ძალით შეთანხმება განვამტკიცო, არამედ იმიტომ, რომ უსინდისო და უსამართლო ტირანი დავსაჯოო“, — და იგი სიცოცხლეს გამოასალმა.

ცინას ასეთი სიკვდილის შემდეგ საქმეთა წინამძღოლობა ხელთ ჩაუვარდა მასზე უფრო მეტად უგუნურ ტირანს — კარბონს[16].

ამასობაში რომს უახლოვდებოდა სულა. რომელსაც მოქალაქეთა უმრავლესობა მოუთმენლად მოელოდა. ასეთ უბედურებათა ჟამს ისინი მარტოოდენ დესპოტის შეცვლასაც კი დიდ სიკეთედ თვლიდნენ. მაშინდელმა მწარე ხვედრმა იქამდე მიიყვანა რომის სახელმწიფო, რომ მან თავისუფლების იმედი სრულიად დაკარგა და მხოლოდ შემწყალე ბატონსღა ეძებდა.

6. პომპეუსი იმხანად იტალიის მხარეში, პიცენუმში ცხოვრობდა, სადაც მისი მამული იყო. რაც მთავარია, აქაურ ქალაქებს ჯერ მამამისთან და მერმე მასთანაც კეთილმეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული. როცა პომპეუსმა დაინახა, წარჩინებული და საუკეთესო მოქალაქეები ტოვებენ თავიანთ ქონებას და ყოველმხრიდან, როგორც საიმედო ნავსადგურში, სულას ბანაკში გარბიანო, გადაწყვიტა ასევე მოქცეულიყო. ოღონდ დამამცირებელ გარემოებად თვლიდა ლტოლვილ კაცივით წასვლას, რომელსაც არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია და თვითონ საჭიროებს შემწეობას. მას სურდა რაიმე დახმარება გაეწია სულასათვის და მასთან პატივმოსილი და ძალით აღჭურვილი მისულიყო. ამიტომაც პიცენელების წაქეზება დაიწყო, რათა მის განზრახვას შეერთებოდნენ. პიცენელები პომპეუსის რჩევას ხალისით უსმენდნენ და კარბონის მიერ მოგზავნილ მოციქულებს ყურადღებასაც არ აქცევდნენ. ერთერთმა ასეთმა მოციქულმა, ვინმე ვედიუსმა მათ უთხრა, პომპეუსი სულ ახლახან გამოხტა სკოლიდან და უკვე დემაგოგობს და თქვენი წინამძღოლობა სურსო. ამაზე პიცენელები ისე საშინლად განრისხდნენ, რომ მყისვე დაეძგერნენ ვედიუსს და სიცოცხლე მოუსწრაფეს.

პომპეუსი მაშინ სულ ოცდასამი წლისა იყო. რაკი მხედართმთავრად არავინ აღიარა, ასეთი ღირსება თვითონვე მიანიჭა თავის თავს. მერმე დიდი ქალაქის, აუქსიმუმის მოედანზე ტრიბუნა დადგა; იქიდან ორ ძმას, წარჩინებულ ვენტიდიუსებს, კარბონის სასარგებლოდ და მის წინააღმდეგ რომ მოქმედებდნენ, დადგენილების თანახმად უბრძანა ქალაქს გასცლოდნენ. ამის შემდეგ პომპეუსმა მეომართა შეკრება დაიწყო, დაუნიშნა მათ, წესის მიხედვით, ცენტურიონები და კოჰორტის მეთაურები. ასევე მოიქცა მახლობლად მდებარე ქალაქთა შემოვლის დროსაც.

კარბონის მომხრენი პომპეუსის წინაშე უკან იხევდნენ და გზას უთმობდნენ. ზოგიერთები კი დიდი ხალისით გადადიოდნენ მის მხა-

რეზე. ასე რომ პომპეუსმა სულ მოკლე ხანში სამი სრული ლეგიონი შეადგინა. მერმე სურსათი, გამწევი ძალა, ფორნები და ყველა სხვა საჭიროველი მოამზადა და ეს სამი ლეგიონი სულასკენ დაძრა. იგი არ ჩქარობდა და არც მალვით მიდიოდა. პირიქით, გზაში ხშირად აყოვნებდა იმ განზრახვით, რომ მტრისთვის ზიანი მიეყენებინა და იტალიის ყველა მხარე, რომელსაც გაივლიდა, კარბონისათვის ჩამოეშორებინა.

7. პომპეუსის წინააღმდეგ ერთდროულად აღდგა მტრის სამი სარდალი: კარინა, კელელიუსი და ბრუტუსი. ისინი პირდაპირ ერთად კი არ შეებნენ მას, არამედ ცალ-ცალკე, სამი სხვადასხვა ლაშქრით შემოერტყნენ გარს და შეეცადნენ შეეპყროთ იგი. პომპეუსი ამას არ შეუშინდა. მან თავი მოუყარა საკუთარ ძალებს და წინა ხაზზე დაწყობილი ცხენოსნები, რომელთაც თვითონ მეთაურობდა, ჯერ მხოლოდ ბრუტუსის ლაშქრის წინააღმდეგ დაძრა. მის შესახვედრად თავის მხრივ მტრის მხარეზე მყოფი გალებისაგან შემდგარი მხედრობა გამოემართა. ყველაზე უპირველესსა და უძლიერეს პირისპირ შემომხვდურ გალს პომპეუსმა დაასწრო, ჰკრა შუბი და მიწაზე დასცა. დანარჩენმა გალებმა მყისვე იბრუნეს პირი და ქვეით მეომრებშიც არევ-დარევა შეიტანეს. ისე რომ მალე მთელი ლაშქარი უკუიქცა. ამის შემდეგ მტრის სარდლებიც წაეკიდნენ ერთიმეორეს და ყველამ უწესრიგოდ დაიხია უკან. ქალაქთა დიდი ნაწილი, იმის ფიქრით, მტერი შიშის გამო დაიფანტა ასეო, პომპეუსის მხარეზე გადავიდა.

ახლა ერთსული სციპიონი[11] დაიძრა პომპეუსის წინააღმდეგ; მაგრამ სანამ ლაშქართა შორის ოროლების ტყორცნა ატყდებოდა, სციპიონის ჯარისკაცებმა პომპეუსის მეომრებს მისალმება დაუწყეს და მათ მხარეზე გადავიდნენ. სციპიონი გაიქცა. ბოლოს პომპეუსის ასალგამავად თვითონ კარბონმა წარგზავნა ცხენოსანთა მრავალი რაზმი მდინარე არსისთან. პომპეუსი მტერს მედგრად დაუხვდა, პირი აბრუნებინა, უკან გამოედევნა და ისეთ ოლროჩოლრო ადგილებში მიიმწყვდია, სადაც ცხენოსანთა მოქმედება შეუძლებელი იყო. კარბონის მხედრებმა რა დაინახეს, მდგომარეობა უიმედო იყო, თავ-თავიანთი იარაღითა და ცხენებით პომპეუსს დანებდნენ.

8. ამ ამბებზე სულამ ერთხანს არაფერი იცოდა; მაგრამ როგორც კი მიიღო პირველი ცნობები და ყური მოჰკრა ხმებს, თუ როგორ

იყო საქმე, შეეშინდა, არაფერი მოსვლოდა მტრის მრავალი გამოჩენილი სარდლით გარემოცულ პომპეუსს და მის დასახმარებლად გაეშურა.

როცა პომპეუსმა სულას მოახლოება გაიგო, თავის სარდლებს უბრძანა მხედრობა შეეიარაღებინათ და რიგზე დაეწყოთ, რათა ჯარი მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოჩენილიყო იმპერატორის წინაშე. პომპეუსს სულას მხრივ დიდი პატივის იმედი ჰქონდა. სინამდვილეში იმაზე მეტიც მიიღო, რასაც მოელოდა.

დაინახა თუ არა სულამ მის შესახვედრად მომავალი პომპეუსი და რჩეული ვაჟკაცებისაგან შემდგარი საგანგებოდ დარაზმული მხედრობა, რომელიც მიღწეული წარმატებების წყალობით აღფრთოვანებული და მხიარული ჩანდა, ცხენიდან ჩამოხდა. პომპეუსი მას წესისამებრ ვით იმპერატორს, ისე მიესალმა. სულამაც თავის მხრივ არ დააყოვნა სალამი და პომპეუსსაც იმპერატორი უწოდა. არავინ მოელოდა იმას, რომ სულა ასე ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ჯერ სენატში მონაწილეობა არ მიეღო, გაუზიარებდა იმ სახელს, რისთვისაც თვითონ სციპიონებსა და მარიუსებს ეომებოდა. შემდეგშიაც კი მასთან თავი ალერსიანად ეჭირა ისევე, როგორც პირველი შეხვედრის დროს; პომპეუსის მოახლოებისას იგი ფეხზე დგებოდა ხოლმე და თავიდან სახვევს იხსნიდა. არავის შეუმჩნევია, რომ სულას ეს ასე იოლად გაეკეთებინოს სხვის მიმართ, თუმცა მრავლად ეხვია გარს ფრიად ღირსეული ხალხი.

სულას მხრივ ასეთ პატივისცემას ოდნავადაც არ გაუამაყებია პომპეუსი. პირიქით, როცა სულამ განიზრახა სასწრაფოდ გაეგზავნა იგი გალიაში, სადაც მხედართმთავრობა ჩაბარებული ჰქონდა მეტელუსს, რომელიც, ეტყობოდა, ვერაფერს აკეთებდა იმ ძალების შესაფერს, მის განკარგულებაში რომ იმყოფებოდა, პომპეუსმა გინაცხადა: არა, არ იქნება ლამაზი სარდლობა წავართვა ჩემზე უფროსსა და გაცილებით მეტად სახელმოხვეჭილ კაცსო; ისე კი, თუ მეტელუსი მოისურვებს და მიბრძანებს, მზადა ვარ დავეხმარო ომის წარმოებაშიო!

მეტელუსმა პომპეუსის ეს წინადადება მიიღო და მისწერა ჩასულიყო მასთან. პომპეუსი მაშინვე გაემგზავრა გალიაში. აქ მან პირადად მრავალი ღირსშესანიშნავი საქმე ჩაიდინა და მეტელუსსაც სიბერის წყალობით ჩამქრალი მეომრის სიფიცხე და შემართება კვლავ

აღუგზნო და გაუღვივა. სწორედ ასე არბილებს და ადნობს, როგორც ამბობენ, ცეცხლზე გამდნარი გავარვარებული სპილენძი ცივ, გამაგრებულ ლითონსაო.

ვაქკაცთა შორის უპირველესის და ყველა დღესასწაულში სახელოვნად გამარჯვებული ათლეტის ყრმობისჟამინდელ წარმატებებს ჩვეულებრივ ყურადღებას არ აქცევენ და არც გამარჯვებათა სიებში შეაქვთ ხოლმე; პომპეუსის მაშინდელი საგმირო საქმენიც თავისთავად ფრიად ღირსშესანიშნავი გახლდათ, მაგრამ შემდეგ ხანებში მის მიერ წარმოებულმა დიდმა ბრძოლებმა და ომებმა დაჩრდილა ისინი. ამიტომაც შემეშინდა მე პომპეუსის ადრინდელ საქმეთა დაწვრილებითი გადმოცემით უყურადღებოდ არ დამეტოვებინა ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ამბები, რომელნიც უფრო მეტ ნათელს ჰფენენ ამ ვაჟკაცის ყველა ღვაწლსა და გამოვლილ განსაცდელს.

9. როცა სულამ დაიმორჩილა იტალია და დიქტატორად აღიარეს, თავისი ლეგატებისა და სარდლების დაჯილდოება დაიწყო. იგი მათ ამდიდრებდა, თანამდებობებზე აწინაურებდა და ყველას, ვისაც დახმარება სჭირდებოდა, გულუხვად და ხალისით ასაჩუქრებდა. რაც შეეხება პომპეუსს, სულა აღფრთოვანებული იყო მისი მამაცური ხასიათით და თავის საქმეთა დიდ ბურჯად თვლიდა; ამიტომ თავგამოდებით ცდილობდა რადაც არ უნდა დასჯდომოდა დაენათესავებინა. ამ საქმეში სულას თავისი რჩევით დახმარებას უწევდა მისი მეუღლე მეტელა. და აი, მათ შეაგონეს პომპეუსს განშორებოდა ანტისტიას და ეთხოვა სულას გერი, მეტელასა და სკავრუსის ასული ემილია, თუმცა ამას უკვე ჰყავდა ქმარი და ფეხმძიმედაც იყო.

ამ ქორწინებას მეტად ტირანული ელფერი დაჰკრავდა და სულას ბანას უფრო შეეფერებოდა, ვიდრე პომპეუსის ხასიათს.

სხვის მიერ დაფეხმძიმებული ემილია პომპეუსს მიჰგვარეს, ანტისტია კი სამარცხვინოდ და საცოდავად სახლიდან გამოაძევეს, მიუხედავად იმისა, რომ მას ქმრის წყალობით სულ ახლახან ჰყავდა დაკარგული მამა. ანტისტიუსი მართლაც მოკლეს სენატში, ვინაიდან ეგონათ, რაღაი პომპეუსთან იყო დაახლოებული, იგი სულას ემხროდა. ანტისტიას დედამ ამ უბედურებათ ვერ გაუძლო და საკუთარი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე. ეს სამწუხარო შემთხვევა პომპეუსისა და ემილიას ტრაგიკულ ქორწინებაში უკანასკნელი არ ყოფი-

ლა; ვფიცავ ზევსს, რომ სულ მალე პომპეუსის სახლში მშობიარობის ჟამს გარდაიცვალა ემილიაც[12].

10. სწორედ ამ დროს ამბავი მოიტანეს: პერპენა[13] ფეხს იკიდებს სიცილიაში და ამ კუნძულს მარიუსის პარტიის ნაშთებს თავშესაფრად აძლევსო; კარბონიც თავისი ფლოტით აქ იმყოფება, ხოლო დომიციუსი[14] ლიბიას მიადგა, სხვა მრავალი წარჩინებული ლტოლვილიც, ვინც კი პროსკრიპციებს გადაურჩა, აქვე იკრიბებაო.

პერპენას, კარბონისა და დომიციუსის წინააღმდეგ გაგზავნეს პომპეუსი საკმაოდ დიდი ლაშქრით. პერპენამ მას მყისვე დაუცალა სიცილია.

სიცილიის აოხრებულ ქალაქებს პომპეუსი დიდი ყურადღებით მოეკიდა. იგი კაცთმოყვარული სათნოებით ეპყრობოდა ყველას, მესენას[15] მკვიდრ მამერტინთა გარდა. მამერტინები პომპეუსის მართლმსაჯულებას არ სცნობდნენ და იმიზეზებდნენ რომაელთა ძველ კანონს, რომლის თანახმად ისინი სხვის სამართალს არ უნდა დაქვემდებარებოდნენ; „რომელ კანონებზე გველაპარაკებით იმ ხალხს, — უთხრა მათ პომპეუსმა, — ვისაც წელზე მახვილი გვარტყიაო?"

არაადამიანური დაცინვა იყო პომპეუსის მოქცევაც ბედუკეთ-მართ კარბონისადმი. თუკი დაკისრებული ჰქონდა კარბონის მოკვლა, რაც შესაძლოა ასეც იყო, მაშინ პომპეუსს ეს საქმე მისი შეპყრობისთანავე უნდა შეესრულებინა და პასუხისმგებლობაც იმას დააწვებოდა, ვინაც ასეთი ბრძანება გასცა[16]. მაგრამ პომპეუსმა სამგზის კონსულად ნამყოფი რომაელი ვაჟკაცი ბორკილგაყრილი მოაყვანინა და აიძულა მისი საგარძლის წინ მდგარიყო. თვითონ კი იჯდა და ისე აწარმოებდა დაკითხვას. ამ ამბავმა დამსწრეთა შორის დიდი შეშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. ბოლოს, პომპეუსმა ბრძანება გასცა კარბონი გაეყვანათ და მოეკლათ.

ამბობენ, როცა დასჯის ადგილზე მიყვანილმა კარბონმა უკვე ამოწვდილი მახვილი დაინახა, ითხოვა მიეცათ მისთვის ადგილი და მცირეოდენი დრო, რათა მუცელი გაეთავისუფლებინა.

კეისრის მეგობარი, გაიუს ოპიუსი გადმოგვცემს: პომპეუსი ასევე შეუბრალებლად მოექცა კვინტუს ვალერიუსსაც; მან იცოდა, ვალერიუსი მეცნიერი და ყოველგვარ წვრილმანში ჩახედული კაცი იყოო, როცა იგი მასთან შეპყრობილი მიიყვანეს, მოჰკიდა ხელი, გა-

ისეირნა მასთან ერთად, გამოჰკითხა და გაიგო, რაც სჭირდებოდა, და მერმე ხელქვეითებს უბრძანა წაეყვანათ და მყისვე მოეკლათ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ოპიუსს ჩვენ მეტისმეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, როცა იგი კეისრის მტრებსა თუ მეგობრებზე ლაპარაკობს. პომპეუსი იძულებული იყო დაესაჯა სულას ყველაზე უფრო დიდგვაროვანი და აშკარა მტრები, რომლებიც კი შეიპყრეს. დანარჩენ ლტოლვილებს, რამდენადაც შეეძლო, თვალს არიდებდა, ხოლო ზოგიერთებს თვითონ ეხმარებოდა გაქცევაში.

პომპეუსს გადაწყვეტილი ჰქონდა დაესაჯა ქალაქი ჰიმერა, რომელიც მტერს უჭერდა მხარს. დემაგოგმა სთენისმა პომპეუსს სიტყვის უფლება სთხოვა და თქვა: პომპეუსი არ მოიქცევა სამართლიანად, თუ დამნაშავეს გაუშვებს და უდანაშაულო ხალხს დასჯისო. პომპეუსმა ჰკითხა: ვის გულისხმობ დამნაშავედო? — ვისა და ჩემს თავსო, — უპასუხა სთენისმა, — მე სიტყვით დავითანხმე მოქალაქეთა შორის ჩემი მეგობრები ასეთ საქმეზე, მტრები კი ძალით დავიყოლიეო.

სთენისის ასეთმა ვაჟკაცურმა მოქცევამ და დიდსულოვნებამ ფრიად გააოცა პომპეუსი. მან ჯერ სთენისს აპატია დანაშაული, მერმე კი ყველა დანარჩენს.

აქ პომპეუსმა გაიგო, რომ მისი ჯარისკაცები ლაშქრობის დროს უწესოდ იქცეოდნენ. ამ მეომართა მახვილს მან ბეჭედი დაასვა და სასტიკად სჯიდა მას, ვინც ანაბეჭდს არ შეინახავდა.

11. ასეთ საქმეთა გამგებლობით იყო გართული პომპეუსი სიცილიაში, როცა სენატის დადგენილება და სულას წერილობითი ბრძანება მიიღო. მას ავალებდნენ გადასულიყო ლიბიაში და მთელი ძალებით შებრძოლებოდა დომიციუსს. დომიციუსს შეკრებილი ჰყავდა მეტად მრავალრიცხოვანი ლაშქარი, იმაზე მეტი, ვინემ მარიუსს, რომელიც სულ მცირე ხნის წინ ლიბიიდან იტალიაში გადავიდა, ლტოლვილიდან ტირანად იქცა და რომის სახელმწიფოს დაეპატრონა.

პომპეუსმა ყველაფერი სწრაფად მოამზადა, სიცილიის მმართველად თავისი დის ქმარი მემიუსი დატოვა, თვითონ კი ას ოცი საბრძოლო და რვაასი საბარგო ხომალდით, რომელთაც თან სურსათი, იარაღი, ფული და საალყო მანქანები მიჰქონდა, ზღვაში გავიდა.

ის-ის იყო იგი ხომალდებით უტიკასა და კართაგენს[17] მიადგა, რომ მის მხარეზე მტრის შვიდი ათასი მეომარი გადავიდა. საკუთრივ მას ლიბიაში ექვსი სრული ლეგიონი მიჰყავდა.

ამბობენ, პომპეუსს აქ ერთი სასაცილო ამბავი შეემთხვაო. მისი რომელიღაცა ჯარისკაცები უცბად თურმე განძს წააწყდნენ და დიდი ქონება იშოვეს. გამოაშკარავდა თუ არა ეს ამბავი, დანარჩენმა მეომრებმა იფიქრეს: ეს ადგილი ალბათ კართაგენელების მიერ უბედურებათა ჟამს ჩამარხული განძეულობით არის სავსეო. ასე რომ პომპეუსმა კარგა ხანს ვეღარ შეძლო თავის ჯარისკაცთა მომსახურეობით ესარგებლა. ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში განძთა ძიებით იყვნენ გართულნი. პომპეუსი სიცილით მიმოდიოდა მეომრებში და უყურებდა, თუ როგორ თხრიდა და აბრუნებდა ერთდროულად მიწას ათიათასობით კაცი. ბოლოს და ბოლოს დაქანცულმა და იმედგაცრუებულმა განძის მაძიებლებმა პომპეუსს მიმართეს: სადაც გინდა წაგვიყვანე, ჩვენ ჩვენი სიბრიყვისათვის საკმაო სასჯელი მივიღეთო.

12. დომიციუსს თავისი მხედრობა საბრძოლოდ ჰყავდა დაწყობილი ძნელად გადასავალ ხრამის გადაღმა. გარიჟრაჟზე კოკისპირული წვიმა მოვიდა და საშინელი ქარი ამოვარდა. ამის გამო იმ დღეს დომიციუსმა ბრძოლაზე ხელი აიღო და ბრძანება გასცა უკან დახეულიყვნენ. პომპეუსმა მარჯვე შემთხვევით ისარგებლა, სწრაფად წავიდა წინ და ხრამზე გადავიდა. შეშფოთებულმა მტერმა დაქსაქსულად და უწესრიგოდ დაიწყო თავდაცვა. თანაც ქარმა მიმართულება შეიცვალა; წვიმა დომიციუსის მეომრებს პირდაპირ სახეში სცემდა. ქარიშხალი ხელს უშლიდა რომაელებსაც. ისინი ერთმანეთს კარგად ვეღარ ხედავდნენ. თვით პომპეუსიც კი ჩავარდა განსაცდელში იმით, რომ ვერ იცნეს. ერთი მეომრის შეკითხვაზე პირობითი ნიშნის მიცემა ოდნავ დაგვიანა და კინაღამ მოკლეს. ასე იყო თუ ისე, რომაელებმა მოწინააღმდეგე უკუაქციეს დიდი ზარალით (ამბობენ, მტრის ოცი ათასი მეომრიდან მხოლოდ სამი ათასიღა გადარჩაო) და პომპეუსი იმპერატორად აღიარეს. პომპეუსმა მათ უთხრა: მე ამ პატივს არ მივიღებ, სანამ მტრის ბანაკი თავის ადგილზე იქნება; თუ თქვენ იმპერატორის სახელის ღირსად მცნობთ, ჯერ მტრის ბანაკი უნდა აიღოთო[18]. რომაელები მყისვე დაიძრნენ დომიციუსის ბანაკისაკენ. პომპეუსი აქ უმუზარადოდ იბრძოდა, რამეთუ თავი კვლავ განსაც-

დელში არ ჩაეგდო. ბოლოს ბანაკი აიღეს და დომიციუსიც მოკლეს.

ზოგიერთი ქალაქი მაშინვე დანებდა რომაელებს, ზოგი კი იერიშით აიღეს. პომპეუსმა ტყვედ ჩაიგდო აქ დომიციუსის მოკავშირე მეფე იარფა და მისი სამეფო იამფსას გადასცა[19].

ბედისა და მხედრობის მამაცობის იმედით პომპეუსი ნუმიდიაში შეიჭრა. მრავალი დღე დაჰყო მან გზაში და დიდი მანძილიც განვლო ამ ქვეყანაში, იმორჩილებდა ყველაფერს, რაც კი წინ ხვდებოდა. მან კვლავ დაუბრუნა ძველი ძალა და მრისხანება რომაელთა წინაშე ბარბაროსთა მიმჭრალ შიშს და თქვა, ლიბიის მკვიდრი ნადირიც კი არ უნდა დარჩეს ისეთი, რომაელთა ძალასა და მამაცობას არ სცნობდესო. სწორედ ამის გამო რამდენიმე დღე პომპეუსმა ლომებსა და სპილოებზე ნადირობაში გაატარა.

როგორც ამბობენ, მან სულ რაღაც ორმოცი დღის მანძილზე დაამარცხა მტერი, დაიპყრო ლიბია და აქაურ მეფეთა საქმენი მოაწესრიგა. იგი მაშინ თავისი ცხოვრების მხოლოდ ოცდამეოთხე წელიწადში იყო გადამდგარი[20].

13. დაბრუნდა თუ არა უტიკაში, პომპეუსს სულას წერილი მიართვეს. სულა ბრძანებას აძლევდა მთელი თავისი ლაშქარი დაეშალა და თვითონ მხოლოდ ერთი ლეგიონით მის შემცვლელ სარდალს დალოდებოდა. პომპეუსი ამ ამბავს დიდი უკმაყოფილებით შეხვდა, მაგრამ წყენას ოდნავადაც არ ამჟღავნებდა და დარდს ჩუმად იკლავდა გულში. რაც შეეხება მხედრობას, იგი თავის რისხვას არ მალავდა. როცა პომპეუსმა მეომრებს სთხოვა დაშლილიყვნენ და წასულიყვნენ, მათ სულას ლანძღვა-გინება დაუწყეს, პომპეუსს კი უთხრეს: შენ არავითარ შემთხვევაში არ მიგატოვებთ და გირჩევთ, ტირანს ნუ მიენდობიო.

პომპეუსი პირველად ბევრი ეცადა ტკბილი სიტყვით დაეშოშმინებინა და დაეჯერებინა მეომრები, მაგრამ რაკი ვერაფერს გახდა, ტრიბუნიდან ჩამოვიდა და ცრემლმორეული თავის კარვისკენ გაემართა. ჯარისკაცებმა იგი უკან დააბრუნეს და ისევ ტრიბუნაზე შეაყენეს. მთელი ის დღე თითქმის იმაში დაიხარჯა, რომ მეომრები პომპეუსს ემუდარებოდნენ მათთან დარჩენილიყო და ეწინამძღოლა, იგი კი თავის მხრივ ეხვეწებოდა შფოთისათვის თავი დაენებებინათ. ბოლოს, რაკილა მეომრები ყვირილით კვლავ თავისას მოითხოვდნენ, პომპეუსმა დაიფიცა, რომ საკუთარი ხელით მოიკლავდა თავს, თუ

ძალადობას არ შესწყვეტდნენ. როგორც იქნა, ამ ხერხმა გასჭრა და ჯარისკაცები დამშვიდდნენ.

მიუხედავად ასეთი მორჩილებისა, სულას პირველად მაინც ისეთი ცნობა მიუვიდა, სადაც ნათქვამი იყო, პომპეუსი სამტროდ გადაგიდგაო. მაშინ სულამ თავის მეგობრებს ასე უთხრა თურმე: როგორც ჩანს, ჩემი ბედი ყოფილა ამ სიბერეში ლაწირაკებთან შებმაო. მართლაც, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მარიუსმა შეუქმნა მას ფრიად მრავალი დაბრკოლება და უკიდურეს განსაცდელამდეც კი მიიყვანა.

როცა სულამ სიმართლე გაიგო და დაინახა, რომაელები ყველანი მზად იყვნენ სიყვარულით მიეღოთ პომპეუსი და მხარი დაემშვენებინათ მისთვის, მანაც გამოიდო თავი და სცადა ყველაზე დიდი პატივისმცემელი პომპეუსისა თვითონ ყოფილიყო. იგი ქალაქგარეთ შეეგება მას, როგორც კი შეეძლო, გულთბილად მიესალმა, ხმამაღლა მაგნუსი[21] დაუძახა და იქ მყოფთაც უბრძანა, ამიერიდან ასე მიემართათ ხოლმე პომპეუსისათვის. სხვები კი ამბობენ, ეს წოდება ჯერ კიდევ ლიბიაში მიენიჭა პომპეუსს მთელი მხედრობის ერთსულოვანი შეძახილითო, ხოლო ძალა და უფლებამოსილება ამ საპატიო სახელისა მერმე სულას წყალობით განმტკიცდაო. რაც შეეხება პომპეუსს, მან ყველაზე ბოლოს უწოდა თავის თავს ეს სახელი. მართლაც, საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, როცა იგი სერტორიუსის წინააღმდეგ ესპანეთში მიავლინეს, თავის წერილებსა და ბრძანებებს მაშინღა დაუწყო ხელმოწერა პომპეუს დიდის სახელით, ვინაიდან მის ამ წოდებას ისე მიეჩვივნენ, რომ იგი უკვე შურს აღარ იწვევდა. აი სწორედ ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, თუ კაცი აღტაცებული და განცვიფრებულია ძველი რომაელებით. ისინი ასეთი საპატიო წოდებებითა და სახელებით ამკობდნენ არა მარტო საომარ საქმეებში გამარჯვებულთ, არამედ სახელმწიფო საქმეთა მართვაში დამსახურებულ და სიქველით გამორჩეულ პირებსაც. ასე, მაგალითად, რომაელმა ხალხმა ორ ვაჟკაცს თავის დროზე მ ა ქ ს ი მ უ ს ი უწოდა, რაიც უდიდესს ნიშნავს. ერთი მათგანი იყო ვალერიუსი, რომელსაც ეს წოდება მიენიჭა იმიტომ, რომ სენატი და ხალხი ერთმანეთს შეარიგა; მეორე იყო ფაბიუს რულუსი[22]; ამან მაქსიმუსის სახელი იმით დაიმსახურა, რომ გააზატებულ პირთა ზოგიერთი შვილი, რომლებიც სიმდიდრის წყალობით სენატში შეძვრნენ, იქიდან განდევნა.

14. მალე ამის შემდეგ პომპეუსმა ტრიუმფი მოითხოვა. სულა უარს ამბობდა: ამის უფლებას კანონი კონსულს ან პრეტორს აძლევს მხოლოდ და სხვას არავისო; დიდი და ძლევამოსილი ბრძოლების შემდეგ ესპანეთში კართაგენელებზე გამარჯვებულ სციპიონ უფროსსაც კი არ მოუთხოვია ტრიუმფი სწორედ იმიტომ, რომ იგი არც კონსული იყო და არც პრეტორიო; თუ ჯერ კიდევ უწვერულვაშო პომპეუსი, რომელიც თავისი ასაკის გამო სენატის წევრი არ არის[23], ქალაქში ტრიუმფით შემოვიდა, ეს საყოველთაო ზიზღს გამოიწვევს, როგორც ჩემი მმართველობის, ისე პომპეუსის მიმართაც.

ამ სიტყვებით სულა პომპეუსს იმას ეუბნებოდა, რომ ტრიუმფის უფლებას არ მისცემდა, ხოლო თუ გაჯიუტდებოდა, წინააღუდგებოდა და მის პატივმოყვარეობას ლაგამს ამოსდებდა. პომპეუსი არ შემდრკალა. მან სულას რჩევა მისცა შეეგნო, რომ ამომავალ მზეს უფრო მეტი ხალხი სცემს თაყვანს, ვიდრე ჩამავალს. ამით პომპეუსი სულას ამცნობდა: ჩემი ძალა იზრდება, შენი კი მცირდება და ქრებაო. ეს სიტყვები სულამ კარგად ვერ გაიგონა, მაგრამ რა დაინახა, ამის გამგონთ სახეზე და მოძრაობაშიც განცვიფრება გამოეხატათ, იკითხა: რაო, რა თქვა მაგანო? როცა ნათქვამი შეიტყო, პომპეუსის გამბედაობით გაოცდა და ორჯერ ზედიზედ დაიძახა: დაე, გადაიხადოს ტრიუმფიო!

ბევრი იყვნენ ისეთები, რომელნიც ამის გამო თავის უკმაყოფილებასა და გულისწყრომას ამჟღავნებდნენ. პომპეუსს, როგორც ამბობენ, უნდოდა კიდევ უფრო მეტად გაეღიზიანებინა ისინი და გადაწყვიტა ქალაქში შესულიყო ეტლით, რომელშიც ოთხი სპილო იქნებოდა შებმული (მან, სხვათა შორის, ლიბიიდან ჩამოიყვანა მრავალი სპილო, რომლებიც იქაურ მეფეებს წაართვა); მაგრამ რაკიღა კარიბჭე მეტისმეტად ვიწრო აღმოჩნდა, პომპეუსმა თავის განზრახვაზე ხელი აიღო და ქალაქში ცხენებით შევიდა. მისმა ჯარისკაცებმა, ვინაიდან ვერ მიიღეს იმდენი ჯილდო, რამდენსაც მოელოდნენ, გადაწყვიტეს შფოთი და აურზაური აეტეხათ. ეგ ამბავი სრულებითაც არ მაწუხებს, — განაცხადა პომპეუსმა. — მირჩევნია ტრიუმფზე ავიღო ხელი, ვიდრე ჯარისკაცებს ლაქუცი დავუწყოო. მაშინ თვით სერვილიუსმა, ფრიად წარჩინებულმა კაცმა, რომელიც ყველაზე უფრო მეტად იყო პომპეუსის ტრიუმფის წინააღმდეგი, თქვა: აი, ახ-

ლა კი ვხედავ, პომპეუსი რომ ჭეშმარიტად დიდი და მართლა ტრიუმფის ღირსი კაცი გახლავთო.

საკვირველია, პომპეუსი, თუკი მოინდომებდა, სულ ადვილად მიიღებდა მაშინ სენატორის წოდებას. მაგრამ, როგორც ამბობენ, ის ამას არ ცდილობდა; მას სურდა სახელი და დიდება რაღაც არაჩვეულებრივი გზით მოეპოვებინა. სრულებითაც არ იქნებოდა საკვირველი, პომპეუსი რომ დადგენილი ასაკის მიღწევამდე სენატორი გამხდარიყო. მაგრამ ყველაზე უფრო ბრწყინვალე პატივი მისთვის სწორედ ის გახლდათ, რომ ტრიუმფს სენატში მონაწილეობის გარეშე იხდიდა. ამ ამბავმა მცირე დახმარება როდი გაუწია ხალხის გული მოეგო. რომაელი ხალხი აღტაცებული იყო იმით, რომ ტრიუმფის შემდეგ პომპეუსი მხედართა რიგებში დარჩა[24].

15. სულა ხედავდა, თუ რა დიდ სახელსა და ძლიერებას აღწევდა პომპეუსი და საკმაოდაც წუხდა, მაგრამ რცხვენოდა ხელი შეეშალა მისთვის და თავს იკავებდა. ერთხელ პომპეუსი სულას სურვილის წინააღმდეგ არჩევნებში დაეხმარა ლეპიდუსს; მან იგი კონსულად წამოაყენა და სასურველი მიზნის მისაღწევად თავისი გავლენით რომაელი ხალხის კეთილგანწყობილება მოუპოვა. როცა სულამ არჩევნების შემდეგ ფორუმიდან მომავალი, ამალით გარშემორტყმული პომპეუსი დაინახა, უთხრა: „ყმაწვილო, ვხედავ, ხარობ გამარჯვებით, თუმცა განა კეთილშობილი და დიდებული საქმე არაა შენი მხრივ ხალხის ისე განწყობა, რომ შესანიშნავი ვაჟკაცის კატულუსის უწინარეს კონსულად არამზადაზე არამზადა ლეპიდუსი აარჩევინე?[25] მაგრამ იცოდე, ფხიზლად იყავი; შენ ისეთი მტერი გაუჩინე საკუთარ თავს, რომელიც შენზე უფრო ძლიერიაო!“

თავის გულისწყრომა პომპეუსის მიმართ სულამ ყველაზე მეტად მაინც საკუთარი ხელით დაწერილ ანდერძში გამოამჟღავნა. მან თითქმის ყველა თავის მეგობარს საჩუქარი დაუტოვა და ზოგიერთი მათგანი შვილის მეურვედაც კი დანიშნა, პომპეუსს კი სრულიად აუარა გვერდი. პომპეუსმა ეს ამბავი ფრიად აუღელვებლად, სახელმწიფო მოღვაწისათვის დამახასიათებელი სიმშვიდით გადაიტანა. ის კი არა, როცა ლეპიდუსი და ზოგიერთი სხვაც წინააღუდგნენ სულას ცხედრის დაფლვას მარსის ველზე და საერთოდ მის საზეიმო დაკრძალვას, პომპეუსმა თავი გამოიდო და ისე მოაგვარა საქმე, რომ სუ-

ლას გვამი ყოველგვარ შეურაცხყოფას აარიდა და შესაფერი პატივით მიაბარა მიწას.

16. მოკვდა თუ არა სულა, მისი წინასწარმეტყველება მაშინვე ახდა. ლეპიდუსმა ყოველგვარი ფარული ხრიკების გარეშე დაიწყო ცდა სულას ძალაუფლების ხელთ ჩასაგდებად. მან მყისვე აისხა იარაღი, მარიუსის კარგა ხნის წინათ დაუძლურებული პარტიის ნაშთები, სულას რომ გადაურჩა, შეკრიბა და თავის გარშემო შემოიმტკიცა. სენატისა და ხალხის უმწიკვლო, ჯანსაღი ნაწილი იმედს ლეპიდუსის თანაკონსულ კატულუსზე ამყარებდა. კატულუსი კეთილგონივრულობისა და სამართლიანობის წყალობით იმდენად სახელმოხვეჭილი პირი იყო მაშინ, რომ ყველა რომაელისაგან გამოირჩეოდა; მაგრამ, როგორც ჩანს, იგი პოლიტიკურ მეთაურად უფრო იყო გამოსადეგი, ვიდრე საომარ საქმეთა გამგებლად. ასე რომ ამბავთა მსვლელობა წინამძღოლად პომპეუსს მოითხოვდა. პომპეუსს დიდხანს არ დასჭირვებია ყოყმანი, თუ ვის მხარეზე დამდგარიყო. იგი მყისვე მიემხრო წარჩინებულთა ფენას და დაინიშნა ლეპიდუსის წინააღმდეგ მიმართულ ლაშქრის სარდლად. ლეპიდუსს ამ დროს იტალიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ფეხზე ჰყავდა უკვე დაყენებული და ბრუტუსის[26] მხედრობის დახმარებით დაკავებული ჰქონდა ალპებს ამიერ გალიაც.

სადაც კი მივიდა პომპეუსი, ყველგან უმალ გატეხა მტრის წინააღმდეგობა, მაგრამ საკმაოდ დიდხანს მოუხდა შეჩერება გალიის ქალაქ მუტინასთან, სადაც ბრუტუსი იდგა.

სწორედ ამ დროს რომისაკენ გაეშურა ლეპიდუსი და ქალაქის კედლებთან დაბანაკდა. იგი ქალაქში მყოფ რომაელებს თავისი უზარმაზარი მხედრობით აშინებდა და ხელმეორედ კონსულობას მოითხოვდა.

ამ შიშისაგან ხალხი იხსნა პომპეუსის მიერ გამოგზავნილმა წერილმა. იგი იტყობინებოდა: ბრძოლის გარეშე დავამთავრე ომიო. მართლაც, ბრუტუსმა ან თვითონ ჩააბარა პომპეუსს თავისი ლაშქარი, ან ჯარმა უღალატა და გასცა წინამძღოლი. ასე იყო თუ ისე, ბრუტუსი პომპეუსს დანებდა. ამის შემდეგ იგი რამდენიმე ცხენოსნის თანხლებით პადუსის ნაპირად მდებარე პატარა ქალაქში ჩავიდა. ერთი დღის შემდეგ პომპეუსმა ამ ქალაქში გაგზავნა გემინიუსი და ბრუტუსი მოაკვლევინა. ასეთი საქციელის გამო ფრიად მრავალი სა-

ყვედური მიიღო. ჯერ, როცა მტრის მხედრობა მის მხარეზე გადავიდა, პომპეუსმა სენატს მაშინვე მისწერა, ბრუტუსი თავისი ნებით დამემორჩილაო. მცირე ხნის შემდეგ სენატისადმი გაგზავნილ წერილებში კი ბრალს სდებდა ურჩობაში მის მიერ მოკლულ კაცს.

აი ამ ბრუტუსის შვილი იყო ის ბრუტუსი, რომელმაც კასიუსთან ერთად კეისარი მოკლა. იგი არც თავისი საომარი საქმეებით და არც თავისი სიკვდილით ჰგავდა მამას, როგორც ეს უკვე ნათელვყავით მის ცხოვრების აღწერაში[27].

იტალიიდან უკუგდებულმა ლეპიდუსმა თავი სარდინიას შეაფარა. მაგრამ სულ მალე ავად გახდა და დარდისაგან მოკვდა. მისი დარდის მიზეზი საქმის წაგება როდი იყო, როგორც ზოგიერთი ამბობს, არამედ ის, რომ შემთხვევით წააწყდა ერთ პატარა ბარათს, საიდანაც ცოლის მრუშობის ამბავი შეიტყო.

17. მხედართმთავარ სერტორიუსს, რომელიც არაფრით არ ჰგავდა ლეპიდუსს, იმხანად დამორჩილებული ჰყავდა ესპანეთი და რომაელებს შიშის ზარს სცემდა. თითქოს უკანასკნელი კერაიო, მასთან მოეყარა თავი სამოქალაქო ომებით გამოწვეულ სნებათაგან დარჩენილ ნაშთებს. სერტორიუსს უკვე მოესწრო მრავალი უნიჭო სარდლის განადგურება და ახლა ბრძოლას ეწეოდა ბრწყინვალე და სახელმოხვეჭილ მეომარ მეტელუს პიუსის წინააღმდეგ. ეს მეტელუსი, როგორც ჩანდა, სიბერის გამო ფრიად ზანტად იყენებდა იმ ხელსაყრელ შემთხვევებს, რომელსაც ომი აძლევდა, და ამიტომ უპირატესობა საქმეთა მსვლელობაში თავისი მოქნილობისა და სწრაფი მოქმედების წყალობით სერტორიუსს რჩებოდა. იგი უტიფრად, ყაჩაღურად ესხმოდა თავს მეტელუსს და საფრიდან გამოხდომებითა და თარეშებით მოსვენებას არ აძლევდა ამ კაცს, რომელიც ნაჩვევი იყო ომების წესისა და რიგის მიხედვით წარმოებასა და რომელიც მძიმედ შეიარაღებულ, დინჯად მომქმედ მხედრობას წინამძღოლობდა.

ამიტომაც პომპეუსი, რომელსაც ჯარი თავის განკარგულებაში ჰყავდა, ყოველნაირად ცდილობდა მეტელუსის დამხმარედ გაეგზავნათ. მიუხედავად კატულუსის ბრძანებისა, მან მხედრობა არ დაშალა; პირიქით, განუწყვეტლივ იგონებდა სხვადასხვა საბაბს და იარაღასხმული ქალაქის გარშემო იდგა, სანამ ლუციუს ფილიპეს წინა-

დადებით სერტორიუსის წინააღმდეგ გამართულ ომში უფროსობა არ უბოძეს. როგორც ამბობენ, მაშინ გაკვირვებით იკითხა ვიღაცამ თურმე სენატში: „ნუთუ აუცილებელ პირობად მიაჩნია ფილიპეს პომპეუსი პროკონსულად იქნეს გაგზავნილი ესპანეთში?“ პროკონსულად კი არა, კონსულების შემცველადო, — უპასუხა მას ფილიპემ, რომელიც ამ სიტყვებით იმას გულისხმობდა, რომ დღევანდელ კონსულთაგან არც ერთს არა აქვს ფასიო[28].

18. ჩავიდა თუ არა პომპეუსი ესპანეთში, როგორც ეს ახალი სახელოვანი სარდლის დანიშვნისას ხდება ხოლმე ჩვეულებრივ, ხალხი იმედებით აღავსო. ის ტომები, რომლებიც სერტორიუსს მთლიანად არ უჭერდნენ მხარს, ამოძრავდნენ და პირი პომპეუსისაკენ იბრუნეს. სერტორიუსი აბუჩად იხსენიებდა პომპეუსს და მასხრობით ამბობდა: „ჯოხითა და მათრახით გავუსწორდებოდი ამ ლაწირაკს, იმ ბებრუხანასი არ მეშინოდესო!“ „ბებრუხანაში“ სერტორიუსი მეტელუსს გულისხმობდა.

ასეთი ქედმაღლობის მიუხედავად, სერტორიუსი საქმით ფრიად ფრთხილად იქცეოდა; მას ეშინოდა პომპეუსისა და საომარ მოქმედებებს დიდი წინდახედულობით ხელმძღვანელობდა.

რაც შეეხება მეტელუსს, წინააღმდეგ ყოველგვარი მოლოდინისა, იგი ნებიერსა და განცხრომით ცხოვრებას მიეცა. ამ კაცში უეცარი და დიდი გარდატეხა მოხდა, იგი ამპარტავანი გახდა და ფუფუნებისაკენ მიისწრაფოდა. ამ გარემოებამ უკვე მოხვეჭილ სახელთან ერთად უფრო მეტი პატივი მოუპოვა პომპეუსს. პომპეუსი მუდამ ცდილობდა უბრალოდ და სადად ეცხოვრა. ამ მხრივ თავის შეკავება სრულიადაც არ სჭირდებოდა: იგი ბუნებით მოკრძალებული კაცი იყო და ქვენა ვნებებს როდი ჰყვებოდა.

სერტორიუსთან ომი მეტად ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. ყველაზე დიდი წყენა პომპეუსს სერტორიუსის მიერ ლავრონის აღებამ მიაყენა. მისი ფიქრით, მას ალყა ჰქონდა შემორტყმული სერტორიუსისათვის და კიდევაც იკვეხნიდა ამას; მაგრამ ანაზდეულად თვითონ აღმოჩნდა გარემოცული. ამის გამო ადგილიდან დაძვრა ველარ გაბედა და მოწმესავით უყურებდა, თუ როგორ იფერფლებოდა მის თვალწინ ქალაქი. თუმცაღა მაინც მოახერხა გაენადგურებინა გამოჩენილი მხედართმთავრები — ჰერენიუსი და პერპენა, რომლებიც სერტორიუსის მხარეზე გადავიდნენ და მის სარდლებად

ითვლებოდნენ. პომპეუსმა ისინი ვალენტიასთან დაამარცხა და ათი ათასზე მეტი კაცი მოუკლა[29].

19. ამ წარმატებით გამხნევებული პომპეუსი მეტად გადიდგულდა. ჰოდა, რაც შეიძლება სწრაფად დაიძრა თვითონ სერტორიუსის წინააღმდეგ, რათა მეტელუსს გამარჯვებაში წილი არა ჰრგებოდა.

დღე უკვე მიწურული იყო, როცა ორი მხედრობა ერთმანეთს ეკვეთა მდინარე სუკრონთან. მეტელუსის მოსვლის ორივე მხარეს ეშინოდა: პომპეუსს იმიტომ, რომ სურდა მარტოდმარტო ებრძოლა, სერტორიუსს კი უნდოდა მხოლოდ ერთს გასწორებოდა. შეტაკების დასრულებამ ბრძოლის ბედი საბოლოოდ ვერ გადაწყვიტა. საქმე ის იყო, რომ ორივე მეომარი მხრიდან თითო-თითო ფრთამ ერთიმეორეზე გაიმარჯვა. მხედართმთავართაგან კი უპირატესობა მაინც სერტორიუსმა მოიპოვა. მან განდევნა მის წინააღმდეგ განლაგებული მტრის მეომრები.

ცხენზე ამხედრებულ პომპეუსს თავს დაესხა მტრის ერთი გოლიათური აღნაგობის ქვეითი მეომარი. ისინი ერთმანეთს ეკვეთნენ, ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ და ერთმანეთს ხელებზე მახვილები დასცხეს, მაგრამ სხვადასხვაგვარი ძალით; პომპეუსი დაიჭრა მხოლოდ; სამაგიეროდ თავდამსხმელს ხელი მოჰკვეთა. რომაელებმა უკან დახევა უკვე დაიწყეს, როცა პომპეუსისაკენ მტრის მრავალი მეომარი გამოექანა. წინააღმდეგ ყოველგვარი მოლოდინისა იგი საფრთხეს გაექცა, ოღონდ ოქროთი დარახტული და ძვირფასი აკაზმულობით მორთული ცხენი მტერს შეატოვა. სერტორიუსის ჯარისკაცები ნადავლის გაყოფას შეუდგნენ, ერთმანეთს დაერივნენ და ამით პომპეუსს გაქცევის საშუალება მისცეს.

გარიერაუზე ორივე მხედართმთავარმა საბოლოო გამარჯვების მისაღწევად ჯარი კვლავ საბრძოლოდ დააწყო. მაგრამ ამ დროს მოახლოვდა მეტელუსი და სერტორიუსმა დაფანტული მხედრობით უკან დაიხია. მაგრამ მისი მხედრობა ისე იყო მიჩვეული გაფანტვასა და მერმე ისევ სწრაფად დაწყობას, რომ სერტორიუსი ხან მარტო დახეტიალობდა, ხან კი უეცრად მოვარდნილი ნიაღვარივით კვლავ ას ორმოცდაათი ათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქრის თავში გამოჩნდებოდა.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ პომპეუსი მეტელუსის შესახვედრად გაეშურა. როცა მიუახლოვდა, თავის ლიქტორებს ბრძანება მის-

ცა წკეპლის კონები დაეხარათ, რათა ამით თაყვანი ეცა მასზე უფრო გამოჩენილი კაცისათვის. მეტელუსი, მიუხედავად იმისა, რომ კონსულად ნამყოფი პირი და უფროსი კაცი იყო, განსაკუთრებულ ღირსებას როდი იჩემებდა და ამ პატივსაც წინ აღუდგა. მას პომპეუსთან თავი სხვა შემთხვევაშიაც მეგობრულად ეჭირა. ერთადერთი უპირატესობა, რითაც იგი სარგებლობდა, მხოლოდ ის იყო, როცა ორივე მხედრობა შემთხვევით ერთად დაბანაკდებოდა, სამხედრო ნიშანს მთელ ლაშქარს მისი მხარე აძლევდა. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მეტელუსი და პომპეუსი ცალ-ცალკე ბანაკდებოდნენ. ვერაგი მტერი, რომელიც დახელოვნებული იყო სხვადასხვა ადგილას ანაზდეულ გამოჩენასა და ბრძოლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანაში, მოწინააღმდეგე მხედართმთავართა ლაშქარს შუაზე კვეთდა და ერთმანეთს აშორებდა.

ბოლოს და ბოლოს სერტორიუსმა, როცა მტერს სურსათის მისაზიდი გზა გადაუკრა, იქაური მხარე ააოხრა და ზღვაზე მბრძანებლობა მოიპოვა, მეტელუსი და პომპეუსი მის მიერ დამორჩილებული ესპანეთის ნაწილიდან განდევნა და აიძულა სურსათის ნაკლებობის გამო სხვა პროვინციებში შეეფარებინათ თავი[30].

20. ამ ომში პომპეუსმა თავისი ქონების უდიდესი ნაწილი დახარჯა. ამიტომ სენატისაგან ფულს მოითხოვდა და თან იმუქრებოდა, თუ ფულს არ გაუგზავნიდნენ, მთელი მხედრობით იტალიაში დაბრუნდებოდა.

პომპეუსის პირადმა მტერმა ლუკულუსმა, რომელიც მაშინ კონსულად იყო და მითრიდატესთან ომში წინამძღოლობის მოპოვებას ცდილობდა, პომპეუსისათვის ფულის გაგზავნა დააჩქარა. ეშინოდა, პომპეუსს, რომელიც ისედაც მოწადინებული იყო ამას, არ მისცემოდა საბაბი სერტორიუსისათვის თავი დაენებებინა და მითრიდატეს წინააღმდეგ დაძრულიყო. ლუკულუსის აზრით, პომპეუსს ეს ბრწყინვალე სახელს მოუხვეჭდა, მით უფრო რომ მტერი ადვილად დასაძლევი ჩანდა.

სწორედ ამ ხანებში საკუთარმა მეგობრებმა ვერაგულად მოკლეს სერტორიუსი. შეთქმულთა შორის ყველაზე მთავარი პერპენა ცდილობდა შეეცვალა იგი და მის მსგავსად ემოქმედა. მართალია, ხელთ ისეთივე ძალები და სახსრები ეპყრა, მაგრამ ამ საშუალებათა გამოყენებისათვის სერტორიუსისებური უნარი როდი გააჩნდა.

პომპეუსი მყისვე დაიძრა მის წინააღმდეგ და როგორც კი შეიტყო, პერპენა დაბნეულად მოქმედებსო, მტერს მოსატყუებლად დაუპირისპირა ათი კოჰორტი, რომელთაც ბრძანება მისცა პირველ იერიშისთანავე უწესრიგოდ დაფანტულიყვნენ ბრძოლის ველზე.

პერპენა ის-ის იყო თავს დაესხა ამ კოჰორტებს და მტერს დაედევნა, რომ უცებ მთელი თავისი მხედრობით პომპეუსი გამოჩნდა. მან მოწინააღმდეგეს ხელჩართული ბრძოლა გაუმართა და გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა.

ამ ბრძოლაში მტრის საარდალთა უდიდესი ნაწილი დაიღუპა. პერპენა დატყვევებული მიჰგვარეს პომპეუსს. მან იგი სიკვდილით დაასჯევინა. პომპეუსი ასე იმიტომ კი არ მოიქცა, რომ პერპენას მიმართ მადლიერების გრძნობა არ გააჩნდა და დაივიწყა სიცილიაში მომხდარი ამბების დროს მის მიერ გაწეული სამსახური, როგორც ზოგიერთი ამბობს, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფოს ხსნის განზრახვით გონივრულად მოქმედებდა. საქმე ის იყო, რომ პერპენა დაეპატრონა სერტორიუსის საბუთებს. მან აჩვენა პომპეუსს რომში ფრიად დიდი გავლენის მქონე პირთა წერილები, რომელთაც სურდათ რა შფოთის ატეხა და არსებული მმართველობის შეცვლა, სერტორიუსს იტალიაში ეპატიჟებოდნენ.

პომპეუსს შეეშინდა, ამ ამბავს ახლახან დამთავრებულ ომზე უფრო დიდი ომი არ გამოეწვია და ამიტომ პერპენა მოაკვდინა, ხოლო წერილები კი არც წაუკითხავს, ისე დაწვა.

21. ზემოაღნიშნულ საქმეთა მოგვარების შემდეგ პომპეუსი კიდევ დარჩა ესპანეთში იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იყო ყველაზე უფრო დიდ ამბოხებათა ჩასაქრობად და ქვეყნის ყველაზე უფრო მღელვარე საკითხთა მოსაწესრიგებლად.

ამის შემდეგ მან თავისი მხედრობა იტალიისაკენ დაძრა, სადაც სწორედ იმ დროს მონათა ომი მთელი სიმძლავრით მძვინვარებდა. აი, ამის გამო იყო, რომ მთავარსარდალმა კრასუსმა იჩქარა და გაბედული ბრძოლა გააჩაღა ამბოხებულ მონებთან. მან მართლაც გაიმარჯვა და მტერს თორმეტი ათას სამასი კაცი მოუკლა[31].

კრასუსის სწრაფი და მამაცური მოქმედების მიუხედავად ბედმა ერთგვარად ამ გამარჯვებაშიც არგუნა წილი პომპეუსს. მას ხელთ ჩაუვარდა ბრძოლიდან გამოქცეული ხუთი ათასი მონა. ამოყლიტა რა სულ ერთიანად ეს მონები, პომპეუსმა დაასწრო კრასუსს და სე-

ნატს მისწერა: კრასუსმა გლადიატორები დაამარცხა ველზე გამართულ ბრძოლაში, ხოლო მე, პომპეუსმა, საკუთარი ამ ომის ფესვებიო. პომპეუსისადმი კეთილგანწყობილი რომაელები ამ სიტყვებს დიდი ხალისით ისმენდნენ და იმეორებდნენ. რაც შეეხება ესპანეთსა და სერტორიუსზე გამარჯვებას, ხუმრობითაც კი არ უთქვამს ვისმე, მთელი ეს საქმე სხვას ეკუთვნის და არა პომპეუსსო.

ამდენ პატივსა და ამდენ დამყარებულ იმედს თან ერთგვარი ეჭვიცა და შიშიც ერთვოდა პომპეუსისადმი. ხალხს ეშინოდა, რომ პომპეუსი ჯარს არ დაშლიდა და სულას მაგალითისამებრ იარაღის ძალით ერთმმართველობას მოინდომებდა. ამიტომაც იმათ რიცხვში, პომპეუსთან რომ ვარბოდნენ და მას გზაზე მეგობრული გრძნობით ეგებებოდნენ, ცოტანი როდი იყვნენ ისეთები, ვისაც ამ საქმეზე შიში აიძულებდა.

მას შემდეგ, რაც პომპეუსმა ეს ეჭვი გააქარწყლა განცხადებით, რომ ტრიუმფის შემდეგ ჯარს დაშლიდა, მის მოშურნეებს ერთადერთი ბრალდებაღა დარჩათ წამოსაყენებელი; სახელდობრ: პომპეუსი ხალხს უფრო ემხრობა, ვიდრე სენატს, და ხალხის საამებლად გადაწყვეტილი აქვს სულას მიერ უკუგდებული სახალხო ტრიბუნატის ღირსების აღდგენაო. ეს მართლაც ასე იყო. რომაელ ხალხს არაფერი არ სწყუროდა ისე დაუცხრომლად და არაფერი არ სურდა ისე მგზნებარედ, როგორც სახალხო ტრიბუნის თანამდებობის კვლავ ხილვა. პომპეუსიც დიდ ბედნიერებად თვლიდა, რომ ხელსაყრელი შემთხვევა ეძლეოდა ამ პოლიტიკური ნაბიჯის გადასადგმელად. მისი აზრით, თუკი ამ შემთხვევის გამოყენებას სხვა ვინმე დაასწრებდა, მას აღარ მიეცემოდა სხვაგვარი საშუალება კეთილგანწყობილ მოქალაქეთათვის სამაგიერო გადაეხადა.

22. მალე პომპეუსს მეორე ტრიუმფი დაუნიშნეს და კონსულის ღირსებაც მიანიჭეს[32]. მაგრამ ეს ამბავი როდი იყო იმის მიზეზი, რომ იგი საოცრად დიდი კაცი ჩანდა ხალხის თვალში. მისი სიდიადის ნამდვილი მიზეზი ის გახლდათ, რომ მაშინდელ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის ყველაზე უფრო მდიდარმა, ყველაზე უფრო ენამჭევრმა და გავლენიანმა კაცმა კრასუსმა, რომელიც პირადად პომპეუსს და საერთოდ ყველას ზიზღითა და ამაყად უყურებდა, ვერ გაბედა კონსულის თანამდებობაზე თავისი კანდიდატურის წამოყენება მანამ, ვინემ ამის ნებართვა პომპეუსს არ სთხოვა.

პომპეუსს ეს მეტად ესიამოვნა. მით უფრო, რომ უკვე კარგა ხანია ცდილობდა რაიმე სამსახური გაეწია კრასუსისათვის და მასთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა. ამიტომ მთელი მგზნებარებით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და ხალხს თხოვნა დაუწყო. იგი რომაელებს ეუბნებოდა, რომ მისთვის კრასუსის ამხანაგად არჩევა უფრო სასიამოვნო იქნება, ვიდრე თვით კონსულის თანამდებობა.

ერთი სიტყვით, პომპეუსი და კრასუსი აირჩიეს კონსულებად. მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან მეტისმეტად განსხვავდებოდნენ და ამის გამო ერთმანეთში ხშირად უთანხმოება ჰქონდათ. სენატში კრასუსი სარგებლობდა განუზომელი პატივით, ხოლო ხალხში პომპეუსის გავლენა იყო დიდი. პომპეუსმა ხალხს სახალხო ტრიბუნის უფლებანი აღუდგინა და იმასაც მიაღწია, რომ სასამართლო წარმოების გამგებლობა კანონის ძალით კვლავ მხედართა წოდებას დაუბრუნა.

ყველაზე სასიამოვნო სანახაობა პომპეუსმა რომაელ ხალხს მაშინ გაუმართა, როცა სარდლობისაგან განთავისუფლება მოითხოვა. რომაელებს შემდეგნაირი წესი აქვთ: როცა მხედრები სამხედრო სამსახურის კანონით გათვალისწინებულ ვადას მოიხდიან, თავის ცხენს ფორუმზე ჩაიყვანენ ორ კაცთან, რომელთაც ცენზორებს უწოდებენ. აქ ისინი სათითაოდ ჩამოთვლიან იმ სარდლებსა და მხედართმთავრებს, რომელთა წინამძღოლობით ლაშქრობდნენ, თავიანთი მხედრული სამსახურის ანგარიშგების შემდეგ კი თავისუფლებას ღებულობენ. ყოველ მათგანს, იმისდა მიხედვით, თუ რა დაიმსახურეს ცხოვრებაში, პატივი ან პატივის აყრა ერგება ხოლმე წილად.

პომპეუსმა რომ სარდლობისაგან გადადგომა მოიწადინა, ცენზორებად მაშინ გელიუსი და ლენტულუსი იყვნენ. ისინი მთელი თავიანთი მორთულობით ისხდნენ მოედანზე და მხედრებისაგან ანგარიშს იღებდნენ. ამ დროს ზევიდან ფორუმზე მომავალი პომპეუსი გამოჩნდა. იგი თავისი ღირსების ყველა ნიშნით იყო აღკაზმული და ცხენი საკუთარი ხელით მოჰყავდა. როცა ცენზორებს მიუახლოვდა და ყველამ იცნო, ლიქტორებს უბრძანა მისთვის გზა მიეცათ და ცხენი ტრიბუნასთან მიიყვანა. გაკვირვებულ ხალხში სამარისებური დუმილი ჩამოვარდა, ცენზორები კი ამ სანახაობაზე მოკრძალებისა და სიხარულის გრძნობით აღივსნენ.

ბოლოს უფროსმა ცენზორმა პომპეუსს მიმართა:

— დიდო პომპეუს, მსურს შევიტყო შენგან, კანონით გათვალისწინებულ ყველა ლაშქრობაში მიიღე თუ არა მონაწილეობა?

— დიახ, ყველაში, — მაღალი ხმით უპასუხა პომპეუსმა, — და ყველა ლაშქრობა ჩემი საკუთარი სარდლობით ჩავატარე.

ამის გაგონებაზე ხალხმა ყიჟინა დასცა. რაკიღა სიხარულით გამოწვეული შეძახილის დაცხრომა შეუძლებელი გახდა, ცენზორები ფეხზე წამოდგნენ და ძლევამოსილ სარდალს სახლისაკენ გასაცილებლად გაჰყვნენ, რათა მოეგოთ იმ თანამოქალაქეთა გული, რომლებიც პომპეუსს ტაშის გრიალით მისდევდნენ უკან[33].

23. პომპეუსის კონსულობა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ კრასუსთან არსებული უთანხმოება კიდევ უფრო მეტად იზრდებოდა.

ვინმე გაიუს ავრელიუსი[34], რომელიც წარმოშობით მხედართა წოდებიდან იყო და უსაქმურ ცხოვრებას ატარებდა, საჯაროდ გამართული კრების დროს ტრიბუნაზე ავიდა და თქვა, რომ მას სიზმარში გამოეცხადა იუპიტერი და უბრძანა ეთქვა კონსულებისათვის მანამდის არ გადამდგარიყვნენ თანამდებობიდან, სანამ კვლავ ერთმანეთის მეგობრები არ გახდებოდნენ. ფეხზე მდგარი პომპეუსი ამ სიტყვებს დუმილით შეხვდა, ხოლო კრასუსმა პომპეუსს ხელი გაუწოდა და მიესალმა.

„მოქალაქენო, — თქვა მერმე მან, — მგონი, არ ჩავიდენ უღირსსა და ურიგო საქმეს, თუ შერიგების ხელს პირველად მე გავუწვდი პომპეუსს, რომელსაც თქვენ, ჯერ კიდევ პირტიტველ ყმაწვილ კაცს, პატივი ეცით და „დიდის“ სახელით მონათლეთ, რომელიც სენატორიც კი არ იყო და ორჯერ ტრიუმფი მოუწყვეთ“.

ამის შემდეგ პომპეუსი და კრასუსი შერიგდნენ და კონსულობაზეც ხელი აიღეს.

თანამდებობიდან გადადგომის შემდგომ კრასუსი წინანდელ ცხოვრებას მიეცა. რაც შეეხება პომპეუსს, მან თითქმის სულ აიღო ხელი გექილობაზე, ნელ-ნელა ფორუმსაც ჩამოსცილდა და საჯაროდ იშვიათად გამოდიოდა. თუ გამოჩნდებოდა, უთუოდ დიდი ამალა ახლდა. მხლებელთა ვარეშე მისი ხილვა ადვილი საქმე აღარ იყო, რადგან სრულ სიამოვნებას მხოლოდ დიდძალი ამალით გამოჩენა ანიჭებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ სანახაობით მეტი ნათელი მოეფინებოდა მის პატივსა და დიდებას და რომ საკუთარი დირ-

სების დასაცავად საჭირო იყო მდაბიო ხალხთან შეხვედრებისა და ახლო ურთიერთობისაგან თავის შეკავება. მართლაც, იმ ადამიანთ, რომლებმაც დიდება იარაღით მოიპოვეს, ტოგის ჩაცმასა და სამოქალაქო თანასწორობას კი ვერ ეგუებიან, საფრთხე ექმნებათ თავიანთი დიდება დაკარგონ. რამეთუ ბრძოლაში სახელმოხვეჭილ ადამიანებს სურთ ისეთივე პირველობა მოიპოვონ სამოქალაქო ცხოვრებაში, როგორც იქ, სამხედრო სამსახურში ჰქონდათ, ხოლო ისინი, რომელთაც ჯარში მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავათ, საშინლად განიცდიან მშვიდობიან ცხოვრებაში სხვათა განდიდებას. აი ამიტომ, როცა ლაშქრობებისა და ტრიუმფების წყალობით სახელმოხვეჭილ კაცს ფორუმზე ხელთ ჩაიგდებენ, მყის მის დამორჩილებას და ყოველნაირ დამცირებას შეეცდებიან ხოლმე; მაგრამ ვინც სამოქალაქო ძალაუფლებაზე ხელს აიღებს და მათ გზას დაუთმობს, ლაშქრობებში მოპოვებულ პატივსა და ძალას ყოველგვარი შურის გარეშე უნარჩუნებენ.

ეს ამბავი სავსებით გამოაშკარავდა სულ მცირე ხნის შემდგომ.

24. მეკობრეთა ძლიერებას საფუძველი კილიკიაში ჩაეყარა, რაიც პირველად გაბედული და ფარული მოქმედებებით ისაზღვრებოდა. მითრიდატესთან ომის დროს კი მეკობრეთა უტიფრობამ და გამბედაობამ უკიდურეს წერტილს მიაღწია, ვინაიდან ყაჩაღებმა თავიანთი თავი პონტოს მეფის სამსახურში ჩააყენეს. მერმე, როდესაც რომაელები გაჩაღებული შინაომის დროს ერთმანეთს რომის კართან ეკვეთნენ, უმეთვალყუროდ დატოვებულმა ზღვამ მეკობრეები ნელ-ნელა თავისკენ მიიზიდა, იქამდე, რომ ყაჩაღები არა მარტო ზღვაზე მოგზაურებს ესხმოდნენ თავს, არამედ კუნძულებსა და ზღვისპირა ქალაქებსაც აწიოკებდნენ ახლა.

მდიდარი და ფრიად კეთილშობილი პიროვნებები, რომლებიც სხვებისაგან გონიერებით გამოირჩეოდნენ, ყაჩაღთა ხომალდებზე ამხანაგებად ადიოდნენ და მეკობრეთა თარეშებში მონაწილეობდნენ, თითქოსდა ეს ხელობა მათ სახელსა და პატივს მოუტანდა.

მეკობრეებს ყველგან ჰქონდათ თავიანთი ნავსადგურები და გამაგრებული საზვერავი კოშკები. მეკობრეთა ფლოტი გამოირჩეოდა არა მარტო იმით, რომ მამაცი მეზღვაურები და გამოცდილი მესაჭეები ჰყავდა, ან კიდევ იმით, რომ მისი ხომალდები სწრაფი და მსუბუქი იყო, როგორც მათი საქმიანობა მოითხოვდა, არამედ იმი-

თაც, რომ შიშზე მეტად შურსა და ბრაზს იწვევდა. მოოქრული ანძები, ძოწისფერი იალქნები და დაფერცხლილი ხოფები იმას ადასტურებდა, რომ მეკობრეები ნებიერ ცხოვრებას ატარებდნენ და თავიანთი ავი საქმეებით ყოყოჩობდნენ. ზღვის მთელ სანაპიროზე მეკობრეთა ფლეიტების ხმა ისმოდა და სიმღერა და ღრეობა იყო გაჩაღებული; ყაჩაღები წამდაუწუმ იტაცებდნენ დიდი თანამდებობის პირებს და ტყვედქმნილ ქალაქებს ხარკს ახდევინებდნენ. ყველაფერი ეს კი რომაელთა ძლიერებისათვის ფრიად სამარცხვინო იყო.

მეკობრეთა განკარგულებაში ათასზე მეტი ხომალდი იყო, ხოლო მათ მიერ აღებულ ქალაქთა რაოდენობა ოთხასს აღწევდა.

ყაჩაღები თავს დაესხნენ და ააწიოკეს მანამდის ხელუხლებელი და წმიდათაწმიდა ტაძრები. სახელდობრ, მეკობრეებმა ააოხრეს კლაროსის, დიდიმისა და სამოთრაკეს ტაძრები; გააცამტვერეს ღმერთქალ დემეტრეს სალოცავი ჰერმიონეში და ასკლეპიოსის ტაძარი ეპიდავრში, ხოლო პოსეიდონისა — ისთმოსზე, ტენარესა და კალავრიაში. ასევე დაარბიეს აპოლონის ტაძრები აკციუმში და ლევკადზე და ღმერთქალ ჰერას სალოცავები სამოსზე, არგოსში და ლაცინიუმზე.

მეკობრეები, სხვათა შორის, უცნაურ მსხვერპლშეწირვას აწყობდნენ ოლიმპოში[35] და რაღაც იდუმალ, გაუგებარ წეს-ჩვეულებებს ასრულებდნენ. მათ შორის აღსანიშნავია მითრასადმი[36] მიძღვნილი საიდუმლო მღვდელმსახურება, რაც დღემდე შემონახულია. მისი აღსრულება პირველად სწორედ მეკობრეთა წყალობით გაიცნეს.

ავაზაკები ყველაზე უფრო მეტად რომაელებს აყენებდნენ შეურაცხყოფას. ისინი ზღვიდან ხმელეთზეც გადმოდიოდნენ ხოლმე, რომაელთა შარაგზებზე ყაჩაღობდნენ და სანაპირო დაბებს ძარცვავდნენ. ერთხელ მათ მოიტაცეს მეწამული ფერით ნაქარგ ტოგებში მორთული ორი პრეტორი, სექსტილიუსი და ბელინუსი, თავ-თავიანთი მსახურებითა და ლიქტორებით, და მერმე ამ ტყვეებთან ერთად გაიქცნენ. ერთხელაც მეკობრეებმა ხელთ ჩაიგდეს ტრიუმფგადახდილი ანტონიუსის[37] ქალიშვილი, რომელიც სოფლისაკენ მისეირნობდა. ყაჩაღებმა იგი მეტისმეტად დიდი გამოსასყიდის ფასად გაათავისუფლეს.

მეკობრეთა ყველაზე უფრო აუტანელი თავხედობა მაინც ის იყო, რომ თუ რომელიმე მათი ტყვე ყვირილს დაიწყებდა: რომაელი ვარ

და ესა და ეს მქვიან, ავაზაკები მყისვე ისე მოაჩვენებდნენ თავს, თითქოს გაუკვირდათ და შეშინდნენო. ისინი თეძოებზე ხელებს ირტყამდნენ, ტყვეს ფეხებში უვარდებოდნენ და პატიებას სთხოვდნენ. ტყვე რომაელიც, ხედავდა რა ავაზაკების სიმხდალესა და ხვეწნა-მუდარას, უჯერებდა მათ. ამის შემდეგ ზოგიერთი მეკობრე წაღას აცმევდა მას, ზოგიც ტოგით შემოსვაში შველოდა, რათა კვლავ ალარ განმეორებულიყო შეცდომა და ამ მორთულობით რომაელი ეცნოთ. მეკობრეები დიდხანს ერთობოდნენ საბრალო რომაელის ასე დაცინვითა და აბუჩად აგდებით. ბოლოს შუაგულ ზღვაში კიბეს ჩაუშვებდნენ და ტყვეს უბრძანებდნენ ჩასულიყო, თან „გზა მშვიდობისას“ ეუბნებოდნენ. თუკი ტყვე გაძალიანდებოდა, ავაზაკები ხელსა ჰკრავდნენ და წყალში აგდებდნენ.

25. ზღვის ავაზაკთა ძლიერება თანდათანობით თითქმის მთელ ჩვენს ზღვაზე[38] გავრცელდა და მასზე მოგზაურობა და ვაჭრობა შეუძლებელი გახდა. აი სწორედ ამ გარემოებამ გადააწყვეტინა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობით შეწუხებულსა და მოსალოდნელი შიმშილით შეშინებულ რომაელებს გაეგზავნათ პომპეუსი საგანგებო დავალებით, რათა მეკობრეთა ხელიდან ზღვა გამოეგლიჯა.

პომპეუსის ერთმა მეგობართაგანმა — გაბინიუსმა[39] შეადგინა კანონი, რომლის ძალითაც პომპეუსს ენიჭებოდა არა მარტო ფლოტზე უფროსობა, არამედ პირდაპირ მონარქიული მბრძანებლობა და ყველას მიმართ განუსაზღვრელი უფლება. ეს კანონი მართვა-გამგებლობის ნებას აძლევდა მას ზღვაზე ჰერაკლეს სვეტებამდე[40] და მთელ ხმელეთზე ზღვის სანაპიროდან ოთხასი სტადიონის მანძილზე. ასე რომ მის ხელქვეით ექცეოდნენ არა მარტო რომაელებისადმი დაქვემდებარებული მხარეები, არამედ უდიდესი ტომები და ყველაზე უძლიერესი მეფეები. გარდა ამისა, პომპეუსს უფლება ეძლეოდა სენატის შემადგენლობიდან თხუთმეტი სენატორი აერჩია და სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე გამოეყენებინა. მას შეეძლო აგრეთვე საკუთარი სურვილის მიხედვით აეღო ფული, როგორც სახელმწიფო ხაზინიდან, ისე იჯარადრებისაგან და გაემზადებინა ორასი ხომალდი. ხომალდთა შემადგენლობაზე მბრძანებლობა, მეზღვაურებისა და მეხოფეთა შერჩევა, რა თქმა უნდა, მის ხელთ იყო.

როცა ეს კანონი საჯაროდ წაიკითხეს, ხალხმა იგი მეტისმეტი აღფრთოვანებით მიიღო; მაგრამ სენატის ყველაზე უფრო გავლენიან

წევრთა აზრით ასეთი უსაზღვრო ძალაუფლება შურზე უფრო მეტად შიშის გამომწვევი იქნებოდა. ამიტომ კეისრის გარდა ყველამ გაილაშქრა ამ კანონის წინააღმდეგ. კეისარი თავგამოდებით იცავდა გაბინიუსის მიერ შემოთავაზებულ კანონს, მაგრამ იმიტომ კი არა, პომპეუსის დარდი ჰქონდა, ეს ოდნავადაც არ აწუხებდა; მას სურდა ამთავითვე ხალხს დაახლოებოდა და მისი ნდობა მოეპოვა. სხვები კი, როგორც ვთქვით, გააფთრებით ესხმოდნენ თავს პომპეუსს. როცა ერთ-ერთმა კონსულმა[41] პომპეუსს უთხრა, შენ თუ რომულუსს ჰბაძავ, მის ბოლოს ვერ ასცდებიო, იგი ხალხმა კინაღამ შუაზე გაგლიჯა. რაც შეეხება კატულუსს, რომელიც, თავის მხრივ, გაბინიუსის კანონის წინააღმდეგ გამოვიდა, ხალხი პატივისცემის ნიშნად ღრმა დუმილით შეხვდა. პომპეუსის მიმართ ყოველგვარი შურის გარეშე მრავალი ხოტბის წარმოთქმის შემდეგ კატულუსმა ხალხს ურჩია დაეზოგა ეს ვაჟკაცი და არ მიეცა იგი ერთიმეორეზე მოყოლებული განსაცდელისა და ომებისათვის. „განა სხვა ვინ ვეყოლებათ, თუ პომპეუსს დაკარგავთო?“ — უთხრა მან ხალხს. — „შენ, მხოლოდ შენო!“ — ერთხმად შესძახა ყველამ.

რაკიღა კატულუსმა ვერაფერს მიაღწია, ტრიბუნიდან ჩამოვიდა. მერმე როსციუსი[42] გამოვიდა სალაპარაკოდ, მაგრამ არავინ არ უსმენდა. მან მხოლოდ ის შეძლო, რომ თითით უჩვენა ხალხს: მარტო პომპეუსის არჩევა არ კმარა, მასთან ერთად საჭიროა მეორე კაცის არჩევაცო. ამაზე განრისხებულ ხალხს, როგორც ამბობენ, ისეთი ყვირილი აუტეხია, რომ ფორუმის თავზე მფრინავი ყვავი დარეტიანებულა და ბრბოში ჩამოვარდნილა. აქედან ჩანს, ფრინველთა ვარდნის მიზეზი ჰაერის გათხელება და იქ წარმოქმნილი უზარმაზარი სიცარიელე კი არ არის, არამედ ბგერის ძალით გამოწვეული ტალღები. ხმა ხომ საოცარი სიძლიერით იფანტება და ჰაერში რხევასა და ღელვას წარმოქმნის.

26. ამაზე სახალხო კრება დაიშალა. კენჭისყრისათვის დანიშნულ დღეს პომპეუსი ფარულად წავიდა სოფელში. მაგრამ როგორც კი გაიგო, კანონი დაამტკიცესო, ქალაქში დაბრუნდა. პომპეუსი რომში მოვიდა ღამით, ვინაიდან შიშობდა, მასთან შეხვედრისას ხალხის შექუჩებას შური არ გამოეწვია.

დილით ადრე იგი საჯაროდ გამოვიდა და მსხვერპლი შესწირა. მერმე სახალხო კრება გაიმართა. პომპეუსმა მიიღო იმაზე მეტი ხმა,

რაც უკვე კენჭისყრით იყო გათვალისწინებული. მას ნება ეძლეოდა შეიარაღება თითქმის ორმაგად გაეზარდა. მისთვის გაამზადეს ხუთასი ხომალდი. მის მესვეურობის ქვეშ შეიკრიბა აგრეთვე ას ორი ათასი მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცი და ხუთი ათასი ცხენოსანი მეომარი. გარდა ამისა, პომპეუსმა სენატიდან თავისთვის აირჩია ოცდაოთხი სენატორი. ყველა ესენი ყოფილი სარდლები და პრეტორები იყვნენ, მათთან ერთად პომპეუსს უფლება ეძლეოდა თან ორი კვესტორიც ჰყოლოდა.

სურსათ-სანოვაგეზე ფასები მყისვე დაეცა. ამ გარემოებამ გაბარებულ ხალხს საბაბი მისცა ეთქვა: მარტოოდენ სახელმა პომპეუსისამ ომს ბოლო მოუღოო.

ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ხაზი პომპეუსმა ოცდაათ ნაწილად გაყო. თითოეულ ნაწილში ხომალდთა განსაზღვრული რიცხვი და წინამძღოლები დააყენა. ასეთ რიგად გაყოფილი და ყველგან გაფანტული ძალების წყალობით იგი თავს ესხმოდა მეკობრეთა ხომალდთა დასებს, იპყრობდა მათ და მერმე თავის ნავსადგურში მოჰყავდა. ის ავაზაკები, რომლებმაც განკერძოება და ტყვედ ჩავარდნისაგან თავის დაძვრენა მოასწრეს, ყოველი მხრიდან ელვისებური სისწრაფით დაიძრნენ კილიკიისაკენ, როგორც ფუტკრები სკისაკენ. პომპეუსმა მათ წინააღმდეგ სამოცი საუკეთესო ხომალდით გაილაშქრა; მაგრამ სანამ ამ ლაშქრობას მოაწყობდა, მანამდის მეკობრეთაგან სავსებით გაწმინდა ტირენიის, ლიბიის, სარდინიის, კორსიკისა და სიცილიის ზღვები. ყველაფერი ეს პომპეუსმა შეასრულა სულ ორმოც დღეში თავისი დაუღალავი მოქმედებისა და მის ხელქვეით მყოფ მხედართმთავართა თავდადების წყალობით.

27. რომში კი კონსული პიზონი, ბრაზითა და შურით აღსავსე, ყოველნაირად უშლიდა ხელს პომპეუსის შეიარაღების საქმეს და მეზღვაურების დათხოვა ბრძანა. მაშინ პომპეუსმა თავისი ფლოტი ბრუნდუზიუმში გაგზავნა, თვითონ კი, ტირენიაზე გავლით, რომისაკენ გაემართა. ეს რომ გაიგეს, რომაელები ზღვასავით მოაწყდნენ პომპეუსის შესახვედრად შარაგზას, თითქოს სულ რამდენიმე დღის წინ არ გაეცილებინოთ იგი. ხალხის სიხარულის მიზეზი მოულოდნელი და სწრაფი ცვლილება იყო; ქალაქში უამრავი სურსათ-სანოვაგე გაჩნდა. პიზონს კონსულის თანამდებობიდან გადაყენების საფრთხე ემუქრებოდა. გაბინიუსმა საამისო წინადადებაც კი შეადგინა, მაგრამ

პომპეუსმა დაუშალა და მრავალ სხვა საქმეშიც შემწყნარებლობა გამოიჩინა პიზონის მიმართ.

როცა პომპეუსმა რომში მიიღო ის, რაც სურდა, ბრუნდუზიუმში მივიდა და მერმე აქედან ზღვაში გავიდა. მდგომარეობა მას მეტისმეტად აჩქარებდა, ამიტომ ქალაქებს გვერდს უვლიდა. მიუხედავად ამისა, ათენს მაინც არ ჩაუარა გვერდი. პომპეუსი ათენში გადავიდა, ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და აქაურ ხალხს სიტყვით მიმართა. გამობრუნებისას მის მიმართ დაწერილი თითო-თითო ტაეპიანი რამდენიმე ლექსი წაიკითხა. ქალაქის კარიბჭის შიგნითა მხარეს ეწერა:

ღმერთი ხარ, ღმერთი, თავს რაკი ცნობ ადამიანად.

ხოლო გარეთა მხარეს ასეთი წარწერა იყო:

გელოდებოდით, მოგესალმეთ, გნახეთ, გაცილებთ!

მეკობრეთა ზოგიერთმა ხომალდმა, რომლებიც ჯერ კიდევ დასდასად დახეტიალობდნენ ზღვაზე, პომპეუსს პატიება სთხოვეს. იგი მათ დიდსულოვნად მოექცა. პომპეუსმა ეს ხომალდები მეზღვაურებითურთ ჩაიბარა, მაგრამ დასჯით არავინ დაუსჯია. ამით დაიმედებული დანარჩენი მეკობრეები სხვა ხომალდთა მეთაურებს გაურბოდნენ და თავ-თავიანთი ცოლ-შვილით პომპეუსს ჰბარდებოდნენ. პომპეუსიც ყველას იწყალებდა. ყველაზე მეტად სწორედ ამათი დახმარებით ეძებდა იმ მეკობრეებს, რომლებიც იმალებოდნენ, რადგან იცოდნენ, რა მძიმე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. დაიჭერდა თუ არა ასეთ ავაზაკებს, სასტიკად სჯიდა.

28. მეკობრეთა ყველაზე მრავალრიცხოვანმა და ძლიერმა გუნდებმა თავიანთი ოჯახები, ქონება და ომისათვის გამოუსადეგარი ხალხი ტავროსთან განლაგებულ ციხეებსა და გამაგრებულ ქალაქებში დატოვეს, თვითონ კი საბრძოლოდ გამზადებული ხომალდებით კილიკიის კორაკესიონთან[43] დადგნენ და უკვე მოახლოებულ პომპეუსთან შებმას დაუწყეს ლოდინი. მალე ბრძოლაც გაიმართა. მეკობრეები დამარცხდნენ და ალყაში მოექცნენ. ბოლოს და ბოლოს ზღვის ყაჩაღებმა პომპეუსთან ელჩები გაგზავნეს, პატიება სთხოვეს და ჩაბარეს როგორც საკუთარი თავები, ისე მათ მიერ დაკავებული ქალაქები და კუნძულები, რომლებიც მეტისმეტად ძნელი ასაღები და თითქმის მიუვალი იყო.

ასე დამთავრდა ეს ომი. სულ რაღაც სამი თვის განმავლობაში გაწმინდეს მთელი ზღვა მეკობრეთა ბატონობისაგან. პომპეუსმა ხელთ იგდო მრავალი ხომალდი, რომელთა შორის ოთხმოცდაათი სპილენძისცხვირიანი იყო. ოცი ათასზე მეტი მეკობრე ტყვედ წამოიყვანეს. პომპეუსმა მათი დახოცვა არ ინება, მაგრამ მეორე მხრივ არც იმას თვლიდა გონივრულად, ტყვეები გაეთავისუფლებინა და ამ გაღატაკებულ, ბრძოლაში გაწაფულ ურიცხვ ბრბოსათვის საშუალება მიეცა გაფანტულიყო და მერმე ხელახლა შეკრებილიყო.

პომპეუსი ფიქრობდა, რომ ადამიანი ბუნებით არაა ველური და მოუთვინიერებელი ცხოველი, რომ იგი საკუთარი ბუნების წინააღმდეგ იხრება მანკიერებისაკენ და ზნე-ჩვეულების, ბინისა და ცხოვრების ნირის გამოცვლა კვლავ თვინიერს გახდის მას. გარეული ნადირიც კი ივიწყებს მძვინვარებასა და სიშმაგეს, თუ მას უხეში საკვები უფრო ნაზით შეეცვლება.

ამიტომაც გადაწყვიტა პომპეუსმა ტყვეები ზღვისაგან მოშორებულ ხმელეთზე დაესახლებინა და მათთვის მშვიდობიანი ცხოვრების სიტკბო ეგემებინა, რათა ისინი ქალაქებში ცხოვრებასა და მიწის დამუშავებას შეჩვეოდნენ.

ზოგიერთი მეკობრე კილიკიის პატარა და დაცარიელებულმა ქალაქებმა მიიღეს. ამ ქალაქებს ამიტომ დამატებით მიწის ნაკვეთები მრუზომეს.

პომპეუსმა აღადგინა სომხეთის მეფე ტიგრანის მიერ სულ ახლახან დარბეული ქალაქი სოლი და მრავალი ტყვე იქ დაასახლა[44]. დანარჩენ ტყვეებს საცხოვრებლად მიუჩინა აქაიის დიმე[45], რომელიც იმხანად ხალხის ნაკლებობას განიცდიდა, მაგრამ ფრიად ვრცელი და ნოყიერი მიწა-წყალი ჰქონდა.

29. პომპეუსის მოშურნენი მის ასეთ ზომებს მეკობრეთა მიმართ გააფთრებით კიცხავდნენ; თუმცა არც მისადმი სიყვარულით განწყობილ ხალხს მოსწონდა ის საქციელი, რომელიც მან მეტელუსის წინააღმდეგ ჩაიდინა კრეტაზე. ეს მეტელუსი ნათესავი იყო იმ მეტელუსისა, რომელიც პომპეუსთან ერთად სარდლობდა ესპანეთში და კრეტაზე პრეტორად პომპეუსის არჩევამდე გაგზავნეს. კუნძული კრეტა, კილიკიის შემდეგ, ზღვის ავაზაკთა მეორე მთავარი ბუნაგი იყო. მეტელუსმა აქ მრავალი მეკობრე შეიპყრო და სულ ერთიანად

ამოჟლიტა. ჯერ კიდევ ცოცხლად გადარჩენილმა, მაგრამ მეტელუსის მიერ გარშემორტყმულმა ავაზაკებმა პომპეუსს ელჩები გაუგზავნეს და სთხოვეს, კუნძულზე მოსულიყო, ვინაიდან კრეტა მისი საგამგებლო მხარის ნაწილი იყო და პომპეუსის ზღვაზე მბრძანებლობა აქაც ვრცელდებოდა. პომპეუსმა თხოვნა შეიწყნარა და მეტელუსს მისწერა ომი შეეწყვიტა. ამავე დროს ცალკეულ ქალაქებს წერილობითვე უბრძანა მეტელუსს არ დამორჩილებოდნენ. გარდა ამისა, კრეტაზე პომპეუსმა სარდლად მიავლინა მის ხელქვეით მყოფი ერთ-ერთი მეთაური ლუციუს ოქტავიუსი. ოქტავიუსი მეტელუსის მიერ ალყაშემორტყმულ ქალაქთა კედლებში შედიოდა და ხაფანგში მომწყვდეულ ავაზაკებთან ერთად მეტელუსის წინააღმდეგ იბრძოდა. ამ ამბავმა პომპეუსს მარტოოდენ უსიამოვნება როდი მიაყენა, იგი სასაცილო მდგომარეობაშიც კი აღმოჩნდა, რაკი პატივმოყვარეობითა და მეტელუსის შურით თავის სახელს ბიწიერ და ურჯულო ზღვის მაწანწალებს უზიარებდა და საკუთარ დიდებას, როგორც ავგაროზს რასმე, ყელზე ჰკიდებდა დასაფარავად.

არც აქილევსს ჩაუდენია მაინცდამაინც ვაჟკაცური საქმე, როცა სახელისათვის ბავშვივით გახელებული და გაშმაგებული უკრძალავდა სხვებს ეტყორცნათ ჰექტორისათვის ისარი:

რომ არ წარეტაცა ამ მკვლელს დიდება გმირისა მისთვის.[46]

მაგრამ პომპეუსზე უფრო მეტიც შეიძლება ითქვას. იგი რომაელთა საერთო მტრის გულისათვის იბრძოდა და ხსნას ანიჭებდა ამ მტერს მხოლოდ იმიტომ, რომ მრავალ ღვაწლგადახდილ პრეტორ მეტელუსისათვის ტრიუმფი აღეკვეთა. მიუხედავად ამისა, მეტელუსი არ შეეპუა, მეკობრეები მაინც დაიმორჩილა და დასაჯა, ხოლო ოქტავიუსი სასტიკად გამოლანძღა მხედრობის თვალწინ და უკან გაგზავნა.

30. როცა რომში შეიტყვეს, მეკობრეებთან ომი დამთავრდა და პომპეუსი ახლა, მოცალეობის ჟამს, ქალაქების ჩამოვლას აწარმოებსო, ერთმა სახალხო ტრიბუნთაგანმა, მანილიუსმა, გამოაქვეყნა კანონი, რომლის ძალითაც პომპეუსს უნდა გადასცემოდა ყველა ის პროვინცია და ჯარი, რომლებიც ლუკულუსის ხელქვეით იმყოფებოდნენ, და აგრეთვე ბითვინიაც, რომელიც გლაბრიონს ეკავა, ხოლო მერმე მითრიდატე და ტიგრან მეფეებთან ბრძოლა განეგრძო[47]. გარდა ამისა, პომპეუსის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო ფლოტი და ზღვა-

ზე განუსაზღვრელი მბრძანებლობის უფლება იმავე პირობებით, როგორც ეს თავიდან ჰქონდა.

ეს კანონი სინამდვილეში იმას მოასწავებდა, რომ რომაელთა ძალაუფლება მთლიანად ერთი პიროვნების ხელთ მოქცეულიყო. ფრიგია, ლიკაონია, კაპადოკია, კილიკია, ზემო კოლხეთი და სომხეთი, ესე იგი ის პროვინციები, რომლებიც, როგორც ჩანს, პირველი გადაწყვეტილებით პომპეუსის განკარგულებაში არ შედიოდა, ახლა მის განმგებლობაში ექცეოდა მთელი იმ ბანაკებითა და ჯარებითურთ, რითაც ლუკულუსმა მითრიდატე და ტიგრანი დაამარცხა.

რომის არისტოკრატია მშვენივრად გრძნობდა, თუ როგორ უსამართლოდ და უმადურად მოექცნენ ლუკულუსს; მიუხედავად ამისა, მას ოდნავადაც არ აფიქრებდა ის ამბავი, რომ ამ ვაჟკაცს დამსახურებული დიდება წაერთვა და ომში შემცვლელზე უფრო მეტად ტრიუმფის მემკვიდრე გაუჩნდა. რომის დიდებულთ აწუხებდათ მხოლოდ და მხოლოდ პომპეუსის განუსაზღვრელი ძალაუფლება, როგორც უკვე ჩამოყალიბებული ტირანია. ისინი ერთმანეთს ამხნევებდნენ და მოუწოდებდნენ მანილიუსის კანონის წინააღმდეგ გაელაშქრათ და თავისუფლება ხელიდან არ გაეშვათ. მაგრამ დადგა თუ არა კანონის დამტკიცების დღე, არისტოკრატებს შეეშინდათ ხალხის, უკან დაიხიეს და დუმილი არჩიეს. მხოლოდ კატულუსმა ილაპარაკა დიდხანს კანონისა და სახალხო ტრიბუნის მანილიუსის წინააღმდეგ. ბოლოს, რაკი ვერავინ დააჯერა, ტრიბუნიდან რამდენჯერმე ხმამაღლა მიმართა სენატს, წინაპართა მსგავსად მოეძებნა მთა და კლდე, სადაც გაქცევასა და თავისუფლების შერჩენას შეძლებდა.

ერთი სიტყვით, მანილიუსის კანონი, როგორც ამბობენ, ძალაში შევიდა ყველა ტრიბის დასტურით და პომპეუსმა დაუსწრებლად მიიღო თითქმის ისეთივე უზენაესი ძალაუფლება, როგორიც თავის დროზე მოიპოვა სულამ, როცა ქალაქი იარაღით დაიმორჩილა.

ამბობენ, როცა პომპეუსმა რომიდან წერილი მიიღო და ტრიბთა გადაწყვეტილების ამბავი შეიტყო, იმ მეგობართა თანდასწრებით, რომლებიც მას უზენაეს ხელისუფლებას ულოცავდნენ, წარბები შეიკრა, თეძოზე ხელი დაირტყა და ისე, თითქოს უკვე დაღლილი და თავმობეზრებული იყო განმგებლობის უფლებით, წამოიძახა: „ეჰ, ეს გაუთავებელი ომები! განა უკეთესი არ იქნებოდა, მეც ერთ-ერთი უბრალო ადამიანი ვყოფილიყავი? განა ამ დაუსრულებელ ლაშქრო-

ბებში ყოფნასა და მუდამ მოშურნეთა ცქერას არ აჯობებდა ცოლ თან ერთად სოფლად მეცხოვრა?"

პომპეუსის ასეთი თვალთმაქცობა მისმა მეგობრებმაც კი ვერ აიტანეს. იმათ იცოდნენ, რომ პომპეუსს უთანხმოება ჰქონდა ლუკულლუსთან; რომ ეს უთანხმოება მის თანდაყოლილ პატივმოყვარეობას ცეცხლს უნთებდა და მბრძანებლობისაკენ მისწრაფების სურვილს უძლიერებდა.

31. პომპეუსის ქცევა სულ მალე მისმა საქმეებმა გამოაშკარავა. მან ყველგან გამოსცა ბრძანება. ამ ბრძანებებით იგი მეომრებს მოუწოდებდა შეკრებილიყვნენ, ხოლო მის გამგებლობაში მყოფ მთავრებსა და მეფეებს წინადადებას აძლევდა მასთან გამოცხადებულიყვნენ. იმ ქვეყნის შემოვლის დროს, რომელიც მის მბრძანებლობაში გადავიდა, პომპეუსმა ლუკულლუსის არც ერთი დადგენილება არ დატოვა შეუცვლელი. მრავალი პიროვნება სასჯელისაგან გაათავისუფლა, ზოგს ჯილდოები წაართვა, ერთი სიტყვით, არაფერს ზოგავდა იმისათვის, რომ ლუკულლუსის თაყვანისმცემელთათვის ეჩვენებინა: ამ კაცს ამიერიდან აღარ აქვს ძალა და ფასი.

ლუკულლუსი ამაზე მეგობრების დახმარებით ჩიოდა. ბოლოს და ბოლოს მოდავე მხარეებმა გადაწყვიტეს ერთმანეთს შეხვედროდნენ. შეხვედრა მოხდა გალატიაში. პომპეუსსა და ლუკულლუსს, როგორც სახელგანთქმულ დიდ სარდლებს ბრწყინვალე გამარჯვებებით, თავთავის მხრივ წინ მიუძღოდათ ლიქტორები, რომელთაც ხელთ დაფნის შტოებით შემოსილი წკეპლის კონები ეპყრათ. ლუკულლუსი მარად მწვანე და ხეხილებით დაჩრდილულ ადგილებიდან მოდიოდა, პომპეუსი კი უტყეო და მარად გადამხმარ მხარეზე გავლით მოემართებოდა. როცა ლუკულლუსის ლიქტორებმა პომპეუსის დამჭკნარი დაფნის შტოები დაინახეს, მის ლიქტორებს საკუთარი ახალი დაფნის შტოები გაუზიარეს და წკეპლის კონები გაულამაზეს. დამსწრეებმა იფიქრეს, ეს იმის მომასწავებელი ნიშანია, რომ პომპეუსი ლუკულლუსისათვის გამარჯვებათა წყალობით მიღებული ჯილდოებისა და სახელის წასართმევად მოდისო.

საკონსულო ღირსებითა და ასაკით ლუკულლუსი პომპეუსზე უფროსი იყო, მაგრამ პომპეუსი ღირსებით წინ იდგა ლუკულლუსზე იმით, რომ უკვე ორი ტრიუმფი ჰქონდა გადახდილი.

ასე იყო თუ ისე, მათი შეხვედრა თავდაპირველად რაც შეიძლე-

ბოდა თავაზიანი და მეგობრული იყო. ისინი ერთმანეთის საქმეებს ადიდებდნენ და ერთიმეორეს წარმატებებს ულოცავდნენ. მაგრამ მერმე, შეებნენ თუ არა ლაპარაკში, თავაზიანობა და ზომიერება ვეღარ დაიცვეს და ერთმანეთს ლანძღვა-გინება დაუწყეს. პომპეუსი ანგარებაში დებდა ბრალს ლუკულუსს, ეს კი მის პატივმოყვარეობას კიცხავდა. მეგობრებმა ძლივძლივობით გააშველეს ისინი.

გალატიაში ლუკულუსი მის მიერ დაპყრობილი ქვეყნის მიწა-წყალსა და სხვა საჩუქრებს თავისი სურვილისდა მიხედვით ანაწილებდა. მის მახლობლად დაბანაკებულმა პომპეუსმა, აკრძალა რა ლუკულუსის განკარგულებათა შესრულება, მას ყველა ჯარისკაცი წაართვა, გარდა ათას ექვსასი მეომრისა, რომელნიც მოურჯულებლობის გამო მისთვის გამოუსადეგარნი იყვნენ, ხოლო ლუკულუსისათვის — საშიშნი. ამასთან ერთად პომპეუსი თავისი მეტოქის საგმირო საქმეთ საქვეყნოდ ამცირებდა და ამბობდა, რომ ლუკულუსი, ვით ტრაგედიათა წარმოდგენებში, მეფეთა აჩრდილებთან აწარმოებდა ომს, რომ მას მოუწევს ნამდვილი ბრძოლა ჭეშმარიტ და ჭკუანასწავლ ჯართან, ვინაიდან მითრიდატე სწორედ ახლა ეძებს ხსნას ფარის, მახვილისა და მხედრობის შემწეობით.

ლუკულუსი თავს იცავდა და აცხადებდა: მე კი არა, სწორედ პომპეუსი მიემართება მოჩვენებებსა და ლანდებთან შესარკინებლად; ვით ზარმაცი ფრინველი ეცემა ხოლმე სხვის ლეშს, ისე მიდის იგი ომის ნარჩენებით დასაპურებლადაო. აი, ასე მიაწერა მან თავის თავს სერტორიუსსა, ლეპიდუსსა და სპარტაკზე გამარჯვებები, მაშინ როცა ეს გამარჯვებები კრასუსს, მეტელუსსა და კატულუსს ეკუთვნითო. ამიტომ გასაკვირი არაა, — ამბობდა ლუკულუსი, — თუ ეს კაცი, რომელმაც რაღაცა მანქანებით მონებზე გამარჯვების ტრიუმფი გადაიხადა, ყოველნაირად ცდილობს სომხეთისა და პონტოს ბრძოლებში მოპოვებული სახელიც მიისაკუთროსო.

32. ამის შემდეგ ლუკულუსი იქაურობას გასცილდა. პომპეუსმა მთელი თავისი ხომალდები ფინიკიასა და ბოსფორს შორის მდებარე ზღვის დასაცავად ჩააყენა და მითრიდატეს წინააღმდეგ გაილაშქრა. მაგრამ მითრიდატემ, თუმცაღა ოცდაათი ათასი ქვეითი ჯარისკაცი და ორი ათასი ცხენოსანი ჰყავდა, პომპეუსთან შებრძოლება ვერ გაბედა.

პირველად მითრიდატე ერთ ბუნებრივად გამაგრებულსა და მი-

უვალ მთაზე დაბანაკდა, მაგრამ მერმე ეს ადგილი, რაკი უწყლო ეგონა, მიატოვა. შემდეგ ეს მთა პომპეუსმა დაიკავა და აქაურ მცენარეთა და ხეობებით დასერილ ადგილებზე დაკვირვებით დაასკვნა რომ აქ წყაროები უნდა ყოფილიყო. ამიტომ ბრძანება გასცა ყველგან ამოეთხარათ ჭები. მალე მთელ ბანაკს უხვად ჰქონდა წყალი, ისე რომ პომპეუსს უკვირდა, როგორ გამორჩა მხედველობიდან ეს გარემოება მითრიდატეს ეგზომ მრავალი ხნის მანძილზე.

მცირე ხნის შემდეგ პომპეუსი მტრის მხედრობის ირგვლივ დაბანაკდა და მითრიდატეს მიერ დაკავებულ ადგილს თხრილი შემოავლო.

პომპეუსის ალყას მითრიდატემ ორმოცდახუთ დღეს გაუძლო მერმე კი ბრძოლისათვის უვარგისი და ავადმყოფი მეომრები ამოხოცა და რჩეულ ძალებთან ერთად გაიქცა. პომპეუსი მას ევფრატის სანაპიროებთან დაეწია და იქვე მახლობლად დაბანაკდა. რაკიღა პომპეუსს ეშინოდა, მითრიდატეს ევფრატეზე გადასვლა არ მოესწრო, შუალამის ჟამს დაძრა მის წინააღმდეგ საბრძოლოდ გამზადებული მხედრობა. ამბობენ, სწორედ ამ დროს მითრიდატემ ისეთი სიზმარი ნახა, რაც მომავალს უწინასწარმეტყველებდაო. მითრიდატეს ეზმანა, თითქოს ზურგქარის დახმარებით პონტოს ზღვაზე მიცურავდა. მან უკვე ბოსფორიც[48] დაინახა და მეგზურებს სიხარულით მიულოცა: ნამდვილად გადავრჩითო... მაგრამ უცებ სულ მარტოდმარტო აღმოჩნდა ყველასაგან მიტოვებული და ახლა ხომალდის საბრალო ნამსხვრევებიღა მიაქანებდა.

აი, ასეთ ტანჯვასა და მოჩვენებებში იყო მითრიდატე, რომ მის კარავში მეგობრები შევიდნენ, გააღვიძეს და პომპეუსის მოახლოება აუწყეს. აუცილებლობა მეფისაგან ბანაკის დაცვისათვის ბრძოლას მოითხოვდა. და აი, მისმა სარდლებმა მხედრობა გამოიყვანეს და საბრძოლოდ დააწყვეს.

პომპეუსმა რომ მათი მზადება შენიშნა, ყოყმანი დაიწყო; ვერ გაბედა ამ სიბნელეში განსაცდელისათვის მიეცა თავი და ფიქრობდა, უმჯობესი იყო ამჯერად მხოლოდ ალყა შემოერტყა მტრისთვის, რათა არ გაქცეოდა, მის რიცხობრივად ჭარბ ძალებს კი დღის სინათლეზე შებმოდა. მაგრამ უფროსმა ცენტურიონებმა დაეინებით და ხანგრძლივი თხოვნით დააჯერეს პომპეუსი ახლავე დაეწყო მოქმედება.

არცთუ ისე ბნელოდა. მართალია, მთვარე ჩადიოდა, მაგრამ ჯერ

კიდევ საკმაოდ ჰფენდა შუქს არემარეს და საგნების გარჩევის საშუალებას იძლეოდა. აი სწორედ ამან შეიყვანა შეცდომაში მეფის რაზმები. მათკენ მიმავალ რომაელებს მთვარე ზურგში მოქცეოდა. რაკიღა მნათობი უკვე დასალიერისკენ იყო გადახრილი, პომპეუსის მეომრების ჩრდილი ფრიად გრძლად ეფინებოდა მიწას და მტრის ჯარისკაცებამდე აღწევდა, რომელთაც ამიტომაც პომპეუსის მხედრობასა და მათ შორის მდებარე მანძილის ზუსტად განსაზღვრა არ შეეძლოთ. იფიქრეს, რომაელები საკმაოდ ახლო არიანო, და ოროლების ტყორცნა დაიწყეს, მაგრამ ამაოდ, იქედან გამოტყორცნილი ოროლი არც ერთ რომაელს არ მოხვედრია.

ეს რომ დაინახეს, რომაელები ყიჟინით გავარდნენ წინ და მხნეობადაკარგულ, თავზარდაცემულსა და უკუქცეულ მტერს ისე დაეერივნენ, რომ ათი ათასზე მეტი კაცი გამოასალმეს სიცოცხლეს და ბანაკი აიღეს[49].

რაც შეეხება მითრიდატეს, მან რვაასი მხედრის თანხლებით ჯერ კიდევ ბრძოლის დასაწყისში გაკვეთა რომაელები და მათ რიგებში გაიჭრა; მაგრამ სულ მალე შემოეფანტა მთელი ამალა და სამი მხლებლის ამარაღა დარჩა. ამათ შორის იყო მისი ხასა ჰიფსიკრატია, რომელიც მუდამ ვაჟკაცური ხასიათითა და ფრიად საოცარი გამბედაობით გამოირჩეოდა. ამის გამო მეფე მას ჰიფსიკრატეს ეძახდა[50]. სპარსი მამაკაცის ტანსაცმლით შემოსილი და ცხენზე მჯდარი ჰიფსიკრატია არც გრძელ მანძილზე გაბმულ ჭენებას დაუქანცავს, არც მეფისა და მისი ცხენის გზაში მოვლას.

ბოლოს და ბოლოს მითრიდატემ და მისმა მხლებლებმა სინორას ციხე-სიმაგრეს მიაღწიეს[51], რომელიც სამეფო ქონებითა და განძეულობით იყო სავსე. ამ ქონებიდან მითრიდატემ ყველაზე ძვირფასი ტანისამოსი აიღო და უკუქცევის შემდეგ მასთან შემოკრებილ ლტოლვილებს დაურიგა. გარდა ამისა თითოეულ თავის მეგობარს ცალ-ცალკე მისცა მომაკვდინებელი შხამი, რათა საკუთარი სურვილის გარეშე არავინ არ ჩავარდნოდა მტერს ხელში.

აქედან მითრიდატე სომხეთისაკენ გაემართა ტიგრანთან; მაგრამ ტიგრანმა იგი არ მიიღო, თანაც ასი ტალანტი ჯილდოდ შეჰპირდა იმას, ვინც მითრიდატეს თავს მიუტანდა. ამიტომ მითრიდატემ ევფრატის სათავეს გზა აუჭცია და კოლხეთში გაიქცა.

33. ამასობაში პომპეუსი ტიგრან მცირის[52] მიპატიჟებით სომხეთ-

ში შეიჭრა. ეს ტიგრანი უკვე წინათვე განუდგა თავის მამას და ახლა პომპეუსს მდინარე არაქსის პირას დაუხვდა.

მდინარე არაქსი თავის სათავეს იმავე ადგილზე იღებს, სადაც ევფრატი, მაგრამ მერმე აღმოსავლეთისკენ უხვევს და კასპიის ზღვას ერთვის.

პომპეუსმა და ტიგრან მცირემ არაქსის სანაპიროდან წინ წაიწიეს და გზადაგზა ქალაქები აიღეს.

ლუკულუსის მიერ სულ ახლახან დამარცხებულმა მეფე ტიგრანმა, როცა გაიგო, პომპეუსი ხასიათით მშვიდი და ალერსიანი კაცი არისო, რომაელთა მეცხოვნე ჯარი თავის სატახტო ქალაქში მიიღო[53], თვითონ კი მეგობრებისა და ნათესავების თანხლებით მორჩილების გამოსაცხადებლად პომპეუსთან გაეშურა.

როცა ცხენზე შემართული ტიგრან მეფე მტრის ბანაკს მიუახლოვდა, წინ მას პომპეუსის ორი ლიქტორი შემოეგება ლიქტორებმა მეფეს უბრძანეს ცხენიდან ჩამოსულიყო და პომპეუსს ქვეითად ჰხლებოდა: რომაული მხედრობის ბანაკში ცხენზე მჯდომი კაცი ჯერ არავის უნახავსო. ტიგრანი მყისვე დამორჩილდა ბრძანებას, ეს კი არა და ხმალიც შემოიხსნა და ლიქტორებს გადასცა.

პომპეუსთან რომ მივიდა, თავიდან ჩალმა მოიხადა და უნდოდა ჩალმაც მის ფერხთა წინ დაედო, თვითონაც საკუთარი ღირსებისათვის ფრიად სამარცხვინოდ მიწაზე განრთხმულიყო, რათა რომაელთა მხედართმთავარს მუხლებზე მოჰხვეოდა. მაგრამ პომპეუსმა დაასწრო, მოჰკიდა ხელი, თავისკენ მიიზიდა და გვერდით ახლოს დაისვა, ხოლო მისი ძე ტიგრანი მეორე მხარეს დასვა. ამის შემდეგ პომპეუსმა სომეხთა მეფეს უთხრა: ყველა დღემდე განცდილი უბედურება ლუკულუსს უნდა დააბრალო; სწორედ იმან წაგართვა სირია, ფინიკია, გალატია და სოფენე, მაგრამ რაც ჩემს მოსვლამდე შემოგრჩა, შენვე გქონდეს, ოღონდ რომაელებისათვის მიყენებული შეურაცხყოფის სამაგიეროდ ექვსი ათასი ტალანტი ხარკი უნდა გადაიხადო; სოფენეს ტახტზე კი შენი ძე დაჯდებაო.

ეს წინადადება დიდი კმაყოფილებით მიიღო ტიგრანმა. მაშინ რომაელებმა მას მეფობა მიულოცეს. ეს ისე ძალიან გაუხარდა სომეხთა მეფეს, რომ პირობა დადო: ყოველ რომაელ ჯარისკაცს ნახევარ მნა ვერცხლს, ყოველ ცენტურიონს ათ მნას, ხოლო სამხედრო ტრიბუნებს თითო-თითო ტალანტს მივცემო[54].

სამაგიეროდ მისი ძე ტიგრან მცირე ფრიად უკძაყოფილო დარჩა; როცა იგი პომპეუსთან ლხინზე მიიწვიეს, განაცხადა: პომპეუსის მხრივ ასეთი პატივისცემა სრულებითაც არ მჭირდება, ჩემთვის სჯობია, ვინმე სხვა რომაელი ვიპოვოო.

ამ სიტყვებისათვის იგი შეიპყრეს და პომპეუსის მომავალ ტრიუმფში მონაწილეობის მისაღებად მცველები მიუჩინეს.

მცირე ხნის შემდეგ პართების მეფე ფრაატემ ელჩი გამოგზავნა, რომელიც მისი სიძის, ტიგრან მცირის გათავისუფლებას მოითხოვდა და წინადადებას იძლეოდა, პართებისა და რომაელების საბრძანებელთა საზღვრად მდინარე ევფრატი ჩაეთვალათ. პომპეუსმა ფრაატეს ასე უპასუხა: დატყვევებული ტიგრანი მამას უფრო მეტად ეკუთვნის, ვიდრე სიმამრს; რაც შეეხება ჩვენს საზღვარს, მაგ საკითხს მართლმსაჯულება გადაწყვეტსო[55].

34. პომპეუსმა სომხეთის დასაცავად აფრანიუსი დატოვა, თვითონ კი, რადგანაც ამას აუცილებლობა მოითხოვდა, მითრიდატეს წინაალმდეგ გაემართა იმ მიწა-წყლის გავლით, რომლებიც კავკასიონის ტომებს ეჭირა. ამ ტომთა შორის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანნი ალბანები და იბერები არიან. იბერთა ტომი მოსხურ მთებამდე და პონტომდე აღწევს, ალბანები კი აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე მოსახლეობენ[56].

პომპეუსმა ალბანებს სთხოვა გზა დაეთმოთ და მათ ქვეყანაზე გავლის ნებართვა მიეცათ. ამათ ჯერ თანხმობა განუცხადეს, მაგრამ როდესაც პომპეუსის მხედრობას ზამთარმა ამ ქვეყანაში მოუსწრო და როცა რომაელები კრონოსის დღესასწაულს[57] იხდიდნენ, ალბანებმა სულ ცოტა ორმოცი ათასი მეომრის შემადგენლობით მდინარე მტკვარი[58] გადალახეს და პომპეუსს თავს დაესხნენ.

მდინარე მტკვარი იბერთა მთებიდან გამოდის, გზაზე სომხეთიდან მომავალ არაქსს იერთებს და თორმეტი შესართავით კასპიის ზღვაში ჩადის. თუმცა ზოგიერთი კი ამბობს, მტკვარს კი არ უერთდება არაქსი, ცალკე შტოდ მიდის და ზემოხსენებულ ზღვას მტკვრის შესართავის მახლობლად უერთდებაო.

თუმცა პომპეუსს შეეძლო მტკვარზე მტრის გადმოსვლას წინ დადგომოდა, მაგრამ მოითმინა და ალბანებს მდინარის გადმოლახვა აცალა. მერმე კი თავს დაესხა, უკუაქცია და სულ ერთიანად ამოჟლიტა.

ამის შემდგომ ალბანების მეფემ მას ელჩები მიუგზავნა და შეწყალება სთხოვა. პომპეუსმა დანაშაული აპატია, დაეზავა და ახლა იბერთა წინააღმდეგ გაილაშქრა.

იბერნი რიცხვით ალბანებს არ ჩამოუვარდებოდნენ. გულადობითაც სხვებზე უფრო მამაცნი იყვნენ და ძალიან უნდოდათ მითრიდატესათვის ეამებინათ და პომპეუსი უკუექციათ. იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსებს ექვემდებარებოდნენ და თავის დროზე მაკედონელთა მბრძანებლობაც აიცდინეს თავიდან იმის წყალობით, რომ ალექსანდრე ფრიად სწრაფად გაბრუნდა ჰირკანიიდან[59]. მაგრამ პომპეუსმა იბერებიც დაამარცხა დიდ ბრძოლაში, ისე რომ ცხრა ათასი კაცი მოკლეს, ხოლო ათი ათასზე მეტი რომაელებს ჩაუვარდათ ტყვედ.

დაამარცხა თუ არა იბერები, პომპეუსი კოლხეთში შეიჭრა. მდინარე ფაზისის სანაპიროზე მას შეეგება სერვილიუსი თავის ფლოტით, რომლითაც იგი პონტოს იცავდა[60].

35. ბოსფორისა და მეოტისის მახლობლად მცხოვრებ ტომებში თავშეფარებული მითრიდატეს დევნა ფრიად დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამავე დროს პომპეუსს აუწყეს: ალბანები ხელახლა აჯანყდნენო.

რისხვითა და შურისძიებით ანთებული პომპეუსი ალბანთა წინააღმდეგ დაიძრა. მან დიდი წვალებით და თავგანწირვით გადალახა კვლავ მტკვარი, რომლის სანაპირო ბარბაროსებს მთელ სივრცეზე მესერით გაემაგრებინათ. აქედან პომპეუსს უწყლო და მეტად მძიმე სავალი გრძელი გზა მოელოდა[61]. ამიტომ მან ათი ათასი გუდა წყლით აავსებინა და სწრაფად დაიძრა მტრისაკენ. ალბანებს იგი მდინარე აბასის[62] სანაპიროზე შეხვდა. სამოცი ათასი ქვეითი მეომრისა და თორმეტი ათასი მხედრისაგან შემდგარი მტრის ჯარი უკვე საბრძოლოდ იყო დარაზმული, მაგრამ შეიარაღებული კი მეტისმეტად ცუდად გახლდათ. ჯარისკაცთა უმრავლესობას ნადირთა ტყავები ეცვა. ამ მხედრობას წინამძღოლობდა ალბანთა მეფის ძმა კოსისი.

გაჩაღდა თუ არა ხელჩართული ბრძოლა, ეს კოსისი პომპეუსს ეკვეთა და ჯავშნის ნაკეცში შუბი აძგერა. მაგრამ პომპეუსმა მყისვე გამოიღო ხელი და ალბანთა წინამძღოლი სასიკვდილოდ განგმირა.

ამბობენ, ამ ბრძოლაში ბარბაროსების მხარეზე მდინარე თერმო-

დონტის გასწვრივ მდებარე მთებიდან ჩამოსული ამაძონებიც მონაწილეობდნენო. მართლაც, ბრძოლის შემდგომ, როცა რომაელები დახოცილ ბარბაროსებს იარაღს აცლიდნენ, ამაძონურ მსუბუქ ფარებსა და მაღალყელიან წაღებს წააწყდნენ; თუმცა, უნდა ითქვას, ქალის გვამი აქ კაცს არ უნახავს.

ამაძონები კავკასიონის ქედის იმ ზოლზე მოსახლეობენ, რომელიც ჰირკანიის ზღვამდეა გადაჭიმული, მაგრამ ალბანებს არ ესაზღვრება. მათ შორის გელები და ლეგები ცხოვრობენ[63]. ამაძონები ამათთან ყოველწლიურად ორ თვეს ატარებენ, მერმე კი თავის მხარეში მიდიან და განცალკევებით ცხოვრობენ.

36. ალბანებთან მომხდარი ბრძოლის შემდგომ პომპეუსს გულით სურდა სამი დღის ხავალ მანძილზე მდებარე ჰირკანიისა და კასპიის ზღვასთან გაჭრა[64]; მაგრამ ამ მხარეში იმდენი შხამიანი გველი იყო, რომ პომპეუსი იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო. მან მცირე სომხეთისაკენ დაიხია.

აქედან პომპეუსმა ელიმაისელთა და მიდიელთა მეფეებს, რომლებმაც მას ელჩები გამოუგზავნეს, მეგობრული პასუხი მისწერა[65]. ამ დროს პართების მეფე გორდიენეში შეჭრილიყო და ტიგრანის სამფლობელოებს აოხრებდა. პომპეუსმა მის წინააღმდეგ გაგზავნა მეომართა რაზმი აფრანიუსის წინამძღოლობით. აფრანიუსმა პართები განდევნა და მათ არბელიტისამდე მისდია[66].

პომპეუსთან მრავლად მოჰყავდათ მითრიდატეს ხასები; მაგრამ არც ერთი მათგანისათვის ხელი არ უხლია, ყველა თავ-თავის მშობლებსა და შინაურებს დაუბრუნა. ეს ხასები უმრავლეს შემთხვევაში სარდლებისა და იქაურ მთავართა ქალიშვილები და ცოლები იყვნენ. ერთ-ერთი ხარჭა კი, სახელად სტრატონიკე, რომელიც ფრიად დიდი სახელით სარგებლობდა და ოქროულობით სავსე ერთ-ერთ კოშკს ფლობდა, როგორც ჩანს, ქნარზე დამკვრელი მოხუცი და ღარიბი მუსიკოსის შვილი იყო. ამ სტრატონიკემ ერთხელ ლხინის დროს ისე მოხიბლა თურმე ქნარზე დაკვრით მითრიდატე, რომ ეს მაშინვე მიუწვა მას, სტრატონიკეს მოხუცი მამა კი, გამწყრალი იმაზე, რომ ზრდილობის გამო ნებართვაც არ სთხოვეს, გარეთ გააგდო.

დილით გაიღვიძა თუ არა მოხუცმა, თავის ოთახში დაინახა ვერცხლისა და ოქროს სასმისებით გაწყობილი სუფრა, ურიცხვი მსახურნი, საჭურისნი და ყმაწვილი ბიჭები, რომლებიც მას უძვირფა-

სეს შესამოსელს აწვდიდნენ, კართან საგანგებოდ შეკაზმული ცხენი იდგა. ასეთი ცხენებით მეფის მეგობრები დადიოდნენ ხოლმე.

მოხუცმა იფიქრა, ეს ყველაფერი ჩემს გასამასხარებლად და დასაცინადაა ალბათ მოწყობილიო, და სახლიდან გასაქცევად კარს ეცა. იგი მსახურებმა შეაჩერეს და აუხსნეს, რომ მეფემ აჩუქა ერთი ახლახან გარდაცვლილი მდიდრის დიდი სახლი და რომ ყველაფერი ეს მხოლოდ ნიმუშია იმ ქონებისა და სიმდიდრის, რომელიც მას ებოძა.

ბოლოს და ბოლოს ძლივს დაიჯერა მოხუცმა ეს; მერმე ძოწეულის ტანსაცმლით შეიმოსა, დარახტულ ცხენზე შეჯდა და ქალაქში ყვირილ-ყვირილით გაიჭრა: „ეს ყველაფერი ჩემი არისო!“ ხალხს, რომელიც დასცინოდა, მოხუცი ასე ეუბნებოდა: საკვირველი ეს კი არ არის, არამედ ის, სიხარულით გაგიჟებული გზად შემომხვდურთ ქვებს რომ არ გესვრითო. აი ასეთი სისხლისა და ჯილაგისა იყო სტრატონიკე[67].

ერთი სიტყვით, სტრატონიკემ პომპეუსს გადასცა თავისი კოშკი და მრავალი სხვა საჩუქარიც მიართვა. ამ საჩუქრებში პომპეუსმა აიღო მხოლოდ ის, რაც ტაძართა შესამკობად გამოდგებოდა და რაც მის მომავალ ტრიუმფს ბრწყინვალებას მისცემდა, დანარჩენზე კი გახარებულ სტრატონიკეს უთხრა: შენ გქონდესო. ასევე, როცა იბერთა მეფემ ოქროსაგან ნაკეთები საწოლი, მაგიდა და ტახტი გაუგზავნა და სთხოვა, ეს საჩუქრები მიეღო, პომპეუსმა მთელი ეს ძღვენი სახელმწიფო ხაზინისათვის კვესტორებს გადასცა.

37. ახლად აგებულ ციხე-სიმაგრე კენონში პომპეუსი მითრიდატეს საიდუმლო წერილებს წააწყდა. მან დიდი სიამოვნებით წაიკითხა ისინი, ვინაიდან ეს ბარათები მეფის ხასიათს მთლიანად ააშკარავებდა. ამ ბარათებიდან, რომლებიც ერთგვარ მოგონებებს წარმოადგენდა, ცხადი გახდა, რომ მითრიდატეს მოწამლული ჰყავდა მრავალი ადამიანი, მათ შორის საკუთარი შვილი არიარათე და სარდალი ალკეოსი. ამ უკანასკნელის მოკვლის მიზეზი ის გახდა, რომ ერთხელ თურმე მეფეს ჯირითში აჯობა.

გარდა ამისა, აქვე იყო ჩაწერილი მითრიდატესა და მისი ცოლების მიერ ნანახ სიზმართა ახსნა. ბოლოს აქ აღმოჩნდა ფრიად უხამსი ხასიათის წერილები მონიმესი მითრიდატესადმი და მითრიდატესი მონიმესადმი[68].

თეოფანე ამბობს[69], აქვე აღმოჩნდა რუტილიუსის[70] ფეოილიც, რომელიც მეფეს მოუწოდებდა გაეყლიტა მცირე აზიაში მცხოვრები ყველა რომაელი. მაგრამ უმრავლესობა სავსებით სამართლიანად თვლის, რომ ეს არის თეოფანეს ბოროტი ცილისწამება რუტილიუსის მიმართ. თეოფანეს ეზიზღებოდა რუტილიუსი იმიტომ, რომ თვითონ არაფრით არა ჰგავდა მას. შესაძლოა თეოფანეს ამით უნდოდა ესიამოვნებინა პომპეუსისათვის, რომლის მამა ფრიად ცუდი სახით წარმოადგინა რუტილიუსმა თავის ისტორიაში.

38. აქედან პომპეუსი ამისენში მივიდა, სადაც თავისი პატივმოყვარეობის წყალობით ისეთი საქციელი ჩაიდინა, რამაც ერთგვარად გაკიცხვის ღირსი გახადა. იგი უწინ ხშირად დასცინოდა ხოლმე ლუკულუსს, რომ ის მტრის საბოლოო დამარცხებამდე მის ქვეყანაში განკარგულებებს იძლეოდა, საჩუქრებსა და საპატიო რწმუნებებს ანაწილებდა და საერთოდ ისე იქცეოდა, როგორც გამარჯვებულნი ომის დამთავრების შემდგომ. ახლა კი ეს პომპეუსი, როცა მითრიდატე ჯერ კიდევ ბოსფორის სამეფოს მბრძანებელი იყო და საკმაო მებრძოლი ძალაც ჰყავდა, იმასვე აკეთებდა, რასაც ლუკულუსი, თითქოს ყველაფერი შესრულებული ჰქონოდა. იგი ეპარქიებს აწესრიგებდა და საჩუქართა გაბოძებას ახდენდა. იმხანად მის წინაშე მრავალი სარდალი, მთავარი და ბარბაროსთა თორმეტი მეფე გამოცხადდა, რომლებიც მან ასევე დააჯილდოვა. ამათ და სხვა ამათ მსგავსთა სასიხარულოდ და თავისი ჩვეულების საწინააღმდეგოდ პომპეუსმა საპასუხო წერილში პართების მეფე ღირსად არ სცნო მეფეთა მეფედ ეღიარებინა.

მაშინ პომპეუსს მეტად მგზნებარე წადილი და მისწრაფება ჰქონდა სირია აეღო და არაბეთზე გავლით მეწამულ ზღვამდე მისულიყო, რათა გამარჯვებულს მიეღწია ოკეანემდე, სამყაროს რომ ყოველმხრივ გარს ევლება. მართლაც, იგი გამარჯვებული პირველი გავიდა ლიბიაში გარე ზღვის ნაპირებამდე[71], მერმე ესპანეთშიც ატლანტის ოკეანეთი შემოსაზღვრა რომაელთა საბრძანებელი და მესამეჯერ, სულ ახლახან, ალბანების დევნის დროს, ცოტა დააკლდა, თორემ ზედ ჰირკანიის ზღვასაც მიადგებოდა.

ამგვარად, პომპეუსმა გადაწყვიტა ლაშქრობათა წრე მეწამული ზღვით შეეკრა და მხედრობა აქეთკენ დაძრა.

მეორე მხრივ იგი ხედავდა, რომ იარაღით ხელში მითრიდატეს

ხეს შესამოსელს აწვდიდნენ, კართან საგანგებოდ შეკაზმული ცხენი იდგა. ასეთი ცხენებით მეფის მეგობრები დადიოდნენ ხოლმე.

მოხუცმა იფიქრა, ეს ყველაფერი ჩემს გასამასხარებლად და დასაცინადაა ალბათ მოწყობილიო, და სახლიდან გასაქცევად კარს ეცა. იგი მსახურებმა შეაჩერეს და აუხსნეს, რომ მეფემ აჩუქა ერთი ახლახან გარდაცვლილი მდიდრის დიდი სახლი და რომ ყველაფერი ეს მხოლოდ ნიმუშია იმ ქონებისა და სიმდიდრის, რომელიც მას ებოძა.

ბოლოს და ბოლოს ძლივს დაიჯერა მოხუცმა ეს; მერმე ძოწეულის ტანსაცმლით შეიმოსა, დარახტულ ცხენზე შეჯდა და ქალაქში ყვირილ-ყვირილით გაიჭრა: „ეს ყველაფერი ჩემი არისო!“ ხალხს, რომელიც დასცინოდა, მოხუცი ასე ეუბნებოდა: საკვირველი ეს კი არ არის, არამედ ის, სიხარულით გაგიჟებული გზად შემომხვდურთ ქვებს რომ არ გესვრითო. აი ასეთი სისხლისა და ჯილაგისა იყო სტრატონიკე[67].

ერთი სიტყვით, სტრატონიკემ პომპეუსს გადასცა თავისი კომკი და მრავალი სხვა საჩუქარიც მიართვა. ამ საჩუქრებში პომპეუსმა აიღო მხოლოდ ის, რაც ტაძართა შესამკობად გამოდგებოდა და რაც მის მომავალ ტრიუმფს ბრწყინვალეებას მისცემდა, დანარჩენზე კი გახარებულ სტრატონიკეს უთხრა: შენ გქონდესო. ასევე, როცა იბერთა მეფემ ოქროსაგან ნაკეთები საწოლი, მაგიდა და ტახტი გაუგზავნა და სთხოვა, ეს საჩუქრები მიეღო, პომპეუსმა მთელი ეს ძღვენი საახელმწიფო ხაზინისათვის კვესტორებს გადასცა.

37. ახლად აგებულ ციხე-სიმაგრე კენონში პომპეუსი მითრიდატეს საიდუმლო წერილებს წააწყდა. მან დიდი სიამოვნებით წაიკითხა ისინი, ვინაიდან ეს ბარათები მეფის ხასიათს მთლიანად ააშკარავებდა. ამ ბარათებიდან, რომლებიც ერთგვარ მოგონებებს წარმოადგენდა, ცხადი გახდა, რომ მითრიდატეს მოწამლული ჰყავდა მრავალი ადამიანი, მათ შორის საკუთარი შვილი არიარათე და სარდალი ალკეოსი. ამ უკანასკნელის მოკვლის მიზეზი ის გახდა, რომ ერთხელ თურმე მეფეს ჯირითში აჯობა.

გარდა ამისა, აქვე იყო ჩაწერილი მითრიდატესა და მისი ცოლების მიერ ნანახ სიზმართა ახსნა. ბოლოს აქ აღმოჩნდა ფრიად უხამსი ხასიათის წერილები მონიმესი მითრიდატესადმი და მითრიდატესი მონიმესადმი[68].

თეოფანე ამბობს[69], აქვე აღმოჩნდა რუტილიუსის[70] წეოილიც, რომელიც მეფეს მოუწოდებდა გაეჟლიტა მცირე აზიაში მცხოვრები ყველა რომაელი. მაგრამ უმრავლესობა სავსებით სამართლიანად თვლის, რომ ეს არის თეოფანეს ბოროტი ცილისწამება რუტილიუსის მიმართ. თეოფანეს ეზიზღებოდა რუტილიუსი იმიტომ, რომ თვითონ არაფრით არა ჰგავდა მას. შესაძლოა თეოფანეს ამით უნდოდა ესიამოვნებინა პომპეუსისათვის, რომლის მამა ფრიად ცუდი სახით წარმოადგინა რუტილიუსმა თავის ისტორიაში.

38. აქედან პომპეუსი ამისეში მივიდა, სადაც თავისი პატივმოყვარეობის წყალობით ისეთი საქციელი ჩაიდინა, რამაც ერთგვარად გაკიცხვის ღირსი გახადა. იგი უწინ ხშირად დასცინოდა ხოლმე ლუკულუსს, რომ ის მტრის საბოლოო დამარცხებამდე მის ქვეყანაში განკარგულებებს იძლეოდა, საჩუქრებსა და საპატიო რწმუნებებს ანაწილებდა და საერთოდ ისე იქცეოდა, როგორც გამარჯვებულნი ომის დამთავრების შემდგომ. ახლა კი ეს პომპეუსი, როცა მითრიდატე ჯერ კიდევ ბოსფორის სამეფოს მბრძანებელი იყო და საკმაო მებრძოლი ძალაც ჰყავდა, იმასვე აკეთებდა, რასაც ლუკულუსი, თითქოს ყველაფერი შესრულებული ჰქონოდა. იგი ეპარქიებს აწესრიგებდა და საჩუქართა გაბოძებას ახდენდა. იმხანად მის წინაშე მრავალი სარდალი, მთავარი და ბარბაროსთა თორმეტი მეფე გამოცხადდა, რომლებიც მან ასევე დააჯილდოვა. ამათ და სხვა ამათ მსგავსთა სასიხარულოდ და თავისი ჩვეულების საწინააღმდეგოდ პომპეუსმა საპასუხო წერილში პართების მეფე ღირსად არ სცნო მეფეთა მეფედ ეღიარებინა.

მაშინ პომპეუსს მეტად მგზნებარე წადილი და მისწრაფება ჰქონდა სირია აეღო და არაბეთზე გავლით მეწამულ ზღვამდე მისულიყო, რათა გამარჯვებულს მიეღწია ოკეანემდე, სამყაროს რომ ყოველმხრივ გარს ევლება. მართლაც, იგი გამარჯვებული პირველი გავიდა ლიბიაში გარე ზღვის ნაპირებამდე[71], მერმე ესპანეთშიც ატლანტის ოკეანეთი შემოსაზღვრა რომაელთა საბრძანებელი და მესამეჯერ, სულ ახლახან, ალბანების დევნის დროს, ცოტა დააკლდა, თორემ ზედ ჰირკანიის ზღვასაც მიადგებოდა.

ამგვარად, პომპეუსმა გადაწყვიტა ლამქრობათა წრე მეწამული ზღვით შეეკრა და მხედრობა აქეთკენ დაძრა.

მეორე მხრივ იგი ხედავდა, რომ იარაღით ხელში მითრიდატეს

დაჭერა ფრიად ძნელი საქმე იყო და რომ უკუქცეული და დამალული მტერი უფრო საშიშია, ვიდრე პირისპირ მებრძოლი.

39. აი, სწორედ ამის გამო თქვა პომპეუსმა: მითრიდატეს აქ ჩემზე უფრო მეტად ძლიერ მტერს — შიმშილს დავუტოვებო. მან ზღვაში საგუშაგო ხომალდები ჩააყენა, რათა თვალყური ედევნებინათ იმ ვაჭრებისათვის, რომელნიც ბოსფორში საქონლით დატვირთულნი მიცურავდნენ და ბრძანება გასცა ყოველი შეპყრობილი სიკვდილით დაესაჯათ. თვითონ კი მხედრობის უდიდესი ნაწილით წინ გაემართა.

ლაშქრობის დროს პომპეუსი წააწყდა ტრიარიუსის წინამძღოლობით მითრიდატესთან უიღბლო ბრძოლაში _მონაწილე დახოცილ ჯარისკაცთა ჯერ კიდევ დაუკრძალავ გვამებს[72]. მან ისინი დიდი პატივით მიაბარა მიწას. როგორც ჩანს, დახოცილ მებრძოლთა ასე უპატრონოდ მიტოვება იყო ერთ-ერთი უდიდესი მიზეზი ლუკულუსისადმი აღძრული ზიზღისა ჯარისკაცთა შორის.

როცა პომპეუსმა აფრანიუსის მეშვეობით ამანოსის[73] გარშემო მოსახლე არაბები დაიმორჩილა, თვითონ სირიაში ჩავიდა და ეს ქვეყანა, იმ საბაბით, რომ მას კანონიერი მეფეები არ ჰყავდა, რომაელი ხალხის პროვინციად და საკუთრებად გამოაცხადა. მერმე იუდეა დაიპყრო და მეფე არისტობულე დაატყვევა[74].

პომპეუსმა ზოგი ქალაქი ააგო, ზოგსაც თავისუფლება მიანიჭა და იქაური ტირანები დასაჯა. თავისი დროის უმეტეს ნაწილს იგი სასამართლო საქმეებსა და ქალაქთა და მეფეთა შორის არსებულ სადავო საკითხების გადაწყვეტას ანდომებდა. იქ, სადაც თვითონ ვერ მიდიოდა, თავის მეგობრებს აგზავნიდა. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი ქვეყნის გამო მოქიშპე სომხებსა და პართებს, რომლებმაც დავის გადაწყვეტა მას მიანდეს, მსაჯულად და მომრიგებლად სამი მეგობარი გაუგზავნა.

პომპეუსის ძლიერების ხმა საკმაოდ შორს იყო გავარდნილი, მაგრამ ამაზე ნაკლებ როდი ჰქუხდა ხმა მის სამართლიანობასა და კეთილმოწყალებაზე. აი სწორედ ეს სათნოება და კეთილმოწყალება გახლდათ იმის მიზეზი, რომ პომპეუსი თავის მეგობართა და მახლობელთა შეცოდებებს ფარავდა. მას იმთავითვე არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ამ შეცოდებათა ჩამდენ პირთათვის ან დაესაჯა ისინი. მასთან მომსვლელ ხალხს ისე ექცეოდა ხოლმე, რომ ეს ხალხიც

იძულებული იყო მშვიდად აეტანა პომპეუსის მეგობართა ვერცხლისმოყვარეობა და უხეშობა.

40. ყველაზე უფრო გავლენიანი პიროვნება პომპეუსთან დემეტრიუსი გახლდათ. ის საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ თავისი ბედით მეტისმეტად სარგებლობდა. აი რას მოგვითხრობენ მასზე:

ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე დიდი სახელის მქონე და სიამაყის გრძნობით აღვსილი ფილოსოფოსი კატონი ანტიოქიისაკენ გაემართა სწორედ მაშინ, როდესაც პომპეუსი იქ იყო. კატონს ამ ქალაქის გაცნობა უნდოდა. იგი ჩვეულებისამებრ ფეხით მიდიოდა, მისი მეგობრები კი ცხენებზე ისხდნენ და ისე მიჰყვებოდნენ. ქალაქის კარიბჭესთან მან თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი ხალხის კრებული დაინახა. გზის ერთ მხარეზე ჭაბუკები იყვნენ ჩამწკრივებულნი, მეორეზე კი ბავშვები. კატონმა იფიქრა, ეს საზეიმო შეხვედრა ჩემს საპატივცემლოდაა ალბათ გამართული, თუმცაღა ამის მსგავსი მე არაფერი მჭირდებაო, და გული მოუვიდა. მაგრამ მაინც უბრძანა მეგობრებს ჩამოქვეითებულიყვნენ და მასთან ერთად ფეხით წასულიყვნენ. როცა კატონი და მისი მხლებლები კარიბჭეს მიუახლოვდნენ, მათ შემოეგება საზეიმოდ ჩამწკრივებული ხალხის გამრიგებელი და წინამძღოლი, რომელსაც თავზე გვირგვინი ედგა და ხელთ კვერთხი ეპყრა. მან მოსულთ ჰკითხა: სად დატოვეთ დემეტრიუსი და როდის მოვაო? კატონის მეგობრებმა ამაზე ერთი სიცილ-ხარხარი ატეხეს, კატონმა კი: ოჰ, უბედურო ქალაქოო! — წამოიძახა და გზა განაგრძო ისე, რომ ამაზე მეტი არაფერი უთქვამს.

დემეტრიუსისადმი სხვების ზიზღს პომპეუსი იმით ამსუბუქებდა, რომ დემეტრიუსის თავხედობას მისადმი უსიტყვოდ ითმენდა. ასე, მაგალითად, გადმოგვცემენ: ხშირად, როცა პომპეუსი ლხინის დროს სხვებს ელოდებოდა და სტუმრებს ღებულობდა, დემეტრიუსი უკვე ამაყად იყო წამოწოლილი სუფრასთან და თავზე წამოგდებული ტოგა ყურებამდე ჰქონდა ჩამოფხატული.

ამ დემეტრიუსმა ჯერ კიდევ იტალიაში დაბრუნებამდე რომის გარეუბანში შესანიშნავი სახლები და მშვენიერი გასართობი ადგილები შეიძინა. აქვე ჰქონდა მას მეტად ძვირფასი ბაღები, რომელთაც დემეტრიუსის ბაღებს უწოდებდნენ. პომპეუსი კი, პირიქით, სანამ მესამე ტრიუმფს გადაიხდიდა, მეტისმეტად უბრალო სახლში ცხოვ-

რობდა. საკმაოდ გვიან პომპეუსმა რომაელებს ლომაზი და სახელგანთქმული თეატრი აუგო[75] და მას დამატების სახით თავისი საცხოვრებელიც მიუშენა, რა თქმა უნდა, წინანდელზე უფრო უკეთესი. მაგრამ მის ამ სახლს არავრთარი შური არ გამოუწვევია. ის კი არა, პომპეუსის შემდგომ ამ ბინის ახალი მფლობელი შიგ შესვლისთანავე გაოცდა. მან გაკვირვებით იკითხა: განა სად მიირთმევდა სადილს პომპეუს დიდიო?

აი, ასე მოგვითხრობენ ამ ამბავს.

41. პეტრას[76] მიდამოებში მოსახლე არაბთა მეფე პირველ ხანებში არაფრად აგდებდა რომაელებს, ახლა კი მეტისმეტად შეშინდა და პომპეუსს მისწერა: „გადავწყვიტე ყველაფერში დაგემორჩილო და გავაკეთო ის, რაც შენ გნებავსო“. არაბთა მეფის გადაწყვეტილებაში რომ მტკიცედ დარწმუნებულიყო, პომპეუსი თავისი მხედრობით პეტრასაკენ დაიძრა.

ასეთი ლაშქრობა თითქმის ყველამ გაიცხა. საქმე ის იყო, რომ ფიქრობდნენ: პომპეუსი მითრიდატეს დევნას გაურბის, თუმცაღა დიახაც საჭიროა ამ ძველი მტრის წინააღმდეგ გაილაშქროსო. მით უმეტეს, რომ ეს მტერი კვლავ გამოცოცხლებული და მომზადებული იყო. ის კი არა, ხმები დადიოდა: სკვითთა და პეონთა ქვეყანაზე[77] გავლით მითრიდატეს იტალიაში შეჭრა სურსო. პომპეუსის აზრით კი მისთვის გაცილებით ადვილი იყო მითრიდატეს ძალის გატეხა პირისპირ ომში, ვიდრე მისი შეპყრობა დევნით. ამიტომ მას სრულებითაც არ უნდოდა მტრის ამაო დევნა. იგი სხვა საქმეებს აკეთებდა, რომლებიც ასე თუ ისე მითრიდატეს ომთან იყო დაკავშირებული, და დროს აჭიანურებდა.

ამ საკმაოდ უხერხული მდგომარეობიდან პომპეუსი ბედმა დაიხსნა.

როცა პომპეუსი პეტრას საკმაო მანძილზე მიუახლოვდა, იმავე დღეს ბანაკი დასცა და ბანაკის მახლობლად ცხენზე ვარჯიშობა დაიწყო. ამ დროს პონტოდან შიკრიკები მოვიდნენ და თან ფრიად სასიხარულო ამბავი მოიტანეს. ამას ნათელყოფდა მათი შუბის წვერები, რომლებიც დაფნის ფოთლებით იყო შემოსილი. დაინახეს თუ არა ეს, ჯარისკაცები მყისვე მოზღვავდნენ პომპეუსთან, მაგრამ ამას ჯერ ვარჯიშობის დასრულება უნდოდა. მეომრებმა ყვირილი მორთეს და პომპეუსს ხვეწნა-მუდარა დაუწყეს: ჩქარა გაგვაგებინე, რა-

შია საქმეო. მაშინ პომპეუსი ცხენიდან ჩამოქვეითდა, შიკრიკების მოტანილ წერილს ხელი სტაცა და მეომართა წრის შუაგულში გავიდა. აქ ტრიბუნა არ იყო. ჯარისკაცებმა არც სახელდახელო სალაშქრო ტრიბუნის გაკეთებას დაუცადეს (ამისათვის ისინი ჩვეულებრივ მიწის დიდ ბელტებს აწყობენ ერთმანეთზე). ცნობისმოყვარეობის სწრაფად დაკმაყოფილების სურვილით აღელვებულმა მეომრებმა სასაპალნე ცხენთა უნაგირები ერთმანეთს დააყარეს და შემაღლებული ადგილი გააკეთეს. ამგვარად გამართულ ტრიბუნაზე პომპეუსი ავიდა და ჯარისკაცებს მითრიდატეს სიკვდილი აუწყა: საკუთარი შვილის, ფარნაკეს ღალატის გამო მითრიდატემ თავი მოიკლაო; რაც შეეხება იქაურ მემკვიდრეობას, ის, ვით თავისი წილხვედრი, ფარნაკემ მიისაკუთრა და იტყობინებოდა: ყველაფერი ეს შენი და რომაელების ხათრით მოვიმოქმედეო.

42. ამ ამბით აღფრთოვანებული მხედრობა, რაღა თქმა უნდა, მსხვერპლთშეწირვებსა და საყოველთაო ქეიფ-ნადიმებს მიეცა, თითქოს მითრიდატეს სახით მრავალი ათასი მტერი მოჰკვდომოდა.

პომპეუსი, რომელმაც ასე იოლად და მოულოდნელად დააგვირგვინა თავისი ღვაწლი და ლაშქრობა, დაუყოვნებლივ დაბრუნდა არაბეთიდან, სწრაფად გაიარა გზაზე მდებარე პროვინციები და ამისეში შევიდა. აქ პომპეუსმა მიიღო ფარნაკეს მიერ გამოგზავნილი ურიცხვი საჩუქარი და აგრეთვე სამეფო გვარის კაცთა მრავალი ცხედარი, რომელთა შორის მითრიდატეს გვამიც იყო. პონტოს ყოფილი მეფის ცნობა სახეზე აღარ შეიძლებოდა (მსახურებს შემურვის დროს თავიდან ტვინის ამოღება დავიწყებოდათ). ისინი, ვინც გვამზე დახედვას მოითხოვდნენ, მითრიდატეს მხოლოდ ნაჭრილობევის წყალობით ცნობდნენ. რაც შეეხება პომპეუსს, მეფის ნეშტის ხილვა ვერ აიტანა და ღვთის რისხვის თავიდან ასაცილებლად მითრიდატეს ცხედარი სინოპში გაგზავნა. იგი მეტად განაცვიფრა მეფის ტანსაცმლისა და იარაღის ბრწყინვალებამ, თუმცა მითრიდატეს ხმლის ქარქაში, რომელიც ოთხასი ტალანტი ღირდა, უკვე მოეპარა პუბლიუსს და არიარათესათვის[78] მიეყიდა, ხოლო მითრიდატესთან შეზრდილ გაიუსს მეფის ძვირფასი ჩალმა ფარულად გადაეცა სულას ძის ფაუსტუსისათვის, რომელიც დაქინებით მოითხოვდა ამას. პომპეუსმა მაშინ ამაზე არაფერი არ იცოდა, მაგრამ მერე ფარნაკემ შეიტყო ყველაფერი და ქურდები დასაჯა.

მოაწესრიგა თუ არა იქაური მხარეთა საქმეები, პომპეუსმა უკანა გზა საოცრად დიდი ზარ-ზეიმით გამოიარა.

როცა იგი მიტილენეში შევიდა, თეოფანეს პატივსაცემად ამ ქალაქს თავისუფლება მიანიჭა[79]. პომპეუსი აქ ესწრებოდა წინაპართაგან დაწესებულ პოეტთა ასპარეზობას. ამ პოეტთა სიმღერის საგანი მხოლოდ მისი საგმირო საქმეები იყო. აქაური თეატრით ისე მოიხიბლა რომაელთა მთავარსარდალი, რომ მისი გამოსახულება და გეგმა გადაახატვინა, რათა ამის მსგავსი თეატრი რომშიც აეგო, ოღონდ უფრო დიდი და საუცხოო.

როდესაც ყოფნის დროს პომპეუსი უსმენდა ყველა იქაურ სოფისტს. ყოველ მათგანს საჩუქრად თითო ტალანტი უბოძა. სხვათა შორის, პოსიდონიოსმა ჩაიწერა მერმე ის სიტყვა, რომელიც მაშინ პომპეუსის წინაშე წარმოთქვა და საზოგადო მიმოხილვათა საკითხში მჭევრმეტყველ ჰერმაგორას წინააღმდეგ გაილაშქრა[80].

ათენში პომპეუსმა ასეთივე ყურადღება გამოიჩინა ფილოსოფოსების მიმართ, ქალაქს კი ალსადგენი სამუშაოებისათვის ორმოცდაათი ტალანტი აჩუქა.

პომპეუსი იმედოვნებდა, იტალიაში ისეთი დიდებით შევიდოდა, როგორიც ჯერ არც ერთ მოკვდავს არ ღირსებია, და იხილავდა საუკეთესო შინაურებს, რომელთაც იგი დიდი ხნის მონატრებული ჰყავდათ. მაგრამ ბოროტი სული ყოველთვის ცდილობს ხოლმე ბედის მიერ მინიჭებულ ბრწყინვალებასა და სიდიადეს სიმწარე შეურიოს. და აი, ეს ბოროტი სული უკვე დიდი ხანია ფარულად უმზადებდა პომპეუსს საკმაოდ მწარე დაბრუნებას. საქმე ის იყო, რომ სანამ პომპეუსი სამშობლოდან მოშორებით იმყოფებოდა, მისი მეუღლე მუცია თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა. შინიდან მოშორებით მყოფი პომპეუსი ცოლის საქციელის ირგვლივ დარხეულ ხმებს ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ როცა იტალიას მიუახლოვდა და მოცალეობის ჟამს ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა, მუციას წერილობრივ აუწყა: გეყრებიო. თუ რისთვის გაუშვა ცოლი, ეს არც მაშინ დაუწერია და არც შემდგომ ხანებში უთქვამს ამაზე რამე. მათი გაყრის მიზეზი ციცერონის წერილებშია აღწერილი[81].

43. პომპეუსის გარშემო მრავალგვარი ხმა დადიოდა რომში. მან მეტისმეტად დიდი და საყოველთაო შეშფოთება გამოიწვია. ეგონათ, იგი მყისვე დაძრავდა თავის მხედრობას ქალაქისაკენ და მტკიცე

მონარქიას დაამყარებდა. კრასუსმა[82] მოჰკიდა ხელი თავის შვილებს, წაიღო ქონება და ფარულად გავიდა რომიდან. ეს ან იმიტომ ჩაიდინა, რომ მართლა შეეშინდა, ანდა, რაც უფრო სარწმუნოა, უნდოდა ცილისწამება მეტად დამაჯერებელი ყოფილიყო და პომპეუსისადმი ზიზღი გაეძლიერებინა.

მაგრამ დადგა თუ არა ფეხი პომპეუსმა იტალიის მიწაზე[83], ჯარისკაცები ყრილობაზე მიიწვია და შექმნილი პირობების შესაფერი გამოსასალმებელი სიტყვით მიმართა. მან თავის მეომრებს წინადადება მისცა თავ-თავიანთ ქალაქებში დაბრუნებულიყვნენ და ხელი შინაური საქმეებისათვის მოეკიდათ. თან ისიც უთხრა, არ დავიწყებოდათ ტრიუმფის დროს კვლავ მასთან მისულიყვნენ.

აი, ასე დაიშალა პომპეუსის მხედრობა. ეს ამბავი საყოველთაოდ შეიტყვეს და ამან ფრიად საოცარი შედეგი გამოიწვია. როცა იტალიის ქალაქთა მცხოვრებლებმა დაინახეს განიარაღებული და მცირეოდენი მეგობრებით გარშემოხვეული პომპეუსი, რომელიც უბრალო მოგზაურობიდან დაბრუნებულ კაცსა ჰგავდა, სიყვარულით შეეგებნენ მას და რომამდე გააცილეს. ისე მრავალრიცხოვანი ხალხი მიჰყვებოდა პომპეუსს ქალაქისაკენ, რომ რაიმე ამბოხების მოწყობისა და სახელმწიფო გადატრიალების განზრახვის შემთხვევაში თავისი მხედრობა სრულებითაც არ დასჭირდებოდა.

44. რაკიდა კანონი ტრიუმფამდე ქალაქში შესვლის ნებას არ იძლეოდა, პომპეუსმა თხოვნით მიმართა სენატს ისეთი პატივი ეცათ მისთვის, რომ კონსულთა არჩევნები გადაედოთ, რა არის ამ არჩევნებს თვითონაც დასწრებოდა და პიზონის კონსულობისათვის დაეჭირა მხარი[84]. ამ თხოვნის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა კატონმა[85] და პომპეუსის სურვილი შეუსრულებელი დარჩა.

პომპეუსი მეტად გააკვირვა კატონის გულახდილობამ და გამბედაობამ. ამის წყალობით მხოლოდ იგი გამოვიდა აშკარად კანონიერების სადარაჯოზე. პომპეუსმა განიზრახა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ეს კაცი თავის მხარეზე გადაებირებინა. კატონს ორი დისშვილი ჰყავდა. პომპეუსმა გადაწყვიტა ერთი მათგანი თვითონ შეერთო ცოლად, მეორე კი თავის ვაჟზე დაექორწინებინა. კატონმა ფრიად დიდი ეჭვის თვალით შეხედა ამ სურვილს. იგი ფიქრობდა: ამ ხერხით პომპეუსს ჩემი გადაბირება სწადია და დანათესაობის წყალობით უნდა მომისყიდოსო.

კატონის დასა და მეუღლეს ფრიად ეწყინათ, რომ მან პომპეუს დიდთან დამოყვრებაზე უარი თქვა. ამასობაში პომპეუსი აფრანიუსის კონსულად გაყვანას ცდილობდა და საამისოდ ფულს ტრიბების მიხედვით დაუზოგავად ხარჯავდა. არჩევნებში მონაწილე ტრიბები ფულს მის ბაღში ღებულობდნენ.

ეს ამბავი ქვეყანამ გაიგო და პომპეუსს გაკიცხვა დაუწყეს, რომ იგი ისეთ უდიდეს თანამდებობას, რომელსაც თვითონ დიდ გამარჯვებათა ფასად მიაღწია, გასაყიდ რამედ აქცევდა იმ ადამიანთათვის, რომელთაც მისი მოპოვება პირადი დამსახურებით არ შეეძლოთ. „აი, ხედავთ, — უთხრა მაშინ კატონმა თავის დასა და მეუღლეს, — ასეთ სამარცხვინო საქმეთა თანამოზიარედ გახდებოდა ისიც, ვინც პომპეუსთან დამოყვრებას მოინდომებდა!“ როცა ქალებმა ეს გაიგონეს, მიხვდნენ, რომ კატონს მათზე უკეთ ესმოდა, თუ რის გაკეთება სჯობდა.

45. პომპეუსის ტრიუმფი ეგზომ დიდი და ბრწყინვალე იყო, რომ, მიუხედავად იმისა, ზეიმის გადახდა ორ დღეზე განაწილდა, დრო მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. ბევრი რამ ისეთი, რაც ამგვარი დღესასწაულის განსადიდებლად და შესამკობად გამოდგებოდა, საყოველთაო სანახაობაზე არ გამოუტანიათ.

ზეიმის დროს წინ მოჰქონდათ დაფები იმ ქვეყნებისა და ხალხების სახელთა აღნიშვნით, რომელნიც პომპეუსმა დაამარცხა და რომლებზედაც გამარჯვების ტრიუმფს იხდიდა. ეს იყო: პონტო, სომხეთი, კაპადოკია, პაფლაგონია, მიდია, კოლხეთი, იბერები, ალბანები, სირია, კილიკია, მესოპოტამია, ფინიკიისა და პალესტინის ტომები, იუდეა, არაბეთი და ხმელეთსა თუ ზღვაზე განადგურებული მეკობრეთა რაზმები. აქვე იყო აღნიშნული, რომ პომპეუსმა ამ ქვეყნებში აიღო ათასამდე ციხე-სიმაგრე და თითქმის ცხრაასი ქალაქი, რომ მან ხელთ იგდო ზღვის ყაჩაღთა რვაასი ხომალდი და დააარსა ოცდაცხრამეტი ქალაქი. გარდა ამისა, დაფებზე გაკეთებული წარწერები იუწყებოდნენ: სახელმწიფოს სახარკო შემოსავალი, რომელიც აქამდე ორმოცდაათ მილიონ დრაქმას აღწევდა, პომპეუსის მიერ რომისადმი დაქვემდებარებული ქვეყნების წყალობით ოთხმოცდახუთ მილიონ დრაქმამდე გაიზარდაო. სახელმწიფო ხაზინაში ლითონის ფულის, ოქროსა და ვერცხლის ნივთების სახით შეტანილ იქნა ოცი ათასი ტალანტი იმის ჩაუთვლელად, რაც ჯარისკაცებს დაურიგდათ.

თითოეულმა მათგანმა კი სულ ცოტა ათას ხუთასი დრაქმა მიიღო.

მეკობრეთა მეთაურების გარდა ტრიუმფში მიდიოდნენ შემდეგი ტყვეები: სომხეთის მეფის ტიგრანის ძე ცოლითა და ქალიშვილით, თვითონ ტიგრანის მეუღლე ზოსიმა, იუდეველთა მეფე არისტობულე, მითრიდატეს დაი და ხუთი შვილი[86], მრავალი სკვითი ქალი და აგრეთვე ალბანების, იბერებისა და კომაგენელთა[87] მეფის მძევლები. ზეიმზე მოჰქონდათ უამრავი ნადავლიც. მათი რიცხვი ზუსტად უდრიდა ყველა იმ ბრძოლას, რომელშიაც გამარჯვება ან თვითონ პომპეუსმა, ანდა მისმა სარდლებმა მოიპოვეს.

მაგრამ ყველაზე უფრო მეტად პომპეუსის სახელს შარავანდედით მოსავდა ისეთი რამ, რაც არც ერთ რომაელს არ ღირსებია: იგი მესამე ტრიუმფს იხდიდა ქვეყნის მესამე ნაწილზე გამარჯვების გამო! სამგზის ტრიუმფი, რა თქმა უნდა, სხვებსაც ჰქონდათ გადახდილი, მაგრამ საქმე ის იყო, რომ პირველი ტრიუმფი, რომელიც პომპეუსმა გადაიხადა, ლიბიაზე გამარჯვებისა იყო, მეორე ევროპაზე გამარჯვებისა, ხოლო მესამესა და უკანასკნელ ტრიუმფს იგი აზიაზე გამარჯვებისათვის იხდიდა. ასე ჩანდა, თითქოს სამი ტრიუმფით მთელი დასახლებული სამყაროს დამორჩილებას ზეიმობდა.

46. ამ დღესასწაულის დროს პომპეუსი, იმ პირთა აზრით, რომლებიც მას ყოველმხრივ ალექსანდრეს[88] ამსგავსებდნენ, ასაკით ოცდათოთხმეტ წელზე უფრო ნაკლებისა იყო. სინამდვილეში კი უკვე ორმოც წელს უახლოვდებოდა.

მეტად იღბლიანი კაცი იქნებოდა პომპეუსი, მაშინ რომ მომკვდარიყო, როცა ყველაფერში ალექსანდრეს ბედი ეწია. ტრიუმფის გადახდის შემდეგ დაუნდობელმა დრომ შურის გამომწვევი ბედნიერება და განუკურნებელი უიღბლობა მოუტანა. მან ფრიად ღირსეულ საქმეთა შესრულებით მოიპოვა რომში გავლენა, მაგრამ ამ გავლენას საკმაოდ უსამართლოდ იყენებდა სულ სხვა ხალხის გულისთვის. ასე რომ რამდენადაც ამ ხალხს ძალას ანიჭებდა, იმდენად საკუთარ სახელს იმცირებდა; ამგვარად, მისთვის სრულიად შეუმჩნეველად, საკუთარმა ძლიერებამ და დიდმა გავლენამ იგი დიდების კვარცხლბეკიდან ძირს დასცა. ვით მტრის ხელში ჩავარდნილი გამაგრებული უბნები და ციხე-სიმაგრენი ქალაქისა ახალ პატრონებს ძალ-ღონეს ჰმატებს, ისე კეისარი აღზევდა რომში პომპეუსის ძლე-

ვამოსილების წყალობით და ის კაცი, რომლის შემწეობითაც სხვებზე მბრძანებლობა მოიპოვა, სავსებით გაანადგურა. მოხდა ეს შემდეგნაირად.

პომპეუსის მიერ შეურაცხყოფილი ლუკულუსი აზიიდან რომ დაბრუნდა, სენატმა ბრწყინვალე მიღება გაუმართა მაშინვე და წინადადება მისცა, ასევე ახლახან დაბრუნებული პომპეუსის სახელისათვის ფროების შეკეცვის მიზნით, სახელმწიფოს საქმეებისათვის მოეკიდა ხელი. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მოთენთილი და სახელმწიფო მოღვაწეობისადმი გულგაგრილებული ლუკულუსი მხოლოდ დროს ტარებასა და ფუფუნებაზე ფიქრობდა, იგი მყისვე აღსდგა პომპეუსის წინააღმდეგ, თავგამოდებით შეებრძოლა იმ განკარგულებათა გულისათვის, რომლებიც პომპეუსმა გააუქმა[89], და დაამარცხა იგი. კატონის დახმარებით ლუკულუსმა სენატშიაც პირველობა მოიპოვა.

უკუგდებული და ყოველმხრივ შევიწროებული პომპეუსი იძულებული გახდა დახმარებისათვის საბალხო ტრიბუნებთან მისულიყო და ბიჭბუჭებს მიჰკედლებოდა. ამათ შორის ყველაზე უფრო საძაგელი და თავხედი იყო კლოდიუსი[90]. მან ადვილად მოიქცია ხელში პომპეუსი და უბრალო ხალხის ნება-სურვილს მიუგდო. კლოდიუსი არად აგდებდა პომპეუსის დიად ღირსებას და სახელმოხვეჭილ სარდალს ფორუმზე აქეთ-იქით დააწოწიალებდა, რა არის პომპეუსს მხარი დაეჭირა ყველაფერში, რასაც თვითონ ბრბოს გულის მოსაგებად და თვალთმაქცობისათვის სწერდა და აცხადებდა. კლოდიუსს თავი ისე ეჭირა, თითქოს კი არ არცხვენდა პომპეუსს, არამედ დახმარებას უწევდა. ამიტომ მისგან სამაგიეროს მოითხოვდა; ეს სამაგიერო კიდეც მიიღო შემდგომში. სახელდობრ, კლოდიუსი სთხოვდა ეღალატა ციცერონისთვის, რომელმაც პომპეუსს დიდი სიკეთე დასდო. როცა საფრთხეში ჩავარდნილმა ციცერონმა დახმარებისათვის პომპეუსს მიმართა, ის არც კი დაენახვა მას; ის კი არა, საშუამდგომლოდ მისულ ხალხს კარი ჩაუკეტა და თვითონ სხვა კარიდან გავიდა. მოსალოდნელი გასამართლების შიშით შემკრთალი ციცერონი იძულებული გახდა მალულად წასულიყო რომიდან.

47. სწორედ ამ დროს ლაშქრობიდან დაბრუნდა კეისარი[91] და ისეთი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა, რომელმაც იმქამად დიდი წყალობა, ხოლო შემდგომში განუსაზღვრელი ძლიერება მოუპოვა; მაგ-

რამ პომპეუსისა და რომის რესპუბლიკისათვის ეს პოლიტიკური ნაბიჯი ფრიად საბედისწერო გამოდგა. კეისარი პირველად ცდილობდა მაშინ კონსულის თანამდებობის მოპოვებას. იგი ხედავდა, კრასუსი და პომპეუსი სამტროდ იყვნენ გადაკიდებული და მათი შერიგება გადაწყვიტა. ეს თავისთავად კეთილშობილი საქმე და სასარგებლო პოლიტიკური ნაბიჯი იყო, მაგრამ ამავე დროს მეტისმეტად ბოროტ მიზანს ისახავდა და კეისარმაც ფრიად მოხერხებული ცბიერებით განახორციელა.

აქამდე მთელი ძალა რომში, ვით ხომალდზე ტვირთი, ორად იყო გაყოფილი, ისე რომ სახელმწიფოში თუკი რამე გადახრა იქნებოდა, ძალის ასეთი განაწილება წონასწორობას ამყარებდა. მაგრამ ახლა ამ ძალამ ერთ წერტილში მოიყარა თავი, გაერთიანდა, ხოლო რაკი საწინააღმდეგო ძალა აღარ ჩანდა, თანაფარდობაც დაირღვა. ამან რომის რესპუბლიკა შეარყია და ძირს დასცა. იმ ხალხს, ვინც ამბობდა: ქალაქი კეისარსა და პომპეუსს შორის შემდგომში ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ დაღუპაო, კატონი ეუბნებოდა, რომ შეცდომა იყო ამ ამბის მიზეზად ამ უკანასკნელი გარემოების აღიარება. კეისარსა და პომპეუსს შორის არსებული შფოთი და მტრობა კი არა, არამედ სწორედ მათი შეკავშირება და თანხმობა გახდა სახელმწიფოს უბედურების პირველი და უდიდესი მიზეზიო, — ამბობდა კატონი.

ასე იყო თუ ისე, კეისარი აირჩიეს კონსულად. უპოვართა და ღარიბთა გულის მოსაგებად მან დაუყოვნებლივ შემოიტანა წინადადება ახალშენთა დაარსებისა და ადგილ-მამულთა დაყოფა-განაწილების შესახებ. ამით იგი თავის საპატიო რწმუნებას ამცირებდა და კონსულობას ერთგვარად სახალხო ტრიბუნის მოვალეობას უახლოებდა. ამის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა მისმა თანაკონსულმა ბიბულუსმა. კატონიც თავგამოდებულად ცდილობდა მთელი ძალღონით დახმარებოდა ბიბულუსს. მაშინ კეისარმა ხელი მოჰკიდა პომპეუსს, საჯაროდ ტრიბუნაზე შეაყენა და ჰკითხა: იწონებ თუ არა ჩემს კანონებსო? პომპეუსმა დასტური მისცა. „ვინმემ რომ ამ კანონთა წინააღმდეგ ხელი აღმართოს, — ჰკითხა მერმე კიდევ კეისარმა, — დაეხმარები თუ არა ხალხსო?“ „დიახ, ყველაფრით დავეხმარები, — უპასუხა პომპეუსმა, — და იმათ წინააღმდეგ, ვინც მახვილით დაგვემუქრება, მეც მახვილითა და ფარით გამოვალო!“.

ასეთი მრისხანე რამ ამ დღემდე არც სიტყვით უთქვამს ოდესმე

პომპეუსს და არც საქმით შეუსრულებია. ამიტომ იყო, რომ მეგობრები ამართლებდნენ: პომპეუსმა ეს სიტყვა მოუფიქრებლად წამოისროლა მაშინო. მაგრამ ყველაფერი, რაც პომპეუსმა ამის შემდეგ ჩაიდინა, იოლი დადასტურება იყო იმისა, რომ იგი კეისრის სრული მორჩილი გახდა. მცირე ხნის შემდგომ, ყველასათვის მოულოდნელად, მან ცოლად შეირთო კეისრის ასული იულია, რომელიც დანიშნული იყო ცეპიონზე[92] და რამდენიმე დღის შემდეგ კიდეც უნდა გაჰყოლოდა მას; გამწყრალი ცეპიონის დასამშვიდებლად პომპეუსმა პირობა დასდო, რომ მას მიათხოვებდა თავის ქალს, რომელიც აგრეთვე უკვე დანიშნული იყო სულას ვაჟზე ფაუსტუსზე. თვითონ კეისარმა კი ცოლად შეირთო პიზონის ასული კალპურნია.

48. ამის შემდეგ პომპეუსმა ქალაქი ჯარისკაცებით გაავსო და ყველაფერს ძალით იმორჩილებდა. მისი მეომრები ანაზდეულად თავს დაესხნენ კონსულ ბიბულუსს, რომელიც ლუკულუსსა და კატონთან ერთად ფორუმზე მიდიოდა და მის ლიქტორებს წკეპლის კონები დაუმტვრიეს; ერთმა მეომარმა კი ბიბულუსს ნეხვით სავსე კალათი ზედ თავზე დაამხო; მისი თანმხლები ორი სახალხო ტრიბუნიც[93] დაჭრეს. მოწინააღმდეგეთაგან ფორუმის გაწმენდის შემდეგ მოკავშირეებმა დაამტკიცეს ადგილ-მამულის დანაწილების კანონი. ამ ხერხით მოტყუებული ხალხი ყველაფერში მათი მორჩილი და გამგონი გახდა, იგი მათ წინააღმდეგ მიმართულ არც ერთ მოძრაობაში არ ერეოდა და მოკავშირეთა ყველა გადაწყვეტილებას დუმილით აძლევდა ხმას.

ამის წყალობით დამტკიცდა პომპეუსის ის განკარგულებანი, რომელთა წინააღმდეგ ლუკულუსი ილაშქრებდა; სახელდობრ, კეისარმა ხუთი წლის ვადით საგამგებლოდ მიიღო ალპებს იმიერ და ამიერ გალია, ილირია და ოთხი სრული ლეგიონისაგან შემდგარი მხედრობა[94]; გარდა ამისა, მომავალი წლისათვის[95] კონსულებად უნდა ყოფილიყვნენ კეისრის სიმამრი პიზონი და პომპეუსის ყველაზე უფრო უტიფარი მლიქვნელი გაბინიუსი.

ამ ღონისძიებათა გატარების დროს კონსული ბიბულუსი სახლში ჩაიკეტა და თავისი კონსულობის რვა თვის მანძილზე გარეთ არ გამოსულა. იგი მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რომ კეისრისა და პომპეუსის წინააღმდეგ მიმართულ ბრძანებებს აგზავნიდა, რომლებიც აღსავსე იყო ლანძღვა-გინებითა და ბრალდებებით[96]. კატონი,

თითქოს ღვთის მიერ იყო შეგონებული, სენატში ქალაქისა და პომპეუსის ბედს წინასწარმეტყველებდა. რაც შეეხება ლუკულუსს, სახელმწიფო საქმეებზე ხელი აიღო და მშვიდ ცხოვრებას მიეცა იმ საბაბით, თითქოს მისი ასაკი პოლიტიკურ მოღვაწეობას აღარ შეეფერებოდა. მართალია, ამაზე პომპეუსმა შენიშნა: მოხუცს ნებიერი ცხოვრება ნაკლებ შეეფერის, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწეობაო, მაგრამ სულ ჩქარა ახალგაზრდა ცოლის ხიყვარულის წყალობით ოვითონაც განცხრომას მიეცა; იგი მთელ დღეებს მასთან ერთად ატარებდა საკუთარ მამულსა და ბაღებში, ხოლო რა ხდებოდა ფორუმზე, ოდნავადაც არ ადარდებდა. ამის გამო მაშინდელმა სახალხო ტრიბუნმა კლოდიუსმა ათვალწუნებით დაუწყო ცქერა პომპეუსს და თავხედურ საქმეთა შესრულებას შეუდგა. მან რომიდან გააძევა ციცერონი, ხოლო კატონი სამხედრო ლაშქრობის საბაბით კიპროსზე გაგზავნა. როცა კეისარი გალიაში გაემგზავრა, კლოდიუსმა დაინახა, რომ ხალხი, რომლის საამებლად იგი ესოდენ იღვწოდა, მისდამი ერთგულად იყო განწყობილი, ამიტომ დაუყოვნებლივ შეუდგა პომპეუსის ზოგიერთი დადგენილების გაუქმებას. მან მოიტაცა ტყვე ტიგრანი და საკუთარ სახლში დამალა; გარდა ამისა, კლოდიუსი სამართალში აძლევდა პომპეუსის მეგობრებს, რათა მათზე ესინჯა პომპეუსის ძალა. ბოლოს, როცა ერთხელ რაღაც საქმის გამო შემდგარ სასამართლოს სხდომას პომპეუსი ესწრებოდა, უტიფრობითა და თავხედობით აღსავსე ადამიანთა ჯგუფით გარშემოხვეული კლოდიუსი გამოსაჩენ ადგილზე შედგა და თავის მხლებლებს ასეთი კითხვებით მიმართა: „ვინ არის გარყვნილი იმპერატორი? ვინ არის ის კაცი, რომელიც მამაკაცებს დაეძებს? ვინ იფხანს თავს ერთი თითით?“ გარეწართა ბრბო კარგად გაწაფული გუნდივით ყოველ კითხვაზე, როცა კი კლოდიუსი ტოგას შეარხევდა, ყვირილით იძლეოდა პასუხს: „პომპეუსია ეგ კაცი, პომპეუსიო!“.

49. ყველაფერი ეს საკმაოდ აღიზიანებდა პომპეუსს. იგი ჩვეული არ იყო შეურაცხმყოფელი სიტყვების მოსმენას და არცოუ ამდაგვარ ბრძოლაში იყო გამოცდილი. მაგრამ ყველაზე მეტი მწუხარება მაშინ განიცადა, როცა დაინახა, სენატს უხაროდა მისი შეურაცხყოფა და ის, რომ ციცერონის ღალატისათვის ისჯებოდა.

ერთხელ ფორუმზე საქმე ხელჩართულ ბრძოლამდეც კი მივიდა და ზოგიერთები კიდეც დაჭრეს. კლოდიუსის ერთმა მონამ ამ დროს

თავმოყრილი ბრბო გაარღვია და შემართული მახვილით პომპეუსთან მიიჭრა. პომპეუსმა ეს ამბავი საბაბად გამოიყენა და გადაწყვიტა მანამდის არ გამოსულიყო ფორუმზე, სანამ კლოდიუსი თანამდებობაზე იქნებოდა მისი თავხედობისა და ცილისწამების ასაცდენად. ეს დრო მან შინ ჩაკეტილმა გაატარა... აქ იგი მეგობრებთან ერთად ბჭობდა იმაზე, თუ როგორ დაემშვიდებინა სენატისა და წარჩინებულთა ფენის რისხვა, რომელიც მის წინააღმდეგ იყო მიმართული. კულეონმა ურჩია გაჰყოლოდა იულიას, ხელი აეღო კეისართან მეგობრობაზე და სენატის მხარეზე გადასულიყო. პომპეუსი ამაზე არ დათანხმდა. სამაგიეროდ დაუჯერა იმ ადამიანების სიტყვებს, რომლებიც მოითხოვდნენ კლოდიუსის უდიდესი მტრის და სენატისათვის უძვირფასესი ადამიანის ციცერონის უკან დაბრუნებას.

პომპეუსმა დიდი ამალის თანხლებით ფორუმზე გაიყვანა ციცერონის ძმა, რომელსაც ხალხისთვის თხოვნით უნდა მიემართა. აქ შეტაკება გაიმართა. ბევრი დაიჭრა; ზოგიერთი კიდეც მოკლეს; მაგრამ ბოლოს პომპეუსმა კლოდიუსზე გაიმარჯვა.

გადაწყვეტილების ძალით ციცერონი კვლავ დაბრუნდა რომში. მან არათუ მაშინვე შეარიგა სენატი პომპეუსთან, არამედ პურის კანონისათვის მხარის დაჭერით[97] პომპეუსი ისევ გახადა ერთგვარი ბატონ-პატრონი ხმელეთსა და ზღვაზე, რომლებიც რომაელებს ეკუთვნოდა. ამ კანონის ძალით პომპეუსის ხელქვეითობაში აღმოჩნდა: ნავსადგურები, ყველა სავაჭრო ადგილი, ხილის ყიდვა-გაყიდვის საქმე, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ყველაფერი ის, რაც მეზღვაურთა და მიწის მუშაკთა საქმიანობაში შედიოდა. კლოდიუსი ბრალს სდებდა პომპეუსს და გაიძახოდა: პურის სიმცირის გამო კი არ დაიწერა ეს კანონი, არამედ იმიტომ, რომ ახალი დიდი რწმუნების წყალობით გამოცოცხლდეს და აღდგეს პომპეუსის მიმქრალი ძლიერება; სურსათის ნაკლებობა სწორედ ამისთვისაა განზრახ გამოწვეულიო. სხვები კი ამტკიცებდნენ, ეს კონსულ სპინთერის მოგონილი ხერხია[98]. სპინთერს უნდა მაღალი თანამდებობით შებოჭოს პომპეუსი, რათა მეფე პტოლემეოსის დასახმარებლად თვითონ გაგზავნონო[99].

ასე იყო თუ ისე, სახალხო ტრიბუნმა კანიდიუსმა შემოიტანა წინადადება ეგვიპტეში სწორედ პომპეუსი წასულიყო, ოღონდ მხედრობის გარეშე, მხოლოდ ორი ლიქტორის თანხლებით, და მეფე ალექსანდრიელებთან შეერიგებინა. როგორც ჩანდა, ამ წინადადე-

ბით პომპეუსი უკმაყოფილო არ იყო, მაგრამ იგი უკუაგდო სენატმა და თავის გასამართლებლად მოიმიზეზა: შესაძლოა ასეთი დიდი კაცი, როგორც პომპეუსია, განსაცდელში ჩავარდესო. მაგრამ იმ ბარათებში, რომლებიც ფორუმზე და კურიის წინ აღმოაჩინეს მიმობნეული, პტოლემეოსი თხოულობდა მისთვის სპინთერის ნაცვლად პომპეუსი მიეცათ სარდლად.

ტიმაგენე[100], სხვათა შორის, ამბობს, პტოლემეოსი სრულიად უსაფუძვლოდ ჩამოვიდა რომში და ეგვიპტე თეოფანეს წაქეზებით დატოვეო; თეოფანე მოწადინებული იყო პომპეუსისათვის გამდიდრებისა და ახალი მხედრობის სათავეში ჩადგომის საშუალება მიეცაო. ეს ამბავი ერთი მხრივ თეოფანეს გაიძვერობის გამო თითქოს სარწმუნო იყო, მაგრამ პომპეუსის ხასიათი მას დაუჯერებელს ხდიდა. პომპეუსს ვერაგული და ფლიდი პატივმოყვარეობა როდი ახასიათებდა.

50. დანიშნეს თუ არა პურის მორეწისა და დანაწილების საქმის მეთაურად, პომპეუსმა ყოველ მხარეს გაგზავნა თავისი ლეგატები და მეგობრები; თვითონ კი სიცილია, სარდინია და ლიბია შემოიარა და აქ პურის შეგროვებას შეუდგა.

როცა იგი ამ ქვეყნებში გამგზავრებას აპირებდა, ზღვაზე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. მესაჭეებმა ყოყმანი დაიწყეს. მაშინ პომპეუსი პირველი ავარდა ხომალდზე; მან ბრძანება გასცა ღუზა აეშვათ და დაიყვირა: „ზღვაში გასვლა აუცილებელია, სიცოცხლე კი სრულებით არაა აუცილებელიო!“ ასეთი მამაცობისა, თავგამოდებისა და თანაც ბედის წყალობით პომპეუსმა ბაზრები პურით აავსო, ხოლო ზღვა ხომალდებით გაჭედა. ამგვარი მომარაგების მიზეზით რომაელთა მეზობელ ხალხებსაც კი ჭარბად ჰქონდათ პური: ეს მომარაგება დაუშრეტელი წყაროს ნაკადებივით მოეფინა ყველგან.

51. ამავე ხანებში გალიაში წარმოებულმა ომებმა ფრიად დიდი სახელი მოუხვეჭა კეისარს. ასე ჩანდა, თითქოს რომიდან მეტად მოცილებული მხოლოდ ბელგებთან, სვებებთან და ბრიტანელებთან ბრძოლით იყო გართული; სინამდვილეში კი სხვებისათვის შეუმჩნეველად და ოსტატურად რომაელი ხალხის გადაბირებას ახერხებდა და ფრიად მნიშვნელოვან საქმეებში პომპეუსს ხელს უშლიდა. თავის ჯარს ისე უვლიდა კეისარი, როგორც ცოცხალ სხეულს. როცა ბარბაროსთა წინააღმდეგ საბრძოლველად მიჰყავდა მხედრობა, ეს მარ-

ტო ამ ბარბაროსებთან ომი კი არ იყო, არამედ წვრთნა და გეშვა ნადირზე, რათა თავისი ჯარი დაუძლეველი და თავზარდამცემი გაეხადა. ოქრო-ვერცხლსა თუ სხვა ნადავლს, რაც კი იმდენ ომებში მოიპოვა, კეისარი რომში აგზავნიდა და საჩუქართა გაბოძებით ედილებს, პრეტორებს, კონსულებსა და მათ ცოლებს ქრთამავდა. ამის წყალობით იგი მრავალ მომხრეს იძენდა. აი, ამიტომ იყო, როცა კეისარმა ალპები გადმოლახა და გამოსაზამთრებლად ლუკაში დაიბანაკა, ერთიმეორეზე მოყოლებით გაემართა მასთან კაცთა და ქალთა მრავალი კრებული. აქვე გამოცხადდა ორასი სენატორი, რომელთა შორის პომპეუსიცა და კრასუსიც იყვნენ. კეისრის სადგომი ბინის კარის წინ პროკონსულთა და პრეტორთა ას ოცი სალიქტორო წკეპლის კონა მოჩანდა[101].

კეისარმა ყველანი იმედებითა და საჩუქრებით აავსო და უკან გაისტუმრა. რაც შეეხება კრასუსსა და პომპეუსს, მათთან ხელშეკრულება დადო: კრასუსსა და პომპეუსს კონსულობა უნდა მოეთხოვათ; კეისარი მათ დაეხმარებოდა იმით, რომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მრავალ ჯარისკაცს გაგზავნიდა. ესენი თავიანთ ხმას კრასუსსა და პომპეუსს მისცემდნენ. აირჩევდნენ თუ არა კონსულებად, კრასუსსა და პომპეუსს როგორმე მაშინვე უნდა ხელთ ჩაეგდოთ პროვინციებისა და ჯარების უფროსობა, ხოლო კეისრისათვის შემდგომი ხუთი წლითაც უნდა გაეგრძელებინათ იმ პროვინციებისა და მხედრობის გამგებლობის უფლება, რომელთა სათავეშიც იგი ახლა იდგა.

ეს ამბავი მყისვე მოედო მთელ ხალხს. რომის წარჩინებულნი მეტად დიდი გულისწყრომით შეხვდნენ ასეთ შეთანხმებას. სახალხო კრების მიმდინარეობის დროს მარცელინუსი[102] ფეხზე წამოდგა და კრასუსსა და პომპეუსს ჰკითხა: მართლა მოითხოვთ თუ არა კონსულობასო? ხალხი პასუხს მოითხოვდა. პირველად პომპეუსმა გასცა პასუხი: შეიძლება მოვითხოვო, შეიძლება არაო. კრასუსმა უფრო მოქნილად უპასუხა: ისე მოვიქცევი, როგორც, ჩემი აზრით, უკეთესი იქნება საერთო საქმისათვისო. მარცელინუსი პომპეუსს არ მოეშვა და ფრიად მკვახედ შეეკამათა. მაშინ პომპეუსმა თქვა: „მარცელინუსი ყველაზე უსამართლო კაცია ადამიანთა შორის და თანაც უმადური, თუმცა ამ მუნჯმა ლაპარაკიც ჩემი შემწეობით ისწავლა და მშიერი კუჭიც ჩემი წყალობით ამოივსო გასკდომამდეო!“.

52. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, კონსულის თანამდებობის მოთხოვნაზე, პომპეუსისა და კრასუსის გარდა, ყველამ ხელი აიღო. მხოლოდ ლუციუს დომიციუსი დარჩა, რომელსაც კატონი არწმუნებდა და ამხნევებდა, კონსულობის მოთხოვნაზე უარი არ ეთქვა. კატონი მას ეუბნებოდა: „ამ ტირანებს თანამდებობის გამო კი არ ვებრძვით, არამედ თავისუფლებისათვისო". პომპეუსის მომხრეებს კი კატონის სიფიცხისა მეტისმეტად ეშინოდათ: ვაითუ კატონმა, რომლის მხარეზე მთელი სენატია, ხალხის ჯანსაღი ნაწილი მოგვწყვიტოს და გადაიბიროსო. აი, ამიტომ მათ დომიციუსს ნება არ მისცეს ფორუმზე გამოცხადებულიყო არჩევნების დროს და მის წინააღმდეგ შეიარაღებული კაცები გაგზავნეს, რომლებმაც მოკლეს ჩირაღდნით ხელში წინ მომავალი დომიციუსის ერთი მხლებელი, დანარჩენები კი უკუაქციეს. მარჯვენა იდაყვში დაჭრილმა კატონმა, რომელიც დომიციუსს წინ ედგა და იცავდა, ყველაზე ბოლოს დაიხია უკან.

აი, ასეთი გზით მიაღწიეს კონსულობას პომპეუსმა და კრასუსმა[103]; მაგრამ არც სხვა შემთხვევებში მოქცეულან ისინი უკეთესად. უწინარეს ყოვლისა, როცა ხალხი კატონს პრეტორად ირჩევდა და უკვე ხმას აძლევდა, პომპეუსმა ავის მომასწავებელი ნიშნები მოიმიზეზა და სახალხო კრება დაშალა. ხოლო მერმე პომპეუსმა და კრასუსმა ტრიბები მოისყიდეს და კატონის ნაცვლად ვატინიუსი აირჩიეს პრეტორად[104].

ამის შემდგომ სახალხო ტრიბუნ ტრებონიუსის შემწეობით გაატარეს კანონები, რომელთა ძალითაც კეისარს, როგორც ლუკაში შეთანხმდნენ, კვლავ ენიჭებოდა ხუთი წლით საგამგებლო უფლება, კრასუსს ეძლეოდა სირია და პართების წინააღმდეგ ლაშქრობის მეთაურობა, ხოლო პომპეუსს — მთელი ლიბია, ორივე ესპანეთი[105] და ჯარისკაცთა ოთხი ლეგიონი. აქედან ორი ლეგიონი პომპეუსმა დაუთმო კეისარს, რომელიც მათ გალიის ომისათვის მოითხოვდა.

კონსულობის ვადის გასვლის შემდეგ კრასუსმა დატოვა რომი და წავიდა თავის საგამგებლო მხარეში. პომპეუსმა კი ამ დროს საკუთარი ძალებით აგებული თეატრის კურთხევა მოაწყო. ამისთვის მან გამართა საძალოსნო და სამუსიკო ასპარეზობანი და აგრეთვე დიდი ნადირობაც, რომლის დროსაც დახოცეს ხუთასი ლომი. გარდა ამისა პომპეუსმა ხალხს მოუწყო სპილოების ბრძოლაც, რაც ყველაზე უფრო შემაძრწუნებელ სანახაობად ითვლება[106].

53. ასეთი გულუხვობისათვის პომპეუსმა საკვირველი პატივი და სიყვარული მოიპოვა, მაგრამ ამასთან ერთად საკმაო გულისწყრომაც დაიმსახურა. საქმე ის იყო, რომ მან საგამგებლო ოლქებსა და ჯარებზე უფროსობა თავის ერთგულ ლეგატებს გადასცა, თვითონ კი იტალიის მშვენიერ ადგილებში მიდი-მოდიოდა და დროს ცოლთან ერთად ატარებდა; შესაძლოა, მას უყვარდა ცოლი ანდა შეიძლება ცოლს უყვარდა იგი და ამიტომ ვერ შორდებოდა. სხვათა შორის, ამასაც ამბობენ და ისიც საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ქალს მგზნებარე სიყვარულით უყვარდა უკვე საკმაოდ ხანში შესული პომპეუსი. ასეთი სიყვარულის მიზეზი ქალის მხრივ, როგორც ჩანს, ნაწილობრივ მისი ქმრის თავდაჭერილობა გახლდათ, — პომპეუსი ცოლის სრული ერთგული იყო, — ნაწილობრივ კი ამავე ადამიანის ამაყი სიდარბაისლე, რომელიც სისასტიკეში კი არ გადადიოდა, არამედ სასიამოვნო ხდებოდა სხვებთან ურთიერთობაში და ქალებს მეტისმეტად ხიბლავდა. აი ასეთი იყო პომპეუსი, თუკი ჩვენ ჭეშმარიტებად მივიჩნევთ ჰეტერა ფლორას აზრს[107].

ერთხელ, ედილთა არჩევნების დროს, ფორუმზე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. პომპეუსი, რომლის თვალწინ მრავალი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს, ისე შეიღება სისხლით, იძულებული გახდა ტანისამოსი გამოეცვალა. გასვრილი ტანსაცმელი მსახურებმა წაიღეს და ისეთი ხმაური და სირბილი ატეხეს პომპეუსის სახლში, რომ მის ახალგაზრდა ცოლს, რომელიც მაშინ ფეხმძიმედ იყო, ქმრის გასისხლიანებული ტოგის დანახვაზე გული წაუვიდა და გონზე ძლივ-ძლივობით მოვიდა, მაგრამ მეტისმეტი მღელვარებისა და შიშისაგან მუცელი მოსწყდა. აი, ამის გამო ისინიც კი, რომლებიც პომპეუსის მეგობრობას კეისრისადმი სასტიკად კიცხავდნენ, მისი ცოლის სიყვარულზე ცუდს ვერაფერს ამბობდნენ.

პომპეუსის მეუღლე ერთხელ კიდევ დაორსულდა და ქალიშვილი შეეძინა, მაგრამ მშობიარობას გადაჰყვა. დედის სიკვდილის შემდეგ არც ბავშვს უცოცხლია დიდხანს.

პომპეუსი მზად იყო ცოლის ცხედარი ალბანუმში დაეკრძალა[108], მაგრამ ხალხმა წინააღმდეგობა გაუწია და პომპეუსი აიძულა მეუღლე მარსის ველზე დაესაფლავებინა. ასეთი საქციელი ხალხმა ახალგაზრდა ქალის სიბრალულით უფრო ჩაიდინა, ვიდრე პომპეუსისა

და კეისრის გულის მოგების მიზნით; თუმცაღა ჩანდა, რომ ხალხი თავისი მოქმედებით უფრო მეტ პატივს ამ ორ პიროვნებას შორის სამშობლოდან მოცილებულ კეისარს სცემდა, ვიდრე აქ მყოფ პომპეუსს[109].

პომპეუსის ცოლის სიკვდილმა მთელი ქალაქი ააღელვა. ყველაფერი აირ-დაირია და ხმა დაირხა: მოკავშირეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდაო, ვინაიდან ის მოყვრობა, რომელიც პომპეუსისა და კეისრის მბრძანებლობისაკენ მისწრაფების ჩახშობას თუ არა, დაფარვას მაინც ახერხებდა, უკვე დაირღვაო.

მცირე ხნის შემდგომ რომში იმის ცნობაც მოვიდა, რომ კრასუსი პართების ქვეყანაში დაიღუპა. ამგვარად, მოკავშირეთა შორის ომის ატეხის ეს დიდი დამაბრკოლებელი მიზეზიც გაქრა. აქამდე პომპეუსი და კეისარი კრასუსის შიშით ერთიმეორეს მაინც ერთგვარი სამართლიანობით ეპყრობოდნენ; მაგრამ ახლა, როცა ბედისწერამ ბრძოლაში მათი მეტოქე სიცოცხლეს გამოასალმა, მყისვე შეიძლებოდა კომედიოგრაფოსი პოეტის პირით თქმულიყო, რომ

ერთი მეორესთან შესარკინებლად უკვე იზელდა ტანს
ზეთით და ხელებს მტვრით იმშრალებდა.[110]

არა, ადამიანისთვის ყველაფერი ცოტაა! კაცის ბუნება ისეთია, რომ ბედნიერებაც კი ვერ გააძღებს და დააკმაყოფილებს. ეგზომ უსაზღვრო ძალაუფლებამ და უშველებელმა სივრცემ ორი კაცის წადილი ვერ დააცხრო. პომპეუსი და კეისარი თუმცა ისმენდნენ და კიდეც კითხულობდნენ, რომ ღმერთებმა

სამყარო გამყვეს სულ სამად, თითოეულს ერგო აქ წილი,[111]

მაინც არასაკმარისად თვლიდნენ ორი კაცისათვის რომაელთა საბრძანებელს.

54. ასე იყო თუ ისე, პომპეუსმა ერთხელ ხალხის წინაშე განაცხადა, რომ იგი გაცილებით უფრო ადრე იღებდა ყველა რწმუნებას, ვიდრე თვითონ მოელოდა, და ამ რწმუნებაზე სხვისი მოლოდინის წინააღმდეგ ასევე ადრე იღებდა ხელს. ამ სიტყვების სიმართლეს, ზევსს ვფიცავ, ამოწმებდა ის, რომ ყოველი ლაშქრობის შემდეგ მხედრობას შლიდა. ახლა კი პომპეუსი გრძნობდა, რომ კეისარი თავისი ჯარის დაშლას სრულებითაც არ აპირებდა; ამიტომ ცდილობდა

დიდი თანამდებობანი თავისი მიმდევრებისათვის დაერიგებინა, რათა საბრძოლველად გამაგრებულიყო. მიუხედავად ამისა არავითარ ცვლილებებს არ ახდენდა და არც იმას იმჩნევდა, რომ კეისარს არ ენდობოდა: პირიქით, თავი ისე მოჰქონდა, თითქოს არაფრად აგდებდა კეისარს და ზიზღის თვალით უყურებდა.

როცა პომპეუსმა დაინახა, თანამდებობანი მისი სურვილის გარეშე ნაწილდებოდა და ამ საქმეში მოქალაქეთა მოქრთამვას მიმართავდნენ, ქალაქში ანარქიის გამეფებას გულგრილად დაუწყო ცქერა. მაშინ მყისვე დაირხა ხმა, რომში დიქტატორის დანიშვნაა მოსალოდნელიო. პირველად ამის საჯაროდ განცხადება სახალხო ტრიბუნმა ლუცილიუსმა გაბედა და ხალხს ურჩია დიქტატორად პომპეუსი აერჩიათ. ამის წინააღმდეგ ისე სასტიკად გაილაშქრა კატონმა, რომ ლუცილიუსს სახალხო ტრიბუნის ადგილის დაკარგვა ემუქრებოდა. აქ მყოფი მრავალი მეგობარი პომპეუსს გამოესარჩლა. ისინი ამბობდნენ: პომპეუსი არც თხოულობს დიქტატორობას და არც მოწადინებულია ასეთ რასმეზეო. კატონმა შეაქო ამისათვის პომპეუსი და მოუწოდა წესრიგის დამყარებისათვის ეზრუნა. პომპეუსს შერცხვა მაშინ და წესრიგის აღდგენას შეუდგა. კონსულებად აირჩიეს დომიციუსი და მესალა[112].

მაგრამ მალე ანარქიამ ისევ იფეთქა. ახლა ბევრნი უკვე გადაწყვეტით ლაპარაკობდნენ დიქტატორის არჩევაზე. კატონის ჯგუფმა, იმის შიშით, რომ პომპეუსს ძალა არ ეხმარა, გადაწყვიტა მისთვის კანონით შეზღუდული გამგებლობის უფლება მიეცათ, რათა ამით პომპეუსი განუსაზღვრელი და ტირანული მბრძანებლობის მისწრაფების გზიდან აეცდინათ.

პომპეუსის მტერმა ბიბილუსმა პირველმა შეიტანა სენატში წინადადება, პომპეუსი ერთპიროვნულ კონსულად აერჩიათ:[113] ამით ქალაქი არსებული არეულობისაგან გათავისუფლდება, თუ არა და უფრო ძლევამოსილი ვაჟკაცის მონობაში აღმოჩნდებაო. ეს სიტყვა ფრიად უცნაურად მოეჩვენათ იმ კაცისაგან, ვინც ამას ამბობდა. მერმე კატონი წამოდგა ფეხზე. ყველას ეგონა, იგი ბიბილუსის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ჩამოვარდა თუ არა სიჩუმე, კატონმა თქვა: აქ წამოყენებულ წინადადებას პირადად მე არ შემოვიტანდი, მაგრამ რაკი იგი სხვების მიერაა შემოთავაზებული, გირჩევთ მხარი დაუჭიროთ, ვინაიდან ანარქიას ყოველგვარი სხვა მმართველობა მირ-

ჩევნიაო. კატონის აზრით, სახელმწიფოს მეთაურობას ასეთი არეულობის ჟამს პომპეუსზე უკეთესად ვერავინ შეძლებდა.

სენატმა ეს წინადადება მიიღო და გადაწყვიტა კონსულად პომპეუსი აერჩიათ, ოღონდ ერთპიროვნულად; თუ მას თანაკონსული დასჭირდებოდა, უნდა აერჩია ასეთი მხოლოდ ორი თვის გამოცდის შემდეგ.

ამგვარად პომპეუსი აირჩიეს კონსულად და ამ რწმუნებაში დაამტკიცა ინტერექსმა[114] სულპიციუსმა. მაშინ პომპეუსი ალერსიანად მიესალმა კატონს: დიდად ვარ დავალებული შენგანო, — უთხრა და სთხოვა, მისი პირადი მრჩეველი ყოფილიყო თანამდებობის აღსრულების მთელ მანძილზე. კატონმა უპასუხა: შენ ჩემგან არაფრით არ ხარ დავალებულიო; მე რაც ვთქვი, შენი ხათრისთვის არ მითქვამს, ქალაქის გულისთვის ვთქვი; რაც შეეხება პირად მრჩევლობას, თუ მომმართავ, გემსახურები, თუ არ მომმართავ, საჯაროდ მაინც განვაცხადებ ხოლმე იმას, რაც, ჩემი აზრით, სასარგებლო იქნებაო.

აი, ასეთი კაცი იყო კატონი ყველაფერში.

55. შემოვიდა თუ არა რომში, პომპეუსმა ცოლად შეირთო მეტელუს სციპიონის ასული კორნელია. ეს კორნელია ქალწული არ ყოფილა. იგი გახლდათ ჭვრიანი კრასუსის ვაჟის პუბლიციუსისა, რომელიც პართებთან ლაშქრობის დროს დაიღუპა. კორნელია ჯერ კიდევ მთლად ნორჩი მისთხოვდა მას. ამ ახალგაზრდა ქალს მოხდენილობისა და სილამაზის გარდა ბევრი რამ ჰქონდა მიმზიდველი. იგი შესანიშნავად იყო გაწაფული მხატვრულ სიტყვიერებაში, ჩანგზე დაკვრასა და გეომეტრიაში; მას უყვარდა ფილოსოფოსთა საუბრის მოსმენაც და ამ საუბრიდან სასარგებლო დასკვნების გამოტანა. ყველაფერ ამასთან ერთად მისი ხასიათი სრულიად თავისუფალი იყო იმ მანჭიაობასა და უსარგებლო პატივმოყვარეობისაგან, რაც ამგვარი განათლების მქონე ახალგაზრდა ქალებს ახასიათებს. მამამისი გვარიშვილობითა და სახელმოხვეჭილობით ისეთ სიმაღლეზე იდგა, კაცი ვერ გაკიცხავდა. მიუხედავად ამისა, ხალხს არ მოსწონდა ეს ქორწინება ცოლ-ქმრის ასაკის დიდი სხვაობის გამო. კორნელია თავისი ხნოვანებით პომპეუსის ვაჟს უფრო შეეფერებოდა ცოლად, ვიდრე თვითონ პომპეუსს. უფრო გონიერი ხალხი ფიქრობდა, რომ პომპეუსი ალარ ზრუნავდა უმწეო ვითარებაში მყოფ სახელმწიფო-

ზე, რომელმაც თავის მკურნალად იგი აირჩია და თავის თავი მხოლოდ მას ჩააბარა. პომპეუსი კი თავზე გვირგვინებს იდგამდა და საქორწინო მსხვერპლშეწირვებს მართავდა მაშინ, როცა თავისი კონსულობა უბედურ შემთხვევად უნდა ჩაეთვალა, ვინაიდან ამ რწმუნებას არამც და არამც არ მისცემდნენ, სახელმწიფოში სიმშვიდე რომ ყოფილიყო.

დაქორწინების შემდეგ პომპეუსმა მოაწესრიგა მექრთამეობისა და თაღლითობის წინააღმდეგ მიმართული მართლმსაჯულების საქმეები და შეადგინა კანონები, რომელთა მიხედვითაც სასამართლო მოქმედებდა. აქ იგი დიდი სიდინჯითა და გულწრფელობით არჩევდა საქმეებს პომპეუსი შეიარაღებული ხალხით გარშემორტყმული ხელმძღვანელობდა სასამართლო სხდომებს და ამის შემწეობით მოსამართლეებს უშიშროებას, სრულ სიწყნარესა და წესრიგს უმყარებდა. მაგრამ როცა მისი სიმამრი სციპიონი მისცეს სასამართლოში, სახლში გამოიძახა სამას სამოციევე მოსამართლე და სთხოვა დახმარებოდნენ მის ახლობელს. ბრალმდებელმა მაშინვე აიღო ხელი თავის ბრალდებაზე, რა დაინახა, სციპიონს ფორუმიდან მოსამართლეები სახლისაკენ მიჰყვებოდნენ.

ამის გამო პომპეუსმა ბევრი ავი სიტყვა გაიგონა; მაგრამ კიდევ უფრო მეტად გაიცხეს, როცა კანონით აკრძალა სამართალში მიცემული პირების ქება-დიდება და თვითონ გამოვიდა ბრალდებულ პლანკუსის ხოტბით. კატონმა (იგი მსაჯულად იყო) ყურებზე ხელი აიფარა და თქვა: მე სრულებითაც არ შემფერის კანონის საწინააღმდეგოდ დამნაშავის ქება ვისმინოო. ამიტომ კატონი, სანამ განაჩენს კენჭს უყრიდნენ, სასამართლოს შემადგენლობიდან გააძევეს. პომპეუსის სამარცხვინოდ პლანკუსი მაინც გაამტყუნეს სხვებმა[115].

სულ რამდენიმე დღის შემდეგ სამართალში მიცემული პიფსეუსი, აი, ის კაცი, კონსულობის მიღებას რომ ცდილობდა[116], დაუდგა ჯდა პომპეუსს, რომელიც აბანოდან სავახშმოდ ბრუნდებოდა, ჩაუვარდა მუხლებში და ხვეწნა-მუდარა დაუწყო. პომპეუსმა ზიზღით ჩაუარა და უთხრა: შენ ამით ვახშამი ჩამიმწარე მხოლოდ, სხვას კი ვერაფერს მიაღწევო.

ბრალდებულ პირთა მიმართ ასეთი არათანაბარი მოქცევისათვის პომპეუსმა დიდი გულისწყრომა და გაიცხვა დაიმსახურა.

სხვა მხრივ მან ყველაფერი კარგად მოაწესრიგა და რწმუნების

დარჩენილი ხუთი თვის მანძილზე თანაკონსულად სიმამრი აირჩია. ამასთან ერთად გადაწყვეტილება მიიღეს პომპეუსს კვლავ ჰყოლოდა გამგებლობაში თავისი პროვინციები შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში და ნება მისცეს ყოველწლიურად მიეღო ათასი ტალანტი მხედრობის შესანახად.

56. ამ ამბავმა კეისრის მეგობრებს საბაბი მისცა მოეთხოვათ, რომ ერთგვარი ყურადღება მიეპყროთ კეისრისათვისაც, რომელიც რომაელთა მბრძანებლობის გასაფართოებლად ამდენ ომს აწარმოებდა. მათი აზრით, კეისარი ღირსი იყო ან კონსულობა მიეღო მეორედ ან არადა მხედრობაზე სარდლობის ვადა გაეგრძელებინათ, რათა შემცვლელად მოსულ კაცს არ წაერთმია მისთვის ეგზომ დიდი ღვაწლით მოხვეჭილი სახელი; ჯარის უფროსად მხოლოდ და მხოლოდ კეისარი უნდა დარჩენილიყო და მის მიერ მოპოვებული წარმატებებით თვითონვე ყოფილიყო პატივდებული მშვიდობიანობის ჟამს.

ამ წინადადებამ დიდი შფოთი და დავა ჩამოაგდო. მაშინ პომპეუსმა, ვითომც იმ მიზნით, კეთილშობილური გრძნობა გამოემჟღავნებინა და კეისრისათვის მოსალოდნელი შური აეცილებინა თავიდან, განაცხადა, რომ მას აქვს წერილები, სადაც კეისარი სარდლობის მემკვიდრეს მოითხოვს და ჯარის უფროსობაზე ხელის აღების სურვილს გამოთქვამსო; რაც შეეხება კონსულობას, — თქვა პომპეუსმა, — მიუხედავად იმისა, რომ კეისარი აქ არ იმყოფება, ურიგო არ იქნება ამ თანამდებობის მიღების უფლება მიეცესო.

ამის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა კატონმა. იგი მოითხოვდა კეისარს იარაღი დაეწყო, ჩვეულებრივ რიგით პიროვნებად ქცეულიყო და მერმე მოეთხოვა მოქალაქეთაგან პატივისცემა. პომპეუსს ამის საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს; პირიქით, თავი ისე მოაჩვენა, თითქოს დაემორჩილა კატონის სიტყვებს. ამით მან კიდევ უფრო მეტად საეჭვო გახადა თავისი განზრახვა, რომელიც კეისრის მიმართ ჰქონდა. ის ლეგიონები, რომლებიც პართებთან ომის წარმოების საბაბით კეისარს დაუთმო, ახლა უკან მოითხოვა. კეისარმა თუმცა იცოდა, თუ რისთვის მოითხოვდა პომპეუსი ჯარისკაცებს, ისინი ფრიად გულუხვად დაასაჩუქრა და პომპეუსთან დააბრუნა.

57. მალე პომპეუსი მძიმედ გახდა ავად ნეაპოლში; მაგრამ ისევ გამოკეთდა. მისი გამოჯანსაღების აღსანიშნავად ნეაპოლელებმა,

პრაქსაგორას რჩევით[117], სამადლობელი მსხვერპლი შესწირეს. მათ მაგალითს ნეაპოლის მეზობლად მცხოვრებლებმაც მიბაძეს და ამგვარად სამადლობელი მსხვერპლის შეწირვა მთელ იტალიას მოედო. როგორც პატარა, ისე დიდი ქალაქები კარგა ხანს დღესასწაულობდნენ. პომპეუსის შესახვედრად ყოველმხრივ მოზღვავებულ ხალხს ველარც ერთი ადგილი ვერ იტევდა; მთელი გზები, სოფლები და ნავსადგურები მოქეიფე და მსხვერპლის შემწირველი ხალხით გაივსო. მრავალნი ხვდებოდნენ პომპეუსს გვირგვინებით შემკულნი, აბრიალებული ჩირაღდნებით ხელში, შიაცილებდნენ მას და ყვავილებს აყრიდნენ. ასე რომ პომპეუსის სახლში დაბრუნება მეტისმეტად ბრწყინვალე ხანახაობას წარმოადგენდა.

ამბობენ, მოკავშირეთა შორის ომის ატეხის ერთ-ერთი საკმაოდ დიდი მიზეზი ესეც იყო. პომპეუსის გულში სიამაყემ დაისადგურა. ამან და უსაზღვრო სიხარულმა პომპეუსს სახელმწიფო საქმეებში საღი აზროვნების უნარი წარსტაცა. მან დაივიწყა ის სიფრთხილე, რომელიც მის წარმატებასა და საქმეებს საშიშროებისაგან იცავდა, და გადაჭარბებით გამბედავი გახდა. იგი ისეთი ათვალწუნებით უყურებდა კეისარს, თითქოს მის საწინააღმდეგოდ არც იარაღი სჭირდებოდა და არც განსაკუთრებით თავის გამოდება; თითქოს გაცილებით იმაზე ადვილად დაამარცხებდა ამ ვაჟკაცს, ვიდრე ოდესღაც აღაზევა.

ამას ზედ შემდეგი ამბავი დაერთო. რომში ჩამოვიდა აპიუსი და თან გალიიდან მოიყვანა ის მხედრობა, რომელიც პომპეუსმა თავის დროზე კეისარს დაუთმო. ეს აპიუსი ყველანაირად ცდილობდა დაემცირებინა გალიაში კეისრის მიერ მიღწეული წარმატებები. იგი კეისარს ლანძღავდა და ამბობდა, პომპეუსი არ იცნობს კარგად თავის ძალასა და სახელს, ვინაიდან კეისართან შერკინებას სხვა იარაღით ცდილობს მაშინ, როცა კეისრის დამარცხება მისივე მხედრობით შეიძლებაო; ამისთვის საკმარისია პომპეუსის გამოჩენა გალიაში: იქაურ მეომრებს მეტად სძულთ კეისარი და პომპეუსის სიყვარულით არიან ანთებულნიო!

ამან მთლად გააყოყოჩა პომპეუსი. თავის ძალაში დარწმუნებული ისეთი უდარდელობით აღივსო, რომ მოსალოდნელი ომით შეშინებულ ხალხს დასცინოდა. ხოლო ამათ, რომლებიც ამბობდნენ: კეისარი რომ ქალაქის წინააღმდეგ დაიძრეს, ჩვენ ვერ ვხედავთ ძალას,

მას რომ დააკავებსო, პომპეუსი მხიარული და გაღიმებული სახით მიმართავდა: „ნურაფრის დარდი ნუ გექნებათ; იტალიის მიწაზე, სადაც კი დავკრავ ფეხს, ყველგან გაჩნდება ქვეითიცა და ცხენოსანი ჯარიცო“[118].

58. ამასობაში კეისარი უფრო მეტი ძალითა და მგზნებარეებით შეუდგა თავისი საქმეების წარმართვას. იგი იტალიას სულ აღარ შორდებოდა. კეისარი რომში განუწყვეტლივ აგზავნიდა თავის ჯარისკაცებს მმართველთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად და ფულის შემწეობით ჩუმ-ჩუმად მაღალი თანამდებობის პირთა მოსყიდვას ახერხებდა. ამ პირთა შორის იყვნენ: კონსული პაულუსი[119], რომელმაც პომპეუსს ათას ხუთასი ტალანტის გულისთვის უღალატა, სახალხო ტრიბუნი კურიონი, რომელიც კეისარმა საოცრად დიდი ვალებიდან ამოიყვანა, და მარკუს ანტონიუსი. ეს უკანასკნელი კურიონის მეგობარი და მისი ვალების განუყრელი მონაწილე იყო.

გადმოგვცემენ, როცა ერთმა კეისრის მიერ რომში გამოგზავნილმა და სენატის შენობის წინ მდგომმა ცენტურიონმა გაიგო, სენატი კეისარს სარდლობის ვადას აღარ უგრძელებსო, მახვილს დაჰკრა ხელი თურმე და თქვა: „მაშინ აი ეს გაუგრძელებსო!“. მართლაც, კეისრის მთელ საქმიანობასა და მზადებას სწორედ ეს მიზანი ჰქონდა.

მაგრამ უნდა ითქვას, კურიონის ყველა მოთხოვნილება და წინადადება, რაც კეისრის სასარგებლოდ იყო წამოყენებული, მაინც ხალხის საერთო აზრს გამოხატავდა. კურიონი ორში ერთს მოითხოვდა: ან პომპეუსისათვისაც ჩამოერთმიათ სარდლობა, ან არც კეისრისთვის მოეხსნათ იგი. ვინაიდან, — ამბობდა კურიონი, — კერძო ცხოვრებას დაუბრუნდებიან ისინი თუ ისევ ერთიმეორის წინააღმდეგ დარჩებიან დაპირისპირებულნი, მაინც თანაბარ და სამართლიან პირობებში აღმოჩნდებიან და შესაძლებლობა ექნებათ მშვიდად განაგონ ის, რაც მათ ეკუთვნით. მაგრამ ის, ვინც ამ ორთაგან შეასუსტებს ერთის ძალას, რომლისაც ეშინია, მეორეს გააძლიერებს ორმაგად.

ამის საპასუხოდ მარცელიუსმა კეისარს ყაჩაღი უწოდა და წინადადება შემოიტანა სამშობლოს მტრად გამოეცხადებინათ იგი, თუკი იარაღს არ დაყრიდა. მიუხედავად ამისა, კურიონმა, ანტონიუსისა და პიზონის დახმარებით, მიაღწია იმას, რომ სენატის აზრი შეიტყო.

მან ითხოვა ადგილები შეეცვალათ იმათ, რომლებიც წინადადებას იძლეოდნენ მხოლოდ კეისარს დაეყარა იარაღი და პომპეუსი დარჩენილიყო მხედართმთავრად. სენატორთა უმრავლესობამ ადგილები შეიცვალა. მერმე კვლავ ითხოვა კურიონმა თავ-თავიანთ ადგილებიდან წამომდგარიყვნენ ისინი, რომელთაც სურდათ ორივეს დაეყარა იარაღი და სარდლად არც ერთი არ ყოფილიყო. მაშინ პომპეუსის მხარეზე მხოლოდ ოცდაორი კაცი დადგა, ყველა დანარჩენმა კი კურიონს დაუჭირა მხარი[120].

კურიონმა თავი გამარჯვებულად ჩათვალა და სიხარულით გაბრწყინებული გამოვიდა ხალხთან, რომელიც მას ტაშისცემით, გვირგვინებითა და ყვავილებით შეეგება.

პომპეუსი მაშინ სენატში არ იყო. ჯარის უფროსები ქალაქში არ შედიოდნენ ხოლმე.

მარცელიუსი; რაკიღა კურიონმა თავისი გაიტანა, ფეხზე წამოდგა და თქვა: ასე ჯდომა და სიტყვების მოსმენა აღარ შემიძლია, ვინაიდან ვხედავ, ალპებზე უკვე ათი ლეგიონი გამოჩნდა და აქეთ მოემართება; უნდა წავიდე და ისინი მოვამზადო, ვინც სამშობლოს გულისთვის ამ ლეგიონებს შეერკინებაო.

59. ამის შემდგომ მოსალოდნელი უბედურების ნიშნად სენატორებმა გამოიცვალეს ტანსაცმელი და ძაძებით შეიმოსნენ.

მარცელიუსმა მთელი სენატის თანხლებით ფორუმი გაიარა და პომპეუსისაკენ გაემართა; დადგა მის წინ და უთხრა: „პომპეუსო, გიბრძანებ დაეხმარო სამშობლოს, გამოიყენო ის ძალები, რომლებიც უკვე მზად არიან, და შეკრიბო ახალი მხედრობაც!“ იგივე უთხრა პომპეუსს მომავალი წლისათვის დანიშნულმა ერთ-ერთმა კონსულმა ლენტულუსმაც.

პომპეუსმა ჯარისკაცთა შეგროვება დაიწყო. მაგრამ ზოგიერთი არ ემორჩილებოდა, ზოგიერთი, საკმაოდ მცირე რაოდენობით, ზანტად და უგულოდ მოემართებოდა მისკენ, უმრავლესობა კი მშვიდობასა და შეთანხმებას მოითხოვდა ხმამაღლა. საქმე ის იყო, რომ ანტონიუსმა, სენატის წინააღმდეგობის მიუხედავად, ხალხის წინაშე წაიკითხა კეისრის წერილი, რომელიც ბრბოს მაცთუნებელ წინადადებებს შეიცავდა. კეისარი მოითხოვდა, თვითონაც და პომპეუსიც გამოსულიყვნენ მათდამი დაქვემდებარებულ პროვინციებიდან, მასაც და პომპეუსსაც დაეშალათ მხედრობა, მერმე ხალხის წინაშე

წარმდგარიყვნენ და თავიანთი საქმიანობის ანგარიში მოეხსენებინათ.

ლენტულუსმა, რომელიც უკვე კარგა ხანია კონსული იყო, და მისმა მომხრეებმა კეისრის წინადადებათა განსახილველად სენატი არ შეკრიბეს. კილიკიიდან სულ ახლახან დაბრუნებული ციცერონი თავგამოდებით ცდილობდა პომპეუსი და კეისარი შეერიგებინა. მან ასეთი წინადადება წამოაყენა: კეისარს გალია უნდა დაეტოვებინა, მთელი მხედრობა დაეშალა, დარჩენილიყო მხოლოდ ორი ლეგიონისა და ილირიის გამგებლად და თავის მეორე კონსულობისათვის დაეცადა. რაკიღა პომპეუსი ამ წინადადებით უკმაყოფილო დარჩა, კეისრის მეგობრები თანახმა იყვნენ კეისარს მარტო ერთი ლეგიონი შერჩენოდა და მეორე დაეშალა. ლენტულუსი არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა; ხოლო კატონი ყვირილით ამბობდა, პომპეუსი მეორედ უშვებს შეცდომას, მას ატყუებენო. ერთი სიტყვით, შეთანხმების მიღწევის საქმე ჩაიშალა[121].

60[122]. ჩქარა რომში ცნობა მოვიდა, კეისარმა იტალიის დიდი ქალაქი არიმინუმი აიღო და ახლა რომისაკენ მოემართება მთელი თავისი მხედრობითო. ეს უკანასკნელი ამბავი, კეისარი მთელი მხედრობით რომზე მოდისო, ტყუილი იყო. კეისარი სულ სამასი ცხენოსნითა და ხუთი ათასი ქვეითი ჯარისკაცით მოემართებოდა. დანარჩენ ძალებს, რომლებიც ალპებს გადაღმა იმყოფებოდნენ, აღარ დაუცადა და ამჯობინა ანაზდეულად დასცემოდა თავს შეშფოთებულ მტერს, ვიდრე მისთვის საბრძოლველად მომზადების დრო მიეცა.

კეისარი მიადგა მდინარე რუბიკონს, რომელიც მისთვის გადაცემულ საგამგებლო მხარეს საზღვრავდა. აქ იგი დუმილით შეჩერდა და საკმაოდ დიდხანს ფიქრობდა საკუთარი, უაღრესად დიდი და გაბედული ნაბიჯის თაობაზე. ბოლოს, იმათ მსგავსად, რომლებიც მწვერვალებიდან უფსკრულში გადაეშვებიან ხოლმე, ყოველგვარი ფიქრი თავიდან მოიშორა, საშინელების წინაშე თვალები დახუჭა, იქ მყოფთ ესლა მიაყვირა ბერძნულად: წილი ნაყარიაო! — და მდინარეზე მხედრობის გადაყვანა დაიწყო.

გავრცელდა თუ არა ეს ამბავი, შეძრწუნებული რომი ისეთმა მღელვარებამ და შიშის ზარმა მოიცვა, როგორც არასდროს. სენატის შემადგენლობა მყისვე მიიჭრა პომპეუსთან. აქვე იყვნენ მაღალი თანამდებობის პირნიც. ტულუსმა[123] პომპეუსს ჰკითხა, როგორია

შენი მხედრობა და მისი ძალაო. პომპეუსმა მას ყოყმანით უპასუხა, რომ მზად ჰყავს კეისრისაგან მოსული ორი ლეგიონი და იმედი აქვს; სულ მალე შეუერთებს ამ ძალებს ჯერ კიდევ ადრე შეკრებილ ოცდაათ ათას მეომარს. ტულუსმა ამაზე შეჰყვირა: პომპეუსო, შენ მოგვატყუე ჩვენო, და ურჩია, კეისართან ელჩები გაეგზავნა. ვინმე ფავონიუსმა, თითქმის ყოველმხრივ წესიერმა კაცმა, მაგრამ დარწმუნებულმა, რომ სიჯიუტითა და ქედმაღლობით კატონის კეთილშობილურ პირდაპირობას ჰბაძავდა, პომპეუსს წინადადება მისცა ფეხი დაეკრა მიწაზე და იქიდან მის მიერ დაპირებული ჯარები ამოეყვანა.

ასეთი უადგილო ხუმრობა პომპეუსმა მოთმინებით აიტანა. კატონმა გაახსენა ის, რაც თავიდანვე უთხრა კეისრის შესახებ. პომპეუსმა უპასუხა, რომ მისი ნათქვამი ფრიად წინასწარმეტყველური გამოდგა და თვითონაც უფრო მეგობრულად ექცეოდა, ვიდრე ეს საჭირო იყო.

61. კატონი რჩევას იძლეოდა, პომპეუსი ყოველმხრივ უფლებამოსილ სარდლად აერჩიათ და თან ამბობდა, მან, ვინც დიდი უბედურების წარმოქმნას შეუწყო ხელი, უნდა კიდეც აგვაშოროს იგიო. ამის შემდეგ კატონი სწრაფად გაემართა თავის წილხვედრ მხარეში — სიცილიაში. ასევე ყველა სხვაც თავ-თავის საგამგებლო პროვინციაში გაემგზავრა.

თითქმის მთელი იტალია ფეხზე დადგა. კაცმა არ იცოდა, რა ხდებოდა მის გარშემო. ზოგიერთები, ქალაქგარეთ მცხოვრებლები, სირბილით მოეშურებოდნენ ყოველი მხრიდან და რომში შემოდიოდნენ მაშინ, როცა რომის მკვიდრნი ტოვებდნენ ქალაქს, სადაც ასეთი მძვინვარე ქარიშხლისა და მღელვარების ჟამს სახელმწიფოსათვის სასარგებლო პირნი სისუსტეს იჩვნდნენ, ხოლო ჯიუტნი და მმართველთდამი დაუმორჩილებელნი ფრიად მძლავრობდნენ.

შიშის ჩაქრობა შეუძლებელი შეიქნა; პომპეუსსაც ნებას არ აძლევდნენ საკუთარი მოსაზრებებით ემოქმედა. ყველა ცდილობდა საკუთარი განსაცდელი, შიში, მწუხარება თუ დაბნეულობა პომპეუსისათვის ეუწყებინა. ამასაც სულ ერთიმეორის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები გამოჰქონდა და ისიც ერთსა და იმავე დღეს. მტრის თაობაზე ნამდვილი ამბის გაგებას ვერ ახერხებდა; ამის მიზეზი შემოხვევითი ცნობების სიმრავლე იყო. როცა პომპეუსი ასეთ ცნობებს ურწმუნოდ ეკიდებოდა, მასზე გული მოსდიოდათ.

ბოლოს გამოაცხადა, რომ ქალაქში ნამდვილი არეულობაა და სენატის მთელ შემადგენლობას უბრძანა უკან გაჰყოლოდა. ამასთან ერთად პომპეუსმა აღნიშნა, რომ ქალაქში დარჩენილს კეისრის ერთგულ მომხრედ ჩათვლიდა. გვიან საღამოს მან ქალაქი დატოვა. კონსულები ისე გაიქცნენ რომიდან, რომ ომის დაწყების წინ ადათით დაწესებული მსხვერპლი არ შეუწირავთ. მაგრამ მიუხედავად ასეთი უკიდურესი განსაცდელისა პომპეუსი მაინც ბედნიერი კაცი იყო, რადგან ხალხი სიყვარულით ეპყრობოდა. მართალია, მრავალი კიცხავდა ამ ახალ ომს, მაგრამ არავინ იყო ისეთი, რომელსაც მთავარსარდალი შესჯავრებოდა. მათი რიცხვი უფრო მეტი იყო, ვინც პომპეუსი ვერ დატოვა, ვიდრე იმათი, ვინც თავისუფლების გულისთვის გაიქცა.

62. რამდენიმე დღის შემდეგ კეისარი რომში შევიდა და ქალაქი დაიკავა. იგი ყველას ლმობიერად ექცეოდა და ამშვიდებდა. მაგრამ ერთ-ერთ სახალხო ტრიბუნ მეტელუსს, რომელიც ხელს უშლიდა სახელმწიფო ხაზინიდან ფული აეღო, სიკვდილით დაემუქრა და თან მუქარაზე უფრო მრისხანე სიტყვით გაუმასპინძლდა: ჩემთვის ამის თქმა გაცილებით ძნელია, ვიდრე მისი შესრულებაო.

მოიცილა თუ არა თავიდან მეტელუსი, კეისარმა ხაზინიდან იმდენი ფული აიღო, რამდენიც სჭირდებოდა, და პომპეუსს დაედევნა. იგი ჩქარობდა იტალიიდან პომპეუსის გაძევებას, სანამ ამ უკანასკნელს ესპანეთიდან მხედრობა მოუვიდოდა.

პომპეუსი ამასობაში ბრუნდუზიუმში[124] გამაგრდა და აქ მრავალი ხომალდი მოიმარაგა. მერმე ამ ხომალდებზე ოცდაათი კოპორტის თანხლებით კონსულები შესხა სასწრაფოდ და წინასწარ დირაქიუმში[125] გაგზავნა; თავისი სიმამრი სციპიონი და ვაჟი გნეუსი კი ფლოტის მოსამზადებლად სირიაში გაუშვა. ამის შემდეგ პომპეუსმა ქალაქის კარიბჭენი ჩახერგა. მის კედლებთან მკვირცხლი მეომრები დააყენა და ბრუნდუზიელებს უბრძანა სახლებიდან გარეთ არ გამოსულიყვნენ, მერმე მთელი ქალაქი შიგნით თხრილებით გადასერა და ვიწრო შუკები, გარდა ორისა, რომელთა მეშვეობით იგი ზღვის სანაპიროზე გავიდა, მაღალი სარებით ჩაკეტა.

მესამე დღეს ყველა დანარჩენი ჯარი მას უკვე ხომალდებზე ჰყავდა; მხედრობის ზედ ასვლამ მშვიდობიანად ჩაიარა. შემდეგ პომპეუსმა კედლების მცველ მეომრებს ანაზდეულად ნიშანი მისცა და, სანა-

პიროზე სწრაფად გამოსულნი, ისინიც ხომალდებზე აიყვანა და ზღვაში გავიდა.

დაინახა თუ არა უმეთვალყურეოდ დატოვებული კედლები, კეისარი მიხვდა, მტერი უკუქცეული იყო. მტრის დევნით გატაცებული კეისარი ძლივს გადაურჩა საგანგებოდ ამართულ სარეზზე წამოგებასა და ხიბრილებში ჩავარდნას. იგი ბრუნდუზიელებმა გააფრთხილეს; მანაც თავი აარიდა ქალაქში შესვლას და მხოლოდ გარს შემოუარა. ბოლოს დაინახა, რომ პომპეუსის ყველა ხომალდს ზღვაში გასვლა მოესწრო, გარდა ორისა, და იქაც მებრძოლთა რიცხვი უმნიშვნელო იყო.

63. ბრუნდუზიუმიდან პომპეუსის გასვლას ზოგი ვინმე ერთ-ერთ საუკეთესო მხედრულ ხერხად თვლის. რაც შეეხება კეისარს, ძალიან უკვირდა, რომ პომპეუსმა იტალიას თავი მიანება და მაშინ დატოვა, როცა ეგზომ გამაგრებული ქალაქი ექავა, ესპანეთიდან ჯარებს ელოდებოდა და ზღვაზე ბატონობდა. ციცერონიც აგრეთვე ბრალად სდებს პომპეუსს იმას, რომ იგი უფრო მეტად თემისტოკლეს სალაშქრო მოქმედებას ჰბაძავდა, ვიდრე პერიკლესას, თუმცა მისი მდგომარეობა თემისტოკლეს კი არა, სწორედ პერიკლეს მდგომარეობის მსგავსი იყო[126]. კეისარმა სულ მალე გამოამჟღავნა საქმით, რომ დროის გაჭიანურებისა ეშინოდა. როცა პომპეუსის მეგობარი ნუმერიუსი ტყვედ ჩაიგდო, მაშინვე გაგზავნა იგი ბრუნდუზიუმში, რათა მისი მეშვეობით დაზავება მოეთხოვა თანაბარ პირობებში; მაგრამ ნუმერიუსი პომპეუსთან ერათდ გავიდა ზღვაში.

კეისარმა, რომელიც სამოცი დღის განმავლობაში სისხლის ღვრის გარეშე მთელი იტალიის მბრძანებელი გახდა, გადაწყვიტა მაშინვე დადევნებოდა პომპეუსს, მაგრამ რაკი ხომალდები არა ჰყავდა, გეზი შეიცვალა და ესპანეთს მიაშურა იმ განზრახვით, რომ პომპეუსის იქაური ჯარები თავის მხარეზე გადაებირებინა.

64. ამ ხნის განმავლობაში პომპეუსის გარშემო მეტად დიდმა ძალამ მოიყარა თავი. მისი ფლოტი ყოველმხრივ უძლეველი ჩანდა. ის ხუთას საბრძოლო ხომალდსა და აურაცხელ მსუბუქ და საზვერაე კანჯოს შეიცავდა. პომპეუსის შვიდათასიანი მხედრობა საუკეთესო რომაელებისაგან და იტალიელებისაგან შედგებოდა. ყველანი გვარიშვილობით, სიმდიდრითა და ვაჟკაცობით გამოირჩეოდნენ. რაც შეეხება ქვეით ჯარს, იგი თავისი შემადგენლობით ჭრელი იყო და

გაწვრთნას საჭიროებდა. პომპეუსი ამ ჯარს ბერეაში[127] ყოფნის ჟამს წვრთნიდა და თვითონაც უქმად კი არ იჯდა, არამედ ახალგაზრდა კაცივით ყოველგვარ შეჯიბრებაში მონაწილეობდა. ჯარისკაცთა გასამხნევებლად ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი ხედავდნენ, რომ ორმოცდათვრამეტი წლის პომპეუს დიდი იარაღასხმული ეჯიბრებოდა სხვებს ხან ქვეითად, ხან კი ამხედრებული. გაჭენებულ ცხენზე მჯდარი დაუბრკოლებლივ იღებდა ხოლმე მახვილს ქარქაშიდან და ასევე ადვილად აბრუნებდა უკან. შუბის ტყორცნაში პომპეუსი ამეღავნებდა არა მარტო საოცარ სიზუსტეს, არამედ დიდ ღონესაც. იგი ისე შორს ისროდა ხოლმე შუბს, რომ ბევრი ახალგაზრდა ვერ სჯობნიდა.

პომპეუსთან თავი მოიყარა სხვადასხვა ტომთა მრავალმა მეფემ და მთავარსარდალმა; რომაელ წარჩინებულთა ამალა, რომელიც მის გარშემო იყო შემოკრებილი, თითქმის მთელ სენატს უდრიდა. მასთან მოვიდა აგრეთვე ლაბიენუსი, რომელმაც მიატოვა კეისარი, თუმცა მისი მეგობარი იყო და გალიაშიც მასთან ერთად ლაშქრობდა. პომპეუსს შეუერთდა ახალგაზრდა ბრუტუსიც, გალიაში მოკლული ბრუტუსის ძე, ფრიად დიდსულოვანი ვაჟკაცი[128]. წინათ იგი პომპეუსს არც კი ესალმებოდა, თავის მამის მკვლელად თვლიდა. ახლა კი სამსახურში ჩაუდგა, როგორც რომის განმათავისუფლებელს. მართალია, ციცერონი სულ სხვა რამეს წერდა და სულ სხვა აზრისა იყო, მაგრამ ახლა მასაც შერცხვა არ შეერთებოდა იმათ რიცხვს, რომლებიც სამშობლოს გულისთვის განსაცდელში იგდებდნენ თავს.

აქ, მაკედონიაში, პომპეუსთან მხცოვანი მოხუცი ტიდიუს სექსტიუსიც კი გამოცხადდა, რომელსაც ცალი თეძო დასახიჩრებული ჰქონდა და კოჭლობდა. სხვებმა ხუმრობა დაიწყეს და მოხუცს სიცილი დააყარეს; მაგრამ პომპეუსი მისი დანახვისთანავე ფეხზე წამოდგა და სექსტიუსს შეეგება; იგი ფიქრობდა, მისი საქმის სამართლიანობის დამადასტურებელი იყო ის ამბავი, რომ ეს მოხუცი, მიუხედავად თავისი ასაკისა და უძლურებისა, მშვიდად ყოფნას მასთან ერთად განსაცდელის გაზიარებას არჩევდა.

55. პომპეუსის დაჯგუფებამ კიდევ უფრო მეტი სიყვარული დაიმსახურა, როცა კატონის წინადადებით სენატის ერთ-ერთ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება არ მოეკლათ არც ერთი რომაელი ბრძოლის ველის გარეშე და არ გაეძარცვათ რომაელთა ხელქვეით მყოფი არც

ერთი ქალაქი. ისინიც კი, ვისაც ომთან არაფერი საქმე არ ჰქონდა, ან იმიტომ, რომ მეტად შორს ცხოვრობდა, ანდა დაუძლურებული იყო და ყურადღებას არავინ აქცევდა, თავიანთ სურვილებს მაინც პომპეუსის მომხრეთა სურვილებს უერთებდნენ და ღმერთთა და ადამიანთა მტრად თვლიდნენ იმას, ვისაც პომპეუსის გამარჯვება სიამოვნებას არ მოჰგვრიდა.

რაც შეეხება კეისარს, გამარჯვების ჟამს ისიც ლმობიერებას იჩენდა. ესპანეთში მან პომპეუსის ჯარები დაამარცხა და ყველა უკლებლივ ტყვედ ჩაიგდო. წინამძღოლები ყველანი გაათავისუფლა, ჯარისკაცები კი თავის მხედრობას შეუერთა. მერმე ისევ გადავიდა ალპებზე. სწრაფად გადაკვეთა იტალია და ზამთრის მზის მოქცევის დროს ბრუნდუზიუმს მიაღწია. აქედან ზღვა გადაჭრა, შევიდა ორიკოსში[129] და პომპეუსთან გაგზავნა ამისი მეგობარი იუბიუსი[130], რომელიც მას ტყვედ ჰყავდა. კეისარი პომპეუსს შემდეგ პირობებს სთავაზობდა: ისინი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ, ხოლო შეხვედრიდან მესამე დღეს ორივეს დაეშალა მხედრობა; მერმე მეგობრობის ფიცი შეეკრათ და იტალიაში დაბრუნებულიყვნენ.

ეს პირობები პომპეუსმა კეისრის მორიგ ფანდად ჩათვალა. იგი სასწრაფოდ ჩავიდა ზღვის სანაპიროზე და ქვეითი მხედრობისათვის მეტად მოხერხებული სიმაგრეები და ადგილმდებარეობა დაიკავა. გარდა ამისა, ხელთ იგდო ზღვიდან მომსვლელთათვის ფრიად მარჯვე ნავმისადგომები და ნავსადგურები. ისე რომ საიდანაც არ უნდა დაეჭროლა ქარს, პომპეუსისათვის სულ ერთი იყო; იგი დაუბრკოლებლივ იღებდა ყოველი მხრიდან სურსათს, მხედრობასა თუ ფულს. კეისარს კი, პირიქით, მეტისმეტად არახელსაყრელი ადგილმდებარეობანი ეკავა როგორც ხმელეთის, ისე ზღვის მხრიდან და იძულებული ხდებოდა ხშირად ებრძოლა, თავს დასხმოდა პომპეუსელთა სიმაგრეებს და მტერი წამდაუწუმ გამოეწვია ბრძოლაში. ამ ცალკეულ შეტაკებებიდან იგი უმრავლეს შემთხვევაში გამარჯვებული გამოდიოდა. თუმცა ერთხელ კინაღამ არ გაანადგურეს და მთელი ჯარი კინაღამ არ დაკარგა.

ამ მძვინვარე შეტაკების დროს პომპეუსი გააფთრებით იბრძოდა. მტერი, რომელსაც ორი ათასი კაცი მოუკლა, მთლიანად განდევნა, მაგრამ ბოლომდე მისი დაძლევა და კეისრის ბანაკში შეჭრა ძალ-ღონის გამოლევისა თუ შიშისა გამო ვეღარ შეძლო. ამიტომაც იყო,

რომ კეისარმა თავის მეგობრებს უთხრა: „დღევანდელ დღეს გამარჯვება მტრის მხარეზე იქნებოდა, უკეთუ გამარჯვების შემძლე ჰყოლოდაო“.

66. ამ წარმატებით გაამაყებული პომპეუსელები მეტისმეტად ჩქარობდნენ კეისრისათვის გადამწყვეტი ბრძოლა გაემართათ. თვითონ პომპეუსი ისეთ წერილებს სწერდა უცხო ქვეყნების მეფეებს, სარდლებსა და ქალაქებს, თითქოს უკვე გამარჯვებული ყოფილიყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბრძოლის განსაცდლის მაინც ეშინოდა. იგი ფიქრობდა, დროის გაჭიანურებით და მტრისთვის შექმნილი გაჭირვებული მდგომარეობით დაემარცხებინა პირდაპირ ბრძოლებში დაუძლეველი ვაჟკაცები, რომლებიც უკვე დიდი ხანია ნაჩვევნი იყვნენ გამარჯვების ერთსულოვნად მოპოვებას; მაგრამ ახლა, მოახლოებული სიბერის გამო, ლაშქრობის მთელ სიმძიმეს, დაუსრულებელ წანწალს, ბანაკის წამდაუწუმ აყრა-დაცემას, თხრილების გათხრასა და საალყო კედლების აგებას ვეღარ უძლებდნენ და ამიტომ მთელი ძალით მიისწრაფოდნენ რაც შეიძლება ჩქარა გამოეღოთ ხელი და გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ.

პირველ ხანებში, ზემოაღნიშნული საბაბის წყალობით, პომპეუსი ასე თუ ისე არწმუნებდა თავისიანებს მოეთმინათ და ბრძოლისაგან თავი შეეკავებინათ. მაგრამ როცა უიღბლო შეტაკების შემდეგ სურსათის ნაკლებობის გამო კეისარი აიყარა და ათამანელთა ქვეყანაზე[131] გავლით თესალიაში გაემართა, პომპეუსმა თავის ჯარისკაცთა მებრძოლი სულისკვეთება ვეღარ შეაკავა. ისინი ყვიროდნენ: კეისარი გარბისო. ზოგიერთი მათგანი მოითხოვდა მტრისთვის მოსვენება არ მიეცათ და უკან დადევნებოდნენ, ზოგი კი წინადადებას იძლეოდა იტალიაში გაბრუნებულიყვნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც რომში მონები და მეგობრები გაგზავნეს, რათა ფორუმის მახლობლად ბინები დაეკავებინათ წინასწარ: იმედი ჰქონდათ დაუყოვნებლივ მიიღებდნენ სხვადასხვა თანამდებობებს. მრავალი პომპეუსელი საკუთარი ნება-სურვილით ლესბოსზე გაემგზავრა კორნელიასთან, რათა მისთვის ომის დამთავრების ამბავი ეხარებინათ. კორნელია ლესბოსზე, როგორც უშიშარ ადგილზე, პომპეუსმა გაგზავნა.

სენატის სხდომაზე აფრანიუსმა[132] წინადადება შეიტანა იტალია დაეკავებინათ. იგი ამბობდა: ომის უდიდესი ჯილდო იტალია არის; მისი დაკავების შემდეგ გამარჯვებულთა მხარეზე დაუყოვნებლივ

დადგებიან სიცილია, სარდინია, კორსიკა, ესპანეთი და მთელი გალიათ. პომპეუსმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს სამშობლოს, რომელსაც საშველად ხელები პომპეუსისაკენ აქვს გაწვდილიო: სამარცხვინო საქმეა მშვიდად ვუცქერდეთ შეურაცხყოფილსა და ტირანთა მონებისა და მლიქვნელების ფეხქვეშ გათელილ სამშობლოსო.

პომპეუსი კი თავის მხრივ საკუთარი სახელისათვის შეუფერებელ საქმედ თვლიდა მეორედ გაქცეოდა კეისარს და მისგან დევნილი ყოფილიყო მაშინ, როცა ბედი თვითონ მას აძლევდა შემთხვევას კეისარს დადევნებოდა. იგი ამბობდა: უსინდისობა იქნება სციპიონისა და ელადასა და თესალიაში თავმოყრილი ყოფილი კონსულების საფრთხეში დატოვება; ისინი მთელი თავიანთი ქონებით და დიდძალი მხედრობით მყისვე ჩაუვარდებიან კეისარს ხელშიო; რომისათვის ყველაზე მეტად სწორედ ის ზრუნავს, ვინც ომს მისგან მოშორებით აწარმოებს, რათა ქალაქმა არათუ განიცადოს, არც მოისმინოს რაიმე უბედურების ამბავი და შეეძლოს დამშვიდებით ელოდოს გამარჯვებულსო.

67. აი, ეს განიზრახა პომპეუსმა და კიდეც დაედევნა კეისარს. ჯან მტკიცედ გადაწყვიტა ბრძოლისაგან თავი შეეკავებინა, ხოლო მტერი მუდამ ალყაში ჰყოლოდა და შიმშილით ამოეწყვიტა. იგი თვლიდა, რომ ეს გეგმა მეტად გონივრული იყო; მით უმეტეს, რომ მის ყურამდე მიაღწია მხედართა შორის გავრცელებულმა ხმამ: საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად მოვუღოთ ბოლო კეისარს და მერმე თვითონ პომპეუსიც მოვიშოროთ თავიდანო.

ზოგიერთი ამბობს: სწორედ ეს იყო მიზეზი, პომპეუსი რომ კატონს არც ერთ მნიშვნელოვან საქმეს არ ანდობდა. მაშინაც კი, როცა კეისრის წინააღმდეგ გაემართა, კატონი ზღვის სანაპიროზე დატოვა ალალის მცველად. ეშინოდა, კეისრის მოკვლის შემდეგ კატონს არ აეძულებინა სარდლობაზე მასაც აეღო ხელი.

ასეთმა ნელმა მოქმედებამ და მტრის მხოლოდ და მხოლოდ დევნამ პომპეუსს ბევრი ბრალდება და გაკიცხვა დაატეხა თავს. მის მხედრობაში ხმამაღალი საყვედურები ისმოდა: პომპეუსი თავის ხრიკებს კეისრის წინააღმდეგ კი არა, სამშობლოსა და სენატის წინააღმდეგ მიმართავს, რათა ყველაზე იმბრძანებლოს და არასოდეს არ შეწყვიტოს იმ ხალხის მსახურად და პირად მცველად გამოყენება, რომელიც ღირსია მთელი სამყარო მართოსო.

დომიციუს აჰენობარბუსი მას აგამემნონსა და მეფეთა მეფეს ეძახდა და ამით მის მიმართ საშინელ შურს იწვევდა. არანაკლებ მომაბეზრებელი ჩანდა ფავონიუსი თავისი უპასუხისმგებლო ლაპარაკითა და უადგილო ხუმრობით. „ხალხო, — ყვიროდა იგი, — ნუთუ წლეულს ტუსკულუმის ლეღვს გემოს ვერ გავუსინჯავთო?"[133] ლუციუს აფრანიუსმა კი, რომელმაც ესპანეთში მრავალი ჯარი დაკარგა და ღალატს აბრალებდნენ, რა დაინახა, პომპეუსი ბრძოლას თავს არიდებსო, ასე თქვა: ძალიან მიკვირს, რატომ არ გამოდიან ჩემი ბრალმდებლები პროვინციებით მოვაჭრე კაცის წინააღმდეგ საბრძოლველადო?[134]

აი ასეთი და ამის მსგავსი სიტყვების მთქმელებმა აიძულეს და დაიყოლიეს პომპეუსი, ის კაცი, რომელიც სახელსა და მეგობრების პატივისცემას ყველაფერზე მაღლა აყენებდა, მათ იმედებსა და მისწრაფებებს დაყრდნობოდა და თავის გონივრულ გეგმებზე ხელი აეღო. ასეთი საქციელი ხომალდის უბრალო მესაჭესაც კი არ შეეფერებოდა, მით უმეტეს არ იყო შესაფერი ესოდენ დიდძალ ხალხთა და მხედრობათა მბრძანებლისათვის. პომპეუსი ხშირად აქებდა ხოლმე იმ ექიმებს, რომლებიც არასოდეს არ ემორჩილებოდნენ ავადმყოფთა ისეთ სურვილებს, მათ რომ ვნებას მოუტანდა; თვითონ კი მხედრობის დაავადებულ ნაწილს დაემორჩილა; მას შეეშინდა, სიკეთის ქმნის დროს შერისხული არ დარჩენილიყო.

განა ჯანსაღი დაერქმეოდა იმ ხალხს, რომელთაგან ზოგი ბანაკში დაწრიალებდა და კონსულისა და პრეტორის თანამდებობას მოითხოვდა, ზოგი კი, როგორც მაგალითად სპინთერი, დომიციუსი და სციპიონი, კეისრის ქურუმთუხუცესის თანამდებობის გამო გაცხარებული დავობდა? ისინი ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ, ამ რწმუნების მიღებას ცდილობდნენ და ისე იქცეოდნენ, თითქოს მათ წინააღმდეგ სომხეთის მეფე ტიგრანი ან ნაბატელთა მეფე[135] იდგა და არა სახელგანთქმული კეისარი და მისი მხედრობა, ვისი წყალობითაც კეისარმა იერიშით აიღო ათასი ქალაქი და დაიმორჩილა სამასზე მეტი ტომი, ის მხედრობა, რომელიც მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა გერმანელებსა და გალიის ტომებთან აურაცხელ ბრძოლებში, ის მხედრობა, რომელმაც იქ ერთი მილიონი ტყვე იგდო ხელთ და ამდენივე ბრძოლის ველზე გაჟლიტა.

68. მიუხედავად ამისა, პომპეუსის ჯარი დრტვინავდა და სარდლი-

საგან დაჟინებით მოითხოვდა ბრძოლის დაწყებას. როცა ეს ჯარი ფარსალეს ველზე[136] გავიდა, პომპეუსი აიძულეს სამხედრო საბჭო მოეწვია. ამ საბჭოზე პირველი წამოდგა მხედრების ერთ-ერთი მეთაური ლაბიენუსი და შეჰფიცა, რომ არამც და არამც არ დატოვებდა ბრძოლის ველს, თუ მტერს მთლიანად არ განდევნიდა. დანარჩენებმაც ასეთი ფიცი დადეს.

ღამით პომპეუსმა სიზმარი ნახა. ეზმანა, თითქოს თეატრში შევიდა; ხალხი მას ტაშისცემით შეეგება, ხოლო იმ ურიცხვი ნადავლით, მტერს რომ წაართვა, გამარჯვების ღმერთქალ ვენერას ტაძრის მორთვა დაიწყო...

ამ სიზმარმა პომპეუსი ერთი მხრივ გაამხნევა, მეორე მხრივ კი საკმაოდ შეაშფოთა. შეეშინდა, მისი საკუთარი ხელით არ მიენიჭებინა სახელი და დიდება კეისრისათვის, ვისი გვარიც დასაბამს ვენერასაგან იღებდა[137].

სიზმრისაგან იგი ბანაკში მოდებულმა ზარდამცემმა ხმაურმა გამოაფხიზლა.

დილის მცველთა მორიგეობის დროს კეისრის ბანაკის თავზე, სადაც სიმშვიდე სუფევდა, ელვარე შუქი აკიაფდა და მისგან ამოზიდული ჩირაღდანი პომპეუსის ბანაკში ჩაეშვა. კეისარი ამბობს, რომ მან ეს შემთხვევა საკუთარი თვალით იხილა, როცა საგუშაგოებს ათვალიერებდა[138].

გარიჟრაჟზე კეისარმა ბანაკის აყრა დაიწყო, რათა სკოტუსასაკენ[139] დაძრულიყო. მის მეომრებს კარვები უკვე აღებული ჰქონდათ და აღალიცა და მონებიც წინასწარ გასტუმრებული ჰყავდათ, როცა მზვერავები მოვიდნენ და განაცხადეს, რომ მტრის ბანაკში შეამჩნიეს დიდძალი იარაღი, რომელიც აქეთ-იქით გადაჰქონდათ და არაჩვეულებრივი მოძრაობა და ხმაური, რაც ბრძოლის წინ ხდება ხოლმე. მცირე ხნის შემდეგომ სხვა მსტოვრებიც მოვიდნენ და თქვეს: მტრის მოწინავე რაზმები უკვე საბრძოლველად არიან დაწყობილნიო.

მაშინ კეისარმა სიხარულით წამოიძახა: „დადგა სანუკვარი დღე, როცა ჩვენ შიმშილსა და გაჭირვებასთან კი აღარ მოგვიწევს ბრძოლა, არამედ ადამიანებთან!“ მან ბრძანება გასცა მისი კარვის თავზე სასწრაფოდ გამოეკიდათ წითელი ტოგა, რაც რომაელებში ბრძოლის დაწყების ნიშნად ითვლება. ჯარისკაცებმა ეს რომ დაინახეს, სიხარულის ყიჟინით მიატოვეს კარვები და იარაღებს მიაშურეს. ცენტუ-

რიონებმა თითოეული მეომარი თავ-თავის ადგილზე მიიყვანეს. ბოლოს ყველანი, როგორც ეს სათეატრო გუნდში ხდება ხოლმე, არეულობის გარეშე წესიერად და მშვიდად ჩამწკრივდნენ.

69. პომპეუსს მარჯვენა ფრთა ეკავა. ივი ანტონიუსს უნდა გამკლავებოდა. შუაში, ლუციუს კალვინიუსის წინააღმდეგ, თავისი სიმამრი სციპიონი დააყენა, ხოლო მარცხენა ფრთა, რომელსაც ძალას მატებდა ცხენოსანთა დიდი ჯარი, ლუციუს დომიციუსის ხელთ იმყოფებოდა. თითქმის ყველა მეომარი ამ ფრთას მოაწყდა, რათა კეისარს პირისპირ შებმოდნენ და შეემუსრათ მეათე ლეგიონი, რომელიც სახელგანთქმული იყო როგორც ყველაზე უფრო მამაცი მებრძოლი. კეისარი ჩვეულებრივ ამ ლეგიონში იბრძოდა.

როცა კეისარმა მტრის მარცხენა ფრთა ესოდენ დიდძალი ცხენოსნით გამაგრებული იხილა, შეეშინდა მოწინააღმდეგის ბრწყინვალე შეიარაღებისა და სათადარიგო ნაწილიდან ექვსი კოჰორტი გამოიწვია. ეს კოჰორტები მეათე ლეგიონის ზურგში დააყენა, ოღონდაც არ უნდა განძრეულიყვნენ და მტერს არ დანახვებოდნენ. როცა პომპეუსის მხედრები იერიშზე წამოვიდოდნენ, ეს ექვსი კოჰორტი მოწინავე რაზმების წინ უნდა გამოჭრილიყო, მაგრამ ოროლები არ უნდა გამოეტყორცნათ, როგორც ამას მამაცი მეომრები აკეთებენ ხოლმე, რათა უფრო სწრაფად გადავიდნენ ხმლებით ბრძოლაზე, არამედ ზევიდან დაეცხოთ მტრებისათვის და ჭრილობა მათთვის თვალებსა და სახეში მიეყენებინათ. კეისარი დარწმუნებული იყო, რომ პომპეუსის ეს ახალგაზრდა მოხდენილი პირიქისტები[140] თავიანთ სილამაზეს დაზოგავდნენ, ასეთ დარტყმას ვერ გაუძლებდნენ და თვალებში დამიზნებულ რკინას მზერას ვერ გაუსწორებდნენ.

აი, ასეთი ბრძანებებით იყო გართული კეისარი. რაც შეეხება პომპეუსს, იგი ცხენზე იჯდა და ჯარის განლაგებას ათვალიერებდა. რაკი დაინახა, მტერი მშვიდად და სრული წესრიგის დაცვით ელოდებოდა ხელსაყრელ დროს, მაშინ როცა მისი ჯარის უდიდესი ნაწილი გამოუცდელობის გამო სიმშვიდეს ვერ იცავდა, ღელავდა და აფორიაქებული იყო, იმის შიშით, ჯარი ბრძოლის დაწყებისთანავე არ შემუსრულიყო, მოწინავე რაზმებს უბრძანა თავიანთი ადგილებიდან ფეხი არ მოეცვალათ, მოეთმინათ და მტრის იერიშს მედგრად დახვედროდნენ.

პომპეუსის ამ სამხედრო ხერხს კეისარი მეტისმეტად აძაგებს. მი-

სი აზრით, პომპეუსმა შეასუსტა ანაზდეული იერიშის ძალა და ჩაკ-ლა ის აგზნება, მტერზე თავდასხმის დროს რომ მრავალი ჯარისკაცის აღფრთოვანებასა და შეტევას ძალას ჰმატებს ყიჟინითა და სწრაფი მოძრაობით. თავისი მეომრები პომპეუსმა შებოჭა და სიფიცხე შეუნელა[141].

კეისარს თან ოცდაორი ათასი ჯარისკაცი ჰყავდა, პომპეუსს კი ორჯერ — ანდა ცოტა კიდევ უფრო მეტი.

70. ბრძოლის დაწყების ნიშანი უკვე მისცეს. საყვირის ხმა ჯარისკაცებს აქეზებდა ფეხზე დამდგარიყვნენ. ამ უთვალავ ლაშქარში ყოველი კაცი ბრძოლისათვის ემზადებოდა. რამდენიმე კეთილშობილმა რომაელმა და ზოგიერთმა ბერძენმა, რომლებიც ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ, საბედისწერო და საშინელი ჟამი რომ მოახლოვდა, მსჯელობა დაიწყეს იმაზე, თუ სადამდე მიიყვანა რომის სახელმწიფო ორი კაცის სიხარბემ და სიჯიუტემ.

ორივე მოწინააღმდეგე მხარეს ერთნაირი იარაღი ჰქონდა; მათი რაზმები საოცრად ჰგავდა ერთმანეთს; ალმებიც ერთნაირი იყო და რჩეულ ვაჟკაცთა მრავალრიცხოვანი მხედრობაც ერთ სახელმწიფოს ეკუთვნოდა. და აი, ეს ძალა, შუაზე გაყოფილი, ერთიმეორეზე აღდგა. ეს ნათლად ამტკიცებდა, თუ რა ბრმა და უგუნური ხდება ადამიანის ბუნება, როდესაც ვნებებს აჰყვება.

პომპეუსსა და კეისარს რომ მოეწადინებინათ მშვიდობიანად ესარგებლათ მოპოვებული გამარჯვებებით, მთელი სამყაროს საუკეთესო და უდიდესი ნაწილი როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე მათ ხელქვეით აღმოჩნდებოდა. თუ მათ სურდათ დაეკმაყოფილებინათ თავიანთი სწრაფვა ნადავლისა და ტრიუმფისადმი, შეეძლოთ ეს სურვილი პართებთან და გერმანელებთან ომებით დაეცხროთ. ბევრი რამ რჩებოდა გასაკეთებელი სკვითების მხარეში და ინდოეთშიც. პომპეუსსა და კეისარს თავიანთი სიხარბის გასამართლებლად სწორედ აქ შეეძლოთ ერთი შეხედვით საფუძვლიანი საბაბი წამოეყენებინათ; სახელდობრ ის, რომ მათ მიზნად ჰქონდათ ბარბაროსული ტომების მოთვინიერება. განა სკვითთა რომელი მხედრობა, პართების რომელი მოისრენი ან ინდოელთა რა სიმდიდრე შეაკავებდა სამოცდაათი ათასი კაცისაგან შემდგარ იარაღასხმულ რომაელთა მხედრობას, პომპეუსისა და კეისრის წინამძღოლობით მომავალს? იმ პომპეუსისა და კეისრისა, რომელთა სახელიც რომაელთა სახელზე ბევრად ადრე

ჰქონდათ გაგონილი, რადგან პომპეუსსა და კეისარს მრავალზე მრავალი ტომი ჰყავდათ დამარცხებული.

და აი ახლა ისინი, დღემდე რომ დაუძლეველთა სახელს ატარებდნენ, ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგნენ; არ დაინდეს საკუთარი ღირსება, რომლის გულისთვისაც სამშობლოც კი მსხვერპლად შესწირეს. პომპეუსისა და კეისრის დამოყვრება, იულიასადმი პომპეუსის სიყვარული, მათი ქორწინება თავიდანვე ცბიერი და საეჭვო შეკავშირება იყო, ანგარების მიზნით შეკოწიწებული. მათ ურთიერთობაში ჭეშმარიტი მეგობრობის ნატამალიც კი არ ერია.

71. ფარსალეს ველი მეომრებით, ცხენებითა და იარაღით გაივსო. როგორც კი მისცეს ორივე მხრივ ბრძოლის დაწყების ნიშანი, კეისრის ფრთიდან პირველი გამოიჭრა ას ოცი კაცისაგან შემდგარი რაზმის უფროსი გაიუს კრასიანუსი[142], რომელმაც თავის დროზე კეისრის წინაშე ფიცი დასდო. ბანაკიდან მომავალმა კეისარმა პირველად იგი შენიშნა, მიესალმა და ჰკითხა: როგორი აზრისა ხარ ბრძოლის შესახებო: „შენ ბრწყინვალე გამარჯვებას მოიპოვებ, კეისარო, მე კი დღევანდელ დღეს ან ცოცხალს ან მკვდარს შემაქებო!“ აი, ეს სიტყვები გაიხსენა მაშინ კრასიანუსმა, გავარდა წინ, თან მრავალი მეომარიც გაიყოლა და მტრის რაზმთა შუაგულში შეიჭრა.

აქ მაშინვე მახვილებით გაჩაღდა ბრძოლა. მოკლულთა რიცხვი უთვალავი იყო. კრასიანუსი მთელი ძალით წინ მიიწევდა და მტრის მეწინავე რიგებს შუაზე კვეთდა. ამ დროს მას პირისპირ შემოეგება ერთ-ერთი პომპეუსელი და ისეთი ძალით ატაკა პირში მახვილი, მისმა წვეტმა კეფაც კი გაუხვრიტა. კრასიანუსი მკვდარი დაეცა. ბრძოლის ბედი ამ უბანზე ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი დარჩა.

პომპეუსმა თავისი მარჯვენა ფრთა მაშინვე არ გამოიყვანა ბრძოლაში. იგი აყოვნებდა, აქეთ-იქით იცქირებოდა და ელოდებოდა, რას იზამდნენ მისი ცხენოსნები. ესენი თავიანთ მწკრივებს მთელ ხაზზე შლიდნენ იმ განზრახვით, რომ კეისრისათვის ალყა შემოერტყათ და მის მეწინავე მცირერიცხოვან რაზმს ცხენოსნების უკან მდგარი ქვეითი მეომრები გადაეთელათ.

მაგრამ კეისარმა ნიშანი მისცა, ცხენოსნებმა უკან დაიხიეს, ალყისაგან თავის დასაცავად დარაზმული კოჰორტები კი სამი ათასი კაცის შემადგენლობით მტრის შესაგებებლად გამოიჭრნენ. კოჰორტთა

მეომრები მტრის ცხენოსნებს სათითაოდ გვერდში ამოუდგნენ და, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, ზეამართული შუბის წვეტები პომპეუსის მხედრებს თავ-პირში დასცხეს. ესენი კი, საერთოდ სამხედრო საქმეში გამოუცდელნი, მტრის ასეთ ხერხს სრულიადაც არ მოელოდნენ და არც წინასწარ ჰქონდათ გაგებული ამის თაობაზე რამე. ამიტომ თვალებსა და სახეში მომართულ დარტყმებს ვეღარ გაუძლეს და საჭირო გამბედაობა ვერ გამოიჩინეს. ისინი სახეზე ხელებს იფარებდნენ, მტერს ზურგს უბრუნებდნენ და სამარცხვინოდ გარბოდნენ.

კეისრის მეომრებმა უკუქცეულებს თავი მიანებეს და დაიძრნენ მტრის ქვეითი ჯარის წინააღმდეგ. პომპეუსის ქვეითი ლაშქარი ამჟამად როდიღა იყო დაცული ცხენოსნებით: ამიტომაც მის რკალში მომწყვდევა ახლა სულ ადვილი საქმე გახლდათ. კეისრის მეომრები პომპეუსელებს ფლანგიდან დაესხნენ თავს მაშინ, როცა მეათე ლეგიონმა წინა ნაწილზე მიიტანა იერიში. პომპეუსის მეომრებმა ასეთ მოწოლას ვეღარ გაუძლეს და აქეთ-იქით დაიფანტნენ, რა დაინახეს, იმედი გაუცრუვდათ; იმის მაგვრად, რომ მტერი მოექციათ ალყაში, თვითონვე ელოდათ ეს საშიშროება.

72. ქვეითი ჯარის უკან დახევის შემდეგ, როცა პომპეუსმა ჰაერში ავარდნილი მტვერი დაინახა, მიხვდა, რომ მისი მხედრობა შემუსრეს. თუ რა იფიქრა მაშინ, ძნელია ამის თქმა. მაგრამ დაბნეული და გონებაწართმეული კაცივით რომ იქცეოდა, ეს კი სრულიად აშკარა გახლდათ. მან დაივიწყა, რომ იგი პომპეუს დიდი იყო. ერთი სიტყვითაც კი არავისთვის მიუმართავს, ისე ნელი ნაბიჯით გაემართა ბანაკისაკენ. მისთვის სავსებით შესაფერი გახლდათ აი ეს სიტყვები:

> მეუფე ზევსმა ზარი დასცა მაშინ აიანტს,
> რომელმაც შიშით უკუაგდო შეიდკეცა ფარი
> და მეძრწუნებით გასცქეროდა თავის ლაშქარსა.143

ასე გაოგნებული შევიდა პომპეუსი კარავში და ხმაამოუღებლივ იჯდა მანამ, სანამ ლტოლვილთა მთავარი მდევარი ბანაკში არ შემოიჭრა. „როგორ, ნუთუ ბანაკშიც?“ — ესლა წამოიძახა მაშინ პომპეუსმა, სხვა აღარაფერი უთქვამს, ფეხზე წამოდგა, ვითარების შესაფერი ტანსაცმლით შეიმოსა და ბანაკიდან უხმოდ გავიდა.

პომპეუსის დანარჩენი ლეგიონებიც უკუიქცნენ. მის ბანაკში სა-

შინელი ხოცვა-ჟლეტა შეიქნა. აქ კარავთა მრავალი მცველი და მონა დახოცეს; რაც შეეხება ჯარისკაცებს, ამათგან მხოლოდ ექვსი ათასი კაცი დაეცაო, — ამბობს აზინიუს პოლიონი[144], რომელიც ამ ბრძოლაში კეისრის მხარეზე იყო.

აიღეს თუ არა პომპეუსის ბანაკი, კეისრის მომხრენი მეტისმეტად გაოცდნენ. საქმე ის იყო, რომ მათ აქ მტრის უგუნურება და თავჭარიანობა იხილეს. ყოველი კარავი ტვიის შტოებითა და ჭრელ-ჭრელი ხალიჩებით იყო მორთული. კარვებში დადგმული მაგიდები ნაირ-ნაირი თასებითა და ღვინით სავსე კრატერებით იყო გაწყობილი[145]. ყველა ეს მორთულობა მსხვერპლის შემწირველთ და მოზეიმეთ უფრო შეეფერებოდა, ვიდრე საომრად გამზადებულ ხალხს. აი ასეთი ფუჭი იმედებითა და წინდაუხედავი გულდაჯერებულობით აღსავსენი გამოდიოდნენ პომპეუსელები ომში.

73. მოშორდა თუ არა მცირე მანძილით ბანაკს, პომპეუსი ჩამოქვეითდა, ცხენი გაუშვა და სულ რამდენიმე კაცის თანხლებით, რაკი არავინ მისდევდა, გზა ნელი ნაბიჯით განაგრძო. იგი ისე ჩაძირულიყო ფიქრებში, როგორც შეიძლება ყოფილიყო ის კაცი, ვინც მიეჩვია მთელი ოცდათოთხმეტი წლის განმავლობაში გამარჯვებასა და ყველაფრის დამორჩილებას და ვინაც მხოლოდ სიბერის ჟამს პირველად იგემა დამარცხებისა და განადგურების სიმწარე. პომპეუსი მწუხარებით ეკითხებოდა თავის თავს, თუ ვით დაკარგა ასე ერთ წუთში ის სახელი და ძლიერება, რაიც ეგზომ მრავალი ბრძოლითა და ომით მოიპოვა; თუ როგორ გახდა ასე უძლური სულ მცირე ხნის წინ დიდძალი ქვეითი ჯარის, მხედრობისა და ფლოტის პატრონი კაცი და როგორ მიიპარებოდა ისე დაკნინებული და გაცამტვერებული, რომ მდევარს არ შეემჩნია.

პომპეუსმა ლარისას ჩაუარა. როცა ტემპეს ველზე[146] გავიდა, საშინლად მოწყურებული პირქვე დაემხო და იქაური მდინარის წყალი დალია[147], მერმე ფეხზე წამოდგა, ტემპეს ველი გადალახა და ზღვის სანაპიროზე ჩავიდა. დილამდე მეთევზეთა ქოხში დარჩა, განთიადისას კი მდინარეზე სანაოსნოდ ვარგის ნავში ჩაჯდა. აქვე ჩაისვა თავისუფალი მდგომარეობის მქონე თანმხლებნი, ხოლო მონებს უბრძანა უშიშრად ხლებოდნენ კეისარს.

პომპეუსი ზღვის სანაპიროს მიჰყვებოდა. აქ უზარმაზარი საბარგო ხომალდი დაინახა, რომელიც ღუზის აშვებას აპირებდა. ამ ხომალ-

დის პატრონი რომაელი იყო, რომელსაც პომპეუსთან მეგობრული ურთიერთობა არ ჰქონდა, მაგრამ სახეზე იცნობდა. ამ კაცს სახელად პეტიციუსს ეძახდნენ. წინა ღამით ამ პეტიციუსმა სიზმარში პომპეუსი იხილა, მაგრამ ისეთი სახით როდი იყო, როგორსაც ჩვეულებრივ ხედავდა ხოლმე, არამედ სასოწარკვეთილი და დაჩაჩანაკებული ჩანდა და მას გაესაუბრა.

პეტიციუსი ამ სიზმარს თანამგზავრებს უყვებოდა ისე, როგორც ეს მოცლილ ხალხს სჩვევია მნიშვნელოვან ამბებზე ლაპარაკისას. ამ დროს ერთ-ერთმა მეზღვაურმა უცებ წამოიძახა, რომ მან დაინახა ნავი: „ეს ნავი ხმელეთიდან აქეთ მოემართება; შიგ ვიღაც უცნობები სხედან. ისინი თავიანთ წამოსასხამებს აფრიალებენ და ხელებს ჩვენკენ იწვდიანო“.

პეტიციუსმა დაუყოვნებლივ გააჩერებინა ხომალდი და მაშინვე იცნო პომპეუსი, სწორედ ისეთი, როგორიც სიზმარში გამოეცხადა. მან მწუხარებისაგან თავზე ხელი შემოიკრა და მეზღვაურებს უბრძანა წყალში კანჯო ჩაეშვათ. მერმე პომპეუსს მარჯვენა ხელი გაუწოდა და თავისკენ მოუხმო. შეხედა თუ არა მას, პეტიციუსი მყისვე მიხვდა, ამ კაცის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალებულიყო. ამიტომ მის თხოვნასა და სიტყვას აღარ დაუცადა, მაშინვე აიყვანა ხომალდზე პომპეუსიც და ისინიც, ვინც პომპეუსმა მოისურვა (ესენი იყვნენ ორივე ლენტულუსი[148] და ფავონიუსი), და ღუზა აუშვა.

მცირე ხნის შემდგომ ხომალდზე მყოფებმა ზღვის ნაპირზე დაინახეს მეფე დეიოტარუსი[149], რომელიც ყოველნაირად ცდილობდა ამ ხომალდზე მოხვედრას. პეტიციუსმა ისიც აიყვანა.

მალე სადილობის დრო მოვიდა. ხომალდის პატრონმა დაიწყო სადილის მომზადება იმ სურსათით, რაც ხელთ ჰქონდა. ფავონიუსმა როგორც კი შენიშნა, პომპეუსი საკუთარი ხელით ცდილობდა ტანსაცმლის გახდას, მყისვე მიიჭრა მასთან, გახადა ტანთ და ზეთითაც დაზილა. ამიერიდან ფავონიუსი ბოლომდე აღარ მოსცილებია პომპეუსს და ისე ემსახურებოდა, როგორც მონა თავის ბატონს. იგი მას ფეხებსაც კი ჰბანდა და საუზმესაც უმზადებდა. ასე რომ ვინც ამ კაცის კეთილშობილურ და თავდადებულ სამსახურს იხილავდა, იგი აუცილებლად გულწრფელი უბრალოებით იტყოდა:

აი ვით შვენით დიდგვაროვანთ საქმე ყოველი![150]

74. ერთი სიტყვით, პომპეუსმა ჩაუარა ამფიპოლისს და მერმე გეზი მიტილენესაკენ აიღო [151], იმ გადაწყვეტილებით, აქედან წაეყვანა კორნელია და ვაჟიშვილი. მიადგა თუ არა კუნძულის სანაპიროს [152], ქალაქში მაცნე აფრინა, მაგრამ არა იმ ამბებით, როგორსაც კორნელია მოელოდა. სიტყვიერი თუ წერილობითი სასიხარულო ცნობებით დაიმედებულ კორნელიას ეგონა, ომი დირაქიუმთან დამთავრდა და პომპეუსს ისევ დარჩენია, კეისარს სდიოსო.

ასეთ ფიქრებში იყო ის, როცა მასთან შიკრიკი მივიდა. მან ვერ გაბედა პომპეუსის მეუღლეს მისალმებოდა და ყველა უსაზღვრო უბედურება ცრემლებით უფრო ამცნო, ვიდრე სიტყვებით. მერმე ურჩია აჩქარებულიყო, თუკი მოისურვებდა ენახა პომპეუსი მხოლოდ ერთსა და ისიც სხვის ხომალდზე.

ეს რომ გაიგონა, კორნელია პირქვე დაემხო მიწაზე და დიდხანს იწვა გაოგნებული და ხმაწართმეული. ბოლოს, როგორც იქნა, გონს მოვიდა, მიხვდა, გლოვისა და ტირილის დრო აღარ იყო, და ქალაქიდან ზღვის სანაპიროსაკენ გაეშურა. აქ მას შეეგება პომპეუსი და ღონემიხდილი ცოლი, რომელიც კინაღამ წაიქცა, მკლავებში მოიმწყვდია. „ძვირფასო მეუღლევ, — უთხრა კორნელიამ ქმარს. — მე კარგად ვხედავ, რომ ამ უბედურების მიზეზი, ერთი ხომალდით რომ მიექანები სადღაც, მე ვარ და არა შენ; კორნელიას შერთვამდე შენ ხომ ხუთასი ხომალდით სერავდი ამ ზღვას! რატომ მოხვედი ჩემს სანახავად? რატომ არ დამტოვე მრისხანე ბედისწერის ანაბრად ქალი, რომელმაც ესოდენ მრავალი უბედურება მოგიტანა? ოჰ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, მანამდე მღირსებოდა სიკვდილი, სანამ გავიგებდი, რომ ჩემი პირველი ქმარი პუბლიუსი პართებთან ბრძოლაში დაიღუპა! რა გონივრულად მოვიქცეოდი, მისი სიკვდილის შემდეგ მეც ამეღო სიცოცხლეზე ხელი, რაც უკვე განზრახული მქონდა! მაგრამ, როგორც ჩანს, პომპეუს დიდის საუბედუროდ გადავრჩი!“ [153]

75. ამბობენ, როცა ეს თქვა კორნელიამ, პომპეუსმა ასე უპასუხაო: „შენ, კორნელია, დღემდე მიცნობდი როგორც ბედნიერ კაცს. შესაძლოა იმან მოგატყუა, რომ ეს ბედნიერება ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს შემომრჩა; მაგრამ ახლა ეს უბედურებაც უნდა ავიტანოთ; ჩვენ ხომ ადამიანები ვართ! მერმე კი კვლავ ვცადოთ ბედი. იმედი არ უნდა დავკარგოთ, რომ ამ მდგომარეობიდან ისევე შესაძლებელია დავუბრუნდეთ წარსულ ვითარებას.“

კორნელიამ ქალაქიდან თავისი ქონება და მსახურები გამოითხოვა მიტილენეს მოქალაქენი გულთბილად ესალმებოდნენ პომპეუსს და ქალაქში იპატიჟებდნენ, მაგრამ მან ქალაქში შესვლა არ მოისურვა და მიტილენეს მცხოვრებთ რჩევა მისცა გამარჯვებულს დამორჩილებოდნენ და მხნეობა არ დაეკარგათ. კეისარი, — ეუბნებოდა იგი, — კეთილი და მოწყალე კაცი არისო.

მერმე მან საუბარი გამართა ფილოსოფოს კრატიპესთან[154], რომელიც ქალაქიდან მის სანახავად ჩამოვიდა. პომპეუსმა ერთგვარი ეჭვი გამოთქვა ბედისწერის თაობაზე. კრატიპემ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ეთანხმებოდა ამაში და სცადა მისთვის უკეთესი მომავლის იმედები შთაენერგა, რათა უდროო შეკამათებით არ გაებრაზებინა.

კრატიპეს, სხვათა შორის, შეეძლო შეკამათებოდა პომპეუსს და დაემტკიცებინა მისთვის, რომ რომის სახელმწიფოს ახლანდელი მერყეევი მდგომარეობა მონარქიულ მმართველობას მოითხოვდა. ფილოსოფოსს შეეძლო სახელდობრ ასეთი კითხვა დაესვა: „პომპეუსო, გამარჯვება რომ შენ ხელთ აღმოჩენილიყო, რა საფუძველი გვექნებოდა ჩვენ იმის დასაჯერებლად, რომ შენ უკეთ ისარგებლებდი ბედით, ვიდრე კეისარი? მაგრამ სჯობს ამ საკითხებს, ვინაიდან ისინი ღმერთთა მსჯელობის საგანია, ჩვენ თავი დავანებოთო“.

76. ცოლისა და მეგობრების თანხლებით პომპეუსი ლესბოსიდან ზღვაში გავიდა. იგი არც ერთ ნავსადგურში არ შეჩერებულა, გარდა იმ აუცილებელი შემთხვევებისა, როდესაც სასმელი წყლისა და სურსათის მომარაგება იყო საჭირო. პირველი ქალაქი, რომელშიაც მან ფეხი შედგა, პამფილიის ქალაქი ატალია გახლდათ. აქ შემოხვდა კილიკიიდან გამოსული რამდენიმე ხომალდი. მალე ჯარისკაცებმაც დაიწყეს მის გარშემო შემოკრება და პომპეუსს ახლა თავის ირგვლივ უკვე სამოცი სენატორიც ჰყავდა.

როცა გაიგო, მისი ფლოტი ჯერ კიდევ ხელუხლებლად იდგა და რომ კატონი მის მიერ შეკრებილი დიდძალი ჯარით ლიბიაში იყო გადასული, მეგობრებზე ბრაზი მოუვიდა და მწარედ ინანა, რად აიძულა თავისი თავი მარტოოდენ ქვეითი მხედრობით ჩაბმულიყო ბრძოლაში: ხოლო ის ძალა, რომელიც აშკარად ჯობნიდა მოწინააღმდეგეს, არ გამოიყენა და ფლოტი არ დააყენა ისეთ ადგილზე, საიდანაც, ხმელეთზე დამარცხების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუპირისპირებდა მოწინააღმდეგეს ზღვაზე თავმოყრილ ესოდენ მძლავრ ლაშ-

ქარს. მართლაც, პომპეუსის ყველაზე უფრო დიდი შეცდომა და კეისრის ყველაზე უფრო მარჯვე ხერხი სწორედ ის იყო, რომ ბრძოლა გააჩალა ზღვიდან საკმაოდ მოშორებით, სადაც სამხედრო ხომალდებს დახმარების გაწევა არ შეეძლოთ.

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, პომპეუსი იძულებული გახდა შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად რაიმე მოესაზრებინა და გაეკეთებინა. ამიტომ ზოგიერთ ქალაქებში მოციქულებს აგზავნიდა, ზოგში კი თვითონ მიემგზავრებოდა. იგი ფულსა და აღჭურვილ ხომალდებს თხოულობდა. მაგრამ მტრის მოქნილობისა და სისწრაფისაც ეშინოდა. მტერს შეეძლო მანამ დასხმოდა თავს, სანამ მზადებას დაასრულებდა. ამის გამო პომპეუსი თავის დასახსნელად საიმედო თავშესაფარსაც ეძებდა. ამის თაობაზე თავისიანებთან ბჭობა გამართა. მაგრამ გამოირკვა, რომ რომს დაქვემდებარებული არც ერთი პროვინცია თავშესაფრად არ გამოდგებოდა. რაც შეეხება უცხო სამეფოებს, ამჟამად შექმნილი პირობების მიხედვით პომპეუსს ყველაზე უფრო დამაკმაყოფილებლად მოეჩვენა პართების სამეფო. იგი, მისი აზრით, ძალაგამოცლილ პომპეუსელებს მიიღებდა, დაიცავდა, მერმე ისევ ფეხზე წამოაყენებდა და დიდძალი მხედრობით უკან გამოისტუმრებდა. ზოგიერთმა კი არჩევანი ლიბიასა და მეფე იუბაზე შეაჩერა. მაგრამ თეოფანე ლესბოსელი უგუნურებად მიიჩნევდა უყურადღებოდ დაეტოვებინა პომპეუსს ზღვით სამი დღის სავალ მანძილზე მდებარე ეგვიპტე და მისი ახალგაზრდა მეფე პტოლემეოსი[155], რომელიც დიდად იყო დავალებული პომპეუსისაგან მამამისისთვის გაწეული მეგობრობითა და სამსახურით, და ჩაბარებოდა პართებს, ამ ფრიად ვერაგ ტომს. „პომპეუსს, — ამბობდა თეოფანე, — არ სურს მეორე კაცი იყოს მისი სიმამრის[156] შემდეგ და პირველი დანარჩენთა შორის. ასევე არ სურს იგემოს ამ გამარჯვებული რომაელის შემწყნარებლობა და სურს ბატონად გაიხადოს არსაკე[157], რომელმაც კრასუსი ცოცხლად არ შეიერდომა! პომპეუსს თავისი ახალგაზრდა ცოლი, სკიპიონთა გვარეულობის ქალი, მიჰყავს ბარბაროსებთან. რომლებიც თავიანთ ძალას თავხედობითა და ავხორცობით ზომავენ. იქნებ მათ არაფერი არ ავნონ ამ ქალს, მაგრამ მარტო იმის ფიქრიც კი აუტანელია, რომ იმ ხალხის მონად იქცეს, რომელიც ასეთ რამეზე უკან არ დაიხევსო“.

როგორც ამბობენ, მხოლოდ ამის გამო აიღო ხელი პომპეუსმა

ევფრატისაკენ გამგზავრებაზე, თუკი, რა თქმა უნდა, საკუთარი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა და თუ ბედისწერამ არ დააყენა სხვა გზაზე.

77. ამგვარად, ეგვიპტეში გაქცევის აზრმა გაიმარჯვა. პომპეუსი მეუღლითურთ სელევკიური ხომალდით გაემგზავრა კიპროსიდან. რაც შეეხება სხვებს, ზოგი გრძელი სამხედრო ხომალდით, ზოგი კი საგაჭროთი მიჰყვა მას უკან. ზღვა მან უვნებლად გადალახა.

როცა პომპეუსმა შეიტყო, პტოლემეოსი თავისი მხედრობით პელუზიუმში[158] იდგა და საკუთარ დას[159] ეომებოდა, თვითონაც იქით გაემართა. წინასწარ კი კაცი აფრინა, რათა ეგვიპტის მეფისათვის თავისი მოსვლა ეუწყებინა და თავშესაფარი ეთხოვა.

პტოლემეოსი მეტისმეტად ახალგაზრდა იყო. ამიტომ ყველა საელმწიფო საქმეს პოთინე[160] განაგებდა. პომპეუსის თხოვნის განსახილველად აი ამ პოთინემ მოიწვია ყველაზე გავლენიან პირთა სხდომა (გავლენიან პირად კი ის ითვლებოდა, ვისაც პოთინე მოისურვებდა). მან წინადადება მისცა საბჭოს ყველა წევრს თავისი აზრი გამოეთქვა ფრიად სამარცხვინო ამბავი იყო ის, რომ პომპეუს დიდის ბედის გარშემო ბჭობდნენ საჭურისი პოთინე, რიტორიკის დაჭირავებული მასწავლებელი თეოდოტე ქიოსელი და ეგვიპტელი აქილა! სასახლის კარზე პირისფარეშთა და აღმზრდელთა შორის მეფის ყველაზე უფრო დიდი და საპატიო მრჩეველები სწორედ ესენი იყვნენ. ზღვის სანაპიროდან მოშორებით ღუზაზე მდგომი პომპეუსი კი ამ სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდებოდა, მაშინ როცა სამარცხვინო საქმედ და თავმოყვარეობის შელახვად მიიჩნია გადარჩენისათვის კეისრისაგან ყოფილიყო დავალებული.

პოთინეს მიერ მოწვეულ საბჭოს წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. ერთნი პომპეუსის უკანვე გასტუმრებას მოითხოვდნენ, მეორენი იმ აზრს უჭერდნენ მხარს, რომ მოეპატიჟებინათ და მიეღოთ. მაგრამ თეოდოტემ[161], რომელსაც თავისი გამჭრიახობისა და მჭევრმეტყველების ხელოვნების ჩვენება უნდოდა, განაცხადა, არც ერთი წინადადება არ ვარგაო. „თქვენ რომ პომპეუსი მიიღოთ, — ამბობდა თეოდოტე, — კეისარს მტრად გაიხდით, პომპეუსი კი სულ მალე თქვენი მბრძანებელი იქნება. მაგრამ მისი ახლანდელი თხოვნა რომ უკუაგდოთ, ორივე მხრივ ბრალდებულები აღმოჩნდებით. პომპეუსი თქვენ ხელისკვრას დაგაბრალებთ, კეისარი კი იმას,

რომ პომპეუსის დევნის საქმე გაუჭიანურეთ. ამიტომ ყველაფერს აჯობებს მოვიწვიოთ პომპეუსი და მოვკლათ. ამით კეისრის გულსაც მოვიგებთ და პომპეუსის შიშიც აღარ გვექნება". როგორც გადმოგვცემენ, თეოდოტემ ამ სიტყვას ღიმილით დაუმატა თურმე: „მკვდარი არ იკბინებაო!"

78. ეს ვერაგული ჩანაფიქრი ერთხმად მიიღეს და გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა აქილას დაავალეს. აქილამ თან გაიყოლა პომპეუსის ყოფილი სამხედრო ტრიბუნი ვინმე სეპტიმიუსი, ცენტურიონად ნამსახური სალვიუსი, სამი თუ ოთხი მონა და მეთევზეთა ნავით პომპეუსის ხომალდისაკენ გაემართა. ხომალდის ქიმზე თავი მოეყარათ პომპეუსის წარჩინებულ თანამგზავრებს, რათა საკუთარი თვალით ენახათ, თუ რა მოხდებოდა. მალე დაინახეს, რომ პომპეუსის შეხვედრა არ გამოირჩეოდა მეფური ბრწყინვალებით და ოდნავადაც არ ამართლებდა თეოფანეს იმედებს: მეთევზეთა ერთი უბადრუკი ნავით სულ რამდენიმე კაცი მოცურავდა. ხომალდზე მყოფნი მიხვდნენ, რომ მათ ზიზღით ეგებებოდნენ; ამიტომ პომპეუსს ურჩიეს: რაც შეიძლება შორს გაიყვანე ხომალდი ზღვაში, სანამ მტრის გამოტყორცნილი ისარი არ მოგხვედრიაო.

ამასობაში ნავი მიუახლოვდა ხომალდს. პირველად სეპტიმიუსი წამოდგა ფეხზე, პომპეუსს ლათინურ ენაზე მიესალმა და იმპერატორი უწოდა. მერმე აქილამ მისცა სალამი ბერძნულად და ნავში ჩამოიპატიჟა: აქ მეტისმეტად თავთხელია წყალი, ამიტომ მარჩხობების გამო ხომალდით ცურვა შეუძლებელიაო.

სწორედ ამ დროს პომპეუსის თანამგზავრებმა დაინახეს, რომ რამდენიმე სამეფო ხომალდი საომრად ემზადებოდა. ზღვის მთელი სანაპირო კი ქვეითი ჯარისკაცებით იყო დაკავებული. ამიტომაც გაქცევას აზრი არ ჰქონდა, თუნდაც რომ პომპეუსს თავისი გადაწყვეტილება შეეცვალა. გარდა ამისა უნდობლობის გამომჟღავნებით მკვლელებს საბაბი ექნებოდათ გაემართლებინათ თავიანთი ვერაგული საქციელი.

პომპეუსი გამოეთხოვა კორნელიას, რომელმაც უკვე წინასწარ დაიტირა მისი დაღუპვა. მერმე მასთან ერთად ნავში ჩაჯდომა უბრძანა ორ ცენტურიონს, ერთ-ერთ თავის აზატ ფილიპეს და მონას — სახელად სკვითეს.

აქილამ და მისმა მხლებლებმა პომპეუსს ქვევიდან ხელები გამო-

უწოდეს მისაშველებლად. იგი ნავში ჩახტა, პირი ცოლისა და ვაჟისაკენ მიაბრუნა და სოფოკლეს იამბური ტაეპები წარმოთქვა:

ის, ვინც ფეხს შედგამს მეფის კარზე, მეფის მონაა,
თუნდაც მოვიდეს დაბადებით თავისუფალი.[162]

79. ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც მან თავისიანებს უთხრა. ამის შემდეგ იგი ნავში ჩაჯდა. მანძილი ხომალდიდან ნაპირამდე საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ პომპეუსს ერთი ალერსიანი სიტყვაც არ აღირსეს. მან თვალები სეპტიმიუსს მიაპყრო და ჰკითხა: „თუ არ ვცდები, შენ ჩემი ყოფილი თანამოლაშქრე უნდა იყო?“ სეპტიმიუსმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია მხოლოდ და ერთი გულთბილი სიტყვაც არ უთხრა. ისევ დუმილი ჩამოვარდა. პომპეუსს თან ჰქონდა პატარა წიგნაკში ბერძნულად ჩაწერილი სიტყვა, რომელიც პტოლემეოს მეფისათვის უნდა ეთქვა, და მის კითხვას შეუდგა.

სანამ ნავში მსხდომნი ნაპირს უახლოვდებოდნენ, კორნელია პომპეუსის მეგობრებთან ერთად ხომალდიდან საშინელი მღელვარებით თვალს ადევნებდა იმას, თუ რა მოხდებოდა. როცა კორნელიამ დაინახა, რომ მისადგომ ადგილისაკენ მეფის მრავალი კარისკაცი მოემართებოდა, რომლებიც თითქოს იმიტომ მოდიოდნენ, რომ პომპეუსი პატივით მიეღოთ, სული მოითქვა. მაგრამ იმ დროს, როდესაც პომპეუსმა ფილიპეს ხელი ჩასჭიდა, რათა უფრო ადვილად წამომდგარიყო, სეპტიმიუსმა ზურგში მახვილი ჩასცა; მერმე სალვიუსმა და აქილამაც იშიშვლეს თავ-თავიანთი მახვილები. პომპეუსმა ორივე ხელით ჩამოიხურა ტოგა სახეზე; არაფერი არ უთქვამს და არაფერი არ მოუმოქმედნია ისეთი, რაც მის ღირსებას შელახავდა. ერთი დაიკვნესა მხოლოდ და ვაჟკაცურად შეხვდა მახვილთა დარტყმას. ასე მოსწყდა წუთისოფელს ორმოცდაცხრამეტი წლის პომპეუსი თავისი დაბადების დღის მომდევნო დღეს[163].

80. პომპეუსის მკვლელობის დანახვაზე ხომალდზე მყოფთ ისეთი შემაძრწუნებელი ყვირილი აღმოხდათ, რომ ეს ხმა ზღვის ნაპირსაც მისწვდა. მერმე ღუზა აუშვეს და სწრაფად გაშორდნენ იქაურობას. მძლავრმა ქარმა მეტისმეტად შეუწყო ხელი ლტოლვილებს. ამიტომაც ეგვიპტელები, წინააღმდეგ თავიანთი სურვილისა, იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ დევნაზე.

მკვლელებმა პომპეუსს თავი მოჰკვეთეს, გაშიშვლებული სხეული ნავიდან ნაპირზე გადაისროლეს და იმათ დაუტოვეს, რომელთაც ამ სანახაობით დატკბობა უნდოდათ. აზატი ფილიპე გაუნძრევლად იდგა გვამთან, სანამ ხალხმა მზერით გული არ გაიძღო. მერმე პომპეუსის ტანი ზღვის წყლით გაჰბანა და, რაკი სხვა არაფერი ჰქონდა, თავის ტუნიკა გადააცვა. შემდეგ ზღვის ნაპირი მიმოათვალიერა და იპოვა პატარა ნავის ნამტვრევები. მართალია, ეს ნამტვრევები მეტად ძველი იყო, მაგრამ გაშიშვლებული და ისიც დასახიჩრებული გვამისთვის სამგლოვიარო კოცონის დასანთებად კიდევ გამოდგებოდა.

სანამ ფილიპე ამ ნამტვრევებს ეზიდებოდა და თავს უყრიდა, მასთან მივიდა ერთი მოხუცებული რომაელი, რომელსაც ახალგაზრდობაში მონაწილეობა მიეღო პომპეუსის პირველ ლაშქრობაში. მან ფილიპეს ჰკითხა: „ვინ ხარ შენ, მეგობარო, პომპეუს დიდის დაკრძალვა რომ განგიზრახავსო?“ ამან უპასუხა: „პომპეუსის აზატი ვარო“. ეს კეთილი საქმე, — უთხრა მოხუცმა, — მარტო შენ რად უნდა ქმნა, მეც გამხადე მონაწილე. რაკი ასეთ წმინდა საქმეს წავაწყდი, დაე, ნუღარ მექნება საბაბი ვიწუწუნო ჩემს ცხოვრებაზე უცხო მხარეში. მრავალი უბედურების განცდის შემდეგ მეც მეწია ბედი ერთი კეთილშობილური საქმე ჩავიდინო და უკანასკნელი ვალი მოვიხადო რომაელთა უდიდესი სარდლის წინაშეო!“

აი, ასე სცეს პატივი პომპეუსის გვამს.

მეორე დღეს კიპროსიდან ხომალდით მოვიდა ლენტულუსი, რომელმაც მომხდარი ამბის თაობაზე არაფერი იცოდა. ის სანაპირო ხახს მიჰყვებოდა. როცა დაინახა გვამის დასაწვავად დასთებული კოცონი და მის გვერდით მდგარი ფილიპე, წამოიყვირა: „ნეტავ ვინ არის, თავისი ბედი რომ აქ დაუსრულებია და საუკუნო განსვენებას მისცემია?“ მერმე ერთხანს შეჩერდა, მწარედ დაიგმინა და თქვა: „ეგების შენ ხარ, დიდო პომპეუს?!“

მცირე ხნის შემდგომ ლენტულუსი ნაპირზე გადავიდა. იგი აქ შეიპყრეს და მოკლეს.

აი, ასეთი იყო პომპეუსის ბოლო.

ესოდენ მძიმე ცოდვით დამძიმებულ ეგვიპტეში სულ მალე ჩამოვიდა კეისარი. აქ მას პომპეუსის თავი მიართვეს. კეისარმა თავის მომტანს, ვითარცა ბოროტმოქმედს, თვალი აარიდა, პომპეუსის ბე-

ჭედი კი აიღო და ატირდა. ბეჭედზე ამოკვეთილი იყო ლომი მახვილით.

აქილა და პოთინე კეისარმა სიკვდილით დასაჯა. ბრძოლაში დამარცხებული მეფე პტოლემეოსი კი სადღაც მდინარესთან გაქრა[164], რაც შეეხება სოფისტ თეოდოტეს, იგი კეისრის შურისძიებას ხელიდან დაუსხლტა. ეგვიპტიდან გაიქცა და ყველასაგან მოძულებული საშინელ სოლარიბეში ჩავარდა. როცა კეისრის მოკვლის შემდეგ მარკუს ბრუტუსმა აზია დაიპყრო, იქ მონახა თეოდოტე, ჯერ საშინლად აწამა და შემდეგ სიკვდილით დასაჯა.

პომპეუსის ფერფლი კორნელიას მიუტანეს. მან იგი ალბანუმში დაკრძალა.

# ალექსანდრე მაკედონელი

1. ალექსანდრე მეფისა და პომპეუსზე გამარჯვებული კეისრის ცხოვრებას, ამ წიგნში რომ უნდა აღვწეროთ, შესაავლით აღარ დავიწყებ: სათქმელი ისედაც ბევრი მაქვს; ოღონდ მკითხველს ვთხოვ ნუ გაჭიცხავს, თუ ბევრ რამეს გამოვტოვებ და მათ სახელოვან საქმეთ ცალ-ცალკე დაწვრილებით არ შევეხები. მე ცხოვრებასა ვწერ და არა ისტორიას. დიად ამბებში ყოველთვის ცხადად როდი ჩანს სიკეთე თუ ბანკიერება; ერთი პატარა საქმე, ერთი სიტყვა ან მოსწრებული თქმა ხშირად უფრო ნათლად გვიჩვენებს ადამიანის ხასიათს, ვიდრე სიახლისმღვრელი ბრძოლები, დიდძალი ჯარის სარდლობა და ქალაქთა გარემოცვანი. ვით მხატვარი ახერხებს ხოლმე ადამიანის მსგავსების განსახიერებას თვალებისა და სახის გამომეტყველების საშუალებით, ხოლო სხეულის დანარჩენ ნაწილს იმდენ ყურადღებას აღარ აქცევს, რადგან გამომეტყველება ყველაზე მეტად ამჟღავნებს ადამიანის თავისებურებას, — ისე მეც, ნება მომეცით, ღრმად ჩავწვდე ამ პიროვნებათა სულიერ სამყაროს და თითოეული მათგანის ცხოვრება ამისდა მიხედვით ავსახო. დაე, სხვებმა აღწერონ მათი დიადი საქმენი და გადახდილი ომები!

2. ყველაზე უფრო სარწმუნოა, რომ მამით, როგორც კარანეს შთამომავალი, ალექსანდრე ჰერაკლიდი იყო, ხოლო დედის მხრივ, ვითარცა ნეოპტოლემეს მოდგმა, ეაკიდი[1]. გადმოცემის მიხედვით, ფილიპე (ალექსანდრეს მამა) ჯერ კიდევ ყრმობის ჟამს კუნძულ სამოთრაკზე იმყოფებოდა და ოლიმპიადასთან ერთად საიდუმლო ღვთისმსახურების აღსრულებაში მონაწილეობდა. ოლიმპიადა მამითაც და დედითაც ობოლი გოგონა იყო. ფილიპეს შეუყვარდა თურმე იგი და მისი ძმის არიმბასის თანხმობაც მიიღო და ცოლად შეირთო. საქორწინო სარეცელზე ასვლის წინაღამეს პატარძალს ქუხილი მოესმა; თითქოს უცებ მეხიც

გავარდა და მუცელზე დაეცა; ოლიმპიადა ცეცხლში გაეხვია; ცეცხლის ალი ყოველ მხრივ ჰაერში გაიფანტა და მოჩვენებაც გაქრა. დაქორწინების შემდეგ მცირე ხანმა განვლო და ფილიპემ უცნაური სიზმარი ნახა: მეუღლის მუცელს თითქოს ბეჭედს არტყამდა; ბეჭედზე, როგორც მოეჩვენა, ლომი იყო გამოსახული. ეს სიზმარი მისნებმა ცუდად ახსნეს და ფილიპეს ურჩიეს ცოლისათვის მკაცრად ედევნებინა თვალყური. სახელგანთქმულმა წინასწარმეტყველმა არისტანდრე ტელმესელმა [2] კი განაცხადა: ცარიელ რასმეზე ბეჭედს როდი არტყამენ; დედოფალი ფეხმძიმედ არის და შობს ვაჟს, რომელსაც ცეცხლის ძალა და ლომის გული ექნებაო. ერთხელ თურმე მძინარე ოლიმპიადას გვერდით მწოლიარე გველიც იხილეს. როგორც ამბობენ, ამ შემთხვევამ ფილიპეს ცოლისადმი სიყვარულისა და სინაზის გრძნობა მეტისმეტად გაუნელა და მასთან დასაწოლად თითქმის აღარ დადიოდაო. ალბათ დედოფლის ჯადოქრობისა ეშინოდა და ფრთხილობდა, მეუღლემ არ მომწამლოსო. შეიძლება ოლიმპიადა ზებუნებრივი არსებაც ეგონა და მასთან ცხოვრებას სარწმუნოების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულადა თვლიდა. ამ ამბავს სხვაგვარადაც გადმოგვცემენ: იქაური [3] ქალები ძველთაგანვე მონაწილეობენ ორფიკულ მისტერიებსა და დიონისე ღმერთისადმი მიძღვნილ ორგიებში. ამის გამო მეტსახელად ამ ქალებს კლოდონებსა და მიმალონებს უწოდებენ [4]. ისინი ბევრ რასმე აკეთებენ ისეთს, რასაც ჰემოს მთის [5] მახლობლად მცხოვრები თრაკიელი ქალები ასრულებენ. ჩემი აზრით, აქედან წარმოიშვა სიტყვა „თრესკეეინ“, რაც ცრუმორწმუნეობით გამოწვეულ გადაჭარბებულ ღვთისმსახურებას აღნიშნავს. ოლიმპიადა ყველაზე მეტად ყოფილა თურმე გატაცებული ასეთი ღვთისმსახურებით. იგი ბარბაროს [6] ქალებს ჰბაძავდა და, როცა ბაკქელ ქალთა გუნდში მიდიოდა, თან მოშინაურებული დიდი გველებიც მიჰყავდა. დედოფლის გველები ხშირად გამოძვრებოდნენ ხოლმე სუროს ფოთლებიდან და სამისტერიო კალათებიდან; მერმე ბაკქელი ქალების სუროთი შემოსილ კვერთხებსა და გვირგვინებს ეხვეოდნენ. ეს სანახაობა იქ მყოფ მამაკაცებს შიშის ზარს ჰგვრიდა.

3. ზემოაღნიშნული საზარელი მოჩვენებების შემდგომ ფილიპემ დელფოს სამისნოში გაგზავნა მეგალოპოლისელი ქერონი. როგორც ამბობენ, ქერონმა ღვთის მიერ ბოძებული წინასწარმეტყველება მოიტანა: ფილიპეს მსხვერპლი უნდა შეეწირა ხოლმე ამონისათვის და

ყველაზე მეტად ამ ღმერთისათვის ეცა თაყვანი[7]. ფილიპე მეფემ მალე ცალი თვალი დაკარგა. მაკედონიის მბრძანებელმა ამ თვალით კარის ხვრელიდან დედოფლის საწოლ ოთახში შეიხედა თურმე და დაინახა ოლიმპიადასთან მწოლიარე ღმერთი ამონი, რომელსაც ვველის სახე მიეღო[8]. ერატოსთენე[9] გადმოგვცემს: როცა ოლიმპიადა ლაშქრად მიმავალ ალექსანდრეს აცილებდა[10], მისი წარმოშობის საიდუმლოება გაუმჟღავნა თურმე და დაარიგა, ღირსეულად მოპყრობოდა თავის ღვთაებრივ წარმომავლობას. სხვები კი ამბობდნენ, ოლიმპიადა ღმერთ ამონთან კავშირს უარყოფდა და ხშირად იძახდა: „განა აღარ შეწყვეტს ალექსანდრე ჩემს ცილისწამებას ღმერთქალ ჰერას წინაშე?“[11].

დაიბადა ალექსანდრე ექვს ჰეკატომბეონს, სწორედ იმ თვეში, რომელსაც მაკედონელები ლოოსს უწოდებენ[12]. ალექსანდრეს დაბადების დღეს ღმერთქალ არტემიდეს ტაძარს ეფესოში ცეცხლი გაუჩნდა[13]. ამ შემთხვევის გამო ჰეგესია მაგნესიელმა[14] ისეთი სიტყვა თქვა, რომ მისი სუსხი საკმარისი იყო იმ ხანძრის ჩასაქრობად. მან მოსწრებულად შენიშნა: „რა გასაკვირია, არტემიდეს ტაძარი რომ დაიწვა; ღმერთქალს არ ეცალა მაშინ: იგი ალექსანდრეს დაბადების ჟამს ბებია ქალის მოვალეობას ასრულებდაო“[15]. ეფესოში მყოფი მოგვები, ქურუმები და მისნები კი, აღგზნებული იმ აზრით, რომ ტაძრის დაფერფვლა მეორე უბედურებას მოასწავებდა, თავ-პირში ხელებს იცემდნენ და ყვიროდნენ: აზიისათვის რისხვა და უბედურება დაიბადა დღესო.

ფილიპე მაკედონელმა, რომელსაც პოტიდეა[16] ახლახან აიღო, იმ დღეს ზედიზედ სამი სასიხარულო ამბავი გაიგო. ერთი ის, რომ პარმენიონმა[17] დიდ ბრძოლაში ილირიელები დაამარცხა, მეორე — მისმა რაშმა ოლიმპიურ ჯირითში გამარჯვება მოიპოვა და მესამე ის, რომ ალექსანდრე დაიბადა. ფილიპე, ცხადია, აღტაცებული იყო, მის სიხარულს მისნებმა იმითაც შეასხეს ფრთა, რომ განუცხადეს: სამი გამარჯვების ჟამს შობილი მეფისწული უძლეველი იქნებაო[18].

4. ალექსანდრეს გარეგნობას ყველაზე კარგად ლისიპეს ქანდაკებები წარმოგვიდგენს. ძლევამოსილ სარდალს, სხვათა შორის, სურდა მისი სახე მხოლოდ ლისიპეს გამოეკვეთა[19]. ხელოვანმა მართლაც ზუსტად გამოსახა მეფის ის იერი, რამაც შემდეგ ალექსანდრეს ბევრი მეამბიდრე და მეგობარი ჰბაძავდა; სახელდობრ: ალერსიანი გამოხედვა და

ოდნავ მარცხნივ მოღერებული ყელი. აპელესმა[20], რომლის სურათში ალექსანდრეს ხელთ მეხი უპერია, კარგად ვერ გადმოგვცა მისი კანის ფერი; მხატვარმა სახელოვანი სარდალი შავგვრემანი წარმოგვიდგინა, თითქოს კანზე რალაც ბურუსი გადაჰკრავსო; სინამდვილეში კი, როგორც გადმოგვცემენ, ალექსანდრე თეთრყირმიზი ყოფილა. მის კანს, განსაკუთრებით გულ-მკერდსა და პირსახეზე, ოდნავი სიწითლე დაჰკრავდა.

არისტოქსენეს[21] „მოგონებებში“ წამიკითხავს: ალექსანდრეს პირსა და სხეულზე ფრიად საამო სუნი ასდიოდა და ამ კეთილსურნელებით მისი ტანსაცმელიც კი იყო გაჟღენთილიო. ამის მიზეზი ალბათ მეფის სხეულის სითბოსა და მხურვალების შეზავება იყო. თეოფრასტეს მიხედვით, კეთილსურნელება სითბოს ზემოქმედების შედეგად ტენის აორთქლებით წარმოიქმნება. ცნობილია, დედამიწის ცხელ ადგილებში ყველაზე უფრო მეტი და უფრო სურნელოვანი მცენარეები იზრდება. ასეთ ქვეყნებში მზის სიმხურვალე ნივთიერებათა ზედაპირს აშორებს სინესტეს, ესე იგი იმას, რაც ჩვეულებრივ სხეულის ხრწნას იწვევს. როგორც ჩანს, სწორედ ალექსანდრეს ტანის მხურვალება იყო მიზეზი მისი სიფიცხისა და ლოთობისადმი მიდრეკილებისა აგრეთვე.

ალექსანდრემ ბავშობიდანვე გამოამჟღავნა თავდაჭერილობა. მართალია, ბევრ რასმეში სიფიცხესა და დაუცხრომლობას იჩენდა, მაგრამ ხორციელ სიამოვნებას გულგრილად ეკიდებოდა და ამ საქმეში რაც შეიძლება მეტ ზომიერებას იცავდა. პატივმოყვარეობას, მიუხედავად მცირეწლოვნებისა, დინჯი სიამაყითა და დიდსულოვნებით ეპყრობოდა. მას როდი უყვარდა ყოველგვარი საშუალებებითა და ხერხებით დიდების მოპოვება; ფილიპე მაკედონელი კი, პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა საკუთარი სახელის განდიდებას. იგი, სოფისტების მიბაძვით, თავს საუკეთესო მჭევრმეტყველად ასაღებდა და ოლიმპიურ ჯირითში მოპოვებულ გამარჯვებებს მონეტებზე აღბეჭდვინებდა ხოლმე.

ერთხელ მეგობრებმა ფეხმარდ ალექსანდრეს გამოსაცდელად ჰკითხეს: ოლიმპიური შეჯიბრებების დროს რბენაში ხომ არ მიიღებ მონაწილეობასო? „სიამოვნებით, — მიუგო ალექსანდრემ, — თუკი ჩემი მეტოქენი მეფენი იქნებიანო“. ალექსანდრე, როგორც ჩანს, ათლეტების მოყვარული საერთოდ არ იყო, თუმცალა ტრაგიკული მსახიობების, ავლეტებისა და კითარაზე დამკვრელთა შეჯიბრების გარდა

საკმაოდ ხშირად აწყობდა ხოლმე რაფსოდების შეჯიბრსაც და აგრეთვე სხვადასხვაგვარ ნადირობასა და რაბდომაქიაში ასპარეზობებს. კრივსა და პანკრატიონში შეჯიბრს იგი მაინცდამაინც ხალისით არ მართავდა[22].

5. ფილიპე მაკედონელი ერთხელ სამეფოდან წავიდა. მის სასახლეს სპარსთა მეფის ელჩები ეწვივნენ. უცხოელ დიდებულებს ყმაწვილი ალექსანდრე შეეგება. მეფისწულმა სტუმრები გულთბილად მიიღო, დაუახლოვდა და ალერსიანი მოქცევით მოხიბლა. მან ელჩებს ზოგი რამ ჰკითხა, მაგრამ მისი კითხვები ბავშვური ან ქარაფშუტული როდი იყო. ალექსანდრემ სტუმრებს მათ მიერ გამოვლილი გზის მანძილზე ჰკითხა ჯერ, მერე იმაზეც, თუ როგორ შეიძლება ზემო აზიაში მოგზაურობაო. ბოლოს სპარსთა მეფის გარშემო მისცა შეკითხვები: როგორია იგი მტრების მიმართ და რა ხახსრები და ძალა მოეპოვებათ მის ქვეშევრდომ სპარსებსო.

ალექსანდრეს თავაზიანობით და საზრიანი შეკითხვებით გაოცებულმა სპარსთა მეფის ელჩებმა ფილიპე მაკედონელის განთქმული პოლიტიკური ნიჭი არაფრად ჩათვალეს მისი შვილის ხხარტ გონიერებასა და დიდ უნართან შედარებით.[23]

მაკედონიაში ხშირად მოდიოდა ამბავი: ფილიპემ ესა და ეს ცნობილი ქალაქი აიღო და ამა და ამ ღირსშესანიშნავ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვაო. ალექსანდრე ამ ამბებს მოწყენილი სახით ისმენდა და ტოლ-ამხანაგებს ეუბნებოდა: „ყმაწვილებო, მამაჩემი ყველაფერს დაიპყრობს და მე აღარაფერს დამიტოვებს, თქვენთან ერთად საგმირო და ბრწყინვალე საქმენი რომ ჩავიდინოო!"

ალექსანდრეს სიმდიდრისა და განცხრომისაკენ ლტოლვა არასოდეს არ ჰქონია. მისი ოცნება მამაცობა და დიდებით მოსილი სახელის მოხვეჭა იყო. იგი ფიქრობდა, მამისაგან რამდენსაც დიდ მემკვიდრეობას მიიღებდა, მით უფრო მცირე რამ დარჩებოდა პირადად მას შესასრულებელი. მეფისწული წუხდა, მამამისი თავისი ძლიერების ზრდასთან ერთად მის მომავალ დიდებას რომ ფრთებს აკვეცდა.

უნდოდა მემკვიდრეობით მიეღო ომებსა და ბრძოლებთან განუყრელად დაკავშირებული სამეფო, სადაც მისი პატივმოყვარეობა ფრთებს გაშლიდა. სიმდიდრით აღსავსე და განცხრომა-ფუფუნებაში ჩაფლული საბრძანებელი მამამისისა სრულებითაც არ იტაცებდა.

ალექსანდრეს, როგორც ეს მეფისწულს შეეფერებოდა, მიჩენილი

ჰყავდა მრავალი ლალა, პედაგოგი და მოძღვარი. მათი გამგებელი იყო ოლიმპიადას ნათესავი, მკაცრი ხასიათის კაცი ლეონიდა. იგი არ თაკილობდა პედაგოგის ლამაზსა და საპატიო სახელს, მაგრამ სხვები ლირსებისა და დედოფალთან ნათესაური კავშირის გამო ალექსანდრეს მოძღვარსა და წინამძღოლს უწოდებდნენ [24]. ლალისა და გამზრდელის მოვალეობა და სახელი მიკუთვნებული ჰქონდა წარმოშობით აქარნელ ლისიმაქეს. ეს ლისიმაქე მაინცდამაინც განათლებული პიროვნება არ იყო, მაგრამ საყოველთაო სიყვარული და მეფისწულის აღზრდის საქმეში მეორე ადგილი იმით დაიმსახურა, რომ თავის თავს ფენიქსს უწოდებდა, ალექსანდრეს აქილევსს ეძახდა, ფილიპეს კი — პელევსს [25].

6. ერთხელ თესალიელმა ფილონიკემ ფილიპე მაკედონელთან გასაყიდად მოიყვანა ცხენი, რომელსაც სახელად ბუკეფალა ერქვა. ფილონიკე ცხენში ცამეტ ტალანტს თხოულობდა. ბუკეფალა გამოსაცდელად შინდორში გაიყვანეს. ერთი შეხედვით ყველას მოეჩვენა, ცხენი მეტისმეტად ფიცხი და შესაჯდომად ხელი იყო, არც ერთი მხედარი არ მიიკარა, მეფის მხლებლების შეძახილზე ყალყზე დგებოდა. ფილიპეს გული მოუვიდა და მხლებლებს უბრძანა, ეს ურა და ოჩაები ცხენი უკან წაეყვანათ. ყმაწვილმა ალექსანდრემ, — იგი ამ ამბავს ესწრებოდა, — აღშფოთებით წამოიძახა: „რა ცხენს კარგავენ ეს მხდალები და გამოუცდელები იმის გამო, რომ გამოყენება არ შეუძლიათო!“ ფილიპემ შვილს დუმილით უპასუხა; მაგრამ ალექსანდრემ რომ რამდენჯერმე გაიმეორა თავისი წუხილი, მაშინ ფილიპემ უთხრა: „შენ ისე კიცხავ უფროსებს, თითქოს მათზე მეტი რამ იცოდე და ცხენის დაურეგება უკეთ შეგეძლოს!“ „ყოველ შემთხვევაში, — უპასუხა მამას ალექსანდრემ, — მე უფრო ადვილად დავაურეგებ ამ ცხენს, ვიდრე სხვა ვინმე“. „კი მაგრამ, — ჰკითხა ფილიპემ, — რომ ვერ მოახერხო შეჯდომა, რას იზამ? რით დაგსაჯოთ მაგ თავხედობისათვის?“ „ეფიცავ ზეუსს, — მიუგო შვილმა, — ცხენის ფასს გადავიხდი!“

ამაზე ერთი სიცილი ატყდა. მერმე მამა-შვილი დანაძლევდნენ. ალექსანდრე ცხენთან მიიჭრა; სტაცა პირუტყვს აღვირში ხელი და თავი მზისაკენ მიაბრუნებინა. ალექსანდრე მიხვდა, ცხენს ეშინოდა ჩრდილის, რომელიც მის წინ ეცემოდა, მეფისწული ერთხანს სირბილით მიჰყვებოდა ცხენს და ალერსიანად ხელს უსვამდა; ხოლო როცა შეამჩნია, ცხენი გაფიცხდა და მძიმედ სუნთქავსო, დინჯად მოიშორა ქლა-

ბიდი [25], ოთხფეხს მარდად მოახტა და უნაგირზე მაგრად დაჯდა. მერმე ალვირი მოზიდა, ლაგამი ამოსდო და ცხენი ერთხანს შეაკავა, ერთიც არ შემოუკრავს. პირუტყვი მოთვინიერდა, სიშმაგეს თავი ანება და მხედარს მიენდო. ალექსანდრემ ეს რომ დაინახა, სადავე მოუშვა, მამაცური ხმით დასჭყივლა, დეზი შემოჰკრა და ძოთვინიერებული ცხენი ელვის სისწრაფით გააქროლა. ფილიპე და მისი ამალა დუმილითა და შიშით შესცქეროდნენ მეფისწულს; სიხარულისაგან ფრთაშეესხმულმა ალექსანდრემ ცხენი დაუბრკოლებლივ მოაბრუნდა უკან და თავისიანებთან მიიჭრა. მეფის ამალამ მხიარული ყიჟინა დასცა, ფილიპემ კი, როგორც ამბობენ, სიხარულისაგან ცრემლები ვეღარ შეიმაგრა, ცხენიდან ჩამომხტარ შვილს თავზე აკოცა და უთხრა: „შენი შესაფერი სახლანებელი უნდა მოძებნო, შვილო, მაკედონია შენ ვერ დაგიტევსო!“

7. ფილიპემ შენიშნა, ალექსანდრე ძალდატანების ქედუხრელად ხვდებოდა, კეთილ რჩევას კი, პირიქით, ადვილად ნებდებოდა და მოვალეობასაც ასრულებდა. ფილიპეც ცდილობდა დარწმუნებით უფრო მეტად ემოქმედა შვილზე, ვიდრე ბრძანებითა და მუქარით. მუსიკისა და ზოგადი განათლების საგნების მასწავლებლებს შვილის აღზრდისა და განსწავლის საქმეში მაკედონიის მბრძანებელი მაინცდამაინც დიდ ნდობას როდი უცხადებდა. იგი თვლიდა, ალექსანდრეს აღზრდა დიდ შრომასა და, სოფოკლეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „მაგარ ალვირსა და საჭეს“ [27] მოითხოვდა.

ამიტომ შვილის აღსაზრდელად მოიწვია ფილოსოფოსთა შორის ფრიად სახელოვანი და განათლებული ფილოსოფოსი არისტოტელე[28], რომელსაც ამისათვის შესანიშნაი და შესაფერი ჯილდო უბოძა; სახელდობრ: ფილიპემ აღადგინა ბის მიერვე დარბეული არისტოტელეს სამშობლო ქალაქი სტაგირე [29] და მისი მიმოფანტული ან მონობაში მყოფი მოსახლეობა უკან დააბრუნა. სამეცადინო ადგილად მასწავლებელსა და მოწაფეს ფილიპე მეფემ მიუჩინა მიეზას მახლობლად მდებარე ნიმფეონი [30]. აქ, სხვათა შორის, დღემდე გვიჩვენებენ არისტოტელეს ქვის საკარძელსა და ფილოსოფოსის ლექციებისათვის განკუთვნილ ჩრდილოვან ხეივანს[31].

ალექსანდრე, როგორც ჩანს, არისტოტელესგან მარტო ეთიკასა და პოლიტიკას კი არ სწავლობდა, არამედ გაიცნო საიდუმლოებით მოცული მეტად ღრმა მეცნიერებანიც, რომელთაც ფილოსოფოსები აკ-

როამატიკულ და ეპოპტიკურ მოძღვრებებს უწოდებენ და ყველას როდი აცნობენ ხოლმე [32]. შემდეგში, როცა ალექსანდრე სალაშქროდ იყო წასული აზიაში, გაიგო, არისტოტელემ ზოგიერთი მოძღვრება ამ მეცნიერებათა თაობაზე წიგნად გამოსცაო. ალექსანდრეს ეს ეწყინა და მასწავლებელს საყვედურით აღსავსე წერილი მისწერა. აი, ამ წერილის ასლიც: „ალექსანდრე არისტოტელეს სიკეთეს უსურვებს! შენ ვერ მოქცეულხარ მართებულად, აკროამატიკულ მოძღვრებათა ირგვლივ თხზულებები რომ გამოგიცია. რითიღა უნდა გამოვირჩეოდეთ სხვებისაგან, თუ ის მოძღვრება, რომელზედაც ჩვენ აღვიზარდეთ, ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება? პირადად მე ვისურვებდი ვჯობნიდე სხვებს უმნიშვნელოვანეს საგანთა ცოდნით, ვიდრე ფიზიკური ძალით. კარგად იყავ.“

მოწაფის პატივმოყვარეობის დასამშვიდებლად და საკუთარი თავის დასაცავად არისტოტელემ ალექსანდრეს უპასუხა, რომ ზემოხსენებული თხზულებები კიდეც გამოსცა და თითქოს კიდეც არ გამოსცა [33]. მართლაც, „ფიზიკის“ შემდეგ გამოქვეყნებული თხზულებანი არისტოტელესი მისი მოძღვრების სწავლებისათვის როდია გამოსაყენებელი, იგი იმისთვისაა დაწერილი, ვინც მისი ფილოსოფია თავიდან შეისწავლა [34].

8. ზემოაღნიშნულის გარდა, ჩემი აზრით, ალექსანდრეს საექიმო ხელოვნებაც სხვებზე უფრო მეტად არისტოტელემ შეასწავლა. მთავარსარდალი ამ დარგში მარტო თეორიით კი არ იყო გატაცებული, არამედ, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, ავადმყოფ მეგობრებს პირადად თვითონ უწევდა ხოლმე დახმარებას და წამლებსა და ფარეზობას უნიშნავდა.

ალექსანდრე ბუნებით მეცნიერებისა და კითხვის დიდი მოყვარული იყო. „ილიადას“ იგი სამხედრო ხელოვნების საუკეთესო ძეგლად თვლიდა და ამ დარგში გზის გამკვლევ სახელმძღვანელოს უწოდებდა. მას ხელთ ჰქონდა ამ პოემის არისტოტელეს მიერ შესწორებული ნუსხა. ეს ის ნუსხა იყო, რომელსაც სახელად ჰქვია „ილიადა სკივრიდან [35]“. ონესიკრიტეს გადმოცემით, მთავარსარდალს იგი მარადჟამს მახვილთან ერთად ჰქონდა ბალიშქვეშ ამოდებული [36]. ზემო აზიაში ყოფნის დროს ალექსანდრეს სხვა წიგნები არ ჰქონდა. თურმე თან და ამიტომ ჰარპალეს უბრძანა მათი გამოგზავნა [37]. ჰარპალემ გაუგზავნა ფილისტეს თხზულებები [38], ევრიპიდეს, სოფოკლესა და ესქილეს

მრავალი ტრაგედია და ტელესტესა და ფილოქსენეს[39] დითირამბები.

ალექსანდრე პირველ ხანებში თაყვანს სცემდა არისტოტელეს, როგორც თვითონ ამბობდა, მამაზე ნაკლებად როდი უყვარდა: მამა-ჩემმა მხოლოდ სიცოცხლე მომანიჭა, არისტოტელემ კი ცხოვრების ალღოს აღება მასწავლაო. მიუხედავად ამისა, შემდეგში ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა მასწავლებელს, მაგრამ ისე კი არა, რაიმე ვნება მიეტანა მისთვის. ოღონდაც მათ ურთიერთ კეთილგანწყობილებას ძველებური სიმტკიცე და სიყვარული მოაკლდა და ეს მათი განრიდებულობის მიზეზი გახდა. მიუხედავად ამისა თანდაყოლილი და შეისისხლხორცებული სწრაფვა და სიყვარული ფილოსოფიისადმი ალექსანდრეს სულში არ ჩამქრალა. ამას გვიმოწმებს მისი პატივისცემა ანაქსარქესადმი, ქსენოკრატესათვის გაგზავნილი ორმოცდაათი ტალანტი და ის ყურადღება, რომელსაც იგი დანდამისისა და კალანესადმი იჩენდა[40].

9. იმ დროს, როცა ფილიპე ბიზანტიელთა წინააღმდეგ გაემართა სალაშქროდ, ალექსანდრე თექვსმეტი წლისა გახლდათ.[41] იგი დატოვეს მაკედონიაში სახელმწიფო საქმეთა და სამეფო ბეჭდის უმაღლეს გამგებლად. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მეფისწულმა განდგომილი მედები[42] დაიმორჩილა, აიღო მათი ქალაქი, განდევნა იქიდან ბარბაროსები, დაასახლა ეს ქალაქი სხვადასხვა მოდგმის ხალხით და სახელად ალექსანდროპოლისი უწოდა.

იგი მონაწილეობდა ბერძენთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაშიც, ქერონეასთან რომ მოხდა და, როგორც ამბობენ, პირველი შეიჭრა თურმე თებელთა წმინდა რაზმში[43]. ჯერ კიდევ ახლა, ჩემ დროშიც, გვიჩვენებენ მდინარე კეფისეს ნაპირზე აღმართულ ბებერ, ეგრეთ წოდებულ ალექსანდრეს მუხას, სადაც მან კარავი დასცა; იქვე მახლობლად არის ბრძოლაში დაღუპული მაკედონელების სასაფლაოც.

ასეთ საგმირო საქმეთა გამო ფილიპეს, რაღა თქმა უნდა, შვილისადმი სიყვარული კიდევ უფრო მეტად უძლიერდებოდა და თითქმის კიდევაც უხარობდა, მაკედონელები ალექსანდრეს რომ ეძახდნენ მეფეს, მას კი — სარდალს; მაგრამ ფილიპეს გაუთავებელი ქორწინებებითა და მიჯნურობით გამოწვეული ოჯახური უსიამოვნება, რაც სამეფო სარეცლის გარდა სახელმწიფოსაც ზიანს აყენებდა, მამა-შვილს შორის უსაზღვრო ბრალდებებისა და უთანხმოების საბაბი გახდა.[44] ამ უთანხმოებას კიდევ უფრო მეტად აღვივებდა ზომაზე მეტად ეჭვიანი

და ჭირვეული ოლიმპიადაც, ალექსანდრეს რომ აღიზიანებდა. მამა-შვილს შორის ჩამოვარდნილი შფოთი სავსებით აშკარა გახდა ატალეს წყალობით ფილიპეს და კლეოპატრას ქორწინების დროს. ეს ქორწინება იმას მოჰყვა, რომ ფილიპეს. მიუხედავად თავისი ასაკისა, შეუყვარდა ქალწული კლეოპატრა და ცოლადაც შეირთო [45]. და აი, საქორწინო ლხინში შეზარხოშებულმა პატარძლის ბიძა ატალემ მაკედონელებს ურჩია ღმერთს შევედრებოდნენ, რათა ფილიპესა და კლეოპატრასაგან მაკედონიის ტახტს ჭეშმარიტი მემკვიდრე გასჩენოდა [46]. ამაზე ალექსანდრე საშინლად აენთო და ატალეს შესძახა: "გამოტკივნებულო, მე შენ ნაბუშარი ხომ არ ვგონივარო!" ამ სიტყვებთან ერთად ღვინის თასი ატალეს სახეში ესროლა. ფილიპემ მახვილი იშიშვლა და შვილს მოუღერა; მაგრამ ორივესათვის საბედნიეროდ ბრაზითა და ღვინით აღელვებულმა მეფემ თავი ველარ შეიმაგრა, წაბორძიკდა და წაიქცა. „შეხედეთ, მეგობრებთ, — დაცინვით წამოიძახა ალექსანდრემ, — ეს კაცი, ევროპიდან აზიაში რომ სალაშქროდ წასასვლელად ემზადებოდა, სავარძლიდან სავარძლამდე ვერ მივიდა, გზაში გაიშხლართაო!" [47]

მთვრალ ფილიპესთან მომხდარი ამბის შემდეგ ალექსანდრემ მოჰკიდა ხელი ოლიმპიადას და ეპირში გადაიყვანა, თვითონ კი ილირიაში წავიდა სწორედ იმ ხანებში ფილიპესთან მივიდა კორინთელი დემარატე, რომელსაც სავსებით თავისუფლად შეეძლო მეფესთან საუბარი, ვინაიდან მისი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. მეგობრული მისალმების შემდეგ ფილიპემ დემარატეს ჰკითხა: როგორი თანხმობით ცხოვრობენ ერთმანეთში ბერძნებიო? „განა შენ შეგფერის, ფილიპე, — უპასუხა სტუმარმა, — საბერძნეთის საქმეებზე იზრუნო მაშინ, როცა საკუთარი სახლი ესოდენი შფოთითა და უსიამოვნებით აავსეო?" ამ სიტყვებმა ფილიპე გონზე მოიყვანეს. მან დემარატე მყისვე გაგზავნა ილირიაში და მისი დახმარებით დაარწმუნა ალექსანდრე უკან დაბრუნებულიყო.

10. მცირე ხნის შემდეგ კარიის სატრაპმა პიქსოდორემ, დამოყვრების გზით რომ ცდილობდა მაკედონიის მეფესთან კავშირის მიღწევას, გადაწყვიტა თავისი უფროსი ასული ფილიპეს ძის არიდეოსისათვის მიეთხოვებინა. ამ საბაბით მან მაკედონიაში მიავლინა არისტოკრიტე [48].

დედასა და მეგობრებს კვლავ მიეცათ საბაბი ფილიპე ალექსანდ-

რესთან დაებეზღებინათ. მათ ხმა დაარხიეს: ფილიპე ცდილობს ამ დიდებული ქორწინებისა და მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის წყალობით სამეფო ტახტი არიდეოსს დაუტოვოსო. ამ ამბით აღშფოთებულმა ალექსანდრემ კარიაში აფრინა ტრაგედიის შახიობი თესალე, რომელსაც უნდა დაერწმუნებინა პიქსოდორე ხელი აეღო ნაბუშარ და ჭკუაშეშლილი არიდეოსის მოყვრობაზე და სიძედ ალექსანდრე ვაეხადა. ეს პირობა პიქსოდორეს პირველ განზრახვაზე უფრო მეტად მოეწონა. ფილიპემ ეს გაიგო და, როგორც კი დაიმარტოხელა შვილი, შევიდა მის ოთახში ალექსანდრეს ერთ-ერთი მეგობრისა და მახლობლის პარმენიონის ძის ფილოტას თანხლებით. მან საშინლად გაკიცხა ალექსანდრე და გალანძღა, რომ მას არაფერი ეტყობა კეთილშობილებისა და თანდაყოლილი დიდი პატივის ღირსი არ ყოფილა, რაკიღა ბარბაროსი მეფის მონის, კარიელი მდაბიოს სიძობა განიზრახა. ამის შემდეგ ფილიპემ კორინთელებს მისწერა, ბორკილები დაედოთ თესალესათვის და მასთან გამოეგზავნათ. რაც შეეხება ალექსანდრეს დანარჩენ მეგობრებს: ჰარპალეს, ნეარქეს, ერიგიოსსა და პტოლემეს, ფილიპემ ისინი მაკედონიიდან გააძევა. შემდეგში ალექსანდრემ თავისი მეგობრები სამშობლოში დააბრუნა და დიდ პატივშიც ჰყავდა.

მცირე ხნის შემდეგ ატალესა და კლეოპატრას მზაკვრობით შეურაცხყოფილმა პავსანიამ, სამართალი რომ ვერ იპოვა, აიღო და ფილიპე სიცოცხლეს გამოასალმა[49]. მეფის მკვლელობაში ყველაზე მეტად ბრალი ედებოდა ოლიმპიადას; თითქმის ისედაც აღელვებული ახალგაზრდა კიდევ უფრო აღაშფოთა და წააქეზა. ცილისწამება ნაწილობრივ ალექსანდრესაც შეეხო. ამბობენ, როცა შეურაცხყოფილი პავსანია მასთან ჩივილით მივიდა, მან „მედეადან“ ამოღებული ტაეპით მიმართა:

„ქალამბრიც, სიძეც და პატარძალიც.“[50]

ასე იყო თუ ისე, ალექსანდრემ შეთქმულების მონაწილენი მოძებნა და დასაჯა. სხვათა შორის, უკმაყოფილებაც კი გამოამჟღავნა, მაკედონიაში მისი არყოფნის ჟამს ოლიმპიადა რომ შეუბრალებლად მოექცა კლეოპატრას.

11. სამეფო ტახტზე ალექსანდრე ოცი წლის ასაკში დაჯდა[51]. მაკედონიის სახელმწიფო მაშინ ყოველმხრივ დიდ შურსა და სიძულ-

ვილს იწვევდა და საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. ბარბაროსულსა და მეზობელ ტომებს აღარ სურდათ მაკედონიის მონად ყოფნა და თავიანთი სამეფოების ოდითგანვე ჩვეული დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდნენ. ფილიპე მაკედონელმა, მართალია, იარაღით ბრძოლაში დაამარცხა საბერძნეთი, მაგრამ დროის უქონლობის გამო, ასე ვთქვათ, ვერ შეძლო მისი სრული დამონება და მოთვინიერება. ფილიპემ ცვლილებები და არევ-დარევა შეიტანა მხოლოდ საქმეებში და სახელმწიფო ასეთ უჩვეულო გარემოების წყალობით მეტად მღელვარე და აფორიაქებულ მდგომარეობაში დატოვა. მაკედონელებს ეშინოდათ ამ მდგომარეობისა და იმ აზრისა იყვნენ, რომ ალექსანდრეს სავსებით დაენებებინა თავი საბერძნეთის საქმეებისათვის და ძალადობა არ ეხმარა; განდგომილი ბარბაროსები ლმობიერი მოპყრობით მიემხრო კვლავ და მათ მხრივ მოსალოდნელი ახალი შფოთიც დაეშოშმინებინა. მაგრამ ალექსანდრეს სულ სხვა აზრი ამოძრავებდა. სახელმწიფოს უშიშროებისა და ხსნის მოპოვებას გამბედაობისა და სულის სიმტკიცის წყალობით ცდილობდა. იგი გრძნობდა, თუკი ოდნავ მერყეობას შეიმჩნევდა, მის წინააღმდეგ მთელი ქვეყანა აიშლებოდა.

ალექსანდრემ ჯერ ბარბაროსთა მღელვარებანი და აქაური ომები ჩააქრო; მერმე სწრაფად გაიარა ჯართან ერთად გზა ვიდრე ისტროსამდე და აქ დიდ ბრძოლაში დაამარცხა ტრიბალების მეფე სირმე[52].

მცირე ხნის შემდეგ ალექსანდრემ გაიგო: თებელები აჯანყდნენ და ათენელებიც მიემხრნენო. მან მყისვე გადაიყვანა ჯარი თერმოპილზე[53] და ასე თქვა: სანამ ილირიაში და ტრიბალების ქვეყანაში ვიყავი, დემოსთენე ბავშვს შეძახდა, თესალიაში მყოფს ყრმას მიწოდებდა, დაე, ახლა ათენის კედლებთან დავაჭაცებული მიხილოსო[54].

მიაღწია თუ არა თებეს, ალექსანდრემ საშუალება მისცა იქაურებს მოენანიებინათ შეცოდებანი: თებელებს მოსთხოვა მხოლოდ ფენიქსი და პროთიტე[55] გადაეცათ მისთვის და ამასთან ხელუხლებლობას დაჰპირდა ყველას, ვინც კი მის მხარეზე გადავიდოდა; მაგრამ თებელებმა თავის მხრივ მისგან მოითხოვეს მძევლებად ფილოტა და ანტიპატრე[56] და მოუწოდეს ყველას, ვისაც კი საბერძნეთის განთავისუფლება უნდოდა, მათ გვერდში დამდგარიყო. მაშინ ალექსანდრემ მაკედონელები საომრად დასძრა.

თებელები იბრძოდნენ შესაძლებლობაზე მეტი სიმამაცითა და სიმ-

ტკიცით; ისინი წინალუდგნენ ბევრად მრავალრიცხოვან მტერს. ბოლოს კადმეის სიმაგრეში მყოფი მაკედონელები გამოცვივდნენ და ზურგიდან დაესხნენ თავს. თებელებს ალყა შემოარტყეს და ბევრი მათგანი დაიღუპა ამ ბრძოლაში. ქალაქი აიღეს, გაძარცვეს და მიწასთან გაასწორეს [57].

ალექსანდრე დარწმუნებული იყო, თებელების ასეთი უბედურებით შეძრწუნებული ბერძნები შეშინდებოდნენ და დაწყნარდებოდნენ. მეორე მხრივ, თავის მოქმედებას იმითაც ამართლებდა, რომ სურდა დაეკმაყოფილებინა მოკავშირეთა მოთხოვნა: ფოკიდელები და პლატეელები ბრალს სდებდნენ თებელებს [58].

ქურუმთა, მაკედონელთა მახლობლებისა, პინდარეს შთამომავალთა და იმ თებელთა გარდა, მაკედონიისაგან განდგომას რომ ეწინააღმდეგებოდნენ, ალექსანდრემ ყველა თებელი, დაახლოებით ოცდაათი ათასამდე კაცი, მონად გაყიდა. თებეს ბრძოლაში დაიხოცა ექვსი ათასზე მეტი კაცი [59].

12. იმ მრავალი უბედურებისა და რისხვის ჟამს, ქალაქ თებეს რომ თავს დაატყდა, რამდენიმე თრაკიელი ჯარისკაცი წარჩინებული და პატიოსანი ქალის ტიმოკლეას სახლში შეიჭრა. სანამ ჯარისკაცები მის ქონებას ძარცვავდნენ, წინამძღოლმა კეთილშობილი ქალი ძალიან დაიმორჩილა, პატივი აჰხადა და მერმე ჰკითხა: ოქრო და ვერცხლი ხომ არსად გაქვს დამალულიო? ქალმა უპასუხა: მაქვსო. მან მარტო წაიყვანა იგი თავის ბაღში, უჩვენა ჭა და უთხრა: ქალაქს რომ იღებდით, ყველაზე უფრო ძვირფასი ნივთები ჩემი ქონებიდან აქ ჩავყარეო. თრაკიელი დაიხარა და ჭას ჩახედა. ტიმოკლეა უკან ამოუდგა, ჭკრა ხელი და ჭაში ჩააგდო. ჭაში ჩავარდნილს სეტყვასავით დააყარა ქალმა ქვა და სიცოცხლეს გამოასალმა.

ტიმოკლეა თრაკიელებმა შეიპყრეს და ალექსანდრეს მიჰგვარეს. იგი მტკიცედ და უშიშრად მიჰყვებოდა ჯარისკაცებს. მისი გარეგნობა და მიხრა-მოხრა პირველ შეხედვისთანავე ამჟღავნებდა, ქალი კეთილშობილი და დიდბუნოვანი იყო. მეფემ ვინაობა ჰკითხა. ქალმა უპასუხა: თეაგენეს დაი ვარ; ჩემი ძმა ფილიპეს ბერძენთა თავისუფლებისათვის ებრძოდა, ჯარს მეთაურობდა და ქერონეასთან მომხდარ ბრძოლაში დაიღუპაო. ქალის პასუხითა და მის მიერ ჩადენილი მოქმედებით გაოცებულმა ალექსანდრემ ჯარისკაცებს უბრძანა გაეთავისუფლებინათ ტიმოკლეა ბავშვებითურთ.

13. ათენელები ალექსანდრემ შეირიგა, თუმცა ისინი თებეს თავზე დამტყდარ უბედურებას დიდად განიცდიდნენ. ათენელებმა გლოვის აღსანიშნავად იმ დროისათვის მოახლოებულ მისტერიათა დღესასწაულის მოწყობასაც კი მიანებეს თავი და მათ ქალაქში გამოქცეულ თებელებს ფრიად გულთბილად დაუთმეს თავშესაფარი. ალექსანდრემ, ან იმიტომ რომ ლომისებრად დაიცხრო რისხვა, ანდა შეიძლება მრისხანე და სასტიკი მოქმედებისათვის ლმობიერი საქციელის დაპირისპირება უნდოდა, არათუ დაივიწყა ათენისადმი მიმართული ყველა ბრალდება, არამედ ათენის სახელმწიფოს რჩევა მისცა კარგად დაჰკვირვებოდა არსებულ მდგომარეობას; ალექსანდრე ამბობდა: მე თუ რაიმე შემემოსვა, საბერძნეთის საქმეთა გამგებელი ათენი უნდა იყოსო. გარდა ამისა ამბობენ, ალექსანდრე შემდეგში ხშირად წუხდა, თებელების უბედურებას რომ გაიხსენებდა და ამიტომ ბევრ მათგანს ფრიად ლმობიერად ექცეოდაო[60]. კლიტოსის მკვლელობას, სიმთვრალეში რომ ჩაიდინა, და ინდოეთში ლაშქრობის დროს გამომჟღავნებულ მაკედონელთა სიმხდალეს, რამაც ამ ლაშქრობის დამთავრებას ხელი შეუშალა და სახელოვან საარდალს ერთგვარი ჩრდილიც მიაყენა, ალექსანდრე სავსებით მიაწერდა დიონისეს რისხვასა და შურისძიებას. ამით აიხსნება ის, რომ გადარჩენილ თებელებში არავინ ყოფილა შემდეგში ისეთი, რომელსაც რაიმე დასჭირვებოდეს, ეთხოვოს ალექსანდრესთვის და გაწბილებული დარჩენილიყოს[61].

აი ის, რაც თებეზე მინდოდა მეთქვა.

14. ისთმოსის ყრილობაზე შეკრებილმა ბერძნებმა გადაწყვიტეს სპარსთა წინააღმდეგ ლაშქრობაში ალექსანდრესთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა[62]. ალექსანდრე მთავარსარდლად გამოაცხადეს. სახელმწიფოს მრავალი მოღვაწე და ფილოსოფოსი მოწიწებით ულოცავდა მას მხედართმთავრობას. ამასვე მოელოდა იგი დიოგენე სინოპელისაგან, რომელიც კორინთოს მახლობლად ცხოვრობდა; მაგრამ დიოგენე ოდნავ ყურადღებასაც არ აქცევდა ალექსანდრეს ირგვლივ მომხდარ ამბებს და კრანიონში განისვენებდა[63]. მაშინ მთავარსარდალი თვითონ გაემართა ფილოსოფოსთან. დიოგენე ამ დროს წამოწოლილიყო და მზეზე თბებოდა. მოახლოებული მეფე და მისი ამალა რომ დაინახა, ოდნავ წამოიწია და ალექსანდრეს გადახედა. მთავარსარდალი თავაზიანად მიესალმა ფილოსოფოსს და ჰკითხა: ხომ არაფერი გჭირდებაო? დიოგენემ უპასუხა: „ცოტა იქით გაიწი, მზეზე ნუ მეფარე-

ჩიო!“ ამ პასუხმა, როგორც გადმოგვცემენ, ალექსანდრე უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. გაოცებული ფიქრობდა თურმე ფილოსოფოსის ასეთ უკმეხობასა და სიამაყეზე.

მთავარსარდლის მხლებლებმა. დიოგენეს რომ გასცილდნენ, სიცილი და ხუმრობა დაიწყეს. ალექსანდრემ მათ უთხრა: „ალექსანდრე რომ არ ვიყო. დიოგენედ ყოფნას ვინატრებდიო“.

მთავარსარდალმა გადაწყვიტა სპარსთა წინააღმდეგ ლაშქრობაზე ღვთის წინასწარმეტყველება გაეგო და დელფოს სამისნოში მივიდა. შემთხვევით ის დღე ერთ-ერთი ნავსი დღე აღმოჩნდა და ამ დროს მკითხაობა არ შეიძლებოდა.[64] ალექსანდრემ კაცი გაგზავნა და მისანი ქალი ტაძარში დაიბარა. მან უარჰყო ალექსანდრეს მიწვევა და მისნობის ადათი დაიმოწმა. მაშინ მთავარსარდალი თვითონ შევიდა წინასწარმეტყველთან და ძალით წაიყვანა ტაძარში. ქალი ბოლოს დამორჩილდა და ასე წამოიძახა: „შენ უძლეველი ხარ, შვილო!“ ალექსანდრემ რომ ეს ისმინა. თქვა: სხვანაირი მისნობა მე აღარ მჭირდება; ამ ქალისაგან სწორედ ისეთი წინასწარმეტყველება მივიღე, როგორიც მსურდაო.

როცა ალექსანდრემ ლაშქრობის დაწყება განიზრახა, ღმერთმა მრავალი სასწაული მოავლინა. სხვათა შორის, ორფევსის ქანდაკებას, კიპაროსის ხისაგან რომ იყო გამოთლილი, ლიბეთრაში იმ დღეების მანძილზე ოფლი წურწულით ჩამოსდიოდა.[65] ყველას შეეშინდა ასეთი სასწაულისა: მაგრამ არისტანდრემ ხალხს ურჩია გამხნევებულიყო, მან სასწაული ასე ახსნა: ალექსანდრე მომავალში ბევრ სახელოვან და საგმირო საქმეს შეასრულებს; მის საქებად პოეტებსა და მუსიკოსებს ბევრი ოფლის ღვრა და უსაზღვრო შრომის გაწევა დასჭირდებათო.

15. ალექსანდრეს ლაშქრის სიდიდეზე ზოგიერთი ამბობს: სულ ბევრი, ოცდაათი ათასი ქვეითი ჯარისკაცისა და ოთხი ათასი ცხენოსნისაგან შედგებოდაო; ზოგიერთის აზრით კი, ლაშქარი ორმოცდაათამ ათასამდე ქვეითსა და ხუთი ათასამდე ცხენოსან მეომარს მოითვლიდა. არისტობულე[66] მოგვითხრობს: ჯარის შესანახად ალექსანდრეს სამოცდაათ ტალანტზე მეტი არ ჰქონდაო; დურისი კი ამბობს: მთავარსარდალსო სურსათის მარაგი მხოლოდ ოცდაათი დღისა გააჩნდა; ხოლო ონესიკრიტეს გადმოცემით ორასი ტალანტიც ალექსანდრეს სხვისა ემართა. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრეს სახსრების სიმცირის

გამო თითქმის უმწეო მდგომარეობა ჰქონდა ლაშქრობის დაწყების დროს, მანამდის არ ავიდა ხომალდზე, ვიდრე მეგობრების საქმეებს არ გადახედა. ზოგს მიწა მისცა, ზოგს სოფელი, ზოგსაც დაბისა თუ ნავსადგურის შემოსავალი დაუნიშნა. როცა სამეფო ქონება ასეთნაირად თითქმის მთლიანად იქნა გაფლანგული და დანაწილებული, პერდიკამ[67] ალექსანდრეს ჰკითხა: „კი მაგრამ შენთვის რაღას იტოვებ, მეფეო?“ — „იმედსო“, — უპასუხა ალექსანდრემ. — „მაშინ ჩვენც, შენი თანამოლაშქრენი, მაგას გავინაწილებთო“, — უთხრა პერდიკამ მთავარსარდალს და უარი თქვა ალექსანდრეს მიერ შეთავაზებულ ქონებაზე. მას მთავარსარდლის ზოგიერთმა სხვა მეგობარმაც მიჰბაძა. იმათ კი, ვინც იღებდა ნაბოძებს და ვისაც დახმარება სჭირდებოდა, ალექსანდრე ხალისით ასაჩუქრებდა. ასე დაანაწილა მან თითქმის მთელი ქონება, რაც მაკედონიაში მოეძევებოდა.

ასეთი აღფრთოვანებით და სულიერი განწყობილებით ალექსანდრემ ჰელესპონტი გადალახა. როცა ილიონის სანაპიროზე ავიდა[68], ათენას მსხვერპლი შესწირა და გმირებს ზედაშე დაუქცია. მერმე ტანი დაიბანა ზეთით და მეგობრებთან ერთად გაშიშვლებულმა, როგორც წესია, მრავალგზის შემოურბინა აქილევსის სახელზე აღმართულ ძეგლს. შემდეგ გვირგვინით შეამკო იგი და შენატრა აქილევსს, რომ სიცოცხლეში ბედმა უერთგულესი მეგობარი არგუნა წილად, ხოლო სიკვდილის შემდგომ მისი გმირობის დიდებული მეხოტბე.[69]

იმ დროს, როცა მთავარსარდალი გარს უვლიდა ქალაქს და ღირსშესანიშნავ ადგილებს ათვალიერებდა, ჰკითხეს: ალექსანდრეს[70] ჩანგის ნახვას ხომ არ ისურვებო? ალექსანდრემ უპასუხა: მაგის ნახვა მცირედაც არ მიზიდავს, მე ვეძებ აქილევსის ჩანგს, რომელზედაც მისი პატრონი სახელოვანი ვაჟკაცების დიდებასა და გმირობას დამღეროდაო.[71]

16. ამასობაში დარიოსის სარდლებმა მრავალრიცხოვანი ჯარი შეკრიბეს და მდინარე გრანიკის გადასასვლელთან დარაზმეს[72]. ალექსანდრეს აუცილებელი ბრძოლა მოელოდა პირდაპირ აზიის კარიბჭესთან, ამ ჭეშეყანაში რომ შესულიყო და ომი დაეწყო. მაკედონელთა უმრავლესობას აშინებდა მდინარის სიღრმე, გაღმა ნაპირის უსწორმასწორო და ციცაბო მდებარეობა; ამ ნაპირზე გადასვლაც ბრძოლის შედეგად იყო მხოლოდ შესაძლებელი. ზოგიერთი იმასაც კი ფიქრობდა, რომ საჭირო იყო გაფრთხილებოდნენ ახლახან დამდგარ ნავს

თვეს: მაკედონელთა მეფეებს, ჩვეულების თანახმად, დესიოსის თვეში ჯარი სალაშქროდ არ გამოჰყავდათ[73]. ეს უხერხულობა ალექსანდრემ იმით გაასწორა, რომ ბრძანება გასცა ამ თვისათვის სახელად ეწოდებინათ მეორე არტემისიოსი[74]. პარმენიონი მთავარსარდალს არწმუნებდა: უკვე დაგვიანებულია ლაშქრობის დაწყება და თავის საფრთხეში ჩაგდება არ ღირსო. ალექსანდრემ პარმენიონს უპასუხა: თუ გრანიკის შემეშინდა, ეს შეარცხვენს ჰელესპონტს, რომელიც გადმოვლახეო.

ამის შემდეგ მთავარსარდალი ცხენოსანთა სამი რაზმით მდინარეში გადაეშვა. ალექსანდრე აქ უფრო სიფიცხის გავლენით მოქმედებდა, ვიდრე სარდლისათვის დამახასიათებელი გონიერულობით. იგი არ ერიდებოდა მტრის ნატყორცნ ისრებს, გააფთრებით ებრძოდა მდინარის ტალღებს, ქვევით რომ მიაქანებდნენ და თავზე ესხმებოდნენ. იგი შეუჩერებლივ მიისწრაფოდა მტრის ქვეითი და ცხენოსანი ჯარით დაფარულ კლდოვანი ნაპირისაკენ. მთავარსარდალი შეუპოვრად ცდილობდა მდინარეზე გადასვლას და ბოლოს, დიდი ჯაფითა და წვალებით, ავიდა ტალახიან, მოლიპულ ნაპირზე. აქ იძულებული გახდა მყისვე ჩაბმულიყო არეულ ბრძოლაში და ცალ-ცალკე გამკლავებოდა შეტევაზე წამოსულ მტერს, სანამ წესრიგში მოიყვანდა მაკედონელებს, რომლებმაც გრანიკი გადალახეს.

მტრის უმრავლესობა მაკედონელთა მთავარსარდლისაკენ მიისწრაფოდა. იგი მეტად ადვილი შესამჩნევი იყო მრგვალი ფარით და მუზარადის ჯიღით, რომელზეც აქეთ-იქით საოცრად დიდი და თეთრი ფრთები იყო დამაგრებული. მტრის მიერ გამოტყორცნილი შუბი ალექსანდრეს ჯავშნის ნაოჭში მოხვდა; მაგრამ წინამძღოლი არ დაჭრილა. სულ მალე შეერთებული ძალით ეკვეთნენ მას სპარსი სარდლები — რესაკე და სპითრიდატე. მთავარსარდალმა გვერდი უქცია სპითრიდატეს და თოროსან რესაკეს შუბი აძგერა; მაგრამ იგი გადატყდა. ახლა ხმალი შემართა ალექსანდრემ. ამასობაში სპითრიდატემ ცხენი განზე გაიყვანა, უნაგირზე მთელი ტანით აღიმართა და ალექსანდრეს სპარსული ხმალი დაჰკრა. მთავარსარდლის მუზარადის ჯიღის ერთი ფრთა ძირს ჩამოვარდა, მუზარადი კი ძლივს გადარჩა დამსხვრევას. ხმლის წვერი ალექსანდრეს თმას შეეხო ოდნავ. სპითრიდატე კვლავ წამოიმართა ცხენზე და მეორედ უნდოდა დაეკრა ხმალი, მაგრამ „შავმა“ კლიტოსმა[75] დაასწრო და სპარსი სარდალი შუბით განგ-

გმირა. ერთდროულად ალექსანდრეს მოქნეულმა ხმალმა რესაკეც დასცა ძირს.

სანამ ცხენოსანი ჯარი ამ ფრიად სახიფათო ბრძოლაში იყო, მაკედონელთა ფალანგაც გადმოვიდა მდინარეზე და ორი ქვეითი ჯარი ერთმანეთს შეება. დარიოსის მხედრობა მედგრად ვერ იბრძოდა, იგი მტერს დიდხანს ველარ გაუმკლავდა, პირი იბრუნა და, დაქირავებულ ბერძენ მეომართა[76] გარდა, მთელი ჯარი უკუიქცა.

დარიოსის მიერ დაქირავებული ბერძენი ჯარისკაცები ერთ-ერთ სერზე იდგნენ და ალექსანდრეს შერიგებას სთხოვდნენ; მაგრამ მთავარსარდალმა აქაც რისხვა უფრო გამოიჩინა, ვიდრე გონიერება, და ბერძნებს პირველი ეკვეთა. ამ ბრძოლაში დაკარგა ცხენი, რომელსაც ფერდში დაჰკრეს ხმალი. ეს ცხენი, სხვათა შორის, ბუკეფალა არ ყოფილა, სხვა ცხენი იყო. მაკედონელებს ყველაზე უფრო დიდი საფრთხე სწორედ აქ შეხვედათ. ყველაზე მეტი შოკლული და დაჭრილი აქ აღმოაჩნდათ. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მაკედონელებს თავგამოდებით შეებრძოლნენ მამაცი დაქირავებული ბერძენი მეომრები, რომელთაც ვადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ.

ბარბაროსებმა, როგორც ამბობენ, ამ ბრძოლაში დაკარგეს ოცი ათასი ქვეითი და ორი ათას ხუთასი ცხენოსანი ჯარისკაცი. არისტობულეს გადმოცემით, ალექსანდრეს მოუკლეს სულ ოცდათოთხმეტი მეომარი, რომელთაგან ცხრა ქვეითი ჯარისკაცი იყო. მთავარსარდალმა ბრძანება გასცა დაღუპულ მეომართათვის ლისიპეს მიერ გამოკვეთილი სპილენძის ქანდაკებანი დაედგათ.

ალექსანდრემ მოინდომა გამარჯვების მონაწილედ ბერძნებიც გაეხადა. მან საგანგებოდ გაუგზავნა ათენელებს მტრისაგან წართმეული სამასი ფარი; ხოლო დანარჩენ ნადავლზე სათითაოდ გააკეთებინა ასეთი ზვიადური წარწერა: „ალექსანდრემ, ფილიპეს ძემ და, ლაკედემონელთა გამოკლებით, ყველა ბერძენის შვილმა, წავართვი ეს აზიის მკვიდრ ბარბაროსებს“.

ძვირფასი თასები, ძოწეულის სამოსელი და სხვა მისთანა ნივთები, რაც კი სპარსებს წაართვა, ზოგიერთის გარდა ყველა დედას გაუგზავნა მთავარსარდალმა.

17. გრანიკთან ბრძოლამ დაუყოვნებლივ მოახდინა დიდი გარდატეხა ალექსანდრეს სასარგებლოდ. ამის წყალობით მან აიღო სარდეს, სპარსთა ბატონობის ეს ყველაზე უფრო დიდი დასაყრდენი ზღვის

სანაპიროს გასწვრივ. ალექსანდრეს დანებდნენ სხვა ქალაქებიც. წინააღმდეგობა მას მხოლოდ მილეტმა და ჰალიკარნასმა გაუწიეს. ალექსანდრემ იერიშით აიღო ეს ქალაქებიც და მათ ირგვლივ მდებარე ყველა დასახლებული ადგილი. ამის შემდეგ ყოყმანი დაიწყო. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო; ხან ფიქრობდა გაებედნა და დარიოსს გადამწყვეტ ბრძოლაში შებმოდა, ხან კი იმას არჩევდა ჯერ ზღვის სანაპიროზე მდებარე მხარეთა საქმეები მოეგვარებინა და იქაური სიმდიდრით ესარგებლა, ამით ერთგვარად გაწაფულიყო და თავისი ძალები განემტკიცებინა. მერმე კი აზიის სიღრმეში შეჭრილიყო დარიოსთან ბრძოლის გასაჩაღებლად.

ლიკიაში, ქალაქ ქსანთეს მიდამოებში, არის ერთი წყარო, რომელმაც, ამბობენ, ალექსანდრეს ლაშქრობის დროს თავისთავად შეიცვალა მიმართულება, ნაპირებზე გადმოვიდა და ამოაგდო ძველებური ასოებით ნაწერი სპილენძის ფირფიტა. ფირფიტაზე ასე ეწერა თურმე: ბერძენთა მიერ დამხობილი სპარსთა ბატონობა თავის არსებობას შეწყვეტსო. ამ წინასწარმეტყველებით გამხნევებულმა ალექსანდრემ ვადაწყვიტა დაუყოვნებლივ განეწმინდა მტრისაგან ზღვის სანაპირო ქვეყნები თვით ფინიკიისა და კილიკიის საზღვრებამდე.

ალექსანდრეს მიერ პამფილიის სანაპიროს მოულოდნელმა გადალახვამ ბევრ ისტორიკოსს მისცა მასალა სასწაულებრივი და დაუჯერებელი ამბების შესათხზველად. ისინი მოგვითხრობენ, თითქოს რომელიღაცა ღმერთის შემწეობით ალექსანდრეს გზას უხსნიდა ზღვა; ჩვეულებრივ იგი მუდამ მძლავრად ეხეთქება ხოლმე პამფილიის მთების ძირს და იშვიათად თუ გამოაჩენს ამ მთების მომიჯნავე და წყალში ჩამალულ პატარ-პატარა კლდეთ. მენანდრე თავის კომედიაში სწორედ ამ სასწაულის გამო დაცინვით ამბობს:

> ბედი მიღიმის ისე, როგორც ალექსანდრესა.
> თუ ვეძებ რასმე, იგი მყისვე თვალწინ მიჩნდება,
> ჩემი წადილით ზღვაც მკერდს მიხსნის, კადასასვლელად.

ალექსანდრე თვითონ თავის წერილებში ამ სასწაულზე არაფერს ლაპარაკობს! იგი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ფასელიდიდან გამოსვლის დროს გადაიარა ეგრეთწოდებული კლიმაქსი და რომ ამის გამო დაეყოვნა მრავალი დღე ამ ქალაქში[77]. ფასელიდში ყოფნის დროს მან ნახა განსვენებული თეოდექტე ფასელიდელის ქანდაკება, მოედანზე რომ იყო დადგმული. ისადილა თუ არა, ღვინით შეზარხოშებული

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

ალექსანდრე მხიარული ამალით გაემართა მოედნისაკენ და თეოდოქტეს ქანადაკება მრავალი გვირგვინით შეამკო. მან, ასე ვთქვათ, მხიარულებასა და ხუმრობაში სცა პატივი იმ ვაჟკაცს, რომელიც არისტოტელესა და ფილოსოფიის წყალობით გაიცნო[78].

18. ამის შემდეგ ალექსანდრემ დაამარცხა პისიდები, წინააღმდეგობას რომ უწევდნენ; დაიმორჩილა ფრიგიაც და აიღო ქალაქი გორდიოსი[79]. აქ მთავარსარდალმა ნახა საყოველთაოდ ცნობილი ეტლი, ძეძვის ლაფნით რომ იყო შეკრული და ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ამ ეტლის თაობაზე ჭეშმარიტებად მიჩნეული თქმულება მოისმინა: ვინც მის ნასკვს გამოხსნის, ბედად უწერია მსოფლიოს მბრძანებლობაო. ბევრი ამბობს: ნასკვის თავები ჩამალული და მზაკვრულად იყო გადახლართულიო; ალექსანდრემ მისი გამოხსნა ვერ შეძლო. მერმე ნასკვი ხმლით გადაჭრა და მასში თითქოს ლაფნის უამრავი წვერო აღმოაჩინა. არისტობულეს გადმოცემით კი ალექსანდრემ სულ ადვილად გამოხსნა ნასკვი: ხელნას გამოაძრო კავი, რაც უღელს ამაგრებდა, და ამრიგად იგი ეტლს მოაშორა.

გორდიოსიდან გამოსვლის შემდეგ ალექსანდრემ დაიმორჩილა პაფლაგონიელები და კაბადოკიელები. ჩქარა მემნონის სიკვდილი შეიტყო. მემნონი დარიოსის ერთ-ერთი სარდალი იყო და სპარსთა ფლოტს მეთაურობდა. სწორედ მემნონისაგან იყო მოსალოდნელი, რომ ალექსანდრეს გააწვალებდა, დიდ წინააღმდეგობას გაუწევდა და მრავალ დაბრკოლებას შეუქმნიდა. მისმა სიკვდილმა ალექსანდრეს ერთიორად შეუმატა მხნეობა აზიის სიღრმეში შეჭრილიყო.

ამასობაში დარიოსიც დაიძრა სუზიდან[80]. იგი იმედებს თავის მრავალრიცხოვან ძალებზე ამყარებდა. მას მოჰყავდა მხედრობა, რომელიც ექვსას ათას ჯარისკაცს მოითვლიდა.[81] გარდა ამისა, დარიოსს გამბედაობა მისცა ერთმა სიზმარმაც, რომელიც ჯადოქრებმა სპარსთა მბრძანებლის საამებლად ახსნეს და არა ისე, როგორც სინამდვილეში უნდა აეხსნათ. დარიოსს ეზმანა: მაკედონელთა ფალანგას ვითომ შემაძრწუნებელი ცეცხლი ანადგურებდა... ალექსანდრეს ის ტანსაცმელი ეცვა, რომელსაც თვითონ დარიოსი ატარებდა მაშინ, როცა იგი მეფის ასტანდი[82] იყო; ასეთნაირად მორთული ალექსანდრე ვითომ სპარსთა მბრძანებელს ემსახურებოდა... მერმე თითქოს ბელოსის ტაძარში შევიდა და... გაუჩინარდა.

ჩანს, ამ სიზმრით ღმერთს იმის ჩვენება უნდოდა, რომ მაკედო-

ნელთა საქმენი ბრწყინვალედ და სახელოვნად დაგვირგვინდებოდა, ხოლო ალექსანდრე დაიმორჩილებდა აზიას ისე, როგორც წინათ დაიმორჩილა დარიოსმა, რომელიც ასტანდი იყო და მეფე გახდა; ამის შემდეგ ალექსანდრე სულ მალე და სახელოვნად დაასრულებდა სიცოცხლეს.

19. დარიოსი კიდევ უფრო მეტად გაამხნევა იმ გარემოებამ, რომ ალექსანდრემ დიდხანს დააყოვნა კილიკიაში. სპარსთა მბრძანებელი ამას სიმხდალედ თვლიდა. სინამდვილეში მაკედონელთა მთავარსარდლის შეყოვნების მიზეზი ავადმყოფობა იყო. ზოგიერთი ამბობდა: ავადმყოფობა დიდმა ჯაფამ გამოიწვიაო; ზოგიერთის აზრით კი ალექსანდრე ავად გახადა კიდნოსის[83] ყინულივით ცივ წყალში ბანაობამ. ალექსანდრეს მკურნალობას ვერც ერთი ექიმი ვერ ბედავდა. მკურნალნი ფიქრობდნენ: ამ ავადმყოფობას ვერავითარი წამალი ვერ უშველისო, და თანაც ეშინოდათ, მარცხი რომ მოგვივიდეს. მაკედონელებმა ცილი არ დაგვწამონო. მაგრამ ერთ-ერთმა ექიმმა ფილიპე აქარნელმა, მიუხედავად იმისა, რომ მის გარშემო შექმნილ სახიფათო მდგომარეობას ხედავდა, გადაწყვიტა მინდობოდა მთავარსარდლის მეგობრულ განწყობილებას მისადმი. იგი დანაშაულად თვლიდა მკურნალობის გარეშე დაეტოვებინა ალექსანდრე, რომლის სიცოცხლეც საფრთხეში იყო, და მის მოსარჩენად უკანასკნელი ღონე არ ეხმარა, თუნდაც ეს საკუთარი თავის განწირვასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ფილიპემ წამალი მოამზადა და ალექსანდრეს ურჩია მოთმინებით დაელია, თუკი მას მორჩენა და ლაშქრობის გაგრძელება უნდოდა.

სწორედ ამ დროს პარმენიონმა ბანაკიდან ალექსანდრეს წერილი გამოუგზავნა[84]. იგი მთავარსარდალს ურჩევდა ფილიპეს მიმართ სიფხიზლე გამოეჩინა. პარმენიონი სწერდა: დარიოსმა ფილიპე ექიმი დიდი საჩუქრებით მოისყიდა და საკუთარი ქალის მითხოვებასაც დაპირდა, თუ შენ სიცოცხლეს მოგისპობსო. ალექსანდრემ წერილი წაიკითხა, არც ერთ თავის მეგობარს არ უჩვენა და ბალიშის ქვეშ ამოიდო.

დანიშნულ დროს მთავარსარდლის მეგობრების თანხლებით ალექსანდრესთან შევიდა ფილიპე, რომელსაც ფიალით წამალი მოჰქონდა. ალექსანდრემ მას პარმენიონის მიერ გამოგზავნილი წერილი გადასცა, თვითონ კი ხალისიანად და ყოველგვარი უნდობლობის გამომჟღავნების გარეშე ჩამოართვა წამლით სავსე ფიალა. საკვირველი და აძაღელ-

ვებელი სანახაობა გაიმართა: მკურნალი წერილს კითხულობდა, მთავარსარდალი წამალს სვამდა! მერმე ერთმანეთს შეაცქერდნენ, მაგრამ მათ სახეზე სულ სხვადასხვაგვარი გამომეტყველება აღიბეჭდა: ალექსანდრე გაბრწყინებული და მხიარული სახით ფილიპესადმი კეთილგანწყობილებასა და ნდობას გამოხატავდა, ფილიპე კი აღშფოთებული იყო ცილისწამებით; იგი ხან ღმერთებს მოუწოდებდა ზეცისაკენ ხელაპყრობილი, ხან კი ავადმყოფის საწოლის წინ ეცემოდა მუხლებზე და მთავარსარდალს ემუდარებოდა, მხნეობა არ დაეკარგა და მას დანდობოდა.

წამალმა ჯერ მძლავრად იმოქმედა სხეულზე და სულ ერთიანად მოადუნა .იგი. ალექსანდრეს გული წაუვიდა; ხმაწართმეულსა და გრძნობადაკარგულს სიცოცხლის ნიშანწყალი ძლივს ეტყობოდა; მაგრამ ფილიპემ ჭყისვე მოიყვანა გონზე. ალექსანდრემ ძალა მოიკრიბა და დაენახვა მაკედონელებს, რომელთაც მთავარსარდლის გამოჩენამდე იმედი ჰქონდათ დაკარგული.

20. დარიოსის ჯარში ერთი სამშობლოდან გამოქცეული მაკედონელი იყო, სახელად ამინტა, რომელმაც მშვენივრად იცოდა ალექსანდრეს ხასიათი. როცა ამინტამ დაინახა, დარიოსი ალექსანდრეს წინააღმდეგ გალაშქრებას ვიწროობზე გავლით ცდილობსო[85], მეფეს რჩევა მისცა ადგილზე დარჩენილიყო და თავისი აურაცხელი ძალებით ფართო და გადაშლილ ველებზე შებრძოლებოდა ეგზომ მცირერიცხოვან მტრის მხედრობას. დარიოსმა ამინტას უპასუხა: მეშინია, მტერმა გაქცევა არ მოასწროს და ალექსანდრე ხელიდან არ დამისხლტესო. ამაზე ამინტამ ასე მიუგო მეფეს: „მაგ მხრივ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მეფეო, იგი თვითონ გამოემართება შენკენ და, ვგონებ, მოდის კიდეცო“.

ერთი სიტყვით, დარიოსმა არ დაუჯერა ამინტას, დაძრა ჯარი და კილიკიისაკენ გაემართა.

სწორედ ამ დროს ალექსანდრე სირიაში მიისწრაფოდა დარიოსის წინააღმდეგ. ღამის სიბნელეში სპარსთა და მაკედონელთა მხედრობა ერთმანეთს ასცდა და უკან გამობრუნდნენ. ალექსანდრე მეტად კმაყოფილი იყო ასეთი ბედნიერი შემთხვევისა, ჩქარობდა რაც შეიძლება მალე შეხვედროდა მტერს ვიწროში. დარიოსი კი ცდილობდა თავის განლაგების ძველ ადგილს დაჰბრუნებოდა და მხედრობა ვიწროებიდან გაეყვანა. იგი მიხვდა, რომ მოლოდინის წინააღმდეგ არახელსაყრელ

მიდამოებში აღმოჩნდა. ეს მხარე ზღვასა და მთებს შორის იყო ყოველმხრივ ჩამწყვდეული; შუაზე მას მდინარე პინაროსი კვეთდა[86]. დარიოსის ცხენოსანი ჯარი აქ სრულებითაც ვერ იმოქმედებდა, მაგრამ მცირერიცხოვან მაკედონელთათვის მეტად ხელსაყრელი იყო. ბედმა, მართალია, მარჯვე ადგილი არგუნა ალექსანდრეს, მაგრამ მაკედონელთა მთავარსარდლის გამარჯვებას უფრო მეტად მხედართმთავრულმა ნიჭმა შეუწყო ხელი, ვიდრე ბრმა იღბალმა. მიუხედავად იმისა, რომ დარიოსის ძალები თვალსაჩინოდ აღემატებოდა მაკედონელთა ძალებს, ალექსანდრემ საშუალება არ მისცა მტერს მისთვის აღეყა შემოერტყათ: პირიქით, მარჯვენა ფრთით თვითონ შემოუარა მტრის მარცხენა ფრთას და გვერდიდან ოავს დაესხა. ალექსანდრე პირველ რიგებში იბრძოდა და მოწინააღმდეგე ბარბაროსები მალე უკუაქცია. ქარესი ამბობს, ვითომც ალექსანდრე ბრძოლაში ხმლით მაშინ დაჭრეს, როდესაც დარიოსთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებაო. ყოველ შემთხვევაში ალექსანდრე ამ ბრძოლის თაობაზე ანტიპატრესადმი მიწერილ წერილებში არ ამბობს, თუ ვინ დაჭრა. ალექსანდრე მხოლოდ იმას წერს, რომ ბრძოლაში მახვილით დაიჭრა და რომ ჭრილობის გართულება არ მოჰყოლია.

ალექსანდრემ ბრწყინვალედ გაიმარჯვა[87]. მან თერთმეტ ათასზე მეტი მტრის მეომარი მოსპო, მაგრამ დარიოსი ვერ შეიპყრო. სპარსთა დამარცხებულმა მეფემ ოთხი თუ ხუთი სტადიონით გაასწრო მაკედონელთა წინამძღოლს[88]. ალექსანდრემ ხელთ იგდო დარიოსის ეტლი და მშვილდი. იგი ამ ნადავლით დაბრუნდა მაკედონელებთან, რომლებიც ბარბაროსთა ბანაკის სიმდიდრის დატაცებას შედგომოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მტერმა ქონების უდიდესი ნაწილი დამასკში დატოვა, რათა ბრძოლაში ხელი არ შეეშალა, მაკედონელებმა სპარსთა ბანაკიდან მაინც აუოაცხელი განძი გამოიტანეს. ჯარისკაცებმა ხელუხლებლად დატოვეს მხოლოდ ალექსანდრესათვის განკუთვნილი დარიოსის კარავი, რომელიც სავსე იყო მშვენიერი მსახურებით, ნაირ-ნაირი მორთულობითა და უთვალავი ძვირფასი ნივთებით.

ალექსანდრემ სწრაფად ჩამოიხსნა იარაღი და აბანოსაკენ გასწია: „წავიდეთ, მეგობრებო, — მიმართა მან ამალას, — ჩამოვირეცხოთ ბრძოლაში დადენილი ოფლი დარიოსის აბანოში!“ მთავარსარდლის ერთ-ერთმა მეგობარმა კი ამ სიტყვებზე წამოიძახა: „არა, ზეცას ვფიცავ, დარიოსისა კი არა, ალექსანდრეს აბანოში; ყველაფერი დამარ-

ცხებულისა გამარჯვებულს ეკუთვნის და მის სახელსაც უნდა ატარებდესო“.

საბაზანო კარავში ალექსანდრემ ნახა თასები, სურები, აბაზანები და სურნელოვანი ნელსაცხებლებისათვის განკუთვნილი ჭურჭლეულობა. ყველა ეს ნივთი დიდი ოსტატობით იყო ოქროსგან ნაჭედი. ამ კარავში ნელსაცხებლისა და სურნელოვანი ზეთის ღვთაებრივი სუნი იდგა. აქედან ალექსანდრე დარიოსის კარავში შევიდა. იგი სიმაღლითა და სიდიდით, საუცხოო ხალიჩებითა და ჩინებულად გაწყობილი მაგიდებით მართლაც განცვიფრების ღირსი იყო. ალექსანდრემ მეგობრებს გადახედა და თქვა: „აი, თურმე რა ყოფილა მეფობაო!“

21. მთავარსარდალი ის-ის იყო სადილობას აპირებდა, რომ მოახსენეს: ტყვეები მოიყვანეს, მათ შორის დარიოსის დედა, ცოლი და ორი ქალიშვილი, რომლებმაც დამარცხებული მეფის ეტლისა და მშვილდის დანახვაზე თავ-პირში ხელები წაიშინეს და ტირილი მორთეს, ვინაიდან დარიოსი მოკლული ჰგონიათო. ალექსანდრე ერთხანს ჩაფიქრდა, ტყვექმნილი ქალების ბედმა საკუთარ გამარჯვებაზე უფრო მეტად ააღელვა. მან ტყვეებთან გაგზავნა ლეონატე [89], რომელსაც უბრძანა: გადაეცი ქალებს რომ დარიოსი მკვდარი არ არის და ჩემი შიში ნუ ექნებათ: უთხარი, მე დარიოსს მხოლოდ ძალაუფლებისათვის ვებრძვი-თქო. გარდა ამისა, ლეონატემ ქალებს აცნობა: ისარგებლებთ ყველა იმ პატივით,-რაც დარიოსის მეფობაში გქონდათო. ეს სიტყვები ქალებს ფრიად ლმობიერად და ალერსიანად მოეჩვენათ. ალექსანდრემ საქმით კიდევ უფრო მეტად დაამტკიცა კაცთმოყვარეობა: დარიოსის ოჯახის წევრებს ნება დართო დაეკრძალათ ის მოკლული სპარსები, რომელთა დამარხვასაც მოისურვებდნენ, და ამ საქმისათვის სამხედრო ნადავლიდან აეღოთ შესაფერისი სამოსელი და მორთულობა. მსახურთა რაოდენობა და პატივი ქალებისათვის ალექსანდრეს ოდნავადაც არ შეუმცირებია; პირიქით, შემოსავალი ახლა უფრო მეტი ჰქონდათ, ვიდრე უწინ; მაგრამ მთავარსარდლის მშვენიერი და მართლაც მეფური მოქცევა კეთილშობილ, კდემამოსილ ტყვე ქალებისადმი იმით გამოიხატა, რომ ცუდი რამ ალექსანდრესაგან არ მოუსმენიათ, არც იმის ეჭვი და შიში ჰქონიათ, მისგან შეურაცხყოფილი და პატივშელახული იქნებოდნენ. ისინი თითქოს მტრის ბანაკში კი არ ცხოვრობდნენ, არამედ ქალწულთათვის განკუთვნილ შეუბღალავ და ხელშეუვალ ტაძარში, სადაც მათ ვერავინ ვერ ხედავდა.

ამბობენ, დარიოსის ცოლი დედოფალთა შორის ულამაზესი იყოო. თვითონ დარიოსიც ლამაზი და წარმოსადეგი ვაჟკაცი ყოფილა. მათი შვილებიც მშობლებს ჰგავდნენ.

მიუხედავად დარიოსის ცოლისა და ქალიშვილების ასეთი სილამაზისა, ალექსანდრეს არც ერთი მათგანისათვის არ უხლია ხელი; იგი ფიქრობდა: საკუთარი ვნებების დამორჩილება უფრო სასახელოა მეფისათვის, ვიდრე მტერზე გამარჯვებაო. სხვათა შორის, სანამ დაქორწინდებოდა, ბარსინას გარდა სხვა ქალს არ იცნობდა. ეს ბარსინა მემნონის ქვრივი იყო და ტყვედ დამასკის მახლობლად ჩავარდა. მას მიღებული ჰქონდა ბერძნული განათლება და ხასიათითაც ფრიად სათნო ქალი ჩანდა. მამამისის არტაბაზეს დედა მეფის ასული იყო. როგორც არისტობულე გადმოგვცემს, ალექსანდრე პარმენიონმა წააქეზა ამ ლამაზსა და კეთილშობილ ქალს დაახლოვებოდა.

როცა მთავარსარდალმა სილამაზითა და ტანკენარობით რჩეული სხვა ტყვე ქალებიც დაინახა, ასე იხუმრა თურმე: სპარსი ქალები მამაკაცის თვალისათვის დიდი წამება ყოფილაო. ტურფა ტყვე ქალებს ალექსანდრემ საკუთარი თავდაჭერილობა და მოკრძალება დაუპირისპირა; იგი ისე მოეპყრო მათ, ვით უსულო და ლამაზ ქანდაკებებს ეპყრობიან ხოლმე.

22. ზღვის სანაპიროზე დაბანაკებულმა ჯარის სარდალმა ფილოქსენემ ერთხელ ალექსანდრეს მისწერა, რომ მასთან არის ვინმე თეოდორე ტარენტელი, რომელსაც ორი აუწერელი სილამაზის ბიჭი ჰყავს გასაყიდი, და მთავარსარდალს ეკითხებოდა: ხომ არ ინებებთ ეს ბიჭები იყიდოთო? ალექსანდრე საშინლად აღშფოთდა და მეგობრებს წამდაუწუმ ეკითხებოდა: განა ფილოქსენემ რა სიბილწე შემამჩნია, ასეთ საზიზღარ წინადადებას რომ მაძლევესო?! მან ფილოქსენეს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც მრავალგზის კიცხავდა და თან ბრძანებდა: მაგ ვიღაც თეოდორეა. ჯანდაბაში გაისტუმრე თავისი საქონლითო! ასევე გალანძღა მან ჰაგნონი[90], რომელიც ალექსანდრეს სწერდა, მინდა კორინთოში სილამაზით განთქმული ბიჭი კრობილე ვიყიდო და მოგგვაროო.

როცა ალექსანდრემ შეიტყო, პარმენიონის ხელქვეითმა მაკედონელმა მხედრებმა დამონმა და ტიმოთემ ზოგიერთ დაქირავებულ ჯარისკაცთა ცოლებს ნამუსი აჰხადეესო, პარმენიონს წერილობრივ უბრძანა: თუ ეს მხედრები მართლაც ამხილეს დანაშაულში, სიკვდილით

დასაჯე, როგორც ადამიანთა განსაწირავად გაჩენილი მხეცებიო. ამ წერილში, სხვათა შორის, საკუთარი თავზე სიტყვასიტყვით ასე წერდა: „ვერვინ ვერ იტყვის ჩემზე დარიოსის ცოლი მენახოს ან მისი ხილვა მომნატრებოდეს; ის კი არა, უფლებაც არ მიმიცია ვინმესთვის მის ტანკენარობაზე ესაუბრა ჩემთანო!“ ალექსანდრე ამავე წერილში ამბობდა: ორმა რამემ, ძილმა და ქალისადმი ლტოლვამ ყველაზე მეტად მაგრძნობინა, რომ მე ადამიანი ვარ; დაღლილობა და ვნებათაღელვა სწორედ ადამიანური ბუნების თანდაყოლილი უმწეობის შედეგი არისო.

ალექსანდრე ჭამაშიაც ფრიად ზომიერი კაცი იყო და ამას ყოველთვის ამყოფავნებდა. ეს ჩანს თუნდაც იმ სიტყვებში, რომლითაც მან ადას მიმართა. ეს ადა მთავარსარდალმა დედობილად გაიხადა და კარიის დედოფლობაც უბოძა. ადა, დედობრივი სიყვარულის აღსანიშნავად, ყოველდღე უგზავნიდა ალექსანდრეს ნაირ-ნაირ ნუგბარ საჭმელებსა და ნამცხვრებს: ბოლოს საგანგებოდ შერჩეული მზარეულებისა და ხაბაზების გაგზავნაც დაუწყო; მაგრამ ალექსანდრემ ადას შეუთვალა, მე ეს არ მჭირდება. ჩემმა აღმზრდელმა ლეონიდამ მე უკეთესი მზარეულები მიბოძა, სახელდობრ: საუზმის ნაცვლად ნავახშმევისათვის დანიშნულ ვარჯიშობას მიწყობდა და მარბენინებდა, ვახშმის ნაცვლად კი მცირე საუზმეს მაძლევდაო. ლეონიდა, — ამბობდა ალექსანდრე,—ხშირად ხსნიდა ჩემი ქვეშაგებისა და ტანსაცმლის სკივრს და გულდასმით ათვალიერებდა, დედაჩემს ტკბილეულობა ან სხვა ზედმეტი რაიმე არ ჰქონოდა შიგ ჩადებულიო.

23. ღვინისადმი მიდრეკილება ალექსანდრეს გაცილებით უფრო ნაკლები ჰქონდა, ვიდრე ამას ფიქრობდნენ. მართალია, დიდხანს იჯდა ხოლმე სუფრასთან, მაგრამ იმდენ დროს ღვინის სმაში არ ატარებდა, რამდენსაც საუბარს ანდომებდა. ყოველ ღვინის თასს, ჩვეულებრივ, გრძელ სიტყვას მოაყოლებდა ხოლმე. ამას, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ მოცალეობის ჟამს ჩადიოდა. საქმის დროს კი ზოგიერთი სარდალივით როდი იქცეოდა: მაშინ ვერც ღვინო და ძილი, ვერც გართობა, ვერც ქალები და ვერც წარმტაცი სანახაობა ვერ შეაჩერებდა. ამას ამტკიცებს მთელი მისი სიცოცხლე. რომელიც, მართალია, ფრიად ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ აღსავსე იყო მრავალი და დიადი საგმირო საქმით. როდესაც ალექსანდრეს თავისუფალი დრო ჰქონდა, ადგებოდა თუ არა, ღმერთებს მსხვერპლს შესწირავდა და მაშინვე საუზმედ

ჯდებოდა. დღის დანარჩენ ნაწილს ნადირობას, ბრძანებების გაცემას, მეომართა საქმეების გარჩევასა ან კითხვას ანდომებდა. თუ საღამე გზად მიდიოდა და მაინცდამაინც არ ეჩქარებოდა, გზადაგზა მშვილდის სროლაში ვარჯიშობდა და გაქანებულ ეტლზე ახტომასა და ჩამოხტომას სწავლობდა. როგორც მისი დღიურებიდან ჩანს[91], ხშირად ერთობოდა მელიებსა და ფრინველებზე ნადირობითაც. როდესაც შესასვენებლად დაბანაკდებოდა, ან აბანოში წავიდოდა ან არადა ზეთით დაიზელდა ტანს, მერმე ხაბაზთა და მზარეულთა უხუცესებს ეკითხებოდა: საღილისათვის ხომ ყველაფერი კარგად არის მომზადებულიო. საღილობას იწყებდა გვიან, თითქმის მაშინ, როცა უკვე ბინდდებოდა. ლხინის დროს საკვირველ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენდა: უსამართლოდ და დაუდევრად არაფერი არ უნდა განაწილებულიყო. სმას, როგორც ვთქვით, საუბრით ახანგრძლივებდა. მეგობრებთან ურთიერთობაში ალექსანდრე საერთოდ საყვარელი მეფე იყო ყველა მეფეთა შორის და არც თავაზიანობა აკლდა; მაგრამ მერმე აუტანელი გახდა თავისი ტრაბახით; უბრალო ჯარისკაცივით მეტისმეტი მკვეხარობა დაიწყო და მლიქვნელების ნათქვამს დიდ ანგარიშს უწევდა. ამან მის გარშემო მყოფი პატიოსანი მეგობრები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. მათ არ სურდათ მლიქვნელებს ქლესაობაში შეჯიბრებოდნენ, მაგრამ არც ის აძლევდათ ხელს მეფის ქებაში ჩამორჩენილიყვნენ. მათი აზრით, პირველი სამარცხვინო იყო, მეორეს შეიძლება ხიფათი მოეტანა.

ლხინის შემდეგ ალექსანდრე ტანს იბანდა და დასაძინებლად წვებოდა; ხშირად შუადღემდე ეძინა. ხანდახან კი მთელ დღეს საწოლში ატარებდა.

ძვირფასი საჭმელებისადმი ისეთ თავდაჭერილობას იჩენდა, რომ ზღვის სანაპიროებიდან მისთვის გამოგზავნილ იშვიათ ხილსა და თევზეულობას ხშირად მეგობრებს უგზავნიდა და თავისთვის თითქმის აღარაფერს იტოვებდა. მიუხედავად ამისა მისი სუფრა მაინც დიდებული იყო; ბედნიერებასთან ერთად ალექსანდრეს ხარჯიც ემატებოდა; გასავალმა ათი ათას დრაქმას მიაღწია და აქ შეჩერდა. ასეთივე თანხა უნდა გაეღო იმასაც, ვინც ალექსანდრეს სტუმრად მიიღებდა.

24. ისოსთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ ალექსანდრემ მხედრობის ერთი ნაწილი დამასკში გაგზავნა და იქიდან ნადავლად მიიღო

დიდძალი ფული, აღალი და აგრეთვე სპარსთა ცოლ-შვილი. ყველაზე უფრო მეტად ამ დროს თესალიელი ცხენოსნები გამდიდრდნენ; ვინაიდან თესალიელმა მხედრობამ ბრძოლაში თავი ისახელა, მთავარსარდალმა გადაწყვიტა სამაგიერო გადაეხადა და ამიტომ განზრახ გაგზავნა დამასკში. დოვლათითა და ბარაქით აივსო ჯარის დანარჩენი ნაწილიც. მაკედონელებმა მაშინ პირველად იგემეს ოქროვერცხლის, ბარბაროსთა ქალებისა და ფუფუნების სიტკბო. ისინი კვალზე დაგეშილი ძაღლებივით ჩქარობდნენ უკან დადევნებოდნენ მტერს და სპარსთა სიმდიდრე მთლიანად ჩაეგდოთ ხელში. მაგრამ ალექსანდრემ ამას ამჯობინა, ჯერ ზღვისპირა ქვეყნებში გამაგრებულიყო. მასთან მყისვე მოვიდნენ კიპროსის მეფენი და კუნძული ჩააბარეს; ასევე დანებდნენ ალექსანდრეს ფინიკიის ქალაქებიც ტვიროსის გარდა[92]. ალექსანდრემ ტვიროსს ალყა შემოარტყა მიწაყრილით, საალყო მანქანებითა და ზღვის მხრიდან ორასი ტრიერით. ქალაქის გარემოცვა შვიდ თვეს გაგრძელდა. სწორედ ამ ხანებში მთავარსარდალმა სიზმრად იხილა ჰერაკლე, რომელიც კედლებიდან ხელს უქნევდა და თავისაკენ უხმობდა. ამავე დროს მრავალ ტვიროსელს ძილში თურმე აპოლონი გამოეცხადა. იგი ტვიროსელებს ეუბნებოდა: ალექსანდრეს მხარეზე გადავდივარ, ვინაიდან ის, რაც თქვენს ქალაქში ხდება, მე არ მომწონსო. მაშინ ტვიროსელებმა ისე შეიპყრეს ღმერთის ქანდაკება, როგორც მტრის მხარეზე გადასვლის დროს დანაშაულზე წასწრებული მეომარი; შეკრეს დიდი ჯაჭვით, მილურსმნეს კვარცხლბეკზე და „ალექსანდრისტი" დაარქვეს. ალექსანდრემ კიდევ ასეთი სიზმარი ნახა ძილში: მოეჩვენა სატირი[93], რომელიც შორიდან ელაზღანდარებოდა, მაგრამ მისი დაჭერა რომ მოინდომა, სატირი გაექცა; ბოლოს, ბევრი ხვეწნისა და დევნის შემდეგ, დანებდა და ხელში ჩაუვარდა. მისნებმა სატირის სახელი ორად გაჰყვეს და მთავარსარდალს თითქმის სარწმუნოდ უწინასწარმეტყველეს: ტვიროსი შენი იქნებაო[94], ახლაც უჩვენებენ სხვათა შორის იმ წყაროს, სადაც ალექსანდრემ ძილში თითქოს სატირი იხილა.

ტვიროსის გარემოცვის დროს ალექსანდრემ გაილაშქრა არაბებზე, რომლებიც ანტილიბანოსის მახლობლად ცხოვრობდნენ[95]. ამ ლაშქრობის დროს თავის გამზრდელ ლისიმაქეს წყალობით თავი ხიფათში ჩაიგდო. ლისიმაქე ალექსანდრეს სალაშქროდ გაჰყვა და ამბობდა: მე ფენიქსზე უარესი არა ვარ და არც მასზე უფრო მოსუცებულად

ვთელი თავსო. მთაგორიან ადგილს რომ მიუახლოვდა, ალექსანდრე ცხენიდან ჩამოხტა და ქვეითად გაუდგა გზას. დანარჩენები ამასობაში საკმაოდ წინ წავიდნენ. უკვე ღამდებოდა და მტერიც ახლოს იყო, მაგრამ მთავარსარდალს არ უნდოდა დაღლილი და ძალაწართმეული ლისიმაქეს მიტოვება. ივი მას ამხნევებდა და სიარულში შველოდა. ამის გამო ალექსანდრე სულ რამდენიმე მეომრის თანხლებით შეუმჩნეველად მოსწყდა მთავარ მხედრობას და სიბნელისა და საშინელი სიცივის მიზეზით იძულებული შეიქნა ღამე სახიფათო ადგილას გაეტარებინა. მან შორიდან დაინახა უამრავი კოცონი, მტერს რომ აქა-იქ დაენთო. საკუთარი სხეულის მოქნილობაზე დანდობილმა ალექსანდრემ, მაკედონელებს გაჭირვების ჟამს თავისი სიმამაცით რომ ამხნევებდა ხოლმე, მიირბინა იმ არაბებთან, რომელთაც სხვებზე უფრო ახლო ჰქონდათ კოცონი გაჩაღებული და ორ ბარბაროსს, კოცონს რომ შემოსხდომოდნენ, მახვილით მოუსწრაფა სიცოცხლე; მერმე სტაცა ხელი მუგუზალს და თავისიანებთან მიიტანა. მათ ისეთი დიდი კოცონი გააჩაღეს, რომ მტერი შეაშინეს და გააქციეს. მაკედონელებმა მოიგერიეს ის არაბებიც, რომელთაც იერიშის მიტანა გაბედეს, და ღამე მშვიდად გაატარეს.

ამ ამბავს ქარესი მოგვითხრობს[96].

25. რაც შეეხება ტვიროსის გარემოცვას, იგი ასეთნაირად დამთავრდა: მრავალგზის ომგადახდილი მხედრობის უდიდეს ნაწილს ალექსანდრე ასვენებდა და ქალაქის კედლებზე იერიში მხოლოდ მცირე რაზმებით მიჰქონდა, რათა მტერს მოსვენების საშუალება არ მისცემოდა.

ერთხელ მისანი არისტანდრე მსხვერპლს სწირავდა და, სამსხვერპლო ნიშნებს რომ დახედა, დამსწრეებს გადაჭრით უწინასწარმეტყველა: ქალაქს აუცილებლად ამ თვეში ავიღებთო. ამაზე ერთი სიცილ-ხარხარი ატყდა (ეს სწორედ თვის უკანასკნელი დღე იყო). მეფემ, რომელსაც მუდამ სურდა წინასწარმეტყველების კეთილად ახდომა, შემკრთალი მისნის დანახვაზე ბრძანება გასცა, ეს დღე ჩაეთვალათ მიწურული თვის ოცდამერვედ და არა ოცდამეათედ. მერმე კი ბუკნაღარით ნიშანი მიაცემინა და ქალაქის კედლებზე უფრო მედგრად მიიტანა იერიში, ვიდრე ეს განზრახული ჰქონდა. შეტევა ფრიად მძლავრი აღმოჩნდა; ბანაკში დასვენებულმა მაკედონელთა ძირითადმა მხედრობამაც თავი ვეღარ შეიკავა და იერიშზე წასულთა დასახმა-

რებლად გაეშურა. ტვირთსელები სულით დაეცნენ და ქალაქი იმავე დღეს აიღეს[97].

ამის შემდეგ ალექსანდრემ ალყა შემოარტყა სირიის უდიდეს ქალაქ ღაზას[98]. ერთ დღეს მთავარსარდალს მხარზე დაეცა პატარა გოროხი, რომელიც მაღლიდან რომელიღაც ფრთოსანმა ჩამოაგდო. ამის შემდეგ ფრინველი ერთ-ერთ საალყო მანქანაზე შემოჯდა და შეუმჩნევლად გაიხლართა ბადეებში, რომელთაც ბაგირების მოსაწევად ხმარობდნენ. ეს ნიშანი ისე ახდა, როგორც არისტანდრემ უმისნა მეფეს: ალექსანდრე მხარში დაიჭრა, მაგრამ ქალაქი კი აიღო.

ნადავლის უდიდესი ნაწილი მან გაუგზავნა ოლიმპიადას, კლეოპატრასა[99] და მეგობრებს; ლეონიდას კი, თავის მოძღვარს, ალექსანდრემ გაუგზავნა ხუთასი ტალანტის გუნდრუკი და კიდევ ასი ტალანტის სხვა საკმეველი. ერთხელ, ბავშვობაში, ალექსანდრეს, როგორც ამბობენ, მსხვერპლშეწირვის დროს, როცა ორივე ხელით მობოჭა გუნდრუკი და ცეცხლში ჩაყარა, ლეონიდამ უთხრა: „ალექსანდრე, როცა ნელსურნელებით აღსავსე ქვეყანას დაიპყრობ, აი, მაშინ აღკმიე ასე გულუხვად გუნდრუკი. ახლა კი გამოზოგვით იხმარე ის, რაც გაგვაჩნიაო". სწორედ ეს გაიხსენა მთავარსარდალმა და ლეონიდას მისწერა: „აი, სამყოფად გიგზავნი გუნდრუკსა და სხვა საკმეველსაც, რათა ღმერთთა წინაშე ძუნწი აღარ იყოო!"

26. დარიოსის ძვირფასეულობისა და აღალის მიღების დროს ალექსანდრეს მიართვეს ერთი ყუთი, რომელიც მთავარსარდლის ხელქვეითებმა ყველაზე საუცხოო ნივთად ჩათვალეს. ალექსანდრემ მეგობრებს ჰკითხა: მათი აზრით რა უნდა ყოფილიყო ამ ყუთში ჩადების ღირსი. ზოგმა ეს თქვა, ზოგმა — ის; ბოლოს თვითონ ალექსანდრემ დასძინა, რომ შიგ ჩადებდა და შეინახავდა „ილიადას". ამას მოგვითხრობს ბევრი მწერალი, რომელნიც ნდობას იმსახურებენ. თუ ჭეშმარიტია ის, რასაც ალექსანდრიელები ჰერაკლიდეზე დაყრდნობით ამბობენ, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჰომეროსი მაკედონელთა მთავარსარდლისათვის უსარგებლო პოეტი როდი იყო და არც უარიგო შემწეობას უჩენდა ლაშქრობის ჟამს. სახელდობრ, ალექსანდრიელები ამბობენ, რომ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ ალექსანდრემ გადაწყვიტა აეგო დიდი და ხალხმრავალი ბერძნული ქალაქი, რომელიც მისი სახელის მატარებელი იქნებოდა. ხუროთმოძღვართა რჩევით მან მართლაც ამოირჩია ერთი ადგილი და ის-ის იყო კედლების ამო-

შენებას უნდა შესდგომოდა, რომ ღამით საკვირველი სიზმარი ნახა. მან იხილა საპატიო გარეგნობის ჭაღარაშერეული მხცოვანი კაცი, რომელიც წარუდგა მას და ასეთი ლექსით მიმართა:

> ძეს ერთი კუნძული პატარა იქ მრავალტალღოვან ზღვაში,
> იგვიპტის მახლობლად; და მას უწოდებენ სახელად ფაროსს.[100]

ალექსანდრე მყისვე წამოდგა და გაემართა ფაროსისაკენ, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ კუნძული იყო და კანობოსის შესართავის[101] ცოტა ზემოთ მდებარეობდა, ახლა კი მიწაყრილითაა ხმელეთთან დაკავშირებული. მთავარსარდალმა იხილა მეტად ხელსაყრელი ადგილმდებარეობა (მიწის ზოლი საკმაო ფართო ყელით ერთმანეთისაგან გამოყოფდა წყალუხვ ტბასა[102] და ზღვას, სადაც ფრიად მოხერხებული დიდი ნავსაყუდელი ჩანდა), და თქვა: ჰომეროსი ყოველმხრივ გაოცების ღირსი იყო და ახლა უბრძნეს ხუროთმოძღვრადაც მოგვევლინა. მან ბრძანა მოეხაზათ ქალაქის გეგმა, რომელიც ამ ადგილმდებარეობასთან იქნებოდა შეფარდებული.

რაკიღა ცარცი ვერ იშოვეს, ხუროთმოძღვრებმა შავ მიწაში მიმოაბნიეს ფქვილი და მოხატეს დიდი რკალი, რომელსაც საპირისპირო მხარეებიდან წამოსული ორი პირდაპირი ხაზი ქმნიდა და თავისი მოყვანილობით მიწაზე დაფენილ ქლამიდს მოგავდა. ალექსანდრეს ძალიან მოეწონა ეს გეგმა[103]. სწორედ ამ დროს მდინარიდან და ტბიდან ანაზდეულად ამოფრინდა ნაირ-ნაირი ჯიშისა და სიდიდის ფრინველების აურაცხელი გუნდი, ღრუბელივით დაედო ფქვილით მოფენილ ადგილს და მისგან ნატამალიც აღარ დატოვა. ამ ამბავმა ალექსანდრე ძალიან შეაშფოთა; ეს ავბედითობის ნიშნად ჩათვალა; მაგრამ მისნებმა გაამხნევეს და განუცხადეს, შენ დაარსებ მეტისმეტად მდიდარ ქალაქს, რომელიც მრავალი ტომის ხალხს გამოკვებავსო.

ალექსანდრემ ქალაქის მშენებლებს უბრძანა საქმეს შედგომოდნენ, თვითონ კი ამონის ტაძრისაკენ გაემართა[104]. გზა იყო მეტად ძნელი, დამქანცველი და ორგვარ ხიფათთან დაკავშირებული; ერთი რომ რამდენიმე დღის სავალზე გადაჭიმული იყო უდაბნო და წყალს ვერსად იშოვიდნენ, მეორეც — თვალუწვდენელ ქვიშაში სვლის დროს შესაძლოა სამხრეთის მძლავრი ქარი ამოვარდნილიყო, რაც თურმე, როგორც ამბობენ, ძველად მომხდარა — კამბიზეს ლაშქრობის ჟამს[105]. ამოვარდნილ ქარს აუტაცნია მაშინ ჰაერში ქვიშის გორები, ზღვასა-

ვით აუღელვებია თვალუწვდენელი უდაბნო და დაუმარხავს და დაულუპავს ორმოცდაათი ათასი კაცი. თითქმის ყველა ამ უბედურებაზე ფიქრობდა, მაგრამ ძნელი იყო გადაეთქმევინებინათ ალექსანდრესათვის ის, რასაც იგი ერთხელ გადაწყვეტდა. ბედი მფარველობდა მის გეგმებს, ძალას აძლევდა მის განზრახვას და ალექსანდრეს ფიცხელი სული საკვირველ და დაუძლეველ შეუპოვრობას იჩენდა არა მარტო მტრის, არამედ ადგილისა და დროის მიმართაც.

27. ამ ლაშქრობის სიძნელეთა გადალახვაში ალექსანდრესადმი ღვთის შიერ ბოძებულ დახმარებას უფრო მეტი ნდობა გამოუთქვეს, ვიდრე იმ წინასწარმეტყველებს, რომლებიც მთავარსარდალმა შემდეგში მიიღო; ერთგვარი რწმენა, რაღა თქმა უნდა, მისანთა რჩევებსაც ჰქონდათ. უდაბნოში მოლაშქრეებს ზევსმა ჯერ კოკისპირული და ხანგრძლივი წვიმა მოუვლინა და წყურვილის შიში გაუფანტა; გავარვარებული ქვიშა წვიმების წყალობით გაგრილდა, დალბა და ნიადაგში ჩაჯდა; ჰაერიც უფრო დაიწმინდა და სუნთქვა გაადვილდა. გარდა ამისა, ზევსი სხვა მხრივაც დაეხმარა თურმე ალექსანდრეს ლაშქარს; როცა მეგზურებს სამანძილო ნიშნები დაებნათ და მაკედონელი მეომრები უგზო-უკვლო ხეტიალში ერთმანეთს მოსწყდნენ და გზის გაგნებას ვეღარ ახერხებდნენ, გამოჩნდნენ ყვავები, რომლებმაც თურმე ლაშქრის მეგზურობა იკისრეს. ფრინველები მეომრებს წინ მიუძღოდნენ, ხოლო როცა მხედრობა ჩამორჩებოდა ან შეყოვნდებოდა, ისინიც შეჩერდებოდნენ და ლაშქარს ელოდებოდნენ. ყველაზე უფრო საკვირველი კი, როგორც კალისთენე ამბობს, ის იყო, რომ ყვავები ბნელ ღამეში ჩხავილით უხმობდნენ გზააბნეულ მეომრებს და სწორ გზაზე აყენებდნენ.

ერთი სიტყვით, ალექსანდრემ გადალახა უდაბნო და დანიშნულ ადგილას მივიდა. აქ მას ამონის მისანმა უთხრა: ღმერთი ამონი მამის დარად მოგესალმებაო. ალექსანდრემ ამონის მისანს ჰკითხა: მამაჩემის მკვლელებიდან ხომ არავინ დამსხლტომიაო? მისანმა მთავარსარდალს ურჩია უფრო გონივრულად ელაპარაკნა და დასძინა: მამაშენი მოკვდავი როდი არისო! ალექსანდრემ მაშინ კითხვა შეცვალა და ასე მიმართა: ფილიპეს ყველა მკვლელზე ვიძიე თუ არა შურიო? ისიც ჰკითხა, რაც მის მბრძანებლობას ეხებოდა: მაძლევს თუ არა ღმერთი უფლებას, ყველა ადამიანის ბატონი ვიყოო? მისანმა უპასუხა, ღმერთი ამის უფლებას გაძლევს და ფილიპეზეც შური კარგად იძიეო. ამის

შემდეგ მთავარსარდალმა ეხვი შესაწირავი უძღვნა ღმერთ ამონს და იქაურებს საჩუქრად ფული დაურიგა.

ამ ამბავს ამონის ქურუმის მისნობის თაობაზე ბევრი მწერალი აღწერს, თვითონ ალექსანდრე კი დედას სწერს ბარათში, რომ ზოგი ისეთი რამ მოისმინა მისნისაგან, რასაც საიდუმლოდ ინახავს და, როცა უკან დაბრუნდება, მხოლოდ და მხოლოდ მას ეტყვის. სხვათა შორის, ზოგიერთი გადმოგვცემს, ამონის მისანს სურდა ტკბილი სიტყვით ბერძნულად მიემართა ალექსანდრესათვის და მისთვის „ო, პაიდიონ“ („ჩემო შვილო“) დაეძახა, მაგრამ ბარბაროსული გამოთქმის წყალობით სიტყვის ბოლო ბგერა შეცვალა, ნ-ს ნაცვლად ს იხმარა და „ო, პაიდიოს“ — „ზევსის შვილო“ წარმოთქვა. მაგრამ ეს შეცდომა ალექსანდრესათვის მეტად ხელსაყრელი გამოდგა. მყისვე დაირხა ხმა, ღმერთმა ამონმა ალექსანდრე ზევსის ძედ აღიარაო.

ამბობენ, ეგვიპტეში ალექსანდრე ფილოსოფოს ფსამონს უსმენდა და მისი აზრებიდან ყველაზე უფრო ის მოსწონდა, რომ ყველა ადამიანს ღმერთი განაგებს, რამეთუ ადამიანის მამოძრავებელი საწყისი ღვთაებრივი წარმოშობის არისო. თვითონ კი უფრო მეტ ფილოსოფიურ გააზრებას აძლევდა ამას და ამბობდა: ყველა ადამიანის საერთო მამა ღმერთი არის, მაგრამ მე ჩემს შვილებად განსაკუთრებით იმ ადამიანებს ჩავთვლი, რომლებიც ზნეობრივად სრულყოფილნი არიანო.

28. ბარბაროსთა მიმართ ალექსანდრე საერთოდ ქედმაღალი იყო და თავი ისე ეჭირა, თითქოს ღრმად იყო დარწმუნებული თავის ღვთაებრივ წარმოშობასა და ღმერთის ძეობაში; ბერძენთა წინაშე კი ფრიად დიდი ზომიერებითა და სიფრთხილით ასაღებდა თავს ღმერთად, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ წერილს, რომელიც ათენელებს სამოსის თაობაზე გაუგზავნა. „მე, — სწერდა ალექსანდრე ათენელებს, — არ დაგითმობდით მაგ თავისუფალ და სახელოვან ქალაქს, მაგრამ თქვენ ჰფლობთ მას იმის წყალობით, ვინც მაშინ თქვენი უფალი იყო და ჩემს მამად იწოდებოდა“. იგი აქ ფილიპეს გულისხმობდა. უფრო გვიან კი, როცა ერთხელ ისრით დაიჭრა და ტკივილებით უსაზღვროდ იტანჯებოდა, მეგობრებს თურმე ასე მიმართა: „ეს სისხლია, მეგობრებო, ჭრილობიდან რომ მოდის, და არა

[106] ოქორი, რაიცა ღმერთებს მიმოუჩქეფთ სხეულში მხოლოდ

ერთ დღეს საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა. შიშისაგან ყველას თავბარი დაეცა. ანაქსარქე სოფისტმა[107], რომელიც მაშინ იქ იყო, ალექსანდრეს უთხრა: „შენც ხომ ვერ მოგვიგლენდი, ზევსის შვილო, ამის მსგავს რამესო?“ „მე არ მინდა, — მიუგო სიცილით მთავარსარდალმა. — შენ რჩევას ვერწმუნო და მეგობრებში შიში გამოვიწვიო,— და დაუმატა: — შენ ჩემი სადილითაც უკმაყოფილო ხარ, ვინაიდან მაგიდებზე მხოლოდ თევზს ხედავ დაწყობილს და არა სატრაპთა თავებსო“[108]. როგორც გადმოგვცემენ, ანაქსარქემ მართლაც შენიშნა ასეთი რამ მთავარსარდალს, როცა მეფემ ჰეფესტიონს[109] პაწაწა თევზები გაუგზავნა ძღვნად. ამით ანაქსარქე, ასე ვთქვათ, დასცინოდა იმათ, რომელნიც დიდი ტანჯვისა და მრავალი ხიფათის ფასად იხვეჭენ სახელს და ამავე დროს სხვებზე ან ნაკლებ ან სრულებითაც ვერ ტკბებიან ცხოვრების სიამით.

ზემოთქმულიდან სავსებით ნათელია, რომ ალექსანდრეს არ სწამდა თავისი ღვთაებრიობა და არც ამაყობდა ამით. მის ღვთაებრივ წარმოშობაზე გავრცელებულ აზრს იგი იყენებდა როგორც საშუალებას სხვა ხალხების დასამორჩილებლად.

29. როცა ალექსანდრე ეგვიპტიდან ფინიკიაში დაბრუნდა, ღმერთებს მსხვერპლშეწირვა და ზეიმი გაუმართა. მოაწყო საფერხულო და ტრაგიკულ გუნდთა ასპარეზობა, რაც არა მარტო მომზადებით იყო გრწყინვალე, არამედ იმითაც, რომ მონაწილენი განსაკუთრებული მონდომებით ეცილებოდნენ ერთმანეთს. ქორეგოსობა[110] დავალებული ჰქონდათ კიპროსის მეფეებს ისე, როგორც ათენში ფილეების მიხედვით საგანგებოდ შერჩეულ პირებს. ქორეგოსები განსაცვიფრებელი თავგამოდებით ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს. ყველაზე უფრო მეტად ერთმანეთს ნიკოკრეონტი სალამინელი და პასიკრატე სოლელი ეცილებოდნენ[111]. ბედმა მათ საუკეთესო მსახიობთა ქორეგოსობა არგუნა; პასიკრატეს წილად ხვდა ათენოდორე, ნიკოკრეონტს კი — თესალე[112]. ამ თესალეს ალექსანდრე მფარველობდა, მაგრამ ყურადღება მის მიმართ მანამდის არ გამოუმჟღავნებია, სანამ წილისყრით ათენოდორე გამარჯვებულად არ აღიარეს. როცა ალექსანდრე თეატრიდან გადიოდა, თურმე ასე თქვა: მე სავსებით ვუჭერ მხარს მსაჯულთა გადაწყვეტილებას, მაგრამ სიამოვნებით დავთმობდი ჩემი სამეფოს ნაწილს, ოღონდ თესალეს არ ვხედავდე დამარცხებულსო. ერთხელ ათენელებმა ათენოდორე დააჯარიმეს, ვინაიდან დიონისიების

დღესასწაულზე არ გამოცხადდა[113]. ათენოდორემ მეფეს სთხოვა მიეწერა ათენელებისათვის ამაზე. ალექსანდრემ ეს არ გააკეთა, მაგრამ ჯარიმა მის მაგიერ გაგზავნა ათენში. სკარფელმა ლიკონმა, რომელსაც დიდი წარმატებები ჰქონდა თეატრში, ერთხელ კომედიაში თავის მხრივ ლექსი ჩაურთო, რომელშიაც ათ ტალანტს მოითხოვდა. ალექსანდრემ ამაზე გაიცინა და ლიკონს ნათხოვარი თანხა მისცა[114].

ამასობაში დარიოსმა ალექსანდრეს ელჩები გამოუგზავნა და თან წერილიც გამოაყოლა. დარიოსი ალექსანდრეს სთავაზობდა ტყვეების გამოსასყიდად ათი ათას ტალანტს, უთმობდა მთელ სამფლობელოს, რაც ევფრატის დასავლეთით მდებარეობდა, ჰპირდებოდა ერთ-ერთი ქალიშვილის მითხოვებას და სთხოვდა მეგობრობასა და მოკავშირეობას. მთავარსარდალმა დარიოსის წინადადებანი მეგობრებს ამცნო. „მე რომ ალექსანდრე ვიყო, — თქვა პარმენიონმა, — მივიღებდი ამ პირობებსო". „მეც მივიღებდი, ვფიცავ ზევსს, — უპასუხა ალექსანდრემ, — პარმენიონი რომ ვიყოო".

ალექსანდრემ დარიოსს საპასუხოდ მისწერა: თუ იგი თავისით გამოცხადდებოდა მის წინაშე, კაცთმოყვარული პატივი არ მოაკლდებოდა, თუ არა და მაშინ თვითონ გაემართებოდა მასთან.

30. ასეთი საქციელი სულ ჩქარა ინანა მთავარსარდალმა. საქმე ის იყო, რომ დარიოსის ცოლი მშობიაობას გადაჰყვა. ალექსანდრე ძალიან წუხდა, თავისი დიდსულოვნების გამომჟღავნების მშვენიერი შემთხვევა რომ ხელიდან გაუშვა. მან დიდი პატივით დაკრძალა სპარსთა დედოფალი და არავითარ ხარჯს არ დაერიდა.

იმ პირისფარეშთა შორის, რომელნიც სეფექალებთან ერთად იქნენ დატყვევებულნი, ერთი საჭურისი იყო, სახელად ტირეოსი. იგი მაკედონელთა ბანაკიდან გაიქცა, შეჯდა ცხენზე და ჭენებით მიიჭრა დარიოსთან, რომელსაც მეუღლის სიკვდილი ამცნო. დარიოსმა ხელი თავში ირტყა და ტირილით წამოიძახა: „ვაი, უბედურნო სპარსნო! თქვენი მეფის მეუღლე და დაი სიცოცხლეშიც მტერს ტყვედ ჩაუვარდა და სიკვდილის შემდეგაც მოკლებულია მეფური პატივით დაკრძალვასო"... საჭურისმა დარიოსს სიტყვა შეაწყვეტინა და უთხრა: „რაც დაკრძალვას შეეხება, მეფეო, და დედოფლის შესაფერ ყოველგვარ პატივსა და ღირსებას, ამაში შენ სპარსთა ბოროტ ბედს ბრალს ვერ დასდებ არც დედოფალ სტატირას, სანამ ცოცხალი იყო, არც დედაშენს და არც შენ შვილებს არ მიჰკლებიათ ძველებური პა-

ტივი და სიკეთე, გარდა იმისა, რომ ვეღარ ჭვრეტენ შენს ნათელს, რომელსაც კვლავ გამოაბრწყინებს უფალი ორომაზდე[115]. შენს განსვენებულ მეუღლეს არათუ არ მიჰკლებია რაიმე პატივი, არამედ თვით მტრებმაც კი დაიტირეს იგი საკუთარი ცრემლებით. ეს იმიტომ, რომ ისევე გულმოწყალეა ალექსანდრე დამარცხებულთა მიმართ, როგორც მრისხანე ბრძოლის ჟამს".

ამის გამგონე დარიოსს მღელვარებამ და დარდმა უკადრისი ეჭვები აღუძრეს. მან საჭურისი კარვის სიღრმეში შეიყვანა და უთხრა: „თუ შენ სპარსთა ბედის მსგავსად მაკედონელთა მხარეზე არ გადასულხარ და მე, დარიოსი, კვლავ შენი მბრძანებელი ვარ, გაფიცებ მიორას დიად ნათელსა და მეფის ამ მარჯვენას, მითხარი, — იქნებ სტატირას სიკვდილით მის სულ მცირე უბედურებას დავტირი და იქნებ მის სიცოცხლეში უფრო მეტად უბედური ვიყავი? იქნებ უფრო ღირსეული ყოფილიყო ჩვენთვის, ალექსანდრეზე ვერაგსა და მძვინვარე მტერს რომ ჩავვარდნოდით ხელში? განა რა წმინდა ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ახალგაზრდა კაცს მტრის მეუღლესთან, რომ ასეთი პატივი უცია მისთვის?"

დარიოსი ისევ ლაპარაკობდა, რომ ტირეოსი ფეხქვეშ ჩაუვარდა და შეევედრა: „ნუ ამბობ ასეთ შეუფერებელ სიტყვებს, ნუ იხსენიებ აუგად ალექსანდრეს და ნუ სცხებ ჩირქს განსვენებულ დასა და მეუღლესო". საჭურისი დარიოსს სთხოვდა, ნუ აღიკვეთავდა უბედურების ჟამს იმ დიდ ნუგეშსა და შეგნებას, რომ იგი დამარცხებულ იქნა უკეთესი ვაუკაცისაგან, რომელიც თავისი ბუნებით ადამიანს აღემატებოდა: იგი მოწიწებით უნდა მოჰქცეოდა ალექსანდრეს, რომელმაც უფრო მეტი თავშეკავება გამოამჟღავნა სპარსთა ქალების მიმართ, ვიდრე მამაცობა დარიოსის მეომართა წინაშე. თავისი ნათქვამის დასადასტურებლად საჭურისმა საშინელი ფიცი წარმოთქვა და დარიოსს მოუთხრო სხვა ამბებიც ალექსანდრეს თავდაჭერილობასა და დიდსულოვნებაზე. დარიოსი მეგობრებთან დაბრუნდა, ხელები ზეცისაკენ აღაპყრო და შეჰღაღადა: „ჩემი საგვარეულოსა და სამეფოს მფარველნო ღმერთნო, მხურვალედ გევედრებით მომეცით საშუალება აღვადგინო სპარსთა დაკარგული ბედნიერება და დავტოვო ისე, როგორც მე მივიღე გამეფების ჟამს, გამარჯვებულმა კი ალექსანდრეს სამაგიერო ვუზღო იმ წყალობისათვის, რომელიც მან აღმოუჩინა ჩემს საყვარელ ადამიანებს ჩემი უბედურების დროს! მაგრამ თუ

ადგა ყამი აღსასრულისა, ყამი შურისგებისა და ბედის ცვლილებისა, რათა შესწყვიტოს მბრძანებლობა სპარსთა, და, ნუ დაჯდება კვიროსის ტახტზე სხვა ვინმე, ალექსანდრეს გარდა!"

ეს ამბავი რომ ასე მოხდა და ასე ითქვა, ამას ჩვენ ბევრი მემატიანე გადმოგვცემს[116].

31. ევფრატის დასავლეთით მდებარე მიწა-წყლის მთლიანად დაპყრობის შემდეგ ალექსანდრე დარიოსის წინააღმდეგ დაიძრა. სპარსთა მბრძანებელი თავის მხრივ მაკედონიის ძალებთან შესახვედრად მილიონნიანი მხედრობით გამოემართა ზემო აზიიდან. სწორედ ამ დროს ერთ-ერთმა მეგობართაგანმა ალექსანდრეს სასაცილო ამბავი უთხრა: მხედართა მსახურნი გასართობად ორ თანაბარ ნაწილად გაიყვნენ და ორივეს თავ-თავისი სარდალი და წინამძღოლი ჰყავს, რომელთაგან ერთი ალექსანდრედ, ხოლო მეორე დარიოსად იწოდებაო. მათ ჯერ გოროხების სროლა დაუწყეს ერთმანეთს, მერმე მუშტიკრივზე გადავიდნენ, ბოლოს ისე გაცხარდნენ ბრძოლაში, რომ ბევრმა მათგანმა ერთმანეთს ქვები და ჯოხები დაუშინეს და ვერაფრით ვერ გავაშველეთო.

ალექსანდრემ რომ ეს ისმინა, ბრძანება გასცა თვითონ წინამძღოლნი შერკინებოდნენ ერთმანეთს: „ალექსანდრეს" თვითონ შეასხა იარაღი, „დარიოსს" კი ფილოტამ გაუწია ასეთი სამსახური.

მთელი მხედრობა შეცქეროდა ორთა ბრძოლას და ამ გართობაში მყოფადის წინასწარ განჭვრეტას ცდილობდნენ. ბრძოლა ფრიად ცხარე იყო; გაიმარჯვა იმ წინამძღოლმა, რომელიც „ალექსანდრედ" იწოდებოდა. მან ამისათვის ჯილდოდ მიიღო თორმეტი სოფელი და სპარსული კაბის ტარების უფლება.

ამ ამბავს ერატოსთენე მოგვითხრობს. რაც შეეხება დარიოსთან წარმოებულ დიდ ბრძოლას, იგი მოხდა არა არბელასთან, როგორც ბევრი წერს, არამედ გავგამელასთან[117]. ამბობენ, გავგამელა იქაურ ენაზე აქლემის სახლს ნიშნავს; ოდესღაც ერთი მეფე[118] სწრაფად მსრბოლი აქლემის წყალობით მტრებს გაექცა, პირუტყვი აქ დატოვა და ულუფად რამდენიმე სოფლის შემოსავალი დაუნიშნაო.

ბოედრომიონის თვეში, როცა ათენში მისტერიების დაწყების დრო იყო, მთვარის დაბნელება მოხდა[119]. დაბნელების შემდეგ მეთერთმეტე დამეს, როცა ორივე მხედრობა ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა, დარიოსს თავისი ძალები უკვე შეიარაღებული ჰყავდა და რაზმებს

ჩირაღდანთა შუქზე ათვალიერებდა. მაკედონელები ამ დროს ისვენებდნენ; თვითონ ალექსანდრე კი მკითხავ არისტანდრესთან ერთად კარვის წინ წმინდა საიდუმლოებას ასრულებდა და მსხვერპლს სწირავდა ფობოსს[120].

ნიფატეს ქედსა და გორდიების მთათა[121] შორის მდებარე ველი სპარსთა მიერ დანთებული ცეცხლით იყო გაჩირაღდნებული. მტრის ბანაკიდან, ვით უსაზღვრო ზღვიდან, ისე ისმოდა რაღაც გაურკვეველი დრტვინვა და გუგუნი. როცა ალექსანდრეს უხუცესმა მეგობრებმა ეს ველი ასეთ მდგომარეობაში იხილეს, მტრის მეომართა სიმრავლით განცვიფრდნენ. ყველაზე მეტად პარმენიონი იყო გაოცებული. ისინი ერთმანეთს შორის ბჭობდნენ, თუ რა ძნელი და მძიმე საქმე იქნებოდა აშკარა თავდასხმით ეგზომ მრავალრიცხოვანი მტრის ოტება. როგორც კი დაამთავრა ალექსანდრემ მსხვერპლშეწირვა, ისინი მასთან მივიდნენ და ურჩიეს მტერს ღამით დასხმოდა თავს, რათა სიბნელით დაეფარა ის, რაც ყველაზე უფრო მეტად იყო საშიში მომავალ ბრძოლაში. ალექსანდრემ ღირსსახსოვარი პასუხი გასცა: „მე გამარჯვებას არ ვიპარავო“. ზოგიერთმა ეს პასუხი ბავშვურ და ქარაფშუტულ პასუხად ჩასთვალა. მათი აზრით, ალექსანდრე ფრიად დიდ საფრთხეს ეთამაშებოდა. ზოგიერთთა მიხედვით კი ალექსანდრეს აწმყოს იმედი ჰქონდა და მომავალსაც მართებულად ჭვრეტდა; მას არ სურდა, თუ დარიოსი დამარცხდებოდა, მისთვის საბაბი მიეცა, რათა კვლავ წამომდგარიყო ფეხზე ბედის საცდელად და ბრალი დამარცხებაში ღამის სიბნელისათვის დაედო ისე, როგორც უწინ დაბრალა თავისი მარცხი მთებს, ვიწროებსა და ზღვას. მეტისმეტად მრავალრიცხოვანი ძალისა და მიწა-წყლის მფლობელი დარიოსი იარაღის ან მეომართა ნაკლებობის გამო ომს თავს ვერ დაანებებდა. იგი ომს მხოლოდ მაშინ შეწყვეტდა, როცა დღის სინათლეზე გამართულ ბრძოლაში სულით დაეცემოდა, თავის უძლურებას შეიგნებდა და გამარჯვების იმედს დაკარგავდა.

32. როცა მეგობრები წავიდნენ, ალექსანდრე მოსასვენებლად კარავში შევიდა. ჩვეულების წინააღმდეგ მას თურმე ისე ღრმად ეძინა მთელი დანარჩენი ღამე, რომ მასთან ალიონზე მისული სტრატეგოსები ფრიად გაკვირდნენ. ისინი იძულებული გახდნენ თვითონ გაეცათ განკარგულება, რათა ჯარისკაცებს დილის საუზმე მიეღოთ. რაკიღა დრო არ ითმენდა და მთავარსარდალს კვლავ ეძინა, მასთან შევიდა

პარმენიონი, დადგა მის საწოლთან და ორჯერ თუ სამჯერ სახელი დაუძახა. ალექსანდრემ, როგორც იქნა, გაიღვიძა. პარმენიონმა ჰკითხა, თუ რა იყო, რად სძინავს უკვე გამარჯვებული კაცის ძილით, თითქოსდა ყველა ბრძოლათა შორის უდიდესი ბრძოლა არ მოელოდეს?! ალექსანდრემ ღიმილით უპასუხა პარმენიონს: „განა შენ გგონია, ჩვენ უკვე გამარჯვებული არა ვართ? რამეთუ აღარ გვჭირდება ხეტიალი და დევნა დარიოსისა, რომელიც ამ ვრცელ, უდაბურ ქვეყანაში აქამდე თავს გვარიდებდაო?"

თავის სიდიადეს, მოსაზრებულობასა და მხნეობას ალექსანდრე ამჟღავნებდა არა მარტო ბრძოლის წინ, არამედ თვით განსაცდელის დროსაც. პარმენიონის სარდლობის ქვეშ მყოფმა მარცხენა ფრთამ ბრძოლაში უკან დახევა და არევ-დარევა დაიწყო, ვინაიდან მაკედონელთა რიგებში საოცარი სისწრაფით და ძალით შეიჭრნენ ბაქტრიელი ცხენოსნები, ხოლო მაძიოსმა[22] თავისი მხედრები პარმენიონის ფალანგის გარშემოსავლელად გაგზავნა, რათა მერმე თავს დასხმოდნენ აღალის მცველებს. ორმხრივი მოწოლით შეშფოთებულმა პარმენიონმა ალექსანდრესთან მაცნეები აფრინა და მთავარსარდალს შეატყობინა: მთელი ბანაკი და აღალი დაიღუპება, თუ მეწინავე ნაწილიდან უმალვე არ მოაშველებ ჩემს ზურგის რაზმს ძლიერ ძალასო. მოხდა ისე, რომ ალექსანდრე სწორედ ამ დროს თავის მეომრებს შეტევაზე გადასვლის ნიშანს აძლევდა. როცა მან პარმენიონის ამბავი გაიგო, ასე თქვა: „პარმენიონს აზრი და ჭკუა დაუკარგავს და გაჭირვების ჟამს ავიწყდება ის, რომ თუ გავიმარჯვებთ, ჩვენია და მტრის აღალიც ჩვენი იქნება, ხოლო თუ დავმარცხდით, მაშინ ქონებასა და მონებზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ იმაზე, თუ როგორ დავიხოცოთ სახელოვნად მამაცურ ბრძოლაშიო."

ალექსანდრემ მაცნეებს უბრძანა მისი ნათქვამი პარმენიონისათვის გადაეცათ და თავზე ზუჩი ჩამოიცვა; რაც შეეხება დანარჩენ საჭურველს, ის უკვე კარავში ჰქონდა ასხმული. მისი ქამარშემორტყმული ზედა კაბა სიცილიური იყო. ამ კაბაზე მას ეცვა ისოში მოპოვებული ნადავლიდან აღებული ტილოს ორმაგი ჯავშანი. მთავარსარდლის ზუჩი, თეოფილე ოსტატმა რომ გამოუჭედა, რკინისა გახლდათ, მაგრამ ისე ბრწყინავდა, როგორც წმინდა ვერცხლი. მასზე მიმაგრებული იყო ძვირფასი თვლებით მოოქვილი რკინისავე საყელური. ალექსანდრეს საოცრად ნაწრთობი და მსუბუქი ხმალი ჰქონდა. იგი მას კიტიონელთა მეფემ[23] აჩუქა და მთავარსარდალიც ბრძოლებში უფრო მეტად

ხმლის ხმარებას იყო ნაჩვევი. ატარებდა აგრეთვე მხარზე შესაკვრელ წამოსასხამს, რაც თავისი საუცხოო ნახელავობით მის ყველა საჭურველს სჯობდა. ეს წამოსასხამი უფროსი ჰელიკონის ხელიდან იყო გამოსული და მთავარსარდალს პატივისცემის აღსანიშნავად ქალაქმა როდოსმა მიართვა საჩუქრად[124]. იგიც მუდამ ხმარობდა მას და ბრძოლათა დროს არ იშორებდა. სანამ ალექსანდრე ფალანგას აწყობდა, ბრძანებას ან რჩევა-დარიგებას აძლევდა მხედრობას, ან სანამ რაზმებს ათვალიერებდა, მანამდის სხვა ცხენზე იჯდა და უკვე სიბერეში შესულ ბუკეფალას ზოგავდა; ხოლო როცა საბრძოლო საქმეს შეუდგებოდა, მაშინ ბუკეფალას მოუყვანდნენ; იგიც გადაჯდებოდა მასზე და მყისვე შეტევაზე გადადიოდა.

33. დარიოსთან ბრძოლის დაწყების წინ ალექსანდრემ გრძელი სიტყვით მიმართა თესალიელებს და სხვა ბერძნებს, რომლებიც ყიჟინით მოითხოვდნენ, ბარბაროსების წინააღმდეგ წაგვიყვანეო. ბერძნებმა ამით მთავარსარდალს მხნეობა შეჰმატეს. მან მაშინ მარცხენა ხელში შუბი დაიჭირა, მარჯვენა ზეცისაკენ აღაპყრო და ღმერთებს, როგორც კალისთენე ამბობს, შეევედრა: თუ მე ჭეშმარიტად ზევსის შვილი ვარ, მფარველობა გაუწიეთ ბერძნებს და სიმტკიცე შთაუნერგეთო. ალექსანდრეს გვერდით ცხენზე იჯდა თეთრ ქლამიდში გამოწყობილი წინასწარმეტყველი არისტანდრე თავზე ოქროს გვირგვინით. მან მიუთითა არწივზე, რომელიც ალექსანდრეს თავზე კამარას არტყამდა და პირდაპირ მტრისაკენ აეღო გეზი. ყველას, ვინც კი ეს იხილა, უსაზღვრო გამბედაობა შთაენერგა. ამ კეთილის მაუწყებელი ნიშნით აღფრთოვანებული მეომრები ერთმანეთს ამხნევებდნენ და ბრძოლისაკენ უხმობდნენ. მტრის წინააღმდეგ შეტევაზე წასულ ცხენოსნებს სირბილით მიჰყვა ზღვის ტალღებივით მღელვარე მაკედონური ფალანგა; მაგრამ სანამ მეწინავე რაზმები ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებმებოდნენ, ბარბაროსები უკუიქცნენ. მაკედონელები გააფთრებით დაედევნენ მათ. მტრის დამარცხებულ მხედრობას ალექსანდრე სულ უფრო და უფრო ავიწროებდა და შუაგულისაკენ ერეკებოდა, სადაც დარიოსი იყო. მთავარსარდალმა სპარსთა მეფე შორიდან დაინახა. იგი წინა ხაზზე ჩამწკრივებული სამეფო რაზმის სიღრმეში იმყოფებოდა და თავის სილამაზითა და წარმოსადეგობით დანარჩენ სპარსთა შორის გამოირჩეოდა. დარიოსი მაღალ საბრძოლო ეტლზე იდგა და მრავალრიცხოვან რჩეულ ცხენოსანთა რაზმით იყო გარე-

მოცული. ეტლის ირგვლივ მჭიდროდ ჩამწკრივებული ცხენოსნები მზად იყვნენ შესაფერად დახვედროდნენ მტერს, მაგრამ მოახლოებული ალექსანდრე ზარდამცემად მოევლინა მათ. მთავარსარდალმა გაქცეული სპარსნი ზედ მიაჯარა ჯერ კიდევ ადგილზე დარჩენილ მეომრებს, დააფრთხო და უმრავლესობა აქეთ-იქით მიმოფანტა. მხოლოდ უპამაცესნი და ფრიად წარჩინებულნი სპარსნი ესალმებოდნენ მეფის გულისათვის სიცოცხლეს. ისინი ერთმანეთზე ეცემოდნენ, მაკედონელთ აბრკოლებდნენ და მომაკვდავნი მათ მხედრებსა და ცხენებს კიდევ უწევდნენ წინააღმდეგობას.

მთელი ეს შემაძრწუნებელი ამბავი დარიოსის თვალწინ ხდებოდა. მეფის დასაცავად ჩამწკრივებული მეომრები ძირს ეცემოდნენ, ისე რომ ეტლის მობრუნება და გავლა ადვილი აღარ იყო; დახოცილთა გროვა ბორბლებს გზას უღობავდა და სისხლით ღებავდა, ცხენებიც ყალყზე დგებოდნენ და მეეტლეს შიშის ზარს ჰგვრიდნენ[125]. მაშინ დარიოსმა მიატოვა ეტლი. თავისი საჭურველიც, გადაჯდა, როგორც ამბობენ, ახალგაზრდა ფაშატ ცხენზე და გაქცევით უშველა თავს.

ფიქრობენ, დარიოსი მაშინ ვერ გაიქცეოდა, პარმენიონისაგან რომ კვლავ არ მოსულიყვნენ სხვა მხედრები ალექსანდრესთან. ისინი დახმარებას მოითხოვდნენ: იქ, პარმენიონთან, მტრის დიდმა ძალამ მოიყარა თავი და არამც და არამც დანებება არ სურსო. საერთოდ პარმენიონს ბრალს სდებენ: ამ ბრძოლაში დუნედ და ფრიად მოუქნელად მოქმედებდაო. შეიძლება სიბერემ ერთგვარად შეუსუსტა მამაცობა, ანდა შეიძლება ალექსანდრეს ძლიერების აღზევებას ვერ ითმენდა და, როგორც კალისთენე გადმოგვცემს, შურის თვალით უყურებდა მთავარსარდალს. ერთი სიტყვით, ალექსანდრე მაშინ ძალიან უკმაყოფილო დარჩა, პარმენიონმა რომ ხელმეორედ სთხოვა შველა; მაგრამ ჯარისკაცებს სიმართლე დაუმალა და უკან დახევის ნიშანი მიაცემინა, ვითომც ხოცვა-ჟლეტის შესაწყვეტად და თანაც უკვე ბნელდებაო. ამის შემდეგ ხიფათში მყოფ პარმენიონის ნაწილისაკენ გაეშურა. მაგრამ გზაში გაიგო: მტერი სავსებით დაამარცხეს და განდევნესო.

34 ამგვარად დასრულდა ეს ბრძოლა და სპარსთა მბრძანებლობა, ასე ვთქვათ, სავსებით შეიმუსრა. ალექსანდრე აზიის მეფედ აღიარეს. მან ჩინებული მსხვერპლი შესწირა ღმერთებს და მეგობრებიც დაასაჩუქრა: უბოძა მათ სიმდიდრე, სასახლენი და მმართველებად დანიშნა. საკუთარი პატივის განსადიდებლად ბერძნებს მისწერა, ყოველ-

გვარი ტირანია გაუქმებულია და შეგიძლიათ თქვენ-თქვენი ქალაქები დამოუკიდებლად მართოთო. პლატეელებს[126] ალექსანდრე განსაკუთრებით დაჰპირდა: თქვენს ქალაქს აღვადგენო; თქვენმა წინაპრებმა იმიტომ გადასცეს თავისი ქვეყანა ბერძნებს, რომ აქ ებრძოლათ თავისუფლების გულისათვისო. ნადავლის ნაწილი მთავარსარდალმა კროტონელებსაც გაუგზავნა იტალიაში. ამით პატივი სცა ათლეტ ფაულეს თავგამოდებასა და დიდსულოვნებას სპარსთა ომების დროს. როცა სხვა იტალიოტებმა[127] უარი განაცხადეს დახმარებოდნენ ბერძნებს, მაშინ ფაულემ საკუთარი სახსრებით ააგო ხომალდი და სალამინისაკენ გასცურა, რათა თვითონაც გაენაწილებინა ბერძენთა ხიფათი.

ასე აფასებდა ალექსანდრე ყოველგვარ სიკეთეს და გარდასულ დროთა სახელოვან საქმეთ მოწიწებით ინახავდა ხსოვნაში.

35. ამის შემდეგ ბაბილონში ილაშქრა მთავარსარდალმა და მთელი ეს მხარე სწრაფად დანებდა მას. ეკბატანასთან[128] არსებულმა ცეცხლოვანმა ნაპრალმა ფრიად გააოცა იგი. თითქოს წყაროთაო, ისე ამოდიოდა იქიდან ცეცხლი. ამ ნაპრალის მახლობლად ნავთობმა ამოხეთქა ისე უხვად, რომ ირგვლივ ტბა დააყენა. ნავთობი სხვათა შორის ფისსა ჰგავს და ისეთი ამთავისებელია ცეცხლის, რომ სანამ ალი შეეხებოდეს, მანამდის იფეთქებს, თუკი მისი შუქი მოხვდა; ამასთანავე ცეცხლის წყაროსა და ნავთობს შორის ხშირად ჰაერიც იწვის. ბარბაროსებმა, რომელთაც ალექსანდრესათვის ნავთობის ბუნებისა და ძალის ჩვენება უნდოდათ, ის ქუჩა, მეფის დროებითი სადგომისაკენ რომ მიემართებოდა, ნავთობით ოდნავ მორწყეს. მერმე, როცა დაღამდა, ქუჩის თავში დადგნენ და მორწყულ ადგილს ჩირაღდნები მიუშვირეს. მიიტაცა თუ არა ნავთობით დანამულმა ადგილმა ცეცხლი, იგი თვალის დახამხამებაში გავრცელდა, სწრაფად მიაღწია მეორე მხარეს და მთელი ქუჩა ცეცხლში გაახვია.

იმ მსახურთა შორის, რომლებიც მეფეს აბანოში ემსახურებოდნენ, ტანს ზეთით უზელდნენ და უგუნებობის ჟამს ხუმრობით ართობდნენ, იყო ერთი ათენელი ათენოფანე. ერთ დღეს აბანოში ალექსანდრეს გვერდით ეღგა ფრიად უსახური და სასაცილო გარეგნობის, მაგრამ სიმღერაში დაოსტატებული ბიჭი, სახელად სტეფანე. ათენოფანემ ალექსანდრეს ჰკითხა: „გინდა, მეფეო, ნავთობის ძალა სტეფანეზე ვცადოთ? თუ ამასაც ცეცხლი წაეკიდა და არ ჩაქრა, მაშინ ჩემთვის ცხადი იქნება, რომ მისი ძალა მართლაც დაუძლეველი და საშინელი

ყოფილაო". ბიჭი დიდი ხალისით დათანხმდა მასზე ცდა მოეხდინათ. სტეფანე ნავთობით გათხუპნეს; მერმე ცეცხლი მიუშვირეს. მყისვე იფეთქა სხეულზე ალმა და ბიჭი მთლიანად ცეცხლში გაეხვია. ამის დანახვაზე ალექსანდრე მეტისმეტად შეწუხდა და შეშინდა კიდეც. ამ დროს რომ ბედზე მრავალი მსახური არ ყოფილიყო იქ და ხელთ საბანაო წყლით სავსე ჭურჭლები არ ჰქონოდათ, ცეცხლს ვერაფერს დააკლებდნენ. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ჩააქრეს ცეცხლი და ბიჭი გადაარჩინეს, თუმცა ამის შემდეგ კარგა დიდხანს ეწვალებოდა.

კაცმა რომ თქვას, ვეშმარიტებასთან ახლოს არიან ისინი, რომლებიც მითის სიმართლის დასამტკიცებლად ამბობენ: ნავთობი ის შხამი იყო, მედეამ რომ გვირგვინი და წამოსასხამი გაჟღინთა, რაზედაც ტრაგედიაშია საუბარიო[129]. ცეცხლი თავისთავად არ გასჩენიათ ამ საგნებს: როცა ალი მიუახლოვეს, მათ სწრაფად მიიზიდეს იგი და წამში აბრიალდნენო. ცეცხლის ნაკადი, შორიდან რომ მოემართება, ზოგიერთ სხეულს მხოლოდ სინათლესა და სითბოს შესძენს ხოლმე; მაგრამ როცა სინათლე და სითბო ისეთ საგანში მოიყრის თავს, რომელიც ფრიად ხმელია და საკმაოდ ბევრი ცხიმითაა გაჟღენთილი, ცეცხლად იქცევა და საოცარი სისწრაფით გარდაქმნის სხეულს.

საკითხი ნავთობის წარმოშობაზე ბადებს ეჭვს, არის თუ არა იგი...[130] ცეცხლოვანი სითხე, რომელიც ნიადაგიდან გამოდის, სადაც მიწა ცხიმოვანი და ცეცხლოვანია. აი ბაბილონის ნიადაგი ფრიად ცხელია, ისე რომ ქერის მარცვლები ხშირად მიწიდან ამოცვივიან ხოლმე ჰაერში. ვინაიდან იქაური ნიადაგი სიმცხუნვარისაგან ხშირად ირყევა. ბაბილონის მცხოვრებნი პაპანაქების დროს წყლით სავსე გუდებზე იძინებენ.

ჰარპალემ, რომელიც ბაბილონის მმართველად დატოვეს, თავის გამოჩენა განიზრახა და გადაწყვიტა მეფის სასახლე და სასეირნო ხეივნები ბერძნული მცენარეებით მოერთო. მან თითქმის ყველა მცენარე ახარა, მაგრამ სურო ბაბილონის ნიადაგმა არ მიიღო, აქ ვერ ახარა. ბაბილონის ჰავა მცხუნვარეა, სუროს კი სიცივე უყვარს, სიცხეს ვერ იტანს და ამიტომაც აქ იღუპება.

ასეთი სახის გადახვევა, თუ, რა თქმა უნდა, ზომას არ გადასცდა, ვფიქრობ, დიდ უკმაყოფილებას არ გამოიწვევს მკაცრი მკითხველების მხრივ.

36. ბაბილონის შემდეგ ალექსანდრემ დაიკავა სუზა. მეფის სასახლეში მან ხელთ იგდო ლითონის ფული ორმოცი ათასი ტალანტის რაოდენობით და აურაცხელი სამკაული და ძვირფასეულობა. აქვე იპოვეს, როგორც ამბობენ, ხუთი ათასი ტალანტის ჰერმიონული ძოწი, რომელიც ას ორმოცდაათი წლის განმავლობაში იდო აქ თურმე და თავის ფერი ისე ჰქონდა შენახული, თითქოს ახალიაო[131]. ამის მიზეზს იმით ხსნიან, რომ ტანსაცმლის წითლად შეღებვის დროს საღებავს ურევენ თაფლს, ხოლო თუ თეთრად შეღებვა უნდათ, მაშინ ხმაროობენ თეთრ ზეთს. თაფლი და ზეთი კი ხანგრძლივად ინახავს საღებავის სიხასხასესა და ბზინვარებას. დინონი გვიამბობს[132], სპარსთა მეფენი წყალსაც კი აზიდინებდნენ ნილოსსა და ისტროსიდან და სხვა ნივთებთან ერთად საგანძურში ინახავდნენ, რათა ამითაც დაემტკიცებინათ თავიანთი ძალაუფლების სიდიადე და ის, რომ მთელი სამყაროს მბრძანებლები იყვნენი.

37. პერსიდა მთაგორიანი მდებარეობის გამო ფრიად მიუვალი მხარეა[133]; თანაც იმის შემდეგ, რაც დარიოსი გაიქცა, ამ ქვეყანას იცავდნენ უმამაცესნი სპარსნი; მაგრამ პერსიდაში შეღწევის დროს ალექსანდრეს შემწეობა აღმოუჩინა ერთმა იქაურმა კაცმა, რომელმაც ორივე ენა (სპარსულიცა და ბერძნულიც) იცოდა და მაკედონელებს მოკლე შემოსასვლელი გზა უჩვენა. ეს კაცი მამით ლიკიელი იყო, დედით კი სპარსი. სხვათა შორის ამბობენ, ალექსანდრე ჯერ კიდევ ბავშვი იყო, პითიამ რომ იწინასწარმეტყველა: სპარსთა წინააღმდეგ ლაშქრობის ჟამს ალექსანდრეს მეგზური ლიკოსი იქნებაო[134].

აქ. პერსიდაში, ბევრი ტყვე სპარსი გაჟლიტეს[135]. თვითონ ალექსანდრეც წერს, რომ გასცა ბრძანება დაეხოცათ ტყვეები, ვინაიდან ამას თავისთვის სასარგებლო საქმედ თვლიდა.

ამ მხარეში[136] ალექსანდრემ ხელთ იგდო, როგორც ამბობენ, იმდენივე ფული, რამდენიც სუზაში; რაც შეეხება დანარჩენ სამკაულსა და სიმდიდრეს, იმით გატანას ათი ათასი ულელი ჯორი და ხუთი ათასი აქლემი დასჭირდაო.

დარიოსის სასახლეზე იერიშის მიტანის დროს მეომრებმა ქსერქსეს დიდი ქანდაკება კვარცხლბეკიდან გადმოაგდეს. როცა ალექსანდრემ ძირს საცოდავად დაგდებული ქანდაკება იხილა, შეჩერდა და ვით სულიერს ისე მიმართა: „მითხარი, რა გიყო ახლა? ჩაგიარო გვერდი და ბერძნების წინააღმდეგ გალაშქრებისათვის დაგტოვო ძირს დაგდებული, თუ სხვა საქმეებში შენი სიდიადისა და მამაცობი-

სათვის ისევ ფეხზე დაგაყენო?“ ბოლოს, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, მთავარსარდალმა ქსერქსეს ქანდაკებას გვერდი ჩაუარა...[137]

ვინაიდან უკვე ზამთარი იყო, ალექსანდრემ გადაწყვიტა მხედრობა დაესვენებინა და ამიტომ ოთხ თვეს აქ დაჰყო.

როცა იგი პირველად დაჯდა ოქროთი მოვარაყებულ გავალაკის ქვეშ სამეფო ტახტზე, ამბობენ, კორინთელმა მოხუცმა დემარატემ, რომელიც ალექსანდრეს ერთგული პირი და მამამისის ყოფილი მეგობარი გახლდათ, ტირილი მორთო და ასე თქვა: რა დიდი სიამოვნება მოაკლდათ იმ ბერძნებს, რომლებიც მანამდის დაიხოცნენ, სანამ ალექსანდრეს დარიოსის ტახტზე დაბრძანებულს იხილავდნენო!

38. პერსიდაში შეყოვნების შემდეგ ალექსანდრემ გადაწყვიტა დარიოსს დადევნებოდა. სწორედ ამ ხანებში მან ნადიმი გამართა და მეგობრებთან ერთად ილხენდა. თავის საყვარლებთან ერთად სანადიმოდ მეძავი ქალებიც მოვიდნენ. ყველაზე უფრო მეტად ამ ქალთა შორის გამოირჩეოდა ათენელი თაისი, იმ პტოლემეოსის საყვარელი, რომელიც შემდეგში მეფე გახდა[138]. თაისი დიდი ოსტატობით ასხამდა ხოტბას ალექსანდრეს და ეხუმრებოდა კიდეც. ბოლოს, როცა ღვინო მოეკიდა, ისეთი რამ თქვა, რაც მისი სამშობლოს ღირსებას შეეფერებოდა, მაგრამ მისთვის მეტად ამაღლებული გახლდათ. „იმ წვალებისათვის, რაც აზიაში ხეტიალის ჟამს გადავიტანე, — თქვა მან, — სწორედ დღეს მივიღე ჯილდოდ ის, რომ შემიძლია მასხარად ავიღო სპარსთა ქედმაღალი სეფე-დარბაზები; მაგრამ კიდევ უფრო მეტად სიამოვნებით დავწვავდი ამ ლხინის დროს ქსერქსეს სასახლეს; ქსერქსემ ხომ ათენი გადაბუგა! მე თვითონ შევუნთებდი ცეცხლს მეფის თვალის წინ, რათა ყველამ თქვას მერმე, ალექსანდრეს ლაშქარში მყოფმა დიაცებმა უფრო მეტად იძიეს შური სპარსებზე ელადისათვის, ვიდრე ბერძენთა მხედრობის მეთაურებმა ზღვასა და ხმელეთზე გამართული ბრძოლების დროსო“.

თაისის სიტყვას ტაშითა და მხიარული ყიჟინით შეხვდნენ. მეგობრების მოწონებამ და პატივმოყვარეობამ მეფეც ჩაითრია. იგი მყისვე წამოხტა და თავზე გვირგვინით, ანთებული ჩირაღდნით ხელში წინ წარუძღვა თავის მეგობრებს, რომლებმაც ღრიანცელითა და ყვირილით ალყა შემოარტყეს სასახლეს. ეს რომ გაიგეს, დანარჩენი მაკედონელებიც სიხარულით მოცვივდნენ ანთებული ჩირაღდნებით. ისინი ფიქრობდნენ, სასახლის დაწვა და განადგურება იმის მაჩვენებე-

ლია. მეფე საშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობს და ბარბაროსებში დარჩენა სრულებითაც არ სურსო. ზოგიერთი ამბობს, ეს ამბავი ასე მიხდაო, ზოგიერთის გადმოცემით კი სასახლე წინასწარი განზრახვით გადაწვეს. ყოველ შემთხვევაში ყველანი იმ აზრისა არიან, რომ ალექსანდრე მალე მოეგო გონს და ბრძანა ხანძარი ჩაექროთ.

39. ალექსანდრე ბუნებით ფრიად გულუხვი კაცი გახლდათ, ხოლო გაძლიერებასთან ერთად გულუხვობა კიდევ უფრო გაეზარდა. ალექსანდრეს ხელგაშლილობას, რაც მთავარია, თან მადლიც ახლდა, რომლის გარეშეც საჩუქარს ჭეშმარიტად ფასი არა აქვს. ამაზე მე რამდენიმე მაგალითს მოვიყვანს:

პეონიელთა წინამძღოლმა არისტონმა ერთ-ერთი მტერთაგანი მოკლა, მისი თავი ალექსანდრეს უჩვენა და უთხრა: „ასეთი საჩუქრის სანაცვლოდ ჩვენში ოქროს თასს იძლევიანო.“ — „მართალია, — მიუგო სიცილით ალექსანდრემ, — მაგრამ ცარიელს; მე კი შენ სადღეგრძელოს დავლევ და ღვინით სავსეს მოგართმევო“ [139].

ერთი რიგითი მაკედონელი ჯარისკაცი სამეფო ოქროთი დატვირთულ ჯორს მიერეკებოდა. როცა პირუტყვს ქანცი გამოელია, ჯარისკაცმა საპალნე თვითონ აიკიდა და წაიღო. მეფემ დაინახა, როგორ მოეხარა იგი ტვირთს, გაიგო, რაშიც იყო საქმე და, როცა ჯარისკაცმა ტვირთის დაგდება დააპირა, უთხრა: „ძალა მოიკრიბე, ცოტა კიდევ გაიარე და ეგ საპალნე შენს კარავში მიიტანეო“.

საერთოდ ალექსანდრეს უფრო მეტად მოსდიოდა გული იმათზე, ვინც არაფერს იღებდა მისგან, ვიდრე მთხოვნელებზე. მაგალითად, მან წერილი მისწერა ფოკიონს, რომ მომავალში აღარ ჩათვლიდა მეგობრად, თუ მის წყალობაზე კვლავ უარს იტყოდა. სერაპიონს, ერთ-ერთ იმ ჭაბუკთაგანს, რომელთანაც ბურთს თამაშობდა ხოლმე, ალექსანდრე არაფერს არ აძლევდა იმიტომ, რომ იგი არაფერს თხოულობდა. ერთ დღეს თამაშის დროს სერაპიონი ბურთს სულ სხვებს უგდებდა. მეფემ ჰკითხა: „რატომ მე არ მაძლევ ბურთსო“ „შენ არ თხოულობ და იმიტომო“, — უპასუხა სერაპიონმა. ამაზე ალექსანდრეს გაეცინა და ჭაბუკს მრავალი საჩუქარი უბოძა.

ვინმე პროტეამ, ლხინის დროს რომ ნიჭიერ ოხუნჯად ითვლებოდა, ერთხელ თურმე მეფის წყრომა დაიმსახურა. როცა მეგობრებმა მეფეს თხოვნა დაუწყეს, პროტეა კი ცრემლებს ღვრიდა, ალექსანდრემ თქვა, შევურიგდებიო. მაშინ პროტეამ ალექსანდრეს უთხრა: „თუ

ასეა, მეფეო, ჯერ რამე საწინდრად მომეცი საამისოდო". ალექსანდრემ ბრძანა მისთვის ხუთი ტალანტი მიეცათ.

თუ რაზომ დიდი იყო ის სიმდიდრე, რაც მეგობრებსა და პირად მცველებს უნაწილდებოდა, ამას გვიჩვენებს ის წერილი, რომელიც ოლიმპიადამ მისწერა ალექსანდრეს: „შენ, — ამბობს ოლიმპიადა, — სხვა საშუალებით უნდა უქნა სიკეთე მეგობრებს და სხვაგვარად იყოლიო ისინი პატივში: ახლა კი ყველას მეფეებს უთანაბრებ, მრავალ მეგობარს აძენინებ. ამით კი საკუთარ თავს წირავ და ეულად რჩებიო". ასეთ წერილებს ოლიმპიადა ხშირად სწერდა, მაგრამ ალექსანდრე მათ მუდამ საიდუმლოდ ინახავდა. მხოლოდ ერთხელ, როცა ჰეფესტიონმა ჩვეულების მიხედვით გახსნილი წერილის წაკითხვა მოინდომა მასთან ერთად, მან ამის ნება დართო, ოღონდ თითიდან ბეჭედი წაიძრო და დაბეჭდვის ნიშნად ჰეფესტიონს პირზე მიადო.

მაძეოსს, რომელიც დარიოსის ქარზე დიდ გავლენიან პირად ითვლებოდა, ჰყავდა შვილი. იგი სასატრაპოს განაგებდა[140]; ალექსანდრემ მას მეორე, უფრო დიდი სასატრაპოც შესთავაზა, მაგრამ მან უარი თქვა ამაზე და ალექსანდრეს უთხრა: „წინათ ერთი დარიოსი იყო, ახლა კი შენ. მრავალი ალექსანდრე შექმენიო".

პარმენიონს ალექსანდრემ აჩუქა ბაგოასის სასახლე[141], რომელიც სუზასთან მდებარეობდა: ამ სასახლეში, ამბობენ, ათასი ტალანტის ტანსაცმელი იპოვესო. ანტიპატრეს კი წერილობით უბრძანა, თან პირადი მცველები ჰხლებოდა: „შენ წინააღმდეგ შეთქმულებაა მოწყობილიო.

ალექსანდრე დედას ბევრ საჩუქარს უგზავნიდა, მაგრამ სახელმწიფო და საომარ საქმეებში ჩარევის უფლებას არ აძლევდა. დედა ამის გამო შვილს კიცხავდა ხოლმე, მაგრამ ალექსანდრე გულმშვიდად ეგუებოდა მის საყვედურებს. მხოლოდ ერთხელ, როცა გრძელი ბარათი წაიკითხა, რომელიც ანტიპატრემ მისწერა დედამისის წინააღმდეგ, თქვა: ანტიპატრეს არ სცოდნია, დედის ერთი ცრემლი რომ ათი ათას ასეთ წერილს დაგაიწყებსო.

40. ბოლოს და ბოლოს ალექსანდრემ დაინახა, მის გარშემო მყოფი პირები მეტისმეტად მიეცნენ ფუფუნებას და მეტისმეტად ხელგაშლილად ცხოვრობენ. ასე მაგალითად: ტეოსელი ჰაგნონი ვერცხლის ლურსმნებით დაჭედილ ფეხსაცმელებს ატარებდა; ლეონატეს სავარჯიშო ადგილებისათვის საჭირო სილა უამრავი აქლემით ეგვიპტიდან მოსდიოდა; ფილოტას თავის მხრივ სანადირიოდ იმდენი ბადე ჰქონდა,

მათი სიგრძე ას სტადიონს უდრიდა; ისინი, რომლებსაც წინათ უბრალო ზეთიც არ მოეძევებოდათ, ახლა, სანამ ღასაბანად და დასაზეთად წავიდოდნენ, ტანზე ძვირფას მალამოს იცხებდნენ; მათ თან ახლდათ შექისენი და პირისფარეშნი, რომელნიც მოვალენი იყვნენ ისინი დაეზილათ და დაეძინებინათ. ალექსანდრე ასეთნაირად განებივრებულ ხალხს წყნარად, ფილოსოფოსის სიბრძნით კიცხავდა: მიკვირს, რომ ამდენი სახელოვანი ბრძოლის გადატანის შემდეგ არ გაგონდებათ, გამარჯვებულნი რომ უფრო მეტი სიამოვნებით იძინებენ, ვიდრე დამარცხებულნიო; თქვენ უდარებთ სპარსთა ცხოვრებას თქვენს საკუთარს და ვერ ხედავთ, რომ არაფერი არ არის ფუფუნებაზე უფრო მონური და შრომაზე უფრო მეფურიო". „განა როგორ მოუვლის თავის ცხენს კაცი, — ეუბნებოდა ალექსანდრე მათ, — როგორ გაიწმენდს შუბსი და მუზარადს, თუ იგი გადაეჩვია მისთვის ძვირფასი საკუთარი სხეულის ხელით შეხებასო?"

სწორედ ამიტომ კიდევ უფრო მეტად იკაუებდა საკუთარ თავს ალექსანდრე ლაშქრობათა და ნადირობათა დროს, არ ერიდებოდა საფრთხესა და გაჭირვებას. ერთმა ლაკედემონელმა ელჩმა, რომელიც იმ დროს მოვიდა, როცა ალექსანდრემ ის-ის იყო ვეებერთელა ლომი მოკლა, ასე შესძახა: „სწორედ რომ ღირსეულად შებმიხარ, ალექსანდრე, ლომს მეფური დიდებისთვისო!" ალექსანდრეს ლომზე ნადირობის ამსახველი ბრინჯაოს ქანდაკება დელფოს შესწირა კრატერემ[142], იგი გამოსახავდა ლომს, ძაღლებს, მეფეს, ლომს რომ ერკინებოდა, და თვითონ კრატერესაც, მეფის დასახმარებლად რომ მიისწრაფოდა. ეს ქანდაკება ნაწილობრივ ლისიპემ ჩამოასხა, ნაწილობრივ — ლეოქარემ[143].

41. ერთი სიტყვით, ალექსანდრე საფრთხეს არ ერიდებოდა ხოლმე, ამით კი საკუთარ თავსაც წრთვნიდა და სხვებსაც მოუწოდებდა სიქველისაკენ. მაგრამ მის მეგობრებს სიმდიდრისა და ზვაობის წყალობით განცხრომისა და უსაქმურობის მეტი აღარაფერი უნდოდათ. მათ უკვე უმძიმდათ დაუსრულებელი წანწალი და ლაშქრობა. ასე რომ თანდათანობით იქამდე მივიდნენ, ალექსანდრეზე ძვირის თქმა და ავენობა დაიწყეს. პირველ ხანებში ალექსანდრე ფრიად მშვიდად იტანდა ამას და ამბობდა: მეფის ხვედრია კარგის ქმნისათვის ავი მოისმინოსო. მართლაც, მის მიერ მახლობლებისადმი გაწეული სულ მცირე სამსახურიც კი დიდი წყალობისა და პატივისცემის მაჩვენებელი გახლდათ. მე რამდენიმე მაგალითს მოვიტან.

ერთხელ პევკესტას[144], რომელიც დათვმა დატორა და დაკბინა, ალექსანდრემ წერილი გაუგზავნა და გაიცინა: „ამაზე სხვებს რომ მისწერე, მე რატომ არაფერი მაუწყე; ახლა მაინც მომწერე, როგორ ხარ, და ისიც შემატყობინე, შენი თანამონადირეებიდან ხომ არ მიგატოვა ვინმემ, რომ დავსაჯოო".

ჰეფესტიონს, რაღაც საქმეების გამო რომ წასული იყო, შემდეგი მისწერა: „იქნევმონზე[145] ვნადირობთ გასართობად; კრატერე შემთხვევით პერდიკას ხელშუბზე დაეცა და ორივე თეძოში დაიჭრაო".

როცა პევკესტა განიკურნა, ალექსანდრემ ალექსიპე ექიმს წერილით გადაუხადა მადლობა.

კრატერეს ავადმყოფობის დროს ალექსანდრემ ცუდი სიზმარი ნახა; ამიტომ კრატერეს გამოჯანმრთელების გამო მსხვერპლი შესწირა და მასაც ურჩია ასევე მოქცეულიყო. მკურნალ პავსანიას, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა კრატერესათვის ხარისძირა მიეცა, ალექსანდრემ მისწერა ბარათი, სადაც ერთი მხრივ თავის წუხილს გამოთქვამდა, მეორე მხრივ კი ექიმს ურჩევდა, თუ როგორ ეხმარა წამალი.

ეფიალტე და კისე, რომლებმაც პირველად აუწყეს ჰარპალეს გაქცევისა და განდგომის ამბავი, ბორკილებში ჩასვა, ვინაიდან მისი აზრით ისინი ცილს სწამებდნენ ვაჟკაცს.

როცა ალექსანდრე ავადმყოფებსა და მოხუცებს შინ აბრუნებდა, ერთი მეომარი, ევრილოქე ეგეელი, ავადმყოფებში ჩაეწერა; მაგრამ როცა გამომჟღავნდა, არავითარი ავადმყოფობა არ სჭირდა, გამოტყდა: ტელესიპაზე ვარ შეყვარებული; იგი მიდის და ზღვის პირამდე მინდოდა გამეცილებინაო. ალექსანდრემ ჰკითხა: რა წოდებას ეკუთვნის ეგ ქალიო? — თავისუფალი ყოფაქცევის ქალიაო, — უპასუხა ევრილოქემ, „რაკიღა ეგრეა, — უთხრა ალექსანდრემ, — ჩვენც თანაგიგრძნობთ, ევრილოქე, სიყვარულში. რახან ტელესიპა თავისუფალი ქალია, ნახე ერთი, რით შეიძლება მისი დაყოლიება, რომ დარჩეს: სიტყვით თუ საჩუქრებითო?"

42. ზემოაღნიშნულთან ერთად გაკვირვების ღირსია ისიც, როგორ ახერხებდა ალექსანდრე ეშოვა თავისუფალი დრო და მეგობრებისათვის სულ უმნიშვნელო ამბებზე მიეწერა ხოლმე წვრილები. ერთ-ერთ წერილში, მაგალითად, იგი ბრძანებას იძლევა მოძებნონ სელევკეს[146] მონა ბიჭი, რომელიც კილიკიაში გაიქცა; მეორეში აქებს პევკესტას იმიტომ, რომ მან კრატერეს მონა ნიკონი შეიპყრო; მეგაბიძოსს[147] წე-

რილს სწერს ერთი მონის თაობაზე, რომელმაც თავი ტაძარს შეაფარა, და უბრძანებს, თუ შეგიძლია მონა ტაძრიდან გამოიტყუე და ისე დაიჭირე, ტაძარში კი ხელს ნუ ახლებო.

პირველ ხანებში, როცა ალექსანდრე სისხლის სამართლის საქმეებს არჩევდა ხოლმე, ამბობენ, ბრალმდებლის ლაპარაკის დროს ცალ ყურზე ხელს იფარებდა, რათა ერთი ყური ბრალდებულის სასარგებლოდ წმინდად დაეცვა და ცილისწამება არ მოესმინა. მაგრამ შემდეგში დაუსრულებელი დასმენების წყალობით ფრიად სასტიკი გახდა და ნამდვილი ბრალდების გარდა სიცრუესაც ჭეშმარიტებად მიიჩნევდა. ყველაზე უფრო მეტად მაშინ კარგავდა გონებას, ხდებოდა მრისხანე და შეუბრალებელი, როცა საკუთარ თავზე ცუდ რასმე მოისმენდა, ვინაიდან სახელი სიცოცხლეზე და მეფობაზე უფრო მეტად უყვარდა.

ალექსანდრე დარიოსის დევნას არ წყვეტდა, რადგანაც განზრახული ჰქონდა კვლავ შებრძოლებოდა მას; მაგრამ როცა გაიგო, დარიოსი ბესას[148] შეუპყრიაო, მაშინ თესალიელები შინ გაუშვა და თანაც ხელფასის გარდა თითოეულს ორი ათასი ტალანტი საჩუქრად უბოძა.

დარიოსის დევნა მეტად ძნელი და ხანგრძლივი გამოდგა, ალექსანდრემ ცხენით სამი ათას სამასი სტადიონი მანძილი განვლო. მეომართა უმრავლესობა საშინლად მოიქანცა: განსაკუთრებით უწყლობამ შეაწუხა მხედრობა. ამ გაჭირვების დროს ალექსანდრეს გზად შემოეყარა რამდენიმე მაკედონელი, რომელნიც მდინარიდან მოდიოდნენ და ტიკებით ჯორებზე წყალი მოჰქონდათ. როცა მათ შუადღის პაპანაქება სიცხეში წყურვილისაგან დატანჯული ალექსანდრე დაინახეს, მყისვე გაავსეს მუზარადი წყლით და მიართვეს. ალექსანდრემ იკითხა: „ვისთვის მიგაქვთ ეგ წყალიო?“ „ჩვენი საკუთარი ბავშვებისათვის,—უპასუხეს.— მაგრამ ოღონდ შენ იცოცხლე და ჩვენ კიდევ გავაჩენთ შვილებს, თუ ესენი დაგვეღუპებაო“. ეს რომ მოისმინა, ალექსანდრემ მუზარადი ხელში აიღო, ირგვლივ მიმოიხედა და, როცა გარშემო მყოფი მხედრები დაინახა, რომელთაც თავები მოებრუნებინათ და სასმელს ხარბად შესცქეროდნენ, წყალი არ დალია, სავსე მუზარადი უკან დააბრუნა, მადლობა გადაუხადა და თქვა: „მე რომ მარტო დავლიო, ესენი სულით დაეცემიანო“. მხედრებმა რომ მისი თავშეკავებულობა და დიდსულოვნება დაინახეს, ცხენებს მათრახები შემოკრეს და ყიჟინით მიმართეს მეფეს: დაგვენდე, მეფეო, და კვლავ წინ გაგვიძეხ; ჩვენ ამიერიდან

არც დაღლა, არც წყურვილი არ შეგვაწუხებს და არც მოკვდავებად ჩავთვლით თავს, სანამ ასეთი მეფე გვეყოლებაო.

43. გულმოდგინეობა ყველამ ერთნაირი გამოიჩინა; მაგრამ, ამბობენ, მტრის ბანაკში შეჭრა მეფესთან ერთად მხოლოდ სამოცმა კაცმა მოახერხაო. ისინი აქ მიწაზე დახვავებულ ოქროსა და ვერცხლის ზვინებზე გადადიოდნენ, ქალებითა და ბავშვებით დატვირთულ, უწინამძღოლოდ სხვადასხვა მხარეს მიმავალ დიდძალ ეტლებს უკან იტოვებდნენ და მტრის მეწინავე რაზმებს მისდევდნენ, სადაც, მათი აზრით, დარიოსი უნდა ყოფილიყო. ბოლოს ძლივძლივობით იპოვეს იგი. შუბებით მთლად დაცხრილული დარიოსი ეტლში იწვა და სულს ღაფავდა[149]; მაგრამ წყალი მაინც მოითხოვა და, როცა ცივი წყალი დალია, წყლის მიმწოდებელს, პოლისტრატეს, ეთხრა: „აი, მეგობარო, ეს წამი აღსასრულისა ყველა ჩემს ბედუკუღმართობაზე უფრო მემწვავა, იმიტომ რომ სიკეთისათვის სამაგიეროს ვერ მოგიზღავ. მაგრამ შენ ალექსანდრე გიბოძებს სანაცვლოს, ალექსანდრეს კი ღმერთები გადაუხდიან იმ კეთილმოწყალებისათვის, რომელიც მან დედაჩემსა და ჩემს ცოლშვილს გაუწია. შენი მეშვეობით მას ამ ჩემს მარჯვენა ხელს ვართმევ". თქვა თუ არა ეს, დარიოსმა პოლისტრატეს ხელი აიღო და სული განუტევა.

როცა ალექსანდრე მოვიდა, ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული მწუხარება ველარ დაფარა. მან მოიძრო საკუთარი ქლამიდი და დარიოსის გვამს დააფარა. შემდეგ, როცა ბესა შეიპყრო, ასე დაასჯევინა: ორი სწორი ხე ერთიმეორისაკენ დახარეს; ორივეზე ბესას სხეული ხელფეხით მიაკრეს და მერმე ხეებს ხელი უშვეს; ისინი სწრაფად დაუბრუნდნენ თავიანთ პირვანდელ მდგომარეობას და მათზე მიკრული სხეული საშინელი ძალით გაგლიჯეს[150].

დარიოსის გვამი ალექსანდრემ მეფური პატივით შეამოსინა და დედამისს გაუგზავნა; დარიოსის ძმა ექსათრე კი მეგობრად აღიარა.

44. ალექსანდრემ ამის შემდეგ რჩეული მხედრობით ფეხი პირკანიაში შედგა. აქ იხილა ზღვის უბე, რომელიც პონტოზე მცირე ჩანდა, მაგრამ მისი წყალი სხვა ზღვების წყალზე უფრო მტკნარი იყო. ალექსანდრემ ამ ზღვაზე სარწმუნო ვერაფერი შეიტყო და ყველაზე უფრო მართებულად ის მოეჩვენა, რომ შეიძლება იგი მეოტისის ტბის ნაწილი ყოფილიყო[151]. სხვათა შორის, ბუნებისმეტყველებმა იცოდნენ ჭეშმარიტება და ისინი ჯერ კიდევ ალექსანდრეს ლაშქრობამდე მრავალი

წლით ადრე მოგვითხრობდნენ, იმ ოთხი უბიდან[152], რომელნიც გარე ზღვიდან[153] ხმელეთში არიან შეჭრილნი, ყველაზე უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს ის, რომელიც ჰირკანიისა ანუ კასპიის ზღვად იწოდებაო.

აქ, ჰირკანიაში, ვიღაც ბარბაროსები უეცრად თავს დაესხნენ იმ მაკედონელებს, რომელთაც მეფის ცხენი ბუკეფალა მიჰყავდათ და პირუტყვი წაართვეს. ამან ალექსანდრე ფრიად შეაწუხა. მან მაცნე გაუგზავნა ბარბაროსებს და დაემუქრა, თუ ცხენს არ დაუბრუნებდნენ, ყველას ცოლშვილიანად ამოჟლეტდა; მაგრამ როცა ბარბაროსები მოვიდნენ, ცხენი მოუყვანეს და ქალაქებიც ჩააბარეს, იგი ალერსიანად მოექცა ყველას და ცხენში გამოსასყიდიც კი მისცა იმათ, რომლებმაც იგი გაიტაცეს.

45. აქედან ალექსანდრე პართიაში[154] გადავიდა და აქ, მოცლილობის ჟამს, პირველად ჩაიცვა ბარბაროსული ტანისამოსი. ამით უნდოდა ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებს შეგუებოდა ალბათ იმ აზრით, რომ ადათებისა და ტომობრივი წესების ერთნაირობა ხალხთა მოთვინიერებას გააადვილებდა; ან იქნებ ცდას ატარებდა, თუ როგორ შეძლებდნენ მეფის ახალ წესზე თაყვანისცემას[155] მაკედონელები, რომელთაც თანდათანობით აჩვევდა შერიგებოდნენ მის მიერ ცხოვრების ნირის შეცვლასა და გადასხვაფერებას. ალექსანდრეს არჩევანი წმინდა მიდიურ ტანისამოსზე, მეტისმეტად ბარბაროსულსა და უცნაურზე, არ შეჩერებულა. მას არ ჩაუცვამს გრძელი შარვალი და ხიფთანი და არც ჩალმა დაუხურავს. მან მშვენივრად შეუხამა ერთმანეთს სპარსული და მიდიური სამოსი. იგი სპარსულზე უფრო მდიდრული იყო, მიდიურზე კი უფრო სადა.

პირველ ხანებში ამ სამოსელს ალექსანდრე სასახლეში ატარებდა — ბარბაროსებთან ან მეგობრებთან შეხვედრის დროს; მერმე კი, ასეთრიგად მორთული, ცხენზე შემჯდარი საჯაროდ გამოდიოდა და მოლაპარაკების დროსაც ამ ტანსაცმელში გამოჩნდებოდა ხოლმე. ეს სანახაობა მეტად მძიმე იყო მაკედონელთათვის; მაგრამ მისი უდრეკი ხასიათით სხვა მხრივ აღტაცებულნი, ფიქრობდნენ, საჭირო იყო დაეთმოთ მისთვის ზოგიერთი რამ, რაც მას სიამოვნებას მოჰგვრიდა და განდიდებაში დაეხმარებოდა. მის მრავალ საგმირო საქმეთა გარდა მაკედონელებმა იცოდნენ, მაგალითად, ისიც, რომ ალექსანდრე სულ ახლახან დაიჭრა წვივში ისრით და დამსხვრეული ძვალი გარეთ გამოუვარდა;

ერთხელ კიდევ ქვა მოხვდა კისერში ისე, რომ თვალებზე ბინდი გადაეკრა და კარგა ხანს ასეთ მდგომარეობაში იყო. მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ ცხრებოდა, საკუთარ თავს არ ზოგავდა და ნიადაგ საფრთხეში აგდებდა. მაშინ როცა მუცელკეთილით იყო დაავადებული, მან გადალახა მდინარე ორექსარტე [156], რომელიც ტანაისი [157] ეგონა, უკუაქცია სკვითები და ასი სტადიონის მანძილზე ცხენდაცხენ მისდევდა.

46. მრავალი მწერალი ამბობს, აქ, პართიაში ალექსანდრეს ამაძონების დედოფალი ეწვიაო. ამ მწერალთა შორის არიან: კლიტარქე, პოლიკლიტე, ონესიკრიტე, ანტიგენე და ისტროსი; მაგრამ არისტობულე, სამეფო კარის მდივანი ქარესი, პტოლემეოსი, ანტიკლიდე, ფილონ თებელი, ფილიპე თეანგელელი და ამათ გარდა ჰეკატე ერეტრიელი, ფილიპე ქალკიდელი და დურის სამოსელიც ამბობენ, ეს მოჭორილი ამბავიაო. როგორც ჩანს, ამას თვითონ ალექსანდრეც უდასტურებს მათ. სახელდობრ, ანტიპატრეს დაწვრილებით სწერს ყველაფერს და, სხვათა შორის, ამბობს, რომ სკვითთა მეფემ ქალიშვილის მითხოვება შესთავაზა, მაგრამ ამაძონს სრულებითაც არ იხსენიებს. კიდევ იმასაც გადმოგვცემენ, რომ დიდი ხნის შემდეგ უკვე გამეფებულ ლისიმაქეს ონესიკრიტე თავისი თხზულების მეორე წიგნს უკითხავდა, რომელშიაც ამაძონის ამბავი იყო აღწერილი. ლისიმაქემ წყნარად ჩაიცინა თურმე და ონესიკრიტეს უთხრა: „კი მაგრამ მე სად ვიყავი მაშინო?" ერთი სიტყვით დაიჯერებს ვინმე ამ ამბავს თუ არ დაიჯერებს, ამით მისი პატივისცემა ალექსანდრეს მიმართ არც შემცირდება და არც გაიზრდება [158].

47. იმის შიშით, რომ მაკედონელებს ლაშქრობის გაგრძელებაზე უარი არ ეთქვათ, ჯარის დიდი ნაწილი ალექსანდრემ ადგილზე დატოვა; ის რჩეული მხედრობა კი, ჰირკანიაში რომ ჰყავდა და ოცი ათასი ფეხოსნისა და სამი ათასი ცხენოსნისაგან შედგებოდა, თან წაიყვანა. ალექსანდრე მეომრებს ასე ეუბნებოდა: ბარბაროსები ჯერჯერობით ისე გვიცქერიან მაკედონელებს, თითქოს სიზმარში გვხედავდნენ; თუ ჩვენ აზიის შეჯანჯღარების შემდეგ უკან დავიხევთ, ისინი მყისვე დაგვესხმიან თავს, ვით დამფრთხალ დიაცებსო. მიუხედავად ამისა, მაინც ნება დართო, ვისაც უნდოდა სამშობლოში დაბრუნებულიყო; მაგრამ ყველა ღმერთი დაიმოწმა, რომ სამშობლოში დაბრუნების მსურველნი ბედის ანაბარა ტოვებენ მას რამდენიმე მეგობრისა და მოხალისე მეომრის

ამარა მაკედონელებისათვის მთელი სამყაროს დაპყრობის ყამს. ეს თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა ალექსანდრემ ანტიპატრესადმი მიწერილ ბარათში. აქვე ამბობს იმასაც, რომ როცა ეს სიტყვა წარმოთქვა, ყველამ ერთხმად შესძახა თურმე: ქვეყნის რომელ კიდეშიც გნებავს, წაგვიყვანეო.

რაკიდა ან ცდამ გაუმართლა, დანარჩენი მხედრობის დაყოლიებაც აღარ იყო ძნელი. ყველა ხალისით მიჰყვა უკან.

ამ დროიდან მოკიდებული ალექსანდრე კიდევ უფრო მეტად უხამებდა საკუთარი ცხოვრების ნირს მკვიდრთა ადათ-წესებს და თავის მხრივ ადგილობრივ მოსახლეობას მაკედონელთა ზნე-ჩვეულებებს უახლოებდა. იგი ფიქრობდა, ასეთი ურთიერთაღრევის ნიადაგზე წარმოქმნილი კეთილგანწყობილების წყალობით უფრო მეტად განმტკიცდებოდა მისი ძალაუფლება, ვიდრე ძალადობის გზით, იმ დროს, როცა იგი ამ ქვეყანას საკმაო შორი მანძილით გაეცლებოდა. ამავე მიზნით შეარჩევინა სპარსთა შორის ოცდაათი ათასი ყრმა, მიუჩინა მათ მრავალი ზედამხედველი და ბრძანება გასცა ბავშვებისათვის ბერძნული ენა და მაკედონური იარაღის ხმარება ესწავლებინათ. ასეთივე მოსაზრება ამოძრავებდა ალბათ ალექსანდრეს, როცა ცოლად როქსანა შეირთო[159]; თუმცაღა უნდა ითქვას, ამ ქორწინების საბაბი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული იყო. ეს მშვენიერი, მოხდენილი ასული ერთ-ერთი ლხინის დროს იხილა, შეუყვარდა და დაასკვნა, რომ მასთან შეუღლება ამბავთა მსვლელობისათვის სწორედ შესაფერი იყო. ამ საქორწინო კავშირით აღფრთოვანებულ ბარბაროსებს ფრიად მხურვალედ შეუყვარდათ ალექსანდრე, რადგანაც გასაოცარი თავდაჭერილობა გამოიმჟღავნა და იმ ერთადერთ ქალს, რომლის სიყვარულის ტყვეობაში მოექცა, ქალწ





ილი ქორწინების გარეშე ხელი არ ახლო.

ალექსანდრე ხედავდა, რომ საუკეთესო მეგობართაგან ჰეფესტიონი იწონებდა მის მოქმედებას და მასთან ერთად ეგუებოდა ცხოვრების ახალ ნირს; კრატერე კი მაშაპაპური ადათების ერთგული რჩებოდა. ეშიტომ იყო, რომ ალექსანდრე ბარბაროსებთან ურთიერთობისათვის პირველს იყენებდა, ხოლო მეორის მეშვეობით ბერძენ-მაკედონელთა საქმეებს აგვარებდა. საერთოდ, ჰეფესტიონი უფრო მეტად უყვარდა, კრატერეს კი პატივს სცემდა და ხშირად ამბობდა: ჰეფესტიონს ალექსანდრე უყვარს, კრატერეს კი მეფეო. ამის გამო მათ შორის ფარული მტრობა გაღვივდა და ხშირად აშკარა შეხლა-შემოხლაც

ხდებოდა. ერთხელ ინდოეთში საქმე ხელჩართულ ბრძოლამდეც კი მივიდა; მათ ერთმანეთის წინააღმდეგ ხმლები იშიშვლეს, თითოეულ მათგანს თავ-თავიანთი მეგობრებიც წამოეშველნენ; მაგრამ ამ დროს მოიჭრა ალექსანდრე; მან საჯაროდ გამოლანძღა ჰეფესტიონი და უთხრა, რომ იგი რეგვენი და ჭკუაარეული ყოფილა. რაკიღა არ ესმის, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მას ვინმე ალექსანდრეს წაართმევს, არაარაობა იქნება. რაც შეეხება კრატერეს. იგი ალექსანდრემ განმარტოებით საკმაოდ მრისხანედ გაიცხა; მერმე პირისპირ შეეხვედრა ორივე, შეარიგა და დაიფიცა ამონიცა და სხვა ღმერთებიც, რომ ისინი ადამიანთა შორის ყველაზე უფრო მეტად უყვარს: „მაგრამ თუ კიდევ გავიგე თქვენი წაკიდების ამბავი, — ეუბნებოდა მათ, — ან ორივეს მოგკლავთ, ანდა იმას, ვინც პირველად ატეხს ჩხუბს თქვენ შორისო“. გადმოგვცემენ, ამიერიდან ჰეფესტიონსა და კრატერეს ერთმანეთისათვის საქმით კი არა, ხუმრობითაც აღარ უკადრებიათ რაო.

48. რაც შეეხება პარმენიონის შვილს ფილოტას, მამაცობისა და ამტანი ხასიათის წყალობით ფრიად დიდი პატივით სარგებლობდა მაკედონელთა შორის; მასავით გულუხვი და მეგობართა ერთგული კაცი ალექსანდრეს შემდეგ თითქმის არავინ იყო. ასე, მაგალითად, გადმოგვცემენ: ერთხელ თურმე ერთ-ერთმა ახლობელმა ცოტაოდენი ფული სთხოვა. მან ბრძანა მთხოვნელისათვის ფული მიეცათ. ხაზინის გამგებელმა ფილოტას მოახსენა: ფული არა მაქვსო. „რას ამბობ, — შეჰყვირა თურმე ფილოტამ, — ფული თუ არა, ძვირფასი ტანსაცმელი მაინც როგორ არა გაქვსო?!“ მაგრამ მეორე მხრივ სიამაყით გულზე მოსული და აუტანელი სიმდიდრის წყალობით გაამპარტავნებული ფილოტა ისე უგლიდა თავის სხეულს და ისეთნაირ ცხოვრებას ეწეოდა, მასავით, ასე ვთქვათ, პატარა კაცს სრულებითაც არ შეეფერებოდა. თავის ღირსებასა და დიდსულოვნებას უხეში და უცნაური საქციელით ყოველგვარ ფასს უკარგავდა და ამით მხოლოდ ეჭვსა და შურს იწვევდა. სწორედ ამიტომ უთხრა ერთხელ პარმენიონმა: „ეცადე, შვილო, ცოტა უფრო მოკრძალებული იყო“.

ფილოტა კარგა ხანია უკვე დასმენილი ჰყავდათ ალექსანდრესთან. როცა დარიოსი კილიკიაში დამარცხდა და დამასკში მისი ქონება მაკედონელებმა ხელთ იგდეს, იმ მრავალრიცხოვან ტყვეთა შორის, ალექსანდრეს ბანაკში რომ მიიყვანეს, აღმოჩნდა ერთი ლამაზი გარეგნობის პიდნელი ქალი, სახელად ანტიგონე. იგი წილად ხვდა ფილოტას. ფი-

ლოტა, ვითარცა ახალგაზრდა კაცი, როგორც კი შეზარხოშდებოდა ღვინით. ფრიად თავისუფლად ლაპარაკობდა ხოლმე თავის საყვარელთან; იგი ტრაბახით ჰყვებოდა ომში გარდახდილ საგმირო ამბებს და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანსა და სახელოვან საქმეთ თავსა და მამამისს მიაწერდა, ალექსანდრეს კი ბავშვს ეძახოდა და ამბობდა: ჩვენი წყალობით მიიღო მთავარსარდლის სახელიო. ეს სიტყვები ამ ქალმა ერთ თავის მახლობელს გადასცა; ამან კი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, თავის მხრივ სხვას უამბო; ბოლოს და ბოლოს ამ ამბავმა კრატერემდე მიაღწია. კრატერემ მოჰკიდა ხელი ანტიგონეს და მალულად ალექსანდრესთან მიიყვანა. მოისმინა რა ამ ქალისაგან ყველაფერი, ალექსანდრემ უბრძანა კვლავ გაეგრძელებინა კავშირი ფილოტასთან და ყოველივე, რასაც კი გაიგებდა, პირდაპირ მისთვის ეუწყებინა.

49. ფილოტა ვერ მიხვდა, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება იყო მოწყობილი, ამიტომ კვლავინდებურად განაგრძობდა ანტიგონესთან ცხოვრებას და გაბრაზების ჟამს მრავალი უხამსი სიტყვით იხსენიებდა ხოლმე მეფეს.

ასე რომ ალექსანდრეს უკვე ბლომა სამხილებელი მასალა მოეპოვებოდა ფილოტას წინააღმდეგ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დუმდა და თავს იკავებდა. ალექსანდრე ამას ან იმიტომ აკეთებდა, რომ პარმენიონის ერთგულებას ეკიდებოდა ნდობით, ან არადა შეიძლება მამა-შვილის ძალისა და გავლენისა ეშინოდა.

სწორედ ამ ხანებში ერთმა მაკედონელმა, სახელად ლიმნემ, წარმოშობით ქალესტრელმა[160], ალექსანდრეს მოსაკლავად შეთქმულება მოაწყო და ერთ ახალგაზრდას, ნიკომაქეს, რომელთანაც სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა, წინადადება მისცა საქმის თანამონაწილე გამხდარიყო. ნიკომაქემ ამაზე უარი თქვა და ეს ამბავი თავის ძმა კებალინეს[161], აუწყა. კებალინე ფილოტასთან მივიდა და სთხოვა, იგი და მისი ძმა ალექსანდრესთან მიეყვანა: ფრიად აუცილებელი და მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს მოსახსენებელიო. ფილოტამ კი გაურკვეველი მიზეზით ისინი მას არ წარუდგინა: მეფეს ამჟამად სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვსო. ასე მოიქცა იგი ორჯერ. ბოლოს ძმებმა ეჭვი მიიტანეს ფილოტაზე და ახლა სხვა პირს მიმართეს[162]. მისი მეშვეობით ისინი წარადგინეს ალექსანდრესთან. ძმებმა უწინარეს ყოვლისა ლიმ-

ნეს შეთქმულებაზე მოახსენეს; მერე კი ფილოტაზეც უთხრეს გაკვრით: ორგზის ვიყავით მისგან უყურადღებოდ დატოვებულნიო.

ამ ამბავმა ალექსანდრე ფრიად გაახელა. მყისვე აფრინეს კაცი ლიმნეს შესაპყრობად; მაგრამ მოხდა ისე, რომ ლიმნე თავის დაცვის დროს მოკლეს. იმ ფიქრმა, შეთქმულების ძაფი დამისხლტა ხელიდანო, მთლად გააცოფა მთავარსარდალი.

რაკი დაინახეს, მეფე შემწყრალია ფილოტაზეო, მის ძველ მტრებს საბაბი მიეცათ უკვე აშკარად ეთქვათ: მეფის მხრივ წინდაუხედაობა აჭნება, თუ ფიქრობს, რომ ვიღაცა ქალესტრელ ლიმნეს მისდათავად შეეძლო ამისთანა გაბედული საქმისათვის ხელი გამოეღო; იგი ამ შემთხვევაში მსახურს ან, უკეთ რომ ვთქვათ, იარაღს წარმოადგენდა, რომელიც ვიღაცის უფრო მძლავრი ხელით იყო ამოქმედებულიო. მათი აზრით, შეთქმულები უნდა მოეძებნათ იმ პირთა შორის, რომელთაც ყველაზე უფრო მეტად მოუტანდა სარგებლობას ამ შეთქმულების დაფარვა.

როგორც კი მეფემ ამგვარ ხმებსა და ეჭვებს გულდასმით მიაპყრო ყური, მყისვე წამოვიდა ათასობით ბრალდება ფილოტას წინააღმდეგ. ბოლოს იგი შეიპყრეს და მეფის მეგობრების თანდასწრებით წამებით დაჰკითხეს. ალექსანდრე საგანგებოდ ჩამოშვებული ფარდის უკან იდგა და ასე უსმენდა ბრალდებულს. როცა ფილოტამ გმინვა მორთო და დამცირებული ევედრებოდა ჰეფესტიონს, ალექსანდრემ, როგორც ამბობენ, ასე დაუძახა თურმე: „ნუთუ, ფილოტავ, ასეთმა სულმდაბალმა და ლაჩარმა ადამიანმა გაბედე ამოდენა საქმეზე ხელის გამოღებაო?!"

დასაჯეს თუ არა სიკვდილით ფილოტა, მაშინვე აფრინა კაცები მიდიაში, რათა მოეკლათ პარმენიონიც, ის კაცი, რომელმაც ბევრი სამსახური გაუწია ფილიპეს და ალექსანდრე ყველაზე უფრო მეტად წაეჭეზა აზიაში ლაშქრობა დაეწყო. იმ სამი შვილიდან, მას რომ ჰყავდა, ორის სიკვდილი ჯერ კიდევ ადრევე იხილა საკუთარი თვალით ლაშქრობის ჟამს, მესამესთან ერთად კი თვითონაც დაიღუპა[163].

ასეთი საქციელის ჩადენის შემდეგ ალექსანდრე მეტად საშიშ პიროვნებად იქცა ბევრი მეგობრისათვის. განსაკუთრებით საშიში გახდა იგი ანტიპატრესთვის, რომელმაც ფარულად გაგზავნა ელჩები ეტოლიელებთან და მათთან მჭიდრო კავშირი შეკრა. ეტოლიელებს ეშინოდათ ალექსანდრესი იმის გამო, რომ ენიადი[164] დაანგრიეს. როცა

ალექსანდრემ ამ ქალაქის დარბევის ამბავი გაიგო, ასე თქვა თურმე: ეტოლიელებს ენიადის შვილები კი არა, მე თვითონ დავსჯიო.

50. მცირე ხნის შემდეგ ამ ამბავს მოჰყვა კლიტოსის[165] მოკვლაც. იგი რომ უბრალოდ აღვწეროთ, გაცილებით უწყალოდ მოგვეჩვენება, ვიდრე ფილოტას სიკვდილი; მაგრამ თუ ყველაფერს გავითვალისწინებთ და ჩავუკვირდებით მიზეზსა და გარემოებას, დავინახავთ, რომ ეს საქმე მეფემ ჩაიდინა არა წინასწარი განზრახვით, არამედ რალაც უბედური შემთხვევის წყალობით, რომ მეფის რისხვამ და სიმთვრალემ მისცა საბაბი უკეთესმართ ბედისწერას კლიტოსი დაეღუპა. ეს ამბავი შემდეგნაირად მოხდა.

ზღვის სანაპიროდან მოსულმა პირებმა მეფეს ბერძნული ხილი მიართვეს. ქორფა, ლამაზი ხილის დანახვით აღტაცებულმა მეფემ მიიპატიჟა კლიტოსი, რათა ძღვენი ეჩვენებინა და მისთვისაც გაენაწილებინა. კლიტოსი ამ დროს მსხვერპლშეწირვით იყო გართული, მაგრამ თავი ანება ამ საქმეს და ალექსანდრესთან გაემართა. მოხდა ისე, რომ სამი სამსხვერპლოდ გამზადებული ცხვარი კლიტოსს უკან დაედევნა. როცა ეს ამბავი მეფემ გაიგო, თავის მისნებს, არისტანდრესა და ლაკედემონელ კლეომანტეს აუწყა. მისნებმა განაცხადეს: ეს ცუდი ნიშანი არისო. მაშინ ალექსანდრემ ბრძანება გასცა უმალვე შეეწირათ მსხვერპლი კლიტოსის ხსნისათვის, ვინაიდან ამ სამი დღის წინ მეც ცუდი სიზმარი ვნახეო. მას ეზმანა, ვითომ კლიტოსი იჯდა შავი წამოსასხამებით შებურვილ პარმენიონის შვილებთან, რომლებიც დაიხოცნენ. ერთი სიტყვით, ცოდვათა მოსანანიებელი მსხვერპლშეწირვის აღსრულებას კლიტოსმა ბოლომდე აღარ მოუცადა და წვეულებაზე მივიდა სწორედ იმ დროს, როცა მეფემ დიოსკურებისათვის ზვარაკის შეწირვა ის-ის იყო დაამთავრა.

გაჩაღდა თუ არა მხიარული ლრეობა-ქეიფი, დაიწყეს სიმღერა ვინმე პრანიქესა თუ, როგორც ზოგიერთი ამბობს, პიერიონეს ლექსებისა, რომლებიც შეთხზული იყო ბარბაროსთა მიერ სულ ახლახან დამარცხებული საბრძოლების განსაქიქებლად და დასაცინად. მონადიმეთა შორის მყოფი ხანშიშესული სტუმრები ამაზე გაბრაზდნენ და ლანძღვა-გინება დაუწყეს როგორც პოეტს, ისე მომღერალს; მაგრამ ალექსანდრე და მისი ახლობელი მეგობრები სიამოვნებით უსმენდნენ ამ სიმღერებს და მომღერალს უბრძანეს, თავისი საქმე გაეგრძელებინა. კლიტოსი, რომელსაც ღვინო უკვე მოჰკიდებიდა და ბუნებით ფიცხი

და თავისნება ვახლდათ, ყველაზე მეტად აღშფოთდა. იგი ამბობდა, ღალატი არაა მაკედონელთა შეურაცხყოფა ბარბაროსთა და მტრების თანდასწრებითო. ეს მაკედონელები, მიუხედავად იმ უბედურებისა, მათ რომ შეემთხვათ, ბევრად უკეთესები იყვნენ, ვიდრე ისინი, ვინც მათ დასცინიანო. ალექსანდრემ ამაზე შენიშნა: კლიტოსი თავის თავსაც იცავს, როცა სილაჩრეს უბედურ შემთხვევას უწოდებსო. კლიტოსი ადგილიდან წამოიჭრა და მეფეს შეჰყვირა: „სწორედ ამ სილაჩრემ დაგიხსნა შენ, ღმერთთა შვილო, მაშინ, როცა სპითრიდატეს ხმალს ზურგი უჩვენე! სწორედ მაკედონელთა სისხლითა და ჭრილობებით აღზევდი შენ ეგზომ მაღლა, რომ ფილიპეს მამად აღარა სცნობ და თავს ამონის შვილად ასაღებო!“

51. „არამზადავ,—მიუგო აღელვებულმა ალექსანდრემ კლიტოსს,—ნუთუ გგონია, მუდამ გაიხარებ, ასეთ სიტყვებს რომ ამბობ ჩემზე და მაკედონელებს მიშფოთებ?!“—„არა, ალექსანდრე, არა,—მიუგო მან,—აბა რა გვაქვს სასიხარულო, როცა იმ ღვაწლისათვის, რაც დავიმსახურეთ, ასეთ სამაგიეროს ვღებულობთ? ჩვენ გვშურს იმათი ბედი, ვინც აღრევე დაიხოცნენ და ვერ ხედავენ, თუ როგორ სცემენ მიდიური ჯოხებით მაკედონელებს და როგორ თხოულობენ სპარსებისაგან ესენი საკუთარ მეფესთან მისვლის უფლებას!“

კლიტოსის ასეთ თავისუფალ გამოსვლას ალექსანდრეს მეგობრები წინ აღუდგნენ და კლიტოსს ლანძღვა დაუწყეს; უფრო ხნიერები კი შფოთის დაწყნარებას ცდილობდნენ. ალექსანდრე ამ დროს მიუბრუნდა ქსენოდოქე კარდიელს და კოლოფონელ არტემიოსს და ჰკითხა: „როგორ გგონიათ, ბერძნები ვანა ისე არ გამოირჩევიან მაკედონელებში, როგორც ღმერთაკაცები მხეცებშიო?“

კლიტოსი არ ცხრებოდა; იგი ალექსანდრეს მოუწოდებდა ხმამაღლა ეთქვა ის, რაც სურდა; წინააღმდეგ შემთხვევაში ნუ იწვევდა სუფრაზე თავისუფლად მოაზროვნე და გულახდილ ვაჟკაცებს და ეცხოვრა ბარბაროსებთან და მონებთან ერთად, რომლებიც თაყვანს სცემენ მის სპარსულ სარტყელს და თეთრ წამოსასხამს. ახლა კი ვეღარ შეიკავა რისხვა ალექსანდრემ, სტაცა ხელი მის წინ დაყრილ ვაშლებში ერთ-ერთს, ესროლა სახეში კლიტოსს და მახვილს დაუწყო ძებნა: მაგრამ ერთ-ერთ მის პირად მცველ არისტოფანეს[166] უკვე მოესწრო მახვილის დამალვა. მონადიმენი ალექსანდრეს გარშემოერტყნენ და ემუდარებოდნენ დამშვიდებულიყო; მაგრამ იგი ადგილიდან წამოხტა,

მ აკედონურ ენაზე ხმამაღლა მოუხმო თავის მოისართ (ეს დიდი სიფრთხილის მაუწყებელი იყო), მებუკეს კი უბრძანა, ნიშანი მიეცა და თან მუშტი ჰკრა სახეში იმის გამო, რომ არ ემორჩილებოდა და ნიშნის მიცემას აყოვნებდა. შემდეგში ეს მებუკე დიდ პატივში ჰყავდათ; მისი წყალობით იყო მაშინ, რომ ლაშქარში განგაში არ ატყდა.

რაკიღა კლიტოსი ალექსანდრეს წინაშე უკან არ იხევდა, მეგობრებმა ძლივს გაიყვანეს სანადიმო დარბაზიდან. მაგრამ იგი კვლავ შემოვიდა სხვა კარიდან და უტიფრად და გესლიანად დაიწყო ევრიპიდეს „ანდრომაქედან“ იამბიკური ლექსის კითხვა:

ვაი, რა ავი ადათები აქვთ ელადაში...167

მაშინ ალექსანდრემ გამოსტაცა ერთ-ერთ შუბოსანს შუბი და სხეულში გაუტარა კლიტოსს, რომელსაც კარის ფარდა გადაეწია და მეფესთან მისვლას ლამობდა. კლიტოსი გულგამგმირავი ბღავილით დაეცა ძირს; ალექსანდრეს მყისვე გაუარა რისხვამ და, როცა გონს მოსულმა მის ირგვლივ დუმილით მდგარი მეგობრები დაინახა, სწრაფად ამოაძრო კლიტოსის გვამს შუბი და საკუთარ კისერში უნდა ჩაეცა; მაგრამ იგი შეაჩერეს. პირადმა მცველებმა ხელები გაუკავეს, ზე ასწიეს და ძალით საწოლ ოთახში შეიყვანეს.

52. მთელი ღამე განუწყვეტელ ოხვრა-კვნესაში გაატარა მთავარსარდალმა. მეორე დღეს კი გოდებისაგან უკვე ღონემიხდილი უსიტყვოდ იწვა და ხანდახან მძიმედ დაიკვნესებდა. მეფის დუმილმა მისი მეგობრები ფრიად შეაშფოთა და ძალით შევიდნენ მასთან. იგი არავის არ უსმენდა; მაგრამ როცა მისანმა არისტანდრემ კლიტოსზე ნანახი სიზმარი და მსხვერპლშეწირვის დროს ავისმომასწავებელი ნიშანი გაახსენა, იმის დასამტკიცებლად, მომხდარი შემთხვევა უკვე დიდი ხანია ბედისწერამ გადაწყვიტაო, ალექსანდრემ მაშინ თურმე ოდნავი შვება იგრძნო. მერმე არისტოტელეს ნათესავი ფილოსოფოსი კალისთენე და აბდერელი ანაქსარქე შეიყვანეს მასთან. კალისთენე ცდილობდა ალერსიანი სიტყვებით ენუგეშებინა იგი და მომხდარ ამბავზე ისე გადაკვრით ელაპარაკა, ზედმეტი ტკივილი არ მიეყენებინა. ანაქსარქემ კი, რომელიც ფილოსოფიაში თავიდანვე საკუთარი გზით მიდიოდა და იმით გაითქვა სახელი, რომ გაცვეთილ, ჩვეულებრივ აზრებს ქედმაღლობითა და ზიზღით ექცეოდა, შემოსვლისთანავე შეჰყვირა:

„განა ეს არის ალექსანდრე, რომლისკენაც ახლა მთელი სამყაროს თვალია მიპყრობილი?! ეს ისე წევს და ტირის, ვითარცა მონა, რამეთუ ეშინია კაცთა კანონისა და ძრახვისა, იმ კაცთა, რომელთათვისაც თვითონ უნდა იყოს კანონი და სამართლიანობის განსახიერება! მან ხომ იმიტომ გაიმარჯვა, რომ იმბრძანებლოს და სხვები ჰყავდეს მორჩილებაში და არა იმიტომ, რომ სხვების ლიტონ აზრებს ემონოს! განა შენ არ იცი, — მიმართა მერმე ალექსანდრეს,—რომ ზევსს გვერდით დიკე და თემიდა[168] უსხედან, რათა ყველაფერი ის, რაც მბრძანებელმა ჩაიდინა, თვით განგებისაგან ნებადართულად და სამართლიანად იქნას აღიარებული?“

ასეთი და სხვა ამის მსგავსი სიტყვების წყალობით ანაქსარქემ მართლაც შეუმსუბუქა მეფეს ტანჯვა, მაგრამ ხასიათი კი შეუცვალა და ბევრად უფრო ამპარტავანი და უსამართლო გახადა. ამით მან მეფის განსაკუთრებული წყალობა დაიმსახურა და იმდენი მოახერხა, რომ კალისთენეს საუბარს მეფის თვალში ყოველგვარი ფასი დაუკარგა, მით უფრო, რომ კალისთენე პირქუშობისათვის არცთუ მაინცდამაინც უყვარდა ალექსანდრეს.

ამბობენ, ერთხელ, სადილობის ჟამს, საუბარი ჩამოვარდა ამ მხარეში[169] წლის დროებისა და ამინდის შესახებო. კალისთენე იმათ აზრს უჭერდა მხარს, ვინც ამბობდა: აქაური ჰავა უფრო ცივია და ზამთარი უფრო სუსხიანი, ვიდრე საბერძნეთისაო. როცა ანაქსარქემ საწინააღმდეგოს მტკიცება და დავა დაიწყო, კალისთენემ ასე უთხრა თურმე: „შენ მაინც უნდა აღიარო ჩვენთან ერთად ის, რომ აქ უფრო ცივა, ვიდრე ელადაში; შენ ხომ იქ გაცვეთილ წამოსასხამში ატარებდი მთელ ზამთარს, აქ კი სამ ხალიჩაში გამოხვეული ხარ წამოწოლილიო“. ამან ფრიად დიდი შეურაცხყოფა მიაყენა ანაქსარქეს და კალისთენე კიდევ უფრო შეიძულა.

53. რაც შეეხება დანარჩენ სოფისტებსა და პირმოთნე ხალხს, კალისთენემ ისინიც აიმხედრა თავის წინააღმდეგ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ახალგაზრდობას უყვარდა იგი ენამჭევრობისათვის, ხოლო ხანშიშესულებს არანაკლებ მოსწონდათ მისი თავშეკავებული ცხოვრება, დარბაისლობა და საკუთარი ხვედრით კმაყოფილება. მათ მოწონებას კალისთენე იმითაც იმსახურებდა, რომ ამართლებდა უცხოეთში თავისი მოგზაურობის იმ მიზეზს, რაზეც ყველა ლაპარაკობდა. იგი თურმე ფრიად სახელოვანი მიზნით მივიდა ალექსანდრესთან; მას

სურდა საკუთარი სამშობლო[170] კვლავ აღედგინა და იქ თანამოქალაქენი დაებრუნებინა.

გარდა იმისა, რომ კალისთენეს ისედაც შურის თვალით შეხედავდნენ მისი სახელის გამო, ივი თვითონაც აძლევდა ცილისმწამებლებს დაბეზღების საბაბს. სახელდობრ, მეფის მიწვევაზე თითქმის ყოველთვის უარს ამბობდა და, თუ ოდესმე მის სუფრას ეწვეოდა, გორიზი გამომეტყველებითა და დუმილით ამქილავნებდა, რომ თვალში არ მოსდიოდა ის, რაც მის გარშემო ხდებოდა. სწორედ ამის გამო თქვა მასზე ალექსანდრემ:

> მძულს შე ისეთი ბრძენი, რომელიც
> თავის თავისთვის არ არის ბრძენი[171].

როგორც გადმოგვცემენ, ერთ დღეს მეფესთან გამართულ ნადიმზე, სადაც ბევრი სტუმარი იყო მიწვეული, კალისთენეს სთხოვეს ღვინით სავსე თასით ხელში მაკედონელები შეექო. მან ისეთი ენაწყლიანობით შეასრულა თერმე ეს თხოვნა, რომ სტუმრები ფეხზე ადგნენ, კალისთენე ტაშით დააჯილდოვეს და გვირგვინებითაც შეამკეს. მაგრამ ალექსანდრემ ევრიპიდე დაიმოწმა და კალისთენეს მისი სიტყვებით უთხრა:

> როს საუცხოო საბაბი გაქვს სალაპარაკოდ,
> ენამჭევრობა სრულებითაც არ არის ძნელი[172],

და დაუმატა: „უკეთესია შენი მჭევრმეტყველების ძალა მაკედონელთა გაკიცხვით გვიჩვენო, რათა გაიგონ თავიანთი შეცდომები და უკეთესები გახდნენო". კალისთენემ მართლაც მიმართა პალინოდიას და ამჯერად შეტად გულახდილად ილაპარაკა მაკედონელების წინააღმდეგ. თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, ფილიპეს აღზევებისა და გაძლიერების მიზეზი ბერძენთა შორის არსებული უთანხმოება იყოო, და დასძინა:

> თუ ხალხში თანხმობა მცირობს, პატივშია თვით არამზადაც.

ამ სიტყვით საშინელი და უსაზღვრო ზიზღი დაიმსახურა მაკედონელებში. რაც შეეხება ალექსანდრეს, მან შენიშნა: კალისთენემ ამით ენამჭევრობაზე უფრო მეტად მაკედონელებისადმი მტრობა გამოიჩინაო.

54. ეს ამბავი, როგორც ჰერმიპე[173] ამბობს, კალისთენეს წიგნის მკითხველმა სტრეგბოსმა[174] არისტოტელეს აუწყა და ისიც გადასცა,

როცა კალისთენემ მეფის წყრომა შენიშნა, თურმე წასვლის დროს ორჯერ თუ სამჯერ გაუმეორა:

მოკვდა თვით პატროკლე, ვინაც ბევრად იყო ძვირფასი შენზე [175].

არისტოტელე, როგორც ჩანს, არ შემცდარა, როცა უთქვამს: კალისთენე მშვენიერმეტყველებით მართლაც ძლიერი და დიდი იყო, მაგრამ ჭკუა არ ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში კალისთენემ, როგორც ფილოსოფოსს შეეფერებოდა, გადაჭრით გაილაშქრა ალექსანდრეს თაყვანისცემის წინააღმდეგ და მხოლოდ მან გამოთქვა აშკარად ის გულისწყრომა, რომელსაც ბევრი კეთილშობილი და უხუცესი მაკედონელი გულში იმარხავდა. კალისთენემ დიდი სირცხვილი ააცდინა ბერძნებს და კიდევ უფრო დიდი შერცხვენისაგან იხსნა თვით ალექსანდრეც, რომელსაც უარი ათქმევინა თაყვანისცემის ახალ წესზე: მაგრამ საკუთარი თავიც დაიღუპა, ვინაიდან ცხადი იყო, რომ იმდენად კი არ დაარწმუნა მეფე, რამდენადაც აიძულა ასე მოქცეულიყო [176].

მიტილენელი ქარესი მოგვითხრობს: ერთ ნადიმზე ალექსანდრემ ფიალა დასცალა და ერთ-ერთ მეგობარს გაუწოდა. ამან ჩამოართვა თურმე სასმისი, მივიდა სამსხვერპლო ბომონთან და იქ დამდგარმა დალია. შემდეგ ალექსანდრეს მიუახლოვდა, ჯერ თაყვანი სცა, მერმე აკოცა, შემდეგ კი თავის ადგილს დაუბრუნდა და მხართეძოზე წამოწვა [177]. დანარჩენებმა რიგრიგობით მიჰბაძეს მას. ბოლოს კალისთენემ აიღო ფიალა და სწორედ იმ დროს დალია, როცა მეფე ყურადღებას არ აქცევდა და ჰეფესტიონს ესაუბრებოდა. სასმისის დაცლის შემდეგ კალისთენე საკოცნელად ალექსანდრესთან გაემართა, მაგრამ დემეტრიოსმა, რომელსაც მეტსახელად ფიდონს ეძახდნენ, ალექსანდრეს შეჰყვირა: „არ აკოცო მაგას, მხოლოდ მაგან არ გცა თაყვანი შენო!“ ალექსანდრემ მართლაც აარიდა თავი მის კოცნას. მაშინ კალისთენემ ხმამაღლა წამოიძახა: „რა ვქნა ახლა, წავალ ასე, ერთ კოცნას მოკლებულიო.“

55. ალექსანდრესა და კალისთენეს შორის ასე თანდათანობით გაჩაღებული მტრობის დროს ჰეფესტიონმა ყველაზე ადრე დააჭერა ალექსანდრე, რომ კალისთენე დაჰპირდა მას მეფისათვის თაყვანი ეცა. მაგრამ პირობა გატეხა. მერმე ლისიმაქე და ჰაგნონე შეეჩხდნენ მეფეს და ეუბნებოდნენ: ეს სოფისტი ისე ამპარტავნულად დადის, გეგო-

ნება. ტირანია მოესპოს: თანაც ახალგაზრდა ბიჭები დასდევენ კუდ-
ში და თაყვანს სცემენ, ვითარცა ერთ-ერთ თავისუფალ კაცს მრავალ
ათასთა შორისო.

ამიტომაც, როცა ჰერმოლაეს შეთქმულება[178] გამომჟღავნდა, რაც
ალექსანდრეს წინააღმდეგ იყო მიმართული, აშკარა გახდა, რომ დამ-
ბეზღებლები თითქოს მართლა სდებდნენ ბრალს კალისთენეს; ისინი
ამბობდნენ: როცა ჰერმოლაემ კალისთენეს ჰკითხა, როგორ შეიძლება
ადამიანი სახელოვანი გახდესო, მან უპასუხა: „ფრიად სახელგანთქ-
მული ადამიანის მოკვლითო". გარდა ამისა, — უმატებდნენ ისინი, —
აქეზებდა რა ჰერმოლაეს კალისთენე ამ საქმის შესასრულებლად,
ეუბნებოდა: ნუ შეგეშინდება ოქროს სარეცლისა და გახსოვდეს, რომ
საქმე გვაქვს ადამიანთან, რომელიც ისევე მორჩილია ავადმყოფობისა
და ისევე შეიძლება დაიჭრას, როგორც ყველა სხვაო.

მიუხედავად ამისა, ჰერმოლაეს არც ერთ თანამზრახველს არ და-
უსახელებია კალისთენე შეთქმულების მონაწილედ უსამინლესი წა-
მების დროსაც. ალექსანდრეც იმ წერილებში, რომლებიც მაშინვე
გაუგზავნა კრატერს, ატალესა და ალკეტას[179], ამბობს, რომ წამებას
მიცემული ახალგაზრდები გამოტყდნენ დანაშაულში, მხოლოდ ჩვენ
ჩავიდინეთ ეს საქმე, სხვა თანამზრახველი არ გვყოლიაო. მაგრამ
უფრო გვიან, ანტიპატრესადმი მიწერილ ბარათში ალექსანდრე
სხვებთან ერთად ბრალს კალისთენესაც სდებს: „ახალგაზრდა შეთქ-
მულები, — ამბობს იგი, — მაკედონელებმა ჩაქოლეს, ამ სოფისტს კი
მე თვითონ დავსჯი ისევე, როგორც მის აქ გამომგზავნელებს და იმათ,
ვინც ჩემ წინააღმდეგ შეთქმულებს თავისი ქალაქების კარს უხს-
ნიანო". ამ სიტყვებით ალექსანდრე პირდაპირ ააშკარავებს თავის
წყრომას არისტოტელეს მიმართ, რომელთანაც კალისთენე აღიზარდა,
როგორც მისი ნათესავი. იგი არისტოტელეს ბიძაშვილი ქალის ჰეროს
შვილი გახლდათ.

რაც შეეხება კალისთენეს, ზოგიერთის ცნობით იგი ჩამოახრჩო
ალექსანდრემ, ზოგიერთი კი გადმოგვცემს, ბორკილებში ჩასმული
საპყრობილეში ავადმყოფობით გარდაიცვალაო. ქარესის მიხედვით,
კალისთენემ დატყვევებიდან შვიდი თვის შემდეგ განუტევა სული,
მანამდე კი ბორკილები ედო ფეხებზე და მცველები ჰყავდა მიჩენი-
ლი. იგი უნდა გასამართლებულიყო საბჭოში არისტოტელეს თანდას-
წრებით, მაგრამ სწორედ იმ დღეებში, ალექსანდრე რომ ინდოეთში

ლაშქრობდა და მალეგბისა და ოქსიდრაკების მხარეში დაიჭრა, საშინლად დასივებული და ტილებდახვეული კალისთენე ტანჯვით გარდაიცვალაო[180].

56. ზემოაღწერილი ამბავი საკმაოდ გვიან მოხდა. უფრო ადრინდელ ამბავთაგან კი უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: უკვე სიბერეში მყოფმა კორინთელმა დემარატემ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა ალექსანდრესთან წასულიყო. როცა მან ალექსანდრე ნახა, ასე უთხრა თურმე: დიდი სიამოვნება მოაკლდათ იმ ბერძნებს, რომლებიც მანამდე დაიხოცნენ, სანამ ალექსანდრეს დარიოსის ტახტზე მჯდარს იხილავდნენო[181]. დემარატე დიდხანს ვეღარ დატკბა მეფის წყალობით; იგი მალე გახდა ავად და გარდაიცვალა. მას ჩინებული პატივი სცეს; ალექსანდრეს მხედრობამ განსვენებულს დიდი ყორღანი აღუმართა. ამ ყორღანის სიმაღლე ოთხმოც წყრთას აღწევდა. რაც შეეხება დემარატეს ნეშტს, იგი საუცხოოდ მორთული ოთხცხენიანი ეტლით ალექსანდრემ ზღვის სანაპიროზე მიატანინა[182].

57. როცა ინდოეთში შეჭრა დააპირა, ალექსანდრემ დაინახა, რომ მისი მხედრობა ნადავლით უკვე მეტისმეტად დაიტვირთა და ისე დამძიმდა, განძრევა დიახაც უჭირდა; ამიტომ, გარიჟრაჟზე, როცა ურმები უკვე გამზადებული იყო, ჯერ საკუთარი ოთხთვალა ეტლებისა და მეგობრების აღალის დაწვა დაიწყო, მერმე კი ბრძანება გასცა დანარჩენ მაკედონელთა ურმებისათვისაც შეენთოთ ცეცხლი. აღმოჩნდა, რომ ამ საქმის განზრახვა გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე მისი სისრულეში მოყვანა. მართლაც, ასეთი ნაბიჯის გადადგმამ მხედრობის ფრიად მცირე ნაწილი შეაწუხა, უმრავლესობა კი ყიჟინით შეხვდა ამ ამბავს, რაღაც განგების ძალის მიერ შთაგონებული აღფრთოვანებით დაურიგეს გაჭირვებულთ ის აუცილებელი საგნები, რაც მათ სჭირდებოდათ. ზედმეტი ქონება კი დასწვეს და გაანადგურეს. ალექსანდრეს ამით სიმხნე და ახალი ლაშქრობისათვის მეტი გაბედულება შეჰმატეს მეომრებმა.

სხვათა შორის, იგი უკვე მრისხანე და შეუბრალებელი გახდა დამნაშავეთა დასჯის დროს. ასე მაგალითად, ერთ-ერთი ჰეტეროსი მენანდრე, რომელიღაც ციხე-სიმაგრის უფროსად რომ დანიშნა, სიკვდილით დასაჯა მხოლოდ იმიტომ, რომ მან არ მოინდომა იქ დარჩენა. როცა მის წინააღმდეგ ბარბაროსები ამხედრდნენ, ერთი მათგანი ორსოდატე ალექსანდრემ თვითონვე განგმირა მშვილდ-ისრით.

სწორედ ამ ხანებში ერთმა ცხვარმა დაბადა ბატკანი, რომელსაც თავზე მოყვანილობითაც და ფერითაც ჩალმის მსგავსი ხორცმეტი ჰქონდა, ხოლო ორივე მხარეს წყვილ-წყვილი ჭანჭალი ესხა. ამ სასწაულმა ალექსანდრე ფრიად შეაშფოთა და ცოდვებისაგან თავი განაწმენდინა ბაბილონელებს, რომლებიც ჩვეულებრივ თან ჰყავდა და ასეთი შემთხვევების დროს იმსახურებდა. მან მეგობრებს უთხრა, რომ არა საკუთარი თავის, არამედ მათ გამო წუხს; რომ ეშინია, მისი სიკვდილის შემდეგ ბედისწერამ ძალაუფლება არ გადასცეს ვინმე უგვარო და ლაჩარ კაცს. მაგრამ შემდეგში მოხდა ისეთი სასწაული, რამაც ალექსანდრეს სასოწარკვეთილება გაუქრო. პირისფარეშთა უფროსი, ვინმე მაკედონელი პროქსენე სამეფო კარვისათვის მდინარე ოქსოსის[183] მახლობლად მიწის თხრის დროს წააწყდა ერთ წყაროს, რომლის წყალი ბლანტი და ცხიმოვანი იყო. როცა წყალს თავი მოართვეს, ქვემოდან ანკარა და გამჭვირვალე ზეთმა იჩქეფა, როგორც აღმოჩნდა, არც სუნით და არც გემოთი იგი არ განსხვავდებოდა ზეითუნის ზეთისაგან. თუმცაღა ამ ქვეყანაში ერთი ზეთისხილის ხეც არ იყო; ამბობენ, თვითონ ოქსოსის წყალიც ფრიად რბილია და შიგ მობანავეთა კანს ცხიმით ჰფარავსო. თუ რაზომ დიდი იყო ალექსანდრეს აღტაცება ამ სასწაულით, ეს ჩანს იმ წერილიდან, რომელიც ანტიპატრეს გაუგზავნა ამის თაობაზე. ალექსანდრე წერს, რომ იგი ამ სასწაულს თვლის ყველაზე დიდი სიკეთის მაუწყებელ ნიშნად იმ სასწაულთა შორის, რომლებიც ღვთაებამ მოუვლინა. მისნები კი ამბობდნენ: ეს, მართალია, სახელოვან, მაგრამ ფრიად ტვირთმძიმე და ძნელ ლაშქრობას მოასწავებს, ვინაიდან ზეთი იმიტომ მისცეს ღმერთებმა ადამიანებს, რომ შრომაში ცოტა სიმსუბუქე იგრძნონო.

58. ინდოეთის ბრძოლებში მრავალი საფრთხე გარდახდა ალექსანდრეს და რამდენიმე მძიმე ჭრილობაც მიიღო. დიდმა სიკვდილიანობამ, რაც სურსათის ნაკლებობითა და იქაური მკაცრი ჰავით იყო გამოწვეული, მისი მხედრობა საკმაოდ შეამცირა. მიუხედავად ამისა, ალექსანდრე ცდილობდა ბედისწერას სიმამაცით გამკლავებოდა, ხოლო ძალა ხასიათის სიმტკიცით გადაელახა. იგი ფიქრობდა: მამაცთათვის არაფერია დაუძლეველი, ლაჩრებს კი ვერავითარი სიმაგრე ვერ დაიცავსო.

ამბობენ, რომ სისიმითრეს მიერ დაკავებული ციცაბო და მიუვალი

კლდის გარემოცვის დროს ალექსანდრემ იმედდაკარგული მეომრების დანახვაზე ოქსიარტეს[184] ჰკითხა, როგორი ბუნების კაცია სისიმითრეო? მაგაზე მშიშარა კაცი ადამიანებში არ მოიპოვებაო, უპასუხა ოქსიარტემ. „მაგით, — მიუგო ალექსანდრემ, — შენ იმას ამბობ, რომ ეს კლდე სულ ადვილად ასაღები უნდა იყოს ჩვენთვის, რაკი მისი გამგებელი მტკიცე ვაჟკაცი ვერ ყოფილაო". მან შეაშინა თურმე სისიმითრე და ეს კლდე მალე აიღო.

როცა მეორე ასეთივე ციცაბო კლდეს[185] შემოარტყა ალყა, მასზე იერიშის მიტანა ალექსანდრემ ახალგაზრდა მაკედონელებს უბრძანა და ერთ-ერთ მათგანს, სახელად ალექსანდრეს უთხრა: „რაც შეგეხება შენ, ყველაზე მეტად გმართებს სიმამაცის გამოჩენა, თუნდაც იმ სახელის გულისათვის, რომელსაც ატარებო". ეს ყმაწვილი მართლაც ვაჟკაცურად იბრძოდა და მამაცური სიკვდილით დაეცა კიდეც. ამან ფრიად ატკინა გული თურმე მთავარსარდალს.

ეგრეთ წოდებული ნისის[186] სიმაგრეზე იერიშის მიტანას მაკედონელები აყოვნებდნენ. ამ ადგილს ღრმა მდინარე ჩამოუდიოდა. მის ნაპირზე ალექსანდრეც შეჩერდა და წამოიძახა: „რატომ არ ვისწავლე მე ტუტუცმა ცურვაო!" ხელში მომარჯვებული ფარით მან მაინც გადაწყვიტა მდინარეზე გადასვლა.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ ალყამშემორტყმულ ქალაქიდან მასთან ზავის სათხოვრად მოვიდნენ ელჩები. ისინი განცვიფრდნენ, როცა მეფე უბრალო ტანსაცმელში, იარაღით ხელში და ამალის გარეშე დაინახეს. ალექსანდრემ ბალიში მოატანინა და ყველაზე უხუცეს ელჩს, სახელად აკუფისს სთხოვა აეღო და დამჯდარიყო. გაუკვირდა აკუფისს მისი კეთილშობილება და კაცთმოყვარეობა და ჰკითხა: რის შესრულებას მოითხოვ ჩვენგან, რომ შენი მეგობრები გავხდეთო? ალექსანდრემ უპასუხა: „შენმა ხალხმა თავის მმართველად შენ უნდა აგირჩიოს და ჩვენ მძევლებად ასი საუკეთესო ვაჟკაცი გამოგვიგზავნოსო". აკუფისს ამაზე გაეცინა და უთხრა: „ხელმწიფევ, მე უფრო უკეთესად მოვუვლი ჩემს სამეფოს, თუ შენ ასი საუკეთესო ადამიანის ნაცვლად ამდენივე არამზადას გამოგიგზავნიო".

59. როგორც გადმოგვცემენ, ტაქსილეს[187] ეკავა ინდოეთის ნაწილი, რომელიც თავისი სიდიდით ეგვიპტეს არ ჩამოუვარდებოდა და საუცხოო იალაღებითა და ძვირფასი ნაყოფის მომტანი მიწებით იყო მდიდარი. ეს ტაქსილე ჭკვიანი კაცი გახლდათ. იგი ალერსიანად მი-

სალმა ალექსანდრეს და უთხრა: „განა რა საჭიროა, ალექსანდრე, ერთმანეთს შორის ომი ვაწარმოოთ და ვიბრძოლოთ, თუკი იმისთვის არ მოსულხარ, რომ წყალი და აუცილებელი საზრდო წაგვართვა? გონიერი ხალხი ხომ მხოლოდ ამ საგნებისათვის ხდება იძულებული ბრძოლას მიმართოს. რაც შეეხება სხვა, ეგრეთ წოდებულ სიმდიდრესა და ქონებას, თუკი შენზე მეტი მაქვს, მზად ვარ შემოგთავაზო; მაგრამ თუ შენზე ნაკლები მაქვს, მაშინ უკან არ დავიხევ მადლიერების გრძნობით შევხედო ჩემთვის გაღებულ მოწყალებასო". ესიამოვნა ეს სიტყვები ალექსანდრეს, გაუწოდა ტაქსილეს ხელი და უთხრა: „ნუთუ გგონია, ჩვენი შეხვედრა ასეთი გულთბილი თავაზიანობის გამო ბრძოლის გარეშე ჩაივლის? არა, შენ ეს ვერ გიშველის. მე შენთან სასტიკ დავასა და ბრძოლას გავაჩაღებ წყალობის გაღებაში, რათა ამ მხრივ ვერ მაჯობო, რა გინდ გულუხვი არ უნდა იყო". მან დიდძალი საჩუქარი მიიღო ტაქსილესაგან, მაგრამ თავის მხრივ კიდევ უფრო მეტი უბოძა მას და ბოლოს ათასი ტალანტი თეთრიც კი მისცა. ამით ალექსანდრემ ძალზე დაანაღვლიანა მეგობრები, სამაგიეროდ ბევრი ბარბაროსის გული მოიგო.

ყველაზე უფრო გულადი ინდოელები, დაქირავებულ მეომრებად რომ მსახურობდნენ, ქალაქიდან ქალაქში გადადიოდნენ, ამ ქალაქებს მამაცურად იცავდნენ და ალექსანდრეს დიდ ვნებას აყენებდნენ. მან ერთ-ერთ ქალაქში ამ ინდოელებთან საზავო პირობა შეკრა, მაგრამ როგორც კი წავიდნენ ისინი, თავს დაესხა გზაში და სულ ერთიანად ამოჟლიტა[188]. ეს საქციელი მის საომარ საქმეებს ერთგვარ ლაქად აჩნია. თუმცაღა ყველა დანარჩენ შემთხვევაში ალექსანდრე ომს კანონიერად და მეფისათვის საკადრისი წესით აწარმოებდა. ამ ინდოელებზე არანაკლებ ვნებას აყენებდნენ იქაური ფილოსოფოსებიც[189]. ისინი კიცხავდნენ ალექსანდრეს მხარეზე გადასულ მეფეებს და თავისუფალ ტომებს მის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. ამიტომ ალექსანდრემ ბევრი მათგანი ჩამოახრჩო.

60. პოროსთან[190] შებრძოლების ამბავს ალექსანდრე თვითონვე გადმოგვცემს თავის წერილებში. იგი ამბობს, რომ მოწინააღმდეგე ჯარების ბანაკთა შორის მდინარე ჰიდასპე[191] ჩამოდიოდა; გალმა ნაპირზე პოროსს სპილოები ჰყავდა ჩამწკრივებული და საოცარ სიფხიზლეს იჩენდა, რათა მტერი მდინარეზე არ გადმოეშვა. ალექსანდრე კი თავის მხრივ ბრძანებას იძლეოდა, მაკედონელთა ბანაკში

ყოველდღიურად აეტეხათ ზარდამცემი ხმაური და ალიაქოთი; იგი ცდილობდა ბარბაროსები თანდათანობით მიჩვევოდნენ ამას და მისი შიში არ ჰქონოდათ. ერთ ქარიშხლიან და უმთვარო ღამეს კი თან წაიყვანა ქვეითი მეომრების ნაწილი და საუკეთესო მხედრები, საკმაო მანძილით გაშორდა მტერს და ერთ პატარა კუნძულზე გადავიდა. უცებ კოკისპირულმა წვიმამ დაასხა; ატყდა ჭექა-ქუხილი; ზედიზედ დაეცა მეხი. როცა ალექსანდრემ დაინახა, რომ ბევრი მისი მეომარი მოკლა მეხმა და ბევრსაც ცეცხლი წაუკიდა, სწრაფად დატოვა კუნძული და გალმა ნაპირისაკენ გაემართა. მაგრამ ჰიდასპე ისე გააცოფა ქარიშხალმა, რომ ელვის სისწრაფით აღიდდა, ხმელეთზე გადავიდა. ჩამოანგრია მიწა და ტალღების ნაწილი იქითკენ წარმართა. ალექსანდრემ ორ ნაწილად გაყოფილი მდინარის შუა ადგილას მიაღწია, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა, ისე იყო იქაურობა გალიპული და გარეცხილი. როგორც ამბობენ, სწორედ აქ წამოიძახა თურმე: „ოჰ, ათენელებო, რომ იცოდეთ, რა საფრთხეში ვიგდებ თავს მხოლოდ იმიტომ, თქვენი ქება დავიმსახურო?!“ ამ სიტყვებს ჩვენ ონესიკრიტე გადმოგვცემს. თვითონ ალექსანდრე კი თავის წერილებში მოგვითხრობს, მაკედონელებმა მიატოვეს ტივები და იარაღით ხელში ხმელეთზე გადასასვლელად შევიდნენ ნაპირზე გადასულ მდინარის წყალში, რომელიც მკერდამდე სწვდებოდათო.

გავიდა თუ არა ხმელეთზე, ალექსანდრე ცხენოსნებთან ერთად წავიდა წინ და ქვეითი ჯარი ოცი სტადიონით ჩამოიტოვა უკან; გზაში ფიქრობდა: თუ მტერი ცხენოსანი ჯარით დამეხია თავს, სულ ადვილად დავამარცხებ, ხოლო თუ ჩემ წინააღმდეგ ქვეითი ლაშქარი დაძრა, ამასობაში ჩემი ქვეითი მეომრებიც მოასწრებენ შემომიერთდნენო. მისი ვარაუდიდან პირველი ახდა. ალექსანდრეს თავს დაესხა მტრის ათასი ცხენოსანი და ექვსასი საბრძოლო ეტლი. მან მტერი უკუაქცია, უკლებლივ ყველა ეტლი ხელთ იგდო და ოთხასი მხედარი სიცოცხლეს გამოასალმა. პოროსი მიხვდა, მდინარეზე თვითონ ალექსანდრე იყო გადმოსული და მთელი თავისი ძალებით მისკენ დაიძრა. მან ჰიდასპეს ნაპირზე მხოლოდ რამდენიმე რაზმი დატოვა, რათა დანარჩენი მაკედონელები დაებრკოლებინათ და მდინარეზე არ გადმოეშვათ. ალექსანდრეს, ცოტა არ იყოს, შეეშინდა პოროსის სპილოებისა და მტრის სიმრავლის; მან მტრის მარცხენა ფრთაზე მიიტანა იერიში, ხოლო კენეს[192] უბრძანა მარჯვენა ფრთას დასხმოდა თავს.

ორივე ფრთა გაანადგურეს. დამარცხებული მეომრები სპილოებისაკენ იხევდნენ უკან და ცდილობდნენ კვლავ შემჭიდროებულიყვნენ. ამიტომ ბრძოლა აქ არათანაბარი ძალით, მაგრამ მთელი სიმძაფრით მიმდინარეობდა და ძლიერძლიერობით დილის რვა საათზე დამთავრდა. მტერი დანებდა ალექსანდრეს. აი, ამას მოგვითხრობს თავის წერილებში ამ ბრძოლის მთავარი გმირი [193].

თითქმის ყველა მემატიანე ამბობს, პოროსს ოთხი წყრთა და ერთი მტკაველი სიმაღლე ჰქონდაო; თავისი სიდიდის და მოცულობის წყალობით იგი საკუთარი შეეფერებოდა თურმე იმ სპილოს, რომელიც ცხენის მაგივრობას უწევდა. როგორც გადმოგვცემენ, ეს სპილოც ზომაზე მეტად დიდი ყოფილა. ამ ცხოველმა გასაოცარი გონიერება და იშვიათი მზრუნველობა გამოიჩინა თურმე მეფის მიმართ. სანამ პოროსი მედგრად იყო, სპილო გააფთრებით იცავდა თავს და მომხდურებს იგერიებდა, მაგრამ როცა იგრძნო, მეფეს მრავალი ისარი მოხვდა და ჭრილობებისაგან ლონე ეკარგებაო, იმის შიშით, შეწუხებული მხედარი არ გადმოვაგდოო, ფრთხილად დაეშვა მუხლებზე, გადმოსვა პოროსი ძირს და ხორთუმით ნელ-ნელა, საოთოთაოდ დაუწყო სხეულიდან ისრების ამოღება.

პოროსი ტყვედ ჩაიგდეს; ალექსანდრემ ჰკითხა: როგორ გინდა მოგექცეთო? „მეფურადო!“ — უპასუხა პოროსმა. ალექსანდრემ კიდევ ჰკითხა: სხვას ხომ არაფერს დაუმატებდი მაგასო? „რაკი ვთქვი, მეფურად-მეთქი, ამ სიტყვაში ყველაფერი იგულისხმება,“ — მიუგო პოროსმა. ალექსანდრემ იგი სატრაპის სახელწოდებით დანიშნა არა მარტო იმ ქვეყნის მმართველად, რომელზედაც უწინ მეფობდა, არამედ შეუერთა ის მხარეც, რომლის დამოუკიდებლად მცხოვრები ხალხი მაკედონელებმა დაიმორჩილეს. როგორც ამბობენ, ამ მხარეში თხუთმეტი ტომი ცხოვრობდა, ხუთი ათასი ლირსშესანიშნავი ქალაქი და ფრიად მრავალი სოფელი იყო. გარდა ამისა ალექსანდრემ დაიპყრო საშგზის უფრო დიდი მხარეც და მის სატრაპად ერთ-ერთი თავისი ჰეტეროსი ფილიპე დააყენა.

61. პოროსთან ბრძოლის შემდეგ მოკვდა ბუკეფალა, მაგრამ მაშინვე კი არა, არამედ ცოტა უფრო გვიან. უმრავლესობა ამბობს, ჭრილობების მკურნალობის დროს მოხდა ესო; ონესიკრიტეს ცნობებით კი ბუკეფალას სიკვდილის მიზეზი სიბერე და დაუძლურება იყო: ბუკეფალამ სული ოცდათი წლის ასაკში განუტევია. ამ ამბავ-

მა დიდად დაამწუხრა თურმე ალექსანდრე; იგი ფიქრობდა: ბუკეფალას სახით ცხენი კი არა, მახლობელი და მეგობარი დავკარგეო. მის სახელობაზე ალექსანდრემ ჰიდასპეს პირად ააშენა ქალაქი და სახელად ბუკეფალია უწოდა. მოგვითხრობენ აგრეთვე იმასაც, როცა მას საკუთარი ხელით გამოზრდილი და საყვარელი ძაღლი, სახელად პერიტა, მოუკვდა, ამ ძაღლის სახელობის ქალაქიც ააგო. სოტიონი ამბობს: ეს ლესბოსელი პოტამონისაგან გამიგონიათ[194].

62. პოროსთან ბრძოლამ მაკედონელები საშინლად მოქანცა და ინდოეთის სიღრმეში შეჭრის სურვილი სავსებით გაუქარწყლა. მათ ის იყო დიდი წვალების ფასად დაამარცხეს მეფე პოროსი, რომელმაც მაკედონურ მხედრობას ოცი ათასი ქვეითი და ორი ათასი ცხენოსანი მეომარი დაუპირისპირა, ამიტომაც საკმაოდ მედგრად ალუდგნენ წინ ალექსანდრეს, რომელიც ყოველგვარი ძალით ცდილობდა მდინარე განგზეც გადასულიყო. მაკედონელებს გაეგოთ, რომ ამ მდინარეს ოცდათორმეტი სტადიონი სიგანე[195] და ასი საჟენი სიღრმე ჰქონდა, ისიც შეიტყვეს, რომ გალმა ნაპირი დაფარული იყო უთვალავი ქვეითი ჯარით, ცხენოსანი მეომრებით და სპილოებით. ალექსანდრეს მხედრობაში ხმა დადიოდა: განდარიტთა და პრესიელთა[196] მეფენი მაკედონელთა დასახვედრად მზად არიან ოთხმოცი ათასი ცხენოსნით, ორასი ათასი ქვეითი მეომრით, რვა ათასი საბრძოლო ეტლითა და ომში გამოწვრთნილი ექვსი ათასი სპილოთოი. აქ გადაჭარბებული არაფერი იყო. მაგალითად, ანდროკოტემ, რომელიც ამ ამბების შემდეგ სულ მალე გამეფდა, სელევკეს აჩუქა ხუთასი სპილო, ექვსასი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარით გადაიარა ინდოეთი და მთელი ეს ქვეყანა დაიმორჩილა.

თავისი მხედრობით უკმაყოფილო, სიბრაზისაგან გაცეცხლებული ალექსანდრე კარავში ჩაიკეტა და დაწვა. მისი აზრით, მის მიერ აქამდე შესრულებულ საგმირო საქმეებს არავითარი ფასი აღარ ექნებოდა, თუ იგი განგზე არ გადავიდოდა. ეგონა, უკან დახევა თავის დამარცხებულად აღიარებას ნიშნავსო. მეგობრები მდგომარეობის შესაფერად ალექსანდრეს ნუგეშს სცემდნენ, ხოლო ჯარისკაცები ხმამაღალი ტირილით გროვდებოდნენ მისი კარვის წინ და ემუდარებოდნენ ესმინა მათი თხოვნა. ბოლოს და ბოლოს იგი მოლბა და უკან დახევის თადარიგს შეუდგა. ალექსანდრემ საკუთარი სახელის განდიდების მიზნით მრავალგვარ თვალთმაქცურსა და სოფისტურ ხერხს მიმართა[197]. ასე,

მაგალითად, მან ჩვეულებრივზე უფრო დიდი და მძიმე იარაღი, ცხენის ბაგები და მრავალი ლაგამი გააკეთებინა. ეს ყველაფერი ძირს მიმოფანტინა და იქ დატოვა. მანვე აუგო ღმერთებს ბომონები, რომელთაც დღემდე სცემენ თაყვანს განგზე გადმოსული პრესიელთა მეფენი და მათ ბერძნული ადათ-წესების მიხედვით სწირავენ მსხვერპლს.

ანდროკოტე ჯერ კიდევ ბალღი იყო, ალექსანდრე რომ ნახა. შემდეგში იგი ხშირად ამბობდა თურმე: ალექსანდრეს სულ ადვილად შეეძლო განგს გადაღმა მდებარე ქვეყნის დაპყრობა, ვინაიდან იმ ქვეყნის მეფე უზნეობისა და უგვარო ჩამომავლობის გამო ყველას ეზიზღებოდა და ეჯავრებოდაო[198].

63. ალექსანდრე აქედან გაემგზავრა იმ ზღვის სანახავად, რომელიც გარს ეკვრის ქვეყნიერებას[199]. ამისათვის გააკეთებინა აურაცხელი ნიჩბიანი ნავი, შეაკვრევინა ტივები და მათი საშუალებით ნელ-ნელა დაუყვა მდინარეებს[200]. ამ მოგზაურობის დროს ალექსანდრე უმოქმედოდ როდი იყო. გზადაგზა მედგარი ბრძოლების წარმოება უხდებოდა. ხშირად გადადიოდა ხმელეთზე, იერიში მიჰქონდა შემხვედრ ქალაქებზე და თითქმის სულ ყველას იპყრობდა; მაგრამ ეგრეთ წოდებულ მალების ქვეყანაში, სადაც, გადმოცემის მიხედვით, ინდოელთა შორის ყველაზე უფრო მეომარი ტომი ცხოვრობდა[201], კინაღამ არ აკუწეს. მან ისართა ტყორცნით მიმოფანტა თურმე ციხე-სიმაგრეში თავმოყრილი მტერი და სახელდახელოდ მიყუდებული კიბის საშუალებით პირველი ავიდა კედელზე. უცებ კიბე ჩატყდა; მტერი კიბის ძირში მოგროვდა და ალექსანდრეს, რომელსაც რამდენიმე მეომარი ახლდა, სეტყვასავით დაუშინა ისრები ქვევიდან. უკან დასახევი გზა აღარ იყო. ალექსანდრემ ძალა მოიკრიბა, კედელთან მოჯარული მტრების შუაგულში ჩახტა და, საბედნიეროდ, მაშინვე ფეხზე წამოდგა. როცა ის იარაღის ქნევით მტრისაკენ გაექანა, ბარბაროსებს ისე მოეჩვენათ, ალექსანდრეს ირგვლივ რაღაც სასწაულებრივი შარავანდედი აკიაფდაო. ამან ისინი დააფრთხო და დაიფანტნენ კიდეც; მაგრამ რა დაინახეს, მასთან ორი პირადი მცველის მეტი არავინ იყო, მიიჭრნენ ალექსანდრესთან, დასცხეს ხმლები და შუბები, დაულეწეს აბჯარი და, მიუხედავად იმისა, რომ იგი გააფთრებით იცავდა თავს, უამრავი ჭრილობა მიაყენეს. ერთ-ერთი ბარბაროსი ოდნავ მოშორებით დადგა, საშინელი სიმძლავრით დასჭიმა მშვილდი და ისეთი ძა-

ლით გამოსტყორცნა იქიდან ისარი, რომ ალექსანდრეს ჯავშანი გაუხვრიტა, ძუძუსთან გაუარა და მკერდის ძვალში შეიჭრა. საშინელმა ჭრილობამ ალექსანდრე იძულებული გახადა ცოტა უკან დახეულიყო. მას მუხლი მოეკვეთა და წელში მოიხარა. მშვილდოსანმა მტერმა ბარბაროსული ხმალი იშიშვლა და ახლა ისე გამოექანა მისკენ. მთავარსარდალს პევკესტა და ლიმნეოსი ამოეფარნენ ფარად, მაგრამ ორივე მძიმედ დაიჭრა, ერთ-ერთი მათგანი, ლიმნეოსი სიცოცხლესაც გამოესალმა.

პევკესტა გააფთრებით იგერიებდა მტერს, ხოლო ალექსანდრემ კიდევ მოიკრიბა ძალა და თავდამსხმელი ბარბაროსი მოკლა. ჭრილობებით მთლად დაცხრილულ მთავარსარდალს ბოლოს უშველებელი კეტი დაჰკრეს კისერში. ძალდაკარგული ალექსანდრე კედელს მიეყრდნო, მაგრამ პირისახე მაინც მტრისკენ მიჰმართა. ამასობაში კედლიდან მაკედონელი მეომრები ჩამოიჭრნენ, უკვე გრძნობამიხდილი მეფე მტერს ხელიდან გამოსტაცეს, აიყვანეს და კარავში შეიტანეს. მხედრობაში მყისვე გავარდა ხმა: ალექსანდრე მოგვიკლესო.

დიდი გაჭირვებისა და წვალების ფასად მოახერხეს მეფის მკერდში მოხვედრილი ხის ისრის გადახერხვა. მერმე ძლივძლივობით გაუხსნეს ალექსანდრეს ჯავშანი და ძვალში შეჭრილი ისრის წვერის ამოღებას შეუდგნენ. როგორც ამბობენ, ისრის ეს წვერი სამი თითისოდენა სიფართოვისა და ოთხი თითისოდენა სიგრძის იყო თურმე. მისი ამოცლის დროს ალექსანდრეს რამდენჯერმე წაუვიდა გული და სიკვდილს მიუახლოვდა, მაგრამ როგორც კი ამოაცალეს, მაშინვე გამოცოცხლდა. საფრთხემ, მართალია, განვლო, მაგრამ იგი კიდევ დიდხანს იყო სუსტად, დიდხანს ფარეზობდა და მკურნალობდა.

ერთ დღეს გაიგონა, მისი კარვის კართან მაკედონელები ხმაურობდნენ და მის ნახვას თხოულობდნენ. მან მაშინვე მოიგდო ტანზე წამოსასხამი და მხედრობას წარუდგა: მერმე მსხვერპლი შესწირა ღმერთებს და კვლავ გზა გაგრძელა. გზადაგზა მთელ რიგ ქვეყნებსა და მრავალ დიდ ქალაქს იპყრობდა.

64. ერთხელ ალექსანდრემ დაატყვევა ათი გიმნოსოფისტი, რომლებმაც ყველაზე უფრო მეტად წააქეზეს საბა ალექსანდრეს განდგომოდა და მაკედონელებს ამით ბევრი ვნება მიაყენეს[262]. ეს გიმნოსოფისტები ფრიად სახელგანთქმული იყვნენ იმით, რომ კითხვებზე მეტად მოსწრებულ და სხარტ პასუხებს იძლეოდნენ. ალექსანდრემ მათ

რამდენიმე ძნელი კითხვა შესთავაზა და თან დაუმუქრა: პირველ თქვენგანს, თუ სწორად ვერ მიპასუხა, სიკვდილს მივაცემინებ, მერმე კი ცუდი პასუხისათვის რიგრიგობით დანარჩენებსაც ასეთი ბედი მოგელითო; ყველაზე უხუცეს გიმნოსოფისტს ალექსანდრემ უბრძანა მხაჯულის მოვალეობა შეესრულებინა.

პირველს ასეთი კითხვა მისცა:

— როგორ გგონია, ცოცხლები უფრო მეტია სამყაროში თუ მკვდრები?

გიმნოსოფისტმა უპასუხა:

— ცოცხალნი, რამეთუ მკვდარნი არღა არიან უკვე.

მეორეს ჰკითხეს:

— დედამიწა ზრდის უფრო დიდ-დიდ ნადირებს თუ ზღვა?

— დედამიწა, — უპასუხა ამან, — რამეთუ ზღვაჲ ნაწილ არს მიწისა.

მესამე გიმნოსოფისტს ასეთი კითხვა მისცა ალექსანდრემ:

— რომელი ცხოველია ყველაზე უფრო მოხერხებული?

— ის ცხოველი, რომელიც დღემდე უცნაური არს ადამიანისთვისო, — იყო პასუხი.

მეოთხემ კითხვაზე, თუ რა მოსაზრებით აამხედრა მან საბა, ასეთი პასუხი გასცა:

— მეწადა, რათა პატივით ეცხოვრა მას ქვეყანასა ზედა ან სახელოვნად მომკვდარიყო.

მეხუთეს ასეთი კითხვა მისცეს:

— როგორ ფიქრობ, რომელი უფრო უწინ იყო, დღე თუ ღამე?

— დღე იყო უწინარეს ღამისა ერთი დღით, — უპასუხა ამან და, მეფის განცვიფრება რომ შენიშნა, დაუმატა: უცნაურ კითხვებზე პასუხებიც უცნაური უნდა იყოსო.

ახლა მეექვსეს მიუბრუნდა ალექსანდრე და შეეკითხა:

— ყველაზე უფრო რა საშუალებით შეუძლია კაცს სხვების სიყვარული დაიმსახუროს?

— იმით, — უპასუხა გიმნოსოფისტმა, — თუ ეს კაცი თავის ძლიერებასთან ერთად საშიში არ იქნება.

დანარჩენ სამ გიმნოსოფისტთაგან ალექსანდრემ ერთ-ერთს ჰკითხა: როგორ შეიძლება ადამიანი ღმერთი გახდესო? მას უპასუხეს: — თუ ისეთ რასმე გააკეთებს, რის ქმნაც ადამიანს არ ძალუძსო. შემ-

დეგმა გიმნოსოფისტმა კითხვაზე, თუ რა უფრო ძლიერია, სიცოცხლე თუ სიკვდილი? ასე უპასუხა: — სიცოცხლე, რამეთუ ურიცხვ უბედურებასა და ჭირს იტანსო. უკანასკნელ გიმნოსოფისტს ალექსანდრემ ჰკითხა: როდემდე უნდა იცოცხლოს ადამიანმაო? ამან უპასუხა: — მანამდე, სანამ იგი სიკვდილს არ ამჯობინებს სიცოცხლესო.

ამ პასუხების მიღების შემდეგ ალექსანდრე მსაჯულად არჩეულ გიმნოსოფისტს მიუბრუნდა და უბრძანა თავისი აზრი გამოეთქვა; ამანაც თავის მხრივ განაცხადა: ერთიმეორეზე უარესად პასუხობდნენო. „მაშ, კარგი, — უყვირა მას ალექსანდრემ, — რაკი ასე რიგად გამოგაქვს მსჯავრი, ყველაზე პირველად შენ მოკვდებიო!“ „არამც და არამც, მეფეო, — უპასუხა იმან, — თუ შენ სიტყვას არ გადაუხვევ; შენ აკი თქვი, პირველად იმას მოვაკვლევინებ, ვინც ყველაზე ცუდად მიპასუხებსო?“

65. ალექსანდრემ ეს ინდოელები დაასაჩუქრა და გაათავისუფლა კიდეც; მერმე კი ყველაზე უფრო სახელგანთქმულ გიმნოსოფისტებთან, რომლებიც თავისთვის მშვიდად ცხოვრობდნენ, თხოვნით გაგზავნა ონესიკრიტე, რათა მასთან მისულიყვნენ. ეს ონესიკრიტე დიოგენე კინიკოსის სკოლის ფილოსოფოსი იყო. როგორც ამბობენ, კალანემ ფრიად უკმეხად მიიღო იგი და კადნიერი ხმით უბრძანა თურმე ტანისამოსი გაეხადა და საუბარი გატიტვლებულს მოესმინა: სხვაგვარად კი ერთ სიტყვასაც არ დავძრავ შენთან, თუნდაც ზევსისაგან იყო მოგზავნილიო. რაც შეეხება დანდამისს, იგი უფრო ზრდილობიანად შეხვდა ონესიკრიტეს და, როცა მისგან მოისმინა საუბარი სოკრატეს, პითაგორასა და დიოგენეს შესახებ, ასე თქვა თურმე: „ეს ვაჟკაცები, ჩემი აზრით, ბრწყინვალე ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი, მაგრამ ისე გაატარეს თავიანთი სიცოცხლე, რომ კანონებს მეტისმეტად სცემდნენ თაყვანსო“. სხვები კი გადმოგვცემენ, დანდამისს არაფერი არ უთქვამს ონესიკრიტესთვის, გარდა იმისა, რომ ჰკითხა: „რის გულისთვის გამოიარა ალექსანდრემ ასე შორი გზა და რატომ მოვიდა ჩვენთანო 2039?“

სხვათა შორის, ტაქსილემ დაითანხმა, როგორც იქნა, კალანე, ალექსანდრესთან მისულიყო. მისი ნამდვილი სახელი იყო სფინე; მაგრამ რაკილა იგი შემხვდურებს ინდურ ენაზე ესალმებოდა და ბერძნული „ხაირეინის“ ნაცვლად „კალეს“ ეუბნებოდა, ბერძნებმა კალანე შეარქვეს. კალანემ, როგორც ამბობენ, ალექსანდრეს მისი სამეფოს

სურათი შემდეგნაირად წარმოუდგინა თურმე: მიწაზე საქონლის გამ-
ხმარი, გამოუქნელი ტყავი დააგდო და მის ერთ კიდეს ფეხი დააჭირა.
სიმძიმისაგან ტყავის ეს ნაწილი უძრავად გაეკრა მიწას, სამაგიეროდ
დანარჩენი ნაწილები ალიმართა ზევით. იმის დასამტკიცებლად, რომ
მუდამ ასე მოხდებოდა, კალანემ გარშემოუარა მთელ ტყავს. იგი მის
ყოველ კიდეს ფეხს აჭერდა და თან ალექსანდრეს სხვა ზეალმართულ
კიდეებზე უთითებდა. ბოლოს კალანემ ტყავის შუაგულს დაადგა ფე-
ხი მტკიცედ და ტყავმაც ამჯერად მთლიანად შეწყვიტა მოძრაობა
და მიწას გაეკრა. ამ სურათით კალანეს სურდა ეჩვენებინა, რომ სა-
ჭირო იყო ალექსანდრეს ფეხი მტკიცედ მოეკიდებინა სამეფოს შუა-
გულში და მისგან ასე შორს არ წასულიყო.

66. მდინარეთა დაყოლებით ზღვისკენ [204] ცურვას შვიდი თვე დას-
ჭირდა. ბოლოს ალექსანდრე თავისი ფლოტით ოკეანეში გავიდა და
მიადგა იმ კუნძულს, რომელსაც თვითონ სკილუსტიისს ეძახის. სხვები
კი ფსილტუკისს უწოდებენ [205]. აქ ალექსანდრე ხმელეთზე გადმოვიდა,
ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და რამდენადაც შესაძლებელი იყო,
გაიცნო იქაური ზღვისა და მისი სანაპიროს თავისებურება. ამის შემ-
დეგ მხურვალედ შეევედრა ღმერთებს, რომ მის შემდეგ არც ერთ
მოკვდავს არ გადაელახა ის მიჯნა, რომელსაც მან თავისი ლაშქრით
მიაღწია. მერმე უკან გამობრუნდა და ფლოტს უბრძანა ისე ეცურა,
ინდოეთის სანაპირო ხელმარჯვნივ ყოფილიყო. ფლოტის წინამძღო-
ლად დანიშნა ნეარქე. ხოლო მესაჭეთუფროსობა ონესიკრიტეს მიან-
დო. თვითონ კი ხმელეთით წავიდა და ორიტების მხარე [206] გაიარა.
გზად ფრიად უკიდურესი გაჭირვება გადაიტანა და დიდძალი ხალხი
დაკარგა. ალექსანდრეს ინდოეთიდან მეოთხედი ნაწილიც კი არ გა-
მოუყვანია თავისი საომარი ძალებისა, რომელიც ლაშქრობის დაწყე-
ბის ჟამს ას ოც ათას ქვეით მეომარს და თხუთმეტ ათასამდე ცხენო-
სანს მოითვლიდა. ათასგვარმა მძიმე ავადმყოფობამ, ცუდმა საკვებმა,
საშინელმა სიცხემ და უმთავრესად შიმშილმა მხედრობის დიდი ნაწი-
ლი შემუსრა. ალექსანდრეს მეომრები მოხვდნენ სავსებით მწირ და
უნაყოფო მხარეში, რომლის მკვიდრნიც საშინლად ღატაკად ცხოვ-
რობდნენ: მათ ჰყავდათ მცირეოდენი და ისიც უგარგისი ცხვარი, რო-
მელიც ზღვის თევზით კვებას იყო ნაჩვევი და ამიტომ ხორცი საძაგე-
ლი და მყრალი ჰქონდა. სამოც დღეში ძლივძლივობით გაიარა ალექ-
სანდრემ ეს მხარე და ბოლოს გედროსიას მიაღწია [207]. აქ კი მახლო-

ბელი სატრაპებისა და აქაური მეფეების ბეჯითობის წყალობით მყისვე ყველაფერი უხვად იშოვა.

67. გედროსიაში ალექსანდრემ მხედრობა შეასვენა და მერმე დიდი ზარ-ზეიმით შვიდ დღეში კარმანია გაიარა[208]. მთავარსარდალი ნელნელა მიჰყავდა რვაცხენიან ეტლს; ახლო მეგობრებთან ერთად იგი მაღალსა და ყოველმხრივ საჩინო ოთხკუთხა ფიცარნაგზე დადგმულ საკარცხულზე იჯდა და დღედაღამ განუწყვეტელი ლხინით მიემართებოდა წინ. უკან აურაცხელი ეტლი მისდევდა; ზოგ მათგანს მეწამული ან ჭრელი ფარდაგები ჰქონდა გადახურული, ზოგი კი სულ ნორჩი, მწვანე შტოებით იყო დაჩრდილული. ამ ეტლებს მოჰყავდათ ალექსანდრეს დანარჩენი მეგობრები და მხედართმთავრები; ისინი გვირგვინებით იყვნენ შემკულნი და გზადაგზა ღვინოს შეექცეოდნენ. აქ კაცი ვერც ფარს დაინახავდა, ვერც ზუჩ-მუზარადსა და მაკედონურ შუბს; მეომრები მთელი გზის მანძილზე შეიარაღებულნი იყვნენ ჯამფიალებით, საღვინე თასებითა და დოქებით; ისინი ვეებერთელა კასრებიდან და კრატერებიდან განუწყვეტლივ ისხამდნენ ღვინოს და ერთმანეთის სადღეგრძელოს სვამდნენ; ერთნი წინ მიდიოდნენ და ისე სცლიდნენ თასებს, მეორენი კი ძირს სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მხარ-თეძოზე წამოწოლილნი შეექცეოდნენ სასმელს. სალამურისა და ფლეიტის წკრიალა ხმები, ჩანგზე აყოლებული სიმღერები და ბახუსით შეზარხოშებული ქალების ცეკვა-თამაში მთელ არემარეს მოედო. ბახუსით გათამამებული, თავის ნებაზე მიშვებული და ყოველგვარი მხედრული წესრიგის გარეშე მიმავალი ლაშქარი ისე თავაწყვეტილად იქცეოდა, კაცი იფიქრებდა, ამ მხიარული ღრეობის მონაწილე თვითონ ღმერთი დიონისე არისო.

გედროსიის სამეფო სასახლეში რომ მივიდა, ალექსანდრემ კვლავ შეასვენა მხედრობა და ახალი ზეიმი მოაწყო. როგორც ამბობენ, ალექსანდრე საკმაოდ შეზარხოშებული უყურებდა აქ გამართულ საფერხულო გუნდების შეჯიბრს, რომელშიც გამარჯვება ერთ-ერთი გუნდის ხელმძღვანელმა და ალექსანდრეს საყვარელმა ბაგოასმა მოიპოვა. ჩინებული სამოსელით მოკაზმულმა ბაგოასმა მერმე თეატრი გაიარა და მეფეს გვერდზე მიუჯდა: მაკედონელებმა რომ ეს იხილეს, ტაშისკვრა და ღრიანცელი ატეხეს და ალექსანდრეს სთხოვეს ბაგოასისთვის ეკოცნა; ისინი მანამდის არ დაწყნარდნენ თურმე, სანამ ალექსანდრემ ბაგოასი არ გადაკოცნა.

68. აქ, გედროსიაში, ალექსანდრეს შეუერთდა ნეარქეც თავისი ფლოტით, რამაც მთავარსარდალი მეტად გაახარა. როცა ნეარქეს მოგზაურობის ამბები მოისმინა, გადაწყვიტა დიდი ფლოტით თვითონვე დაპყოლოდა ევფრატს ქვევით, მერმე არაბეთისა და ლიბიისათვის შემოევლო და ჰერაკლეს სვეტების საშუალებით ღია ზღვაში შეცურებულიყო. მართლაც, თაფსაკში[209] მრავალგვარი ხომალდი ააგეს და ალექსანდრესთან ყოველმხრივ მოზღვავდნენ მეზღვაურები და მესაჭენი. მაგრამ ინდოეთში ჩატარებულმა დიდმა ლაშქრობამ, მალების ქვეყანაში მიღებულმა ჭრილობამ, მხედრობის დიდი ნაწილის დაღუპვის თაობაზე გავრცელებულმა ხმებმა და იმ იმედის დაკარგვამ, რომ ალექსანდრე უკან კეთილად დაბრუნდებოდა, ხელი შეუწყო იმას, რომ დაპყრობილი ხალხები აჯანყებულიყო; ხოლო ალექსანდრეს სარდლებსა და სატრაპებს საბაბი მიეცათ მრავალი უსამართლობა ჩაედინათ და დაუცხრომელი სიხარბე და ქედმაღლობა გამოეჩენინათ. მღელვარება და ალექსანდრეს მონარქიის დაქუცმაცების ცდა საგრძნოდ ყველგან დაიწყო. ოლიმპიადა და კლეოპატრა, მაგალითად, ანტიპატრეს განუდგნენ და საშეფო გაინაწილეს. ოლიმპიადამ ეპირი ფიიღო, კლეოპატრამ კი მაკედონია. ალექსანდრემ რომ ეს შეიტყო, ასე თქვა თურმე: „დედაჩემი ფრიად ჭკვიანად მოქცეულა; მან იცის, მაკედონელები დედაკაცის მმართველობის ქვეშ ყოფნას ვერ აიტანენო“[210].

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო ალექსანდრემ ნეარქე ხელახლა გაისტუმრა ზღვისკენ იმ გადაწყვეტილებით, რომ მთელი სანაპირო მხარე საომარ მდგომარეობაში ჩაეყენებინა, თვითონ კი ზემო აზიიდან ქვევითკენ დაეშვა და უკეთური სტრატეგოსების დასჯა დაიწყო. აბულეტეს[211] ერთ-ერთი შვილი ოქსიარტე საკუთარი ხელით განგმირა მაკედონური შუბით. აბულეტემ, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა სურსათის მომზადება, დავალება არ შეასრულა და ალექსანდრეს სამი ათასი ტალანტის ლითონის ფული მიართვა მხოლოდ. ალექსანდრემ ბრძანა ეს ვერცხლის ფული ცხენებისათვის დაეყარათ; როცა ცხენებმა ფულს პირიც არ დააკარეს, ალექსანდრემ აბულეტეს შეჰყვირა: „რა სარგებლობას მოგვიტანს ჩვენ შენი ეს წყალობაო?“ და აბულეტე საპყრობილეში ჩასვა.

69. მივიდა თუ არა ალექსანდრე პერსიდაში, უწინარეს ყოვლისა, აჭაურ მეფეთა წესის მიხედვით ქალებს ფული დაურიგა. სპარსთა

მეფეებს წესად ჰქონდათ, როცა კი მივიდოდნენ პერსიდაში, თითოეული ქალისათვის ერთი ოქრო მიეცათ. როგორც ამბობენ, სწორედ ეს ჩვეულება იყო იმის მიზეზი, რომ ზოგიერთი მეფე იშვიათად მიდიოდა იქო; ხოლო მეფე ოხოსი[212] ერთხელაც არ ყოფილა თურმე პერსიდაში და სიძუნწის წყალობით თავისი თავი საკუთარ სამშობლოში უცხოელი გახადა. შემდეგ ალექსანდრემ კიროსის საფლავი მოინახულა, როცა დაინახა გაძარცული და გადათხრილი საფლავი. ამ მკრეხელობის ჩამდენი სიკვდილს მიაცემინა, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე, სახელად პოლიმაქე პელას[213] საკმაოდ წარჩინებული მოქალაქე გახლდათ. ალექსანდრემ საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერა წაიკითხა და ბრძანება გასცა ამ წარწერის ქვეშ მისი ბერძნული თარგმანიც ამოეჭრათ. წარწერა ასეთი იყო: „ადამიანო, ვინც არ უნდა იყო შენ და საიდანაც არ უნდა იყო მოსული — რომ მოხვალ კი, მე ამაში დარწმუნებული ვარ — იცოდე, მე ვარ კიროსი, სპარსთა ბატონობის დამფუძნებელი. ამიტომაც ნუ შეგშურდება ეს ერთი პეშვი მიწა, სხეულს რომ მიფარავსო“. ამ წარწერამ ფრიად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ალექსანდრეზე და ღრმად დააფიქრა იგი ადამიანის ბედის გაურკვევლობასა და წარმავლობაზე.

აქ, პერსიდაში, ფილოსოფოსმა კალანემ, რომელსაც მცირე ხანს კუჭის ტკივილები აწუხებდა, მოითხოვა მისთვის კოცონი დაენთოთ. მის თხოვნა შეუსრულეს და კოცონთან ცხენით მიიყვანეს. კალანე ჯერ ღმერთებს შეევედრა, მერმე თავისი სულისათვის ზეადაშე დაუტეხია მათ და ერთი ბღუჯა საკუთარი თმაც შესწირა. შემდეგ კოცონზე ავიდა, იქ დამსწრე მაკედონელებს გამოემშვიდობა და სთხოვა მთელი ის დღე მხიარულად გაეტარებინათ და მეფესთან ერთად ელხინათ. მას მაკედონელებს უთხრა: თქვენ მეფეს მცირე ხანში ბაბილონში ვნახავთ[214]. თქვა თუ არა ეს, კალანე წამოსასხამში გაეხვია და კოცონზე გაწვა. ცეცხლი უკვე მიუახლოვდა, მაგრამ კალანე არც განძრეულა, რა მდგომარეობაშიც იწვა, იგივე შეინარჩუნა და ამგვარად, თავის სამშობლოს ბრძენთა ძველი ადათის მიხედვით, საკუთარი თავი მსხვერპლად შესწირა. მრავალი წლის შემდეგ ასევე მოიქცა ათენში მეორე ინდოელიც, რომელსაც კეისართან ჰქონდა თურმე ნაცნობობა. სხვათა შორის, მის ძეგლს დღემდე გვიჩვენებენ და მას ინდოელის საფლავის ძეგლს ეძახიან.

70. დაიწვა თუ არა კალანემ თავი, ალექსანდრე უკან დაბრუნდა

და საგანგებოდ გამართულ ვახშამზე მრავალი მეგობარი და სარდალი მიიწვია. მან აქ შეჯიბრი გააჩაღა ღვინის სმაში და გამარჯვებულისათვის ჯილდოდ გვირგვინი დაადგინა. ყველაზე მეტი დალია პრომაქემ; მან ოთხი ვეებერთელა ფიალა დასცალა და ჯილდოდ ერთ ტალანტად ღირებული გვირგვინი მიიღო. სამაგიეროდ, მხოლოდ სამი დღეღა იცოცხლა. შეჯიბრში მონაწილე სხვა პირთა შორის, როგორც ქარესი ამბობს, სიმთვრალისაგან ორმოცდაერთი კაცი დაიღუპა; ამას ხელი შეუწყო იმ ამბავმა, რომ ამ თავაწყვეტილ ღრეობას ზედ საშინელი სიცივე დაერთო.

სუზაში ალექსანდრემ მეგობრებს ქორწილი მოუწყო. თვითონ ცოლად შეირთო დარიოსის ასული სტატირა, ხოლო წარჩინებული მაკედონელები სპარსთა უმშვენიერეს ქალებზე დააქორწინა. გარდა ამისა, უკვე წინათ დაქორწინებულ მაკედონელებს საერთო ჩინებული ლხინი გადაუხადა. ამბობენ, ამ ღრეობაზე დაპატიჟებული იყო ცხრა ათასი კაცი და ალექსანდრემ თითოეულ მათგანს საჩუქრად დიდი ოქროს სამსხვერპლო თასი უბოძა. მან ამ დროს სხვა საკვირველი გულუხვობაც გამოიჩინა თურმე. სახელდობრ, თვითონ გადაუხადა მევალეებს ყოველი მოვალე მაკედონელის სესხი. ამაში დახარჯულმა თანხამ ცხრა ათას რვაას სამოცდაათ ტალანტს მიაღწია.

ცალთვალა ანტიგენე ტყუილად ჩაეწერა თურმე მოვალეთა სიაში და ფულის გასაცემ მაგიდასთან ვიღაც კაცი მიიყვანა, რომელიც დაჟინებით ამბობდა, ანტიგენეს ნამდვილად მართებს ჩემი ფულიო. ანტიგენემ, რა თქმა უნდა, მიიღო ვითომ ვალში გადასახდელი ფული, მაგრამ მერმე ტყუილში დაიჭირეს. მეფე განრისხდა, ანტიგენე სასახლიდან გააძევა და სარდლობაც აღუკვეთა. ეს ანტიგენე საომარ საქმეებში ფრიად სახელმოხვეჭილი კაცი გახლდათ. ფილიპე მაკედონელმა რომ პერინთოს[215] ალყა შემოარტყა, ანტიგენე ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო. მას აქ კატაპელტედან[216] გამოტყორცნილი ისარი მოხვდა თვალში, მაგრამ არავის არ დაანება თვალიდან ისრის ამოღება და მანამდის არ შესწყვიტა ბრძოლა, სანამ არ აოტა მტერი და ქალაქის კედლებში არ ჩაკეტა. ახლა პატივის ასე აყრამ მძიმედ იმოქმედა მასზე. აშკარა იყო, დარდისა და ნაღველისაგან თავს მოიკლავდა. მეფეს შეეშინდა ამის, მოლბა და ანტიგენეს ნება დართო ფული დაეტოვებინა.

71. ის ოცდაათი ათასი ყრმა, ალექსანდრემ რომ გასაწვრთნელად

და ბერძნული განათლების მისაღებად დატოვა აქ, უკვე დავაყაბულ-ბული ჩანდნენ. ვარჯიშობის დროსაც სიმკვირცხლესა და საკვირველ სიმჩატეს ამჟღავნებდნენ. ალექსანდრეს ეს ფრიად ესიამოვნა, მაგრამ მაკედონელებში ამან სასოწარკვეთილება გამოიწვია, ვაითუ მოგვაკ-ლოს მეფემ ყურადღება და მზრუნველობა ჩვენო. ამიტომ, როცა ალექსანდრემ დაუძლურებული და დასახიჩრებული მეომრების სახ-ლებში დასაბრუნებლად მათი ზღვის სანაპიროზე გაგზავნა მოინდომა, მაკედონელებმა ბუზღუნი დაიწყეს: ეს ჩვენი შეურაცხყოფა და შე-გინება არისო; მეფემ ჩვენ დაუზოგველად გამოგვიყენა ყოველი მხრივ და ახლა ასე სამარცხვინოდ თავიდან გვიშორებს და გვაგდებს სამ-შობლოში ჩვენს მშობლებთან, რომელთაგანაც ჩვენი თავი ასეთ მდგომარეობაში როდი ჩაიბარაო; მაშ ყველა მაკედონელი გაუშვას შინ მეფემ, როგორც უძლური ხალხი; მაშ, ჰყავდეს ეს მოცეკვავე ლაწირაკები და მათთან ერთად გაემართოს სამყაროს დასაპყრო-ბადო

ამ სიტყვებმა ალექსანდრე გააბრაზა; განრისხებულმა მეფემ სას-ტიკად გალანძღა მაკედონელები, გარეკა ისინი, პირადი მცველობა სპარსებს გადასცა და მათგანვე შეარჩია შუბოსნები და სამეფო კვერ-თხის მატარებელნი. რა დაინახეს მაკედონელებმა, მათ მეფეს გარს სპარსები ეხვეოდნენ, თვითონ კი თავიდან მოცილებულნი და დამცი-რებულნი იყვნენ, უკან დაიხიეს. მერმე ერთმანეთს შორის განსაჯეს ყველაფერი და იგრძნეს, რომ შურმა და რისხვამ ლამის გააცოფათ. ბოლოს მოილაპარაკეს თუ არა ერთმანეთში. უიარაღოდ და ქიტო-ნების ამარა გოდებითა და ტირილით მეფის კარავთან მივიდნენ: „შენს ხელთა ვართ, მეფეო, ისე მოგვექეცი, ვითარცა უკეთურ და უმადურ ხალხსო". ალექსანდრე, მართალია, ცოტათი მოლბა, მაგრამ ისინი ახლოს მაინც არ შიიკარა. მაკედონელები ორი დღისა და ღამის განმავლობაში არ მოშორებიან მის კარავს, განუწყვეტლივ ტიროდნენ და ხელმწიფეს უხმობდნენ. მესამე დღეს ალექსანდრე გარეთ გამო-ვიდა; დაჩაჩანაკებული და სასოწარკვეთილი მაკედონელები რომ დაი-ნახა. თვითონაც ატირდა და დიდხანს ღვრიდა ცრემლებს. მერმე ლმობიერი საყვედურით მიმართა მათ და მამაშვილურად დაარიგა. ბოლოს დაუძლურებული მეომრები გულუხვად დაასაჩუქრა, სამშობ-ლოში გაისტუმრა და ანტიპატრეს მისწერა, ისინი ყოველი შეჯიბრე-ბისა და სანახაობის დროს გვირგვინშემკულნი დაესვა ხოლმე პირველ

ადგილებზე. დაობლებულ ბავშვებს, რომელთა მამებიც ომში დაიღუპნენ, ჯამაგირი დაუნიშნა.

72. როცა ალექსანდრე მიდიის ქალაქ ეკბატანაში შევიდა, ძრათა-ეა სასწრაფო საქმეები და კვლავ სანახაობათა და დღესასწაულების გამართვა დაიწყო. ამ მიზნისათვის საბერძნეთიდან სამი ათასი ხელოვანი გამოუგზავნეს.

სწორედ იმ დღეებში ციებ-ცხელებით გახდა ავად ჰეფესტიონი. იგი, როგორც ახალგაზრდა და ბრძოლას ჩვეული კაცი, ექიმის დანიშნულ ფარეზობას ვერ იტანდა. ერთხელ, როცა მისი ექიმი გლავკოსი თეატრში წავიდა, საუზმეს მიუჯდა, შეჭამა ერთი მოხარშული მამალი და დიდი თასით ღვინოც დალია. ამან მისი მდგომარეობა გააუარესა და სულ ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც. ალექსანდრემ მწუხარებისაგან კინაღამ გონება დაკარგა. მან ბრძანა გლოვის ნიშნად ცხენებისა და ჯორებისათვის ფაფარი დაეჭრათ და ეკბატანას ირგვლივ მდებარე ქალაქების კედლებიდან ქონგურები გადმოენგრიათ. საბრალო ექიმი ალექსანდრემ ჯვარზე გაკრა, ბანაკში კი დიდიხნით აკრძალა ფლეიტაზე და საერთოდ ყოველგვარ საკრავზე დაკვრა და მანამდის არ გააუქმა ეს გადაწყვეტილება, სანამ ამონის წინასწარმეტყველება არ მიიღო. ამონი რჩევას აძლევდა ჰეფესტიონისათვის პატივი ეცა და ვით გმირისათვის, ისე შეეწირა ხოლმე მსხვერპლი.

მწუხარებაში ნუგეშის საპოვნელად ალექსანდრემ მიმართა ომს და ბრძოლის ველზე, ასე ვთქვათ, ადამიანებზე სანადიროდ გავიდა. მან დაიმორჩილა კოსეები[217] და ყველა დედაბუდიანად ამოყლიტა. ადამიანთა ამ შემუსვრას ალექსანდრემ ჰეფესტონის სულის მოსახსენიებელი მსხვერპლი უწოდა. მან განიზრახა ჰეპესტიონის ძეგლისათვის, დაკრძალვისა და სხვა სამკაულისათვის ათი ათასი ტალანტი გაეღო. ალექსანდრეს სურდა ჰეფესტიონის დაკრძალვა გაწეულ ხარჯზე უფრო დიდებული გამოსულიყო. ამის მისაღწევად ამჯობინა ყველა ხელოვანზე უფრო მეტად დაყრდნობოდა სტასიკრატეს[218], რომელიც იმედს იძლეოდა, რომ თავისი აქამდე უბადლო ხელოვნებით შექმნიდა საუცხოო, დიად და კადნიერს რასმე. ჯერ კიდევ მანამდე, როცა სტასიკრატე ალექსანდრეს შეხვდა, მთაეარსარდალს უთხრა, თრაკიის მთა ათონს ყველა მთაზე უკეთ შეუძლია მიიღოს ადამიანის გამოსახულება. „თუ შენ მიბრძანებო, — ეუბნებოდა, — ათონის მთას შენი სახელის უკვდავსაყოფად მარადიულ, ბრწყინვალე ძეგლად გადავაქცევ;

მარცხენა ხელი შენ შემოხვეული გექნება ათი ათასი კაცით დასახლებული ქალაქისათვის, ხოლო მარჯვენა ხელში გეპყრება ქალაპოტი წყალმრავალი მდინარისა, რომელიც თავის ტალღებს ზღვისკენ წარმართავსო". ალექსანდრემ სტასიკრატეს ამ წინადადებაზე მაშინ უარი თქვა; ახლა კი, ჰეფესტიონის დაკრძალვის დღეებში, მთელ დროს ხელოვნების ოსტატებთან ატარებდა და მათთან ერთად ფრიად უცნაურსა და დიდ ხარჯებთან დაკავშირებულ გეგმებს აწყობდა.

73. ალექსანდრეს, როცა ეკბატანიდან ბაბილონში მიდიოდა, კვლავ შეხვდა ნეარქე (იგი თავისი ფლოტით დიდი ზღვიდან ისევ ევფრატში შემოცურებულიყო). მან მთავარსარდალს აუწყა, რომ გზად შემოეყარა რამდენიმე ქალდეელი[219] და მათგან მიიღო რჩევა, ალექსანდრე ბაბილონს გაფრთხილებოდა. ალექსანდრემ ყურად არ იღო ეს და გზა განაგრძო. როცა ბაბილონის კედლებთან მივიდა, აურაცხელი ყვავი დაინახა. ყვავები ჩხუბობდნენ და ერთმანეთს კორტნიდნენ. რამდენიმე მათგანი მის წინ დაეცა. მცირე ხნის შემდეგ მას აუწყეს: „ბაბილონის მმართველმა აპოლოდორემ შენი ბედის გასაგებად მსხვერპლი შესწირაო". ალექსანდრემ მყისვე იხმო მკითხავი პითაგორა, რომელმაც დაადასტურა, ნამდვილად იყო ასეო. მთავარსარდალმა ჰკითხა, როგორი იყო მსხვერპლიო? პითაგორამ უპასუხა: ღვიძლი ჰქონდა დაზიანებულიო. გაიგონა თუ არა ეს, ალექსანდრემ გულისტკივილით შეჰყვირა: „ყოვლისშემძლე ღმერთებო, ეს ხომ ფრიად ცუდი ნიშანი არისო!"

პითაგორასათვის ალექსანდრეს ხელიც არ უხლია, ისე გაუშვა, მაგრამ ძალზე წუხდა იმას, რომ ნეარქეს არ დაუჯერა. იგი მთელ დროს ან ბაბილონის გარეთ გამართულ კარავში, ან კიდევ ევფრატზე მოგზაურობაში ატარებდა. მას მოსვენებას არ აძლევდა ცუდის მომასწავებელი ბევრი სხვა ნიშანიც. ბაბილონში გამოზრდილ ერთ-ერთ დიდსა და ლამაზ ლომს, მაგალითად, შინაური ეირი დაესხა თავს, ჭკრა წიხლი და სული გააცხებინა. ერთხელ სხეულის დასაზელად ალექსანდრემ ტანთ გაიხადა და მერმე ბურთის თამაში დაიწყო. მასთან მოთამაშე ყმაწვილებმა თამაშის დამთავრების შემდეგ მოინდომეს ტანისამოსი აეღოთ და მისთვის მიერთმიათ, მაგრამ დაინახეს, რომ ალექსანდრეს სამეფო სავარძელზე მდუმარედ იჯდა მეფის სამოსითა და დიადემით მოკაზმული უცნობი კაცი. როცა ვინაობა ჰკითხეს, იგი დიდხანს არ იძლეოდა პასუხს და დუმდა. ბოლოს, როგორც იქნა,

იკადრა ხმის ამოღება და განაცხადა, რომ მას სახელად ჰქვია დიონისე და წარმოშობით არის მესენელი, რომ რაღაც ბრალდების მიზეზით იგი ზღვის სანაპიროდან აქ მოიყვანეს და დიდხანს ბორკილებში იყო ჩაჭედილი; ამ ცოტა ხნის წინათ, — ამბობდა იგი, — მას გამოეცხადა სარაპისი [220], აჰყარა ბორკილები, მოიყვანა აქ და უბრძანა შემოსილიყო ამ ტანსაცმლითა და დიადემით, მერმე სავარძელზე დამჯდარიყო და ხმა არ ამოეღო.

74. როცა ალექსანდრემ ეს გაიგო, წინასწარმეტყველთა რჩევით ის კაცი სიკვდილს მიაცემინა; მაგრამ თვითონ სულის სიმშვიდე დაკარგა, ღვთის მიმართ ურწმუნო გახდა და მეგობრებს ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა. ყველაზე მეტად მას ანტიპატრესა და მისი შვილების ეშინოდა. ანტიპატრეს ერთი ვაჟი იოლა ღვინის მთავარ მნედ ჰყავდა მთავარსარდალს, ხოლო მეორე კასანდრე სულ ახლახან მოვიდა მაკედონიიდან მასთან. აი ამ კასანდრემ, როცა დაინახა, ზოგიერთი ბარბაროსი მიწაზე გართხმული ესალმებოდა მეფეს, თავი ვეღარ შეიმაგრა და საკმაოდ თავხედურად გადაიხარხარა, ვინაიდან მას, ვითარცა ბერძნულ ყაიდაზე აღზრდილ კაცს, უწინ ასეთი რამ არ ენახა. ალექსანდრე ამაზე საშინლად განრისხდა, კასანდრეს ორივე ხელი თმაში სტაცა და თავი კედელზე მიანარცხებინა. ერთხელაც, როცა კასანდრეს ანტიპატრეს ბრალმდებლების წინააღმდეგ უნდოდა რაღაც ეთქვა, ალექსანდრემ სიტყვა შეაწყვეტინა და უყვირა: „რას ამბობ? ეს ხალხი რომ შეურაცხყოფილი არ იყოს, განა მარტო ცილისწამების გულისათვის გამოიყვანდა ამოდენა გზასო?!“ კასანდრემ უპასუხა: სწორედ ეს ადასტურებს ამათ ცილისმწამებლობას; ესენი ასე შორს იმიტომ მოვიდნენ, რომ სიცრუეში არ იქნან მხილებულნიო. „ეგ,— მიუგო დაცინვით ალექსანდრემ, — ნამდვილი არისტოტელური სიტყვაჭახრაკობაა, რომელიც მამაშენის გასამტყუნებლადაც გამოდგება და გასამართლებლადაც, მაგრამ ვაი თქვენ, თუ ეს ხალხი ოდნავ შეურაცხყოფილი აღმოჩნდაო!“

ამბობენ, ალექსანდრეს ამ მუქარამ და მისდამი შიშმა წარუხოცელი დაღი დაასვა კასანდრეს სულს; დიდი ხნის შემდეგ, როცა აგი უკვე მაკედონიის მეფე და საბერძნეთის მბრძანებელი იყო, ერთხელ დელფოში სეირნობდა და ქანდაკებებს ათვალიერებდა. აქ ალექსანდრეს ქანდაკებაც დაინახა და უცებ ისეთი თავზარი დაეცა, მთელ

სხეულში ჟრუანტელმა დაუარა; ალექსანდრეს სახის ხილვამ კასანდრეს თავბრუ დაასხა და გონს ძლივსღა მოვიდა თურმე.

75. ალექსანდრე მაშინ ცრუმორწმუნეობას მიეცა და მუდამ მოუსვენრობასა და შიშში იყო. თუ უჩვეულო და უცნაურ რასმე შეამჩნევდა, თუნდაც სულ უმნიშვნელოს, სასწაულად და უბედურების მომასწავებლად თვლიდა. მისი სასახლე მსხვერპლის შემწირვლებით, ცოდვათაგან განმწმენდი ჭურუმებითა და წინასწარმეტყველებით აივსო. ღვთის რწმენის მიმართ უნდობლობა და ზიზღი მისდამი ისეთივე ბოროტებაა, როგორც ცრუმორწმუნეობა. ვითარცა წყალი, მუდამ რომ დაბლობისაკენ მიექანება, ისე ავსებს იგი ადამიანის სულს უგუნურებითა და შიშით. აი ასე დაემართა მაშინ ალექსანდრეს[221]. მაგრამ როცა ჰეფესტიონზე ღვთის მიერ მოგზავნილი წინასწარმეტყველება მიიღო, თავი ანება მწუხარებას და კვლავ საზეიმო მსხვერპლშეწირვა და ლხინი დაიწყო. ერთხელ ალექსანდრემ ჩინებული ღრეობა გამართა ნეარქესა და მის თანმხლებთა პატივსაცემად. ნადიმის დამთავრების შემდეგ ტანი განიბანა და დასაძინებლად უნდოდა ჩვეულებისამებრ წასვლა; მაგრამ ამ დროს მას შეუჩნდა მედიოსი[222] და დაითანხმა ახლა მასთან წასულიყო ლხინზე. ალექსანდრე წაჰყვა. იგი აქ იმ საღამოსაც და მეორე დღის განმავლობაშიც ღვინოს სვამდა. მას ჰერაკლეს თასი[223] ჯერ კიდევ არ ჰქონდა დალეული, რომ ხურვება აუვარდა და უცებ ისეთი ტკივილი იგრძნო ზურგში, თითქოს შუბი ჩასცესო. ასე აღწერენ ამ ამბავს ის პირნი, რომელთაც სურთ ფრიად მნიშვნელოვანს დასასრულიც დიადი და სამწუხარო ჰქონდეს. არისტობულე კი ამბობს, ალექსანდრეს საშინელი ციებ-ცხელება დააწყებინა და შეუწყვეტელი წყურვილი აუტყდა; წყურვილის მოსაკლავად ღვინო დალია; ამის გამო გონება დაკარგა და დესიოსის თვის ოცდამეათე დღეს გარდაიცვალაო.

76. სამეფო კარის დღიურებში ალექსანდრეს ავადმყოფობა შემდეგნაირად არის აღნუსხული:

დესიოსის დღის მეთვრამეტე დღეს აბანოში მეფეს ციებ-ცხელებამ ძალიან შეუტია და იქ დაიძინა.

მეორე დღეს მიიღო აბაზანა, დაბრუნდა თავის დარბაზში და მთელი ეს დღე მედიოსთან კამათლების თამაშში გაატარა. საღამოს კვლავ მიიღო აბაზანა, ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და კიდეც ივახშმა; მაგრამ ღამით ხურვებამ შეუტია.

დესიოსის ოცში, აბაზანის მიღების შემდეგ, ჩვეულებრივი მსხვერპლი შესწირა, მერმე საბაზანო ოთახში წამოწოლილი ნეარქესაგან მისი მოგზაურობისა და დიდი ზღვის[224] ამბებს ისმენდა. ასე გაატარა მეფემ ოცდაერთი დესიოსი, მაგრამ სიცხემ საშინლად აუწია და მთელი ღამე მძიმე მდგომარეობაში იყო.

მეორე დღეს ხურვებამ კვლავ მძლავრად შეუტია. იგი დიდ აბაზანასთან გადაიყვანეს და იქ დააწვინეს. აქ იგი საუბრობდა მხედართმთავრებთან მეთაურთა თავისუფალი ადგილების თაობაზე და ამ ადგილებზე გამოცდილი ხალხის დანიშვნას მოითხოვდა.

ოცდაოთხში ციებ-ცხელებამ კვლავ იმძლავრა. ალექსანდრე ხელში აიყვანეს და მსხვერპლი ისე შესწირა. დიდ-დიდ მხედართმთავრებს უბრძანა, სასახლეში დარჩენილიყვნენ, ხოლო ასისთავებს და ხუთასისთავებს[225] დაავალა ღამე ეზოში გაეტარებინათ.

ოცდახუთში იგი სასახლის მეორე ნაწილში გადაიყვანეს, სადაც ცოტა დაიძინა, მაგრამ ხურვება არ გამონელებია. როცა მასთან სარდლები მივიდნენ, უკვე ხმას ვეღარ იღებდა.

ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა მეფე ოცდაექვს დესიოსს. მაკედონელებს ეგონათ, უკვე მოკვდაო, და ამიტომ ყვირილით მიიჭრნენ სასახლის ჭიშკართან და მეფის მეგობრებს ემუქრებოდნენ. ისინი იძულებულნი გახდნენ მათთვის კარი გაეღოთ. მაკედონელებმა, ჭიტონების ამარა, თითო-თითოდ ჩაუარეს გვერდი მეფის სარეცელს.

ამავე დღეს პითონი და სელევკე გაგზავნეს სერაპისის ტაძარში, რათა გაეგოთ, ხომ არ იყო საჭირო ალექსანდრეს გადაყვანა ამ ტაძარში.

ღმერთმა ბრძანა, ალექსანდრე ადგილზე დაეტოვებინათ. ოცდარვაში, საღამო ჟამს, იგი გარდაიცვალა[226].

77. აქ მოყვანილი ამბის უმეტესი ნაწილი ასეა სიტყვასიტყვით დღიურებში აღწერილი. მაშინ არავის დაჰბადებია ეჭვი იმისა, რომ ალექსანდრე მოწამლეს; მაგრამ ექვსი წლის შემდეგ, დაბეზღების წყალობით, ოლიმპიადამ მრავალი კაცი გამოასალმა სიცოცხლეს, ხოლო უკვე მიცვალებული იოლას[227] ძვლები საფლავიდან ამოაყრევინა, იმან ჩაუსხა ალექსანდრეს სასმელში შხამი. ისინი, რომლებიც ამბობენ, ალექსანდრეს მოწამვლის რჩევა ანტიპატრეს არისტოტელემ მისცა და, საერთოდ, შხამი მისი წყალობით იქნა აზიაში მიტანილი, გადმოგვცემენ, ეს ამბავი გაავრცელა ვიღაც აგნოთემისმა, ვინც ეს თითქოს

ანტიგონე მეფისაგან მოისმინაო. საწამლავად გამოყენებული იყო ის ყინულივით ცივი წყალი, რომელიც ნონაკრიდის[228] მთიდან გადმოდისო. ამ წყლის წვეთებს ვირის ჩლიქში აგროვებენ თურმე, ვინაიდან ისეთი ცივია და მძაფრი, სხვა ჭურჭელში არ ინახავს, მყისვე შლის მას და იღვრება. საერთოდ უმრავლესობა ფიქრობს, ხმა ალექსანდრეს მოწამვლის შესახებ შეთხზულიაო. ამის დასადასტურებლად უმნიშვნელო როდია ის გარემოება, რომ ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ სარდლები ერთმანეთს წაეკიდნენ და ეს საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მეფის გვამი კი ამ დროს დაუკრძალავი იდო ცხელ, ჩახუთულ ადგილას. მიუხედავად ამისა, გვამს გახრწნის ოდნავი ნიშანიც არ ეტყობოდა, ისეთი წმინდა და ახალი ჩანდა.

სწორედ იმ ხანებში როქსანა ფეხმძიმედ გახლდათ და ამის გამო მაკედონელები დიდ პატივსა სცემდნენ. ის მუდამ ეჭვის თვალით შესცქეროდა სტატირას[229] და ახლა ყალბი წერილით მიიტყუა. მან სტატირა და ამისი დაი მოაკვლევინა; მათი გვამები ჭაში ჩაყარა და ჭა ამოავსებინა. ეს ამბავი იცოდა პერდიკამ და როქსანას ეხმარებოდა კიდეც. პერდიკამ სხვათა შორის მალე მოიპოვა საკმაოდ დიდი ძალა და თავის მხლებლად, თითქოსდა მეფე ყოფილიყო, დაატარებდა არიდეოსს, რომელიც ფილიპეს მდაბიო წარმოშავლობის შვილად ქალ ფილინესაგან შეეძინა.

არიდეოსის ჭკუასუსტობის მიზეზი ავადმყოფობა გახლდათ. ბუნებით გონიერული იგი არ ყოფილა და არც უმიზეზოდ დაემართია ეს სენი. პირიქით, ამბობენ, ბავშვობაში კარგი ხასიათისა და საქმეთა ნიჭის პატრონი ჩანდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ოლიმპიადამ სხვადასხვა შხამი ასვა, გონება აემღვრაო.

# გაიუს იულიუს კეისარი

1. როცა სულამ[1] გამარჯვება მოიპოვა, ვერც დაპირებებით და ვერც მუქარით ვერ შეძლო რომის ყოფილი ერთმმართველის ცინას ასული კორნელია კეისრისათვის დაეშორებინა[2]. ამის გამო სულამ კორნელიას მზითვი აღუკვეთა და სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. სულას მტრული განწყობილების მიზეზი კეისრის მიმართ მარიუსთან ნათესაობა გახლდათ. სახელდობრ, უფროსი მარიუსი კეისრის მამიდის, იულიას მეუღლე იყო, ისე რომ მისი ძე უმცროსი მარიუსი კეისარს მამიდაშვილად ხვდებოდა.

პირველ ხანებში ურიცხვ მკვლელობათა და მეტისმეტი მოუცლელობის გამო სულა კეისარს ყურადღებასაც არ აქცევდა. კეისარს აინუნშიაც არ ჩაუგდია ეს; მიუხედავად იმისა, რომ ჯერ სულ ახალგაზრდა იყო, საჯაროდ გამოვიდა და შეეცადა ქურუმის თანამდებობა მიეღო[3]. სულამ წინააღმდეგობა გაუწია ამ განზრახვას, ყველაფერი ისე მოაწყო, რომ კეისარი ამ საქმეში დამარცხდა. სულას მისი მოკვლაც კი უნდოდა. როცა ზოგიერთმა უთხრა, ასეთი ყმაწვილის მოკვლას არავითარი აზრი არა აქვსო, სულამ მათ ასე მიუგო: „ბრიყვები ყოფილხართ, თუ ვერ ხედავთ, რომ ამ ყმაწვილში მრავალი მარიუსი ზისო“.

ეს სიტყვები რომ კეისრის ყურამდე მივიდა, კეისარი საბინების მხარეში გადაიხვეწა და დიდხანს იქ იმალებოდა. შემდეგ კი, როცა ავადმყოფობის მიზეზით სახლიდან სახლში გადაჰყავდათ, ღამით ხელთ ჩაუვარდა სულას მეომრებს, რომლებიც იმ ადგილებს ზვერავდნენ და დამალულებს იჭერდნენ. კეისარმა მათი მეთაური კორნელიუსი ორ ტალანტად მოისყიდა, თავი დაიხსნა, დაუყოვნებლივ მიაშურა ზღვას და გაემგზავრა ბითვინიაში მეფე ნიკომედესთან[4]. კეისარმა მასთან მცირე ხანს დაჰყო და მერმე უკანვე დაბრუნდა; მაგრამ კუნძულ ფარ-

მაკუსასთან[5] ამჯერად ტყვედ ჩაუვარდა მეკობრეებს, რომელთაც იმ-ხანად უკვე დიდი ხომალდთკრებული ჰყავდათ და ამის წყალობით ზღვაზე მბრძანებლობდნენ.

2. როცა მეკობრეებმა თავის გამოსასყიდად კეისარს პირველად ოცი ტალანტი მოსთხოვეს, სიცილი დააყარა მათ: თქვენ არ გცოდ-ნიათ, ვინა გყავთ ტყვედ შეპყრობილიო, და, თავის მხრივ, ყაჩაღებს დაჰპირდა: ორმოცდაათ ტალანტს მოგცემთო. ამის შემდეგ თავისი კაცები კეისარმა სხვადასხვა ქალაქებში აფრინა ფულის საშოვრად, თვითონ კი მხოლოდ ერთი მეგობრისა[6] და ორი მსახურის თანხლებით ამ სისხლისმსმელ კილიკიელებთან დარჩა[7]. მიუხედავად ამისა, იგი ისეთი ზიზღით ეპყრობოდა მეკობრეებს, როცა კი დასვენებას მო-ისურვებდა, მსახურის პირით ბრძანებას აძლევდა ჩუმად ყოფილიყვ-ნენ. ოცდათვრამეტი დღე ისე გაატარა კეისარმა მათთან, თითქოს ტყვეობაში კი არა, პირადი მცველების მზრუნველობის ქვეშ იმყო-ფებოდა; იგი მეკობრეებს ფრიად უდარდელად ეხუმრებოდა და მათ-თან ერთად ვარჯიშობდა კიდეც. ხანდახან პოემებსა და სიტყვებს წერდა, მათ მოსასმენად ყაჩაღებს უხმობდა და, ვინც თავის განცვიფ-რებას არ გამოამჟღავნებდა, ყოველგვარი მორიდების გარეშე უზრდე-ლებსა და ბარბაროსებს ეძახდა, ხშირად კი სიცილით ემუქრებოდა: ყველას ჩამოგახრჩობთო. მეკობრეები ხალისით უსმენდნენ მას და ამ გულახდილობაში მისი უბრალო და მხიარული ხასიათის გამოვ-ლინებას ხედავდნენ.

მოვიდა თუ არა მილეტიდან[8] გამოსასყიდი თანხა, კეისარმა იგი გა-დაიხადა და თავისუფლება მიიღო. მერმე კი დაუყოვნებლივ აღჭურვა რამდენიმე ხომალდი და მილეტის ნავსადგურიდან ზღვის მაწანწალებს დაედევნა. მან მეკობრეებს მიუსწრო კუნძულთან, სადაც ჯერ კიდევ ღუზაზე იდგნენ, და უმრავლესობა შეიპყრო. მათი ქონება, როგორც ნადავლი, კეისარმა თვითონ მიისაკუთრა, ტყვედქმნილი მეკობრეები კი პერგამონის[9] საპყრობილეში ჩაკეტა. ამის შემდეგ გაემართა აზიის მმართველ იუნიუსთან, რომელსაც, ვითარცა პრეტორს, ვალად ედო ეს ტყვეები დაესაჯა; მაგრამ იუნიუსმა, ყაჩაღებისათვის წართმეულ ფულს რომ ხარბი თვალით უყურებდა (ეს თანხა ცოტა როდი იყო), კეისარს უთხრა, დატყვევებულ მეკობრეთა საქმეს მაშინ განვიხილავ, როცა დრო მექნებაო. მაშინ კეისარი გამოემშვიდობა იუნიუსს და თვითონვე მივიდა პერგამონში. მან ყაჩაღები საპყრობილიდან გამოი-

ყვანა და უკლებლივ ყველა ჯვარს აცვა, როგორც წინასწარ შეჰპირდა კუნძულზე, თუმცა მისი ნათქვამი მაშინ ყაჩაღებს ხუმრობა ეგონათ.

3. ცოტა ხნის შემდეგ, როცა სულას ძალაუფლება უკვე თანდათანობით შესუსტდა, მეგობრებმა კეისარს მოუწოდეს სამშობლოში დაბრუნებულიყო[10]; მაგრამ ივი ჯერ როდოსზე[11] გაემგზავრა მოლონის ძე აპოლონიოსის სკოლაში, რომელსაც, სხვათა შორის, ციცერონიც უსმენდა. ეს აპოლონიოსი ფრიად სახელოვანი მჭევრმეტყველი და უზადო ხასიათის კაცი იყო[12], როგორც ამბობენ, პოლიტიკურ მჭევრმეტყველებაში კეისარს საოცარი ბუნებრივი ნიჭიც ჰქონდა და ამ საქმეში ფრიად დაუცხრომლადაც ვარჯიშობდა; ამ მხრივ ყოველგვარი ეჭვის გარეშე მოიპოვა მეორე ადგილი. რაც შეეხება პირველ ადგილს, მრავალი საქმით გართულმა კეისარმა იგი ხელიდან გაუშვა, რამეთუ უფრო მეტად ძალაუფლებისა და იარაღში პირველობის მოპოვებას ესწრაფეზოდა. ლაშქრობათა და სახელმწიფო მოღვაწეობის მეოხებით მან მართლაც მოიპოვა ძალაუფლება, მაგრამ მჭევრმეტყველებაში სწორედ ამის გამო ვერ მიაღწია იმ მაღალ საფეხურს, რომლისაკენაც თანდაყოლილი ნიჭი უხმობდა. თვითონ კეისარიც, უფრო გვიან, ციცერონის მიერ კატონზე დაწერილი თხზულებების საწინააღმდეგო სიტყვაში მკითხველს სთხოვს, რომ იგი ნუ შეადარებს ჯარისკაცის სიტყვას იმ ნიჭიერი ორატორის მჭევრმეტყველებას, რომელმაც ამ საქმეში გაწაფვას ბევრი დრო მოანდომა[13].

4. დაბრუნდა თუ არა რომში, პროვინციაში ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის კეისარმა სამართალში მისცა დოლაბელა[14]. მის ბრალდებას თავისი მოწმობით საბერძნეთის მრავალმა ქალაქმა დაუჭირა მხარი. მიუხედავად ამისა, დოლაბელა გამართლდა. ბერძენთა პატივისცემა რომ გადაეხადა, კეისარმა ხელი მოკიდა იმ საქმეს, რაც მათ მაკედონიის პრეტორ მარკუს ლუკულუსთან[15] აღძრეს პუბლიუს ანტონიუსის წინააღმდეგ[16], რომელსაც ბრალად სდებდნენ მექრთამეობას. კეისარი ისე თავგამოდებით შეუდგა ამ საქმეს, რომ ანტონიუსმა საჩივრით მიმართა სახალხო ტრიბუნებს: აქ, საბერძნეთში, ბერძნებთან მიუკერძოებელი სამართალი ვერ ვპოვეო.

თვისი ჩინებული დასაცავი სიტყვებით კეისარმა რომში ფრიად ბრწყინვალე სახელი მოიხვეჭა. ამავე დროს, თავაზიანობით და მეგობრული ალერსიანობით, რაც მისი ასაკისათვის დიახაც საკვირველ-

ლი. გახლდათ, მდაბიო ხალხში დიდი სიყვარული მოიპოვა. მისი ნადიმები, საუცხოო სუფრები, ერთი სიტყვით, ხელგაშლილი და ნებიერი ცხოვრება თანდათანობით ზრდიდა მის ძალასა და წონას სახელმწიფოში.

კეისრის მოშურნენი პირველ ხანებში ფიქრობდნენ: შემოეხარჯება თუ არა ქონება, ძალაც მყისვე გაუქრებაო, — და მის მზარდ გავლენას ხალხში ყურადღებასაც არ აქცევდნენ; მაგრამ შერმე, საკმაოდ გვიან, როცა ეს ძალა ისე გაიზარდა, წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა და აშკარად მიისწრაფოდა სახელმწიფო გადატრიალებისაკენ, ისინი მიხვდნენ, რომ არავითარი საქმის დასაწყისი არ უნდა ჩაითვალოს უმნიშვნელოდ, რამეთუ ყოველი მცირე საქმე სიჯიუტის წყალობით დიდად გარდაიქმნება და მისდამი გამოჩენილი უყურადღებობა იმას შეუწყობს ხელს, რომ ამ საქმეს ვეღარაფერი დაებრკოლებს.

ციცერონი, როგორც ჩანს, მაინც პირველი იყო, რომელმაც კეისარი საეჭვო პიროვნებად აღიარა და მისი პოლიტიკა ისევე საშიშრად ჩათვალა, ვით დროებით დამშვიდებული ზღვა. იგი გარეგნულად ალერსიან, მხიარულ კეისარში ფრიად შეუპოვარი ხასიათის კაცს ხედავდა. ციცერონი ამბობდა, რომ იგი კეისრის ყოველ სურვილსა და სახელმწიფო საქმიანობაში ტირანულ განზრახვას ჭვრეტდა; „მაგრამ, — უმატებდა ამას ციცერონი, — როცა მე მის გულმოდგინედ დაწყობილ თმას ვუცქერ, როცა ვხედავ, რომ იგი თავს ერთი თითით იფხანს [17], მაშინ კი ალარ მგონია, ამ კაცს გუნებაში ისეთი დიდი ბოროტი ზრახვა ჰქონდეს, როგორც რომაელთა სახელმწიფოებრივი წყობილების დამხობა არისო". მაგრამ ამის თაობაზე უფრო გვიან მოგითხრობთ.

5. ხალხის სიყვარულის პირველი დამამტკიცებელი ნიშანი კეისარმა მაშინ მიიღო, როცა გაიუს პომპილიუსთან სამხედრო ტრიბუნობისათვის ქიშპობის დროს ამ თანამდებობაზე თავის მეტოქეზე უწინ იქნა აღიარებული; ხოლო მეორე და უფრო ცხადი ნიშანი კი მაშინ მოიპოვა, როცა მამიდამისი, მარიუსის მეუღლე იულია გარდაიცვალა და მისი ხსოვნის აღსანიშნავად ფორუმზე ბრწყინვალე სახოტბო სიტყვა წარმოთქვა, ხოლო დაკრძალვის დროს კი ისეთი გამბედაობა გამოიჩინა, რომ საჯაროდ გამოიტანა მარიუსის ქანდაკებანი, რომლებიც, სულას ბატონობის დროიდან მოკიდებული, მაშინ პირველად იხილეს რომაელებმა: მარიუსი და მისი მომხრენი ხალხის

მტრებად იყვნენ აღიარებულნი. მარიუსის გამოსახულებათა დანახვაზე ზოგიერთებმა ხმა აღიმაღლეს კეისრის წინააღმდეგ, მაგრამ ხალხი მხიარული ყიჟინითა და ტაშისცემით მიეგება ამ ამბავს; ეგი განცვიფრებული იყო კეისრის მოქმედებით, რომელიც მარიუსის პატივს ესოდენ მრავალი ხნის შემდეგ, ასე ვთქვათ, საიქიოს სამეფოდან რომში აბრუნებდა [18].

გარდაცვლილ მოხუც ქალთა პატივსაცემად საფლავზე სიტყვის წარმოთქმა ძველი რომაული ჩვეულება იყო, ახალგაზრდა ქალების მიმართ კი ასეთი წესი არ არსებობდა; მაგრამ კეისარმა, როცა ცოლი გარდაეცვალა [19], პირველმა გადაუხვია ამ ადათს და მეუღლის ხსოვნის აღსანიშნავად სიტყვა წარმოთქვა. მან ამითაც დაიმსახურა ერთგვარი პატივი და საკუთარი სევდის გამომჟღავნებით ისე მოინადირა თითქმის მთელი ხალხის გული, რომ ხალხს ეგი ძალაუნებურად უნდა შეჰყვარებოდა, ვით უწყინარი და გრძნობით აღსავსე კაცი.

დაკრძალა თუ არა მეუღლე, კეისარი კვესტორის ჩინით პრეტორ ვეტუსთან ერთად იბერიაში გაემგზავრა [20]. ამ ვეტუსს კეისარი, სხვათა შორის, იმ დროიდან მოკიდებული მუდამ პატივს სცემდა და შემდეგ ხანებში, როცა თვითონ გახდა პრეტორი, მის შვილს კვესტორობა უბოძა.

კვესტორის მოვალეობის აღსრულების შემდეგ კეისარი რომში დაბრუნდა და მესამედ იქორწინა პომპეიაზე [21], კორნელიასაგან მას დარჩა ქალიშვილი, რომელიც შემდგომ ცოლად გაჰყვა პომპეუს დიდს [22].

კეისარი ფულს მეტისმეტად ხელგაშლილად ხარჯავდა. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს ამ უსაზღვრო ხარჯვით ეფემერულსა და ხანმოკლე დიდებას ყიდულობდა; სინამდვილეში კი შეუდარებლად მკირე თანხით ფრიად დიადსა და მნიშვნელოვანს იძენდა. ამბობენ, კეისარს, სანამ რაიმე თანამდებობას მიიღებდა, ათას სამასი ტალანტი ვალი ჰქონდაო [23]. მიუხედავად ამისა, როცა აპიუსის გზის პროკურატორად დანიშნეს, საკუთარი სახსრებიდან დიდძალი ფული დახარჯა. ხოლო მერმე, ედილი რომ გახდა, სამას ოცი წყვილი გლადიატორი ვამოიყვანა: ამით და სხვადასხვა სანახაობათა, ზარ-ზეიმებისა და ნადიმების მოსაწყობად გაწეული ხარჯებით კეისარმა ყველა მისი წინამორბედი დაჩრდილა: მან ისე მოინადირა ხალხი, რომ თითოეული

ცდილობდა მისთვის გამოეძებნა რაიმე ახალი თანამდებობა და ახალი პატივი, რა არის მისთვის მადლობა გადაეხადა [24].

6. რომში იმჟამად ორი პოლიტიკური პარტია არსებობდა; ერთი იყო სულას პარტია, მეტად დიდი ძალისა და მნიშვნელობის მქონე; ხოლო მეორე — მარიუსელთა პარტია, რომელიც მაშინ დაკნინებული, გაფანტული და სავსებით უძლური ჩანდა. ჰოდა, კეისარმა სწორედ ამ პარტიის გაძლიერება და აღდგენა მოინდომა. თავისი ედილობის დროს, როცა მისმა ხელგაშლილობამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, მალულად გააკეთებინა მარიუსისა და ძლევამოსილი ნიკეს, გამარჯვების ღმერთქალის ქანდაკებანი, მიიტანა ღამით ისინი კაპიტოლიუმზე და იქ დადგა. დილით ადრე, როცა დაინახეს ეს ოქროთი მბზინავი და დიდი ოსტატობით ნაკეთები ქანდაკებანი, რომელთა წარწერებიც მხილველს კიმბრებზე [25] გამარჯვებას ავონებდა, ყველას გაუკვირდა მათი დამდგმელის გამბედაობა (მისი ვინაობა უცნობი როდი დარჩა). ამაზე მყისვე დაირხა ქალაქში ხმა და ქანდაკებათა სახილველად უამრავი ხალხი მოგროვდა. ზოგიერთმა ყვირილი ატეხა: კეისარი თავისი პოლიტიკური ზრახვებით ტირანიისაკენ მიისწრაფვის, რაკიღა ცდილობს მკვდრეთით აღადგინოს ის გადაჭარბებული პატივი, რაიც კანონებითა და სენატის გადაწყვეტილებებით იქნა დამარხულიო; ეს ცდა არის მის მიერ უკვე წინასწარ მომადლიერებულ ხალხზე იმის გასაგებად, ჰყავს თუ არა თავისი გულუხვობით ისე მოთვინიერებული ხალხი, რომ ამ უკანასკნელმა მას ასეთი ოინების უფლება მისცესო. რაც შეეხება მარიუსელებს, ისინი საოცარი სიმრავლით გამოჩნდნენ მყისვე, ერთმანეთი გაამხნევეს და კაპიტოლიუმი ტაშისცემით აავსეს. მარიუსის სახის დანახვაზე ბევრ მათგანს სიხარულის ცრემლი მოადგა და დიდად შეამკეს კეისარი, როგორც ერთადერთი კაცი იმ მრავალთა შორის, რომელიც მარიუსის ნათესაობის ღირსი იყო.

ამ ამბავთან დაკავშირებით მოიწვიეს სენატის სხდომა. სხდომაზე წარმოდგა იმ დროს რომაელებში ფრიად დიდი გავლენის მქონე კაცი კატულუს ლუტაციუსი, რომელმაც კეისარს ბრალი დასდო და ღირსსახსოვარი სიტყვა წარმოთქვა: „ჩვენს სახელმწიფოზე კეისარს იერიში მოაქვს უკვე არა საიდუმლო გზებითა და ხვრელებით, არამედ საალყო მანქანებითო". მაგრამ კეისარმა ისე დაიცვა თავი ამ ბრალდებისაგან, რომ სენატიც კი თავის მხარეზე გადაიბირა. მისი მომხრენი

კიდევ უფრო მეტად გამხნევდნენ და კეისარს მიუწოდებდნენ არც ერთ თავის განზრახვაზე არ აეღო ხელი. ისინი არწმუნებდნენ: ხალხის დახმარებით ყველაფერში გაიმარჯვებ და პირველი კაცი იქნებიო.

7. სწორედ ამ ხანებში გარდაიცვალა ქურუმთუხუცესი მეტელუსი[26], ქურუმის უმაღლესი თანამდებობის დასაკავებლად მწვავე დავა გაჩაღდა სერვილუს ისავრიკუსსა[27] და კატულუსს შორის, რომელნიც ფრიად წარჩინებულნი და სენატში მეტად დიდი გავლენის მქონე პიროვნებანი იყვნენ. კეისარმა მათ როდი დაუთმო; იგი სახალხო კრებაზე გამოვიდა და თავის მხრივ ქურუმთუხუცესის თანამდებობა მოითხოვა. რაკიდა ჩანდა, ორივე მხარე თანაბარი გულმოდგინებით იბრძოდა, კატულუსს კიდევ უფრო მეტად შეეშინდა გაჩაღებული დავის წინასწარგანუჭვრეტელი შედეგისა სწორედ საკუთარი დიდი ღირსების გამო და კეისარს კაცები მიუგზავნა: მაგ თანამდებობის დასაკავებლად გზიდან ჩამომეცალე და დიდ თანხას მოგცემო. კეისარმა უპასუხა: კიდევ უფრო დიდ თანხას ვისესხებ, ვალებში ჩავვარდები, მაგრამ ბრძოლას მაინც განვაგრძობო. არჩევნებისათვის დანიშნულ დღეს ცრემლმორეულმა დედამ იგი კარამდე მიაცილა. კეისარი მას გამოემშვიდობა და უთხრა: „დედაჩემო, შენს შვილს ან ქურუმთუხუცესად იხილავ, ან გაძევებულ მაწანწალადო“. დაიწყო კენჭისყრა და დიდი კამათის შემდეგ კეისარმა გამარჯვება მოიპოვა. ამით მან სენატი და წარჩინებული მოქალაქენი შიშში ჩააგდო, ვაითუ უკიდურეს თავხედობამდე მიიყვანოს ხალხი კეისარმაო. ამის გამო პიზონი[28] და კატულუსი ბრალად სდებდნენ ციცერონს იმას, რომ კატილინას[29] შეთქმულების გამომჟღავნების დროს დაზოგა კეისარი, რომელიც თავის წინააღმდეგ თვითონვე იძლეოდა სამხილებელ მასალას.

კატილინას განზრახული ჰქონდა არა უბრალო შეცვლა სახელმწიფო წყობილებისა, არამედ ყოველგვარი ხელისუფლების მოსპობა და ყველაფრის აროევ-დაროევა. ჰოდა, როცა მის წინააღმდეგ მცირე მამხილებელი მასალა გამომჟღავნდა, ვიდრე ყველა მისი განზრახვა აშკარა გახდებოდა, კატილინა რომიდან გაიქცა, მაგრამ შეთქმულების გეგმათა განსახორციელებლად ქალაქში დატოვა ლენტულუსი და ცეთეგუსი. აქეზებდა თუ არა კეისარი ამ პირთ, ან ეხმარებოდა თუ არა მათ ფარულად, ეს არცთუ ისე ადვილი გასარკვევია. სენატის სხდომაზე, როცა ეს პირნი საგსებით ამხილეს დანაშაულში და როცა კონ-

სულმა ციცერონმა თითოეულ სენატორს სთხოვა დამნაშავეთა სასჯელის ირგვლივ თავისი აზრი გამოეთქვა, აი მაშინ ყველამ, სანამ კეისარს მოუწევდა სიტყვა, სიკვდილით დასჯა მოითხოვა. რაც შეეხება კეისარს, იგი წინასწარ კარგად აწონილ-დაწონილი სიტყვით გამოვიდა და განაცხადა, რომ ღირსებითა და გვარიშვილობით გამორჩეულ პირთა გაუსამართლებლად სიკვდილით დასჯა, თუკი ამას უკიდურესი აუცილებლობა არ მოითხოვს, მისი აზრით, არც რომაული ჩვეულებების შესაფერი იქნება და არც სამართლიანი. მაგრამ, — ამბობდა კეისარი, — თუ ჩვენ ამ პირთა შევიპყრობთ და კატილინას განადგურებამდე იტალიის იმ ქალაქებში გადავასახლებთ, რომელთაც თვითონ ციცერონი აარჩევს, აი, მერმე სენატს სრული საშუალება მიეცემა ზავისა და მშვიდობის პირობებში თითოეულ მათგანზე თავისი გადაწყვეტილება გამოიტანოსო.[30]

8. ეს წინადადება ისეთი ლმობიერი აღმოჩნდა და ისეთი მძლავრი ენამჭევრობით ითქვა, ვიდრე კატონისა და კატულუსის სიტყვის რიგი მოვიდოდა, კეისარს უკვე დაეთანხმნენ არა მარტო ისინი, რომლებიც მის შემდგომ წამოდგნენ სალაპარაკოდ, არამედ ბევრმა მათგანმა, მასზე უწინ რომ გამოვიდნენ სიტყვით, უარყო თავისი მოსაზრება და კეისრის წინადადებას დაუჭირა მხარი. რაც შეეხება კატონსა და კატულუსს, ისინი მთელი სიმძაფრით წინააღუდგნენ კეისრის რჩევას. ის კი არა, კატონმა თავის სიტყვაში ეჭვიც კი გამოთქვა კეისრის მიმართ და ფრიად ცხარედ შეეკამათა[31]. ბოლოს შეთქმულთ მაინც სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. როცა კეისარი სენატის სხდომიდან გამოდიოდა, ახალგაზრდებმა, რომლებიც მაშინ ციცერონს მცველებად ჰყავდა მიჩენილი, მახვილები იშიშვლეს და კეისრისაკენ გაეშურნენ; მაგრამ, როგორც ვადმოგვცემენ, კურიონმა მას ტოგა გადააფარა და ასე გაიყვანა[32]; ციცერონმაც თავის მხრივ ნიშანი მისცა ახალგაზრდებს შეჩერებულიყვნენ. ეს ან ხალხის შიშით ჩაიდინა, ანდა იფიქრა: ეს მკვლელობა უსამართლო და არაკანონიერი იქნებაო.

თუ ყველაფერი ეს მართალია, მაშინ მე არ ვიცი, რატომ არაფერი დაწერა ამაზე ციცერონმა თავის წიგნში „ჩემი კონსულობის თაობაზე"[33]. შემდეგ ხანებში ციცერონს ბრალად სდებდნენ იმას, რომ კეისრის წინააღმდეგ მაშინ შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობა არ გამოიყენა და შეეშინდა ხალხის, რომელიც საოცარ ერთგულებას იჩენდა კეისრის მიმართ.

რამდენიმე დღის შემდეგ კეისარი სენატში მივიდა იმ მიზნით, რომ მის წინააღმდეგ აღძრული ექვები გაეფანტა. მტრები საშინელი ხმაურით შეხვდნენ. როცა ხალხმა დაინახა. სენატის სხდომა ჩვეულებრივზე დიდხანს გაგრძელდაო, ყვირილით მიაწყდა სენატის შენობას და მას გარს შემოერტყა. ხალხი კეისარს თხოულობდა და სენატს წინადადებას აძლევდა გამოეშვათ იგი.

კატონს ყველაზე მეტად ეშინოდა იმ ამბოხებისა, რაც მოსალოდნელი იყო ლარიბთაგან, რომელნიც თავიანთ იმედებს კეისარზე ამყარებდნენ და მთელი ხალხის წაქეზება შეეძლოთ. ამიტომ სენატი დაიყოლია ლარიბთა ფენისათვის ყოველთვიურად დაერიგებინათ პური. მართალია, ამით სახელმწიფოს გასავალს დაემატა ახალი ხარჯი, რაც ყოველწლიურად შვიდნახევარ მილიონ დინარს აღწევდა, სამაგიეროდ, ამ ზომის მეოხებით იმ დროს თავიდან მოიშორეს საშინელი საფრთხე; მან შეასუსტა და დააქუცმაცა კეისრის ძალთა უდიდესი ნაწილი სწორედ იმ ხანებში, როცა კეისარი პრეტორობას იწყებდა და ამ თანამდებობის წყალობით კიდევ უფრო საშიში პიროვნება გახდა.

9. მის პრეტორობას რაიმე ამაღელვებელი შედეგი არ მოჰყოლია; ოღონდ ერთგვარი უსიამოვნო შემთხვევა საკუთარ სახლში მოუხდა.

ერთი პუბლიუს კლოდიუსი იყო [34], წარმოშობით კეთილშობილი კაცი, სიმდიდრითა და ენამჭევრობით გამოჩენილი, მაგრამ ისეთი ბილწი და თავხედი, რომ ვერც ერთი ყბადაღებული გარყვნილი ვერ აჯობებდა. ამ კლოდიუსს უყვარდა კეისრის ცოლი პომპეია, რომელიც ამ სიყვარულის წინააღმდეგი როდი გახლდათ, მაგრამ საქმე ის იყო, რომ საქალებო ოთახს ფხიზელი დამცველები ჰყავდა მიჩენილი; კეისრის დედა ავრელიაც, ეს დარბაისელი ქალი, თავის რძალს განუწყვეტლივ დასდევდა ფეხდაფეხ და შეყვარებული წყვილის შეხვედრას ძნელ და მეტად სახიფათო საქმედ ხდიდა.

რომაელებს, სხვათა შორის, ჰყავთ ღვთაება, რომელსაც „კეთილ ღმერთქალს“ [35] უწოდებენ; ბერძნები მას „ქალთა მფარველს“ [36] ეძახიან. ფრიგიელები ამ ღმერთქალს თავისად აცხადებენ და ამბობენ, იგი მეფე მიდასის [37] დედა იყოო; რომაელები კი ამტკიცებენ, რომ ის არის ნიმფა დრიადა, ფაუნის საყვარელი; [38] რაც შეეხება ბერძნებს, ისინი ამ ღმერთქალს თვლიან დიონისეს ერთ-ერთ ძიძად, რომლის სახელის ხსენება აკრძალულია. სწორედ ამიტომ ამ ღვთაების დღესასწაულის დროს ქალები კარვებს ვაზის შტოებით ფარავენ და თქმუ-

ლების მიხედვით ღმერთქალის გვერდით საღმრთო გველი წვება. ამ წმინდა დღესასწაულის მიმდინარეობას, წესის თანახმად, ვერც ერთი მამაკაცი ვერ დაესწრება და ვერც სახლში დარჩება. მხოლოდ ქალები თავისთვის, სრულიად განცალკევებულ პირობებში ასრულებენ საიდუმლო ღვთისმსახურებაში ბევრ რასმე ისეთს, რაც, როგორც ამბობენ, ორფიკულ მისტერიებს ჩამოგავს. როცა ამ დღესასწაულის დღე დგება, კონსული ან პრეტორი, ვისთანაც ზეიმი უნდა გაიმართოს, ოჯახის ყველა მამაკაცთან ერთად სახლიდან მიდის. ოჯახის უფროსობას ამ დღეს ქალი კისრულობს და შესაფერისად რთავს ხოლმე სახლს. ღვთისმსახურების უმთავრესი ნაწილი სრულდება ღამით. ღამის ზეიმს თან ახლავს სხვადასხვა გართობა და შეუწყვეტელი მუსიკა [39].

10. სწორედ ასეთ დღესასწაულს მართავდა იმ ხანად პომპეია. კლოდიუსი მაშინ ჯერ კიდევ უწვერულვაშო ვაჟი იყო. იმ იმედით, პირტიტველობა დამეხმარებაო, ქნარზე დამკვრელი ქალის ტანსაცმელი გადაიცვა და ასეთ რიგად მორთული, ახალგაზრდა ქალის სახით, კეისრის სახლისაკენ გაემართა. კარი ღია დაუხვდა; მხევალმა ქალმა, რომელმაც ყველაფერი იცოდა, იგი უშიშრად შეიყვანა სახლში, თვითონ კი პომპეიასთან გაიქცა, რათა კლოდიუსის მოსვლა შეეტყობინებინა. მას ცოტა შეაგვიანდა. კლოდიუსმა ვერ მოითმინა იქ, სადაც დატოვეს, და ამ ვეებერთელა სახლში სიარული დაიწყო, მაგრამ ისე, რომ სინათლეს გაურბოდა. უცებ ავრელიას მოახლეს წააწყდა, რომელსაც ეგონა, ესეც ქალიაო, და სთხოვა თამაშში მონაწილეობა მიეღო. კლოდიუსმა უარი უთხრა. მაშინ ქალმა სტაცა ხელი, გაიყვანა შუა ოთახში და გამოჰკითხა, ვინა ხარ და საიდან მოსულხარო? კლოდიუსმა უპასუხა, პომპეიას აბრას (ასე ეძახდნენ იმ მხევალს) ველოდებიო. იგი ხმამ გასცა. მოახლე კივილით გაიქცა მყისვე განათებული ადგილისაკენ, იქ, სადაც ქალთა ჯგუფი იყო და ყვირილი მორთო: არიქა, მამაკაცი ვნახეო. ქალები შიშმა აიტანა. ავრელიამ ღვთისმსახურება შეწყვიტა, წმინდა საგნები დაფარა, ქალებს უბრძანა, კარები ჩაეკეტათ და კლოდიუსის საძებრად ჩირაღდნებით მთელ სახლს შემოუარა. ბოლოს იგი დამალული იპოვეს იმ მხევალი ქალის ოთახში, რომლის დახმარებითაც სახლში შემოვიდა. ქალებმა იცნეს და სახლიდან გააძევეს. იმ ღამესვე, როგორც კი დაბრუნდნენ ქალები თავ-თავიანთ სახლებში, ქმრებს სასწრაფოდ უამბეს, რაც მოხდა.

მეორე დღეს მთელ ქალაქში გავარდა ხმა, კლოდიუსმა ასეთი და

ასეთი ბილწი საქმე ჩაიდინა და პასუხი უნდა აგოს არა მარტო მის მეერ შეურაცხყოფილ პირთა წინაშე, არამედ ქალაქისა და ღმერთების წინაშეცო. ერთ-ერთმა სახალხო ტრიბუნთაგანმა კლოდიუსს ბრალად დასდო ღვთის მკრეხელობა. მის წინააღმდეგ გამოვიდნენ აგრეთვე ყველაზე უფრო გავლენიანი სენატორები და სხვა ბლომა საზიზღარ გარყვნილებასთან ერთად ამხილეს მისი ბილწი კავშირი საკუთარ დასთან, ლუკულუსის მეუღლესთან; მაგრამ მათ მისწრაფებათა წინააღმდეგ აღდგა ხალხი და კლოდიუსს გამოესარჩლა. ეს ფრიად დაეხმარა კლოდიუსს მოსამართლეთა წინაშე, რომლებიც შეშინებულნი იყვნენ და ბრბოს წინაშე ძრწოდნენ.

კეისარი პომპეიას მაშინვე გაეყარა, მაგრამ როცა სასამართლოში მოწმედ მიიწვიეს, განაცხადა: კლოდიუსის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებათა ირგვლივ არაფერი ვიცი. რაკიღა ეს პასუხი მეტად უცნაური ჩანდა, ბრალმდებელმა ჰკითხა: „კი მაგრამ ცოლი რაღაზე გაუშვიო?“ „იმიტომ რომ, — უპასუხა კეისარმა, — ჩემს ცოლზე ეჭვიც კი არავინ უნდა მიიტანოსო!“ ზოგიერთები ამბობენ, კეისარმა ის თქვა, რასაც ფიქრობდაო; სხვები კი ამტკიცებენ, ივი ხალხის გულის მოსაგებად მოიქცა ასე, ვინაიდან ხალხი კლოდიუსის დაცხნას ლამობდაო. ასე იყო თუ ისე, კლოდიუსი გაამართლეს. ამაში მას ისიც დაეხმარა, რომ მოსამართლეთა უმრავლესობამ მსჯავრის გამოტანის დროს თავისი აზრი განზრახ გაურკვეველი ასოებით აღნიშნა ფირფიტებზე, რათა კლოდიუსის დასჯით საფრთხეში არ ჩაეგდოთ თავი ბრბოსთან, ხოლო განთავისუფლებით წარჩინებულთა თვალში ღირსება არ აჰყროდათ [40].

11. გაუთავდა თუ არა პრეტორობის ვადა, კეისარმა მაშინვე მიიღო საგამგებლოდ ესპანეთი, როგორც პროვინცია; [41] მაგრამ საქმე ის იყო, რომ ვერ დააკმაყოფილა მეკალეები, რომლებიც ხელს უშლიდნენ დანიშნულ ადგილზე წასულიყო და ალიაქოთს უტეხდნენ. კეისარმა დახმარებისათვის მიმართა კრასუსს, რომელთა შორის უმდიდრეს კაცს, რომელსაც თავის მხრივ პომპეუსთან პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლად კეისრის ცხოველმყოფელი ძალა და სიფიცხე სჭირდებოდა. ამიტომ ივი შეუთანხმდა მის ყველაზე უფრო აბეზარ და ულმობელ მეკალეებს და იკისრა რვაას ოცდაათი ტალანტის ვალის გადახდა [42]. ამრიგად, კეისარს საშუალება მიეცა პროვინციაში წასულიყო.

გადმოგვცემენ, როცა კეისარი ალპებზე გადავიდა და ერთ პატარა, ღატაკ ბარბარიულ დაბაზე გაიარა, მეგობრებმა სიცილით ჰკითხეს: „ნუთუ აქაც არის რაიმე მეტოქეობა თანამდებობათა გულისათვის? ნუთუ აქაც არის ბრძოლა პირველობისათვის და შური ძლიერთა შორის?“ კეისარმა სავსებით დინჯად მიუგო თურმე: „მე ვამჯობინებდი, პირველი ვიყო ამათში, ვიდრე მეორე რომაელებშიო“. ერთხელ კიდევ, უკვე ესპანეთში, როცა მოცლილობის ჟამს ალექსანდრეზე რაღაცას კითხულობდა[43], კეისარი ხანგრძლივსა და ღრმა ფიქრებს მიეცა და ბოლოს კიდეც ატირდა. განცვიფრებულმა მეგობრებმა ამის მიზეზი ჰკითხეს. „როგორ გგონიათ, — უპასუხა მათ კეისარმა, — განა არ არის სევდის ღირსი ის, რომ ალექსანდრე ჩემს ასაკში უკვე უამრავ ხალხზე მეფობდა, მე კი აქამდე არაფერი სასახელო არ გამიკეთებიაო?“

12. მივიდა თუ არა ესპანეთში, კეისარმა დაუყოვნებლივ დაიწყო ენერგიული მოქმედება. მის განკარგულებაში მყოფ ოც კოჰორტს[44] სულ რამდენიმე დღის განმავლობაში დაუმატა ათი კოჰორტი და კალაიკებსა და ლუზიტანებზე გაილაშქრა[45]. მათი დამარცხების შემდეგ ოკეანისაკენ გაემართა[46] და გზადაგზა დაიპყრო ის ტომები, რომელნიც რომაელთა მორჩილებაში უწინ არ ყოფილან. ომის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ კეისარმა არანაკლები წარმატებით დაიწყო მშვიდობიან საქმეთა გამგებლობა. მან ქალაქებში თანხმობა დაამყარა და განსაკუთრებული მონდომებით შეუდგა კრედიტორებსა და მოვალეთა შორის არსებული დავის მოგვარებას. კეისარმა დაადგინა, რომ კრედიტორს მოვალის შემოსავლიდან ყოველწლიურად აეღო მხოლოდ ორი მესამედი, დარჩენილი ნაწილით კი პატრონს ესარგებლა, სანამ ასეთ რიგად მთელი ვალი არ იქნებოდა გასტუმრებული. ამ საქმეთა მოწესრიგების წყალობით დიდად გაითქვა სახელი. ამის შემდეგ მალე დატოვა პროვინცია, სადაც თვითონაც გამდიდრდა და ლაშქრობათა დროს ნივთიერი მდგომარეობის გამოკეთების საშუალება მისცა ჯარისკაცებსაც, რომლებმაც იგი იმპერატორად აღიარეს[47].

13. იმ პირთ, რომელნიც ტრიუმფისაკენ[48] მიილტვოდნენ, კანონის თანახმად ქალაქგარეთ ევალებოდათ ყოფნა, ხოლო ისინი, ვინც კონსულობას ლამობდნენ, რომში უნდა ყოფილიყვნენ და არჩევნებისათვის მომზადებულიყვნენ. კეისარი კი სწორედ იმ დროს დაბრუნ-

და, როცა საკონსულო კომიციები[49] უკვე დაწყებული იყო და ორივე მხრივ კანონის საწინააღმდეგო ვითარებაში აღმოჩნდა; ამიტომ თხოვნით მიმართა სენატს, ნება მიეცათ მისთვის კონსულობა მოეპოვებინა დაუსწრებლად — მეგობართა დახმარებით. ამ თხოვნის წინააღმდეგ პირველად კატონმა გაილაშქრა და ამის დასასაბუთებლად კანონი მოიშველია; მერმე კი, როცა დაინახა, კეისარმა სენატორთა უმრავლესობა თავის მხარეზე გადაიბირაო, საქმის გასაჭიანურებლად დრო გამოიყენა და მთელი დღე თავის სიტყვას მოანდომა. მაშინ კეისარმა გადაწყვიტა, ხელი აეღო ტრიუმფზე და როგორმე კონსულობა მიეღო.

როგორც კი მოვიდა რომში, მყისვე მიმართა ერთ პოლიტიკურ ხერხს და, კატონის გარდა, ყველა მოატყუა. სახელდობრ, ეს იყო ქალაქში ყველაზე უფრო დიდი გავლენის მქონე პირთა, პომპეუსისა და კრასუსის შერიგება. კეისარმა ძველი მტრები მეგობრებად აქცია, მათი ძალა საკუთარ ხელში მოიმწყვდია და ამ ვითომცდა კაცთმოყვარული საქმით სრულიად შეუმჩნევლად სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა[50]. მართლაც, სამოქალაქო ომის მიზეზი კეისარსა და პომპეუსს შორის ჩამოვარდნილი შფოთი კი არ იყო, როგორც ბევრი ფიქრობს, არამედ სწორედ მათი მეგობრობა; ისინი ჯერ შეთანხმდნენ არისტოკრატია გაენადგურებინათ, მაგრამ მერმე წაიკიდნენ და ერთმანეთის წინააღმდეგ აღდგნენ. რაც შეეხება კატონს, მყოფადს რომ წინასწარმეტყველებდა ხშირად, მაშინ ანჩხლი და მოუსვენარი კაცი შეარქვეს, მერმე კი გონიერი, მაგრამ ბედუკუღმართი მრჩეველის სახელი მოიხვეჭა.

14. ასე იყო თუ ისე, კრასუსისა და პომპეუსის მეგობრული მხარდაჭერით გამხნევებული კეისარი კონსულობისათვის ხალხის წინაშე წარსდგა და კალპურნიუს ბიბულესთან ერთად დიდი პატივით იქნა აღიარებული კონსულად[51]. შეუდგა თუ არა მოვალეობის აღსრულებას, კეისარმა ისეთი კანონები გამოსცა განსახილველად, რომ მათი წამოყენება ვინმე უტიფარ სახალხო ტრიბუნს უფრო შეეფერებოდა. ვიდრე კონსულს; სახელდობრ, ბრბოს გულის მოსაგებად კეისარმა გამოსცა კანონპროექტი ზოგიერთ ადგილ-მამულთა დაყოფა-განაწილების შესახებ. წარჩინებულებმა სენატში ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს, ხოლო კეისარმა, რომელიც უკვე კარგა ხანია საბაბს ეძებდა, ხმა აღიმაღლა და განაცხადა: სწორედ სენატის ზვიადობისა და გულ-

ქვაობის წყალობით ვარ იძულებული ხალხს მივმართო, რომ მხარი დამიჭიროსო. ამ სიტყვების შემდეგ სწრაფად დატოვა სენატი და მიაშურა ფორუმს, სადაც ხალხი იყო შეკრებილი. აქ კეისარმა აქეთ-იქით ამოიყენა კრასუსი და პომპეუსი და ჰკითხა: იწონებთ თუ არა ჩემს კანონებსო? იმათ უპასუხეს: ვიწონებთო. მაშინ კეისარმა სთხოვა მათ დახმარებოდნენ იმ პირებთან ბრძოლაში, რომელნიც მახვილ-მომარჯვებულნი ემუქრებოდნენ. ორივემ აღუთქვა კეისარს დახმარება, ხოლო პომპეუსმა დაუმატა, რომ აღმართულ მახვილს იგი არა მარტო მახვილით, ფარითაც დაუხვდებოდა. ამან რომაელი წარჩინებულები ფრიად შეაწუხა. მათი აზრით, ეს იყო გიჟური და ბავშვური სიტყვა, რომელიც არც მთქმელის პირად ღირსებას შეეფერებოდა და არც იმ მოწიწებას, რისი გამოჩენაც საჭირო იყო სენატის წინაშე. რაც შეხება ხალხს, იგი პომპეუსის გამოსვლით ნასიამოვნები დარჩა.

ამ ძლევამოსილ ვაჟკაცს რომ უფრო დაახლოებოდა, კეისარმა პომპეუსს მიათხოვა თავისი ქალი იულია, რომელიც უკვე დანიშნული იყო სერვილიუს ცეპიონზე; სერვილიუსს კი კეისარი დაჰპირდა, რომ მიათხოვებდა პომპეუსის ასულს, რომელიც ასევე არ იყო თავისუფალი და დანიშნული იყო სულას ვაჟზე ფაუსტუსზე. მცირე ხნის შემდეგ კეისარმა თვითონაც იქორწინა და ცოლად მოიყვანა კალპურნია, პიზონის ასული[52], პიზონი[53] მან მომდევნო წელს კონსული გახადა. ამან კატონი საშინლად აღაშფოთა და ხმამაღლა განაცხადა: აუტანელი ამბავია მაქანკლობის შემწეობით ძალაუფლების მოპოვება და ქალების საშუალებით პროვინციათა და მხედრობათა გამგებლობაში ერთმანეთის გაყვანაო.

კეისრის თანაკონსული ბიბილუსი ამაოდ ლამობდა ხელი შეეშალა კეისრის კანონპროექტებისათვის; მან ვერაფერს ვერ მიაღწია; ის კი არა, რამდენჯერმე საშინელ საფრთხეში ჩავარდა და ფორუმზე კინაღამ მოკლეს კატონთან ერთად. ამიტომ ბიბილუსი შინ ჩაიკეტა და კონსულობის დანარჩენი დრო ასე გაატარა.

დაქორწინდა თუ არა პომპეუსი, მაშინვე გაავსო ფორუმი შეიარაღებული მეომრებით და ხალხს საშუალება მისცა კეისრის კანონები გაეტარებინა. მისივე დახმარებით კეისარმა ხუთი წლის ვადით საგამგებლოდ მიიღო ალპებს იმიერ თუ ამიერ გალია[54] და აგრეთვე ილირიაც ოთხი ლეგიონითურთ. კატონი, რომელმაც ამის წინააღმდეგ ხმის ამაღლება გაბედა, კეისარმა საპყრობილეში წააყვა-

ნინა. ეგონა, იგი თხოვნა-მუდარით მიმართავდა სახალხო ტრიბუნებს. მაგრამ რა დაინახა, კატონი ხმაამოუღებლად მიჰყვებოდა მცველებს და ამ ამბით უკმაყოფილო იყო არა მარტო წარჩინებულთა ფენა, არამედ კატონის თვინიერებით აღტაცებული ხალხიც, რომელიც მდუმარე და დამწუხრებული მისდევდა უკან დატყვევებულს, მაშინ კეისარმა ერთ-ერთ ტრიბუნს თვითონვე სთხოვა ჩუმად კატონი გაეთავისუფლებინა.

რაც შეეხება დანარჩენ სენატორებს, ამათგან მეტად მცირეოდენნი მიდიოდნენ ხოლმე კეისართან ერთად სენატში, სხვები კი უკმაყოფილონი იყვნენ და სენატს თავს არიდებდნენ. ერთხელ ერთმა ყველაზე უხუცესმა სენატორმა კონსილიუსმა კეისარს უთხრა: ისინი აქ იმიტომ არ მოდიან, შენი იარაღისა და მეომრების ეშინიათო. „კი მაგრამ, — ჰკითხა კეისარმა, — რატომ შენც არ რჩები სახლში ამის შიშით?“ „იმიტომ, რომ სიბერე მიკარნახებს, უშიშარი ვიყო; ჩემი დარჩენილი დღეები იმდენად მცირეა, რომ სიფრთხილე აღარ ღირსო“, — მიუგო კონსილიუსმა.

ყველაზე უფრო სამარცხვინოდ მაშინდელ პოლიტიკურ ამბებში მაინც იმას თვლიდნენ, რომ კეისრის კონსულობის დროს სახალხო ტრიბუნად აირჩიეს სწორედ ის კლოდიუსი, რომელმაც კეისრის საქორწინო სარეცელი და ღამის წმინდა ღვთისმსახურება შებღალა. მაგრამ საქმე ის იყო, რომ კლოდიუსი ციცერონის გასანადგურებლად იქნა ტრიბუნად არჩეული და თვითონ კეისარიც მანამდის არ წავიდა თავის პროვინციაში, სანამ არ დაამარცხა ციცერონი და იტალიიდან არ გააძევებინა იგი [56].

15. როგორც გადმოგვცემენ, ასეთია ყველა ის ამბავი, რაც გალიაში ლაშქრობის წინ მოხდა. შემდგომი ომებითა და კელტების დასამორჩილებლად წარმოებული ლაშქრობებით კეისრის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. კეისარი სულ სხვა ცხოვრებას მიეცა და ახალ საგმირო საქმეთა გზაზე დადგა. მან დაამტკიცა, რომ იგი, ვითარცა მეომარი და სარდალი, არც ერთ სახელგანთქმულსა და დიდებულ მხედართმთავარს არ ჩამოუვარდებოდა. მართლაც, ჩვენ რომ მას შევუდაროთ ფაბიუსები, სციპიონები და მეტელუსები [58], ან კიდევ მისი თანამედროვე და მასზე მცირე ხნით ადრე მცხოვრები პირები — სულა, მარიუსი, ორივე ლუკულუსი [57] და თვითონ პომპეუსიც, რომელიც სხვადასხვა ბრწყინვალე საომარ საქმეთა წყალობით მაშინ ცამდე

აჰყავდათ ქვებით, დავრწმუნდებით, რომ კეისრის საგმირო საქმენი ყველა მათ დიდებას აღემატებოდა. პირველთ მან აჯობა იმ მიუდგომელი ადგილმდებარეობის დაძლევით, სადაც ომს აწარმოებდა, მეორეთ — დაპყრობილი ქვეყნის სიმრავლით, მესამეთ — ურიცხვი და ძლიერი მტრის დამარცხებით, მეოთხეთ — მოწინააღმდეგის ფრიად ველურსა და ვერაგ ხასიათთან შერკინებით, მეხუთეთ — ტყვეების მიმართ გამოჩენილი ლმობიერებითა და მოწყალებით, მეექვსეთ — საკუთარი მეომრებისადმი გამოჩენილი გულუხვობითა და გაღებული საჩუქრებით, ყველას ერთად კი იმით, რომ ყველაზე მეტი ბრძოლა ჩაატარა და ყველაზე მეტი მტერი მოსპო. სახელდობრ, ათ წელზე უფრო ნაკლებ დროში, რომლის განმავლობაშიც იგი ომს აწარმოებდა გალიაში, იერიშით აიღო რვაასზე მეტი ქალაქი, დაიმორჩილა სამასი სხვადასხვა ტომის ხალხი და მთელი ამ ხნის მანძილზე ბრძოლა აწარმოვა სამ მილიონ კაცთან, რომელთაგან ერთი მილიონი ბრძოლის ველზე მოსპო და ამდენივე ტყვედ ჩაიგდო ხელში.

16. კეისარი ჯარისკაცთა ისეთი დიდი სიყვარულითა და ისეთი თავდადებით სარგებლობდა, რომ თვით ისინიც კი, რომელნიც სხვა ლაშქრობების დროს არაფრით არ განსხვავდებოდნენ დანარჩენ მეომართაგან, უძლეველ მებრძოლებად იქცნენ და კეისრის დიდების გულისათვის მზად იყვნენ ყოველგვარ საშინელ საფრთხეს პირისპირ შეხვედროდნენ. აი, ასეთი იყო, მაგალითად, აცილიუსი. იგი მასალიასთან[58] გაჩაღებული საზღვაო ბრძოლის დროს მტრის ხომალდზე ავარდა და, როცა მარჯვენა ხელი ხმლით მოჰკვეთეს, ფარი მარცხენა ხელში დაიჭირა, დასცხო იგი მტერთ სახეში, ყველანი უკუაქცია და ხომალდს დაეპატრონა. ასეთივე იყო კასიუს სცევაც. დირაქიუმთან[59] ბრძოლაში ისრით თვალამოთხრილმა, მხარსა და თეძოში ოროლებით დაკოდილმა და ას ოცდაათი ისრით ფარდაცხრილულმა კასიუს სცევამ მტერს მოუხმო: მოდით, დაგნებდებითო. და, როცა ორი მათგანი მოვარდა, ერთ-ერთს მხარი ჩამოასხიპა ხმლით, ხოლო მეორეს სახეში დაჰკრა და გააქცია. ამასობაში მისიანები წამოეშველნენ და დაიხსნეს იგი.

ერთხელ ბრიტანეთში მტერი თავს დაესხა ჭაობიან, წყლით დაფარულ ადგილას მომწყვდეულ მოწინავე ცენტურიონებს[60]. ერთი ჯარისკაცი კეისრის თვალწინ, სწორედ იმ დროს, როცა კეისარი ბრძოლის ველს დასცქეროდა, მტრის რიგების შუაგულში შეიჭრა.

აქ მრავალი და საოცარი გმირობა გამოიჩინა, და ცენტურიონები გაჭირვებისაგან დაიხსნა. როცა ბარბაროსები გაიქცნენ, ეს მეომარი თავისიანებს მიჰყვა უკან, მერმე მორეგში გადაეშვა, რომელიც ხან ცურვით, ხან ფეხით ძლივძლივობით გადალახა, მაგრამ ფარი დაკარგა. ასეთი მამაცობით განცვიფრებული კეისარი და მისი ამალა სიხარულითა და ყიჟინით შეხვდნენ მეომარს, მაგრამ იგი, თავჩაქინდრული და აცრემლებული ფეხქვეშ ჩაუვარდა კეისარს და ფარის დაკარგვის გამო პატიება სთხოვა.

აი, კიდევ მამაცობის მაგალითი. ერთხელ ლიბიაში სციპიონელებმა ხელთ იგდეს ხომალდი, რომელზეც კვესტორად დანიშნული გრანიუს პეტრონი მიცურავდა. მეკობრეებმა ყველა მგზავრი ტყვედ გამოაცხადეს, ხოლო კვესტორს ხელშეუხებლობას დაჰპირდნენ; მაგრამ ამან განაცხადა: კეისრის მეომრები პატიების მიღებას არ არიან ჩვეულნი, ისინი ამ წყალობას თვითონ აძლევენ სხვებსო. თქვა თუ არა ეს, გრანიუსმა მახვილი დაიცა და სიცოცხლე მოისპო.

17. ასეთი მამაცობა და პატივმოყვარეობა კეისარმა თვითონ შთაუნერგა და აღუგზნო მეომრებს უწინარეს ყოვლისა იმით, რომ გულუხვად უძღვნიდა მათ სამაგიერო პატივსა და ჯილდოებს და თან უმტკიცებდა: ამ ომებით მოპოვებულ სიმდიდრეს მე პირადი განცხრომისა და კმაყოფილებისათვის როდი ვაგროვებ; ეს სიმდიდრე, ჩემთან რომ ინახება, გმირულ საქმეთა საერთო ჯილდოა და აქედან ვხარჯავ მხოლოდ იმდენს, რამდენიც საჭიროა ყველაზე უფრო წარჩინებულ მეომართა დასასაჩუქრებლადო. მეორე ხერხი, რომელსაც კეისარი ჯარისკაცთა გასალომგულებლად ხმაროობდა, იყო ის, რომ იგი საკუთარი ნებით იგდებდა ხოლმე თავს ყოველგვარ საფრთხეში და არავითარი სიძნელის წინაშე არ იხევდა უკან.

კეისრის სიყვარული განსაცდელისადმი სრულიადაც არ აოცებდა იმათ, რომლებიც მის პატივმოყვარეობას იცნობდნენ, მაგრამ აკვირვებდათ ის ამტანიანობა, რასაც იგი სიძნელეთა წინაშე იჩენდა და რაც მისი სხეულის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

კეისარი აგებულებით სუსტი იყო: ტანი მეტად თეთრი და ნაზი ჰქონდა; ხშირად იცოდა ხოლმე თავის ტკივილი და ამასთან ერთად შეპყრობილი იყო ავი ზნითაც[61]. ამ სენმა, როგორც გადმოგვცემენ, პირველად კორდუბეში[62] მოუარა. ჯანის სისუსტე ნებიერი ცხოვრების საბაბად არასოდეს არ გადაუქცევია კეისარს. პირიქით, სხეულის

უძლურების წამალს იგი სამხედრო სამსახურში ეძებდა: სენს კი ნანგრძლივი მოგზაურობით, ზომიერი ცხოვრებით, ნიადაგ ღია ცისქვეშ ყოფნით და გაჭირვების გადატანით ებრძოდა და ამით სხეულის გაკაჟებას ცდილობდა. უმეტეს წილად ეტლში ან ტახტრევანზე ეძინა, რათა დასვენების დროც საქმისათვის გამოეყენებინა. გათენებისთანავე იწყებდა ციხე-სიმაგრეთა, ქალაქთა და ბანაკების გარშემოვლას ეტლით. მის გვერდით იჯდა ვინმე იმ მონათაგანი, რომელნიც გაწაფულნი იყვნენ მგზავრობისას მისი კარნახით ეწერათ, ხოლო უკან, ეტლზე ერთი ხმალშემორტყმული მეომარი იდგა. კეისარი ისე სწრაფად მოგზაურობდა ჩვეულებრივ, რომ როცა პირველად გამოვიდა რომიდან, უკვე მერვე დღეს როდანოსის სანაპიროს მიაღწია[63].

ცხენზე ჯდომას ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული და ისე იყო გაწაფული, რომ ხელებს ზურგზე შემოიწყობდა და ცხენს მთელი ძალღონით მიაჭენებდა. გარდა ამისა, ლაშქრობისას კეისარი გავარჯიშდა იმაშიც, რომ შეეძლო ორი და, როგორც ოპიუსი[64] ამბობს, უფრო მეტი მონისათვის ერთდროულად ეკარნახა ხოლმე წერილები. გადმოგვცემენ, ბარათების საშუალებით მეგობრებთან ურთიერთობის დამყარებაც კეისარმა შემოიღოო, ვინაიდან გადაუდებელ საქმეებზე მოსალაპარაკებლად მათთან პირისპირ შეხვედრის საშუალებას არც ნიადაგი მოუცლელობა აძლევდა და არც ქალაქის სივრცეო.

თუ რაოდენ მოკრძალებული იყო კეისარი პირად ცხოვრებაში, ამას შემდეგი მაგალითი გადმოგვცემს. ერთხელ მედიოლანუმში[65] იგი სადილად მიიწვია მისმა იქაურმა მასპინძელმა ვალერიუს ლეონმა და მიართვა სატაცური, რომელსაც ზეითუნის ზეთის ნაცვლად უბრალო ზეთი მოასხა. კეისარი საჭმელს მადიანად შეექცა, ხოლო მეგობრები, რომელთაც უკმაყოფილება შეატყო, სასტიკად გაკიცხა: „თუ რაიმე არ მოგწონთ, შეგიძლიათ არ მიირთვათ, ეს სრულიად საკმარისია; მაგრამ ის, ვინც მასპინძლის ასეთ უზრდელობას გაამხელს, თვითონაც უზრდელიაო“.

ერთხელ გზაში ავდარმა წამოუსწრო კეისარს და აიძულა ერთი ღარიბი კაცის ქოხში შეეფარებინა თავი. კეისარმა დაინახა, რომ ქოხში სულ ერთი პატარა ოთახი იყო, რომელიც ერთ კაცს ძლივძლივობით დაიტევდა. მაშინ მეგობრებს უთხრა: „საპატიო ადგილი ყოველთვის ძლიერებს უნდა დაუთმოთ, ხოლო აუცილებელი — ავადმყოფებსო“. და ქოხში მოსვენება ოპიუსს შესთავაზა, თვითონ კი სხვებ-

თან ერთად კარის წინ საჩრდილობელში მოთავსდა დასაძინებლად.

18. პირველი ომი, რომლის წარმოება გალიაში ლაშქრობის დროს მოუხდა კეისარს, იყო ომი ჰელვეტებსა და ტიგურინებთან[66]. ამ ტომებმა თორმეტი საკუთარი ქალაქი და ოთხასი სოფელი გადაწვეს და წინ — რომისადმი დაქვემდებარებული გალიის ნაწილზე[67] გადასასვლელად გაემართნენ, რაც თავის დროზე კიმბრებმა და ტევტონებმა ჩაიდინეს[68]. ჰელვეტები და ტიგურინები არც მაზაცობაში ჩამოუვარდებოდნენ მათ და არც სიმრავლეში. მათი საერთო რაოდენობაც სამას ათასამდე კაცს აღწევდა. აქედან ას ოთხმოცდაათი ათასი კაცი ბრძოლისუნარიანი იყო. ტიგურინები თვითონ კეისარს არ დაუმარცხებია. ისინი მის მიერ გაგზავნილმა ლაბიენუსმა გაანადგურა მდინარე არართან[69], რაც შეეხება ჰელვეტებს, ისინი მოულოდნელად დაესხნენ თავს კეისარს გზაში, როცა ერთ-ერთ მოკავშირე ქალაქში[70] მხედრობა მიჰყავდა; მაგრამ კეისარმა დაასწრო და თავი ერთ ბუნებრივად გამაგრებულ ადგილს შეაფარა. აქ მთელი თავისი ძალები შეკრიბა და საომრად დააწყო. მას ცხენი მოართვეს; „ცხენით, — თქვა კეისარმა, — გამარჯვების შემდეგ ვისარგებლებ მტრის დასადევნებლად, ახლა კი ისე გავეშუროთ მოწინააღმდეგისაკენო“, და მტერს ქვეითად ეკვეთა. ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის შემდეგ კეისარმა მტერი აოტა, ყველაზე უფრო დიდი სიძნელე მტრის აღალთან და ბანაკთან გადაეღობა კეისარს. აქ მოწინააღმდეგის დარაზმული ვაკაცები კი არ იბრძოდნენ მარტო, არამედ მათი ქალებიც და ბავშვებიც, რომელნიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გააფთრებით იცავდნენ თავს. ბოლოს ისინი უკლებლივ ამოხოცეს და ბრძოლა ძლივძლივობით შუაღამისას დასრულდა.

ეს ბრწყინვალე გამარჯვება კეისარმა კიდევ უფრო მეტი სახელოვანი საქმით დაგვირგვინა. მან მოაგროვა ბრძოლაში გადარჩენილი და დაფანტული ბარბაროსები და აიძულა მიტოვებულ მხარეს დაბრუნებოდნენ და დასახლებულიყვნენ იმ ქალაქებში, რომლებიც მათვე დაანგრიეს. კეისარმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ ეშინოდა, გერმანელები არ გადმოსულიყვნენ და ამ გაპარტახებულ მხარეს არ დაბატონებოდნენ.

19. მეორე ომი, კელტების დაცვის საბაბით, მან უკვე გერმანელებთან აწარმოვა, მიუხედავად იმისა, რომ მათი მეფე არიოვისტი

სულ მცირე ხნის წინათ მოკავშირედ გამოაცხადა რომში[71]. გერმანელები კეისრისადმი დაქვემდებარებული ტომებისათვის მეტად აუტანელ მეზობლებად ითვლებოდნენ და უეჭვო იყო, რომ ისინი, როგორც ხელსაყრელი დრო მიეცემოდათ, თავიანთ ხვედრს არ დასჯერდებოდნენ, გამოიღაშქრებდნენ და გალიას დაიპყრობდნენ.

კეისარმა რა დაინახა, მისი სარდლები შიშობდნენ ამ ომის მოლოდინში, ყველაზე მეტ სიმხდალეს კი წარჩინებული გვარის ის ახალგაზრდა წინამძღოლები იჩენდნენ, რომლებიც კეისარს მხოლოდ იმიტომ გამოჰყვნენ, რომ ლაშქრობისას მოხვეჭილი სიმდიდრით ესარგებლათ, კეისარმა ისინი საბჭოზე შეკრიბა და ბრძანებით მიმართა: „რაკიღა ასეთ სილაჩრესა და სინაზეს იჩენთ, ახლავე უკან გაბრუნდით. თქვენი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებთ! მე მარტოოდენ მეათე ლეგიონის იმარა გავემართები ბარბაროსთა წინააღმდეგ. ისინი, ვისთანაც მე ბრძოლა მომიხდება, არაფრით არიან კიმბრებზე უძლიერესნი და არც მე ვარ მარიუსზე ნაკლები წინამძღოლი“[72]. მეათე ლეგიონმა მას ელჩები მიუგზავნა და ამ სიტყვებისათვის მადლობა გადაუხადა. რაც შეეხება დანარჩენ ლეგიონებს, მათ საკუთარი წინამძღოლები გაიცხეს და ბრძოლის სურვილით აღგზნებულნი მიჰყვნენ ყველანი კეისარს. რომაელებმა მრავალი დღე იარეს გზად და ბოლოს მტრისაგან ორასი სტადიონის მოშორებით დაბანაკდნენ.

კეისრის ამ ნაბიჯმა არიოვისტის მამაცობას რამდენადმე ფრთა შეაკვეცა. იგი სრულებითაც არ მოელოდა იმას, რომ რომაელები თავს დაესხმოდნენ გერმანელებს, პირიქით, დარწმუნებული იყო, ისინი გერმანელების მოახლოებასაც კი ვერ გაუძლებდნენ. არიოვისტი გააოცა კეისრის გაბედულებამ, თანაც ნახა, რომ მისი მხედრობა დაბნეული იყო. გერმანელთა მხნეობის დაუძლურებას კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი მისან ქალთა წინასწარმეტყველებამ. მდინარეთა მორევებზე, წყლის ტრიალსა და ხმაურზე დაკვირვებით ისინი მომავალს სჭვრეტდნენ და არიოვისტს ახალი მთვარის დადგომამდე ბრძოლის დაწყებას უკრძალავდნენ.

როცა კეისარმა ეს ამბავი შეიტყო და დაინახა, გერმანელები მშვიდად არიან და ჯერ ბრძოლის დაწყებას არ აპირებენო, უმჯობესად მიიჩნია სწორედ ასეთ პირობებში დასხმოდა მათ თავს და უქმად არ მჯდარიყო მანამდის, სანამ გერმანელები მათთვის ხელსაყრელ

დროს დაელოდებოდნენ. მან იერიში მიიტანა იმ მიწაყრილებსა და გორაკზე, სადაც ისინი იყვნენ დაბანაკებულნი და ისე გაიღიზიანა ბარბაროსები, რომ ბრაზით აიშალნენ ბანაკიდან და ბრძოლაში ჩაებნენ. კეისარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. უკუქცეულ მტერს ოთხასი სტადიონის მანძილზე რენოსამდე[73] მისდია და მთელი ეს სივრცე გვამებითა და მტრის მიერ მიტოვებული საჭურვლით აავსო. არიოვისტმა, როგორც იქნა, დაასწრო და რამდენიმე მეომრის თანხლებით რენოსი გადალახა. ამბობენ, გერმანელთა გვამების რიცხვი ოთხმოცი ათასი იყოო.

20. ამ ომის დასრულების შემდეგ კეისარმა მხედრობა გამოსაზამთრებლად სექვანების[74] მხარეში დატოვა, თვითონ კი იმ მიზნით, რომში მიმდინარე ამბები მხედველობიდან არ გამოჰპარვოდა, პადოსის[75] გასწვრივ მდებარე გალიაში გადმოვიდა[76]. ეს მხარე მისთვის საგამგებლოდ გადაცემული პროვინციის ნაწილი იყო. სხვათა შორის, ამბიერალპების გალიას დანარჩენი იტალიისაგან საზღვრავს მდინარე, რომელსაც რუბიკონს ეძახიან.

აქ გატარებული დრო კეისარმა იმას მოახმარა, რომ თავის მომხრეთა რიცხვი გაეზარდა. მასთან ფრიად მრავალი ხალხი მოდიოდა. იგი თითოეულ სტუმარს აძლევდა იმას, რასაც ეს უკანასკნელი სთხოვდა და ამრიგად ყველას კმაყოფილს ისტუმრებდა, ზოგს უკვე დასაჩუქრებულს და ზოგსაც იმედით აღსავსეს. პომპეუსი ვერ ამჩნევდა, რომ კეისარი მთელი თავისი ლაშქრობის მანძილზე ასე იქცეოდა: იგი ერთი მხრივ თანამოქალაქეთა იარაღით მტერს ამარცხებდა, ხოლო მეორე მხრივ მტრისაგან წართმეული ქონებით იმავე თანამოქალაქეთ იმორჩილებდა და ითვინიერებდა.

ამბიერალპების გალიაში ყოფნის დროს კეისარმა გაიგო, რომ მას განუდგნენ კელტთა შორის უძლიერესი ბელგები, რომელთაც მთელი გალიის მესამედი ნაწილი ეკავათ[77]. ამ ბელგებმა, როგორც კეისარს ეუწყა, მრავალათასიანი შეიარაღებული ჯარი შეკრიბეს. კეისარი მყისვე გაბრუნდა უკან და მტრის წინააღმდეგ დიდი სისწრაფით დაიძრა. იგი სწორედ იმ დროს დაესხა თავს ბელგებს, როცა ისინი რომის მოკავშირე გალებს არბევდნენ. ბელგები ამჯერად ცუდად იბრძოდნენ. კეისარმა რიცხვმრავალი მტრის ურდო უკუაქცია და ისე გაანადგურა, რომ ბარბაროსთა გვამებით ჭაობები და ღრმა მდინარეები აივსო და რომაელები ზედ თავისუფლად გადადიოდნენ.

რაც შეეხება დანარჩენ ამბოხებულთ, იმათგან ოკეანის სანაპიროს გასწვრივ მცხოვრები ტომები[78] ყველანი უბრძოლველად დანებდნენ კეისარს: მაგრამ მას კიდევ მოუხდა გალაშქრება ბელგთა შორის უველურესი და უმამაცესი მებრძოლი ტომის ნერვიების წინააღმდეგ. ნერვიები ულრან ტყეებში ცხოვრობდნენ. მათ თავ-თავიანთი ოჯახები და ქონება მტრისაგან რაც შეიძლებოდა მეტი მოშორებით, ტყის სიღრმეში დამალეს და სწორედ იმ დროს, როცა კეისარი ლაშქრის დაბანაკებით იყო გართული და ბრძოლას არ მოელოდა, სამოცი ათასი მეომრის შემადგენლობით თავს დაესხნენ. ნერვიებმა კეისრის ცხენოსანი ჯარი უკუაქციეს, მეთორმეტე და მეშვიდე ლეგიონს გარს შემოერტყნენ და ცენტურიონები ყველა ამოჟლიტეს. კეისარს რომ ფარისათვის ხელი არ ეტაცნა და წინა ხაზზე მებრძოლი რიგების გაჭრის შემდეგ მტერს არ ჰკვეთებოდა, ამავე დროს კეისრის საფრთხის დანახვაზე მეათე ლეგიონი რომ მაღლობიდან ძირს არ დაშვებულიყო და ბარბაროსთა რაზმები არ მიელეწ-მოელეწა, რომაელთაგან ძნელადღა თუ გადარჩებოდა ვინმე. მაგრამ ახლა კეისრის სიმამაცით გამხნევებული რომაელები, როგორც იტყვიან ხოლმე, საკუთარ ძალღონეზე აღმატებით იბრძოდნენ. ნერვიებიც, თავის მხრივ უკიდურესი თავგანწირულებით იგერიებდნენ მტერს. რომაელებმა, მართალია, ვერ უკუაქციეს ისინი, სამაგიეროდ სულ ერთიანად აკუწეს. ამბობენ, სამოცი ათასი ბარბაროსისაგან მხოლოდ ხუთასი მეომარი, ხოლო მათი საბჭოს ოთხასი უხუცესი წევრისაგან მხოლოდ სამი კაცი გადაურჩა სიკვდილსო.

21. როცა ეს ამბავი სენატს ეუწყა, მან დაადგინა ღმერთების მიმართ სამადლობელი პარაკლისი გადაეხადათ და თხუთმეტი დღის განმავლობაში დღესასწაულები გაემართათ. ასეთი ზეიმი უწინ არც ერთი გამარჯვების დროს არ ყოფილა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ახლანდელი საფრთხე მეტად დიდი ჩანდა, — რომაელთა წინააღმდეგ ამდენი ტომი ერთდროულად აღსდგა; ამას გარდა, ხალხმა ისედაც ბრწყინვალე გამარჯვება კეისრის სიყვარულით კიდევ უფრო მეტი დიდებით შემოსა.

რაც შეეხება თვითონ კეისარს, გალიაში საქმეთა მოგვარების შემდეგ გამოსაზამთრებლად კვლავ პადოსის მხარეში გადმოვიდა და რომის მიმართ საკუთარი ზრახვების აღსრულება დააპირა. სახელდობრ, თახამდებობის მაძიებელი პირნი მისი დახმარებით სარგებლობდნენ,

მისგან მიღებული ფულით ხალხს ქრთამავდნენ და, როგორც კი დაინიშნებოდნენ თანამდებობაზე, მაშინვე აკეთებდნენ ყველაფერ იმას, რაც კი კეისრის ძლიერების გაზრდას შეუწყობდა ხელს. მაგრამ კეისარი მარტოოდენ ამით როდი დაკმაყოფილდა. მისივე თაოსნობით ლუკაში [79] მასთან შეიკრიბა თითქმის ყველა წარჩინებული და დიდი გავლენის მქონე პირი. მათ შორის იყვნენ: პომპეუსი, კრასუსი, სარდინიის პრეტორი აპიუსი და ესპანეთის პროკონსული ნეპოტი. სულ ლუკაში ჩამოვიდა ას ოცი ლიქტორი და ორასზე მეტი სენატორი.

გამართული თათბირის შემდეგ ისინი ასეთ შეთანხმებამდე მივიდნენ: პომპეუსი და კრასუსი კონსულებად უნდა აირჩეულიყვნენ, ხოლო კეისარს მხედართმთავრობის ვადის კიდევ ხუთი წლით განგრძობის გარდა განსაზღვრული თანხაც უნდა მისცემოდა. ასეთი პირობა ფრიად უცნაურად მიიჩნია ჭკუადამჯდარმა ხალხმა. მისთვის თანხის მიცემას, გითომდა კეისარს ეს უჭირდა, სწორედ ის პირები სთხოვდნენ სენატს, რომელთაც კეისრისაგან ესოდენ ბევრი ფული ჰქონდათ მიღებული; ისინი, კაცმა რომ თქვას, აიძულებდნენ სენატს ასეთი გადაწყვეტილება გამოეტანა. კატონი მაშინ იქ არ იყო, იგი განზრახ მოიშორეს თავიდან და კიპროსზე გააგზავნეს. კატონის მიმდევარი ფავონიუსი, რომელმაც ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოსვლით ვერაფერს მიაღწია, სენატის კარიდან გამოვარდა და ხალხს ყვირილით მოუხმო დასახმარებლად. მას არავინ მიაქცია ყურადღება. ზოგს პომპეუსისა და კრასუსის ეშინოდა, ხოლო უმრავლესობამ კეისრის ხათრით შეიკავა თავი, ვინაიდან სწორედ კეისარზე დამყარებული იმედებით სულდგმულობდნენ.

22. ლუკადან კეისარი კვლავ თავის მხედრობასთან დაბრუნდა გალიაში და ნახა, რომ ეს ქვეყანა საკმაოდ დიდ ომს მოეცვა. გალიის მიწის დაპყრობის მიზნით ორი გერმანელი ტომი სულ ახლახან რენოსზე გადმოსულიყო. ერთი იყო უზიპეტების ტომი, მეორე კი — ტენქტერების. მათ წინააღმდეგ წარმოებულ ომზე კეისარი თავის „დღიურებში“ შემდეგს წერს: ბარბაროსებმა მას ელჩები მიუგზავნეს თურმე, მაგრამ ზავის დროებით ჩამოგდების დროს გზაში თავს დაესხნენ და რვაასი ცხენოსნისაგან შემდგარი რაზმით მისი ხუთიათასიანი მხედრობა, რომელიც არაფერს არ მოელოდა, უკუაქციეს. მერმე ისევ გამოუგზავნეს ელჩები, რათა კვლავ მოეტყუებინათ, მაგრამ კეისარმა ეს ელჩები შეიპყრო და თავისი ჯარი ბარბაროსთა წინააღ-

მდეგ დაძრა. ასეთი მუხთალი და ფიცისგამტეხი მტრის ნდობა სასუ-ლელად ჩათვალა. ტანუზიუსი[80] კი თავის მხრივ გადმოგვცემს, როცა სენატს გამარჯვების აღსანიშნავად დღესასწაულებისა და საყოველ-თაო პარაკლისის მოწყობის დადგენილება გამოჰქონდა, კატონმა თურმე წინადადება შეიტანა კეისარი ბარბაროსებისათვის გადაეცათ, რათა ფიცისგამტეხის ლაქა რომს ჩამოშორებოდა და წყევლა-კრულ-ვა ასეთი ვერაგობის უშუალო მიზეზს დასტეხოდა თავს.

რენოსზე გადმოსულ გერმანელთაგან ოთხასი ათასი კაცი გაჟლი-ტეს. მდინარეზე უკან გადასვლა ფრიად მცირე რიცხვმა მოახერხა. გა-დარჩენილი ბარბაროსები იქ სუგამბრებმა შეიფარეს. სუგამბრებიც გერმანული მოდგმის ტომი იყო. კეისარმა ეს მათ წინააღმდეგ ომის გაჩაღების საბაბად გამოიყენა. მას, სხვათა შორის, რენოსზე ლაშქრით პირველად გადასული კაცის სახელის მოხვეჭის სურვილიც ამოძრა-ვებდა. ამიტომ ხიდის აგება დაიწყო და ამისათვის ის ადგილი აირჩია, სადაც მდინარე ყველაზე უფრო განივრად და მძლავრად მოედინებო-და. მისი დინება გზადაგზა წამოღებულ ძირკვებსა და მორებს დიდი ძალით ახეთქებდა და ბოძებს არყევდა. კეისარმა მდინარის ფსკერზე ხის უზარმაზარი ხიმინჯები ჩაასმევინა, ამის მეოხებით წყლის გააფ-თრებული მდინარება ალავმა და ფრიად სასწაულებრივი და დაუჯე-რებელი საქმე გააკეთა: ხიდის აგება სულ რაღაც ათიოდე დღეში და-ამთავრა.

23. ამის შემდეგ მან მხედრობა ისე გადაიყვანა მეორე ნაპირზე, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა არავის გაუბედავს. გერმანელთა შო-რის ყველაზე უფრო მოწინავე სვებთა ტომიც კი ულრანსა და ტყით დაფარულ ხეობებში გაიხიზნა. კეისარმა მტრის ქვეყანა ცეცხლით გაანადგურა, რომაელთა მარადიულ მოკავშირეთ მხნეობა შთაუნერ-გა და გერმანიაში გატარებული თვრამეტი დღის შემდეგ კვლავ გა-ლიაში დაბრუნდა.

ბრიტანელებზე გალაშქრება კეისრის გასაოცარი მამაცობის და-დასტურებაა[81]. მან პირველმა შეაღწია თავისი ფლოტით დასავლეთის ოკეანეში და მხედრობა ატლანტის ზღვაზე გადაიყვანა საომრად. დაბყრობითი მიზნებით იერიში მიიტანა დაუჯერებელი სიდიდის კუნ-ძულზე, იმ კუნძულზე, რომელიც გაცხარებული დავის საბაბს წარ-მოადგენდა მწერლებში. ზოგიერთი მას არარსებულად თვლიდა და მის სახელსა და მასზე არსებულ გადმოცემებს მოჭორილ ამბად მი-

იჩნევდა. მისი დამორჩილებით რომაელთა ბატონობა მანამდე ცნობილი სამყაროს მიღმაც გადასწია კეისარმა. იგი ორგზის გადავიდა გალიის სანაპიროდან ამ კუნძულზე და იქ წარმოებული მრავალი ბრძოლის შედეგად მტერს უფრო მეტი ვნება მოუტანა, ვიდრე სარგებლობა თავის მეომრებს. საბრალო და ღატაკ ბრიტანელთ არაფერი ჰქონდათ ისეთი, რაც ნადავლად წამოღების ღირსი იქნებოდა. სწორედ ამის წყალობით იყო, რომ კეისარმა ამ ომის დამთავრებით საჯურველი შედეგი ვერ მიიღო. მან მძევლები გამოართვა მხოლოდ ბრიტანელთა მეფეს[82], მერმე ხარკი დაადო და კუნძულს განშორდა.

გალიაში დაბრუნებულმა კეისარმა რომში მყოფ მეგობართაგან მიიღო წერილი, რომელიც, სხვათა შორის, ბრიტანეთში უნდა მისულიყო. წერილი კეისარს ქალიშვილის გარდაცვალებას აუწყებდა. იქ ნათქვამი იყო, რომ მისი ასული, პომპეუსის მეუღლე მშობიარობას გადაჰყვა. ამ ამბით გამოწვეული მწუხარება, როგორც პომპეუსის, ისე კეისრისა უსაზღვრო იყო. მათი მეგობრებიც შეშფოთებულნი იყვნენ; ისინი გრძნობდნენ, რომ ისედაც აფორიაქებულ სახელმწიფოში დაირღვა მოყვრობა, რომლის წყალობითაც მშვიდობა და თანხმობა ჯერ კიდევ სუფევდა, რაც შეეხება ბავშვს, დედის სიკვდილის შემდეგ დიდხანს ვეღარ იცოცხლა და სულ მალე მოკვდა. სახალხო ტრიბუნთა ენერგიული წინააღმდეგობის მიუხედავად იულიას გვამი ხალხმა მარსის ველზე[83] გადაიტანა და იქ დაკრძალა.

24. კეისარი იძულებული შეიქნა უკვე საკმაოდ დიდი მხედრობა საზამთრო სადგომებში დასაბანაკებლად მრავალ ნაწილად დაეყო;[84] თვითონ კი ჩვეულებისამებრ იტალიაში გაემართა. მაგრამ სწორედ ამ დროს გალიის მთელ ტომებში ხელახალმა აჯანყებამ იფეთქა. ამბოხებულთა დიდ-დიდი ბრბოები ყველგან დაძრწოდნენ, რომაელთა საზამთრო სადგომებს ანადგურებდნენ და მათ სიმაგრეებზე იერიში მიჰქონდათ. აჯანყებულთა ყველაზე უფრო ძლიერმა და მრავალრიცხოვანმა ურდომ ამბიორიქსის მეთაურობით კოტა და ტიტირიუსი თავ-თავიანთი ჯარებითურთ ამოჟლიტა[85]. მერმე სამოცი ათასი მეომრით ციცერონის[86] წინამძღოლობის ქვეშ მყოფ ლეგიონს ალყა შემოარტყეს და ისეთი იერიში მიიტანეს მასზე, რომ კინაღამ არ დაიმორჩილეს. რომაელები ყველა დაჭრილი იყო და მოზღვავებული მტრის ძალას საოცარი მამაცობით იგერიებდნენ.

კეისარი აქედან უკვე საკმაოდ შორს იმყოფებოდა, მაგრამ როცა

ეს ამბავი ეუწყა, დაუყოვნებლივ გამობრუნდა უკან, შეკრიბა სულ რაღაც შვიდი ათასი მეომრისაგან შემდგარი ჯარი და ალყისაგან ციცერონის დასახსნელად მთელი სისწრაფით გაეშურა. ალყის შემომრტყმელთ კეისრის მოახლოება როდი გამოეპარათ. მათ ათვალწუნებით შეხედეს მის მცირერიცხოვან მხედრობას და იმ იმედით, ერთი დაკვრით შევმუსრავთო, კეისართან პირისპირ შესახვედრად დაიძრნენ. კეისარმა მტრის მოსატყუებლად ხერხი იხმარა და სულ უკან-უკან იხევდა, ვიდრე მარჯვე ადგილმდებარეობა არ დაიკავა, საიდანაც მცირერიცხოვანი ძალებით მტრის უთვალავ ლაშქართან შებრძოლებას შეძლებდა. აქ საფარში გამაგრდა და თავის მეომრებს ჯერჯეროობით ბრძოლაში ჩაბმა აუკრძალა. მერმე ბრძანა პატნეზები აემაღლებინათ, ბანაკის კარიბჭენი ჩაეხერგათ და ამით მტრისათვის ეჩვენებინათ, თითქოს მისი ეშინოდათ. კეისარმა ამ ხერხით მტერი აიძულა გაამაყებულიყო. მართლაც, გათამამებულმა ბარბაროსებმა უწესრიგოდ, ცალ-ცალკე ბრბოებად დაიწყეს თავდასხმა. მაშინ კეისარი საფრიდან გამოვიდა და მტერს ეკვეთა. მან ბარბაროსები უკუაქცია და მრავალი მათგანი მოსპო.

25. ამ გამარჯვებამ იქაური გალების[87] მრავალი ამბოხება ძირშივე ჩააქრო. თვითონ კეისარი მთელი ზამთრის განმავლობაში ყველგან მიდი-მოდიოდა და შფოთის ახალ ნიშნებს მყის სასტიკად ძირკვავდა. შეფერთხილი მხედრობის შესავსებად იტალიიდან სამი ლეგიონი მოუვიდა, აქედან ორი ლეგიონი პომპეუსმა გამოუგზავნა საკუთარი ჯარიდან, ხოლო მესამე სულ ახლახან იქნა შეკრებილი პადოსის ირგვლივ მდებარე გალიაში.

ამასობაში თავი იჩინა გალიაში ოდესმე მომხდარ ამბოხებათა შორის უდიდესი და უაღრესად სახიფათო აჯანყების ნიშნებმა. მას უკვე დიდი ხანია თესავდნენ გალიის ფრიად წარჩინებულნი პირნი ყველაზე უფრო მეომარ ტომებში. ამ ამბოხებას ბევრი რამ ჰმატებდა ძალას: უპირველეს ყოვლისა უამრავი ხალხი, რომელიც ყოველმხრივ შეკრებილიყო და იარაღი აესხა, შემდეგ ბრძოლისათვის შეგროვილი დიდძალი სიმდიდრე, გამაგრებული ქალაქები და თავდასხმებისათვის თითქმის სრულიად მიუვალი ადგილები. გარდა ამისა, მაშინ ზამთარიც იდგა. მდინარეები ყინულით და ტყეები თოვლით იყო დაფარული; მინდორ-ველები საშინელ ჭაობებად ქცეულიყო; რაც შეეხება გზებს, ზოგან ისეთი ღრმა თოვლით იყო დაფარული, მათი მიგნება არავის

შეეძლო, ზოგან კი ისე იყო ქაობებში ჩაფლული და მოვარდნილი წყლით წალეკილი, რომ არც მათი ნახვა და გამოყენება შეიძლებოდა. ერთი სიტყვით, ყველაფრით ჩანდა, რომ კეისარი აჯანყებულთა წინააღმდეგ თითქოს ვერაფერს გააწყობდა. მაშინ მართლაცდა მრავალი ტომი აღდგა. აჯანყებულთა შორის ყველაზე მეტად არვერნები და კარნუტები[88] გამოირჩეოდნენ. ამბოხების საერთო ხელმძღვანელად არჩეულ იქნა ვერცინგეტორიქსი, რომლის მამა გალებმავე მოკლეს, ვინაიდან ეშვი ჰქონდათ, რომ იგი ტირანიის დამყარებას ლამობდა.

26. ვერცინგეტორიქსმა თავისი მხედრობა მრავალ ნაწილად დაყო, ყოველ ნაწილს საკუთარი წინამძღოლი ჩაუყენა სათავეში და მდინარე არარის სანაპიროებამდე მდებარე ყველა კუთხე მიიმხრო. სწორედ იმ დროს, როდესაც თვით რომში ზოგიერთები უკვე აღდგნენ კეისრის წინააღმდეგ, ვერცინგეტორიქსმა განიზრახა მთელი გალია საომრად აემხედრებინა. ეს ამბავი რომ ცოტათი გვიან მოემოქმედა, სახელდობრ, როცა კეისარი სამოქალაქო ომში იყო ჩაბმული, იტალიას კიმბრთა ცნობილ შემოსევაზე ნაკლები საფრთხე არ დაატყდებოდა თავს. მაგრამ კეისარს თავიდან შესისხლხორცებული ჰქონდა ის, რომ ომისათვის შესანიშნავად გამოეყენებინა ყოველგვაროი მდგომარეობა და განსაკუთრებით დრო. ახლაც გაიგო თუ არა ამბოხების ამბავი, თავისი ჯარით მყისვე დაიძრა მტრის წინააღმდეგ და ესოდენ სუსხიანი ზამთრის პირობებში გასაოცარი სისწრაფით გადალახა მეტად მძიმე და გრძელი გზა. ამით უნდოდა ბარბაროსებისათვის ეჩვენებინა, რომ მათ წინააღმდეგ დაუძლეველი და შეუპოვარი ლაშქარი მოდიოდა. მართლაცდა იმ ადგილებში, სადაც წერილის მისატანად გაგზავნილი შიკრიკი ვერ შეაღწევდა, კეისარი მთელი თავისი მხედრობით გამოჩნდა. გზადაგზა იგი აჯანყებულთა მიწა-წყალს არბევდა, გამაგრებულ ადგილებს ანგრევდა, ქალაქებს იმორჩილებდა და ამბოხებულთაგან გამდგარ ტომებს იერთებდა. სწორედ ამ ხანებში მის წინააღმდეგ ედუებიც[89] აღდგნენ და აჯანყებულებს მიეძხრნენ; ეს ედუები უწინ რომაელი ხალხის ძმებად იყვნენ აღიარებულნი და ფრიად დიდი პატივითაც სარგებლობდნენ. ამ ტომის განდგომამ საკმაოდ დიდი მწუხარება მიაყენა ლაშქარს. ედუების ღალატის გამო კეისარი აქედან დაიძრა და ლინგონთა მხარეში გადავიდა, რათა მისულიყო მოკავშირე სეკვანებთან[90], რომლებიც დახარჩენ გალებთან შე-

დარებით ყველაზე უფრო ახლოს ცხოვრობდნენ იტალიასთან. ლინგონეს ბის მხარეში გაელის დროს მას თავს დაესხა მტერი და მრავალი ათასი მეომრით აღყა შემოარტყა. კეისარი იძულებული შეიქნა მთელი თავისი ძალებით გამკლავებოდა ბარბაროსებს. ბოლოს, ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მტერი გატეხა და დაამარცხა კიდეც. როგორც ჩანს, ერთგვარი მარცხი ბრძოლის დასაწყისში კეისარმაც განიცადა. სახელდობრ, არვერნები დღემდე გვიჩვენებენ მათ ტაძარში ჩამოკიდებულ მახვილს, ვითარცა კეისრისთვის წართმეულ ნადავლს. შემდეგ ხანებში ეს მახვილი კეისარმა თვითონაც ნახა თურმე და ჩუმად ჩაიცინა; მისმა მეგობრებმა მახვილის ჩამოხსნა დააბირეს, მაგრამ არ დაანება, ვინაიდან წმინდა შეწირულებად ჩათვალა.

27. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, ბრძოლაში გადარჩენილმა ბარბაროსთა უმრავლესობამ მეფე ვერცინგეტორიქსთან ერთად თავი ქალაქ ალეზიას[91] შეაფარა. ეს ქალაქი თავისი უზარმაზარი კედლებითა და შიგ ჩაკეტილ თავდამცველთა სიმრავლით აუღებელ სიმაგრედ ჩანდა. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ კეისარს ზურგიდანაც ენით აუწერელი განსაცდელი დაემუქრა. სახელდობრ, გალიის უმამაცესი ტომები შეერთდნენ და სამასი ათასი კაცის შემადგენლობით ალეზიასთან იარაღასხმულნი მოვიდნენ. ქალაქში მებრძოლ მეომართა რაოდენობაც ამ სამოცდაათ ათასზე ნაკლები არ ყოფილა. ასე რომ კეისარი ამ ომში ორცეცხლშუა აღმოჩნდა მომწყვდეული. იგი იძულებული შეიქნა ორი კედელი აეგო, ერთი ქალაქისაკენ, მეორე კი ზურგიდან იერიშზე წამოსული მტრის წინააღმდეგ, ვინაიდან აშკარა იყო, ბარბაროსთა ორივე ძალა რომ ერთმანეთს შეერთებოდა, კეისარი და მისი მხედრობა ერთიანად განადგურდებოდა. ალეზიასთან შექმნილმა საფრთხემ მრავალ საფუძველზე დამყარებით კეისარს დაშსახურებული სახელი მოუხვეჭა. მართლაცდა, არც ერთ ბრძოლაში არ გამოუჩენია კეისარს ისეთი სიმამაცე და ნიჭი, როგორც ამ ომში გამოამჟღავნა. ყველაზე უფრო საკვირველი მაინც ის არის, რომ ქალაქში ჩაკეტილ მტერს სულ არ შეუმჩნევია, თუ როგორ შეება კეისარი გარედან მოზღვავებულ მრავალ ათას ბარბაროსს და როგორ აღმოჩნდა გამარჯვებული. დიდი გაოცების ღირსია ისიც, რომ ეს ამბავი არც იმ რომაელთ გაუგიათ, რომელნიც ქალაქისაკენ აღმართულ კედელს დარაჯობდნენ. კეისრის გამარჯვება მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როცა გაიგონეს ყვირილი და გოდება ალეზიაში გარე-

მოცული მამაკაცებისა და ქალებისა, რომლებმაც დაინახეს, თუ რა-
გორ მოჰქონდათ რომაელ მეომრებს მოპირდაპირე მხრიდან თავიანთ
ბანაკში ოქრო-ვერცხლით მოფენილი უამრავი ფარი, გასისხლიანებუ-
ლი თორები, თასები და გალური კარვები. აი ასე სწრაფად, ჩრდი-
ლისა და სიზმრის მსგავსად გაქრა და მიმოიფანტა ბარბაროსთა უზარ-
მაზარი მხედრობა. ამ ლაშქრობის უდიდესი ნაწილი ბრძოლაში დაეცა.

ალეზიის დამცველები, რომლებმაც ტანჯვა და დავიდარაბა მი-
აყენეს საკუთარ თავსაც და კეისარსაც, რომაელებს დანებდნენ. ხო-
ლო მთელი ამ ომის წინამძღოლმა ვერცინგეტორიქსმა ყველაზე უფ-
რო ძვირფასი იარაღი აისხა, ცხენი შეკაზმა და ქალაქის კარიბჭიდან
გამოვიდა. მან ჯერ იმ ადგილს შემოუქროლა, სადაც კეისარი იჯდა,
მერმე კი ცხენიდან ჩამოხდა, მთელი თავისი იარაღი ძირს დაყარა და
კეისრის ფერხთა წინ დუმილით დაჯდა. ბოლოს იგი მცველებს გადას-
ცეს, რათა ტრიუმფის გამართვამდე პატიმრობაში ჰყოლოდათ.

28. კეისარს უკვე კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა პომპეუსის
დამხობა და პომპეუსსაც, რაღა თქმა უნდა, კეისრის განადგურება
სურდა. რაც შეეხება კრასუსს, იგი ფრთხილად ადევნებდა თვალ-
ყურს მათ შორის ჩამოვარნდილ შუღლს და მზად იყო ერთ-ერთი
მათგანის დამარცხების შემთხვევაში გამარჯვებულს ჰკვეთებოდა;
მაგრამ მოხდა ისე, რომ კრასუსი პართებთან ბრძოლაში დაიღუპა [92].
ძალაუფლების უმაღლესი საფეხურის მოსაპოვებლად კეისარს ახლა
იმის განადგურება დარჩენოდა, ვისაც ეს საფეხური ჯერ კიდევ ეკავა,
ხოლო პომპეუსს, თუ კეისრის მსხვერპლად გახდომა არ სურდა, უნდა
მოესპო იგი, ვისიც მას ეშინოდა.

კეისრის შიში პომპეუსმა საკმაოდ გვიან ივრძნო. მანამდე იგი ათ-
ვალწუნებით უყურებდა და ფიქრობდა, ადვილად დაამარცხებდა იმ
კაცს, რომელიც მისი წყალობით აღზევდა. კეისარს კი თავიდანვე
ჰქონდა გეგმები დაწყობილი და მოწინააღმდეგეთ, ათლეტის მსგავ-
სად, საკმაო მანძილით განშორდა. იგი აქ გალებთან წარმოებულ
ომებში გავარჯიშდა, მხედრობაც გამოწრთვნა და საგმირო საქმეთა
მეოხებით ისეთი სახელი მოიხვეჭა, პომპეუსის დიდების საზღვარს
მიაღწია. ახლა იგი ცდილობდა თავის ზრახვების სისრულეში მოყვა-
ნას იმ მრავალი საბაბის საშუალებით, რომელთაც მას პომპეუსიც
აძლევდა, აგრეთვე დროის პირობებიც და რომის სახელმწიფოს ქა-
ოტური მდგომარეობაც. ამ უკანასკნელი გარემოების გამო ისინი,
ვინც თანამდებობათა მოპოვებისაკენ მიისწრაფოდნენ, შუაგულ ქუ-



https://www.facebook.com/groups/ELLIB/

ჩებში მაკიდებს დკამდნენ და ბრბოს უსირცხვილოდ ქრთამავდნენ [93]. მოსყიდული ხალხი კრებაზე მიდიოდა და მომქრთამელთა გულისათვის საარჩევნო დავას ხმის მიცემით კი არ სწყვეტდა, არამედ მშვილდისრებით, მახვილებითა და შურდულებით. მოდავენი ხშირად სისხლითა და დახოცილთა გვამებით ბილწავდნენ ტრიბუნას და მხოლოდ ამის შემდეგ შორდებოდნენ ერთმანეთს. მათ ქალაქი ალალბედზე მიაგდეს და ისიც საერთო ანარქიის ტალღებში ისე მიემართებოდა, როგორც მესაჭეს მოკლებული ხომალდი. გონიერი ხალხი ერთადერთ გამოსავალს ასეთი სიგიჟისა და საშინელი ქაოსისაგან მხოლოდ იმაშიღა ხედავდა, თუ სახელმწიფოში მონარქია მაინც დამყარდებოდა და არა სხვა უარესი რამ. ბლომად იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უკვე აშკარად და გაბედულად ამბობდნენ, მონარქიის გარეშე სახელმწიფოს განკურნვა შეუძლებელი საქმე არის და ეს გამკურნებელი წამალი ჩვენ იმ მეტად მოწყალე ექიმისაგან უნდა მივიღოთ, რომელიც ამას თვითონვე გვთავაზობსო. ექიმში ისინი, რაღა თქმა უნდა, პომპეუსს გულისხმობდნენ. პომპეუსი თავს იკატუნებდა და სიტყვით ამაზე უარს ამბობდა, საქმით კი ყოველნაირად ცდილობდა დიქტატორად ელიარებინათ. კატონი და მისი მომხრენი პომპეუსის წადილს მიხვდნენ და სენატი დაარწმუნეს იგი ერთპიროვნულ კონსულად აერჩიათ. ამით ის უნდოდათ, რომ პომპეუსი კანონიერი მონარქიით დაკმაყოფილებულიყო და დიქტატორობისაკენ სწრაფვაზე ხელი აეღო. გარდა ამისა გადაწყვიტეს მისთვის პროვინციათა გამგებლობის ვადა გაეგრძელებინათ. პროვინცია კი პომპეუსს ორი ჰქონდა — ესპანეთი და მთელი ლიბია, რომელთაც იგი იქ მივლინებული ლეგატების საშუალებით მართავდა. პროვინციებში ჩაყენებული ჯარის შესანახად პომპეუსი სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიურად ათას ტალანტს იღებდა.

29. სწორედ ამ ხანებში კეისარმა რომში კაცები აფრინა. იგი კონსულობასა და თავის პროვინციებში პომპეუსის თანაბრად უფლებამოსილობის გაგრძელებას მოითხოვდა. პომპეუსი ამ ამბავს ჯერჯერობით დუმილით შეხვდა; მაგრამ მარცელუსი და ლენტულუსი [94], რომელთაც ისედაც ეზიზღებოდათ კეისარი, მისი მოთხოვნების წინააღმდეგ გამოვიდნენ და იმას, რაც აუცილებელი იყო, ბევრი ზედმეტი რამ დაუმატეს, რათა პატივი აეყარათ და შეურაცხყოფა მიეყენებინათ კეისრისათვის. მათ, მაგალითად, კეისრის მიერ გალიაში სულ

ახლახან დაარსებულ ახალშენ კომუმის[95] მცხოვრებლებს მოქალაქეობის უფლება აღუკვეთეს. კონსულმა მარცელუსმა თავის მხრივ ერთ-ერთი იქაური სენატორი, რომელიც რომში ჩამოვიდა, გაროზგა და მერმე დაცინვით უთხრა: ეს იმის ნიშნად მოგართვით, რომ გახსოვდეს, რომაელი არა ხარ; ახლა კი წადი და ნაცემი ადგილი კეისარს უჩვენეო!

მარცელუსის კონსულობის შემდგომ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილე პირთ კეისარმა ნება მისცა უხვად ესარგებლათ მის მიერ გალიაში მოპოვებული სიმდიდრით. ასე მაგალითად, სახალხო ტრიბუნი კურიონი[96] მან აურაცხელი ვალებიდან ამოიყვანა, ხოლო კონსულ პაულუსს[97] ათას ხუთასი ტალანტი მისცა. პაულუსმა ამ თანხით მშვენიერი ბაზილიკა ააგო ფორუმზე; იქ, სადაც უწინ ფულვიას ბაზილიკა იყო. კეისრის ასეთმა მოქმედებამ პომპეუსს შიში მოჰგვარა. იგი უკვე აშკარად ცდილობდა ნაწილობრივ საკუთარი ძალღონისა და ნაწილობრივ მეგობრების მეოხებით იმის მიღწევას, რომ კეისრისათვის როგორმე სარდლობა ჩამოერთმიათ და მის ადგილზე სხვა ვინმე დაენიშნათ. ამასთან ერთად პომპეუსმა კეისართან კაცები გაგზავნა და მოსთხოვა უკან დაებრუნებინა ის მეომრები, რომლებიც გალიაში ომების საწარმოებლად დაუთმო. კეისარმა ყოველი მეომარი ორას ორმოცდაათი ტალანტით დააასაჩუქრა და მყისვე გაუგზავნა პომპეუსს.

იმ პირებმა, რომლებმაც ეს მეომრები პომპეუსს მიუყვანეს, ხალხში კეისარზე მეტად ცუდი და ბოროტი ხმების გავრცელება დაიწყეს. მათ ფრიად ფუჭი იმედებით თვალი აუხვიეს პომპეუსს. ისინი არწმუნებდნენ, კეისრის მთელ მხედრობას შენ უყვარხარ და თუ აქ გამეფებული შურიანი და სახელმწიფო არეულობის წყალობით შენს ადგილზე ძლივსღა დგაბარ, სამაგიეროდ იქაური მხედრობა მზად არის შენთვის თავი დასდოს და როგორც კი გადმოვა იტალიაში, მყისვე შენს მხარეზე დადგებაო. თავისი გაუთავებელი ლაშქრობებით კეისარმა მართლაც დაიმსახურა საკუთარი ჯარისკაცების წყრომა: მათ ეეჭვი ჰქონდათ, რომ იგი ტირანიისაკენ მიისწრაფოდა.

ამის წყალობით ისეთი გული მიეცა პომპეუსს, რომ მხედრობის მომზადებაზე სულაც არ ზრუნავდა; მას თითქოს საშიშარი აღარაფერი ჰქონდა და ეგონა, სიტყვებითა და გადაწყვეტილებათა მიღებით და-

ამარცხებდა კეისარს. კეისარი კი ოდნავ ყურადღებასაც არ აქცევდა ამ სიტყვებსა და გადაწყვეტილებებს. ასე მაგალითად, ამბობენ, როცა ერთმა მის მიერ რომში მიგზავნილმა და სენატის შენობის წინ მდგომმა ცენტურიონმა გაიგო, სენატი კეისარს სარდლობის გაგრძელების ვადას აღარ აძლევსო, მახვილის ტარს დაჰკრა ხელი თურმე და თქვა: „მაშინ აი ეს მისცემსო"!

30. კაცმა რომ თქვას, კეისრის მოთხოვნილებას ვარეგნულად სამართლიანობის იერი დაჰკრავდა. სახელდობრ, კეისარი თანახმა იყო, იარაღი დაეწყო, ოღონდ პომპეუსიც ასევე უნდა მოქცეულიყო. მერმე ორივენი, უკვე კერძო პიროვნებებად ქცეულნი, გაწეული ღვაწლისათვის თანამოქალაქეთაგან რაიმე ჯილდოს მიღებას დაელოდებოდნენ. იგი სენატს აფრთხილებდა: იმ შემთხვევაში, თუკი მას ჯარს წაართმევდნენ და პომპეუსს გაუძლიერებდნენ იმ ძალაუფლებას, რაც ჰქონდა, მოხდებოდა ის, რომ ერთს, ვითომცდა ტირანიისაკენ მისწრაფებისათვის დათრგუნავდნენ, მეორეს კი უკვე ნამდვილ ტირანად აქცევდნენ. როდესაც კურიონმა ეს წინადადება კეისრის საბელით ხალხს გამოუცხადა, მას დიდი ტაშისცემით მიეგებნენ; ზოზაერთმა ყვავილების გვირგვინიც კი მიართვა, თითქოს გამარჯვებული ათლეტი ყოფილიყო. ერთ-ერთმა სახალხო ტრიბუნმა ანტონიუსმა კი სახალხო კრებაზე კეისრის მოთხოვნილების შემცველი წერილი მიიტანა და კონსულთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად წაიკითხა [98].

მაგრამ პომპეუსის სიმამრმა სციპიონმა სენატში წინადადება შეიტანა კეისარი საშშობლოს მტრად გამოეცხადებინათ, თუკი დათქმული დღისათვის იარაღს არ დააწყობდა. ამის შემდეგ კონსულები სენატის წევრებს შეეკითხნენ, ვინ იყო იმის მომხრე, რომ პომპეუსს ჯარი დაეშალა და ვინ იმისა, რომ კეისარი მოქცეულიყო ასე. პირველ წინადადებას სულ რამდენიმე კაცი მიემხრო, მეორეს კი მცირე გამონაკლისის გარდა, ყველამ დაუჭირა მხარი. მაშინ ანტონიუსმა და მისმა მომხრეებმა კვლავ წამოაყენეს წინადადება, რომ სარდლობა ორივეს, პომპეუსსაც და კეისარსაც ერთდროულად მოეხსნა თავიდან. ამ წინადადებას ყველა ერთსულოვნად დაეთანხმა; მაგრამ სციპიონმა მთელი ძალ-ღონით გაილაშქრა ამის წინააღმდეგ, ხოლო ლენტულუსმა ყვირილი მორთო: ყაჩაღის წინააღმდეგ იარაღით უნდა ვიმოქმედოთ და არა კენჭისყრითო. ამის შემდეგ სენატის სხდომა და-

იშალა და შინაური განხეთქილების დაწყების ნიშნად სენატორები სამგლოვიარო ტანსაცმლით შეიმოსნენ.

31. მცირე ხნის შემდგომ კეისრისაგან კვლავ მოვიდა წერილი, რომელიც საკმაოდ ზომიერ წინადადებათა შემცველი ჩანდა. კეისარი ყველაფერზე ხელს იღებდა, ოღონდ მოითხოვდა მისთვის საგამგებლოდ გადაეცათ ამიერალპების გალია და ილირია ორი ლეგიონითურთ მანამდის, სანამ იგი მეორეგზის კონსულობას არ მიიღებდა. ორატორი ციცერონი, კილიკიიდან რომ სულ ახლახან იყო დაბრუნებული [99], მთელი ძალ-ღონით ცდილობდა მოწინააღმდეგენი დაეზავებინა და პომპეუსი მოელბო. პომპეუსი, მართლაც, თითქმის ყველაფერზე დათანხმდა, მაგრამ დაჟინებით მოითხოვდა კეისრისათვის ჯარის ჩამორთმევას. მაშინ ციცერონმა კეისრის მეგობრებს რჩევა მისცა ზემოხსენებული პროვინციებით და მხოლოდ ექვსი ათასი მეომრისაგან შემდგარი მხედრობით დაკმაყოფილებულიყვნენ და ამრიგად მშვიდობიანობა აღედგინათ. ბოლოს და ბოლოს პომპეუსმა ამაზეც ქედი მოიხარა და დათმობაზე წავიდა; მაგრამ კონსული ლენტულუსი და მისი მომხრენი ასეთ პირობებს არ დათანხმდნენ; ის კი არა, ანტონიუსი და კურიონი საშინლად გამოლანძღეს და სენატიდან სამარცხვინოდ გაიძევეს. ასეთი საქციელით ლენტულუსის პარტიამ მშვენიერი საბაბი მისცა კეისარს, რათა ჯარისკაცები კიდევ უფრო მეტად გაეხელებინა. იგი მათ უჩვენებდა იმ სახელოვან და დიდი თანამდებობის მქონე პირებს, რომლებიც მონის ტანისამოსში გადაცმულნი დაქირავებული ოთხთვალებით გამოიქცნენ მასთან. ანტონიუსი და კურიონი მტრის შიშმა აიძულა მონებად გადაცმულნი გამოსულიყვნენ რომიდან [100].

32. კეისარს სულ სამასამდე მხედარი და ხუთი ათასი ქვეითი მეომარი ჰყავდა თან. დანარჩენი ლაშქარი ალპებს გადაღმა იყო დატოვებული და მისი მოყვანა უკვე დავალებული ჰქონდათ იქ გაგზავნილ პირებს. კეისარი ხედავდა, რომ მის მიერ განზრახული საქმის დაწყება და პირველი იერიშის მიტანა იმდენად მრავალრიცხოვან მხედრობას არ მოითხოვდა, რამდენადაც სასწაულებრივ მამაცობასა და მტერზე თავზარდამცემ სწრაფ თავდასხმას. მისი აზრით, გაცილებით უფრო ადვილი იყო მტრის შეძრწუნება ანაზდეული იერიშით, ვიდრე მისი დამარცხება დიდი და მომზადებული ჯარის დაპირისპირებით. ამიტომ თავის სარდლებსა და ცენტურიონებს უბრძანა შეიარაღებულიყვნენ მხოლოდ და მხოლოდ მახვილებით, სხვა იარაღი არ

ეხმარათ და დაეკავებინათ იტალიის დიდი ქალაქი არიმინუმი[101]; ამასთან ერთად კეისარმა ისინი გააფრთხილა, რაც კი შეიძლებოდა, სისხლის ღვრასა და აურზაურს მორიდებოდნენ. მხედრობის წინამძღოლობა ჰორტენზიუსს დაავალა; თვითონ კი მთელი ეს დღე თავისიანების წრეში გაატარა და გლადიატორთა ვარჯიშობას შეესქეროდა. საღამოს ჟამს აბაზანა მიიღო; მერმე სასადილო დარბაზში შევიდა და მცირე ხანი ვახშამზე მიწვეულებთან ერთად დაჰყო. როგორც კი დაღამდა, ზე წამოდგა, სტუმრებს ბოდიში მოუხადა და სთხოვა მის დაბრუნებამდე არ დაშლილიყვნენ. რამდენიმე მეგობარს წინასწარ უთხრა უკან გაჰყოლოდნენ, ოღონდ ყველანი ერთად კი არა, არამედ ცალ-ცალკე, სხვადასხვა გზით. ამის შემდეგ ერთ-ერთ ნაქირავებ ეტლში ჩაჯდა და პირველად იმ გზით კი არ წავიდა, საითაც უნდა წასულიყო, არამედ სულ სხვა გზით; მერმე კი უკვე არიმინუმისაკენ გადაუხვია.

როდესაც მიაღწია ეგრეთ წოდებულ მდინარე რუბიკონს, რომელიც ამიერალპების გალიას დანარჩენი იტალიისაგან გამოჰყოფს, იგი ფრიად ღრმა ფიქრებმა მოიცვა, ვინაიდან იგრძნო, რომ საფრთხეს თითქმის უკვე მიუახლოვდა. უაღრესად დიდი და გაბედული მოქმედების დაწყების წინ შემკრთალმა კეისარმა ეტლი შეაჩერა და დიდხანს დუმილით უკვირდებოდა თავის განზრახვას. იგი მან ყოველმხრივ აწონ-დაწონა; ხან ერთ გადაწყვეტილებაზე შეჩერდებოდა, ხან მეორეზე. მაშინ მრავალგზის გამოიცვალა აზრი და მერმე საკმაოდ დიდხანს ისაუბრა ამის თაობაზე თანმხლებ მეგობრებთან, რომელთა შორის აზინიუს პოლიონიც იყო. კეისარს წარმოდგენილი ჰქონდა, თუ რაოდენ დიდი უბედურების დასაწყისი იქნებოდა ყველა ხალხისათვის ამ მდინარეზე გადასვლა და ისიც ესმოდა, თუ როგორ შეაფასებდა ამ ამბავს მომავალი თაობა. ბოლოს მხნეობამოკრებილმა კეისარმა მყოფადის პირისპირ შესახვედრად ფიქრები თავიდან მოიშორა და ის სიტყვები წარმოთქვა, რომელსაც საფრთხით აღსავსე და გაბედული საქმის დასაწყისში ამ საქმის მესვეურნი ამბობენ ხოლმე: „წილი ნაყარიაო!“ — დაიძახა და ფონისკენ დაიძრა[102]. დარჩენილი გზა ისე სწრაფად გაიარა, რომ ჯერ კიდევ გათენებამდე შეიჭრა არიმინუმში და ქალაქი დაიკავა. ამბობენ, რუბიკონზე გადასვლის წინა ღამით საშინელი სიზმარი ნახაო; მას თურმე ეზმანა, თითქოს საკუთარ დედას ბუნებისაგან აკრძალული კავშირით შეეუღლა.

33. არიმინუმის აღების შემდეგ ომს, ასე ვთქვათ, კარი ფართოდ გაეღო ერთდროულად ყველგან — ხმელეთზეც და ზღვაზეც, და პროვინციის საზღვრებთან ერთად რომის კანონებიც წაიშალა. იტალიაში ჩვენ მაშინ შეგვეძლო დაგვენახა არა მარტო ის, თუ როგორ დაძრწოდნენ შიშით ზარდაცემული მამაკაცები და ქალები აქეთ-იქით — ეს ხომ უწინაც მომხდარა — არამედ ისიც, თუ ვით დგებოდნენ ფეხზე თვით ქალაქები და ვით მირბოდნენ ერთმანეთის პირისპირ შესახვედრად. რაც შეეხება რომს, იგი ისე აივსო მახლობელ მხარეთაგან მოზღვავებული ლტოლვილებითა და საბუდრებიდან აყრილი ხალხით, თითქოს აზვირთებული მდინარე მოვარდნილიყო. არც ერთ თანამდებობის პირს აღარ ძალუძდა რჩევა-დარიგებებითა თუ რაიმე სხვა საშუალებით წესრიგის დაცვა; ის კი არა, ასეთ დიდ ქარიშხალსა და მღელვარებაში ამ ქალაქმა საკუთარი თავი კინაღამ თვითონვე არ დაღუპა. მთელი რომი მოწინააღმდეგეთა ჟინმორეულმა ბრძოლამ და მოუსვენარმა ძალმომრეობამ მოიცვა. ისინიც კი არ იყვნენ მოსვენებულნი, ვისაც დროებით გამარჯვება ერგო. ამ ვრცელ ქალაქში ხელახლა უხდებოდათ შეტაკება შეშინებულ და სასოწარკვეთილ მტერთან და მომავლის რწმენით გაამაყებულნი ახალ ბრძოლას აჩაღებდნენ.

პომპეუსს, რომელიც ისედაც საკმაოდ შეშფოთებული იყო, არსაიდან აღარ ასვენებდნენ. ერთნი მას პასუხს სთხოვდნენ იმისათვის, რომ საკუთარი თავისა და რესპუბლიკის საზიანოდ კეისარი ასე აღაზევა, ხოლო მეორენი ბრალს სდებდნენ იმაში, რომ თავის დროზე ნება მისცა ლენტულუსს და მის მომხრეებს გაელანძღათ კეისარი, რომელიც მაშინ დათმობაზე მიდიოდა და ვონიერ პირობებს სთავაზობდა. ეი ასეთი გაჭირვების ჟამს ფავონიუსმა პომპეუსს ურჩია მიწაზე ფეხი დაეკრა. საქმე ის იყო, რომ ერთხელ პომპეუსმა ტრაბახით განუცხადა სენატს: „არავითარი დავიდარაბა და ზრუნვა ომის მზადებისათვის თქვენ არ გჭირდებათ: თუ კეისარი ოდესმე გამოჩნდა, მე მიწას ერთხელ დავკრავ ფეხს და მთელ იტალიას ჯარით გავავსებო“.

სხვათა შორის პომპეუსს ახლაც უფრო მრავალრიცხოვანი მხედრობა ჰყავდა, ვიდრე კეისარს; მაგრამ აღარავინ აძლევდა ნებას საკუთარი მოსაზრებით ემოქმედა. ბოლოს და ბოლოს მცდარმა ხმებმა, მტერი უკვე კარზეა მომდგარი და ყველაფერი ხელთ იგდოო, პომ-

პეუსი აიძულა საყოველთაო მღელვარებას აჰყოლოდა, მან გამოაქვეყნა გადაწყვეტილება, რომ ხედავს რა ასეთ შფოთს, ქალაქს ტოვებს. ამასთან ერთად პომპეუსმა წინადადება მისცა სენატს უკან გაჰყოლოდა და რომში დარჩენა აუკრძალა ყველას, ვისაც კი სამშობლო და თავისუფლება ერჩივნა ტირანიას.

34. კონსულები სხვათა შორის ისე გაიქცნენ ქალაქიდან, წასვლის წინ ადათით დაწესებული მსხვერპლიც კი არ შეუწირავთ. გარბოდა სენატორთა უდიდესი ნაწილიც. შეშფოთებული სენატორები სიჩქარეში საკუთარ ქონებას ისე ექცეოდნენ, თითქოს სხვისი საკუთრება ყოფილიყო და მიჰქონდათ ის, რაც კი პირველად მოხვდებოდათ ხელში. ამ ტალღას სრულიად უსაფუძვლოდ აჰყვნენ ისინიც, რომლებიც უწინ კეისრის მხურვალე მომხრეებად ითვლებოდნენ, მაგრამ ამჟამად შიშისაგან გონება დაკარგეს. ყველაზე უფრო სამწუხარო საბახაობა კი მაინც ის იყო, რომ ქალაქი ასეთი მძვინვარე ქარიშხლის მოლოდინში სასოწარკვეთილ მესაჭეთაგან ბედის ანაბარა მიტოვებულ ხომალდს ჰგავდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქიდან ასე აყრა ფრიად მძიმე იყო, პომპეუსის სიყვარულით რომაელები გაძევების ადგილსაც სამშობლოდ თვლიდნენ და ტოვებდნენ რომს, ვითარცა კეისრის ბანაკს. აი, ამ დროს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მახლობელი მეგობარი კეისრისა, გალიის მთელ ომებში მისი ლეგატი და თავდადებული თანამებრძოლი ლაბიენუსიც კი განუდგა კეისარს და პომპეუსის მხარეზე გადავიდა. მიუხედავად ასეთი საქციელისა, კეისარმა მას მაშინ მთელი მისი კუთვნილი ფული და ავლა-დიდება გაუგზავნა.

კეისარი უწინარეს ყოვლისა გაემართა დომიციუსისაკენ, რომელსაც მის ხელქვეით მყოფი ოცდაათი კოჰორტით კორფინიუმი ეკავა[103], და ბანაკი ამ ქალაქის მახლობლად დასცა. დომიციუსმა მდგომარეობიდან თავის დაღწევის ყოველგვარი იმედი დაკარგა და მონა ექიმს საწამლავი მოსთხოვა. მას იგი მიართვეს და დალია იმდენი, რაც საკმარისი იყო თავის მოსაკლავად. მცირე ხნის შემდგომ დომიციუსმა შეიტყო, კეისარი ტყვეებს რაღაც არაჩვეულებრივი კაცთმოყვარეობით ექცევაო. გაიგო თუ არა ეს, თავისი თავი დაიტირა და მის მიერ მიღებული აჩქარებული გადაწყვეტილების გამო სინანული გამოთქვა; მაგრამ ექიმმა გაამხნევა და უთხრა, რომ მან ძილის მომგვრელი წამალი დალია და არა მომაკვდინებელი შხამი. დომიციუსის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა; იგი გახარებული წამოხტა ფეხზე

და კეისართან გაეშურა. კეისარმა იგი შეიწყალა; თუმცაღა ამის შემდეგ დომიციუსი ისევ პომპეუსთან გაიქცა.

როცა კეისრის ასეთი ლმობიერების ამბავი რომში შეიტყვეს. მოქალაქეებს შვება მიეცათ და ზოგიერთი ლტოლვილიც უკან დაბრუნდა.

35. დომიციუსის ჯარით კეისარმა თავისი მხედრობა შეავსო და იმ ლაშქართა შემოერთებაც მოასწრო, რომელნიც პომპეუსისათვის იტალიის ქალაქებში იკრიბებოდნენ. ასე მრავალრიცხოვან და ზარდამცემ ძალად გადაქცევის შემდეგ კეისარი ახლა თვითონ დაიძრა პომპეუსის წინააღმდეგ. პომპეუსმა მის იერიშს თავი აარიდა და ბრუნდუზიუმში გაიქცა. კონსულები და მხედრობა კი დირაქიუმში ჰყავდა წინასწარ გაგზავნილი. მცირე ხნის შემდგომ, როგორც კი მიუახლოვდა კეისარი, თვითონაც იქით გასცურა, რაზეც უფრო დაწვრილებით მისი ცხოვრების აღწერაში იქნება მოთხრობილი [104].

კეისარს უნდოდა მაშინვე დასდევნებოდა უკან პომპეუსს, მაგრამ რაკიღა ხომალდები თითქმის სულ არ ჰყავდა, ამიტომ რომში დაბრუნდა. აი, ამგვარად, სულ რაღაც სამოცი დღის განმავლობაში, სისხლის ღვრის გარეშე, კეისარი მთელი იტალიის სრული ბატონ-პატრონი შეიქნა.

რომი კეისარს გაცილებით უფრო დამშვიდებულ მდგომარეობაში დაუხვდა, ვიდრე მოელოდა. მან აქ სხვათა შორის მრავალ სენატორს მოუსწრო. კეისარმა მათ ალერსიანი და მეგობრული სიტყვით მიმართა და მოუწოდა შესაფერი საზავო პირობების დასადგენად პომპეუსთან კაცები გაეგზავნათ. მის წინადადებას არავინ არ დაუჭირა მხარი; შესაძლოა სენატორებს მათგან მიტოვებული პომპეუსის ეშინოდათ, ანდა შეიძლება ფიქრობდნენ, კეისარი გულით არ ლაპარაკობდა და ზრდილობით შეფერადებულ ტყუილს ამბობდა.

სახალხო ტრიბუნი მეტელუსი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა კეისრისათვის სახელმწიფო ხაზინიდან ფული აეღო და რაღაც კანონებს იმოწმებდა. „იარაღი და კანონები, — უთხრა მას კეისარმა, — ერთმანეთს ვერ ეგუებიან; შენ თუ ჩემი მოქმედება არ მოგწონს, ახლავე გაეთრიე აქედან! ომი ლაილაის ვერ იტანს! აი, როცა ზავი დაიდება და მე იარაღს დავყრი, მაშინ დაბრუნდი და ილაყბე, რამდენიც გსურდეს. ამას რომ გეუბნები, — დაუმატა მან, — ამით ჩემს სამართლიან უფლებებს ვთმობ; ხომ იცი, რომ შენცა და ყველა სხვა ჩემი მტრებიც, რომელთაც აქ მოგისაწრით, ჩემს

ხელთა ხართ!“ უთხრა თუ არა ეს მეტელუსს, კეისარი ხაზინის სალაროს კარისაკენ გაემართა, მაგრამ რაკიღა გასაღები ვერ ნახა, ოსტატები დაიბარა და უბრძანა კარი შეემტვრიათ. მაშინ ზოგიერთთა მხრივ წაქეზებული მეტელუსი კვლავ წინაღუდგა მას. მოთმინებიდან გამოსული კეისარი სიკვდილით დაემუქრა სახალხო ტრიბუნს, თუ კვლავ მოაბეზრებდა თავს. „იცი თუ არა, შე ლაწირაკო, — შეჰყვირა კეისარმა მას, — რომ ჩემთვის უფრო ძნელია ამის თქმა, ვიდრე მისი აღსრულება?!“ ამ სიტყვამ მეტელუსი აიძულა შიშით განმოეგბოდა იქაურობას და იმასაც შეუწყო ხელი, რომ ყველაფერი ის, რასაც ომი მოითხოვდა, გაცილებით ადვილად და სწრაფად მისცემოდა კეისარს.

36. მცირე ხნის შემდგომ კეისარმა ესპანეთში გაილაშქრა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა პომპეუსის ლეგატები აფრანიუსი და ვაროსი[105] ესპანეთიდან გაეძევებინა, იქაური ჯარები და პროვინციები დაემორჩილებინა და მერმე პომპეუსის წინააღმდეგ დაძრულიყო ისე, რომ ზურგში აღარც ერთი მტერი არ ჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ მის პირად სიცოცხლეს ესპანეთში მრავალგზის მოელოდა ხიფათი მტრის საფრიდან და შიმშილის გამო მხედრობაც საშიშროების წინაშე იდგა, მანამდის არ შეწყვიტა მტრის დევნა, მისი ბრძოლაში გამოწვევა და თხრილებით მისთვის ალყის შემორტყმა, სანამ თავისი ძალის მეოხებით მოწინააღმდეგის ბანაკისა და ჯარის სრული ბატონპატრონი არ გახდა. დამარცხებული ლაშქრის მეთაურები პომპეუსთან გაიქცნენ[106].

37. დაბრუნდა თუ არა კეისარი რომში, სიმამრმა პიზონმა ურჩია ზავის დასადებად პომპეუსთან ელჩები გაეგზავნა; მაგრამ ისავრიკუსმა იმ აზრით, რომ კეისრისათვის ეამებინა, ამ წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრა. ჩქარა კეისარი სენატის მიერ დიქტატორად იქნა არჩეული[107]. მან სამშობლოდან გაძევებული ხალხი უკან დააბრუნა, სულას დროს უფლებააყრილ რომაელთა შვილები პატივში აღადგინა და ვალთა სარგებლის ნაწილობრივი გაუქმებით მოვალეთა მდგომარეობა შეამსუბუქა. კეისარმა ამის მსგავსი სხვა რამდენიმე პოლიტიკური ღონისძიება მიიღო კიდევ და თერთმეტი დღის შემდეგ დიქტატორობაზე უარი თქვა. მან თავისი თავი სერვილიუს ისავრიკუსთან ერთად კონსულად გამოაცხადა და სალაშქროდ გაემზადა.

ზამთრის ბუნიაობის ჟამს, იანვრის თვის დამდეგს, რაც ათენელ-

თა პოსეიდონის თვეს შეესაბამება, ექვსასი რჩეული ცხენოსნით და ხუთი ლეგიონით კეისარი ზღვაში გავიდა; დანარჩენი მხედრობა კი, რაკიღა მეტისმეტად ჩქარობდა, უკან ჩამოიტოვა. გადავიდა თუ არა იონიის ზღვაზე, კეისარმა ორიკოსი და აპოლონია[108] აიღო და ხომალდები ჩამორჩენილ მეომართა წამოსაყვანად ბრუნდუზიუმში დაიბრუნა. ეს ჯარისკაცები, უკვე ახალგაზრდობის ასაკს გადაცილებულნი და განუწყვეტელი ომების წყალობით მოქანცულნი, გზაში კეისარზე ჩიოდნენ: „ნეტა სად და რისთვის მივყავართ ამ ადამიანს? იგი აქეთ-იქით ისე შეუსვენებლივ გვაწანწალებს და ისე გვექცევა, თითქოს უსულო არსებანი ვიყოთ და დაღლილობას არა ვგრძნობდეთ. მახვილიც კი დაჩლუნგდებოდა ამდენი ხმარებით; ხანგრძლივი სამსახურის შემდეგ ფარსა და აბჯარსაც კი შეასვენებენ ხოლმე. ნუთუ ვერ ამჩნევს კეისარი ჩვენს ჭრილობებზე, რომ ის მოკვდავ ხალხზე სარდლობს, რომ ჩვენც, როგორც მოკვდავებს, შეგვიძლია ვიწვალოთ და ვიტანჯოთ? ასეთ ზამთარში და ისიც ქარიშხლიან ამინდში თვით ღმერთიც ვერაფერს გახდება ზღვაზე; კეისარი კი ისე თავგამეტებით იქცევა, თითქოს კი არ დევნის მტერს, არამედ თვითონ გაურბისო“. აი, ასე ლაპარაკობდნენ ჯარისკაცები და ნელ-ნელა ბრუნდუზიუმისაკენ მიიწევდნენ; მაგრამ როცა იქ მივიდნენ და გაიგეს, კეისარი უკვე გავიდა აქედანაო, მყისვე იცვალეს აზრი. „ჩვენ ჩვენი იმპერატორის მოღალატენი ვართო“, — გაიძახოდნენ ისინი და საკუთარ თავსაც კიცხავდნენ და წინამძღოლებსაც ლანძღავდნენ: რატომ არ აგვაჩქარეთო. მერმე შემაღლებულ ადგილებზე განლაგდნენ, აქედან ზღვასა და ეპირს გასცქეროდნენ და მოუთმენლად მოელოდნენ ხომალდებს, რომელთა საშუალებითაც კეისართან გადავიდოდნენ.

38. აპოლონიაში კეისარს საომარი მოქმედების დაწყებისათვის საკმაო ძალა არ ჰყავდა. მთავარი მხედრობა კი ბრუნდუზიუმიდან გამოსვლას ძალზე აყოვნებდა. ასეთი გამოუვალი მდგომარეობით შეწუხებულმა კეისარმა მეტად თავზეხელაღებული გადაწყვეტილება მიიღო. მან განიზრახა ყველასაგან მალულად ერთ თორმეტხოფიან ხომალდში ჩამჯდარიყო და, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ზღვა მოწინააღმდეგის ფლოტს ეკავა, ბრუნდუზიუმში ასულიყო. მართლაც, დაღამდა თუ არა, მონის ტანსაცმელში გადაცმული კეისარი ხომალდზე ავიდა და ვინმე უბრალო კაცის მსგავსად ჩუმად ერთ კუნჭულში დაჯდა. მდინარე აიემ ხომალდი ზღვისაკენ გააქანა. განთიადის ქარი

მდინარის ტალღებს ზღვაში მიაგორებდა და შესართავში სიმშვიდეს ამყარებდა; მაგრამ ლამით იგი ზღვის ძლიერმა ქარმა შეცვალა. ზღვის მოქცევამ და ტალღების შეხეთქებამ მდინარე საშინლად ააზვირთა. იგი მძვინვარე და შეუპოვარი გახდა. მისი ტალღები ზარდამცემი ხმაურით ეჯახებოდა ზღვისაგან მოვარდნილ ტალღებს და მდინარეში საშინელ მორევებს აჩენდა. მდინარიდან ზღვაში გასვლა მესაჭისათვის უკვე შეუძლებელი საქმე იყო. ამიტომ მან მეზღვაურებს უბრძანა, ხომალდი უკანვე გაებრუნებინათ. კეისარმა რომ ეს გაიგო, მყისვე გამოაჩინა სახე, მისი დანახვით განცვიფრებულ მესაჭეს ხელში სწვდა და შესძახა: „წინ, ძვირფასო მეგობარო, მხნეობა მოიკრიბე და ნურაფრისა ნუ გეშინია; შენ ამ ხომალდით კეისარი და მისი ბედი მიგყავსო"! მეზღვაურებმა მაშინვე დაივიწყეს ქარიშხალი; ხოფებს ისე მძლავრად დააწვნენ, თითქოს შეეზარდნენო, და მთელი გულმოდგინეობით ცდილობდნენ მდინარეს შებრძოლებოდნენ. მაგრამ ეს შეუძლებელი გამოდგა. ხომალდში წყალი შეიჭრა. მდინარის შესართავში მას ჩაძირვის საფრთხე მოელოდა. კეისარი დიდი სიხახულით დაეთანხმა მესაჭეს, რომ ხომალდი უკან მოებრუნებინა.

როცა კეისარი ბანაკში დაბრუნდა, აქ მყოფი მეომრები უკმაყოფილოდ შეხვდნენ და გულმოსულებმა გაკიცხვა დაუწყეს, რომ არ სჯერა გამარჯვებისა მარტოოდენ მათთან ერთად, არ ენდობა მათ და გზაში ჩამორჩენილი ჯარის გულისათვის წუხს და თავს საფრთხეში იგდებს.

39. ამასობაში ბრუნდუზიუმიდან ანტონიუსი ჩამოვიდა და თან მხედრობა მოიყვანა. კეისარი გამხნევდა და პომპეუსი ბრძოლაში გამოიწვია. პომპეუსი მეტად ხელსაყრელ ადგილზე იყო დაბანაკებული და ხმელეთიდან და ზღვიდან საკმაო მომარაგება ჰქონდა. კეისარს კი თავიდანვე არ გააჩნდა კარგი მომარაგება, ხოლო შემდეგ ხანებში სურსათის ნაკლებობამ მეტისმეტად შეაწუხა. მისი ჯარისკაცები მიწიდან რაღაც ფესვებს თხრიდნენ, წვრილ-წვრილად დაჭრილს რძეში ურევდნენ და ამით იკვებებოდნენ. ერთხელ ამ ფესვებისაგან პური გამოაცხვეს. მერმე წინა ხაზზე აგებულ მტრის სამაგრეებთან მიიჭრნენ და ამ პურების გადატყორცნა დაიწყეს. პურების გადასროლასთან ერთად ისინი მოწინააღმდეგეთ შესძახოდნენ: სანამ დედამიწას ასეთი ფესვების აღმოცენება შეეძლება, ჩვენ პომპეუსის

ალყის შემორტყმას არ შევწყვეტთო. პომპეუსი, რაღა თქმა უნდა, ყოველნაირად ცდილობდა ეს პურები და კეისრის მეომართა სიტყვები მის მხედრობამდე არ მისულიყო. მაგრამ ამაოდ, პომპეუსის ჯარისკაცები სულით ეცემოდნენ. მათ აძრწუნებდათ მტრის უგრძნობლობა და კეისრის მეომრებს მხეცებად თვლიდნენ.

პომპეუსის სიმაგრეებთან განუწყვეტლივ ხდებოდა ცალკეული შეტაკებები. ამ შეტაკებებში კეისარი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა ერთი ბრძოლა, რომლის დროსაც იგი სასტიკად დამარცხდა და კინაღამ ბანაკი დაჰკარგა. პომპეუსის იერიშს მაშინ ვერავინ ვერ გაუძღო. თხრილები დახოცილთა გვამებით გაივსო. მტრის მიერ უკუქცეული ჯარისკაცები საკუთარ პატნეზებსა და სიმაგრეებზე ეცემოდნენ. კეისარი მათ შესახვედრად გამოდიოდა: იგი ყოველნაირად ცდილობდა ლტოლვილნი უკან გაებრუნებინა, მაგრამ ვერაფერი გაარიგა. იგი მივარდებოდა ხოლმე დროშებს, ცდილობდა ხელი ეტაცა მათთვის, მაგრამ მედროშენი მათ ძირს ყრიდნენ, რის გამოც ოცდათორმეტი დროშა მტერმა ჩაიგდო ხელში. აი, ამ ბრძოლაში კეისარი კინაღამ თვითონვე არ გამოესალმა სიცოცხლეს. ერთ წარმოსადეგსა და ღონიერ მეომარს, რომელიც უკან მობრუნებოდა, კეისარმა ხელი სტაცა და უბრძანა შეჩერებულიყო და მტერს ჰკვეთებოდა. შიშისაგან გონებადაკარგულმა მეომარმა ხმალი შემართა და ის იყო უნდა დაეკრა მისთვის, რომ კეისრის პირადმა მცველმა დაასწრო და მხარი ჩამოათალა.

ამ ბრძოლის შემდეგ კეისარმა საქმე საბოლოოდ წაგებულად ჩათვალა. მაგრამ პომპეუსმა, სიფრთხილისა თუ ბედისწერის მიზეზით, ეს დიდი გამარჯვება ბოლომდე არ მიიყვანა. უკუქცეული მტერი მხოლოდ მისსავე ბანაკში ჩაკეტა და მერმე უკან დაიხია. მაშინ ბანაკში დაბრუნებულმა კეისარმა მეგობრებს ასე უთხრა: „დღევანდელ დღეს გამარჯვება მტრების მხარეზე იქნებოდა, უკეთუ გამარჯვების შემძლე ჰყოლოდათო“ [109].

მერმე კეისარი კარავში შევიდა, წამოწვა და მთელი ღამე მოუსვენრად, ფრიად ჭირმე ფიქრებში გაატარა. იგი თავის თავს კიცხავდა, რომ ასე უხეირო სარდლობა გამოიჩინა: იმის ნაცვლად, ბრძოლა მახლობლად მდებარე ვრცლად გადაშლილ ადგილსა და მაკედონიისა და თესალიის მდიდარ ქალაქებთან გაემართა, მან ბანაკი დასცა ზღვასთან, სადაც მტერი ყოველმხრივ ძლიერი იყო და სადაც სურსათის

ნაკლებობის გამო თვითონ უფრო ჰგავდა ალყაშემორტყმულს, ვიდრე მისგან გარემოცული მტერი.

აი, ასეთი ფიქრებით გატაცებულმა და ახლანდელი მდგომარეობითა და სურსათის ნაკლებობით შეწუხებულმა კეისარმა ამ ადგილიდან მხედრობა დაძრა და გადაწყვიტა სციპიონის წინააღმდეგ წაეყვანა მაკედონიაში. კეისარს იმედი ჰქონდა იქ მიიტყუებდა პომპეუსს, რომელიც იძულებული იქნებოდა ზღვიდან უკვე ყოველგვარი დახმარების გარეშე ებრძოლა ძასთან, ან არა და განმარტოებით დარჩენილ სციპიონს დაამარცხებდა.

40. კეისრის ბანაკიდან აყრამ პომპეუსის ლაშქარსა და მის მეთაურებს დიდი სურვილი გაუღვიძა უკან დადეკნებოდნენ, მათი აზრით, დამარცხებულსა და უკუქცეულ კეისარს. მაგრამ პომპეუსი თვითონ დიდი სიფრთხილით იქცეოდა და ყოველნაირად ერიდებოდა იმას, რომ ერთი ბრძოლის ბედისათვის მიენდო ესოდენ დიდი საქმის გადაწყვეტა. იგი საუკეთესოდ იყო მომზადებული ხანგრძლივი დროისათვის და ცდილობდა ისედაც შეფერთხილი მტრის ძალები დაყოვნების საშუალებით მოექანცა და დაესუსტებინა. კეისრის მხედრობის მთავარსა და საუკეთესო მებრძოლ ბირთვს, რა თქმა უნდა, დიდი გამოცდილება და შეუპოვარი გამბედაობა ჰქონდა ომში; მაგრამ მისი ჯარისკაცები უკვე ხანში იყვნენ შესულნი. დაუსრულებელი ლაშქრობა, ბანაკის აყრა-დაცემა, საალყო კედლების დაცვა და ღამის ტეხა მათ საშინლად ქანცავდა. ასეთი შრომისათვის არაქათი თითქმის საკვებით ჰქონდათ გამოლეული და ეს უძლურება სულის სიმტკიცესაც კი აკარგვინებდათ. გარდა ამისა ხმები დადიოდა, კეისრის ლაშქარში რაღაც გადამდები სენი მძვინვარებს, რომლის მიზეზიც უჩვეულო საკვებიაო. რაც მთავარია, კეისარს მაშინ არც ფულადი სახსრები გააჩნდა და არც სურსათი ჰქონდა საკმაო. ასე ეტყობოდა, სულ მოკლე დროში თვითონვე დაიღუპებოდა.

41. აი სწორედ ამ მიზეზის გამო არ სურდა პომპეუსს ბრძოლაში ჩაბმა. მის საქციელს, რაკიღა იგი თანამოქალაქეთა სიცოცხლეს ზოგავდა, მხოლოდ და მხოლოდ კატონი იწონებდა. ის კი არა, როცა კატონმა ბრძოლაში დაცემული მტრის ათასამდე გვამი დაინახა, სახე შეიბურა და ცრემლმორეული განშორდა იქაურობას. მის გარდა ყველა დანარჩენი კიცხავდა პომპეუსს იმისათვის, რომ ბრძოლას გაურბოდა. ისინი მას აღიზიანებდნენ და დაცინვით აგამემნონსა[110] და

მეფეთა მეფეს ეძახოდნენ, ვინაიდან ერთმპყრობელობაზე ხელის აღება არ სურდა და ქედმაღლობდა იმით, რომ მასზე დამოკიდებული იყო მრავალი სარდალი, რომელნიც მის კარავში ბრძანებისათვის მოდიოდნენ. ფავონიუსი პირში მთქმელი კატონის მიბაძვით გესლიანად ამბობდა: პომპეუსის მბრძანებლობისადმი სიყვარულის წყალობით წლეულს ჩვენ ტუსკულუმის[111] ლეღვს გემოს ვერ გავუსინჯავთო. ხოლო უხეირო სარდლობის შემდეგ ესპანეთიდან ახლახან დაბრუნებული აფრანიუსი, რომელსაც აბრალებდნენ, კეისარს თავისი მხედრობა ფულზე მიჰყიდაო, კითხულობდა: რატომ არ ებრძვით იმ ვაჭარს, რომელმაც ჩემგან პროვინციები იყიდაო?

ყველა ამ მიზეზთა წყალობით წაქეზებულმა პომპეუსმა, საკუთარი ნება-სურვილის წინააღმდეგ, ბრძოლაში ჩასაბმელად კეისრის დევნა დაიწყო. კეისარმა გზის დიდი ნაწილი ფრიად მძიმე ვითარებაში გაიარა. ახლახან განცდილი მარცხის გამო ყველა ალმაცერად უყურებდა და სურსათს არავინ აძლევდა. მაგრამ როცა თესალიის ქალაქი გომფი აიღო, არათუ გამოკვება მხედრობა, არამედ სენისაგანაც განკურნა იგი სრულიად უჩვეულო ხერხით. საქმე ის იყო, რომ ჯარისკაცები ამ ქალაქში უამრავ ღვინოს წააწყდნენ და მყის დაეწაფნენ. იმდენს სვამდნენ, რამდენიც სურდათ და დანარჩენ გზას უკვე ქეიფითა და ღრეობით აგრძელებდნენ. სიმთვრალის წყალობით თავიდან მტანჯველი ფიქრები მოიშორეს და ჯანშიც მკვეთრი გარდაქმნა იგრძნეს.

42. როცა ორივე მოწინააღმდეგე მხედრობა ფარსალეს ველზე გავიდა და ერთმანეთის პირისპირ დაბანაკდა, პომპეუსი კვლავ თავისი ძველი განზრახვის შესრულებას შეეცადა[112]. ყველაზე უფრო იმან შეუწყო ხელი, რომ არც წინამოსწავების ნიშნები იუწყებოდნენ კარგ რასმე და არც პომპეუსის მიერ ნახული სიზმარი იყო მაინცდამაინც სასიამოვნო. მან სიზმრად იხილა, ვითომცდა რომაელები თეატრში ტაშს უკრავდნენ.

პომპეუსის გარშემო მყოფი წარჩინებული პირები კი ისე იყვნენ გადიდგულებულნი და აუცილებელი გამარჯვების რწმენით დაიმედებულნი, რომ დომიციუსი, სპინთერი და სციპიონი გაცხარებულნი დაობდნენ ერთმანეთში იმის თაობაზე, თუ რომელი მათგანი დაიკავებდა კეისრის ნაცვლად ქურუმთუხუცესის თანამდებობას. ბევრნი იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რომში ხალხს აგზავნიდნენ, რათა და-

ექირავებინათ და ამთავითვე დაეკირათ კონსულთა და პრეტორთათვის შესაფერისი ბინები. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, ომის დამთავრებისთანავე დაიკავებდნენ ამ თანამდებობებს. ყველაზე უფრო მეტად მაინც მხედრები დრტვინავდნენ და დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ ბრძოლის დაწყებას. ისინი ბრძოლისათვის შესანიშნავად იყვნენ ძომზადებულნი და იარაღის ბრწყინვალეებით, გათქვირული ცხენებით და ბოლოს, თავიანთი სიმრავლით აღტაცებულნი, მეტისმეტად ქედმაღლობდნენ; კეისრის ათას ცხენოსანს შვიდი ათასი მტრის მხედარი უპირისპირდებოდა. არცთუ ქვეითი ჯარი იყო თანაბარი რაოდენობისა. კეისრის ოცდაორი ათასი მეომრის წინააღმდეგ მტრის ორმოცდახუთი ათასი ჯარისკაცი იყო დარაზმული.

43. კეისარმა ამასობაში თავისი მეომრები შეკრიბა და უწინარეს ყოვლისა აუწყა: კონფინიუსი [113], რომელსაც ჩვენთან ორი ლეგიონი მოჰყავს, სულ ახლოს არის, ხოლო თხუთმეტი დანარჩენი კოჰორტი მეგარასა და ათენის მახლობლადაა განლაგებული კალენუსის [114] სარდლობითო. ამის შემდეგ კეისარმა ჯარისკაცებს ჰკითხა: გინდათ დაელოდოთ ამ ძალების მოსვლას, თუ თქვენ თვითონვე გამოიდებთ თავს და ჩაებმებით ბრძოლაშიო? ჯარისკაცებმა ყიჟინა ატეხეს და კეისარს სთხოვეს, ამ ძალებისათვის კი არ დაეცადა, არამედ ყოველგვარი მხედრული ხერხი და სარდლის ნიჭიერება გამოეყენებინა, რათა ისინი რაც შეიძლება მალე შებმოდნენ მტერს.

იმ დროს, როდესაც კეისარი ლაშქრის განწმენდის წეს-ჩვეულებას ასრულებდა, მკითხავმა პირველი სამსხვერპლო ცხოველის შეწირვისთანავე განუცხადა, სამი დღის შემდეგ მტერთან ბრძოლის პირი გადაწყვეტილი იქნებაო. კეისრის კითხვაზე, ამჩნევს თუ არა ის მსხვერპლის შიგნეულობაზე დაკვირვებით თუნდაც რაიმე ნიშანს ბრძოლის კეთილი აღსასრულისა, წინასწარმეტყველმა უპასუხა: „მაგ კითხვაზე შენ თვითონ უფრო უკეთ გასცემ პასუხს შენს თავს. ღმერთები დიდ ცვლილებასა და ამდროინდელი მოდგომარეობის საწინააღმდეგო გარდატეხას იუწყებიან. ამიტომ, თუ შენს თავს ახლა კარგ მდგომარეობაში თვლი, ცუდ ბედს ელოდე, თუ — ცუდში, მაშინ — უკეთესსო“.

ბრძოლის დაწყების წინა ღამეს, როდესაც კეისარი საგუშაოებს უვლიდა, დაახლოებით შუაღამისას, ზეცაზე ცეცხლოვანი ჩირაღდანი გამოჩნდა. მან ჯერ კეისრის პანაკის თავზე ვადაიარა თითქოს, მერმე

იფეთქა, აელვარდა და პომპეუსის ბანაკში ჩავარდა. დილის დაფიონის დროს კი შენიშეს, რომ მტრის მხედრობაში საშინელი არეულობა სუფევდა. მიუხედავად ამისა, კეისარი ამ დღეს ბრძოლას არ მოელოდა. მან ბრძანება გასცა ბანაკი აეყარათ, რათა სკოტუსჰს მიმართულებით დაძრულიყვნენ.

44. კარვები უკვე აიღეს, როცა კეისართან მზვერავები მიიჭრნენ ცხენებით და აუწყეს, მტერი საომრად მოემართებაო. ზომაზე მეტად გახარებულმა კეისარმა, ღმერთების მიმართ ლოცვის აღავლენის შემდეგ, ლაშქარი სამ ნაწილად გაყო და საბრძოლოდ დარაზმა. შუა ნაწილის წინამძღოლად დომიციუს კალვინუსი[115] დააყენა; მარცხენა ფრთა ანტონიუსმა დაიკავა; მარჯვენას კი თვითონ კეისარი ჩაუდგა სათავეში, ვინაიდან განზრახული ჰქონდა აქ მეათე ლეგიონთან ერთად ებრძოლა. როცა შენიშნა, მტრის ცხენოსანი ჯარი სწორედ ამ ლეგიონის პირისპირ იყო დარაზმული, შეეშინდა მოწინააღმდეგის ბრწყინვალე შეიარაღებისა და სიმრავლისა. ამიტომ ბრძანება გასცა უკანა რიგებში მდგომი რაზმებიდან ექვსი კოჰორტი ფარულად მასთან გადმოსულიყო. ეს ექვსი კოჰორტი კეისარმა მარჯვენა ფრთის ზურგში დააყენა და აუხსნა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, როცა მტრის მხედრობა იერიშზე წამოვიდოდა.

პომპეუსსაც თავის მხრივ მარჯვენა ფრთა ეკავა, მარცხენა დომიციუსს ეჭირა, შუა ნაწილს კი პომპეუსის სიმამრი სციპიონი მეთაურობდა. პომპეუსის მთელი ცხენოსანი ჯარი მარცხენა ფრთაზე იყო თავმოყრილი იმ განზრახვით, მტრის მარჯვენა ფრთას შემორტყმოდა გარს და სავსებით გაენადგურებინა ის რაზმები, სადაც თვითონ მხედართმთავარი იმყოფებოდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მტრის ქვეითი ჯარი, რაგინდ მრავალრიცხოვანი არ ყოფილიყო, წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა ესოდენ ძლიერი მხედრობის იერიშს და უკუქცეული მთლიანად შეიმუსრებოდა.

როცა ორივე მებრძოლი მხარე უკვე მზად იყო იერიშის დაწყების ნიშანი მიეცა, პომპეუსმა თავის ფეხოსნებს უბრძანა ფხიზლად ყოფილიყვნენ და ერთ მტკიცე რიგად შემჭიდროებულთ მტრის მოწინააღმდეგეს ოროლის ტყორცნის მანძილზე არ მიუახლოვდებოდა მათ. კეისარი ამბობს, პომპეუსმა აქაც შეცდომა დაუშვაო; მან არ იცოდა, თავიდანვე სწრაფად და ძლი-

ერად მიტანილი იერიში რომ დარტყმასაც ძალას აძლევს და საყოველთაო მღელვარე განწყობასაც აღგზნებას ჰმატებსო.

კეისარი ის-ის იყო თავისი ფრთის დაძვრასა და ბრძოლის დაწყებას აპირებდა, რომ ერთ-ერთი ერთგული და ომებში გამობრძმედილი ცენტურიონი დაინახა. იგი თავის მეომრებს ამხნევებდა და მამაცობისაკენ მოუწოდებდა. კეისარმა დაუძახა და ჰკითხა: „გაიუს კრასინიუსო, როგორ ფიქრობ, გვქონდეს თუ არა გამარჯვების იმედი? როგორია, თუ ამჩნევ ჩვენი განწყობილება?“ კრასინიუსმა მარჯვენა ხელი გამოსწია კეისარს ხმამაღლა შესძახა: „ჩვენ ბრწყინვალედ გავიმარჯვებთ, კეისარო; შენ დღეს მე ან ცოცხალს ან მკვდარს შემაქებო. თქვა თუ არა ეს, კრასინიუსმა თავისი ას ოცი მეომარი გაიყოლა უკან და საოცარი სისწრაფით პირველი ეკვეთა მტერს. მან წინა ხაზზე მდგომი პომპეუსის ჯარისკაცები აკუწა და წინსელა განაგრძო. გზადაგზა ერთიმეორის მიყოლებით ხოცავდა მტრის მეომრებს; მაგრამ ბოლოს ისე მძლავრად ატაკეს პირში მახვილი, რომ მისმა წვეტმა კეფაში გაატანა.

45. იმ დროს, როცა ქვეითი ჯარები შუა ბრძოლის ველზე ერთმანეთს ეკვეთნენ, პომპეუსის მხედრობის მარცხენა ფრთიდან ამაყად გამოიჭრნენ ცხენოსნები და იმ განზრახვით, რომ მტრის მარჯვენა ფრთისათვის ალყა შემოერტყათ, ცალ-ცალკე რაზმებად დაიჭსაქსნენ. მაგრამ სანამ ისინი თავდასხმას მოასწრებდნენ, კეისრის კოჰორტები გამოიჭრნენ წინ. თავიანთი ჩვეულების წინააღმდეგ ოროლებს შორიდან კი არ ტყორცნიდნენ და თეძოებსა და წვივებზე კი არ ურტყამდნენ მტრებს, არამედ თვალებში უმიზნებდნენ და ჭრილობებს სახეზე აყენებდნენ. ისინი კეისარმა დაარიგა ასე მოქცეულიყვნენ. ის დარწმუნებული იყო, რომ ომებსა და ჭრილობებს მიუჩვეველი, საკუთარი სილამაზითა და სიჩაუქით მოამაყე ახალგაზრდა მხედრები სწორედ ასეთ დარტყმას აარიდებდნენ თავს და, როგორც შექმნილი საფრთხის, ისე მოსალოდნელი დასახიჩრების შიშით, იერიშს ველარ გაუმკლავდებოდნენ. ასეც მოხდა. პომპეუსის მხედრები ზეაღმართულ ოროლებს ველარ უძლებდნენ, რკინის იარაღისათვის თვალის გასწორებას ვერ ბედავდნენ, სახეს იფარავდნენ და მტერს ზურგს უბრუნებდნენ. ბოლოს და ბოლოს ასეთი საქციელით საკუთარი რიგები არივ-დარიეს, უკუიქცნენ და მთელი საქმე სამარცხვინოდ დაღუპეს. მხედრებზე გამარჯვებული კეისრის მეომრები ახლა მტრის ფე-

ხოსან ჯარს შემოერტყნენ, ზურგში მოექცნენ და ხოცვა-ჟლეტა დაუწყეს.

როცა მარჯვენა ფრთაზე მყოფმა პომპეუსმა უკუქცეული და მიმოფანტული მხედრები იხილა, სულ სხვა კაცად იქცა. აღარ ახსოვდა, რომ პომპეუს დიდი იყო' ღვთის მიერ გონებაწარომეული კაცის მსგავსად ზარდაცემულმა პომპეუსმა მდუმარედ მიაშურა თავის კარავს, დაჯდა იქ და თავჩაქინდრული დაელოდა ბრძოლის ბედის გადაწყვეტას. ასე იჯდა, სანამ ჯარის საყოველთაო უკუქცევის შემდეგ მტერმა პატნეზები არ გადმოლახა და ბანაკის მცველებს არ შეუტია. მაშინ პომპეუსი თითქოს გონს მოვიდა და, როგორც ამბობენ, ესლა წამოიძახა: „ნუთუ ბანაკშიც?!" მერმე მხედართმთავრის საომარი მორთულობა მოიხადა, ლტოლვილი კაცის შესაფერი ტანისამოსი გადაიცვა და ბანაკიდან ჩუმად გავიდა.

თუ რა შეემთხვა მას შემდეგ ხანებში, როგორ მიანდო თავისი თავი ეგვიპტელებს და როგორ მოკლეს მათ იგი, ამას მისი ცხოვრების აღწერაში გადმოვცემთ [116].

46. როცა კეისარი პომპეუსის ბანაკში შევიდა და უკვე შემუსრული მტრის დაზვინული გვამები და მოწინააღმდეგის ჟლეტა იხილა, ოხვრით წამოიძახა: „აი რა უნდოდათ ამათ! ამათ მაიძულეს ეს გამეკეთებინა! მე, გაიუს კეისარს, რომელმაც იღბლიანად დავამთავრე უდიდესი ომები, სარდლობაზე რომ უარი მეთქვა, ესენი ალბათ სიკვდილს მომისჯიდნენ!" აზინიუს პოლიონი ამბობს, ეს სიტყვები კეისარმა ლათინურად წარმოთქვა მაშინ, ხოლო მე შემდეგ ბერძნულად დავწერეო. იგი ამას გარდა გადმოგვცემს, დახოცილთა უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ მონები, რომელნიც მოკლეს ბანაკის აღების დროსო; რაც შეეხება ჯარისკაცებს, იმათგან ბრძოლაში ექვსი ათას კაცზე მეტი არ დაცემულაო [117].

ტყვექმნილ მეომართა უმრავლესობა კეისარმა თავის ლეგიონებს შეუერთა. მან პატიება მიანიჭა მრავალ წარჩინებულ პირსაც. მათ შორის იყო ბრუტუსი, მისი მომავალი მკვლელი. ამბობენ, ბრძოლა რომ დამთავრდა, ბრუტუსი არსად ჩანდა და კეისარი მეტისმეტად შეწუხდა; მაგრამ როცა ის გადარჩენილთა შორის აღმოჩნდა და მასთან გამოცხადდა, უსაზღვროდ გაიხარაო [118].

47. კეისრის გამარჯვების მომასწავებელ საოცარ ნიშანთა შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი, როგორც გადმოგვცემენ, ტრალისში [119]

შომხდარი ამბავი იყო. აქ, ღმერთქალ ნიკეს ტაძარში, კეისრის ქანდაკება იდგა. ეს ადგილი ბუნებრივად მწირი და თანაც ქვებით მოკირწყლული იყო. და აი აქ, ქანდაკების კვარცხლბეკთან, პალმა ამოვიდა თურმე. ფარსალეს ველზე გამართული ბრძოლის დღეს მისნობაში ფრიად სახელგანთქმული ერთი კაცი, ისტორიკოს ლივიუსის თანამემამულე და ნაცნობი გაიუს კორნელიუსი, პატავიუმში [120] იჯდა და ფრინველთ ფრენას აკვირდებოდა. მან, როგორც ლივიუსი ამბობს, უწინარეს ყოვლისა ბრძოლის დრო გამოიცნო და დამსწრეთ უთხრა, საქმე უკვე დაიწყო და მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ეკვეთნენო. მერმე კვლავ განაგრძო დაკვირვება ფრინველებზე. დაინახა თუ არა რაღაც სასწაულებრივი ნიშნები, მაშინვე წამოიჭრა ადგილიდან და აღტაცებით დაიძახა: „კეისარო, გამარჯვებული შენა ხარო!" ამაზე იქ მყოფნი განცვიფრდნენ; კორნელიუსმა კი თავიდან წინასწარმეტყველის გვირგვინი ჩამოიღო და დაიფიცა, მანამდის არ შეიდგამდა ამ გვირგვინს, სანამ მის ხელოვნებას საქმე არ დაადასტურებდა. ლივიუსი ამტკიცებს, ყველაფერი სწორედ ასე მოხდაო.

48. გამარჯვების აღსანიშნავად თესალიელთა ტომს კეისარმა თავისუფლება მიანიჭა და პომპეუსის დევნა დაიწყო. მიადგა თუ არა აზიას, თქმულებების შემკრებ თეოპომპეს [121] ხსოვნის პატივსაცემად თავისუფლება უბოძა კნიდოსელებსაც და ამასთან ერთად აზიის მთელ მოსახლეობას ერთი მესამედით შეუმცირა ხარკი.

ალექსანდრიაში იგი პომპეუსის სიკვდილის შემდეგ მივიდა. აქ თეოდოტემ პომპეუსის თავი მიართვა, მაგრამ კეისარმა პირი მიიბრუნა და, როცა დამარცხებული ვაჟკაცის ბეჭედი ხელში აიღო, თვალებზე ცრემლი მოადგა. რაც შეეხება პომპეუსის მეგობრებსა და მახლობლებს, რომლებიც ამ ქვეყანაში დაიფანტნენ და მერმე მეფის მიერ დატყვევებულ იქნენ, კეისარმა ისინი ყველა შეიწყალა და თავის მხარეზე გადაიბირა. იგი რომში მეგობრებს სწერდა: გამარჯვების ყველაზე უფრო დიდ სიტკბოს იმაში ვგრძნობ, რომ მუდამ დავიხსნა განსაცდელისაგან ისინი, ვინც ჩემ წინააღმდეგ იბრძოდაო.

ალექსანდრიაში გაჩაღებულ იმზე ზოგიერთი ამბობს, იგი აუცილებელი რიდი იყოო [122]; ეს ომი კლეოპატრას სიყვარულმა გამოიწვია და კეისრისათვის სამარცხვინო და საკმაოდ სახიფათოც გამოდგაო. ზოგიერთი კი ბრალს სდებს ეგვიპტის მეფის კარისკაცებს, განსაკუთრებით ფრიად დიდი ძალის მქონე საჭურის პოთინეს, რომელ-

მაც მცირე ხნის წინათ სიცოცხლეს გამოთხოვა პომპეუსი, მერმე კლეოპატრა გააძევა და ახლა ფარულად უგებდა მახეს კეისარსაც. აი ამის გამო, საკუთარი თავის დასაცავად, ამბობენ, კეისარი მაშინ მთელი ღამეები ნადიმობდაო. პოთინე უკვე აშკარად აუტანელი იყო. იგი თავისი სიტყვებით და მოქმედებით დიდ სიძულვილსა და უპატივცემულობას ამჟღავნებდა კეისრისადმი. კეისრის ჯარისკაცებს მისი წყალობით გამხმარი პური ეძლეოდათ. უკმაყოფილო მეომრებს პოთინე რიხით ურჩევდა ეჭამათ ეს პური და მადლობელიც ყოფილიყვნენ იმისა, რომ სხვის ქონებას ჭამდნენ. საღილობის დროს ხისა და თიხის ჭურჭელს ურიგებდა მათ და თან იმიზეზებდა: ოქროსა და ვერცხლის ყველა ჭურჭელი კეისარმა წაიღო ვალშიო. მართლაც, მაშინდელი მეფის მაჯას[123] კეისრისა ემართა ჩვიდმეტ მილიონ ნახევარი სესტერცი. ამ ვალის ნაწილი კეისარმა ჯერ კიდევ ადრევე აპატია მეფისწულებს და ამჟამად დარჩენილი ათი მილიონი სესტერცი მხედრობის შესანახად მოითხოვა. პოთინე მას ურჩევდა ახლა ეგვიპტიდან წასულიყო და თან ჰპირდებოდა: ვალს მადლობასთან ერთად მერმე მიიღებო. ასეთ რჩევაზე კეისარმა პოთინეს უთხრა, რომ მას ეგვიპტელი მრჩევლები სრულიადაც არ სჭირდებოდა. ამის შემდეგ კეისარმა ფარულად გამოიწვია კლეოპატრა იმ ქვეყნიდან, სადაც იგი გაძევებული იყო.

49. კლეოპატრამ თავის მეგობარითაგან მხოლოდ ერთი, აპოლოდორე სიცილიელი წამოიყვანა თან, ჩაჯდა პატარა ნავში და უკვე საღამო ჟამს სასახლეს მიადგა. რაკი სხვაგვარად არ შეეძლო შეუმჩნეველი ყოფილიყო, კლეოპატრა საძინებელ ტომარაში ჩაძვრა და შიგ მთელი ტანით გაიშალა. აპოლოდორემ ტომარა ღვედით შეკრა და იგი სასახლის კარიდან პირდაპირ კეისართან შეიტანა. ამბობენ, კეისარი კლეოპატრას ამ პირველმავე ხერხმა მოხიბლაო. მერმე კი მისი სიმკვირცხლით, მოქცევით და მშვენიერებით მთლიანად დატყვევებულმა კეისარმა კლეოპატრა ძმასთან შეარიგა იმ პირობით, რომ ძმასთან ერთად კლეოპატრასაც ეჰეფა.

ამ შერიგების აღსანიშნავად დიდი ლხინი გაიმართა. ლრეობის დროს კეისრის მონა დალაქმა, რომელიც თავისი სილაჩრით ქვეყნად ყველა მბდალს აჭარბებდა და შიშის გავლენით გაუგებარს არაფერს ტოვებდა, შეიტყო, რომ სტრატეგოს აქილასა და საჭურის პოთინეს მიერ მოწყობილი იყო შეთქმულება კეისრის წინააღმდეგ. გაიგო თუ

არა ეს, კეისარმა მამაკაცთა დარბაზის გარშემო მცველები დააყენა. პოთინე მოკლეს. რაც შეეხება აქილას, იგი ეგვიპტის მხედრობის ბანაკში გაიქცა და კეისრის წინააღმდეგ სასტიკი ომი დაიწყო. კეისარი იძულებული შეიქნა თავისი მცირერიცხოვანი ძალებით გამკლავებოდა ამოდენა ქალაქსა და ეგვიპტის დიდ მხედრობას. უწინარეს ყოვლისა, საკმაოდ დიდი საფრთხე მაშინ იგემა, როცა წყალს კინაღამ არ მოწყვიტეს. საქმე ის იყო, რომ წყლის არხები მტერმა ჩახერგა. მეორე ხიფათი იყო მტრის განზრახვა მისთვის ფლოტისაკენ მიმავალი გზა გადაეკრა. ამ საფრთხის თავიდან ასაცდენად კეისარი იძულებული იქნა ცეცხლი გამოეყენებინა. მის მიერ დანთებული ხანძარი ნავსაშენიდან გავრცელდა და უზარმაზარი ბიბლიოთეკაც შთანთქა. მესამე საშიშროება ფაროსთან [124] გაჩაღებული ბრძოლის დროს გარდახდა კეისარს. აქ გამართული შეტაკების ჟამს კეისარი პატნეზიდან პატარა ნავში ჩახტა და მის მხარეზე მებრძოლ მეომართა დასახმარებლად გაეშურა: მაგრამ მის ნავს ეგვიპტელები ყველა მხრიდან შეუახლოვდნენ ცურვით. მაშინ კეისარი ზღვაში გადახტა და დიდი ტანჯვით და წვალებით ნაპირზე გავიდა. ამბობენ, ამ დროს შენიშვნების ჩასაწერი მრავალი წიგნაკი ეჭირა ხელშიო; მიუხედავად იმისა, რომ სეტყვასავით აყრიდნენ ისრებს და მათ ასაცილებლად თავს წყალში ჰყოფდა, წიგნაკებს მაინც არ უშვებდა თურმე ხელიდან. ისინი წყალზემოთ ცალ ხელში ეჭირა და ცალი ხელით კი მიცურავდაო. მისი ნავი სწრაფად ჩაიძირა.

ბოლოს მეფეც მტრის მხარეზე გადავიდა. მაშინ კეისარი მტრის წინააღმდეგ დაიძრა, მასთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება და გაიმარჯვა. ამ ბრძოლაში მრავალი ეგვიპტელი დაეცა. რაც შეეხება მეფეს, იგი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ამის შემდეგ კლეოპატრა ეგვიპტის დედოფლად დატოვა კეისარმა, თვითონ კი სირიაში გაემგზავრა.

მცირე ხნის შემდეგ კლეოპატრას კეისრისაგან შეეძინა ვაჟი, რომელსაც ალექსანდრიელებმა კესარიონი დაარქვეს [125].

50. როცა კეისარი აზიაში მივიდა, შეიტყო, რომ მითრიდატეს შვილს ფარნაკეს [126] დაემარცხებინა დომიციუსი [127], რომელიც მცირერიცხოვანი ამალით პონტოდან [128] გაქცეულიყო; რაც შეეხება ფარნაკეს, იგი ფრიად დახარბდა გამარჯვებას, დაიკავა ბითვინია და კაპადოკია და ახლა ეგრეთ წოდებულ მცირე სომხითის [129] დაპყრო-

ბაც სურსო; მან ყველა იქაური მეფე და ტეტრარქოსი [130] საამბოხოდ წააქეზაო.

კეისარი მყისვე დაიძრა მის წინააღმდეგ სამი ლეგიონით და ქალაქ ზელასთან [131] დიდი ბრძოლა გაუმართა. კეისარმა მთლიანად შეშესრა მისი მხედრობა, თვითონ ფარნაკე კი პონტოდან გააქცია.

ამ ბრძოლის ანაზდეულობა და სწრაფი დამთავრება რომ რომში ეუწყებინა, კეისარმა ერთ-ერთ თავის მეგობარს ამანციუსს სამი სიტყვა მისწერა: „მივედ, ვნახე, დავამარცხეო". ლათინურად ამ ზმნებს ერთნაირი ბოლოკიდური აქვთ და ფრიად დამარწმუნებელი სისხარტით გამოითქმიან [132].

51. ამის შემდეგ კეისარი იტალიაში გადავიდა და წლის ბოლოსათვის უკვე რომში იყო. იგი აქ მეორედ აღიარეს დიქტატორად [133] მიუხედავად იმისა, რომ ეს თანამდებობა უწინ არასოდეს არ ყოფილა ყოველწლიური. მომდევნო წელს კეისარი არჩეულ იქნა კონსულადაც.

კეისარს ამ ხანებში საკმაოდ ცხარედ კიცხავდნენ იმის გამო, რომ მან ამბოხებული მეომრები, რომელთაც ორი პრეტორი კოსკონიუსი და გალბა მოკლეს, მხოლოდ იმით დასაჯა, რომ ჯარისკაცთა ნაცვლად მოქალაქენი უწოდა, ხოლო მერმე თითოეულ მათგანს ათას-ათასი დრაქმა დაურიგა და მიწის დიდი ნაკვეთებიც მიუზომა იტალიაში [134]. კეისარს ბრალად სდებდნენ იმასაც, რომ იგი იყო მიზეზი დოლაბელას თავხედური ქცევისა, ამანციუსის ანგარებისა და ანტონიუსისა და კორფინიუსის ლოთობისა. მასვე აბრალებდნენ კორფინიუსის სხვა საქციელსაც. ამ კორფინიუსმა მიისაკუთრა პომპეუსის სახლი და, რაკი არასაკმაო მოცულობისა ეჩვენა, დაანგრია და გადააკეთა [135]. ასეთი მოქმედებანი რომაელების წყრომას იწვევდა. კეისარმა იცოდა ეს ყველაფერი და არც მოსწონდა მისი მეგობრების საქციელი, მაგრამ იძულებული იყო თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში ამ პირთა დახმარებით ესარგებლა.

52. ფარსალესთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ კატონი და სციპიონი ლიბიაში გაიქცნენ და აქ მეფე იუბას [136] დახმარებით საკმაოდ მრავალრიცხოვანი მხედრობა შეკრიბეს. გაიგო თუ არა ეს, კეისარმა მათ წინააღმდეგ ვალაშქრება გადაწყვიტა. ზამთრის ბუნიაობის ჟამს სიცილიაში გადავიდა [137] და, რომ თავისი სარდლებისათვის იმთავითვე აღეკვეთა აქ შეყოვნების ყველა იმედი, საკუთარი კარავი პირდაპირ

ზღვის პირზე დასცა. დაქროლა თუ არა ზურგქარმა, კეისარი ხომალდში ჩაჯდა და სამი ათასი ქვეითი მეომრისა და ცხენოსანთა მცირერიცხოვანი რაზმის თანხლებით ზღვაში გავიდა. ეს ძალები მან ნაპირზე გადასხა და შეუჩჩენელად უკანვე დაბრუნდა, ვინაიდან მთავარი ჯარის დარდი აწუხებდა. ეს ჯარი გზაში შემოხვდა. კეისარმა ისიც ბანაკში გადაიყვანა. ამასობაში გაიგო, მტერს ერთი ძველისძველი წინასწარმეტყველების იმედი აქვსო: თითქოს სციპიონთა გვარს ბედით უწერია ლიბიაზე მარადიული ბატონობაო [138]. კეისრის ბანაკში ერთი კაცი იყო, ყოველმხრივ უმნიშვნელო და აბუჩად აგდებული, მაგრამ წარმოშობით აფრიკელთა გვარს ეკუთვნოდა. სახელად ამ კაცს სციპიონ სალუციონი ერქვა. და აი, კეისარი ამ სციპიონს ბრძოლის დროს მუდამ თავში აყენებდა, ვითომცდა მხედრობის ბელადიაო, თან აიძულებდა წარამარა დასხმოდა მტერს თავს და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულიყო. საკმაოდ ძნელია იმის თქმა, თუ რისთვის აკეთებდა ამას კეისარი. შეიძლება ამით მტრის მხედართმთავარ სციპიონის მასხრად აგდება უნდოდა, ანდა შეიძლება ზემოაღნიშნული წინასწარმეტყველების მისაკუთრება სურდა.

კეისრის მეომრებს არც პური ჰქონდათ საკმაო რაოდენობით და არც პირუტყვის საკვები. ისინი იძულებულნი იყვნენ ზღვის ხავსით გამოეკვებათ ცხენები; ოღონდ ამ ხავსს წინასწარ რეცხდნენ, რათა სიმლაშე გამოსცლოდა, მერმე შესანელებლად მცირეოდენ ბალახს ურევდნენ და ცხენებს ისე აძლევდნენ. მთელ მინდორ-ველზე ცხენოსანი ნუმიდიელები დაჯირითობდნენ. ისინი ხან აქ გამოჩნდებოდნენ, ხან იქ. ერთხელ კეისრის მხედრები ისვენებდნენ და ერთ ლიბიელს შესცქეროდნენ, რომელიც მათ წინ ცეკვავდა და ფლეიტაზე განსაცვიფრებლად უკრავდა. მხედრები აღფრთოვანებულნი იყვნენ ლიბიელის ოსტატობით. თავიანთი ცხენები მონებს მიანდეს. უცებ კეისრის ცხენოსნებს გარს შემოერტყნენ ნუმიდიელები. მხედართა ნაწილი იქვე დახოცეს, ნაწილი კი უკუაქციეს. უკუქცეულთ ნუმიდიელები დაედევნენ და მათთან ერთად ბანაკში შეიჭრნენ. კეისარი და აზინიუს პოლიონი რომ არ დახმარებოდნენ ბანაკიდან თავისიანებს და უკუქცევა არ შეეჩერებინათ, ომის საქმე დამთავრებული იქნებოდა. ერთხელაც ერთ-ერთ ხელჩართულ ბრძოლაში გამარჯვება მტრის ჭარბი ძალების მხარეზე გადაიხარა. ამ დროს, როგორც გადმოგვცემენ, უკუქცეულ მეფეროშეს კეისარმა კისერში სტაცა თურმე

ხელი, მოწინააღმდეგისაკენ შეატრიალა და შესძახა: „აი, იქ არის მტერი!“

53. წარმატებით გადიდგულებულმა სციპიონმა გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა განიზრახა. აფრანიუსისა და იუბას მხედრობა მან ერთმანეთისაგან მოშორებით დააბანაკა, ქალაქ თაფსუსის მახლობლად, ზედ ტბის სანაპიროზე კი საკუთარი ბანაკი დასცა, რომელიც ბრძოლის დროს მთელი მხედრობისათვის საყრდნობი წერტილი და თავშესაფარი იქნებოდა.

სანამ სციპიონი ამ საქმით იყო გართული, კეისარმა გასაოცარი სისწრაფით გადაიარა ტყიანი ადგილები, გაუვალი ხევები და სციპიონის მხედრობის ერთ ნაწილს ალყა შემოარტყა, მეორეს კი პირდაპირ შეუტია. სციპიონელთა უკუქცევის შემდეგ მშვენივრად ისარგებლა მარჯვე შემთხვევით და მის მხარეზე გადახრილი ბედის სასწორით. კეისარმა სწრაფად იგდო ხელთ აფრანიუსის ბანაკი და იუბას მიერ მიტოვებული ნუმიდიელთა ბანაკიც დაუყოვნებლივ ააოხრა. ერთ დღეში, სულ რამდენიმე საათში, სამ ბანაკს დაეუფლა; ამასთან მტრის ორმოცდაათი ათასი მეომარი მოსპო, თვითონ კი მხოლოდ ორმოცდაათამდე კაცი დაკარგა.

აი ასე მოგვითხრობს ამ ბრძოლის შესახებ ზოგიერთი. სხვები კი ამბობენ, კეისარს თაფსუსის ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიაო. როცა იგი ჯარის რიგებს აწყობდა, ჩვეულმა ხენმა შეუტიაო [139]. როგორც კი იგრძნო შეტევის დაწყება, ვიდრე გრძნობას დაჰკარგავდა, მახლობლად მდებარე სიმაგრეში გადაიყვანეს და იქ იმყოფებოდაო.

ბრძოლაში გადარჩენილმა და ტყვექმნილმა ზოგიერთმა ყოფილმა კონსულმა და პრეტორმა თავი მოიკლა, უმრავლესობა კი კეისარმა დაასჯევინა სიკვდილით [140].

54. კატონის ცოცხლად შეპყრობის სურვილით აღტყინებული კეისარი დიდი სისწრაფით გაემართა უტიკაში [141]. კატონი ამ ქალაქს იცავდა და ამის გამო ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. როცა კეისარმა გზაში გაიგო, კატონმა თავი მოიკლაო, ძალიან შეწუხდა, მაგრამ ამის მიზეზი არცთუ ისე ადვილი გასარკვევია. ყოველ შემთხვევაში, მან მხოლოდ ესა თქვა: „ეჰ, კატონ, შურის თვალით შევცქერი შენს სიკვდილს, რამეთუ შენც შურით აღმიკვეთე შენთვის სიცოცხლის ჩუქების საშუალებაო!“ მაგრამ ამ ამბის შემდეგ კატონის წინააღმდეგ

დაწერილ თხზულებას ოდნავადაც არ ეტყობა ლმობიერებისა და შემარიგებლობის კვალი. ან კი როგორ დაინდობდა კეისარი ცოცხალ კატონს, როცა უკვე განსვენებულის მიმართ ესოდენი გესლი გადმოანთხია? მაგრამ მის მიერ გამომჟღავნებული შემწყნარებლობა ციცერონისა, ბრუტუსისა თუ სხვა მრავალი ათასისადმი, მის წინააღმდეგ რომ იბრძოდნენ, ზოგიერთს აფიქრებინებს, რომ ეს თხზულება დაიწერა არა კატონის პირადი ზიზღით, არამედ პოლიტიკური პატივმოყვარეობით. აი მისი დაწერის მიზეზიც: ციცერონმა დაწერა კატონის ხოტბა და ამ ნაწარმოებს სახელად „კატონი“ უწოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, უძლიერესი ორატორის ამ შესანიშნავ თემაზე დაწერილ წიგნს ხალხი ხარბად დაეწაფა. ამან კეისარი ფრიად გააღიზიანა. იგი ფიქრობდა, იმ კაცის ქება-დიდება, რომლის სიკვდილის მიზეზიც თვითონ იყო, მის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებას წარმოადგენდა. მაშინ კატონის წინააღმდეგ მან მრავალი ბრალდება შეკრიბა და წიგნად გამოსცა. ამ წიგნს კეისარმა სახელად „ანტიკატონი“ დაარქვა. ორივე ნაწარმოებს დღესაც ბევრი თავ-თავისი მოყვარული ჰყავს, იმის მიხედვით, ვინ ვის თანაუგრძნობს — კეისარს თუ კატონს [142].

55. დაბრუნდა თუ არა ლიბიიდან რომში, კეისარმა ხალხის წინაშე ფრიად ქედმაღლური სიტყვა წარმოთქვა თავისი გამარჯვების თაობაზე. მან ხალხს უთხრა: იმდენი მიწა-წყალი დავიპყარი, იქიდან სახელმწიფო ხაზინაში ყოველწლიურად ორასი ათასი ატიკური მედიმნი პური [143] და სამი მილიონი საწყაო ზეითუნის ზეთი შემოვაო. ამის შემდეგ კეისარმა ეგვიპტეზე, პონტოსა და ლიბიაზე გამარჯვების აღსანიშნავი ტრიუმფი გადაიხადა [144]; ამასთან ლიბიის ტრიუმფი, რა თქმა უნდა, მეფე იუბაზე გამარჯვებას აღნიშნავდა და არა სციპიონზე. საზეიმო პროცესიაში მაშინ მოჰყავდათ მეფისწულიც — ჯერ კიდევ ბალღი იუბა, ვისთვის ტყვეობა მეტად საბედნიერო გამოდგა; ბარბაროსი და ნუმიდიელი იუბა ფრიად განსწავლული მწერალი გახდა [145].

ტრიუმფების გადახდის შემდეგ კეისარმა დიდი ჯილდოები დაურიგა თავის მეომრებს, ხოლო ხალხს ლხინი და სანახაობები გაუმართა. რომაელ მოქალაქეებს გაუშალა ოცდაორი ათასი სუფრა ერთდროულად, თითოეული სუფრა სამი კაცისათვის იყო განკუთვნილი. ამას გარდა, დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ქალიშვილის იულიას ხსოვ-

ნის აღსანიშნავად კეისარმა გლადიატორთა ბრძოლები და ნაომაქი-ები მოაწყო.

ასპარეზობათა დამთავრების შემდეგ მოსახლეობის აღწერა მოხ-და [146]. წინანდელი სამას ოცი ათასი კაცის ნაცვლად ახლა აღმოჩნდა სულ ას ორმოცდაათი ათასი კაცი. აი რა უბედურება მოიტანა საშინ-ელ ომმა, აი მოსახლეობის რა დიდი ნაწილი გაანადგურა მან! რაც შეეხება სხვა მრავალ მწუხარებას, რაც დანარჩენ იტალიასა და პროვინციებს გარდახდათ თავს, ამაზე ჩვენ აღარაფერს ვამ-ბობთ [147].

56. ზემოაღნიშნულ ამბავთა დასრულების შემდეგ კეისარი მე-ოთხედ აირჩიეს კონსულად, რის შემდეგაც ესპანეთისაკენ გაემართა პომპეუსის ვაჟების წინააღმდეგ [148]. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ სულ ახალგაზრდები იყვნენ, გასაოცარი სიმარველის მხედრობა შეკ-რიბეს და წინამძღოლობისათვის საკუთარი მამაცობაც გა-მოიჩინეს. ამ ამბავმა კეისარი უკიდურესი საფრთხის წინაშე დააყენა. დიდი ბრძოლა მოხდა ქალაქ მუნდასთან [149]. როცა კეისარმა აქ და-ინახა, რომ მის მეომრებს სასტიკად ავიწროებდა მტერი, რომელსაც ისინი სუსტ წინააღმდეგობას უწევდნენ, თავის ჯარისკაცთა რიგებში შეიჭრა და ყვირილი მორთო: თუკი აღარაფრისა გრცხვენიათ, ბარეს ამიღეთ და იმ ლაწირაკ ბიჭებს გადამეცითო. ბოლოს და ბოლოს კე-ისარმა ძლივძლივობით, დიდი წვალების ფასად აიტა მტერი და მას ოცდაათ ათასზე მეტი კაცი შეუმუსრა; თვითონ კი ათასი საუკეთე-სო მებრძოლი დაკარგა. ბრძოლის შემდეგ თავის კარავში დაბრუნე-ბულმა კეისარმა მეგობრებს უთხრა: მე ხშირად შემხვედრია ბრძო-ლა გამარჯვებისათვის, დღეს კი ჩემი საკუთარი სიცოცხლის შენარ-ჩუნებისათვის ვიბრძოდი.

გამარჯვება ამ ბრძოლაში მან დიოსკურიების დღესასწაულის დროს მოიპოვა [150]. ამბობენ, პომპეუსმაც ამ დღესასწაულის ჟამს დაიწყო ომი. ამ ორ ამბავს შორის სულ ოთხმა წელმა განვლო.

რაც შეეხება პომპეუსის შვილებს, იმათგან უმცროსი ვაჟი გაიქცა, ხოლო უფროსის თავი რამდენიმე დღის შემდეგ დიდიუსმა კეისარს მიართვა [151].

მუნდასთან ბრძოლა კეისრის უკანასკნელი ომი იყო. არაფერს არ მოუტანია ისეთი მძიმე მწუხარება რომაელებისათვის, როგორიც ამ ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად გამართულმა ტრიუმფმა. კე-

ისარმა უცხო სახელმწიფოთა წინამძღოლები ან ბარბაროსთა მეფეები კი არ დაამარცხა, არამედ რომაელთა შორის ფრიად გავლენიანი, მაგრამ შეჭეხვევის წყალობით გაუბედურებული კაცის შვილები დახოცა და მისი გვარი ძირფესვიანად ამოიღლიტა. კეისრის ლირსებას ოდნავადაც არ შეეფერებოდა ის, რომ საკუთარი სამშობლოს უბედურებას ზეიმობდა. იგი შეჰხაროდა თავის საქციელს, რომელსაც ღმერთთა და კაცთა წინაშე მხოლოდ აუცილებლობით თუ გაამართლებდა. რომაელთა წყრომას კიდევ უფრო მეტად აღიზიანებდა ისიც, რომ უწინ, ამ ბრძოლის მოგებამდე, კეისარი საშინაო ომში მოპოვებულ გამარჯვებას არც მაცნეს საშუალებით და არც საჯარო წერილობრივი განცხადების გზით არ იტყობინებოდა; პირიქით, ასეთი გამარჯვებულის სახელისა ერცხვინებოდა [152].

57. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, რომაელებმა ქედი მოიხარეს ამ ადამიანის ბედის წინაშე, კისერზე უღელი დაიდგეს და, თვლიდნენ რა მონარქიას მოსვენებად სამოქალაქო ომებისა და სხვა უბედურებათა შემდეგ, კეისარი მთელი სიცოცხლის მანძილზე დიქტატორად აღიარეს. სამუდამო ძალაუფლებასთან შეერთებული ეს შეუზღუდავი მონარქია უკვე აშკარა ტირანია იყო.

ციცერონის წინადადებით სენატმა კეისარს თავის დროზე პირველი და დიდი პატივი მიაგო, მაგრამ ის პატივი მაინც ადამიანის დიდების ფარგლებში ეტეოდა. სხვებმა კი ერთმანეთის ცილობაში ამას ზედ დაურთეს ახალი, საგანგებო რწმუნება და იმდენი ქნეს, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, რომელნიც ყოველგვარ ზომასა და გონიერების საზღვარს სცილდებოდნენ, კეისარი აუტანელი და საძულველი გახადეს ყველაზე უფრო თვინიერ მოქალაქეებისათვისაც. კეისრის მტრები, როგორც ფიქრობენ, მლიქვნელებზე უფრო მეტად ცდილობდნენ მისთვის საგანგებო რწმუნებათა მინიჭებას. ამას კი იმიტომ სჩადიოდნენ, რომ რაც შეიძლება მეტი საბაბი ჰქონოდათ მის წინააღმდეგ და მერმე დიდ-დიდი ბრალდებებით დასხმოდნენ თავს. სხვა მხრივ, სამოქალაქო ომების დამთავრების შემდეგ, კეისარს თავი ისე ეჭირა, რომ მისი დაძრახვა არ შეიძლებოდა. როგორც ფიქრობენ, უსაფუძვლო არ იყო გადაწყვეტილება, რომ კეისრისათვის, მისი ლმობიერების აღსანიშნავად, მოწყალების ტაძარი აეგოთ [153]. მართლაცდა, კეისარმა ომში მის წინააღმდეგ მებრძოლთა უმრავლესობას პატიება უბოძა. ზოგიერთ მათგანს თანამდებობა და

სახელიც კი მიანიჭა; მაგალითად, ბრუტუსსა და კასიუსს. ესენი მან პრეტორებად გახადა.

იგი, სხვათა შორის, გულგრილად ვერ უცქეროდა პომპეუსის დამხობილ ქანდაკებებს და კვლავ კვარცხლბეკზე დაადგმევინა ისინი. ამაზე ციცერონს უთქვამს თურმე: „კეისარმა პომპეუსის ქანდაკებათა აღდგენით საკუთარ ქანდაკებებს გაუმაგრა ძირიო“.

მეგობრები კეისარს სთხოვდნენ თავის გარშემო მცველები ჰყოლოდა და ბევრი მათგანი სამსახურს სთავაზობდა. კეისარი ამაზე არ დათანხმდა. მან განაცხადა: „სჯობს კაცი ერთხელ მოკვდეს, ვიდრე ნიადაგ ამის შიშში იყოსო“. ყველაზე საიმედო და მტკიცე ბურჯად იგი ხალხის კეთილგანწყობილებას თვლიდა. ამ კეთილგანწყობილების შემომტკიცების მიზნით კვლავ დაიწყო ხალხის გულის მონადირება ლხინებით და პურის დარიგებით; ჯარისკაცებს კი ახალშენები დაუარსა. ასეთ ახალშენთა შორის ფრიად მნიშვნელოვანი იყო კართაგენი და კორინთო. ეს ქალაქები ერთსა და იმავე დროს დაინგრნენ და ახლა მათი აღორძინებაც ერთდროულად მოხდა.

58. რაც შეეხება წარჩინებულთა ფენას, მის ერთ ნაწილს კეისარი კონსულობასა და პრეტორობას ჰპირდებოდა, მეორეს სხვა თანამდებობებითა და პატივით ხიბლავდა, ხოლო ყველას ერთად დიდ იმედებს უნერგავდა და თავგამოდებით ცდილობდა ხალხი საკუთარი ნებასურვილით ყოფილიყო მის მორჩილებაში.

როცა კონსული მაქსიმე გარდაიცვალა, მისი გამგებლობის ვადის გასვლამდე დარჩენილი ერთი დღით კეისარმა კონსულად კანინიუს რებილიუსი დანიშნა[154]. როგორც ჩვეულება მოითხოვდა, მრავალი რომაელი მოემზადა მასთან მისასვლელად, რათა მიელოცათ და იგი სენატის კარამდე მიეცილებინათ. ამაზე ციცერონმა ასე იოხუნჯა თურმე: „აბა, ვიჩქაროთ, თორემ კანინიუსი კონსულის თანამდებობიდან გადადგომას მოგვასწრებსო“.

ბუნებით დიად საქმეთა შესასრულებლად დაბადებული და პატივმოყვარე კეისარი მოპოვებულ წარმატებებს როდი სჯერდებოდა; მიღწეული გამარჯვება ბოლომდე ვერ ატკბობდა; პირიქით, მომავლისათვის აქეზებდა და მხნეობას ჰმატებდა. ეს წარმატებანი ახალ დიდ განზრახვებს უღვიძებდა და ახალი სახელის მოხვეჭის ყინს აღუძრავდა; თითქოს ძველი დიდება უკვე მოყირჭებული ჰქონდა. კეისრის ეს ენება სხვა არა იყო რა თუ არა ქიშპობა საკუთარ თავთან ისე, ვით

ვინმე სხვასთან; ეს იყო ერთგვარი პატივმოყვარული მისწრაფება, რათა მომავალში განზრახულ საქმეთ უსაზღვროდ გადაეჭარბებინათ მოპოვებული მიღწევებისათვის.

კეისარს განზრახული ჰქონდა და ემზადებოდა კიდეც იმისათვის, რომ პართების წინააღმდეგ გაელაშქრებინა. პართების დამორჩილების შემდეგ იგი ფიქრობდა გასულიყო ჰირკანიაში, აჰყოლოდა კასპიის ზღვის სანაპიროებსა და კავკასიას, შემოევლო პონტოსათვის[155] და სკვითიაში შეჭრილიყო; ხოლო აქედან გადაევლო გერმანიის მეზობლად მდებარე მხარეები, თვითონ გერმანიაც და კელტთა ქვეყანაზე გადავლით იტალიაში დაბრუნებულიყო. ამგვარად, კეისარს სურდა ისე შეეკრა რომის იმპერიის წრე, რომ იგი ყოველმხრივ ოკეანეთი ყოფილიყო შემოსაზღვრული.

პართიაში ლაშქრობისათვის მზადების დროს კეისარმა კორინთოს ყელზე[156] არხის გაკვრა გადაწყვიტა და ეს საქმე ანიენუსს მიანდო. ამის გარდა მას განზრახული ჰქონდა სხვა ღრმა არხის გათხრაც, რომლითაც მდინარე ტიბრი კირკეუმისაკენ წარიმართებოდა და ზღვას ტარაცინასთან შეერთვოდა[157]. ამით კეისარი ცდილობდა რომში სავაჭროდ მიმავალი ხალხისათვის უშიშარი და ადვილად სავალი გზა შეექმნა.

ამ საქმეებთან ერთად მას გადაწყვეტილი ჰქონდა პომენტუმისა და სეტიას ირგვლივ მდებარე ჭაობთა ამოშრობა, რათა ეს მიდამოები ნაყოფიერ მინდვრებად ექცია და მრავალი ათასი კაცისათვის დასამუშავებლად გადაეცა.

შემდეგ კეისარს სურდა ამოეყვანა მიწაყრილი რომის უახლოეს მიდამოთა სანაპიროებზე, რომელთაც უამისოდ ზღვა ჰფარავდა ხოლმე. მას უნდოდა ოსტიას[158] სანაპიროს მეჩეჩი და მიუდგომელი ადგილებიც ამოეწმინდა და იქ ეგზომ გახშირებული ნაოსნობისათვის ნავსადგურები და ხომალდთა მისადგომები აეგო.

აი ასეთი იყო კეისრის გეგმები[159].

59. კეისრის მიერ კალენდრის ოსტატურად მიწესრიგებამ და დროის აღრიცხვაში არსებული ცდომილების შესწორებამ ფრიად დიდი სარგებლობა მოიტანა. რომაელები მარტო ძველ დროში როდი სარგებლობდნენ დროის არაზუსტი აღრიცხვით და თვეების წელიწადისადმი შეუთანხმებელი მიმართებით[160], რის გამოც ჰსხვერპლშეწირვები და დღესასწაულები თანდათანობით სცილდებოდა დაწესე-

ბულ ვადებს და წლის სულ სხვა მონაკვეთებში გადადიოდა. თვით კეისრის ხანაშიაც კი, როდესაც ხმარებაში უკვე მზის წელიწადი იყო, ხალხს ამისი არაფერი ესმოდა. დროის ანგარიში მხოლოდ და მხოლოდ ქურუმებს შეეძლოთ. ისინი მოულოდნელად, როცა ამის თაობაზე არავინ არაფერი არ იცოდა, წლის დროში ჩართავდნენ ხოლმე დამატებით თვეს, რომელსაც სახელად მერკედონიუსს ეძახდნენ. ამბობენ, პირველად ამ თვის ჩართვა ნუმამ დაიწყოო. მან ამით დროთა აღრიცხვაში არსებული შეცდომების გასასწორებლად უმნიშვნელო და საკმაო ხანმოკლე ვადისათვის ვარგისი ხერხი იპოვა. ამის შესახებ ჩვენ მოთხრობილი გვაქვს მისი ცხოვრების აღწერაში [161].

კალენდრის მოწესრიგება კეისარმა დაავალა საუკეთესო ფილოსოფოსებსა და მათემატიკოსებს. შემდეგ მიღებული დასკვნები შეისწავლა და გამოაქვეყნა კალენდრის შესწორების საკუთარი, შედარებით ზუსტი ხერხი [162]. მისი კალენდრით დღემდე სარგებლობენ რომაელები და, როგორც ჩანს, წელთაღრიცხვაში ისინი ყველა ხალხზე უფრო ნაკლებ შეცდომებს უშვებენ. მიუხედავად ამისა, კეისრის მიმართ მტრულად განწყობილმა პირებმა და საერთოდ ყველამ, ვინც კი მის მბრძანებლობას ვერ იტანდა, აქ, ამ საქმეშიც, ბრალდებების საბაბი იპოვეს. აი, მაგალითად, გადმოცემის მიხედვით, ორატორმა ციცერონმა ერთ კაცს, რომელმაც თქვა, ხვალ ზეცაზე ლირა [163] ამოვაო, ასე უპასუხა თურმე: „დიახ, ამოვა თანახმად განკარგულებისა!“ ისე გამოდიოდა, თითქოს კეისარი აუცილებლობით გამოწვეულ კალენდრის გადახალისებას ძალდატანებით ახვევდა თავზე ადამიანებს.

60. ყველაზე უფრო აშკარა ზიზღსა და კეისრის მოკვლის სურვილს მისი მეფედ გახდომის ყინი იწვევდა. კეისრის უმთავრესი დანაშაული ხალხის თვალში სწორედ მეფობისაკენ სწრაფვა იყო; ფარულ მტრებს კი ეს უკვე კარგა ხანია მისდამი სიძულვილის ფრიად განსაკუთრებულ საბაბს აძლევდა. მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, ის პირნი, რომელნიც კეისარს მეფის პატივს სთავაზობდნენ, ხალხში ხმას აერცელებდნენ, თითქოს სიბილას [164] წიგნების მიხედვით პართების დამორჩილებას რომაელები მხოლოდ მაშინ შეძლებენ, თუ მათ წინააღმდეგ ლაშქრობის დროს წინამძღოლად მეფე ეყოლებათ, სხვაგვარად კი პართების დამარცხება მიუღწეველი საქმეაო. ასეთი ხმების გამავრცელებელი პირები [165] იმდენად გაკადნიერდნენ, რომ კეისარს, როცა იგი ერთხელ ალბადან რომში ბრუნდებოდა, ვით

მეფეს ისე მიესალმნენ. ამ ამბავმა ხალხი ფრიად შეაშფოთა, ხოლო გამწყრალმა კეისარმა შენიშნა: „მე კეისარი მქვია და არა მეფეო!“ მის სიტყვებს ხალხი საყოველთაო დუმილით შეხვდა; კეისარი კი დანაღვლიანებული და უკმაყოფილო სახით თავის გზას გაუდგა[166].

ერთხელ სენატში კეისარს ფრიად საგანგებო რწმუნებანი მიანიჭეს. იგი ამ დროს საორატორო ტრიბუნაზე იჯდა. როცა მასთან კონსულები და პრეტორები გამოცხადდნენ, რომელთაც თან სენატის შემადგენლობა ახლდა, იგი ფეხზე არ წამოდგა. კეისარი მათ ისე მოეჭცა, თითქოს ვინმე კერძო პირებთან ჰქონდა საქმე; „საჭიროება მოითხოვს, — უთხრა მათ, — რწმუნებანი მომაკლოთ და არა მომიმატოთო“. მისმა ასეთმა ქცევამ მეტისმეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო სენატზე, არამედ ხალხზედაც, რომელსაც სენატის სახით შეურაცხყოფილად მიაჩნდა მთელი სახელმწიფო. ყველა, ვისაც კი შეეძლო სენატში ალაო დარჩენილიყო, დაუყოვნებლივ გარეთ გამოვიდა საშინლად დამწუხრებული. კეისარი მიხვდა, რაც ხდებოდა, და მყისვე შინ დაბრუნდა. აქ მან კასერთან ტოგა გადაიწია და ყელგაშიშვლებულმა მეგობრებს ყვირილით მიმართა: „აი, მზადა ვარ იმის მსხვერპლი შევიქნე, ვისაც ჩემი მოკვლა სწადიაო“. შემდეგ ხანებში თავის გასამართლებლად ავადმყოფობას იმიზეზებდა: ისინი, ვინც ამ სენით არიან შეპყრობილნი, თუკი ბრბოს წინაშე ფეხზე მდგომელა უწევთ ლაპარაკი, საკუთარი გრძნობების წონასწორობას ვეღარ ინარჩუნებენო; ეს ავადმყოფობა ჯერ ცახცახს აუტეხს მათ, მერმე რეტს დაასხამს და ბოლოს გონებასაც აკარგვინებსო.[167] მაგრამ საქმე ეს როდი იყო. სინამდვილეში კეისარს უნდოდა სენატის წინაშე ფეხზე წამომდგარიყო, მაგრამ, როგორც ამბობენ, ეს მას არ დაანება ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისმა მლიქვნელმა — კორნელიუს ბალბუსმა. მან კეისარს ასე უთხრა თურმე: „განა არ გახსოვს, რომ შენ კეისარი ხარ? ნუთუ არ გინდა პატივცემულ იქნე ამ ხალხისაგან, რომელთან შედარებით მთელი თავით მაღლა დგახარო?“.

61. ამ უსიამოვნო შეშფოთებებს ჩქარა ზედ დაერთო სახალხო ტრიბუნების შეურაცხყოფაც. იმ დღეს ლუპერკალიების დღეობა იყო. ამ დღეობის შესახებ მრავალი მწერალი წერს, იგი ძველ დროში მწყემსთა დღესასწაულს წარმოადგენდა და ზოგიერთი რაშით არკადიულ ლიკეებს წაგავსო. ასეთი ზეიმის დროს კეთილშობილი

გვარისა და მაღალი თანამდებობის ბევრი ყმაწვილი კაცი გაშიშვლებული დარბის ხოლმე ქალაქში და ყველა შემხვედრს ხუმრობითა და სიცილით ბანჯგვლიან ტყავებს ურტყამს. მორბენალ ახალგაზრდებს თვალსაჩინო ღირსების ქალებიც კი განვეგ ხვდებიან გზაზე და დასარტყმელად ხელებს უწვდიან ისე, როგორც ეს სკოლაში ხდება. მათ სწამთ, რომ ეს ორსულებს მშობიარობას უადვილებს, ხოლო უნაყოფო ქალებს დაორსულებაში შველის.

სატრიუმფო სამოსელში გამოწყობილი კეისარი სენატორთა ტრიბუნის მახლობლად ოქროს სავარძელში იჯდა და ამ სანახაობას შესცქეროდა. წმინდა სრბოლის მონაწილე მორბენალთა შორის ანტონიუსიც იყო [168]. ჩქარა მან ფორუმთან მიირბინა. ხალხმა გზა დაუთმო და ანტონიუსმა დაფნის გვირგვინით მოკაზმული სამეფო დიადემა კეისარს გაუწოდა; ამაზე კანტიკუნტი და ისიც წინასწარ მომზადებული ტაშისცემა გაისმა. კეისარმა გვირგვინი აირიდა; ახლა კი მთელმა ხალხმა დასცხო ტაში. მერმე ისევ მიართვა ანტონიუსმა კეისარს გვირგვინი; ტაში ისევ რამდენიმე კაცმა დაუკრა; ხოლო როცა კეისარმა კვლავ აირიდა გვირგვინი, ტაშისცემა კვლავ მთელმა ხალხმა ატეხა. როცა ამგვარი ხერხით ხალხის განწყობილება გამოამჟღავნა, კეისარი ფეხზე წამოდგა და ბრძანა გვირგვინი კაპიტოლიუმში წაეღოთ. მცირე ხნის შემდეგ ხალხმა სამეფო გვირგვინით მოკაზმული კეისრის ქანდაკებები დაინახა. მაშინ სახალხო ტრიბუნები, ფლავიუსი და მარულუსი [169] მყისვე მიიჭრნენ ამ ქანდაკებებთან და მათ მოკაზმულობანი დახსნეს. მერმე, კეისარს რომ პირველად მეფესავით მიესალმნენ, ის პირები დაძებნეს და საპყრობილეში წაიყვანეს. ხალხი ტაშის გრიალით მიჰყვებოდა ამ სახალხო ტრიბუნებს და მათ „ბრუტუსებს" ეძახოდა, იმიტომ რომ სწორედ ბრუტუსი იყო ის პირი, რომელმაც მეფობა მოსპო და მონარქიისაგან წართმეული ძალაუფლება სენატსა და ხალხს გადასცა [170].

სახალხო ტრიბუნთა მოქცევით აღშფოთებულმა კეისარმა მარულუსსა და მის ამხანაგებს მათი წოდების ღირსება აჰყარა. მათ წინააღმდეგ მიმართულ საბრალმდებო სიტყვაში არაერთხელ შეურაცხყო ხალხიც იმით, რომ სახალხო ტრიბუნებს „ბრუტუსებსა" და „კვიმელებს" უწოდებდა [171].

62. ყოველივე ამის გამო ხალხმა დახმარებისათვის მიმართა მარკუს ბრუტუსს, რომელიც წარმოშობით ეკუთვნოდა მამის მხრივ ძვე-

ლი ბრუტუსის გვარს, ხოლო დედის მხრივ სერვილიუსთა წარჩინებულ ოჯახს. ამასთან ერთად იგი კატონის სიძე და დისწული იყო.

კეისრისაგან მიღებულმა მრავალმა პატივმა და წყალობამ ბრუტუსს მონარქიის მოსპობის სურვილი შეუნელა. ფარსალესთან პომპეუსის უკუქცევის შემდეგ არა მარტო თვითონ იქნა შეწყნარებული კეისრის მიერ, არამედ თავისი შუამდგომლობით ბევრი მეგობარიც დაიხსნა და, რაც მთავარია, ფრიად დიდი ნდობითაც სარგებლობდა კეისართან. სწორედ იმ დროისათვის მეტად ბრწყინვალე პრეტორის წოდება მიიღო, ხოლო სამი წლის გავლის შემდეგ კონსულიც უნდა გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ თანამდებობას კასიუსიც [172] ჩემულობდა, უპირატესობა მაინც მას მიენიჭა. როგორც გადმოგვცემენ, კეისარს ამაზე უთქვამს: კასიუსი საკმაოდ სამართლიანად იბრძვის ამ ადგილისათვის, მაგრამ ბრუტუსს მე მაინც ვერ ავუვლი გვერდსო.

მაშინ როცა კეისრის წინააღმდეგ შეთქმულება უკვე მზადდებოდა, ვიღაც პირებმა ბრუტუსი კეისართან დააბეზღეს. კეისარმა ამას ყურადღება არ მიაქცია. მან საკუთარ ტანზე მიიდო ხელი მხოლოდ და დამბეზღეებლებს უთხრა: „ბრუტუსი მოითმენს იმდენს, რომ ამ სხეულს არ შეეხოსო". ამით ის უნდოდა ეთქვა, რომ ბრუტუსი თავისი სახელოვნებით ძალაუფლების ღირსი იყო, მაგრამ ამ ძალაუფლების გულისათვის უმადური და ფლიდი არ გახდებოდა.

ისინი, ვისაც სახელმწიფო გადატრიალება სურდათ, დახმარებისათვის თვალს ან მხოლოდ და მხოლოდ ბრუტუსს აპყრობდნენ, ან არადა უპირატესობას ამ საქმეში მაინც მას ანიჭებდნენ; მაგრამ საქმე ის იყო, რომ მასთან ამაზე აშკარად ლაპარაკს ვერ ბედავდნენ. ამიტომ ერთ შშვენიერ ღამეს, ტრიბუნა და სავარძელი, რომელზედაც ბრუტუსი, როგორც პრეტორი, სასამართლო საქმეებს იხილავდა, ასეთი შინაარსის წარწერებით გაავსეს: „შენ გძინავს, ბრუტუს!", „არა, შენ ბრუტუსი არა ხარ!"

კასიუსმა იგრძნო, რომ ეს ამბავი ბრუტუსს ნელ-ნელა პატივმოყვარეობას უღვიძებდა. ამიტომ უწინდელზე უფრო მეტი დაჟინებით დაიწყო ბრუტუსის წაქეზება. კეისრის მიმართ მას, სხვათა შორის, ამოძრავებდა პირადი ზიზღიც იმ მიზეზთა გამო, რომლებიც ჩვენ უკვე ბრუტუსის ცხოვრების აღწერილობაში გადმოვეცით [173]. რაღა თქმა

უნდა, კეისარიც თავის მხრივ ეჭვის თვალით უყურებდა კასიუსს. ერთხელ მეგობრებს უთხრა: „როგორ გგონიათ, რა სურს კასიუსს? იგი მეტისმეტად ფერმკრთალია და მე ეს არ მომწონს!“ ერთხელაც კეისართან ანტონიუსი და დოლაბელა დააბეზღეს თურმე: ესენი ამბოხებას ამზადებენო. „მე ოდნავადაც არ მეშინია ამ ჩასუქებული და გრძელთმიანი ხალხისო, — თქვა ამაზე კეისარმა, — უფრო მეტი შიში იმ მჭლე და ფერმკრთალი ადამიანებისა მაქვსო“. ამ ქარაგმაში კეისარი კასიუსსა და ბრუტუსს გულისხმობდა [174].

63. კეისრისათვის, როგორც ჩანს, საკუთარი ბედისწერის წინასწარი განჭვრეტა უფრო ადვილი გამოდგა, ვიდრე მისი თავიდან აცილება. ამბობენ, მაშინ ამ ბედისწერის მომასწავებელი მრავალი საოცარი ნიშანი და სასწაული გამოჩნდაო. ასეთ დიდ საშინელებათა შორის შესაძლოა მოგონების ღირსიც კი არ იყოს ისეთი ამბები, რომელთაც მაშინ ჰქონდათ ადგილი; სახელდობრ: ზეცაზე ცეცხლის აელვარება, ხშირად ღამით ამტყდარი ხმაური, ანდა ფორუმზე ცალკეულ ფრინველთა ჩამოფრენის შემთხვევები. ფილოსოფოსი სტრაბონი მოგვითხრობს [175], ზეცაზე მრავლად გამოჩნდნენ ცეცხლმოდებული მეომარნი, რომელნიც ძირს მოქროდნენ; მისივე სიტყვით, ერთი ჯარისკაცის მონას ხელზე საშინელი ალი აუვარდა თურმე; ვინც მას შესცქეროდა, ყველას ეგონა, დაიწვა მონაო; მაგრამ ჩაქრა თუ არა ალი, ეს კაცი სავსებით უვნებელი იხილეს. იმ დღეს კეისარი მსხვერპლს სწირავდა. აღმოჩნდა, რომ სამსხვერპლო პირუტყვს გული არა ჰქონდა. ეს ფრიად დიდი უბედურების ნიშანი იყო. უგულო ცხოველის არსებობა ბუნებაში შეუძლებელია. ერთმა მკითხავმა იდევ, როგორც ამას მრავალი მხილველი გადმოგვცემს, კეისარს ურჩია გაჰფრთხილებოდა დიდ განსაცდელს მარტის თვის იმ დღეს, რომელსაც რომაელები იდებს ეძახდნენ. როცა ეს დღე დადგა, სენატში მიმავალმა კეისარმა გზად შემომხვდურ მკითხავს სალამი მისცა და ხუმრობით უთხრა: „აი, ხომ დადგა მარტის იდებიო!“ — „დიახ, დადგა, მაგრამ ჯერ არ გასულაო!“ — აუღელვებლად უპასუხა თურმე კეისარს მკითხავმა [176].

მარტის იდების წინადღით კეისარი გახშმად ჰყავდა მოწვეული მარკუს ლეპიდუსს [177]. კეისარი ჩვეულებისამებრ სუფრასთან წამოწოლილი იყო და წერილებს ხელს აწერდა. უცებ სიტყვა ჩამოვარდა იმაზე, თუ რომელი სახის სიკვდილია ყველაზე უკეთესი. ამ

კითხვაზე პასუხის გაცემა ყველას დაასწრო კეისარმა და წამოიძახა: „მოულოდნელია“.

ვახშმის შემდეგ, როცა კეისარი თავის სარეცელში ჩვეულებისა-მებრ მეუღლის გვერდით იწვა, საწოლი ოთახის ყველა კარი და ფან-ჯარა ანაზდეულად თავისთავად გაიღო, ხმაურით და ოთახში შემოჭ-რილი მთვარის შუქით შეშფოთებულმა კეისარმა გაიგონა, რომ ღრმა ძილში წასული კალპურნია, რაღაც სიზმრებით აფორიაქებული, კვნე-სოდა და გაუგებრად ბუტბუტებდა. კალპურნიას ეზმანა, თითქოს მოკლული ქმარი ჰყავდა მკლავებზე გადასვენებული და დასტიროდა-ზოგიერთი ამბობს, კეისრის ცოლს ასეთი სიზმარი არ უნახავსო. რო-გორც ლივიუსი გადმოგვცემს, სენატის გადაწყვეტილებით კეისრის სახლის თავზე პატივისცემის ნიშნად დადგმული იყო ქონგური; კალპურნიამ სიზმრად იხილა, ვითომცდა ეს ქონგური გადმონგრე-ულიყო და ამიტომ მოთქვამდა და ტიროდა ძილშიო. ასე იყო თუ ისე, დილით კალპურნიამ კეისარს ხვეწნა-მუდარა დაუწყო: თუ შესაძ-ლებელია, დღეს გარეთ ნუ გახვალ და სენატის სხდომა გადასდეო; თუ ჩემს სიზმარს არაფრად აგდებ, მაშინ სხვა სახის წინასწარმეტყველ-ებით და მსხვერპლშეწირვით მაინც შეიტყვე შენი მომავალიო. რო-გორც ჩანს, რაღაც ეჭვი და შიში კეისარს თვითონაც ჰქონდა იმ დღეს. მას აქამდე არასოდეს არ შეენიშნა კალპურნიასათვის ქალუ-რი ცრუმორწმუნეობა. მაშინ კი მეუღლე მეტისმეტად შეშფოთებული იხილა. ამიტომ, როცა კეისარს მრავალი მსხვერპლის შეწირვის შე-დეგად მკითხავებმაც ცუდი მომავალი უწინასწარმეტყველეს, გადა-წყვიტა ანტონიუსი გაეგზავნა და სენატის სხდომა დაეშალა.

64. აი ასეთ ვითარების ჟამს კეისართან მივიდა დეციმუს ბრუ-ტუსი, რომელსაც მეტსახელად ალბინუსს ეძახდნენ[178]. ეს ბრუტუსი ისეთი ნდობით სარგებლობდა, რომ კეისარს ის თავის მეორე მკვ-კვიდრედ ჰყავდა ჩაწერილი ანდერძში[179]. მიუხედავად ამისა, იგი ძვ-ორე ბრუტუსთან და კასიუსთან ერთად კეისრის წინააღმდეგ მიმარ-თული შეთქმულების მონაწილე იყო. ამიტომ ეშინოდა სენატის სხდო-მა კეისარს არ გადაედო და შეთქმულება არ გამომჟღავნებულიყო.

დეციმუს ბრუტუსმა მისნების დაცინვა და კეისრის თაეგამოდებუ-ლი დარიგება დაიწყო. მისი სიტყვით, კეისარი თვითონვე აძლევდა სენატს ბრალდებათა და ცილისწამებათა საბაბს იმით, რომ სენატს აბუჩად იგდებდა. „სენატი, — ეუბნებოდა დეციმუს ბრუტუსი კეი-

ისარს, — შენი მოწვევით შეიკრიბა დღეს; ყოველი სენატორი მზად არის იტალიის გარეთ მდებარე და რომისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნებში და აგრეთვე ზღვაზე ყოფნის ჟამს სამეფო გვირგვინის ტარების უფლება მოგცეს. აბა რას იტყვიან შენი მტრები, აწ შეკრებილ სენატორთ რომ ვინმემ გამოუცხადოს: ახლა დაიშალენით და მაშინ შეიკრიბეთ, როცა კალპურნია უკეთეს სიზმრებს იხილავსო? განა აუტანელ ამბად არ ჩათვლიან სენატის წევრები იმას, რომ რომელიმე შენმა მეგობართაგანმა მათ მტკიცება დაუწყოს: კეისრის ასეთი მოქმედება მონობა და ტირანია არ არისო? თუ მაინცდამაინც დღევანდელ დღეს საბედისწერო დღედ თვლი, მაშინ უმჯობესია შენ თვითონვე მიხვიდე სენატში და სხდომა გადადებულად გამოაცხადო".

ამ სიტყვებთან ერთად დეციმუს ბრუტუსმა ხელი მოჰკიდა კეისარს და გარეთ გამოიყვანა. ის იყო გასცდა კეისარი თავის სახლს, რომ ამ დროს მასთან შესახვედრად გამოემართა ერთი უცხო მონა; მაგრამ კეისარს გარს იმდენი ხალხი ეხვია და იქ ისეთი მიხლა-მოხლა იყო, რომ ამ მონას ხელი ჰკრეს და ახლოს არ მიუშვეს. მაშინ იგი კეისრის სახლში შეიჭრა ძალით; მივიდა კალპურნიასთან და სთხოვა: კეისრის მოსვლამდე დამაცდევინე, ვინაიდან მისთვის ფრიად მნიშვნელოვანი საქმე მაქვს საუწყებელიო.

65. ბერძნული მჭევრმეტყველების ერთი მასწავლებელი, არტემიდორე კნიდოსელი[180] თავისი ცოდნის წყალობით ფრიად დაახლოებული იყო ბრუტუსის წრის ზოგიერთ პირთან და ამიტომ შეთქმულებაზე ბევრი რამ იცოდა. აი ეს არტემიდორე მივიდა კეისართან და წერილი მიუტანა, სადაც აღწერილი იყო ყველაფერი ის, რაც კეისრისთვის უნდა ეუწყებინა. როცა არტემიდორემ დაინახა, რომ კეისარი მიწოდებულ წერილებს მის გარშემო თავმოყრილ მსახურთ აძლევდა, სულ ახლოს მიიჭრა მასთან და უთხრა: „ჩემი წერილი მარტო შენ გადაიკითხე, კეისარო, და, რაც შეიძლება, სწრაფად! ეგ წერილი ფრიად მნიშვნელოვან ამბავს შეიცავს და ეს ამბავი შენ შეგეხება". კეისარმა არტემიდორესაგან წერილი მიიღო, მაგრამ წაკითხვით კი ვერ წაიკითხა, თუმცალა მისი გადათვალიერება მრავალჯერ სცადა. მას ამაში ხელს უშლიდა გზად შემომხვდური ბრბო. ბოლოს, მხოლოდ ამ ერთი წერილით ხელში, კეისარი სენატში შევიდა.

ზოგიერთი ამბობს, ეს წერილი კეისარს სხვა ვინმემ გადასცაო; რაც შეეხება არტემიდორეს, ის სრულებითაც ვერ მიუახლოვდა კე-

ისარს, ვინაიდან გარშემოხვეული ბრბო ვერასგზით ვერ გაარღვიაო [181].

66. ყველაფერი ეს შესაძლოა შემთხვევის საქმე იყო, მაგრამ შემთხვევით არ იყო შერჩეული ის ადგილი, სადაც ბრძოლა და მკვლელობა მოხდა და სადაც მაშინ სენატი შეიკრიბა. ეს იყო პომპეუსის მიერ აგებული და თეატრისათვის განკუთვნილი შენობა, სადაც თვით პომპეუსის ქანდაკება იდგა [182]. საკვლევით აშკარად ჩანდა, რომ შეთქმულთა განზრახვის აღსრულება აქ, სწორედ ამ ადგილზე რომელიღაც ღვთაების კარნახით და მოწოდებით მოხდა.

გადმოცემის თანახმად, კასიუსმა, სანამ კეისარზე ხელს აღმართავდა, ეპიკურეს [183] მოძღვრების კარგი ცოდნის მიუხედავად, თვალები პომპეუსის ქანდაკებას მიაპყრო თურმე და დუმილით საშველად მოუწოდა; მაგრამ შემაძრწუნებელი საქმის აღსრულებისათვის დამდგარმა ყამმა იგი მეტისმეტად ააფორიაქა, ააღელვა და წინანდელი განსჯის უნარი დაუკარგა.

კეისრის ერთგული და ფრიად დიდი ღონის პატრონი ანტონიუსი ბრუტუს ალბინუსმა ამ დროს სენატის გარეთ გააჩერა და განზრახ გრძელი საუბარი გაუბა [184].

შევიდა თუ არა კეისარი შენობაში, სენატი პატივისცემის ნიშნად ფეხზე წამოდგა. ბრუტუსის გარშემო თავმოყრილი შეთქმულნი ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთნი კეისრის სავარძელს ამოუდგნენ უკან, მეორენი კი პირისპირ შეხვდნენ კეისარს და ტულიუს ციმბერთან [185] ერთად ამის გაძევებული ძმის პატიების თხოვნა დაუწყეს; სავარძლამდე ამ თხოვნით მიაცილეს. კეისარი სავარძელში ჩაჯდა და შეთქმულთა თხოვნა უკუაგდო; მაგრამ ისინი არ მოეშვნენ და კიდევ უფრო მეტი დაჟინებით მოითხოვდნენ თავისას. კეისარი ამაზე განრისხდა და აბეზარი მთხოვნელები სათითაოდ გაიცხა. მაშინ ტულიუსმა ორივე ხელი სტაცა მას ტოგაში და კისერზე ჩამოაღლიტა. ეს უკვე თავდასხმის ნიშანი იყო. პირველად კასკამ [186] დაჰკრა მახვილი კეისარს კეფაში, მაგრამ ეს დაკვრა საკმაოდ მსუბუქი იყო და მომაკვდინებელი არ გამოდგა: კასკა, როგორც ჩანს, დასაწყისში შეშფოთებული იყო ესოდენ ფრიად გაბედული საქციელით. კეისარი მყისვე შეტრიალდა მისკენ, მის მახვილს ხელი სტაცა და ღონივრად ჩაეჭიდა. ორივემ ერთდროულად შეჰყვირა; დაჭრილმა კეისარმა ლათინურად შესძახა კასკას: „კასკავ, ვერაგო, რას შვრებიო!“ თავდამსხმელმა კი

თავის ძმას[187] ბერძნულად მოუხმო საშველად: „არიქა, ძმაო, დამეხმარეო!"

იმ სენატორთ, რომელთაც შეთქმულებისა არაფერი იცოდნენ, ასეთი შემაძრწუნებელი საქციელის დანახვაზე თავზარი დაეცათ და ისე აცახცახდნენ, ვერც ვაქცევა შეძლეს და ვერც კეისრის დაცვა. მათ ხმის ამოღებაც კი ვერ გაბედეს. ამასობაში ყოველმა შეთქმულმა იშიშვლა მახვილი კეისრის მოსაკლავად და ისე შემოერტყნენ გარს, რომ საითაც კი არ მიიბრუნებდა თავს, ყველგან მახვილს აწყდებოდა, რომელსაც სახესა და თვალებში ატაკებდნენ. გაშმაგებული კეისარი ნადირივით ტრიალებდა შეთქმულთა წრეში. რაკი ყოველი შეთქმული ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო კეისრის მოკვლაში, ამიტომ ერთხელ ბრუტუსმაც დასცა კეისარს მახვილი ფერდში. ზოგიერთი გადმოგვცემს, კეისარი შეთქმულთ ებრძოდა და ყვირილით ხან აქეთ აწყდებოდა, ხან იქითო; მაგრამ როცა მახვილამოწვდილი ბრუტუსი დაინახა, თავზე ტოგა წაიფარა და წინააღმდეგობა შეწყვიტაო[188].

კეისრის გვამი, შემთხვევით თუ მკვლელთა განზრახვით, დააგდეს იმ კვარცხლბეკთან, რომელზედაც პომპეუსის ქანდაკება იყო აღმართული. ეს კვარცხლბეკი სულ სისხლით იყო შეღებილი. ისე ჩანდა, თითქოს თვითონ პომპეუსი ესწრებოდა თავისი მტრის დასჯას: კეისარი ახლა მის ფერხთა წინ ეგდო და მრავალი ჭრილობით დაცხრილული ჯერ კიდევ ფეთქავდა. ამბობენ, კეისარმა ოცდასამი ჭრილობა მიიღო და ერთ სხეულზე ამდენი ჭრილობის მიყენების დროს მრავალმა შეთქმულმაც დაჭრა ერთმანეთიო.

67. მოკლეს თუ არა კეისარი, ბრუტუსი სენატის შუაგულში გამოვიდა და მომხდარ საქმეზე რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ აღარავინ მოუსმინა. შეშფოთებული სენატორები კარს მიაწყდნენ, გარეთ გამოცვივდნენ, განგაში ატეხეს და ხალხს შიშის ზარი დასცეს.

ყველა გარბოდ-გამორბოდა. ერთნი სახლებში იმალებოდნენ, მეორენი კი საზარაფო მაგიდებსა და საავეჯოებს ანებებდნენ თავს. ზოგიერთი სირბილით მიეშურებოდა მკვლელობის ადგილისაკენ, რათა უბედური შემთხვევა საკუთარი თვალით ეხილა, ზოგი კი, ვისაც ამის ნახვა უკვე მოესწრო, უკან მორბოდა. კეისრის უახლოესი მეგობრები ანტონიუსი და ლეპიდუსი სენატიდან ჩუმად გაიპარნენ და სხვის სახლებში დაიმალნენ.

ბრუტუსი და მისი ამხანაგები, მკვლელობის შემდეგ კვლავაც

ცეცხლით ანთებულნი, ერთად შეიჯარნენ, სენატიდან ამოწვდილნ მახვილებით გამოვიდნენ და კაპიტოლიუმისაკენ გაემართნენ. ისინი შიშისაგან დამფრთხალ ხალხს როდი ჰგავდნენ; სახეგაბრწყინებულნი მხნედ და ამაყად მიაბიჯებდნენ, ბრბოს თავისუფლებისაკენ მოუწოდებდნენ და გზად შემომხვდურ წარჩინებულ პირთ იერთებდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ძალით აეკიდნენ და შეუერთდნენ ბრუტუსის ჯგუფს. ესენი თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს მკვლელობაში მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული და სახელის მოხვეჭას ლამობდნენ. ამ პირთა შორის იყვნენ გაიუს ოქტავიუსი და ლენტულუს სპინთერი. ასეთი მედიდურობისათვის მათ შემდეგ ხანებში სამაგიერო მიეზღოთ. ანტონიუსმა და ახალგაზრდა კეისარმა [189] მათ ისე მოუღეს ბოლო, რომ ვერ ოგეშეს ის დიდება, რისთვისაც კვდებოდნენ. ამის მიზეზი მათ მიმართ საყოველთაო უნდობლობა იყო. სხვათა შორის, შურისმგებლებმა ისინი დასაჯეს არა კეისრის მოკვლის საქმეში მონაწილეობისათვის, არამედ ბოროტი განზრახვისათვის.

კეისრის მოკვლის მეორე დღეს ბრუტუსი და მისი მეგობრები ფორუმზე გამოვიდნენ და ხალხს სიტყვით მიმართეს. მოლაპარაკე შეთქმულთ ხალხი არც თავის უკმაყოფილებას უჩვენებდა და არც მოწონებას ამჟღავნებდა. ასეთი სამარისებური დუმილი იმის ნიშანი იყო, რომ ხალხს ენანებოდა კეისარი, მაგრამ ამავე დროს ბრუტუსსაც პატივს სცემდა.

სენატმა ერთგვარი ამნისტია და საყოველთაო მშვიდობა გამოაცხადა. ამასთან ერთად დაადგინა ღვთაებრივი პატივი ეცათ კეისრისათვის და ოდნავადაც არ დაერღვიათ მისი მბრძანებლობის დროს მიღებული გადაწყვეტილებანი [190]. ამას გარდა, ბრუტუსსა და მის მეგობრებს სენატმა უბოძა პროვინციები და შესაფერი ღირსებანი. ამიტომ ყველანი ფიქრობდნენ, სახელმწიფოს საქმეთა მდგომარეობა განმტკიცდა და შესანიშნავი თანხმობა დამყარდაო.

68. მაგრამ როცა კეისრის ანდერძი გახსნეს და აღმოჩნდა, რომ კეისარი კარგა მნიშვნელოვან საჩუქარს აძლევდა ყოველ რომაელს, ხოლო მერმე კი ფორუმზე ჭრილობებისაგან ალმინლად დასახიჩრებული გვამი იხილეს, რომაელებმა სიმშვიდე და წესრიგი ვეღარ დაიცვეს. მოედნიდან მოტანილი მერხები, ხარიხები და მაგიდები კეისრის გვამის ირგვლივ მოაგროვეს, ყველაფერ ამას ცეცხლი შეუნთეს და გვამი დაწვეს. ამის შემდეგ ხალხის ერთმა ნაწილმა ხელი სტაცა აგიზ-

გიზებულ მუგეზლებს და კეისრის მკვლელთა სახლების გადასაბუგავად გაეშურა. სხვანი კი ქალაქის ყოველ კუნჭულში დარბოდნენ და შეთქმულთ დაეძებდნენ, რათა შეეპყროთ ისინი და მერმე ნაკუწ-ნაკუწად დაეგლიჯათ; მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ იპოვეს; კეისრის მკვლელებმა ფრიად სანდო ადგილებს შეაფარეს თავი.

ამბობენ, კეისრის ერთ-ერთმა მეგობარმა, სახელად ცინამ, ამ ამბავთა წინაღამეს საკმაოდ უცნაური სიზმარი იხილაო. მას ეზმანა, თითქოს კეისარი ვახშმად იწვევდა: იგი ამაზე უარს ამბობდა; მაგრამ მერმე, მიუხედავად მისი უარისა და წინააღმდეგობისა, კეისარმა ვითომ ხელი სტაცა და ძალით წაიყვანა.

აი, როცა ამ ცინამ გაიგო, ფორუმზე კეისრის გვამს წვაევენო, საწოლიდან წამოდგა და კეისრისათვის უკანასკნელი პატივის მისაგებად ფორუმისაკენ გაემართა მიუხედავად იმისა, რომ უსიამოვნო სიზმარი ჰქონდა ნახული და თან ციებ-ცხელებაც აწუხებდა. გამოჩნდა თუ არა ცინა ფორუმზე, ხალხის გროვიდან ერთ-ერთმა რომაელმა მეორეს ჰკითხა, ვინ არის ეგ კაციო, და როცა მისი სახელი გაიგო, თავის მხრივ სხვას გადასძახა. ამგვარად, მთელ ხალხში მყისვე დაირხა ხმა: აი ეს კაცი კეისრის ერთ-ერთი მკვლელიაო. შეთქმულთა შორის მართლაც იყო ერთი ცინა, ამ ცინას სეხნია. და აი რომაელებმა კეისრისათვის პატივის მისაგებად მისული მეგობარი შეთქმულ ცინად მიიღეს, მყისვე ეკვეთნენ და ზედ მოედნის შუაგულში აკუწეს [101].

ამ ამბით თავზარდაცემული ბრუტუსი, კასიუსი და სხვა შეთქმულნი რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქიდან გაიქცნენ. თუ რა გააკეთეს მათ შემდეგ ხანებში, რა გადაიტანეს და როგორ დაიხოცნენ, ეს ყველაფერი ბრუტუსის ცხოვრებაშია აღწერილი.

69. კეისარი, რომელმაც პომპეუსის სიკვდილის შემდეგ ოთხ წელიწადზე მეტი ველარ იცოცხლა, სულ ორმოცდათექვსმეტი წლისა გამოასალმეს სიცოცხლეს.

კეისარმა ძლივძლივობით მოიპოვა ის ძალაუფლება, რის მიღებასაც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდა და რისთვისაც ფრიად მრავალი განსაცდელი გადაიტანა. ასეთი წვალების ფასად წილად ხვდა მხოლოდ და მხოლოდ ლიტონი სახელი და ისეთი დიდება, რომელსაც რომის მოქალაქენი შურით აღვსილი თვალით შესცქეროდნენ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისი მფარველი კეთილი სული, რომელიც სიცოცხლეში შემწეობას უჩენდა, კეისარს არც სიკვდილის

შემდეგ ჩამოშორებია. იგი მისი მკვლელობის შურისმგებლად გადაიქცა; იგი სდევნიდა მკვლელებს ყველგან, ხმელეთსა თუ ზღვაზე, და დაეძებდა მათ კვალს მანამ, სანამ არც ერთი მათგანი არ დარჩა ცოცხალთა შორის. მან სამაგიერო მიუზღო ყველა შეთქმულს და დასაჯა, როგორც მკვლელობის უშუალო მონაწილენი, ისე ის პირნი, რომლებმაც თავიანთი აზრებითა და განწყობილებებით რაიმე მონაწილეობა მიიღეს შეთქმულთა საქმეში.

ყველაზე საოცარი ბედი, რაც შეიძლება ადამიანს ერგოს, წილად ხვდა კასიუსს. ფილიპთან [192] დამარცხებულმა კასიუსმა სიცოცხლე მოისწრაფა სწორედ იმ მახვილით, რომელიც მან კეისრის წინააღმდეგ აღმართა. იმ ხანებში მომხდარ ზებუნებრივ მოვლენათაგან ფრიად სასწაულებრივი იყო დიდი კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენაც. კეისრის მოკვლის შემდეგ შვიდი ღამის განმავლობაში კამკამებდა იგი ზეცაზე და მერმე გაქრა. აღსანიშნავია აგრეთვე მზის შუქის ძლიერების შესუსტება. მთელი იმ წლის მანძილზე ფრიად მკრთალი მზე ამოდიოდა და ძველებური ელვარება დაკარგული ჰქონდა. იგი დედამიწის დაბინდულსა და მძიმე ჰაერში ვეღარ ატანდა. სიცივის წყალობით დედამიწის ნაყოფნი კი ზრდასა და დამწიფებას ვეღარ ასწრებდნენ, ისე ჭკნებოდნენ [193].

ბრუტუსის წინაშე კეისრის აჩრდილის გამოცხადებამ ყველაზე უფრო ნათლად დაამტკიცა ის, რომ ღმერთებს არ მოსწონდათ მისი მოკვლა. მოხდა კი ეს ამბავი შემდეგნაირად: ბრუტუსი ემზადებოდა აბიდოსიდან [194] გაღმა ხმელეთზე მხედრობის გადასაყვანად. იგი წინაღამით თავის კარავში ისვენებდა და ჩვეულებისამებრ არ ეძინა, — მომავალზე ფიქრობდა. (ამბობენ, ამ კაცს სარდალთა შორის ყველაზე ცოტა ეძინა და მიჩვეული იყო დროის უდიდესი ნაწილი ფხიზლად ეტარებინაო). უცებ კარვის კართან რაღაც ხმაური მოესმა. მიმქრალი სინათლის შუქზე ბრუტუსმა კარავი დაათვალიერა. და სასწაულებრივად დიდი ტანადობის და მოღუშული სახის ვაჟკაცის შემაძრწუნებელი აჩრდილი იხილა. ბრუტუსს ჯერ თავზარი დაეცა; მაგრამ მერმე რა დაინახა, მოჩვენება არაფერს აკეთებდა, არაფერს ამბობდა და დუმილით იდგა მის საწოლთან, ვინაობა ჰკითხა. „მე შენი ბოროტი სული ვარ, ბრუტუს, — უპასუხა აჩრდილმა; — შენ მე ფილიპთან მიხილავო". „დიახ, გიხილავო", — გაბედულად მიუგო მაშინ ბრუტუსმა და მოჩვენებაც მყისვე გაქრა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბრუტუსი ფილიპის მახლობლად ანტონიუსისა და კეისრის[195] წინააღმდეგ დაბანაკდა. პირველ ბრძოლაში მან უკუაქცია მტერი, მერმე უკან დაედევნა და კეისრის ბანაკი ააოხრა. როცა ბრუტუსი მეორე შეტაკებას ამზადებდა, მას კვლავ გამოეცხადა ღამით იგივე მოჩვენება. აჩრდილს ამჯერად აღარაფერი უთქვამს მისთვის. ბრუტუსი მიხვდა, რომ მისი ბედი გადაწყვეტილი იყო და ბრძოლაში თავგანწირვით ვადაეშვა. მაგრამ ბრძოლის დროს არ დაღუპულა. როცა მისი მხედრობა უკუიქცა, ბრუტუსი ერთ ფლატეზე ავიდა და, როგორც აშბობენ, რომელიღაც მეგობრის დახმარებით მახვილზე მკერდით დაეგო და სიცოცხლეს გამოესალმა.

# ტიბერიუს გრაკხუსი

1. ჩვენ უკვე გადმოვეცით ორი ბერძენის ისტორია, რომელსაც ახლა ტიბერიუსისა და გაიუსის ცხოვრება უნდა შევუდაროთ. ამ რომაელთა ცხოვრება ნაკლებ ბედკრული როდი გახლავთ [1].

ტიბერიუსი და გაიუსი რომაელთა ცენზორის ტიბერიუს გრაკხუსის შვილები იყვნენ [2]. ეს ტიბერიუსი ორჯერ კონსულად ნამყოფი და ორჯერ ტრიუმფგადახდილი კაცი იყო, მაგრამ ბრწყინვალე სახელი მაინც საკუთარი ზნეობრივი თვისებების წყალობით მოიხვეჭა. აი, სწორედ ამის გამო იგი ღირს იქმნა ცოლად შეერთო ჰანიბალზე გამარჯვებული სციპიონის ასული კორნელია. ამ ქალიშვილის მამის მეგობარი ტიბერიუსი არასოდეს არ ყოფილა; პირიქით, ერთ-ერთი დაუძინებელი მტერი იყო მისი. ამიტომ კორნელიასთან დაქორწინება სციპიონის გარდაცვალების შემდეგ მოხდა [3].

როგორც გადმოგვცემენ, ერთხელ თურმე ტიბერიუსმა თავის საწოლში ორი გველი იხილა. მისნებმა ეს სასწაული აუხსნეს და ორივე გველის ერთდროულად მოკვლა ან გაშვება სასტიკად აუკრძალეს. ამასთან მისნებმა განაცხადეს: თუ არჩევანის მიხედვით მამალ გველს მოკლავდნენ, ეს შემთხვევა თვითონ ტიბერიუსს მოუტანდა სიკვდილს, დედალი გველის მოკვლა კი კორნელიას წარსტაცებდა სიცოცხლეს. ტიბერიუსმა, რომელსაც ცოლი ძალიან უყვარდა, გადაწყვიტა: თუ სიკვდილია, სჯობს მე მოვკვდე, უკვე ხანში შესული კაცი, ვიდრე ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ჩემი ცოლიო. ამ გადაწყვეტილებით მან მამალი გველი მოჰკლა, დედალი კი თავისუფლად გაუშვა. ამის შემდეგ ტიბერიუსი სულ მალე გარდაიცვალა და კორნელიასაგან შეძენილი თორმეტი შვილი დატოვა.

ოჯახის პატრონობა და ბავშვების აღზრდა თავის თავზე კორნელიამ აიღო. მან ისეთი გულისხმიერება გამოიჩინა და შვილებისადმი

ისეთი სიყვარული და დიდსულოვნება გამოამჟღავნა, რომ გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ტიბერიუსმა საკუთარი სიკვდილი არჩია ეგზომ ღირსეული ქალის სიკვდილს, სრულიად არ აღმოჩნდა მცდარი.

მეფე პტოლემეოსმა კორნელიას დედოფლის გვირგვინი შესთავაზა და ცოლობა სთხოვა, მაგრამ ქალმა უარი განუცხადა[4].

დაქვრივებულ კორნელიას შვილების უმრავლესობა დაეხოცა და შერჩა მხლოდ ერთი ქალი, რომელიც სციპიონ უმცროსს მისთხოვდა[5] და ორი ვაჟი — ტიბერიუსი და გაიუსი, რომელთაც ახლა ჩვენი მოთხრობა ეხება.

შერჩენილი შვილები კორნელიამ დიდი მზრუნველობით გამოზარდა. მართალია, რომაელებში ისინი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების სახელით სარგებლობდნენ, მაგრამ სინამდვილეში კეთილი თვისებები უფრო მეტად მინიჭებული ჰქონდათ არა ბუნებით, არამედ აღზრდით.

2. ვით დიოსკურთა[6] გამომსახველ ქანდაკებებსა და სურათებში აღბეჭდილი მსგავსება შეიცავს ამავე დროს ერთგვარ სხვაობასაც, რაიც არსებობს მამაც მოკრივესა და ჩაუქ ცხენოსანს შორის, ისე ახალგაზრდა გრაკხუსთა მოქმედებებსა და პოლიტიკურ მოღვაწეობაში მკვეთრად ჩანს საკმაოდ დიდი განსხვავება იმ მრავალ მსგავსებასთან ერთად, რაც იყო მათ მამაცობასა და თავმდაბლობაში, კეთილშობილებასა, მშვევრმეტყველებასა და დიდსულოვნებაში. მე მგონი, ურიგო არ იქნება ამაზე შევჩერდეთ.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტიბერიუსის სახის იერს, გამოხედვასა და მოძრაობას დიდი სიმშვიდე და თავდაჭერილობა ახასიათებდა, გაიუსი კი მგზნებარე და ფიცხი კაცი იყო. საჯაროდ სიტყვის წარმოთქმის დროს ტიბერიუსი ერთ ადგილზე იდგა ხოლმე მშვიდად, ხოლო გაიუსი პირველი იყო რომაელთა შორის, რომელიც ლაპარაკის ჟამს ტრიბუნაზე აქეთ-იქით დადიოდა და მხრებიდან ტოგას იშორებდა. ასევე იქცეოდა თურმე, როგორც გადმოგვცემენ, ათენელი კლეონი[7]: იგი პირველი მჭევრმეტყველი იყო, რომელიც ტრიბუნაზე ტანიდან წამოსასხამს იშორებდა და სიტყვის წარმოთქმის დროს თეძოზე ხელს ირტყამდაო. გაიუსის სიტყვა, მრისხანე და მგზნებარე, შიშს იწვევდა, ტიბერიუსის სიტყვა კი მეტად სასიამოვნო ვახლდათ და იქითკენ იყო გამიზნული, მსმენელებში გულშემატკივრობისა და სიბრალულის გრძნობა აღეძრა. ტიბერიუსს მეტისმეტად დახვეწილი და

ფაქიზად დამუშავებული მეტყველება ჰქონდა, ხოლო გაიუსს — დამაჯერებელი და ფერადოვანი. ტიბერიუსი ცხოვრებაშიც უბრალო და ჭამაშიაც გაურჩეველი კაცი იყო. გაიუსი, თუ ჩვენ მას სხვა რომაელებს შევუდარებთ, ასევე მოკრძალებული და თავდაჭერილი ჩანდა, მაგრამ ძმასთან შედარებით საშინლად ჟინიანი იყო და ყველაფერი ზომას გადასული უყვარდა. ასე, მაგალითად, დრუზუსი[8] კიცხავდა მას იმის გამო, რომ დელფოსურა ვერცხლის მაგიდები იყიდა და ყოველ გირვანქაში ათას ორას ორმოცდაათი დრაქმა გადაიხადა.

ტიბერიუსსა და გაიუსს მეტყველების გარდა ხასიათიც სხვადასხვაგვარი ჰქონდათ. ტიბერიუსი ალერსიანი და მშვიდი ხასიათის ადამიანი იყო, გაიუსი — სასტიკი და ფიცხი. ამიტომ სიტყვის წარმოთქმისას ხშირად ისე გაფიცხდებოდა, ხმას იმაღლებდა ხოლმე, ლანძღვა-გინებას იწყებდა და ყველაფერს ერთმანეთში ურევდა. ის ზურგს უკან იყენებდა ერთ გონიერ მონას, სახელად ლიციინიუსს, რომელსაც ხელთ ეპყრა საგანგებო საკრავი იარაღი, რასაც ხმის დასაყენებლად ხმარობდნენ. და აი, როცა ლიციინიუსი შეატყობდა, გაიუსი ლაპარაკის დროს ხმას უმაღლებს და გაფიცხებული სადაცაა ძირითად თემას დაშორდებაო, თავისი საკრავით რბილ ხმას გამოსცემდა ხოლმე; მაშინ გაიუსი მყისვე ცხრებოდა, დაბლა უწევდა ხმას, მშვიდდებოდა და დამთმობი ხდებოდა.

3. აი, ასეთი გახლდათ მათ შორის არსებული სხვაობანი. მაგრამ სიმამაცე მტრების წინაშე, სამართლიანობა მდაბიოთა მიმართ, დარბაისლობა სახელმწიფო თანამდებობათა აღსრულების დროს და განცხრომა-ნებივრობაში თავდაჭერილობა ერთსაც და მეორესაც ერთნაირად ახასიათებდა... *

ტიბერიუსი ცხრა წლით უფროსი იყო გაიუსზე[9]. ამ გარემოებამ საკმაოდ ხანგრძლივი დროით გათიშა ძმათა პოლიტიკური მოღვაწეობა და მცირედ როდი შეუწყო ხელი მათ მიერ წამოწყებულ საქმეთა მარცხს. რაკიღა ძმებმა სრულწლოვანებას სხვადასხვა დროს მიაღწიეს, ამიტომ ვერ შეძლეს ძალების გაერთიანება, რაიც დაუძლეველ ძლიერებად გადაიქცეოდა.

ახლა ჩვენ ცალ-ცალკე უნდა ვთქვათ ძმების შესახებ. ჯერ უფროსიდან დავიწყოთ.

---

* ტექსტი დაზიანებულია.

4. შეეიდა თუ არა სიმწიფის ხანაში, ტიბერიუსმა მაშინვე მოიხ-
ვეჭა ისეთი სახელი, რომ ეგრეთ წოდებულ ავგუსტთა საქურუმო სა-
ზოგადოების წევრად აირჩიეს [10]. ამის ღირსად ცნეს არა იმდენად
დიდი გვარიშვილობის გამო, რამდენადაც პირადი სიკეთისა და ღირ-
სების მიზეზით. ეს აშკარა გახადა აპიუს კლავდიუსმა, ყოფილმა
კონსულმა და ცენზორად ნამყოფმა ვაჟკაცმა, რომელიც საკუთარი
ღირსების წყალობით, რომაელთა სენატში უპირველეს კაცად იყო
აღიარებული და თავისი დიდსულოვნებით გარშემო მყოფ ხალხზე
მაღლა იდგა. ერთხელ აპიუსი ქურუმთა სერობაზე შეხვდა ტიბერიუსს,
დიდი ხალისით დაუმეგობრდა და წინადადება მისცა მის ქალიშვილ-
ზე დაქორწინებულიყო. ტიბერიუსმა სიამოვნებით მიიღო ეს წინა-
დადება. საქორწინო შეთანხმება იქვე შეიკრა. როცა აპიუსი შინ
დაბრუნდა, კარიდანვე შესძახა ცოლს მაღალი ხმით: „ანტისტიუს.
ჩვენი კლავდია ერთ ვაჟკაცზე დავნიშნეთ“. „რამ აგაჩქარა ასე? — ჰკი-
თხა აპიუსს გაკვირვებულმა ცოლმა, — განა სასიძო, კლავდიასათვის
რომ განგიზრახავს, ტიბერიუს გრაკხუსი არისო?“

ჩემთვის სრულიად არაა უცნობი ის, რომ ზოგიერთი ამ ამბავს
გრაკხუსთა მამას ტიბერიუსს და სციპიონ აფრიკელსაც მიაწერს,
მაგრამ უმრავლესობა მაინც ისე გადმოგვცემს, როგორც მე ვწერ.
პოლიბიოსი [11] კი ამბობს: სციპიონ აფრიკელის სიკვდილის შემდეგ
მისმა ნათესავებმა ყველას არჩიეს ტიბერიუსი და ცოლად მისცეს
კორნელია, რომელიც მამამისმა გაუთხოვარი დატოვაო.

ახალგაზრდა ტიბერიუსი მონაწილეობდა ლიბიის ლაშქრობაში [12]
მეორე სციპიონთან ერთად, რომელსაც ცოლად მისი და ჰყავდა. აქ
ტიბერიუსი სარდალთან ცხოვრობდა კარავში და ამის წყალობით სულ
მალე გაიცნო სციპიონი, მისი კეთილშობილი სული, მისი საოცარი
თვისებები, რომელნიც სხვებში მამაცობისაკენ სწრაფვისა და დიდი
სარდლის ბრწყინვალე საქმეთა მიბაძვის სურვილს აღძრავდა. ლი-
ბიის ლაშქრობის ჟამს ტიბერიუსმა ტოლებთან შედარებით მალე გა-
მოიჩინა თავი დიდი წესრიგით და სიმამაცით. ფანიუსის [13] გადმოცე-
მით, იგი პირველად ავიდა თურმე მტრის ქალაქის კედელზე. ფანი-
უსი იმასაც ამბობს, რომ თვითონაც ტიბერიუსთან ერთად ავიდა ამ
კედელზე და მის ზიერ ჩადენილი გმირობის მონაწილე გახდა. ტიბე-
რიუსი მხედრობაში დიდი სიყვარულით სარგებლობდა; ამიტომ ბანა-
კიდან მისმა წასვლამ საყოველთაო მწუხარება გამოიწვია.

5. ლიბიის ლაშქრობის დამთავრების შემდეგ ტიბერიუსი კვესტორად აირჩიეს და ამ თანამდებობის აღსრულების დროს წილად ხვდა კონსულ გაიუს მანციინუსთან ერთად მონაწილეობა მიეღო ნუმანციელთა წინააღმდეგ ლაშქრობაში[14]. გაიუს მანციინუსი ურიგო კაცად როდი ითვლებოდა, მაგრამ რომაელ სარდალთა შორის ყველაზე ბედუკულმართი იყო. მისი ხელმძღვანელობით წარმოებული ავბედითი ლაშქრობის დროს, რასაც შედეგად მრავალი მარცხი მოჰყვა, ტიბერიუსმა გამოიჩინა არა მარტო უსაზღვრო გონიერება და სიმამაცე, არამედ, რაც უფრო საკვირველია, დიდი მოკრძალება და პატივისცემა თავისი უფროსისადმი, რომელიც ისე იყო გაოგნებული წარუმატებლობით, რომ აღარც კი ახსოვდა, სარდალი თუ იყო.

ძრავალ დიდ ბრძოლაში დამარცხებულმა მანციუსმა ერთ მშვენიერ ღამეს უკან დახევა გადაწყვიტა და ბანაკი ბედის ანაბარა მიატოვა. შეამჩნიეს თუ არა ეს, ნუმანციელები მყისვე დაეპატრონენ რომაელთა ბანაკს; მერმე უკუქცეულთ დაესხნენ თავს, ამოყლიტეს მათი უკანა რაზმი, რკალში მოიმწყვდიეს მთელი მხედრობა და ისეთ ციწროებში შერეკეს, რომ იქიდან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. რაკი მანციინუსმა დაკარგა ამ გაჭირვებული მდგომარეობიდან თავის დაღწევის იმედი, მტერს ელჩები მიუგზავნა და ბრძოლის შეწყვეტა და დაზავება მოსთხოვა. ნუმანციელებმა მანციინუსს შეუთვალეს: ტიბერიუსის გარდა ჩვენ არავის არ ვენდობით, ამიტომ მოსალაპარაკებლად ის გამოგზავნე ჩვენთანო.

ნუმანციელები ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ პატივს სცემდნენ ყმაწვილ კაცს, რომელსაც მათ მხედრობაში მეტად დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. გარდა ამისა, კარგად ახსოვდათ, რომ ტიბერიუსის მამა, რომელიც ომს ეწეოდა ესპანელებთან და რომელმაც აქ ძრავალი ტომი დაამარცხა, ნუმანციელებთან შეკრა ზავი და რომაელ ხალხს შეავონა ეს ზავი პირიანად და სამართლიანად დაეცვა[15].

ამგვარად, ნუმანციელებთან გაგზავნეს ტიბერიუსი. იგი შეხვდა მათ წარმომადგენლებს, გამართა მოლაპარაკება, ზოგიერთ რამეზე დაიყოლია ნუმანციელები, ზოგი პირობა თვითონ მიიღო და შეკრა ზავი[16]. ამით მან აშკარად იხსნა განადგურებისაგან ოცი ათასი რომაელი მოქალაქე, თუ ანგარიშში არ ჩავთვლით მრავალ შეიღალეს და იმ ხალხს, რომელიც უკან მიჰყვებოდა მანციინუსის მხედრობას.

6. რომაელთა მიერ ბანაკში დატოვებულ მთელ ჭონებას ნუმანციელები დაეპატრონენ და სულ ერთიანად დაიტაცეს. ამ ჭონებაში იყო, სხვათა შორის, ტიბერიუსის ფირფიტებიც, რომლებიც მისი კვესტორული მოღვაწეობის აღნუსხვასა და სხვადასხვა ანგარიშებს შეიცავდა. ტიბერიუსმა გადაწყვიტა რადაც არ უნდა დაჯდომოდა ეს ფირფიტები უკან დაებრუნებინა. მიუხედავად იმისა, რომ რომაელთა მხედრობა უკვე საგრძნობლად წინ იყო წასული, იგი სამი თუ ოთხი ამხანაგის თანხლებით ნუმანციელთა ქალაქისაკენ გაბრუნდა. აქ ნუმანციელთა მეთაურები გამოიძახა და სთხოვა მისთვის ფირფიტები დაებრუნებინათ, რათა მტრებს არ მისცემოდათ ცილისწამების საბაბი: ამ ფირფიტების გარეშე იგი რწმუნების აღსრულების ანგარიშს ვერ ჩააბარებდა.

ნუმანციელებს ძალიან გაუხარდათ, ტიბერიუსისათვის სამსახურის გაწევის შემთხვევა რომ მიეცათ, და ქალაქში შეიპატიჟეს. მაგრამ იგი შეჩერდა და ყოყმანი დაიწყო. მაშინ ნუმანციელები მიუახლოვდნენ მას, მოჰკიდეს ხელი და მხურვალედ დაუწყეს ვედრება: ამიერიდან მტრებად ნულარ ჩაგვთვლი, შენს მეგობრებად გვიგულე და გვერწმუნეო. ტიბერიუსს ძალიან უნდოდა თავისი ფირფიტები უკან დაებრუნებინა; გარდა ამისა, შიშობდა: ვაითუ ჩემი უნდობლობით ნუმანციელები განვარისხოო — და გადაწყვიტა მათი სურვილი შეესრულებინა. იგი ქალაქში შევიდა. უწინარეს ყოვლისა, ნუმანციელებმა მას საუზმე შესთავაზეს და ბანქოებით დაუწყეს თხოვნა მათთან ერთად დამჯდარიყო სუფრასთან და ეჭამა რამე. ამის შემდეგ დაუბრუნეს ფირფიტები და წინადადება მისცეს ნადავლად წამოღებული ქონებიდან აეღო, რაც კი მოესურვებოდა. მაგრამ ტიბერიუსი ასე როდი მოიქცა. მან აიღო მხოლოდ საკმეველი, რასაც საჯარო მსხვერპლშეწირვის დროს ხმარობდა ხოლმე, მეგობრულად გამოემშვიდობა ნუმანციელებს და წავიდა.

7. დაბრუნდა თუ არა ტიბერიუსი რომში, მის მიერ ნუმანციელებთან დადებული ზავი აქ შეაფასეს, როგორც საშინელი და სამარცხვინო რამ რომის რესპუბლიკისათვის. გრაკხუსთა ნათესავები და მეგობრები, რომლებიც ნუმანციის ლაშქრობაში მონაწილეობდნენ და რომლებიც ხალხის დიდ ნაწილს შეადგენდნენ, მაშინვე მიემხრნენ ტიბერიუსს და ამბობდნენ: ტიბერიუსის წყალობით მრავალი რომაელი მოქალაქე გადარჩაო. დამარცხების მთელ სირცხვილს ისინი სარ-

დალს მიაწერდნენ. მაგრამ სხვებიც, ვინც უკმაყოფილონი იყვნენ ტიბერიუსის მოქმედებით, წინადადებას იძლეოდნენ ამ შემთხვევაში წინაპრებისათვის მიებაძათ: ძველმა რომაელებმა ის მხედართმთავრები, რომლებიც სამნიტებთან სამარცხვინო ზავის დადების შემდეგ თავს ბედნიერად გრძნობდნენ, გაატიტვლეს და უკანვე მტრებთან გარეკესო. ასევე გადასცეს სამნიტებს ისინიც, ვინც სამარცხვინო ზავის შეკვრაში მონაწილეობდნენ ანდა ამ ზავს თანაუგრძნობდნენ. სახელდობრ, ასე მოექცნენ ისინი კვესტორებსა და სამხედრო ტრიბუნებს და ფიცის გატეხა და საზავო ხელშეკრულების დარღვევაც მათ დააბრალესო [17].

აი ასეთი ვითარების დროს ხალხმა ტიბერიუსის მიმართ უსაზღვრო თანაგრძნობა და სიყვარული გამოიჩინა. მან დაადგინა, რომ კონსული მანციუსი, გატიტვლებული და ბორკილგაყრილი, ნუმანციელებისათვის გადაეცათ. ყველა დანარჩენი კი ტიბერიუსის ხათრით ხალხმა შეიწყალა.

როგორც ჩანს, ტიბერიუსს დიდი შემწეობა აღმოუჩინა ამ საქმეში სციპიონმა, რომელიც იმ დროს რომაელთა შორის ყველაზე უფრო დიდი გავლენისა და ძალის მქონე კაცად ითვლებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სციპიონს ბრალად სდებდნენ ერთი მხრივ იმას, რომ მან არ დაიხსნა მანციუსი, ხოლო მეორე მხრივ იმას, რომ ხელი არ შეუწყო თავის ნათესავ და მეგობარ ტიბერიუსის მიერ ნუმანციელებთან დადებული საზავო ხელშეკრულების განმტკიცებას. ამ ორ კაცს შორის ჩამოვარდნილი უკმაყოფილების საბაბი, როგორც ჩანს, ორივეს პატივმოყვარეობა და ტიბერიუსის მეგობართა და სოფისტთა წაქეზება იყო. ისინი ცდილობდნენ ტიბერიუსი სციპიონის წინააღმდეგ აემხედრებინათ. მაგრამ ამ უთანხმოების მძიმე, სავალალო შედეგი არ მოჰყოლია. ის კი არა, ჩემი აზრით, ტიბერიუსს, როცა იგი პოლიტიკურ ასპარეზზე თავისი კანონებით გამოვიდა, უბედურება არ შეემთხვეოდა, სციპიონ აფრიკელი რომ იმ დროს რომში ყოფილიყო. სციპიონი ნუმაციაში იმყოფებოდა და იქ ომს აწარმოებდა მაშინ, როცა ტიბერიუსმა თავისი კანონების გატარება სცადა. აი, ამ ცდის მიზეზიც.

8. რომაელები მეზობლად მოსახლე ხალხის იმ მიწებს, რომლებიც ომით დაიპყრეს, ნაწილობრივ ჰყიდდნენ, ნაწილობრივ კი სახელმწიფო საკუთრებად აქცევდნენ და არცთუ ისე დიდი გადასახადის ფასად, რაც

ხაზინაში შედიოდა. საკუთებლობაში აძლევდნენ ღარიბსა და არაფერის მქონე მოქალაქეთ. მდიდრებმა საჯაროდ გასაცემი მიწის ფასის გაზრდა დაიწყეს და ღარიბებს თანდათანობით მათი ნაკვეთებიდან აძევებდნენ. მაშინ გამოსცეს კანონი, რომლის ძალითაც აღარავის არ ეძლეოდა უფლება ხუთას იუგერზე მეტი მიწა ჰქონოდა [18]. ამ კანონმა ერთხანს ლაგამი ამოსდო მდიდართა სიხარბეს და დაეხმარა ღარიბებს იმაში, რომ ისინი იჯარით აღებულ მიწებზე დარჩენილიყვნენ და შეენარჩუნებინათ ადგილ-მამულის ის წილი, რაც თითოეულ მათგანს პირველი დანაწილების დროს ერგო. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ღარიბთა მეზობლად მოსახლე მდიდრებმა სხვისი სახელით დაიწყეს საჯაროდ გასაცემი მიწის დაპატრონება და ბოლოს უკვე აშკარად დაიმკვიდრეს თავისთვის ასეთი მიწების უდიდესი ნაწილი. მიწის ნაკვეთებიდან გამოძევებული ღარიბები აღარც სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ ხალისიანად და აღარც შვილების აღზრდაზე ზრუნავდნენ. ამის გამო მთელ იტალიაში სულ მალე საგრძნობი გახდა, ერთი მხრივ, თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვის შემცირება, მეორე მხრივ კი ბარბაროს მონათა რაოდენობის უსაზღვრო ზრდა. ამ მონათა შემწეობით მდიდრები ამუშავებდნენ იმ მიწებს, საიდანაც რომაელი მოქალაქენი განდევნეს.

გაიუს ლელიუსმა, სციპიონის ახლო მეგობარმა, გადაწყვიტა ეშველა ამ უბედურებისათვის, მაგრამ მას საშინელი წინააღმდეგობა გაუწიეს წარჩინებულებმა. მოსალოდნელი შფოთის შიშით ლელიუსმა ხელი აიღო თავის განზრახვაზე [19]. ამის გამო მას მეტსახელად „ბრძენი“ თუ „გონიერი“ შეარქვეს. როგორც ჩანს, „საპიენს“ ლათინურად ერთსაც აღნიშნავს და მეორესაც.

როგორც კი ტიბერიუსი სახალხო ტრიბუნად აირჩიეს [20], მან მყისვე მთელი მგზნებარებით მოჰკიდა ხელი ლელიუსის წამოწყებულ საქმეს. ბევრი მწერალი ამბობს, ამისათვის ტიბერიუსი რიტორმა დიოფანემ და ფილოსოფოსმა ბლოსიუსმა წააქეზესო. დიოფანე მიტილენელი ლტოლვილი იყო, ბლოსიუსი კი იტალიის კუმიდან იყო წარმოშობით. ეს ბლოსიუსი რომში დაუახლოვდა ანტიპატრე ტარსელს, რომელმაც მას პატივი სცა და ზოგიერთი თავისი ფილოსოფიური თხზულება მიუძღვნა [21].

ზოგიერთთა მიხედვით, ყველაფრის მიზეზი ტიბერიუსის დედა კორნელია იყო. იგი თურმე ხშირად კიცხავდა შვილებს; რომაელე-

ბი ჯერ კიდევ სციპიონის სიდედრს მეძახიან და არა გრაკჩუსთა დედასო!

სხვები კი ამტკიცებენ, რომ მთელი წამოწყების მიზეზი იყო ვინმე სპურიუს პოსტუმიუსი, ტიბერიუსის ტოლ-სწორი და მისი მეტოქე ორატორულ ხელოვნებაში. როცა ტიბერიუსი ლაშქრობიდან დაბრუნდა და დაინახა, სპურიუსს უფრო დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა მოხვეჭილი და საყოველთაო მოწიწებას იმსახურებდა, როგორც ჩანს, მოიხურვა ეჯობნა მისთვის და ფრიად სახიფათო საქმეს მოჰკიდა ხელი. მის ამ პოლიტიკურ ნაბიჯს ხალხი დიდი იმედებით შეეგება.

ტიბერიუსის ძმა გაიუსი, თავის მხრივ, ერთ-ერთ ჩანაწერში ამბობს: როცა ნუმანციაში მიმავალმა ტიბერიუსმა ეტრურიაზე გადაიარა, აქ უდაბნოდ ქცეული მხარე იხილა და დაინახა, რომ ისინი, ვინც მიწას ხნავდნენ და საქონელს აძოვებდნენ, სულ უცხოელები და ბარბაროსები იყვნენ. აი, მაშინ მოუვიდა პირველად გონებაში ის პოლიტიკური განზრახვა, რამაც მასაც და მეც ათასი უბედურება დაგვატეხა თავსო.

ყველაზე მეტად ტიბერიუსის პატივმოყვარეობა და მისწრაფება ხალხმა აღაგზნო. ხალხი სხვადასხვა წარწერებით სვეტებზე, კედლებსა და ქანდაკებებზე მხურვალედ მოუწოდებდა ტიბერიუსს სახელმწიფო მიწები ღარიბებისათვის დაებრუნებინა.

9. უნდა ითქვას, კანონი ტიბერიუსს ერთპიროვნულად არ შეუდგენია. ამ საქმეში იგი ხელმძღვანელობდა იმ მოქალაქეთა რჩევა-დარიგებებით, რომელნიც თავიანთი ვაჟკაცობისა და სახელის წყალობით რომში პირველობდნენ. მათ შორის იყვნენ: უზენაესი ქურუმი კრასუსი, კანონთა მცოდნე და იმხანად კონსულად მყოფი მუციუს სცევოლა და ტიბერიუსის სიმამრი აპიუს კლავდიუსი. ტიბერიუსის კანონივით რბილი და ზომიერი კანონი, რომელიც საშინელი უსამართლობისა და სიხარბის წინააღმდეგ იყო მიმართული, კაცმა რომ თქვას, არასოდეს დაწერილა. იმ პირთ, რომელთაც ეკადრებოდათ ერჩობისათვის პასუხი ეგოთ და ჯარიმის გადახდევინებით გაძევებულ ყოფილიყვნენ უკანონოდ მითვისებული მიწებიდან, ტიბერიუსის კანონი მხოლოდ იმას უბრძანებდა, რომ სასყიდლის მიღების შემდეგ ხელი აეღოთ მითვისებულ მიწებზე და გადაეცათ ისინი იმ მოქალაქეთათვის, ვისაც დახმარება ესაჭიროებოდა. მართალია, ბოროტების ასეთი გამოსწო-

რება საკმაოდ ლმობიერი ჩანდა, ხალხი მაინც კმაყოფილი დარჩა. იგი მზად იყო დაევიწყებინა წარსული, თუკი მომავალში უსამართლობით აღარ შეავიწროებდნენ. მაგრამ სიხარბით გატაცებული მდიდრები და შეძლებულები აღსდგნენ ამ კანონის წინააღმდეგ და პატივმოყვარეობის გრძნობით აღვსილნი გააფთრებით დაუპირისპირდნენ კანონის შემდგენელს. ისინი ცდილობდნენ, რომ ხალხი განდგომოდა ამ კანონსა და არ მიეღო იგი. ამ მიზნით ავრცელებდნენ ხმებს: მიწების ხელახალი გადანაწილებით ტიბერიუსს სახელმწიფო წყობილების დარღვევა და ყველაფრის არევ-დარევა აქვს განზრახულიო! ასეთი ხრიკებით მდიდრებმა ვერაფერს ვერ მიაღწიეს. კეთილშობილურსა და სამართლიან საქმეს ტიბერიუსი იცავდა ისეთი სიტყვით, რომელსაც კარგი კი. არა, ავი საქმის გაპატიოსნებაც კი შეეძლო. შეუპოვარი და უძლეველი ჩანდა ტიბერიუსი, როდესაც იგი ხალხით გარშემორტყმულ ტრიბუნაზე იდგა და ღარიბთა დასაცავად სიტყვას ამბობდა.

„იტალიაში მცხოვრებ ნადირებსაც კი, — ამბობდა თავის სიტყვაში ტიბერიუსი, — თავთავიანთი სოროები და ბუნაგები აქვთ თავშესაფარად; მაგრამ იმ ხალხს, ვინც იტალიისათვის იბრძვის და სიცოცხლეს სწირავს, არაფერი გააჩნია საკუთარ ქვეყანაში ჰაერისა და სინათლის მეტი. ეს ადამიანები უსახლკარონი არიან, მათ არა აქვთ მუდმივი ადგილსამყოფელი და ცოლ-შვილით აქეთ-იქით დაძრწიან. სარდლები ატყუებენ ჯარისკაცებს, როცა მათ ბრძოლისაკენ მოუწოდებენ და არწმუნებენ, მტრისაგან დაიცვან წინაპართა საფლავები და ტაძრები. ეს მაშინ, როდესაც რომაელთა უმრავლესობას არც მამისეული საკურთხეველი და არც წინაპართა სასაფლაოები არ გააჩნია. ჯარისკაცები მხოლოდ სხვისი ფუფუნებისა და სიმდიდრის გულისათვის ომობენ და იხოცებიან. მათ მსოფლიოს მბრძანებლებს უწოდებენ, სინამდვილეში კი მათ საკუთარი მიწის ერთი ნაგლეჯიც არ გააჩნიათ!“

10. ამ სიტყვას, რომელიც დიდი გატაცებითა და ჭეშმარიტი მგზნებარებით იქნა წარმოთქმული, ხალხი აღფრთოვანებით შეეგება. რაც შეეხება ტიბერიუსის მოწინააღმდეგეთ, ვერც ერთმა მათგანმა სამაგიეროს თქმა ვერ გაბედა. ტიბერიუსთან კამათზე ხელი აიღეს და მიაშურეს ერთ-ერთ სახალხო ტრიბუნს, დარბაისელ, ფაქიზი ზნეობის მქონე ახალგაზრდა კაცს მარკუს ოქტავიუსს. ოქტავიუსი ტიბერიუსის

უახლოესი მეგობარი იყო. ამიტომ პატივს სცემდა მას და პირველ ხანებში მასთან ბრძოლას თავს არიდებდა. მაგრამ მერმე, რომის მრავალი წარჩინებული მოქალაქის დაჟინებულ თხოვნას ძალაუნებურად დაუთმო, დაუპირისპირდა ტიბერიუსს და მისი კანონის გატარების წინააღმდეგ გამოვიდა[22]. სახალხო ტრიბუნატში კი ამა თუ იმ კანონის მიმართ გამოთქმულ უარყოფით აზრს ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს; საკმარისია წინააღმდეგ გამოვიდეს ერთი ტრიბუნი, რომ ყველა დანარჩენთა თანხმობამ ძალა დაკარგოს. ამ მარცხით გაჯავრებულმა ტიბერიუსმა უკან წაიღო მდიდართა მიმართ საკმაოდ ლმობიერად შედგენილი კანონი და მერმე შემოიტანა ახალი, ხალხისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი და უფრო მკაცრი მოძალადეთათვის. ახალი კანონით ტიბერიუსი წინადადებას აძლევდა მდიდრებს უყოყმანოდ დაეცალათ ის მიწები, რომელთაც ისინი ძველი კანონების წინააღმდეგ ფლობდნენ.

ამან ტიბერიუსსა და ოქტავიუს შორის მწვავე ბრძოლა გამოიწვია. მიუხედავად გაცხარებული კამათისა, ტიბერიუსსა და ოქტავიუსს, როგორც გადმოგვცემენ, ერთმანეთის შეურაცხმყოფელი არაფერი უთქვამთ და რისხვის ჟამს არც ერთი უკადრისი სიტყვა არ წამოსცდენიათ. თანდაყოლილი ზნეობრივი სიფაქიზე და კარგი აღზრდა, როგორც ჩანს, ზომიერების ჩარჩოში აკავებს და ლაგამს სდებს ადამიანის ჭკუა-გონებას არა მარტო ბახუსის გავლენის ქვეშ ყოფნის დროს, არამედ პატივმოყვარულ მისწრაფებათა და განრისხების დროსაც.

როცა ტიბერიუსმა დაინახა, კანონი ეხებოდა ოქტავიუსსაც, როგორც საკმაოდ დიდი საზოგადო მიწების მფლობელს, სთხოვა დავაზე ხელი აეღო და მიწების საფასურის ანაზღაურებას საკუთარი ქონებიდან დაჰპირდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქონება არცთუ ისე მნიშვნელოვანი იყო, ოქტავიუსმა ამ წინადადებაზე უარი თქვა. მაშინ ტიბერიუსმა გამოსცა გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც მოვალეობის აღსრულებას უკრძალავდა თანამდებობათა მქონე პირთ მანამ, სანამ მისი კანონი კენჭის საყრელად არ იქნებოდა წარდგენილი. მერმე საკუთარი ბეჭდით დაბეჭდა სატურნუსის ტაძარი, რათა კვესტორებს არაფერი არ გამოეტანათ იქიდან და არც შეეტანათ[23]. ამასთან ტიბერიუსმა პრეტორებს აუწყა, რომ ურჩობის შემთხვევაში ყველას დააჯარიმებდნენ. მოსალოდნელი სასჯელით დაშინებულმა თა-

ნამდებობის პირებმა თავთავიანთი მოვალეობის შესრულებაზე ხელი აიღეს.

ამის გამო მდიდრები ძაძებით შეიმოსნენ და ფორუმზე სასოწარკვეთილნი და დამწუხრებულნი დადიოდნენ. მათ შეთქმულება მოაწყვეს და ტიბერიუსს მკვლელები მიუჩინეს. ტიბერიუსმა ეს გაიგო და აშკარად დაიწყო მოკლე მახვილის ტარება, რომელსაც რომაელები „დოლოს“ ეძახიან და რომელსაც ჩვეულებრივ ავაზაკები ატარებენ ხოლმე.

11. სახალხო კრებისათვის დანიშნულ დღეს, როცა ტიბერიუსმა თავისი კანონისათვის ხმის მისაცემად ხალხი მოიწვია, მდიდრებმა საარჩევნო ურნები მოიტაცეს. ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია. ტიბერიუსის მომხრენი იმდენად მრავალრიცხოვანნი იყვნენ, რომ მათ ძალით შეეძლოთ გაეტანათ თავისი და ამ მიზნით კიდეც დაიწყეს თავმოყრა. მაშინ ყოფილი კონსულები მანლიუსი და ფულვიუსი ფეხებში ჩაუცვივდნენ ტიბერიუსს, ხელში სწვდნენ და ცრემლმორეულნი ევედრებოდნენ კანონზე კენჭისყრა შეეწყვიტა. ტიბერიუსი წინასწარ გრძნობდა, მალე საშინელი ამბები დატრიალდებოდა, თანაც ყოფილ კონსულებს დიდ პატივს სცემდა და ამიტომ ჰკითხა: აბა, თქვენ რას მირჩევთ, როგორ მოვიქცეო? მანლიუსმა და ფულვიუსმა ტიბერიუსს მიუგეს, რომ მათ არ ძალუძთ ასეთ დიდ საქმეში რჩევის მიცემა და დაჟინებით დაუწყეს თხოვნა სენატისათვის მიემართა. ტიბერიუსი მყისვე დაეთანხმა მათ.

სენატი მალე შეიკრიბა, მაგრამ რაკი იქ მდიდრები მბრძანებლობდნენ, ვერაფერი გააწყო. მაშინ ტიბერიუსმა, ვინაიდან სხვანაირი საშუალებით კანონის გატარება აღარ შეეძლო, ფრიად უკანონო და სათაკილო გზას მიმართა. მან განიზრახა ოქტავიუსის გადაყენება ტრიბუნის თანამდებობიდან. სანამ ამ უკიდურესობამდე მივიდოდა, ტიბერიუსი მეგობრულად ავლებდა ხელს ხელებზე ოქტავიუსს და ტკბილი სიტყვებით საჯაროდ ემუდარებოდა მოეხსნა თავისი აკრძალვა და დაეკმაყოფილებინა სამართლიანი მოთხოვნილება იმ ხალხისა, რომელსაც განუწყვეტელი ჯაფისა და მძიმე განსაცდელის სამაგიეროდ სულ მცირე გასამრჯელო ეძლეოდა. ოქტავიუსმა ტიბერიუსის თხოვნა უკუაგდო. მაშინ ტიბერიუსმა განაცხადა: „როცა ერთნაირი უფლებით მოსილი ორი ტრიბუნი მნიშვნელოვან საქმეში ერთმანეთს ვერ უთანხმდება, მაშინ ბრძოლა აუცილებელია. ერთადერთ გამოსა-

ვალს ამ მდგომარეობიდან მე იმაში ვხედავ, რომ ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა თანამდებობაზე ხელი უნდა აიღოს. დაე, ჯერ ოქტავიუსმა შეიტანოს სახალხო კრებაში საკითხი ჩემი შეცვლის თაობაზე. თუ ხალხი ამას მოისურვებს, მე მაშინვე გადავდგები და რიგითი ადამიანის ცხოვრებას დავუბრუნდები".

ოქტავიუსმა ამაზეც უარი თქვა. „ასეთ შემთხვევაში, — უთხრა მას ტიბერიუსმა, — მე შევიტან საკითხს სახალხო კრებაში შენი ტრიბუნად ყოფნა-არყოფნის შესახებ, თუკი, რა თქმა უნდა, დაფიქრების შემდეგ აზრს არ გამოიცვლი!"

12. იმ დღეს ზემოხსენებული სიტყვებით დაშალა ტიბერიუსმა კრება. მეორე დღეს, როცა ხალხი შეიკრიბა, ტიბერიუსი ტრიბუნაზე ავიდა და კვლავ შეეცადა დაეყოლიებინა ოქტავიუსი. ოქტავიუსმა უკან არ დაიხია. მაშინ ტიბერიუსმა წინადადება შეიტანა ოქტავიუსისათვის სახალხო ტრიბუნის რწმუნება ჩამოერთმიათ და ხალხს სთხოვა ახლავე ეყარათ კენჭი ამ წინადადებისათვის. რომის ოცდათხუთმეტი ტრიბიდან ჩვიდმეტმა ტრიბმა ოქტავიუსის წინააღმდეგ მისცა ხმა. საკმარისი იყო ამათ ერთი ტრიბი მიმატებოდა კიდევ, რომ ოქტავიუსს რიგით ადამიანად გახდომა მოუწევდა; მაგრამ ტიბერიუსმა კენჭისყრა შეაწყვეტინა და კვლავ დაუწყო თხოვნა-ვედრება ოქტავიუსს. მან ხალხის თვალწინ ხელი მოხვია მას, აკოცა და დაჟინებით სთხოვა: ნურც თავს შეირცხვენ და ნურც მე მაიძულებ გავხდე მიზეზი ასეთი მკაცრი და უკიდურესი ზომებისაო. ამ სიტყვებს ოქტავიუსი, როგორც ამბობენ, უკვე მორჩილად და გრძნობამორევით უსმენდა. იგი ატირდა თურმე და თვალებაცრემლებული დიდხანს მდუმარედ იდგა. მაგრამ როცა იქვე თავმოყრილ მდიდრებსა და შეძლებულებს გადახედა, როგორც ჩანს, შერცხვა თავისი საქციელის და იმის შიშით, ძლიერთა თვალში არ დამცირებულიყო, გადაწყვიტა მამაცურად შეგებებოდა ყოველგვარ საფრთხეს. „ტიბერიუსს, — თქვა მან, — შეუძლია მოიქცეს ისე, როგორც ნებავს!"

წინადადება ოქტავიუსის გადაყენების თაობაზე მიღებულ იქნა. ტიბერიუსმა უბრძანა ერთ ახატს (ტიბერიუსი თავის ახატებს ლიქტორებად იყენებდა), ოქტავიუსი ტრიბუნიდან ძირს ჩაეთრია. შეურაცხყოფითა და ძალდატანებით ოქტავიუსის ტრიბუნიდან ჩამოგდება მეტისმეტად სამწუხარო სანახაობა იყო. ხალხი მყისვე დაიძრა ოქტავიუსისაკენ, მაგრამ მდიდრები მოვარდნენ და ბრბო შეაკავეს. ოქტავი-

უსი ძლივს გადარჩა, იგი ხალხს ხელიდან გამოგლიჯეს. ოქტავიუსი ბრბოს გაექცა, მაგრამ მის ერთგულ მონას, რომელიც დამცველად ედგა წინ, თვალები გამოსთხარეს. ხალხის თავდასხმა ოქტავიუსზე ტიბერიუსის სურვილის წინააღმდეგ მოხდა. როცა ტიბერიუსმა დაინახა, რა ხდებოდა, სწრაფად ჩამოიჭრა ტრიბუნიდან იმ განზრახვით, რომ მღელვარება დაეშოშმინებინა.

13. ამის შემდეგ მიწის კანონი ძალაში შევიდა. მიწების გამოსაკვლევად და გასანაწილებლად აირჩიეს სამი კაცი: თვითონ ტიბერიუსი, მისი სიმამრი აპიუს კლავდიუსი და მისი ძმა გაიუს გრაკხუსი[24]. გაიუსი ამ დროს რომში არ იმყოფებოდა. იგი სციპიონის ხელმძღვანელობით ნუმანციაში ლაშქრობდა.

რაკი საქმე დაუბრკოლებლივ და მშვიდობიანად დასრულდა, ტიბერიუსმა სახალხო ტრიბუნის თანამდებობაზე ოქტავიუსის ნაცვლად დააყენა არა ვინმე წარჩინებულთაგანი, არამედ ვიღაც მუციუსი, თავისი კლიენტი. წარჩინებულები აღშფოთებით შეხვდნენ ასეთ საქციელს. მათ ეშინოდათ ტიბერიუსის აღზევებისა და ამიტომ ყოველნაირად ამცირებდნენ მას სენატში. ასე, მაგალითად, როცა ტიბერიუსმა სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე, წესის თანახმად, კარავი მოითხოვა, რაც მიწების გადანაწილების დროს სჭირდებოდა, მას უარი უთხრეს, მიუხედავად იმისა, რომ სხვები, გაცილებით უფრო მცირე საქმეთა აღსრულების დროს, ხშირად ღებულობდნენ ხოლმე ასეთ კარვებს. გარდა ამისა, ყოველდღიური ხარჯისათვის ტიბერიუსს დაუნიშნეს მხოლოდ ცხრა ობოლი[25]. ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა პუბლიუს ნაზიკამ და ამით თავი გამოიჩინა, როგორც ტიბერიუსის აშკარა და დაუძინებელმა მტერმა. პუბლიუს ნაზიკას შეძენილი ჰქონდა უამრავი სახელმწიფო მიწა და ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ ახლა ამ მიწებზე ხელი უნდა აეღო[26].

ხალხი უფრო და უფრო ცხარდებოდა მდიდართ წინააღმდეგ. სულ მალე ანაზდეულად მოკვდა ტიბერიუსის ერთი მეგობარი. მის გვამზე რაღაც საეჭვო ლაქები აღმოჩნდა. ხალხმა ყვირილი მორთო: ეს კაცი მოწამლულიაო, და მის დაკრძალვაზე შეიკრიბა. ცხედარი სამგლოვიარო სარეცელით გარეთ გამოასვენეს და ხალხი მიცვალებულის კოცონს გარს შემოეხვია. ეჭვი მოწამვლის შესახებ გამართლდა. საქმე ის იყო, — რომ გვამს კანი დაუსკდა და იქიდან დიდძალი მყრალი სითხე გადმოიღვარა, რამაც კოცონის ალი დააქრო. ხელახლა სცადეს

ცეცხლის გაჩაღება, მაგრამ ვერ მოახერხეს. ბოლოს სხვა ადგილზე გადაიტანეს კოცონი და აქაც დიდი წვალების ფასად დაანთეს იგი.

ხალხის უფრო მეტად აღგზნების მიზნით ტიბერიუსი ძაძებით შეიმოსა; მან თავისი ბავშვები ფორუმზე გამოიყვანა და ხალხს თხოვნით მიმართა: ეს ბავშვები და ამათი დედა შეიფარეთ, ვინაიდან მე აღარ მაქვს იმედი მტრებს გადავურჩეო.

14. პერგამონის მეფის ატალე ფილომეტორის სიკვდილის შემდეგ ევდემე პერგამონელმა რომში ჩამოიტანა ანდერძი, რომელშიაც მეფის მემკვიდრედ რომაელი ხალხი იყო აღიარებული. ტიბერიუსმა ხალხის გულის მოსაგებად მაშინვე წამოაყენა კანონი, რომ პერგამონის სამეფოს ხაზინა გადასცემოდა იმ მოქალაქეთ, რომლებმაც მიწები მიიღეს, რათა ამ ფულით მათ სამიწათმოქმედო მეურნეობის მოწყობაში შეშველებოდა. რაც შეეხება ატალეს სამეფოში შემავალ ქალაქებს, ამ საკითხზე ტიბერიუსმა განაცხადა: მათი ბედის განსჯა სენატს სრულებითაც არ ეხება და ეს საქმე მთლიანად ხალხს უნდა მივანდოთო.

ტიბერიუსის ასეთმა გამოსვლამ სენატის ღირსება მეტისმეტად შეურაცხყო. სენატის სხდომაზე სალაპარაკოდ წამომდგარმა პომპეუსმა[27] თქვა: „მე ტიბერიუსის მეზობლად ვცხოვრობ და ამიტომ ძალიან კარგად ვიცი, ევდემემ მას პერგამონის მეფეთა დიადემა და პორფირი გადასცა, როგორც ისეთ კაცს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს რომში უნდა გამეფდესო". კვინტუს მეტელუსმა[28] კი სასტიკად გაკიცხა იმის გამო, რომ იგი მამამისივით წესიერად არ იქცეოდა. „ყოველთვის, — უთხრა მეტელუსმა ტიბერიუსს, — როცა მამაშენი ცენზორად ყოფნისას ვახშმობიდან სახლში ბრუნდებოდა ხოლმე, მოქალაქენი შიშით აქრობდნენ თავ-თავიანთ ბინებში სინათლეს, რათა ცენზორს არ ჰგონებოდა, მეტისმეტ დიდ დროს ატარებენო მხიარულებასა და ღრეობაში. შენ კი თვითონვე გინათებენ ღამით გზას ყველაზე უფრო თავზე ხელაღებული და მაწანწალა მოქალაქენიო!".

ერთი ტიტე ანიუსი იყო, ყოვლად უზნეო და დავდაუჭერელი კაცი. მაგრამ კამათის დროს ისეთი კითხვებისა და პასუხების მიცემა იცოდა, რომ ამ მხრივ უძლეველი ვინმე ჩანდა. აი, ამ ტიტე ანიუსმა დავა დაუწყო ტიბერიუსს იმის დასამტკიცებლად, რომ ტიბერიუსმა პატივი აჰყარა ამხანაგს, რომელიც კანონთა ძალით უწმინდეს და ხელშეუხებელ პიროვნებად ითვლებოდა. ამან ბრბო აღაშფოთა. ტი-

ბერიუსი გარეთ გამოიჭრა, შეკრიბა ხალხი და ბრძანება გასცა ანიუსი მოეყვანათ. მას სურდა, ანიუსის წინააღმდეგ ბრალდებით გამოსულიყო. ანიუსმა, რომელიც ბევრად ჩამორჩებოდა ტიბერიუსს მჭევრმეტყველებაში და არც მასავით ცნობილი პიროვნება იყო, თავის საყვარელ ხერხს მიმართა. მან ტიბერიუსს სთხოვა: სანამ სიტყვით ვამოხვიდოდე, ერთ პატარა კითხვაზე მიპასუხეო. ტიბერიუსი დათანხმდა: მკითხე, რა ვინდაო? ღრმა დუმილი ჩამოვარდა. მაშინ ანიუსმა ასე მიმართა ტიბერიუსს: „დავუშვათ, რომ შენ ჩემი პატივის აყრა და შეურაცხყოფა მოინდომე, მე კი დახმარებისათვის ერთ-ერთ შენს ამხანაგს მივმართე; იმან რომ ჩემი შველა განიზრახოს და შენ განრისხდე, წაართმევ თუ არა მას თანამდებობასო?"

ამბობენ, ამ შეკითხვამ ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ტიბერიუსი, რომ თავისი შეუდარებელი მჭევრმეტყველებისა და იშვიათი მამაცობის მიუხედავად ამჯერად დუმილი არჩია.

15. ერთი სიტყვით, მან მაშინ სახალხო კრება დაშალა. ტიბერიუსმა იგრძნო, მის პოლიტიკურ ღონისძიებათა შორის ოქტავიუსის გადაყენება იყო ის ნაბიჯი, რომელმაც შეაძრწუნა არა მარტო დიდებულნი, არამედ ხალხიც. ისე ჩანდა, თითქოს ოქტავიუსის გადაყენებით სახალხო ტრიბუნების დიდი და ბრწყინვალე დირსება შეილახა და გაითელა. აი, ამიტომ ტიბერიუსმა ხალხს გრძელი სიტყვით მიმართა. ამ სიტყვიდან ზოგიერთი დასკვნის მოტანა, მე მგონი, უადგილო არ იქნება, ვინაიდან ეს ნათლად წარმოგვიდგენს ტიბერიუსის გონივრულობასა და მისი სიტყვების დამაჯერებელ ძალას.

„სახალხო ტრიბუნი, — თქვა ტიბერიუსმა, — უწმინდესი და ხელშეუხებელი პიროვნებაა იმიტომ, რომ ის ხალხისთვის სწირავს თავს და ხალხის კეთილდღეობას ემსახურება. მაგრამ თუ ტრიბუნი ხალხს ზურგს შეაქცევს, უსამართლოდ მოექცევა, შეუსუსტებს ძალას და კენჭისყრის უფლებას აღუკვეთავს, მაშინ იგი თვითონვე ხსნის თავისთავს ამ თანამდებობიდან, რამეთუ არ ასრულებს მოვალეობას, რისთვისაც ტრიბუნის რწმენება მიენიჭა. ტრიბუნმა რომ კაპიტოლიუმი დაანგრიოს, მან რომ ჩვენი იარაღის საწყობები გადაწვას, ესეც კი შეიძლება ასატანად ჩაითვალოს; ოღონდ ასეთი საქციელის ჩამდენი ტრიბუნი ცუდი ტრიბუნის სახელს დაიმსახურებს. მაგრამ ის, ვინც ხალხის ძლიერებას ხელყოფს, სახალხო ტრიბუნი აღარ არის. განა საშინელება არაა, რომ ტრიბუნს საკუთარი ნება-სურვილით შე-

უძლია საპყრობილეში წაიყვანოს კონსული მაშინ, როცა ხალხს ნება არა აქვს წაართვას ტრიბუნს ძალაუფლება, რომელსაც ბოროტად იყენებს იმის მიმართ, ვინც მას ეს პატივი მიანიჭა? კონსულსაც და ტრიბუნსაც ხომ ორივეს ხალხი ირჩევს! მეფის ხელისუფლება ყველა სახელმწიფო თანამდებობას შეიცავს და ამასთან ერთად უზენაესი ღვთისმსახურების შემწეობით ღვთაებრიობას აღწევს. მიუხედავად ამისა რომმა გააძევა ტარკვინიუსი [29], ვინაიდან უსამართლოდ იქცეოდა; ამგვარად, ერთი კაცის ქედმაღლობის მიზეზით დაემხო თვით რომის დამფუძნებელი მამაპაპეული ხელისუფლება. განა რომში მოიპოვება ვინმე იმაზე წმინდანი და თაყვანსაცემი, როგორიც დაუქრობელი ცეცხლის მეთვალყურე ვესტას ქურუმი ქალები არიან? [30] მაგრამ თუ რომელიმე მათგანი ცოდვას ჩაიდენს, მას ცოცხლად მარხავენ მიწაში: ღმერთების წინაშე შემცოდველი ქურუმი ქალები მაშინვე კარგავენ ღმერთების მიერვე ბოძებულ შეუვალობის უფლებას. აი, ამიტომ სრულიად არაა დასაშვები ხალხის შეურაცხმყოფელმა ტრიბუნმა ხალხისაგან მინიჭებული ხელშეუხებლობა შეინარჩუნოს; ვინაიდან იგი თვითონვე აცამტვერებს იმ ძალას, რომელმაც იგი აღაზევა. თუკი სამართლიანად ჩაითვალა ტრიბუნის ტრიბუნობა ტრიბთა უმრავლესობის მიერ ხმის მიცემის საფუძველზე, მაშინ რატომ არ უნდა ჩაითვალოს უფრო სამართლიანად თანამდებობიდან მისი გადაყენება იმ შემთხვევაში, როცა ყველა ტრიბმა მის საწინააღმდეგოდ მისცა ხმა? ღმერთებისადმი მიძღვნილ შეწირულებებზე უწმინდესი და ხელშეუხებელი არა არის რა; მაგრამ ხალხისათვის არავის აუკრძალავს ასეთი საგნებით სარგებლობა, მათი ხელის ხლება და სურვილის მიხედვით მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა. ასევე სრული უფლება აქვს ხალხს, შეწირულების მსგავსად, ტრიბუნის თანამდებობა ერთი პიროვნებიდან მეორეზე გადაიტანოს. ასე რომ ტრიბუნობა სრულებითაც არ არის ხელშეუვალი და აღუკვეთელი თანამდებობა. ეს მრავალი მაგალითით მტკიცდება. ტრიბუნის რწმენებით შემოსილი პიროვნებანი საკმაოდ ხშირად თვითონვე იღებდნენ ხელს ტრიბუნობაზე და განთავისუფლებას მოითხოვდნენ".

16. აი, ასეთი იყო ტიბერიუსის მიერ თავის გასამართლებლად წამოყენებული მთავარი დებულებები.

ტიბერიუსის მეგობრები, რაკი ხედავდნენ, მტრები ირაზმებოდნენ და ტიბერიუსს ემუქრებოდნენ, ფიქრობდნენ: საჭიროა ტიბერიუსმა

მომავალი წლისათვის კვლავ მიიღოს ტრიბუნობაო. მაშინ იგი შეეცადა ისევ მოეგო ხალხის გული ახალი კანონებით. ამ კანონთა ძალით მან შეამცირა სამხედრო სამსახურის ვადა, დაადგინა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება სახალხო კრებაზე, ხოლო იმ სენატორთა რიცხვს, რომლებიც მანამდე დამოუკიდებლად აწარმოებდნენ სასამართლო საქმეებს, თანაბარი რაოდენობის მოსამართლენი დაუმატა მხედართა წოდებიდან. ერთი სიტყვით, ტიბერიუსი ყოველგვარი ხერხებით ცდილობდა დაეკანონებინა სენატის ძლიერება; ამას იგი აკეთებდა არა იმდენად სამართლიანი და სასარგებლო მოსაზრებით, რამდენადაც პირადი რისხვისა და ჯიუტობის მიზეზით.

ახალი კანონების გატარებისათვის საჭირო კენჭისყრის დროს ტიბერიუსის მომხრეებმა იგრძნეს, მოწინააღმდეგენი იმარჯვებდნენ (ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ხმის მისაცემად ხალხის დიდი ნაწილი არ გამოცხადებულა). მაშინ ტიბერიუსმა და მისმა მეგობრებმა სხვა ტრიბუნებს ლანძღვა-გინება დაუწყეს და ამით დრო მოიგეს. მერმე სახალხო კრება დაშალეს და მეორე დღისათვის გადადეს. ტიბერიუსი დამწუხრებული ჩამოვიდა ტრიბუნიდან ფორუმზე და ცრემლმორეულმა ვედრებით მიმართა ხალხს. „მეო, — ამბობდა იგი,— მეშინია, მტრები ამაღამ სახლში არ შემომეჭრან და არ მომკლანო". ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა ხალხზე, ტიბერიუსის სახლის წინ იმ ღამეს მრავალი მდაბიო შეიკრიბა. ისინი მცველებად დაუდგნენ ტიბერიუსს და ღამე გაუთიეს.

17. მეორე დღეს დილით სამისნო ფრინველთა გამგებელმა გალიით ქათმები გამოიყვანა გარეთ და საკენკი დაუყარა. მიუხედავად იმისა, რომ ღონივრად შეანჯღრია გალია, ერთის გარდა ქათმები გარეთ არ გამოვიდნენ, მაგრამ საკენკს ამ ქათამმაც არ ახლო პირი. მან მარცხენა ფრთა შეარხია მხოლოდ, მერმე ფეხი გამოსწია წინ და ისევ გალიაში შებრუნდა. ამ ავმა ნიშანმა ტიბერიუსს ადრე ნანახი უბედურების მომასწავებელი ნიშანი მოაგონა: ტიბერიუსს ერთი შესანიშნავი და ძვირფასად შემკული ხაომარი მუზარადი ჰქონდა. ამ მუზარადში ერთხელ გველები ჩამძვრალიყვნენ, შიგ კვერცხები დაედოთ და წიწილები გამოესხათ. სამისნო ქათმების ქცევით გამოწვეული შეშფოთება ამ მოგონებამ კიდევ უფრო გაუძლიერა ტიბერიუსს; მაგრამ როგორც კი გაიგო, კაპიტოლიუმზე უკვე შეიკრიბა

ხალხიო, მაინც გამოვიდა სახლიდან იქ ასასვლელად. სახლიდან გამოსვლისას ისე მაგრად წამოკრა ფეხი ზღურბლს, რომ ცერზე ფრჩხილი მოსძვრა და სისხლმა ფეხსაცმელში გამოჟონა. მცირეოდენი მანძილის გავლის შემდეგ ტიბერიუსმა ერთი სახლის სახურავზე, მარცხენა მხრიდან, დაინახა ყვავები, რომლებიც ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. კაპიტოლიუმისაკენ მიმავალ ტიბერიუსს, რა თქმა უნდა, მთელი ამალა ახლდა თან, მაგრამ ერთ-ერთი ყვავის მიერ ჩამოგდებული ქვა მაინცდამაინც მის ფერხთა წინ დავარდა. ამ შემთხვევამ ტიბერიუსის ყველაზე უმამაცესი მომხრეებიც კი საგონებელში ჩააგდო. მაგრამ კუმელმა ბლოსიუსმა, რომელიც ტიბერიუსის ამალაში იმყოფებოდა, თქვა: „დიდი სირცხვილი და თავლაფის დასხმა იქნება, თუ ტიბერიუსს, გრაკხუსის ძეს, სციპიონ აფრიკელის შვილიშვილსა და რომაელი ხალხის წინამძღოლს ყვავის შეეშინდება და თანამოქალაქეთა მოწოდებას არ გამოეხმაურება; მართალია, მტრები ამ სილაჩრეს სიცილის საგნად არ გაიხდიან, მაგრამ მყისვე დაიწყებენ ხალხში ყვირილს: ტიბერიუსი თვითნებობს და ტირანის მსგავსად იქცევაო“.

სწორედ ამ დროს ტიბერიუსთან მეგობრების მიერ კაპიტოლიუმიდან გამოგზავნილმა შიკრიკებმა მოირბინეს და მათი შემონათვალი მოახსენეს: სწრაფად ამოდი, აქ ყველაფერი რიგზეაო. პირველად მართლაცდა ყველაფერი წარმატებით მიმდინარეობდა ტიბერიუსისათვის. დაინახეს თუ არა იგი, მეგობრები ყიჟინით მიეგებნენ; ხოლო როცა ტიბერიუსი კაპიტოლიუმზე ავიდა, სიხარულით მიიღეს და მჭიდროდ შემოერტყნენ გარს, რათა უცხო ვინმეს მასთან ახლოს მისვლა არ შეძლებოდა.

18. მუციუსმა კვლავ დაიწყო ტრიბების მიხედვით ხმების შეგროვება, მაგრამ იმას, რასაც უწინ ადვილად აკეთებდა, ახლა ვერაფერი მოუხერხა. ამის მიზეზი ის იყო, რომ გვიან მოსულებმა საშინელი ალიაქოთი ატეხეს. ისინი ძალით ცდილობდნენ წინ გასულიყვნენ, სხვები კი ხელს უშლიდნენ და ამან დიდი არეულობა გამოიწვია.

ამ დროს სენატორი ფულვიუს ფლაკუსი[31] ერთ საჩინო ადგილზე შედგა. მაგრამ რაკი ლაპარაკით ვერაფერს გახდებოდა და ხმას ვერავის მიაწვდენდა, კაპიტოლიუმზე მყოფთ ხელის ქნევით ანიშნა: ტიბერიუსს პირადად მინდა რაღაც ვუთხრაო. ტიბერიუსმა მაშინვე უბრძანა ხალხს გაწევ-გამოწეულიყვნენ და ფლაკუსისათვის გზა მიეცათ. ფლაკუსი დიდი გაჭირვებით ავიდა კაპიტოლიუმზე, მიუახლოვ-

და ტიბერიუსს და აუწყა: „სენატის სხდომაზე, როცა კონსული ვერ დაიყოლიეს, მდიდრებმა გადაწყვიტეს თვითონვე მოგკლან; ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მზად ჰყავთ მრავალი შეიარაღებული მონა და მეგობარი“.

19. როცა ტიბერიუსმა ფლაკუსის ნათქვამი თავის მომხრეებს გადასცა, ამათ მყისვე შემოირტყეს ქამრები ტოგებზე, დალეწეს ის შუბები, რომლებსაც ლიქტორები ბრბოს გასარეკად იყენებდნენ და თავდამსხმელთაგან თავის დასაცავად ამ შუბთა ნამტვრევებით შეიარაღდნენ. უკანა რიგებში მყოფი ხალხი, რომელმაც არ იცოდა, თუ რა ხდებოდა წინ, ჰკვირობდა და კითხულობდა: რაშია საქმეო? ტიბერიუსს უკანა რიგებამდე ხმის მიწვდენა არ შეეძლო, ამიტომ მან ხელი თავზე მიიდო და ამით ხალხს ანიშნა: განსაცდელი მელისო. როცა მისმა მტრებმა ხელის ასეთი მოძრაობა დაინახეს, მაშინვე გაიქცნენ სენატში და სხდომას აუწყეს: ტიბერიუსმა მეფის გვირგვინი მოითხოვა, რამეთუ ხალხის წინაშე თავზე ხელი დაიდოო. ამ ამბავმა ყველა შეაშფოთა. ნაზიკამ კონსულს თხოვნა დაუწყო: უშველე რომს და ტირანი მოსპეო. კონსულმა მას აუღელვებლად უპასუხა: „ძალადობით ვერ ვიმოქმედებ და ვერც ერთ მოქალაქეს ვერ მოვაკვლევინებ გაუსამართლებლად. მაგრამ თუ ხალხი ტიბერიუსის მხრივ შეგონებით ან ძალდატანებით კანონთა საწინააღმდეგო რასმე დაუჭერს მხარს და ხმას მისცემს, ასეთ გადაწყვეტილებას მე არამც და არამც არ დავამტკიცებ“. კონსულის ასეთ პასუხზე ნაზიკა ადგილიდან წამოიჭრა და შეჰყვირა: „რაკი კონსული რესპუბლიკას ღალატობს, წინადადებას გაძლევთ, ვისაც ჩვენი კანონების გადარჩენა გინდათ, მე გამომყევითო!“ თქვა თუ არა ეს, ნაზიკამ ტოგის ყური თავზე წამოიგდო და პირდაპირ კაპიტოლიუმისაკენ გაემართა. მას სხვებიც მიჰყვნენ. ნაზიკას გამყოლებმა მარცხენა მკლავზე ტოგები დაიხვიეს, მარჯვენათი კი შემხვდურებს გზიდან იშორიებდნენ. ისეთ წარჩინებულ ვაჟკაცებს, როგორც ნაზიკა და მისი მომხრენი იყვნენ, წინ ვერავინ უდგებოდა, ყველანი გზას უთმობდნენ, გარბოდნენ და ერთმანეთს აწყდებოდნენ.

ნაზიკასი და მის საშველად წამოსულ სენატორთა მომხრენი სახლებიდან წამოღებული კეტებითა და ჭოკებით იყვნენ შეიარაღებულნი. თვითონ სენატორებმა კი დამფრთხალი ბრბოს მიერ დამტვრეული სკამების ნამსხვრევებს სტაცეს ხელი და ყველანი ტიბერიუსისაკენ გაეშურნენ. გზადაგზა სცემდნენ მათ, ვინც ტიბერიუსის დასაცა-



https://www.facebook.com/groups/ELLIB/

ვად თავს იდებდა. ზოგიერთი მათგანი მოკლეს, დანარჩენები კი უკუაქციეს. გაიქცა ტიბერიუსიც, მაგრამ ვიღაცამ ტოგაზე სტაცა ხელი. ტიბერიუსმა ტოგა მყისვე შეატოვა მტერს და ტუნიკის ამარა გაიქცა. მაგრამ ახლა ფეხი წამოსდო რაღაცას და მის წინ დაცემულთა გროვაზე დავარდა. როცა წამოდგომა დაამირა, ერთ-ერთმა მისმა მოწინააღმდეგე ტრიბუნმა პუბლიუს სატურეიუსმა მთელი ხალხის თვალწინ სკამის ფეხი დაჰკრა თავში. ეს იყო პირველი დარტყმა. მეორე დარტყმას თავისად იკვეხნიდა ლუციუს რუფუსი და ისე ამაყობდა ამით, როგორც დიდი საგმირო საქმით. ტიბერიუსის მომხრეთაგან სამასზე მეტი კაცი მოკლეს მხოლოდ კეტებითა და ქვებით. მახვილით აქ არც ერთი კაცი არ მოუკლავთ.

20. მემატიანენი გადმოგვცემენ, მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ ეს პირველი განხეთქილება იყო რომში, რომელიც მოქალაქეთა სისხლის ღვრით და მკვლელობით დასრულდაო. ყველა სხვა ამბოხება, რა ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო ის და რა მნიშვნელოვანი მიზეზებიც არ უნდა ჰქონოდა, ყოველთვის მშვიდობიანად მთავრდებოდა მოწინააღმდეგე მხარეთა მორიგების საფუძველზე: წარჩინებულთ ხალხის ეშინოდათ და დათმობაზე მიდიოდნენ, ხოლო ხალხი პატივს სცემდა სენატს და თავის მხრივ ასევე თმობდა.

ჩემი აზრით, ტიბერიუსისათვის რომ მაშინ თხოვნით მიემართათ და შეგონებით ემოქმედათ მასზე, მისი დაყოლიება ძნელი როდი იქნებოდა. კიდევ უფრო ადვილად წავიდოდა იგი დათმობაზე, თავდამსხმელთ რომ სისხლის ღვრისა და მკვლელობისაგან თავი შეეკავებინათ. ტიბერიუსს ხომ სამი ათას კაცზე მეტი მომხრე არა ჰყავდა იქ!

როგორც ჩანს, ტიბერიუსის წინააღმდეგ ამხედრების საფუძველი უფრო მეტად მდიდართა რისხვა და სიძულვილი იყო და არა ის ნაირნაირი საბაბი, რასაც წარჩინებულნი იმიზეზებდნენ. ამას აშკარად ამტკიცებს, ის, რომ ტიბერიუსის გვამს საშინლად უდიერად და უკანონოდ მოექცნენ. მისი ძმის თხოვნა, ცხედარი წაეღო და ღამით დაემარხა, უარყვეს. ტიბერიუსის გვამი სხვა მოკლულთა გვამებთან ერთად მდინარეში გადააგდეს.

საქმე ამით როდი დამთავრდა. ტიბერიუსის მეგობართაგან ზოგი გაუსამართლებლად გააძევეს რომიდან, ზოგი კი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. მოკლულთა შორის იყო რიტორი დიოფანე. ვინმე

გაიუს ვილიუსი, ტიბერიუსის ერთ-ერთი მომხრე, გველებით სავსე კასრში ჩააგდეს და ასე გამოასალმეს წუთისოფელს.

კუმელი ბლოსიუსი კონსულებთან მიიყვანეს და აქ მომხდარი ამბების გარშემო დაკითხვა დაუწყეს. ბლოსიუსმა აღიარა: ყველაფერს ტიბერიუსის ბრძანების თანახმად ვაკეთებდიო. ნაზიკამ ჰკითხა:

— რას იზამდი, ტიბერიუსს რომ შენთვის კაპიტოლიუმის გადაწვა ებრძანებინა?

— ასეთ ბრძანებას, — მიუგო ბლოსიუსმა, — ტიბერიუსი არასოდეს არ მომცემდა.

მრავალმა სენატორმა დაჟინებით მოითხოვა ბლოსიუსისაგან ნაზიკას კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა. მაშინ ბლოსიუსმა განაცხადა. „თუკი ტიბერიუსი ამას მიბძანებდა, მე ხალისით დავემორჩილებოდი და შევასრულებდი დავალებას, ვინაიდან ტიბერიუსი ისეთ ბრძანებას არ მომცემდა, ხალხისათვის სასარგებლო რომ არ ყოფილიყო!“ ამ პასუხით მაშინ ბლოსიუსმა თავი დაიხსნა განსაცდელისაგან, მერმე კი არისტონიკესთან წავიდა აზიაში. როცა არისტონიკეს საქმეები უკუღმა წავიდა, ბლოსიუსმა თავი მოიკლა [32].

21. სენატმა მომხდარი ამბების გამო ხალხის დაშოშმინება მოინდომა, მიწების გადამიჯვნა აღარავისთვის დაუშლია და ნება მისცა ამ საქმისათვის ტიბერიუსის ნაცვლად ახალი რწმუნებული აერჩიათ. კენჭისყრის საფუძველზე ხალხმა აირჩია პუბლიუს კრასუსი, გრაკხუსების მოყვარე კაცი; მისი ქალიშვილი ლიციინია ცოლად ჰყავდა გაიუს გრაკხუსს. სხვათა შორის, კორნელიუს ნეპოტი [33] ამბობს, გაიუსი კრასუსის ქალიშვილზე კი არა, ლუზიტანებზე გამარჯვებული და ტრიუმფგადახდილი ბრუტუსის ასულზე იყო დაქორწინებულიო; მაგრამ უმრავლესობა მაინც ისე გადმოგვცემს, როგორც ჩვენ ვწერთ.

ასე იყო თუ ისე, ტიბერიუსის სიკვდილს ხალხი მაინც მეტისმეტად განიცდიდა. აშკარა იყო, იგი შურისძიებისათვის ხელსაყრელ დროს ელოდებოდა. ნაზიკას ხალხი გასამართლებით ემუქრებოდა. სენატმა, რომელსაც ეს ამბავი აშინებდა, საჭიროების გარეშე დაადგინა ნაზიკა აზიაში გაეგზავნათ. საქმე ის იყო, რომ ხალხი ყოველი შეხვედრის დროს აშკარად ამჟღავნებდა თავის ზიზღს ნაზიკას მიმართ. აღელვებული მოქალაქენი, სადაც კი წააწყდებოდნენ მას, უყვიროდ-

ნენ, რომ ის ღმერთების მიერ შეჩვენებული ტირანი და ღვთისმკრეხელია; რომ მან წმინდანი კაცის სიკვდილით შებილწა ყველაზე უწმინდესი და ყველაზე უფრო სათაყვანო ტაძარი რომის ტაძართა შორის. ნაზიკა, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც უზენაეს ქურუმს, უდიდეს მსხვერპლთშეწირვათა გამგებლობა ჰქონდა დაკისრებული, იძულებული გახდა იტალიიდან წასულიყო. იგი დამწუხრებული და შერცხვენილი ხეტიალობდა უცხო ქვეყნებში და მალე პერგამონის მახლობლად გარდაიცვალა.

საკვირველი არაა, რომ ხალხს ნაზიკა ასე ეზიზღებოდა. ის კი არა, სციპიონ აფრიკელმა, რომელიც სრულიად დამსახურებულად სარგებლობდა ხალხის უსაზღვრო სიყვარულით, რაც სხვას არ ღირსებია, კინაღამ არ დაკარგა ხალხის ასეთი განწყობა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, როცა ნუმანციაში ტიბერიუსის სიკვდილი შეიტყო, უმალ ჰომეროსის სიტყვები წამოიძახა:

„დაე ასე ჩაძაღლდეს იგი, ვინც ამის მსგავსს ჩაიდენს საქმეს!“ [34]

მცირე ხნის შემდეგ, როცა გაიუს გრაკხუსმა და ფულვიუსმა ჰკითხეს: რას ფიქრობ ტიბერიუსის სიკვდილზეო, მან უპასუხა, ტიბერიუსის პოლიტიკური ნაბიჯები არ მომწონდაო. ამიერიდან ხალხი ყოველთვის აწყვეტინებდა ხოლმე სიტყვას სციპიონს ყრილობაზე ლაპარაკის დროს და იმას აკეთებდა, რასაც უწინ არ კადრულობდა. თვითონ სციპიონი კი იქამდე მივიდა, რომ ხალხის ლანძღვა-გინებას მიჰყო ხელი. ეს ამბავი დაწვრილებით გვაქვს აღწერილი სციპიონის ცხოვრებაში [35].

# გაიუს გრაკხუსი

1. ძმის სიკვდილის შემდეგ გაიუს გრაკხუსი მტრების შიშით თუ იმიტომ, რომ მათ მიმართ ხალხის სიძულვილი გაეღვიძებინა, ერთხანს ფორუმს თავს არიდებდა და დროს მშვიდად ატარებდა სახლში. იგი ისე იქცეოდა, თითქოს არაფერს აკეთებდა და თითქოს მომავალშიც ასევე უმოქმედოდ აპირებდა ცხოვრებას. ამის გამო ხმები დადიოდა: გაიუსი ტიბერიუსის პოლიტიკურ მოღვაწეობას გმობს და ოდნავადაც არ ეშხრობა მასო. გაიუსი იმხანად მეტისმეტად ახალგაზრდა გახლდათ. იგი ცხრა წლით უმცროსი იყო ძმაზე! ტიბერიუსი კი ისე გამოესალმა წუთისოფელს, ოცდაათ წელსაც ვერ მიაღწია.

როცა გავიდა დრო და თანდათანობით გამომჟღავნდა გაიუსის ხასიათი, აშკარა გახდა, გაიუსისათვის უცხო რამ იყო უქნარობა და განცხრომა, ღრეობა და ანგარება: იგი მჭევრმეტყველებაში იწაფებოდა და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსასვლელად, ასე ვთქვათ, ფრთებს ისწორებდა. ცხადი იყო, გაიუსი ცხოვრებას უმოქმედობაში არ გაატარებდა.

მისი ერთ-ერთი მეგობარი, ვინმე ვეტიუსი სამართალში მისცეს. მისი დაცვა გაიუსმა იკისრა და ისეთი სიტყვა წარმოთქვა, ხალხი სიამოვნებისაგან უსაზღვრო აღტაცებაში მოვიდა. ამით გაიუსმა დაამტკიცა, რომ სხვა ორატორები მასთან შედარებით ბალღები იყვნენ [1].

გაიუსის ასეთი წარმატების გამო წარჩინებულნი ისევ შიშს მიეცნენ. ისინი განუწყვეტლივ ეთათბირებოდნენ ერთმანეთს, როგორმე ხელი შეეშალათ გაიუსისათვის და მისთვის სახალხო ტრიბუნად გახდომის საშუალება არ მიეცათ.

მოხდა ისე, რომ მცირე ხნის შემდეგ გაიუსი კვესტორად აირჩიეს და იგი სარდინიაში გაემგზავრა კონსულ ორესტესთან ერთად [2]. ამ

ამბავმა მტრები ძალიან გაახარა, თვითონ გაიუსი კი მაინცდამაინც არ შეწუხებულა: იგი ჭეშმარიტი მეომარი იყო და ლაშქრად წასვლა მჭევრმეტყველებაზე ნაკლებ როდი ეხერხებოდა. თანაც საქმე ის იყო, რომ პოლიტიკურ ასპარეზსა და ტრიბუნას ჯერხნობით შიშის თვალით შესცქეროდა და, რაკი არ შეეძლო უკუეგდო ხალხისა და მეგობრების მოწოდება — ტრიბუნი გამხდარიყო, სამშობლოდან გამგზავრება კიდევაც გაუხარდა. მიუხედავად ამისა, მეტისმეტად გავრცელდა მოსაზრება, რომ გაიუსი შეუპოვარი დემაგოგი იყო და ტიბერიუსზე უფრო მეტად ცდილობდა ბრბოში სახელის მოპოვებას. ამ მოსაზრებას ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს. როგორც ჩანს, სახელმწიფო საქმეებში გაიუსის გარევის მიზეზი უფრო მეტად იძულება იყო და არა საკუთარი სურვილი. ორატორი ციცერონი გადმოგვცემს: გაიუსს, რომელიც ყოველგვარ თანამდებობას გაურბოდა და სიმშვიდეში ცხოვრებას არჩევდა, ერთხელ სიზმარში ძმა გამოეცხადა და ასე უთხრა: „რაღას აყოვნებ, გაიუს? უკან დაბრუნების გზა არ არის; ჩვენ ორივეს ერთნაირი სიცოცხლე და ხალხის კეთილდღეობის გულისათვის ერთნაირი სიკვდილი გვიწერიაო!“ [3]

2. სარდინიაში ყოფნის ჟამს გაიუსმა კეთილშობილება და ვაჟკაცობა მრავალი მაგალითით დაამტკიცა. იგი დიდად გამოირჩეოდა სხვა ახალგაზრდებს შორის მამაცობით, სამართლიანობით, რასაც ხელქვეითებთან ურთიერთობაში იჩენდა, ბოლოს იმით, რომ საკუთარ სარდალს დიდი მოკრძალებით და პატივისცემით ეპყრობოდა. რაც შეეხება გონივრულობას, უბრალოებასა და შრომისმოყვარეობას, გაიუსი ამ მხრივ ეფროსებსაც კი აღემატებოდა.

იმ წელიწადს სარდინიაში მკაცრი და ჯანმრთელობისათვის პირდაპირ დამღუპველი ზამთარი დადგა. კონსულმა ორესტემ სარდინიის ქალაქებს ჯარისკაცებისათვის თბილი ტანსაცმელი მოსთხოვა, მაგრამ ამ ქალაქებმა რომში ელჩები აფრინეს და სენატს სთხოვეს; ასეთი ხარკისაგან გავვათავისუფლეთო. სენატმა თხოვნა შეიწყნარა და კონსულს დაავალა სხვაგან ეშოვნა ტანსაცმელი ჯარისკაცებისათვის. კონსულმა ეს ვერაფრით ვერ მოახერხა, ჯარისკაცები კი სიცივით იყინებოდნენ. მაშინ გაიუსმა სათითაოდ ჩამოიარა სარდინიის ქალაქები და ისეთი ზეგავლენა მოახდინა მათზე, რომ ისინი მაშინვე დაეხმარნენ რომაელებს და ჯარისკაცებს ტანსაცმელი გაუგზავნეს.

გაიუსის ასეთი მოქმედების ამბავი რომ რომს ჩაიტანეს, იქ ეს დემა-

გოგიის დასაწყისად ჩათვალეს. სენატი მეტისმეტად შეშფოთდა. სწორედ ამ დროს ლიბიიდან რომში ჩამოვიდნენ მეფე მიციფსას[4] გამოგზავნილი ელჩები, რომლებმაც განაცხადეს: ჩვენმა მეფემ გაიუს გრაკხუსის ხათრით კონსულ ორესტეს სარდინიაში პურის მარაგი გაუგზავნაო. სენატორები ამაზე მთლად გაცოფდნენ და მიციფსას ელჩები რომიდან გარეკეს. სენატორებმა ამის შემდეგ დადგენილება გამოიტანეს სარდინიაში მყოფი ჯარი ახალი ჯარით შეეცვალათ; კონსულ ორესტეს წინადადება ეძლეოდა ადგილზევე დარჩენილიყო. მათი აზრით, რაკიდა უფროსი რჩებოდა, თავის მოვალეობას გაიუსიც იქვე გააგრძელებდა.

მივიდა თუ არა ამ დადგენილების ამბავი გაიუსის ყურამდე, იგი გაჯავრდა, ჩაჯდა ხომალდში და ყველასათვის მოულოდნელად რომში გაჩნდა. ასეთი საქციელი გაიუსს ბრალდებად შეურაცხეს მტრებმა და ხალხსაც უცნაურად მოეჩვენა ის, რომ კვესტორად მყოფი კაცი თავის უფროსზე ადრე სტოვებდა თანამდებობას.

გაიუსი სამართალში მისცეს. მას ცენზორთა სასამართლო ასამართლებდა. აქ მან სიტყვა მოითხოვა და ისე შეუცვალა მსმენელთ გუნება-განწყობილება, რომ გაამართლეს და უსამართლოდ დაჩაგრულ კაცად ჩათვალეს. მთელი სასამართლო ამ აზრით დაიშალა. გაიუსმა თავის სიტყვაში შემდეგი თქვა: „მე მონაწილეობა მივიღე თორმეტ ლაშქრობაში, მაშინ როცა სხვებმა, კანონის თანახმად, მხოლოდ ათჯერ ილაშქრეს. მე კვესტორად ვახლდი კონსულ ორესტეს მთელი სამი წლის მანძილზე, მაშინ როცა კანონი უფლებას მაძლევდა ერთი წლის სამსახურის შემდეგ წამოვსულიყავი სარდინიიდან. ყველა მოლაშქრეთაგან მხოლოდ მე წავიღე ფულით სავსე ქისა და უკან ცარიელი ჩამოვიტანე, მაშინ როცა სხვებმა შინიდან წამოღებული ღვინით სავსე ამფორები გამოცალეს და უკან ოქროთი და ვერცხლით სავსე ჩამოიტანეს“.

3. ამის შემდეგ გაიუსი კვლავ რამდენჯერმე მისცეს სამართალში. ახლა ბრალად სდებდნენ სხვა დანაშაულს. ასე, მაგალითად, აბრალებდნენ მოკავშირეთა აჯანყებას და ფრეგელის შეთქმულებაში მონაწილეობას[5]. მაგრამ გაიუსმა ყოველგვარი ეჭვებისაგან დაიხსნა თავი, დაამტკიცა თავისი უდანაშაულობა და მყისვე დაიწყო სწრაფვა სახალხო ტრიბუნის თანამდებობისაკენ. მთელი წარჩინებულობა, როგორც ერთი კაცი, ამის წინააღმდეგ დაირაზმა; სამაგიეროდ არჩევნებში

გაიუსის დასახმარებლად იმდენი ხალხი მოაწყდა რომს იტალიიდან, რომ ძალიან ბევრმა თავშესაფარი ვერ იშოვა ქალაქში. არჩევნებში მონაწილეთა ასეთი სიმრავლე ფორუმმა ვერ დაიტია. ამიტომ ხმის მიცემა სახლის სახურავებიდან და ბანებიდანაც კი ხდებოდა.

წარჩინებულებმა იმით დაძლიეს ხალხი და იმით შეაკვეცეს ფრთა გაიუსის იმედებს, რომ გაიუსი საკუთარი მოლოდინის წინააღმდეგ აირჩიეს არა პირველ, არამედ მეოთხე ტრიბუნად[6]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიიღო თუ არა თანამდებობა, მაშინვე პირველი ადგილი დაიკავა. ეს იმიტომ, რომ მის მეჭევრმეტყველებას ისეთი ძალა ჰქონდა, როგორიც არავისას. დასტიროდა რა თავის ძმას, გაიუსს ეს საშუალებას აძლევდა ფრიად თამამად და თავისუფლად ელაპარაკა. როგორც კი ჩაიგდებდა ხელში რაიმე საბაბს, გაიუსი მყისვე აკონებდა ხალხს ტიბერიუსის თავზე დატრიალებულ შემაძრწუნებელ ამბავს და ამ მოგონებას წარსულის მაგალითებს ურთავდა. ასე, მაგალითად, იგი ახსენებდა ხალხს, თუ როგორ გამოუცხადეს ომი რომაელთა წინაპრებმა ფალისკებს[7] იმიტომ, რომ ფალისკებმა მათი სახალხო ტრიბუნი — გინმე გენუციუსი გალანძღეს; თუ როგორ მიუსაჯეს სიკვდილი გაიუს ვეტურიუსს მხოლოდ იმისათვის, რომ მან ერთადერთმა არ დაუთმო გზა ფორუმზე მომავალ სახალხო ტრიბუნს. „ტიბერიუსი კი, — ეუბნებოდა გაიუსი ხალხს, — თქვენ თვალწინ კეტებით მოკლეს მდიდრებმა და მის გვამს გულმემზარავად მიათრევდნენ კაპიტოლიუმიდან შუაგულ ქალაქამდე მდინარეში გადასაგდებად. ტიბერიუსის მეგობრები, რომლებიც შეპყრობილ იქნენ, გაუსამართლებლად დახოცეს მაშინ, როცა ჩვენ მამა-პაპათაგან დანატოვარი კანონი გვაქვს; კანონი, რომლის ძალითაც, თუ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი სასამართლოში არ გამოცხადდება, მის კარზე დილით ადრე მიდის მებუკე და სასამართლოში იწვევს. მანამდე ამ კანონის თანახმად მოსამართლეთ განაჩენი არ გამოაქვთ. აი, როგორი ფრთხილნი და წინდახედულნი იყვნენ ჩვენი წინაპრები ადამიანის ბედის განკითხვის საქმეში!“

4. გაიუსმა (იგი მეტად მაღალი, ძლიერი ხმით ლაპარაკობდა ხოლმე) ასეთი სიტყვებით ხალხი ძლიერ ააღელვა და მერმე ორი კანონი შეიტანა დასამტკიცებლად სახალხო კრებაში. პირველი კანონი ხელმეორედ თანამდებობის დაკავების ნებას არ აძლევდა იმ პირს, ვისაც ხალხმა ერთხელ უკვე ჩამოართვა ეს თანამდებობა; მეორე კა-

ნონი კი უფლებას ანიჭებდა ხალხს თვითონვე გაესამართლებინა ის თანამდებობის პირები, რომლებიც გაუსამართლებლივ აძევებდნენ რომიდან რომის მოქალაქეს. პირველი კანონი აშკარად ჰყრიდა ღირსებას მარკუს ოქტავიუსს, რომელიც სახალხო ტრიბუნის თანამდებობიდან ტიბერიუსის დაჟინებით იქნა გადაყენებული. რაც შეეხება მეორე კანონს, მას მხედველობაში ჰყავდა პოპილიუსი, რომელმაც თავისი პრეტორობის დროს გაუსამართლებლად გააძევა რომიდან ტიბერიუსის მეგობრები[8]. პოპილიუსმა ხალხის სამსჯავროს აღარ დაუცადა და იტალიიდან გაიქცა; პირველი კანონი კი გაიუსმა უკანვე წაიღო. მან განაცხადა: დედაჩემ კორნელიას თხოვნით ოქტავიუსისათვის მიპატიებია. ხალხს ესიამოვნა ასეთი წყალობა და გაიუსს კანონის უკან წაღება დაუდასტურა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ხალხი პატივს სცემდა კორნელიას, როგორც სციპიონის ქალიშვილს, უფრო მეტად კი როგორც გრაკხუსების დედას. შემდეგ ხანებში რომაელებმა მას სპილენძის ქანდაკება დაუდგეს და ზედ ასეთი წარწერა გაუკეთეს: კორნელია, გრაკხუსების დედა[9].

სხვათა შორის, ჩვენ გადმოგვცემენ მრავალ სიტყვას, რომლებიც დიდი მჭევრმეტყველებით წარმოუთქვამს გაიუსს დედამისზე ერთ-ერთ თავის მტერთან პაექრობის დროს ფორუმზე. „განა შენ ბედავ, — მიუმართავს მას მტრისათვის, — გაკიცხო კორნელია, ვინც ტიბერიუსი შობა?“ რაკი კორნელიას გამკიცხველი სახელგავარდნილი მრუში იყო, გაიუსს მისთვის უთქვამს: „განა შენ ბედავ ასე უტიფრად შეუდარო თავი კორნელიას? განა შენც გაგიჩენია შვილები, როგორც მას? ყველა რომაელმა იცის, რომ კორნელიამ, ქალმა, გაცილებით უფრო დიდხანს გაძლო უმამაკაცოდ ვიდრე შენო!“

აი, ასეთი გესლიანი იყო გაიუსის სიტყვები; ამის მსგავსი კი შეგვიძლია მრავლად ამოვკრიფოთ მისი ნაწერებიდან.

5. იმ კანონთაგან, რომლებიც გაიუსმა ხალხის საკეთილდღეოდ და სენატის ძლიერების დასაზუსტებლად წამოაყენა, ერთი კანონი ღარიბებისათვის საზოგადო მიწის დარიგებას ითვალისწინებდა; მეორე — სამხედრო კანონი იყო და წინადადებას იძლეოდა ჯარისკაცები ჯამაგირის დაუკლებლად მოემარაგებინათ ტანსაცმლით სახელმწიფო ხარჯზე და ჩვიდმეტ წელზე ნაკლები ასაკის მოქალაქე ჯარში არ წაეყვანათ. მესამე კანონი მოკავშირეთა საკითხს ეხებოდა

და იტალიის მთელ მოსახლეობას ხმის მიცემის უფლებას ანიჭებდა რომის მოქალაქეთა თანაბრად. მეოთხე კანონი პურის კანონი იყო; იგი ღარიბთათვის პურზე დაბალ ფასებს აწესებდა. რაც შეეხება მეხუთე კანონს, ეს კანონი სასამართლო წარმოების შესახებ იყო შედგენილი და სენატორებს სამოსამართლო უფლების უდიდეს ნაწილს ართმევდა. ყველა უმნიშვნელოვანეს საქმეს აქამდე მხოლოდ სენატორები იხილავდნენ და ამის გამო ისინი ხალხისა და მხედრებისათვის ფოიად საშიშარნი იყვნენ. სამას მოსამართლე სენატორს გაიუსმა ამდენივე კაცი დაუმატა და ამგვარად ექვსასკაციანი, შერეული სახის სასამართლო დააწესა. ამ კანონის გატარების დროს, ამბობენ, გაიუსი განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა სხვა რამესაცო. სახელდობრ: ყველა მის წინ გამოსული ორატორი სენატისაკენ და ეგრეთ წოდებულ კომიციისაკენ პირმიბრუნებული ლაპარაკობდა, გაიუსმა კი პირველად შეაქცია ზურგი სენატს, მიბრუნდა ფორუმისაკენ და ისე წარმოთქვა სიტყვა. ამიერიდან იგი ყოველთვის ასე იქცეოდა. პირის ამ უბრალო შებრუნებით, უბრალო მოძრაობით გაიუსმა ფრიად დიდი საქმე გააკეთა. მან სახელმწიფოს არისტოკრატიულ წყობილებას, ასე ვთქვათ, დემოკრატიული იერი მისცა და ორატორები დაავალდებულა ლაპარაკის დროს პირი ხალხისაკენ ექნათ ხოლმე და არა სენატისაკენ.

6. ხალხმა არა მარტო მიიღო ზემოაღნიშნული სასამართლო კანონი, არამედ იმის უფლებაც მიანიჭა გაიუსს, რომ მას პირადად აერჩია მოსამართლენი მხედართა წრიდან. ამ უფლებამ გაიუსი თითქმის მონარქის ძალით აღჭურვა და სენატი იძულებული შეიქნა მის გადაწყვეტილებებს დამორჩილებოდა ხოლმე. მაგრამ გაიუსს მუდამ ისეთი წინადადებანი შემოჰქონდა, რომელნიც სენატის ღირსებას შეეფერებოდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, ფრიად სამართლიანი და შესანიშნავი გადაწყვეტილება იმ პურის შესახებ, რომელიც პროპრეტორმა ფაბიუსმა გამოგზავნა ესპანეთიდან. გაიუსმა დაიყოლია სენატი ეს პური გაეყიდათ, აღებული ფული ესპანეთის ქალაქებისათვის გაეგზავნათ და ფაბიუსი სასტიკად გაეკიცხათ იმისათვის, რომ თავისი ძალმომრეობით რომის მბრძანებლობას შეშაძრწუნებელ და აუტანელ რამედ ხდიდა პროვინციის ხალხისათვის.

გარდა ამისა, გაიუსმა შეადგინა კანონები ახალშენთა დაარსების, გზების გაყვანისა და საზოგადო ბეღლების აშენების თაობაზე. ყვე-

ლა ამ საქმეს იგი თვითონვე ჩაუდგა სათავეში და არა მარტო არ იღლებოდა ეგზომ დიდ საქმეთა სიმძიმით, არამედ გაკვირვებასაც კი იწვევდა თავისი სისწრაფითა და შრომისმოყვარეობით. ამას იგი თითოეულ საქმეში იჩენდა და ისე მიჰყავდა ბოლომდე ესა თუ ის წამოწყება, თითქოს ამის მეტი საზრუნავი არა ჰქონოდა. გაიუსის დაუცხრომლობით და გულმოდგინეობით, რასაც ყოველ საქმეში აქსოვდა, ისინიც კი გაოცებულნი იყვნენ, ვინც მას ზიზღითა და შიშით შესცქეროდნენ.

ხალხს უკვირდა, როცა ხედავდა, გაიუსს ბუზივით გარს ეხვევნენ მოიჯარენი, ოსტატები, ელჩები, თანამდებობის პირები, ჯარისკაცები და სწავლულები; გაიუსი ყველას თავაზიანად ექცეოდა; ამ თავაზიანობის გამოჩენისას თავი დარბაისლურად ეჭირა და თითოეულს ისე ეპყრობოდა, როგორც საჭირო იყო. ამით მან გამოამჟღავნა, რაოდენ უსამართლოდ იქცეოდნენ მისი ცილისმწამებლები, რომლებიც მას საშიშ, უხეშ და მოძალადე კაცს ეძახდნენ. ერთი სიტყვით, გაიუსი რომ ხალხის ჭეშმარიტი წინამძღოლი იყო, ეს ადამიანებთან ურთიერთობასა და საქმიანობაში უფრო კარგად ჩანდა, ვიდრე ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვებში.

7. ყველაზე უფრო მეტი შრომა გაიუსმა გზების მშენებლობაზე გასწია. იგი თავგამოდებით ცდილობდა ყოველი გზა მარჯვე და ამასთან ლამაზი ყოფილიყო. ოლქებზე გამავალი შარაგზები ლარივით სწორად იგებოდა და მიხვეულ-მოხვეული ადგილები არსად არა ჰქონდა ზოგიერთ მათგანს გათლილი ქვებით კირწყლავდნენ. ზოგს კი დატკეპნილი ქვიშით ამაგრებდნენ. წყალდიდობისგან გაჩენილ ნაღვარევ ადგილებსა და ხევებს ან მიწით ავსებდნენ, ანდა ხიდებით აკავშირებდნენ. ამიტომ გზა ყველგან სწორი, ერთნაირი სიმაღლისა და სიგანის გამოდიოდა. ეს მეტად ლამაზ სანახაობას ქმნიდა. გარდა ამისა, გაიუსმა ყველა გზა მილებად დაჰყო (რომაული მილი, სხვათა შორის, რვა სტადიონზე ცოტა უფრო ნაკლებ მანძილს შეიცავს) და ყოველი მილის აღსანიშნავად ქვის ბოძები აღმართა. გზების ორივე მხარეზე, ახლო-ახლო შუალედებში დადგმულ იქნა სხვა ქვებიც. მათი დანიშნულება ის იყო, რომ ცხენოსანს ცხენზე შეჯდომა გაადვილებოდა და ამისათვის სხვისი დახმარება არ დასჭირებოდა.

8. ასეთი მოღვაწეობისათვის ხალხი გაიუსს ცამდე აღიდებდა და ყოველთვის მზად იყო გაიუსის საამებლად ყველაფერი გაეკეთებინა,

რასაც იგი მოითხოვდა. ერთხელ სახალხო კრებაზე გაიუსმა ხალხს უთხრა: თქვენგან ერთ წყალობას ვითხოვო, და დაუმატა, თუ ამ წყალობას მიიღებდა, ეს მისთვის ყველაზე უფრო სასუკვარი რამ იქნებოდა, თუ არადა არც ამაზე დაიწყებდა ჩივილს. მისი ეს გამოსვლა კონსულის თანამდებობის მოთხოვნა ეგონათ და ყველა მოელოდა იმას, რომ ერთდროულად კონსულობისა და სახალხო ტრიბუნობის მიღებას შეეცდებოდა. მაგრამ საკონსულო არჩევნების დღეს, როცა ყველანი დაძაბულ მდგომარეობაში იყვნენ, გაიუსი მარსის ველზე გაიუს ფანიუსთან ერთად გამოცხადდა. მან ხელჩაკიდებული მოიყვანა ფანიუსი და აქ მეგობრების დახმარებით კონსულად წამოაყენა. ამან ფანიუსს ძალიან უშველა და კონსულად აღიარეს; გაიუსი კი მეორედ იქნა არჩეული ტრიბუნად. ხოლო ამას მიაღწია არა ხვეწნითა თუ ძალდატანების გზით, არამედ იმ სიყვარულის წყალობით, რომელიც ხალხს მის მიმართ ჰქონდა.

გაიუსმა მალე დაინახა, რომ სენატი მას აშკარად მტრობდა და ფანიუსსაც გაუცივდა უკვე მის მიმართ კეთილგანწყობილების გრძნობა. ამიტომ კვლავ დაიწყო ხალხის მიმხრობა ახალი კანონების შემწეობით. სახელდობრ, შეადგინა კანონი ტარენტუმსა და კაპუაში ახალშენების მოწყობის შესახებ, აგრეთვე კანონი, რომელიც ითვალისწინებდა სამოქალაქო უფლებათა მინიჭებას ლათინებისათვის მთლიანად.

სენატმა, რომელსაც შეეშინდა გაიუსის ძლიერება მეტისმეტად არ გაზრდილიყო, მისგან ხალხის ჩამოშორების მიზნით ახალსა და უჩვეულო ფანდს მიმართა. მანაც, თავის მხრივ, ხალხის გამოქომაგება დაიწყო და ისეთი რამეებით ცდილობდა მისი გულის მოგებას, რაც მაინცდამაინც ხელსაყრელი არ ჩანდა.

სახალხო ტრიბუნთა კოლეგიაში გაიუსს ერთი ამხანაგი ჰყავდა, სახელად ლივიუს დრუზუსი. გვარიშვილობითა და ზრდილობით ეს კაცი არც ერთ რომაელს არ ჩამორჩებოდა, ხოლო თავისი ბუნებრივი თვისებებით, მჭევრმეტყველებითა და სიმდიდრით შეეძლო ყველაზე უფრო საპატიო და გავლენიან პირთ შეჯიბრებოდა. დიდებულებმა დახმარებისათვის სწორედ ამ ლივიუსს მიმართეს და მოუწოდეს მათ მხარეზე დამდგარიყო და მათთან ერთად გაიუსის წინააღმდეგ ამხედრებულიყო. ლივიუსს, სენატის რჩევით, ძალმომრეობა კი არ უნდა ეხმარა ხალხის მიმართ, არამედ რწმუნების აღსრულების დროს მისი გული მოეგო; მას ისეთი საქმეებით უნდა ეამებინა ხალხისათვის,

რომელთა შეუსრულებლობაც, მართალია, მისდამი ზიზღს გამოიწვევდა ხალხში, მაგრამ სხვა მხრივ საპატიო იქნებოდა.

9. ლივიუს დრუზუსმა თავისი რწმუნება, როგორც სახალხო ტრიბუნისა, მთლიანად სენატის სამსახურს დაუქვემდებარა და ისეთი კანონების გატარება დაიწყო, რომლებშიაც კარგი და სასარგებლო არაფერი იყო. ლივიუსი, როგორც ეს კომედიაში ხდება ხოლმე, მხოლოდ ერთ რამეს ისახავდა მიზნად: იგი იქითკენ მიისწრაფოდა, რომ პირმოთხეობისა და მაამებლობის გზით თვითონ ამაღლებულიყო ბრბოს თვალში, გაიუსი კი დაემცირებინა.

ასეთი ფანდებით სენატმა ცხადზე უცხადესი გახადა ის, რომ მისი მტრობა მიმართული იყო არა გაიუსის კანონთა, არამედ პირადად გაიუსის წინააღმდეგ, და რომ იგი, სენატი, მოწადინებული იყო ან სულ მოესპო გაიუსი, ანდა მეტისმეტად დაესუსტებინა. აი, ამის მაგალითებიც. როცა გაიუსმა წინადადება შეიტანა ორი ახალშენის დაარსებასა და იქ ყველაზე ღირსეულ მოქალაქეთა გადაყვანაზე, სენატმა გაიუსს ბრალად დასდო მლიქვნელობა ხალხის წინაშე; მაგრამ როცა ლივიუსმა წამოაყენა კანონი თორმეტი ახალშენის მოწყობისა და თითოეულ ახალშენში სამ-სამი ათასი ულარიბესი მოქალაქის გაგზავნისა, სენატმა ეს მოიწონა. სენატმა სასტიკად გაკიცხა გაიუსი, როგორც ბრბოს გამრყვნელი, იმისათვის, რომ მან ღარიბებს მიწები დაურიგა და ყოველ მათგანს ხაზინის სასარგებლოდ გადასახადი დაუწესა; ხოლო ლივიუსი, რომელმაც გააუქმა ეს გადასახადი დარიგებულ მიწებზე, მეტისმეტად შეაქო. როცა გაიუსმა მთელ ლათინებს სამოქალაქო უფლებები მიანიჭა, სენატი საშინლად შეშფოთდა; მაგრამ როცა ლივიუსმა წამოაყენა კანონი, რომელიც კრძალავდა ლათინების გაჯოხვას თვით სამხედრო სამსახურშიც კი, სენატმა მხარი დაუჭირა ამ კანონს.

გარდა ამისა, ლივიუსი ყოველთვის, როცა თავის კანონთა გამოცხადებამდე ტრიბუნიდან სიტყვას ამბობდა, ამტკიცებდა, ესა და ეს კანონი მე შევადგინე ხალხისათვის მზრუნველი სენატის მითითებითო. ლივიუსის მოღვაწეობაში ასეთი პოლიტიკური ნაბიჯი ყველაზე უფრო სასარგებლო აღმოჩნდა, რამეთუ ლივიუსმა ამით ჩააქრო ის ეჭვი და ზიზღი, რომლითაც ხალხი დიდებულთ შესცქეროდა და დაასუსტა ძველი გულღრძოობა და მტრობა სენატის მიმართ. იგი ხალხს არწმუნებდა, რომ ყველა კანონი შემოჰქონდა სენატის რჩევით და რომ

ამ კანონთა ძირითადი მიზანი ხალხის დაკმაყოფილება და სიკეთე იყო.

10. უდიდესი ნდობა ხალხისადმი კეთილგანწყობილებასა და საშართლიანობაში დრუზუსმა იმით მოიპოვა, რომ იგი, როგორც ჩანდა, კანონთა შედგენის დროს არასოდეს პირად სარგებლობას არ ითვალისწინებდა. ახალშენთა მოწყობისას ლივიუს დრუზუსი ამ საქმის ხელმძღვანელად ყოველთვის სხვა ვინმეს ნიშნავდა და არა თავის თავს; ის არც საზოგადო ჭონებათა გამგებლობას კისრულობდა ხოლმე; გაიუსი კი ყოველთვის თვითონ უდგებოდა სათავეში ასეთ საქმეთა უმრავლესსა და უდიდეს ნაწილს.

ერთ-ერთმა სახალხო ტრიბუნმა რუბრიუსმა გაატარა კანონი სციპიონის მიერ დანგრეული კართაგენის აღდგენისა და იქ ახალშენის მოწყობის შესახებ. ამ საქმის ხელმძღვანელობა წილად ხვდა გაიუსს და იგი ლიბიაში გაემგზავრა. ისარგებლა რა გაიუსის არყოფნით რომში, დრუზუსმა კიდევ უფრო მძლავრად დაიწყო გალაშქრება მის წინააღმდეგ, გადაიბირა ხალხი თავის მხარეზე და ათასგვარი ბრალდებებით ყველაზე მეტად თავს დაესხა გაიუსის ამხანაგ ფულვიუსს, რომელიც გაიუსთან ერთად არჩეული იყო მიწათა განაწილების საბჭოს წევრად. ეს ფულვიუსი ფრიად მოუსვენარი კაცი იყო; სენატს ჭირივით ეზიზღებოდა იგი და სხვებიც ეჭვის თვალით შესცქეროდნენ. ფიქრობდნენ, ფულვიუსი მოკავშირეებს აღელვებს და იტალიოტებს ფარულად აჯანყებისაკენ მოუწოდებსო. ეს ეჭვები გამოთქმული იყო სრულიად უსაფუძვლოდ, დაუმტკიცებლად; მაგრამ ამ ეჭვებს თვითონ ფულვიუსი აძლევდა საბაბს თავისი მოქმედებით, როგორც შფოთისმოყვარული და მშვიდობისმოძულე კაცი.

ყველაზე მეტად სწორედ ამ ამბავმა დაატეხა თავს გაიუსს ზიზღი და კიდევაც დაღუპა იგი.

როდესაც სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა სციპიონ აფრიკელი და მის ცხედარზე ძალადობის ნიშნები ნახეს, როგორც ეს ჩვენ მისი ცხოვრების აღწერაში გვაქვს გადმოცემული, ამ საქმეში ბრალი უწინარეს ყოვლისა ფულვიუსს დასდეს [10]. საქმე ის იყო, რომ ფულვიუსი სციპიონის დიდ მტრად ითვლებოდა და გარდაცვალების დღეს კიდევაც შეურაცხყო იგი ტრიბუნიდან. სციპიონის მკვლელობის ეჭვი შეეხო გაიუსსაც. ეს შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედება, სხვათა შორის, ყოველგვარი მისაგებლის გარეშე დარჩა; კვლევა-ძი-

ებაც კი არ უწარმოებიათ. კვლევა-ძიების წარმოების წინააღმდეგ წავიდა ხალხი და იმის შიშით, მკვლელობის გამორკვევის დროს დამნაშავედ გაიუსიც არ აღმოჩენილიყო, საქმე მოსპო. მაგრამ ეს ამბავი უფრო ადრე მოხდა.

11. ლიბიაში დანგრეული კართაგენის ადგილას იმ ახალშენის დაარსებას, რომელსაც გაიუსმა იუნონია, ესე იგი ჰერაია უწოდა, ამბობენ, თან მრავალი ავის მომასწავებელი ნიშანი ახლდაო.

პირველი ალამი, თუმცა მებაირაღე მთელი ძალ-ღონით ცდილობდა მის შენარჩუნებას, ქარმა გაიტაცა და დაფლითა. მძლავრად მოვარდნილმა ქარმა გაფანტა ავრეთვე საკურთხეველებზე დაწყობილი სამსხვერპლო საქონლის შიგნეული და ახალშენისათვის შემოხაზულ საზღვრებზე გადაიტანა. მერმე მგლები მოცვივდნენ, ამოგლიჯეს სამიჯნო ბოძები და შორს გაიტაცეს.

მიუხედავად ასეთი ნიშნებისა, გაიუსმა სულ რაღაც სამოცდაათ დღეში მოაგვარა ყველაფერი, რაც კი ახალშენის დაარსებისათვის იყო საჭირო. ამის შემდეგ რომში დაბრუნდა, ვინაიდან შეიტყო, დრუზუსი ფულვიუსს სდევნისო, და თანაც გრძნობდა, ამბავთა მსვლელობა მის რომში ყოფნას მოითხოვდა.

ლუციუს ოპიმიუსი, ოლიგარქიული დაჯგუფების მომხრე და სენატში დიდი გავლენის მქონე კაცი, წინა წელს, როცა კონსულობისაკენ მიისწრაფოდა, დამარცხდა [11]. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ გაიუსმა ფანიუსი წამოაყენა კონსულად. ოპიმიუსს ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა და დაიმედებული იყო, რომ ნამდვილად მიიღებდა კონსულობას, ამ თანამდებობის აღსრულების დროს კი გაანადგურებდა გაიუსს, ვისი ძალაც დაკნინებას იწყებდა. ოპიმიუსს იმის იმედიც ჰქონდა, რომ ხალხი, რომლის წინაშე სენატი უკვე დათმობაზე მიდიოდა, გამაძღარი იყო სხვადასხვა წარჩინებულ პირთა მიერ გამოცემული გულის მოსაგები კანონებით.

12. ჩამოვიდა თუ არა რომში, გაიუსი, უწინარეს ყოვლისა ხალხთან დასაახლოებლად პალაციუმიდან ფორუმს ქვემოთ მდებარე ადგილზე გადასახლდა; ეს ადგილი თითქმის სულ უბრალო და ღარიბი მოქალაქეების სამკვიდრებელს წარმოადგენდა. ამის შემდეგ გაიუსმა გამოაქვეყნა თავისი დანარჩენი კანონები, რათა ისინი კენჭისყრის საშუალებით ძალაში შესულიყო. როცა სენატმა დაინახა, კანონისათვის ხმის მისაცემად გაიუსის ირგვლივ ყოველმხრივ იკრიბებოდა

ბრბო, მაშინ დაიყოლია კონსული ფანიუსი უკლებლივ გაეძევებინა ქალაქიდან ყველა ის პირი, ვინც რომაელი არ იყო. როდესაც გამოაქვეყნეს ეს უჩვეულო და უცნაური ბრძანება, რომელიც სასტიკად უკრძალავდა რომაელი ხალხის ყველა მოკავშირესა და მეგობარს იმ დღეებში უბრალო გამოჩენასაც კი, გაიუსმა თავის მხრივ გამოსცა განცხადება, რომლითაც კონსულის მოქმედების წინააღმდეგ ილაშქრებდა და მოკავშირეთ დახმარებას ჰპირდებოდა, თუკი ისინი რომში დარჩენას მოისურვებდნენ. მაგრამ გაიუსმა დაპირებული დახმარება მათ ვერ გაუწია. ასე, მაგალითად, როცა დაინახა, ერთ-ერთი მისი სტუმარი და ახლობელი კაცი ფანიუსის ლიქტორებს შეპყრობილი მიჰყავდათ, მის დასაცავად ხელი ვერ გამოიღო და გვერდი აუარა. იგი ან იმიტომ მოიქცა ასე, რომ შეეშინდა ამაო გამოსარჩლებით საკუთარი ძალისა და გავლენის დაკნინება არ გამოემჟღავნებინა, ანდა, როგორც თვითონ ამბობდა, არ უნდოდა მტრებისათვის მიეცა ხელჩართული ბრძოლის საბაბი, რასაც ისინი უამისოდაც დაეძებდნენ.

გაიუსი თავის ამხანაგებსაც კი წაეკიდა. აი ამის მიზეზი. ქალაქის მმართველებმა მოედანზე გლადიატორთა ბრძოლის სანახაობის მოწყობა განიზრახეს ხალხისათვის. ამ საქმის გამგებლებმა მოედნის ირგვლივ მერხები დადგეს და მათ დასაკავებლად ფასი დააწესეს. გაიუსმა უბრძანა დაუყოვნებლივ აეღოთ ეს მერხები, რათა ღარიბ ხალხს დაცლილი ადგილიდან უფასოდ შეძლებოდა სანახაობის ცქერა. მის ბრძანებას არავინ არ დაემორჩილა. მაშინ გაიუსმა სანახაობისათვის დანიშნული დღის წინა ღამეს დაუცადა და როცა ეს ღამე დადგა, წაიყვანა თან დაქირავებული მუშები, რამდენიც კი გამგებლობაში ჰყავდა, დააშლევინა მერხები და მეორე დღეს ხალხს თავისუფალი ადგილი მიუჩინა. ასეთმა საქციელმა გაიუსს მამაცი კაცის სახელი მოუპოვა ბრბოში, მაგრამ შეურაცხყოფილმა ამხანაგებმა, მასავით სახალხო ტრიბუნებმა, იგი თავხედ და მოძალადე ადამიანად ჩათვალეს.

ამ შემთხვევამ, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო იმას, რომ იგი მესამედ აღარ აირჩიეს სახალხო ტრიბუნად. ამბობენ, ხმის უმრავლესობა მაშინ გაიუსმა მიიღო, მაგრამ მისმა ამხანაგებმა ტრიბუნებმა ხმები განგებ დაითვალეს ცუდად და ყალბი შედეგი გამოაცხადესო. სხვათა შორის, ეს კარგა ხანს სადაო საკითხი იყო.

ასეთმა მარცხმა გაიუსზე მძიმედ იმოქმედა. ამბობენ, მტრებს, რომლებიც მას დასცინოდნენ, მეტისმეტი სითამამით უთხრაო, რომ

ისინი სარდონიული სიცილით იცინიან და არ ესმით, თუ როგორ წყვდიადს ჰქმნის მათ გარშემო მისი პოლიტიკური ნაბიჯები.

13. გაიუსის მტრებმა ოპიმიუსი კონსულად დააყენეს, გაიუსის მიერ გამოცემული მრავალი კანონი გააუქმეს და კართაგენში ახალშენის დაარსების საკითხი სამსჯელოდ გახადეს. ისინი ამით ცდილობდნენ გაეღიზიანებინათ გაიუსი და გამწყრალისათვის ისეთი რამ ჩაედინებინათ, რაც მისი მოკვლის საბაბს შექმნიდა. გაიუსი ერთხანს ამ ანკესზე არ წამოეგო; მაგრამ ბოლოს მეგობრებისა და განსაკუთრებით ფულვიუსის წაქეზებით კვლავ დაიწყო მომხრეთა გარშემოკრება, რათა ისინი კონსულის წინააღმდეგ დაერაზმა. ამბობენ, ამ საქმეში მას დედამისიც ეხმარებოდაო; კორნელიამ თურმე უცხოელები დაიქირავა საიდუმლოდ და მომკვლელთა სახით რომში გაგზავნა. ამის შესახებ გადაკრულადაა ლაპარაკი თითქოს შვილისადმი მიწერილ მის წერილებში. სხვები კი ამტკიცებენ, გაიუსის პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმა კორნელიას სურვილის წინააღმდეგ მოხდაო.

იმ დღეს, როდესაც ოპიმიუსსა და მის მომხრეებს გაიუსის კანონები უნდა გაეუქმებინათ, ორივე მოწინააღმდეგე მხარემ გარიჟრაჟზევე დაიკავა კაპიტოლიუმი. როცა კონსულმა აქ მსხვერპლი შესწირა, მისმა ერთ-ერთმა ლიქტორმა, ვინმე კვინტუს ანტილიუსმა, რომელსაც სამსხვერპლო შიგნეული ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა, ფულვიუსსა და მის მომხრეთ შესძახა: „თქვენ, ჰეი, მაწანწალა მოქალაქენო, გზა მიეცით რიგიან ხალხსო!“ ამ სიტყვებს მან, როგორც ზოგიერთები გადმოგვცემენ, ზედ ისიც დააყოლა, რომ მოწინააღმდეგეთ გაშიშვლებული ხელით ფრიად შეურაცხმყოფელი რამ უჩვენა. ანტილიუსი მყისვე განგმირეს თითქოს საგანგებოდ ასეთი საქმისათვის გაკეთებული გრძელი საწერი ჯოხებით.

ამ მკვლელობამ ხალხი მეტად შეაშფოთა, ხოლო მტრულ დაჯგუფებათა ბელადებზე სხვადასხვაგვარი გავლენა იქონია. გაიუსი უზომოდ წუხდა და თავისიანებს კიცხავდა, რომ ისინი თვითვე აძლევდნენ ბრძოლის დაწყების საბაბს მტრებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია სხვას არაფერს დაეძებდნენ. რაც შეეხება ოპიმიუსს, მან ეს ამბავი, როგორც მოქმედების დაწყების ნიშანი, ხელზე დაიხვია და ხალხს შურისძიებისაკენ მოუწოდა.

14. რაკიღა მაშინ დიდი წვიმა წამოვიდა, მოწინააღმდეგე მხარენი იძულებული შეიქნენ დაშლილიყვნენ. მეორე დღეს, დილაადრიან კონ-

სულმა სენატი შეკრიბა კურიაში და ბჭობა დაიწყო. სწორედ ამ დროს საგანგებოდ დანიშნულმა პირებმა, რომელთაც ანტილიუსის გამოცვლებული სხეული საკაცეზე დაედოთ, ფორუმი გადმოიარეს და გვამი თვალთმაქცური მოთქმითა და ტირილით კურიის კარებამდე მიიტანეს. ოპიმიუსმა კარგად იცოდა, რაც მოხდა, მაგრამ თავი მოიკატუნა და ჰკვირობდა: რა ამბავიაო? მაშინ სენატორები ამბის გასაგებად გარეთ გამოვიდნენ და, როცა მოედნის შუაგულში დასვენებული ცხედარი იხილეს, წუხილი დაიწყეს, თითქოს რაღაც საშინელი და მეტისმეტად დიდი უბედურება მომხდარიყოს. ამ თვალთმაქცობამ უსაზღვრო ზიზღი და წყრომა გამოიწვია ხალხში წარჩინებულთა მიმართ. „მათ, — ამბობდა ხალხი, — საკუთარი ხელით მოჰკლეს კაპიტოლიუმზე სახალხო ტრიბუნი ტიბერიუს გრაკხუსი და მისი გვამი მდინარეში გადააგდეს; ლიქტორი ანტილიუსი კი, რომელიც შეიძლება დაუმსახურებლად მოკლეს, თუმცა ამის მიზეზი თვითონვე იყო, ავერ ფორუმზეა დასვენებული! მის წინ დგას რომაელი ხალხის სენატი, დასტირის მას და უბრალო, ღაქირავებულ კაცს პატივით ასაფლავებს; ამას კი სენატი იმისათვის აკეთებს, რომ მოსპოს ერთადერთი გადარჩენილი მზრუნველი საწყალი ხალხისა!“

სენატორები კურიაში შებრუნდნენ, გამოიტანეს საგანგებო გადაწყვეტილება და კონსულ ოპიმიუსს დაავალეს, როგორც კი შეეძლო გადაეარჩინა ქალაქი და გაენადგურებინა მოძალადე ტირანები. ოპიმიუსმა სენატორებს წინადადება მისცა იარაღი აეღოთ, მხედრებს კი უბრძანა მეორე დღეს გარიჟრაჟზე ყოველ მათგანს ორ-ორი შეიარაღებული მონა მოეყვანა. ფულვიუსიც თავის მხრივ მოემზადა და მრავალრიცხოვანი ბრბო შეკრიბა. გაიუსი, როცა ფორუმიდან მიდიოდა, მამამისის ქანდაკების წინ შეჩერდა, დიდხანს უცქირა დუმილით და მერმე ცრემლების ღვრითა და ოხვრით გაშორდა. ამ სურათის დანახვამ ხალხს გული აუჩვილა. გაიუსის მწუხარების მოწმეებმა გაიცხეს თავიანთი თავი, რომ ასეთი კაცი ბედის ანაბარა მიატოვეს და გასცეს; მერმე სახლამდე გაჰყვნენ მას, იქ, კარის წინ, დარაჯად დაუდგნენ და ღამე გაუთიეს. ესენი ფულვიუსის მცველთა მსგავსად როდი მოიქცნენ. ფულვიუსის გათამამებულმა მცველებმა მთელი ღამე ღვინის სმაში, ტაშისკვრასა და ღრიანცელში გაატარეს. ყველაზე უწინ თვითონ ფულვიუსი დათვრა და ისეთ უხეშ ლაპარაკსა და მოქმედებას მოჰყვა, რაც მის ასაკს სრულებითაც არ შეეფერებოდა.

გაიუსის სახლის წინ დარაჯად მდგარნი კი, ვით ეს საყოველთაო უბედურების ჟამს შეშვენოდა, სრულ სიწყნარეს იცავდნენ, მყოფადის შესახებ დინჯად მსჯელობდნენ და წასაძინებლად ერთმანეთს რიგრიგობით სცვლიდნენ.

15. მეორე დღეს, გარიჟრაჟზე, როცა ძლივძლივობით გამოაფხიზლეს ღრმად ჩაძინებული მთვრალი ფულვიუსი, მისი მომხრენი შეიარაღდნენ იმ საჭურვლით, რომელიც ფულვიუსის სახლში მოიპოვებოდა და რომელიც ფულვიუსმა ხელთ იგდო კონსულობის დროს, როცა გალები დაამარცხა. ამის შემდეგ ფულვიუსის შეიარაღებული ხალხი დიდი მუქარითა და ყიჟინით ავენტინუმის გორაკის დასაკავებლად გაეშურა.

რაც შეეხება გაიუსს, იმ დღეს იარაღის ასხმა არ მოისურვა და სახლიდან ტოგის ამარა გამოვიდა ისე, როგორც ჩვეულებრივ გამოდიოდა ხოლმე ფორუმზე წასასვლელად. წელზე ახლაც მხოლოდ მოკლე მახვილი ერტყა.

როცა სახლიდან გამოსვლას აპირებდა, კართან ცოლი ჩაუვარდა ფეხებში. ცალი ხელი მას ჩასჭიდა, ცალიც პაწაწა ვაჟსა და ასე უთხრა: „დღეს შენ, ჩემო გაიუს, უწინდებურად ტრიბუნაზე როდი გაცილებ, ვით სახალხო ტრიბუნსა და კანონმდებელს; არც სახელოვან ომში მიდიხარ, სადაც შეიძლება სხვებთან ერთად დაღუპულიყავ მაგრამ ამით ისეთ ტანჯვას მაინც მომგვრიდი, რომელსაც საამაყო ნუგეში შემოსავდა. ახლა შენს თავს ტიბერიუსის მკვლელთ უგდებ ხელში და შენს სიმართლეში დარწმუნებული უიარაღოდ მიდიხარ; მზად ხარ ყველაფერი აიტანო და სხვაზე ხელი არ აღმართო; შენ დაიღუპები, მაგრამ შენი სიკვდილი საერთო საქმეს სარგებლობას როდი მოუტანს. აი, ხომ ხედავ, ბოროტმოქმედებმა გაიმარჯვეს და სამართალს ახლა ძალითა და მახვილით ქმნიან. შენი ძმა რომ ნუმანციაში მოეკლათ, დაზავების შემდეგ მის გვამს მაინც მოგვცემდნენ. როგორც ჩანს, ალბათ მე უბედურსაც მომიწევს რომელიმე მდინარეს ან ზღვას ვემუდარო მაჩუქოს ზღვის ტალღებში ჩაძირული შენი საბრალო სხეული. ტიბერიუსის მკვლელობის შემდეგ განა სანდოა კანონები ანდა ღმერთები?“

აი, ასე ამბობდა ლიციინია და თან ცრემლებად იღვრებოდა. გაიუსმა წყნარად მოიცილა იგი თავიდან და მეგობრების თანხლებით წასასვლელად დაიძრა. საბრალო ლიციინია მას ტოგაში ჩაეჭიდა, მაგ-

რამ იატაკზე დაეცა და დიდხანს ეგდო უგრძნობლად. ძირს. ბოლოს გონებამიხდილი ქალი მონებმა ხელში აიყვანეს და მის ძმას, კრასუსს მიჰგვარეს.

16. როდესაც ყველანი შეიკრიბნენ დანიშნულ ადგილზე, ფულვიუსმა, გაიუსის რჩევით, თავის უმცროს შვილს შიკრიკის კვერთხი გადასცა და მტერთან მოსალაპარაკებლად ფორუმზე ჩაგზავნა. ეს ყმაწვილი მეტად ლამაზი იყო. ზრდილობიანად, კრძალვით წარდგა იგი კონსულისა და სენატორების წინაშე და მათ ცრემლების ღვრით საზავო პირობები გადასცა. სენატორთა უმრავლესობა უკვე თანახმა იყო დაზავებაზე, მაგრამ ოპიმიუსმა განაცხადა: „დამნაშავე მოქალაქენი მაცნეთა შემწეობით კი არ უნდა აწარმოებდნენ სენატთან მოლაპარაკებას, არამედ თვითონვე უნდა ჩამოვიდნენ გორაკიდან; ისინი სამსჯავროს წინაშე უნდა წარდგნენ მორჩილად და შეწყალება ითხოვონ". ამის შემდეგ ოპიმიუსმა ფულვიუსის ვაჟს უბრძანა: „აი, ამ პირობებით შეგიძლია მოხვიდე ისევ აქ, თუ არა და თვალით აღარ დაგინახოთო".

როგორც ამბობენ, გაიუსს უნდოდა თვითონვე მისულიყო სენატთან და დაზავებაზე დაეყოლიებინა იგი; მაგრამ არავინ დაეთანხმა. მაშინ ფულვიუსმა კვლავ გაგზავნა შვილი ძველი პირობებით. ოპიმიუსმა, რომელიც ისედაც ჩქარობდა ბრძოლის გაჩაღებას, ყმაწვილი ამჯერად დააჭერინა და საპყრობილეში გაგზავნა, თვითონ კი მრავალრიცხოვან მძიმედ შეიარაღებულ მეომართა და კრეტელ მოისართა თანხლებით ფულვიუსის წინააღმდეგ დაიძრა. კრეტელთა რაზმმა სეტყვასავით დააყარა ისრები ფულვიუსსა და მის მომხრეთ, დასჭრა მრავალი, საშინელი აურზაური შეიტანა მტრის რიგებში და მოწინააღმდეგე უკუაქცია. ფულვიუსმა თავი ერთ უპატრონოდ მიგდებულ აბანოს შეაფარა, მაგრამ სულ მალე იპოვეს და უფროს ვაჟთან ერთად აკუწეს.

გაიუსი ამ ბრძოლაში ჩაბმული არვის უნახავს. იგი ფრიად შეძრწუნებული იყო მომხდარი ამბებით და იმ განზრახვით, რომ თავი მოეკლა, დიანას ტაძარში შევიდა. მაგრამ ერთგულმა მეგობრებმა, პომპონიუსმა და ლიცინიუსმა ამის საშუალება არ მისცეს. ხელიდან მახვილი გამოჰგლიჯეს და ურჩიეს გაქცეულიყო. მაშინ, ამბობენ, გაიუსი მუხლებზე დაეცა ღმერთქალის წინაშე, ხელები აღაპყრო და შეევედარა, რომაელ ხალხს ასეთი უმადურობისა და ღალატისათვის არა-

სოდეს არ ასცდენოდა მონობის უღელი. ხალხის უდიდესმა ნაწილმა მართლაც აშკარად უღალატა მას მაშინვე, როცა სენატმა ხაყოველთაო პატიება გამოაქვეყნა.

17. გაქცეულ გაიუსს მტრები დაედევნენ და ერთ ბოგირთან წამოეწივნენ. ერთგულმა მეგობრებმა, პომპონიუსმა და ლიციინიუსმა გაიუსი აიძულეს კვლავ განეგრძო გზა, თვითონ კი მდევრებს გადაუდგნენ წინ, შეებრძოლნენ და, სანამ არ დაიხოცნენ, არც ერთი მათგანი ხიდთან არ მიუშვეს.

ლტოლვილ გაიუსს თან მიჰყვებოდა ერთი მონა, სახელად ფილოკრატე. შემხვედრი ხალხი მხოლოდ ამხნევებდა გაიუსს, თითქოს იგი რაღაც უბრალო შეჯიბრებაში მონაწილეობდა და არა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, დახმარებით კი არავინ დახმარებია; ის კი არა, ცხენიც არ ათხოვეს, თუმცა მეტად იხვეწებოდა. მდევრები გაიუსს ისევ მიუახლოვდნენ. მან დაასწრო და ფურიათა პატარა, წმინდა ჭალაში შევიდა. აქ იგი მისივე თხოვნით მოკლა ფილოკრატემ, რომელმაც მერმე თვითონაც მოიკლა თავი. ზოგიერთთა გადმოცემით კი ისინი ცოცხლად ჩაუვარდნენ ხელში მტრებს; ფილოკრატე ისე მჭიდროდ მიეკრა თურმე მაშინ თავის პატრონს, რომ გაიუსისათვის მახვილის დაკვრა ვერც ერთმა მდევარმა ვერ მოახერხა მანამ, სანამ მონა მრავალი დაკვრით არ მოკლესო.

იმასაც ამბობენ, ვიღაც უცნობმა კაცმა გაიუსს თავი მოჰკვეთა და კონსულთან მიჰქონდაო; მაგრამ ეს თავი ოპიმიუსის ერთმა მეგობარმა, ვინმე სეპტიმულეიუსმა წაართვა, ვინაიდან ბრძოლის დაწყების წინ გამოაცხადეს, რომ გაიუსისა და ფულვიუსის თავების მომტანთ ამ თავების წონა ოქრო მიეცემათ ჯილდოდო. შუბზე წამოცმული თავი სეპტიმულეიუსმა კონსულ ოპიმიუსს მიართვა. მოიტანეს სასწორი და გაიუსის თავი აწონეს. იგი ჩვიდმეტნახევარი გირვანქა გამოვიდა თურმე. საქმე ის იყო, რომ სეპტიმულეიუსმა აქაც ითაღლითა და გაიძვერობა გამოიჩინა; მან თავიდან ტვინი ამოიღო, განთავისუფლებული სივრცე კი ტყვიით ამოავსო. ფულვიუსის თავის მომტანთ, ვინაიდან ისინი უბრალო ხალხი აღმოჩნდნენ, არაფერი მიუღიათ.

გაიუსისა და ფულვიუსის ცხედრები მოკლულთა სხვა გვამებთან ერთად, რომელთა რიცხვიც სამი ათასამდე აღწევდა, მდინარეში გადაყარეს. მათი ქონება სახელმწიფო ხაზინას გადაეცა. დახოცილთა

ცოლებს სამგლოვიარო წესის აღსრულება სასტიკად აეკრძალათ, ხოლო გაიუსის ქვრივს ლიცინიას მზითევიც კი წაართვეს.

გაიუსის მტრები მეტისმეტად შეუბრალებლად მოექცნენ ფულვიუსის უმცროს ვაჟს. ამ ყმაწვილს ხელი არავის წინააღმდეგ არ აღუმართავს და არც ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა. ბრძოლის დაწყების წინ იგი საზავო პირობებით მივიდა კონსულთან, მაგრამ მაშინ შეიპყრეს, ხოლო ბრძოლის დამთავრების შემდეგ მოკლეს. კონსულის ამ საქციელისა თუ სხვა ამგვარ მოქმედებათა გარდა ხალხი უფრო მეტად მაინც იმან აღაშფოთა, რომ ოპიმიუსმა თ ა ნ ხ მ ო ბ ი ს ტაძარი ააგო. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ოპიმიუსი ამაყობდა თავისი მოქმედებით, დიდგულობდა და ამდენი ხალხის დაღუპვის აღსანიშნავად თითქოს ერთგვარ ტრიუმფს იხდიდა. აი, ამიტომ ვიღაცეებმა ტაძარს ღამით ასეთი ტაეპი წააწერეს:

უგუნურმა აუგო საქმემ ეს ტაძარი თანხმობის ღმერთქალს.

18. ოპიმიუსი პირველი კაცი იყო, რომელმაც კონსულობაში დიქტატორის უფლებები მიიღო; მან გაუსამართლებლად დახოცა სამი ათასი მოქალაქე, მათ შორის კონსულად ნამყოფი და ტრიუმფგადახდილი ფულვიუს ფლაკუსი და ტოლ-სწორებში სიქველითა და სახელოვნებით გამორჩეული გაიუს გრაკხუსი. აი, ამ ოპიმიუსმა მერმე მექრთამეობასაც მიჰყო ხელი. როცა იგი ნუმიდიის მეფე იუგურთასთან ელჩად გაგზავნეს, ამ მეფისაგან ფული მიიღო ქრთამად. მექრთამეობისათვის ოპიმიუსი გაასამართლეს და სასტიკად შეარცხვინეს. პატივაყრილი დაბერდა იგი საყოველთაო ზიზღსა და კიცხვაში.

რომაელი ხალხი ოპიმიუსის წყალობით გაჩაღებული ხოცვა-ჟლეტის ჟამს სასოწარკვეთილი და ხელებშებორკილი იყო, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ მან დაუბრკოლებლივ გამოამჟღავნა, თუ როგორ უსაზღვროდ განიცდიდა გრაკხუსთა სიკვდილს. დახოცილ ძმებს ქანდაკებები გაუკეთეს და საჯარო ადგილზე დადგეს; ის ადგილები კი, სადაც ტიბერიუსი და გაიუსი დახოცეს, წმინდა ადგილებად აღიარეს. რომაელ ხალხს აქ შესაწირავად მოჰქონდა წლის დროთა ყველა ის პირველი ნაყოფი, რასაც დედამიწა იძლევა. მოქალაქენი მრავლად მოდიოდნენ ხოლმე ამ ადგილებთან, ვით ღმერთთა ტაძრებთან, სწირავდნენ მსხვერპლს და პირქვე ემხობოდნენ.

19. კორნელიამ, როგორც გადმოგვცემენ, ეს მეორე უბედურებაც

დიდი სულგრძელობით გადაიტანა. იმ წმინდა ადგილთა შესახებ, სადაც მისი შვილები დახოცეს, ასე თქვა თურმე: „ჩემს შვილებს ღირსეული საფლავები აქვთო“.

ტიბერიუსისა და გაიუსის სიკვდილის შემდეგ კორნელია ეგრეთ წოდებულ მიზენუმის[13] მახლობლად ცხოვრობდა და ცხოვრების ჩვეული ნირი ოდნავადაც არ შეუცვლია. მას მრავალი მეგობარი ჰყავდა და ისეთი სტუმართმოყვარე იყო, რომ პურმარილი ყველასათვის მზად ჰქონდა. მასთან ხშირად იყვნენ ბერძნები და სწავლული კაცები. სხვადასხვა ქვეყნის მეფენი საჩუქრებს უგზავნიდნენ და, თავის მხრივ, ისიც სამაგიეროს უხდიდა. კორნელია მეტად სასიამოვნოდ უყვებოდა ხოლმე სტუმრებსა და შინაურებს თავისი მამის — სციპიონ აფრიკელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბებს. ყველაზე უფრო დიდ გაკვირვებას კი კორნელია მაშინ იწვევდა, როცა სრულიად უდარდელად მოიგონებდა ხოლმე საკუთარი შვილების საგმირო საქმეებსა და დაღუპვას. ისე ჩანდა, თითქოს ვიღაც ძველისძველ დროში მცხოვრებ პირთა ამბებს უყვებოდა მსმენელთ. აი, ამიტომ ეგონათ ზოგიერთებს: სიბერისაგან კორნელიამ ჭკუა-გონება დაკარგა და აუწერელ უბედურებათა მიზეზით გრძნობები დაუჩლუნგდაო. სინამდვილეში კი თვითონ ისინი იყვნენ გრძნობადაჩლუნგებულნი, რომელთაც ასე ეგონათ. მათ არ ესმოდათ, თუ რაოდენ მხნეობას აძლევს ადამიანს თანდაყოლილი კეთილი თვისებები და კარგი აღზრდა. არ ესმოდათ, რომ გასაჭირის ჟამს ბედი ხშირად მძლავრობს ხოლმე სიკეთეზე, მაგრამ ამავე ბედს სრულიად არ ძალუძს მწუხარების დიდსულოვნად გადატანის უნარი წაართვას სიკეთეს თუნდაც უსაზღვრო უბედურების დროს.

# ციცერონი

1. გადმოცემის თანახმად, ციცერონის დედა, ჰელვია, კეთილშობილი ქალი იყო და პატიოსან ცხოვრებას ეწეოდა; მამის თაობაზე კი სარწმუნო იმთავითვე არაფერი იცოდნენ. ზოგიერთთა მიხედვით იგი სადღაც სამღებრო სახელოსნოში დაბადებულა და იქვე გაზრდილა, სხვები კი მას ვოლსკების სახელოვანი მეფის, რომაელთა წინააღმდეგ მამაცი მებრძოლის ტულიუს ატიუსის შთამომავლად თვლიან [1]. ასეა თუ ისე, მის გვარეულობაში პირველი კაცი, ვინც ციცერონად იწოდა, ეტყობა, საკმაოდ სახელმოხვეჭილი ვინმე იყო. ეს იქიდან ჩანს, რომ მისმა ჩამომავლებმა შერქმეული მეტსახელი თავიდან კი არ მოიცილეს, არამედ სიყვარულით შეითვისეს, თუმღაცა ბევრს ის სასაცილოდ ჰქონდა აგდებული. საქმე ისაა, რომ „ციცერონს“ ლათინები ცერცვს ეძახიან; პირველ ციცერონს თურმე ცხვირის წვერზე ცერცვის ნაჩვრეტის მსგავსი პაწაწა ნაპობი ჰქონია და მეტსახელიც აქედან მიუღია [2].

იმ ციცერონს, ვისზედაც ჩვენ ახლა ვწერთ, როცა მან პოლიტიკურ ასპარეზზე შედგა ფეხი და თანამდებობისაკენ სწრაფვა დაიწყო, მეგობრებმა ურჩიეს ძველი მეტსახელი თავიდან მოეცილებინა და ახლით შეეცვალა; მაგრამ მან ახალგაზრდული სიამაყით დაიკვეხა თურმე: ყოველნაირად ვეცდები ციცერონის სახელი სკავრუსებისა და კატულუსების სახელებზე უფრო სანაქებო გავხადოო [3].

სიცილიაში კვესტორად ყოფნის ჟამს ციცერონმა ღმერთებს ერთი ვერცხლის ნივთი შესწირა და ზედ თავის სახელთაგან მხოლოდ პირველი ორი — მარკუსი და ტულიუსი დააწერა; მათ გვერდით კი მესამე სახელის ნაცვლად ოსტატს ხუმრობით ცერცვი ამოაჭრევინა. აი ის, რასაც მისი სახელის შესახებ მოგვითხრობენ.

2. ამბობენ, ჰელვიამ ადვილად და სრულიად უმტკივნეულოდ იმ-

შობიარა ციცერონზეო. მომხდარა ეს ახალი კალენდების მესამე დღეს [4]; ამ დღეს თანამდებობის პირნი ახალი იმპერატორის კეთილდღეობისათვის აღთქმას სდებენ და მსხვერპლს სწირავენ. ციცერონის ძიძას იმხანად რაღაც აჩრდილი გამოეცხადა თურმე და უთხრა: შენ ძუძუს აწოვებ მას, ვინც რომაელთათვის დიდად სასარგებლო კაცი იქნებაო. მართალია, ეს მაშინ სიზმრად ნახულ და მოჩმახულ ამბად მიიჩნიეს, მაგრამ ციცერონმა მალე დაამტკიცა ასეთი წინასწარმეტყველების ჭეშმარიტება; როცა სასკოლო ასაკს მიაღწია, მეტად ბრწყინვალე ნიჭი გამოიჩინა და ისეთი სახელი და პატივი მოიხვეჭა ბავშვებში, რომ მამები ხშირად დადიოდნენ ხოლმე სკოლაში, რათა საკუთარი თვალით ენახათ ციცერონი და დარწმუნებულიყვნენ მის სახელგანთქმულ სწრაფი ათვისების უნარსა და საზრიანობაში, რასაც იგი მეცნიერებათა მიმართ იჩენდა. ზოგ-ზოგი მამები კი, რომლებიც უფრო გაუნათლებელნი იყვნენ, სასტიკად კიცხავდნენ თავიანთ შვილებს, როდესაც ხედავდნენ, რომ ისინი პატივისცემით ეკიდებოდნენ ციცერონს და ქუჩაში სიარულის დროს შუაში იყენებდნენ.

ციცერონი, როგორც ამას პლატონი მოითხოვს ბუნებით ცოდნისმოყვარე და ფილოსოფიისადმი მიდრეკილი კაცისაგან [5], დიდ თაყვანს სცემდა ყოველგვარ მეცნიერებას. იგი ცოდნისა და საგანმანათლებლო მოძღვრების არც ერთ სახეს არ ეკიდებოდა უპატივცემლოდ, მაგრამ ყველაზე უფრო მეტი ხალისით მაინც პოეზიისაკენ მიისწრაფოდა [6]. ჩვენამდე მოღწეულია ტეტრამეტრებით შეთხზული მისი ყრმობისჟამინდელი ერთი პატარა პოემა „პონტიუს გლავკუსი“ [7]. დროთა ვითარებაში ციცერონი წარმატებით ეუფლებოდა პოეტური ხელოვნების მრავალფეროვან დარგს და სახელი მოიხვეჭა არა მარტო როგორც ორატორმა, არამედ როგორც ერთ-ერთმა საუკეთესო პოეტმაც რომაელთა შორის; მაგრამ მისი სახელი, როგორც შესანიშნავი ორატორისა, მჭევრმეტყველებაში შემოჭრილ სიახლეთა მიუხედავად, დღესაც ისევე ძლიერია, მისი პოეტური შემოქმედება კი შემდეგდროინდელ ნიჭიერ პოეტთა ხელოვნების წყალობით პატივმოკლებულ იქნა და უსახელოდ დაიფერფლა.

3. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ციცერონი უსმენდა აკადემიკოს ფილონს [8], რომელსაც კლიტომაქეს მიმდევართა შორის ყველაზე მეტ პატივს სცემდნენ რომაელები შესანიშნავი მჭევრმეტყველების გამო და, გარდა ამისა, უყვარდათ კიდეც კარგი ხასიათი-

სათვის. ამავე ხანებში ციცერონი მჭიდროდ დაუკავშირდა მუციუსსა[9] და მის მეგობრებს, რომელთაც სახელი ჰქონდათ განთქმული პოლიტიკური მოღვაწეობით და სენატშიც პირველობდნენ. ამათი წყალობით მან საფუძვლიანად შეისწავლა რომის კანონები. ერთხანს ციცერონი სამხედრო მოღვაწეობასაც ეწეოდა სულას ხელმძღვანელობით მარსების ომში[10]; მაგრამ მერმე, რა დაინახა, რესპუბლიკა თანდათანობით შინაომისაკენ მიისწრაფოდა და ამის წყალობით შეუზღუდავ მონარქიას უახლოვდებოდა, მშვიდ, მეცნიერულ ცხოვრებას მიეცა. იგი დაუახლოვდა ბერძენ სწავლულებს და მეცნიერებას ეწაფებოდა მანამ, სანამ სულამ არ გაიმარჯვა და რომის სახელმწიფომ ერთგვარი სიმშვიდე არ მოიპოვა.

სწორედ ამ ხანებში სულამ საჯარო ვაჭრობა გამოაცხადა პროსკრიპციათა ძალით მოკლული ერთი პიროვნების ქონებაზე. ეს ქონება ორი ათას დრაქმად შეისყიდა სულას აზატმა ქრიზოგენემ. მოკლულის შვილმა და მემკვიდრემ როსციუსმა აღშფოთებით დაიწყო მტკიცება: მამაჩემის ქონება ორას ორმოცდაათ ტალანტად ფასობსო. უსამართლობაში მხილებული სულა განრისხდა და ქრიზოგენეს შეგონებით აღძრა საქმე როსციუსის, ვითარც მამისმკვლელის, წინააღმდეგ. სულას სისასტიკის შიშით როსციუსს ვერავინ ეხმარებოდა; ის კი ათა, ყველამ ზურგი შეაქცია. მარტოდმარტო დარჩენილმა ყმაწვილმა კაცმა შემწეობისათვის ციცერონს მიმართა. ციცერონი მაშინ მეგობრებმა წააქეზეს: ამაზე უფრო ბრწყინვალე და მშვენიერი დასაწყისი სახელის მოსახვეჭად სხვა არაფერი შეიძლება იყოსო.

ციცერონმა მართლაც იკისრა როსციუსის დაცვა და საოცარი წარმატებაც მოიპოვა[11], მაგრამ სულას შიშით რომი დატოვა და საბერძნეთში გაემგზავრა; წინასწარ კი ხმა დაყარა: შეუძლოდ ვარ, მკურნალობა მესაჭიროებაო. აგებულებით იგი მართლაც სუსტი, გამხდარი კაცი იყო; თანაც კუჭის ტკივილის გამო ფრიად მცირე, მსუბუქ საკვებს ღებულობდა და ამასაც მხოლოდ დღის მიწურულში. ხმა მეტად ძლიერი და კარგი ჰქონდა, მაგრამ ტლანქი და დაუხვეწელი. მეზნებარე, დაძაბული სიტყვის წარმოთქმისას მუდამ ისე მაღლა აუწევდა ხმას, რომ მის ჯანმრთელობას ეს ერთგვარ საფრთხეს უქმნიდა.

4. ჩავიდა თუ არა ათენში, ციცერონმა მაშინვე მოუსმინა ანტიოქე ისკალონელს. იგი მოხიბლული დარჩა ანტიოქეს მდიდარი და მოხდე-

ნილი მჭევრმეტყველებით, მაგრამ არ მოეწონა ის სიახლე, რომელიც მას ფილოსოფიაში შეჰქონდა. საქმე ის იყო, რომ ანტიოქე მაშინ უკვე განუდგა ეგრეთ წოდებულ ახალ აკადემიას და დაუპირისპირდა კარნეადეს სკოლას. იგი ასე ან იმიტომ მოიქცა, რომ შემეცნების საკითხში შეგრძნებათა მიერ ცხადი აღქმა აღიარა, ანდა, როგორც ზოგიერთი ამბობს, ერთგვარი პატივმოყვარეობისა და კლიტომაქესა და ფილონის მიმდევრებთან უთანხმოების გამო თვალსაზრისი გამოიცვალა და უმეტეს წილად სტოელთა მოძღვრებას მიემხრო [12]. ციცერონი კი გატაცებული იყო ახალი აკადემიის მოძღვრებით და მთელი ყურადღება იქითკენ ჰქონდა მიმართული. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მოღვაწეობას ჩამოშორდებოდა, განზრახული ჰქონდა გასცლოდა ფორუმსა და პოლიტიკას და თავისი ცხოვრება მშვიდად გაეტარებინა ათენში ფილოსოფიის სამსახურში.

მაგრამ ციცერონს მალე სულას სიკვდილი ეუწყა. ამ დროს ვარჯიშობის წყალობით სხეული უკვე გაუკაჟდა და თანდათანობით გამოჯანსაღდა, როგორც ახალგაზრდა კაცს შეშვენის. ხმაც დაეხვეწა, აევსო, სასმენად საამო გაუხდა და მისი სხეულის აღნაგობას შეუხამატკბილდა. მეგობრები ხშირ-ხშირად სწერდნენ წერილებს რომიდან. ჩქარა ჩამოდიო, და ანტიოქეც აქეზებდა: დროა, სახელმწიფო მოღვაწეობას მოჰკიდო ხელიო. მაშინ ციცერონი კვლავ შეუდგა საკუთარი მჭევრმეტყველების, როგორც აუცილებელი იარაღის, გალესვას. იგი ავითარებდა თავის პოლიტიკურ ნიჭს; თვითონაც იწაფებოდა სიტყვების წარმოთქმაში და სახელგანთქმულ ორატორთა მოსასმენადაც დადიოდა.

აი, ამისათვის გაემგზავრა იგი აზიაში და როდოსზე. აზიელ ორატორთაგან ციცერონი სწავლობდა ქსენოკლე ადრამიტიონელთან, დიონისიოს მაგნესიელთან და მენიპე კარიელთან, ხოლო როდოსზე მოლონის ძეს აპოლონიოსს და ფილოსოფოს პოსიდონიოსს უსმენდა [13].

ამბობენ, აპოლონიოსმა, რომელმაც ლათინური ენა არ იცოდა, ციცერონს სთხოვა სავარჯიშო სიტყვა ბერძნულად წარმოეთქვა; ციცერონი ხალისით დაეთანხმა, რადგან ფიქრობდა, აპოლონიოსი შეცდომებს ასე უკეთ გამისწორებსო. როცა ციცერონმა სანიმუშო სიტყვა წარმოთქვა, დამსწრენი აღფრთოვანდნენ და ორატორის ქებაში ერთმანეთს შეეჯიბრნენ; აპოლონიოსს კი სიტყვის მოსმენის დროს არავითარი სიხარული არ გამოუმჟღავნებია. ხოლო როცა ციცერონმა

ლაპარაკი დაამთავრა, საკმაოდ დიდხანს იჯდა დაფიქრებული: ციცერონს ეს ეწყინა. მაშინ აპოლონიოსმა ასე მიმართა: „მე, ციცერონო, გაოცებული ვარ შენი ხელოვნებით და გაქებ კიდევაც, მაგრამ ელადის ბედს დავტირი; აშკარად ვხედავ, რომ შენი წყალობით რომაელთა ხელში გადადის განათლება და მჭევრმეტყველებაც, ეს ერთადერთი უპირატესობა, რაც დღესდღეობით მრავალ მშვენიერებათაგან შემოგვრჩა“.

5. იმედებით აღსავსე ციცერონი პოლიტიკური ასპარეზისაკენ მიისწრაფოდა, მაგრამ ერთმა მისნობამ მის აღტაცებას ფრთა მოაკვეცა. როცა იგი დელფოში ღვთაებას დაეკითხა, როგორ გამხდარიყო ყველაზე უფრო სახელოვანი, პითიამ ურჩია ცხოვრებაში წინამძღოლად გაეხადა არა ხალხის აზრი მასზე, არამედ საკუთარი ბუნებრივი მიდრეკილება.

პირველ ხანებში რომში დაბრუნების შემდეგ ციცერონი მეტისმეტი სიფრთხილით იქცეოდა და თანამდებობის მოპოვების საქმეს ზანტად ეკიდებოდა. ამიტომ მასაც აგდებით ეპყრობოდნენ და ხშირადაც ესმოდა ხოლმე მის მიმართ რომაელ მდაბიოთა შორის გავრცელებული და გაცვეთილი სიტყვები — „ბერძენი სქოლასტიკოსიაო“. მცირე ხნის შემდეგ მამისა და მეგობრების წაქეზებით ბუნებით პატივმოყვარე ციცერონი მთლიანად მიეცა საველილო მოღვაწეობას და პირველობაც მოიპოვა, მაგრამ თანდათანობით კი არა, არამედ სწრაფად და ბევრად აჯობა მათ, ვინც სახალხო მოედნებზე სასამართლო მჭევრმეტყველებით იქცევდნენ თავს.

ამბობენ, ციცერონს დემოსთენეზე ცოტა ნაკლი როდი ჰქონდა, მაგრამ ამ ნაკლის გამოსასწორებლად ბეჯითად მეცადინეობდა კომიკოს როსციუსთან და ტრაგიკოს ეზოპუსთან. ამ ეზოპუსზე გადმოგვცემენ შემდეგს: ერთხელ იგი თეატრში ასახიერებდა ატრევსს, რომელსაც განზრახული ჰქონდა შური ეძია თიესტეზე; სწორედ იმ დროს, როცა განცდების წყალობით მეტისმეტად აღგზნებული იყო, მის წინ გაირბინა ერთმა მსახიობთაგანმა; ეზოპუსმა მას კვერთხი დაჰკრა თურმე და იქვე სული გააფრთხობინა [14].

მომხიბლავი მეტყველება დიდ დახმარებას უწევდა ციცერონს მსმენელის დასარწმუნებლად. იმ ორატორებს, რომლებიც ლაპარაკში ხმამაღალი ყვირილით ცდილობდნენ ფონს გასვლას, ციცერონი დასცინოდა და ამბობდა: ეს მჭევრმეტყველები უძლურების გამო

ისეეე გადიან ფონს ყვირილით, ეით კოჭლები ცხენზე ამხედრებითო, სიტყვაჭახრაკობა და მოსწრებული ხუმრობა მის საეექილო მოღვაწეობას გონებამახვილურსა და მოხდენილს აჩენდა; მაგრამ დაცინვას საკმაოდ ხშირად მიმართავდა და ამ ვზით მრავალ პიროვნებას გესლავდა; სამაგიეროდ ავი კაცის სახელსაც იძენდა.

6. მოუსავლიანობის დროს ციცერონი დანიშნეს კვესტორად; მას წილად ხვდა სიცილია. დასაწყისში იგი არ მოსწონდა მის მიერ შევიწროებულ მოსახლეობას, რომელსაც იძულებით აგზავნინებდა პურს რომში. მერმე კი, როცა გამოსცადეს მისი მზრუნველობა, სამართლიანობა და უწყინარი ხასიათი, ისეთი პატივისცემით ეკიდებოდნენ, როგორიც არასოდეს არ ღირსებია სხვა ვინმე თანამდებობის პირს [15].

სწორედ იმ ხანებში სიცილიის პრეტორთან გასასამართლებლად გამოგზავნეს წარჩინებული წარმოშობის რამდენიმე ახალგაზრდა კაცი, რომელთაც ბრალად ედებოდათ ომში წესრიგის დარღვევა და სიმხდალე, ციცერონმა ისინი ჩინებულად დაიცვა და სასჯელს გადაარჩინა [16].

ასეთი წარმატებებით გაამაყებულ ციცერონს რომში დაბრუნების ჟამს, როგორც თვითონ ამბობს, ერთი სასაცილო საქმე დაემართა. კამპანიაში [17] იგი გზად შეხვდა ერთ წარჩინებულ რომაელს, რომელსაც მეგობრად თვლიდა. ციცერონმა, დარწმუნებულმა, ჩემი სახელი და ჩემთა საქმეთა დიდება მთელ ქალაქს ეექნება მოდებულიო, ამ კაცს ჰკითხა: რას ფიქრობენ და რას ამბობენ რომაელები ჩემი მოღვაწეობის შესახებო? „კი მაგრამ, — უპასუხა რომაელმა, — შენ სად იყავი, ციცერონო, ამ ხნის განმავლობაშიო?“ ამ შემთხვევამ ციცერონს სასო წარუკვეთა; მიხვდა, მის სახელს ვერავითარი დიდება ვერ მოეტანა მისთვის და ისე ჩანთქმულიყო რომში, ვით უსაზღვრო ზღვაში. შემდეგ ხანებში წინდახედულად იქცეოდა; თავის ყოყოჩობას ფრთა შეაკვეცა და დარწმუნდა, რომ დიდება, რომლისკენაც მიისწრაფოდა, მეტად უსაზღვრო და მიუწვდომელი რამ იყო. მიუხედავად ამისა, სიცოცხლის ბოლომდე შემორჩა ხოტბის დიდი სიყვარული და დიდებისადმი შეუკავებელი ლტოლვა; ეს მის გონივრულ მსჯელობას ხშირად ამღვრევდა ხოლმე.

7. სახელმწიფო მოღვაწეობას ციცერონი მთელი გულმოდგინებით შეუდგა. სამარცხვინოდ მიაჩნდა ისეთი პოლიტიკოსი, ვინც, ას-

რულებდა რა საზოგადოებრივ სამსახურს ადამიანთა შემწეობით, თავის მოქალაქეთა გაცნობის საქმეს დაუდევრად და გულგრილად ეკიდებოდა. ყოველმა ხელოსანმა, — ამბობდა ციცერონი, — რომელიც უსულო იარაღებით მუშაობს, იცის თითოეული იარაღის სახელი, ადგილი და დანიშნულებაო. აი, ამიტომ იყო, რომ ციცერონმა ჩვეულებისამებრ ყოველთვის იცოდა არა მარტო სახელი იმ პირთა, ვისთანაც საქმე აკავშირებდა, არამედ ისიც, თუ სად ცხოვრობდა თითოეული მათგანი, რომელი ადგილ-მამულის პატრონი იყო, ვინ იყვნენ მავანი და მავანი პირის ახლო მეზობლები და მეგობრები. როცა იტალიაში მოგზაურობდა ხოლმე, ადვილად შეეძლო ყოველ კუთხეში დაესახელებინა და ეჩვენებინა თავისი მეგობრების მამულები და საცხოვრებელი კარ-მიდამოები.

მცირეოდენი, მაგრამ ხარჯებისათვის ასე თუ ისე საკმაო ქონების პატრონი ციცერონი საერთო გაკვირვებას იწვევდა იმით, რომ დასაცავ სიტყვაში არც გასამრჯელოს და არც ქრთამს არ იღებდა. მისი უანგარო ხასიათი განსაკუთრებით მაშინ გამომჟღავნდა, როცა ვერესის წინააღმდეგ მიმართული საქმის წარმოება იკისრა. ეს ვერესი სიცილიის პრეტორად იყო და იქ მრავალი უსამართლობა ჩაიდინა. სიცილიელებმა მის წინააღმდეგ საქმე აღძრეს, ციცერონმა კი ვერესისათვის მსჯავრის დადებას მიაღწია არა საბრალდებო სიტყვის წარმოთქმით, არამედ ასეთი სიტყვის წარმოუთქმელადაც [18]. ვერესის მფარველმა პრეტორებმა საქმის გარჩევის განუწყვეტელი გადიდების და განზრახ დაყოვნების წყალობით სასამართლო სხდომა ბოლო დღემდე მიიტანეს. ცხადი იყო, ეს ერთი დღე საბრალდებო სიტყვას არ ეყოფოდა და საქმის გარჩევაც ვერ დამთავრდებოდა. ციცერონი ადგილიდან წამოდგა და განაცხადა, რომ სიტყვა არ სჭირდებოდა. მან მხოლოდ მოწმეები გამოიყვანა, საჭირო დასკვნები მიიღო და მსაჯულებს მოსთხოვა განაჩენი გამოეტანათ.

გადმოცემა კი ამბობს, სასამართლოს იმ სხდომაზე ციცერონმა მრავალი მოსწრებული სიტყვა თქვაო. რომაელთა ენაზე „ვერესი“ ნიშნავს „დაკოდილ ღორს“. როცა ერთმა გააზატებულმა კაცმა, სახელად ცეცილიუსმა, ვისაც ებრაელობას სწამებდნენ, სიცილიელთა ჩაჩუმება და ვერესის ბრალმდებლად მარტოდმარტო გამოსვლა დაეპირა, ციცერონმა იკითხა: „რა საქმე აქვს ებრაელს ღორთანო?“ [19]

ვერესს ერთი მოსწრებული ვაჟი ჰყავდა, გარყვნილებით კარგად

ცნობილი; როცა ვერესი ციცერონს კიცხავდა, ზნედაცემული ხარო, ამან მიუგო: „ასეთი საყვედური საკუთარ შვილებს უნდა უთხრა გამოკეტილ ოთახშიო“.

ორატორმა ჰორტენზიუსმა ვერესის აშკარა დაცვა ვერ გაბედა, მაგრამ დაიყოლიეს, რომ მსჯავრის დადებას დასწრებოდა, რისთვისაც ჯილდოდ სპილოს ძვლისაგან ნაკეთები სფინქსი მიიღო. ციცერონმა მას რამდენიმე დახლართული შეკითხვა მისცა; ჰორტენზიუსმა უპასუხოგამოცანების ახსნაში გამოუცდელი ვარო; „კი მაგრამ, — უთხრა ციცერონმა, — სფინქსი რისთვისღა გყავს სახლშიო!“ [20]

8. ვერესი დასაჯეს. ციცერონმა მას შვიდას ორმოცდაათი ათასი დრაქმის გადახდა გადაუწყვიტა სასჯელად. ციცერონს ცილი დასწამეს: ფული აიღო და ვერესს ჯარიმის თანხა შეუმცირაო [21]. ასეთი ცილისწამების მიუხედავად, როცა ციცერონი ედილი გახდა, მადლიერების გრძნობით აღსავსე სიცილიელებმა თავიანთი კუნძულიდან დიდძალი სურსათი ჩამოუტანეს და მიართვეს. იგი ამ საჩუქარს არ დახარბდა და სიცილიელთა ხელგაშლილობა მხოლოდ და მხოლოდ სურსათზე ფასების დასაწევად გამოიყენა.

ციცერონს ჰქონდა მშვენიერი აგარაკი არიპინუმში და ორი პატარა მამული: ერთი ნეაპოლთან და ერთიც პომპეის მახლობლად [22]. ამას ემატებოდა მისი ცოლის ტერენციას მზითევი — ას ოცი ათასი დინარი და კიდევ რომელიღაც მემკვიდრეობით მიღებული თანხა, რაც ოთხმოცდაათ ათასამდე დინარს შეადგენდა.

ამ შეძლებით იგი კარგად და თანაც თავდაჭერილად ცხოვრობდა ბერძენ და რომაელ სწავლულთა საზოგადოებაში. მზის ჩასვლამდე სუფრას თითქმის არასდროს არ მიუჯდებოდა; ამის მიზეზი მოუცლელობა როდი იყო; კუჭის ტკივილები აწუხებდა და ჯანმრთელობას უფრთხილდებოდა. საკუთარ თავს მეტისმეტად უვლიდა. სხეულის დაზელას და სეირნობას იმთავითვე განსაზღვრულ დროს ანდომებდა. ასეთი ხერხით სხეული ისე გამოიწრთო, რომ სრულიად საღი და ყოველგვარი ბრძოლისა და ჯაფის ამტანი გახადა.

მამისეული სახლი ციცერონმა ძმას დაუთმო, თვითონ კი პალატიუმის მახლობლად დაიდო ბინა, რათა ისინი, ვისაც მისი სამსახური სჭირდებოდა, შორს სიარულით არ შეწუხებულიყვნენ [23]. ციცერონის კარებთან კი ყოველდღე მრავლად მოდიოდნენ ხოლმე მისი თაყვანისმცემელნი, რომელთა რიცხვი იმათზე ნაკლები როდი იყო, ვინც დიდი

მოწიწებით სცემდა თაყვანს რომაელთა შორის უდიდეს ვაჟკაცებს: კრასუსს — სიმდიდრისათვის და პომპეუსს — ლაშქრობებში მოხვეჭილი ძლიერებისათვის. თვითონ პომპეუსიც მოკრძალებული პატივით ეკიდებოდა ციცერონს, რომლის პოლიტიკური მოღვაწეობა მუდამ უწყობდა ხელს მისი ძალისა და სახელის ზრდას.

9. პრეტორობისათვის ციცერონთან ერთად მრავალი წარჩინებული პირი იბრძოდა, მაგრამ ამ თანამდებობაზე ყველაზე უწინარეს სწორედ იგი აირჩიეს [24]. სასამართლო საქმეებს ციცერონი, როგორც ჩანდა, ყოველთვის მიუკერძოებლად და გონივრულად არჩევდა ხოლმე.

გადმოცემით, ციცერონის მიერ გამომძალველობისათვის სამართალში მიცემულ იქნა ლიციინიუს მაცერი, კაცი, რომელიც თვითონაც დიდი გავლენით სარგებლობდა რომში და თანაც კრასუსი მფარველობდა [25]. სწორედ იმ დროს, როცა მოსამართლეები განაჩენს კენჭს უყრიდნენ, საკუთარი ძალითა და სხვისი მფარველობით დაიმედებულმა მაცერმა სხდომა დატოვა, სახლში დაბრუნდა, სასწრაფოდ გაიკრიჭა თავი, მერმე, აქაოდა გამარჯვებული ვარო, თეთრ სამოსში გამოეწყო და კვლავ ფორუმისაკენ გასწია [26]; ეზოში მას კრასუსი შემოხვდა და აუწყა: კენჭისყრის შედეგად ერთხმად გაგამტყუნესო; მაშინ მაცერი შინ შებრუნდა, საწოლზე წამოწვა და სიცოცხლეს გამოეთხოვა. ამ საქმემ დიდი სახელი მოუპოვა ციცერონს, როგორც შეუპოვარ და სამართლიან მსაჯულს გადაწყვეტილების გამოტანაში.

უხეში ხასიათის კაცს ვატინიუსს, რომელიც თავის დასაცავ თავხედურ სიტყვებში აგდებით იხსენებდა მსაჯულებს, ჩიყვით გამობერილი კისერი ჰქონდა. ერთხელ იგი ციცერონთან მივიდა და რაღაც სთხოვა. ციცერონმა პასუხი არ მისცა, საკმაოდ დიდხანს ფიქრობდა. მაშინ ვატინიუსმა უთხრა: მე რომ პრეტორი ვიყო, ამაზე ასე არ ვიყოყმანებდიო; „საქმე ისაა, — მიუგო ციცერონმა, — რომ შენსავით სქელი კისერი არა მაქვსო“ [27].

პრეტორობის ორი თუ სამი დღეღა ჰქონდა დარჩენილი ციცერონს, როცა წარუდგინეს მექრთამეობაში ბრალდებული მანილიუსი [28]. ხალხის კეთილგანწყობილება და მფარველობა ამ მანილიუსის მხარეზე იყო, რადგან ყველას ეგონა, რომ პომპეუსის გულისათვის სდევნიდნენ; მანილიუსი კი პომპეუსის მეგობარი იყო. ბრალდებულმა რამდენიმე დღით საქმის გარჩევის გადადება მოითხოვა; ციცერონ-

მა მხოლოდ ერთი დღით გადაუდო. ხალხი ამაზე საშინლად აღშფოთდა: პრეტორები ბრალდებულებს სულ ცოტა ათი დღის ვადას მაინც აძლევდნენ ხოლმე ყოველთვის. სახალხო ტრიბუნებმა ციცერონი კათედრაზე აიყვანეს და ყრილობის წინაშე ბრალი დასდეს. ციცერონმა სიტყვა მოითხოვა და თქვა: „მე, რამდენადაც კი კანონები უფლებას მაძლევდა, ყოველთვის ლმობიერად და კაცთმოყვარულად ვექცეოდი ბრალდებულთ და დიდ უსამართლობას ჩავიდენდი, თუ ამგვარადვე არ მოვეპყრობოდი მანილიუსს; რაკი პრეტორის უფლებით სარგებლობისათვის მხოლოდ ერთი დღე დამრჩა, მანილიუსის საქმის გასარჩევად, განგებ ეს ერთადერთი დღეღა მივიჩნიე საკმაოდ; ეს საქმე რომ გასარჩევად სხვა პრეტორს დავუტოვო, სწორედ ეს იქნება იმისი ნიშანი, რომ მანილიუსისათვის დახმარების გაწევა არ მინდა“: ამ სიტყვამ ხალხში დიდი გარდატეხა მოახდინა. ციცერონი ჭეშმარიტ-დიდებით აავსეს და სთხოვეს მანილიუსის დაცვა ეკისრა. იგი ხალისით დათანხმდა, როგორც ჩანს, პომპეუსის ხათრით, რომელიც იმხანად რომში არ იმყოფებოდა. ციცერონმა საფუძვლიანად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, კვლავ გამოვიდა სიტყვით ხალხის წინაშე და დიდი სიმამაცით გაილაშქრა ოლიგარქიული პარტიის მომხრეთა და პომპეუსის მტრების წინააღმდეგ.

10. კონსულად იგი აღზევებულ იქნა რესპუბლიკის საკეთილდღეოდ როგორც მდაბიო ხალხის, ისე არისტოკრატიის დახმარებით[39]. ამათი მხარის დაჭერა ციცერონისათვის შემდეგი მიზეზით აიხსნება: სულას მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების შედეგი დასაწყისში მეტად უცნაური ჩანდა: მაგრამ დრომ და მიჩვევამ ერთგვარი სიმყარე მიანიჭა ახალ წესრიგს და საზოგადოების თვალში ასატანიც გახადა. მაგრამ გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც მიისწრაფოდნენ შეერყიათ და შეეცვალათ არსებული სახელმწიფო წყობილება არა საერთო კეთილდღეობისათვის, არამედ პირადი ანგარების მიზნით. პომპეუსი მაშინ ჯერ კიდევ პონტოსა და სომხეთში ომობდა იქაურ მეფეებთან და რომში არ მოიპოვებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ძალა, რომელიც სახელმწიფო გადატრიალების მოსურნეთ დაუპირისპირდებოდა.

შეთაურად მათ ჰყავდათ ლუციუს კატილინა, კაცი მამაცი, დიდ საქმეთა ხელმიმყოფელი და მეტად ძლიერი, რომელსაც სხვა მრავალ დანაშაულთან ერთად თავის დროზე ბრალად ედებოდა საკუთარ გაუთხოვარ ქალიშვილთან ცხოვრება და ძმის მკვლელობა. კატილინამ იმის შიშით, ჩადენილი მკვლელობისათვის სამართალში არ მიმ-

ცენო, მოკლული ძმა, ვითომც ცოცხალი ყოფილიყო, სულას თურმე სიკვდილით დასასჯელთა სიაში შეატანინა.

კაიხადეს რა კატილინა ხელმძღვანელად, ბოროტმოქმედებმა ერთმანეთს ერთგულების მრავალი ფიცი მისცეს, რაც იმით განამტკიცეს, რომ ადამიანი დაკლეს და მისი ხორცი იგემეს [50].

კატილინამ ქალაქის ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი გარყვნა; იგი განუწყვეტლივ უწყობდა ახალგაზრდებს სხვადასხვა ღრეობებს, მოჰყავდა ქალები და ამისთვის საჭირო ხარჯს დიდი სიუხვით სწევდა.

ამბოხებისათვის მზად იყო მთელი ეტრურია და ამიერალპების გალიის უდიდესი ნაწილი. ქონებრივი უთანასწორობის გამო რომი გადატრიალების საშიშროების წინაშე იდგა; ყველაზე უფრო სახელოვანნი და კეთილშობილნი თეატრებსა და წვეულებებზე, თანამდებობათა მოპოვებასა და მშენებლობებზე გაწეული ხარჯების შედეგად გალატაკდნენ; მათი სიმდიდრე უგვარო და უგვანო ხალხის ხელში გადავიდა; საკმარისი იყო ერთი პატარა ბიძგი და ყოველ თავზეხელაღებულს შეეძლო დაემხო რესპუბლიკა, რომელიც მისდათავად მძიმე სენით იყო შეპყრობილი.

11. ასეთ ვითარებაში, წინასწარ მტკიცე დასაყრდენის მოპოვების მიზნით, კატილინამ კონსულობისაკენ სწრაფვა დაიწყო. იგი დიდ იმედებს ამყარებდა იმაზე, რომ გაიუს ანტონიუსთან ერთად იქნებოდა კონსულად. ანტონიუსი ისეთი კაცი გახლდათ, რომელსაც დამოუკიდებლად არც კარგი და არც ცუდი საქმის მეთაურობის უნარი არ ჰქონდა, მაგრამ სხვისი ხელმძღვანელობით შეიძლებოდა მნიშვნელოვან დამხმარე ძალად გადაქცეულიყო. საზოგადოების საუკეთესო და სანატიო ნაწილმა წინასწარ იგრძნო ეს და კონსულად ციცერონი წამოაყენა. ხალხმა აღფრთოვანებით დაუჭირა მხარი მას. კატილინა დამარცხდა. კონსულებად ციცერონი და გაიუს ანტონიუსი აირჩიეს; აქვე უნდა ითქვას, ასარჩევ პირთაგან მხოლოდ ციცერონი იყო უბრალო მხედრის და არა სენატორის შვილი.

12. კატილინას ზრახვები საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, როცა მომავალი ბრძოლის დიდმა ნიშნებმა უკვე ციცერონის კონსულობის დასაწყისშივე იჩინა თავი. ერთი მხრივ, ისინი, ვისაც სულას კანონებით აკრძალული ჰქონდათ მაგისტრატურების მიღება, — ასეთები კი საკმაოდ ბევრნი და ძლიერნიც იყვნენ, — თანამდებობებს ეძიებდნენ და ხალხის წინაშე პირმოთნეობდნენ; მართა-

ლია, სულას ტირანიას ბევრ რამეში სამართლიანად სდებდნენ ბრალს, მაგრამ არსებული სახელმწიფო წყობილების გადატრიალებას სრულიად უსაფუძვლოდ და შეუფერებელ დროს ლამობდნენ; მეორე მხრივ, სახალხო ტრიბუნებმა იმავე მიზნით წამოაყენეს კანონები განუსაზღვრელი უფლებებით მოსილი ათი კაცის არჩევის თაობაზე. ამათ ნება ეძლეოდათ ემართათ მთელი იტალია, მთელი სირია და პომპეუსის მიერ ახლად შემოერთებული ყველა ქვეყანა; გაეყიდათ საზოგადო ქონება, დაესაჯათ, ვინც სურდათ, გაეძევებინათ არასაიმედონი, დაეარსებინათ ქალაქები, გამოეტანათ ხაზინიდან ფული და შეეგროვებინათ და შეენახათ ჯარი მათი სურვილის შესაბამისი რაოდენობით [31].

ამ კანონს მხარი დაუჭირა ბევრმა წარჩინებულმა პირმა და უწინარეს ყოვლისა ციცერონის თანაკონსულმა ანტონიუსმა იმ იმედით, რომ ათეულში ერთ-ერთი თვითონ იქნებოდა. ეტყობოდა, იცოდა კატილინას სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ზრახვები, მაგრამ ეს სრულებით არ აწუხებდა, ვინაიდან ყელამდე ვალებში იყო ჩაფლული. ეს გარემოება ყველაზე მეტად აშინებდა საუკეთესო მოქალაქეებს.

საფრთხის თავიდან ასაცილებლად ციცერონმა ანტონიუსს საგამგებლოდ უბოძა მაკედონიის პროვინცია, თვითონ კი ხელი აიღო მისთვის განკუთვნილ გალიაზე. ასეთი სამსახურის გაწევით სავსებით დაეუფლა ანტონიუსს და აიძულა იგი, როგორც დაქირავებულ მსახიობს, მეორე როლი ეთამაშა სამშობლოს ხსნის საქმეში. ანტონიუსის გადმობირებისა და მოთვინიერების შემდეგ ციცერონმა კიდევ უფრო მეტი მხნეობით შეუტია გადატრიალების მოსურნეთ. მან სენატში გაილაშქრა ზემოხსენებული კანონის წინააღმდეგ და ისე დააშინა ამ კანონის შემქმნელნი, რომ სიტყვაც ვერ შეუბრუნეს. მცირე ხნის შემდეგ საგანგებოდ მომზადებულმა ტრიბუნებმა კვლავ სცადეს ხელის გამოღება და კონსულები სახალხო კრებაზე მიიწვიეს. ციცერონი სრულიად არ შეუშინდა ამას; თან გაიყოლია სენატი, გამოვიდა ხალხის წინ და არა მარტო წამოყენებული კანონი გააქარწყლა, არამედ ისე დაამარცხა თავისი მჭევრმეტყველებით სახალხო ტრიბუნები, რომ სხვა განზრახვაზეც ააღებინა ხელი [32].

13. ციცერონმა ყველაზე უკეთ უჩვენა რომაელებს, თუ რაოდენი სიამე შეიძლება მოფინოს მჭევრმეტყველებამ მისდათავად მშვენიერ

საქმეს; რომ არ შეიძლება დამარცხდეს სამართლიანობა, თუ მას გამართული სიტყვით იცავენ, რომ სახელმწიფოს გონიერმა მოღვაწემ თავის საქმიანობაში კეთილი მოქმედება ყოველთვის უნდა ამჯობინოს მაამებლობას და წარმოთქმული სიტყვით სასარგებლო გახადოს ის, რაც შეიძლება მწუხარების მომგვრელი აღმოჩნდეს.

ციცერონის მჭევრმეტყველების მომხიბლავი ძალის მაჩვენებელია ის ამბავი, რაც მისი კონსულობის ჟამს მოხდა თეატრის ადგილების გამო. უწინ მხედრები ბრბოსთან ერთად შერეულნი ისხდნენ ხოლმე თეატრში და ისე უცქერდნენ წარმოდგენებს. მარკუს ოთონმა კი, როცა პრეტორად იყო, პირველმა გამოჰყო მხედრები დანარჩენ მოქალაქეთაგან და მიუჩინა განსაკუთრებული ადგილი, რომელიც დღესაც მათ განკარგულებაშია. ხალხმა ეს შეურაცხყოფად მიიღო, და როცა ოთონი თეატრში გამოჩნდა. ლანძღვითა და სტვენით შეხვდნენ; მხედრები კი ტაშის გრიალით შეეგებნენ [33]. ხალხმა კიდევ უფრო გააძლიერა სტვენა; მხედრებმაც, თავის მხრივ, ტაშისცემას უმატეს. მერმე ესენი ერთმანეთს მიუბრუნდნენ; ატყდა საშინელი ლანძღვა-გინება და თეატრი დიდმა უწესრიგობამ მოიცვა. როგორც კი შეიტყო ეს ამბავი, ციცერონი თეატრში მივიდა, ხალხი ბელონას ტაძარში [34] გაიწვია, იქ ცოტა გაკიცხა, მერე დაუყვავა და უკან გაისტუმრა. თეატრში დაბრუნებულმა ხალხმა ტაშისცემა გაუმართა ოთონს და ამ კაცის პატივისცემასა და განდიდებაში მხედრებს გაეჯიბრა.

14. კატილინას შეთქმულებამ, რომელიც დასაწყისში ჩაქოლეს და დააფრთხეს, კვლავ წამოყო თავი: შეთქმულები ისევე იკრიბებოდნენ და ერთმანეთს მოუწოდებდნენ უფრო გაბედულად მოეკიდათ ხელი საქმისათვის, სანამ პომპეუსი დაბრუნდებოდა; პომპეუსზე კი ამბობდნენ, თავისი მხედრობით უკვე უკან ბრუნდებაო. კატილინას ყველაზე უფრო აქეზებდნენ სულას ძველი მეომრები, რომელთაც მთელ იტალიაში ჰქონდათ ფეხი გადგმული; ამ მეომართა უდიდესი და უმამაცესი ნაწილი მიმოფანტული იყო ეტრურიის ქალაქებში და ახალ ძარცვა-გლეჯასა და მზამზარეული სიმდიდრის დატაკებაზე ოცნებობდნენ. ამათ წინამძღოლად ჰყავდათ მალიუსი — სულას ლაშქრობებში სახელმოხვეჭილი კაცი [35]. აი ესენი შეუერთდნენ კატილინას და არჩევნებში მისთვის მხარდასაჭერად რომში ჩამოვიდნენ. კატილინა კვლავ ცდილობდა მიეღო კონსულობა და გადაწყვეტილი ჰქონდა არჩევნების დროს ატეხილ აურზაურში მოეკლა ციცერონი.

ეტყობა, მაშინ ღვთაებრივი ძალაც წინასწარ იუწყებოდა მოსალოდნელ ამბებს ხშირ-ხშირი მიწისძვრებით, მეხთა დაცემით და სხვა ნიშნებით. სხვადასხვა პირთაგან მიღებული მამხილებელი ცნობებიც დამაჯერებელი ჩანდა, მაგრამ არ იყო საკმარისი წარჩინებული და მეტად ძლიერი კატილინას ბრალის დასამტკიცებლად. ამის გამო ციცერონმა არჩევნების დღე გადადო, კატილინა სენატში მიიწვია და დაუწყო გამოკითხვა გავრცელებული ხმების თაობაზე. კატილინამ, დაიმედებულმა იმით, რომ სენატში ბევრი იყო სახელმწიფო გადატრიალების მოსურნე, შეთქმულთა წინაშე თავის გამოჩენის სურვილით ამოძრავებულმა ციცერონს თავხედური პასუხი მისცა: „არის ორი სხეული; ერთი მკვლელი და მიჯნავებული, მაგრამ თავი აბია, მეორე ღონიერი და დიდია, ოღონდ თავი აკლია; რას ვაკეთებ ცუდს იმით, რომ ამ უკანასკნელს თავს ვადგამ?“ გადაკვრით ნათქვამ სიტყვებში კატილინა სენატსა და ხალხს გულისხმობდა. ციცერონი ძალიან შეშინდა, ჯავშანი ჩაიცვა და ასე ჩავიდა მარსის ველამდე წარჩინებული მოქალაქეებისა და მრავალი ახალგაზრდის თანხლებით. აქ ციცერონმა ჩამოუშვა მხრებიდან ტოგა და ჯავშანი გამოაჩინა, რათა ენიშნებინა დამსწრეთათვის, განსაცდელში ვიმყოფებიო. გამწყრალი ხალხი მჭიდრო რკალად შეიკრა მის ირგვლივ. ბოლოს, როცა საქმე კენჭისყრაზე მიდგა, კატილინა კვლავ გააშავეს, ხოლო კონსულებად სილანუსი და მურენა აირჩიეს[36].

15. მცირე ხნის შემდგომ, როცა კატილინას მომხრე ჯარისკაცები ეტრურიაში უკვე შეგროვდნენ, ასეულებად დაირაზმნენ და თავდასხმისათვის დანიშნული დღეც მოახლოვდა, ციცერონის სახლს შუალამისას მიადგნენ უპირველესი და ფრიად გავლენიანი რომაელი ვაჟკაცები: მარკუს კრასუსი, მარკუს მარცელუსი და სციპიონ მეტელუსი. მათ კარზე დააკაკუნეს, გამოიწვიეს მეკარე და უბრძანეს გაეღვიძებინა ციცერონი და მათი მოსვლა ეუწყებინა. საქმე შემდეგი იყო. კრასუსს მსახურმა ნასადილევს გადასცა ვიღაც უცნობი პირის მიერ მოტანილი წერილები. მათზე აღნიშნული იყო, რომელი ვის ეკუთვნოდა. ერთი, უსახელო პირის შეთხზული, თვითონ კრასუსს ეგზავნებოდა. ამანაც მხოლოდ ეს წაიკითხა. წერილი იტყობინებოდა, რომ კატილინა დიდ ხოცვა-ყლეტას ამზადებდა; ამასთან კრასუსს რჩევა ეძლეოდა ქალაქიდან გასულიყო. სხვა წერილები კრასუსს აღარ გაუხსნია და დაუყოვნებლივ მიუტანა ციცერონს ან იმიტომ, რომ მოსა-

ლოდნელმა საფრთხემ შეაშინა, ანდა უნდოდა გაეფანტა ის ეჭვი, რაც მის მიმართ იყო აღმოცენებული კატილინასთან მეგობრობის გამო.

ციცერონმა ვითარება აწონ-დაწონა და დილაადრიანად სენატი შეკრიბა. მან აქ წერილები მოიტანა, დაურიგა იმათ, ვისაც ეკუთვნოდა და ბრძანა ხმამაღლა წაეკითხათ. ყველა წერილი ერთხმად შეთქმულებაზე იუწყებოდა. ამავე დროს ყოფილმა პრეტორმა კვინტუს არიუსმა ეტრურიაში რაზმების შედგენის ამბავი გამოაცხადა. მიიღეს იგრეთვე ცნობა, რომ მალიუსი რომიდან რაღაც ახალი ამბის განუწყვეტელ მოლოდინში დიდი რაზმით დაეხეტებოდა ეტრურიის ქალაქებში. მაშინ გამოიტანეს სენატის გადაწყვეტილება, რომელიც ყველა საქმეს კონსულებს ანდობდა, რათა ასეთი ძალაუფლების მიღების შემდეგ ყველაფერი საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით განეგოთ და რესპუბლიკა დაეცვათ. ასეთი გადაწყვეტილება სენატს ყოველთვის კი არ გამოაქვს, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა დიდი საშიშროების წინაშე დგას [37].

16. მიიღო თუ არა ასეთი ძალაუფლება, ქალაქგარეთ საქმეთა წარმოება ციცერონმა კვინტუს მეტელუსს მიანდო [38], ქალაქის გამგებლობას კი თვითონ მოჰკიდა ხელი. ახლა იგი ყოველდღე გამოდიოდა საჯაროდ, თან ისეთი მრავალრიცხოვანი დაცვა ახლდა, რომ რიცა ფორუმზე მივიდოდა, მოედნის დიდ წილს მისი ამალა იკავებდა. კატილინას შემდგომი დაყოვნების მოთმენა აღარ შეეძლო; მან გადაწყვიტა მალიუსის მხედრობისაკენ გაჭრილიყო, მარციუსსა და ცეთეგუსს კი დაავალა მახვილით შეიარაღებულნი დილით ადრე მისდგომოდნენ ციცერონს კარზე, ვითომცდა მისასალმებლად, მერმე კი თავს დასხმოდნენ და მოეკლათ [39]. ღამით ციცერონთან ერთი წარჩინებული წარმოშობის ქალი ფულვია [40] მივიდა, ეს ამბავი აუწყა და გააფრთხილა მორიდებოდა ცეთეგუსსა და მის თანამზრახველთ. მარციუსი და ცეთეგუსი დილაადრიან მივიდნენ ციცერონთან, მაგრამ სახლში არ შეუშვეს; მაშინ გაბრაზდნენ და ისეთი ყვირილი მორთეს კართან, რომ მათ მიმართ აღძრული ეჭვი კიდევ უფრო გააძლიერეს.

როგორც კი გამოვიდა შინიდან, ციცერონმა მოიწვია სენატის სხდომა ზეეს სტესიოსის ტაძარში, რომელსაც რომაელები იუპიტერ სტატორის ტაძარს ეძახიან: ივი აგებულია საღვთო გზის დასაწყისში, საიდანაც პალატიუმზე ადიან. სენატის სხდომაზე სხვებთან ერთად

მოვიდა კატილინაც, ვითომცდა ბრალდებისაგან თავის დასაცავად. მის გვერდით ჯდომა არც ერთმა სენატორმა არ ისურვა; ყველანი წამოდგნენ იმ მერხიდან, სადაც კატილინა იჯდა და ადგილი გამოიცვალეს. ბოლოს წამოდგა ციცერონი და უბრძანა მას გაშორებოდა ქალაქს: რაკიღა სახელმწიფოს მართვაში მე სიტყვის ძალას ვეყრდნობი, შენ კი იარაღს, ამიტომ ჩვენ შორის კედელი უნდა აღიმართოსო [41].

კატილინა დაუყოვნებლივ გავიდა ქალაქიდან სამასი შეიარაღებული კაცით; გვერდით, თითქოს დიდი თანამდებობის პირი ყოფილიყო, წკეპლის კონებითა და ცულებით აღჭურვილი ლიქტორები დაიყენა, გაშალა დროშები და მალიუსისაკენ გაემართა. აქ მან ოცი ათასამდე კაცი შეაგროვა და დაიწყო ქალაქების შემოვლა, რომელთაც განდგომისაკენ მოუწოდებდა. რაკი ომი ვარდაუვალი გახდა, კატილინას დასამარცხებლად ანტონიუსი გაიგზავნა.

17. კატილინას მიერ გარყვნილ იმ მოქალაქეთ, რომლებიც ქალაქში დარჩნენ, თავს უყრიდა და ამხნევებდა კორნელიუს ლენტულუსი, მეტსახელად სურა, წარჩინებული წარმოშობის, მაგრამ უზნეო ცხოვრების მიმდევარი კაცი, რომელიც თავაშვებული საქციელისათვის თავის დროზე სენატიდან გააძევეს. იმხანად იგი მეორეგზის ეწოდა პრეტორობას, როგორც ეს წესადაა მიღებული იმ პირთათვის, რომლებიც ცდილობენ ხელახლად მიიღონ სენატორის ღირსება. გადმოცემით, მეტსახელი სურა მან მიიღო შემდეგი მიზეზის გამო: სულას მმართველობის დროს, როცა კვესტორად იყო, ლენტულუსმა დიდძალი საზოგადო თანხა მიითვისა და გაფლანგა. გამწყრალმა სულამ სენატის სხდომაზე მას ანგარიში მოსთხოვა. ლენტულუსი გულგრილად და სავსებით მოურიდებლად წარუდგა სენატს და განუცხადა, რომ არავითარ ანგარიშს არ იძლევა და მზადაა მხოლოდ გამოშვიროს კანჭი, როგორც ამას ბავშვები სჩადიან ბურთის თამაშში დაშვებული შეცდომის დროს. აი, აქედან შეერქვა მას სურა, ვინაიდან „სურას“ რომაელები კანჭს ეძახიან. ერთხელ იგი სამართალში იყო მიცემული; მაშინ ზოგიერთი მოსამართლე მოისყიდა და, როცა მხოლოდ ორი ხმის უმრავლესობით გაათავისუფლეს, თქვა, ამ ორ მოსამართლეში ერთ-ერთისათვის ამაოდ მიმიცია ქრთამი; ჩემთვის სრულიად საკმარისი იყო, თუ ერთი ხმითაც ვიქნებოდი გამართლებულიო.

აი, ასეთი ხასიათის კაცი, კატილინას მიერ ისედაც წაქეზებული, კიდევ უფრო მეტად გარყვნეს ფუჭი იმედებით ცრუ მისნებმა და თაღლითებმა. ისინი უკითხავდნენ ვითომდა სიბილას წიგნებიდან ამოკრეფილ ყალბ ლექსებსა და წინასწარმეტყველებებს, არწმუნებდნენ, რომ ამ წიგნებში რომს ბედისწერის ძალით ერთმმართველად დანიშნული ჰყავს სამი კორნელიუსი, რომელთაგან ორს, ცინას და სულას, უკვე აუხდათ წინასწარმეტყველება, ახლა კი მას, როგორც მესამე კორნელიუსს, ღვთაება ანიჭებს ერთხელმწიფებას და იგი — ლენტულუსი ვალდებულია მთლიანად მიიღოს ეს წყალობა და თავისი სიხანტით, კატილინას მსგავსად, არ გაუშვას ხელიდან მშვენიერი შემთხვევა.

18. ამის გამო ლენტულუსი მცირე და უმნიშვნელო გეგმებს როდი აწყობდა; მას გადაწყვეტილი ჰქონდა ამოეჟლიტა მთელი სენატი, დაეხოცა სხვა მოქალაქეებიც, რომლებზედაც კი ხელი მიუწვდებოდა, ცეცხლისთვის მიეცა თვით ქალაქიც და არავინ დაენდო პომპეუსის შვილების გარდა. ეს ბავშვები შეთქმულებს უნდა გაეტაცათ და ჰყოლოდათ, როგორც პომპეუსთან შესარიგებლად გამოსაყენებელი მძევლები, ვინაიდან უკვე ყველგან დაჟინებით დაირხა ხმა, პომპეუსი დიდი ლაშქრობიდან უკან ბრუნდებაო. თავდასხმისათვის განსაზღვრულ იქნა სატურნალიების ერთ-ერთი ღამე [42]. შეთქმულებმა ცეთეგუსის სახლში მიიტანეს და დამალეს ხმლები, ძენძი და გოგირდი. მათვე გამოყვეს ასი კაცი, რომიც ას უბნად დაანაწილეს და თითოეულ უბანს წილით თითო-თითო კაცი მიუჩინეს, რათა ყველას ერთდროულად დაეწყო ცეცხლის წაკიდება და ქალაქი მთლიანად გახვეულიყო ხანძარში. სხვებს კი უნდა გადაეღობათ წყალსადენები და მოეკლათ ყველა, ვინც წყლისათვის მივიდოდა.

ამ საქმეთა მზადების დროს შემთხვევით რომში იმყოფებოდა ალობროგთა ორი ელჩი, — იმ ტომის, რომელიც მაშინ მეტისმეტად შეეიწროებული იყო და რომის მბრძანებლობის ქვეშ იჩაგრებოდა [43]. ლენტულუსმა და მისმა მომხრეებმა ეს ელჩები იმ ვარაუდით, გალიის აჯანყებისა და რომისაგან მისი ჩამოცილების საქმეში გამოგვადგებიანო, შეთქმულებაში ჩაითრიეს. მათ ელჩებს გადასცეს წერილები მათი ქვეყნის სენატისათვის და აგრეთვე კატილინასათვისაც: ისინი ალობროგებს თავისუფლებას ჰპირდებოდნენ, კატილინას კი მოუწოდებდნენ გაეთავისუფლებინა მონები და სასწრაფოდ რომზე წამო-

სულიყო. ელჩებთან ერთად კატილინასთან გაგზავნეს კროტონელი ვინმე ტიტუსი, რომელსაც წერილების წაღება ჰქონდა დავალებული.

მაგრამ ყველა ამ განზრახვას ისეთი თავქარიანი ადამიანებისას, რომლებიც ერთმანეთს უმეტეს წილად ღვინის სმის დროს და ქალთა თანდასწრებით ხედებოდნენ, შეუწყვეტლივ ადევნებდა თვალყურს ციცერონი მთელი თავისი ძალების დაუზოგავად, ფხიზელი გონებით და გასაოცარი წინდახედულობით. მრავალი პირი ჰყავდა მას ისეთი, რომლებიც აკვირდებოდნენ, თუ რა ხდებოდა ირგვლივ და ძიებაში ეხმარებოდნენ. ციცერონს საიდუმლო საუბარი ჰქონდა შეთქმულებაში საგანგებოდ ჩაბმულ სანდო ხალხთან და უცხოელებთან შეთანხმების ამბავი გაიგო. ამიტომ ღამით ჩაასაფრა ხალხი და ალობროგებისავე ფაბული დახმარებით ზემოხსენებული კროტონელი წერილებიანად შეიპყრო.

19. როგორც კი ინათა, ციცერონმა შეკრიბა სენატი თანხმობის ტაძარში. აქ მან ეს წერილები წაიკითხა და მაცნეებსაც მოუსმინა. იუსიუს სილანუსის განცხადებით, ზოგიერთებს გაეგონათ ცეთეგუსის ნათქვამი: მოკლულ უნდა იქნას სამი კონსული და ოთხი პრეტორიო. ამგვარივე ცნობა მიაწოდა სენატს ყოფილმა კონსულმა პიზონმა. ერთ-ერთმა პრეტორმა, გაიუს სულპიციუსმა, რომელიც ცეთეგუსის სახლში გაგზავნეს, იქ აღმოაჩინა მრავალი ისარი, სხვადასხვაგვარი იარაღი, აუარებელი ხმალი და ყოველნაირი მახვილი, სულ ახლად დალესილები. ბოლოს, როცა კროტონელს სენატმა ხელშეუხებლობა აღუთქვა, თუ ყველაფერს იტყოდა, ლენტულუსი მხილებულ იქმნა. მაშინ მან მოიხსნა რწმუნება, — იმხანად იგი ხომ პრეტორი იყო, — იქვე სენატში გაიხადა ძოწეულშემოვლებული ტოგა და თავისი საკალალო მდგომარეობისათვის შესაფერი სამოსი ვადაიცვა. იგი და მისი მომხრეები გადასცეს პრეტორებს შინაურ პატიმრობაში ასაყვანად.

უკვე მოსაღამოვდა, მაგრამ შეკრებილი ხალხი გარეთ იცდიდა. ციცერონი სენატიდან გამოვიდა და მოქალაქეებს უამბო, რაც მოხდა[44]. ამის შემდეგ ხალხმა იგი მიაცილა მეზობლად მცხოვრებ მეგობრის ბინამდე, რადგან მისი საკუთარი სახლი დაკავებული ჰქონდათ ქალებს, რომლებიც წმინდა საიდუმლოებას ეასრულებდნენ ღმერთქალს, ვისაც რომაელები „კეთილს“, ხოლო ელინები „გინეკეას“ ეძა-

ხიან. ამ ღმერთქალს ყოველწლიურად სწირავენ მსხვერპლს კონსულის სახლში კონსულის ცოლის ან დედის ხელმძღვანელობით და ვესტას ქურუმ ქალწულთა თანდასწრებით [45].

შეგობრის სახლში ციცერონი რამდენიმე კაცის თანხლებით შევიდა და მაშინვე შეუდგა იმის განსჯას, თუ როგორ მოქცეოდა შეპყრობილ პირებს. უმაღლესი სასჯელის გამოყენებას, რაც სრულიად შეესაბამებოდა ესოდენ დიდ დანაშაულს, იგი ერიდებოდა და ვერ კისრულობდა თანდაყოლილი სათნოებისა და აგრეთვე იმის გამო, რომ ბრალის ჰგონებოდა, თითქოს მეტისმეტად მოროტად იყენებდა ძალაუფლებას და სასტიკად უსწორდებოდა წარჩინებული წარმოშობის პირთ, რომელთაც ქალაქში ფრიად ძლიერი გავლენის მქონე მეგობრები ჰყავდათ. მაგრამ, მეორე მხრივ, მას აშინებდა შეთქმულთაგან მოსალოდნელი საფრთხე, თუ მათ ლმობიერად მოექცეოდა. სიკეთილის გარდა სხვა სასჯელი მათ ვერ მოდრეკდა; კიდევ უფრო მეტად გათავხედდებოდნენ და ძველ ცოდვას ახალ რისხვას დაუმატებდნენ. ოგი კი სულმოკლე და ლაჩარი ეგონებოდა ხალხს, რომელიც ისედაც არ თვლიდა მაინცდამაინც მამაც ვაჟკაცად.

20. სანამ ციცერონი ამ ძნელად გადასაწყვეტი საკითხის განსჯით იყო გართული, მსხვერპლის შემწირველ ქალებს ერთი სასწაული გამოეცხადათ: საკურთხეველზე ცეცხლი უკვე ჩამქრალი ეგონათ, რომ ფერფლიდან და ჩაღვეფილ ნაკვერჩხლებიდან უეცრად ალმა ოფეთქა. ამან ქალები საშინლად დააფრთხო; ქურუმმა ქალებმა კი ციცერონის ცოლს ტერენციას ურჩიეს დაუყოვნებლივ მისულიყო ქმართან და წინადადება მიეცა მისთვის შეესრულებინა ის, რაც სამშობლოს კეთილდღეობისათვის გადაეწყვიტა, ვინაიდან სწორედ მისი ხსნისა და სახელისათვის მოავლინა ღმერთქალმა დიდებული სინათლე. ტერენციამ (იგი ბუნებით ლმობიერი და მხდალი ქალი კი არ იყო, არამედ პატივმოყვარე; როგორც თვითონ ციცერონი ამბობს, იმდენად ოჯახის ამბებს არ აზიარებდა ქმარს, რამდენადაც თვით ერეოდა მის სახელმწიფოებრივ საქმეებში) ყველაფერი ეს ამცნო ქმარს და დაპატიმრებულ შეთქმულთა წინააღმდეგ აღაგზნო. ასევე მოიქცნენ ციცერონის ძმა კვინტუსი და ფილოსოფიურ მოღვაწეობაში მისი ერთ-ერთი მეგობარი პუბლიუს ნიგიდიუსი [46], რომლის რჩევასაც ხშირად იყენებდა უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საქმეებში.

მეორე დღეს სენატში დაიწყო მსჯელობა შეთქმულთა სასჯელის თაობაზე. პირველად აზრის გამოთქმა სთხოვეს სილანუსს. ამან განაცხადა: პატიმრები უნდა ციხეში გაიგზავნონ და უმაღლესი სასჯელით დაისაჯონონ. რიგრიგობით ყველამ დაუჭირა მხარი მას, ვიდრე ჯერი არ მიდგა გაიუს კეისარზე, ვინც შემდეგ დიქტატორი გახდა. იგი მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო და საკუთარი აღზევების საქმეს მხოლოდ საძირკველს უყრიდა, მაგრამ თავისი პოლიტიკითა და იმედებით უკვე გაკვლეული ჰქონდა ის გზა, რის წყალობითაც რომაელთა რესპუბლიკა მონარქიით შეცვალა. თავის ზრახვებს იგი ყველას უმალავდა, ციცერონს კი მრავალგზის აღუძრა ეჭვი, თუმცა მხილებისათვის ხელმოსაჭიდ არც ერთ საბაბს არ აძლევდა. იყვნენ ისეთები, ვინც ამბობდა: იგი თითქმის ამხილეს, მაგრამ დაუძვრა ციცერონსო. სხვები კი ამტკიცებენ: ციცერონმა კეისრის მეგობრებისა და პირადად მისი ძლიერების შიშით განზრახ დახუჭა თვალები და უყურადღებოდ დატოვა მის წინააღმდეგ მიმართული ჩვენებებიო. მისთვის ცხადი იყო, რომ გამამართლებელ განაჩენს შეთქმულნი კეისართან გაინაწილებდნენ, მაგრამ კეისარი მათი სასჯელის მოზიარე არ გახდებოდა.

21. როდესაც აზრის გამოთქმის ჯერი კეისარზე მიდგა, იგი წამოდგა და მოითხოვა, დაპატიმრებულნი სიკვდილით კი არ დაესაჯათ, არამედ ჩამოერთმიათ ქონება, წაეყვანათ იტალიის იმ ქალაქებში, რომელთაც ციცერონი აირჩევდა და ყოლოდათ პატიმრობაში მანამ, სანამ კატილინას არ დაამარცხებდნენ [47]. შესანიშნავი მჭევრმეტყველებით წარმოთქმულ ამ ლმობიერ მოსაზრებას გარკვეული ძალა თვით ციცერონმა შეჰმატა. იგი წამოდგა, ორივე წინადადება ცალ-ცალკე გაარჩია და პირველსაც დაუჭირა მხარი ნაწილობრივ და მეორესაც, რომელიც კეისარმა შემოიტანა. მისი მეგობრები ფიქრობდნენ, კეისრის აზრი ციცერონისათვის ხელსაყრელიაო: თუ იგი დაპატიმრებულთ სიკვდილით არ დასჯიდა, ნაკლებ წყრომას დაიმსახურებდა; ამიტომ მათ მეორე წინადადება ამჯობინეს პირველს. მაშინ თვით სილანუსმაც შესცვალა თავისი აზრი და თქვა, სიკვდილით დასჯა სრულიადაც არ მქონია მხედველობაში: უმაღლესი სასჯელი რომაელი სენატორისათვის საპყრობილეაო.

როგორც კი გამოთქვა ეს აზრი, მის წინააღმდეგ პირველად კატულუს ლუტაციუსმა გაილაშქრა; შემდეგ სიტყვა აიღო კატონმა და

თავისი სიტყვით იმდენად გააძლიერა კეისარზე მიტანილი ეჭვი, რომ სენატი წყრომით აღივსო და ბრალდებულთ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა[48]. კეისარმა ახლა ქონების ჩამორთმევის წინააღმდეგ გაილაშქრა, ვინაიდან არ მიაჩნდა სამართლიანად მისი წინადადებიდან უკუეგდოთ ის, რაც კაცთმოყვარული იყო და გამოეყენებინათ მხოლოდ და მხოლოდ უსასტიკესი ნაწილი. სენატის უმრავლესობა ცდილობდა ძალით დაეთანხმებინა კეისარი. მაშინ მან სახალხო ტრიბუნებს მიმართა. ტრიბუნებმა მის თხოვნას ყური არ ათხოვეს, მაგრამ ციცერონმა თვითონ დაუთმო და ქონების ჩამორთმევის წინადადება უარყო.

22. ამის შემდეგ სენატორთა თანხლებით ციცერონი გაემართა მსჯავრდადებულებისაკენ. ისინი ყველანი ერთ ადგილას კი არ იყვნენ, არამედ თითოეული მათგანი განცალკევებულად იმყოფებოდა სხვა და სხვა პრეტორის მეთვალყურეობის ქვეშ. უმაღლეს მოხელეთაგან შემდგარი დამცველი რაზმით გარშემოხვეულმა ციცერონმა ჯერ ლენტულუსი წამოიყვანა პალატიუმიდან და საღვთო გზით ფორუმზე გაატარა. ამ ამბით შეძრწუნებული ხალხი დუმილით მიჰყვებოდა კონსულს უკან. განსაკუთრებით შეშინებული და განცვიფოებული იყო ახალგაზრდობა; მას ეგონა, თითქოს სრულდებოდა წინაპართაგან დაწესებული, წარჩინებულთა ძალაუფლების გამომსახველი რომელიღაც წმინდა საიდუმლოება.

ციცერონმა ფორუმი გაიარა და გავიდა ციხესთან. აქ მან ლენტულუსი გადასცა ჯალათს და უბრძანა მისი მოკვლა. შემდეგ აქვე მიიყვანა ცეთეგუსი; მერმე სხვებიც და სათითაოდ დაახოცვინა[49].

ფორუმზე, შეთქმულებაში მონაწილე პირთა დიდი ჯგუფი იდგა; ამ ჯგუფის წევრებმა საქმის ვითარება არ იცოდნენ და დაღამებას ელოდნენ; ეგონათ, პატიმრები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ და შეიძლებოდა მათი გატაცება. დაინახა თუ არა ესენი ციცერონმა, ხმამაღლა შესძახა: „მათ გაასწორეს ანგარიში სიცოცხლესთანო!“[50] ასეთ გამოთქმას ხმარობენ ჩვეულებრივ რომაელები სიკვდილის აღსანიშნავად და ავბედითი სიტყვის პირდაპირ თქმას გაურბიან.

დადგა საღამო. ციცერონი ფორუმზე გავლით შინ ბრუნდებოდა. მოქალაქენი ახლა დუმილით და რიგზე ჩამწკრივებულნი კი აღარ მიაცილებდნენ მას, არამედ შეძახილებითა და ტაშისცემით ხვდებოდნენ ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდა და სამშობლოს მხსნელსა და

დამფუძნებელს ეძახდნენ. ქუჩები გაკაშკაშებული იყო, რადგან მოსახლეობას ყველა სახლის კარებში შანდლები და მაშხალები გამოედგა. ქალები სახლთა ბანებიდან უნათებდნენ გზას, რათა პატივი ეცათ და დაენახათ ის კაცი, ვინც მეფიდურად მიაბიჯებდა ფრიად წარჩინებულ პირთა თანხლებით. ამათგან მრავალს ჰქონდა გადახდილი დიდი ომები, ბევრს ტრიუმფალური სვლაც დაემსახურებინა და ბევრს კიდევ არცთუ ისე მცირე მიწა-წყალი მოეპოვებინა სახელმწიფოსათვის. ისინი მსვლელობის ყამს ერთმანეთში საუბრობდნენ იმაზე, რომ რომაელი ხალხი მრავალ ძველ სარდალს უნდა უმადლოდეს სიმდიდრეს, სამხედრო დავლასა და თავის ძლიერებას, მაგრამ უშიშროებასა და ხსნას იგი უნდა უმადლოდეს მხოლოდ ერთს — ციცერონს, რომელმაც მას თავიდან ააცილა ესოდენ დიდი და მრისხანე საფრთხე.

საოცარი ჩანდა არა ის, რომ ციცერონმა შეთქმულთა საქმეს ხელი შეუშალა და დამნაშავენი დასაჯა, არამედ ის, რომ სახელმწიფო გადატრიალების მიზნით მოწყობილ ამბოხებათა შორის უდიდესი ამბოხება მან ყოველგვარი აურზაურისა და შფოთის გარეშე, სულ მცირე მსხვერპლის გაღებით ჩააქრო. საქმე ის იყო, რომ კატილინას მომხრეთა უმრავლესობამ გაიგო თუ არა ლენტულუსისა და ცეთეგუსის ხვედრი, მიატოვა წინამძღოლი და მიმოიფანტა. დარჩენილებთან ერთად კატილინა შეებრძოლა ანტონიუსს და თავისი ლაშქრით დაიღუპა.

23. მიუხედავად ამისა, ზოგიერთები მზად იყვნენ გაეკიცხათ ციცერონი საქმეთა გამო და ვნება მოეტანათ მისთვის. მეთაურებად მათ ჰყავდათ შემდგომი წლისათვის თანამდებობათა აღმსრულებელი პირები — კეისარი, ვინც პრეტორობას გასწევდა, და მეტელუსი და ბესტია, რომლებიც სახალხო ტრიბუნები იქნებოდნენ, როცა ამ პირებმა ძალაუფლება მიიღეს, ციცერონს, რომელსაც კონსულობის ვადის რამდენიმე დღეღა ჰქონდა დარჩენილი, ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლის ნება არ დართეს; ტრიბუნაზე სავარძლები შედგეს და საშუალება არ მისცეს ასულიყო იქ და ელაპარაკა. მათ ციცერონს წინადადებით მიმართეს: თუ გსურს, მხოლოდ გამგებლობის დამთავრების აღსანიშნავი ფიცი წარმოთქვი და მაშინვე ჩამოდი ტრიბუნიდანო. ციცერონი ამაზე დათანხმდა და ფიცის წარმოსათქმელად ტრიბუნაზე ავიდა. როცა მის ირგვლივ სიჩუმე დამყარდა, მან წარ-

მოთქვა არა მამა-პაპათაგან დაწესებული ფიცი, არამედ საკუთარი, ახალი ფიცი, რომ მან სამშობლო იხსნა და დიდება შეუნარჩუნა. მისი ფიცი მთელმა ხალხმა გაიმეორა [51].

ამის შემდეგ კეისარი და სახალხო ტრიბუნები კიდევ უფრო მეტად გაბრაზდნენ და ცდილობდნენ ახალი შფოთი აეტეხათ ციცერონისათვის. მათ შემოიტანეს კანონი, რომელიც ითვალისწინებდა პომპეუსისა და მისი მხედრობის გამოწვევას რომში, რათა ამით საზღვარი დასდებოდა ციცერონის მმართველობას. მაგრამ ციცერონს და მთელ რესპუბლიკას დიდი შემწეობა აღმოუჩინა კატონმა, რომელიც იმხანად სახალხო ტრიბუნი იყო. მას თანამდებობით ამხანაგების თანაბარი ძალაუფლება ჰქონდა, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი გავლენით სარგებლობდა და ციცერონის მტრების პოლიტიკური ზრახვების წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა. მან მრავალი სხვა წინააღმდეგობაც ადვილად დასძლია და ხალხის წინაშე წარმოთქმული სიტყვით ისე აღაზევა ციცერონის კონსულობა, რომ ციცერონს უდიდესი პატივი სცეს, რაც არავის არასოდეს ღირსებია, და სამშობლოს მამად აღიარეს. როგორც ჩანს, ციცერონი პირველი იყო, ვინც ამ სახელს ატარებდა და იგი კატონმა მისცა მას ხალხის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში [52].

24. ციცერონმა იმხანად უაღრესად დიდი გავლენა მოიპოვა რომში, მაგრამ ბევრმაც შეიძულა. ეს სიძულვილი მისი რაიმე ბოროტი საქციელით კი არ იყო გამოწვეული, არამედ იმით, რომ საკუთარი თავის განუწყვეტელი ქება-დიდებით თითქმის ყველას შეაძულა თავი. ვერც სენატი, ვერც ხალხი და ვერც სასამართლო ვერ შეიკრიბებოდა ისე, რომ კვლავ და კვლავ არ მოესმინათ მისგან კატილინასა და ლენტულუსის ყბადაღებული ამბავი. ბოლოს და ბოლოს ციცერონმა საკუთარი წიგნებიც და სხვა ნაწერებიც თავისი თავის ხოტბით აავსო. ავად აკვიატებული და მავნე ჩვევის წყალობით მისი საამური, მეტად სხარტი სიტყვები მომაბეზრებელი და აუტანელი გახდა მსმენელთათვის.

ასეთი უსაზღვრო პატივმოყვარეობის მიუხედავად ციცერონი არასოდეს არ უყურებდა სხვებს შურის თვალით და, როგორც ეს მისი ნაწერებიდან ჩანს, არ იშურებდა ქება-დიდებას არც წარსული, არც თავისი დროის დიდი ადამიანების მიმართ. ამ მხრივ ციცერონის მრავალ გამონათქვამს ამოწმებენ ხოლმე. ასე, მაგალითად, არისტოტელეს

მან უწოდა მდინარე, რომელიც ოქროს ტალღებს მოაჩუხჩუხებს; პლატონის დიალოგებზე მას უთქვამს: თუ შეიძლება დავუშვათ, რომ ზეკაცი ადამიანური ენით ლაპარაკობდა, მაშინ იგი პლატონის დიალოგების ენით ილაპარაკებდაო. თეოფრასტეს ჩვეულებრივ „თავის სიტყვებას“ ეძახდა. კითხვაზე: — შენი აზრით, დემოსთენეს სიტყვებში რომელია უმშვენიერესიო? ციცერონს უპასუხნია: — ის, რომელიც ყველაზე უგრძესიაო. მიუხედავად ამისა, ზოგიერთები, ვინც თავს დემოსთენეს თაყვანისმცემლებად თვლიან, ჩასცინებიან ციცერონის იმ გამოთქმას, რომელიც ერთ-ერთი მეგობრისადმი მიუწერია: ხანდახან სიტყვებში დემოსთენესაც ჩაეძინებაო. ამ პირთ ავიწყდებათ ის მრავალი აღფრთოვანებული ხოტბა, რასაც ხშირად მიმართავს ხოლმე ციცერონი დემოსთენეს მიმართ და ის, რომ მან ანტონიუსის წინააღმდეგ მიმართულ სიტყვებს, იმ სიტყვებს, რომლებიც განსაკუთრებული მუყაითობით დაამუშავა, „ფილიპიკები“ უწოდა[53].

მჭევრმეტყველებითა და სიბრძნით სახელგანთქმულ მის თანამედროვე პირთაგან არც ერთი არ დარჩენილა, ვისი სახელიც კიდევ უფრო მეტად არ გაედიდებინოს ციცერონს თავის სიტყვებსა თუ ნაწერებში გულწრფელი ხოტბით. პერიპატეტიკოს კრატიპეს მან რომის მოქალაქის უფლება მიაღებინა კეისრის ნებართვით, რომელიც მაშინ უკვე სახელმწიფოს მეთაური იყო; არეოპაგს კი გამოატანინა გადაწყვეტილება ეთხოვათ კრატიპესათვის დარჩენილიყო ათენში, რათა გაეწათლებინა ახალგაზრდობა და იქ ყოფნით ქალაქი დაემშვენებინა[54]. ცნობილია ციცერონის წერილები ჰეროდესა[55] და ზოგიც შვილისადმი მიწერილი. ამ წერილებში იგი შვილს წინადადებას აძლევს ფილოსოფია კრატიპესთან ისწავლოს. რიტორ გორგიას ციცერონი კიცხავს იმისათვის, რომ ყმაწვილ კაცს ფუფუნებასა და ლოთობას აჩვევს, შვილს კი ურჩევს ყოველგვარი კავშირი გაწყვიტოს გორგიასთან[56]. ციცერონის ბერძნული წერილებიდან მხოლოდ ეს და მეორე — ბიზანტიელი პელოპისადმი გაგზავნილი წერილია ერთგვარი წყრომით შეთხზული. გორგიას ციცერონი სამართლიანად ესხმის თავს, თუკი ნამდვილად ისეთი ავი და თავაშვებული კაცი იყო, როგორიც ჩანს. რაც შეეხება პელოპს, ციცერონი მას წვრილმან რამეებში ედავება და უსაყვედურებს, რომ გულგრილად მოექცა და ბიზანტიელთაგან არ გამოითხოვა ციცერონისათვის საჭირო ზოგი რამ პატივი და გადაწყვეტილება.

25. ციცერონის პატივმოყვარული მისწრაფებანი იმაშიც მჟღავნდება, რომ თავისი მჭევრმეტყველებით ხშირად ქედმაღლობდა და მისთვის საკადრის თავდაჭერილობის საზღვარს გადადიოდა. ერთხელ მან სასამართლოში დაიცვა მუნაციუსი [57], რომელმაც განთავისუფლებისთანავე აღძრა საქმე ციცერონის მეგობრის — საბინიუსის წინააღმდეგ. ამბობენ, ამაზე ციცერონი ისე აენთო რისხვით, რომ მუნაციუსს შესძახა: „მუნაციუსო, ხომ არ გგონია, შენი თავის წყალობით დაუძვერი სასჯელს და არა იმით, რომ ჩემმა მჭევრმეტყველებამ სქელი ბურუსი მოჰფინა შენს საქციელს, რომელზედაც სასამართლოს დღესავით ნათელი წარმოდგენა ჰქონდაო?“

ერთხელ კიდევ ტრიბუნიდან ხოტბა შეასხა მარკუს კრასუსს და ბრწყინვალე წარმატებაც მოიპოვა, მაგრამ სულ რამდენიმე დღის შემდეგ იგივე კრასუსი საშინლად გამოლანძღა. მაშინ კრასუსმა ჰკითხა: — „განა შენ არ იყავი, ამ ცოტა ხნის წინათ რომ სწორედ აქვე მაქებდი?“ „დიახ, მე გახლდით, — უპასუხა ციცერონმა, — მჭევრმეტყველებაში გავივარჯიშე: მინდოდა გამომეცადა ჩემი სიტყვის ძალა ჩირის ფასად ღირებულ საგანზე ლაპარაკშიო“.

ერთ დღეს კრასუსმა განაცხადა: სამოც წელზე მეტი არც ერთ კრასუსს არ უცხოვრია რომშიო. მცირე ხნის შემდეგ ამ სიტყვებზე უარი თქვა: რა მრჯიდა, ეგ რომ მეთქვაო. „შენ იცოდი, — უთხრა ციცერონმა, — რომ რომაელნი სიამოვნებით მოგისმენდნენ და ამიტომაც ხალხის გულის მოგება გინდოდაო“. იგივე კრასუსი ირწმუნებოდა, რომ მას მოსწონს სტოელების მოძღვრება, ვინაიდან სტოელების მტკიცებით მდიდარია ის, ვინც მადლმოსილი კაცია. ამაზე ციცერონმა მას უთხრა: „კარგად დაუკვირდი, უფრო მეტად შენ მათი ის მოძღვრება არ მოგწონდეს, რომლის მიხედვითაც ყველაფერი ბრძენს ეკუთვნისო“. ცნობილია, რომ კრასუსს ვერცხლმოყვარეობას სწამებდნენ.

კრასუსის ერთ-ერთი ვაჟიშვილი საოცრად ჰგავდა ვინმე აქსიოსს და ამით საშინლად უტეხდა სახელს საკუთარ დედას. და აი, როცა ამ ყმაწვილმა კაცმა სენატში სიტყვა წარმოთქვა და საერთო მოწონებაც დაიმსახურა, ციცერონმა შეკითხვაზე: შენ როგორიღა აზრის ხარო, ასე უპასუხა: „აქსიოს კრასუ“ [58].

26. კრასუსმა, როცა სირიაში გასამგზავრებლად ემზადებოდა, უმჯობესად ჩათვალა ციცერონი მისი მეგობარი ყოფილიყო და არა

მტერი. ამიტომ ფარისევლობა დაუწყო და უთხრა: შენთან ვახშმობა მწადიანო. ციცერონი ხალისით დაეთანხმა. რამდენიმე დღის შემდეგ ზოგიერთმა მეგობარმა სიტყვა ჩამოუგდო მას ვატინიუსზე, რომელიც მტრად ჰყავდა გადაკიდებული, — ძალიან უნდა შენთან შერიგება და მეგობრობაო. „როგორ, — შენიშნა ამაზე ციცერონმა, — ვატინიუსსაც ხომ არ სურს ჩემთან ვახშმობაო“ აი, ასეთი იყო ციცერონი კრასუსის მიმართ. ჩიყვიან ვატინიუსს კი, რომელიც სასამართლოში თავის დასაცავ სიტყვას ამბობდა, სახელად გაბერილი ორატორი შეარქვა. ერთხელ მას აუწყეს: ვატინიუსი გარდაიცვალაო; მცირე ხნის შემდეგ, როცა სარწმუნოდ შეიტყო, ცოცხალიაო, ასე თქვა: „წყეულ იყოს, ვინც ასე საძაგლად იცრუაო!“

კეისარმა წინადადება შეიტანა კამპანიის მიწები ჯარისკაცებს დარიგებოდათ. უმრავლესობა გულისწყრომით შეხვდა ამ აზრს სენატში. ლუციუს გელუისმა კი, რომელიც სიბერისაგან მთლად მიხრწნილი იყო, განაცხადა: სანამ მე ცოცხალი ვარ, ეგ არ მოხდებაო. „მოვიცადოთ, — თქვა ციცერონმა, — გელიუსი ხომ დიდი ხნით არ თხოულობს ვადის გადადებასო“ [59].

ერთი ოქტავიუსი იყო, რომელსაც ლიბიელობას სწამებდნენ. მან თურმე რომელიღაც სასამართლო სხდომის დროს შენიშნა: ციცერონის ლაპარაკი არ მესმისო; „აბა, რა ჩემი ბრალია, — უთხრა ციცერონმა, — შენ რომ ყურები გახვრეტილი გქონდესო!“ [60]

მეტელუს ნეპოტმა ერთხელ თქვა: ციცერონმა თავისი ჩვენებებით უფრო მეტი ხალხი დაღუპა, ვიდრე დასაცავი სიტყვებით გადაარჩინაო; „გეთანხმები, — მიუგო ციცერონმა, — რომ ჩემში ენამჭევრობას სინდისის ძალა სჭარბობსო“.

ერთმა ყმაწვილმა კაცმა, რომელსაც ბრალად ედებოდა შხამგარეული ნამცხვრით მამის მოწამვლა, თავხედურად განაცხადა: ციცერონს გამოვლანძღავო. „უფრო მეტი სიამოვნებით მივიღებ მაგას შენგან, ვიდრე ნამცხვარსო“, — მიუგო მას ციცერონმა.

პუბლიუს სესტიუსმა სისხლის სამართლის ერთ საქმეში სხვებთან ერთად დამცველად აიყვანა ციცერონი, მაგრამ სხდომის დროს სულ თვითონ მოინდომა ლაპარაკი და არც ერთ დამცველს არ ათქმევინა სიტყვა. როცა ცხადი გახდა, მოსამართლენი მას ათავისუფლებდნენ და უკვე ხმის მიცემაც დაიწყეს, მაშინ ციცერონმა უთხრა: „ისარგებ-



https://www.facebook.com/groups/ELLIB/

ლე დღეევანდელი შემთხვევით, სესტიუს, თორემ ხვალ ისევ ჩვეულებრივი ადამიანი იქნები და არავინ არ მოგისმენსო“ [61].

პუბლიუს კოსტა, რომელიც თავს კანონების მცოდნედ ასაღებდა, სინამდვილეში კი ძალიან გაუხათლებელი და გონებაჩლუნგი ვინმე იყო. ერთხელ ციცერონმა რაღაც საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში გამოიძახა მოწმედ. როცა მან განაცხადა: არაფერი არ ვიცი, ციცერონმა უთხრა: „შენ ალბათ გგონია კანონთა შესახებ გეკითხები რასმეო“.

მეტელუს ნეპოტი ერთ რომელიღაც კამათში წამდაუწუმ უმეორებდა ციცერონს: „ციცერონო, ვინ არის შენი მამა?“ „მაგგვარ კითხვაზე პასუხის გაცემა, — მიუგო ციცერონმა, — შენ უფრო მეტად გაგიძნელა დედამენმაო“. მართლაც, ნეპოტის დედას გარყვნილი ქალის სახელი ჰქონდა გავარდნილი, თვითონ ნეპოტი კი დიდი ცეტი ვინმე იყო. ერთხელ მან მოულოდნელად მიატოვა სახალხო ტრიბუნის თანამდებობა და პომპეუსთან გაემგზავრა სირიაში, საიდანაც ასევე მოულოდნელად დაბრუნდა უკან და ამ საქციელით კიდევ უფრო მეტად დაამტკიცა თავისი თავქარიანობა.

ნეპოტმა დიდი ამბით დაკრძალა თურმე თავისი მასწავლებელი ფილაგროსი და საფლავზე ქვისგან გამოკვეთილი ყვავი დაუდგა. „ეგ ძალიან ბრძნულად გაგიკეთებია, — უთხრა მას ციცერონმა; — შენმა მოძღვარმა ფრენა უკეთ გასწავლა, ვიდრე ლაპარაკი“.

მარკუს აპიუსმა ერთ-ერთი დასაცავი სიტყვა შესავლით დაიწყო და თქვა: ჩემმა მარწმუნებელმა მეგობარმა მთხოვა, ამ საქმეში მთელი მჭევრმეტყველება, მზრუნველობა და ერთგულება გამოიჩინეო. ამაზე ციცერონმა შენიშნა: „ნუთუ ისეთი გულქვა კაცი ხარ, რომ შენს მეგობარს იმ მრავალ თხოვნათაგან არც ერთს არ შეუსრულებო?“

27. გესლიანი ხუმრობის გამოყენება მტრებისა და მოკამათე მხარის წინააღმდეგ მჭევრმეტყველური ხერხია. ციცერონი კი სხვების გასაცინებლად ამ ხერხს ყველას მიმართ იყენებდა განურჩევლად და ამით საკმაოდ დიდ სიძულვილს იმსახურებდა. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

მარკუს აკვინიუსს, რომელსაც განძეულებაში მყოფი ორი სიძე ჰყავდა, ციცერონი ადრასტეს ეძახდა [62].

ღვინის უსაზღვროდ მოყვარული კაცის — ლუციუს კოტას ცენ-

ზორობის დროს ციცერონს კონსულად ირჩევდნენ[63] მას წყალი მოსწყურდა და, როცა სვამდა, გარშემოჯარულ მეგობრებს უთხრა: „კიდევ კარგი, გარს მახვევიხართ; ალბათ შიშობთ, ცენზორი არ გამიწყრეს, წყალს რომ ვსვამო".

ერთხელ იგი შეხვდა ვოკონიუსს, რომელსაც სამი ერთიმეორეზე უშნო ქალიშვილი ახლდა. ციცერონმა წამოიძახა:

„წარმოშვა შვილნი, თუმც უფლება ფებემ არ მისცა"[64].

მონურ ჩამომავლობაში ეჭვმიტანილი მარკუს გელიუსი ერთხელ წერილებს უკითხავდა სენატს მშვენიერი და ძლიერი ხმით. „ნუ გიკვირთ, — მიმართა ციცერონმა სენატორთ, — ეგ კაცი ერთ-ერთი ნაშიერია იმათი, რომლებიც საჯაროდ ყვიროდნენო"[65].

რომაელთა დიქტატორს სულას, ვინც მრავალი ადამიანი მისცა სიკვდილს განსაკუთრებული სიების გამოქვეყნებით[66], ჰყავდა ძე ფაუსტუსი. როცა ფაუსტუსმა მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი გაფლანგა და ვალებში ჩავარდნის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე საჯარო ვაჭრობა გამოაცხადა, ციცერონმა შენიშნა, რომ ეს განცხადება უფრო მოსწონს, ვიდრე ფაუსტუსის მამისა.

28. ასეთი გესლიანი ენის წყალობით მან მრავალი მტერი გაიჩინა. მის წინააღმდეგ დაირაზმნენ კლოდიუსის მომხრენიც, რომლებმაც ხელი ჩასჭიდეს შემდეგ საბაბს. კლოდიუსი, კეთილშობილი ჩამომავლობის კაცი, ასაკით ახალგაზრდა იყო, მაგრამ ხასიათით — თავხედი და თავნება. მას უყვარდა კეისრის ცოლი პომპეია და ამის გამო ქნარზე დამკვრელი ქალის ტანსაცმლით მოკაზმული მის სახლში მალვით შეიპარა სწორედ მაშინ, როცა ქალები კეისრის ოჯახში იმ საიდუმლო მსხვერპლშეწირვას ასრულებდნენ, რომლის ხილვა მამაკაცებს აკრძალული აქვთ. იქ მართლაც არც ერთი მამაკაცი არ იყო. ჯერ სულ ახალგაზრდა და პირტიტველ კლოდიუსს იმედი ჰქონდა ქალებთან ერთად შეუმჩნეველად შევაღწევ პომპეიასთანო. მაგრამ როცა ღამით უზარმაზარ სახლში შევიდა, დერეფნებში დაიბნა. მოწრიალე კლოდიუსი კეისრის დედის ავრელიას მხევალმა ქალმა დაინახა და ვინაობა ჰკითხა. კლოდიუსი იძულებული გახდა პასუხი გაეცა და უთხრა: პომპეიას მოახლე გოგოს ვეძებ, სახელად ავრასო. მხევალმა შეიცნო თუ არა მამაკაცის ხმა ყვირილი მორთო და ქალებს მოუხმო. ქალებმა ყველა კარი ჩაკეტეს, იქაურობა დაჩხრიკეს და შეიპყრეს

კლოდიუსი, რომელიც იმ მოახლე გოგოს საწოლ ოთახში დამალულიყო, ვისთანაც ერთად სახლში შემოვიდა.

ეს ამბავი მეტისმეტად გახმაურდა, მაშინ კეისარმა პომპეია გაუშვა...* კლოდიუსს კი ბრალად დასდო მკრეხელობა და სამართალში მისცა [67].

29. ციცერონი კლოდიუსის მეგობარი იყო და კატილინასთან დაკავშირებულ ამბავთა მსვლელობის ჟამს კარგადაც იყენებდა მას, როგორც უერთგულეს თანაშემწესა და პირად მცველს.

მაგრამ ახლა, როცა კლოდიუსი თავგამოდებით უარყოფდა ბრალდებას, მაგ დროს რომში სულაც არ ვიყავი, ქალაქიდან ძალზე დაშორებულ ადგილებში ვიმყოფებოდი, — ციცერონმა ამის საწინააღმდეგოდ აჩვენა: სწორედ იმ დღეს კლოდიუსი ჩემთან სახლში მოვიდა და ზოგ-ზოგ რამეზე მესაუბრაო.

ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ, ეტყობა, ციცერონმა ასეთი ჩვენება ჭეშმარიტების სიყვარულით კი არ მისცა, არამედ იმიტომ, რომ ამით თავი ემართლებინა თავისი ცოლის, ტერენციას წინაშე. ტერენციას საშინლად ეზიზღებოდა კლოდიუსი მისი დის, კლოდიას მიზეზით, რომელსაც თურმე ციცერონზე გათხოვება სურდა და ამ საქმეს აკეთებინებდა ვინმე ტულუსს. ეს ტულუსი ციცერონის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ახლო მეგობარი და შინაური კაცი იყო; იგი კლოდიას მეზობლად ცხოვრობდა, ხშირად დადიოდა მასთან და საჭირო სამსახურს უწევდა, რითაც ტერენციას ეჭვები აღუძრა.

ჰოდა, უჯიათი ხასიათის და ქმარზე მბრძანებლობის მოყვარულმა ტერენციამ წააქეზა სხვებთან ერთად ამხედრებულიყო კლოდიუსზე და მის წინააღმდეგ მიეცა ჩვენება.

კლოდიუსის წინააღმდეგ მოწმედ გამოვიდა მრავალი წარჩინებული და პატიოსანი მოქალაქეც. ისინი მას ბრალად სდებდნენ ფიცის გატეხას, თაღლითობას, ბრბოს მოსყიდვასა და ქალების შეცდენას. ლუკულუსმა კი მსახური ქალები წარმოადგინა იმის მოწმეებად, რომ კლოდიუსს სამარცხვინო კავშირი ჰქონდა თავის ყველაზე უმცროს დასთან მაშინ, როცა ეს ქალი მისი, ლუკულუსის ცოლი იყო. გარდა ამისა, დაჟინებით დადიოდა ხმები, რომ კლოდიუსი ცხოვრობდა დანარჩენ ორ დასთანაც, რომელთაგან ერთი — ტერცია მარციუს რექსის

* ტექსტი დაზიანებულია.

ცოლი იყო, ხოლო მეორე — კლოდია—მეტელუს ცელერისა[68]. კლოდიას მეტსახელად კვადრანტარიას ეძახდნენ; ეს იმიტომ, რომ ერთერთმა საყვარელმა მას გაუგზავნა ქისა, რომელშიც ვერცხლის ნაცვლად სპილენძის ფული ჩაუყარა: სპილენძის უწვრილეს ფულს კი რომაელთა ენაზე კვადრანტი ჰქვია. ამ დასთან კავშირმა ყველაზე მეტად გაუტეხა სახელი კლოდიუსს.

მიუხედავად ამისა, ხალხმა მაშინ ძლიერი წინააღმდეგობის გაწევა დაუწყო კლოდიუსის ბრალმდებლებსა და მტრებს. დაშინებულმა მსაჯულებმა სასამართლოს შენობის არგვლიც დაცვა დააყენეს; მოსამართლეთა უმრავლესობამ კი ხმის მისაცემ ფირფიტებზე თავიანთი აზრი ფრიად გაუგებრად წააწერა. ბოლოს და ბოლოს მაინც გაირკვა, რომ მსაჯულთა დიდი ნაწილი კლოდიუსის გამართლებას ემხრობოდა; ამის გამო დაირხა ხმა: მსაჯულები მოისყიდესო. როცა მათ შეხვდა, კატულუსმა უთხრა: „სავსებით სწორედ მოიქეცით, პირადი უშიშროებისათვის რომ დაცვა გამოითხოვეთ; თქვენ გეშინოდათ, ვისმე თქვენთვის ფული არ წაერთმია“[69]. როცა კლოდიუსმა ნიშნისმოგებით მიმართა ციცერონს: შენს ჩვენებებს მოსამართლენი არ ერწმუნენო, ციცერონმა მიუგო: „ოცდახუთმა მსაჯულმა დამიჯერა მე, ვინაიდან სწორედ ამდენმა გაგამტყუნა შენ; შენ კი არ დაგიჯერა ოცდაათმა და მანამ არ გაგამართლა, სანამ შენგან ფული არ აიღოთ“.

სასამართლოში გამოძახებულმა კეისარმა კლოდიუსის წინააღმდეგ ჩვენება არ მისცა და განაცხადა, რომ მას ცოლისათვის მრუშობა არ შეუმჩნევია, მაგრამ გაუშვა იმიტომ, რომ კეისრის მეუღლეს არა მარტო სამარცხვინო საქმეთაგან უნდა ეჭიროს თავი შორს, არამედ საეჭვოც უმწიკვლო უნდა ჰქონდესო.

30. როგორც კი გადაურჩა საფრთხეს, კლოდიუსი სახალხო ტრიბუნად აირჩიეს. იგი მაშინვე დაუპირისპირდა ციცერონს და მის წინააღმდეგ ყოველგვარი საქმის შეგროვება და სხვადასხვა ჯურის მოქალაქეთა წაქეზება დაიწყო. ლმობიერი კანონებით მან ხალხის გული მოიგო, ხოლო ორივე კონსულს სახალხო კრების დადგენილებით საგამგებლოდ მიუჩინა დიდი პროვინციები: პიზონს მისცა მაკედონია, გაბინიუსს კი სირია. მრავალი ღარიბი მოქალაქე კლოდიუსმა თავის პოლიტიკას მიამხრო და გარს შეიკრებულები მონები შემოიკრიბა.

იმხანად რომში ყველაზე უფრო ძლიერი იყო სამი კაცი: კრასუსი, პომპეუსი და კეისარი. კრასუსი აშკარად ებრძოდა ციცერონს; პომპეუსი ორივესთან თვალთმაქცობდა; კეისარი კი თავისი ჯარით გალიაში ვასალაშვრებლად ემზადებოდა. ციცერონმა ამ უკანასკნელს მიაშურა, თუმცა იგი მისი მეგობარი არ იყო და კატილინას შეთქმულების დროიდან ეჭვის თვალით უყურებდა. ციცერონმა მას სთხოვა ლეგატად წაეყვანა ლაშქრობაში. კეისარი ამაზე დათანხმდა. კლოდიუსმა, როგორც კი დაინახა, ციცერონი მის (სახალხო ტრიბუნის) ძალაუფლებას ხელიდან უსხლტებოდა, თავი ისე დაიჭირა, თითქოს მასთან შერიგება სურდა. იგი თითქმის ყველაფერს ტერენციას აბრალებდა; ამიერიდან ციცერონს ყოველთვის კარგად იხსენებდა და მოქარგული სიტყვებით არწმუნებდა: შენ მიმართ ზიზღი და რისხვა არ მამოქმედებდა, მხოლოდ ზომიერი და მეგობრული საყვედურებით მოგმართავდი. ასეთი ქცევით კლოდიუსმა ყოველგვარი შიში გაუფანტა ციცერონს. ამანაც კეისრის ლეგატობაზე უარი თქვა და კვლავ პოლიტიკურ საქმიანობას მიჰყო ხელი.

კეისარს ეს ეწყინა. მაშინ მან კლოდიუსი გააძლიერა, პომპეუსი კი სრულიად ჩამოაშორა ციცერონს: ხოლო თვითონ ციცერონის წინააღმდეგ მიმართული საბრალდებო სიტყვით გამოვიდა ყრილობის წინაშე. მან თქვა, რომ ცეთეგუსის, ლენტულუსისა და სხვების გაუსამართლებლად დახოცვა, მისი აზრით, იყო უმსგავსო და უკანონო საქციელი. ასეთი იყო ბრალდება, რომლის საფუძველზე ციცერონი სამართალში მისცეს[79]. განსაცდელში ჩავარდნილმა და ათვალწუნებულმა ციცერონმა სამგლოვიარო ტანსაცმელი შემოიბურა, თმა მოუშვა, უბან-უბან სიარული იწყო და ხალხს ემუდარებოდა: დამიფარეთო. მაგრამ მას ყოველ ნაბიჯზე გზას უღობავდა კლოდიუსი უტიფარი და თავხედი ხალხისაგან შემდგარი რაზმის თანხლებით. კლოდიუსის მხლებლები აღვირახსნილი უზრდელობით დასცინოდნენ ციცერონის შემოსილობას და მის სასოწარკვეთილ შესახედაობას; ზოგჯერ კი ტალახსა და ქვებს ესროდნენ და ხელს უშლიდნენ ხალხს მისი სათხოვარი მოესმინა.

31. მიუხედავად ამისა, ციცერონთან ერთად მხედართა წოდების თითქმის მთელმა შემადგენლობამ გადაიცვა ძაძა. ოცი ათასამდე ყმაწვილი კაცი თმაჩამოშვებული მიჰყვებოდა უკან ციცერონს და მის მუდარას თავის ღაღადისს უერთებდა. მალე სენატიც შეიკრიბა, რათა

მიეღო გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც მთელი ხალხი ძაძით უნდა შემოსილიყო და ამით საზოგადო მწუხარება აღენიშნა. მაგრამ კონსულებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას. როცა კლოდიუსმა შეიარაღებული რაზმით სენატის შენობის გარემოცვა დაიწყო, მრავალი სენატორი ტანსაცმლის ხევით და ყვირილით გარეთ გამოვარდა. თუმცა ამ სანახაობას არც სიბრალული და არც სირცხვილი არ გამოუწვევია კლოდიუსისა და მისი ამალის თვალში.

ციცერონი ან უნდა გაქცეულიყო, ანდა საქმის გადასაწყვეტად იარაღით შებრძოლებოდა კლოდიუსს. იგი იძულებული გახდა შემწეობა ეთხოვა პომპეუსისათვის, რომელიც მაშინ განზრახ გავიდა ქალაქიდან და ალბანუმთან ცხოვრობდა მამულში. დახმარების სათხოვრად ციცერონმა მას ჯერ თავისი სიძე პიზონი მიუგზავნა [71], მერმე კი პირადად მივიდა. მაგრამ პომპეუსმა, როცა მისი მოსვლა აუწყეს, მასთან შეხვედრას თავი აარიდა. მას სინდისი ჭენჯნიდა იმ კაცის წინაშე, რომელმაც მისი გულისათვის მრავალი დიდი ბრძოლა გადაიხადა და თავისი პოლიტიკური საქმიანობით ბევრი სამსახური გაუწია. ახლა კი, როცა კეისრის სიძე გახდა, პომპეუსმა სიმამრის დაჟინებული თხოვნით ციცერონის ძველი დამსახურება ქარს გაატანა, უკანა კარიდან გაიპარა და გაიქცა [72].

პომპეუსისაგან გაყიდულმა და მარტოდმარტო, ბედის ანაბარად დარჩენილმა ციცერონმა ახლა კონსულებს მიაშურა. გაბინიუსი, როგორც ყოველთვის, ცივად შეხვდა; პიზონმა კი საკმაოდ ლმობიერი საუბარი გაუმართა და ურჩია იქაურობას გასცლოდა. გზა ეტია კლოდიუსისათვის, აეტანა ბედის ცვალებადობა და მერმე კვლავ გამხდარიყო მხსნელი სამშობლოსი, რომელიც მისი მიზეზით შფოთსა და უბედურებაში იყო ჩავარდნილი [73].

ასეთი პასუხის მიღების შემდეგ ციცერონი მეგობრებს დაეთათბირა. ლუკულუსი არწმუნებდა: მოიცადე და გაიმარჯვებ კლოდიუსზეო. სხვები კი ურჩევდნენ გაქცეულიყო: რაკი მთლიანად გამოსცდის ხალხი კლოდიუსის თავზე ხელაღებას და უგუნურებას, სულ მალე მოგინატრებსო. ციცერონი ამ რჩევას დაჰყვა. მას დიდი ხნიდან ვე ედგა შინ მინერვას ქანდაკება, რომელსაც განსაკუთრებულ თაყვანს სცემდა. მან ეს ქანდაკება კაპიტოლიუმზე აიტანა და ტაძარს შესწირა წარწერით: „რომის მფარველ მინერვას“. ამის შემდეგ ცი-

ცერონმა მეგობრებისაგან შემდგარი მცირერიცხოვანი ამალა იახლა, შუაღამით ქალაქიდან გავიდა და ქვეითად ლუკანიაზე მიმავალ გზას დაადგა, რათა აქედან სიცილიაში გადასულიყო.

32. როცა მისი გაქცევა გაიგეს, კლოდიუსმა სახალხო კრებაზე გაატარა დადგენილება ციცერონის გაძევების შესახებ და გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ყველას ეკრძალებოდა იტალიიდან ხუთასი მილის მანძილზე მიეწოდებინათ მისთვის ცეცხლი და წყალი და მიეცათ თავშესაფარი. ციცერონის თაყვანისმცემელნი, რომელთა რიცხვიც მრავალი იყო, არაფრად აგდებდნენ ამ ბრძანებას. ისინი მთელი გულწრფელობით ეგებებოდნენ ციცერონს და პატივისცემით აცილებდნენ. მაგრამ ლუკანიის ქალაქ ჰიპონიუმში, რომელსაც ახლა ვიბონს ეძახიან, სიცილიური წარმოშობის ვინმე ვიბიუსმა, რომელიც ხშირად დამტკბარა ხოლმე ციცერონის მეგობრული განწყობილებით და მისი კონსულობის ჟამს მშენებელ ხელოსანთა უფროსად იქნა დანიშნული, იგი სახლში არ მიიღო და შეატყობინა, გასაჩერებელ ადგილს ქალაქგარეთ მიგიჩენო. ციცერონის მრავალი სამსახურით დავალებულმა გაიუს ვერგილიუსმა კი, სიცილიის პრეტორმა, წერილობით აცნობა: სიცილიაში ჩამოსვლისაგან თავი შეიკავეო.

ასეთი ქცევით ნაწყენი ციცერონი ბრუნდუზიუმში ავიდა. ხოლო აქედან, როგორც კი დაუბერა ზურგქარმა, ხომალდით დირაქიუმისაკენ გაემართა. მაგრამ ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა და მეორე დღეს ციცერონი ისევ ბრუნდუზიუმის ნავსადგურში აღმოჩნდა. მერმე კვლავ გავიდა ზღვაში. ამბობენ, როცა იგი დირაქიუმს მიადგა და ნაპირზე გადასვლას აპირებდა, მიწა და ზღვა ერთად შეიძრაო. მისნებმა ეს შემდეგნაირად ახსნეს თურმე: ციცერონის გაძევება ხანგრძლივი არ იქნება; მომხდარი სასწაული ცვალებადობის მომასწავებელიაო.

გულწრფელი პატივისცემის გამო ციცერონის სანახავად დიდძალი ხალხი დადიოდა. საბერძნეთის ქალაქები ერთმანეთს ეცილებოდნენ მასთან ელჩების მიგზავნასა და მიპატიჟებაში.

მიუხედავად ამისა, დროის დიდ ნაწილს ციცერონი სასოწარკვეთილებასა და დარდში ატარებდა და უიმედო შეყვარებულთა მსგავსად სულ იტალიას გასცქეროდა. ამ უბედურების ჟამს მეტისმეტად იყო სულით დაცემული და შეწუხებული. ამას არავინ მოელოდა ისეთი კაცისაგან, ვისაც ეგზომ დიდი განათლება ჰქონდა მიღებული.

	i თვითონაც ხშირად მოითხოვდა მეგობრებისაგან, მისთვის ფილოსოფოსი ეწოდებინათ და არა რიტორი. ფილოსოფია, — ამბობდა იგი, — მე ავარჩიე, როგორც ჩემი ძირითადი საქმიანობა, მჭევრმეტყველებას კი საჭიროებისამებრ იარაღად ვიყენებ პოლიტიკურ საქმიანობაშია. მაგრამ პატივმოყვარეობას ისეთი ძალა აქვს, რომ ადვილად შეუძლია ადამიანის სულს უბრალო საღებავივით ჩამოარეცხოს ყოველგვარი ცოდნა და პოლიტიკური მოღვაწენი ბრბოსთან ურთიერთობისა და დაახლოების წყალობით ამ ბრბოს განცდებით გაჟღინთოს. ეს ასე ხდება, თუ სახელმწიფო მოღვაწე გარემოსთან კავშირში ფრთხილი არ არის; თუ ის არ ცდილობს ღრმად ჩასწვდეს საქმეთა არსს და არ აჰყვეს ამ საქმეებით გამოწვეულ ვნებათ.

33. ციცერონის გაძევების შემდეგ კლოდიუსმა ყველა მისი აგარაკი გადაწვა; ცეცხლს მისცა აგრეთვე მისი სახლი რომში და აქ, ნისახლარზე, თავისუფლების ტაძარი ააგო. ციცერონის დანარჩენ ქონებას კლოდიუსმა გაყიდვა დაუპირა და საამისო განცხადებას ყოველდღიურად აქვეყნებდა შიკრიკთა მეშვეობით; მაგრამ არავინ არაფერს ყიდულობდა, ასეთი საქციელის წყალობით მან მეტისმეტად დააშინა არისტოკრატები; აიყოლია რა თავზეხელაღებული ხალხი, რომელიც მზად იყო ყოველგვარი უხამსობა და თავხედობა ეკისრა, კლოდიუსი თავს დაესხა პომპეუსსაც და ლაშქრობის დროს მის მიერ გამოტანილი ზოგიერთი გადაწყვეტილების გაუქმებას მიჰყო ხელი. ამით შეურაცხყოფილმა პომპეუსმა ფრიად ინანა, რომ ციცერონს ულალატა. ახლა მან აზრი გამოიცვალა და ყოველნაირად ცდილობდა შეგობრების დახმარებით ციცერონის დაბრუნების საქმე მოეგვარებინა. კლოდიუსმა ამის წინააღმდეგ გაილაშქრა. მაშინ სენატმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყოველგვარი დადგენილების გამოტანას შეაჩერებდა და საზოგადო საქმეთა წარმოებაზე ხელს აიღებდა, სანამ ციცერონს გაძევებიდან დაბრუნების უფლება არ მიეცემოდა.

როცა ხელისუფლებას სათავეში კონსული ლენტულუსი და მისი მოშსრენი ჩაუდგნენ, შინაურმა შფოთმა კიდევ უფრო იმატა. ფორუმზე სახალხო ტრიბუნები დაჭრეს; ციცერონის ძმამ კვინტუსმა კი იმით გადაირჩინა თავი, რომ გვამებს შორის ჩაწვა და თავი მიიმკვდარუნა. მაგრამ ხალხი თანდათან უკვე გონს მოვიდა. ერთ-ერთმა სახალხო ტრიბუნმა ანიუს მილონმა გაბედა და პირველმა აღძრა საამართლო საქმე კლოდიუსის ძალადობის წინააღმდეგ. პომპეუსის

გარშემო მრავალი რომაელი და მახლობელ ქალაქთა ბევრი მოსახლე დაირაზმა. მოშხრეებთან ერთად პომპეუსი ფორუმზე გამოვიდა, გააძევა იქიდან კლოდიუსი და რომაელთ მოუწოდა ციცერონის სასარგებლოდ მიეცათ ხმა. ამბობენ, ასეთი ერთსულოვნებით არასდროს არც ერთი დადგენილებისათვის არ მიუცია ხმა ხალხსო. სენატმაც თავის მხრივ თავი გამოიდო ხალხის წინაშე და დაადგინა: მადლობა გადაეხადათ იმ ქალაქებისათვის, რომლებმაც პატივი სცეს ციცერონს გაძევების დროს და საზოგადო ხარჯზე აღედგინათ ციცერონისათვის კლოდიუსის მიერ განადგურებული სახლი და ავარაკები [74].

ციცერონი რომში დაბრუნდა გაძევებიდან მეთექვსმეტე თვეზე. გზად მომავალ ციცერონს ისეთი გულწრფელი და აღფრთოვანებული შეხვედრა გაუმართა სხვადასხვა ქალაქთა მოსახლეობამ, რომ მის მიერ შემდეგ ხანებში ამასთან დაკავშირებით თქმული სიტყვები მთლიანად ვერ გადმოსცემენ სინამდვილეს. იგი ამბობს: იტალიამ მხრებზე შესმული შემიყვანა რომშიო.

კრასუსიც კი, რომელიც გაძევებამდე მტრობდა ციცერონს, გულთბილად მიეგება მას და შეურიგდა, რათა, — როგორც თვითონ ამბობს, — ეამებინა ამით თავისი ვაჟისათვის, ციცერონის მხურვალე თაყვანისმცემელ პუბლიუსისათვის.

34. მცირე ხნის შემდეგ, ისარგებლა რა კლოდიუსის რომში არყოფნით, მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით ციცერონი კაპიტოლიუმზე ავიდა და ჩამოგლიჯა და დაამსხვრია სახალხო ტრიბუნთა ის ფირფიტები, რომლებზედაც აღნუსხული იყო კლოდიუსის ტრიბუნობის ჟამს მიღებული გადაწყვეტილებები. კლოდიუსმა ამის გამო საჩივარი აღძრა; ციცერონი თავს იმართლებდა: პატრიციული წოდების კლოდიუსი უკანონოდ გაძვრა სახალხო ტრიბუნად; ამიტომ მის მიერ გაკეთებულ არც ერთ საქმეს კანონიერი ძალა არა აქვსო [75]. ამაზე კატონი გაწყრა და შეედავა: კლოდიუსს მე როდი ვაქებ, მისი პოლიტიკური საქმიანობით აღშფოთებულიც კი ვარ, მაგრამ, ჩემი აზრით, საშინელება და ძალადობაა სენატის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მოსპოს ეგზომ დიდმნიშვნელოვანი დადგენილებები და საქმეები, რომელთა შორის ჩემი განკარგულებებიც იყო. კიპროსისა და ბიზანტიონის თაობაზეო.

ერთი სიტყვით, ციცერონმა აწყენინა კატონს; მაგრამ ეს დავა აშ-

კარა მტრობამდე არ მისულა; თუმცა, უნდა ითქვას, მათ ურთიერთობაში ამის შემდეგ ერთგვარი ჩრდილი ჩამოწვა.

35. ამ ამბავთა შემდეგ მილონმა კლოდიუსი მოკლა. მკვლელობისათვის სამართალში მიცემულმა მილონმა დამცველად ციცერონი აიყვანა. იმის შიშით, რომ ქალაქში მღელვარება არ დაწყებულიყო სახელგანთქმული და ფიცხი მილონის საფრთხეში ყოფნის გამო, სენატმა პომპეუსს დაავალა ხელმძღვანელობა გაეწია, როგორც მილონის საქმის გარჩევის მსვლელობისათვის, ისე სხვა სხდომებისათვისაც და ქალაქისა და სასამართლოების უშიშროება უზრუნველეყო.

პომპეუსმაც ჯერ კიდევ ღამით ფორუმის ირგვლივ მდებარე მაღლობები ჯარისკაცებით გაამაგრა. მილონს ეშინოდა, ასეთი უჩვეულო სანახაობით შეშფოთებულ ციცერონს მის დასაცავად კამათი სუსტად არ ჩაეტარებინა. ამიტომ ურჩია, ფორუმზე მოფარდაგული ტახტრევანით მოსულიყო და გულდამშვიდებით მოეცადა, სანამ მსაჯულები არ შეიკრიბებოდნენ და სასამართლო ხალხით არ აივსებოდა. ციცერონი, როგორც ცნობილია, არა მარტო საომარ საქმეებში იყო მხდალი, არამედ ლაპარაკსაც შიშით იწყებდა. თავისი მრავალრიცხოვანი სიტყვების წარმოთქმისას იგი ძლივს იკავებდა ხოლმე ძრწოლასა და კანკალს, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა კამათში გაფიცხდებოდა. ერთხელ იგი იცავდა კატონის მიერ სამართალში მიცემულ ლიციინიუს მურენას და პატივმოყვარეობით აღტყინებული ყოველნაირად ცდილობდა ეჯობნა ჰორტენზიუსისათვის, რომელმაც მურენას დასაცავად უკვე წარმოთქვა თავის მხრივ სიტყვა და ბრწყინვალე წარმატებაც მოიპოვა. ამისათვის ციცერონმა თითქმის მთელი ღამე მოუსვენრად გაატარა. ბევრი ფიქრითა და უძილობით დაღლილ-დაქანცულმა მეორე დღეს გაცილებით უარესად ილაპარაკა, ვიდრე შეეძლო.

მილონის გასამართლების დღეს, როცა ციცერონი ტახტრევანიდან გადმოვიდა და მაღლობზე (თითქოს საომრად გამზადებული ბანაკი ყოფილიყო) მჯდარი პომპეუსი და ფორუმის გარშემო აელვარებული იარაღი დაინახა, ისე შეშფოთდა, რომ ლაპარაკი ძლივძლივობით დაიწყო და მთელი სხეულით აკანკალებულს სიტყვა პირში უწყდებოდა. მილონი კი ამაყად და ვაჟკაცურად წარსდგა სასამართლოს წინაშე; მან არც თმის საგანგებოდ გაზრდა და არც სამგლოვი-

არო ტანსაცმლის ჩაცმა არ ჩათვალა საჭიროდ. ასეთმა ქცევამ, ივარაუდება, საკმაოდ შეუწყო ხელი მისთვის უსიამოვნო განაჩენის გამოტანას[76]. ეს კია, რომ მაშინ ციცერონის შიში მეგობრის სიყვარულის გრძნობას უფრო მიაწერეს, ვიდრე სიმხდალეს.

36. პართებთან ომში მოკლული კრასუს უმცროსის ნაცვლად ციცერონი გახდა იმ ქურუმთა საზოგადოების წევრი, რომელთაც რომაელები ავგურებს ეძახიან. მცირე ხნის შემდეგ კი წილის ყრით საგამგებლოდ ერგო კილიკია და თორმეტი ათასი ქვეითი მეომრისაგან და ორი ათას ექვსასი ცხენოსნისაგან შემდგარი ლაშქარი. ამ ლაშქართან ერთად იგი გაემგზავრა კილიკიაში. მას დავალებული ჰქონდა კაპადოკიის მხარე მეფე არიობარძანესთან შეერიგებინა[77] და მისი მორჩილი გაეხადა. კაპადოკია მან მართლა ისე დაიმორჩილა და მოათვინიერა, რომ არც ომი გადაუხდია და არც არავისი საყვედური არ დაუმსახურებია. თავისი ლმობიერი მმართველობის წყალობით დააშოშმინა კილიკიელებიც, რომლებიც, როგორც ჩანს, მზად იყვნენ ამბოხებისათვის პართებთან რომაელების მიერ განცდილი მარცხისა და სირიაში ამტყდარი უწესრიგობის გავლენით[78].

ციცერონი მეფეთაგან მირთმეულ საჩუქრებსაც კი არ ღებულობდა, ხოლო საგამგებლოს ქვეშევრდომნი სრულიად გაათავისუფლა უმაღლეს მოხელეთა პატივსაცემად გამართულ ლხინებისაგან, თვითონ კი ყოველდღე იპატიჟებდა სუფრაზე სასურველ პირთ, რომელთაც მდიდრულად არა, მაგრამ კეთილი გულით უმასპინძლდებოდა. მის სახლს მეკარე არ ჰყავდა მიჩენილი; მიუხედავად ამისა, ციცერონს წამოწოლილს ვერავინ მიუსწრებდა. იგი დილაადრიან მოსასვენებელი ოთახის წინ იდგა, ან ბოლთას სცემდა და მასთან მისასალმებლად მისულთ ეგებებოდა. ამბობენ, რომ ციცერონი არავის არ როზგავდა, არავის ახევდა ტანზე სამოსელს[79], ბრაზმორეული არავის არ ლანძღავდა და სასჯელის დადების დროს არავის აბუჩად არ იგდებდა. მან საზოგადო სახსრების დატაცების მრავალი შემთხვევა აღმოაჩინა და ამით ხელი შეუწყო ქალაქთა აღორძინებას. იმათ, რომლებიც მიტაცებულს უკან დააბრუნებდნენ, სხვამხრივ აღარ სჯიდა და ძველ ღირსებას უნარჩუნებდა.

ციცერონმა წამოიწყო ომი. ამ ომში მან დაამარცხა და უკუაქცია ამანოსთან[80] განლაგებული ავაზაკები, რისთვისაც ჯარისკაცებმა იმპერატორად აღიარეს.

რიტორმა ცელიუსმა ციცერონს მიმართა თხოვნით: სანახაობის გასამართავად ავაზები მჭირდება და კილიკიიდან რომში გამომიგზავნეო. ციცერონმა, რომელიც თავს იწონებდა შესრულებული საქმეებით, ცელიუსს მისწერა: კილიკიაში ავაზები აღარ არიან; ისინი კარიაში გაიქცნენ ნაწყენნი იმით, რომ მხოლოდ მათ უწევთ ომი იმ დროს, როცა ირგვლივ ყველა მშვიდობით განისვენებსო.

როცა ციცერონი საგამგებლო ოლქიდან გამოემგზავრა, ჯერ როდოსზე შეჩერდა. მერმე კი მცირეოდენი ხანი ხალისით დაჰყო ათენში წინათ აქ გატარებულ ნანატრი დროის მოსაგონებლად. აქ იგი შეხვდა ყველაზე უფრო გამოჩენილ მეცნიერთ, სიხარულით მოინახულა ძველი მეგობრები და ნაცნობები და ელადის მიერ ღირსეულად პატივცემული დაბრუნდა რომში სწორედ იმ დროს, როცა სახელმწიფო ცოცხ-ცხელებით იყო შეპყრობილი და შინა ომისაკენ მიისწრაფოდა [31].

37. სენატმა განიზრახა კენჭი ეყარა და გამოეტანა დადგენილება ციცერონისათვის ტრიუმფის გადახდაზე. ამაზე ციცერონმა განაცხადა, რომ მისთვის უფრო სასიამოვნო იქნება კეისრის სატრიუმფო ეტლს მიჰყვეს უკან, ოღონდ მეტოქეთა შერიგება მოხდეს. შერიგების რჩევას იგი ცალ-ცალკეც აძლევდა გადამტერებულ მხარეებს. კეისარს მრავალი წერილით, პომპეუსს კი დაჟინებული თხოვნით ემუდარებოდა: ორივე დაწყნარდით და შერიგდითო. მაგრამ ბოროტების განკურნვა შეუძლებელი გახდა. კეისარი რომზე მოდიოდა [32]. პომპეუსი აღარ დაელოდა მას და წარჩინებულთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის თანხლებით ქალაქი დატოვა. ციცერონი ამ ლტოლვილთ არ შეუერთდა; მოსალოდნელი იყო, რომ იგი კეისარს მიემხრობოდა. ცხადია, დიდხანს მერყეობდა ორ აზრს შორის და იტანჯებოდა. აკი წერილებშიც წერს: არ ვიცი, ვის მხარეზე გადავიდე; პომპეუსს დიდებული და სამართლიანი საბაბი გააჩნია ომის საწარმოებლად, მაგრამ კეისარი უკეთ სარგებლობს შექმნილი გარემოებით და საკუთარი თავისა და მეგობრების ხსნა უფრო შეუძლია. ერთი სიტყვით, გასაჭცევი არის, მაგრამ ვისთან — ესაა გასარკვევიო.

ტრებაციუსმა, კეისრის ერთ-ერთმა მეგობარმა, ციცერონს მისწერა წერილი: კეისარი ფიქრობს, რომ შენ მის მხარეზე უნდა გადმოხვიდე და მისი იმედები გაიზიარო მაგრამ თუ სიბერის გამო თავს არიდებ, მაშინ საბერძნეთში გაემგზავრე და იქ ორივე მეომარი მხა-

რისაგან მოშორებულმა მშვიდად იცხოვრეო. ციცერონს გაუკვირდა, წერილი რომ თვითონ კეისარმა არ მოსწერა და ბრაზით უპასუხა: არაფერს არ ჩავიდენ ისეთს, რაც ჩირქს მოსცხებს ჩემს წინანდელ პოლიტიკურ საქმიანობასო. აი ის, რაც ამაზე მის წერილებშია აღნიშნული.

38. როცა კეისარი ესპანეთში წავიდა, ციცერონი მაშინვე ჩაჯდა ხომალდში და პომპეუსთან გაემგზავრა. იქ ყველას გაეხარდა მისი დანახვა. მაგრამ კატონმა ნახა თუ არა, საშინლად გაკიცხა პომპეუსის მხარეზე გადმოსვლის გამო. „ჩემთვის, — უთხრა მან ციცერონს, — უხერხული იქნებოდა ხელი ამეღო იმ პოლიტიკურ მიმართულებაზე, რომელიც თავიდანვე ავირჩიე; შენ კი უფრო მეტ საგებლობას მოუტანდი საშშობლოსა და მეგობრებს, მხარი რომ არავისთვის დაგეჭირა, რომში დარჩენილიყავი და შენი მომავალი მოქმედება ამ ომის შედეგისათვის შეგეფარდებინა; ახლა კი სრულიად წინდაუხედავად, ყოველგვარი იძულების გარეშე, კეისრის მტერი გახდი და აქ მოსვლით ჩვენს თავზე ჩამოწოლილი უდიდესი საფრთხე უნდა გაიზიარო“.

ამ სიტყვებმა ციცერონს აზრი შეაცვლევინეს. მასზე იმანაც იმოქმედა, რომ პომპეუსი არც ერთ მნიშვნელოვან საქმეში არ ირევდა. დამნაშავე ამაში ციცერონი თვითონვე იყო. იგი არც მალავდა, რომ ნანობდა თავის საქციელს და ახლა ყოველნაირად ამცირებდა პომპეუსის სამზადისს. ჩუმ-ჩუმად კიცხავდა მის გადაწყვეტილებებს და გამქირდავი სიტყვებით თავშეუკავებლად დასცინოდა მის მოკავშირეთ. თვითონ გაუცინარი, მოღუშული სახით დადიოდა ბანაკში, სხვებს კი აიძულებდა ეცინათ მაშინ, როცა სამხიარულო არაფერი ჰქონდათ. უმჯობესია ამ მხრივ მცირეოდენი მაგალითები მოვიტანოთ.

დომიციუსმა ერთხელ განიზრახა საომარ საქმეებში სრულიად გამოუცდელი ვილაც კაცი მეთაურად გაეყვანა და მისი ქება დაიწყო: მეტად მაღალი ზნეობისა და გონების ადამიანიაო. „თუ ასეა, — უთხრა ციცერონმა, — რატომ შენი შვილების მეურვედ არ გაიხდი მაგ კაცსო?“ [83]

ზოგიერთმა ხოტბის შესხმა დაუწყო ბანაკში მყოფ მშენებელთა უფროსს თეოფანე ლესბოსელს [84]; ამ კაცმა კარგად დააწყნარა როდოსელები, რომლებმაც ფლოტი დაკარგესო. „აი რამხელა სიკე-

თეა, — თქვა ამაზე ციცერონმა. — უფროსად ბერძენი კაცის ყოლაო!"

როცა კეისარმა ყოველმხრივ წარმატებას მიაღწია და პომპეუსელებს თითქმის ალყაც კი შემოარტყა, ლენტულუსმა თქვა: როგორც გავიგე, კეისრის მეგობრები დიდად დამწუხრებულნი არიანო. „შენ გინდა თქვა, რომ ისინი კეისარზე ბრაზობენო", — უთხრა ლენტულუს ციცერონმა.

ვინმე მარციუსს, რომელიც იტალიიდან ის-ის იყო მოვიდა და ამბობდა: რომში დაჟინებით დადის ხმა, პომპეუსს უკვე ალყა შემოარტყესო, ციცერონმა ჰკითხა: „შენც იმიტომ მოხვედი, რომ ეს საკუთარი თვალით ნახო და დარწმუნდეო?"

დამარცხების შემდეგ ნონიუსმა თქვა: საჭიროა კიდევ იმედი ვიქონიოთ, ვინაიდან პომპეუსის ბანაკში შვიდი არწივი დარჩაო. „შენი რჩევა, — უთხრა მას ციცერონმა, — ცუდი როდი იქნებოდა, ჭილყვავებს რომ ვეომებოდეთო".

ლაბიენუსმა, ეყრდნობოდა რა რომელიღაც წინასწარმეტყველებას, განაცხადა: ბოლოს და ბოლოს პომპეუსი აუცილებლად გაიმარჯვებსო[85]; ციცერონმა დაცინვით შენიშნა: „გამოდის, ჩვენ სამხედრო ეშმაკობას მივმართეთ და ბანაკი დღეს განზრახ დავკარგეთო".

39. მცირე ხნის შემდეგ მოხდა ბრძოლა ფარსალესთან, რომელშიც ციცერონს ავადმყოფობის გამო მონაწილეობა არ მიუღია. ხოლო როცა პომპეუსი გაიქცა, კატონმა, ვის ხელთაც დირაქიუმში მრავალრიცხოვანი ჯარი და დიდი ფლოტი დარჩა, მთავარსარდლობა დაავალა კანონის ძალით ციცერონს, როგორც თავის დროზე კონსულის ღირსებით შემოსილ კაცს. ციცერონმა წინამძღოლობაზე უარი თქვა და განაცხადა: ამიერიდან თქვენთან ერთად საერთოდ აღარ მივიღებ მონაწილეობას ომშიო. ამის გამო კინაღამ მოკლეს; ახალგაზრდა პომპეუსმა და მისმა მეგობრებმა მოღალატე დაუძახეს და ხმლებიც იშიშვლეს; ციცერონის საქმე გათავებული იყო, კატონი რომ არ გამოქომაგებოდა; მან ძლივძლივობით გამოსტაცა იგი თავდამსხმელთ ხელიდან და ბანაკიდან გაიყვანა.

ციცერონი ბრუნდუზიუმში ჩავიდა და იქ მცირეოდენი ხანი დაჰყო კეისრის მოლოდინში, რომელიც ჯერ კიდევ დაკავებული იყო აზიისა და ეგვიპტის საქმეებით. როგორც კი ეუწყა, კეისარი ტარენტოში ჩამოვიდა და იქიდან ახლა ხმელეთით ბრუნდუზიუმში მო-

დისო, ციცერონი მის შესახვედრად გაეშურა. კეისრის მხრივ პატიების იმედი საბოლოოდ დაკარგული არ ჰქონდა, თუმცა მრავალი ადამიანის თანდასწრებით გამარჯვებული მტრის დიდსულოვნების გამოცდისა ძალზე ეშინოდა. თუმცაღა არ დასჭირვებია გაეკეთებინა ან ეთქვა ისეთი რამ, რაც მის დირსებას შელახავდა. დაინახა თუ არა კეისარმა, რომ იგი ყველაზე წინ მოეშურებოდა მის შესაგებებლად, მაშინვე ჩამოქვეითდა, გადაეხვია და მასთან პირისპირ საუბარში კარგა ძალი გზა განვლო ფეხით.

ამიერიდან კეისარი მუდამ პატივისცემით და მეგობრული გრძნობით ეექცეოდა. ასე, მაგალითად, როცა ციცერონმა კატონის სახოტბო სიტყვა შეთხზა, კეისარმა საპასუხოდ დაწერა ასევე ხოტბა, ოღონდ აქ ქება-დიდება შეასხა ციცერონის ენამჭევრობასა და მის მთელ ცხოვრებას, რომელიც, მისი აზრით, მეტისმეტად ჰგავდა პერიკლესა და თერამენეს [86] მიერ განვლილ სიცოცხლის გზას. ციცერონის სიტყვას სათაურად „კატონი“ აქვს, კეისრისას კი — „ანტიკატონი“ [87].

გადმოცემის თანახმად, კვინტუს ლიგარიუსი სამართალში მისცეს, როგორც კეისრის ერთ-ერთი მტერი. მისი დაცვა იკისრა ციცერონმა. მაშინ თურმე კეისარმა მეგობრებს უთხრა: „ლიგარიუსი რომ ბოროტი კაცი და ჩვენი მტერია, ეს გადაწყვეტილი საქმეა, მაგრამ რა გვიშლის ხელს, რომ კარგა ხნის შემდეგ კვლავ მოვისმინოთ ციცერონის სიტყვა?“ დაიწყო თუ არა ლაპარაკი ციცერონმა, მაშინვე ცხოველი შთაბეჭდილება მოახდინა კეისარზე; ხოლო შემდეგ, როცა მისი სიტყვა უფრო და უფრო გრძნობათა აღმძვრელი და საოცრად მომხიბლავი გახდა, კეისარს ფერმა დაუწყო სახეზე თამაში; ცხადი იყო, მის სულში მთლიანი გარდატეხა ხდებოდა. და ბოლოს, როცა რიტორი ფარსალეს ბრძოლებს შეეხო, თავდავიწყებამდე მისულ კეისარს მთელი სხეული აუკანკალდა და ხელიდან რაღაც ნაწერები გაუვარდა. ციცერონის ენამჭევრობით დაძლეულმა კეისარმა ლიგარიუსს ბრალდება მოხსნა [88].

40. იმის შემდეგ, რაც რესპუბლიკური წყობილება მონარქიით შეიცვალა, ციცერონმა სახელმწიფო მოღვაწეობას თავი მიანება და თავისუფალ დროს იმ ახალგაზრდებთან მეცადინეობაში ატარებდა, რომელთაც ფილოსოფიის შესწავლა სურდათ. ამ ყველაზე კეთილშობილი და წარჩინებული ოჯახიდან გამოსულ ახალგაზრდებთან ურთიერთობის წყალობით მან კვლავ დიდი გავლენა მოიპოვა ქალაქში.

მისი ძირითადი საქმიანობა მაშინ იყო ფილოსოფიური დიალოგების შეთხზვა და გადათარგმნა და დიალექტიკასა და ფიზიკაში ხმარებულ სიტყვათა გადმოღება ლათინურ ენაზე. როგორც ამბობენ, იგი პირველი კაცი იყო, რომელმაც რომაელებს ლათინურ ენაზე მიაწოდა და ნაწილობრივ მეტაფორებისა და ნაწილობრივ სხვა უკვე ცნობილი გამოთქმების წყალობით გასაგები და ადვილად ასათვისებელი გაუხადა ბერძნული სიტყვები: ფანტასია (წარმოდგენა), სინკატათესისი (შეთანხმება), ეპოხე (მსჯელობაში თავის შეკავება), კატალეფსისი (აღქმა); ამათ გარდა კიდევ: ატომი (განუყოფელი), ამერესი (უწილო), კენოსი (სიცარიელე) და მრავალი სხვა ასეთი. პოეზიის თანდაყოლილ ნიჭს იგი მხოლოდ თავის გასართობად იყენებდა. ვადმოგვცემენ: ყოველთვის, როცა კი მიყოფდა ხელს ამ საქმეს, ღამეში ხუთას ტაეპს თხზავდაო.

მაშინდელი დროის დიდ ნაწილს ციცერონი ატარებდა ტუსკულუმში — თავის მამულში და იქიდან მეგობრებს სწერდა: ლაერტეს ცხოვრებას ვეწევიო[89]. შეიძლება იგი ჩვეულებისამებრ ხუმრობით ამბობდა ამას, ანდა შესაძლოა პატივმოყვარეობა სახელმწიფო მოღვაწეობისაკენ ეწეოდა და გულისტკივილით განიცდიდა აწმყო მდგომარეობას. ქალაქში ციცერონი იშვიათად ჩადიოდა და ისიც იმიტომ, რომ კეისარს მისალმებოდა. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმათ შორის, რომლებიც მხარს უჭერდნენ კეისრის ახალ-ახალ პატივში აღზევებას და ცდილობდნენ ყოველთვის ახალი რამ ეთქვათ კეისრის შესაქებად და მის საქმეთა განსადიდებლად. ასეთია, მაგალითად, ციცერონის სიტყვები, პომპეუსის ქანდაკებებთან დაკავშირებით თქმული. ეს ქანდაკებები ჩამოხსნეს და მიწაზე დაყარეს. კეისარმა ბრძანება გასცა თავ-თავის ადგილას დაედგათ ისინი. ამაზე ციცერონმა თქვა: ამ კეთილშობილური საქციელით და პომპეუსის ქანდაკებათა აღდგენით კეისარი თავისთვის მტკიცე ძეგლს იდგამსო.

41. როგორც გადმოგვცემენ, ციცერონს განზრახული ჰქონდა დაეწერა სამშობლოს ისტორია, ჩაერთო შიგ მრავალი ამბავი საბერძნეთის ისტორიიდან და აქვე შეეტანა მის მიერ შეკრებილი ყველა თქმულება და მითი. ამაში მას ხელი შეუშალა აურაცხელმა იძულებითმა და თავგამაბეზრებელმა საზოგადო და პირადმა საქმემ. ეტყობა, ამ უსიამოვნო საქმეთა დიდი ნაწილი თვითონვე შეამთხვია საკუთარ თავს. უწინარეს ყოვლისა, მან გაუშვა ცოლი ტერენცია, რომე-

ლიც ომის დროს ისე გულგრილად მოექცა, რომ სალაშქროდ გამგზავრება აუცილებელი საგზლის გარეშე მოუხდა; ხოლო მერმე, როცა კვლავ იტალიაში დაბრუნდა, მისგან ვერავითარი სითბო ვერ იგრძნო. ბრუნდუზიუმში კარგა ხანს იმყოფებოდა, ტერენცია კი ერთხელაც არ ჩასულა მასთან და როცა იქ, იმ სიგრძე გზაზე, მისი ქალიშვილი, ახალგაზრდა გოგონა გაემგზავრა, არც შესაფერისი გამცილებელი გააყოლა და არც საჭირო საგზალი გამოუწყო. გარდა ამისა, ციცერონს მთლად გაპარტახებული სახლი და უამრავი ვალი დაახვედრა.

აი, ასეთ ამბებს ასახელებენ გაყრის უმთავრეს საბაბად. ტერენცია ამას ყველაფერს უარყოფდა; ციცერონმაც თვითონვე მშვენიერად გაამართლა ყოფილი ცოლი იმით, რომ მცირე ხნის შემდგომ შეირთო სულ ნორჩი ქალწული, რომლის სიტურფითაც, როგორც ტერენცია ამბობდა ყველგან, იგი მოიხიბლა. ციცერონის მიერ გაასხატებული ტირონი კი წერს, რომ მისმა პატრონმა ახალგაზრდა ქალი შეირთო სიმდიდრის გულისათვის, რათა ვალები გაესტუმრებინაო. ეს გოგონა მართლაც ძალიან მდიდარი იყო და მის ქონებას ანდერძის ძალით მეურვედ დანიშნული ციცერონი იცავდა[90]. როცა მას ათასობით ვალი დაედო, მეგობრებმა და შინაურებმა რჩევა დაუწყეს, არ გაეთვალისწინებინა ასაკი, შეერთო ეს გოგონა და მისი მზითევით მევალეები მოეცილებინა თავიდან.

„ფილიპიკების“ საწინააღმდეგოდ დაწერილ პასუხში ანტონიუსი, იხსენიებს რა ამ ქორწინებას, ამბობს: ციცერონმა გააგდო ცოლი, ვის გვერდითაც დაბერდაო; თანაც გესლიანად დასცინის აქ ციცერონს, როგორც შინჯდომია უმოქმედო კაცს, რომელსაც მეომრისა არაფერი სცხია.

დაქორწინდა თუ არა ციცერონი, მცირე ხნის შემდეგ გარდაიცვალა მისი ქალიშვილი. იგი მშობიაობას გადაჰყვა ლენტულუსის ოჯახში. ეს ქალი ცოლად გაჰყვა ლენტულუსს პირველი ქმრის — პიზონის სიკვდილის შემდეგ. ციცერონის სანუგეშებლად ყოველი მხრიდან ჩამოვიდნენ ფილოსოფოსები, მაგრამ იგი ისე იყო შეწუხებული მომხდარი უბედურებით, რომ ახალი ცოლიც გაუშვა, ვინაიდან ტულიას სიკვდილით გამოწვეული სიხარული შენიშნა.

42. აი ასეთი მდგომარეობა ჰქონდა ოჯახში ციცერონს. რაც შეეხება კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას, ამაში მას მო-

ნაწილეობა არ მიუღია, თუმცა ბრუტუსის ყველაზე ახლობელი მეგობარი იყო და აწმყოთი უკმაყოფილო ისე ნატრობდა წინანდელ წესრიგს, როგორც არავინ. მაგრამ შეთქმულნი ვერ დაეხდნენ მის მხდალ ხასიათს და თან მხედველობაში მიიღეს მისი ასაკი; ასეთ ასაკში კი უმტკიცეს ვაჟკაცებსაც ეკარგებათ მხნეობა.

როცა ბრუტუსმა, კასიუსმა და სხვა შეთქმულებმა განაზრახი სისრულეში მოიყვანეს, კეისრის მეგობრები მათ წინააღმდეგ აღსდგნენ და კვლავ გაჩნდა საშიშროება, რომ შეიძლება სახელმწიფო ისევ შინაომებში გაბვეულიყო. მაშინდელმა კონსულმა ანტონიუსმა სენატი შეკრიბა და მოკლე სიტყვით ერთსულოვნებისაკენ მოუწოდა. ციცერონმა კი შექმნილ მდგომარეობასთან შეხამებული გრძელი სიტყვა წარმოთქვა და დაიყოლია სენატი ათენელების მაგალითისამებრ[91] მიეღო გადაწყვეტილება კეისართან დაკავშირებული ყველა საქმის ამნისტიის თაობაზე და აგრეთვე იმაზეც, რომ ბრუტუსსა და კასიუსს საგამგებლო ოლქები გადასცემოდათ. მაგრამ ამან არავითარი შედეგი არ გამოიღო. ისედაც შეწუხებული ხალხი მთლად გაცოფდა მაშინ, როცა ფორუმზე გამოტარებული კეისრის გვამი იხილა და როცა ანტონიუსმა მახვილებით დაცხრილული კეისრის წამოსასხამი ყველას დაანახვა; რისხვამორეული ხალხი ფორუმზევე შეუდგა შეთქმულთა ძებნას; მერმე კი ჩირაღდნებს სტაცეს ხელი რომაელებმა და მკვლელების სახლების დასაწვავად გაეშურნენ[92]. შეთქმულებმა წინასწარვე მიიღეს საჭირო ზომები და ამ საფრთხეს გადაურჩნენ, მაგრამ რაკი სხვა მრავალი და უფრო დიდი საშიშროება მოელოდათ, ქალაქი დატოვეს.

43. მოხდა თუ არა ზემოხსენებული ამბავი, მაშინვე წამოჰყო თავი ანტონიუსმა და, რაკი ერთმმართველობისაკენ მიისწრაფოდა, ყველასათვის საშიში კაცი გახდა; მაგრამ განსაკუთრებით საშიში იგი მაინც ციცერონისთვის იყო. ანტონიუსი ხედავდა, რომ ციცერონის გავლენა პოლიტიკაში კვლავ იზრდებოდა; მან იცოდა, რომ იგი ბრუტუსისა და სხვა შეთქმულთა მეგობარი იყო, ამიტომ მისი რომში ყოფნა მეტისმეტად აღიზიანებდა. ეტყობა, ისინი ჯერ კიდევ წინათაც უნდობლად ეკიდებოდნენ ერთმანეთს და ამის მიზეზი მათი ცხოვრების განსხვავებული ხასიათი გახლდათ. შეშინებულმა ციცერონმა ჯერ სირიაში გამგზავრება გადაწყვიტა დოლაბელასთან ერთად ლეგატის ჩინით; მაგრამ კეთილშობილმა და მისმა თაყვანისმცემელმა

ვაჟკაცებმა ჰირციუსმა და პანზამ, რომელთაც ანტონიუსის შემდეგ კონსულობა მოელოდათ, თხოვნა დაუწყეს: შენ თუ აქ იქნები, ანტონიუსს დავამხობთო[93]. მაშინ ციცერონმა დოლაბელას, რომელსაც არცთუ მაინცდამაინც დიდი ნდობის თვალით უყურებდა, გზა მშვიდობისა უსურვა; ჰირციუსსა და პანზას კი შეუთანხმდა, რომ ზაფხულს ათენში გაატარებდა და როცა ისინი კონსულობას მიიღებდნენ, უკანვე დაბრუნდებოდა. ამის შემდეგ მარტოდმარტო გაემგზავრა ათენში.

ზღვაზე მგზავრობა მეტისმეტად გაგრძელდა. რომიდან კი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ყოველდღე მოსდიოდა გზაში ახალ-ახალი ამბები: ანტონიუსი საოცრად გამოიცვალა; იგი ახლა ყველაფერს სენატის სურვილისდა მიხედვით აკეთებს, თავის მთელ პოლიტიკურ საქმიანობას მას უმორჩილებს და მხოლოდ მისი, ციცერონის ყოფნაღაა აქ საჭირო, რომ ყველაფერი საუკეთესოდ წარიმართოსო. ციცერონმა რომ ესენი მოისმინა, ზედმეტი სიფრთხილისათვის საკუთარი თავი გაკიცხა და კვლავ რომში დაბრუნდა. დასაწყისში მისი იმედები არ გაცრუებულა: მის შესახვედრად იმდენი გახარებული და მის ნახვას მოწყურებული ხალხი მოაწყდა, რომ თითქმის მთელი დღე ხელის ჩამორთმევასა და მეგობრულ მისალმებებში დაიხარჯა ქალაქის კარიბჭეებსა და ქუჩებში.

მეორე დღეს ანტონიუსმა სენატი შეკრიბა და სხდომაზე ციცერონი მიიწვია, მაგრამ ციცერონი არ მივიდა. მან მთელი დღე ლოგინში გაატარა: მგზავრობაში დავიღალე და თავს შეუძლოდ ვგრძნობო. სინამდვილეში, როგორც ჩანს, სენატში მიუსვლელობის მიზეზი იყო შიში ანტონიუსის ვერავობის წინაშე; ეს შიში ციცერონში გამოიწვია რაღაც ეჭვმა და გზაში მიღებულმა ცნობამ სიფრთხილის შესახებ. ანტონიუსი ცილისწამებამ აღაშფოთა; მან გაგზავნა ჯარისკაცები ბრძანებით: ან მოეყვანათ ციცერონი, ან მისი სახლი დაეწვათ. მრავალი წინააღმდეგობისა და ხვეწნის შემდეგ ანტონიუსი მოლბა და დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ ციცერონისგან საწინდარი აიღო[94].

ამის შემდეგ ანტონიუსი და ციცერონი ერთმანეთს უსალმოდ უვლიდნენ გვერდს და სიფრთხილით იქცეოდნენ. ასეთი იყო მათ შორის არსებული უთანხმოება, როცა აპოლონიიდან ჩამოვიდა ახალგაზრდა კეისარი. ამან მოკლული კეისრის მემკვიდრედ გამოაცხადა

თავი და ოცდახუთი მილიონის თაობაზე დავა გაუმართა ანტონიუსს, რომელმაც ეს თანხა დიდი კეისრის ქონებიდან მიითვისა[95].

44. მაშინ ახალგაზრდა კეისრის მამინაცვალი ფილიპე და დის ქმარი მარცელუსი ყმაწვილი კაცის თანხლებით ციცერონთან მივიდნენ და შეთანხმდნენ იმაში, რომ ციცერონი მჭევრმეტყველებისა და პოლიტიკური გავლენის ძალით მხარს დაუჭერდა ახალგაზრდა კეისარს სენატში და ხალხის წინაშე, კეისარი კი, თავის მხრივ, ფულით და იარაღით ციცერონის ხელშეუხებლობას უზრუნველყოფდა. საქმე ის იყო, რომ ყმაწვილ კაცს უკვე თავის გამგებლობაში ჰყავდა საკმაოდ დიდი რიცხვი იმ მეომართა, რომლებიც თავის დროზე მოკლული კეისრის სარდლობით ლაშქრობდნენ.

იყო უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც, რომ ციცერონს ხალისით მიეღო ახალგაზრდა კეისრის მეგობრობა. ჯერ კიდევ პომპეუსისა და დიდი კეისრის სიცოცხლეში ციცერონმა თურმე ასეთი სიზმარი იხილა: კაპიტოლიუმში ვიღაცამ თავი მოუყარა სენატორთა შვილებს; მათი რიცხვიდან ერთ-ერთი იუპიტერს რომის წინამძღოლად უნდა დაენიშნა. მოქალაქეებმა ფიცხლად მიირბინეს იქ და ტაძრის გარშემო დადგნენ; ძოწით მოქარგული ტოგებით შემოსილი ყმაწვილები კი მდუმარედ ისხდნენ ტაძარში. უცებ ტაძრის ყველა კარი გაიღო; ყმაწვილები ფეხზე წამოდგნენ და რიგრიგობით ღმერთის გარშემო სვლა დაიწყეს; იუპიტერი მათ ყურადღებით აკვირდებოდა და გულდაწყვეტით გარეთ ისტუმრებდა. მაგრამ როცა ახალგაზრდა კეისარი მიუახლოვდა, იუპიტერმა მარჯვენა ხელი ზე ასწია და წარმოთქვა: „რომაელებო, თქვენ შინაომებს ბოლო მოეღება, როცა ეს წინამძღოლად გავიხდებათო!“

იხილა რა ასეთი სიზმარი, ამ ყმაწვილი კაცის სახე, ამბობენ, ნათლად აღიბეჭდა ციცერონის გულში და მტკიცედ დამკვიდრდა მის ხსოვნაში, თუმცა ყმაწვილს პირადად არ იცნობდა. მეორე დღეს, როცა ციცერონი მარსის ველზე ჩადიოდა, წინ შემოხვდნენ იქიდან ამომავალი, გამნასტიკური ვარჯიშობიდან დაბრუნებული ახალგაზრდები. პირველი მათ შორის, რომელმაც მისი ყურადღება მიიპყრო, იყო ყმაწვილი კეისარი, სწორედ ისეთი, როგორიც სიზმრად იხილა. გაოცებულმა ციცერონმა მისი შშობლების ვინაობა იკითხა.

გამოირკვა, რომ მისი მამა იყო არცთუ მაინცდამაინც წარჩინებული კაცი — ოქტავიუსი, დედა კი — ატია, კეისრის დის ქალიშვილი;

რაკიღა დიდ კეისარს ვაჟი არ პყავდა, ამ ნათესაობის საფუძველზე თავისი ქონება და სახლი სამემკვიდრეო ანდერძით მას დაუტოვა.

ამბობენ, ამის შემდეგ ციცერონი ყოველ შეხვედრაზე ყურადღებით ექცეოდა ყმაწვილ კეისარს და ესეც სიამოვნებით ღებულობდა მის მეგობრულ ალერსსო. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ყმაწვილი რაღაცა ბედად ციცერონის კონსულობის წელს დაიბადა [96].

45. ასეთი იყო მათი მეგობრობის საყოველთაო აღიარებული მიზეზები. სინამდვილეში კი ციცერონი კეისართან დააკავშირა უწინარეს ყოვლისა ანტონიუსისადმი ზიზღმა და, მეორე მხრივ, მისმა დიდებისაკენ სწრაფვამ. გარდა ამისა, ციცერონი იმედოვნებდა, რომ კეისრის ძლიერებას რესპუბლიკის სამსახურისათვის გამოიყენებდა. რაც შეეხება ახალგაზრდა კეისარს, იგი ისე დაუტკბა ციცერონს, რომ მამას ეძახდა. ამან საშინლად აღაშფოთა ბრუტუსი; ატიკუსისადმი [97] გაგზავნილ წერილებში ბრუტუსი ჩივის ციცერონზე: ემსახურება რა ანტონიუსის შიშით კეისარს, იგი, ცხადია, სამშობლოს თავისუფლებისათვის კი არ იღწვის, არამედ კეთილ ბატონს იძენს თავისთვისო. ასეთი წყრომის მიუხედავად ციცერონის ვაჟი, რომელიც ფილოსოფოსებთან სწავლობდა ათენში, ბრუტუსმა თავის წრეში მიიღო, ლეგატად დანიშნა და ყმაწვილმა კაცმა მისი დახმარებით მრავალ წარმატებასაც მიაღწია.

იმხანად ციცერონის ძლიერებამ რომში უმაღლეს წერტილს მიაღწია: ციცერონი იმორჩილებდა ყველას, ვისაც მოისურვებდა; მან გააძევა ანტონიუსი, აამხედრა მთელი რომი მის წინააღმდეგ და ორი კონსული, ჰირციუსი და პანზა მასთან საომრად გაგზავნა; ამასთანავე ციცერონმა დააჯერა სენატი გამოეტანა გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც კეისარს, ვითარცა სამშობლოსათვის მებრძოლს, ლიქტორთა თანხლებისა და საპრეტორო ძალაუფლების ნიშნების ტარების უფლება მიეცა.

ჩქარა ანტონიუსი დამარცხდა; მასთან საომრად გაგზავნილი ორივე კონსული ბრძოლაში დაეცა [98], ომიდან დაბრუნებული მათი ლაშქარი კი კეისრის მხარეზე გადავიდა. ახალგაზრდა კაცის წინაშე, რომელიც ჩინებულად იყენებდა ბედის წყალობას, სენატი დაფრთხა და შეეცადა პატივისცემითა და ჯილდოთა დარიგებით კეისრისთვის ჯარები ჩამოეშორებინა, აქაოდა ანტონიუსის უკუქცევის შემდეგ რესპუბლიკას მეომრები აღარ სჭირდებაო.

ამით შეშფოთებულმა კეისარმა ციცერონს მოუგზავნა მოციქულები, რათა ეთხოვათ და თან ერჩიათ მისთვის, რომ საკუთარი თავისა და კეისრისთვისაც ერთდროულად მოეპოვებინა კონსულობა; მერმე კი, როცა ძალაუფლებას ხელში აიღებდა, საქმეები ემართა ისე, როგორც თვითონ მოისურვებდა და წინამძღოლობა გაეწია ჭაბუკისათვის, რომელსაც კონსულის სახელისა და პატივის მეტი არაფერი სჭირდებოდა. თვითონ კეისარიც აღიარებს, რომ ეშინოდა მხედრობის დაშლისა და მარტოდმარტო დარჩენის; ამიტომ მარჯვედ გამოიყენა ციცერონის თანამდებობისმოყვარულობა და წააქეზა იგი მოეპოვებინა კონსულობა მისი გულმოდგინე მხარდაჭერით.

46. ახალგაზრდა კაცის მიერ გაბრიყვებული და მოტყუებული ციცერონი, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია მას კონსულად არჩევაში და სენატიც მის სასარგებლოდ განაწყო, მაშინვე გაიცხეს მეგობრებმა; მცირე ხნის შემდეგ კი თვითონაც იგრძნო, რომ თავი დაიღუპა და ხალხის თავისუფლებაც გაყიდა.

როგორც კი აღზევდა ახალგაზრდა კეისარი და კონსულობა მიიღო, მყისვე დაუკრა თავი ციცერონს და ანტონიუსსა და ლეპიდუსს დაუმეგობრდა. მერმე მათი და საკუთარი ძალები გააერთიანა და რომის სახელმწიფოს მეთაურობა ისე გაინაწილა ახალ მეგობრებთან, როგორც კერძო რამ ქონება. მათ შეადგინეს დასახოცად განწირულთა სია, რომელშიც ორასზე მეტი კაცი შეიტანეს.

ყველაზე უფრო დიდი კამათი გაიმართა სამეულში ციცერონის ზემოხსენებულ სიაში შეტანის საკითხთან დაკავშირებით. ანტონიუსი არავითარ შეთანხმებაზე არ მიდიოდა, თუ პირველ რიგში ციცერონს არ მოკლავდნენ; ლეპიდუსი ანტონიუსს მიემხრო; კეისარი კი ორივეს წინააღმდეგობას უწევდა.

სამეულის განმარტოებული და საიდუმლო შეკრება გრძელდებოდა სამი დღის მანძილზე ქალაქ ბონონიასთან[99]. ისინი თავს იყრიდნენ ბანაკისაგან მოშორებით მდებარე ერთ კუნძულზე, რომელსაც გარს მდინარე უვლიდა.

პირველი ორი დღის განმავლობაში, ამბობენ, კეისარი თავგამოდებით იბრძოდა ციცერონისათვის, მაგრამ მესამე დღეს დათმობაზე წავიდა, და გასწირა იგიო. მსხვერპლი, რომელიც სამეულში განაწილდა, ასეთი იყო: კეისარი ხელს იღებდა ციცერონზე, ლეპიდუსი

სწირავდა საკუთარ ძმას — პაულუსს, ანტონიუსი კი — ბიძას დეიდის მხრივ, ლუციუს კეისარს [100].

აი, ამგვარად დააკარგვინა ამ ხალხს ადამიანური განსჯის უნარი რისხვამ და მორეულმა ცოფმა. ამით უფრო ის დაამტკიცეს, რომ არც ერთი მხეცი არაა იმ ადამიანზე მეტად მძვინვარე, რომელიც ძალაუფლებით აღჭურვილია და ბოროტი ვნებების დაკმაყოფილება სურს.

47. როცა ეს ამბები ხდებოდა, ციცერონი ძმასთან ერთად იმყოფებოდა ტუსკულუმთან მდებარე საკუთარ მამულში [101]. გაიგეს თუ არა დასახოცად განწირულთა სიაში შეტანის ამბავი, ძმებმა გადაწყვიტეს გადასულიყვნენ ასტურიაში [102], ციცერონის ზღვისპირა ძამულში, საიდანაც გაემგზავრებოდნენ მაკედონიაში ბრუტუსთან, რომელზეც უკვე ხმები დადიოდა: მეტად გაძლიერდაო.

მწუხარებისაგან სასოწარკვეთილი ძმები დანიშნული ადგილისაკენ ტახტრევნებით გაემართნენ. გზადაგზა ჩერდებოდნენ, თავ-თავიანთ ტახტრევანს ერთმანეთის გვერდით ადგმევინებდნენ და ერთურთს შესტიროდნენ. უკვირდებოდა რა ასეთ ძნელბედობას, უფრო მეტად კვინტუსი დარდობდა და ჩივილით ამბობდა, სახლიდან არაფერი არ წამომიღიაო. ციცერონსაც სურსათის ფრიად მცირე მარაგი ჰქონდა თან. ამიტომ კვინტუსმა უმჯობესად ჩათვალა ციცერონს გზა განეგრძო, თვითონ უკან დაბრუნებულიყო, სახლიდან საჭირო სურსათი წამოეღო და სასწრაფოდ ძმას დასწეოდა. ეს გადაწყვეტილება მიიღეს, ერთმანეთს ჩაეხვივნენ და ტირილით განშორდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ საკუთარმა მონებმა კვინტუსი გადასცეს მის მეძებარ რაზმს და იგი თავის ვაჟთან ერთად მოკლეს.

ციცერონი ტახტრევნით ასტურაში მიიყვანეს. იგი აქ გამზადებულ ხომალდს წააწყდა; მაისვე ჩაჯდა შიგ და ზურგქარის წყალობით კირკეუმს მიაღწია [103]. მეზღვაურებს სწრაფად უნდოდათ აქედან გასვლა, მაგრამ ციცერონი, ხლვის შიშით თუ იმის გამო, რომ კეისრისადმი ნდობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა სრულიად დაკარგული, ნაპირზე გადავიდა და ფეხით ასი სტადიონი გაიარა რომის მიმართულებით. მერმე ისევ მოერია სევდა, აზრი გამოიცვალა და ზღვის პირს დაუბრუნდა ასტურასთან. აქ მან მთელი ღამე მძიმე ფიქრებში გაატარა. ისიც კი მოუვიდა თავში აზრად, რომ ფარულად კეისრის სახლში შესულიყო, მის კერასთან თავი მოეკლა და ამით კეისრის წინააღმდეგ

შურისმაძიებელი ღვთაება აემხედრებინა. მაგრამ მოსალოდნელი წამების შიშმა ასეთი ნაბიჯის გადადგმაზე ხელი ააღებინა. ბოლოს, მრავალ შფოთიან და აბნეულ აზრებში გახლართულმა მსახურთ უბრძანა ზღვით წაეყვანათ კაიეტანი[104], სადაც ჰქონდა მამული და საზაფხულოდ აგებული საუცხოო სახლი. ამ დროს იქ საამურად უბერავს ხოლმე თბილი ქარი. იქვე არის აპოლონის ბცირე ტაძარი, რომელიც ზღვას ზევიდან დაჰყურებს.

უეცრად ამ ტაძრიდან აფრინდა ყვავების გუნდი და საშინელი ჩხავილით გაემართა ციცერონის ხომალდისაკენ, რომელიც ნაპირს უნდა მისდგომოდა. ყვავები ორივე მხრივ შემოასხდნენ ხომალდის ქანდარას: ზოგი ჩხაოდა, ზოგიც ნისკარტით ჰკორტნიდა ბაგირებს. ყველამ იგრძნო, რომ ეს ავის მომასწავებელი ნიშანი იყო.

ციცერონი ნაპირზე გადმოვიდა, სახლში შევიდა და მოსასვენებლად წამოწვა. მაშინვე უამრავი ყვავი შემოასხდა ფანჯარას ზარდამცემი ჩხავილით. ერთ-ერთი მათგანი დააფრინდა საწოლს, რომელშიც წამოსასხამში გახვეული ციცერონი იწვა და ნისკარტით ფრთხილად გადააცალა სახეზე წაფარებული წამოსასხამის ყური.

ამის დანახვაზე ციცერონის მსახურებმა თავიანთ თავს გაიცხვა დაუწყეს: „ნუთუ ჩვენ არ უნდა დავიცვათ ჩვენი პატრონი და უმოქმედოდ ველოდოთ იმას, თუ როდის გავხდებით მისი მოკვლის მოწმენი, მაშინ როცა დაუმსახურებლად დაჩაგრულს თვით უტყვი არსებანიც ეხმარებიან და ცდილობენ საფრთხე ააცილონ?“ მრავალი თხოვნისა და ძალდატანების შემდეგ მსახურებმა ციცერონი დაიყოლიეს და ტახტრევანით ზღვის ნაპირზე წაიყვანეს.

48. სწორედ ამ დროს კაიეტანში მოვიდნენ მკვლელები: ცენტურიონი ჰერენნიუსი და სამხედრო ტრიბუნი პოპილიუსი, რომელსაც თავის დროზე მამის მკვლელობისათვის სამართალში მიცემულს ციცერონი იცავდა. მკვლელებს თან ახლდათ ხელქვეითები. ისინი მიადგნენ ციცერონის აგარაკს, მაგრამ ვამოკეტილი დაუხვდათ. მაშინ კარები შეამტვრიეს. ციცერონი არსად ჩანდა. სახლში მყოფებმა განაცხადეს: ჩვენ იგი არ გვინახავსო. მაგრამ, როგორც ამბობენ, ერთმა ყმაწვილმა კაცმა, ციცერონის ძმის აზატმა და ციცერონის მიერ თავისუფალი კაცისათვის შესაფერი ცოდნით და განათლებით აღზრდილმა, სახელად ფილოლოგუსმა სამხედრო ტრიბუნს დაანახვა ტახტრევანი, რომელიც ხეხილებით დაჩრდილული ხეივნით ზღვისკენ მიჰ-

ქონდათ. მაშინ სამხედრო ტრიბუნმა თან რამდენიმე კაცი გაიყოლა, ხეივანს გარს შემოუარბინა და გასასვლელთან მივიდა. ციცერონმა შეამჩნია თუ არა, ჰერენიუსმა ხეივანს თავს დაუარაო, მსახურთ უბრძანა გაჩერებულიყვნენ და ტახტრევანი დაედგათ. თვითონ კი ჩვეულებისამებრ მარცხენა ხელი ნიკაპზე მიიდო და მკვლელებს დაყინებით მიაშტერდა. მისი ფერმკრთალი, წვერმოშვებული და ფიქრებით დატანჯული სახე იმდენად საბრალო იყო, რომ როცა ჰერენიუსი მოსაკლავად მიუახლოვდა, სხვებმა თვალებზე ხელები მიიფარეს. როგორც კი გამოპყო ციცერონმა თავი ტახტრევნიდან, იგი მყისვე მოკლეს. ციცერონი მაშინ სამოცდათოთხა წლის კაცი იყო [105]. ჰერენიუსმა, ანტონიუსის ბრძანების თანახმად, მას მოჰკვეთა თავი და ხელები, რომლებითაც „ფილიპიკები" დაეწერა. ციცერონმა თვითონ უწოდა „ფილიპიკები" ანტონიუსის წინააღმდეგ მიმართულ სიტყვებს და დღემდე ასევე „ფილიპიკები" ეწოდებათ.

49. ციცერონის მოკვეთილი ნაწილები რომში ჩაიტანეს. ანტონიუსი იმხანად თანამდებობის პირთა არჩევნებით იყო გართული. როცა ციცერონის სიკვდილის ამბავი გაიგო და მოკვეთილი ნაწილები დაინახა, — ახლა კი დამთავრდა პროსკრიპციებიო, — წამოიძახა. მერმე ბრძანება გასცა ციცერონის თავი და ხელები საორატორო კათედრაზე დაეწყოთ. ეს იყო შემაძრწუნებელი სანახაობა რომაელთათვის. ისინი ფიქრობდნენ, რომ შესცქეროდნენ არა ციცერონის სახეს, არამედ ანტონიუსის მახინჯ სულს [106].

ამდენ ბოროტებაში ანტონიუსმა ერთადერთი სამართლიანი საქმე გააკეთა. ფილოლოგუსი მან სრულ განკარგულებაში გადასცა კვინტუსის მეუღლეს პომპონიას.

პომპონიამ იგდო თუ არა ხელთ გამცემი, მრავალი საშინელი წამება არგუნა და ბოლოს აიძულა თავისივე ხელით ნაჭერ-ნაჭერ ამოეკვეთა საკუთარი სხეულიდან ხორცი, შეეწვა და შეეჭამა. ასე გადმოგვცემს ამ ამბავს ზოგიერთი ისტორიკოსი; ციცერონის აზატი ტირონი კი ერთი სიტყვითაც არ ახსენებს ფილოლოგუსის ღალატს.

გამიგონია ასეთი ამბავი: მრავალი ხნის შემდეგ კეისარი შევიდა თურმე ერთ-ერთი შვილიშვილის ოთახში. ყმაწვილს ხელში ციცერონის წიგნი ეჭირა და, როცა პაპა დაინახა, შეშინებულმა წიგნი ტანსაცმელში დამალა. კეისარმა ეს შენიშნა, წიგნი გამოართვა. ფეხზე მდგარმა წიგნის კარგა მოზრდილი ნაწილი წაიკითხა, მერმე კვლავ

დაუბრუნა ყმაწვილს და უთხრა: ნასწავლი ყაცი იყო, შვილო, ნასწავლი და სამშობლოს მოყვარული.

სულ მალე კეისარმა ანტონიუსი დაამარცხა და, როცა კონსული გახდა, ამხანაგად ციცერონის შვილი აიყვანა[107]. მათი კონსულობის დროს სენატმა ანტონიუსის ქანდაკებები მოსპო, გააუქმა მისთვის მიკუთვნებული ყველა ღირსება და დაადგინა, ამიერიდან ანტონიუსის არც ერთ შთამომავალს არ ეტარებინა მარკუსის სახელი. ღვთაებრივმა ძალამ ამგვარად არგუნა წილად ციცერონის ოჯახს დაეგვირგვინებინა ანტონიუსის დასჯის საქმე.

https://www.facebook.com/groups/ELLIB/